მეორე ეტაპად შეიძლება 1998-2001 წლები ჩაითვალოს. უნდა აღინიშნოს, რომ 1998 წლიდან მნიშვნელოვნად გააქტიურდა ორმხრივი თანამშრომლობა. ქართული მხარე გახდა უფრო გახსნილი, ხოლო ამერიკულმა მხარემ დაიწყო ქმედითი ღონისძიებების გატარება. ხელმოწერილ იქნა სრულიად ახალი სახის დოკუმენტები: 1998 წლის თანამშრომლობის გეგმა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტს შორის *(ხელმოწერილია ვაშინგტონში 1998 წლის 24 მარტს);* 1999 წლის „სამხედრო კონტაქტების პროგრამა საქართველოსა და აშშ-ს შორის" *(ხელმოწერილია 1998 წლის 10 ნოემბერს);* „ხელშეკრულება საქართველოსა და აშშ-ის მთავრობებს შორის აშშ-ის მხრიდან საქართველოსთვის სამხედრო სფეროში დახმარების შესახებ" *(დაიდო ნოტების გაცვლით 1999 წელს).* აღნიშნული ხელშეკრულებებით შესაძლებელი გახდა თვისობრივად ახალი მიმართულებებით თანამშრომლობის დაწყება, რაც შემდგომში კიდევ უფრო გაღრმავდა 1999 და 2000 წლებში ხელმოწერილი დოკუმენტებით, კერძოდ: საქართველო შეუერთდა აშშ-ის ევროპული სარდლობის „გაერთიანებული საკონტაქტო გუნდების პროგრამას" (Joint Contact Team Program) და ჩაერთო „უსაფრთხოების სფეროში დახმარების პროგრამის" (Security Assistance Program) საქართველოსთვის აქამდე დახურულ ქვეპროგრამებში, რადგანაც ჩვენი ქვეყანა ამოღებულ იქნა აშშ-ის „იარაღით საერთაშორისო რეგულირების სიიდან". აღნიშნული პროგრამების ეფექტურად წარმართვის მიზნით საქართველოს თავდაცვის სამინისტროში 1999 წელს გაიხსნა აშშ-ის ევროპული სარდლობის სამხედრო მეკავშირე გუნდის (Military Liaison Team - MLT) ოფისი, ხოლო ცოტა მოგვიანებით კი „უსაფრთხოების სფეროში დახმარების პროგრამის" ოფისი *(დღეისათვის ეს ორი ოფისი გაერთიანდა და გადაკეთდა „ორმხრივი ურთიერთობების" ოფისად).*

მოკლედ, მიმოვიხილავთ ზემოხსენებულ პროგრამებსა და მოცემული დროის მონაკვეთისათვის ორმხრივი თანამშრომლობის სტატისტიკას: „სამხედრო კონტაქტების" (Military to Military Contacts Program) პროგრამების ჩარჩოებში მოქმედი „გაერთიანებული საკონტაქტო გუნდებისა" (JCTP) და „სახელმწიფოთა შორის პარტნიორობის" (State Partnership Program) პროგრამების ფარგლებში განხორციელდა დაახლოებით 300-მდე სხვადასხვა სახის ღონისძიება. ამ პროგრამას აქვს რამდენიმე ძირითადი მიმართულება: უმაღლესი ხელმძღვანელობის, სარდლების ვიზიტები, საშტაბო ვიზიტები და გაცვლები, კომბინირებული წვრთნები, სახმელეთო, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალების წარმომადგენელთა ვიზიტები და გაცვლები, სასწავლო კურსები, სემინარები და კონფერენციები ჯ. მარშალის სახელობის უსაფრთხოებათმცოდნეობის შემსწავლელ ევროპულ ცენტრში, საქართველოსა და ჯორჯიის შტატის ეროვნული გვარდიების ერთობლივი ღონისძიებები და სხვა.

„უსაფრთხოების სფეროში დახმარების" პროგრამა (SAP) წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და ეფექტურ ინსტრუმენტს და მოიცავს შემდეგ ქვეპროგრამებს: „საერთაშორისო სამხედრო განათლებისა და წვრთნის (International Military Education and Training-IMET) პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ქართული მხარე უკვე მე-10 წელია ამზადებს სხვადასხვა დარგის სამხედრო სპეციალისტებს, ინგლისური ენის პედაგოგებსა და სხვ. აღსანიშნავია, რომ IMET-ის ბიუჯეტი ამ დროის მანძილზე 250 000 აშშ დოლარიდან გაიზარდა 1 200 000 ათასამდე *(მომავალ წელს 1,8 მლნ).* საგარეო სამხედრო გაყიდვების (Foreign Military Sales - FMS), საგარეო სამხედრო დაფინანსებისა (Foreign Military Financing - FMF) და ჭარბი თავდაცვითი აღჭურვილობის (Excess Defense Articles - EDA) პროგრამების ფარგლებში საერთო ჯამში 1997 წლიდან 2001 წლამდე FMF ფარგლებში საქართველოს გამოეყო 25 მლნ აშშ დოლარზე მეტი. აღნიშნული თანხებით ჭარბი თავდაცვითი აღჭურვილობის პროგრამის (EDA) მეშვეობით დაფინანსდა და განხორციელდა შემდეგი ქვეპროგრამები:

1. ვერტმფრენების პროგრამა

ა) 2001 წლის სექტემბერში საქართველოს გადმოეცა ამერიკული წარმოების 10 UH-1H ტიპის ვერტმფრენი (აქედან 4 მათგანი სათადარიგო ნაწილებისთვის);

ბ) აშშ-ში გადამზადებულ იქნა 12 ქართველი მფრინავი და 30 ინჟინერ-ტექნიკოსი. ალექსეევკის სამხედრო ბაზაზე ამერიკულმა მხარემ დაამონტაჟა ვერტმფრენების ანგარი (ღირებულება 100 000 აშშ დოლარი).

2. საკომუნიკაციო აპარატურის პროგრამა

მის ფარგლებში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2000 წლის აგვისტოში გადმოეცა SINGAAR-ის ფირმის საკომუნიკაციო აპარატურა (55 ერთ. გადასატანი და 8 სტაციონარია. საერთო ღირებულება 1 500 000 აშშ დოლარი).

3. საველე ფორმების პროგრამა

მის ფარგლებში საქართველოს შეიარაღებულ ძალებს 2000 წელს მოეწოდა 1 619 541 აშშ დოლარის ღირებულების პროდუქცია (10 399 საველე ქურთუკი, 9 040 ერთ. კომუფლირებული შარვალი, 9 788 ერთ. ქუდი და 21 027 წყვილი ფეხსაცმელი), ხოლო 2001 წელს კი 1 800 000 აშშ დოლარის ღიებულების ანალოგიური პროდუქცია.

4. აშშ-ის „თავისუფლების მხარდაჭერის აქტით" (Freedom Support Act), ასევე EDA-ს ფარგლებში სახელმწიფო საზღვრის დეპარტამენტს 2001 წლის 2 დეკემბერს გადაეცა 82 ფუტიანი საპატრულო კატარღა.

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ამერიკული მხარის მიერ „საჰაერო სივრცის უსაფრთხოების ინიციატივის" (Air Safety Initiative - ASI) ფარგლებში 1998–99 წლებში განხორციელებული საქართველოს საჰაერო სივრცის მართვის სისტემების შესწავლა-შეფასება, რის შედეგად შემუშავდა რეკომენდაციები, თუ როგორ უნდა მოხდეს საქართველოს საჰაერო მართვის სისტემის მოდერნიზაცია უკვე არსებული სისტემის ელემენტების გამოყენებით. საბოლოო მიზანს წარმოადგენს საქართველოში დასავლური (ICAO-ს და NATO-ს) სტანდარტების სამოქალაქო-სამხედრო საჰაერო სივრცის მართვის სისტემის შექმნა, რომელიც ქვეყნის საჰაერო სივრცის სურათის დანახვის საშუალებას იძლევა.

ასევე ძალზე საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უსაფრთხოებისა და კანონის აღსრულების" პროგრამის (Georgia Border Security and Law Enforcement Program Review) დაწყება, რომელშიც საწყის სტადიაზე ქართული მხრიდან ჩართული იყო საზღვრის დაცვისა და საბაჟო დეპარტამენტები. მოგვიანებით აღნიშნულ პროგრამაში ჩაერთო საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

აგრეთვე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ 2000 წელს აშშ-ის მთავრობამ პირველად პირდაპირ უსრულყო ეუთო-ს მანდატით საქართველო-რუსეთის საზღვრის მონიტორინგი, რისთვისაც გამოყო 925 000 აშშ დოლარი.

ამგვარად, აშშ-თან სამხედრო სფეროში ორმხრივი თანამშრომლობა არის საკმაოდ კომპლექსური სახის და მნიშვნელოვნად ფოკუსირებულია მთლიანობაში საქართველოს უსაფრთხოების სისტემისა და მისი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაზე. ეს საქმიანობა მიზნად ისახავს თანამედროვე ტიპის შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბებას, ეფექტური მმართველობის სტრუქტურითა და ქმედითუნარიანი სამხედრო ქვედანაყოფებით. ამ პროცესის წარმატების უზრუნველსაყოფად მატერიალურ-ტექნიკურ დახმარებასთან ერთად ძალზედ მნიშვნელოვანი იყო თანამშრომლობა საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემის კონცეპტუალური განვითარების კუთხით. კერძოდ, ამერიკული მხარის აქტიურობით მომზადდა სამი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი, რომლებიც საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემის მდგომარეობის შეფასებასა და მისი სრულყოფისთვის საჭირო რეკომენდაციებს შეიცავს. ეს დოკუმენტებია: „უსაფრთხოების საკითხებში მრჩეველთა საერთაშორისო საბჭოს" (ISAB) 1999 წლის აპრილის ანგარიში საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოსადმი; თავდაცვის რესურსების მართვის ჯგუფისა (შეიქმნა 1999 წლის ნოემბერში) და აშშ-ის თავდაცვის რესურსების მართვის ინსტიტუტის მიერ მომზადებული 2001-2010 წლების „საქართველოს შეიარაღებული ძალების განვითარების სახელმძღვანელო" (Ministerial Guidance); აშშ-ის ევროპული სარდლობის დაგეგმარებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის (J5) წარმომადგენლების მიერ 1999 წელს მომზადებული საქართველოს თავდაცვის სისტემის სრულმასშტაბიანი შესწავლა-შეფასების დოკუმენტი (EUCOM Full Scale Defense Assessment). აქვე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან საქართველოს გარდა მსგავსი პროგრამა განხორციელდა მხოლოდ ლიტვაში. აღნიშნული დოკუმენტები დღესაც აქტუალურია. ასევე წარმატებად უნდა იქნეს მიჩნეული საქართველოს შეიარაღებული ძალების 2000 წლის „თეთრი წიგნის" პირველი გამოცემის მომზადება.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის სამუშაო შეხვედრები, რომლებიც შედგა განვლილი წლების მანძილზე, მაგალითად, საქართველო აშშ-ს შორის უსაფრთხოების დიალოგის (Security Dialog) მე-4 რაუნდი (2000 წლის აპრილი), თბილისსა (2000 წ. 21-22 ივნისი) და ქ. სავანაში (2001 წ. 20-25 მაისი) გამართული საქართველო-აშშ-ის ორმხრივი სამუშაო ჯგუფის (Bilateral Working Group - BWG) შეხვედრები. განსაკუთრებით წარმატებული იყო გასულ წელს თბილისში (ნოემბერი) გამართული საქართველო-აშშ-ის ორმხრივი სამუშაო ჯგუფების შეხვედრა, რომელზეც პრაქტიკულად პირველად იქნა შეთანხმებული მომავალი თანამშრომლობის კონკრეტული პრიორიტეტული მიმართულებები.

საქართველო-აშშ-ს შორის სამხედრო სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის მესამე ეტაპის ანუ მკვეთრად გამოკვეთილი სტრატეგიული ურთიერთობების დაწყების დროა 2001 წელი. 11 სექტემბრის ტრაგიკული მოვლენების შემდგომ უფრო ნათლად წარმოჩინდა აშშ-ის ახალი ადმინისტრაციის სტრატეგიული კურსი (საგარეო სამხედრო თანამშრომლობის მიმართულებით) — კიდევ უფრო გააღრმავოს/განავრცოს თეთრი სახლის წინამორბედი ხელმძღვანელობის მიერ საქართველოსადმი აღებული კურსი და მეტი დინამიურობა შესძინოს ამ ურთიერთობას, მით უმეტეს, რომ საქართველო შეუერთდა ანტიტერორისტულ კოალიციას და მისი შესაძლებლობების ფარგლებში აქტიურად ჩაერთო

საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ დაწყებულ კამპანიაში. აშშ-ის კონგრესის მიერ 2001 წელს საგარეო სამხედრო ვაჭრობაზე (საბრძოლო შეიარაღება) შეზღუდვების მოხსნით ამჟამინდელ ადმინისტრაციას მიეცა მნიშვნელოვანი საშუალება კომპლექსურად განახორციელოს თავისი სტრატეგიული ინტერესები. უდავოა, რომ მთლიანობაში ამიერკავკასიის რეგიონი და მისი სამხედრო-პოლიტიკური სტაბილურობის სიმძიმის ცენტრი – საქართველო ამჟამად მოქცეულია სწორედ ამ ინტერესების სფეროში, რაც შესაძლებლობას აძლევს ჩვენს ქვეყანას გადადგას მნიშვნელოვანი პრაქტიკული ნაბიჯები მისი დასავლეთზე ორიენტირებული საგარეო კურსისა და საკუთარი უსაფრთხოების გასამტკიცებლად. მაგალითად, დღეისათვის უკვე შესაძლებელია ამერიკის მხრიდან მივიღოთ გარკვეული ტიპის საბრძოლო აღჭურვილობა და შეიარაღება.

სწორედ ამ ახლებური მიდგომის შედეგად 2001 წლის ოქტომბერში აშშ-ის თავდაცვის მდივნის მითითებით აშშ-ის ევროპული სარდლობის ჯგუფმა ჩაატარა საქართველოს შეიარაღებული ძალების შერჩეული შენაერთების შეფასება, რომლის მიზანი იყო დაედგინათ ამ სამხედრო შენაერთებისათვის საჭირო წვრთნისა და აღჭურვილობის ის მოთხოვნები, რომელთა დაკმაყოფილებითაც საქართველოს 2002 წლისთვის გაუჩნდებოდა ოპერაციების ჩატარების შესაძლებლობები.

სწორედ ზემოხსენებული შესაძლებლობების ჩამოყალიბებისათვის აშშ-ის მიერ ინიცირებულ იქნა ე.წ. „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამა. ამერიკული მხრიდან აღნიშნული პროგრამა წარმოადგენს ორ ქვეყანას შორის სამხედრო სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის უმთავრეს პრიორიტეტს და განიხილება როგორც საქართველოში თანამედროვე ტიპის შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბებისა და ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების სისტემის განმტკიცების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალება. პროგრამის საერთო ბიუჯეტმა შეადგინა დაახლოებით 64 მლნ აშშ დოლარი, საიდანაც 30 მლნ დაფინანსდა „უსაფრთხოების სფეროში დახმარების“ პროგრამიდან.

„წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის არსია შემდეგი: იმისათვის, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მომზადდეს მცირე მოცულობის საბრძოლო (მოიცავს ანტიტერორისტულსაც) ოპერაციების ჩასატარებლად აშშ-ის ევროპული სარდლობა უზრუნველყოფს შერჩეული ქართული სამხედრო შენაერთების გაწვრთნასა და აღჭურვას, ოპერატიული შტაბის წვრთნას და ეროვნულ დონეზე საშტაბო ელემენტებისათვის ეროვნული სამხედრო სამეთაურო ცენტრის ჩამოყალიბება-აღჭურვას.

ტაქტიკურ დონეზე ამერიკული მხარე გაწვრთნის და აღჭურავს:

- 1 ოპერატიულ შტაბს (სახმელეთო ძალების შტაბი);
- 1 სპეც. დანიშნულების ბატალიონს;
- 3 მსუბუქ ქვეითთა ბატალიონს. მათგან ერთი გაიწვრთნება საჰაერო ოპერაციებისათვის (სადესანტო-სატრანსპორტო – Airmobile operations) (აშშ-ის მხარის მიერ მოწოდებული UH-1H ტიპის ვერტმფრენების გამოყენებით);
- 1 მძიმე შეიარაღების ასეულს რომელშიც შედის:
  – 2 მექანიზებული ქვეითი ოცეული
  – 2 ჯავშან-სატანკო ოცეული.

ამერიკული მხარის ვარაუდით პროგრამის საბოლოო შედეგი უნდა იყოს:

- ეროვნული საშტაბო ელემენტი, ამბოხების საწინააღმდეგო ოპერაციების დაგეგმვისა და განხორციელების შესაძლებლობით, რომელიც მოიცავს შუალედურ ოპერატიულ საშტაბო ელემენტებს, მანევრირების 3 ბატალიონს და უზრუნველყოფის შერჩეულ ელემენტებს;

- შეიქმნება ეროვნული მართვის ცენტრი, რომელსაც შეეძლება ქვეყნის შიგნით ყველა სამხედრო ხასიათის საქმიანობაზე თვალყურის დევნება. ცენტრი განლაგებული იქნება თავდაცვის სამინისტროს შენობაში, ექნება კავშირი სასაზღვრო ძალებისა და შინაგან საქმეთა სამინისტრო შტაბებთან და მასში შევა კრიზისულ სიტუაციებში მოქმედების დაგეგმვის უჯრედი, შესაბამისი საჭირო ტექნიკური საშუალებებით.

- საქართველოს სამხედრო ქვედანაყოფებს სამანევრო შენაერთების შემადგენლობაში შესაძლებლობა ექნებათ აწარმოონ შეტევითი ოპერაციები ასეულის დონეზე დღის საათებში, დღისა და ღამის საათებში ჩასაფრების ოპერაციები. ეს საქმიანობა განხორციელდება უფრო მაღალი საფეხურის შტაბთან კოორდინირებულად და ადამიანთა უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.

წვრთნისა და აღჭურვის პროგრამამ მნიშვნელოვანი იმპულსი მისცა ჩვენში თანამედროვე ტიპის შინაგანი ძალების ჩამოყალიბებას, რომლის ერთ-ერთ რეალურ ნაბიჯად შესაძლოა მივიჩნიოთ პროფესიული არმიის საფუძვლების ჩამოყალიბება. ამ დროისათვის წარმატებით განხორციელდა რამდენიმე ფაზა და მაისის შუა რიცხვებიდან დაიწყო ახალი ბატალიონის გაწვრთნა.

გარდა ზემოხსენებულისა, განსაკუთრებით გვსურს გამოვყოთ ის მიდგომები, რომელიც ძალზე მნიშვნელოვანია ამ თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისთვის, კერძოდ: ამერიკული მხარე მნიშვნელოვან აქცენტს აკეთებს საქართველოში არსებული შიდა დაგეგმარების სისტემის (სტარტეგიული და ოპერატიული დონე, საბიუჯეტო დაგეგმარება და სხვ.) გაუმჯობესებასა და გრძელვადიანი დაგეგმარების სისტემის ჩამოყალიბებაზე. ამ პროცესში ამოსავალ წერტილად მიჩნეულია დაბალ პრიორიტეტებზე რესურსების ხარჯვის გამორიცხვა. აღნიშნული მიმართულებით სწორი პოლიტიკის გატარებისა ანუ საერთაშორსიო დახმარებისა და შიდა რესურსების გეგმაზომიერი სინთეზის შემთხვევაში (მიზნობრივი ხარჯვა) სავსებით შესაძლებელია საკმაოდ მოკლე პერიოდში მნიშვნელოვანი წარმატებების მიღწევა.

უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ მოკლე დროში შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ ორ ქვეყანას შორის სამხედრო სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარების მხარდაჭერისა და საქართველოს შეიარაღებული ძალების არსებითი დახმარების დემონსტრირება შეძლო. ნათელია, რომ საქართველო-აშშ-ის ურთიერთობებში დამკვიდრებული სწორედ ამ დადებითი ტენდენციების ლოგიკური შედეგია ჩვენი ქვეყნის მიერ ერაყის წინააღმდეგ შეერთებული შტატების საომარი კამპანიის ცალსახა მხარდაჭერა და ანტიერაყული კოალიციის წევრობა. ასევე ძალზე მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია საქართველო-აშშ-ს შორის სამხედრო სფეროში თანამშრომლობის ახალი ხელშეკრულების გაფორმება. ჩვენ ორ ქვეყანას შორის ნდობის ფაქტორისა და სტრატეგიული პარტნიორობის კიდევ უფრო განმტკიცებისთვის ქართული მხარე ვალდებულია გადადგას შემხვედრი ნაბიჯები. ეს საპასუხო ძალისხმევა აუცილებლად უნდა გამოიხატოს საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემის სწრაფი რეფორმირებით, ანუ ისეთი ქმედითუნარიანი სისტემის ჩამოყალიბებით, რომელიც საშუალებას მისცემდა საქართველოს გამხდარიყო ევროპა-ატლანტიკურ და რეგიონალურ უსაფრთხოებაში არსებითი წვლილის შემტანი ქვეყანა და არამარტო ამ უსაფრთხოების მომხმარებელი ერთეული.

**ლევან ავალიშვილი**
*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის ასპირანტი*

# აშშ-ის საგარეო პოლიტიკური პროპაგანდა ცივი ომის დასაწყისში

*„ჩვენ არ ვიმარჯვებთ მანამდე, სანამ CNN არ აცხადებს, რომ ჩვენ ვიმარჯვებთ.“*
*ჯ. შალიკაშვილი*

დღევანდელი მსოფლიო საზოგადოება ჯერ კიდევ ბოლომდე გარკვეული არ არის იმაში, თუ რა დიდი გავლენა იქონია „ცივი ომის“ ეპოქამ კაცობრიობის ისტორიაზე და რა კარდინალური ძვრები განიცადა ამ პერიოდში ადამიანთა წარმოდგენებმა. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ განსაკუთრებით გაიზარდა მასების მნიშვნელობა. ესპანელი ფილოსოფოსი ორტეგა-ი-გასეტი სწორედ ამ მოვლენას უწოდებდა „მასების ამბოხს“. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მოხდა ე.წ. „კომუნიკაციური აფეთქება“ — გაზეთების, წიგნების, რადიომიმღებებისა და რადიოგადამცემების, ტელევიზორების რაოდენობა 50-ჯერ და 100-ჯერ გაიზარდა. მსოფლიო ერთგვარად შეიკუმშა, დაპატარავდა. შესაძლებელი გახდა ინფორმაციის გავრცელება მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში. აქედან გამომდინარე, უაღრესად ადვილი გახდა ხალხთა ფართო მასებისათვის იდეების მიწოდება და ადამიანთა განწყობილებებისა და შეხედულებების მართვა. სწორედ ამ მიზნით გამოიყენეს პროპაგანდა „ცივი ომის“ დროს, როგორც იდეების გავრცელების ხელოვნება.

ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი ვალტერ ლ. ჰიქსონი, თავის წიგნში „ფარდის აწევა, პროპაგანდა, კულტურა და ცივი ომი (1945—1961) აღნიშნავს, რომ ცნება „პროპაგანდა“ გულისხმობს გარედან ინფორმაციის გამიზნულ თავსმოხვევას გარკვეული სახით და, პირველ რიგში, სიტყვების ფორმით. სიტყვები ერთიანდებოდა, მათში იდებოდა რაღაც იდეები და შემდგომ მათ ნერგავდნენ ბარიკადების ორივე მხარეს მყოფი ადამიანების გონებასა და გულებში. ჰიქსონის აზრით, აღმოსავლეთ ბლოკში პროპაგანდისა და კულტურის შეღწევა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ასპექტი იყო, ვიდრე ცივი ომის დროინდელი სხვა სტრატეგიები.[1]

პროპაგანდის მნიშვნელობას საერთაშორისო ურთიერთობებში ხაზს უსვამდა ცნობილი ამერიკელი მეცნიერი ჯონ მარტინი, რომელიც თავის წიგნში „საერთაშორისო პროპაგანდა“(1958) წერდა: „სწორედ პროპაგანდის საშუალებით იქნება გადაწყვეტილი მომავლის მრავალი საერთაშორისო კონფლიქტი. ფსიქოლოგიური ომი, სიტყვების ომი, ადამიანთა გონებისათვის ბრძოლა — სწორედ ესენია თანამედროვეობისა და მომავლის მეთოდები.“[2]

ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკური პროპაგანდის თანამედროვე აპარატის ჩამოყალიბება პირველი მსოფლიო ომის დროს დაიწყო, როდესაც შეიქმნა საზოგადოებრივი ინფორმაციის კომიტეტი (ჯორჯ კრილის ხელმძღვანელობით). მეორე მსოფლიო ომის დროს ეს პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდა — გაჩნდა სამხედრო ინფორმაციის სამსახური.

ცივი ომის საწყის ფაზაში (1946—1947) აშშ-ის საგარეო პოლიტიკური პროპაგანდის აპარატი ძალზე ნელა იხვეწებოდა. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ

ამერიკულ პოლიტიკაში ჯერ კიდევ არ იყო მკაფიოდ ჩამოყალიბებული სოციალისტურ ბანაკთან მიმავალი ურთიერთობის კონცეფციები.[3] თუ 1945 წელს ამერიკის მოსახლეობის მხოლოდ 32% ელოდა მომავალი 25 წლის განმავლობაში დიდი მსოფლიო ომის დაწყებას, უკვე შემდეგ, 1946 წელს ეს პროცენტი გაიზარდა 41-მდე, ხოლო 1947 წლის ბოლოსთვის ომს ამერიკის მოსახლეობის 63% ელოდა.[4] ეს გამოწვეული იყო მრავალი მიზეზით, მათ შორის, ამერიკის პროპაგანდისტული სამსახურების საქმიანობით, რომლებიც ყველაფერს აკეთებდნენ შეერთებული შტატების მთავრობის ახალი პოლიტიკური კურსისთვის მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის მხარდაჭერის მოსაპოვებლად და ქვეყანაში პოზიციების გასამაგრებლად.

ქვეყნის შიგნით შეერთებული შტატების საინფორმაციო საქმიანობის გაფართოებას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა. საინფორმაციო ინდუსტრიაში მომუშავე კერძო კომპანიები, რომლებიც ომის პირობებში ურიგდებოდნენ სახელმწიფოს ჩარევას მათ საქმიანობაში, აღარ იყვნენ დაინტერესებული იმავე მდგომარეობით მშვიდობიან დროს. გარდა ამისა, პროპაგანდას არ შეეძლო მოეტანა რაიმე ფინანსური მოგება, რითაც, პირველ რიგში, დაინტერესებულები იყვნენ საინფორმაციო სფეროში მომუშავე ბიზნესმენები. თავდაპირველად ამერიკულ პოლიტიკურ ელიტაში ვერ აფასებდნენ საგარეო პოლიტიკური პროპაგანდის მნიშვნელობას, მაგალითად, სენატორთა უმრავლესობა თვლიდა, რომ „მარშალის გეგმისათვის" გამოყოფილი 12 მილიარდი დოლარი სრულიად საკმარისი იყო ევროპაში ამერიკული პოლიტიკის პროპაგანდისტული მხარდაჭერისათვის (ამას არ ეთანხმებოდნენ თვითონ სახელმწიფო მდივანი ჯ. მარშალი, ვაჭრობის მინისტრი ჰარიმანი, დუაიტ ეიზენჰაუერი, აშშ-ის ელჩი მოსკოვში სმიტი და სხვები).

ამერიკაში ბევრს არ ესმოდა, რომ ახალ ვითარებაში ეკონომიკური, სოციალური, იდეოლოგიური და სხვა ფაქტორები გაუტოლდა სამხედრო-პოლიტიკურ ფაქტორებს. 1946–1947 წლებში კონგრესის წარმომადგენელთა თითქმის ნახევარმა მოინახულა მსოფლიოს 22 ქვეყანა. ამ ვიზიტების შედეგად, ამერიკელი კანონმდებლები ძალზე შეშფოთდნენ იმის გამო, რომ ევროპის ქვეყნებში სრულიად არ ესმოდათ ომის შემდგომი ამერიკის საგარეო პოლიტიკის მიზნები და ამოცანები. ამიტომ საჭირო იყო აშშ-ის საინფორმაციო და კულტურული საქმიანობის გააქტიურება.

1948 წელს კონგრესმა მიიღო კანონი (№402) აშშ-ის ინფორმაციისა და საგანმანათლებლო გაცვლების შესახებ, რომელსაც ეწოდა სმიტ-მუნდტის კანონი. მისი მიზანი იყო შეერთებული შტატების შესახებ ნათელი და მომგებიანი შეხედულებების ჩამოყალიბება, აგრეთვე ინფორმაციის საშუალებით ამერიკული პოლიტიკის მხარდაჭერა და ხელშეწყობა. ინფორმაციული ფუნქცია დაუტოვეს სახელმწიფო დეპარტამენტს (საგარეო პოლიტიკასთან მისი მჭიდრო კავშირის გამო), სადაც შეიქმნა სპეციალური ინფორმაციული და საერთაშორისო გაცვლების განყოფილებები. რეკომენდაციების მისაცემად შეიქმნა სპეციალური საკონსულტაციო კომისიები. 1949 წლისათვის ამ სფეროს დასაფინანსებლად კონგრესმა 30 მილიონი დოლარი გამოყო.[5]

1949 წელს, როდესაც საბჭოთა კავშირმა გამოაცხადა ატომური იარაღის შექმნა, ამერიკელები გააქტიურდნენ ყველა მიმართულებით, მათ შორის იდეოლოგიურ ფრონტზე. 1953 წელს შეიქმნა აშშ-ის მთავარი პროპაგანდისტული უწყება, შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტო (USIA). შეერთებული შტატების საინფორმაციო სამსახურის შექმნით ვაშინგტონმა გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი.

მთელი საინფორმაციო და პროპაგანდისტული პოლიტიკის განხორციელება დაევალა ერთ კონკრეტულ ორგანიზაციას, რომელიც ახდენდა სხვა ყველა შესაბამისი სტრუქტურის კოორდინაციასა და დაკავშირებას.

ამას აღიარებდა საბჭოთა მხარეც, ერთ-ერთ დოკუმენტში აღნიშნულია: „ამერიკის საინფორმაციო სამსახური USIA აერთიანებს პროპაგანდისტული საქმიანობის ყველა ფორმას: ბეჭდვით, საინფორმაციო, კინოპროპაგანდას, რადიოპროპაგანდას. USIA აწყობს გამოფენებს, ინგლისური ენების კურსებს, მხატვრულ საღამოებს. იგი აკონტროლებს ისეთი ორგანიზაციების საქმიანობას, როგორიცაა: „ფორდის ფონდი" და „როკფელერ ფაუნდეიშენი". იგი მჭიდრო კონტაქტებს ამყარებს ადგილობრივ გამომცემლებთან და მათი მეშვეობით უშვებს პროპაგანდისტული ხასიათის მასალას. ერთი სიტყვით, ჩვენგან განსხვავებით, ცენტრალიზაციას უწევს მთელ პროპაგანდისტულ საქმიანობას."[6]

აღსანიშნავია, რომ ამერიკაში პროპაგანდის საკითხების შესწავლით დაინტერესებამ უმაღლეს დონეს მიაღწია იყვნენ დაინტერესებულები. ამერიკელები მშვენიერად ახერხებდნენ მთელი დასავლური პროპაგანდის სტრუქტურების შეკრას და იდეოლოგიურ ფრონტზე საერთო ძალებით გამოდიოდნენ. ამერიკული პროპაგანდა „შავი", ანუ ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის მშვენიერად იყენებდა არასამთავრობო ორგანიზაციებს (რადიო „თავისუფლება", სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთები, საინფორმაციო ბიუროები ა.შ.). თუ ამერიკის ოფიციალური საშუალებები ნაკლებად კატეგორიულები იყვნენ კომუნიზმის გაშუქებისას, არაოფიციალური, „დამოუკიდებელი" პროპაგანდის არხები საზოგადოების სამსჯავროზე ყველაფრის გამოტანას ახერხებდნენ.

„ცივი ომის" დასაწყისში (1946–1961) აშშ-ისა და სსრკ-ს საგარეო პოლიტიკური პროპაგანდის დაპირისპირების ძირითადი ეტაპების განხილვისას შეგვიძლია გამოვყოთ რამოდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი:

ა) ცივი ომის საწყისი ეტაპისთვის 1946–1947 წლებში დამახასიათებელი იყო საგარეო პოლიტიკური პროპაგანდის წარმოებისა და მისი აპარატის განვითარების შედარებით ნელი ტემპები. ამ პერიოდში ძირითადი პროპაგანდისტული დაპირისპირება იყო აღმოსავლეთ ევროპაში, რადგანაც მიუხედავად ძლიერი საბჭოთა გავლენისა, ამ რეგიონის ქვეყნებში ჯერ კიდევ დიდი იყო პროდასავლური ორიენტაციის ჯგუფების გავლენაც.

ბ) 1949 წლიდან განსაკუთრებით გააქტიურდა ამერიკული მხარე. ამერიკამ თავისი პროპაგანდის წარმოება უფრო აგრესიული მეთოდებით დაიწყო. ჰარი ტრუმენმა და ედუარდ ბარეტმა („ნიუსვიკის" ყოფილი რედაქტორი) შექმნეს რადიოსადგური „განთავისუფლება" (შემდგომში „თავისუფლება") და 1950 წელს იენისში შეიმუშავეს პროპაგანდის შემტევი გეგმა – სიმართლის კამპანია (Campaign of Truth). ბარეტის მიერ შემუშავებული რეზოლუცია მოუწოდებდა „იდეების სფეროში მარშალის გეგმის განხორციელებას მთელი მსოფლიოს მასშტაბით". რეზოლუცია აგრეთვე მოითხოვდა „საერთაშორისო პროპაგანდის" ეროვნული პოლიტიკის ინსტრუმენტად გამოცხადებას.[7] პროგრამის მიხედვით მსოფლიო დაიყო განსხვავებულ რეგიონებად:

– „მყარი ბირთვი", რომელიც აერთიანებდა საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპას.

– „მხარდამჭერი პერიფერია", სადაც შევიდნენ – ტაილანდი, ბირმა, სამხრეთ კორეა, საბერძნეთი, თურქეთი, იუგოსლავია.

– „სახიფათო ზონა": იტალია, საფრანგეთი, ინდოეთი, პაკისტანი, ცეილონი, ინდონეზია, ფილიპინები.

ამ კამპანიის მიზანი იყო ნამდვილი იდეოლოგიური ომის გაჩაღება. მის განსახორციელებლად კონგრესმა გამოყო 131 მლნ დოლარი. „სიმართლის კამპანიის" დროს რადიოსადგური „ამერიკის ხმა" გადასცემდა თავის პროგრამებს მსოფლიოს 100 ქვეყანზე 46 ენაზე. აშშ-ის საინფორმაციო ცენტრები მუშაობდნენ მსოფლიოს 60 ქვეყანაში და 190 ქალაქში. გაცხელით პროგრამებში მონაწილეობა მიიღო ათასობით სხვადასხვა პროფესიის ადამიანმა. მთავარი მაინც „ამერიკის ხმის" საქმიანობა იყო, რადგანაც სწორედ რადიო ითვლებოდა პროპაგანდის ყველაზე ქმედით იარაღად. მისი პირველი რადიოგადაცემა ეთერში 1942 წლის თებერვალში გავიდა, ხოლო „ამერიკის ხმის" რუსული რედაქცია უკვე 1947 წლის თებერვალში შეიქმნა.

გ) 1953 წელს აშშ-ის საინფორმაციო სააგენტოს (USIA) შექმნით დაიწყო ბრძოლის ახალი ეტაპი. პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერის ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი იყო სპეციალური კომიტეტის შექმნა ცნობილი ნიუ-იორკელი ადვოკატის უ. ჯექსონის ხელმძღვანელობით. მისი მიზანი იყო საერთაშორისო საინფორმაციო საქმიანობების შესწავლა. კომიტეტმა გამოიკითხა ამ სფეროში მომუშავე დაახლოებით 250 სპეციალისტი. კომიტეტის რეკომენდაციების საფუძველზე ეიზენჰაუერმა კონგრესს გაუგზავნა რეორგანიზაციის გეგმა №8, რომელმაც კანონის ძალა 1953 წლის 1 აგვისტოს მიიღო. რეორგანიზაციის შედეგად სახელმწიფო დეპარტამენტი განთავისუფლდა პროპაგანდისტული ფუნქციებისაგან, გაუქმდა ასევე ფსიქოლოგიური სტრატეგიის ბიურო. სამაგიეროდ შეიქმნა შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტო (United States Information Agency – USIA.). მას გადაეცა რადიოსადგური „ამერიკის ხმა", სახელმწიფო დეპარტამენტის ბიბლიოთეკები, პრესისა და კინოფილმების განყოფილებები. USIA-ზე საერთო პოლიტიკური ხელმძღვანელობა დაეკისრა სახელმწიფო დეპარტამენტს.

USIA-ს მთავარი დანიშნულება იყო მთელი მსოფლიოს მასშტაბით შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების განმარტება. მისი ძირითადი ფუნქცია კარგად განსაზღვრა ჯონ კენედიმ საინფორმაციო სააგენტოს დირექტორისადმი 1963 წლის 23 თებერვლის მიმართვაში: „უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე ზემოქმედების გზით ამრიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკური მიზნების განხორციელების მხარდაჭერა". [8]

საინტერესოა USIA-ს ყოველწლიური დაფინანსების დინამიკა:

| საფინანსო წელი | მლნ დოლარი |
|---|---|
| 1953/1954 | 81.2 |
| 1963/1964 | 146.8 |
| 1975/1976 | 273.6 |
| 1977/1978 | 400.0 |

ანუ ამ მაგალითიდან ჩანს, რომ შეერთებული შტატების მთავარი საგარეო პოლიტიკური პროპაგანდის სამსახურის დაფინანსება, როგორც წესი, ყოველ ათწლეულში 2-ჯერ იზრდებოდა.[9] ძირითადი აქცენტი გაკეთდა კულტურული პროპაგანდით საბჭოთა ინტელექტუალურ წრეებზე ზემოქმედების მოხდენაზე. ამერიკის პროპაგანდის მეშვეობით, გაძლიერდა დასავლური კულტურის ექსპანსია სოციალისტური ბანაკის ქვეყნებზე.

დ) ხრუშოვის მიერ წამოყენებული „მშვიდობიანი თანაარსებობის" დოქტრინის ფარგლებში შედარებით შენელდა იდეოლოგიური დაპირისპირება, მაგრამ მიუხედავად 1958 წელს კულტურის სფეროში მიღწეული შეთანხმებისა, 1960 წელს ყველაფერი კვლავ ძველებურ ყაიდას დაუბრუნდა. იდეოლოგიური და პროპაგანდისტული ბრძოლა ახალი სიმძლავრით განახლდა, თუმცა მისმა ეპიცენტრმა ძირითადად „მესამე მსოფლიოს" ქვეყნებზე გადაინაცვლა.

საბოლოოდ, ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ პროპაგანდამ ძალზე დიდი როლი ითამაშა „ცივი ომის" ისტორიაში. მისი მეშვეობით ამერიკულმა პოლიტიკურმა წრეებმა შეძლეს მნიშვნელოვანი საგარეო და საშინაო პრობლემების გადაწყვეტა. ამერიკულ პროპაგანდას დიდი წვლილი მიუძღვის საბჭოთა ბლოკის დამარცხებაში. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ცნობილი ამერიკელი კინორეჟისორის, სტივენ სპილბერგის გამონათქვამი: „მე დარწმუნებული ვარ, რომ კომუნიზმი ტელევიზიამ მოკლა".

## გამოყენებული ლიტერატურა


1. W.L.Hixson, Parting the Curtain. Propaganda, Culture and Cold War. 1945-1961. Mucmilan, 1998, www.Rambler.ru - (Пропаганда).
2. J.Martin, International Propaganda, Minneapolis, 1958, p.8.
3. Психологическая война, Сборник статей. М,1976.
4. Валюженич А.В. Внешнеполитическая пропаганда США, М.,1973.
5. Там же.
6. პრეზიდენტის არქივის მასალები: Партархив Грузинского филиала ИМЛ при ЦК КПСС, отдел Пропаганды и Агитации, фонд №14, Опись №33, дело №315, 317.
7. J.Martin, International Propaganda, p.81.
8. Валюженич А.В. указ. соч.
9. С.И. Веглов Внешнеполитическая пропаганда. Очерк теории и практики. М.,1984.

**ნუგზარ ბარდაველიძე**
*სახალხო დიპლომატიის აკადემიის დოცენტი*

# ამერიკელი რეინჯერები: მითი და რეალობა

ტერმინი რეინჯერი ძველი ინგლისური სიტყვისაგან „რაუნჯერ“ წარმოდგება – ასე უწოდებდნენ შუა საუკუნეებში ქვეით მონადირეებსა და ეგერებს. დღეს ამერიკის შეერთებული შტატების არმიაში რეინჯერები წარმოადგენენ სპეცდანიშნულების (დივერსიულ-სადაზვერვო) სამი ელიტარული ბატალიონის სამხედრო მოსამსახურეებს.

განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილების შექმნის იდეა XVII საუკუნეში მომწიფდა ინგლისის კოლონიურ ჯარში. 1756 წელს ჩრდილოეთ ამერიკაში შეიქმნა პირველი რაზმი, რომელსაც „რეინჯერთა მამად“ წოდებული, ინგლისის კოლონიური ჯარის მაიორი რ. როჯერსი ჩაუდგა სათავეში.

პირველი ასეულები მოხალისეებისაგან კომპლექტდებოდა. ეს რაზმები მონაწილეობას იღებდნენ ინდიელებთან და ფრანგებთან წარმოებულ ბრძოლებში.

რეინჯერთა პირველი რაზმების მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ის იყო, რომ ისინი არასოდეს, არც ერთ შემთხვევაში მწყობრის სახით არ იბრძოდნენ და არც გაშლილი ფრონტით გადადიოდნენ ხელჩართულ ბრძოლაზე. ინდიელთა ბრძოლის წესი – მალული მიპარვის ხერხები – იმთავითვე დაინერგა რეინჯერებში და ეს ტრადიცია დღესაც წარმატებით გრძელდება.

ეშმაკური მანევრით მოწინააღმდეგის მოტყუება, მოულოდნელ ადგილებში მცირე ჯგუფებით ჩასაფრება და უეცარი დარტყმის მიყენება, შეტევაზე გადასვლა პირდაპირი მარშით, შენიღბვით გადაადგილება, ბუნებრივი საფარის ოსტატური გამოყენება, მოწინააღმდეგისათვის ზიანის მიყენება საფარიდან ზუსტი სროლით ან უეცარი გააფთრებული შეტევა ცივი იარაღის გამოყენებით. ამგვარი იყო და, არსებითად, დღესაც ასეთივეა ამერიკელ რეინჯერთა საბრძოლო ტრადიციის მთავარი პოსტულატები.

ორიოდე საუკუნის წინ რეინჯერთა შეიარაღებაც – გრძელლულიანი კარაბინი (ხიშტის გარეშე), პისტოლეტები, გრძელი დანა და ინდიელთა ტომაჰავკის მსგავსი საბრძოლო ნაჯახი, სრულიად განსხვავდებოდა იმდროინდელი ბრიტანელი და ფრანგი ჯარისკაცების შეიარაღებისაგან. რეინჯერები არც გაპრიალებული ღილებიანი კამზოლებით და გაპუდრული პარიკებით იწონებდნენ თავს და არც ინდიელების მსგავსად მოწინააღმდეგისათვის სკალპის აჭრა იყო მათთვის უცხო ხილი.

სამეფო რეინჯერების ისტორიიდან გამორჩეულია 1857 წელი, როცა რეინჯერთა ოთხმა ასეულმა ძლევამოსილი მარშით გაიარა სამხრეთ კანადა და გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა ფრანგ კოლონისტთა გარნიზონებსა და მათ მოკავშირე ჰურონებს.

თუმცა, დღევანდელი დღის გადასახედიდან თუ გავაანალიზებთ სამეფო რეინჯერების ამ ოპერაციას, არც ის უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ ფრანგების სამხედრო ნაწილები კანადის ომის დროს ძირითადად იძულების წესით გაწვეული კოლონისტებისაგან იყო დაკომპლექტებული და ისინი სამხედრო გაწვრთნილობით არ გამოირჩეოდნენ, რეგულარული სამხედრო ნაწილები კი

მეტად მცირერიცხოვანი იყო, ინდიელთა დახმარებაც არ იყო მნიშვნელოვანი. ამერიკელ სამეფო რეინჯერებს მცირემასშტაბიან ოპერაციებში უხდებოდათ მონაწილეობის მიღება, დასერილ ადგილებსა და ტყის მასივებში, სადაც ფრანგ ჯარისკაცთა სამწყობრო კოლონები მანევრირებას ვერ ახდენდნენ. საერთო ჯამში ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიქმნა ერთობ გაზვიადებული წარმოდგენა, ერთგვარი მითი, როჯერსის ბატალიონების უძლეველობაზე.

სინამდვილე კი ასეთი იყო. მართალია სამეფო რეინჯერები ძალიან გულადები იყვნენ, საკმაოდ შეთანხმებულად იბრძოდნენ — გამოირჩეოდნენ მაღალი ინდივიდუალური მომზადებით, მაგრამ მიუხედავად საოცარი ბრძოლისუნარიანობისა, ვერც მაიორი როჯერსი და ვერც მისი ხელქვეითები სამხედრო დისციპლინით ვერ დაიკვეხნიდნენ და, თანამედროვეთა აზრით, დიდად არ გამოირჩეოდნენ ყაჩაღთა ბანდებისაგან, ხოლო მშვიდობიანობის დროს მათი „მშვიდად" გაჩერება, აშკარად, სირთულეებთან იყო დაკავშირებული.

ალბათ ამიტომაც, როდესაც ბრიტანეთის იმპერიის წინააღმდეგ ჩრდილო ამერიკელთა განმანთავისუფლებელი ომი დაიწყო, ჯორჯ ვაშინგტონმა რეინჯერთა მეთაურს, იმხანად უკვე გენერალ როჯერსს, კატეგორიული უარი უთხრა თანამშრომლობაზე იმ ლოგიკური მოტივით, რომ აჯანყებულთა მაღალმორალურ არმიაში ბანდიტ-რეინჯერთა ადგილი არ იყო. ჯ. ვაშინგტონის ეს პრინციპულობა თვალსაჩინო მაგალითი უნდა იყოს ყველა პოლიტიკოსისათვის.

საფიქრებელია, რომ ჯორჯ ვაშინგტონს პიროვნული მეტოქეობაც ჰქონდა გენერალ როჯერსთან და არ სურდა, რომ ამბიციურ გენერალს თავისი პოზიციები და რენომე კიდევ უფრო განემტკიცებინა, შეიძლება მას ფარული შიშიც ჰქონდა როჯერსისა და მისი თავზეხელაღებული მხედრიონისა.

უფრო სავარაუდოა, რომ ჯ. ვაშინგტონი, რომელიც პროფესიონალი სამხედრო იყო, კარგად ჩასწვდა რეინჯერთა ქვედანაყოფების ავ-კარგს და მათი უძლეველობის მითისაც არ სწამდა და, საერთოდ, პროფესიონალი სამხედროების, რომლებიც ყველაზე ამბიციური და მაღალანაზღაურებადი სპეცდანიშნულების მეომრები იყვნენ, მითუმეტეს, თუ უდისციპლინობა და არასაწესდებო ურთიერთობები თანსდევდა მათ სამსახურს.

ჯორჯ ვაშინგტონმა რეინჯერთა საომარი ტაქტიკა გადაიტანა ამბოხებულ კოლონისტთა არმიაში და საკმაოდ ეფექტურად წარმართა ბრძოლები ინგლისელთა წინააღმდეგ. განაწყენებული გენერალი როჯერსი კი, რეინჯერთა რამდენიმე ასეულის თანხლებით ბრიტანელთა მხარეზე გადავიდა, მაგრამ დისციპლინირებულმა კოლონისტებმა ადვილად სძლიეს რეინჯერთა რაზმებსაც და როჯერსი მალე იძულებული გახდა ინგლისში გადახვეწილიყო. რეინჯერთა ისტორიაში ხანგრძლივი შესვენება დაიწყო.

თავდაპირველად, შეერთებული შტატების არმიაში არ იყო სპეცდანიშნულების რაზმები და, მითუმეტეს, არც რეინჯერები ჰყავდათ. მაგრამ ტერმინი რეინჯერი დამკვიდრებული იყო როგორც მეომრის, „მაგარი ბიჭის", თავზეხელაღებულის სინონიმი. 1812—1814 წლების ინგლის-ამერიკისა და 1846—48 წლების ამერიკა-მექსიკის ომებში „რეინჯერებს" უწოდებენ მოხალისეთა ფორმირებების მეომრებს.

რეინჯერთა მეორე დაბადება, (მხოლოდ უკვე სახელწოდება „სამეფოს" გარეშე), ამერიკის სამოქალაქო ომის დროს მოხდა.

რეინჯერთა პირველი ფორმირებების შექმნა სამხრეთელებმა დაიწყეს. ალბათ ლაღი, ზედმეტი დისციპლინის მოძულე, ამაყი ბუნების გამო,

კონფედერატებისათვის მიუღებელი იყო მკაცრ წერთნაზე დამყარებული არმიული დისციპლინა, სადაც ხელქვეითების ნაგვრა ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება (ალბათ, პრუსიულ-რუსულ-საბჭოური სამხედრო სისტემებიდან ახალგაზრდა ქართულ არმიაში გადმოსული ნაგვრის მანკიერი ჩვევა არის ჩვენი ჯარისკაცების მასობრივი დეზერტირობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი და არა მწირი სოციალური მდგომარეობა).

სამხრეთელი კონფედერატების მცირერიცხოვანი მობილური რაზმები, რომლებიც ტეხასელი და ვირჯინიელი მოხალისე მხედრებისაგან იყო დაკომპლექტებული და სიყვარულით მოსახლეობის მიერ რეინჯერებად იწოდებოდნენ, მწარედ ამარცხებდნენ იანკების რეგულარულ ნაწილებს. რეინჯერები მოქმედებდნენ მტრის ზურგში. მათ შეეძლოთ თანაბარი ძალით ებრძოლათ როგორც ცხენდაცხენ, ასევე ქვეითად მწყობრით. ცოტა ხანში კი მათ ახალი ფუნქცია შეიძინეს – მოწინააღმდეგის კავშირგაბმულობის მწყობრიდან გამოყვანა. კომუნიკაციების გარეშე კი შეუძლებელია დაქსაქსული შენაერთების მართვა.

ჩრდილოეთელებს სპეცდანიშნულების ნაწილები არ ჰყავდათ, მაგრამ ომმა იანკებს დაანახა მისი არსებობის აუცილებლობა. 1862 წელს ქ. რიჩმონდთან შეიდდღიანი ბრძოლის დროს 75-ე ქვეითთა პოლკმა შეძლო მცირე დანაკარგებით მოეგერიებინა სამხრეთელ კონფედერატთა შეტევა. ამ გამარჯვების აღსანიშნავად პოლკს საპატიო წოდება „რეინჯერი" მიენიჭა. დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, რეინჯერთა ყველა ქვედანაყოფი მიწერილი იყო 75-ე ქვეითთა პოლკზე.

სამოქალაქო ომის შემდგომ რეინჯერებს უწოდებდნენ ზოგიერთ შტატის ცხენოსან პოლიციელთა რაზმებს. ყველაზე პოპულარულები კი ტეხასელი მესაზღვრეები იყვნენ. ტეხასელი მესაზღვრეები, ანუ როგორც სიყვარულით უწოდებდნენ - რეინჯერები, გამორჩეულნი იყვნენ თავიანთი საბრძოლო პროფესიონალიზმით, გამბედაობით, მაგრამ სამხედრო დისციპლინისაგან ისინიც საკმაოდ შორს იდგნენ. სამეფო რეინჯერების დარად შარაგზის ყაჩაღებისაგან ბევრით არც ტეხასელი მხედრები გამოირჩეოდნენ.

თანამედროვე რეინჯერთა დანაყოფების შექმნა მეორე მსოფლიო ომის დროს დაიწყო. 1942 წლიდან, როდესაც აშშ-ში შეიქმნა პირველი სადაზვერვო-დივერსიული ბატალიონი და რომელიც მიაწერეს 75-ე ქვეითთა პოლკს.

1943–1944 წლებში ამერიკელებს რეინჯერთა 6 ბატალიონი ჰყავდათ, მათგან 4 მოიერიშე, 2 სადაზვერვო. ჩანაფიქრის თანახმად, ამ ბატალიონებს მეტოქეობა უნდა გაეწია ოტო სკორცენის მიერ შექმნილი ესესელთა დივერსიული ბატალიონისათვის, მაგრამ, მიუხედავად ამერიკელთა თავგამოდებისა, მათმა სპეცნაწილებმა გერმანელთა ზონდერკომანდოსს საკადრისი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. გერმანელები უკეთ იყვნენ მომზადებულნი, უფრო მედგრადაც იბრძოდნენ, ამიტომ მათთან შეტაკებას იანკები აშკარად გაურბოდნენ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რეინჯერთა ქვედანაყოფების სტრუქტურა მნიშვნელოვნად შეიცვალა. ექვსი ბატალიონის ბაზაზე შეიქმნა ცალკეული სადაზვერვო დივერსიული ასეულები. მათი პირადი შემადგენლობა გადიოდა სპეციალურ წვრთნას რეინჯერული ფუნქციების შესასრულებლად: კერძოდ, მოწინააღმდეგის ზურგში დაზვერვითი ოპერაციების ჩატარება, მთავარი ობიექტების ხელში ჩაგდება-განადგურება, კომუნიკაციების მწყობრიდან გამოყვანა, დეზინფორმაციის გავრცელება და პანიკის დათესვა, მოწინააღმდეგის პირადი შემადგენლობის დემორალიზაცია-გახრწნა, მოსახლეობის ტერორიზება, ზურგის,

კავშირგაბმულობის, მომარაგების სისტემების მოშლა. ვინც ოდნავ მაინც ერკვევა სამხედრო თეორიაში, ადვილად წარმოიდგენს ამ დივერსიების დამანგრეველ მასშტაბებს.

კორეის ომის დროს 1950–53 წლებში, აშშ-ის სახმელეთო ქვეით ჯარში მოქმედებდა რეინჯერთა 14 პოლკი, რომლებიც ასრულებდნენ როგორც დაზვერვით, ასევე შეტევით ფუნქციებს, იმავე ხანებში (1952) რეინჯერთა პირადი შემადგენლობის ბაზაზე დაიწყეს განსაკუთრებული ქვედანაყოფების შექმნა, რომელთაც მოწინააღმდეგის ოპერატიულ-სტრატეგიულ ზურგში და თვით მოწინააღმდეგე სახელმწიფოს ტერიტორიაზე უნდა განეხორციელებინათ სამხედრო ოპერაციები. რეინჯერებს გაუჩნდათ კიდევ ერთი – ტერორისტ-ამფეთქებლის ფუნქცია.

ასე რომ, ვიეტნამის ომში რეინჯერებს ჰქონდათ არა მხოლოდ სამხედრო ტაქტიკური, არამედ უკვე შეერთებული შტატების პოლიტიკური იარაღის დანიშნულებაც. ვიეტნამის ომის წლებმა გაამდიდრა რეინჯერითა ქვედანაყოფების ნამსახურობის ნუსხა. დაიხვეწა მათი გამოცდილებაც ადგილობრივი მოსახლეობის და პარტიზანების წინააღმდეგ სადამსჯელო ოპერაციების წარმატებით განხორციელების თვალსაზრისითაც.

გაჭიანურებულმა ომმა ჯუნგლებში ჯარისკაცთა ფსიქოლოგიური მომზადების ნაკლოვანებები გამოავლინა – ბევრმა დაიწყო სასმელებისა და ნარკოტიკების მიღება, მაგრამ მათი პროცენტული რაოდენობა რეინჯერთა შორის ბევრად ნაკლები იყო, ვიდრე, თუნდაც, საზღვაო ქვეით ნაწილებში.

შემდგომ რეინჯერთა ცალკეულმა ქვედანაყოფებმა მონაწილეობა მიიღეს სამხედრო კონფლიქტებში, რომელთა წარმოებაც მოუხდა შეერთებულ შტატებს გრენადასა და პანამაში, ასევე ერაყის ორივე ომში.

ამჟამად აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში ისევ არსებობს რეინჯერთა ქვედანაყოფების საბატალიონო სისტემა. სამი ბატალიონი გაერთიანებულია 75-ე ქვეით პოლკში. ამას გარდა, რეინჯერთა სტრუქტურების თავისებურ რელიქტს წარმოადგენს შერეული დაზვერვის ცალკეული ასეულები.

რეინჯერთა ბატალიონში გაერთიანებულია დაახლოებით 660 კაცი. ბატალიონის დანიშნულებაა მტრის ზურგში სადაზვერვო-დივერსიული საქმიანობა. მას უნარი შესწევს განახორციელოს სადესანტო-საიერიშო ამოცანებიც. რეინჯერთა ბატალიონი შეიარაღებულია ავტომატური შაშხანებით, მსუბუქი და მძიმე ტყვიამფრქვევებით, ყუმბარმტყორცნებით, ნაღმის გაუვნებელმყოფელი საინჟინრო ხელსაწყოებით, ოპტიკური ხელსაწყოებით, რადიო და რადიოტექნიკური დაზვერვის საშუალებებით.

სამხედრო ოპერაციების დროს რეინჯერთა ბატალიონი, როგორც წესი, კორპუსის მეთაურის განკარგულებაში იმყოფება და შეუძლია შეასრულოს დავალებები კორპუსის, დივიზიისა და იშვიათად ბრიგადის უზრუნველსაყოფად. საომარ ვითარებაში რეინჯერთა მოქმედების მთავარი ფორმებია: რეიდი მოწინააღმდეგის ზურგში, თვალთვალი, ჩასაფრება და სხვ.

ორგანიზაციულად რეინჯერთა ბატალიონი შედგება სარდლობისა და სამი ასეულისაგან. რეინჯერთა ასეული ითვლის 216 კაცს, მათ შორის, 8 ოფიცერს. მასში შედის მმართველობის ჯგუფი, რომელსაც ექვემდებარება უზრუნველყოფის ორი ოცეული და ორი სექცია (84 კაცი, მათ შორის –5 ოფიცერი), სამი საბრძოლო ოცეული (თითოეულში 43 რიგითი და თითო ოფიცერი) და ხუთ-ხუთ კაციანი ჯგუფები. რეინჯერებს ამზადებენ სპეციალურ კურსებზე. ამ ელიტარულ

ქვედანაყოფებში კანდიდატებს ირჩევენ კონტრაქტით მომსახურე რიგითებიდან, რომლებმაც თავი გამოიჩინეს თავდაპირველ სამხედრო მომზადებაში. კანდიდატები, რომელთაგანაც უნდა შეირჩნენ საუკეთესოები, ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ტესტირებას გადიან ჯორჯიის ბაზა „დარბიში".

ფიზიკური გამოცდა მოიცავს: ბაგირზე ცოცვას, წინაღობებით სირბილს, კროსს 3200 მეტრზე, ცურვას, სიმაღლიდან დაშვებას, წყალში ხტომას და სხვა სიძნელეებს.

აღსანიშნავია, რომ ტესტირება გაველილთა მხოლოდ ნახევარი თუ აღწევს ფიზიკური წვრთვნის კურსის ფინალამდე და აღარ ირიცხება რეინჯერთა ქვედანაყოფებში.

კურსანტთა მომზადების მთელი პროცესი შედგება 3 ეტაპისაგან:

პირველი – დაწყებითი მომზადება (388 საათი) ფორტ-ბენინგში, მეორე – სამთო მომზადება (309 საათი) ჯორჯიის შტატში, დაპლონეგაში; მესამე – მომზადება ჭაობიან ადგილებში (376 საათი) ფლორიდის შტატი.

კორეისა და ვიეტნამის კამპანიების ნეგატიური გამოცდილების გათვალისწინებით, თანამედროვე ეტაპზე უფრო მეტი ყურადღება ეთმობა კურსანტების ფსიქოლოგიურ მომზადებას.

აღიარებენ თუ არა ჯარისკაცთა მაღალი საბრძოლო სულისკვეთების შენარჩუნების აუცილებლობას ბრძოლაში წარმატების მისაღწევად, ამერიკელი სამხედრო სპეციალისტები ამუშავებენ სპეციალური ფსიქოლოგიური ვარჯიშების სისტემას, რომელიც საშუალებას მისცემს რეინჯერს მაქსიმალურად შეასრულოს საბრძოლო ამოცანა. ცდილობენ ჯარისკაცს გამოუმუშაონ ინიციატივის უნარი, ოპტიმიზმი და რწმენა, რათა ნებისმიერ უიმედო სიტუაციაში მოძებნონ სწორი გამოსავალი.

ის სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც წარმატებით გაივლიან სწავლების კურსს, საზეიმო ვითარებაში დებენ „რეინჯერთა ფიცს", რაც მათში აღვივებს ღირსებისა და სიამაყის გრძნობას.

ამის შემდეგ ისინი ღებულობენ რეინჯერის მოწმობებს და იგზავნებიან სამხედრო სამსახურში რეინჯერულ ბატალიონებსა ან შორეული დაზვერვის ასეულებში.

საერთო სამხედრო ფორმასთან ერთად რეინჯერებს აქვთ საპატიო ნიშნები: სახელოს ზედა ნაწილზე ატარებენ შავ-ოქროსფერ ემბლემას წარწერით „რეინჯერი" აქვთ მწვანე ფერის ბერეტები I და II ბატალიონებისათვის, ხოლო შავ ბერეტებს III ბატალიონის მეომრებისათვის.

შორეული დაზვერვის ასეულის ჯარისკაცებსა და ოფიცრებს ემბლემებზე აქვთ წარწერა „ეირბორნ რეინჯერ", მკლავზე ასეულის ემბლემა და 75-ე ქვეითი პოლკის ნომერი; ატარებენ შავ ბერეტებსა და განსაკუთრებულ სამკერდე ნიშნებს.

ამგვარად, გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში, როდესაც დაიწყო თანამშრომლობა პოსტსაბჭოურ ქვეყნებსა და შეერთებულ შტატებს შორის სამხედრო სფეროში, პენტაგონის მიწვევით ახალგაზრდა სამხედრო მოსამსახურეები მიწვეულ იქნენ შეერთებულ შტატებში კვალიფიკაციის ასამაღლებლად. პირველი ოფიცერი სნგ-ს სივრციდან, რომელმაც შეძლო გაევლო რეინჯერთა მომზადების კურსი, იყო საქართველოს სამხედრო ძალების ოფიცერი ნიკა ჯანჯღავა.

2002 წლიდან ამერიკელი რეინჯერები უკვე საქართველოს ეწვივნენ და აქტიურად ჩაებნენ „კომანდოს" მომზადებაში.

საბჭოთა პერიოდში პარტიულ-იდეოლოგიური მანქანა ცდილობდა რეინჯერებისაგან კაციჭამია მონსტრების დახატვას და ყოველნაირად უარყოფით საზოგადოებრივ აზრს აყალიბებდა. ასევე ამერიკელი პაციფისტებიც, ვიეტნამის ომის დროს, რეინჯერების ლანძღვით იოხებდნენ გულს და, რაც საყურადღებოა, პენტაგონის ზედა ეშელონებშიც ყველას როდი ეხატებოდათ გულზე რეინჯერთა ელიტარული ბატალიონები. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ 1970–80-იან წლებში ამერიკელ რეინჯერებს არც თუ ისე დადებითი იმიჯი ჰქონდათ, თუმცა მათ საქმით დაამტკიცეს თავიანთი სიმამაცე და გაბედულება.

დაბოლოს, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ სინამდვილეში არც XVIII საუკუნეში სამეფო რეინჯერები არ იყვნენ ისეთი სუპერგმირები, როგორადაც მათ ხატავდნენ და არც მონსტრები - როგორადაც მათ XX საუკუნის მეორე ნახევარში წარმოადგენდნენ. რეინჯერები ჩვეულებრივი სპეცდანიშნულების მაღალპროფესიონალი სამხედროები არიან და თანამედროვე მცირე ინტენსივობის საბრძოლო ოპერაციების განხორციელებისას მათი როლი მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამის თვალსაჩინო მაგალითად ერაყში წარმოებული კონფლიქტიც კმარა.

**ოთარ ბაღათურია**
*ივ. ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*ისტორიის ფაკულტეტის ასპირანტი*

# საქართველოს მთავრობის პოლიტიკა აშშ-ის პოლიტიკურ ციკლთა გათვალისწინებით

დღესდღეობით სახელმწიფოებრივი უშიშროების თვალსაზრისით შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე საქართველოსთვის უმთავრეს საზრუნავს წარმოადგენს ისეთი პარტნიორების ან სტრატეგიული მოკავშირეების მოძებნა, რომელთა თუნდაც ტაქტიკური მოსაზრებები, პოზიციები და ინტერესები დაემთხვევა საქართველოს სტრატეგიულ ინტერესებს. ამავე დროს პარტნიორის შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იყოს არა მარტო ის, თუ რა ინტერესი ამოძრავებს ამა თუ იმ ქვეყანას მოცემულ გეოპოლიტიკურ არეში, არამედ ისიც, თუ რამდენად რეალისტურია მათი გეგმები და რამდენად შეესაბამება მათი პოტენციალი მათ ამბიციებს, რათა პერსპექტივაში საქართველო გამარჯვებულის მხარეზე აღმოჩნდეს. ამავე დროს, მისთვისაც ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებულებას გარკვეული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს.

თუ დავაკონკრეტებთ, ჩვენი არჩევანი არც თუ ისე მრავალფეროვანია. ბჟეზინსკისეულ „დიდ საჭადრაკო დაფაზე"[1] ჩვენს რეგიონში სულ სამი მოთამაშეა: რუსეთი, ევროპა და აშშ.

ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია საქართველოს მთავრობის ამ მიმართულებით განხორციელებული პოლიტიკა, ხოლო აშშ გვაინტერესებს მისი მზარდი გეოპოლიტიკური მნიშვნელობის გამო.

ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე საქართველოს პარტნიორობის კანდიდატებიდან, პირველ რიგში, რუსეთი უნდა გამოვერიცხოთ, ვინაიდან მას არა აქვს არც თანმიმდევრული პოლიტიკა რეგიონში, არც მასთან შედარებით სუსტ პარტნიორებთან თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის სურვილი. ამჟამინდელ მის ერთგულ მოკავშირეებთანაც კი, როგორიცაა მაგალითად: სომხეთი, ან ბელორუსია, რუსეთი ფაქტობრივი დიქტატის პოლიტიკას ახორციელებს, სუსტად შენიღბულს მეგობრობის რიტორიკით[2]. რაც მთავარია, რუსეთის ამბიციები არ შეესაბამება მის სამხედრო-პოლიტიკურ და ეკონომიკურ პოტენციალს. საბოლოო ანგარიშით, რუსეთი განწირულია ან მუდმივი დათმობებისათვის და მოკავშირეთა გაწირვისათვის, როგორც ეს მრავალგზის გამოჩნდა, თუნდაც იუგოსლავიის მაგალითზე, ან ღია კონფრონტაციის შემთხვევაში დამარცხებისათვის. ამრიგად, რუსეთის სტრატეგიულ პარტნიორთა ან მოკავშირეთა რიგებში ყოფნა საქართველოსთვის არათუ წამგებიანი, არამედ სახიფათოცაა.

მეორე მოთამაშე – ევროპა – საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობისთვის ერთობ მიმზიდველი კანდიდატია პრაქტიკულად ყველა ასპექტით, მაგრამ ევროპული ქვეყნები და მათი გაერთიანებანი – ეუთო, ევროსაბჭო, ევროკავშირი საზოგადოდ მეტად ფრთხილ და პასიურ როლს სჯერდებიან (იმედია ჯერჯერობით).

საქართველოსთვის საუკეთესო პარტნიორად გვესახება აშშ, რომელიც ყველა პარამეტრით მომგებიან პოზიციაშია. ეს პარამეტრებია – აშშ-ის დიდი ეკონომიკური შესაძლებლობანი, მობილურობა სათანადო გადაწყვეტილებების მიღების დროს

(ევროპასთან შედარებით ნაკლები ინერტულობა) და, რაც მთავარია, დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, მეტად აქტიური ამჟამინდელი საგარეო პოლიტიკა, გარკვეულ ასპექტში აგრესიულიც კი.

აშშ-ის ბოლო ორმა ადმინისტრაციამ ერთმნიშვნელოვნად დაანახა მთელ მსოფლიოს, თუ რამდენად აფასებს იგი მოკავშირეობას და თუნდაც სიტყვიერ, ან მორალურ მხარდაჭერას ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, რამდენად აგრესიულია თავისი გეოპოლიტიკური ინტერესების მოწინააღმდეგეთა მიმართ. აქვე შევნიშნავთ, რომ აშშ-ის სტრატეგიული, გლობალური ინტერესებია უსაფრთხო მსოფლიო თანაარსებობა, სადაც ყველა ქვეყანას ექნება თავისუფალი, დემოკრატიული და მთელ ცივილიზებულ სამყაროსთან თანასწორუფლებიანი განვითარების შესაძლებლობა, ბრძოლა საერთაშორისო ტერორიზმისა და მსოფლიოსათვის საფრთხის შემცველი დიქტატორული რეჟიმების წინააღმდეგ.

ამრიგად, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული განვითარების არჩევანი დღევანდელ ისტორიულ ვითარებაში ემთხვევა ობიექტურ გლობალურ პროცესებსა და ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიულ ინტერესებს, რაც საქართველოს ცივილიზებულ სამყაროში დამკვიდრების უნიკალურ, მანამდე არარსებულ ისტორიულ შანსს აძლევს. ასეთი მდგომარეობა კი მეტად მნიშვნელოვანია „პატარა სახელმწიფოსათვის, რომელიც დემოკრატიის დამკვიდრებას ცდილობს, ბედნიერებაა, როდესაც მისი ინტერესები ემთხვევა დიდი, ძლიერი და დემოკრატიული ქვეყნების ინტერესებს" (ედუარდ შევარდნაძე).

ამასთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ თვით აშშ-ის საგარეო პოლიტიკური ინტერესების განხორციელების მეთოდები და დინამიკა შეიძლება შეიცვალოს, რაც ისტორიულად დამახასიათებელია შეერთებული შტატებისათვის და მისი პოლიტიკის გარკვეულ ციკლურობასთანაა დაკავშირებული. აშშ-ის პოლიტიკის ციკლურობის დინამიკა კარგად აქვს შემჩნეული არტურ შლეზინგერს[3]. აშშ-ში არსებული ორპარტიული სისტემის პირობებში სისტემატურად ხდება პრიორიტეტებისა და აქცენტების მცირედი წანაცვლება, რაც თავისთავად აშშ-ის შიდა და საგარეო პოლიტიკისათვის უმნიშვნელოა გლობალური სტრატეგიული პროცესების თვალსაზრისით (ქვეყნის მთავარი მიზანი და გლობალური კრიტერიუმი უცვლელია), მაგრამ შესაძლოა მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს როგორც საშუალო კლასის ამერიკელი ამომრჩევლისათვის, ისე, რაც უფრო მოსალოდნელია, სხვა, განსაკუთრებით, მცირე ერებისათვის.

აშშ-ის პოლიტიკის ციკლურობის არსს რელიეფურად წარმოაჩენს მისი პოლიტიკური სპექტრის ორპარტიული სისტემა და ძირითადად შემდეგნაირად გამოიხატება. რესპუბლიკელების პრიორიტეტები უპირატესად ემთხვევა მსხვილი კაპიტალის ინტერესებს და უმეტეს შემთხვევაში იზიარებს კიდეც მათ პრიორიტეტებს საგარეო პოლიტიკაში, ხოლო დემოკრატების პრიორიტეტები უმთავრესად კონცენტრირებულია შიდა პოლიტიკურ ინტერესებზე, სხვადასხვა სოციალური აქცენტების წინა პლანზე წამოწევით.[4]

პრაქტიკულად ეს ყოველივე შემდეგნაირად გამოიხატება: ქვეყნის წინაშე არსებული გარკვეული პრობლემების ერთდროული გადაჭრა როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკის თვალსაზრისით, ხელისუფლებისათვის დამამძიმებელია. უახლოეს არჩევნებში იმარჯვებს ის პარტია, რომლის პროგრამაც ორიენტირებულია იმ პრობლემებზე, რომელთა მოგვარებაც პრიორიტეტულად მიაჩნია საშუალო ფენის ამომრჩეველთა უმრავლესობას, თუმცა, როგორც წესი, ეს უმრავლესობა უმნიშვნელოდ აღემატება უმცირესობას. როდესაც პრიორიტეტულია სოციალური პრობლემატიკა

– იმარჯვებენ დემოკრატები, ისინი იწყებენ ამ პრობლემატიკის დაძლევაზე მუშაობას, ხორციელდება საშუალო და წვრილი ბიზნესის ხელშემწყობი ცვლილებები, მოქმედებას იწყებს ჰუმანიტარული დახმარებისა და სხვა წამახალისებელი პროგრამები და ა.შ. ყოველივე ეს ხდება მსხვილი კაპიტალის ხარჯზე, რაც ამ უკანასკნელის უკმაყოფილებას იწვევს. მსხვილი კაპიტალის უკმაყოფილება შემდეგ მასთან დაახლოებულ და დაკავშირებულ ჯგუფებსაც გადაეცემა, მათ შორის პროფკავშირებს. ამავე დროს, შიდა სოციალური პრობლემების მოგვარების პარალელურად საშუალო ფენის ამერიკელებში იზრდება საგარეო-პოლიტიკური ამბიციები და დემოკრატიული პარტიის ადმინისტრაცია იცვლება ასევე მცირე უპირატესობით გამარჯვებული რესპუბლიკური პარტიის ადმინისტრაციით, რომელიც ორიენტირებულია საგარეო-პოლიტიკური პრობლემების მოგვარებაზე და „უქნარების" შესანახი სუბსიდიების შეკვეცაზე. რესპუბლიკური პარტიის ადმინისტრაციის დროს უფრო მეტად აქტიურდება საგარეო პოლიტიკა, ამავე დროს იზრდება სამხედრო დაკვეთები და სტრატეგიული კვლევები, რაც ხელს აძლევს მსხვილ კაპიტალს. მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ, ერთგვარი ციკლის სახით, რესპუბლიკური პარტიაც თმობს თავის პოზიციებს, საშუალო ამომრჩეველი თვლის, რომ საქმეო ან, თუნდაც აშკარა წარმატება საგარეო პოლიტიკაში მათი მდგომარეობის გაუმჯობესებას მაინცდამაინც არ ემსახურება და წინა პლანზე კვლავ სოციალური პრობლემები გამოდის, არჩევნების შესაბამისი შედეგებით. საბოლოო ჯამში, აშშ-ის პოლიტიკა ერთგვარი სპირალის ან, უფრო ზუსტად, აღმავალი ქანქარის სახით მიიწევს წინ, უხეშად რომ ვთქვათ, იზოლაციონიზმიდან გლობალიზმამდე.

ამრიგად, აშშ-ის ისტორიის ამგვარი დინამიკა შემდეგნაირად შეიძლება წარმოვადგინოთ:

პირველ ეტაპზე ახალგაზრდა, მდიდარი, მაგრამ ჯერ კიდევ სუსტი და ჩამოუყალიბებელი ფედერაცია უარს ამბობს აქტიურ საგარეო პოლიტიკაზე რეგიონშიც კი.

XIX საუკუნის 20-იანი წლებისთვის აშშ-ის ერთგვარ შეშფოთებას იწვევს იმდროინდელი ევროპის რეაქციულობა, განსაკუთრებით მისი დამოკიდებულება ლათინურ ამერიკაში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი, რომელიც საკუთრივ აშშ-ში მეტად კეთილგანწყობილ გამოძახილს პოულობდა, როგორც იდეოლოგიური ძმების სამართლიანი ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ამ მომენტისათვის აშშ კარგად აცნობიერებდა, რომ მას რეგიონალური ლიდერის როლში მსოფლიო ასპარეზზე გამოსასვლელად უნიკალური შანსი ეძლეოდა, მაგრამ შტატების წინაშე მეტად რთული არჩევანი იდგა. ერთი მხრივ, აშშ იწონებდა განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებას, მაგრამ, მეორე მხრივ, არასასურველი იყო „საღვთო კავშირის" ქვეყნებთან დაპირისპირება მოკავშირეების გარეშე. ამასთანავე აშშ-ის იმდროინდელი მესვეურები არ ენდობოდნენ ევროპელ დიპლომატებს და არ იყვნენ დარწმუნებულნი, რომ შეძლებდნენ საკუთარი ინტერესების დაცვას დიპლომატიურ ასპარეზზე.

პოლიტიკური პროცესების შემდგომი განვითარება დიდი ბრიტანეთის პოზიციამ განაპირობა. მიუხედავად დიდი ბრიტანეთის გარკვეული ვალდებულებებისა პარტნიორების წინაშე, ბრიტანული კაპიტალი ლათინური ამერიკის განმათავისუფლებელ მოძრაობაში ახალი ბაზრების მოპოვებისა და გამდიდრების შესანიშნავ პერსპექტივას ხედავდა. ლათინურ ამერიკაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობა საკმაოდ რთული და ძვირი კამპანია იქნებოდა მაშინ, როდესაც ამ მოძრაობისათვის მხარდაჭერა მეტად მომგებიანი კაპიტალდაბანდება ჩანდა. როდესაც აშშ-ისთვის ცხადი გახდა დიდი ბრიტანეთის პოზიცია, მისმა გადაწყვეტილებამაც არ

დააყენა. დიდი ბრიტანეთისთვის მხარდაჭერა და მასთან ერთად ლათინური ამერიკის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის დახმარება ბრიტანელთა ფარვატერში ყოფნას მოასწავებდა. ამიტომ აშშ-ში გადაწყდა დაესწროთ დიდი ბრიტანეთისთვის და თავად ეკისრათ რეგიონალური ლიდერის როლი,რასაც მოჰყვა კიდეც მონროს დოქტრინა (1823), რომელიც მკაცრად ეწინააღმდეგებოდა ევროპული ქვეყნების ლათინური ამერიკის ქვეყნების საქმეებში ჩარევას.

მონროს დოქტრინით იწყება აშშ-ის ისტორიის მეორე ეტაპი. მიუხედავად ასეთი ენერგიული საგარეო-პოლიტიკური ნაბიჯისა, მონროს დოქტრინა არსებითად მაინც რჩებოდა ტრადიციული იზოლაციონალიზმის ჩარჩოებში, ოღონდ თვითიზოლაციონიზმის ფარგლების გაფართოებით, ანუ, თუ მანამდე თვითიზოლაციაში იგულისხმებოდა მხოლოდ შეერთებული შტატები, ამ დროიდან თვითიზოლაციაში მოიაზრებოდა მთელი დასავლეთ ნახევარსფერო. აშშ-ის მთელი შემდგომი პოლიტიკა მეორე ეტაპზე მიმართული იყო სწორედ ამ მდგომარეობის განმტკიცებისაკენ, რაც გაგრძელდა ჩრდილოეთ-სამხრეთის ომამდე (1861–1865). მთელი ამ დროის განმავლობაში აშშ-ს მართავდა დემოკრატიული პარტიის ადმინისტრაცია[5].

რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელი აბრაჰამ ლინკოლნი (1860-1865)[6], პირველად აშშ-ის ისტორიაში სამოქალაქო ომის დასაწყისისთვის აირჩიეს პრეზიდენტად, რაც კონფედერაციის (სამხრეთ შტატების) გამოყოფისა და ომის დაწყების ერთ-ერთი მიზეზი გახდა. რესპუბლიკელების მმართველობა უწყვეტად გრძელდებოდა 1884 წლამდე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკური პარტიის შექმნით, ისევე როგორც მონათმფლობელობის გაუქმებით და ჩრდილოეთ-სამხრეთის ომით, დაინტერესებული იყო ერთი და იგივე ძალა – ჩრდილოეთის მსხვილი ინდუსტრიული კაპიტალი.

ჩრდილოეთ-სამხრეთის ომით დაიწყო მესამე ეტაპი აშშ-ის ისტორიაში. ამერიკის შეერთებული შტატები უკვე რეალურად წარმოადგენდა საკმაოდ ცენტრალიზებულ, ინდუსტრიულად განვითარებულ სახელმწიფოს, რომელსაც შეეძლო მნიშვნელოვანი როლის თამაში საერთაშორისო პოლიტიკაში. მაგრამ იგი ჯერჯერობით კვლავაც იზოლაციონიზმის პოზიციებზე რჩებოდა, თუმცა აფართოებდა თავის საზღვრებს, სამფლობელოებს, გავლენის სფეროებს და ძალაუნებურად ააქტიურებდა თავის როლს საერთაშორისო პოლიტიკაში.

მესამე ეტაპი თანდათან გადადის მეოთხეში, მათ შორის გასამიჯნ მომენტად უნდა ვიგულისხმოთ აშშ-ის თავდასხმა ესპანეთის სამფლობელოებზე 1898 წელს და მათი ოკუპაცია. რადგანაც ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც აშშ თავს ესხმის არაამერიკულ სახელმწიფოს, არაამერიკული ტერიტორიების მითვისების მიზნით. ანუ აშშ გამოდის მონროს დოქტრინით შემოსაზღვრულ „მისი საკუთარი" არეალის ფარგლებს გარეთ. ესაა რესპუბლიკური პარტიის ადმინისტრაციის მმართველობის პერიოდი (1896–1912). ამ მომენტიდან იგი აღარ არის მხოლოდ ტრანსატლანტიკური ქვეყანა და საკმაო დაინტერესებას გამოხატავს ევროპული საქმეებით, თუმცა წამყვან როლს პირველი მსოფლიო ომის დროსაც არ თამაშობს. პირველი მსოფლიო ომის შედეგებით ამერიკა თითქოს ერთადერთი გამარჯვებული ქვეყანაა (თუ არ ჩავთვლით იაპონიას, რომელსაც თითქმის არ უწარმოებია აქტიური საბრძოლო მოქმედებები), იგი გამარჯვებულთა ბანაკშია, თანაც მის მიერ გაღებული მსხვერპლი და ხარჯები, საფრანგეთისა და ინგლისის ხარჯებთან შედარებით უმნიშვნელოა.

პირველი მსოფლიო ომი შეიძლება ჩაითვალოს შეერთებული შტატების ისტორიის მეხუთე ეტაპის დასაწყისად. ამ დროს აშშ-ს უკვე უჩნდება საკმაოდ

დასაბუთებული ამბიცია ითამაშოს საერთაშორისო არბიტრისა და საერთაშორისო წესრიგის გარანტის როლი. თუმცა, ვილსონის (1913–1921) თოთხმეტმა პუნქტმა ვერ დაიმსახურა საყოველთაო მოწონება. ბებერმა ევროპამ აშშ-ს დაანახვა, რომ ჯერაც შეუძლია მისი ინიციატივების ბლოკირება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ვუდრო ვილსონი დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი იყო, იმ დროის აშშ-ში დანარჩენი მსოფლიოს საქმეები პრიორიტეტულად არ მიიჩნეოდა და ქვეყანა კვლავ იზოლაციონიზმს დაუბრუნდა.

მეექვსე ეტაპის დასაწყისია იაპონიის თავდასხმა ამერიკის შეერთებულ შტატებზე (პირლ-ჰარბორის დაბომბვა 1941 წ. 7 დეკემბერს). თუმცა, ეს არ იყო ისეთი მოულოდნელობა შეერთებული შტატებისთვის, როგორც ამას ზოგიერთი ისტორიკოსი აღწერს, რადგანაც ამერიკელები არა თუ ემზადებოდნენ იაპონიის თავდასხმისთვის, არამედ გარკვეულწილად იაპონიის თავდასხმის პროვოცირებასაც კი ახდენდნენ. დემოკრატ პრეზიდენტს, ფრანკლინ დელანო რუზველტს კონგრესში სწორედ თავისი პარტიის წინააღმდეგობის დაძლევა ესაჭიროებოდა მეორე მსოფლიო ომში ჩასართველად. ამ დროიდან იწყება აშშ-ის საერთაშორისო და გეოპოლიტიკური ინტერესების რეალიზება. აშშ კვლავ გამოდის საერთაშორისო სარბიელზე როგორც აქტიური მოთამაშე და მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ თავის თავზე იღებს ევროპის უსაფრთხოების გარანტის ფუნქციას.

მეშვიდე ეტაპი სსრკ-ის დაშლისა განსაკუთრებით 2001 წლის 11 სექტემბრით იწყება. ამერიკის შეერთებული შტატები იძენს მსოფლიოს წესრიგის დამცველის – საერთაშორისო პოლიციელის როლს, რაც, როგორც უკანასკნელი მოვლენები გვიჩვენებს, უსაფრთხო მსოფლიო თანაარსებობის მიღწევის კეთილშობილურ მიზნებთან ერთად ერთპიროვნულ და შეუზღუდავ ჰეგემონიზმში გადაზრდის საფრთხესაც შეიცავს. ასეთმა საფრთხემ კი შესაძლებელია თვით დემოკრატიული ღირებულებების საყოველთაოდ აღიარებული მებაირახტრის - აშშ-ის დეფორმაცია გამოიწვიოს, ანუ საფრთხე შეუქმნას დემოკრატიას თვით აშშ-ში, ნაცვლად საყოველთაო დემოკრატიული წესრიგის დამკვიდრებისა, როგორც ეს თავის დროზე რომის რესპუბლიკას დაემართა. ამგვარი საფრთხის შესაძლებლობა აშშ-ის 42-ე პრეზიდენტმა, დემოკრატმა ბილ კლინტონმაც აღნიშნა ჯორჯ ბუშ-უმცროსის ანტიერაყულ კამპანიასთან დაკავშირებით.

აშშ-ის შემდგომი განვითარების ფორმებისა და შედეგების შესახებ ჯერ კიდევ მამა-დამაარსებლები შიშობდნენ. ისინი ვარაუდობდნენ, რომ თუ დააარსებდნენ ბერძნული ტიპის რესპუბლიკას, იგი უსუსური აღმოჩნდებოდა, ხოლო თუ რომაული ტიპისას, როგორ დაეცვათ იგი ტირანიისაკენ საკუთარი მისწრაფებისაგან.

აშშ-ის პოლიტიკის ციკლური განვითარების კონცეფციის თანახმად, არ არის გამორიცხული, რომ ისტორიულ-პოლიტიკური პროცესების განვითარების გარკვეულ ეტაპზე საქართველომ დაკარგოს შეერთებული შტატებისთვის სტრატეგიული პარტნიორის მნიშვნელობა და ჩვენი ქვეყანა კვლავ მოექცეს რუსეთის იმპერიული გავლენის ქვეშ. ასეთი მდგომარეობა მოსალოდნელია მას შემდეგ, რაც საბოლოოდ ათვისებული იქნება „ჰართლენდი", ანუ მსოფლიოს ენერგეტიკული გული - ცენტრალური აზია და აშშ-სათვის შესაძლოა დღის წესრიგში დადგეს ჩინეთთან კონფრონტაციაში ახალი მოკავშირეების (ვგულისხმობთ რუსეთს) ძებნის საკითხი.

ახალი მოკავშირეების ძებნის შესაძლებლობა ღიად გააცხადა თვით აშშ-ის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა: „მოკავშირეები კი არ განსაზღვრავენ მისიას, არამედ მისია განსაზღვრავს მოკავშირეებს", რაც პალმერსტონის ცნობილ მაქსიმას მოგვაგონებს.

გარდა ამისა, არსებობს აგრეთვე პოლიტიკური პროცესების საქართველოსთვის არასასურველი განვითარების სხვა შესაძლებლობა - აშშ-ში იზოლაციონიზმისაკენ მისწრაფების შემდგომი აღორძინება, რამაც შესაძლოა საქართველო და სხვა მცირე ქვეყნები ისევ მარტოდმარტო დატოვოს გარეშე საფრთხის წინაშე, როგორც ეს მოხდა 1921 წელს.

ამდენად, საქართველო მუდამ აშშ-ის იმედად არ უნდა იყოს, მაგრამ მასთან სტრატეგიული პარტნიორობის პერიოდში მან უნდა მოახერხოს ჩამოყალიბდეს როგორც საკმაოდ ძლიერი ქვეყანა, მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი მსოფლიო პოლიტიკური კონიუნქტურის ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში.

აქ შესაძლებელია შემდეგი გეზის მოხაზვა; NATO-სა და ევროკავშირში გაწევრიანება, რეგიონალური უსაფრთხოებისა და ეკონომიკური თანამშრომლობის სისტემის შექმნა გუამისა და ბისეკის ბაზაზე, სისტემაში კავკასიის, ცენტრალური აზიისა და ბალკანეთის ჩართვა, ენერგეტიკული დამოუკიდებლობისა და უსაფრთხოების სისტემის შექმნა. ყოველივე ეს სისტემაში ჩართული ქვეყნების საერთაშორისო მნიშვნელობასაც გაზრდის და ეკონომიკურ აღმავლობასაც შეუწყობს ხელს, რაც გააძლიერებს ჩვენს დამოუკიდებლობას. რაც მთავარია, ამ ეტაპზე ყოველივე ზემოთ აღნიშნული, ნაწილობრივ მაინც, აშშ-ის ინტერესებშიც შედის და საერთაშორისო მხარდაჭერითაც სარგებლობს (თუმცა შესაძლოა დროებით).

ამ თვალსაზრისით, საქართველოს ამჟამინდელი მთავრობის საგარეო პოლიტიკის მიმართულება სწორია და ძირითადად დადებით შთაბეჭდილებას ქმნის, განსხვავებით წინამორბედ მთავრობათა საგარეო პოლიტიკისაგან.

## შენიშვნები და გამოყენებული ლიტერატურა

1. Zbigniew Brzezinski. „The Grand Chessboard“. Basio Books. 1997.

2. რუსეთის დიქტატი სომხეთში ვლინდება უახლოესი წარსულის კარგად ცნობილი პოლიტიკური მოვლენებით, რომელთა აფიშირებას ერიდებიან როგორც რუსეთში, ისე სომხეთში. უფრო აშკარა და შორს მიმავალია რუსეთის დაუფარავი ეკონომიკური ექსპანსია სომხეთში, მისი სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების რუსული კაპიტალის მიერ დასაკუთრება, რაც მით უფრო მოულოდნელია, თუ გავითვალისწინებთ სომხეთის მდიდარ დიასპორას საზღვარგარეთ, განსაკუთრებით აშშ-ში.

3. Arthur M. Schlesinger, Jr. „The Cycles of American History“. Houghton Mifflin Company, Boston, 1986.

4. შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ პრიორიტეტების ასეთი ციკლურობა დარღვეულია მთელი 20 წლის განმავლობაში – დემოკრატი პრეზიდენტების რუზველტისა (1933-1945)და ტრუმენის (1945-1953) ადმინისტრაციის დროს, რადგანაც სწორედ ამ პერიოდიდან იწყება აშშ-ის მეტად აქტიური მონაწილეობა მსოფლიო გლობალურ პოლიტიკაში. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ერთგვარი გამონაკლისია „გამონაკლისია“, რომელიც მეორე მსოფლიო ომის ექსტრემალურმა ვითარებებმა განაპირობა. მომდევნო პერიოდში აღნიშნული ციკლურობა უფრო და უფრო მკაფიოდ ვლინდება. ასევე ციკლური, თუმცა, შესაძლოა, შედარებით ნაკლებად გამოკვეთილი იყო მეორე მსოფლიო ომამდე.

5. აშშ-ის დემოკრატიული პარტია შეიქმნა 1828 წელს.

6. აშშ-ის რესპუბლიკური პარტია შეიქმნა 1854 წელს.

**ტიმოთი ბლოველტი**
*ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის (აშშ) პროფესორი,
ფულბრაიტის სტიპენდიანტი (2002-2003).
საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოების დირექტორი*

# სამართლიანი ომის თეორია და ომი ერაყში

დღეს დასავლეთში დომინირებს სამართლიანი ომის თეორია, რომელიც მოიცავს იქ გავრცელებულ მთელ რიგ პრინციპებს და განსაზღვრავს ძალის გამოყენების მორალურ კრიტერიუმებს. ამის მიუხედავად, სამართლიანი ომის თეორიის ეს კრიტერიუმები კომპლექსურია, არ არის ზუსტად განსაზღვრული და პრობლემატურია. ამიტომ ცალკეული პრობლემის გადაწყვეტისას ამ კრიტერიუმების პირდაპირი გადმოტანა არ შეიძლება, საჭიროა მათი კანონთან მისადაგება, გააზრება და შემოქმედებითი ინტერპრეტაცია. ამ შემთხვევაშიც ზოგჯერ მოსალოდნელია მათი დასაბუთებული კრიტიკა.

სამართლიანი ომის თეორია წარმოიშვა წმინდა ამბროსისა და წმინდა ავგუსტინეს ნაშრომებიდან, შემდგომში კი დაიხვეწა თომა აქვინელის, თანამედროვე ფილოსოფოსებისა და მოაზროვნეების მიერ. იგი შუალედურია პაციფიზმის დოგმებსა და რეალიზმს შორის და იმ პირობებს განსაზღვრავს, რომლებიც მორალურად ამართლებს ძალის გამოყენებას ანუ ომის დაწყებას, მიუხედავად იმისა, რომ ძალადობა ზოგადად ამორალურია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სამართლიანი ომის თეორია ომს ამორალურად მიიჩნევს მანამ, სანამ ომი არ იქნება შესაბამისად გამართლებული და სანამ მისი გამჩაღებლები არ დაამტკიცებენ, რომ დააკმაყოფილეს გარკვეული კრიტერიუმები.

სამართლიანი ომის თეორიის ექვსი ძირითადი პრინციპია:

**Jus ad bellum** („სამართლიანობა ომის დაწყებამდე")

- კანონიერი უფლებამოსილების მქონე ორგანიზაცია: მხოლოდ კანონის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების მქონე ოფიციალურ ორგანიზაციას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ძალის გამოყენებაზე დესპოტიზმისაგან თავის დასაცავად;
- ომის სამართლიანი მიზანი: სამი სტანდარტულად მისაღები მიზანია თავდაცვა, მოპარული კაპიტალის დაბრუნება და დასჯა ზარალის მიყენებისათვის;
- საბოლოო ზომების მიღების პრინციპი: ომის დაწყებამდე გამოყენებულ უნდა იქნეს საკითხის მშვიდობიანად მოგვარების ყველა მცდელობა;
- წარმატების გონიერული იმედი: ომის დაწყებისას უნდა არსებობდეს გონივრული იმედი იმისა, რომ მშვიდობა დამყარდება და მეომარი მხარეები შერიგდებიან.

**Jus in bello** („ომის სამართლიანად წარმართვა")

- პროპორციულობა: ომით გამოწვეულმა ტანჯვამ და ნგრევამ არ უნდა გადაწონოს ომის შედეგად მიღებული სარგებელი;
- დისკრიმინაცია ანუ მშვიდობიანი მოსახლეობის იმუნიტეტი: მეომარმა მხარეებმა უნდა განასხვაონ სამხედროები და მშვიდობიანი მოსახლეობა.

თანამედროვე სამყაროს სირთულემ უდავოდ თავისი კომპლექსურობა და ნიუანსები შემოიტანა ამ პრინციპებში და თანამედროვე ფილოსოფოსებმა

მნიშვნელოვნად დახვეწეს ისინი. გავიმეორებთ, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ ზოგადი პრინციპებია, რომლებიც უნდა მივარგოთ თითოეულ რეალურ პრობლემას.

### ა. *კანონიერი უფლებამოსილების მქონე ორგანიზაცია*

ის საკითხი, თუ ვის მიანიჭა კანონმა უფლებამოსილება გადაწყვიტოს ომის დაწყება-არდაწყება საკმაოდ ბუნდოვანია და ფართო კამათს იწვევს როგორც აშშ-ის მთავრობაში, ასევე დანარჩენ მსოფლიოში. საერთაშორისო სამართლის მიხედვით (და, ზოგადად, მთელი მსოფლიოს აზრით), ერთადერთი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელსაც შეუძლია პრეტენზია განაცხადოს ამგვარ უფლებამოსილებაზე, გაეროა. აშშ-მა ნაწილობრივ მაინც გაიზიარა ეს თვალსაზრისი და შეეცადა (როგორც ყველა წინა კონფლიქტში) საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე კანონიერი სახე მიენიჭებინა ომისათვის ერაყში.

უკვე დიდი ხანია ამერიკულ მენტალიტეტში არსებობს ძირეული ამბივალენტურობა გაეროსა და საერთაშორისო სამართლის მიმართ, განსაკუთრებით კი, ამერიკელ კონსერვატორებს შორის. ამერიკელები უფრო მეტად, ვიდრე ევროპელები აღიქვამენ ერს, როგორც სუვერენიტეტისა და კანონიერების ერთადერთ საწყისს. შეიძლება ვიკამათოთ ფედერალური ხელისუფლების უფლებამოსილების ფარგლებზე, მაგრამ ამერიკელები მნიშვნელოვნად დაშორდნენ ევროპაში გავრცელებული საერთაშორისო სამართლის კონცეფციას კოლექტიურ სუვერენიტეტზე. სინამდვილეში ამერიკის კონსტიტუციით კონგრესის სუვერენული ხელისუფლების გადაცემა რაიმე სხვა ორგანოსთვის აკრძალულია. ამერიკული სისტემის ამგვარი პრიორიტეტულობის კონცეფცია ნებისმიერი საერთაშორისო ორგანიზაციის წინაშე ზოგადად იწვევს ამერიკის გამორჩეულობის ტენდენციას, რომელიც კიდევ უფრო გაძლიერდა 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ. ამ ფაქტორმა და ამერიკელების რწმენამ, რომ გაერო (განსაკუთრებით კი გენერალური ასამბლეა) იმართება მესამე სამყაროს რადიკალური ქვეყნების მიერ, განამტკიცა ამერიკელთა ცნობიერებაში ის აზრი, რომ აშშ-ის საშინაო პოლიტიკის განმახორციელებელ ორგანოს უპირატესი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებს, როგორიცაა, მაგალითად, გაერო. უდავოდ, ეს არის პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციის პოზიცია იმაზე, თუ რომელი ორგანოა კანონიერად უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება ერაყში ომის დაწყების თაობაზე.

ამის შესაბამისად საშინაო პოლიტიკაში გატარდა სათანადო პროცედურები და პრეზიდენტ ბუშს მიეცა საკმარისი უფლებამოსილება ერაყში ომის წარმოებისათვის ამერიკის კანონის დარღვევის გარეშე (წინააღმდეგობა თითქმის არ ყოფილა, ვინაიდან რესპუბლიკელები აკონტროლებდნენ კონგრესის ორივე პალატას, ისევე როგორც ადამიანების განწყობილებას 9—11 სექტემბრის ამბების შემდეგ). სამაგიეროდ, გაეროში აშშ-მა ვერ პოვა მხარდაჭერა. 1991 წლისაგან განსხვავებით, როდესაც სპარსეთის ყურეში ომს მხარს უჭერდნენ როგორც გაერო, ისევე უშიშროების საბჭო, ამჯერად მხოლოდ რამდენიმე ყოფილი მოკავშირე შეუერთდა ამერიკის კოალიციას. ნაწილობრივ ეს მარცხი გამოიწვია უშიშროების საბჭოს მნიშვნელოვანი წევრების პოლიტიკურმა მანევრირებამ (ამაზე განსაკუთრებულად საფრანგეთმა უნდა აგოს პასუხი, ვინაიდან მისმა კატეგორიულმა უარმა კომპრომისზე წასულიყო გაეროს რეზოლუციაზე კენჭისყრის დროს სერიოზულად შეარყია იმის რწმენა, რომ გაერო რეალურად დაემუქრებოდა ერაყს, რის გამოც აშშ-ის ქმედებები ძალადობად მოგვევლინა). ამგვარად აშშ-მა გაუშვა

შანსი გაეროს რეზოლუციის სახით ერაყში თავისი ქმედებების საერთაშორისო სამართლებრივი გამართლება მიეღო.

აშშ-ის ადმინისტრაციის პასუხი ამაზე ორგვარი იყო: ერთი მხრივ, მან განაცხადა, რომ გაეროს წინა რეზოლუციის (რეზოლუცია 1440) ფორმულირება უშვებდა ამგვარ ქმედებას, თუკი ერაყი დაარღვევდა განიარაღების პირობებსა და მოთხოვნებს (ჩემი აზრით, საკმაოდ არაგულწრფელი პოზიციაა, ვინაიდან გაეროს რეზოლუცია დასაშვებად თვლიდა ღონისძიებებს ერაყის განიარაღებისათვის და არა ერაყის „რეჟიმის შესაცვლელად"); მეორე მხრივ, აშშ-ის ადმინისტრაციამ ყველას აგრძნობინა, რომ ამერიკას არ ესაჭიროებოდა საერთაშორისო ორგანიზაციის ნებართვა და მოკავშირეებთან ერთად დამოუკიდებლადაც იმოქმედებდა საკუთარი მიზნების მისაღწევად.

*ბ. სამართლიანი მიზანი*

კიდევ უფრო საკამათო და პრობლემატურია ერაყში ომის დაწყების მიზნების სამართლიანობის დადგენა. სამართლიანი ომის თეორიის ფუძემდებლური პრინციპების მიხედვით,სახელმწიფოს სუვერენიტეტი აბსოლუტური კატეგორიაა და დაუშვებელია სახელმწიფოზე თავდასხმა. ამ პრინციპის ნებისმიერი დარღვევა წარმოადგენს აგრესიას და თავისთავად უსამართლოა. ჩაურევლობის ამ ზოგად კანონს აქვს რამდენიმე გამონაკლისი: წინასწარ დაწყებული ომის (პირველი დარტყმის – *რედ.*) ცნება და ინტერვენცია ჰუმანიტარული მიზნებისათვის.

ერაყში ამერიკის მიერ წარმოებული ოპერაციის მიზნები ისე იყო გაფორმებული, რომ ყველა დარწმუნებულიყო მათ სამართლიანობაში, ვინაიდან ეს მიზნები ჩაურევლობის პრინციპის ამ ორ გამონაკლისს ემყარებოდა. ადმინისტრაცია ამტკიცებდა, რომ წინასწარ დაწყებული ომი საჭირო იყო, ვინაიდან სადამ ჰუსეინის რეჟიმმა დააგროვა ქიმიური და ბიოლოგიური იარაღი და მუშაობდა ბირთვული იარაღის წარმოებაზე, ან ყოველ შემთხვევაში, აპირებდა მის წარმოებას. ადმინისტრაცია აცხადებდა, რომ სადამის წინა ქმედებებიდან გამომდინარე, მას შეეძლო წინასწარ გაუთვალისწინებელი, ირაციონალური ნაბიჯის გადადგმა, მას ცილს სწამებდნენ, რომ შეეძლო მის ხელთ არსებული მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენება. ამგვარად, იგი პირდაპირ ემუქრებოდა მეზობელ სახელმწიფოებს და სტაბილურობას მთლიანად რეგიონში. აშშ-ის არგუმენტაციით, სადამის რეჟიმი ასევე მხარს უჭერდა ტერორიზმს, განსაკუთრებით ალ-კაიდას, რაც სერიოზულ მუქარას წარმოადგენდა აშშ-ის ეროვნული უშიშროებისათვის. რაც შეეხება ჰუმანიტარულ ინტერვენციას, ადმინისტრაცია აცხადებდა, რომ ერაყის რეჟიმი უმოწყალო და დიქტატორული იყო და მასობრივი განადგურების იარაღს იყენებდა საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ, რომ ეს რეჟიმი „უნდა შეცვლილიყო" მოსახლეობის განთავისუფლებისა და რეგიონში დემოკრატიის განმტკიცების მიზნით.

შესაძლებელია ჩაურევლობის პრინციპის კიდევ ერთი გამონაკლისის მოძებნაც. უპირველეს ყოვლისა, არსებობს დიქტატორული და ავტორიტარული სახელმწიფოების პრობლემა. აქვთ კი მათ იგივე უფლება, რაც დემოკრატიულ სახელმწიფოებს, იყვნენ დაცულნი თავდასხმისაგან ჩაურევლობის პრინციპით (თუმცა,ზუსტად ეს პრინციპი გამოყენებულ იქნა არადემოკრატიული ქუვეითის გათავისუფლების გასამართლებლად სპარსეთის ყურეში პირველი ომის დროს). ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს წინასწარ საომარ მოქმედებებთან ანუ წინასწარ დაწყებულ ომთან: ზოგ შემთხვევაში შეიძლება არსებობდეს ძალიან რეალური საფრთხე იმისა, რომ ერთ სახელმწიფოს შეუძლია თავს დაესხას მეორეს; ამ შემთხვევაში სავარაუდო მსხვერპლს შეუძლია პირველმა განახორციელოს თავდასხმა,

ვიდრე უცადოს გარდაუვალ ომს. ცხადზე ცხადია, რომ გარდაუვალი თავდასხმის არსებობისას ვერავინ ვერ დაადანაშაულებს პოტენციურ მსხვერპლს აგრესიასა თუ საომარი მოქმედებების „გაჩაღებაში", თუ მან პირველმა განახორციელა სამხედრო დარტყმა. რეალურად ძალიან ძნელია ამგვარი სიტუაციების იდენტიფიცირება. ყველაზე ხშირად წინასწარი იერიშის ანუ „წინასწარი თავდაცვის" მაგალითად იყენებენ ისრაელის თავდასხმას ეგვიპტეზე 1967 წლის ივნისში, როდესაც ნათლად ჩანდა, რომ მთელი არაბული სამყარო არაბეთის, სირიისა და ეგვიპტის თაოსნობით ფართომასშტაბიან თავდასხმას ამზადებდა ისრაელზე. მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი შეიძლება ბევრი კამათი იმაზე, მართლა გეგმავდნენ სირია და ეგვიპტე იერიშს ისრაელზე, თუ არა და რამდენად დააჩქარა თვითონ ისრაელის პოლიტიკამ ეს გარდაუვალი იერიში, თუ იგი მართლაც იყო ასე გარდაუვალი. თავდაცვითი ომის გასამართლებლად მოწინააღმდეგის გეგმების დამტკიცება უაღრესად მნიშვნელოვანი ხდება.

ნებისმიერ შემთხვევაში მიუხედავად იმისა, რომ აშშ-მა, თავისი არგუმენტაცია წინასწარი თავდაცვის რიტორიკით შენიღბა, ცოტა ვინმეს თუ ეპარება ეჭვი იმაში, რომ ერაყზე თავდასხმა თავდაცვითი ომის ხასიათს არ ატარებდა. თავისი ბუნებით ეს უფრო ერაყის გაუვნებელყოფისაკენ მიმართული პროფილაქტიკური ქმედება იყო. თუ წინასწარ დაწყებული ომი სადავოა, პროფილაქტიკური ომი გაუვნებელყოფის მიზნით კიდევ უფრო სადავოა. პროფილაქტიკური ომის დროს ერთი სახელმწიფო ან კოალიცია თავს ესხმის მეორეს არა გარდაუვალი და მოახლოებული აგრესიის თავიდან ასაცილებლად, არამედ იმიტომ, რომ მისი რწმენით არსებობს საკმარისი სამხილი იმისათვის, რომ მოწინააღმდეგე სახელმწიფო სერიოზულად ემუქრება ერის სასიცოცხლო ინტერესებს, რეგიონალურ სტაბილურობას ან სახელისუფლებო ბალანსს.

პროფილაქტიკური თავდაცვითი ომი – სახიფათო პრინციპია, რომლის ბოროტად გამოყენება ადვილად შესაძლებელია. გარდა იმისა, რომ პროფილაქტიკური თავდაცვითი ომები ძირეულად პრობლემური ბუნებისაა, აშშ-ის ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ერაყში ომის გასამართლებლად, საუკეთესო შემთხვევაში საფუძველს მოკლებულია. ფაქტობრივად, ძალიან ცოტა იყო უდავო მტკიცებულება იმისა, რომ ერაყს სინამდვილეში გააჩნდა მასობრივი განადგურების იარაღი და კიდევ უფრო ნაკლები დასტური იმისა, რომ ერაყი აპირებდა მის გამოყენებას. საომარი ოპერაციების დაწყებისთანავე აღმოჩნდა, რომ ომისწინა პერიოდში წარმოდგენილ მტკიცებულებათა უმრავლესობა მანკიერი და ცრუ დაზვერვის შედეგად იყო მოპოვებული. სიტუაცია კიდევ უფრო მწვავდება იმით, რომ საომარი ოპერაციის დასრულების შემდეგ ერაყში ვერ აღმოაჩინეს მასობრივი განადგურების იარაღი. ახლა ადმინისტრაციის წარმომადგენლები უხალისოდ აღიარებენ, რომ უკვე აღარც აქვთ იმის იმედი, რომ რაიმეს მოძებნიან ერაყში. ადმინისტრაცია ახლა აცხადებს, რომ მთავარ საფრთხეს იარაღი კი არ წარმოადგენდა, არამედ თვითონ მეცნიერები, რომლებსაც შეეძლოთ ამ იარაღის წარმოება. ეს კი ძალიან შორს არის გარდაუვალი ომის საშიშროებისაგან – აქ საქმე უფრო ეხება აგრესიული ქმედებების დაგეგმვასა და განხორციელებას. ასეთივე უსაფუძვლოა იმის მტკიცება, რომ ერაყი ეხმარებოდა და მხარს უჭერდა ალ-კაიდასა და სხვა ტერორისტულ ორგანიზაციებს. ტერორისტულ ორგანიზაციებსა და ერაყის დაზვერვას შორის კონტაქტების შესახებ არაპირდაპირი მტკიცებულების მიუხედავად არავის შეუძლია დაზუსტებით განაცხადოს, რომ ერაყი აქტიურად მხარს უჭერდა ტერორისტებს ან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ალ-კაიდას მიერ წინათ

განხორციელებულ ტერორისტულ აქტებში 11 სექტემბრის მოვლენების ნათელით. სინამდვილეში ტერორისტებთან თანამშრომლობის და მათი მხარდაჭერის გაცილებით მეტი სამხილი არსებობს ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებზე.

განსაკუთრებით პრობლემატურია ის, რომ ბუშის ადმინისტრაციამ წინასწარდაწყებული ომის ცნება კრიტიკულ სიტუაციაში ერთ-ერთი სავარაუდო გამოსავალის კონცეფციიდან გადააქცია ახალ დოქტრინად, რომელიც ამართლებს ერთი სახელმწიფოს მიერ განაღებულ ეგრეთწოდებულ პროფილაქტიკურ ომს. ასეთი ომი გამართლებულია არა მარტო გარდაუვალი მუქარის შემთხვევაში, არამედ ნებისმიერი პოტენციური საშიშროების დროსაც. პროფილაქტიკური ომის ამდაგვარი გამართლება შორსაა სამართლიანი ომის პრინციპებისაგან და ძალზე ცუდ პრეცედენტს ქმნის.

ასევე პრობლემატურია ერაყში ომის გამართლება ჰუმანიტარული მიზეზებით. ადამიანის უფლებების სასტიკი დარღვევის ან გენოციდის გამო ერთი სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოს სუვერენიტეტის დარღვევის სულ რამდენიმე ფაქტი არსებობს და ასეთი ჩარევა არ საჭიროებს მის გასამართლებელ სანქციებს საერთაშორისო საზოგადოებრიობისაგან, მაგალითად, ინდოეთის ინტერვენცია ბანგლადეშში 1971 წელს, ვიეტნამის ინტერვენცია კამბოჯაში პოლ პოტის გამო, ტანზანიის ინტერვენცია უგანდაში იდი ამინის გამო. მაგრამ თითოეული ასეთი ქმედება საჭიროებს ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის შესახებ უტყუარი ფაქტების არსებობას. უნდა დამტკიცდეს, რომ ამ ფაქტების აღმოსაფხვრელად საჭიროა კატეგორიული ზომები, რომ ინტერვენცია ხანმოკლე იქნება და თავდამსხმელი მხარე მალე დატოვებს სახელმწიფოს (და, რა თქმა უნდა, თავდამსხმელი არ გამოიყენებს შექმნილ სიტუაციას თავის სასარგებლოდ ტერიტორიული ან სტრატეგიული მიზნებისათვის).

სამხედრო ჩარევა სახელმწიფო რეჟიმის დასამხობად უნდა წარმოადგენდეს განსაკუთრებულ შემთხვევას, რომლის გამართლება უტყუარ და კატეგორიულ ფაქტებს უნდა ემყარებოდეს. მიუხედავად იმისა, რომ ერაყის რეჟიმი უდავოდ სულმდაბალი და დიქტატორული იყო, ნაკლებ ყურადღებას აქცევდა ადამიანის უფლებებსა და ღირსებას, ქიმიურ იარაღს იყენებდა საკუთარი ქურთი მოქალაქეების წინააღმდეგ, არ არსებობს იმის სამხილი, რომ ეს რეჟიმი არღვევდა ადამიანის უფლებებს და ახორციელებდა გენოციდს იმ მასშტაბებით, როგორც ეს ხდებოდა ზემოთ დასახელებულ სახელმწიფოებში, რის გამოც საჭირო გახდებოდა ერაყში ჰუმანიტარული ინტერვენცია. ისიც უნდა ითქვას, რომ წინათ განხორციელებული ზომები ქურთებისათვის უსაფრთხო ზონების გამოსაყოფად უკვე წარმოადგენდნენ საჭირო ჰუმანიტარულ ინტერვენციას. ერაყის რეჟიმის პირობებში მცხოვრები დანარჩენი მოსახლეობაც, რა თქმა უნდა, განიცდიდა რეპრესიებს, მაგრამ ამ რეჟიმის ბოროტმოქმედებები არ წარმოადგენდა იმ უბედურებას, რომლის აღმოსაფხვრელად საჭირო იყო მთავრობის დამხობა სამხედრო ჩარევით.

*გ. საბოლოო ზომების მიღების პრინციპი*

ეს პრინციპი მაშინ გამოიყენება, როდესაც პრობლემის გადასაწყვეტად არ არსებობს არანაირი ალტერნატივა გარდა ძალის გამოყენებისა და, როცა ალტერნატიული ვარიანტების განსახორციელებლად არ არსებობს არც საკმარისი დრო და არც შესაბამისი შესაძლებლობა. რაღა თქმა უნდა, სწორედ ეს იყო ყველაზე სერიოზული უთანხმოების მიზეზი შეერთებულ შტატებსა და მსოფლიოს სხვა წამყვან სახელმწიფოებს შორის ერაყთან დაკავშირებით. გაეროს რეზოლუციები, რომლებიც მოითხოვდა ერაყისგან განიარაღებას და ექსპერტების

შემოწმების პროცედურების დაცვას ბუნდოვნად ასახავდა ვადებსა და სპეციფიკურ დეტალებს. საერთაშორისო საზოგადოების მრავალი წარმომადგენელი თვლიდა, რომ სანქციებმა და ინსპექტირებამ შედეგი გამოიღო და მეტი დრო იყო საჭირო მათი ეფექტურობისათვის. ის ფაქტი, რომ მასობრივი განადგურების იარაღი ვერ აღმოაჩინეს ადასტურებს ამ აზრს. ერაყის რეჟიმი უხალისოდ ასრულებდა გაეროს მოთხოვნებს, მაგრამ აშშ-ს ადმინისტრაციამ ვერ წარმოადგინა ვერანაირი დამარწმუნებელი მიზეზი იმისა, რომ მიმდინარე პოლიტიკის გაგრძელება უკვე შეუძლებელი გახდა და შეიქმნა გარდაუვალი აუცილებლობა საომარი ქმედებების სასწრაფოდ დასაწყებად. აშშ-ს ადმინისტრაციამ მხოლოდ განაცხადა, რომ ყველა სხვა საშუალება უკვე ამოწურული იყო. გარდაუვალი იერიშის საფრთხემ ეფექტურად დაიყოლია ერაყი თანამშრომლობაზე (საბოლოოდ ეს შეიძლება ყოფილიყო ადმინისტრაციის პოლიტიკის გეგმაც: დაერწმუნებინა ერაყი მუქარის განხორციელებაში მიკავშირების აზრის უგულებელყოფით), მაგრამ არსებობს უზარმაზარი განსხვავება დამუქრებასა და ამ მუქარის შესრულებას შორის სამხედრო ინტერვენციის გზით.

### *დ. წარმატების გონივრული იმედი*

წმინდა სამხედრო თვალსაზრისით ეჭვიც არ გვეპარება იმაში, რომ ოპერაცია საოცრად წარმატებული აღმოჩნდა. ამერიკის ადმინისტრაციას ყველა საფუძველი ჰქონდა ამ წარმატების მისაღწევად: ერაყის რეჟიმი და მისი სამხედრო პოტენციალი სერიოზულად დაკნინდა სპარსეთის ყურეში ომის, ათწლიანი სანქციებისა და ქვეყანაში სიტუაციის ზოგადი გაუარესების გამო. მასობრივი განადგურების იარაღის აღმოჩენის და მისი გაუვრცელებლობის თვალსაზრისით კი საკითხი საბოლოოდ ვერ გადაწყდა. შეიძლება აშშ-ს ადმინისტრაცია მართალი იყო, როცა აცხადებდა, რომ ერაყი მასობრივი განადგურების იარაღს ფლობს, მაგრამ საქმე ისაა, რომ ომის შედეგად ჩვენ მივიღეთ საპირისპირო შედეგი. ეს იარაღი ვერ იპოვეს, რაც გვაძლევს საბაბს ვივარაუდოთ, რომ ეს იარაღი გადამალეს რეგიონის დანარჩენ პოტენციურად მტრულ სახელმწიფოებსა, თუ ტერორისტულ ორგანიზაციებში, რის გამოც რეგიონი უფრო სახიფათო გახდა და აშშ-ს რისკი გაიზარდა. იგივე ითქმის ერაყში დემოკრატიის დამკვიდრებაზე: ახლა ძნელია იმის თქმა, რას მივიღებთ საბოლოო ჯამში, მაგრამ არსებობს ფუნდამენტალიზმის გამარჯვების სერიოზული პოტენციალი, როგორც ერაყში, ისევე რეგიონის სხვა სახელმწიფოებში.

## *2. Jus in Bello*

თუ *Jus ad Belum*–ის სტანდარტები არ არის დაკმაყოფილებული, არც კი არის საჭირო შევიწუხოთ თავი იმით, რომ განვსაჯოთ, რამდენად სამართლიანი ხერხებით განხორციელდა საომარი მოქმედებები. თუმცა არგუმენტაციისათვის საინტერესოა ამ საკითხის განხილვა ერაყის ომთან დაკავშირებით. უდავოდ, უახლესი ტექნიკის და აშშ-ს სამხედრო უპირატესობის გამო ეს სამხედრო ოპერაცია უპრეცედენტოა მსოფლიო ისტორიაში. არასდროს წინათ ომს არ მიუყენებია ნაკლები ზარალი მშვიდობიანი მოსახლეობისათვის. ჯერ ადრეა საუბარი ოპერაციის ყველა დეტალზე, მაგრამ როგორც ჩანს ოპერაციის დაგეგმვისას დიდი ყურადღება მიენიჭა მშვიდობიანი მოსახლეობისათვის ზიანის შემცირებას, ასევე არ დაიბომბა სამოქალაქო ელექტროქსელები და ინფრასტრუქტურა სპარსეთის ყურეში პირველი ომისაგან განსხვავებით. თუმცა „თანმდევი ნგრევა" მართალია მცირედი, ომს მაინც მოჰყვა. პროპორციულობის პრინციპით, მეომარი სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალი უნდა შეეფარდებოდეს იმ რეალურ ან პოტენციურ ზარალს,

რომელსაც იგი მიაყენებდა თავდამსხმელ სახელმწიფოს. თუ ჩავთვლით, რომ ერაყისგან არავითარი პოტენციური ზიანი აშშ-ს არ ემუქრებოდა, მაშინ მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში ყოვლად გაუმართლებელია.

ჩვენი აზრით, ამ ომის ყველაზე პრობლემური ასპექტია ე.წ. „თავის მოკვეთის" ანუ ერაყის ლიდერების გასანადგურებლად განხორციელებული დაბომბვები. სამართლიანი ომის თეორია კრძალავს დისკრიმინაციას, რის გამოც დაუშვებელია ცალკეული პირებისა თუ პოლიტიკური ლიდერების ინდივიდუალურ სამიზნედ აღება. ჩვენ შეგვიძლია გავამართლოთ ცალკეული პირებისა თუ პოლიტიკური ლიდერების დევნა (განსაკუთრებით ისეთი დიქტატორების, როგორიც ჰუსეინია), მაგრამ ასეთი გამართლება არღვევს სამართლიანი ომის წესებს. ამგვარი ქმედება არ შედის საომარი მოქმედებების კატეგორიაში და უფრო მკვლელობას წარმოადგენს. აშშ-ს ადმინისტრაცია ბუნდოვანია ცალკეული პიროვნებების დევნის შესახებ. ერთის მხრივ ადმინისტრაცია მათ ყოველთვის „რეჟიმის სამიზნედ" უწოდებდა და ამტკიცებდა, რომ ცალკეულ პირებს არავინ სდევნიდა, ხოლო მეორეს მხრივ ადმინისტრაცია არც მალავდა, რომ სამიზნედ ჰყავდა აყვანილი სადამ ჰუსეინი და მისი ვაჟები.

დაბოლოს, ამერიკის ომი ერაყის წინააღმდეგ არ შეესაბამება სამართლიანი ომის თეორიას. ყველას გაუხარდა სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობა და, რა თქმა უნდა, ჩვენც კმაყოფილები ვართ ერაყში ომის შედეგებით. მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, თუ რა მოხდა აბსტრაქტული მორალის თვალსაზრისით. აშშ-ს ადმინისტრაცია ზნეობრივი სტანდარტების დამცველის ნაცვლად აშკარა ჟანდარმის როლში მოგვევლინა. ერთია, როდესაც ამერიკა კისრულობს მსოფლიო პოლიციელის ტვირთს (რაც თავისთავად მეტად საკამათო საკითხია), მაგრამ სულ სხვაა, როდესაც მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფო პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით უგულებელყოფს ზნეობრივ სტანდარტებს. უნდა გავითვალისწინოთ ამის სამომავლო შედეგები: თუ ისტორიის სამსჯავროზე ამერიკა წარსდგება, როგორც ამორალური და თვითნებური პოლიტიკის გამტარებელი სახელმწიფო, მის მიერ დამყარებული ეგრეთწოდებული *ამერიკული მშვიდობის* მიზნები სერიოზულად გაუფასურდება. აშშ კი თვლის, რომ მორალის და კანონიერების დროშით ხელში იბრძვის ახლო აღმოსავლეთის და მთელი მსოფლიოს საკეთილდღეოდ.

და მართლაც, რაც უფრო უსაფრთხო და მშვიდობიანი მსოფლიოსაკენ ისწრაფვის ამერიკა და, რაც უფრო ძლიერია სახელმწიფო, მით უფრო მაღალი მორალის მატარებელი უნდა იყოს იგი: მით უფრო მეტი ზნეობრივი შეზღუდვები უნდა გააჩნდეს მის ქმედებებს. თუმცა არსებობს დიდი საფრთხე იმისა, რომ უზნეო და თვითნებური პოლიტიკით ამერიკის შეერთებული შტატები რისკის ქვეშ დააყენებს საკუთარ ფასეულობებსა და უშიშროებას.

დიდ მადლობას ვუძღვნი ჩემს ყოფილ პედაგოგს, ჟერომ ნ. სლეიტერს, ნიუ-იორკის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბუფალოს შტატის პროფესორს, რომელიც მასწავლიდა და რომლის წინაშე დავალებული ვარ წინამდებარე სტატიის შედგენისას.

**თინათინ ბოჭორიშვილი**
*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პოლიტოლოგიის კათედრის პროფესორი*

# რეგიონალური უსაფრთხოება და კავკასიის მომავალი

დღესდღეობით ბურუსითაა მოცული ის, თუ როგორი იქნება მომავლის უსაფრთხოების სისტემა. ადრე ასე სულაც არ იყო. ცივი ომის დროს ყველამ იცოდა თამაშის წესები. ეს უადვილებდა თამაშს როგორც პოლიტიკოსებს, ისე მეცნიერებს.

1989 წლიდან სრულიად სხვა სიტუაცია გვაქვს. გაჩნდნენ ახალი მოთამაშეები, შეიქმნა ახალი წესები და ახალი პრობლემები.

ბერლინის კედლის დაცემამდე დიდი ბირთვული ომის საზარელი საფრთხე არსებობდა. თუმცა, მას რეალობად ქცევის შედარებით მცირე ალბათობა ჰქონდა. სადღეისოდ, მართალია, ბირთვული ომის საფრთხე აღარ არის ძველებურად ყოვლისმომცველი, მაგრამ უსაფრთხოების სიტუაცია უფრო გაურკვეველია. ადრე, როცა ერთმანეთს ორი ზესახელმწიფო უპირისპირდებოდა, თითოეული ლოკალური კონფლიქტი ცივი ომის ნაწილს შეადგენდა. უცნაურია, მაგრამ ამას მასტაბილიზებელი ზემოქმედება ჰქონდა.

ახლა მსოფლიო აღარ არის დაყოფილი ორ ბანაკად, მაგრამ ლოკალური კონფლიქტების რისკი უფრო მატულობს. ომი და ომის საფრთხე აღარ არის ერთი და იგივე. საკმარისია ვიკითხოთ, თუ რატომ განვიცდით სრულ მარცხს კონფლიქტების თავიდან აცილების და მათი გადაწყვეტის საქმეში და პასუხსაც იოლად მოვძებნით — იმის გამო, რომ უკიდურესად უვარგისი პროგნოზები კეთდება. განსაკუთრებით ეს ითქმის იუგოსლავიასა და კავკასიაზე.

ამას მკაფიოდ ადასტურებს საქართველოს უახლესი ისტორია; 1993 წლიდან დღემდე კონფლიქტებმა 10 000 ადამიანი შეიწირა, 300 000-ზე მეტი მშობლიური მიწა-წყლიდან აჰყარა. საქართველო, მართალია, ცდილობს კონფლიქტების მოგვარებას, მაგრამ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მაგალითზე სანუგეშოს ცოტას პოულობს. განსაკუთრებულ გაფრთხილებად ჟღერს იუგოსლავიის ომის ექო, რომელსაც უმცირესობათა შეუწყნარებლობის ნიმუშად სახავენ. რა თქმა უნდა, ნაციონალური საკითხი რთულია და დიფერენცირებული; შეუძლებელია იგი უბრალოდ ძველი წესრიგის გაუქმებით გადაიჭრას. საჭიროა ახალი პოლიტიკური წესრიგის დამყარება; ეთნიკური პრობლემების განხილვას დემოკრატიული გასაქანი უნდა მიეცეს და ძალადობა გამოირიცხოს.

წიგნში „პოსტკაპიტალისტური საზოგადოება" პიტერ დრაკერი წერს: „გუშინდელი წესრიგი სწრაფად მიექანება, მაშინ როცა მომავლის წესრიგი ჯერ კიდევ არა ჩანს. „ახალი მსოფლიო წესრიგი", რომელსაც გამუდმებით იმოწმებენ დღევანდელი პოლიტიკოსები, სინამდვილეში არსად გვხედება, უფრო ხშირად „ახალ პოლიტიკურ უწესრიგობას" ვაწყდებით ხოლმე და არავინ იცის, რამდენ ხანს გასტანს იგი". „კიდევ ერთი ციტატა დრაკერის წიგნიდან: „არეულობის ეპოქაში თვითონ არეულობა კი არაა უდიდესი საფრთხე, არამედ ის, რომ დღევანდელობის ლოგიკით ვმოქმედებთ".

თავის უაღრესად საინტერესო წიგნში „დიპლომატია", ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივანი, ჰენრი კისინჯერი წერს: „ცივი ომი სწორედ მაშინ დაიწყო, როცა ამერიკა მშვიდობიანი ხანის მოლოდინში იყო; იგი სწორედ მაშინ დასრულდა, როცა ამერიკა გულმოდგინედ ემზადებოდა გაჭიანურებული კონფლიქტისათვის. საბჭოთა იმპერია ისე უეცრად დაემხო, რომ ამ კოლაპსის დამანგრეველმა შედეგებმა ვერ მოასწრო გასცდენოდა მის საზღვრებს. ამერიკამაც ელვისებურად შეცვალა რუსეთთან დამოკიდებულება. სულ რამდენიმე თვეში იგი მას მეგობრად მოევლინა".

კისინჯერის წიგნიდან მოხმობილი ეს ამონარიდი იმას მოწმობს, თუ რაოდენ უსუსურნი ვართ დღეს მომავლის წინასწარმეტყველებაში. განა ვინმეს შეუძლია დაიჩემოს მომავალი განვითარების წინასწარი განჭვრეტა, როცა სრულიად მოულოდნელი ცვლილებები ხდება, რომ არაფერი ვთქვათ ბოლო ათეული წლის მანძილზე განხორციელებულ საინფორმაციო რევოლუციაზე?

დღევანდელი მსოფლიო სრულ გაურკვევლობას მოუცავს, - მარტივი, მაგრამ გასათვალისწინებელი თეზაა. ვერავინ განსაზღვრავს გადაჭრით, რასთან გვაქვს საქმე დღეს - „ერთპოლუსიან" თუ „მრავალპოლუსიან";;მსოფლიოსთან; ჰენრი კისინჯერს და სხვა გამოჩენილ ანალიტიკოსებსაც კი უჭირთ „ახალი წესრიგის" ძირითადი შტრიხების მოხაზვა. გლობალური დაძაბულობა, შესაძლოა, შესუსტდეს, მაგრამ „მსოფლიო მშვიდობას" საფრთხეს უქადის რეგიონული და ლოკალური კონფლიქტები. საერთაშორისო გლობალური მდგომარეობა მყიფეა და, ალბათ, ასეთად დარჩება.

ასეთ სიტუაციაში არ შეიძლება, მომავლის ანალიზი ისტორიულ მონაცემებსა და მიღებულ პერცეფციებს დაემყაროს. წარსულმა დაგვარწმუნა, რომ ყველაზე საუკეთესო ანალიტიკოსებსაც კი არ ძალუძთ მომავალი რყევების წინასწარ განჭვრეტა.

ცივი ომის შემდგომ პერიოდში, როცა, ერთი მხრივ, თანდათანობით ყალიბდება მულტიპოლარობა, ხოლო, მეორე მხრივ, იქმნება ახალი რეგიონული სახელმწიფოები, კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების პრობლემაც მზარდ მნიშვნელობას იძენს.

საბჭოთა კავშირის დაშლით კავკასიის რეგიონში ძალის ვაკუუმი შეიქმნა. რეგიონში გავლენას ერთმანეთს ეცილებიან აშშ და რუსეთი, თურქეთი და ირანი. თითოეული მათგანი ამ რეგიონში გაბატონებას ცდილობს.

კავკასიის მომავალს შექმნის ის ურთიერთობები, რომლებიც ჩამოყალიბდება კავკასიის სახელმწიფოებსა და აშშ-თურქეთ-რუსეთ-ირანის ოთხეულს შორის. ტრანსფორმაციის პროცესში კავკასია ამჟღავნებს ტენდენციას, მოსწყდეს რუსეთს, როგორც ცენტრს და სხვა დიდ სახელმწიფოზე (უმთავრესად, აშშ-ზე), როგორც ახალ ცენტრზე, გადაეწყოს. ამასობაში კი რუსეთი ცდილობს თავისი უსაფრთხოება ხელახლა ააგოს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან კომპლექსში და კვლავ მოიპოვოს რეგიონზე ზეგავლენა. ფაქტია, რომ დამოუკიდებლობამდელ მდგომარეობასთან მიბრუნება, ერთმანეთისაგან განსხვავებული მიზეზებით, არც კავკასიის რესპუბლიკებს სურთ და არც რუსეთს. ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ თუკი რუსეთი რეგიონში მთავარ ფაქტორად მოგვევლინება, მაშინ კავკასიის უსაფრთხოების სისტემა კვლავ რუსეთის უსაფრთხების სისტემად იქცევა.

ამრიგად, რუსეთი საფრთხეს წარმოადგენს ამ რეგიონის დამოუკიდებლობისათვის. მთავარი, რაც აწუხებს კავკასიელ ხალხებს არის ის, რომ, რუსეთი ცდილობს კავკასიის რეოკუპაციას. ამას თან ერთვის შოვინისტური

მოძრაობის გაძლიერება რუსეთში, რომელიც მოითხოვს ამა თუ იმ გზით რუსეთის იმპერიის აღდგენას.

კავკასიის სახელმწიფოთა სამომავლო განვითარებას დიდად განსაზღვრავს აშშ-რუსეთს შორის მეტოქეობა. რუსეთი სუსტია მანამ, ვიდრე ჩეჩნეთში პოლიტიკური გაურკვევლობა სუფევს. თუკი იგი კვლავაც გაჭიანურდა, რუსეთს საკუთარ სტაბილურობაზე ზრუნვა მოუწევს და კავკასიის გასაერთიანებლად ველარ მოიცლის. ამ სიტუაციაში ოთხი კონფლიქტური რეგიონის ფონზე – აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, ჩეჩნეთი და მთიანი ყარაბაღი – საქართველო, აზერბაიჯანი და ჩეჩნეთი ცდილობენ რუსეთზე ორიენტირებული უსაფრთხოების სისტემიდან ჩამოშორებას და უსაფრთხოების სხვა სისტემაში შესვლას. ამგვარი რეორიენტაციის განხორციელებას ხელს უწყობს კავკასიის რეგიონთან აშშ-ის პოლიტიკური დაახლოება და, შესატყვისად, რუსეთის სამხედრო გააქტიურება.

თითოეულს ამ ოთხი სახელმწიფოთაგან (აშშ, თურქეთი, რუსეთი და ირანი) თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები აქვს. ცნობილია, რომ რუსეთმა დაკარგა ადრინდელი პოლიტიკური ზეგავლენა კავკასიაზე. ირანი, მიუხედავად მის მიმართ აშშ-ის მიერ განხორციელებული ადმინისტრაციულ-ეკონომიკური სანქციებისა, თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო მაინც ინარჩუნებს კავკასიის საერთაშორისო ბაზართან ბუნებრივი დამაკავშირებლის მნიშვნელობას. კასპიის აუზის ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირება-გატარების აუცილებლობამ გაზარდა კავკასიის რესპუბლიკებზე თურქეთის ეკონომიკური ზეგავლენის შანსები.

ძნელია გამოკვეთო და დაახასიათო ის, თუ რა შედეგებით დასრულდება ამ სახელმწიფოთა მეტოქეობა კავკასიასთან მიმართებაში, მაგრამ ერთი რამ ცხადია, ცალკე აღებული რომელიმე ფაქტორი არ იქნება ამ შედეგის განმსაზღვრელი.

**ზაზა გაჩეჩილაძე**
*ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი*

## რა უნდა საქართველოს ამერიკისგან?

1993 წლის შემოდგომაზე, როდესაც რუსული აგრესიის შედეგად დაეცა აფხაზეთი, ერთ-ერთ ამერიკელ ოფიციალურ მაღალჩინოსან პირს ვუთხარი: „ქართველებში გაჩნდა აზრი, რომ ჩვენი ქვეყნის თანამედროვე ისტორიაში ძალზე მტკივნეულ, შეიძლება გარდატეხის პერიოდში დასავლეთმა, კერძოდ კი, ამერიკამ გაგვწირა, გვიღალატა და პირისპირ დაგვტოვა იმპერიული ამბიციებით შეპყრობილ რუსეთის მონსტრის წინაშე. თანაც რუსეთის აგრესიის გაბოროტება სწორედ იმიტომ იყო გაათკეცებული, რომ საქართველომ იმთავითვე პროდასავლური და პროამერიკული კურსი აქცია თავის პრიორიტეტად".

მან მიპასუხა, დრო იყო არაშესაფერისი. შემდეგ კი ამიხსნა, რომ ამ დროს რუსეთის პრეზიდენტ ელცინის წინააღმდეგ პროკომუნისტური რევანშისტული ამბოხი მიმდინარეობდა და დასავლეთის ნებისმიერი ზეწოლა რუსეთის ხელისუფლებაზე მის კრახს მოასწავებდა, რაც მსოფლიოში მიმდინარე დემოკრატიული პროცესების ჩაშლის საშიშროებას წარმოადგენდა. მსოფლიოს ისტორიის საჭადრაკო დაფაზე ამერიკამ შესწირა პაიკი (საქართველო) და მოიგო პარტია – საბოლოოდ დაანგრია ბოროტების იმპერია - საბჭოთა კავშირი.

საქართველოს დახმარება, რა თქმა უნდა, არ გულისხმობდა სამხედრო ჩარევას, არამედ საერთაშორისო (უპირატესად ამერიკის) ზეწოლას რუსეთზე, რათა მას ხელი აეღო საქართველოს მიმართ აგრესიაზე. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. საქართველომ დროებით დაკარგა აფხაზეთი.

რას წარმოადგენს საქართველოსთვის ეს ფაქტი?

არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ნებისმიერი ქართველი, თუ მას დაუსვამენ შეკითხვას – რა არის საქართველოსთვის უპირველესი პრობლემა: კორუფცია, არჩევნების გაყალბება, ენერგოკრიზისი თუ აფხაზეთის დაბრუნება? – პასუხს ერთგვაროვნად გასცემს – აფხაზეთი!

აფხაზეთზე და სამხრეთ ოსეთზე ქართული იურისდიქციის აღდგენა მნიშვნელოვანწილად გადაწყვეტს მრავალწახნაგოვან ეკონომიკურ პრობლემასაც. პირველ რიგში, ეს არის კონტრაბანდის მნიშვნელოვნად შემცირება და, მაშასადამე, კორუფციის უზარმაზარი წყაროს ლიკვიდაცია, ლტოლვილების სოციალური, ეკონომიკური თუ ფსიქოლოგიურ-მორალური საკითხების გადაწყვეტა, ნარკოტიკებისა და იარაღის ტრეფიკინგის შეწყვეტა, ტერორიზმის შესაძლო გავრცელების კერების ლოკალიზაცია-მოსპობა, საზღვრების უკეთ გაკონტროლება, სომხეთ-რუსეთის სარკინიგზო დაკავშირება საქართველოს გავლით და სატრანზიტო დივიდენდების მიღება, აფხაზეთის ტურისტული პოტენციალის, თხილის, ჩაის და ციტრუსების ინდუსტრიის რეაბილიტაცია და მრავალი სხვა პრობლემის გადაწყვეტა. ამით შესრულდება საქართველოს ნატოში შესასვლელად კიდევ ერთი ძირეული პირობაც – კონფლიქტის არარსებობა.

ამიტომაც, ჩემი ღრმა რწმენით, საქართველოს ამერიკისგან, პირველ რიგში, უნდა უნდოდეს დროებით დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაში ხელის შეწყობა.

ეს, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს, რომ საქართველომ თითი თითზე არ დააკაროს და ამერიკამ მას მზამზარეულად მიართვას დაკარგული ტერიტორიები. პირიქით, საქართველომ უნდა დაარწმუნოს ამერიკა, რომ იგი ჭეშმარიტად ღირსეული და საჭირო პარტნიორია და, რომ მისი პაიკად შეწირვა ამერიკას არ უღირს.

საქართველომ უკვე გადადგა ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი, როდესაც აშშ-ს ცალსახად დაუჭირა მხარი ერაყის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ასევე უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია — ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენიც. ბევრი პოსტულატი, თუ რას ელოდება აშშ საქართველოსგან, ჩამოაყალიბა ელჩმა რიჩარდ მაილსმა: ეს არის ბრძოლა კორუფციასთან, დამნაშავეობასთან, ადამიანების უფლებების დაცვა, ინფრასტრუქტურის შენება.

ნატოს გენერალურმა მდივანმა ჯორჯ რობერტსონმა ახლახან საქართველოში ყოფნისას განაცხადა, რომ მსოფლიოს 1/7 ტერიტორიის მფლობელ რუსეთს, რომელიც კავკასიური ქვეყანაცაა, აუცილებლად აქვს ინტერესები კავკასიაში და რომ ნატო რუსეთთან განსაკუთრებულ ურთიერთობას ამყარებს. მაგრამ აქვე პრეზიდენტმა შევარდნაძემ დასძინა, რომ ნატოს აქვს უნარი ყველა ქვეყანაზე მოახდინოს გარკვეული ზეგავლენა.

აი, საქართველოს სწორედ ეს უნდა, რომ ამერიკამაც მოახდინოს გარკვეული ზეგავლენა რუსეთზე, რათა გადაწყდეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემა.

**დავით გეგეჭკორი**
*ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი*

# პირველი ორპარტიული სისტემის შექმნა ამერიკის შეერთებულ შტატებში

1787 წლის ფედერალური კონსტიტუციის მიღებამ საფუძველი ჩაუყარა ამერიკის ეროვნულ სახელმწიფოს. მან სიცოცხლე შეიძინა პირველი ეროვნული არჩევნების შემდეგ და მოღვაწეობა დაიწყო 1789 წელს აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების სახით. ეროვნული პოლიტიკური სისტემის სრულყოფისათვის ასევე პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული პოლიტიკური პარტიების შექმნას. სწორედ ამ ორმა ინსტიტუტმა – ეროვნული სახელმწიფო და ეროვნული პოლიტიკური პარტიები – შეადგინა ამერიკის პოლიტიკური სისტემის საფუძველი და უზრუნველყოს მისი სიცოცხლისუნარიანობა. ამ ორპარტიული სისტემის მონაწილეთა შემადგენლობა მთელი ამერიკის ისტორიის მანძილზე არაერთხელ შეიცვალა, მაგრამ რამდენიმე ფუნდამენტური პრინციპი, რომელიც თავიდანვე ჩამოყალიბდა, შენარჩუნებული იქნა შემდგომი ასწლეულების განმავლობაში.

ამერიკის შეერთებული შტატების პირველი მთავრობა არაპარტიულ საფუძველზე შეიქმნა. პოლიტიკური პარტიების ფორმირება დაიწყო მას შემდეგ, რაც ჯორჯ ვაშინგტონმა ფიცი დადო, როგორც აშშ-ის პირველმა პრეზიდენტმა და კონგრესი მუშაობას შეუდგა. ბედის ირონიით, ვაშინგტონმა, რომელიც ფრაქციული გამიჯვნის სასტიკი წინააღმდეგი იყო, მთავრობის ორ საკვანძო თანამდებობაზე – ფინანსთა მინისტრი და სახელმწიფო მდივანი – ა. ჰამილტონი და თ. ჯეფერსონი დანიშნა, მომავალი პოლიტიკური პარტიების შემქმნელები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ფედერალისტურ და რესპუბლიკურ[1] პარტიებს.

პირველი პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბება მიმდინარეობდა იმ ფონზე, როდესაც პარტიები და პარტიული ბრძოლა ყველა ამერიკელი ლიდერისათვის მიუღებელი იყო. თავიანთი ოპონენტების –რესპუბლიკელების მიმართ ყველაზე ხშირად ისინი იყენებდნენ „ფრაქციის" განსაზღვრებას, რომელშიც ინგლისურ-ამერიკული პოლიტიკური ტრადიციით უარყოფითი აზრი იყო ჩადებული. ა. ჰამილტონი კიდევ უფრო შორს მიდიოდა და რესპუბლიკელთა ფრაქციულ მოღვაწეობას ადარებდა გამთიშველთა მოძრაობას, რომელიც მიმართული იყო ფედერალური კავშირის დაშლისაკენ. პრეზიდენტის პოსტიდან გადადგომამდე თავის გამოსათხოვარ მიმართვაში ჯ. ვაშინგტონმა პარტიები „ამერიკული ერთიანობის უბოროტეს მტრად გამოაცხადა"[2]

პარტიებისადმი უარყოფითად იყვნენ განწყობილნი თვით რესპუბლიკელებიც. ერთ-ერთი ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე დ. ტეილორი ამტკიცებდა, რომ მოწინააღმდეგე პარტიების არსებობა ეწინააღმდეგებოდა რესპუბლიკური წყობის ბუნებას და წინადადებას აყენებდა, თუკი საჭირო იქნებოდა, შესწორება შეეტანათ ფედერალურ კონსტიტუციაში, რომელიც აღკვეთავდა პარტიულ გამიჯვნას. თვითონ თ. ჯეფერსონიც ამჯობინებდა, რომ აშშ-ში პარტიებად დაყოფა საერთოდ არ ყოფილიყო. 1801 წელს თავის საინაუგურაციო სიტყვაში მან წარმოთქვა ცნობილი

ფრა'სა: „ჩვენ ყველანი რესპუბლიკელები ვართ, ჩვენ ყველანი ფედერალისტები ვართ."[3]

შიში იმისა, რომ აშშ-ის პოლიტიკური ლიდერების პარტიებისადმი დამოკიდებულება, თითქოს მათი განვითარებისთვის ძალიან ვიწრო პერსპექტივას ქმნიდა, არ გამართლდა. სინამდვილეში პირიქით მოხდა. ფრაქციული გამიჯვნა, რომელმაც ბიძგი მისცა ფედერალისტური და რესპუბლიკური პარტიების დაფუძნებას, ჯერ კიდევ კონგრესში შეინიშნება 1789—1790 წლებში. 1792 წლიდან აშშ-ის პოლიტიკური მოღვაწეების ორ მოწინააღმდეგე პოლიტიკურ პარტიად გაყოფა რეალური ფაქტი გახდა. 1792 წლის მაისში ფინანსთა მინისტრმა ჰამილტონმა, გაბრაზებულმა განაცხადა, რომ მედისონი და ჯეფერსონი სათავეში ჩაუდგნენ იმ ფრაქციას, რომელიც მთავრობის ოპოზიციას წარმოადგენს და „საფრთხეს უქმნის კავშირს, ქვეყნის მშვიდობას და ბედნიერებას".[4]

1792 წელს მედისონმა გამოაქვეყნა სტატია „პოლიტიკური პარტიების თანამედროვე მდგომარეობა." მან აშშ-ში პარტიული გამიჯვნის განვითარების სამი ეტაპი გამოყო. პირველს მიაკუთვნა – რევოლუციურ პერიოდში ამერიკელთა გამიჯვნა დამოუკიდებლობის მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად, მეორეს – კონსტიტუციის 1787 წლის პროექტის გამო ფედერალისტებსა და ანტიფედერალისტებს შორის ბრძოლა, მესამეს კი – მე-18 საუკუნის 90-იან წლებში აშშ-ის კონგრესში პარტიული გამიჯვნა.[5]

ამერიკის პოლიტიკური ელიტის გამიჯვნის ძირითადი მიზეზი უნდა ვეძებოთ ჰამილტონსა (ფედერალისტური პარტიის თავმჯდომარე) და მედისონს (რომელიც კონგრესში სათავეში ჩაუდგა ფედერალისტთა ოპოზიციას) შორის არსებულ კონფლიქტში „საშინაო და საგარეო პოლიტიკის" ძირითად საკითხებზე. ეს უკანასკნელი ჯეფერსონის მთავარ პარტნიორად გამოვიდა რესპუბლიკური პარტიის ჩამოყალიბებაში. ფედერალური კონსტიტუციის შემუშავების დროს ჰამილტონი და მედისონი უახლოესი მოკავშირეები იყვნენ. ჰამილტონი მწობრიდან გამოვიდა, როდესაც კონგრესს თავისი ეკონომიკური პროგრამა წარუდგინა, ოპოზიციის სათავეში კი მედისონი იხილა. მოგვიანებით მან დაწერა, რომ აბსოლუტურად დარწმუნებული იყო მედისონის სრულ მხარდაჭერაში თავისი პოლიტიკის ძირითად მიმართულებებში, როდესაც ფინანსთა მინისტრის პოსტს იკავებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის თავის თავზე არ აიღებდა ასეთ პასუხისმგებლობას, რადგან იცოდა მედისონის გავლენის ძალა[6]. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სრული თანხმობა მათ შორის წინა პერიოდშიც არ ყოფილა. განხეთქილების მთავარი მიზეზი უნდა ვეძებოთ „ბურჟუაზიულ-პლანტატორულ" ელიტაში დაწყებულ უთანხმოებაში, რომელიც ანტიკოლონიური ბრძოლის ნიადაგზე ჩამოყალიბდა და განსაკუთრებულ სიმტკიცეს ფედერალური კონსტიტუციის მიღების წელს მიაღწია, როდესაც კიდევ უფრო განმტკიცდა ამ ორი ფენის ერთიანობა მოსალოდნელი სოციალური და ეკონომიკური საფრთხის წინაშე, მაგრამ ორი უმაღლესი ფენის ერთიანობას, რომლებიც სერიოზულად განსხვავდებოდნენ თავიანთი სოციალურ-ეკონომიკური ინტერესებით, ისტორიული პერსპექტივა არ გააჩნდა. პირველი ბზარი მას 1790 წელს გაუჩნდა, როგორც კი განმტკიცდა აშშ-ის შიდა პოლიტიკური და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა. ჰამილტონმა, რომელსაც მთავრობაში წამყვანი პოზიცია ეჭირა, ფედერალისტური პარტია ჩრდილო-აღმოსავლეთის კაპიტალის ინტერესებს დაუქვემდებარა, რამაც ფედერალისტებიდან მედისონის მეთაურობით გავლენიანი სამხრეთელი პოლიტიკოსების ჩამოცილება გამოიწვია. ჩამოცილდა თუ არა

ჰამილტონს, მედისონმა მაშინვე გადაგა მოულოდნელი ნაბიჯი და მჭიდრო პოლიტიკურ ალიანსში შევიდა ჯეფერსონთან რაც, თითქოსდა, ერთი შეხედვით გამორიცხული იყო, რადგან ჯეფერსონი წინა პლანზე ფერმერებს სწევდა, მედისონი კი პლანტატორების ინტერესებს იცავდა. მათი ალიანსი უფრო პრაგმატულ ხასიათს ატარებდა. ისინი ორივენი ეწინააღმდეგებოდნენ ამერიკის განვითარების ჰამილტონის გეგმას. ჯეფერსონმა და მედისონმა ურთიერთდათმობებზე წასვლით პოლიტიკური კომპრომისის შესანიშნავი ცოდნა გამოავლინეს. ჰამილტონის საკმაოდ მყარი პოზიცია მთაერობაში აიძულებდათ მათ, რაც შეიძლება მალე შეექმნათ ანტიჰამილტონური კოალიცია. 1791 წელს მათ პირველი პოლიტიკური კონტაქტები დაამყარეს სხვადასხვა გავლენიან პოლიტიკურ მოღვაწეებთან (დ. კლინტონი, ა. ბერი). ამით საკმაოდ განიმტკიცეს პოზიციები სამ შტატში – ვირჯინია, პენსილვანია და ნიუ-იორკი.[7] თავიანთი პოზიციების განმტკიცებას ფედერალისტებიც ცდილობდნენ, თუმცა ნაკლებ ეფექტურად.

1796 წლამდე ორივე პარტიის ფორმირება ამერიკის კონგრესის მეშვეობით მიმდინარეობდა. ეროვნული კონვენტის დელეგატთა უმეტესობას არ გააჩნდა ნათლად ჩამოყალიბებული პარტიული მსოფლმხედველობა. რესპუბლიკური და ფედერალისტური პარტიის ლიდერები აქტიურად ცდილობდნენ მათ გადაბირებას. 1796 წელს რესპუბლიკურმა ფრაქციამ კონგრესში პირველად წამოაყენა კანდიდატი საპრეზიდენტო არჩევნებში. ამ დღიდან მოყოლებული პრეზიდენტისა და კონგრესმენთა არჩევნები პარტიული დაპირისპირების ფონზე მიმდინარეობდა. პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბებამ და მათმა მოღვაწეობამ თანდათან შტატებში გადაინაცვლა. პარტიულმა ორგანიზაციებმა საკმაოდ მყარი პოზიციები მოიპოვეს შტატებში. პირველებმა ასეთი ორგანიზაციები რესპუბლიკელებმა შექმნეს 1800 წლის ფედერალური არჩევნების დროს. ისინი არა მარტო ტრადიციულ კორესპონდენციურ კომიტეტებს იყენებდნენ, რომელთა მეშვეობითაც კავშირს ამყარებდნენ ცალკეულ შტატებს შორის, არამედ შექმნეს პარტიული სისტემა, რომელიც საარჩევნო კამპანიას წარმართავდა ოლქებში, საგრაფოებში, ქალაქებში. 1800 წელს ფედერალისტები საკმაოდ ჩამორჩებოდნენ რესპუბლიკელებს თავიანთი პარტიული ორგანიზაციის სტრუქტურით. საერთოდ კი, ორი პარტიის ორგანიზაციული გაფორმება საკმაოდ ჩამორჩებოდა მათ პოლიტიკურ და იდეოლოგიურ აქტიურობას.

წინააღმდეგობა ორ პარტიას შორის პრინციპული იყო: დავა ძირითადად ერის განვითარების გზის არჩევაზე მიმდინარეობდა. ფედერალისტებისა და რესპულიკელთა სახელებიდან გამომდინარე, ალტერნატიულ გზებს უწოდეს „ჰამილტონის" და „ჯეფერსონის" გზები. აზრთა სხვადასხვაობა პირველ ეროვნულ პარტიებს შორის რეალურ და ღრმა ხასიათს ატარებდა, თუმცა კონფლიქტი ფედერალისტებსა და რესპუბლიკელებს შორის არ იყო ანტაგონისტური. მათ ცვლილებას პოლიტიკურ ოლიმპზე 1800 წელს მშვიდობიანი, კონსტიტუციური ხასიათი ჰქონდა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური კურსის მემკვიდრეობითობით ხასიათდებოდა.

პირველი უთანხმოებანი ფედერალისტებსა და რესპუბლიკელებს შორის წარმოიშვა ეკონომიკურ საკითხებზე. ფედერალისტთა ეკონომიკური პროგრამა, რომელიც ჰამილტონმა 1790–1791 წლებში რამდენიმე მოხსენებაში ჩამოაყალიბა, 1787–1788 წლების ფედერალიზმის სერიოზულ ტრანსფორმაციას ითვალისწინებდა.

ჰამილტონისა და ფედერალური პარტიის ქმედებები მრეწველობის განვითარებისაკენ იყო მიმართული და ძირითადად მრეწველთა და ფინანსისტთა ინტერესებს ითვალისწინებდა. ფედერალისტებისაგან განსხვავებით რესპუბლიკელები აგრარული მასების სახელით გამოდიოდნენ. ფაქტობრივად პირველი ეროვნული პარტიები კაპიტალიზმის განვითარების სხვადასხვა გზებს უჭერდნენ მხარს: ფედერალისტები – ფინასურ – სამრეწველო, რესპუბლიკელები – აგრარულს. თუკი ფედერალისტებისა და რესპუბლიკელების ეკონომიკურ პლატფორმებში, პირველ რიგში, ყურადღებას იქცევს მათი ალტერნატიულობა, პოლიტკურ შეხედულებებში შესამჩნევია კონსესუსი ამერიკის დამფუძნებელთა იდეების გააზრებაში. ჰამილტონისა და ჯეფერსონის მომხრეებმა გადალახეს კონფლიქტი, რაც მათ წინამორბედებს აშშ-ის კონსტიტუციასა და ცენტრალურ მთავრობასთან მიმართებაში ახასიათებდათ. ფაქტობრივად ორივე პარტიამ ერთგულება გამოუცხადა ფედერალურ სახელმწიფო წყობას, რომელიც 1787 წლის კონსტიტუციით დააკანონეს. რესპუბლიკელებმა დასაწყისშივე არაორაზროვნად განაცხადეს თავიანთი განზრახვის შესახებ – ფედერალისტებისათვის წინააღმდეგობა გაეწიათ არსებული სახელმწიფო-პოლიტიკური სისტემის ჩარჩოში.

12 წლის განმაველობაში (1789–1801), როდესაც ფედერალისტები ხელისუფლებაში იმყოფებოდნენ, მათი ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა იყო აშშ-ის პრეზიდენტის უფლებების გაფართოება.[8] ამ კონცეფციას განსაკუთრებით აშშ-ის მეორე პრეზიდენტი ადამსი იცავდა. მან ფედერალისტებიდან პირველმა განაცხადა, რომ ფედერალურმა ხელისუფლებამ სუსტი საპრეზიდენტო ხელისუფლება შექმნა[9]. ადამსს არ მოსწონდა, სხვადასხვა პოლიტიკური ხელშეკრულებების დადების უფლების სენატთან გაყოფა. ფედერალისტი პრეზიდენტის აღზევება კონგრესზე რეალურად გაზრდიდა ამ პარტიისათვის სასურველი კურსის გატარების შესაძლებლობებს.

ფედერალისტებსა და რესპუბლიკელებს შორის წინააღმდეგობებში თანდათანობით მოწინავე პოზიციებზე გამოვიდა საგარეო პოლიტიკური უთანხმოებანი. ამ პარტიებს თავიანთი პოლიტიკური კურსის გამო „ინგლისურს" (ფედერალისტები) და „ფრანგულს" (რესპუბლიკელები) უწოდებდნენ[10].

ფედერალისტური პარტია წინააღმდეგობებს შეეჯახა თავისი კურსის გატარებისას. ის ინგლისთან ურთიერთობების გაუმჯობესებას და საფრანგეთთან კავშირის მოშლას ითვალისწინებდა. ბევრი ამერიკელი, რომელსაც კარგად ახსოვდა ანტიკოლონიური ბრძოლა მეტროპოლიის წინააღმდეგ და საფრანგეთის დახმარება, ფედერალისტების საგარეო პოლიტიკურ დოქტრინას რევოლუციისა და ეროვნული ინტერესების შეურაცხყოფად განიხილავდა. ფედერალისტებს დიდი ძალისხმევა დასჭირდათ, რათა თავიანთი საგარეო პოლიტიკური არჩევანი დაესაბუთებინათ.

ფედერალისტების აზრით, დიდ ბრიტანეთთან ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირებისაკენ აღებული კურსი ტაქტიკურ ხასიათს ატარებდა. ასაბუთებდნენ რა ამერიკისათვის ინგლისთან კავშირის ეკონომიკურ სარგებლობას, ისინი განსაკუთრებით ხაზს უსვამდნენ იმ გარემოებას, რომ ამერიკელ ვაჭართა საკმაოდ დიდ რაოდენობას თავისი საქონელი დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე შეჰქონდა და მხოლოდ შემთხვევიდან შემთხვევამდე შედიოდა საფრანგეთის ნავსადგურებში. გარდა ამისა, ფედერალური ხაზინა ივსებოდა გადასახადებით შტატებში ინგლისური საქონელის იმპორტით, რაც ბევრად აღემატებოდა საფრანგეთიდან შემოტანილ პროდუქციას. ფედერალისტთა ანტიფრანგული არგუმენტები პრაგმატიზმსა და იდეოლოგიურ მოტივებს შეიცავდა, რომლებიც საფრანგეთის რევოლუციის მიერ

გამოწვეული ცვლილებების ფონზე თანდათან ძლიერდებოდა. თვითონ ჰამილტონმა საფრანგეთის შესახებ განაცხადა, რომ ეს ქვეყანა 1789 წლიდან დაწყებული ხანგრძლივი რევოლუციის შემდეგ არ შეიძლება განვიხილოთ სტაბილური და ძლიერი პოლიტიკური სისტემის რანგში. საფრანგეთის ხელისუფლების პოლიტიკური რადიკალიზმი სავსებით შეუთავსებელია ამერიკულ ღირებულებებთან, ჰამილტონის მტკიცებით, მას შემდეგ, რაც საფრანგეთმა ომი გამოუცხადა პრუსიას, ავსტრიას, ინგლისსა და ესპანეთს, ამოწურა 1778 წლის საფრანგეთ-ამერიკის ხელშეკრულების მოქმედება, ვინაიდან ეს ხელშეკრულება ატარებდა თავდაცვით ხასიათს, ამერიკელებს უფლება აქვთ უარი თქვან ხელშეკრულებაზე, რადგან საფრანგეთი გამოვიდა როგორც „აგრესორი."[11]

რესპუბლიკური პარტიის საგარეო პოლიტიკური დოქტრინა, ისევე, როგორც ფედერალისტებისა აშშ-ის ეროვნული ინტერესების, როგორც უზენაესი ღირებულებების აღიარებით გამოდიოდა, მაგრამ იმავე დროს ამტკიცებდა, რომ სწორედ ანტიინგლისური კურსი წარმოადგენდა საიმედო საშუალებას ქვეყნის დამოუკიდებლობის განმტკიცების საქმეში. რესპუბლიკური პარტიის პროფრანგული ორიენტაცია მისი ლიდერის პირადი სიმპათიითაც იყო განპირობებული, თუმცა აშშ-ის სამხედრო ვალდებულებებისას საფრანგეთის წინაშე ჯეფერსონი და რესპულიკელები სიფრთხილეს იჩენდნენ, რადგან ამერიკას არ გააჩნდა არც სამხედრო ფლოტი და არც რეგულარული არმია, რომლებიც საფრანგეთს შეიძლებოდა დახმარებოდა. ამიტომ მათ თავი უნდა შეეკავებინათ სამხედრო მოქმედებებში მონაწილეობისაგან და ნეიტრალიტეტი აერჩიათ. მოგვიანებით ჰამილტონმა პრეზიდენტ ვაშინგტონს შესთავაზა გამოეცა პროკლამაცია აშშ-ის ნეიტრალიტეტზე. ჯეფერსონი ამას შეეწინააღმდეგა. მისი აზრით, სიტყვა „ნეიტრალიტეტი" ეჭვქვეშ აყენებდა 1778 წლის საფრანგეთ-ამერიკის ხელშეკრულებას. გარდა ამისა, ის მოითხოვდა, რომ პროკლამაცია გამოეცა კონგრესს და არა პრეზიდენტს.[12] საბოლოო ჯამში, პროკლამაცია პრეზიდენტმა გამოსცა, მაგრამ სიტყვა „ნეიტრალიტეტი" მასში არ გამოიყენეს. ამ საკითხში მიღწეული კონსენსუსი ორპარტიულ საფუძველზე მიღებული საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილების პირველი მაგალითი იყო.

1798 წელს რესპუბლიკელებმა თავიანთი ქმედებით პირველად და უკანასკნელად შეუქმნეს საფრთხე პარტიული სისტემის ჩამოყალიბების პროცესს. რეზოლუციებში, რომლებიც ჯეფერსონმა მოამზადა და კენტუკის რეგისტრატურამ მოიწონა, ანტიკონსტიტუციურად ცხადდებოდა ფედერალური კანონები, რომლებიც დაარღვევდა ბილს უფლებების შესახებ.[13] ყველაზე მთავარი აქ იყო ის გარემოება, რომ რესპუბლიკელებმა განაცხადეს შტატების უფლების შესახებ, არ დამორჩილებოდნენ ფედერალური ხელისუფლების ამა თუ იმ მსგავს კანონს, ე. ი. უარყვეს ფედერალური კანონმდებლობისა და მთავრობის უზენაესობის პრინციპი და მას დაუპირისპირეს კავშირისათვის დამანგრეველი შტატების სუვერენიტეტის პრინციპი.

1800 წელს მეოთხე საპრეზიდენტო არჩევნების დროს რესპუბლიკურმა პარტიამ პირველად მოიპოვა გამარჯვება ფედერალისტებზე და მყარად დაიმკვიდრა ადგილი აშშ-ის სახელისუფლებო სტრუქტურებში. ასე ჩამოყალიბდა პირველი ორპარტიული სისტემა ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელსაც პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული პოლიტიკური სისტემის სრულყოფისათვის.

## შენიშვნები და გამოყენებული ლიტერატურა


1. სხვაგვარად ამ პარტიას „ჯეფერსონის რესპუბლიკელებს“ უწოდებენ, რაც შეეხება ჩვენთვის დღეს ცნობილ რესპუბლიკურ პარტიას, ის 1854 წელს შეიქმნა.
2. J. T. Main. Political parties befor the constitutions C, H, 1973, p.54.
3. C. Bowers. Jefferson and Hamilton: a strugle for democracy in America L, 1925, p.32.
4. Ibid, p. 56.
5. J. Zvesper Political philosophy and rheoretic a study of the origins American party politics N. Y., 1977, p.58.
6. C.' Bowers, кр.cit., p.64.
7. J. Zvesper, кр. cit., p.109.
8. Согрин В. ,Политическая история США ( XVII-XX вв.), М., 2001, 78.
9. Там же, с.87.
10. Там же, с.80.
11. J. Zvesper, кр.cit., p. 127.
12. Koch A. The Philosophy of Thomas Jefferson N. Y., 1943, p.79.
13. Ibid, p.56.

**ანა გიორგობიანი**
*თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის მაგისტრანტი*

# ანტიამერიკული განწყობა არაბულ სამყაროში

ტერორიზმი XX 60-იანი წ.წ. დასაწყისიდან საზღვარგარეთის ქვეყნებისათვის სერიოზულ პრობლემად იქცა. 80-იანი წლების მსოფლიოში იწყება ტერორიზმის არნახული აღმავლობა. იგი გადაიქცა, როგორც შიდასახელმწიფოებრივ, ასევე საერთაშორისო პრობლემად. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სტატისტიკური ბაზის მონაცემებით, 1979–1989წწ. საერთაშორისო ტერორისტული აქტების საერთო რაოდენობამ 9295 შეადგინა. მარტო 1997წელს საერთაშორისო ტერორისტული აქტების შედეგად 741 ადამიანი დაიღუპა.[1]

ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად საჭირო გახდა საერთაშორისო სისხლის სამართლის კანონმდებლობის აქტიური ჩარევა. შემუშავებულია მთელი რიგი უნივერსალური და რეგიონალური ხასიათის კონვენციები, რომლებიც ჩამოყალიბებულია სახელმწიფოთა თანამშრომლობის ძირითადი პრინციპების სახით. (ტოკიოს 1963წ. 14 სექტემბრის კონვენცია თვითმფრინავების გატაცების წინააღმდეგ, 1991წ. 1 მარტის კონვენცია (მონრეალში) პლასტიკური ასაფეთქებელი ნივთიერებების წინააღმდეგ და ა.შ.).[2]

მთელი მსოფლიო დღეს ტერორიზმის შესახებ საუბრობს. დედამიწაზე მცხოვრებმა ყველა ადამიანმა იგრძნო ტერორიზმის საშიშროება, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც 2001 წლის 11 სექტემბერს ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში განხორციელდა ტერაქტები, რომლებიც უნიკალური იყო თავისი ფორმითა და ხასიათით. ასეთი ტერორისტული აქტები, უფრო სწორედ ტერორისტული ომი არავის ახსოვს.

მოცემული ნაშრომის ძირითადი მიზანია არა 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების განხილვა, არამედ ის, თუ რამ მიიყვანა არაბული სამყარო ასეთ ნაბიჯებამდე, რასაც საბოლოოდ 11 სექტემბრის ტრაგედია მოჰყვა და რამაც 3000 კაცზე მეტი სიცოცხლე შეიწირა.

არაბული ანტიამერიკანიზმის შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ბარი რუბინი, რომელიც კლინტონის ადმინისტრაციაში კურირებდა ახლო აღმოსავლეთის საკითხებს და ამჟამად გლობალურ გამოკვლევათა საერთაშორისო ცენტრის დირექტორია. თავის ნაშრომში „აღმოსავლეთის ტრაგედია და ანტიამერიკული ტერორიზმი" განიხილავს რა 11 სექტემბრის ნიუ-იორკისა და ვაშინგტონის ტრაგედიას, ის დაწვრილებით ანალიზს უკეთებს შედეგის მიზეზებს. მისი აზრით, ამას მეტად ღრმა ფესვები აქვს. ანტიამერიკანიზმი არაბულ სამყაროში ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ ერთ მიზანს, რათა ამ სახელმწიფოთა მმართველმა ელიტამ თავისი პოლიტიკური სისუსტე და უნიათობა, რაც თავისთავად აისახება ხალხის სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაში, დააბრალოს ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელიც ამ ლიდერებს მონსტრის სახით ჰყავთ წარმოდგენილი.[3]

თუმცა ამ ნავთობით მდიდარ ქვეყნებში არსებული მდგომარეობის რეალური მიზეზები იყო არასწორი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა და სახელმწიფო

მართვის დიქტატორული რეჟიმი, რის გამოც ვერ განხორციელდა დემოკრატიის ისეთი ელემენტალური მოთხოვნები, როგორიცაა, მაგალითად: პრივატიზაცია, ქალთა უფლებების დაცვა, სიტყვისა და პრესის თავისუფლება, კანონის უზენაესობა, არ არსებობდა სამოქალაქო საზოგადოება და ა.შ.

ყოველივე ამის გამო საჭირო გახდა მტრის ხატის შექმნა, რათა საკუთარი ხალხი დაერწმუნებინათ, რომ, რომ არა ამერიკის შეერთებული შტატების „დამპყრობლურ-წამგლეჯური" პოლიტიკა და რეგიონში ამ პოლიტიკის გამტარებელი ისრაელი, ისინი სამოთხეში იცხოვრებდნენ.[4]

საყურადღებოა, ასევე ის ცნობები, რომელსაც უსამა მაკდისი გვაწვდის, ეს ცნობები იმდენად მნიშვნელოვანია, რამდენადაც ავტორი არაბული სამყაროს მხარეს წარმოადგენს: „ანტიამერიკანიზმი არის ცივილიზაციათა არაეპოქალური კონფრონტაცია". მისივე სიტყვებით, ისევე როგორც შეერთებულ შტატებში, არაბულ სამყაროშიც არსებობს რწმენა იმის შესახებ, რომ ეს არის ცივილიზაციათა შეჯახება, მაგრამ მათ ისტორია ეწინააღმდეგება.

პირველი მსოფლიო ომის დროს შეერთებული შტატების შესახებ წარმოდგენა სულ სხვანაირი იყო. არაბების ის წარმომადგენლები, რომლებიც კარგად იცნობდნენ ამ ქვეყანას, უყურებდნენ მას, როგორც დიდ ძალას, რომელიც არ იყო იმპერიული, იმ დროს, როცა დიდი ბრიტანეთი, რუსეთი, საფრანგეთი იყვნენ უდიდესი იმპერიული ქვეყნები. ლიბერალური ამერიკა – ეს არ იყო უბრალოდ ლოზუნგი, ეს იყო სინამდვილე.

დღეს არაბების უმრავლესობაში ანტიამერიკული განწყობის გამოხატვა გამოწვეულია არა იმდენად ბრმა სიძულვილით შეერთებული შტატების ფასეულობების მიმართ, არამედ ურთიერთობების ორმაგი სტანდარტით. არაბი მოსახლეობა მოხიბლულია შეერთებული შტატების სიდიადით: ფილმებით, ტექნოლოგიებით, კანონებით. მაგრამ, მეორე მხრივ, განიცდიან იმედგაცრუებას იმ პოლიტიკის გამო, რასაც ამერიკა განაგრძობს ახლო აღმოსავლეთში ძალაუფლების შესანარჩუნებლად.[5]

თუ განვიხილავთ ამერიკის პოლიტიკას ახლო აღმოსავლეთის მიმართ, დავინახავთ, რომ შეერთებული შტატები, ისევე როგორც სხვა ქვეყნები, ცდილობდა და ცდილობს თავისი საგარეო პოლიტიკა საკუთარ ინტერესებს დაამთხვიოს, რაც თავიდან არ ეწინააღმდეგებოდა არაბ ლიდერთა და მათ ხალხთა პოლიტიკას. ამერიკის შეერთებულ შტატებს, რასაკვირველია, ჰქონდა საკუთარი ინტერესები ქუვეითის მხარდაჭერისას ერაყის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში, მას სურდა იაფფასიანი ნავთობის შენარჩუნება, მაგრამ მისი პოლიტიკა რეალურად ჯერ კიდევ რჩებოდა პრომუსლიმური და პროარაბული. შეერთებული შტატები ყოველთვის ცდილობდა თავისი მხარდამჭერები ჰყოლოდა მუსლიმურ და არაბულ სამყაროში, რაც სათავეს იღებს ჯერ კიდევ 1950-იანი წლებიდან. ამის ნათელ მაგალითად 1956 წლის სუეცის ომიც გამოდგება, როდესაც კონფლიქტში ჩართულ ეგვიპტესთან და მის პრეზიდენტთან გამალ აბდელ-ნასერთან, ამერიკა შეეცადა მოეძებნა საერთო გზები პრობლემის გადასაწყვეტად, რამაც საბოლოოდ შედეგი გამოიღო.

ამის შემდეგ შეერთებული შტატები განაგრძობდა თავისი პროარაბული და პრომუსლიმური პოლიტიკის გატარებას მთელი ცივი ომის პერიოდში. ამით იგი ცდილობდა ხელი შეეშალა არაბული სამყაროს დაახლოებისათვის საბჭოთა კავშირთან. ყოველივე ეს კი იწვევდა იმას, რომ მისი პოლიტიკა იმ არაბული ქვეყნებისადმი, რომლებიც ეწეოდნენ ტერორიზმს ლოიალური და ნაკლებად

მკაცრი იყო. ტრადიციული ისლამი აღქმული იყო, როგორც კომუნიზმისაგან დამცავი ფარი.[6]

ამის გამო ჯერ კიდევ ცივი ომის პერიოდში პოპულარული გახდა ამერიკის პოლიტიკის ანტიარაბულად წარმოჩენა, რაც აბსოლუტურად უსაფუძვლო იყო, თუმცა ყოველივე ეს ხელს აძლევდა რადიკალურად განწყობილი რეჟიმის სახელმწიფოებს, რომლებიც თავიანთი პოლიტიკის მოწინააღმდეგეებს დასავლეთის მარიონეტებად აცხადებდნენ. უფრო მეტიც, ისინი რეგიონში ამერიკის მხარდამჭერ მთავრობებს ანტიდემოკრატიულობას და ადამიანთა უფლებების დარღვევაში ადანაშაულებდნენ. ამ დროს სწორედ ეს სახელმწიფოები (ლიბია, სირია, ერაყი, ირანი) გამოირჩეოდნენ და დღესაც გამოირჩევიან (ამჯერად უკვე ერაყის გამოკლებით) ანტიდემოკრატიულობითა და ადამიანთა უფლებების დარღვევით.

როდესაც შეერთებული შტატები ეხმარებოდა ეგვიპტესა და საუდის არაბეთის მეგობრულად განწყობილ მთავრობებს, ზემოთ აღნიშნული რეჟიმები ამას აღიქვამდნენ, როგორც საბოტაჟს მათ მიმართ. როგორც კი ამერიკის მთავრობამ მოახდინა ზეწოლა ამ ქვეყნებზე, რათა მათი მიდგომა და პოზიცია შეცვლილიყო და გამხდარიყო უფრო დემოკრატიული, ეს წარმოჩენილ იქნა, როგორც იმპერიალისტური პოლიტიკა. საბოლოოდ რადიკალების მცდელობაა დააკნინონ ამერიკის პოლიტიკა რეგიონში და ის მხოლოდ ამერიკის ისრაელისადმი მხარდაჭერაზე დაიყვანონ. ასევე დამახინჯებულია ისრაელის პოლიტიკა, რომელიც გამოყვანილია, როგორც ბოროტი ძალა, რომელსაც ახლო აღმოსავლეთში ბატონობა უნდა: კლავს არაბებს და ანადგურებს ისლამს. აქედან გამომდინარე ამერიკის მიერ ისრაელის მხარდაჭერა განიხილება, როგორც ბოროტების სათავე[7].

მიუხედავად ამ ყველაფრისა, შეერთებულ შტატებს სჭირდებოდა მშვიდობიანი ურთიერთობების შენარჩუნება როგორც არაბულ ქვეყნებთან, ისე ისრაელთან. თავის მხრივ, არაბი რადიკალები ყოველთვის ეწინააღმდეგებოდნენ კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას, ვინაიდან ამ რეგიონის სტაბილურობა მოუსპობდა მათ ძალაუფლების ხელში ჩაგდების გზებს.

ყოველთვის, როცა ჩნდებოდა კონფლიქტის დიპლომატიურად მოგვარების გზები, იმავდროულად ხდებოდა ახალ-ახალი ტერორისტული აქტები. არაბული სამყაროს მმართველი ელიტისათვის ანტიამერიკანიზმი ფრიად მომგებიანი პოზიციაა და რადიკალი ისლამისტები დიდ სარგებლობას იღებენ აქედან. თუმცა მათი არაერთგზის მცდელობა, მოეხდინათ თეოკრატიული რევოლუცია – კრახით დასრულდა და უარყოფილი იქნა ხალხის მიერ[8].

უნდა აღინიშნოს, რომ თითოეულ არაბულ ქვეყანას თავისი მიზანი აქვს ამერიკის საწინააღმდეგო პოლიტიკის გატარებისას. მაგალითად: ერაყს სურდა არაბულ სამყაროში რეაბილიტაცია, ქუვეითში მისი დამპყრობლური პოლიტიკის გატარების გამო. ამიტომ ის ამერიკის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სანქციებს წარმოაჩენდა, როგორც ანტიარაბულს. მისი რეალური განზრახვა და ის, თუ რით დასრულდა დღეს ეს ყველაფერი, უკვე ნათელია.

თავის მხრივ ირანი ცდილობდა ანტიამერიკანიზმის გამოყენებას თავის სასიკეთოდ და შეერთებული შტატების სამხედრო ძალების განდევნას სპარსეთის ყურიდან. გარდა ამისა ამით დიდ შიდაპოლიტიკურ სარგებელს იღებდნენ ისლამური ირანის კონსერვატიულ-რადიკალური ძალები.

რაც შეეხება პალესტინას, ის ანტიამერიკული განწყობის დათესვით იქმნის ჩაგრულის იმიჯს, რათა თავის გარშემო გააერთიანოს არაბული სამყარო და

აიძულოს ამერიკის მთავრობა, რაც შეიძლება მეტ დათმობაზე წავიდეს ისრაელ-პალესტინის კონფლიქტში. ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგება ის ცნობები, რომლებიც სირიის ერთ-ერთ გაზეთ „ტიშრინ"-ში დაიბეჭდა. ამ სტატიაში ლაპარაკია იმაზე, რომ არაბებმა დიდი მსხვერპლი გაიღეს 11 სექტემბრის მოვლენებთან დაკავშირებით, იმ დროს, როცა ისრაელმა ეს ყველაფერი გამოიყენა იმისთვის, რომ პალესტინას ტერორიზმის მხარდაჭერა დაბრალებოდა და მიუხედავად იმისა, რომ მილიონობით არაბი უთანაგრძნობდა დაღუპულებს და გამოხატავდა სიმპათიას ამერიკელების მიმართ, სწორედ ისრაელმა შეძლო ამ ტრაგედიის გამოყენება.

მართალია არაბულ სამყაროს აქვს გარკვეული პრეტენზიები ამერიკისა და მისი პოლიტიკის მიმართ, მაგრამ ეს არ შეიძლება გახდეს ტერორიზმის მხარდაჭერის საბაბი. აგიტაცია იმის შესახებ, რომ ამერიკა გამდიდრდა მათი ნავთობით და მათი ცხოვრების დაბალი დონე სწორედ ამითაა გამოწვეული, ვფიქრობ არაობიექტურია.[9]

ანტიამერიკული პროპაგანდა მიზნად ისახავს წარმოაჩინოს მტერი, როგორც უსუსური (11 სექტემბრის ტერაქტების სერია), რადგან ზოგიერთი არაბული ქვეყნის რადიკალურ მთავრობებს საშინლად აღიზიანებს ის ფაქტი, რომ შეერთებული შტატები მსოფლიოში ძლიერ ძალად აღიქმება და, რომ მათ მოსახლეობას შორის გაჩნდა აზრი იმის შესახებ, რომ შეიძლება ჯობდეს ყველა საკითხის ურთიერთთანამშრომლობით მოგვარება. სწორედ 11 სექტემბრის ტერაქტების სერია იყო მცდელობა იმისა, რათა დაემტკიცებინათ მასებისათვის, რომ შეერთებული შტატები არც ისე ძლიერი და ყოვლისშემძლე სახელმწიფოა და, რომ იგი მხოლოდ ვეფხვის ბუტაფორიას წარმოადგენს.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. ე. თორდია. ტერორიზმი და თანამედროვეობა. სტუდენტთა III სამეცნიერო კონფერენცია შუა საუკუნეების ისტორიის საკითხებზე, 21-22 ნოემბერი, თბ., 2001. გვ. 118-119
2. М.Кварадзе. Характеристика современного терроризма. В кн.: „Российский ежедневник международного права". М., 1995, с.182.
3. Barry Rubin and Tudith Colp Rubin. Anti – Amerikan Terrorism and the Middle East, кxford 2002. html www.oup-usa.org
4. იქვე.
5. The Real Roots of Anti-Americanism, by John Perazzo, November 14, 2002 http://www.frontpagemag.com/Articles/Printable.aspIк=4610
6. იქვე.
7. The Real Roots of Anti-Americanism http://www.fareignaffairs.org./gs/terrorism.html
8. იქვე.
9. იქვე.

**ირაკლი გორგილაძე**
*ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*ისტორიის ფაკულტეტის ასისტენტი*

# ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა კასპიის რეგიონში (პოსტსაბჭოური პერიოდის ანალიზი)

> არ მახსენდება შემთხვევა, რომელიმე
> რეგიონს ოდესმე ესოდენი სტრატეგიული
> მნიშვნელობა შეეძინოს, როგორიც კასპიის
> რეგიონის შემთხვევაში მოხდა.
>
> რიჩარდ ჩეინი (1998)

საბჭოთა კავშირის დაშლამ და ახალი დამოუკიდებელი ქვეყნების სუვერენიზაციამ ძირეულად შეცვალა მსოფლიოში არსებული წესრიგი. კარდინალურად შეიცვალა სიტუაცია კასპიის ზღვის (ტბის)[1] რეგიონშიც. რუსეთსა და ირანს, რომლებიც ათწლეულების განმავლობაში განსაზღვრავდნენ კასპიისპირეთის ბედს, დაემატათ აზერბაიჯანი, თურქმენეთი და ყაზახეთი, რითაც საფუძველი დაედო რეგიონის განვითარების ახალ ისტორიულ ეტაპს. სსრ კავშირიდან გამოსული კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნები იმთავითვე წამყვან სახელმწიფოთა ყურადღების ცენტრში აღმოჩნდნენ.

ახლად ჩამოყალიბებული ქვეყნები, აგრეთვე ირანი, თურქეთი და რუსეთი იწყებენ საკუთარი რეგიონალური პოლიტიკის გატარებას, თუმცა გეოპოლიტიკური ვაკუუმი ჯერ კიდევ არსებობს, რადგან იმთავითვე თავის დომინირებულ პრეტენზიებზე მიანიშნა დასავლეთმა. ერთადერთი გამაერთიანებელი იდეა, რომელიც თითოეული ქვეყნის ყურადღებას იქცევდა და იქცევს, ეს არის ნავთობი და გაზი, ნედლეული, რომელიც წარმოადგენს ერთადერთ აბსოლუტურად ლიკვიდურ საქონელს და მოთხოვნით სარგებლობს ნებისმიერი ეკონომიკური კონიუნქტურის პირობებში, ნედლეული, რომელზეც ბევრადაა დამოკიდებული თანამედროვე ეკონომიკა მისი მნიშვნელობა მსოფლიო პოლიტიკისათვის, თავისი მარაგის ამოწურვასთან ერთად, სულ უფრო იზრდება. შესაბამისად ნათელია მჭიდრო კავშირიც საერთაშორისო ურთიერთობებსა და ენერგოუსაფრთხოების პრობლემას შორის.

ცნობილი ამერიკელი გეოპოლიტიკოსის ზბიგნევ ბჟეზინსკის მიხედვით, ამერიკული სტრატეგია უნდა გავრცელდეს მთელ ევრაზიაზე. იგი მიუთითებს კასპიისპირეთის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე და მას ევრაზიულ ბალკანეთს უწოდებს.[3] ევროპული ბალკანეთისაგან განსხვავებით ეს რეგიონი გაცილებით დიდია, უფრო მჭიდროდაა დასახლებული და მეტი ეთნიკური სიჭრელით გამოირჩევა. მსგავსება კი ისაა, რომ ამ ფართო რეგიონის პოლიტიკურ სუბიექტებში საკმაოდ არასტაბილური პოლიტიკური სიტუაციაა. როგორც ჩანს, სწორედ ეს იქცა დაინტერესებულ სახელმწიფოთათვის (მათ შორის აშშ-თვის) ერთგვარ მაცდუნებელ ფაქტორად.

ჯერ კიდევ 10 წლის წინ კავკასია ცენტრალური აზიის ქვეყნებთან ერთად მხოლოდ სსრკ-ის ნაწილი იყო. ტერიტორია, რომელიც ადრე ფაქტობრივად

უზარმაზარი იმპერიის სასაზღვრო ზოლს წარმოადგენდა, დღეს დამოუკიდებელ მნიშვნელობას იძენს და ექცევა სხვადასხვა რეგიონალურ თუ დიდ სახელმწიფოთა ინტერესების სფეროში. აშშ-მა ეს რეგიონი თავისი საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებად გამოაცხადა[4] (აქვე მოიაზრებიან ის ქვეყნებიც, რომლებიც ნავთობის საკუთარ ტერიტორიაზე ტრანსპორტირების უფლებას მიიღებენ და ჩაერთვებიან ე.წ. გეოპოლიტიკურ ტრანსფერში).

სტრატეგიული გეგმების ჩარჩოებში აშშ აფართოებს თავის გავლენას როგორც მახლობელ აღმოსავლეთში, ისე კავკასიასა და კასპიისპირეთში. ბჟეზინსკი აღნიშნავს, რომ პირველად ისტორიაში არაევროპული, სახელმწიფო აღზევდა არა მხოლოდ ევრაზიის, არამედ მსოფლიო არბიტრის როლში.

აშშ-ის რეგიონში შეღწევა და საკუთარი პოზიციების გამყარება განისაზღვრება მრავალმხრივი თანამშრომლობითი პოლიტიკით როგორც საკუთრივ რეგიონის ქვეყნებთან, ისე მის მოსაზღვრე სახელმწიფოებთან (მაგალითად, აზერბაიჯანი და საქართველო. მართალია, საქართველოს არ გააჩნია გასასვლელი კასპიის ზღვაზე, მაგრამ საყურადღებოა მისი ხელსაყრელი სატრანზიტო გეოგრაფიული მდებარეობა). ამ მიმართებით მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა დიპლომატიური და წარმომადგენლობითი დელეგაციების გაცვლებს. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საკმაოდ მცირე დროში მოახერხა როგორც დიპლომატიურ, ასევე ეკონომიკურ სფეროში თანამშრომლობის გაღრმავება რეგიონის სახელმწიფოებთან. უცხოურმა და პირველყოვლისა, ამერიკულმა კაპიტალმა გამოაცოცხლა რეგიონის განვითარებადი ეკონომიკა, რომელიც გარკვეულ ეტაპზე დამოკიდებული იყო რუსეთის ეკონომიკაზე. ეს უკანასკნელი მთელი 1990-იანი წლების განმავლობაში სულ უფრო და უფრო კარგავდა თავის პოზიციებს.[5]

სსრ კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდში რუსეთი ძირითადად საკუთარი ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემებით იყო დაკავებული და, შესაბამისად, დიპლომატიურ სტრატეგიაში პირველობა დასავლეთს დარჩა. სწორედ ეს განსაზღვრავდა მოგვიანებით რეგიონში, ერთი მხრივ, შეღწევის (აშშ), მეორე მხრივ კი, „თავდაცვით" (რუსეთი) პოლიტიკას, რაც რიგი უსიამოვნო პრეცედენტებითა და ხშირად კონფლიქტებით მთავრდებოდა (ამჟამად აქ მოქმედი კონფლიქტური კერებია ყარაბახი, აფხაზეთი, ჩეჩნეთი, რომლებიც ვაშინგტონის ყურადღების მიღმა არ რჩება). სწორედ რუსეთის უნიათო საგარეო პოლიტიკის წყალობით აშშ კავკასიაში, ცენტრალურ აზიასა და კასპიის რეგიონში წამყვან გეოპოლიტიკურ სუბიექტად იქცა.

რაც შეეხება ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებსა და რუსეთს შორის ეკონომიკური და კულტურული კავშირების შესუსტებას, შესაბამისად, დასავლეთის პოზიციების გაძლიერებას, ის ეტაპობრივად ხორციელდებოდა. ამის ერთ-ერთ ძირითად სტიმულატორად კი ამ ქვეყნებში მოსახლეობის ცხოვრების დონის კატასტროფული დაცემა იქცა. ამ უკანასკნელმა ხელი შეუწყო რეგიონის ხალხებში პროდასავლური ხედვის გაძლიერებას - დასავლეთიდან ისინი გაცილებით მეტ დახმარებას იღებდნენ. ამას დაემატა მრავალპარტიული სისტემის შემოღება. აღნიშნულ ქვეყნებში შეიქმნა პროდასავლური ორიენტაციის მრავალი პოლიტიკური პარტია, რომლებიც საზოგადოებრივი მხარდაჭერითაც სარგებლობენ. დაბოლოს, დღეს რეგიონში ისეთი სიტუაციაა, როცა ყველაფერი ეკონომიკური ინტერესებით განისაზღვრება. ვაჭრობა იმ სახით, რა სახითაც იგი აქ არსებობს, ობიექტური პირობებით გამოწვეული მოვლენაა, უფრო მეტიც, ეს არის საგარეო პოლიტიკის

წარმოების მნიშვნელოვანი ფაქტორი. მთავარი კი ისაა, ვინ რით ივაჭრებს - საქართველოს აქვს ზღვა, აზერბაიჯანს ნავთობი და ა.შ.

შესაძლებელია ითქვას, რომ ამერიკული პოზიციების გამყარებას დიდად შეუწყო ხელი რუსეთის პასიურმა საგარეო პოლიტიკამ, რომელმაც ვაშინგტონს თავისი მიზნების წარმატებით რეალიზაციის საშუალება მისცა. მათი კლასიფიკაცია კი შემდეგნაირადა არის შესაძლებელი:

1. ამიერკავკასიისა და კასპიისპირა სახელმწიფოების სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა. მათი დისტანცირება რუსეთთან და აშშ-ზე დამოკიდებულების გაზრდა;

2. ენერგიის წყაროების საკუთარი პოტენციალის ზრდა და საჭიროების შემთხვევაში მისი დივერსიფიკაცია, შესაბამისად მართვისა და კონტროლის მაქსიმალური უზრუნველყოფა;

3. ცალკეულ სახელმწიფოთა დასავლურ ორგანიზაციებში ინტეგრაციის უზრუნველყოფა, რაც ხშირად ეწინააღმდეგება რუსეთის ინტერესებს;

4. აქ მოქმედი ამერიკული ნავთობკომპანიების მხარდაჭერა;

5. არსებული სიტუაციის შეცვლის მიზნით ირანზე ზეწოლა.

ფაქტობრივად, საუბარი არის რეგიონში აშშ-ის იმ პოლიტიკურ კურსზე, რომლის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენს ეკონომიკური, ენერგეტიკული, გეოსტრატეგიული ინტერესები.

- ეკონომიკური ინტერესები - თუკი საუბარი არის მთლიანად კასპიისპირა რეგიონზე მაშინ უნდა ითქვას, რომ ამერიკული კაპიტალის პოზიცია, რომელიც თავისი ქვეყნის მთავრობისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მხარდაჭერით სარგებლობს, საკმაოდ მყარია, ამასთან მოსალოდნელია მისი შემდგომი გაძლიერებაც. აშშ აქ იყენებს ნავთობმოპოვების ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებს, მას კოლოსალური ფინანსური შესაძლებლობები გააჩნია, რისი წყალობითაც აქტიურ კონკურენციას უწევს რეგიონში ნებისმიერ სხვა ძალას (უპირველესად, რუსეთს).

- ენერგეტიკული ინტერესი - განპირობებულია აშშ-ის მისწრაფებით - უზრუნველყოს თავისი თავი სტაბილური ენერგეტიკული საცავით. ასეთ ვითარებაში პირველ ადგილზე გადაინაცვლებს ენერგიის წყაროთა დივერსიფიკაცია (ქვეყნის ეკონომიკური დამოკიდებულების შემცირება მსოფლიოში ნავთობის უმსხვილეს მიმწოდებელზე - მახლობელი აღმოსავლეთისა და OPEC-ის წევრ-ქვეყნებზე), აგრეთვე ნავთობისა და გაზის მომპოვებელი რეგიონიდან მათი გატანის მიმართულებების გამრავალფეროვნება (აშშ ლობირებს იმ პროექტებს, რომლებიც ითვალისწინებს გატანის გზებს რუსეთისა და ირანის გვერდის ავლით).

- გეოპოლიტიკური ინტერესი - კასპიისპირეთისთვის ნავთობპროექტების დამუშავებისას ვაშინგტონისათვის გეოპოლიტიკური ინტერესები გაცილებით ფასეულია, ვიდრე ეკონომიკური. კასპიის რეგიონი მდებარეობს ევრაზიაში აშშ-ის სამი კონკურენტის - რუსეთის, ირანისა და ჩინეთის გარემოცვაში. რეგიონზე საკუთარი კონტროლის დაწესების შემთხვევაში ვაშინგტონს მიეცემა ხუთ ზღვას შორის (შავი ზღვა, ხმელთაშუა ზღვა, კასპიის ზღვა, სპარსეთის ყურესა და მასთან მიმდებარე არაბეთის ზღვასთან ერთად) და მთელს კონტინენტზე დომინირებული მდგომარეობის მოპოვების საშუალება. ამ შემთხვევაში მას ბუნებრივად გაუჩნდება სურვილი დაამყაროს სრული კონტროლი ენერგომარაგებზე და მაქსიმალურად გამორიცხოს მათთან თავისი (აშშ-ს) სტრატეგიული ოპონენტებისა და

კონკურენტების დაშვება. ამ ამოცანის გადაჭრისათვის ვაშინგტონი, როგორც ჩანს, აუცილებლად მიიჩნევს აქ მასზე და მის სტრატეგიულ მოკავშირე ანკარაზე დამოკიდებულ სახელმწიფოთა ჯაჭვის შექმნას, რომელთა ტერიტორიებზეც გაივლის დასავლური სატრანსპორტო დერეფანი.

შეერთებული შტატების მიერ ამ უკიდეგანო სივრცის სტრატეგიული ათვისებისა და საკუთარი ერთიანი გეგმის რეალიზაციის ძირითადი ელემენტები მოიცავს: ამერიკული და დასავლური ნავთობკომპანიების საქმიანობათა აქტიურ ხელშეწყობას; კასპიის ნავთობის დასავლეთის ბაზარზე გასატანად თავისი კონტროლის ქვეშ მყოფი მაგისტრალური ნავთობსადენების (ბაქო-ჯეიხანი და ა.შ.) მშენებლობას. ნავთობპროდუქტთა ექსპორტირების ახალ მიმართულებათა ძიებას; ამიერკავკასიის ქვეყნების (აზერბაიჯანი, საქართველო) სამხედრო ინფრასტრუქტურის მომზადებასა და შემდგომ მათი შეიარაღებული ძალების NATO-ს სტანდარტებზე გადაყვანის შესაძლებლობას; ავღანეთში განხორციელებული ანტიტერორისტული ოპერაციების ჩარჩოებში დასავლეთის ქვეყნების სამხედრო კონტინგენტების დამკვიდრებას ცენტრალური აზიის ბაზებზე; ნავთობრესურსებზე კონტროლის დაწესების მიზნით სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობას ერაყში, რაც უკვე განხორციელდა; ზეწოლის გაღრმავებას ირანზე.[6]

რეგიონში თავისი სტრატეგიული მიზნების განხორციელებისათვის აშშ იყენებს სხვადასხვა ფორმებსა და მეთოდებს. 1996 წლიდან მოყოლებული დიდი მუშაობა იქნა ჩატარებული, რათა საკუთარი გავლენის ორბიტაში მოექცია აზერბაიჯანი, საქართველო, უზბეკეთი, ყირგიზეთი, თურქმენეთი, ყაზახეთი და ტაჯიკეთი. ჯერი სომხეთზეა, რომლის ირგვლივ, როგორც მოსალოდნელია, შეიძლება წარმოიქმნას წინააღმდეგობათა მთელი სერია მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის. უკანასკნელი 3-5 წლის განმავლობაში ვაშინგტონმა მნიშვნელოვნად გაზარდა თავისი შესაძლებლობები ყარაბახის პრობლემის მოგვარების საკითხში, საკუთარ თავზე აიღო სომხეთ-თურქეთის ურთიერთობათა ნორმალიზაციის ინიციატივა, ცდილობს ჩაერთოს აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების პროცესში, გაამყაროს პოზიციები იმ ქვეყნებში, რომლებიც ითვლება რუსეთის მოკავშირეებად რეგიონში (სომხეთი, ყაზახეთი).

კასპიის რეგიონში სტრატეგიის კიდევ ერთი შემადგენელი ელემენტი - მილსადენების ახალი არქიტექტონიკაა. არსებითი აქ არის ნავთობის გატარება სასურველი ქვეყნის ტერიტორიაზე. რუსეთსა და ირანს მეტად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა და ნავთობსადენების განვითარებული სისტემა აქვთ, ამიტომაც, ამ მხრივ, უზრუნველყოფილი აქვთ დომინირება რეგიონში. ეს კი ვაშინგტონს აიძულებს ზემოხსენებული ქვეყნები აშშ-ის ინტერესებისათვის გარკვეული საფრთხის წყაროდ მიიჩნიოს და ახალი გზები ეძიოს.[7]

რაც შეეხება ჩინეთს, იგი განიხილება, როგორც ძირითადი გეოპოლიტიკური და, შესაძლებელია, აშშ-ის გლობალური ოპონენტი XXI საუკუნეში.[8]

არსებობს ნავთობის ტრანსპორტირების რამდენიმე მიმართულება: 1) ბაქო-თბილისი-სუფსა, 2) ბაქო-სომხეთი-ნახიჩევანი-თურქეთი; 3) აზერბაიჯანი-ირანი-თურქეთი; 4) აზერბაიჯანი-ირანი-სპარსეთის ყურე.

ამერიკასა და რუსეთს შორის დღემდე შენარჩუნებულია გაურკვევლობა გეოპოლიტიკურ ინტერესთა ფარული კონფრონტაციის თუ ნავთობის ტრანსპორტირების მისაღები მარშრუტის ამოქმედების ირგვლივ. ინტერესთა კონფლიქტი ტრანსფორმირდება ბლოკებს შორის წინააღმდეგობებში: ერთი მხრივ,

რუსეთი (ირანთან და სომხეთთან ერთად), მეორე მხრივ აშშ (ალიანსში თურქეთთან, აზერბაიჯანსა და საქართველოსთან ერთად). მარშრუტთა კონფლიქტებით ბლოკირება ნათელს ხდის მათ შორის არსებულ სიმბიოზურ კავშირს. ნავთობის პოლიტიკა, ფაქტობრივად, ექსპლუატაციას უწევს აღნიშნულ სიმბიოზს, რიგ შემთხვევაში, ხელსაც უწყობს ახალი კერების აღმოცენებას.

პრაგმატული მოსაზრებებიდან გამომდინარე არ არის გამორიცხული, რომ რეგიონის მომეტებული რისკის მდგომარეობაში შენარჩუნება იყოს დაინტერესებულ მხარეთა შეგნებული პოლიტიკის ნაყოფი. ეს კი რიგ შემთხვევაში ნავთობტრანსპორტირების მისაღები პროექტის ამოქმედებას ემსახურება. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ თითქმის ყველა წარმოდგენილი მილსადენის მარშრუტი დიდი სახელმწიფოების მიერ კონტროლირებად ზონებზე გადის.

ამრიგად, უდავოა, რომ კასპიის რეგიონი წარმოადგენს უაღრესად საშიშ, ფეთქებად სტრატეგიულ სივრცეს. თუ აშშ არ დაუშვებს რუსეთის ნაწილობრივ კონტროლს ენერგორესურსების ტრანსპორტირებაზე, რუსეთი შეეცდება და შეიძლება, მოახერხოს კიდეც ანტიამერიკულად განწყობილ ირანთან ერთად მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს აქ მიმდინარე პროცესებზე.

ერთპიროვნულად ვერც ერთი მხარე ვერ შეძლებს ევრაზიული სიმდიდრეების ათვისებას. ამიტომ თანამშრომლობა მათ შორის ამა თუ იმ ფორმით გარდაუვალი რჩება.

ამასთან, თუმცა ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერს ნავთობის დასავლეთით ტრანსპორტირების მარშრუტს, ვაშინგტონი დაინტერესებული უნდა იყოს ნავთობსადენის რუსეთის ტერიტორიაზე გავლითაც, ისე, როგორც მოსკოვია დაინტერესებული ნავთობსადენის ჩეჩნეთზე გატარებით. მხოლოდ ამ ორი მარშრუტის არსებობის შემთხვევაში ნავთობი შეიძლება იქცეს სტაბილურობის გარანტად რეგიონში.

გვესახება, რომ აშშ-მა თავისი სტრატეგიის რეალიზაციისას უნდა გაითვალისწინოს შემდეგი პრობლემები:

- კასპიის სამართლებრივი სტატუსის განუსაზღვრელობა;
- ტრანსნაციონალური (ამერიკული) კორპორაციები (უპირველეს ყოვლისა, BP-AMOKO) ყოველთვის როდი ითვალისწინებენ ვაშინგტონის პოლიტიკურ ინტერესებს; ისეთი კორპორაციები როგორიცაა CHEVRON და MOBIL აქტიურად თანამშრომლობენ რუსეთ-ყაზახეთის ერთობლივ პროექტებში და მათთან თანამშრომლობის გაღრმავებაზეც საუბრობენ;

ზოგიერთი ამერიკული ნავთობკორპორაცია უკმაყოფილებას გამოთქვამს ირანის მიმართ გატარებული ეკონომიკური სანქციების გამო და მათ მოხსნას მოითხოვს. სწორედ ირანთან დაკავშირებული საკითხები შეიძლება ჩაითვალოს ამერიკული სტრატეგიის სუსტ წერტილებად;

აზერბაიჯანში მოქმედი კონსორციუმი AMOK-ი ცდილობს საკუთარი ავტონომიური საექსპორტო მარშრუტის ამოქმედებას და ბაქო-სუფსის მილსადენის საფუძველზე ნავთობის უკრაინამდე, ბულგარეთამდე და რუმინეთამდე გატანას;

ამერიკის რეგიონალური გეგმების შემაფერხებელი სერიოზული (ინტეგრირებადი) საფრთხე არსებობს ევრაზიული ეკონომიკური თანამშრომლობის (რუსეთის, ბელორუსიის, ყაზახეთის, ყირგიზეთის და ტაჯიკეთის) სახით;

- საგულისხმოა აგრეთვე, „შანხაის ექვსეულის" რეგიონალურ საქმეებში მომეტებული ჩარევა, რაც საკმაოდ შეინიშნება უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში;
- დაბოლოს, აშშ-ის ძალისხმევის მიუხედავად, დასარეგულირებელი რჩება ყველა რეგიონალური კონფლიქტი, რაც საფრთხეს უქმნის ამერიკული გეგმების სტაბილურ ევოლუციას.

მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი წინააღმდეგობებისა, მოსალოდნელია ახლო მომავალში ვაშინგტონის აქტივობის კიდევ უფრო გაზრდა, რაც მისი საგარეო პოლიტიკური კურსის ძირითადი ორიენტირია.

ამრიგად, ამერიკის ინტერესების რეალიზაციას კასპიისპირეთში მივყავართ აქ არსებულ, ცალკეულ, სახელმწიფოების გაერთიანებამდე და წამყვან სახელმწიფოთა გავლენის სფეროების ხელახალ გადანაწილებამდე მთელ სამხრეთევროპულ სივრცეში. ასეთ შემთხვევაში ამიერკავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს მნიშვნელოვანი სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებათ.

აშშ-ის მიერ წამყვანი პოზიციების მოპოვება რეგიონში არა მარტო დაასუსტებს რუსეთს, როგორც ეკონომიკური, ისე სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით, არამედ ვაშინგტონს მისცემს მთელი ევრაზიის კონტინენტის ეფექტური კონტროლის საშუალებას. სავარაუდოა, რომ გეოპოლიტიკური პროცესები ევრაზიაში გამოიწვევს ძალთა ბალანსის საფუძვლიან ცვლილებას აშშ-ს სასარგებლოდ.

შენიშვნა და გამოყენებული ლიტერატურა

1. 1921 წლამდე კასპიის ზღვა იწოდებოდა რუსეთის იმპერიის წყალსატევად. მოგვიანებით, სსრკ-სთან 1921 წლის შეთანხმებით, ირანი (მაშინ სპარსეთად წოდებული) კასპიის ზღვის თანამონაწილედ იქნა აღიარებული. 1935 წლის დანამატის შედეგად კი კასპიის ზღვას ეწოდა ორი სახელმწიფოს ზღვა, რომლის აკვატორია იყოფოდა ორ არათანაბარ სექტორად. 1970 წელს ნავთობმრეწველობის სამინისტროს ინიციატივით კასპიის ზღვის საბჭოური ნაწილი განაწილდა ზღვასთან მიმდებარე სახელმწიფოებს შორის, მაგრამ მხოლოდ ტექნიკური თვალსაზრისით – სამინისტროს რესპუბლიკურ სტრუქტურათა სამუშაოების უკეთესად ორგანიზების მიზნით. საკუთრების უფლება მასში არ იყო გათვალისწინებული (სსრკ-ს ტერიტორიული წყლები ითვლებოდა საერთო საკავშიროდ, ხოლო კასპიის ზღვა ფორმალურად ითვლებოდა საერთო საკავშიროდ სსრკ-სა და ირანის საერთო ზღვად. წყალსატევის სამართლებრივი სტატუსი დღემდე არაა განსაზღვრული.
2. Независимая газета. №152(1723)20.08.1998
3. Збигнев Бжезинский Великая шахматная доска. м.,1997, с. 26
4. Frankfurter Allgemeine Zeitung, Juli 7, 1997
5. Независимая газета. №232,(1803)11.12.1998
6. Независимая газета. №152(1723)20.08.1998
7. Геополитика Каспийского Региона. М., 2003.с.110
8. Spector, Regine, The Caspian Basin and Asia Energy Markets. Background Paper. The Brooking Institution May 24,2001.

**მედეა გუგეშაშვილი**
*თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი ამერიკანისტიკის სპეციალობა*

# აშშ-ის პრეზიდენტი - თეორიიდან პრაქტიკამდე

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი უმაღლესი სახელმწიფო ინსტიტუტების სისტემაში უმნიშვნელოვანესი ფიგურაა. იგი გადამწყვეტ როლს ასრულებს პოლიტიკური პროცესებისა და ხელისუფლების განხორციელების მექანიზმში. მისი, როგორც სახელმწიფო მეთაურის, განსაკუთრებულ მდგომარეობას საფუძვლად უდევს კონცეფცია, რომლის მიხედვითაც პრეზიდენტი განიხილება, როგორც ერის ერთიანობის სიმბოლო და პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლება.

ამერიკელმა სამართალმცოდნემ ედუარდ ქორვინმა პრეზიდენტის ინსტიტუტის განვითარებას „განდიდებისა და ძლევამოსილების მოხვეჭის" ისტორია უწოდა[1]. საინტერესოა, თუ როგორ მოხდა ყოველივე ეს ქვეყნის ძირითად კანონთან შესაბამისობაში; როგორია პრეზიდენტის კონსტიტუციური უფლებები და როგორ ხდება მათი რეალიზაცია.

კონსტიტუციის II მუხლის პირველი ნაწილი კრიპტული ფრაზით იწყება: „შეერთებული შტატების პრეზიდენტი აღჭურვილია აღმასრულებელი ხელისუფლებით"[2]. რა იგულისხმება აღმასრულებელ ხელისუფლებაში? როგორც პოლიტოლოგი რიჩარდ პაიფსი აღნიშნავდა, აღმასრულებელი ხელისუფლება" ზოგადი და საკმაოდ ბუნდოვანი ტერმინია, რომლის ზუსტი განმარტება არ არსებობს[3]. იგი კონსტიტუციურად გაფორმებულ უფლებამოსილებათა გარდა, შეიძლება გულისხმობდეს სხვა სახის, მაგალითად, პრეროგატიულ ანუ განსაკუთრებულ უფლებამოსილებებს. ეს უკანასკნელი განმარტებულია ჯონ ლოკის ნაშრომში „მეორე ტრაქტატი სახელმწიფოს შესახებ", სადაც ავტორი წერს, რომ პრეროგატიული უფლებამოსილება არის ხალხის მიერ მმართველობისათვის მინიჭებული უფლება, იმოქმედოს საჭიროებისდა მიხედვით, საკუთარი შეხედულებისამებრ, მაშინ, როდესაც „კანონი დუმს"[4]. აშშ-ის კონსტიტუცია კი, იურიდიული თვალსაზრისით, საკმაოდ ლაკონურია. მამა-დამფუძნებლების აზრით, იგი უნდა ყოფილიყო ახალი ხელისუფლების შექმნისა და ფუნქციონირების ერთგვარი გეგმა. კონსტიტუცია აღწერდა, თუ როგორ უნდა მოწყობილიყო ხელისუფლება, რა უფლებები და შეზღუდვები უნდა ჰქონოდა მას. ასე რომ, აშშ-ის კონსტიტუცია შესაძლოა სრულიად გამიზნულად იყოს დაწერილი, როგორც ხელისუფლების ზოგადი მონახაზი. დამფუძნებლებმა ხომ კონსტიტუციის ტექსტს მიღმა დატოვეს მრავალი დეტალი, რომელთა შევსება უთუოდ მოუხდებოდათ მომავალ პრეზიდენტებსა და კონგრესის წევრებს.

დამფუძნებელთა ჩანაფიქრი განხორციელდა. აშშ-ში ფორმალურ კონსტიტუციასთან ერთად მოქმედებს რეალური ანუ „ცოცხალი" კონსტიტუცია[5], რომლის ფორმირებაში დიდი წვლილი მიუძღვით აშშ-ის პრეზიდენტებს. საქმე ის არის, რომ უზენაესი კანონის I მუხლი, რომელიც კონგრესს ეხება, იწყება

შემდეგნაირად: „კონგრესი აღჭურვილია იმ საკანონმდებლო უფლებებით, რომლებიც ამ დოკუმენტშია მოხსენიებული"[6]. ასეთი შემზღუდველი და მაკონკრეტებელი ფრაზა პრეზიდენტის უფლებამოსილებათა ჩამონათვალს არ ახლავს, რაც, ამ უკანასკნელს, საკანონმდებლო ორგანოსთან შედარებით, მოქმედების უფრო ფართო არეალსა და ინტერპრეტაციის მეტ შესაძლებლობას ანიჭებს.

ის, თუ როგორ მოხდება ქვეყნის ძირითადი კანონის ინტერპრეტირება, რამდენადმე პრეზიდენტის პიროვნულ თვისებებზეა დამოკიდებული. პოლიტოლოგთა აზრით, თანამდებობის პირის პიროვნულ თვისებებს არასოდეს ისეთი ზეგავლენა არ ჰქონია პოლიტიკურ მოვლენათა განვითარებაზე, როგორც ეს პრეზიდენტთა მიერ კონსტიტუციის II მუხლის ინტერპრეტაციის დროს ხდებოდა[7].

პრეზიდენტის უფლებამოსილებათა ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ქვეყნის პირველი პრეზიდენტის როლი.

1793 წლის 23 აპრილს, როდესაც ევროპაში ომი დაიწყო, ვაშინგტონმა გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც შეერთებული შტატები ნეიტრალურ ქვეყნად ცხადდებოდა. პრეზიდენტის გადაწყვეტილებამ განარისხა ტომას ჯეფერსონი და ჯეიმს მედისონი. ისინი თვლიდნენ, რომ ვაშინგტონს ამ გადაწყვეტილებისათვის არ ჰქონდა კონსტიტუციური საფუძველი და, ამასთან ერთად, არღვევდა საკანონმდებლო ორგანოს უფლებას გამოეცხადებინა ომი. პრეზიდენტის კონტრარგუმენტი კი იყო ის, რომ მას უზენაესი კანონი ავალებდა ქვეყნისათვის მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებას. მედისონს ეს ყველაფერი ინგლისის მონარქებთან დაკავშირებულ საშიშ გამოცდილებას აგონებდა. მისი აზრით, საგარეო პოლიტიკის წარმოება მხოლოდ და მხოლოდ კონგრესის პრეროგატივა იყო, ხოლო პრეზიდენტი ამ საქმეში კონგრესის სრული მორჩილი უნდა ყოფილიყო. მიუხედავად ამ წინააღმდეგობისა, ჯორჯ ვაშინგტონმა მაინც მიაღწია მიზანს, კონგრესმა მიიღო აქტი ნეიტრალიტეტის შესახებ. ამ მოვლენამ შემდგომში პრეცედენტის როლი შეასრულა ძლიერი პრეზიდენტის ინსტიტუტის ჩამოყალიბებაში.

დომინანტური პრეზიდენტის კონცეფციის ჩამოყალიბების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია თეოდორ რუზველტის მრწამსი იმის შესახებ, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება ლიმიტირებულია მხოლოდ იმ შეზღუდვებით, რომლებიც ან პირდაპირაა მოცემული კონსტიტუციაში, ან დაწესებულია კონგრესის მიერ, მისი კონსტიტუციური უფლებამოსილებებიდან გამომდინარე. ამ მოსაზრებაზე დაყრდნობით, პრეზიდენტს შეუძლია ყველაფერი საკუთარ ნებას დაუმორჩილოს, რადგან კონსტიტუცია მას, როგორც ხელისუფლების მეთაურს, ავალდებულებს ყველაფერი მოიმოქმედოს ხალხის ინტერესების დასაცავად.

თეოდორ რუზველტი საკუთარ მოღვაწეობას ასე აფასებდა: „მე არ მომიხდენია ხელისუფლების უზურპაცია, მაგრამ საკმაოდ გავზარდე აღმასრულებელი ხელისუფლების როლი, ვიღვწოდი ხალხის კეთილდღეობისა და კავშირის ერთიანობის შესანარჩუნებლად იმგვარად და იმ ზომების გამოყენებით, რაც საჭირო იყო, და ყოველივე ამას ვაკეთებდი მხოლოდ და მხოლოდ კონსტიტუციურ მოთხოვნათა ფარგლებში"[8].

თ. რუზველტის საპირისპიროდ, უილიამ ჰოვარდ ტაფტს მიაჩნდა, რომ პრეზიდენტს მხოლოდ ის უფლებამოსილებები ჰქონდა, რომლებიც კონსტიტუციაში პირდაპირ იყო მოხსენიებული. ის ხალხის კეთილდღეობისთვის ზრუნვას მხოლოდ კონგრესთან შეთანხმებითა და მასთან კონსულტაციის საფუძველზე მიიჩნევდა

მიზანშეწონილად. ასე რომ, ქვეყნის უზენაესი კანონისადმი სხვადასხვა პრეზიდენტებს განსხვავებული მიდგომა ჰქონდათ.

ამერიკის პოლიტიკურ ისტორიაში ქვეყნის კანონმდებელთა და აღმასრულებელთა შორის დაპირისპირებისა და ჭიდილის არაერთი მაგალითი მოიპოვება, რომლის საფუძველადაც ქვეყნის უზენაესი კანონი შეიძლება ჩაითვალოს.

კონსტიტუციის II მუხლის მეორე ნაწილში ნათქვამია: „პრეზიდენტი არის შეიარაღებული ძალების, სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და მილიციის მთავარსარდალი"[9]. აქვე მოვიყვან ფრაზას I მუხლის მეორე ნაწილიდან: „კონგრესს ენიჭება უფლება გამოაცხადოს ომი"[10]. ხოლო იმას, თუ როგორ გადაილახა ეს წინააღმდეგობა, ცხადყოფს სტატისტიკური მონაცემები, აშშ-ის ისტორიაში შეიძლება დავითვალოთ პრეზიდენტების მიერ კონგრესის სანქციის გარეშე წარმოებული ომების 125 შემთხვევა.

„იმპერიულ პრეზიდენტებად" აშშ-ის ისტორიაში ითვლებიან: ა. ლინკოლნი, რომელმაც სამოქალაქო ომის პერიოდში მოახერხა გადაებიჯებინა აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის დაწესებული შეზღუდვებისათვის. დიდი იყო პრეზიდენტ ვ. ვილსონის როლი პირველი მსოფლიო ომის დროს; ფ.დ. რუზველტის პრეზიდენტობის პერიოდში კვლავ აღორძინდა აქტიური საპრეზიდენტო მოდელი, განსაკუთრებით, მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობის დროს.

პრეზიდენტებმა ჰ. ტრუმენმა და ჯ. კენედიმ სცადეს აქტიური პოზიციის დაკავება კონგრესის მიმართ, მაგრამ კონგრესმა არ მიიღო მათი პროგრამების უმეტესობა. უკანასკნელ წლებში პრეზიდენტის როლი კონგრესთან ურთიერთობაში კვლავ შესუსტდა.

პრეზიდენტის, როგორც უმაღლესი მთავარსარდლის უფლებები მჭიდროდაა დაკავშირებული საგარეო ურთიერთობებში მის, როგორც ერის წარმომადგენლის, უფლებამოსილებებთან.

კონსტიტუციის II მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, პრეზიდენტი დებს ხელშეკრულებებს სენატის რჩევითა და თანხმობით. მაგრამ სენატის თანხმობა არაა სავალდებულო, როდესაც საქმე ეხება პრეზიდენტის მიერ მასთან აკრედიტებულ დიპლომატიური წარმომადგენლებისა და მინისტრების მიღებას, რაც პრეზიდენტს შესაძლებლობას აძლევს თავად გადაწყვიტოს, აღიაროს თუ არა ესა თუ ის მთავრობა.

სენატის სავალდებულო თანხმობის გარეშე საგარეო პოლიტიკის წარმოების საშუალებაა „აღმასრულებელი შეთანხმება"[11], რომელიც ისტორიკოს არტურ შლეზინგერის აზრით, კონსტიტუციური წყობის ერთ-ერთ ყველაზე იდუმალ მხარეს წარმოადგენს. „აღმასრულებელი შეთანხმებების" გამოყენება მე-19 საუკუნიდან დაიწყო კონგრესის ერთსულოვანი მხარდაჭერით, რადგან ისინი, უმეტესწილად, ნაკლებმნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად გამოიყენებოდა. მაგრამ თეოდორ რუზველტის ადმინისტრაციის პერიოდში პროვოკაციულ იარაღად იქცა. პრეზიდენტმა რუზველტმა იაპონიასთან დადო საიდუმლო შეთანხმება კორეის იაპონიის სამხედრო ძალებით ოკუპაციის შესახებ. 35 წლის შემდეგ კი, ფრენკლინ რუზველტის მიერ დიდ ბრიტანეთთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, აშშ ბრიტანეთის მოკავშირე გახდა, რაც კონგრესის მიერ აშშ-ის ნეიტრალურ ქვეყნად აღიარების ფაქტს ეწინააღმდეგებოდა.

მე-20 საუკუნის 70-იან წლებამდე პრეზიდენტს უფლება ჰქონდა დაედო საერთაშორისო ხელშეკრულებები საკუთარი უფლებამოსილების ვადით. ასეთ

შემთხვევაში, ხელშეკრულებას რატიფიცირება არ სჭირდებოდა. კონგრესსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის დიდი ჭიდილის შემდეგ, 1972 წელს მიიღეს კ. კეისის კანონი, რომელიც ავალდებულებდა პრეზიდენტს 60 დღის განმავლობაში ეცნობებინა კონგრესისათვის ასეთი ხელშეკრულების დადების შესახებ და გაეგზავნა მისთვის ხელშეკრულების ტექსტი. ამ კანონმა მნიშვნელოვნად გაზარდა კონგრესის როლი საგარეო პოლიტიკის დარგში.

საკანონმდებლო უფლებამოსილებებთან დაკავშირებით პრეზიდენტს ნაკლები ინტერპრეტაციის საშუალება ეძლევა, თუმცა, რეალურად, ამ სფეროში ბევრი რამ სწორედ მასზეა დამოკიდებული. მართალია, პრეზიდენტს არ აქვს საკანონმდებლო უფლებამოსილება, მაგრამ მას ვეტოს საშუალებით გააჩნია საკანონმდებლო ინიციატივისა და კანონმდებელთა საქმიანობის კონტროლის უფლება. კონგრესის მიერ მიღებული კანონპროექტი გადაეცემა პრეზიდენტს ხელის მოსაწერად და გამოსაქვეყნებლად, რის შემდეგაც კანონი შედის ძალაში. პრეზიდენტს უფლება აქვს ათი დღის ვადაში დააბრუნოს კონგრესში კანონპროექტი ხელმეორედ განსახილველად. პრეზიდენტის ვეტოს დასაძლევად საჭიროა კანონპროექტმა ორივე პალატაში მიიღოს ხმების 2/3. უფრო ხშირად პრეზიდენტის ვეტო საბოლოო აღმოჩნდება ხოლმე.

ამრიგად, ვეტოს უფლება პრეზიდენტის ძლიერი იარაღია. ხშირად მისი გამოყენების მუქარაც კი აიძულებს კონგრესს, როგორმე შეუთანხმოს ესა თუ ის ბილი პრეზიდენტის ნებას. კონგრესის მიერ, მისი არსებობის მანძილზე, პრეზიდენტის ვეტოს მხოლოდ სამი პროცენტი იქნა დაძლეული.

პერიოდულად, პრეზიდენტი კონგრესს ინფორმაციას წარუდგენს კავშირში შექმნილი მდგომარეობის შესახებ და რეკომენდაციას უწევს იმ საკითხების განხილვას, რომლებსაც საჭიროდ მიიჩნევს.

სასურველი კანონების მიღებაში პრეზიდენტს მისი პარტიის წარმომადგენელი კონგრესმენები უწყობენ ხელს. გარდა ამისა, თეთრ სახლში მოქმედებს კონგრესთან შეთანხმებული ქმედების ოფისი, რომელიც საკანონმდებლო კომიტეტებსა და ქვეკომიტეტებს აწვდის ინფორმაციას პრეზიდენტის პროგრამათა შესახებ და, შეიძლება ითქვას, ინსტიტუციონალურად გაფორმებულ ლობისტურ ორგანოს წარმოადგნს.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, საკანონმდებლო ინიციატივის არქონა ხელს ნაკლებად უშლის პრეზიდენტს ამ სფეროშიც წარმოადგენდეს მნიშვნელოვან ძალას.

ამრიგად, ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია პრეზიდენტს ანიჭებს კოლოსალურ უფლებამოსილებას. იგი არა მხოლოდ სახელმწიფოს ცერემონიული ლიდერია, არამედ უაღრესად აქტიური, ფუნქციური ფიგურა, რომელიც გარკვეული ეადით და საკუთარი პოლიტიკური პროგრამით მოდის თეთრ სახლში და თვითონვე არის ამ პოლიტიკის გატარების უშუალო ხელმძღვანელი.

მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის პრეზიდენტი სახელმწიფო ინსტიტუტების სისტემაში უმნიშვნელოვანესი ფიგურაა და გადამწყვეტ როლს თამაშობს პოლიტიკურ პროცესში, იგი არ არის ქვეყნის ერთპიროვნული მმართველი. სახელმწიფო ხელისუფლების ორ დანარჩენ შტოს აქვს შესაძლებლობა გაანეიტრალოს მისი მხრიდან ხელისუფლების უზურპაციის მცდელობა. კონგრესს უფლება აქვს უარყოს პრეზიდენტის მიერ წარდგენილი საკანონმდებლო წინადადებები, უმაღლეს თანამდებობებზე პრეზიდენტის მიერ წამოყენებული

კანდიდატები და ასევე უფლებამოსილია თანამდებობიდან გადააყენოს პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი და ყველა სხვა სამოქალაქო თანამდებობის პირი იმპიჩმენტის გზით, თუ ისინი მხილებული იქნებიან ღალატში, მექრთამეობაში ან სხვა სახის მძიმე თუ მსუბუქ დანაშაულში.

ამრიგად, აშშ-ის საპრეზიდენტო დემოკრატიის პირობებში ხორციელდება „ურთიერთშეკავშირებისა და ურთიერთგაწონასწორების" პრინციპი, რაც საფუძველს გვაძლევს დასკვნისათვის, რომ „ძლიერი ხელისუფლება" მრავალგანზომილებიანი ცნებაა და მისი შტოების გაწონასწორებასა და შეკავშირებაზეა დამოკიდებული. თუმცა, შეუძლებელია უარვყოთ ის ფაქტი, რომ პრეზიდენტი გადამწყვეტ როლს თამაშობს ხელისუფლების განხორციელების ყველა ასპექტში, რადგან ფაქტობრივი უფლებამოსილება მნიშენელოვნად ჭარბობს იურიდიულს.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Larry Berman , The New American Presidency , Little, Brown and Company Boston Toronto, 1986 p. 53 .
2. Constitution of the United States, Article II , Section I .
3. Sidney M. Milkis, Michael Nelson, The American Presidency, Origins and Development 1776-1998 , Washington D.C. 1999. p. 41 .
4. Sidney M. Milkis, Michael Nelson op cit . , p. 41 .
5. პრეზიდენტის ინსტიტუტი საქართველოში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი , თბილისი, 2000. გვ. 42 .
6. Constitution of the United States, Article I , Section I.
7. Larry Berman, op cit . , p. 55 .
8. Larry Berman, op cit . , p. 55 .
9. Constitution of the United States , Article II, Section II .
10. Constitution of the United States , Article I, Section II .
11. George McKenna,City College of New York 1994, op cit . , p. 242 .

**ზურაბ დავითაშვილი**
*თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების კათედრის გამგე, პროფესორი*

# პანამერიკანიზმი – არსი და განვითარების თავისებურებები

პანამერიკანიზმი პანნაციონალისტურ მოძრაობებს შორის ყველაზე უფრო თავისებური და „ნაკლებად“ ნაციონალისტურია, რაც მის ისტორიულ განვითარებასთან არის დაკავშირებული. თვით ტერმინი „პანამერიკანიზმი“ სამი სხვადასხვა მნიშვნელობით შეიძლება შევხედეს და განვითარების სამ სხვადასხვა ფაზას შეესაბამება.

პირველი მნიშვნელობით პანამერიკანიზმი XIX საუკუნის დასაწყისის მოვლენაა და ესპანეთის ამერიკული კოლონიების ერთობლივ განმათავისუფლებელ ბრძოლად და ერთიანი ესპანურენოვანი ამერიკის სახელმწიფოს შექმნის (La patria granda ანუ „დიდი სამშობლოს“) იდეას გულისხმობდა. პირობითად მას „პანესპანოამერიკანიზმი“ შეიძლება ვუწოდოთ.

მეორე ფაზის პანამერიკანიზმი XIX საუკუნის შუა წლებს მიეკუთვნება და ესპანურამერიკული და ლათინური ამერიკის სხვა სახელმწიფოების (ბრაზილია, ჰაიტი) დაახლოებას და ერთ კავშირად ჩამოყალიბებას ემსახურებოდა. ამ ფაზას ყველაზე უფრო ტერმინი „პანლათინოამერიკანიზმი“ შეესაბამება.

მესამე და ყველაზე ცნობილი ფორმა წარმოიშვა XIX საუკუნის ბოლოს და დაკავშირებულია აშშ-ის სწრაფვასთან მოეპოვებინა ამერიკის სახელმწიფოთა ერთობის ლიდერის ფუნქცია. სწორედ ამ მესამე მნიშვნელობით გამოიყენება დღეს ტერმინი „პანამერიკანიზმი“.

პანამერიკანიზმი (აქაც და ქვემოთაც იგულისხმება ამ ტერმინის მესამე, ფართო მნიშვნელობა), როგორც მაკრონაციონალიზმი მთელი რიგი თავისებურებით განსხვავდება სხვა პანნაციონალისტური იდეოლოგიებისა და მოძრაობებისაგან:

1. სხვა მაკრონაციონალიზმებისაგან განსხვავებით პანამერიკანიზმი მოიცავს მთელ ნახევარსფეროს, ფაქტობრივად, ნახევარ მსოფლიოს, მაშინ, როცა სხვა პანნაციონალიზმები გაცილებით მცირე ტერიტორიებს ფარავს და იშვიათ შემთხვევაში თუ ვრცელდება მთელ კონტინენტზე (მაგალითად, პანაფრიკანიზმი);

2. პანამერიკანიზმი არ ემყარება ლინგვისტურ ერთობას. ძირითადი ენები სხვადასხვა ენობრივ ჯგუფებს მიეკუთვნება;

3. პანამერიკანიზმს არა აქვს საერთო რელიგიური ბაზაც. ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში დომინირებს კათოლიციზმი, ხოლო ჩრდილოეთ ამერიკაში სხვადასხვა პროტესტანტული მიმართულებები;

4. პანამერიკანიზმს მცირე ისტორიული ტრადიცია აქვს ერთიანობისათვის. ჩრდილოეთ და ლათინური ამერიკის განვითარება სხვადასხვა გზით წარიმართა, ხოლო ამერიკის ერებისა და სახელმწიფოების ჩამოყალიბება ძირეულად განსხვავდებოდა ევროპისა და აზიის ანალოგიური პროცესებისაგან;

5. პანამერიკანიზმის ძირითადი საფუძველი ეკონომიკაა და პანამერიკული ერთობის ძირითადი მიზანიც ეკონომიკური კეთილდღეობის განმტკიცებაა. პოლიტიკური მიზნები პანამერიკანიზმს ნაკლებად აქვს, რადგან გარედან საფრთხის ალბათობა უმნიშვნელოა;

6. ურთიერთსოლიდარობა ამერიკის სახელმწიფოებს შორის საკმაოდ სუსტია და თავს იჩენს მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში, თუ რომელიმე ქვეყანას კონფლიქტი

ეძნება პარტნიორთან ძალასთან. ამის მაგალითად გამოდგება არგენტინა-ინგლისის 1982 წლის დაპირისპირება ფოლკლენდის კუნძულების თაობაზე, როცა ლათინური ამერიკის ქვეყნებმა არგენტინას დაუჭირა მხარი. მაგრამ ეს მხარდაჭერა მხოლოდ სიტყვიერი იყო და ბუნებრივია, არც შედეგი მოუტანია.

ამგვარად, პანამერიკანიზმი უფრო ეკონომიკური და გეოპოლიტიკური კატეგორიაა, ვიდრე ეთნოლინგვისტურ და რელიგიურ-კულტურულ სიახლოვეზე დაფუძნებული იდეოლოგია. ამას თავისი ისტორიული მიზეზები აქვს.

ჯერ კიდევ 1823 წელს აშშ-ის პრეზიდენტის ჯეიმს მონროს ცნობილი დოქტრინა აყალიბებდა იმ ძირითად პრინციპებს, რომლებიც შემდგომში პანამერიკანიზმს დაედო საფუძვლად. კერძოდ, მონროს დოქტრინა შეიცავდა ოთხ ძირითად პუნქტს: ა) ამერიკის კონტინენტი აღარ წარმოადგენს ღია სივრცეს ევროპელთა კოლონიზაციისათვის; ბ) ამერიკის პოლიტიკური სისტემა არსებითად განსხვავდება ევროპულისაგან; გ) აშშ საკუთარი მშვიდობისა და უშიშროებისათვის საფრთხედ ჩათვლის ევროპული სახელმწიფოების ნებისმიერ მცდელობას, თავიანთი სისტემა მოახვიონ თავს დასავლეთ ნახევარსფეროს რომელიმე ნაწილს; დ) აშშ არ ჩაერევა არც ევროპული ქვეყნების ამერიკაში უკვე არსებული კოლონიების, არც ევროპის სახელმწიფოების შინაურ საქმეებში.

მონროს დოქტრინა „ამერიკა ამერიკელებისათვის" რეალობაში ნიშნავდა „ამერიკის ორივე კონტინენტი ამერიკის შეერთებული შტატებისათვის". მართლაც, როცა XIX საუკუნის ბოლოს აშშ მსოფლიოს ყველაზე მძლავრ სახელმწიფოდ იქცა, მან თავისი ყურადღება სამხრეთზე, ლათინური ამერიკის უზარმაზარ სიმდიდრეებზე გადაიტანა. მიუხედავად იმისა, რომ მას ახალი მიწები არ ესაჭიროებოდა, მდიდარი ნედლეულისა და გასაღების ბაზრების ცდუნება საკმაოდ დიდი იყო.

1889 წელს აშშ-ის ინიციატივითა და დაფინანსებით ვაშინგტონში შედგა პირველი პანამერიკული კონფერენცია, რომელზეც წარმოდგენილნი იყვნენ აშშ და ლათინური ამერიკის დამოუკიდებელი სახელმწიფოები. ასე ჩაეყარა საფუძველი პანამერიკული კონფერენციების ჩატარების ტრადიციას, სადაც მიღწეული იქნა შეთანხმება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა საერთაშორისო სამართლის კოდიფიკაცია, ფინანსური, სამრეწველო და სავაჭრო პრობლემები, ტრანსპორტი და კომუნიკაციები, ჯანდაცვა და კულტურული ურთიერთობები და ა. შ. თუმცა ცხადია, კონფერენციები მიმდინარეობდა აშშ-ის აშკარა ზეწოლით და შეთანხმებებიც, უპირველეს ყოვლისა, მის ინტერესებს ასახავდა.

1948 წელს ბოგოტაში გამართულ მეცხრე პანამერიკულ კონფერენციაზე დაფუძნდა ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია, რომლის მიზანსაც ამერიკის სახელმწიფოთაშორისი სოლიდარობის და ინტეგრაციის განმტკიცება წარმოადგენდა. თუმცა აშკარად არათანაბარმა შესაძლებლობებმა და პოტენციალმა, ერთი მხრივ, აშშ-სა და, მეორე მხრივ, ლათინური ამერიკის თუნდაც ყველაზე მძლავრ სახელმწიფოს შორის, ამ ორგანიზაციის მუშაობა არაეფექტური გახადა. სახელმწიფოთა უმრავლესობის მხრიდან სულ უფრო აშკარად ჩანდა უკმაყოფილება აშშ-ის სრული დომინირების გამო. განსაკუთრებით ეს შეეხო აშშ-ის პოლიტიკას, როცა იგი უხეშად ერეოდა ლათინური ამერიკის ქვეყნების შინაურ საქმეებში (გვატემალა, კუბა, ჩილე, ნიკარაგუა, გრენადა). ყოველივე ამის გამო, რასაც დაემატა უკიდურესი სხვაობა ეკონომიკური ცხოვრების დონესა და მატერიალურ პირობებში აშშ-სა და ლათინური ამერიკის ქვეყნების უმრავლესობას შორის, აგრეთვე, ენობრივმა, კულტურულ-რელიგიურმა და ეთნოფსიქოლოგიურმა განსხვავებებმა პანამერიკანიზმი საგრძნობლად შეასუსტა და დღეს მისი გავლენა საკმაოდ სუსტია.

**რუსუდან დაუშვილი**
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმის თანამშრომელი, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის მსოფლიო ისტორიის კათედრის დოცენტი*

# დიმიტრი მეტრეველი – ქართველი ოქროსმრეწველი ამერიკაში

ამერიკის კონტინენტზე კანადა პირველი ქვეყანა იყო, სადაც 1823 წელს (კვებეკი) ოქროს მოპოვება და დამუშავება დაიწყეს. მალე ამერიკაც ჩაერთო ამ საქმიანობაში. 1848 წელს კალიფორნიაში, 1858 წელს კოლორადოში და 1859 წელს ნევადაში ოქროს აღმოჩენას ნამდვილი „ოქროს ციებ-ცხელება" მოჰყვა. მსოფლიოს ყველა კუთხიდან დაიძრნენ ბედისმაძიებლები ამერიკისაკენ, ზღაპრული „ელდორადოსაკენ". XIX საუკუნის 70-იან წლებში „ციებ-ცხელება" ჩაცხრა, მაგრამ 1890 წელს კლონდაიკსა და ალიასკაზე ოქროს აღმოჩენას ახალი აფეთქება მოჰყვა. ახლა იუკონისკენ დაიძრნენ ოქროსმაძიებელთა ქარავნები.

ჩვენ ამ ისტორიებს უპირატესად ჯეკ ლონდონის თხზულებებითა და ჩარლი ჩაპლინის გენიალური ფილმით ვიცნობთ, მაგრამ არაფერი ვიცით ქართველ ოქროსმაძიებელთა შესახებ, გივი კობახიძის ერთი წერილის „ქართველები კანადაში" გარდა, რომელიც გურამ შარაძემ 1990 წელს გაზეთ „თბილისში" გამოაქვეყნა[1]. ძირითადი ისტორიის გარდა, წერილში მოთხრობილია, თუ როგორ ჩაძირა ერთი ქართველი მდინარეში ქამარში ჩაკერებულმა ოქრომ. მაგრამ არ არის მითითებული, რამდენი შეიწირა ამ ლითონმა, რამდენს მოეცარა ხელი, რამდენი იმედგაცრუებული დაბრუნდა, ან ვერ დაბრუნდა სამშობლოში. წარმატებას კი ერთეულებმა მიაღწიეს. მათ შორის იყო დიმიტრი მეტრეველიც. ის მწირი მასალა, რაც მოვიძიეთ, საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ მისი ცხოვრება და მოღვაწეობა ამერიკაში.

1895 წლის ზაფხულის ერთ ღამეს, როცა რაჭისულამაზესი სოფლის უწერის მყუდროება თოფის ხმამ დაარღვია, გლეხ ნესტორ მეტრეველს ვაჟი დიმიტრი შეეძინა. არც ბებიაქალს და არც ოჯახის ბედნიერ წევრებს აზრადაც არ მოსვლიათ, რომ ეს პატარა, მტირალა არსება მომავალში შორეულ კანადაში მთელ ქალაქს დაარსებდა, ალიასკაზე კი ოქროს მაღაროებს აამუშავებდა.

დიმიტრის ბავშვობიდანვე აჩვევდნენ შრომას. რვა წლის ასაკში დურგალს მიაბარეს ხელობის შესასწავლად. წერა-კითხვა ჯერ სოფლის მღვდელთან შეისწავლა, შემდეგ უწერის ორკლასიან სასწავლებელში. თანასოფლელებისაგან ხშირად ესმოდა ამერიკისა და კანადის ამბები. თვითონაც შეხვედრია იქიდან დაბრუნებულ მეზობლებსა და ნათესავებს, რომლებიც იმ შორეული ქვეყნების საოცარ ამბებს ყვებოდნენ, მონაგები ფულით კი ცხოვრებას იწყობდნენ. 1913 წელს დიმიტრიც გაჰყვა ერთ დიდ ჯგუფს ამერიკაში, სადაც მას უკვე მრავლად დახვდნენ ქართველები, რომელთა ნაწილი ახალ მიწაზე დამკვიდრებულიყო.

ამერიკაში ქართველები პირველად XIX საუკუნის 60-იან წლებში, რუსეთში ბატონყმობის გაუქმებისა და ამერიკაში სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ ჩაეიდნენ სამუშაოს საძებნელად: თავდაპირველად ერთეული პიროვნებები, შემდეგ – პატარა ჯგუფები. XX საუკუნეში იწყება უფრო მასობრივი ემიგრაცია. მაგალითად,

გურული ცხენოსნების ცირკის არენაზე გამოსასვლელად და რაჭველი მიწის მუშების – სიეტლის რკინიგზის მშენებლობაზე. მომდევნო წლებშიც მათ ემატებოდნენ მცირე ჯგუფებად ახლობლები დასავლეთ საქართველოს მცირემიწიანი რაიონებიდან – რაჭიდან, ლეჩხუმიდან, იმერეთიდან, სამეგრელოდან, სვანეთიდან, აგრეთვე ჩინეთიდან – მანჯურიის ქართული კოლონიიდან. ბევრი უკან აღარ ბრუნდებოდა და იქვე სახლდებოდა. მალე ქართველთა განსახლების არეალი გაიზარდა, როგორც აღმოსავლეთ სანაპიროზე, ისე დასავლეთში – ნიუ-იორკში, ჩიკაგოში, სან-ფრანცისკოში, სიეტლში, ლოს-ანჯელესში, დენვერში და სხვა, აგრეთვე მოსაზღვრე კანადის ქალაქებში ტორონტოში, ოტავაში, ვანკუვერში, ედმონტონში და ა.შ. რაჭველები ძირითადად სიეტლსა და ვანკუვერში დაჯგუფდნენ, საიდანაც ვიქტორიაში, საკრამენტოში, ტაკომასა და სან-ფრანცისკოში მიდიოდნენ, გურულები – ჩიკაგოსა და კოლორადოს შტატში დასახლდნენ. იქიდან კანადაშიც გადადიოდნენ, რადგან ამერიკასა და კანადას შორის მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკური კავშირის გარდა, თავისუფალი საზღვარიც არსებობდა. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩასული მრავალი ქართველი იყო თავმოყრილი ნიუ-იორკში. ბევრი სეზონური სამუშაოსათვის მიდიოდა ამერიკაში, ნაწილი კი სამუდამოდ დასახლდა ამერიკასა და კანადაში, რომლებსაც ერთ გეოგრაფიულ ერთეულად თვლიდნენ და „ჩრდილო ამერიკას" უწოდებდნენ [2].

ამერიკის შტატის ვაშინგტონის ჩრდილოეთ საზღვართან ახლოს, კანადის სამხრეთ-დასავლეთით, 1886 წელს დაარსდა ქ. ვანკუვერი. ქალაქი მალე იქცა მსხვილ სამრეწველო ცენტრად, მნიშვნელოვან სარკინიგზო-სატრანსპორტო კვანძად და კანადის მთავარ ნავსადგურად. ძირითადი სამეურნეო საქმიანობა – ხე-ტყის დამუშავება, გემთმშენებლობა, ნავთობდამუშავება, მეტალურგია და სხვა დარგები დიდძალ მუშახელს ითხოვდა. ქართველი მუშები ქალაქის დაარსებისთანავე გაჩნდნენ. ისინი სიეტლიდან გადადიოდნენ ვანკუვერში. უფრო მეტად ხე-ტყის დამუშავებასა და რკინიგზის მშენებლობაში იღებდნენ მონაწილეობას, რადგან სიეტლის მოსახლეობა ძირითადად ამ საქმიანობაში იყო ჩაბმული. ქართველთა რიცხვი ამ ორ ქალაქში მუდმივად იცვლებოდა, რადგან საჭირო თანხის მოგროვებისთანავე ისინი სამშობლოში ბრუნდებოდნენ, მათ ადგილს კი ახალმოსულები იკავებდნენ. დაოჯახებას ერიდებოდნენ, რათა ახალ მიწას არ მიჯაჭვოდნენ და უკან სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ. დაცოლშვილების შემთხვევაში მხოლოდ ისინი ბრუნდებოდნენ, ვისაც ქართველი, რუსი, უკრაინელი, პოლონელი, ან ევროპელი ცოლი ჰყავდა. ადგილობრივი კანადელი და ამერიკელი ქალები კი ქმრებს სამუდამოდ ამაგრებდნენ „ახალ მიწაზე".

ქართველებს ჩამოყალიბებული ჰქონდათ ურთიერთდახმარების გარკვეული სისტემა, რის წყალობითაც ადვილად ხდებოდა ადაპტაცია. გივი კობახიძე მოგვითხრობს ისტორიას, როცა ვანკუვერში მცხოვრებმა 25 რაჭულმა ოჯახმა (მათთან ერთად მარტოხელებმაც), დაახლოებით 200-მდე ქართველმა, შეიძინა ვეებერთელა, სამსართულიანი სახლი და ერთად დასახლდა. ამ სათემო საზოგადოებას ამერიკელები გაუოცებია თავისი ზნეობრივ-მორალური და მეგობრული ქცევით [3]. ეს იყო ის ტრადიცია, რომელიც მთარაჭიდან გადმოიტანეს ახალ მიწაზე. XIX საუკუნის ბოლომდე რაჭაში ხშირი იყო დიდი გაუყოფელი ოჯახები, რომელთა სულადობა 70-100 კაცს აღწევდა და ოთხ თაობას ითვლიდა. ოჯახს სათავეში უხუცესები ედგნენ, რომლებიც ყველა წევრს უნაწილებდნენ საქმეს. ვანკუვერის თემობასაც შეუქმნია უხუცესთა საბჭო, ქალთა კომიტეტი, ურთიერთდამხმარე

სალარო, განათლების სექცია, გართობისა და კულტურის ჯგუფი და სხვ. ეს თემი იქცა ერთ მძლავრ სამეურნეო-ეკონომიკურ ერთეულად, რომელიც მეზობლად მცხოვრებ ადგილობრივ მოსახლეებსაც ეხმარებოდა და სამშობლოში — ნათესავებსა და ახლობლებს. მაგრამ დრომ თავისი გაიტანა და ეს ერთობა დაიშალა, მომრავლებული ოჯახები ცალკე გავიდნენ, სამსახურის გამო კი სხვა ქალაქებში მიმოიფანტნენ. მომდევნო თაობებმა დაკარგეს მშობლიური ენა, კავშირი ერთმანეთთან და სამშობლოსთან, თუმცა ბევრს დღემდე ახსოვს თავისი წარმოშობა.

ასეთი ეითარება დახვდა ამერიკაში 18 წლის დიმიტრი მეტრეველს. იგი ჯერ სიეტლში ჩაეიდა, შემდეგ ვანკუვერში. რიგ ქალაქებში მოგზაურობის შემდეგ, საცხოვრებლად კეებეკის მახლობლად პატარა ქალაქი ვალდორი აირჩია, დაოჯახდა. ცოლად ლიტვური წარმოშობის ქალი შეირთო. მათ სამი შვილი, ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი შეეძინათ — ავგუსტ-მიტო, ნესტორი და ემილია. ბევრი ხელობა მოსინჯა, ერთხანს ჭიდაობდა კიდეც, სანამ „ოქროს ციებ-ცხელება“ არ შეეყარა. ოქროსმაძიებლობა დიდ ენერგიას, ნებისყოფასა და გამჭრიახობას მოითხოვდა, რაც დიმიტრისაც აღმოაჩნდა. მალე მიაკვლია ოქროს და ჯერ ერთი, შემდეგ კი რამდენიმე მაღარო აამუშავა. მუშებთან ერთად, მის გარშემო ნელ-ნელა სხვა ხალხმაც იწყო დასახლება. დაბას, რომელიც ამ დასახლების წყალობით შეიქმნა, მისი გვარის მიხედვით ხალხმა ამერიკული მანერით „მეტრევილი“ უწოდა.

მიტო, როგორც იგი შემოკლებით უწოდებდა თავს, არ დაკმაყოფილდა კანადური მაღაროებით და ბედი ალიასკაზეც სცადა. იქ მის მაღაროებს „მიტოს ანომალიები“ ეწოდა. მაღაროების წყალობით, მალე გამდიდრდა, მაგრამ მისი კეთილშობილი ბუნება სიმდიდრეს არ შეუცვლია — უშურველად ეხმარებოდა არა მარტო თანამემამულეებს ამერიკაში, რისი წყალობითაც ბევრი ფეხზე დადგა და საკუთარი ბიზნესი წამოიწყო, არამედ ამერიკელებს, ბალტიისპირელებს, უკრაინელებსა და სხვებს. დიდ მატერიალურ დახმარებას უწევდა ოჯახსა და ნათესავებს საქართველოში, მაგრამ სამშობლოში ჩამოსვლა აუხდენელ ოცნებად დარჩა.

1929-1933 წლების ყველაზე ძლიერმა ეკონომიკურმა კრიზისმა დიდი დარტყმა მიაყენა ამერიკის ეკონომიკას და ბევრი მილიონერი გააკოტრა. მთელი სიმდიდრე დაჰკარგა მიტომაც. დაბა მეტრევილი და „ანომალიები“ დაცარიელდა, მაგრამ მან მაინც შეძლო დაცემული წარმოების ისე გამართვა, რომ შეძლებულ კაცად დარჩენილიყო. „კვებეკ ფირე რენჯერ“-ში ალფონს ბოლდოდიუ წერდა, რომ პირველი მოქალაქეები, რომლებიც დასახლდნენ კანადაში, „ოქროს ხეობაში“ (ვალ დორ) მუდმივად საცხოვრებლად, იყვნენ იღბლიანი და მაღალი კვალიფიკაციის პროფესიონალი ოქროსმომპოვებელი მაიკ მიტო (ასე იწოდებოდა დ. მეტრეველი) და მისი სიძე რაშენ[4].

1946 წელს „მორნინგ დაიჯესტი“ მის შესახებ წერდა: „მან მიაღწია საქმეში რეკორდულ მაჩვენებელს ახლადმოსულთაგან, როგორც ყველაზე კოლორიტულმა პიროვნებამ და მილიონერმა „ოქროს ხეობის“ მრავალრიცხოვან ოქროსმომპოვებელთა შორის. მაიკ მიტო და მისი ამერიკელი პარტნიორი ფრენკ ჰარინგტონ სალერნო ტორონტოში ჩავიდნენ, რათა დაეთვალიერებინათ მათ მიერ გასულ ზაფხულს აღმოჩენილი ალმასის დამამუშავებელი სალმოტას საწარმოს მუშაობა. მათ განაახლეს ძველი ნაცნობობა, რათა განეხორციელებინათ თავიანთი ეს ჩანაფიქრი სალმოტას ტბის მიდამოებში“ [5].

ყოველკვირეული „ნორანდა ვიკლი“ წერდა: „ბორდალაკის რაიონში ყურადღება მიიპყრო ბორდესამ, რომელსაც სათავე დაუდო რაშენ კიდმა. განცხადება, რომელშიც

პირველად გამოქვეყნდა „Bordessa Mines Limited"-ის აქციების შესახებ, გვაცნობს ოქროსმომპოვებელთა შორის ყველაზე კოლორიტული ფიგურის მაიკ მიტოს კარიერის შესახებ. მაიკი და მისი პარტნიორი სახელგანთქმული რაშენ კიდი იყვნენ პირველი დამაარსებელი და ბინადარნი „ოქროს ხეობის", რომელიც დღეს ითვლება ცენტრად იმ გიგანტური ბორბლისა, იმ პირველი იმპულსის ამძრის მიმნიჭებელად. რასაც მოჰყვა ოქროთი მდიდარი კვებეკის ჩრდილო-დასავლეთ არეალის განვითარება და გაფართოება. მრავალ მნიშვნელოვან საწარმოთაგან, რომელსაც სათავე დაუდეს მაიკმა და მისმა პარტნიორმა, განსაკუთრებული ადგილი უკავია პირველდაფუძნებულ სამფლობელოს „Russian Kid" დესარატში, კვებეკის ჩრდილო-დასავლეთში, რომლის მილიონ დოლარიან გარიგებაზე, თავის დროზე, რაშენ კიდმა უარი განაცხადა. ეს საკუთრება ცნობილი „Bordulac Mines" სახელით, დღეს მაიკის დიდი ძალისხმევით მძლავრი აღმავლობის სტადიაშია"[6].

მაიკ მიტოს და მისი ოჯახის შესახებ წერდნენ სხვა გაზეთებიც. ყველა აღნიშნავდა მის დამსახურებას ოქროსმოპოვებისა და გადამუშავების საქმეში, თუმცა დიდი დეპრესიის შემდეგ მილიონერთა სიაში აღარ ირიცხებოდა.

1970 წელს, როდესაც მიტო ქალაქ ჰამილტონში ფილტვების კიბოთი გარდაიცვალა, უფროსმა ვაჟმა, 1950–1953 წლების კორეის ომის ვეტერანმა ავგუსტმა (შემოკლებით – აგი) განაგრძო მისი საქმე. როგორც გივი კობახიძე წერდა, გარეგნობით და ხასიათით აგი ტიპური ქართველია, თუმცა ენა არ იცის და ძალიან განიცდის[7]. XX საუკუნის 80-იან წლებში ავგუსტ მიტო გონიერულად და დიდი ცოდნით წარმართავდა მამის დაწყებულ საქმეს. ის გახდა კომპანია „Augimitto Explorations Limited" დამფუძნებელი და „Cache d'Or Resourses Inc" პრეზიდენტი. კანადის ხელისუფლებაც დიდად აფასებდა და ხელს უწყობდა მისი ბიზნესის განვითარებას. აგის ფრანგული წარმოშობის ცოლი და ერთი ვაჟი – მაიკი ჰყავს. მეორე ძმა ნესტორი ცხოვრობდა ამერიკაში, კალიფორნიაში. და ემილიაც იქვე დასახლდა, ფრანგული წარმოშობის კანადელზე გათხოვების შემდეგ.

აი, ის მცირე ინფორმაცია, რაც ამერიკაში ქართველ ოქროსმრეწველზე, დიმიტრი მეტრეველზე მოვიპოვეთ.

ალიასკაზე „მიტოს ანომალიები" ალბათ აღარც არსებობს. ჩემს მეგობარს, შარშან კანადაში მოგზაურობისას, მეტრევილში მოუწია გავლა. თურმე ეს ქალაქი ისევ არსებობს და კვლავ დიმიტრი მეტრეველის სახელს ატარებს. რაჭაში, მშობლიური უწერის სასაფლაოზე განისვენებენ მისი წინაპრები, სოფელში კი დღესაც ჰყვებიან ამერიკამოელიდ თანასოფლელებზე.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. გ. კობახიძე, ქართველები კანადაში. გაზ. „თბილისი", 1990.
2. რ. დაუშვილი, ქართველები ემიგრანტები ამერიკის შეერთებულ შტატებში, ამერიკის შესწავლის საკითხები, I, 2002, გვ.114-9, აგრეთვე წიგნი „ქართველი მრეწველები და გამომგონებლები ამერიკაში", თბილისი, 2002.
3. გ. კობახიძე, დასახ. ნაშრ.
4. Quebek file Ranger, 1945.
5. Morning Digest, 1946.
6. Noranda Weerly, 1946.
7. გ. კობახიძე, დასახ. ნაშრ.

**ვასილ კაჭარავა**
*ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დოცენტი, ამერიკის შესწავლის ცენტრის დირექტორი*

# კალვინ კულიჯის ადმინისტრაციის უმნიშვნელოვანესი მოვლენები

საბაზრო ეკონომიკის მუდმივ პრობლემას წარმოადგენდა სახელმწიფოს როლი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში ანუ რა დონით უნდა მონაწილეობდეს და არეგულირებდეს სახელმწიფო ამ პროცესებს.

საქართველოს მესვეურთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ საბჭოური სოციალიზმისაგან განსხვავებით სახელმწიფო საერთოდ არ უნდა ერეოდეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში.

მეორე ნაწილი თვლის, რომ სახელმწიფოს გააჩნია სერიოზული სოციალურ-ეკონომიკური სახის ვალდებულებანი მოსახლეობის წინაშე. ეს გამოიხატება კიდეც შრომის, სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, ეკონომიკის სამინისტროს და სხვა მსგავსი სტრუქტურების არსებობაში. მაგრამ თუ ამ სამინისტროების საქმიანობის რეალური შედეგებით ვიმსჯელებთ დავინახავთ, რომ ფაქტობრივად სახელმწოფო თავიდან იცილებს რეალური პრობლემების რეალურ გადაწყვეტას.

ასე რომ, საქმით მმართველი პოლიტიკური წრეების ორივე ჯგუფი ფაქტობრივად სახელმწიფოს პასიური ფუნქციის მომხრეა. ამასთან დაკავშირებით, ხშირად ამერიკულ გამოცდილებას იშველიებენ და ალბათ, რიგორც საზოგადოება ასევე საკუთარი თავიც შეცდომაში შეჰყავთ. სავალალო შედეგი სახეზეა. ამიტომაც მართებულად მიგვაჩნია ამერიკული ისტორიის ერთ-ერთი ის ეტაპი განვიხილოთ, როდესაც სახელმწიფო მართლაც განსაკუთრებული პასიურობით გამოირჩეოდა. შეიძლება ითქვას, ეს პერიოდი მეოცე საუკუნეში ასეთი პოლიტიკის კულმინაციას წარმოდგენდა. კერძოდ კი, საქმე ეხება 1923–29 წლებში კალვინ კულიჯის პრეზიდენტობის პერიოდს. ამ პერიოდს დაემთხვა უდიდესი ეკონომიკური აღმავლობა და იგი „პროსპერიტის" სახელით არის ცნობილი. რასაკვირველია, ერთ მცირე სტატიაში წარმოუდგენელია ასეთი უზარმაზარი ქვეყნის თუნდაც რამდენიმე წლის ცხოვრების საფუძვლიანი ანალიზი, მაგრამ გარკვეული დასკვნების გაკეთება ვგონებ მაინც შესაძლებელია.

1920 წლისათვის გარკვეულწილად დასრულდა 1901 წელს, თეოდორ რუზველტის მმართველობისას დაწყებული, შემდეგ კი ვუდრო ვილსონის მიერ გაგრძელებული ე.წ. პროგრესული ერა, როდესაც მე-19 საუკუნის ტიპის კაპიტალიზმი ახალი ეპოქის რეალობებმა შეცვალეს და ამერიკული დემოკრატიის გადასარჩენად აუცილებელი გახდა სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციების ზრდა. ეს გამოიხატა მონოპოლიების უსაზღვრო ძალაუფლების შეკვეცის მცდელობაში. სახელმწიფო ამავე დროს შედარებით აქტიურად ჩაერთო დამქირავებელთა და დაქირავებულთა შორის წარმოქმნილ სერიოზულ კონფლიქტებში. იგი სერიოზულად დაუპირისპირდა ამერიკელი ჟურნალისტების მიერ გამოაშკარავებულ ფართომასშტაბიან კორუფციას. მოგვიანებით, ვუდრო ვილსონის ინიციატივით

შეიქმნა აშშ-ის ფინანსური ინსტიტუტების სერიოზული მარეგულირებელი მექანიზმები (ფედერალური სარეზერვო სისტემა) და მრავალი სხვ.

1920 წლის არჩევნებში რესპუბლიკური პარტიის კონსერვატიული ფრთის იდეოლოგიამ გაიმარჯვა და ლოზუნგით „უკან ნორმალურობისაკენ" პრეზიდენტად აირჩიეს ოჰაიოს შტატის სენატორი უორენ ჰარდინგი.

რასაკვირველია ჰარდინგმა ვერ მოახერხა პროგრესული ერის სტრუქტურების სრული დემონტაჟი, მაგრამ მისი მმართველობის დროს სახელმწიფო თითქოს დაუბრუნდა მსხვილი კაპიტალისათვის ესოდენ ნანატრ Laissez-faire-ის, ანუ სახელმწიფოს აშკარად გამოკვეთილ ჩაურევლობის პოლიტიკას სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში. ამ პოლიტიკამ თავის აპოგეას 1923 წელს უ. ჰარდინგის სიკვდილის შემდეგ, პრეზიდენტად გამხდარი კალვინ კულიჯის მმართველობისას მიაღწია.

მასაჩუსეტსის შტატის ყოფილი გუბერნატორი კალვინ კულიჯი საკმაოდ მტკიცე ნებისყოფის და მაღალი ზნეობის ადამიანი იყო, როგორც ამბობდნენ ტიპური ახალი ინგლისელი „იანკი", რომელსაც გულწრფელად სწამდა leissez-faire-ის იდეალების ანუ ამერიკის წარმატების მთავარი წინაპირობა, რომ ამერიკული ბიზნესის აყვავებაა. თუ ამერიკული ბიზნესი წარმატებული იქნება ამერიკაში მეტი სამუშაო ადგილი გაჩნდება ანუ მეტი ამერიკელი მიიღებს ხელფასს, რაც თავის მხრივ მოსახლეობის მსყიდველობით უნარს გაზრდის. ეს კი შესაბამისად ახალ იმპულსს მისცემს ბიზნესის განვითარებას და წარმოების გაფართოებას, რასაც კვლავ დასაქმებულობის ზრდა მოჰყვება და ასე უსასრულობამდე.

ეს არაჩვეულებრივად მიმზიდველი სქემა, რომ ასე მარტივად და შეუცდომლად არ მუშაობდა, მრავალმა ეკონომიკურმა კრიზისმა და სერიოზულმა სოციალურმა კოლიზიებმა დაადასტურეს. მაგრამ 1923–24 წლებში დაწყებულმა ეკონომიკურმა აღმავლობამ, რომელიც მეტად ხელსაყრელი საშინაო და საგარეო პოლიტიკურ-ეკონომიკური კონიუნქტურით იყო განპირობებული, არა მარტო კულიჯს, არამედ ბევრ სხვა სერიოზულ პოლიტიკოსსა და ბიზნესმენს განუმტკიცა რწმენა, რომ ეს იდეალური სქემა ამჯერად მაინც უნაკლოდ იმუშავებს. ამიტომაც კულიჯის ფრთოსანი ფრაზა, რომ „ამერიკელი ხალხის მთავარი ბიზნესი ბიზნესია." მეტად ნოყიერ ნიადაგზე გაიფურჩქნა და ქრესტომათიულად იქცა კულიჯის მრავალი თანამედროვისათვის.

თავბრუდამხვევი ეკონომიკური აღმავლობა, რომელიც ყველაზე ხატოვნად ავტომობილების მასობრივ გამოშვებასა და მათ ხელმისაწვდომობაში გამოიხატა (ავტომობილი ამერიკაში 350 –400 დოლარი ღირდა და მისი ყიდვა კვალიფიცირებულ მუშასაც კი შეეძლო მაშინ, როდესაც ევროპაშიც იგი უძვირეს ფუფუნების საგნად ითვლებოდა), ადასტურებდა, რომ ბიზნესი მშვენიერად ახერხებდა ამერიკის წინსვლის უზრუნველყოფას და, შესაბამისად, სოციალურ უზრუნველყოფაზეც იღებდა პასუხისმგებლობას. ჰოდა, სიკეთისაგან სიკეთის ძიება რაღა საჭირო იყო. მაგრამ მაშინაც კი ყველა ასე არ ფიქრობდა. 1924 წლის არჩევნებში საკმაოდ ძლიერ ძალად იქცა მესამე პარტიის სახით მოვლენილი პროგრესული მოძრაობა, რომელსაც სენატორი რობერტ ლაფოლეტი ხელმძღვანელობდა. ეს პარტია აქტიური სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას მოითხოვდა. რესპუბლიკელები მის გარკვეულ რადიკალიზმს ამერიკელთა დასაშინებლადაც იყენებდნენ. მაგალითად, თავის ერთ-ერთ წინასაარჩევნო რადიოგამოსვლაში, რომლის ტექსტსაც კალიფორნიის კულიჯ-დაუესის რესპუბლიკური ლიგა ავრცელებდა,მაშინდელი ვაჭრობის მინისტრი

ჰ. ჰუვერი აცხადებდა: „სენატორ ლა-ფოლეტის პარტია მოითხოვს რკინიგზისა და სხვა სამეურნეო სფეროების სახელმწიფოს საკუთრებასა და მართვაში გადაცემას. კერძოდ კი, საქმე ეხება რკინიგზას, ელექტროენერგიას, სატელეფონო მომსახურებას და ტელეგრაფს. რესპუბლიკური პარტია კერძო საკუთრების მომხრეა იმის გათვალისწინებით, რომ არ მოხდეს მთავრობის მიერ ხელისუფლების ბოროტად გამოყენება, მომსახურებისა და მოგების რეგულირების გზით."[1]

შესაბამისად კულიჯმა მინიმუმამდე დაიყვანა აღმასრულებელი ხელისუფლების როლი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში და კონგრესსაც იმავეს მოუწოდებდა.

„ჩვენი უბედურებათა ოთხი მეხუთედი გაქრება, თუ ჩვენ დავსხდებით და წყნარად ვიქნებით"- ქადაგებდა კულიჯი.[2]

ამის შესახებ ამერიკის ცნობილმა იუმორისტმა უილ როჯერსმა განაცხადა- „კულიჯი გამოჩენილია არა იმიტომ, რომ იგი არაფერს აკეთებდა, არამედ იმიტომ რომ იგი ამას (არაფრის კეთებას–ავტ) ყველაზე უკეთესად აკეთებდა".[3]

პურიტანიზმის ტრადიციებზე აღზრდილ კულიჯს შრომა თითქმის რელიგიის რანგში ჰქონდა აყვანილი – „ადამიანი, რომელიც ქარხანას აშენებს აშენებს ტაძარს. ადამიანი რომელიც იქ მუშაობს, ღვთისმსახურებას ეწევა იქ." ამ სიტყვებიდან ის დასკვნაც გამოდიოდა, რომ ამერიკელ მეწარმეს, რომელიც სამადლო საქმეს აკეთებს ხელი არავინ უნდა შეუშალოს.

ბუნებრივია, ბიზნესმენებზე უკეთ ბიზნესზე ვერავინ იზრუნებდა და ამერიკის მთავრობაშიც ისინი უშუალოდ და მრავლად იყვნენ წარმოდგენილი. ამის კლასიკური მაგალითი იყო ფინანსთა მინისტრი, ამერიკის უმდიდრესი ადამიანი, ენდრიუ მელონი, ვაჭრობის მინისტრი, ასევე წარმატებული ბიზნესმენი, ჰერბერტ ჰუვერი, ვიცე პრეზიდენტი, მსხვილი ბანკირი, ჩარლზ დაუესი.

როგორც *„უოლ სტრიტ ჯორნალში"* დაწერეს - „ჯერ კიდევ არასოდეს აქ, ან სადმე სხვაგან არ ყოფილა მთავრობა ასე სრულად შერწყმული ბიზნესთან".[4]

კულიჯმა პოლიტიკური პასიურობა ხელოვნების რანგში აიყვანა. მის დროს პრეზიდენტი მართლაც ღამის „დარაჯის როლს" ასრულებდა, რომელსაც ძირითადად საგარეო საქმეებზე უნდა ეზრუნა. მაგალითისათვის გავიხსენოთ; ინტერვენცია ნიკარაგუაში, კელოგ-ბრიანის პაქტი, დაუესის გეგმა და ა.შ.

რაც შეეხება საშინაო საქმეებს აქ თითქოს არაფერი მნიშვნელოვანი არ ხდებოდა, ხოლო თუ კი ხდებოდა ეს კვლავ მთავრობის როლის შემცირებისა და ბიზნესის გააქტიურებისაკენ იყო მიმართული.

რასკვირველია, ყველა ავტორს თავისი პრიორიტეტები აქვს. მაგრამ თუ ამერიკულ ისტორიოგრაფიაში არსებულ ტრადიციას გავითვალისწინებთ, კულიჯის ადმინისტრაციის საშინაო პოლიტიკის რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენა შეიძლება გამოვყოთ, რომელთა მაგალითზეც გამოიკვეთა ადმინისტრაციის კრედო, მისი რეალური პოლიტიკა.

1. 1924 წლის 15 მაისს კულიჯმა ვეტო დაადო ე. წ. ბონუსის ბილს. ამ ბილის მიხედვით სახელმწიფოს გარკვეული ანაზღაურება უნდა გადაეხადა პირველი მსოფლიო ომის ვეტერანებისათვის და ამ ანაზღაურების გადახდა 1945 წელს უნდა დაწყებულიყო. საბოლოოდ კონგრესმა მაინც მიიღო ეს კანონი. კერძოდ, 17 მაისს წარმომადგენელთა პალატაში 313 ხმით 78-ის წინააღმდეგ და სენატში 59 ხმით 26 –ის წინააღმდეგ ბილის მომხრეებმა გამარჯვებას მიაღწიეს.

მოგვიანებით, 1925 წლის კონგრესისადმი ყოველწლიურ მიმართვაში კულიჯი აღნიშნავდა, რომ ვეტერანებისათვის უდიდესი თანხები იხარჯებოდა, დაახლოებით 650 მილიონი დოლარი, რაც პირველ მსოფლიო ომამდე მთელი ფედერალური ხარჯების ტოლი იყო. არც თუ დიდი ენთუზიამით, მაგრამ მოიხსენია ბონუსის ბილიც და განაცხადა, რომ ამაზე მეტი რაღა უნდა გაკეთდესო. ისიც დაამატა, რომ „სამომავლოდ ძალზე ფრთხილად უნდა შევიტანოთ ცვლილებები ვეტარანთა კანონმდებლობაში"[5]

1926 წელს კი პირდაპირ აღნიშნა, რომ მეტისმეტად გაზარდეს ვეტერანთა პენსიები. „აღნიშნული დროისათვის ეს უკვე საკმარისია და მე აღარ მსურს მათი შემდგომი ზრდა".[6]

ამ პოზიციას კულიჯი ეკონომიის პოლიტიკით ხსნიდა, რომელიც მისი აზრით სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენდა. ვაშინგტონის ბიუროკრატიისადმი ტრადიციულად ნეგატიურად განწყობილ ამერიკელებს ეს ძალზე მოსწონდათ. გარდა ბონუსის ბილისა მან ვეტო დაადო ე. წ. ბარსომის კანონპროექტს, რომელიც პენსიების ზრდას მოითხოვდა ფედერალურ მოსამსახურეთათვის. ვეტო დაადო ფოსტის მუშაკთათვის ხელფასების ზრდას, რომელიც წელიწადში 64 მილიონი უნდა დამჯდარიყო. კულიჯი არც კონგრესმენების და სენატორების ხელფასის ზრდის მომხრე იყო, მაგრამ საკანონმდებლო ორგანოში ეს ცვლილება უდიდესი ენთუზიაზმით მიიღეს.

1925 წელს თავის საინაუგურაციო სიტყვაში კულიჯმა განაცხადა „როდესაც მე ეკონომიის პოლიტიკას ვქადაგებ მე ფულის დაზოგვა კი არა, ადამიანთა დაზოგვა მინდა. მშრომელი ამერიკელი კაცები და ქალები ეზიდებიან მთავრობის ხარჯების მთავარ სიმძიმეს. ყოველი ჩვენი დაზოგილი დოლარი ნიშნავს, რომ მათი ცხოვრება გაცილებით უკეთესი იქნება. ეკონომია ეს იდეალიზმია მის ყველაზე პრაქტიკულ გამოხატულებაში".[7]

როდესაც ეკონომიის პოლიტიკაზე საუბრობდა, 1924 წლის 30 ივნისს ბიზნესის ორგანიზაციების მეშეიდე ყოველწლიურ შეხვედრაზე, იგი ხაზს უსვამდა, რომ გადასახადები, რომელთაც მოქალაქეები იხდიან ნებაყოფილობითი უნდა იყოს, ვინაიდან „ფაქტობრივად ადამიანები თავისი დროის გარკვეულ ნაწილს მთავრობაზე მუშაობენ. შესაბამისად გადასახადების დაწესების უფლება ყველაზე ფრთხილად უნდა იყოს გამოყენებული. მთავრობა რომელიც აწესებს გადასახადებს საგანგებო სახალხო ინტერესების და ჯანსაღი საზოგადოებრივი პოლიტიკის ინტერესების გარეშე, თავისუფლების დამცველი კი არა ტირანიის ინსტრუმენტია."[8]

2. 1928 წლის 29 მაისს კალვინ კულიჯმა ჯიბის ვეტო გამოიყენა ე. წ. მასლ სქოალსიოს კანონპროექტის მიმართ. პირველი მსოფლიო ომის დროს მთავრობამ მდინარე ტენესის დაბლობში, რომელსაც მასლ სქოალზი ერქვა, დაიწყო დიდი ელექტროსადგურის მშენებლობა, რათა უზრუნველეყო ომისათვის საჭირო ქიმიური პროდუქციის წარმოება. ომის შემდეგ რესპუბლიკელებმა მოითხოვეს, რომ ტრადიციისამებრ ეს სადგური კერძო ბიზნესისათვის მიეყიდათ დაბალ ფასში ანდა სულაც ნომინალურ ფასში, როგორც ეს სხვა სფეროებში მოხდა. მაგრამ პროგრესისტებს სენატორ ნორისის სახით, მიაჩნდათ, რომ სადგური სახელმწიფო საკუთრებაში უნდა დარჩენილიყო. უფრო მეტიც, მთავრობას სხვა სადგურებიც უნდა აეშენებინა, რათა იაფი ენერგია მიეწოდებინა რეგიონისათვის. ასე რომ, ბრძოლა მასლ სქოალსის გარშემო პრინციპულ დაპირისპირებად იქცა კონსერვატიზმსა და პროგრესივიზმის სახით მოვლენილ ლიბერალიზმს შორის.

ბუნებრივია, რომ კულიჯი კატეგორიულად შეეწინააღმდეგა მისი იდეოლოგიისათვის სრულიად შეუფერებელ სახელმწიფო საქმიანობას.

3. ოციანი წლების აყვავება ყველაზე ნაკლებად შეეხო ამერიკის სოფლის მეურნეობას, უფრო მეტიც, რომ ვეღარ ასაღებდნენ თავის პროდუქციას მსოფლიო ბაზარზე ფერმერები მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. კონგრესში ფერმერთა ლობის ზეწოლის შედეგად მიღებული მაკ ნარი-ჰოუგენის ბილი მოითხოვდა სახელმწიფოს მიერ ფერმერთა პროდუქციის შესყიდვას და საზღვარგარეთ გაყიდვას. ამით მათ სურდათ მაღალი ფასების შენარჩუნება. ამავე დროს სახელმწიფოს ხარჯების დასაფარავად ფერმერებზე სპეციალური გადასახადი უნდა დაწესებულიყო. კულიჯმა 1927 და 1928 წლებში ორჯერ დაადო ვეტო ამ კანონპროექტს, რადგან მიაჩნდა, რომ სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს ეკონომიკის ისეთ სათუთ სფეროში, როგორც ფასწარმოებაა.

ჯერ კიდევ 1925 წელს ფერმერთა წინაშე გამოსვლისას კულიჯი აღნიშნავდა, რომ „ამერიკულ სოფლის მეურნეობას არასოდეს არ მიუღია რაიმე ხელოვნური დახმარება მრეწველებისა ან მთავრობისაგან. ამერიკული ფერმერობა პატიოსნად და მტკიცედ იდგა საკუთარ საფუძველზე. იგი დამოუკიდებელია..."[9]

„როგორც კი მთავრობა ჩაერევა პროდუქციის ყიდვასა ან გაყიდვაში ეს უკვე ფიქსირებულ ფასებს წარმოშობს. ეს მოვლენა დაანგრევს კოოპერაციულ ასოციაციებს და სხვა საბაზრო მექანიზმებს, ვინაიდან არავის შეუძლია კონკურენცია გაუწიოს მთავრობას. ეს იქნება ფერმერთა დამოუკიდებლობის დასასრული. ხოლო მთავრობის მიერ ფასების კონტროლი კი ვერ გაემიჯნება პოლიტიკურ კონტროლს", აფრთხილებდა კულიჯი.

ამავე დროს თუ ჩვენ ამ სფეროში დავიწყებთ ფასების ფიქსირებას, სხვა სფეროებშიც მოგვიწევს ამის გაკეთება. . მაღალი ფიქსირებული ფასები სოფლის მეურნეობის პროდუქციის ჭარბწარმოებას შეუწყობს ხელს. ეს კი სრული კოლაფსი იქნება.[10]

4. ჯერ კიდევ 1924 წლის სარჩევნო კამპანიის პერიოდში რესპუბლიკელები სიამაყით ამცნობდნენ საზოგადოებას, რომ განვლილ წლებში მათ საგრძნობლად შეამცირეს გადასახადები და კვლავაც აპირებდნენ ამ პროცესის გაგრძელებას. ისინი აღნიშნავდნენ, რომ 2 432 000 000 დოლარით შეამცირეს სახელმწიფო ვალი, 1 250 000 000 დოლარით შეამცირეს ყოველწლიური გდასახადები.[11]

როგორც ჟურნალ „The Literary Digest"-ში აღნიშნავდნენ, 1924 წელს რესპუბლიკელთა თავბრუდამხვევი წარმატების მთავარი მიზეზი იყო ამერიკელთა მოლოდინი ფედერალური გადასახადების შემცირების თაობაზე.[12] ამ პოლიტიკის კულმინაცია იყო 1926 წელი, როდესაც კ.კულიჯის და ე.მელონის აქტიური ზეწოლის შედეგად კონგრესმა მიიღო კანონი გადასახადების შემცირების შესახებ წარმომადგენელთა პალატაში 390 ხმით 25-ის წინააღმდეგ, სენატში 59 ხმით 19-ის წინააღმდეგ. როგორც ვხედავთ, მეტად მნიშვნელოვანი უმრავლესობა იყო. შესაბამისად ძალზე მდიდრებისათვის გადასახადი 46-დან 26 პროცენტამდე შემცირდა, გადასახადი მემკვიდრეობაზე განახევრდა; ხოლო გადასახადი ჩუქებაზე საერთოდ გაუქმდა.

5. კულიჯის პრეზიდენტობის პერიოდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ჰარდინგის ადმინისტრაციის კორუმპირებული წევრების გასამართლება.

ამასთან დაკავშირებით ალფრედ სმიტი, დემოკრატიული პარტიის კანდიდატი 1928 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, წერდა „კულიჯის უდიდეს ამოცანას წარმოადგენდა აღედგინა პრეზიდენტობის ღირსება და პრესტიჟი, რომელმაც ჩვენს ისტორიაში ყველაზე დაბალ დონეს მიაღწია."

როგორც აღვნიშნეთ, პირად ცხოვრებაში და საზოგადოებრიეშიც კულიჯი იყო წესიერი და პატიოსანი ადამიანი. მისმა წესირებამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჰარდინგის კაბინეტის კორუმპირებული პირების საქმიანობის ფონზე. ფაქტობრივად კულიჯმა რესპუბლიკურ პარტიას ჩამოწმინდა მთელი მისი ცოდვები.

ამერიკელებს სჯეროდათ მისი, მოსწონდათ მისი თავმდაბლობა და ერთგულება ამერიკის იდეალებისადმი, რომელსაც იგი ნათლად, მარტივად, რიგითი ამერიკელისათვის გასაგები ენით გამოხატავდა. ამიტომაც, როდესაც 1928 წლის ყოველწლიური მიმართვისას კონგრესისადმი კულიჯი ამბობდა, რომ ამერიკაში ყველაფერი კარგად იყო და ამერიკის ეკონომიკურ განვითარებას არაფერი ემუქრებოდა,[13] მისი სჯეროდათ და კიდევ უფრო თავდავიწყებით ებმებოდნენ ფასიანი ქაღალდებით სპეკულაციაში. კულიჯისადმი ნდობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის იყო, რომ თვით კულიჯსაც ღრმად სწამდა იმისი, რასაც ასე გულმოდგინედ ქადაგებდა.

რასაკვირველია, ამ წლებში სხვა მოვლენებიც მოხდა, მაგალითად, 1924 წლის 26 მაისს კულიჯმა ხელი მოაწერა ჯონსონ-რიდის საემიგრაციო კანონს, რომლის თანახმად ძალზე შემცირდა ამერიკაში ემიგრანტთა რაოდენობა და წელიწადში 150 ათას ადამიანამდე იქნა დაყვანილი.[14] როგორც ამერიკელი მკვლევარი ბერნარდ უაისბერგერი წერდა, ამ კანონით, სამასი წლის შემდეგ ტრანსოკეანული ემიგრაციის ეპოქა დასრულდა.[15]

1924 წელს კულიჯმა ხელი მოაწერა კანონს, რომელმაც ინდიელებს სრული მოქალაქეობის უფლება მიანიჭა. 1927 წელს კი კულიჯი სიუს ტომმა იშვილა. კულიჯმა ახალი ბიძგი მისცაავიაციის განვითარებას და ა. შ. მაგრამ მისი პოლიტიკური კრედო სწორედ სხვით განხილულ რამდენიმე პოლიტიკურ ქმედებაში აისახა. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთმა პასიურმა პოლიტიკამ თითქოსდა გაამართლა და ამერიკა წინ მიიწევდა. გაიზარდა ამერიკელთა შემოსავლები, ჯერ შემცირდა, შემდეგ კი საერთოდ გაქრა ბიუჯეტის დეფიციტი და ფერმერების გარდა ყველა კმაყოფილი იყო. მაგრამ სულ მალე ყოველივე ეს ძალზე ძვირად დაუჯდა ამერიკას, როდესაც 1929 წლის ოქტომბერში ამერიკასა და, საერთოდ, მსოფლიო ისტორიაში უდიდესი ეკონომიკური კრიზისი დაიწყო. ამ კრიზისის შედეგად 1933 წლისათვის ამერიკაში უკვე 12 მილიონზე მეტი უმუშევარი იყო.

კულიჯის პოლიტიკის წყალობით ამერიკა სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა კრიზისისათვის. მისმა ადმინისტრაციამ შეგნებულად თუ შეუგნებულად დაიჯერა, რომ პროსპერიტი მუდმივად გაგრძელდებოდა. არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ პროსპერიტი ომის შემდგომი უნიკალური ვითარებისა და ხელსაყრელი ეკონომიკური კონიუნქტურის იღბლიანი და სავარაუდოდ დროებითი ერთობლიობის შედეგი იყო.

I ომის შემდგომი ევროპა, როგორც ეკონომიკური ძალა დასუსტებული იყო და ჯერ კიდევ ვერ უწევდა ამერიკულ ეკონომიკას ღირსეულ კონკურენციას.

2. ახალი პროდუქციის წარმოებამ მართალია კი შეუწყო ხელი პროსპერიტიეს, მაგრამ გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ ბაზარი ადრე თუ გვიან გაჯერდებოდა ამ პროდუქციით.

3. პროსპერიტის ტალღაზე აგორებული საბირჟო სპეკულაციები ფანტასტიკურ მასშტაბებს იძენდნენ და უკვე 1928 წლისათვის აღარ ასახავდნენ ამერიკული ეკონომიკის რეალურ მდგომარეობას. ამერიკის მთავრობა კი თითქმის არავითარ ზომებს არ იღებდა ამ პროცესის დასამუხრუჭებლად. მხოლოდ 1929 წლის 2 თებერვალს ფედერალურმა სარეზერვო საბჭომ გააფრთხილა ამერიკელები საბირჟო სპეკულაციების უდიდესი მასშტაბებიდან გამომდინარე საფრთხის შესახებ. მაგრამ ჯერ ერთი ეს გაფრთხილება საკმაოდ დაგვიანებული იყო და ამავე დროს მას მთავრობის მხრივ არავითარი კონკრეტული ზომები არ მოჰყოლია.

4. ამერიკაში არავითარი სოციალური უზრუნველყოფის ფედერალური კანონმდებლობა არ არსებობდა. უფრო მეტიც, არ არსებობდა იგი შტატის დონეზეც კი. ამერიკელები ირონიით უყურებდნენ ამ მიმართულებით უფრო განვითარებულ ევროპას. მათ დაიჯერეს მითი ამერიკული განსაკუთრებულობის შესახებ. უფრო სწორედ კი, ეს მითი ეროვნული პოლიტიკის რანგში აიყვანეს. აქ, რასაკვირველია, კულიჯის მსოფლხედველობამაც ითამაშა მნიშვნელოვანი როლი.

5. 1920-იანი წლების მითი ბიზნესის უსაზღვრო შესაძლებლობების, მისი სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ შეეჯახა მკაცრ რეალობას. 1929–30 წლებში რამდენიმე უშედეგო ცდის შემდეგ ამერიკულმა ბიზნესმა ხელი დაიბანა საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის ასპექტში და ძირითადად საკუთარი თავის გადარჩენით იყო დაკავებული.

6. ის, რაც ფერმერებს მოუვიდათ ოციან წლებში კრიზისის დროს, მთელს ამერიკულ ეკონომიკას მოუდო. მათი ჩივილი არავინ იღო ყურად. არადა შესაბამისი დამცავი მექანიზმები, რომ შეემუშავებინათ, ვინ იცის, ეს გამოცდილება ამერიკული ეკონომიკის სხვა სფეროზეც გავრცელდებოდა.

აღმოჩნდა, რომ პროგრესული ერის სულისკვეთება და გამოცდილება ნაადრევად ჩამოწერეს. აღნიშნული შედეგები კიდევ ერთხელ ადასტურებენ, რომ ნებისმიერი იდეოლოგიური კლიშეების იდეალიზაცია და აბსოლუტიზაცია მეტად სახიფათოა. ამან თვით მეტად პრაგმატული და საღი გონების მქონე ამერიკელებიც კი უდიდეს შეცდომამდე, შეიძლება ითქვას, კატასტროფამდე მიიყვანეს.

თუ ძლევამოსილი ეკონომიკის და თავისუფალ საბაზრო ურთიერთობებში ცხოვრების უდიდესი გამოცდილების მქონე ამერიკა ასეთ კატასტროფამდე მიიყვანა სახელმწიფო რეგულირების მექანიზმების სრულმა უგულვებელყოფამ, ადვილი წარმოსადგენია რა შეიძლება მოუვიდეს საქართველოს. უფრო მეტიც, თუ კულიჯის ამერიკაში აბსოლუტის რანგში აყვანილი Laissez-faire-ის იდეოლოგია თავისუფალ მეწარმეობას უდიდეს თავისუფლებას ანიჭებდა და მაქსიმალურად უწყობდა ხელს მის განვითარებას (იგივე გადასახადების უდიდესი შემცირება და მაღალი პროტექციონისტული ტარიფები უცხოურ პროდუქციაზე). საქართველოში ეს გზაც დახშულია ბიუროკრატიული კაპიტალისა და მასთან შერწყმული რამდენიმე ოლიგარქიული ჯგუფის მიერ. ანუ, ერთი მხრივ, მმართველი წრეები არაფერს აკეთებენ მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დაცვისათვის. მეორე მხრივ ფაქტობრივად ბლოკავენ პირად ინიციატივას, თავისუფალ კონკურენციას

და ქართული საზოგადოების უდიდეს ნაწილს საკუთარი აქტიურობით გადარჩენის საშუალებასაც უსპობენ.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Calvin Coolidge box 38 series 3, folder27. John F Neylan Papers . Bankroft Library, University of California, Berkeley, California.
2. George Brown Tindall, David E. Shi, America A Narative History, W.W. Norton& Company New yourk ,1992,p. 1073.
3. Gary B Nash American Odyssey. Glencoe/ Mc Graw-Hill., Colubus Ohio, 2002, p349.
4. Ibid.
5. Calvin Coolidge. 1872 –1933 Cronolgy- Documents- bibliographical Aids, Ed. By Philip R. Moran Series Editor Howard F Bremer, Oceara Publications, Inc., Debbs Ferry, N.Y., 1970, p.78-79.
6. Ibid. p.95.
7. Inaugural Adrdresses of the Presidents of the United States from G. Washington to G Bush. United States Government Print Office, Washington D.C., 1989, p.253.
8. Foundations of the Republic. Speecehes and Adresses by Calvin Coolidge., Charles Scribners ., N.Y ., Lonodon., 1926 p.40.
9. Ibid, p.336.
10. Ibid.
11. National Party platforms 1840-1968., Compiled by Kirk H Porter and D B Johnson., University of Illinois Press, 1972, pp.143—169.
12. The Literary Digest, public opinion (New York) combined with the Litarary Digest, Vol. 8, N.Y., November 22, 1924, p.7.
13. Calvin Coolidge 1872 -1933, Op. Cit., p. 122-123.
14. homas J Archdeacon. Becoming American An ethnic history. The free Press. A Division of Macmillan , Inc. p.175.
15. Bernard A. Weisberger Many People One Nation. Houghton Mifflin Company, Boston, 1987,, p.231.

**ლევან კაჭარავა**
*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი*

# აშშ-ის პოზიცია 1956 წლის სუეცის კრიზისთან მიმართებაში

1956 წლის სუეცის კრიზისი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა არა მხოლოდ ეგვიპტის უახლესი ისტორიისათვის, არამედ ახლო აღმოსავლეთისათვის. ძალიან ხშირად თანამედროვე ეგვიპტელი პოლიტოლოგები პარალელს ავლებენ ამ მოვლენასა და 1961 წლის კუბის კრიზისს შორის, რადგან სწორედ კარიბის კრიზისის დროს რეალურად იდგა დასავლეთსა და სოციალისტურ ბლოკს შორის შეიარაღებული დაჯახების საფრთხე. უნდა ითქვას, რომ კარიბისა და სუეცის კრიზისები თავისი არსით თვისობრივად განსხვავებული მოვლენებია. სუეცის გარშემო შექმნილი დაძაბულობის შესწავლისას, პირველ რიგში, ყურადღება უნდა გამახვილდეს არა დასავლეთისა და აღმოსავლური ბლოკების დაპირისპირებაზე, არამედ ისეთ საინტერესო მოვლენაზე, როგორიცაა ინტერესთა შეუთანხმებლობა თავად დასავლეთის ბლოკში.

როგორც ცნობილია, სუეცის არხი XIX საუკუნის შუა წლებში გაიყვანეს ცნობილი ფრანგი დიპლომატისა და ფინანსისტის ფერდინანდ დე ლესეპსის თაოსნობით. XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული სუეცის არხის აქციათა პაკეტის ძირითადი ნაწილი ორი ქვეყნის, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის იყო განაწილებული[1]. 1956 წლის 26 ივლისს ეგვიპტის პრეზიდენტმა ჯამალ აბდ ალ-ნასერმა, რომელიც ქვეყნის სათავეში 1952 წლის ივლისის რევოლუციისა და მონარქიის დამხობის შემდეგ მოვიდა, „სუეცის არხის საერთაშორისო კომპანიის" ნაციონალიზაცია გამოაცხადა. ეგვიპტის ამ ნაბიჯმა საფრანგეთისა და ინგლისის აღშფოთება გამოიწვია. ამ შემთხვევაში, გარდა ეკონომიკური ზარალისა, სუეცის საკითხი მეტად პრინციპული იყო მათთვის, რადგანაც პარიზსა და ლონდონში კარგად ხვდებოდნენ, რომ ამ უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პუნქტის დაკარგვა არა მხოლოდ ამ რეგიონში შეასუსტებდა მათ გავლენას, არამედ გამოუსწორებელ დარტყმას მიაყენებდა მათ ავტორიტეტს საერთაშორისო პოლიტიკურ სარბიელზე[2]. გარდა ამისა ნასერის რეჟიმის მიმართ საფრანგეთის დამოკიდებულებას ამწვავებდა ის ფაქტიც, რომ ოფიციალური კაირო აშკარად უწევდა დახმარებას აჯანყებულ ალჟირელებს. ამიტომაც, პარიზმა და ლონდონმა თავიდანვე კურსი ინტერვენციაზე აიღეს. 1956 წლის 29 ოქტომბერს ისრაელის შეჭრით სინასა და არხის ზონაში საომარი მოქმედებები დაიწყო, რომელშიაც 31 ოქტომბერს ჩაება საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის შენაერთები, მაგრამ მსოფლიო საზოგადოებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მხრიდან დიდი ზეწოლის შემდეგ ინტერვენტები იძულებული გახდნენ შეეწყვიტათ აგრესია.

ამ შემთხვევაში ჩვენი ყურადღების საგანს წარმოადგენს იმ პოზიციის განხილვა, რომელიც აშშ-ის ადმინისტრაციამ დაიკავა აღნიშნულ კრიზისთან მიმართებაში, როდესაც მოკავშირეების დაჟინებული თხოვნის მიუხედავად ნეიტრალიტეტი შეინარჩუნა. იმ დროს, როდესაც კომუნიზმის საფრთხის წინააღმდეგ კაპიტალისტურ სამყაროში ინტეგრაციის ტენდენციები განსაკუთრებით გაძლიერდა და დასავლური ბლოკი „საერთაშორისო კომუნიზმის" ნებისმიერი გამოვლინების

წინააღმდეგ საერთო ფრონტით ილაშქრებდა, როგორც ეს ვიეტნამის მაგალითზე მოხდა, ძალიან საინტერესოა, თუ რითი უნდა აიხსნას აშშ-ის ასეთი პოზიცია. ნასერი ხომ ამ დროისათვის უკვე აშკარად არ მალავდა თავის სიმპათიებს ვარშავის პაქტის მიმართ. გავიხსენოთ ის გახმაურებული შეთანხმება სამხედრო თანამშრომლობის თაობაზე ეგვიპტესა და სოციალისტური ბანაკის ქვეყანას შორის, რომელიც „ჩეხოსლოვაკიის საქმის" სახელითაა ცნობილი და რომლის უკანაც მოსკოვი იდგა[3]. ამიტომაც, ბუნებრივია ამ მოვლენას, როგორც დასავლელი, ისე საბჭოთა და თანამედროვე არაბი პოლიტოლოგები და მიმომხილველები სხვადასხვა ინტერპრეტაციას უკეთებენ.

უნდა აღინიშნოს, რომ თეთრი სახლი კრიზისის პირველივე დღეებიდან თავშეკავებულობით გამოირჩეოდა. სახელმწიფო მდივანი ჯონ ფოსტერ დალესი უარყოფით დამოკიდებულებას არ მალავდა თავისი ევროპელი კოლეგების მიმართ, რომლებიც ძალის დაუყოვნებლივ გამოყენებას მოითხოვდნენ. თუმცა დალესს 30 ივლისს გამართულ ბრიფინგზე არ დაუმალავს, რომ არ გამორიცხავდა ძალის გამოყენებას, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ამოიწურებოდა კრიზისის მშვიდობიანი გზით მოგვარების საშუალებები. სწორედ თეთრი სახლის ასეთმა პოზიციამ აიძულა ენტონი იდენი და კრისტიან პენო დათანხმებოდნენ საერთაშორისო კონფერენციის მოწყობას. ამით აშკარად ჩანს, რომ აშშ-ის ძალისხმევა პირველივე დღეებიდან მიმართული იყო ახლო აღმოსავლეთში საომარი მოქმედებების თავიდან აცილებისაკენ. ამისათვის დალესი ცდილობდა მაქსიმალურად გაეწელა სამშვიდობო პროცესი, სანამ „არ ჩაცხრებოდა ემოციები და არ ჩაივლიდა დაძაბულობა"[4]. შემდეგში თავის მემუარებში ექს-პრემიერი იდენიც არაერთხელ აღნიშნავდა, „რომ არა დალესის გაჯანჯლების პოლიტიკა, რაც ხშირად ჩვენს გაცურებაზე იყო აგებული, სუეცის კრიზისი ჩვენთვის უფრო სხვა შედეგით დასრულდებოდა. დალესი კონგრესზეც და გაერო-ს სხდომების დროს ყოველმხრივ ცდილობდა გაეჭიანურებინა პროცესი, თანაც ისე, რომ რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილება არ ყოფილიყო მიღებული"[5].

რა თქმა უნდა ექს-პრემიერი ცდებოდა. დალესისათვის არ ყოფილა თვითმიზანი კრიზისის გაწელვა ან თუნდაც ის, რომ ხელი შეეშალა გადაწყვეტილების მიღებისათვის. დალესი თავის კოლეგებზე მეტად პრაგმატული აღმოჩნდა, რადგან შესანიშნავად ხედებოდა, რომ საომარი კამპანიის დაწყება სრულებით არ იყო ისე იოლი, როგორც ეს პენოსა და იდენს ესახებოდათ. ლონდონის კონგრესზე შესანიშნავად გამოჩნდა, რომ საერთაშორისო საზოგადოების დამოკიდებულება ინგლის-საფრანგეთის ზრახვებისადმი მკვეთრად უარყოფითი იყო. ის ფაქტი, რომ მხოლოდ ავსტრალიამ, ახალმა ზელანდიამ, კანადამ და პორტუგალიამ დააფიქსირეს მოკავშირეთა მიმართ თავიანთი მხარდაჭერა, აშკარად მიუთითებდა, რომ საომარი კამპანიის დაწყების შემთხვევაში ინტერვენტები იზოლაციაში აღმოჩნდებოდნენ[6]. ამიტომ დასაწყისიდანვე აშკარა გახდა თეთრი სახლის მიერ არჩეული პოლიტიკის სისწორე, რაც პრიორიტეტს ანიჭებდა საკითხის მშვიდობიანი გზით გადაჭრას. 16 აგვისტოს, ლონდონის კონგრესის პირველსავე სხდომაზე, დალესმა წარმოთქმულ სიტყვაში დააფიქსირა ამერიკის ოფიციალური პოზიცია და აღნიშნა, რომ სუეცის არხის ნაციონალიზება უკვე მომხდარი ფაქტი იყო, ამიტომ მთავარ მიზანს წარმოადგენდა ისეთი მექანიზმის მოძებნა, რომელიც უზრუნველყოფდა საერთაშორისო ორგანიზაციის კონტროლს ისე,რომ არ დარღვეულიყო ეგვიპტის სუვერენიტეტი და არ შელახულიყო მისი უფლება სუეცის ზონაზე[7].

ლონდონის მეორე კონფერენციის დასაწყისისათვის, რომელიც 19 სექტემბერს შეუდგა მუშაობას, ამერიკის ადმინისტრაციისათვის აშკარა გახდა, რომ მოკავშირეებს კურსი ინტერვენციაზე საბოლოოდ ჰქონდათ აღებული. ამერიკის სახელმწიფო მდივანი მოკავშირეებს ისევ თავშეკავებისაკენ მოუწოდებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ცხადად მიანიშნებდა, რომ ამერიკა არ მიიღებდა მონაწილეობას მოსალოდნელ ავანტიურაში, მაგრამ პარიზმა და ლონდონმა არ გაუწიეს ანგარიში ვაშინგტონის რეკომენდაციებს.

თანამედროვე ეგვიპტელი პოლიტოლოგები, რომლებსაც ამ საკითხს ეხებიან, გამოდიან იმ მოსაზრებიდან, რომ 1956 წლის სუეცის კრიზისი იყო გამორჩეულად დიდი მნიშვნელობის მქონე მოვლენა, რამდენადაც აქ გამოიკვეთა დაპირისპირების პირველი სერიოზული სიმპტომები ევროპის ქვეყნებსა და აშშ-ს შორის, ანუ უფრო კონკრეტულად: კოლონიური იმპერიების ნგრევის პროცესმა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო, კულმინაციას კი 1950-იან წლებში მიაღწია, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ეკონომიკას გამოუსწორებელი შედეგები მოუტანა, რადგან მათი ძლიერება სწორედ კოლონიებს ემყარებოდა. ამან კი, თავის მხრივ, უარყოფითად იმოქმედა მათ გავლენაზე საერთაშორისო პოლიტიკურ სარბიელზე. ასეთ პირობებში, პოლიტიკურად და ეკონომიკურად ისეთ მზარდ ძალას, როგორიც აშშ-ი იყო, ბუნებრივია დასავლეთის ბანაკში ჰეგემონობაზე გაუჩნდა პრეტენზია. ეს კი გულისხმობდა იმას, რომ ამ შემთხვევაში აშშ-ს უნდა შეესრულებინა ის როლი აღმოსავლეთში, რასაც აქამდე დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი ასრულებდნენ[8]. სწორედ ამას ითვალისწინებდა ე.წ. ეიზენჰაუერის დოქტრინა[9]. თუკი ევროპის ეს გიგანტები დაკარგავდნენ სუეცის არხს, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით ამ უმნიშვნელოვანეს პუნქტს, ეს უდიდეს დარტყმას მიაყენებდა მათ გავლენას ახლო აღმოსავლეთში, რეგიონში, რომლის მიმართ აშშ-ის დაინტერესება დღითიდღე მატულობდა[10]. ამის დასტურად საბჭოთა და ეგვიპტელ ანალიტიკოსებს მოჰყავდათ ის ფაქტი, რომ აშშ-ის ადმინისტრაციამ კრიზისამდე ცოტა ხნით ადრე მკვეთრად უარყოფითი რეაქცია გამოავლინა დიდი ბრიტანეთის ინიციატივითა და ჰეგემონობით ახლო აღმოსავლეთში სამხედრო რეგიონული ბლოკის, ე.წ. ბაღდადის პაქტის გაფორმებასთან დაკავშირებით[11].

რა თქმა უნდა, აღნიშნულ მოსაზრებას აქვს მყარი საფუძველი. ის, რომ ახლო აღმოსავლეთის სტრატეგიული თვალსაზრისით ამ უმნიშვნელოვანეს რეგიონთან დამოკიდებულებაში ევროპის ქვეყნებსა და აშშ-ს შორის ინტერესთა შეუთანხმებლობას ექნებოდა ადგილი, სავსებით ბუნებრივი ჩანს. დაპირისპირება ევროპის ქვეყნებსა და ვაშინგტონს შორის, რომელმაც კულმინაციას 2002-03 წლების ერაყის კრიზისის დროს მიაღწია, სათავეს სწორედ XX საუკუნის 50-იანი წლებიდან იღებს[12]. მაგრამ ამ კონკრეტული მოვლენის დროს ვაშინგტონის პოზიციის განსაზღვრა სხვა მიზეზებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული, რაც ნაკარნახევი იყო აშშ-ის ეროვნული ინტერესებით. ყველაზე მეტად ამერიკის თავშეკავებულობის მიზეზი მაინც განპირობებული იყო იმით, რომ ვაშინგტონში კარგად ესმოდათ, თუ რა გამოუსწორებელი შედეგები შეიძლებოდა მოეტანა შექმნილ საერთაშორისო ვითარებაში ახლო აღმოსავლეთში საომარი მოქმედებების დაწყებას. ეგვიპტის წინააღმდეგ ინტერვენცია სავსებით შესაძლებელი იყო გადაზრდილიყო ფართო მასშტაბიან, ხანგრძლივ ომში, სადაც მოკავშირეებს საქმე ექნებოდათ არა მარტო ნასერის რეჟიმთან, არამედ უფრო სერიოზულ ძალასთან, კონკრეტულად აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნებთან. უკვე გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომებზე

საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობა არ მალაედა, რომ კრემლი არ მოერიდებოდა კონფლიქტში ღიად ჩარევას: „ჩვენ ვერ აეუკრძალავთ ჩვენს მოქალაქეებს ეგვიპტელთა დასახმარებლად წასვლას,რის სურვილსაც გამოთქვამს ათობით ათასი საბჭოელი"[13]. იმ დროს, როდესაც აშშ-ი უსასტიკეს ომს აწარმოებდა ინდოჩინეთში ხო ში მინის კომუნისტურ რეჟიმთან, ნამდვილად არ იქნებოდა გამართლებული ახლო აღმოსავლეთში „ახალი ვიეტნამის" გაჩაღება[14]. ეს აგრესია გაუმართლებელი იქნებოდა სხვა მხრივაც: იმ დროს, როდესაც პალესტინის პრობლემის გამო დასავლეთის მიმართ ნდობა მუსლიმურ, განსაკუთრებით, არაბულ აღმოსავლეთში კატასტროფულად ეცემოდა, არ არის ძნელი წარმოსადგენი, თუ რა გამოუსწორებელი შედეგები შეიძლებოდა მოეტანა ეგვიპტეზე თავდასხმას, მით უმეტეს იმ დროს, როდესაც ახლო აღმოსავლეთში ეგვიპტის პრეზიდენტის ავტორიტეტი განუხრელად იზრდებოდა. ასეთ ვითარებაში, როგორადაც არ უნდა დასრულებულიყო ომი, შედეგი მაინც უარყოფითი იქნებოდა: დამარცხდებოდა ნასერი, იგი წამებული რაინდისა და აღმოსავლეთის განთავისუფლებისათვის მებრძოლი გმირის მანტიით შეიმოსებოდა, კამპანიის წარუმატებლობის შემთხვევაში კი ახლო აღმოსავლეთში ანტიდასავლური მოძრაობა კიდევ უფრო გაძლიერდებოდა, რაც უბიძგებდა არა მარტო ეგვიპტეს, არამედ რეგიონის სხვა სახელმწიფოებსაც მოსკოვთან ურთიერთობის გამტკიცებას. იყო მესამე მიზეზიც, რაც უკავშირდებოდა ამერიკის საშინაო პრობლემებს. კერძოდ, მოახლოებული წინასაარჩევნო კამპანიის პირობებში რესპუბლიკელებისათვის არ იქნებოდა მომგებიანი სუეცის კრიზისში ჩაბმა, რადგან თუ იმასაც მივაქცევთ ყურადღებას, რომ ვიეტნამის ომში ამერიკა სწორედ ეიზენჰაუერის დროს ჩაება, ახალი სარისკო საომარი კამპანიის წამოწყებას კონკურენტი დემოკრატები უდაოდ გამოიყენებდნენ თავიანთ სასარგებლოდ[15].

## გამოყენებული ლიტერატურა


1. В.Б.Луцкий. Новая история арабских стран. М., 1966, გვ. 134.
2. А. З. Егоров. Египет нашего времени. М., 1997, გვ. 84.
3. Леванчевский. Сильнейший человек арабского мира. М., 1998, gv. 17.
4. სალაჰ ბუსიუნი. ეგვიპტე და სუეცის კრიზისი (არაბულ ენაზე),კაირო,1970, გვ. 77.
5. იქვე
6. იქვე, გვ. 98-90.
7. იქვე, გვ. 130.
8. ჰუსაინ შარიფი. ახლო აღმოსავლეთი ახალი მსოფლიო წესრიგის პირობებში (არაბულ ენაზე), კაირო, 1995, გვ. 220-31.
9. Н.Б. Кровиршина. Арабские страны. М.,1999, gv. 21-22.
10. 23 ივლისის ღამე (არაბულ ენაზე), კაირო, 1998, გვ. 34.
11. „სამეულის" ქვეყნები ისრაელ-თურქეთის პაქტის ფონზე (არაბულ ენაზე), ბეირუთი, 1998, გვ. 111.
12. ლ. კაჭარავა, სადამ ჰუსეინის მასობრივი განადგურების იარაღის პროგრამა და ევროპული კოალიცია, ჟურნალი *აღმოსავლეთი,* 5, გვ. 17-18.
13. სალაჰ ბუსიუნი, ეგვიპტე და სუეცის კრიზისი (არაბულ ენაზე), კაირო, 1970, გვ. 211.
14. Новейшая история арабских стран Азии. М., 1989, gv. 35.
15. Jonson paul, The Suez War, New York, 1962, gv. 120.

**თემურ კეკელიძე**
*თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მრავალმხრივი ურთიერთობების სამმართველოს უფროსი*
**გიორგი მანჯგალაძე**
*თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის თავმჯდომარე*

# აშშ-ის როლი საქართველოს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის თვალსაზრისით

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს წინაშე მთელი სიმწვავით დადგა საკითხი – დაემკვიდრებინა თავისი თავი ახალ რეალობაში და გაერკვია თავისი როლი საერთაშორისო ურთიერთობათა ახალ სისტემაში.

საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად საქართველოს მიეცა შანსი ჩაერთოს ევროპაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებში, რომლისგანაც ის ბოლო ორი საუკუნის მანძილზე იზოლირებული იყო. ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ ინსტიტუტებში ინტეგრაცია საქართველოს საშუალებას მისცემს ჩამოყალიბდეს ევროპული ტიპის, სტაბილურ, დემოკრატიულ და ეკონომიკურად განვითარებულ სახელმწიფოდ.

მიუხედავად პოსტსაბჭოთა პერიოდის პირველ წლებში გადატანილი შიდა კონფლიქტებისა, რამაც ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ვექტორი ჩრდილოეთისაკენ მიმართა, საქართველომ მოახერხა ჩამოყალიბებულიყო საერთაშორისო სამართლის სუვერენულ სუბიექტად და გამხდარიყო ისეთი მიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი, როგორიცაა: გაერო, ეუთო, ევროსაბჭო, მოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია.

და მაინც, საერთაშორისო არენაზე დღეს არსებული რეალობის გათვალისწინებით, საქართველოსათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შეუერთდეს ევროკავშირს და ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციას. ჩვენ შევეცდებით გამოვყოთ ძირითადი მომენტები, რომელიც ასე მნიშვნელოვანს ხდის ზემოხსენებულ ორგანიზაციებს ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი განვითარებისათვის.

ევროკავშირი წარმოადგენს საერთო ეკონომიკური და საფინანსო სივრცის მქონე გაერთიანებას და, თუმცა, ეკონომიკური საკითხები იყო ძირითადი, რამაც ევროკავშირი დღევანდელი სახით ჩამოაყალიბა, იგი სუპრა-ნაციონალური პოლიტიკური ორგანიზაციაა საკუთარი საკანონმდებლო სტრუქტურებით, რომელთა გადაწყვეტილებაც სავალდებულოა წევრი ქვეყნებისათვის. ხოლო ერთიანი ევროპული ძალების ჩამოყალიბებით ევროკავშირი სამხედრო განზომილებასაც შეიძენს. რეალურად ევროკავშირმა ინსტიტუციონალურად გააფორმა ევროპის კულტურული და ეკონომიკური ერთიანობა.

რაც შეეხება ნატო-ს, ამ ორგანიზაციას უდიდესი წვლილი მიუძღვის როგორც ევროპის ინტეგრაციის გაძლიერებაში, ასევე ევროპასა და ატლანტიკას შორის მჭიდრო სამხედრო-პოლიტიკური კავშირის ჩამოყალიბებაში. რაც მთავარია, ამჟამად ის წარმოადგენს ერთადერთ ორგანიზაციას, რომელიც უზრუნველყოფს წევრი ქვეყნების ეროვნულ უსაფრთხოებას. როგორც ცნობილია, ვაშინგტონის ხელშეკრულების (ნატო-ს ფუძემდებლური დოკუმენტი) ძირითად მუხლს წარმოადგენს №5 პუნქტი კოლექტიური უსაფრთხოების შესახებ, რომლის მიხედვითაც თავდასხმა

ალიანსის ნებისმიერ წევრზე განიხილება როგორც თავდასხმა მთელ ალიანსზე და შესაბამისად თავდამსხმელი ღებულობს ალიანსის კოლექტიურ საპასუხო დარტყმას.

საქართველოსათვის ნატო-სა და ევროკავშირის წევრობა ნიშნავს არამარტო ეკონომიკურ განვითარებას და ფიზიკური უსაფრთხოების გარანტიებს, არამედ ეს იქნება საქართველოს, როგორც ევროპული და ევრო-ატლანტიკური (ეს ცნება ცივი ომის დასრულების შემდეგ უფრო და უფრო მზარდ მნიშვნელობას იძენს) სახელმწიფოს (საქართველო გახდება „კლუბის" წევრი) ოფიციალური, ინსტიტუციონალური აღიარება.

ნატო-საქართველოს ურთიერთობების მოკლე ისტორია ასეთია:

- 1994 წელს საქართველო შეუერთდა ნატო-ს პროგრამას „პარტნიორობა მშვიდობისათვის";
- 1998 წელს ჩავერთეთ ნატო-ს დაგეგმვისა და ანალიზის პროცესში;
- 2002 წლის ბოლოს საქართველომ შეიმუშავა ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის სახელმწიფო პროგრამა;
- 2002 წლის ნატო-ს პრაღის სამიტზე საქართველოს პრეზიდენტმა ღიად დააფიქსირა, რომ ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის უმთავრეს პრიორიტეტს ნატოში ინტეგრაცია წარმოადგენს.

მიმდინარე ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა ნატოსთან „ინდივიდუალური თანამშრომლობის სამოქმედო გეგმაზე," რომელიც ალიანსის ახალი ინიციატივა არის და მიმართულია ნატოსა და კონკრეტულ პარტნიორ ქვეყანას შორის ურთიერთობების მაქსიმალურად გაღრმავებისაკენ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ისმის კითხვა, რამდენად არის აშშ დაინტერესებული საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებით და რა როლი შეუძლია შეასრულოს მას ამ თვალსაზრისით.

ვარშავის ბლოკის დაშლის შემდეგ ნატო-ს გაფართოება პოსტ-სოციალისტური და პოსტსაბჭოური ქვეყნების ხარჯზე მიმდინარეობს. თუ გაფართოების პირველ ტალღაში პოლონეთი, სლოვაკეთი და უნგრეთი მოჰყვნენ, მეორე ტალღამ ბალტიისპირეთის სამი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა მოიცვა.

რუმინეთისა და ბულგარეთის ალიანსში მიწვევამ კიდევ უფრო გაზარდა ნატო-ს როლი როგორც შავი ზღვის, ასევე მთლიანად სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მიმართულებით. შავი ზღვის კიდევ ორმა სახელმწიფომ, უკრაინამ და საქართველომ, რომელიც უკვე აღიქმება სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ნაწილად, გამოთქვეს ალიანსში გაწევრიანების სურვილი.

ამგვარად, თუ გავითვალისწინებთ ევრო-ატლანტიკურ რეგიონში მიმდინარე პროცესებს და საკუთრივ ნატო-ს გაფართოების ტენდენციას, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ევროპის კონტინენტზე ალიანსის გაფართოება ადრე თუ გვიან სამხრეთ კავკასიასაც მოიცავს.

შემოიფარგლება თუ არა ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი ევროპის კონტინენტით, თუ იგი აზიასაც გადაწვდება, ცალკე თემაა, თუმცა საგულისხმოა პოსტსაბჭოთა პერიოდში ნატო-ს პოლიტიკის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი: „არასტაბილურობა ევრო-ატლანტიკური სივრცის ნებისმიერ ადგილში საფრთხეს უქმნის მთელ ევრო-ატლანტიკურ რეგიონს". საკუთრივ ევრო-ატლანტიკური სივრცე კი, გეოგრაფიული თვალსაზრისით, მოიცავს ჩრდილო ამერიკას, ევროპასა და აზიის ყოფილ საბჭოთა ნაწილს.

ჩვენ შევეცდებით მიმოვიხილოთ ის ფაქტორები, რომლებიც განაპირობებს აშშ-ის დაინტერესებას საქართველოს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციით.

1) საქართველოს, ისევე როგორც სხვა ნებისმიერი ქვეყნის, ნატო-ში გაწევრიანებით ალიანსი ზრდის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის არეალს, სადაც დემოკრატიული და მშვიდობიანი განვითარება მიმდინარეობს. შესაბამისად იზრდება უსაფრთხოების გარანტიები ალიანსის დანარჩენი წევრებისათვის.

2) როგორც აღინიშნა, ქვეყნის ნატო-ში გაწევრიანება ნიშნავს, რომ ეს ქვეყანა არის (ან გარდაიქმნება) დასავლური ტიპის, სტაბილურ, დემოკრატიულ სახელმწიფოდ, სადაც რეალურად ხორციელდება კანონის უზენაესობა. ამავე დროს, დემოკრატიული წყობის დამკვიდრება სხვა ქვეყნებში არის ამერიკის ერთ-ერთი ფუნდამენტური ეროვნული ინტერესი.

ამ ფაქტს გარდა კულტურულ-ღირებულებითი დატვირთვისა (მოგეხსენებათ აშშ ამაყობს იმით, რომ წარმოადგენს დემოკრატიის მთავარ ფორპოსტს და დამცველს საერთაშორისო არენაზე) წმინდა პრაგმატული მნიშვნელობაც აქვს.

დასავლური ტიპის დემოკრატიული სახელმწიფო, რომელიც არის სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი და წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის სრულფასოვან სუბიექტს, შიდა და საგარეო პოლიტიკის გატარებისას მოქმედებს იმ პრინციპების თანახმად (ანუ თამაშობს თამაშის იმავე წესებით), რასაც ითვალისწინებს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები. იგი პროგნოზირებადი და სტაბილურია როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გლობალური ეკონომიკის პირობებში. როგორც ცნობილია, გლობალიზაციამ ეკონომიკური თვალსაზრით ყველაზე დიდი მოგება სწორედ აშშ-ს მისცა.

3) ევროპისაგან განსხვავებით აშშ-ს აქვს ინტერესები მსოფლიოს, ფაქტობრივად, ყველა კუთხეში და, მათ შორის, საქართველოში, რაც მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ჩვენი გეოპოლიტიკური მდებარეობით და პირდაპირ კავშირშია ამერიკის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებთან კასპიისა და შუა აზიის რეგიონში. ამავე დროს ნავთობისა და გაზის რესურსები მაღალგანვითარებული ტექნოლოგიების ეპოქაში სტრატეგიულ ნედლეულს წარმოადგენს, შესაბამისად, ამ ნედლეულის კონტროლი ამერიკის ეროვნულ ინტერესებში შედის.

კასპიის ნავთობის დასავლურ ბაზარზე მისატანად სამი მარშრუტი არსებობს რუსეთის, ირანისა და საქართველოს გავლით. პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით დასავლეთის და, განსაკუთრებით, ამერიკისათვის პირველი ორი გზა მიუღებელია, შესაბამისად პრიორიტეტი მიენიჭა საქართველოს. შედეგად შემუშავდა ცნობილი TRACECA–ს და „დიდი აბრეშუმის გზის" პროექტები. აქვე აღვნიშნავთ, რომ ეს პროექტები არანაკლებ მნიშვნელოვანია საკუთრივ საქართველოს ეროვნული ინტერესებისათვის და წარმოადგენს მეტად ეფექტურ საშუალებას, რათა ჩვენი ქვეყანა ჩაერთოს გლობალურ ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებში და თავისი წილი მოგება მიიღოს.

2001 წლის თერთმეტი სექტემბრის შემდეგ საქართველოს გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ ამერიკისათვის კიდევ ერთი, წმინდა სამხედრო დატვირთვა შეიძინა. ავღანეთში ანტიტერორისტული კამპანიის დაწყებისათანავე საქართველომ დაუთმო თავისი საჰაერო დერეფანი კოალიციის ძალებს, რადგან სამხრეთ კავკასია წარმოადგენს უმოკლეს საჰაერო გზას ავღანეთში განლაგებული კოალიციის ჯარების ევროპის სამხედრო ბაზებიდან მოსამარაგებლად.

4) ამერიკა იმთავითვე აქტიურად უჭერდა და უჭერს მხარს ნატო-ს გაფართოებას, მაშინ როდესაც „ბებერი" ევროპა ალიანსში ახალი წევრების მიღებას გარკვეული ეჭვითა და ყოყმანით უყურებს. ევროპელები თვლიან, რომ დაუსრულებელმა გაზრდამ შეიძლება ნატო ისეთივე მოუქნელ ორგანიზაციად აქციოს, როგორიც გაეროა.

აშშ-ის, ფაქტობრივად, ერთპიროვნულმა მოქმედებამ ერაყში უკიდურესად დაძაბა მისი ურთიერთობა ევროპის ისეთ წამყვან ქვეყნებთან, როგორიცაა: საფრანგეთი და გერმანია. მეორე მხრივ, ნატო-ს ახალმა წევრებმა ისევე, როგორც პრაღის სამიტის შემდეგ ალიანსში მიწვეულმა სახელმწიფოებმა, მხარი დაუჭირეს ერაყის კამპანიას. აშშ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა უკვე დაიწყეს მინიშნება იმაზე, რომ ამერიკის ევროპულ პოლიტიკაში ძირითადი აქცენტი ნატო-ს ახალ წევრებზე უნდა გაკეთდეს.

ერაყის კამპანიას საქართველომაც ღიად დაუჭირა მხარი, რომელიც შეიძლება ითქვას, სამხრეთ კავკასიაში ამერიკის სტრატეგიულ მოკავშირეს წარმოადგენს. ასეთ სიტუაციაში, ბუნებრივია აშშ-ს მაქსიმალურად აწყობს მისი მოკავშირის ნატოში გაწევრიანება, მითუმეტეს, რომ ალიანსის წესების მიხედვით თითოეულ წევრ სახელმწიფოს აქვს ვეტოს უფლება და შეუძლია სურვილის შემთხვევაში ნებისმიერი გადაწყვეტილება დაბლოკოს.

რაც შეეხება საკუთრივ პარტნიორი ქვეყნის ნატო-ში გაწევრიანებისათვის აუცილებელ მოთხოვნებს, ვაშინგტონის 1999 წლის სამიტის შემდეგ ალიანსმა შეიმუშავა რიგი კრიტერიუმებისა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს „ასპირანტი" სახელმწიფო, თუკი მას ალიანსის წევრობა სურს. ერთ-ერთ ასეთ მოთხოვნას ქვეყნის სამხედრო სისტემის ნატო-ს სტანდარტების მიხედვით რეფორმირება წარმოადგენს.

სამხედრო თვალსაზრისით აშშ-ის მხრიდან საქართველოსადმი გაწეული დახმარება ყველაზე მნიშვნელოვანია თავდაცვის სფეროში საქართველოს ორმხრივი თანამშრომლობის პროგრამებს შორის. აშშ-საქართველოს სამხედრო თანამშრომლობიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა".

აღნიშნული პროგრამა დაიწყო 2002 წელს, რომელსაც წინ უძღოდა 1999 და 2001 წლებში აშშ-ის ევროპული სარდლობის ექსპერტების მიერ საქართველოს საბრძოლო შესაძლებლობების ანალიზი.

პროგრამა წარმოადგენს საქართველოს შეიარაღებული ძალების ნატოს სტანდარტების მიხედვით გაწვრთნისა და აღჭურვისათვის ერთ-ერთ ყველაზე უფრო ეფექტურ მექანიზმს და განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოში თანამედროვე ტიპის SZ-ის ჩამოყალიბებისათვის. ანუ ამერიკა პირდაპირ დახმარებას გვიწევს რათა საქართველომ სამხედრო თვალსაზრისით შეძლოს ნატოში წევრობისათვის აუცილებელი სტანდარტების მიღწევა.

ამგვარად, საქართველოს ინტეგრაცია ევროატლანტიკურ ინსიტუტებში და მისი გადაქცევა დემოკრატიულ, ეკონომიკურად განვითარებულ სახელმწიფოდ ნამდვილად შედის აშშ-ის ინტერესებში, რასაც მოწმობს ამერიკის მიერ საქართველოსადმი გაწეული დახმარება როგორც სამხედრო, ისე სხვა სფეროებში. აგრეთვე ის პოლიტიკური მხარდაჭერა, რასაც წლების განმავლობაში ახორციელებდა და ახორციელებს აშშ-ის ადმინისტრაცია ჩვენი ქვეყნის მიმართ და რაც ხშირ შემთხვევაში ძირითადი შემაკავებელი ფაქტორი იყო, რათა საქართველოში არ განხორციელებულიყო რუსეთის პირდაპირი სამხედრო ჩარევა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ამერიკის დიდი ზეგავლენისა ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში, საქართველოს გაწევრიანება ნატო-ში მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუკი საკუთრივ ქვეყანა და საზოგადოება გააცნობიერებს ამ ნაბიჯის აუცილებლობას და რეალურად განახორციელებს დემოკრატიულ ცვლილებებს სახელმწიფოს მმართველობის ყველა სფეროში

**გიორგი კვიტაშვილი**
*ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის*
*სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერ მუშაკი*

# ფ. დ. რუზველტი და დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება აშშ-სა და სსრკ-ს შორის

1933 წლამდე ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა საბჭოთა კავშირის ცნობის წინააღმდეგი იყო. ვილსონის, ჰარდინგის, კულიჯისა და ჰუვერის ადმინისტრაცია ამ ფაქტს ორი გარემოებით ხსნიდა: 1) ყოფილი რუსეთის იმპერიაში საბჭოთა წყობილების არსებობით და 2) საბჭოთა კავშირის უარით გადაეხადა მეფის რუსეთისა და დროებითი მთავრობის დროინდელი ვალები.[1]

1932 წელს აშშ-ს პრეზიდენტად ფრანკლინ დელანო რუზველტი აირჩიეს.[2] ხელისუფლებაში მისი მოსვლის დროისთვის დღის წესრიგში საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების საკითხი დადგა. აღსანიშნავია, რომ ამ პრობლემის მიმართ აშშ-ში აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა. საბჭოთა კავშირის ცნობას რუზველტის გარემოცვაშიც ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა. მათ შორის, თვით პრეზიდენტის დედა, რომელსაც მასზე დიდი გავლენა ჰქონდა. შვილზე ზემოქმედების მიზნით სარა დელანომ ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსის რ. ტაგველის გამოყენებაც სცადა.[3] საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის დიდი მოწინააღმდეგე აშშ-ის სოფლის მეურნეობის მინისტრი ჰ. უოლესიც იყო. ის, როგორც ღრმად მორწმუნე ადამიანი, დაუშვებლად თვლიდა ამერიკას რაიმე ურთიერთობა ჰქონოდა კომუნისტებთან ამ ქვეყანაში ათეიზმის დომინირების გამო. პრეზიდენტისადმი მიწერილ წერილებში უოლესი რუზველტს სსრკ-ს ცნობით გამოწვეულ უარყოფით შედეგებზე მიუთითებდა და ამ ნაბიჯის გადადგმისგან თავის შეკავებას ურჩევდა. უოლესის ამგვარი პოზიცია რუზველტმა თავისებურ მისტიციზმად მონათლა და მასთან სასაუბრო თემები მხოლოდ სოფლის მეურნეობის საკითხებით შემოფარგლა. ისტორიკოსები სხვადასხვა მიზეზებით ხსნიან საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების საკითხის დასმას. ერთნი ამის გამომწვევად ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობის განახლების სურვილს ასახელებდნენ, ხოლო მეორენი – ძალთა ბალანსის პოლიტიკას. ამერიკელი ისტორიკოსი რ. ტაგველი სსრკ-ს აუღიარებლობას აბსურდად და რესპუბლიკელთა რეაქციული პოლიტიკის გაგრძელებად მიიჩნევდა.[4] ზოგიერთი ისტორიკოსის აზრით, აშშ-ის მთავრობა საბჭოთა კავშირის აღიარებით შორეულ აღმოსავლეთში სხვისი ხელებით საკუთარი ინტერესების დაცვას ცდილობდა. „იაპონური აგრესია–წერდა ისტორიკოსი რ. ბრაუდერი–ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა იყო, რომლის სიმწვავე მხოლოდ საბჭოთა კავშირის აღიარებას, შეეძლო გაენელებინა"[5]. საინტერესოა თვით პრეზიდენტ რუზველტის დამოკიდებულება ამ საკითხთან დაკავშირებით. მას ერთი ამბის გახსენება უყვარდა: თურმე 1933 წელს მისი მეუღლე ერთ-ერთ სკოლას ეწვია, სადაც მან საკლასო ოთახში თვალი მოჰკრა რუკას, რომელზეც დიდი თეთრი ლაქა იყო გამოსახული. მის შეკითხვაზე, თუ რა იყო ეს თეთრი ლაქა, უპასუხეს, რომ ამის დასახელება არ შეიძლებოდა. აღნიშნული ლაქა საბჭოთა კავშირი იყო. „სწორედ ეს ინციდენტი დაედო საფუძვლად იმას, რამაც გადამაწყვეტინა მიმემართა საბჭოთა ხელმძღვანელობისთვის

ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის მიზნით თავიანთი წარმომადგენელი გამოეგზავნათო",—აღნიშნავდა რუზველტი.[6]

უნდა ითქვას, რომ აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობის დათბობის ცალკეულ ფაქტებს ადგილი ჯერ კიდევ რუზველტის ადმინისტრაციის ხელისუფლებაში მოსვლამდე ჰქონდა. 1929 წლის ივნისში მოსკოვს აშშ-ის სენატორთა დიდი ჯგუფი ეწვია. მათ შეხვედრები ჰქონდათ საბჭოთა ხელმძღვანელებთან. შემდეგ ისინი გაგრას, თბილისს, ბათუმს და სოხუმს ეწვიენენ, დაათვალიერეს ყირიმი. სენატორები ამ მოგზაურობით ძლიერ ნასიამოვნები დარჩნენ. მოსკოვში დაბრუნებისას ისინი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა მ. ლიტვინოვმა მიიღო. სენატორებმა განაცხადეს, რომ ისინი აღფრთოვანებული არიან საბჭოთა კავშირით, მაგრამ გაცილებით კარგი იქნებოდა,თუ მათ კონცესიებსაც მისცემდნენ. ლიტვინოვმა უპასუხა, რომ საბჭოთა კავშირი ამიერიდან კონცესიებს არ გასცემდა. მისი აზრით, საჭირო იყო ვაჭრობა ორივე მხარისთვის მისაღები ფორმით ეწარმოებინათ და სენატორებს საბჭოთა კავშირის ცნობისკენ მოუწოდა. იმავე წლის ნოემბერში საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა ცნობილი ინჟინერი ჰიუ კუპერი. იგი მონაწილეობდა ამერიკის გრანდიოზული ჰიდროელექტროსადგურის გრანდ-კულის მშენებლობაში, რომელიც იმ დროისთვის უნიკალური ნაგებობა იყო. კუპერის მისიის არსი დნეპრჰესის მშენებელი საბჭოთა ინჟინრებისთვის კონსულტაციების გაწევაში მდგომარეობდა. ამერიკელ ინჟინერს გააცნეს მუშაობის პირობები. შემდეგ ის ლიტვინოვმა მიიღო. მასთან საუბრის შემდეგ კუპერმა სახალხო კომისარს ალმასის ფონდში ნანახი ალმასით გაწყობილი ცისფერი პორტსიგარის ჩუქება თხოვა, რის სანაცვლოდაც დნეპრჰესის მშენებლობაზე პატიოსნად მუშაობის პირობას დებდა. როდესაც ჰესი აშენდა კუპერი ლენინის ორდენით დააჯილდოვეს და მოწონებული პორტსიგარიც გადასცეს[7]. აი ასე თანდათანობით ფართოვდებოდა კონტაქტები ორ ქვეყანას შორის ჯერ კიდევ დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებამდე.

1933 წლის შემოდგომაზე მემორანდუმი საბჭოთა კავშირის დიპლომატიური ცნობის შესახებ სენატს გადაეცა. 96 სენატორიდან წინააღმდეგ მხოლოდ ორი გამოვიდა. 10 ოქტომბერს რუზველტმა წინადადებით მიმართა ცაკ-ის თავმჯდომარეს მ. კალინინს დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ. რუზველტის მიმართვა და კალინინის საპასუხო წერილი საბჭოთა გაზეთებში 21 ოქტომბერს გამოქვეყნდა. საბჭოთა კავშირის სახელით ვაშინგტონში მოლაპარაკების წარმართვა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ მ. ლიტვინოვს დაევალა. რამდენიმე დღეში ვაშინგტონიდან მოსკოვში ტელეგრამა მიიღეს, რომელშიც პრეზიდენტი რუზველტი იუწყებოდა, რომ მზად იყო საბჭოთა დიპლომატს ნოემბრის პირველ რიცხვებში შეხვედროდა. ლიტვინოვი მოსკოვიდან 27 ოქტომბერს გაემგზავრა.

შეერთებულ შტატებში ჩასული საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი პრეზიდენტმა რუზველტმა თბილად მიიღო. პრეზიდენტთან ერთად ოთახში მისი მეუღლე და აშშ-ის სახელმწიფო მდივანი კ. ჰელი იყვნენ. რუზველტი სავარძელში იჯდა. ის წამოდგომას შეეცადა. იცოდა რა მისი მდგომარეობა, ლიტვინოვი სწრაფად გაემართა მისკენ. პრეზიდენტმა ლიტვინოვს ხელი ჩამოართვა და განუცხადა, რომ ის ძალზე გახარებული იყო საბჭოთა წარმომადგენლის ვაშინგტონში ყოფნით. ხანმოკლე ვიზიტის ბოლოს ლიტვინოვმა რუზველტს საჩუქრად მარკების ალბომი გადასცა, რომელშიც საბჭოთა კავშირში დაბეჭდილი მარკები იყო თავმოყრილი. რუზველტი, რომელიც მარკების დიდი მოყვარული იყო, ვერ ფარავდა სიხარულს.

ლიტვინოვის ამერიკაში გამგზავრებამდე საბჭოთა მხარემ ის ძირითადი მოთხოვნები შეიმუშავა, რომლებიც სახალხო კომისარს აშშ-ის მთავრობასთან

მოლაპარაკების დროს უნდა დაეფიქსირებინა. ცხადი იყო, რომ რუზველტის მთავრობასთან მოლაპარაკება ყველა საკითხზე სწრაფად და იოლად ვერ მოხერხდებოდა. საბჭოთა კავშირის ცნობის მოწინააღმდეგენი ყოველნაირად ცდილობდნენ ხელი შეეშალათ მოლაპარაკების მსვლელობისათვის. ჯერ კიდევ 1933 წლის 27 მაისს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის აღმოსავლეთ ევროპის განყოფილების ხელმძღვანელ რობერტ კელისაგან სახელმწიფო დეპარტამენტს და შემდეგ პრეზიდენტსაც საიდუმლო ბარათი გადაეცათ. მასში კელი სამ პირობას აყენებდა, რომელიც აუცილებელი იყო აშშ-ის მხრიდან საბჭოთა კავშირის ცნობისათვის: 1. საბჭოთა კავშირს ამერიკისათვის უნდა დაებრუნებინა მეფის რუსეთის დროინდელი ვალები; 2. უნდა გადაეხადა რევოლუციის შემდეგ ნაციონალიზებული იმ ქონების საფასური, რომელიც რუსეთში ამერიკელებს ეკუთვნოდათ; 3. საბჭოთა კავშირს უნდა შეეწყვიტა რევოლუციური პროპაგანდა.[8] რასაკვირველია, საბჭოთა მთავრობა წინააღმდეგი იყო შეესრულებინა წაყენებული პირობები. მეტიც, მას ამერიკელთა მისამართით კონტრპრეტენზიებიც ჰქონდა. მათი გადაწყვეტა კი მხოლოდ რუზველტის უშუალო ჩარევით იქნებოდა შესაძლებელი. პრეზიდენტი შორსმჭვრეტელი სახელმწიფო მოღვაწე იყო. მომავალი კი საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის ნორმალიზებას მოითხოვდა. მაგრამ ისმებოდა კითხვა, ვისთან უნდა გაემართა ლიტვინოვს მოლაპარაკება? პრეზიდენტთან თუ სახელმწიფო მდივანთან? რუზველტს შეეძლო ეს მისია ჰელისათვის დაეკისრებინა. მაგრამ ამ შემთხვევაში მოლაპარაკებები გაჭიანურდებოდა. თეთრ სახლში ძალიან დაძაბული ატმოსფერო სუფევდა. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის პოლიტიკურ წრეებში ბევრი ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა კავშირის დიპლომატიურ აღიარებას, იგრძნობოდა, რომ აქ ყველაფერი რუზველტის სურვილსა და ინტელექტს ემორჩილებოდა. თუმცა იყო მცდელობა თვით პრეზიდენტის დედა გამოეყენებინათ მოლაპარაკებისათვის ხელის შესაშლელად. მთელმა ამერიკამ იცოდა, თუ როგორ უყვარდა ფრანკლინს დედა. ერთ დღეს, როდესაც რუზველტმა ლიტვინოვი მოსალაპარაკებლად მიიღო, მოულოდნელად პრეზიდენტის კაბინეტში ელეონორა რუზველტი შემოვიდა. მან საბჭოთა დიპლომატის თანდასწრებით ქმარს უთხრა: „ფრანკლინ, რატომ არ მოუყვები დედას მისტერ ლიტვინოვთან მოლაპარაკების შესახებ? წარმოიდგინე, ერთ მშვენიერ დღეს დედაშენი გაიღვიძებს და გაიგებს, რომ შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობა იქნება დამყარებული. გიფიქრია თუ არა, როგორ მიიღებს ის ამას? შეიძლება შოკში ჩავარდეს." „რა გაეწყობა - უპასუხა რუზველტმა, დაე მან ამის შესახებ მოულოდნელად გაიგოს. იყოს შოკი. ეს შოკი საშიში არაა."[9]

მოლაპარაკების დაწყებისთანავე სახელმწიფო მდივანმა ჰელმა ლიტვინოვს ამერიკის მხარის პრეტენზიები გააცნო, რომელშიც ერთ-ერთი კერენსკის მთავრობისათვის მიცემულ მილიონობით დოლარს ეხებოდა. ამასთან დაკავშირებით, ლიტვინოვმა უპასუხა, რომ კერენსკისთვის მიცემული კრედიტები იუდენიჩის, ვრანგელისა და მეფის სხვა გენერლებისთვის იარაღის შესაძენად იხარჯებოდა. კონტრრევოლუციის ფინანსურმა მხარდაჭერამ კი, მისი აზრით, რუს ხალხს დიდი ტანჯვა მიაყენა. იმ დროს რომ ასეთი ხელისუფლება ყოფილიყო ამერიკაში, როგორიც ახლაა, აგრძელებდა ლიტვინოვი—კერენსკი და მისი გენერლები ამ სახსრებს ვერ მიიღებდნენ. როგორ შეიძლება აიძულო რუსი ხალხი, გადაახდევინო იმ ზარბაზნებისა და კარაბინების საფასური, რომლებითაც თავად რუსები დახოცეს. უაზრობა იქნებოდა, მაგალითად მაშინ, როდესაც ამერიკელები თავიანთი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ, აეძულებინათ ისინი თავადვე გადაეხადათ ინგლისისათვის ამ ომში დახარჯული ფული. საუბრისას ლიტვინოვი ფრთხილად არჩევდა და წონიდა

თითოეულ სიტყვას. რუზველტი ინტერესით უსმენდა. ხანდახან პრეზიდენტი სახელმწიფო მდივან ჰელსაც გადახედავდა, რომელიც ლიტვინოვის გამოსვლას ალბათ წითელ პროპაგანდად ნათლავდა.[10] პირველი საკითხის განხილვის შემდეგ, დარწმუნებულმა იმაში, რომ ლიტვინოვი არაფერს დათმობდა, რუზველტმა აზრი გამოთქვა განეხილათ მეორე საკითხი და შენიშნა, რომ პირველ საკითხს შეიძლებოდა ხელახლა დაბრუნებოდნენ. ჰელმა მთელი სია წარმოადგინა იმ ამერიკელი მესაკუთრეებისა, რომელთა ქონებაც ნაციონალიზებული იქნა რუსეთში რევოლუციის შემდეგ და ამის გამო შეერთებული შტატების მთავრობის სახელით კომპენსაცია მოითხოვა. აღნიშნული საკითხის ირგვლივ მოლაპარაკებები რამოდენიმე დღე გაგრძელდა. ლიტვინოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობას ამ საკითხთან დაკავშირებით კონტრპრეტენზია ჰქონდა. სამოქალაქო ომის დროს, ამბობდა ის, აშშ-მა გენერალ გრევსის მეთაურობით ციმბირში საექსპედიციო კორპუსი გაგზავნა. ზარალი, რომელიც მოჰყვა ამერიკელთა ინტერვენციას, აგრძელებდა ლიტვინოვი, გაცილებით მეტი იყო იმაზე, რაც ამერიკელებმა რუსეთში დაკარგეს. შემდეგი საკითხი შედარებით იოლად გადაწყვიტეს. რუზველტმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირმა თავი უნდა შეიკავოს აშშ-ის საშინაო საქმეებში ნებისმიერი ფორმით ჩარევისაგან. პრეზიდენტი შეეკითხა ლიტვინოვს ექნებოდათ თუ არა გარანტირებული ამერიკის საელჩოს თანამშრომლებს მოსკოვში რელიგიის თავისუფლება," შეძლებდნენ თუ არა ისინი წასულიყვნენ ეკლესიაში, სინაგოგაში და იმ სალოცავებში, რომელ რელიგიურ აღმსარებლობასაც ისინი ეკუთვნოდნენ. ლიტვინოვმა პრეზიდენტს უპასუხა, რომ საბჭოთა კონსტიტუციაში გარანტირებული იყო რწმენის თავისუფლება და მოსკოვში აკრედიტებული ყველა საელჩო ამ უფლებით სარგებლობდა. მაგრამ აშშ-ის სახელმწიფო მდივანი აქაც შეუვალი იყო. მას შემდეგ, რაც ლიტვინოვმა წერილობითი ფორმით დაუდასტურა, რომ ამერიკელ დიპლომატებს გარანტირებული ექნებოდათ რწმენის თავისუფლება, მან მოულოდნელად მოითხოვა, ამერიკელებს უფლება ჰქონოდათ შეეძინათ ან იჯარით აეღოთ შენობები რელიგიური მსახურებისათვის. ამის საპასუხოდ ლიტვინოვმა განაცხადა, რომ ამ საკითხში ამერიკელები არანაირ პრივილეგიებს არ მიიღებდნენ. საბჭოთა დიპლომატის აზრით, ეს ეწინააღმდეგებოდა მისი ქვეყნის ინტერესებს. მოლაპარაკების დამთავრებამდე ერთი დღით ადრე რუზველტმა ლიტვინოვს განუცხადა, რომ მან გადაწყვიტა აშშ-ის ელჩად საბჭოთა კავშირში უ. ბულიტი დაენიშნა.

1933 წლის 16 ნოემბერს ორ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა. გაწყვეტილი ძალისხმევა ორი მოკლე წერილით დაგვირგვინდა, რომლებიც სახელმწიფოთა უმაღლესმა პირებმა ერთმანეთში გაცვალეს. რუზველტი თავის წერილში წერდა: „ჩემო ძვირფასო ბატონო ლიტვინოვ, ძალიან ბედნიერი ვარ გაუწყოთ, რომ ჩვენი საუბრების შედეგად შეერთებული შტატების მთავრობამ გადაწყვიტა ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა დაამყაროს სსრკ-ის მთავრობასთან. ვიმედოვნებ, რომ ჩვენს ხალხებს შორის ახლახან დამყარებული ურთიერთობები ყოველთვის მეგობრული დარჩება და მათ შეეძლებათ ურთიერთსასარგებლოდ ითანამშრომლონ მსოფლიოში მშვიდობის შესანარჩუნებლად". ლიტვინოვი თავის მხრივ პრეზიდენტისადმი მიწერილ წერილში იმედს გამოთქვამდა, რომ სსრკ-სა და აშშ-ს შორის ახლახან დამყარებული დიპლომატიური ურთიერთობა ყოველთვის მეგობრული დარჩებოდა.[12]

ლიტვინოვთან ერთ-ერთი ბოლო შეხვედრის დროს რუზველტს აცნობეს, რომ შეერთებული შტატების კავშირგაბმულობის სამინისტრომ რადიოტელეფონური კავშირი დაამყარა მოსკოვთან და მოამზადა პირდაპირი ჩართვა მათ შორის. პრეზიდენტმა საბჭოთა დიპლომატისათვის სიურპრიზის მოწყობა გადაწყვიტა.

მან ლიტვინოვს შესთავაზა ისტორიაში პირველად ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის სატელეფონო კავშირი განეხორციელებინა. როდესაც მოსკოვში ცნობილი გახდა, რომ ვაშინგტონში ტელეფონთან ლიტვინოვი იქნებოდა, მისი ოჯახისთვის შეტყობინება გადაწყვიტეს. პრეზიდენტ რუზველტის თხოვნით, ტელეფონთან საბჭოთა დიპლომატის მეუღლე მიიწვიეს. სატელეფონო საუბრის შემდეგ რუზველტმა ლიტვინოვს სიცილით მიმართა:

„ბატონო ლიტვინოვ, ასეთი საუბრები საუკეთესო პროპაგანდაა თქვენი წყობისათვის. როდესაც ამერიკელი გაიგებს, რომ ბოლშევიკ კომისარს ოჯახი და ცოლ-შვილი ჰყავს, ის თქვენსა და თქვენი ქვეყნის მიმართ კეთილად განეწყობა."[13] რუზველტისა და ლიტვინოვის საუბრის დროს თეთრ სახლში სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომელი შემოვიდა და პრეზიდენტის თანდასწრებით სახალხო კომისარს საბჭოთა საელჩოს გასაღები გადასცა. შენობა, სადაც საელჩო უნდა განთავსებულიყო, ამერიკელ მილიონერ პულმანს ეკუთვნოდა, რომელიც ადრე მეფის მთავრობის მიერ იქნა შესყიდული.

1933 წლის 23 ნოემბერს საბჭოთა დიპლომატმა ვაშინგტონში თავისი მისია დაასრულა. პრეზიდენტი მას გულთბილად დაემშვიდობა და საჩუქრად პორტატული რადიომიმღები გადასცა, რაც იმ დროისათვის იშვიათობა იყო. რუზველტმა იმედი გამოთქვა, რომ ისინი კიდევ შეხვდებოდნენ ერთმანეთს. მაშინ შეერთებული შტატების პრეზიდენტი და საბჭოთა კავშირის სახალხო კომისარი ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ რვა წლის შემდეგ მათ ქვეყნებს მსოფლიო ომში მოკავშირეთა სტატუსით მონაწილეობა მოუწევდათ.

## შენიშვნები და გამოყენებული ლიტერატურა


1. Н. Н. Яковлев, Новейшая история США, М., 1961, с.230
2. არისტოკრატული ოჯახიდან გამოსული რუზველტი პოლიტიკაში ადრიდანვე ჩაება. 28 წლისა იყო ნიუ-იორკის შტატის სენატის წევრი, პირველი მსოფლიო ომის წლებში საზღვაო მინისტრის მოადგილე. 1929 წელს რუზველტი ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორი და დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერია.
3. ტაგველი იხსენებდა, თუ როგორ ემზადებოდა სარა დელანო მას, რათა შესაბამისი არგუმენტაციის მოყვანით პრეზიდენტი სსრკ-ს ცნობის მიზანშეუწონლობაში დაერწმუნებინა; R. Tugwell The Democratic Roosvelt, N.Y., 1975, p.57.
4. Ibid, p. 438.
5. R. Browder, The origins of Soviet American Diplomacy. Princeton, 1953, p.109.
6. Н. Н Яковлев, ФДР – Человек и Политик. М., 1965, с.225.
7. З. Шейнис, Литвинов, Революционер, дипломат, человек, М., 1989, с.283.
8. Там же, с.296.
9. Там же, с. 298.
10. Там же, с. 299.
11. Freidel F., Franklin D. Roosevelt a Rendezvous with Destiny. N.Y., 1990, p. 175.
12. Шейнис, указ. соч., с. 301.
13. Там же, с. 304.

**მამუკა კუდავა**
*საგარეო საქმეთა სამინისტროს აშშ-ის, კანადისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების დეპარტამენტის დირექტორი*
**ირაკლი მაჩიტიძე**
*საგარეო საქმეთა სამინისტროს აშშ-ის, კანადისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი*

# აშშ-ის გზა ერაყის ომისაკენ

## შესავალი

ისტორიული განვითარების პროცესში აშშ-მა შეიძინა მისთვის დამახასიათებელი თვისებები, რამაც, თავის მხრივ, წარმოშვა ორი მიდგომა აშშ-ის მიერ გატარებული პოლიტიკის – ამერიკული მისიის - შემუშავებაში. პირველი მდგომარეობს იმაში, რომ აშშ ამკვიდრებს საკუთარ, ე. წ. ამერიკულ ფასეულობებს, სრულყოფს დემოკრატიას აშშ-ის შიგნით. ამერიკაში მტკიცედ დამკვიდრდა სხვა ქვეყნებში გამეფებული ნაციონალიზმისაგან განსხვავებული, განსაკუთრებული ნაციონალიზმი, რომელიც ეთნიკური უპირატესობის ცნებით კი არ განისაზღვრება, არამედ ამერიკული დემოკრატიული იდეალების უპირატესობაში ღრმა რწმენით ხასიათდება და ამდენად წარმოადგენს იდეალს დანარჩენი კაცობრიობისათვის. მეორე მიდგომის არსი დადის იქამდე, რომ თავად ეს ღირებულებები ავალდებულებს აშშ-ს, რომ მათ დასამკვიდრებლად იბრძოლოს მსოფლიო მასშტაბით, ანუ შეასრულოს მასზე (*ღმერთისგან, ამერიკელი ერისგან, დემოკრატიის ცნებისგან და სხვ.*) დაკისრებული მისია. პრეზიდენტ ვილსონის მიერ ამ იდეის პირველად განცხადების გამო, ეს მისია ვილსონის იდეალიზმად არის ცნობილი. დროის ამა თუ იმ მონაკვეთში საერთაშორისო სისტემის შესაბამისი პირობების გათვალისწინებით, დასახული მიზნის მისაღწევად აშშ-ს უწევს ეტაპობრივი სვლების გაკეთება, თანაც ყოველი ეტაპი წარმოადგენს უცვლელი ამერიკული ფასეულობებისა და დროის შესაბამისად ცვალებადი გეოპოლიტიკური აუცილებლობების ნაზავს.

სწორედ ამ ისტორიული მიდგომების პრიზმაში უნდა იქნეს დანახული აშშ-ის პოზიცია მსოფლიო პოლიტიკის ნებისმიერი ძირითადი საკითხის მიმართ, რათა თავიდან იქნეს აცილებული არგუმენტები, რომლებიც მიკერძოებული ხედვის (*მხოლოდ გეოპოლიტიკური, რეგიონული ან ამა თუ იმ კონკრეტულ სფეროს*) შედეგებია.

მხოლოდ ზემოაღნიშნული მიდგომების კონტექსტში არის განსახილველი XX საუკუნის 90-იანი წლების ერაყის კრიზისი, რამაც 2003 წელს აშშ-ის მიერ ერაყის წინააღმდეგ ომის დაწყებით კულმინაციას მიაღწია.

## კრიზისის სათავეები

აშშ-სა და ერაყს შორის კრიზისი ათწლეულზე მეტი ხანია, რაც გრძელდება. მასში აშშ-ის სამი ადმინისტრაცია იყო ჩართული.

1980-იან წლებში ერაყის მიმართ დასავლეთში და, კერძოდ, აშშ-ში რადიკალურად განსხვავებული მიდგომა არსებობდა, რასაც სრულიად განსხვავებული საერთაშორისო გარემო განაპირობებდა. იმ პერიოდში აშშ-ის ოფიციალურ პირებს მიაჩნდათ, რომ სადამ ჰუსეინის დიქტატორულ რეჟიმს შეეძლო დაებალანსებინა

აიათოლა ჰომეინის რეჟიმი ირანში, რომელიც მიისწრაფოდა ახლო აღმოსავლეთში ისლამური ფუნდამენტალიზმის ექსპორტირებისა და რეგიონში დასავლეთის/აშშ-ის როლის შემცირებისაკენ. რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით და სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, რაც შუა აღმოსავლეთში საბჭოთა კავშირის გავლენის ზრდის საშიშროებით იყო გამოწვეული, აშშ არ ახდენდა ზეწოლას ერაყზე.

1980 წელს ერაყმა ომი გამოუცხადა ირანს, რომელმაც რვა წელს გასტანა და მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. დასავლეთი/აშშ კმაყოფილებას გამოხატავდა ირანის იმდროინდელი დაკნინებული მდგომარეობის გამო. უფრო მეტიც, იმ პერიოდში ერაყმა დიდი ოდენობით ნავთობი მიჰყიდა აშშ-ს, თანაც ნომინალურზე დაბალ ფასებში. მიუხედავად ახლო ურთიერთობებისა, აშშ არ წარმოადგენდა ერაყის მოკავშირეს. ისინი უფრო დე-ფაქტო პარტნიორები იყვნენ, რაც „ჩემი მტრის მტერი ჩემი მეგობარია" პრინციპზე იყო დაფუძნებული.

კრიზისი 1990 წლიდან იღებს სათავეს, რაც ერაყის მიმართ აშშ-ის პოზიციის მყისეულ შეცვლას უკავშირდება. 1991 წლის აგვისტოში ერაყის არმიამ ქუვეითი დაიპყრო[1]. ამ მოვლენებს დაუყოვნებლივ გამოეხმაურა გაერო, ერაყის წინააღმდეგ მკაცრი სანქციების დაწესების გზით. ერაყი მოექცა საზღვაო, სახმელეთო და საჰაერო ბლოკადაში. იმ დროისათვის შეცვლილმა საერთაშორისო გარემომ (*„ცივი ომის" დამთავრება და დაშლის საფრთხის წინაშე მდგომი საბჭოთა კავშირი, რის შედეგადაც აშშ ერთადერთ სუპერსახელმწიფოდ ჩამოყალიბდა*) შესაძლებელი გახადა უშიშროების საბჭოს მიერ ქუვეითიდან ჯარების გაყვანის თაობაზე ბაღდადისადმი ულტიმატუმის წაყენება. მას შემდეგ, რაც ერაყმა უარყო გაეროს მოთხოვნები, ქუვეითის ანექსირება არაკანონიერად ჩაითვალა და გაერომ განაცხადა ოპერაციის „ფარი უდაბნოში" დაწყება, რომლის ძირითადი მიზანი მდგომარეობდა კონფლიქტის რაიონში კოალიციის სამხედრო ძალების თავმოყრაში[2]. 1991 წლის იანვარში მოკავშირეებმა დაიწყეს სამხედრო ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხალი" ერაყის წინააღმდეგ, რამაც მხარდაჭერა პოვა გაეროს უშიშროების საბჭოსაგან. მარტის დასაწყისში ქუვეითი სრულიად გათავისუფლდა, ხოლო სადამი დიდი ხნით შეიზღუდა მეზობელ სახელმწიფოებთან აგრესიული პოლიტიკის განხორციელებაში.

1991 წელს განხორციელებული სამხედრო ოპერაციის შედეგად არ მოხდა ჰუსეინის რეჟიმის ლიკვიდაცია. ჯორჯ ბუში უფროსის ადმინისტრაცია ამის მიზეზად აცხადებდა, რომ მას ჰქონდა მხოლოდ ქუვეითის გასათავისუფლებელი გაეროს მანდატი, სადამის რეჟიმის შეცვლის შემთხვევაში კი, ოპერაცია მანდატს გაცდებოდა და შედეგად კოალიცია დაიშლებოდა. ექსპერტები სხვა მიზეზებზეც მიუთითებდნენ: პოსტ-სადამური ერაყის მართვისათვის მოუმზადებლობა; საფრთხე იმისა, რომ ირანი ისარგებლებდა ხანგრძლივი რეგიონალური არასტაბილურობით; ერაყის შესაძლო ფრაგმენტაციის საფრთხე (*ჩრდილოეთ ერაყში ქურთების მისწრაფება დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისაკენ, ხოლო სამხრეთში შიიტების ირანთან მიერთების მცდელობა*); აგრეთვე მოლოდინი იმისა, რომ სადამის დაუძლურებული რეჟიმი ისედაც განწირული იყო. პრეზიდენტმა ბუშმა უფროსმა მოუწოდა ერაყელებს სადამის წინააღმდეგ. მრავალი ქურთი და შიიტი ასეც მოიქცა. მაგრამ აშშ-ის ძალებმა მათ მხარი არ დაუჭირა, რის შედეგადაც ჰუსეინმა მალევე ჩაახშო აჯანყება.

„უდაბნოს ქარიშხლის" შემდეგ აშშ-ის პოლიტიკას ერაყის მიმართ განსაზღვრავდა შეკავების (containment) სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებდა სადამის იზოლაციას, რაც ხორციელდებოდა გაეროსთან კოორდინირებული

თანამშრომლობით. გაეროს უშიშროების საბჭომ ძალაში დატოვა ერაყის წინააღმდეგ დაწესებული ეკონომიკური სანქციები და განახორციელა საერთაშორისო ინსპექციები იმ მიზნით, რომ აღმოეჩინათ და გაენადგურებინათ სადამის მასობრივი განადგურების იარაღი და ის რაკეტები, რომლებიც აჭარბებდნენ მოქმედების დაწესებულ რადიუსს. აშშ-მა უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების მიზნით დააწესა „არასაფრენი ზონა", რომელსაც პატრულირებდნენ აშშ-ის და ბრიტანეთის თვითმფრინავები[3].

ერაყის განიარაღებისა და შეკავების მიზნით 1990-იან წლებში აშშ ახორციელებდა საჰაერო შეტევებს ერაყის სამხედრო ინფრასტრუქტურასა და დანადგარებზე. აშშ აგრეთვე მხარს უჭერდა ჰუსეინის მთავრობის დამარცხების მიზნით განხორციელებულ საიდუმლო ოპერაციებს ერაყის ოპოზიციურ ჯგუფებსა და ქურთ სეპარატისტებთან თანამშრომლობით[4].

შეკავების სტრატეგია მალე ნაკლებ ეფექტურად იქცა. მიუხედავად იმისა, რომ შეკავების რეჟიმები - სანქციები, საერთაშორისო ინსპექციები და არასაფრენი ზონები - ძალაში დარჩა იმაზე მეტ ხანს ვიდრე იგეგმებოდა, ერაყმა მონახა გაეროს კონტროლისათვის გვერდის ავლის გზები და ამგვარმა აკრძალვებმა დაკარგეს საერთაშორისო მხარდაჭერა. ჰუსეინი სხვადასხვა მანიპულაციით ახერხებდა გაეროს ინსპექციების ჩაშლას და 1998 წელს საინსპექციო ჯგუფი იძულებული გახდა დაეტოვებინა ერაყი[5]. მიუხედავად ამისა, ბუშის ადმინისტრაციის ძალისხმევის შედეგად 2002 წელს ინსპექციები კვლავ განახლდა, თუმცა ყველამ იცოდა, რომ ის თავიდანვე განწირული და ომის პრელუდია იყო.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ჰუსეინის რეჟიმის შეცვლის გეგმა ლოგიკური გამოსავალი იყო შექმნილი კრიზისიდან, თუმცა არა ალტერნატივა. ბუნებრივია, ამ გეგმას ჰქონდა როგორც მხარდამჭერი, ასევე საწინააღმდეგო არგუმენტები.

## ერაყის ომის მიზეზები

2003 წელს, პირველად თავის ისტორიაში, აშშ-მა დაიწყო „არაპროვოცირებული ომი". ავღანეთის შემთხვევაში მიზეზი ცალსახა იყო – 11 სექტემბერი და თალიბანთა რეჟიმის მიერ ოსამა ბინ ლადენის გადაცემაზე უარის თქმა. 1991 წლის ომი ერაყთან ადვილად ასახსნელი იყო, რაც ქუვეითის ოკუპაციისაგან გათავისუფლებას ისახავდა მიზნად. ომი ვიეტნამში ასევე ადვილად გასაგები იყო: სამხრეთ ვიეტნამის დაცვა კომუნიზმის საფრთხისა და საბჭოთა კავშირის მიერ მხარდაჭერილი ჩრდილოეთ ვიეტნამისაგან. კორეაში ომიც ლოგიკური გახლდათ – ჩრდილოეთ კორეის მიერ სამხრეთის დაპყრობა. მეორე მსოფლიო ომში აშშ-ის ჩართვა კი პერლ ჰარბორზე იაპონიის შეტევამ განაპირობა.

ამდენად, ბუნებრივია, 2003 წლის ომი ფუნდამენტური მიზეზის ძიების სურვილი იყო. მაინც რამ მიიყვანა აშშ ერაყის ომამდე? რა მოტივაცია ამოძრავებდათ პრეზიდენტ ბუშსა და მის მრჩევლებს ძალიან დიდი რისკის გაწევისას? რისკის უამრავი ფაქტორი არსებობდა: ხანგრძლივი ომის საშიშროება და პოტენციური დიდი მსხვერპლი ამერიკელ ჯარისკაცთა მხრივ; დიდ ხარჯებთან დაკავშირებული ომის გამო იმ რესურსების დაკარგვა, რაც საშინაო პოლიტიკაში ადმინისტრაციის პრიორიტეტული მიმართულებების დასაფარავად უნდა გამოყენებულიყო; მოკავშირეთა სიმცირე და არსებული მოკავშირეების დაკარგვა (საფრანგეთის, გერმანიის, რუსეთის და სხვა ქვეყნების ოპოზიცია ომის მიმართ); დიდი მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში; ისრაელის დიდ საფრთხეში ჩაყენება; არაბულ ისლამურ ქვეყნებში ანტიამერიკული განწყობილებების გამძაფრება; მსოფლიოში მზარდი უარყოფითი საზოგადოებრივი აზრი ომის მიმართ და სხვ.

აშშ-ის ადმინისტრაციის განცხადებით ომს სამი მიზანი ჰქონდა:

*1. ჰუსეინის მასობრივი განადგურების იარაღის არსენალის განადგურება.* 1980-იან წლებში ერაყმა შექმნა ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის მნიშვნელოვანი მარაგი" და მათი გადასატანი რაკეტების არსენალი. ამავე დროს არსებობს საყოველთაო შეთანხმება იმის თაობაზე, რომ ერაყმა ვერ მიაღწია ბირთვული იარაღის შესაძლებლობებს. განვლილი ათი წლის განმავლობაში აშშ მუდმივად უსვამდა ხაზს გაეროს რეზოლუციების დარღვევის ფაქტებს. მიუხედავად აშშ-ის მიერ სათანადო მტკიცებულებების წარდგენისა, ბევრი ექსპერტი მგი-ს საფრთხეს უფრო მეტად ჩრდილოეთ კორეისა და სამხრეთ აზიიდან (პაკისტანი, ინდოეთი) ხედავდა.

*2. საერთაშორისო ტერორიზმის საფრთხის შემცირება.* აშშ-მა წარმოადგინა სხვადასხვა ფაქტი ერაყის რეჟიმსა და ტერორისტულ ორგანიზაციებს შორის არსებული კავშირების შესახებ. ამავე დროს, არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ჰუსეინის რეჟიმის სეკულარულობის გამო რადიკალური ისლამური ორიენტაციის „ალ კაიდა" უფრო მტერი იქნებოდა სადამისათვის, ვიდრე მისი მოკავშირე[7].

*3. დემოკრატიის განვითარება ერაყსა და რეგიონში.* აშშ ცდილობდა იმის ხაზგასმას, რომ დემოკრატიული მთავრობის შექმნა ერაყში ბიძგსა და სტიმულს მისცემდა სხვა მეზობელ ისლამურ ქვეყნებს (*ძირითადად იგულისხმება საუდის არაბეთი და ირანი*). ახლო აღმოსავლეთში ხომ დემოკრატიის ძლიერი დეფიციტია. თუმცა გამოითქმებოდა საწინააღმდეგო არგუმენტიც, რომ ერაყს იგივე რეჟიმი ჰყავდა 1980-იან წლებში, მაგრამ მაშინ ის არ განიხილებოდა არადემოკრატიულად.

აღნიშნულის გარდა ომის გამომწვევი სხვა უამრავი მოტივაციაც სახელდება. აღსანიშნავია, რომ ერაყის ომის ბევრი მომხრე ომის აუცილებლობაზე საუბრობდა, თუმცა აშშ-ის ადმინისტრაციის მიერ მოტანილ არგუმენტებს არ ეთანხმებოდა.

## „ნავთობის ომი"

მიუხედავად აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის ოფიციალური განცხადებებისა იმის შესახებ, რომ ერაყთან ომი არ იყო „ნავთობის ომი"[8], არსებობს საწინააღმდეგოს დამამტკიცებელი ბევრი არგუმენტი.

უკანასკნელ ხანს აშშ-ში მზარდი შეშფოთება შეიმჩნევა ნავთობის ნაკლებობასთან დაკავშირებით, რაც გამოწვეულია მსოფლიო მოთხოვნის ნავთობის შეუსაბამო მოწოდების არსებობით. მსოფლიოს სანავთობო ბაზარზე შექმნილი ვითარება კი, კერძოდ, გამოწვეულია ერაყიდან და ირანიდან ნავთობის თავისუფალი მოწოდების არარსებობით. აქედან გამომდინარე, „ნავთობის ომის" პროპონენტების აზრით, ერაყი განიხილებოდა, როგორც მადესტაბილიზებელი ფაქტორი საერთაშორისო ბაზრის ნავთობით მომარაგებაში.

საუდის არაბეთის შემდეგ (*მსოფლიოს მარაგების 25%-ით - 250 მილიარდი ბარელი*) ერაყი მეორე ქვეყანაა ნავთობის მარაგებით (*113 მილიარდი ბარელი - მსოფლიო მარაგების 11%. პოტენციურ რეზერვს კი 200–300 მილიარდ ბარელად აფასებენ*). ამასთან ერაყის ნავთობის მოპოვება შედარებით იაფი და ადვილია, რაც მისი მიწოდების ზრდის შემთხვევაში დაძაბულობას მოუხსნიდა საერთაშორისო ბაზარს, განსაკუთრებით კი, ნავთობის იმპორტიორ ისეთ ქვეყანას, როგორიცაა აშშ (*ამჟამად აშშ 40%-ით არის დამოკიდებული ნავთობზე, რომლის 55% იმპორტირებულია. 2020 წლისათვის კი ამ რიცხვის გაზრდა 65%-მდეა მოსალოდნელი*). ამგვარი ვითარება ვაშინგტონს საშუალებას მისცემდა მეტი გავლენა ჰქონდეს ნავთობზე

ფასის რეგულირებაზე. უფრო სწორად კი დაწევაზე, რაც ტრადიციულად აშშ-ის ინტერესებშია.

## ომი კარტერის დოქტრინის სცენარით

შემდეგ მოსაზრებას წარმოადგენს „ნავთობის ომის" ვერსიის განზოგადებული ვარიანტი. კერძოდ ის, რომ აშშ ერაყში მხოლოდ ნავთობით არ არის დაინტერესებული. ვაშინგტონის ინტერესებშია პოლიტიკური გავლენის მოპოვება რეგიონის ნავთობმომპოვებელ ქვეყნებზე, რაც ავტომატურად მსოფლიო ეკონომიკაზე ერთპიროვნულ ლიდერობას ნიშნავს.[9] ამის ერთ-ერთი საშუალებაა ერაყში ამერიკელთა სამხედრო ყოფნა, რამაც უნდა შეცვალოს ადრინდელი ამერიკული სამხედრო განლაგება ირანსა და საუდის არაბეთში.

ამ ლოგიკის მიხედვით, სპარსეთის ყურის ნავთობზე ამერიკული კონტროლის არარსებობის შემთხვევაში აშშ-ის, როგორც გლობალური დომინანტის როლი კითხვის ნიშნის ქვეშ აღმოჩნდება. ეს კი დაუშვებელია კარტერის დოქტრინის[10] მიხედვით, რომელიც სპარსეთის ყურეში ამერიკის გავლენის წინააღმდეგ მოქმედი ქვეყნის საპირისპიროდ ნებისმიერი, მათ შორის, სამხედრო ზომის გატარებას ითვალისწინებს. სადამის რეჟიმი კი ძირშივე წარმოადგენს საფრთხეს აშშ-ის კონტროლისათვის სპარსეთის ყურეზე, რომელიც მსოფლიოში ყველაზე დიდი ნავთობმომპოვებელი რეგიონია და, სადაც მსოფლიოში აღმოჩენილი ნავთობის 2/3-ია.

ამავე მიდგომის შესაბამისად, უნდა გადაწყდეს აშშ-ის გრძელვადიანი დილემა - თავიდან უნდა იქნეს აცილებული აშშ-ის მზარდი დამოკიდებულება საუდის არაბეთის ნავთობზე. ამ პრობლემის მოგვარება კი ერაყის ნავთობზე კონტროლის დაწესების მეშვეობით არის შესაძლებელი.

## დიქტატორული რეჟიმის მიუღებლობა

ამ ვერსიის მომხრეთა მიხედვით, აშშ-მა გადაწყვიტა ემოქმედა ჰუსეინის რეჟიმის წინააღმდეგ, რათა აღეკვეთა მის მიერ ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევის სისტემატური ხასიათი.[11] არაპროგნოზირებადი დიქტატორული რეჟიმით გამოწვეული პოტენციური საფრთხეები და ამგვარად გაეფრთხილებინა მსოფლიოს სხვა სახელმწიფოები, კერძოდ, ახლო აღმოსავლეთის ისლამური ქვეყნები, რომ საჭიროა შეცვალონ დიქტატორული რეჟიმები, წინააღმდეგ შემთხვევაში, „მათი დროც მოვა"[12].

ომის დაწყების ეს ვერსია იმით იყო არგუმენტირებული, რომ 11 სექტემბერს მიღებული გაკვეთილის შემდეგ აშშ-მა ნათლად გააცნობიერა, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო ათწლეულების მანძილზე მის მიერ თვალის დახუჭვა დიქტატორული რეჟიმების (განსაკუთრებით, მგრძნობიარე და აშშ-სთვის სტრატეგიულ რეგიონებში) ბარბაროსული პოლიტიკის მიმართ უდიდესი საფრთხის შემცველია (მაგალითად, ავღანეთი და იგივე ერაყი, რომელიც 1980-იან წლებშიც დიქტატორული იყო და აშშ-ის მხრიდან ვერ გაცნობიერდა მისი პოტენციური საშიშროება) და თვით აშშ-ს უბრუნდება ნეგატიურად. ეს მიდგომა დაფუძნებულია პრინციპზე, რომ დემოკრატიული ქვეყნები ერთმანეთს არ ეომებიან და ერთმანეთისთვის საფრთხეს არ წარმოადგენენ.

ამ ლოგიკის თანახმად, საჭიროა პრევენციული ზომების მიღება. თუმცა, ამ ვერსიის ოფიციალურად დეკლარირება ვერ მოხდებოდა აშშ-ის ადმინისტრაციის მიერ, რადგან დიქტატორული რეჟიმების საკითხი პირდაპირ არის მიმართული

აშშ-ის ოფიციალური მოკავშირეების (მაგ., საუდის არაბეთი, ეგვიპტე) წინააღმდეგ და თანაც არ იქნებოდა მომგებიანი საერთაშორისო სამართლის კუთხით.

ერთდროულად ამ ვერსიის შედეგი აშშ-ის ორი ინტერესის განხორციელებაც იქნებოდა: ა) ისრაელის მხარდაჭერა და ბ) ეკონომიკურად და პოლიტიკურად ინტეგრირებული არაბული სამყაროს თავიდან აცილებით ახლო აღმოსავლეთში ძალთა ბალანსის შეცვლა.

## ახალი ამერიკული, „ნეოკონსერვატორების სტრატეგია"

იმ შემთხვევაშიც კი, თუ შეჯამდება ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზები, ძნელია პასუხის მიღება კითხვაზე - რატომ დაიწყო ერაყის მეორე ომი, ახლა და ამ ვითარებაში? პასუხის გასაცემად საყურადღებოა ის ცვლილებები, რომლებიც ამერიკის ადმინისტრაციაში მიმდინარეობდა.

11 სექტემბრამდე დიდი ხნით ადრე, ჯერ კიდევ ერაყში პირველი ინსპექტორების გაგზავნამდე, აშშ-ის გავლენიან ოფიციალურ პირთა მცირე ჯგუფმა გამოთქვა მოსაზრება ერაყში რეჟიმის შეცვლის შესახებ.

1992 წელს პოლ ვოლფოვიცმა, მაშინ თავდაცვის მინისტრის მოადგილემ პოლიტიკურ საკითხებში, შეიმუშავა დოკუმენტი თავდაცვის პოლიტიკის ძირითად მიმართულებებზე[13]. ვოლფოვიცი თვლიდა, რომ 1991 წლის ომის დასრულება ნაადრევი იყო. თავის დოკუმენტში ვოლფოვიცი ერაყში სამხედრო ინტერვენციას ამართლებდა იმით, რომ იგი აუცილებელი იყო სპარსეთის ყურის ნედლეულის და, კერძოდ, ნავთობის დაუფლების, რეგიონიდან მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების და ტერორიზმის აღკვეთის თვალსაზრისით. დოკუმენტი მოუწოდებდა აღმკვეთი დარტყმებისაკენ და არ გამორიცხავდა აშშ-ის დამოუკიდებელ მოქმედებას კოალიციის გარეშე. ვოლფოვიცი აღნიშნავდა, რომ აშშ-ის პოლიტიკის მთავარი მიზანი უნდა იყოს აშშ-ის შემცვლელი ახალი მსოფლიო ძალის შექმნის აღკვეთა.

1997 წელს დაარსდა პროექტი „ახალი ამერიკული საუკუნე", რომლის მიზანი მსოფლიო პოლიტიკაში აშშ-ის მომავალი როლის ფილოსოფიური განსაზღვრა იყო[14]. პროექტის ავტორები, რომლებსაც ნეოკონსერვატორებს უწოდებენ, სხვადასხვა დროს გავლენიანი ოფიციალური პირები იყვნენ და ამჟამად ბუშის ადმინისტრაციის წამყვანი ფიგურები არიან (მ.შ. ვოლფოვიცი, რამსფელდი და სხვ.). ნეოკონსერვატორთა კონცეფციაში ზემოაღნიშნულ დემოკრატიზაციას დიდი როლი ენიჭებოდა. ამ დოკუმენტის კონცეფცია დაედო საფუძვლად აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების ახალ, 2002 წლის სტრატეგიას, ისევე როგორც ბუშის ცნობილ, „ბოროტების ღერძის გამოსვლას"[15]. კრიტიკოსები ამ კონცეფციას აბსოლუტურ უნილეტარიზმს უწოდებენ.

ერაყის ომის დაწყების ამ მიზეზის მომხრენი თვლიან, რომ ნეოკონსერვატორებმა განუზომელი როლი შეასრულეს კონცეფციის პრაქტიკაში დანერგვაში და მათი იდეები მომავალშიც აშშ-ის პოლიტიკის წარმმართველი იქნება.

## დასკვნა

ომის სხვადასხვა, ზემოაღნიშნული მიზეზი და მიზანი განიხილება და ვერც ერთი მათგანი, ცალკე აღებული, ვერ იქნება მიჩნეული, როგორც ერთადერთი ნამდვილი და ჭეშმარიტი. ალბათ, ნამდვილი მიზეზი აღნიშნული მიზეზების კომბინაციაა. რაც შეიძლება ითქვას დანამდვილებით ერთია – აშშ-სთვის ეს ომი იყო სწორი, კანონზომიერი და სამართლიანი, დანარჩენი კი ადამიანთა შეფასებებზეა დამოკიდებული. და მაინც, თუ ერთადერთი მიზეზი უნდა დასახელდეს, ეს ალბათ შესავალში აღნიშნული ისტორიული მისიაა: ამერიკელთა მიერ აშშ-სთვის

დაკისრებული ისტორიული მისიის - „ამერიკული ღირებულებების" გავრცელება – განხორციელების გარდაუვალობა.

ამჟამად იოლად შეგვიძლია დავასკვნათ, როგორც პრეზიდენტმა ბუშმა აღნიშნა, რომ გაეროს უძლურებამ ერაყთან დაპირისპირების საკითხში, შეიძლება მსოფლიო სხეული წარმოაჩინოს ისტორიაში, როგორც არაეფექტური, ირაციონალური მოკამათე საზოგადოება. რეალობაში უშიშროების საბჭოს ბედი დიდი ხნის წინ განისაზღვრა. პრობლემა არ მდგომარეობს სპარსეთის ყურის მეორე ომში, არამედ მსოფლიო ძალებში მომხდარ ადრინდელ ცვლილებაში, თანაც ისეთი კონფიგურაციით, როგორიც უბრალოდ არ შეესაბამებოდა იმ გზას, რომელითაც გაეროს უნდა ეარსება. ეს ცვლილება იყო ამერიკის ერთპოლუსიანობის ზრდა და არა ერაყის კრიზისის გამწვავება.

აშშ-ის დილემა ომის დაწყების წინ პიდაპირ გამომდინარეობდა მისი ახლო აღმოსავლეთში წესრიგის დაცვის გარანტორის როლიდან. ეს წესრიგი ემსახურება ამერიკის, რეგიონალური მთავრობებისა და ელიტის, ისევე როგორც საერთაშორისო თანამეგობრობის რიგ მნიშვნელოვან ინტერესებს. ამერიკული სამხედრო და ეკონომიკური უპირატესობა არის ფაქტი, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობებში წამყვანი იქნება XXI, „ამერიკულ" საუკუნეში.

### შენიშვნები

1. ამას წინ უძღოდა 1990 წლის ივლისში ერაყის მიერ ქუვეითისათვის პრეტენზიების წაყენება, რაც უკავშირდებოდა მათ საზღვარზე არსებულ ნავთობსაბადოებს, ვალის ჩამოწერას და სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე კუნძულების ერაყისთვის გადაცემას. ქუვეითმა უარყო ყველა მოთხოვნა, რის შედეგადაც ის ანექსირებული და შემდეგ ერაყთან შეერთებული აღმოჩნდა.

2. მიუხედავად იმისა, რომ ანტიერაყული კოალიციის შემადგენლობაში 30 ქვეყანა შედიოდა, ლომის წილი აშშ-ის სამხედრო ნაწილების იყო.

3. აღნიშნული ღონისძიების მიზანს წარმოადგენდა ჩრდილოეთ ერაყში მცხოვრები ქურთების დაცვა. 1994 წელს ქუვეითის ახალი დაპყრობის საშიშროების გამო ამერიკამ გაზარდა სამხედრო კონტიგენტი საუდის არაბეთში და დააწესა მეორე „არასაფრენი ზონა" ერაყის სამხრეთშიც.

4. 1991 წლის შემდგომ აშშ მუდმივად ეხმარებოდა ზოგიერთს არსებული 70 ოპოზიციური დაჯგუფებიდან. 1998 წელს კონგრესმა მიიღო „ერაყის გათავისუფლების აქტი", რომლის მიხედვითაც ოპოზიციას 97 მლნ აშშ დოლარი გამოეყო. 2002 წლის დეკემბერში აშშ-ის მხარდაჭერით და ოპოზიციურ დაჯგუფებათა გაერთიანების მიზნით ლონდონში გაიმართა კონფერენცია, რომელიც შეთანხმდა დემოკრატიული და ფედერალური ერაყის აუცილებლობაზე.

5. იმავე წლის დეკემბერში აშშ-მა და ბრიტანეთმა განახორციელეს ოთხდღიანი საჰაერო შეტევები ერაყის სამხედრო მართვისა და კონტროლის პუნქტებზე.

6. ერაყმა ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის არსენალი მრავალი ქვეყნის ხელშეწყობით შექმნა, რომელთა შორის იყო გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთივე მუდმივი წევრი. თუმცა, საინსპექციო პროგრამებისა და სამხედრო კამპანიის შედეგად ხსენებული იარაღის რაოდენობა გაცილებით შემცირდა ადრეულ მაჩვენებლებთან შედარებით.

7. არსებობდა მოსაზრება, რომ ერაყმა შესაძლოა გადასცეს მასობრივი განადგურების იარაღი „ალ კაიდას" მაგვარ ტერორისტულ ორგანიზაციებს. თუმცა,

სადაზვერვო სამსახურები ეჭვქვეშ აყენებენ ჰუსეინსა და „ალ კაიდას" შორის კავშირს. ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ანგარიშში, რომელიც სენატის მოთხოვნით საჯარო გახდა, ნათქვამი იყო, რომ ჰუსეინის მიერ ამგვარი იარაღის გამოყენების ან ტერორისტული ორგანიზაციებისთვის გადაცემის ალბათობა მცირეა. თუმცა, იქვე ნათქვამია, რომ ამგვარი ალბათობა გაიზრდება ერაყის წინააღმდეგ განხორციელებული ომის შემთხვევაში. არსებობს სხვა, მეტად სავარაუდო წყაროები, საიდანაც ტერორისტულ ორგანიზაციებს შეუძლიათ მასობრივი განადგურების იარაღის შეძენა.

8. ბრიტანეთის პარლამენტის წინაშე გამოსვლისას პრემიერ-მინისტრმა ბლერმა განაცხადა: „მთავარი მიზეზი ნავთობი რომ იყოს, ყველაზე მარტივი გამოსავალი სადამთან ურთიერთხელსაყრელი შეთანხმების მიღწევა იქნებოდა" („ლონდონ თაიმსი", 15 იანვარი, 2003).

9. ეკონომიკური ლიდერობა კავშირშია სამხედრო ლიდერობასთან, რაც აშშ-ის დეკლარირებული მიზანია. აშშ-ის ახალი, 2002 წლის სექტემბრის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია ამბობს, რომ აშშ-ის შეიარაღებული ძალები ისეთი ძლიერი უნდა იყოს, რომ ვერც ერთმა მეტოქე ქვეყანამ ვერ შეძლოს მასთან გათანაბრება ან გასწრება.

10. 1980 წლის 23 იანვრის კარტერის დოქტრინა ამბობს, რომ შეუზღუდავი კონტროლი სპარსეთის ყურეში წარმოადგენს აშშ-ის სასიცოცხლო ინტერესს და ამ ინტერესის დასაცავად აშშ გამოიყენებს ნებისმიერ აუცილებელ, მათ შორის, სამხედრო ზომას. ეს დოქტრინა დაედო საფუძვლად პირველ ომს ერაყთან, როცა ქუვეითის ანექსიამ საფრთხე შეუქმნა აშშ-ის გავლენას სპარსეთის ყურეზე (მსოფლიო ნავთობის 20% ერაყის კონტროლქვეშ აღმოჩნდა) და შექმნა საუდის არაბეთის ნავთობის ერაყის მიერ ხელში ჩაგდების საშიშროება.

11. 1980-იან წლებში ე.წ. ანფალის კამპანიის მსვლელობისას ერაყმა გამოიყენა ქიმიური იარაღი ქურთი მოსახლეობის წინააღმდეგ. ეს იარაღი ასევე იქნა გამოყენებული ირან-ერაყის ომის დროს.

12. ამ ვერსიით ერაყში აშშ-ის მიერ დაარსებული ბაზები რეგიონში დემოკრატიზაციის გარანტად მიიჩნეოდა. სახელდებოდა ის ქვეყნებიც, საიდანაც უნდა დაწყებულიყო დემოკრატიზაციის პროცესი – სირია და ირანი. მათ კი მთელი არაბული და ისლამური სამყარო მოჰყვებოდა, რისი შედეგიც ტერორიზმის საფრთხის შემცირება იქნებოდა.

13. მოულოდნელად ვოლფოვიცის დოკუმენტი „გაჟღერა" „ნიუ იორკ თაიმს"-ში. დოკუმენტი თავისი ხასიათით იმდენად რადიკალური იყო, რომ ვოლფოვიცი იძულებული აღმოჩნდა მასში კორექტივები შეეტანა, მაგრამ, საბოლოოდ მაინც ამ დოკუმენტის კონცეფცია დაედო საფუძვლად აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების ახალ, 2002 წლის სტრატეგიას.

14. 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის კანდიდატმა ბუშმა წარმოადგინა ანგარიში „ამერიკის თავდაცვის აღმშენებლობა", რომელიც „ახალი ამერიკული საუკუნის" პროექტმა მოამზადა და შემდგომში ბუშის ადმინისტრაციისათვის სახელმძღვანელო გახდა. დოკუმენტის მთავარი იდეა – აშშ-ის ლიდერობის უზრუნველყოფა მსოფლიო მასშტაბით – ბევრმა შეაფასა, როგორც Pax Americana.

15. პრეზიდენტ ბუშის ყოველწლიური მიმართვა ამერიკელი ხალხისადმი – 29 იანვარი, 2002.

**კნუდ კრაკაუ**
*ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის ჯონ ფ. კენედის სახელობის ჩრდილოეთ ამერიკის შესწავლის ინსტიტუტის პროფესორი (გერმანია)*

# ძალის გამოყენების გამართლების სტრატეგია ამერიკის საგარეო პოლიტიკაში

საერთაშორისო საქმეებში ძალის (ანუ ამერიკის საგარეო ურთიერთობებში ამერიკის ძალის) გამოყენების გამართლებულობის თაობაზე ამერიკულ აზროვნებაში დაახლოებით ბოლო 20 წლის განმავლობაში შეიმჩნევა ზოგადი ტენდენცია, რომლის მიხედვითაც, ძალის კანონიერი გამოყენების ცნება ფართოვდება. ამ მიზნის მისაღწევად ამერიკამ ორი ფართო მიდგომა შეიმუშავა.

პირველი მდგომარეობს გაერო-ს ქარტიის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტით ძალის გამოყენების აკრძალვიდან დაშვებული გამონაკლისების ფართო ინტერპრეტაციაში (ჯერ კიდევ?) არსებული თანამედროვე საერთაშორისო სამართლის სისტემის ფარგლებში. ეს ძირითადი და სავალდებულო ნორმა როგორც საერთაშორისო ius cogens (ამერიკული საკონსტიტუციო აზროვნების მიხედვით „უმაღლესი ან ძირითადი კანონი" და მისი უდავო გავრცელება საზღვარგარეთის ქვეყნებზე) მეტწილად ათწლეულების განმავლობაში *ამერიკის მიერ* გაწეული ძალისხმევის შედეგია.

მეორე მიდგომა სრულიად აუქმებს ამ სისტემას და უბრუნდება bellum iustum-ის („სამართლიანი ომი") გაცილებით უფრო ძველ იდეას, როგორც ძალის გამოყენების გამართლების საშუალებას. სამართლის ზოგიერთი ნორმატიული ცნების - კომპენსაცია უსამართლოდ დაზაგრულისათვის, სამართლიანობა, დამნაშავეების დასჯა, დემოკრატია, ადამიანის უფლებები - ცხოვრებაში გატარება ან რეალიზაცია იმდენად მნიშვნელოვნად მიიჩნევა, რომ შესაძლებელი ან აუცილებელიც კია ძალის გამოყენებაზე ზოგადი აკრძალვის უგულებელყოფა.

აქ მოკლედ შევჩერდები პირველ მიდგომაზე და უფრო დაწვრილებით განვიხილავ მეორეს.

I. „მომავალი თაობების ომის უბედურებისაგან გადარჩენის" მიზნით, როგორც ეს პათეტიკურადაა განმარტებული ქარტიის პრეამბულაში, **გაერთიანებული ერების სისტემა**[1] ორი გამონაკლისი შემთხვევის გარდა ზოგადად და მთლიანად კრძალავს სახელმწიფოების მიერ ძალის გამოყენებას:

1. პირველი გულისხმობს ინდივიდუალურ ან კოლექტიურ თავდაცვას „შეიარაღებული თავდასხმისაგან" (მუხლი 51) „სანამ უშიშროების საბჭო თავის ხელში აიღებდეს სიტუაციას"[2]. ამერიკის „წმინდა წერილი" იმის თაობაზე, თუ როდის ხდება დაცვითი ქმედებები აუცილებელი ან დასაშვები, იყო სახელმწიფო მდივნის უებსტერის XIX საუკუნის ფორმულა: როცა საფრთხე „მყისიერი, უზარმაზარია და არ ტოვებს მისაღები ზომების არჩევის საშუალებასა და განსჯის დროს"[3]. ამჟამად არსებული სამხედრო ტექნოლოგიების გათვალისწინებით, შეიძლება სადავო იყოს პოტენციური მსხვერპლი ნამდვილად უნდა დაელოდოს თუ არა იმას, რომ ვიღაც სხვა თავის ბირთვულ რეაქტორში აწარმოებს გამოსაყენებლად მზა პლუტონიუმს (ისრაელის რეიდი ბაღდადის რეაქტორზე) ან სანამ შესაძლებელი გახდება კუბაზე განლაგებული ბირთვული რაკეტების გამოყენება. წესი, რომლის თანახმადაც თავდაცვის საშუალება საფრთხის სიდიდის პროპორციული უნდა

იყოს, შეიძლება განხილულ იქნეს როგორც გარკვეული კორექტივი. პრეტენზია იმ ცალმხრივი უპირატესი წინასწარი დაცვითი ქმედების განხორციელებაზე, რომლის თაობაზეც გადაწყვეტილება ცალმხრივად მიიღება და ცალმხრივადაც ხორციელდება, როგორც ეს 2002 წლის 20 სექტემბრიდან ამერიკის უსაფრთხოების ოფიციალური დოქტრინის შემთხვევაში მოხდა, უეჭველად სპობს კოლექტიური უსაფრთხოების სისტემასთან ყოველგვარ მსგავსებასაც კი.

2. მეორე გამონაკლისია კოლექტიური ქმედებები გაერო-ს ქარტიის მე-7 თავის შესაბამისად[4]. ის იძლევა „აგრესიის აქტების წინააღმდეგ" მოქმედების უფლებას. ძირითადი საკითხი აქ, რა თქმა უნდა, შემდეგია: ქმედებაზე შეთანხმება კოლექტიურად უნდა იქნეს მიღწეული, საზოგადოების ზედამხედველობით და კონტროლით, თუმცა შეიძლება კოლექტიურად არც კი ხორციელდებოდეს. ამჟამად ამერიკა ცდილობს ამ ფორმულის გამოყენებას იმისათვის, რომ ქმედებებს კანონიერი სახე მისცეს იმ შემთხვევებში, როცა ის არ არსებობს, ანუ ძალა ცალმხრივად გამოიყენება საკუთარი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე. აქ შემუშავებულია სამი არგუმენტი.

ა) ამერიკა ცდილობს კოლექტიური საერთაშორისო ლეგიტიმურობის მანტია მოისხას იმ შემთხვევებშიც კი, როცა ის ცალმხრივად არ მოქმედებს, იმ არგუმენტის საფუძველზე, რომ რეგიონული (ანუ ამერიკის კონტინენტისათვის დამახასიათებელი) ან გლობალური ინტეგრაცია საკმაოდაა წინ წაწეული, რათა სახელმწიფოების ერთობამ ერთობლივად იმოქმედოს, ყოველ შემთხვევაში პრინციპების დონეზე მაინც, თუმცა,სამწუხაროდ,ის დროებით ვერ მოქმედებს შესაბამისად და ამიტომ აშშ-ს უხდება ჩარევა და მოქმედება ჩანაცვლებითი პასუხისმგებლობის საფუძველზე, თითქოს ის იყოს (რეგიონული, მსოფლიო) თანამეგობრობის „ნდობით აღჭურვილი პირი". სწორედ აქ ხდება გამონაკლისების გამოყენებაზე დაფუძნებული მისიონერული იდეოლოგიის მთელი კორპუსისა და ხანგრძლივი ისტორიის ამოქმედება. ამის თაობაზე ბევრი დამიწერია, მაგრამ აქ დეტალურ განხილვას ვერ შევუდგები[5].

ბ) „აგრესიისაგან" თავდაცვა ბუნდოვანს ხდის მის განსხვავებას უფრო ვიწრო მნიშვნელობის მქონე „შეიარაღებული თავდასხმისაგან", რაც ორივე შემთხვევაში ძალის თვითნებურად გამოყენებისათვის ტოვებს ადგილს. და მაინც, მაშინ, როცა კონცეპტუალურად უფრო ვიწრო „შეიარაღებული თავდასხმა" გარკვეულწილადაა ბუნდოვანი მისი უკიდურესი მნიშვნელობებით, ტერმინი „აგრესია" უბრალოდ არ ექვემდებარება განსაზღვრებას გაეროს გამუდმებული მცდელობებისა და ამ მიზნით ჩატარებული ხანგრძლივი ანალიზის მიუხედავად. ის ძირითადად იდეოლოგიური ცნებაა. ჯერ კიდევ 1931 წელს ამერიკის საერთაშორისო სამართლის საზოგადოების ერთ-ერთი წევრი ამტკიცებდა, რომ „აშშ-ის მთავრობის მიერ გამოტანილი ნებისმიერი დასკვნა (იმის თაობაზე, თუ ვინ არის აგრესორი) იმას ნიშნავს, რომ აქ ჩვენს საკუთარ სტანდარტებს გამოვიყენებთ"[6].

გ) ამერიკის მზარდმა და დროთა განმავლობაში გლობალურად ქცეულმა ინტერესებმა გავლენა იქონია განვითარების პროცესში მყოფ ნორმაზე, რომელიც საერთაშორისო ძალის გამოყენებას კრძალავს. ამ ნორმით, ისევე როგორც იმ დებატების შედეგად, რომლებიც ჯერ კიდევ 1945 წლამდე მიმდინარეობდა და პოლიტიკურად სრულიად უწყინარ 1928 წლის კელოგის პაქტს ემყარებოდა, აშშ-ს, სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, მიენიჭა „ძალისაგან თავისუფალი" მსოფლიოს „უფლება". ეს „უფლება" ირღვევა მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში

განხორციელებული აგრესიის შემთხვევაში, მაშინაც კი, როცა ამერიკის ტერიტორიას, უშუალოდ მის მატერიალურ და ადამიანურ რესურსებს, პირდაპირ არაფერი ემუქრება. ვინაიდან, ქვინსი რაიტის სიტყვებით რომ ვთქვათ, „აგრესორები დანაშაულს უფრო ერთა თანამეგობრობის, ვიდრე რომელიმე კონკრეტული სახელმწიფოს წინაშე სჩადიან[7]. ამ მოვლენას მე ამერიკის ინტერესების საყოველთაობას ვუწოდებდი[8]. სენატორი ოსტინი ამტკიცებდა, რომ: „– დედამიწის ნებისმიერ ადგილას საერთაშორისო უშიშროებისა და მშვიდობისათვის შექმნილი საფრთხე წარმოადგენს პირდაპირ საფრთხეს ამერიკის შეერთებული შტატებისათვის“[9] (სხვათა შორის, ეს მონროს გლობალიზებული სიტყვაა). აქედან გამომდინარე, ამერიკას აქვს „უფლება“ ყველგან გასცეს პასუხი ასეთ ქმედებებს, ხოლო, თუ საჭირო იქნება, ეს პასუხი ძალისმიერი იქნება.

ჩვენ მიერ ნახსენები მეორე მიდგომა მთლიანად სცდება ძალის გამოყენების ამჟამად არსებული საერთაშორისო რეჟიმის ფარგლებს და უბრუნდება bellum iustum-ის უფრო ძველ კონცეფციას. რას გულისხმობს ეს კონცეფცია? ეს თეორია, რომელიც ანტიკური ხანიდან XVIII საუკუნემდე ვითარდებოდა და ეკლესიის მამების, ადრეული თანამედროვეობის სამართლის თეორეტიკოსების (Hugo Grotius) თეოლოგიის გზაც გამოიარა, ომს კანონიერად (ხოლო მის შედეგებს კანონიერი გზით მიღწეულად) მიიჩნევდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ომი სწორად (სათანადოდ იყო გამოცხადებული მმართველის/სახელმწიფოს ბრძანების შესაბამისად) და, რაც, რა თქმა უნდა, უფრო მნიშვნელოვანია, iusta causa (სამართლიანი მიზნით) იწარმოებოდა იმისათვის, რომ აღკვეთილი (და გამოსწორებული) ყოფილიყო უსამართლობა (რაც მთლიანად არსებულ სამართალზე დაყრდნობით განისაზღვრებოდა), მომხდარიყო უკანონოდ მიყენებული ზარალის ანაზღაურება და დასჯილიყო დამნაშავე. საბოლოო მიზანი იყო სამართლიანი და, აქედან გამომდინარე, მშვიდობიანი მსოფლიო, სამართლიანობაზე დაფუძნებული ან მისგან მომდინარე მშვიდობა.[10]

ცხადია, (კანონით) თანაბარი მმართველების/სახელმწიფოების მწყობრი სისტემის არსებობის შემთხვევაში, სადაც არ არის საყოველთაოდ აღიარებული, ცენტრალიზებული ხელისუფლება, ინსტიტუტები და პროცედურები, ეს კონცეფცია ვერ იმუშავებდა. ყოველი მხარე ამტკიცებდა, რომ „სამართლიანი მიზეზი“ ომის საწარმოებლად სწორედ მას ჰქონდა. ამას შედეგად მოჰყვა ის, რასაც ზოგადად ius ad bellum-ს ანუ „ომის უფლებას“ უწოდებდნენ, რაც სინამდვილეში ტერმინის არასწორად გამოყენება იყო იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა არავის შეეძლო. ეს ახალი თავისუფლება სულ მალე კიდევ ერთ საშინელებად გადაიქცა. საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ მომხდარმა ომებმა, რომლებშიც იმ დროს ხელმისაწვდომი ყველა სახის ტექნოლოგიები გამოიყენებოდა, წარმოშვა ომის წარმოების ახალი იდეოლოგიური მიზნები, რომლებიც არა ტრადიციულად ტერიტორიების ჩამოჭრისაკენ, არამედ საზოგადოებრივი სტრუქტურების, მენტალიტეტის, კონკრეტული მოსახლეობის მხრივ ამა თუ იმ ძალისადმი დამოკიდებულების შეცვლისაკენ იყო მიმართული. შესაბამისად, ეს ომები სულ უფრო დამანგრეველი და პოტენციურად „ტოტალური“ ხდებოდა. ამ გაგებით პირველი „თანამედროვე“ ომი ამერიკის სამოქალაქო ომი იყო. ამაზე რეაგირების სახით გაჩნდა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულება: ა) დაწყებული ფრანსის ლიბერის ომის წარმოების სახელმძღვანელოში (1863) ომის კანონების (ius in bello) შემუშავებით და ჟენევის კონვენციების ჰუმანიტარული სამართლით დამთავრებული[11], და ბ) მოძრაობა, რომელსაც თავგამოდებით უჭერდა მხარს და ხელმძღვანელობდა კიდეც

აშშ და რომლის მიზანი იყო ომების საერთოდ თავიდან აცილება ან, უკიდურეს შემთხვევაში, მათი ან, უფრო ზოგადად და tout court (მოკლედ რომ ვქთვათ) ძალის გამოყენების კანონგარეშე გამოცხადება. მისი კულმინაცია იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემა.

1945 წლამდე ამერიკელი ტრადიციონალისტები, რომლებსაც ძალის გამოყენების ზოგადი აკრძალვისა და გადაწყვეტილების ცენტრალიზებულად, საერთაშორისო დონეზე მიღების ეშინოდათ, იცავდნენ ძალის თავისუფლად გამოყენების ძველ სისტემას, რადგან გრძნობდნენ, რომ ეს უფრო ეფექტურად მოემსახურებოდა ამერიკის უფლებებისა და ინტერესების დაცვის საქმეს. ამჟამად, ზუსტად ასევე, 1945 წლის შემდგომი „ახალი ტრადიციონალისტები" ცდილობენ, მისი ნაკლოვანებების მიუხედავად, დაიცვან გაეროს მშვიდობის სისტემა გახშირებული მცდელობებისაგან შესწირონ ეს სისტემა ძალის გამოყენების ძველად არსებული თავისუფლების აღდგენას ნებისმიერი რაოდენობის ძველი თუ ახალი, კარგი თუ „სამართლიანი მიზნების" მისაღწევად.

გაეროს რეჟიმის დარღვევის აუცილებლობა ნათლად გამოჩნდა კოსოვოს ომში. სამართლის სპეციალისტების უმრავლესობა ეთანხმება მოსაზრებას, რომ ის ტექნიკურად „უკანონო" იყო[12]. უკეთეს შემთხვევაში, ჩვენ ახლა ვხდებით იმის მოწმე, თუ როგორ ჩნდება „ჰუმანიტარული ჩარევის" ახალი ნორმა. მაგრამ, თუ, უკეთეს შემთხვევაში, ამგვარი ნორმა ახლაა status nascendi-ში (გაჩენის მდგომარეობაში), შეუძლია თუ არა საერთაშორისო თანამეგობრობას უდრტვინველად მიიღოს ადამიანის უფლებების სერიოზული დარღვევები და, შესაძლოა, მიმდინარე გენოციდიც კი? და მაინც, თუ პასუხად ერთსულოვანი, მაგრამ უხალისო „დიახ" გაისმა, ერთსულოვნება იყო იმ საკითხზეც, რომ არც ერთ ცალკე აღებულ სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფს, რაგინდ ძლიერიც უნდა იყოს ის (აშშ, ნატო), არ უნდა მიეცეს ამგვარი გადაწყვეტილების მიღების უფლება თანამეგობრობის ნებართვის ან ზედამხედველობის გარეშე, რომ კოსოვოს შემთხვევა არ უნდა იქცეს არც „კანონად" და არც ნაჩქარევ პრეცედენტად მომავალი ჩარევისათვის[13]. მიუხედავად ამისა, აშკარაა, რომ აშშ-ში არსებული სამართლიანი ომის ძლიერი იმპულსი, უყურადღებოდ ტოვებს ამ ფრთხილ შენიშვნებს და ჩარევისაკენ, თუნდაც ძალის გამოყენებით ჩარევისაკენ იხრება იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ძალის გამოყენების თავიდან აცილებაზე უფრო მნიშვნელოვნად მიჩნეული ღირებულებები.[14]

გაეროს სისტემის დამფუძნებლებს იმედი ჰქონდათ, რომ ამ წინააღმდეგობას თავს დააღწევდნენ ძალის გამოყენების გამორიცხვისა და მშვიდობიანი გარდაქმნებისათვის ხელშეწყობის გზით, ხოლო ერთა შორის ამ მშვიდობიანი ურთიერთობების დროს გაუმჯობესდებოდა სოციალური პირობები. მაგრამ ამერიკა ახლა საწყის წერტილს დაუბრუნდა. ის ამჟამად ცდილობს დააკანონოს ძალის გამოყენება იმ კეთილი მიზნების განსახორციელებლად, რომლებსაც ეს, თითქოს, ემსახურება: დემოკრატიის დამყარება ან აღდგენა, ადამიანის უფლებების დაცვა, მსოფლიო წესრიგის ძირითადი პრინციპების დარღვევათა დასჯა და ამგვარი დარღვევების სამომავლოდ აღკვეთაც კი.

იმის საილუსტრაციოდ, თუ რა დევს სასწორზე, მოვიყვანთ პატივცემული ისტორიკოსისა და საერთაშორისო სამართლის სპეციალისტის კუინსი რაიტის შენიშვნას (1942 წლის საომარი სიტუაციის გათვალისწინებით): „... როცა ომი იდეისათვის იწარმოება, განსაკუთრებით თუ ეს იდეა ფართო და ცივილიზაციისათვის ფუნდამენტურადაა მიჩნეული... თუ ვინმე დემოკრატიისათვის იბრძვის, შეიძლება

საჭირო აღმოჩნდეს კვლავ სახელმწიფოსა და ადამიანების უმრავლესობის მოსპობა, რათა დარჩეს თავისუფალი ადგილი, სადაც შეიძლება დემოკრატია განვითარდეს."[15] გარკვეულწილად, ეს არის კანტის იმ მოსაზრების უკიდურესი გამოხატულება, რომ დემოკრატიული სტრუქტურები მშვიდობიანი მენტალიტეტისა და სტრატეგიების გამომუშავების შესაძლებლობას იძლევიან. 1945 წლიდან დასავლეთში ბევრი ფიქრობს, რომ დემოკრატია და ადამიანის უფლებები ერთგვარად სიმბიოზურ ურთიერთობებშია ან განუყოფელიც კია. აშკარაა, რომ ისინი თანამედროვე iustae causae, სამართლიანი მიზეზები, სამართლიანი მშვიდობის წინაპირობებია, მაგრამ ამასთან, ისინი ამართლებს ძალის გამოყენებას, რაც, თითქოს, აუცილებელია მის დასამკვიდრებლად.[16] თანამედროვე bellum iustum არგუმენტის საილუსტრაციოდ მოჰყავთ სამხედრო ინტერვენციები გრენადაში 1983 წელს და პანამაში 1989 წელს, რომლებიც 11 სექტემბრამდე განხორციელდა.[17] ოფიციალურ მიზეზებად აქამდე პოპულარულ თავდაცვის არგუმენტებთან ერთად პრეზიდენტები და სხვა ოფიციალური პირები ადამიანის უფლებების დაცვასა და დემოკრატიის აღდგენასაც ასახელებდნენ. „ამერიკის საერთაშორისო სამართლის ჟურნალი" სრულიად სერიოზულად განიხილავდა „პროდემოკრატიული ინტერვენციის კანონიერებას."[18]

ამჟამად „ომის სამართლიანი მიზეზების" თეორიული და კონცეპტუალური ჩარჩოები ქარტიის პოსტ-მოდერნისტული ინტერპრეტაციაა, რომელიც ჩიკაგოელმა სოციოლოგმა ჰაროლდ დ. ლესუელმა და იელის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის სპეციალისტმა მაირს ს. მაკდუგალმა თვით პოსტ-მოდერნიზმის იდეის გაჩენამდე ბევრად ადრე, XX საუკუნის 40-იან-60-იან წლებში შეიმუშავეს. მათ მიერ შემუშავებული უაღრესად კონტექსტუალიზებული მიდგომისა და წინააღმდეგობების ანალიზის საფუძველზე შეიქმნა საკანონმდებლო ნორმები, როგორც სახელმწიფოების მიერ წამოყენებულ ფართო ინკლუზიურ და, მეორე მხრივ, ვიწრო ექსკლუზიურ (პარტიკულარისტულ) მოთხოვნებს შორის კონკურენციის შედეგი. როგორც მაკდუგალი და მისი გაელენიანი ნიუ ჰეივენის სამართლის სკოლა ამტკიცებდნენ, საკანონმდებლო ნორმის ღირებულებას საბოლოოდ მხოლოდ ის მოთხოვნები შეიძენდა, რომლებიც, საერთაშორისო პროცესის კონტექსტის, მიზნებისა და მონაწილეების მოლოდინის გათვალისწინებით, დაამკვიდრებდა იმ ღირებულებების მაქსიმუმს, რომლებსაც მაკდუგალი და კომპანია *ადამიანის ღირსებას* უწოდებდნენ, უფრო კონკრეტულად კი ესაა დემოკრატია, თავისუფლება და ადამიანის უფლებები. *ადამიანის ღირსებაზე დაფუძნებულ მსოფლიო საზოგადოებრივი წესრიგის მინიმუმს*, ალბათ, ძირითადად უნდა უზრუნველეყო ამგვარი ღირებულებების დამკვიდრება. მაგალითად, ზღვების თავისუფლების ინკლუზიური პრინციპი უფრო ღირებულია, ვიდრე ექსკლუზიური პრეტენზია სანაპირო ზოლის პარტიკულარისტულ გამოყენებაზე. მეორე მხრივ, ამერიკის მიერ წყალბადის ბომბის გამოცდისათვის ზღვის თავისუფლებაზე დაწესებული შეზღუდვები უფრო დიდი ღირებულების მქონე „ინკლუზიური" გამოყენების „ნათელი" მაგალითია, რადგან მისი მიზანია შეინარჩუნოს ან გააფართოოს *ადამიანის ღირსების* სიცოცხლისუნარიანობის სფერო. როგორც წესი, ამერიკის პრეტენზიები ინკლუზიური ინტერესები იყო და, ამდენად, საკანონმდებლო ნორმებში ან კანონმდებლობით სანქციონირებულ პრეტენზიებში გამოიხატებოდა. იელში მაკდუგალის ყოფილი თანაშემწე და მიმდევარი უ. მაიკლ რაისმანი ამჟამად bellum iustum-ის ტიპის აზროვნების ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მომხრეა საერთაშორისო სამართლის ამერიკელ სპეციალისტებს შორის.[19]

„ტექსტუალიზმი“ ან ქარტიის ტექსტის „მექანიკური გამოყენება“ დაგმობილია როგორც „თეორიული, აბსტრაქტული და ფორმალისტური სამეცნიერო საქმიანობა“. ძირითადი ყურადღება ეთმობა ინტერპრეტაციას, ანუ ანალიზს, კონტექსტუალიზაციას, დაბოლოს მნიშვნელობის რეკონსტრუქციას, რომლის მიზანია „სასწორზე შეგდებული რეალური ღირებულებების“ დადგენა,[20] ანუ *ადამიანის ღირსების სფეროს* გაფართოება კონტექსტის, შეცვლილი მოლოდინისა და შედეგების განხილვის პროცესში. ინტერპრეტაციის შედეგად პასუხი უნდა გაეცეს შეკითხვას: „შეაქეს თუ არა“ გადაწყვეტილებებს ძალის გამოყენების შესახებ „თავიანთი წვლილი ქარტიის ძირითადი მიზნების მიღწევის საქმეში“? მათ უნდა დააკმაყოფილონ „საზოგადოებრივი წესრიგის“ მოთხოვნილება და მხარი დაუჭირონ „ზოგადად (ქარტიის) ფუნდამენტურ პოლიტიკას“.[21]

ამ თვალსაზრისით, მე-2(4) მუხლით გათვალისწინებული ძალის გამოყენების აკრძალვა არ შეიძლება ცალკე იქნეს განხილული. მთავარი აქ ისაა, ძალა „საზოგადოების ... მიზნებისა და მინიმალური წესრიგის სასარგებლოდ თუ საწინააღმდეგოდ“ იქნა გამოყენებული. ამ წესრიგის ნაწილია დემოკრატიული ლეგიტიმურობის პრინციპი, რაც ნიშნავს, რომ „უნდა გაიზარდოს ხალხების არსებული უფლება განსაზღვრონ თავიანთი პოლიტიკური ბედი“. ამ პროცესის უზრუნველყოფა საერთაშორისო სამართლის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა. ყოველი გადაწყვეტილება ძალის გამოყენების სასარგებლოდ თუ საწინააღმდეგოდ უნდა ზრდიდეს „ამჟამად არსებული თვითგამორკვევის დონის მიღწევის შესაძლებლობას“. ძალის ნებისმიერი გამოყენება, თუ მას ამ შედეგამდე მივყავართ ან თუ, შესაძლოა, უბრალოდ ეს მიზანი აქვს, არ ეწინააღმდეგება ქარტიას. სამხედრო ინტერვენცია სამწუხარო ფაქტია, მაგრამ „საერთო შედეგების თვალსაზრისით, ზოგიერთმა (მათგანმა) შეიძლება მიგვიყვანოს იქამდე, რომ გაიზარდოს შესაძლებლობა, ხალხებმა თავისუფალი არჩევანი გააკეთონ მათი მთავრობებისა და პოლიტიკური სტრუქტურების თაობაზე“.[22] სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამხედრო ინტერვენცია, თუ ის „კეთილი მიზნებისათვისაა“ განხორციელებული, ანუ თვითგამორკვევისა და დემოკრატიზაციის მხარდასაჭერად, გამართლებული იქნება.[23]

მაგრამ იმ შემთხვევებში, როცა ტექსტი ამ მიზნების მიღწევას ხელს უწყობს, მას ისინიც კი სიამოვნებით ეთანხმებიან, ვინც სხვა შემთხვევაში უპატივცემულოდ ეპყრობა. მე-2(4) მუხლი კრძალავს ძალის გამოყენებას სახელმწიფოების დამოუკიდებლობისა და მთლიანობის წინააღმდეგ ან „სხვა რაიმე სახით, თუ ეს არ შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებს“, ანუ „ცუდი მიზნებია“, რაც გაერო-ში ამერიკის წარმომადგენლის ჯინ კირკპატრიკის თვალში „სრულად ამართლებს“ „კარგი მიზნებით“ ძალის გამოყენებას გრენადის შემთხვევაში, ანუ ძალის გამოყენებას „ქარტიით უზრუნველყოფილი სხვა ღირებულებების - თავისუფლების, დემოკრატიის, მშვიდობის - მისაღწევად“.[24] მაგრამ არც გაეროს, რომ არაფერი ვთქვათ ცალკე აღებულ რომელიმე სახელმწიფოზე, შეუძლია ამ მიზნით ძალის გამოყენება. სხვა რომ არაფერი იყოს, დემოკრატია ხომ, ისტორიული თვალსაზრისით, ქარტიის ღირებულება არ არის. გარდა ამისა, ქარტიის უპირველესი პრიორიტეტი ჯერაც ისაა, რომ ხელი შეუშალოს ძალადობას საერთაშორისო დონეზე.

მეორე მხრივ, ადამიანის უფლებები სწორედ რომ ქარტიის ღირებულებებია, რომლებიც შემდგომში დეტალურად დამუშავდა ბევრ საერთაშორისო საკანონმდებლო აქტში. მიუხედავად ამისა, ისინი კვლავაც რჩება სადავო საკითხებად მათი შინაარსის, განხორციელების ან მათ სხვადასხვა კატეგორიას შორის პრიორიტეტების შერჩევის

თვალსაზრისით. მომავალში განსახორციელებელი ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა უდავოდ არის სტანდარტებისა და პროცედურების დადგენა ჰუმანიტარული ჩარევის რაღაც ფორმის შესამუშავებლად, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ადამიანის ელემენტარული უფლებები, რომ არაფერი ვთქვათ გენოციდის თავიდან აცილებაზე. მაგრამ აქამდე ზოგადი შეთანხმება მათ თაობაზე მიღწეული არ ყოფილა. ამერიკელი კრიტიკოსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ძირითადი პრობლემა აქ ისაა, რომ „არ შეიძლება ადამიანის უფლებების მინდობა მმართველი ელიტების კაპრიზებზე, მათ შორის შეერთებულ შტატებშიც. ადამიანის უფლებებით გათვალისწინებული გარანტიები უნივერსალური უნდა იყოს და არ უნდა იყოს დამოკიდებული იმ სუვერენული პირების შეხედულებებზე, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებას (თავიანთი ქვეყნის) ძალის გამოყენების თაობაზე – ადამიანის უფლებების მათეული ინტერპრეტაციის ცხოვრებაში გასატარებლად".[25] საერთაშორისო სამართლის ცნობილი სპეციალისტი ენტონი დ'ამატო, რომელიც აშკარად მაკდუგალის სკოლის გავლენას განიცდის, ალბათ, გეთაყვა'ზობს, თუ ბოლომდე დამაჯერებელს არა, ყველაზე თანმიმდევრულ bellum iustum არგუმენტაციას მაინც ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის, როგორც „სამართლიანი მიზნების", თაობაზე, რაც კანონიერს ხდის ინტერვენციას. მისი აზრით, ადამიანის უფლებების თაობაზე გაერო-ს 1948 წლის რეზოლუციების შემდეგ საერთაშორისო სამართლის განვითარებას ყველაზე დიდი სტიმული გრენადასა და პანამაში ამერიკის ინტერვენციებმა მისცა. ეს ინტერვენციები „საეტაპოა" „ამჟამად მიმდინარე სახალხო სუვერენიტეტის გლობალური რევოლუციის" გზაზე. მისი არსი მდგომარეობს საერთაშორისო სამართლის ახალ, „არა სახელმწიფოზე ფოკუსირებულ" ცნებაზე, რომელიც გარდაქმნის „ძველ, ინტერვენციის საწინააღმდეგო ფორმულებს". იმ შემთხვევაში, როცა მთავრობა იმდენად გადაგვარდება, რომ „ტირანიად" იქცევა, სუვერენიტეტის ძველი სტატისტური ექსკლუზიური ცნება წყვეტს არსებობას და „სახალხო სუვერენიტეტთან" ინკლუზიურ საერთაშორისო სოლიდარობად გადაიქცევა. აღარ რჩება ადგილი „სტატიზმის რიტორიკისათვის (ხმამაღლა აცხადებს ის) მორალური თვალსაზრისით საზიზღარ ფასად, როცა მოქალაქეებს არ ეხმარებიან ტირანული მმართველობისაგან თავის დაღწევაში". ამგვარ სიტუაციებში „კანონი ადამიანის უფლებების შესახებ... მოითხოვს ჩარევას ტირანიის წინააღმდეგ". ეს „არა მხოლოდ გამართლებულია, არამედ მორალურად აუცილებელიც". მაგრამ ვინ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ინტერვენციის შესახებ და განახორციელოს იგი? ალბათ, სასურველი იქნებოდა მრავალი მხარის ერთობლივი მოქმედება. და მაინც: „მთავარი აქ ის (არის), ... რომ ნებისმიერ (sic!) სახელმწიფოს, რომელსაც გააჩნია შესაბამისი ნება და რესურსები, შეუძლია ჩაერიოს სხვა სახელმწიფოს მოსახლეობის ტირანიისაგან დაცვის მიზნით". არავისთვის გასაკვირი არ ყოფილა, რომ ხსენებულ შემთხვევებში ამერიკის შეერთებულ შტატებს ხვდა წილად „ცალმხრივად უზრუნველეყო გრენადისა და პანამის ხალხების ფუნდამენტური თავისუფლებები".[26]

ეს ექსცენტრული არგუმენტი განასახიერებს ამერიკის მეურვეობის მთელ ძველ ტიპოსს, აგრეთვე ამერიკის უაღრესად მისიონერული აზროვნების ძველ ტრადიციას, რაზეც საუბარი ზემოთ მქონდა: „... ჩვენ გაჩენიდანვე მესიანისტური ერი ვიყავით".[27] დ'ამატო გალანტურად იშორებს თავიდან ჩაურევლობის საერთო ამერიკულ პრინციპს, რომელიც უფრო ძველია, ვიდრე გაერო-ს სისტემა და, ალბათ, უფრო კარგად ჩამოყალიბებულიც. მაგრამ დ'ამატოს აზრით, ეს უბრალოდ „ლათინური ამერიკის ქვეყნების იმ მმართველი ელიტების ეგოისტური გამოხატულებაა, რომლებიც ქმნიან ჩაურევლობის კარტელს, რაც საშუალებას

აძლევს ყოველ მათგანს თავისუფლად იმეფოს თავის ქვეყანაში". ადამიანის უფლებებისადმი სერიოზული მიდგომის შემთხვევაში, აშშ-მა არ უნდა გაითვალისწინოს „იმ მმართველ ელიტებს შორის კონსპირაცია, რომლებიც არ წარმოადგენენ მათი მოსახლეობის მოსაზრებებს".[28] ამის თაობაზე, ალბათ, უკეთ უწყის ილინოისელმა პროფესორმა ან აშშ-ის მმართველმა ელიტებმა.

მოხდა აგრეთვე დასჯის, როგორც iusta causa-ს აღდგენა. როცა ფლორიდის სასამართლომ დასაჯა სახელმწიფოს de facto მეთაური ნორიეგა აშშ-ის ნარკოტიკების გავრცელების საწინააღმდეგო კანონების დარღვევისათვის, პრეზიდენტმა ბუშმა (მამამ) პანამაში ინტერვენცია, რომლის კოდური სახელწოდება იყო „ოპერაცია სამართლიანი მიზანი", გამოაცხადა. განცხადების ტექსტი ფორმალურად შემდეგი სიტყვებით მთავრდებოდა: „სამართლიანობა აღდგა".[29]

ამ ტიპის არგუმენტი,რა თქმა უნდა, აშშ-ში უკრიტიკოდ არ დარჩენილა. აქ მოვიყვან ერთ-ერთი ყველაზე მტკიცე ლიბერალის, ანუ „თანამედროვე ტრადიციონალისტის", ქარტიის სისტემის დამცველის ოსკარ შახტერის სიტყვებს: „მოსაზრებისათვის, რომ ისეთი სამართლიანი მიზნით წარმოებული ომი, როგორიცაა დემოკრატია და ადამიანის უფლებები, არ არის (2/4 მუხლის) დარღვევა, მასში გამოყენებული ტერმინების ორუელისეულ კონსტრუქციას მოითხოვს". შემდეგ ის აგრძელებს: ის „ძლიერ სახელმწიფოებს აძლევს თითქმის შეუზღუდავ უფლებას ჩამოაგდონ მთავრობები, რომლებიც, მათი აზრით, არ ემსახურებიან ხალხის ნებას ან თვითგამორკვევის მიზნის მიღწევის საქმეს".[30]

აქ შევჩერდები და არ გავაგრძელებ 11 სექტემბრის შემდგომი მოვლენების განხილვით. დასკვნები შეგიძლიათ თვითონ გააკეთოთ. მხოლოდ მოკლედ აღვნიშნავ, რომ ამერიკის მიერ ავღანეთსა და ერაყში ძალის გამოყენების კანონიერებაზე თითქმის ყველა პრეტენზიას მე-2(4) მუხლის გაუთვალისწინებლად თუ მასში ამის გამართლებისათვის საეჭვო საფუძვლის პოვნით bellum iustum-ის ქვეტექსტი მაინც აქვს (იხ. პრეზიდენტის ნებისმიერი განცხადება). Bellum iustum-ის არგუმენტაცია გაისმის აგრეთვე ინტელექტუალების საჯარო მსჯელობაში. თქვენს ყურადღებას მივაპყრობ რიჩარდ ა. ფოლკის (პრინსტონი) და სხვების მოსაზრებებს „ნეიშენის" 2001 წლის ოქტომბრისა და ნოემბრის გამოშვებებში და 58 ამერიკელი ინტელექტუალის 2002 წლის თებერვლის მანიფესტს „რისთვის ვიბრძვით?".

ამერიკა ანგრევს მის მიერვე შექმნილი ძალის გამოყენების გლობალური აკრძალვის გაერო-ს სისტემას და ცდილობს ამჟამინდელ სიტუაციას მოარგოს დიდი ხნის წინ დავიწყებული bellum iustum-ის სისტემა. Iustas causas (სამართლიანი მიზნის) სახით ის ამატებს დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებს და კიდევ ერთხელ ამახვილებს ყურადღებას მსოფლიო წესრიგის წინააღმდეგ ჩადენილი სერიოზული დანაშაულისათვის დასჯის აუცილებლობაზე, მაგრამ უყურადღებოდ ტოვებს რეალური საერთაშორისო სამართლის უფრო ფართო (სოციალურ, ეკონომიკურ, საკანონმდებლო და ეკოლოგიურ) ასპექტებს, რომლებიც უნდა განვიხილოთ, ალბათ, როგორც bellum iustum-ის ნამდვილად თანამედროვე და სიცოცხლისუნარიანი სისტემის განუყოფელი ნაწილები, თუკი ეს სისტემა საერთოდ იქნა აღიარებული. ამერიკის ახალი სტრატეგია ძნელად თუ მიესადაგება საერთაშორისო წესრიგის საზოგადოდ აღიარებულ ცნებებს, რომელთა მიღებაშიც ამერიკამვე შეიტანა დიდი წვლილი. ამერიკა არა მხოლოდ ანგრევს ამ ცნებას, არამედ თავისი ახალი მოსაზრებების მიხედვით მოქმედებს. მის უნილატერალიზმს, რომელიც, ალბათ, არც მომავალში შემცირდება და რომელიც გამოსულია საზოგადოებრიობის ზედამხედველობის არიდან და აღარც გაერო-ს კონტროლს ექვემდებარება, აქვს ამ

სისტემის ნგრევის ტენდენცია. უინსტონ ჩერჩილის გამონათქვამს თუ გადავაკეთებთ, უშიშროების ეს სისტემა სხვებთან შედარებისას რეალურად შეიძლება ყველაზე უარესი აღმოჩნდეს. საყოველთაო უნილატერალიზმი მშვიდობის გარანტიებს ვერაფრით შეცვლის. პირიქით, მას შეუძლია უკან დაგვაბრუნოს საერთაშორისო ანარქიის კლასიკურ სისტემაში და გახდეს ახალი (თუ ძველი?) „ძალადობის კულტურის" ჩამოყალიბების საფუძველი, რომელშიც ომი (ისევ) პოლიტიკის განხორციელების „ჩვეულებრივი" საშუალება იქნება.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Goodrich/Simons 1974; Brownlie/Beck 1993; Schachter 1984a; Sutterlin 2003.
2. Bowett, D.W. Self-Defense in International Law. New York, 1958, p.195.
3. Bishop, William W. Jr. International Law. New York, 1954, p.58.
4. Glennon, Michael J. The Constitution and Chapter VII of the United Nations Charter. *American Journal of International Law*, 85/74-88, 1991.
5. Krakau, Knud. Missionsbewußtsein und Völkerrechtsdoktrin in den Vereinigten Staaten von Amerika. Frankfurt/Berlin, 1967, p. 146-153, 317-319, 334, 391; Hatch, Nathan O. The Sacred Cause of Liberty: Republican Thought and the Millenium in Revolutionary New England. New Haven, 1977; Niebuhr, Reinhold und Alan Heimert. A Nation so Conceived. London/Westport CT, 1963/1983; Tuveson, Ernest Lee. Redeemer Nation: The Idea of America's Millennial Role. Chicago, 1968/1980.
6. Trimble: Proceedings, 1931, p.223.
7. Wright, Quincy: A Study of War. 2 Vols. Chicago, 1942.
8. Krakau Knud: We Cannot Be an Island: The Ubiquity of American Concerns. In: Kristiaan Versluys ed., The Insular Dream: Obsession and Resistance. Amsterdam, 1995, 7-32.
9. Franck, Thomas M. Lessons of Kosovo. *American Journal of International Law*, 1999. 93/857-860
   Faiza Patel. UN Police Action in Lieu of War: „The Old Order Changeth. *American Journal of International Law*, 1991, 85/63-74.
10. Krakau, Knud. Missionsbewußtsein und Völkerrechtsdoktrin in den Vereinigten Staaten von Amerika. Frankfurt/Berlin, 1967; Johnson James Turner: Ideology, Reason and the Limitation of War: Religious and Secular Concepts 1200-1740. Princeton NJ, 1975; Elshtein, Jean Bethke ed.: Just War Theory. Oxford, 1992.
11. Krakau Knud. Francis Liebers Beitrag zur Entwicklung des Landkriegsrechts. In: Peter Schäfer and Karl Schmitt eds., Franz Lieber und die deutschamerikanischen Beziehungen im 19. Jahrhundert. Weimar/Köln/Wien, 1993, p.45-72.
12. Simma, Bruno: NATO, the UN and the Use of Force: Legal Aspects. „European Journal of International Law 10/1999, 1-22; Henkin, Louis: Kosovo and the Law of „Humanitarian Intervention", *American Journal of International Law*, 93/824-828, 1999; Chinkin, Christine M.: Kosovo: A „Good" or „Bad" War? *American Journal of International Law*, 93/834-841, 1999.
13. Falk Richard A.: Kosovo: World Order and the Future of International Law. *American Journal of International Law*, 93/847-857, 199; Frank, Thomas M. Lessons of Kosovo. *American Journal of International Law*, 93/857-860, 1999.

14. Reisman, W.Michael. Coercion and Self-Determination: Construing Charter Article 2, *American Journal of International Law,* 78/642-645, 1984.
15. Wright, Quincy. A Study of War. 2 Vols. Chicago, 1942
16. Reisman, W. Michael: Sovereignty and Human Rights in Contemporary International Law. *American Journal of International Law,* 84/866-876, 1990; Davis, Michael C. International Intervention in the Post-Cold War World: Moral Responsibility and power Politics (M.E. Sharpe), 2003.
17. Krakau Knud:legitimation internationaler Gewaltanwendung: Die Panama-Intervention. In: Hans Joas and Wolfgang Knöbl eds., Gewalt in USA. Frankfurt/M., 245-285, 1994.
18. Schachter, Oscar. The Right of States to Use Armed Force. *Michigan Law Review,* 82/1620-1646, 1984.
19. McDougal, Myres S. and Florentino P. Feliciano. Law and Minimum World Public Order: The Legal Regulation of International Coercion. New Haven/London, 1961; Krakau, Knud. Missionsbewußtsein und Völkerrechtsdoktrin in den Vereinigten Staaten von Amerika. Frankfurt/Berlin, 1967. Reisman, W. Michael. Coercion and Self-Determination: Construing Charter Article 2(4). *American Journal of International Law,* 78/642-64, 1984. „Sovereignty and Human Rights in Contemporary International Law. *American Journal of International Law,* 84/866-876, 1990. „Kosovo's Antinomies". *American Journal of International Law,* 93/860-86, 1999.
20. D'Amato, Anthony. The Invasion of Panama Was a Lawful Response to Tyranny. *American Journal of International Law,* 84/516-524, 1990.
21. Reisman, W. Michael. Coercion and Self-Determination: Construing Charter Article 2(4). *American Journal of International Law,* 78/642-64, 1984; *International Law.* 84/866-876, 1990; „Kosovo's Antinomies". *American Journal of International Law,* 93/860-86, 1999.
22. Reisman, W. Michael, Coercion and Self-Determination: Construing Charter Article 2(4). *American Journal of International Law,* 78/642-64, 1984, p.644.
23. Kirkpatrick, Jean J. Statement before the UN Security Council, 27 Oct. 1983. Department of State Bulletin, December 1983, 74-76, 1983; Allan Gerson. The Reagan Doctrine, Human Rights and International law. In: Louis Henkin et al., Right v. Might. International Law and the Use of Force. New York/London, 19-36, 1989.
24. Kirkpatrick, Jean J. Statement before the UN Security Council, 27 Oct. 1983. Department of State Bulletin, December 1983, 74-76, 1983, p.83.
25. Nanda, Ved. The Validity of United States Intervention in Panama under International law. *American Journal of International Law,* 84/494-503, 1990, p.514.
26. D'Amato, Anthony. The Invasion of Panama Was a Lawful Response to Tyranny. *American Journal of International Law,* 84/516-524, 1990, p.514-524.
27. Niebuhr, Reinhold und Alan Heimert. A Nation so Conceived. London/Westport CT 1963/1983, p.123.
28. D'Amato, Anthony. The Invasion of Panama Was a Lawful Response to Tyranny. *American Journal of International Law,* 84/516-524, 1990, p.522.
29. *International Herald Tribune,* April 10, 1992, 1.
30. Schalchtler, Oscar. The Right of States to Use Armed Force. *Michigan Law Review,* 82/1620-1646, 1986b, p.649.

**მიხეილ ლაბაძე**
*თსუ ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ისტორიის ასპირანტი*

# ამერიკა-მექსიკის დიპლომატიური ურთიერთობანი 1846-1848 წწ. ომის წინ

1846-1848 წლების ამერიკა-მექსიკის ომი ისტორიაში შეეიდა, როგორც აშშ-ის მიერ მოწყობილი პირველი ფართომასშტაბიანი, არათავდაცვითი ხასიათის საომარი ოპერაცია. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ომმა შემდგომში დიდად განსაზღვრა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა პირველ რიგში ლათინური ამერიკისა და, შემდგომში უკვე – მთელი „მესამე სამყაროს" ქვეყნებისადმი.

ამერიკასა და მექსიკას შორის საბრძოლო მოქმედებების დაწყებას წინ უძღოდა მექსიკის ჩრდილოეთში, ტეხასის შტატში დასახლებულ ამერიკელ პლანტატორთა გამოსვლები ოფიციალური მეხიკოს წინააღმდეგ, რასაც ღიად უჭერდა მხარს ამერიკის შეერთებული შტატები. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ჯერ კიდევ 1819 წელს, როცა მექსიკას დამოუკიდებლობაც კი არ ჰქონდა მოპოვებული და ესპანეთის სამფლობელოს წარმოადგენდა, ამერიკელი დიპლომატებმა სცადეს ზემოთ ხსენებული ტერიტორიები ესპანეთის კოლონიური ხელისუფლებისაგან გამოესყიდათ და ამის თაობაზე რამდენჯერმე გამართეს კიდეც მოლაპარაკება მექსიკის (მაშინ ახალი ესპანეთის) მეფისნაცვლის წარმომადგენლებთან, მაგრამ ესპანელებმა, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკა მათზე დიდ ზეწოლას ახდენდა, მოახერხეს არა მარტო შეენარჩუნებინათ სადავო ტერიტორიები, არამედ ოფიციალურადაც დაეკანონებინათ ისინი – 1819 წელს ლუიზიანაში მდებარე დასახლება ფორტ-ჯეფერსონში აშშ-ესპანეთს შორის დადებული ე.წ. „ადამ-ონისის" სპეციალური ხელშეკრულებით აშშ-მა კალიფორნია, ახალი მექსიკა და ტეხასი ესპანეთის „საუკუნო სამფლობელოებად" ცნო.

აშშ-ესპანეთს შორის სადავო ტერიტორიებზე საუბრისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს ასევე ის გარემოებაც, რომ კალიფორნიის, ახალი მექსიკისა და ტეხასის სახელწოდების ქვეშ იგულისხმება აშშ-ის ამჟამინდელი სამხრეთ-დასავლეთი შტატების: კალიფორნიის, ნიუ-მექსიკოს, კოლორადოს, ნევადას, არიზონას, იუტას და ტეხასის, ასევე ნაწილობრივ ოკლაჰომას ტერიტორიებიც. იმ დროისათვის მთელი ეს მიწები, ანუ როგორც მექსიკელები უწოდებდნენ, „ჩრდილოეთის ტერიტორიები" დაყოფილი იყო შემდეგნაირად – ამჟამინდელი კალიფორნიის შტატი და ნევადას შტატის დასავლეთ ნაწილი შეადგენდა ე.წ. ზემო კალიფორნიის საგუბერნატოროს, ახლანდელი ტეხასის შტატის დიდი ნაწილი და აგრეთვე კოლორადოსა და ოკლაჰომის უკიდურესი დასავლეთი მხარე შედიოდა ტეხასის გუბერნიაში, უკიდურესი სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი კი – კოაუილის გუბერნიაში, მთელი დანარჩენი ტერიტორია (ახლანდელი ნიუ-მექსიკოს, არიზონას, იუტას და სხვა შტატების მიწები) შეადგენდა ახალი მექსიკის, ანუ ასტლანის გუბერნიას. მთლიანობაში სადავო მიწების ფართობი უდრიდა დაახლოებით 1 300 000 კვ. კმ.-ს.

ამასთანავე, 1820-1821 წლებისათვის, როდესაც მექსიკამ ესპანეთისაგან დამოუკიდებლობა მოიპოვა, აღნიშნული ტერიტორიები ავტომატურად შევიდა მის შემადგენლობაში. თუმცაღა მექსიკური მოსახლეობა იქ ძალზე მცირერიცხოვანი

იყო, მაგალითად, ზემო კალიფორნიის მხარეში ცხოვრობდა 24000-მდე მექსიკელი, ახალ მექსიკაში – 40000, ტეხასში კი – 25000. გარდა ამისა, მეტად საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ მაშინ მეხიკოში ჩრდილოეთის ტერიტორიებს განიხილავდნენ, როგორც საცხოვრებლად ძალზე საშიშ მხარეებს, უპირველეს ყოვლისა, იმ მრავალრიცხოვან ინდიელ ტომთა გამო, რომლებიც ხსენებულ მიწებზე მომთაბარეობდნენ და პრინციპულად არ ცნობდნენ მექსიკის ხელისუფლებას.

სწორედ ინდიელთა მეომარი ტომების თვითნებობის გამო მეხიკოში ვერა და ვერ ახერხებდნენ ჩრდილოეთის ტერიტორიების კოლონიზაციის გეგმის საფუძვლიანად განხორციელებას. არადა, ყველასათვის კარგად იყო ცნობილი, რომ ზემო კალიფორნიის, ახალი მექსიკისა და ტეხასის მიწები მექსიკისათვის ისეთ ფასდაუდებელ სიმდიდრეს წარმოადგენდა, რომლის სწორად გამოყენება ამ ქვეყანას მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ გადააქცევდა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ იმ პერიოდში მექსიკა უფრო დიდი იყო, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატები, შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ ისიც, რომ მექსიკას ნამდვილად შეეძლო მთელი დასავლეთ ნახევარსფეროს ლიდერობა.

მიუხედავად ამგვარი მომგებიანი პოზიციისა, მექსიკის სახელმწიფო მაინც სუსტი იყო, ვინაიდან ხელისუფლება ხელთ ეპყრათ კრეოლური (თეთრკანიანი) ოლიგარქიის წარმომადგენლებს, კათოლიკურ სამღვდელოებასა და იმ ხალხს, ვინც ჯერ კიდევ ესპანეთის ბატონობის პერიოდში მოახერხა კარგი კარიერის გაკეთება, ხოლო დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ახალ დროებასაც იდეალურად მოერგო. აქედან გამომდინარე, იმდროინდელი მექსიკისათვის სავსებით ჩვეულებრივი რამ იყო კორუფცია, კუთხური ნეპოტიზმი, პარტიული დაპირისპირება და ეროვნული ნიჰილიზმი. როგორც მექსიკელი ისტორიკოსი ნოელ როდრიგეს დე ლეონი წერს თავის ნაშრომში „მექსიკის სახელმწიფო დამოუკიდებლობის პირველ წლებში"[1], მაშინ მექსიკას ჰქონდა უდიდესი შანსი იმისა, რომ ძლიერი სახელმწიფო გამხდარიყო, მაგრამ მისი მართვისუუნარო ხელისუფლება ამას ვერ აცნობიერებდა და მთლიანად ჩაფლული იყო კორუფციაში, პარტიულ დაპირისპირებასა და ნეპოტიზმში.

ამიტომაც, როდესაც ამერიკელმა მდიდარმა მიწათმფლობელმა, ვინმე სტივენ ფ. ოსტინმა 1821 წელს, ე.ი. ფაქტობრივად, ესპანეთის ბატონობისაგან განთავისუფლებისთანავე ოფიციალურად მიმართა მექსიკის ხელისუფლებას ტეხასის კოლონიზაციის თაობაზე, მეხიკოში ყველამ მიიჩნია, რომ მათ ქვეყანას ბედმა გაუღიმა და ჩრდილოეთის ტერიტორიების ათვისების პროცესი მკვდარი წერტილიდან დაიძრა. საყურადღებოა, რომ სტივენ ფ. ოსტინი მეხიკოსაგან მოითხოვდა, რომ მისთვის იჯარით მიეცათ ყამირი მიწები რამდენიმე წლით, ხოლო იჯარის ვადის გასვლის შემდეგ, როცა ხსენებული მიწები უკვე სახნავ-სათესად სავსებით გამოსადეგი და კარგად დამუშავებული იქნებოდა, სტივენ ოსტინი თავისი ხალხით სხვა ყამირ მიწებზე გადავიდოდა, დამუშავებულ მიწებს კი მექსიკელები დაიკავებდნენ. სტივენ ოსტინი იმის პირობასაც იძლეოდა, რომ მექსიკის კანონებს დაემორჩილებოდა და ამ ქვეყნის ხელისუფლებას ინდიელთა ურჩი ტომების წინააღმდეგ ბრძოლაშიც კი დაეხმარებოდა. გარდა ამისა, მას მექსიკელებისათვის თავიდან 100000 ოქროს პესო უნდა გადაეხადა, ხოლო შემდგომში კი ყოველწლიურად ეძლია იჯარით აღებულ მიწებზე მოწეული მოსავლის 30%.[2]

აშშ-ის მოქალაქე სტივენ ოსტინსა და მექსიკის ხელისუფლებას შორის ხელშეკრულება „ტეხასის ყამირი მიწების ათვისების ფორმათა შესახებ" 1821

წლის 3 დეკემბერს გაფორმდა მეხიკოში. მექსიკის მხრიდან მას ხელი მოაწერა მრეწველობის მინისტრმა ალეხანდრო გონსალეს დე კასტრომ, ხოლო სტივენ ოსტინის მხრიდან კი თავად ოსტინმა, მისმა წარმომადგენელმა ჯეისონ სმიტმა და მათი თანმხლები კოლონისტების ოჯახთა ოლდერმენმა (უხუცესმა) ჯოზეფ კ. ო'რეილიმ. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს ხელშეკრულება დაამოწმა ჯერ მექსიკის სახელმწიფო კანცელარიის მთავარმა ნოტარიუსმა მიგელ დე ლა პენიამ, შემდეგ კი აშშ-ის ელჩმა მექსიკაში ჰენრი დანკანმა. ამრიგად, ს. ფ. ოსტინს ნება მიეცა ტეხასის გუბერნიის მთელ ტერიტორიაზე, პრაქტიკულად, ნებისმიერ ადგილას დაეარსებინა ახალშენი. ოსტინმა ცხადია, ისარგებლა კიდეც ამ უფლებით და 1822 წელს მან და მისმა თანმხლებმა პირებმა შუა ტეხასში, უეიკოვას ტომის ინდიელთა მიწაზე დააარსეს ამერიკული ახალშენი ოსტინი. პირველ ხანებში იქ სულ 60-მდე ოჯახი სახლობდა თავიანთივე მონებითურთ. მოახალშენეთა საერთო რაოდენობა კი 5000 კაცამდე აღწევდა.

ტეხასში ამერიკული ახალშენების დაარსება, რასაკვირველია, პირდაპირ უკავშირდებოდა აშშ-ის მისწრაფებას – ხელში ჩაეგდო მექსიკის ჩრდილოეთი ტერიტორიები. ამიტომაც ოსტინსა და მის მოახალშენეებს გარანტირებული ჰქონდათ თეთრი სახლის უმაღლესი მესვეურების აბსოლუტური მხარდაჭერა. აშშ-ის იმდროინდელი პრეზიდენტი მონრო, რომელიც საერთოდ, ძალზე დიდ ყურადღებას აქცევდა ესპანეთის ყოფილ სამფლობელოებს ამერიკაში, ოსტინს „ერის გენიას" უწოდებდა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ცნობილი „მონროს დოქტრინის" მიღება (1822) პირდაპირ იყო დაკავშირებული მექსიკის ჩრდილოეთი ტერიტორიების, პირველ რიგში კი, ტეხასის მომავალი ოკუპაციისათვის გარკვეული სამართლებრივი ბაზის შექმნასთან. პრეზიდენტმა მონრომ თავისი დოქტრინით დიდად შეუწყო ხელი იმას, რომ სტივენ ფ. ოსტინს ნელ-ნელა დაერღვია მექსიკასთან დადებული ხელშეკრულების გარკვეული პირობები და დამუშავებული მიწები აღარ გადაეცა მექსიკელებისათვის. გარდა ამისა აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ტეხასში გაძლიერდა ამერიკელი მოახალშენეების ახალ-ახალი ჯგუფების გადმოსვლა და 1824 წლისათვის ამ რეგიონში მათ დიდად გადააჭარბეს მექსიკელებს – ამერიკელთა რაოდენობამ 80000 კაცს მიაღწია, მაშინ როდესაც მექსიკელთა რაოდენობა კვლავინდებურადვე 25000 კაცს ძლივს აღწევდა.

ამ ყველაფრის პარალელურად, XIX საუკუნის 20-30-იანი წლების მიჯნაზე ტეხასის მეზობლად, ახალი მექსიკისა და ზემო კალიფორნიის გუბერნიებში მცხოვრებ მექსიკელთა შორის ძალზე ფართოდ გაერცელდა სეპარატისტული იდეები. ესპანურ ენაზე მოლაპარაკე ზემო კალიფორნიელი და ახალმექსიკელი თეთრკანიანები თავს მექსიკელებად არ თვლიდნენ და აცხადებდნენ, რომ ახალი ესპანეთის დამოუკიდებლობის გამოცხადებისას მათი უფლებები არავის გაუთვალისწინებია და ზემო კალიფორნიაცა და ახალი მექსიკაც უკანონოდ, ადგილობრივი ხალხის ნების გარეშე შეუერთეს მექსიკას. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ სეპარატისტთა ძირითად ნაწილს შეადგენდნენ არა ადგილობრივი მეტისები, არამედ ესპანური წარმოშობის ის არისტოკრატები, რომლებმაც მექსიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ თავიანთი უწინდელი მიწები, ქონება, პრივილეგიები და ასევე, რაც მთავარია, ხელისუფლებაც მთლიანად დაკარგეს.

მეხიკოს ხელისუფლება ჩრდილოელი სეპარატისტების წინააღმდეგ ძალას იყენებდა და მათს ლიდერებს ძირითადად არაცივილიზებული მეთოდებით, ყოველგვარი სასამართლოს გარეშე ფიზიკურად ანადგურებდა, მაგრამ, ცხადია, რომ

სეპარატიზმის მთლიანად აღმოფხვრას ვერ ახერხებდა. 1834 წელს, ზემო კალიფორნიაში მომხდარი „გრანდ პერალტოს აჯანყების" შემდეგ, როდესაც ახალი ესპანეთის ყოფილმა მეფისნაცვალმა, გრანდმა ხუან მანუელ დე ლა ვეგა ი დე პერალტომ ხსენებული გუბერნიიდან განდევნა მცირერიცხოვანი მექსიკური ჯარები და მეხიკოსაგან ზემო კალიფორნიის „ავტონომიურ სახელმწიფოდ" ცნობა მოითხოვა, მექსიკის ხელისუფლები სერიოზულად დაფიქრდნენ ახალი მექსიკის, ზემო კალიფორნიისა და ტეხასის შემდგომ მომავალზე და, გარდა ამისა, ზოგადად, მექსიკის ახლებურ ტერიტორიულ მოწყობაზეც.

სწორედ იმ დროს, როდესაც მეხიკოში ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის ახალ გზებს ეძებდნენ და ამის გამო იქ მოქმედ პარტიებს შორის უმწვავესი პოლიტიკური დებატები მიმდინარეობდა, აშშ უხეშად ჩაერია მექსიკის შინაურ საქმეებში და ქვეყნის პრეზიდენტს ვალენტინ გომეს ფარიასს მოსთხოვა, რომ გუბერნიებისათვის შტატების უფლებები მიენიჭებინა. აღსანიშნავია, რომ აშშ-ის პრეზიდენტმა, ინდიელთა წინააღმდეგ რადიკალური ქმედებებით ცნობილმა ენდრიუ ჯექსონმა მეხიკოში სწორედ იმხანად გააგზავნა ახალი ელჩი, ჯეკობ კემპბელი, რომელიც ადრე ინდიელთა რეზერვაციებში გადასახლების საქმეებს კურირებდა.

ამასთანავე, აქვე იმასაც დავსძენთ, რომ ვაშინგტონში ენდრიუ ჯექსონისა და მისი მომხრეების ვიწრო წრეში უკვე შემუშავებულიც კი იყო საიდუმლო გეგმა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეპოვებინა ამერიკის შეერთებულ შტატებს გასასვლელი წყნარ ოკეანეზე. კერძოდ, ამერიკელი სტრატეგები ვარაუდობდნენ, რომ თავიანთი მიზნების ასასრულებლად საჭირო იყო, ხელში ჩაეგდოთ დიდი ბრიტანეთის სამფლობელო ორეგონი, რომელზედაც სხვათა შორის, რუსეთიც აცხადებდა პრეტენზიებს, ხოლო ამის შემდგომ კი ასევე დიდი ბრიტანეთი აეძულებინათ დაეთმო კოლუმბიის (ამჟამად კანადის ერთ-ერთი პროვინცია – ბრიტანეთის კოლუმბია) სამხრეთი ნაწილი. აღსანიშნავია, რომ როგორც მექსიკელი ისტორიკოსი ანხელა მარიანა ვასკეს დე ლა ტორა წერს, პრეზიდენტ ენდრიუ ჯექსონს გეგმა მოეწონა, მაგრამ ამასთანავე, ერთი შესწორება მაინც შეიტანა შიგ – მან სხვებისაგან განსხვავებით, გადაწყვიტა, რომ გაცილებით უფრო უკეთესი იქნებოდა, თუკი სიცივით სახელგანთქმული ბრიტანეთის კოლუმბიის ნაცვლად ამერიკის შეერთებული შტატები სწორედ მექსიკისაგან მოიპოვებდა ჩრდილოეთის ტერიტორიებს[3]. აღსანიშნავია ასევე ისიც, რომ როდესაც ენდრიუ ჯექსონს შეეკითხნენ, თუ რას მოუხერხებდა იგი კალიფორნიისა და ახალი მექსიკის ხრიოკ მიწებს, პრეზიდენტმა მედიდურად უპასუხა: „ჩვენ იქ ჩავასახლებთ ინდიელებს და ამით სამუდამოდ გადავწყვეტთ მათ პრობლემას"[4]. ასე, რომ XIX საუკუნის 30-იანი წლების შუახანებისათვის ვაშინგტონში უკვე გადაწყვეტილი იყო მექსიკის ჩრდილოეთი ტერიტორიების მიერთების საკითხი.

ამავე დროს, მექსიკაში აშშ-ის ახალი ელჩის მიერ ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლებისადმი წარდგენილმა ფაქტობრივმა ულტიმატუმმა, რაღა თქმა უნდა, აზრთა დიდი სხვადასხვაობა გამოიწვია და გარდა ამისა, სიტუაციაც უკიდურესად გართულდა – ჩრდილოეთის გუბერნიებში ადგილობრივი სეპარატისტების თვითნებობით ძალზე შეწუხებულმა მექსიკის უმაღლესმა ხელისუფლებამ მხოლოდ მაშინღა მიაქცია ყურადღება ტეხასში დასახლებულ ამერიკელ კოლონისტებს, რომლებიც აშკარად აღარ აპირებდნენ მექსიკური კანონებისადმი მორჩილებას. თუმცაღა, აქვე აუცილებლად უნდა ვთქვათ ისიც, რომ პრეზიდენტი გომეს ფარიასი არც კი დაფიქრებულა, ისე განაცხადა უარი შეერთებული შტატების მიერ

შემოთავაზებულ გეგმაზე, რითაც დანასისხლად გადაიმტერა მექსიკის ვიცე-პრეზიდენტი, ანტონიო ლოპეს დე სანტა-ანა, რომელიც თავდაპირველად ე.წ. „ამერიკული მოდელის“, ანუ ქვეყნის შტატებად დაყოფის თავგამოდებული მომხრე იყო, 1833 წელს სანტა-ანა გომეს ფარიასს განუდგა და მის წინააღმდეგ აჯანყება წამოიწყო.

თავის მხრივ, ტეხასელმა კოლონისტებმა, იგრძნეს რა აშშ-ის მმართველი წრეების ფართო მხარდაჭერა და ასევე, ისარგებლეს მეხიკოში ფარიასსა და სანტა-ანას შორის მიმდინარე უმწვავესი შეიარაღებული დაპირისპირებით, ეროვნული დაუმორჩილებლობა გამოუცხადეს მექსიკის ხელისუფლებას. მათ მოითხოვეს, რომ მეხიკოს ოფიციალურად ეცნო ტეხასის რესპუბლიკის სრული დამოუკიდებლობა. რასაკვირველია, მეხიკოში ყველანი კარგად მიხვდნენ, რომ ყველაფერი ეს აშშ-ის სპეცსამსახურების მოწყობილი იყო და სწორედ ამის გამო მექსიკის სენატმა და ეროვნულმა კონგრესმა 1833 წლის 7 ივნისს პირველად მიმართა ამერიკის შეერთებულ შტატებს სპეციალური საპროტესტო ნოტით, სადაც ტეხასელ კოლონისტთა მოქმედება და მათ მიმართ აშშ-ის მხარდაჭერა შეფასდა როგორც „საერთაშორისო დანაშაული, მიმართული მექსიკელი ხალხის წინააღმდეგ“. სხვათა შორის, ეს ნოტა იყო ბოლო დოკუმენტი, რომელსაც სენატისა და კონგრესის წევრებთან ერთად ხელი მოაწერა ასევე პრეზიდენტმა ვალენტინ გომეს ფარიასმაც – სულ მალე იგი პოსტიდან სანტა-ანას ძალებმა ჩამოაგდეს. აღსანიშნავია ისიც, რომ ვაშინგტონმა ნოტა უპასუხოდ დატოვა, ვინაიდან მექსიკის სათავეში ახალი ხელისუფლება მოვიდა.

გენერალმა სანტა-ანამ, რომელიც ადრე ამერიკისადმი გარკვეულწილად ლოიალურ დამოკიდებულებას იჩენდა და მექსიკის შტატებად დაყოფასაც მხარს უჭერდა, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე კურსი შეიცვალა და მთელი რიგი ნაბიჯები გადადგა მმართველობის ცენტრალიზაციისაკენ. კერძოდ, მან მექსიკა შტატებად კი დაჰყო, მაგრამ ამასთანავე, მათ მეტად მცირე უფლებები მიანიჭა, რამაც ზოგიერთ მხარეში (იუკატანში, სონორაში, კალიფორნიაში, ახალ მექსიკაში და სხვაგან) მასობრივი უკმაყოფილება გამოიწვია. თუმცაღა, სანტა-ანას ხელისუფლებას ტეხასის გარდა, არც ერთი მათგანისათვის დიდი ყურადღება არ მიუქცევია - 1835 წელს ტეხასელი კოლონისტების წინააღმდეგ მექსიკის სენატმა მიიღო სპეციალური „კანონპროექტი ტეხასში მეზობელი მხარეებიდან [ე. ი. აშშ-დან – მ.ლ.] უცხოელ კოლონისტთა ჩამოსახლების სრული აკრძალვის შესახებ“, რომელსაც ტეხასელთა მხრიდანაც საკმაოდ მალე მოჰყვა პასუხი – ტეხასელმა კოლონისტებმა იმავე წელს პატარა ქალაქ ვაშინგტონ-ონ-ზე-ბრაზოსში ტეხასის დამოუკიდებლობა გამოაცხადეს.

ტეხასის დამოუკიდებელი რესპუბლიკა, რომლის ჩამოყალიბებაც მეხიკოს მმართველმა წრეებმა, რასაკვირველია, უმწვავესად აღიქვეს, თითქმის მაშინვე ცნეს იუკატანისა და სონორის თვითაღიარებულმა რესპუბლიკებმა, ასევე დე ფაქტო - აშშ-მაც. ამავე დროს, ყოველივე ამან მეხიკო იმდენად გააცოფა, რომ პრეზიდენტი სანტა-ანა პირადად ჩაუდგა სათავეში მექსიკის ჯარების იმ ქვედანაყოფებს, რომლებიც თვითონვე გამოყო ტეხასში გასაგზავნად. ეს, რასაკვირველია, სანტა-ანას დიდი შეცდომა იყო, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ მექსიკის პრეზიდენტი პოლიტიკურად ბეცი პიროვნება იყო და გარდა ამისა, იგი ძალზე არამდგრადი ხასიათითაც გამოირჩეოდა.

აქედან გამომდინარე, მექსიკის სენატსა და კონგრესში წარმოდგენილმა ზოგიერთმა პარტიამ პრეზიდენტ სანტა-ანას აღნიშნული ქმედება შეაფასა, როგორც მექსიკის ღალატი. ამასთანავე, მექსიკელმა სენატორებმა დაიბარეს ამერიკის ელჩიც და მას პასუხი მოსთხოვეს. ელჩმა პასუხად განაცხადა, რომ ტეხასელი კოლონისტების ქმედების გამო არც ის და არც მისი ხელისუფლება პასუხს არ აგებდნენ: „მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ ტეხასის შტატის ტერიტორიაზე დასახლებული ამერიკელი პიონერების საქმიანობასთან აშშ-ს არავითარი კავშირი აღარ აქვს, გარდა ეკონომიკურისა, ვინაიდან კარგადაა ცნობილი, რომ ტეხასელები ძირითადად აშშ-სთან ვაჭრობენ... ჩვენ ვაცხადებთ, რომ ოფიციალურად ვუჭერთ მხარს მექსიკის ტერიტორიულ მთლიანობას" - ასე განუცხადა მექსიკის სენატს აშშ-ის ელჩმა ჯეკობ კემპბელმა[6]

აღსანიშნავია, რომ მექსიკის რეგულარულმა არმიამ, რომელიც თავიდან გარკვეულ უპირატესობას ფლობდა და მოახერხა ტეხასელების შევიწროება, მოპოვებული პოზიციები ვეღარ შეინარჩუნა, რადგან ბრძოლაში აშშ-ის არმიის ოფიცრები ჩაებნენ. მათი მეშვეობით, ტეხასელ მეამბოხეთა შეიარაღებულმა რაზმებმა არათუ სძლიეს მექსიკელებს, არამედ მათი მეთაური, პრეზიდენტი სანტა-ანაც კი ჩაიგდეს ხელში. მალე მექსიკის პრეზიდენტმა ტყვეობაში ხელი მოაწერა ტეხასელი გენერლის სემ ჰიუსტონის მიერ შედგენილ სპეციალურ დეკრეტს მექსიკის მიერ ტეხასის სრული დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ.

ამასთანავე, მეხიკოში სანტა-ანას დატყვევება და მის მიერ დამამცირებელ დეკრეტზე ხელის მოწერა სალად აღიქვეს – მექსიკის სენატმა პრეზიდენტი დაუსწრებლად გადააყენა პოსტიდან და სამარცხვინო „დეკრეტი მექსიკის შეერთებული შტატების მიერ ტეხასის დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ" იურიდიული ძალის არმქონედ გამოაცხადა, მაგრამ თეთრმა სახლმა ყურადღებაც არ მიაქცია მექსიკელი სენატორების გადაწყვეტილებას და ტეხასის რესპუბლიკა დე იურე ცნო დამოუკიდებლად.

ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებმა მექსიკის პროტესტზე ერთი შეხედვით, მეტად მიამიტური პასუხი გასცეს – მათი განცხადებით, აშშ-ისათვის ბოლო დრომდე ცნობილი არ ყოფილა მექსიკის სენატის ხსენებული გადაწყვეტილების შესახებ და აქედან გამომდინარე, თეთრმა სახლმა მიიჩნია, რომ სანტა-ანას მიერ მიღებული გადაწყვეტილება მექსიკელი ხალხის საერთო აზრს გამოხატავდა. რასაკვირველია, მექსიკაში ოდნავი ეჭვიც კი არავის შეჰპარვია იმაში, რომ ტეხასის დამოუკიდებლობა სინამდვილეში მხოლოდ შუალედური ნაბიჯი იყო ამ მხარის აშშ-სთან მისაერთებლად.

აქედან გამომდინარე, მექსიკის სენატმა მკაცრად გააფრთხილა ამერიკის შეერთებული შტატები, რომ თუკი იგი მოინდომებდა რაიმე ფორმით ტეხასის ანექსიას, მექსიკის ხელისუფლება ამას ომის გამოცხადებად ჩათვლიდა. გარდა ამისა, მექსიკელებმა არ ცნეს აშშ-ის მიერ ტეხასის ცნობის ფაქტი და მთელი მსოფლიოს მასშტაბით განაცხადეს, რომ ტეხასის დამოუკიდებლობის ცნობა რომელიმე სახელმწიფოს მხრიდან მექსიკის შეერთებული შტატებისადმი ომის გამოცხადების ტოლფასი იქნებოდა. რაც შეეხება აშშ-ს, მან განაცხადა, რომ თავს შეიკავებდა ტეხასთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებისაგან მანამ, სანამ ამ უკანასკნელ რესპუბლიკასა და მექსიკას შორის საბოლოოდ არ გაირკვეოდა ურთიერთობა.

ასეთი ფონზე მექსიკაში მოულოდნელად ძალიან გართულდა სიტუაცია და ატყდა სამოქალაქო ომი. ქვეყანა მრავალ „დამოუკიდებელ რესპუბლიკად" თუ „ავტონომიურ შტატად" დაიშალა. ამასთანავე სანტა-ანას მომხრეებმაც თავი წამოჰყვეს და დაუპირისპირდნენ ახალ პრეზიდენტს მიგელ ბარაგანს, რომელმაც ცენტრალური ხელისუფლების შენარჩუნება ვერ შეძლო და თავი ახლად ჩამოყალიბებული „ფლამანსეს რესპუბლიკის" (მდებარეობდა ცენტრ. მექსიკაში) პრეზიდენტად გამოაცხადა. ხოლო უკვე 1841 წელს კი მექსიკაში ტყვეობიდან გათავისუფლებული სანტა-ანაც დაბრუნდა და ხელისუფლება კვლავ ხელში ჩაიგდო. ამის შემდეგ მექსიკაში ე.წ. „დიდი ანარქიაც" დაიწყო - სანტა-ანასა და მის მომხრეებს შორის შეიარაღებული შეტაკებების შედეგად 3 წელიწადში ქვეყნის ხელისუფლება 12-ჯერ(!) შეიცვალა. ამ ყველაფერს, რაღა თქმა უნდა ორგანიზებას სწორედ ამერიკა უკეთებდა, რომელსაც სურდა ტეხასის ანექსიისათვის ხელსაყრელი პირობები შეექმნა.

„ხელსაყრელმა მომენტმაც" დიდხანს აღარ დააყოვნა – 1845 წელს აშშ-ის სათავეში მოვიდა ჯეიმს კ. პოლკი, რომელიც მექსიკის წინააღმდეგ სამხედრო ძალების გამოყენებას უჭერდა მხარს. ამავე დროს, თავად ტეხასელებმაც უკვე ოფიციალურად მიმართეს ვაშინგტონს, რათა ტეხასი შტატის უფლებებით აშშ-ს შეერთებოდა. ამერიკის პრეზიდენტმა ჯონ ტაილერმა, რომელსაც ის-ის იყო თავისი უფლებები ჯეიმს პოლკისთვის უნდა გადაეცა, 1846 წლის 1 მარტს ხელი მოაწერა ბრძანებას ტეხასის რესპუბლიკის ანექსიისა და მის ადგილას ტეხასის შტატის შექმნის შესახებ. ამასთანავე, ტაილერმა შესთავაზა მექსიკას, რომ მას ტეხასის ანექსია სამართლებრივ აქტად ეცნო. პასუხად, მექსიკამ აშშ-სთან დიპლომატიური ურთიერთობა შეწყვიტა და ომისათვის დაიწყო მზადება.

1846 წლის 4 მარტს ამერიკის ახალმა პრეზიდენტმა პოლკმა პირდაპირ ინაუგურაციის შემდეგ მისი წინამორბედის ბრძანების აღსასრულებლად გენერალ ზექერაია ტეილორს (შემდგომში აშშ-ის პრეზიდენტი) უბრძანა, რომ დაუყოვნებლივ შეეყვანა ჯარები ტეხასის ტერიტორიაზე, დასახლება კორპუს-კრისტის რაიონში. იმავე წლის 5 მარტს გამთენიისას, ბრძანება სისრულეში იქნა მოყვანილი. უკვე 7 მარტს კი აშშ-ის კონგრესმა მექსიკას ოფიციალურად გამოუცხადა ომი.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Noel Rodríguez de León, El estado de México en los primeros años de su independencia, México, 1994, გვ. 23.
2. http://www.pbs.org/kera/usmexicanwar/ საიტი ეკუთვნის ტეხასის უნივერსიტეტს.
3. Ángela Mariana Márquez de la Torra, Santa ana y su guerra con los angloamericanos, México, 2000 გვ 45.
4. იქვე, გვ. 64.
3. იქვე, გვ. 67.
4. George W. Nelsson, Texas independency and 1846-1848 US-mexican war, Dallas, 1954, გვ. 34

**ვახტანგ მაისაია**
*ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის კათედრის დოცენტი*

# აშშ-ის საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები და გეოპოლიტიკური ტექნოლოგიები 21-ე საუკუნეში

აშშ-ის ახალმა ადმინისტრაციამ ხელისუფლების მოსვლის დღიდან, ბუში-უმცროსის ხელმძღვანელობით, ანტიტერორისტული საერთაშორისო კამპანიის წარმოებისას დაასახელა მთავარი „სამიზნე" - ერაყის სახით. 1990 წლიდან ოფიციალური ვაშინგტონისთვის სადამ ჰუსეინის რეჟიმი გახდა ის „ლაკმუსის ქაღალდი", რომლის მეშვეობითაც ხორციელდებოდა მისი სიძლიერის პოტენციალის დადგენა. გეოპოლიტიკურ ცვლილებათა მიუხედავად, სადამ ჰუსეინის რეჟიმი იქცა მუდმივ „სტაბილურ სამიზნედ", რომლის კოორდინატებიც ბოლო პერიოდამდე უცვლელი იყო. ოფიციალურ ვაშინგტონს ერაყზე თავდასხმის ზოგადი და ფაქტობრივი მიზნები ჰქონდა:

**ზოგად მიზნებს შეადგენდა:**

- ბრიტანეთის სტრატეგიულ კვლევათა ინსტიტუტის მონაცემებით, ერაყი უკვე ფლობდა ბიოლოგიურ და ქიმიურ შეიარაღებას. ეს კი ძალიან საშიში პრეცენდენტი იყო ისეთი არასტაბილური რეგიონისათვის, როგორიცაა ახლო აღმოსავლეთი. ერთხელ ბაღდადმა უკვე იწვნია მარცხი მასობრივი მოსპობის შეიარაღების შემუშავების საქმეში. ეს მოხდა 1981 წელს, როდესაც ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავებმა ერაყის ბირთვული რეაქტორი გაანადგურა. დღევანდელ ეტაპზე კი ჯერი მიდგა სხვა სახეობების იარაღის მოსპობაზე. მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ გაეროს ექსპერტებმა უარყვეს ქიმიური და ბიოლოგიური შეირაღების არსებობის ფაქტი, აშშ-თვის მათი მოსაზრება არ წარმოადგენდა რაიმე ფასეულს. 2002 წლის მარტის თვიდან მოყოლებული აპრილის შუა რიცხვებამდე ბუშის ადმინისტრაცია უშუალოდ შეუდგა ერაყის წინააღმდეგ საომარი მოქმედების მომზადებას და წარმატებით განახორციელა კიდევაც.
- ბუშის ადმინისტრაციამ ბაღდადს ბრალი წაუყენა 2001 წლის 11 სექტემბერს მომხდარი ტერაქტის მომზადებაში. აქედან გამომდინარე, ლოგიკურად გამომდინარეობდა ერაყის აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ შედგენილ ე.წ. „შავი ქვეყნების სიაში" შეყვანის მართებულობა. ტერაქტის განხორციელების მესამე დღეს აშშ-ის ძალოვანი უწყებების მიერ გაჟღერდა ვერსია იმის თაობაზე, რომ ერაყელი დიპლომატები რამდენჯერმე შეხვდნენ ტერაქტების მომწყობებს ვაშინგტონსა და ფლორიდაში.
- ვაშინგტონმა წამოაყენა მტკიცებანი, რომლის მიხედვითაც ერაყის ტერიტორიაზე გადიოდნენ მომზადებას ისლამური დაჯგუფება „ალ-კაიდას" მებრძოლები. აღნიშნული გარემოება წარმოადგენდა მყარ საფუძველს სამხედრო ინტერვენციისათვის, თანაც სახმელეთო კომპონენტის ჩართვით, მით უფრო, როდესაც ანტიტერორისტული კამპანია შევიდა თავის გადამწყვეტ ფაზაში.

რაც შეეხება ფაქტობრივ მიზნებს, ისინი შეიძლება შემდეგნაირად განისაზღვროს:

- ბუში-უფროსის მიერ დაწყებული საქმე სასურველი იქნებოდა დაესრულებინა ბუშ-უმცროსს, თანაც-ვაშინგტონისათვის აღნიშნული აქცია იქნებოდა ე.წ „პრესტიჟის" საგარეო პოლიტიკური კურსის გაგძელება. აშშ-თვის ლოგიკური იქნებოდა 21-ე საუკუნეში შესულიყო როგორც ტრიუმფატორი (სხვათაშორის, ანალოგიურ მოვლენას ჰქონდა ადგილი მე-20 საუკუნის დასაწყისში, როდესაც აშშ-მა მე-19 საუკუნის ბოლოს გამოუცხადა ომი ესპანეთს და წაართვა კუბა და ფილიპინები). აღნიშნული ტენდენცია, როგორც ჩანს, შესაძლოა გაგრძელდეს მომდევნო საუკუნეებშიც.
- მეორე მხრივ, ანტიტერორისტული კამპანიის წარმოებისას საკმაოდ უცნაურად გაიჟღერა მტრის მითიურმა იერსახემ, როდესაც ფაქტობრივად უცნობი იყო თუ ვისთან უნდა ეომა მსოფლიოს სუპერ-სახელმწიფოს, რომელიც მიჩვეულია კლაუზევიცის მიერ დასახული სამხედრო სტრატეგიის ფარგლებში ბრძოლას. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი ერაყის სახით სავსებით კონკრეტული მოწინააღმდეგე გამოჩნდა, რომლის დამარცხება სავსებით შესაძლებელი იყო და აშშ-ს შეეძლებოდა დაესრულებინა 2001 წლის სექტემბერში ოფიციალურად გამოცხადებული ომი საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ და ქვეყანა აეწყო სამშვიდობო ცხოვრების ყაიდაზე. თუმცაღა, როგორც ბოლო მოვლენებმა გვიჩვენა აშშ ცდილობს იპოვოს ახალი სამიზნეები სირიისა და ირანის სახით.
- მესამე, არანაკლებად მნიშვნელოვანია, ავღანეთში გაჭიანურებული კამპანია, რომლის ნიუანსებსაც არ ახმოვანებს პენტაგონი და, რომელიც საკმაოდ მდარედ მიედინება. ავღანური საომარი მოქმედებების სცენარი დაახლოებით წააგავს 1983 წელს გრენადაში აშშ-ის მიერ განხორციელებულ სამხედრო ოპერაციას, როდესაც რევოლუციური სამხედრო პროკომუნისტური ხუნტის დამხობის მიუხედავად, პენტაგონს სხვა კამპანიებთან შედარებით ძვირად დაუჯდა მისი ჩატარება (ამერიკელებმა მარტო მოკლულების სახით დაკარგეს 4 ელიტარული „დელტის" მებრძოლი და 8 კი მძიმედ დაიჭრა, ასევე ჩამოგდებული იქნა 3 საბრძოლო ვერტმფრენი). ერაყის კამპანიას ამ მხრივ შეეძლო გამოესწორებინა ავღანური „ჩავარდნები" და უფრო განემტკიცებინა ქვეყნის იმიჯი. ამას გარდა, უფრო მკაფიოდ გამოიკვეთებოდა - ვინ იყო აშშ-ის რეალური მოკავშირე თუ მტერი. წინამოსამზადებელ ე.წ „შატლური დიპლომატიის" წარმართვისას,კიდევაც გამოიკვეთა ამერიკელებისათვის არცთუ ისე სახარბიელო სურათი. ბაღდადის წინააღმდეგ სამხედრო-პოლიტიკური კოალიციის წევრობაზე უარი განაცხადა საფრანგეთმა და გერმანიამ. არაბულ სამყაროში ამერიკელთა ინიციატივას უარყოფითად შეხვდა საუდის არაბეთი და სირია, ირანმა კი სრული მხარდაჭერა აღუთქვა სადამ ჰუსეინს ამერიკელთა აგრესიის შემთხვევაში, თუმცაღა მხოლოდ და მხოლოდ ქაღალდზე. ჭეშმარიტ მოკავშირეებად გამოვიდნენ კატარი, ომანი, ქუვეიტი, რომლებმაც კონკრეტული დახმარება გაუწიეს ამერიკელებს ჰუსეინთან ომში. რაც შეეხება ჩვენს მეზობელ თურქეთს, ოფიციალურმა ანკარამ არ გამოხატა მსხვილმასშტაბიან სამხედრო ოპერაციაში დიდი ენთუზიაზმი. თურქეთს, პირველ რიგში, აღარდებდა ე.წ „ქურთისტანის" პრობლემა, რაც გულისხმობს ჩრდილოეთ ერაყის ტერიტორიაზე ე.წ „თავისუფალ ზონაში", კამპანიის დასრულების შემდეგ ქურთების

დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის პერსპექტივას. თურქები მზად იყვნენ მიეღოთ მონაწილეობა აშშ-ის სპეცსამსახურების მიერ განხორციელებულ, ე.წ „ძირგამომთხრელ ოპერაციებში" (Covert Operations), რომლის მიზანიც იყო სადამ ჰუსეინის გადაყენება სამხედრო გადატრიალების გზით, მაგრამ კოალიციურ სახმელეთო დაჯგუფებაში მონაწილეობის მიღებაზე მაქსიმალურად თავი შეიკავეს. ამავე დროს, საკუთარი, მკვეთრად უარყოფითი განწყობილება ოპერაციის ჩატარების წინააღმდეგ გამოხატა პეკინმა და მოსკოვმაც, რომლებიც გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებს წარმოადგენენ და რომლებიც შეეცადნენ ყველანაირად დაებლოკათ ამერიკელთა მცდელობა განეხორციელებინათ აღნიშნული აქცია გაეროს ეგიდით და მიენიჭებინათ მისთვის კოლექტიური თავდაცვის სტატუსი.

აშშ-ის ერთადერთ მოკავშირედ ისევ და ისევ დიდი ბრიტანეთი გამოდის. მხოლოდ ლონდონმა განაცხადა თანხმობა მიეღო მონაწილეობა სახმელეთო ოპერაციაში. ბრიტანელებმა აქტიურად მიიღეს მონაწილეობა სამხედრო ინტერვენციაში ერაყის წინააღმდეგ.

ამის მიუხედავად, აშშ-მა წარმატებით გაართვა თავი მეტად რთულ გეოსტრატეგიულ ამოცანას და ძალიან მოკლე პერიოდში შეძლო სადამ ჰუსეინის დამხობა.

ეს, რაც შეეხება აშშ-ის საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებს, თუმცა აქვე საინტერესო იქნება პოლიტიკური (უფრო სწორად რომ ვთქვათ გეოპოლიტიკური) ტექნოლოგიების განხილვა, რომ ამერიკელი პოლის-მეიკერები აპირბენ გამოყენებას, თუ აქამდე არ იყენებენ. ერთ-ერთ ასეთ „პოლიტექნოლოგიას" წარმოადგენს ე.წ „მართული ქაოსის" სტრატეგია. 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ მსოფლიოს პოლიტიკურ ასპარეზზე გააქტიურდა აშშ-ის ადმინისტრაცია, რაც ბუნებრივ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ ბოლო დროინდელი მოვლენების ფონზე. მაგრამ ამავე კონტექსტში საინტერესო მოსაზრებად რჩება ამერიკელების ტრადიციული ოპონენტების, რუსი პოლიტოლოგების, შეფასებები ვაშინგტონის ჰეგემონობის მიღწევის სურვილის შესახებ. რუსეთის პანიკური შიში რომელიმე მძლავრი გეოპოლიტიკური ცენტრის დომინანტობის შესახებ საკმოდ ცნობილი მოვლენაა და ამიტომ აქ არანაირ უცნაურობას არა აქვს ადგილი, ისევე როგორც ამის თაობაზე მათი „მცირე თანამოაზრეთა" ჩინელების ფობიები. თუმცა ყველაზე დიდ მოწინააღმდეგეებად ერთმანეთის მიმართ, სწორედ ეს ორი სახელმწიფო ითვლება. ამის თვალსაჩინო ისტორიულ მაგალითს წარმოადგენს მოსკოვი-პეკინის განსაკუთრებით „თბილი" ურთიერთობების პერიოდი 1967—1978 წლებში. მოსკოვის შეშფოთება სავსებით გასაგებია, რადგანაც „ცივი ომის" პერიოდში ნიკოლას სპაიკმენის გეოპოლიტიკური „ალყაშემორტყმული ციხესიმაგრის" კონცეფციის მიხედვით, უნდა მომხდარიყო საბჭოთა კავშირის იზოლირება საერთაშორისო პოლიტიკური პროცესებიდან, („მსოფლიო რევოლუციის" ბაცილის თავიდან აცილების მიზნით), რომელიც მოგვიანებით შეიცვალა მეორე გეოსტრატეგიული კონცეფციით „ანაკონდით" (სხვათაშორის ანალოგიური დასახელების სამხედრო ოპერაციას აშშ-ის შეიარაღებული ძალები ატარებენ ავღანეთში „თალიბების" განადგურების მიზნით და ასევე სიმპტომატურია ის გარემოებაც, რომ თავის დროზე „ანაკონდის" გეოპოლიტიკური კონცეფციის რეალიზების პოლიგონს ისევ ავღანეთი წარმოადგენდა 1979—1981 წლებში). მას შემდეგ, რაც გაქრა ბიპოლარული სამყარო და მულტიპოლარული მსოფლიო პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბება

დაიწყო, იდეოლოგიური დაპირისპირების პროცესმა დაკარგა ყოველგვარი აზრი. მდგომარეობა დაუბრუნდა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში აპრობირებულ დიპლომატიურ, თამაშების მოდელს, სადაც გავლენიან მოთამაშეებს წარმოადგენენ არა იდეოლოგიზებული სუპერ-სახელმწიფოები, არამედ ერი-სახელმწიფოები. მათი საგარეო პოლიტიკური სტრატეგიები ეფუძნება წმინდად ეროვნული ინტერესების განხორციელებას და არა მითოლოგიურ, და აბსტრაგირებული მიზნების მიღწევას. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში რთულია პოლიტიკური სტერეოტიპების მსხვრევა და ახალი მიდგომების შემუშავება საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის ჩამოყალიბებისას. სწორედ ასეთი ტენდენცია შეიმჩნევა დღევანდელ რუსეთის პოლიტიკურ და სამეცნიერო ისტებლიშმენტში. ასეთი მიდგომა გამოწვეულია ამჟამინდელი რეალიებიდან გამომდინარე. თუ ვიმსჯელებთ ერთ ბრძნულ გამონათქვამის მიხედვით, „შიშს დიდი თვალები აქვსო“, მაშინ „ამგვარ მოსაზრებებს გარკვეული სახის ლოგიკური საფუძველი აქვს. რუსმა პოლიტოლოგებმა ვაშინგტონის ადმინისტრაციის სტრატეგიულ კურსს შეარქვეს „მართული კრიზისების“ კონცეფცია, რომელიც დაეფუძნა 1980-იანი წლებიდან მოყოლებული მოვლენების ანალიზს. კერძოდ, ყოფილი იუგოსლავიის მაგალითზე, რომელიც უკვე ისედაც დაშლის პირასაა მიყვანილი (2002 წლის 14 მარტს სერბეთისა და ჩერნოგორიის პრეზიდენტებმა გააფორმეს შეთანხმება იუგოსლავიის დასამარების შესახებ, რომელსაც ფასილიტატორობდა ევროკავშირის საგარეო პოლიტიკისა და თავდაცვის საკითხების უმაღლესი კომისარი და ნატო-ს ყოფილი გენერალური მდივანი ჰავიერ სოლანა), გამოიკვეთა ამ კონცეფციის რეალური კონტურები არასასურველი პოლიტიკური რეჟიმების შეცვლის საქმეში, რომელიც სასურველია საქართველოს ხელისუფლებამაც გაითვალისწინოს. აღნიშნული კონტურები მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- არსებული ლეგიტიმური მთავრობის წინააღმდეგ გამოსული დანაწევრებული პოლიტიკური ძალების გაერთიანება;
- ერთიანი ოპოზიციური ხელმძღვანელი ცენტრის შექმნა;
- აღნიშნული ცენტრის ეგიდით, ოპოზიციის კორპორატიულ შეხედულებებზე დაფუძნებული, საერთო მიდგომების შემუშავება ქვეყნის სამომავლო განვითარების თაობაზე და მისი პიარი;
- გაერთიანებული ოპოზიციის სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური მიზნების ჩამოყალიბება;
- ოპოზიციის სამოქმედო პროგრამების შემუშავება, რომლის მიზანია არსებული მთავრობის დამხობის შემდეგ ქვეყანაში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების გაუმჯობესების დაპირებების მიცემა მოსახლეობისთვის;
- ოპოზიციის სამოქმედო ორგანიზაციული და საოპერაციო მეთოდების შემუშავება;
- მთავრობის ლიდერების საკუთარ თავში დარწმუნებისა და ძალისმიერი სტრუქტურების მთავრობისადმი ლოიალობის შერყევა;
- წამყვანი სოციალური ჯგუფების მხარდაჭერის მოპოვება (პირველ რიგში, ეს ეხება ინტელიგენციას, მასმედიის წარმომადგენლებს და კულტურის გავლენიან მოღვაწეებს);

  გაერთიანებული ოპოზიციის მხარდაჭერა ყველანაირი საშუალებებით და ამის პარალელურად, არსებული მთავრობის საერთაშორისო იზოლაციაში

მოქცევის პროცესის დაწყება (ეკონომიკური სანქციების, დიპლომატიური პრესინგისა და სხვა მეთოდებით);

- ქვეყანაში დესტაბილიზაციის კერების შექმნა და ამით არსებული ხელისუფლებისადმი საერთაშორისო უნდობლობის პირობების შექმნა;
- პოლიტიკური უფლების შეცვლა ყველანაირი პოლიტიკური ტექნოლოგიების გამოყენებით (სამხედრო გადატრიალება, „დემოკრატიული არჩევნები", ინტერვენცია და ა.შ.)
- ხელისუფლებაში მოსული ახალი მთავრობის მიმართ არასტაბილური პოლიტიკური გარემოს შექმნა, შემდგომში მასზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით, რის თვალსაჩინო მაგალითს შეადგენს ყოფილი იუგოსლავიისა და ავღანეთის მაგალითები (სუსტი ლიდერების კოშტუნიცასა და კარზაის სახით);

ძირითადად „მართული ქაოსის" კონცეფციის განხორციელებას თან უნდა სდევდეს ეთნო ან რელიგიური კონფლიქტების ინსპირირება.

ერთობ საინტერესოა, რომ აღნიშნული სცენარი შეიძლება მალე კავკასიაშიც და, კონკრეტულად, საქართველოშიც განხორციელდეს. ამაზე მიუთითებს ორი ნაკლებად საყურადღებო ფაქტი, რომელიც, ერთმანეთთან ერთის შეხედვით, არ არის დაკავშირებული:

1) 2001 წლის დეკემბერში სენატის საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის ფარგლებში შეიქმნა კავკასიისა და ცენტრალური აზიის საკითხთა სპეციალური ქვეკომიტეტი, რომელიც გაუწევს კოორდინაციას და კონტროლს აშშ-ის საგარეო პოლიტიკური ამოცანების განხორციელებას ამ რეგიონებში;
2) საინტერესო დამთხვევას წარმოადგენს ის გარემოება, რომ საქართველოში დაიწყო მძლავრი ოპოზიციური პოლიტიკური ალიანსის ჩამოყალიბება არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ „ნაციონალური მოძრაობის", და „მოქალაქეთა კავშირის" ე.წ „რეფორმატორების" საფუძველზე, თანაც აღნიშნული პროცესი უფრო დაჩქარდა ამა წლის თებერვალში ამ მოძრაობათა ლიდერების სააკაშვილისა და ჟვანიას ერთობლივი ვოიაჟის შემდეგ და პანკისის ხეობაში ანტიტერორისტული კამპანიის განხორციელების პერსპექტივის ფონზე. ამის ნიადაგზე მეტად საინტერესო მოვლენას შეადგენს ებადაღებული ე.წ „კმარას" პროგრამის ფენომენი, რაც ითვალისწინებს იუგოსლავური ვარიანტის გათამაშებას (სავსებით სამართლიანად) საქართველოში და ლოგიკურად მოიაზრება ზემოთ მოხსენებული ტექნოლოგიების ფარგლებში.

საინტერესოა როგორ განვითარდება მოვლენები უახლოეს მომავალში, რადგანაც თანდათანობით აშშ-ის ადმინისტრაცია სრულად ახორციელებს საკუთარი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტებისა და ტექნოლოგიების რეალიზებას ერაყსა და საქართველოში.

**მალხაზ მაცაბერიძე**
*ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი*

# ამერიკული დემოკრატია და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ფუძემდებლები

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში განსახიერებულია ის იდეები და მისწრაფებები, რომელთა დამკვიდრებასაც ცდილობდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918–1921) თვალსაჩინო მოღვაწეები. 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავებაზე მუშაობდა საქართველოს ეროვნული საბჭოს (საქართველოს პარლამენტის) საკონსტიტუციო კომისია (1918 წ. 6 ივნისი – 1919 წ. 8 მარტი) და დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისია (1919 წ. 18 მარტი – 1921 წლის 21 თებერვალი). შეიძლება დავასახელოთ ის პიროვნებებიც, რომელთაც მნიშნელოვანი წვლილი შეიტანეს კონსტიტუციის შემუშავებაში: ნოე ჟორდანია, პავლე საყვარელიძე, სერგი ჯაფარიძე, სამსონ დადიანი, კონსტანტინე ჯაფარიძე, გიორგი გვაზავა, მიხეილ რუსია, ლევან ნათაძე, იოსებ ბარათაშვილი, აკაკი ჩხენკელი, გიორგი ჩანეიშვილი და სხვები[1].

ორივე საკონსტიტუციო კომისია პარტიული პრინციპით იყო დაკომპლექტებული და საქართველოს იმდროინდელ პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობიდან გამომდინარე, მასში სოციალ-დემოკრატები დომინირებდნენ. საქართველო მსოფლიოში პირველი ქვეყანა აღმოჩნდა, სადაც ხელისუფლების სათავეში სოციალ-დემოკრატიული პარტია მოვიდა. ამიტომ ქართველი სოციალ-დემოკრატები თავიანთ მისიად მიიჩნევდნენ, მთელი მსოფლიოსათვის ეჩვენებინათ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო სანიმუშო დემოკრატიული სახელმწიფო, რომელიც, ერთი მხრივ, დაძლევდა „ბურჟუაზიული დემოკრატიის შეზღუდულობას" და, მეორე მხრივ, გაემიჯნებოდა ბოლშევიკების ანტიდემოკრატიულ ექსტრემიზმს. ჯერ კიდევ 1918 წლის ივნისში საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ საკონსტიტუციო კომისიის შექმნასთან დაკავშირებით გაზეთი „ერთობა" წერდა: „უეჭველია... ჩვენი კონსტიტუცია სანიმუშო და მისაბაძი გახდება ყველა ქვეყნის დემოკრატიული სახელმწიფოსათვის"[2].

1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტით საქართველოს სახელმწიფოებრივ ფორმად არჩეული იქნა დემოკრატიული რესპუბლიკა, როგორც „ერთადერთი ნამდვილი და მაღალი ფორმა ხალხური მმართველობის, შეთანხმებული ხალხის ინტერესებთან და მის ცხოველმყოფელ სახელმწიფოებრივ ნებისყოფასთან"[3]. კონსტიტუციაში უკვე კონკრეტულად უნდა განსაზღვრულიყო, თუ რა სახეს მიიღებდა დემოკრატიული რესპუბლიკა.

1921 წლის კონსტიტუციის ფუძემდებლებმა ყურადღებით შეისწავლეს იმდროინდელ მსოფლიოში არსებული დემოკრატიული რესპუბლიკის სამივე ძირითადი ტიპი, როგორც თვითონ უწოდებდნენ, შვეიცარული უშუალო დემოკრატია, ამერიკული „ხელმწიფებაგანაწილებული" დემოკრატია, ფრანგული საპარლამენტო დემოკრატია.

რომელიმე მათგანის პირდაპირი გადმოღება ქართულ სინამდვილეში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურებმა მიუღებლად მიიჩნიეს. ამასთან, ამერიკული „ხელმწიფებაგანაწილებული დემოკრატია", საკონსტიტუციო

კომისიის აზრით, უფრო მიუღებელი იყო საქართველოსათვის, „ვიდრე სხვა დემოკრატიული კონსტიტუცია". საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის პ.საყვარელიძის სიტყვით, ამერიკული სისტემა სრულიად განსხვავდებოდა საქართველოს საკონსტიტუციო ჩვეულებისაგან. „ჩვენ მივეჩვიეთ იმას, რომ ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლება გვაქვს, ერთი საერთო წყარო ხელმწიფებისა". 1921 წლის კონსტიტუციის ფუძემდებელთა აზრით, „ხელმწიფების განაწილება" ეწინააღმდეგებოდა „პარლამენტის სრულხელისუფლებიანობის" პრინციპს. ამასთან დაკავშირებით რ.არსენიძე აღნიშნავდა: „სრული ხელისუფლება პარლამენტის ხელში უნდა იყოს, რომელიც ხალხის ნებით უნდა იყოს შეზღუდული". საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებათა დამოუკიდებლობა დაარღვევდა „სახელმწიფოს ერთიანობას. ეს იქნებოდა მუდამ ბრძოლა სხვადასხვა სახელმწიფო ხელისუფლებათა შორის".

საქართველოში უკვე დამკვიდრებული იყო და, ამასთან, ხელისუფლების ორგანიზაციის თვალსაზრისით ყველაზე უფრო მისაღებად მიაჩნდათ ე.წ. „ფრანგული სისტემა", რომლესაც „ხალხი კანონმდებლობს დემოკრატიულად არჩეული პარლამენტის საშუალებით, ხოლო მთავრობა დაკავშირებულია პარლამენტთან თავის წარმოშობით და მის წინაშე პასუხისმგებლობით". მიუღებლად მიიჩნიეს წმინდა საპარლამენტო დემოკრატიაც, რადგან მთელი ხელისუფლება აქ თავმოყრილია პარლამენტის ხელში და მისი განხორციელება საქართველოში იქნებოდა „შეზღუდვა ხალხის უფლებისა".

ზემოთ აღნიშნული მოსაზრებებიდან გამომდინარე, კონსტიტუციის პროექტს საფუძვლად დაედო დემოკრატიული რესპუბლიკის შერეული, კომპრომისული მოდელი: უცვლელად დატოვეს უკვე დამკვიდრებული სახელმწიფოებრივი პრაქტიკა — საპარლამენტო დემოკრატია, ე.ი. „არჩევა პარლამენტის მიერ მთავრობის თავმჯდომარისა და შემდეგ თავმჯდომარის მიერ შედგენა პარლამენტარულ მთავრობისა". ხოლო „ხალხის თვითმპყრობელობის" უზრუნველყოფის მიზნით, მას შეუერთეს პირდაპირი დემოკრატიის ზოგიერთი ინსტიტუტი. კერძოდ, რეფერენდუმი — „ხალხის მოთხოვნა, რომ მას გადასცეს კანონი დასადასტურებლად" და სახალხო ინიციატივა — რომ „ესა თუ ის კანონპროექტი განხილულ იქნეს".

მაშასადამე, ერთი მხრივ, მკვიდრდებოდა საპარლამენტო დემოკრატია. მეორე მხრივ, რეფერენდუმ-ინიციატივის სისტემის შემოღებით, მთავრობის თავმჯდომარის ყოველწლიური არჩევით, მისთვის რესპუბლიკის წარმომადგენლის როლის მინიჭებით, ერთი და იგივე პირის მთავრობის თავმჯდომარის ადგილზე არჩევის შეზღუდვით და სხვ., კონსტიტუცია რამდენადმე უახლოვდებოდა შვეიცარული ტიპის დემოკრატიას. როგორც პ.საყვარელიძე აღნიშნავდა, „საქართველოს კონსტიტუციას შეუძლია შეითვისოს პარლამენტარული დემოკრატიის მმართველობა. მაგრამ მან ამასთან ერთად უნდა შეითვისოს ის კონსტიტუციური გარანტიები, რომელსაც იძლევა შვეიცარული დემოკრატია. ამ ორი ტიპის დემოკრატიის პრინციპების ფრთხილი შეთანხმება და შეზავება მოგვცემს საქართველოს რესპუბლიკისათვის საუკეთესო კონსტიტუციას. ასეთი კონსტიტუცია დაზღვეული იქნება ორი დემოკრატის უარსაყოფი და მიუღებელი მხარეებისაგან, მატარებელი იქნება ორივე დემოკრატიის დადებითი თვისებებისა"[4].

დემოკრატიის ამერიკული მოდელი 1921 წლის კონსტიტუციის ფუძემდებელთათვის მიუღებელი იყო ფედერალისტური სისტემის გამოც. საქართველოში იქმნებოდა უნიტარული დემოკრატიული რესპუბლიკა. ჩვენი ქვეყნის პირობებიდან

გამომდინარე, მიუღებლად მიაჩნდათ ფედერალიზმის პრინციპი, რასაც ემყარებოდა დემოკრატიული რესპუბლიკა შვეიცარიასა და აშშ-ში. კონსტიტუციის ფუძემდებელთა აზრით, საქართველოს ფედერაციული მოწყობა გაუმართლებელი იყო „ჩვენი ხალხის ან ჩვენი სახელმწიფოს ტერიტორიის რაოდენობისა და სივრცის თვალსაზრისითაც", ამას ხელს არ უწყობდა „არც ჩვენი ისტორიულ-კულტურული ტრადიცია და უცილებრივი შემეცნება", ფედერალიზმს გამორიცხავდა „ჩვენი ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობაც"[5] .

აღსანიშნავია, რომ საქართველოს უნიტარულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას ცალსახად დაუჭირეს მხარი ფედერალისტებმაც. მაგალითად, საკონსტიტუციო კომისიის 1919 წლის 2 ივლისის სხდომაზე, როდესაც განიხილებოდა საკითხი – „ფედერალური უნდა იყოს ჩვენი სახელმწიფო თუ არა", სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წარმომადგენელმა ი.ბარათაშვილმა განაცხადა: „მე დღეს ვუჭერ მხარს უნიტარულ სახელმწიფოს, თუმცა ფედერალისტი ვარ". მისი სიტყვით, ეს აუცილებელი იყო, „ვიდრე ქართველი ერი არ ჩამოყალიბებულა და არ იგრძნობს თავის თავს"[6].

1921 წლის კონსტიტუციის ფუძემდებელთათვის დემოკრატიის ამერიკული მოდელის მიუღებლობას განაპირობებდა აგრეთვე პრეზიდენტის ძლიერი ინსტიტუტის არსებობა. ქართველი სოციალ-დემოკრატებისათვის და, საერთოდ, სოციალისტური პარტიებისათვის დემოკრატიის განსახიერებას წარმოადგენდა, ერთი მხრივ, ხელისუფლების მაქსიმალური თავმოყრა არჩევითი ორგანოს – პარლამენტის – ხელში და, მეორე მხრივ, აღმასრულებელი ხელისუფლების კოლეგიურობის უზრუნველყოფა.

დემოკრატიულობის ამგვარ გაგებას, მრავალი სოციალისტის აზრით, ვერ უთავსდებოდა პრეზიდენტის ინსტიტუტის არსებობა. თუმცა, სოციალისტ-ფედერალისტებისა და ესერებისაგან განსხვავებით, სოციალ-დემოკრატებს ამ საკითხში ერთიანი პოზიცია არ ჰქონდათ. მათი ნაწილი წინააღმდეგი იყო საერთოდ პრეზიდენტის ინსტიტუტის არსებობისა, ნაწილს კი, ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების საჭიროებაზე მითითებით, შესაძლებლად მიაჩნდა არა პრეზიდენტობის ამერიკული მოდელის, არამედ პარლამენტის მიერ არჩეული პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღება.

სოციალისტური პარტიებისაგან განსხვავებით, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია გადაჭრით ასაბუთებდა ძლიერი საპრეზიდენტო ხელისუფლების არსებობის საჭიროებას. გაზეთი „კლდე" ჯერ კიდევ 1918 წელს წერდა, რომ საქართველოს რესპუბლიკაში ნიმუშად უნდა მიეღოთ აშშ-ის პრეზიდენტობის ინსტიტუტი[7].

1920 წელს დამფუძნებელი კრების მიერ კონსტიტუციის პროექტის განხილვის დაწყებასთან დაკავშირებით, ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ წამოაყენა შესწორებები, რომელთა მიღების შემთხვევაში საქართველოში უნდა დამკვიდრებულიყო პრეზიდენტის თანამდებობა. ეროვნულ-დემოკრატთა თანახმად, კონსტიტუციის პროექტის 74-ე მუხლი შემდეგნაირად უნდა ჩამოყალიბებულიყო: „აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის რესპუბლიკის მთავრობას. რესპუბლიკის მთავრობას შეადგენენ: ა) პრეზიდენტი რესპუბლიკისა და ბ) პასუხისმგებელი მინისტრები". 75-ე მუხლი კი შემდეგნაირად უნდა შეცვლილიყო: „რესპუბლიკის პრეზიდენტს ირჩევს ხალხი ხუთი წლის ვადით, ის უნდა იყოს საქართველოს მკვიდრი მოქალაქე და შესრულებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 40 წლისა"[8].

პრეზიდენტის ინსტიტუტის საჭიროებასთან დაკავშირებით მიმდინარე ცხარე დავაში გადამწყვეტი აღმოჩნდა ნოე ჟორდანიას პოზიცია, რომლის აზრითაც,

გარკვეული ვადით არჩეულ მთავრობის თავმჯდომარეს უნდა დაკისრებოდა პრეზიდენტის ზოგიერთი ფუნქციის შესრულება. ნოე ჟორდანიას აზრით, ეს იყო „კომპრომისი დემოკრატიზმსა და პარლამენტარიზმს შორის", ამავე დროს, ასეთი სისტემა უზრუნველყოფდა აღმასრულებელი ხელისუფლების სიმტკიცეს. 1921 წლის კონსტიტუციის თანახმად, მთავრობის თავმჯდომარეს ერთი წლის ვადით ირჩევდა პარლამენტი, ხოლო ერთი და იმავე პირის მთავრობის თავმჯდომარედ არჩევა მხოლოდ ორჯერ იყო დასაშვები. ეს შეზღუდვა, ისევე როგორც პრეზიდენტის თანამდებობის უარყოფა, იმდროინდელი სოციალისტების უმრავლესობის აზრით, აუცილებელი იყო მაქსიმალური დემოკრატიულობის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში პრეზიდენტობის ინსტიტუტის საჭიროების თაობაზე მიმდინარე კამათის თავისებურ შეჯამებას წარმოადგენდა გრიგოლ ლორთქიფანიძის სიტყვები, რომელიც 1925 წელს, სუზდალის საპყრობილეში მყოფი, აანალიზებდა რა წარსულს, შეცდომად მიიჩნევდა 1921 წლის კონსტიტუციით პრეზიდენტის თანამდებობის უარყოფას: „უნდა გადაჭრით ითქვას, რომ ეს გადაწყვეტილება მეტად მწიგნობრული და დოგმატური იყო. ესაოდა თითქოს ყველა დემოკრატიებზე უფრო დემოკრატობა დაგვემტკიცებია და თანაც მონარქიზმის საფრთხიდან თავი დაგვეზღო". მისი სიტყვებით, „თუ სადმე კი არის საჭირო საკმაო უფლებით აღჭურვილი პრეზიდენტი, ეს გახლავთ სწორედ საქართველო, რომელიც დღეს იმყოფება გამთლიანების პროცესში, სადაც გადაჭარბებული პარტიულ-პოლიტიკური და სხვა სახის პარტიკულარიზმი უფრო ფეოდალურ-ტომობრივ ნაშთის ელფერს ატარებს, ვიდრე კანტონალური დემოკრატიის იერს და სადაც სახელმწიფოს მთლიანობისა და სიმტკიცის ემბლემა და ფაქტი მეტის რეალობით უნდა იხატებოდეს. პრეზიდენტი დაახლოებით ამერიკა-გერმანიის პრეზიდენტის უფლებებით აღჭურვილი, სრულიად აუცილებელი და მიზანშეწონილია საქართველოსათვის"[9].

## გამოყენებული ლიტერატურა


1. მ. მაცაბერიძე. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პოლიტიკური კონცეფცია. თბ., ცოდნა, 1996.
2. "ერთობა", 7.VII.1918.
3. "საქართველოს რესპუბლიკა", 13.II.1920.
4. "საქართველოს რესპუბლიკა", 4.II.1920.
5. "საქართველოს რესპუბლიკა", 1.II.1920.
6. სცსსა, ფ.1833, აღწ.1, საქ.181, ფურც.301.
7. მ. მაცაბერიძე. პრეზიდენტის ინსტიტუტის საკითხი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921). – კრებ.: პრეზიდენტის ინსტიტუტი საქართველოში. თბ., საქ.მეცნ.აკად. პოლიტოლოგიის ინსტიტუტი. თბ., 2000, გვ.71-89.
8. სცსსა, ფ.1833, აღწ.1, საქ.191, ფურც.37.
9. გრ. ლორთქიფანიძე. ფიქრები საქართველოზე. თბ.: თსუ გამომც., 1995, გვ.275.

**ელისო მაჩიტიძე**
*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დოცენტი*

# ამერიკა-თურქეთის ურთიერთობის ისტორიიდან

თურქეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკაში პრიორიტეტული მიმართულებაა ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან და მონაწილეობა ნატოში. სამხედრო-პოლიტიკურ თანამშრომლობას შეერთებულ შტატებსა და ნატოსთან თურქეთში განიხილავენ როგორც ქვეყნის უსაფრთხოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს[1].

დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე იმ სამხედრო და ეკონომიკურ დახმარებას, რომელსაც ამერიკა უწევს თურქეთს. ამ დახმარების შედეგად თურქეთმა შეძლო განევითარებინა ქვეყნის სამხედრო მრეწველობა, აღმოეფხვრა ეკონომიკური სიძნელეები და უზრუნველეყო ქვეყნის შემდგომი ეკონომიკური განვითარება.

ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან თურქეთის დაინტერესება გამოწვეული იყო მისი გეოსტრატეგიული მდებარეობით. ამით აიხსნება ისიც, რომ თურქეთი ერთადერთი განვითარებადი ქვეყანა იყო ნატოს წევრ ქვეყნებს შორის (იგი 1952 წ. გახდა ნატოს წევრი), აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი ერთადერთი ისლამური ქვეყანაა ნატოში. რიცხობრივად მისი შეიარაღებული ძალები მეორე ადგილზეა ნატოში შემავალ წევრ ქვეყნებს შორის აშშ-ის შემდეგ[2].

სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობა თურქეთსა და აშშ შორის დაიწყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

თურქეთი დაკავშირებულია შეერთებულ შტატებთან რიგი სამხედრო პოლიტიკური შეთანხმებებით. მათ შორის ძირითადია 1947 წლის 12 ივლისით დათარიღებული შეთანხმება თურქეთისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ, აგრეთვე თურქეთსა და აშშ-ის შორის 1959 წ. 5 მარტს დადებული შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ[3]. ისინი ეფუძნება „ტრუმენის დოქტრინას" და „მარშალის გეგმას". მეტად მნიშვნელოვანია აგრეთვე 1980 წ. 29 მარტს თურქეთსა და აშშ-ის შორის ანკარაში დადებული შეთანხმება თავდაცვისა და ეკონომიკის სფეროში თანამშრომლობის შესახებ, რომელიც ფორმალურად ნატოს ფარგლებში დაიდო[4]. არსებითად, ეს შეთანხმება კვლავ ადასტურებს სამხედრო და ეკონომიკურ სფეროებში თანამშრომლობის საფუძვლებსა და მის გაფართოებას.

1947 წლის ხელშეკრულება ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ითვალისწინებდა თურქეთისათვის სამხედრო დახმარებას. დიდი ყურადღება ეთმობოდა თურქეთის შეიარაღებული ძალების რეორგანიზაციას. ცივი ომის პერიოდში თურქეთის სამხედრო ძლიერების ზრდას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგან იგი საბჭოთა კავშირის უშუალო მეზობელი იყო. როგორც თურქი მეცნიერი ემრე ქონგარი აღნიშნავს: „ეს ხელშეკრულება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ თურქეთის სამხედრო ძალის ზრდას ისახავდა მიზნად. 1947 წელი თურქეთისათვის როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით ახალი პერიოდის დასაწყისი იყო. ამ თარიღის შემდეგ თურქეთსა და დასავლეთს შორის კავშირები სულ უფრო და უფრო მყარდებოდა. თურქული საზოგადოებრივი აზრი დადებითად

აფასებდა ამერიკასთან ურთიერთობას. ისინი თვლიდნენ, რომ პირველ რიგში ამერიკის დახმარება საიმედო გარანტიაა საბჭოთა საფრთხის წინააღმდეგ. გარდა ამისა, ომის შემდეგ ქვეყანაში არსებული ეკონომიკური სიძნელეები, მომავალში ამერიკის ეკონომიკური დახმარების საშუალებით გადაიჭრებოდა[5].

1947 წლიდან 1960-იანი წლების დასაწყისამდე თურქეთმა ამერიკის შეერთებული შტატებისაგან მიიღო დაახლოებით 3 მილიარდი დოლარი, რომლის უმეტესი ნაწილიც გამოიყენეს სამხედრო მიზნებისათვის. დანარჩენი თანხა კი გამიზნული იყო თურქეთის ეკონომიკური პოტენციალის გაძლიერებისათვის (საგზაო მშენებლობისათვის, მოპოვებითი მრეწველობის განვითარებისათვის, სოფლის მეურნეობის მანქანების იმპორტისათვის, ელექტროსადგურებისა და ნავსადგურების მშენებლობისათვის). უნდა აღინიშნოს, რომ უპირატესობა ენიჭებოდა სამხედრო მიზნებს (სტრატეგიული გზების მშენებლობას, პორტების რეკონსტრუქციას, რათა მათ შეძლებოდათ დიდი რაოდენობის სამხედრო ტვირთების მიღება)[6].

აღსანიშნავია, რომ თურქეთმა როგორც ამერიკის მოკავშირემ მონაწილეობა მიიღო 1950–1953 წლების კორეის ომში. თურქეთმა კორეაში 4 500 კაციანი სამხედრო ბრიგადა გაგზავნა[7].

მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1959 წლის 5 მარტს ამერიკასა და თურქეთს შორის ანკარაში დადებული ხელშეკრულება სამხედრო თანამშრომლობის შესახებ. ხელშეკრულებაში აღნიშნული იყო, რომ მხარეები დაეხმარებიან ერთმანეთს უსაფრთხოების საკითხებში. ხელშეკრულება ითვალისწინებდა აშშ-ის ჩარევას თურქეთის საშინაო საქმეებში, „ირიბი აგრესიის" შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვდა თურქეთის მთავრობა[8].

ხელშეკრულებაში აღნიშნული იყო, რომ აშშ თურქეთის ტერიტორიულ მთლიანობას განიხილავს, როგორც მის ეროვნულ ინტერესს. ვაშინგტონს უფლება ეძლეოდა თურქეთის ტერიტორიაზე ჰქონოდა სამხედრო ბაზები, ძირითადად, სამხედრო-ტექნიკური დაზვერვისათვის და სამხედრო საჰაერო ბაზა ინჯირლიქში (ადანა), ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე[9] .

1974–1975 წლებში მკვეთრად გამწვავდა თურქეთის ურთიერთობა აშშ-სა და ნატოსთან კვიპროსის კრიზისის გამო. 1974 წლის ივლისში თურქეთის მთავრობამ კვიპროსზე ენოზისის საფრთხისა და ბერძენი სამხედროების მიერ კუნძულის სრული ოკუპაციის წინააღმდეგ მიიღო კვიპროსზე თურქული ჯარების შეყვანის გადაწყვეტილება. 20 ივლისს თურქეთმა იქ თავისი ჯარები გადასხა და მოახდინა კუნძულის ტერიტორიის დაახლოებით 38%-ის ოკუპაცია[10]. იმის გამო, რომ თურქეთმა, რომელიც იყო ნატოს წევრი, გამოიყენა ნატოს მიერ მიწოდებული იარაღი ნატოს მეორე წევრის – საბერძნეთის მიმართ (1974 წ. 31 აგვისტოს პროტესტის ნიშნად საბერძნეთი გამოვიდა ნატოს შემადგენლობიდან), ამერიკამ თურქეთს შეუწყვიტა დახმარება და ემბარგო დააწესა მისთვის იარაღის მიწოდებაზე. აშშ-ის კონგრესმა ოქტომბერში მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც თურქეთს შეუწყდა სამხედრო დახმარება და იარაღის მიყიდვა. აშშ ადმინისტრაცია წინააღმდეგი იყო ასეთი გადაწყვეტილებისა, რის შედეგადაც ემბარგო ძალაში შევიდა მხოლოდ 1975 წ. 5 თებერვალს[11]. კვიპროსზე თურქული თემის ლიდერებმა 1975 წლის 13 თებერვალს თურქეთის ჯარების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე გამოაცხადეს ე.წ. „კვიპროსის თურქეთის ფედერაციული სახელმწიფოს" შექმნა. თურქეთში მიაჩნდათ, რომ კვიპროსის საკითხის გარდა აშშ-ის კონგრესის მიერ ემბარგოს შემოღების ერთ-ერთი მიზეზი იყო კონფლიქტი ოპიუმის ყაყაჩოს წარმოების თაობაზე[12] .

ამერიკის კონგრესის ამ გადაწყვეტილებების პასუხად თურქეთის მთავრობამ 1975 წლის 26 ივლისს დროებით შეწყვიტა ამერიკული ბაზების საქმიანობა (ამერიკა–თურქეთის ერთობლივი თავდაცვის ბაზები) და ისინი თურქეთის შეიარაღებული ძალების კონტროლს დაუქვემდებარა. იმავდროულად, თურქეთმა განაცხადა, რომ 1969 წლის 3 ივლისის ხელშეკრულება აშშ-სა და თურქეთს შორის ერთობლივი თავდაცვისა და თანამშრომლობის შესახებ დაკარგა ძალა ამერიკის პოზიციის გამო. ამგვარად, თურქეთის მთავრობა დაადგა აშშ-ზე ეფექტური ზემოქმედების გზას. მან გაითვალისწინა, რომ თურქული ბაზები მნიშვნელოვანია ამერიკელთა სტრატეგიული ინტერესებისათვის სადაზვერვო საქმიანობის საწარმოებლად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში ფუნქციონირებდა ნატოს ბაზები, თურქეთის მთავრობა მის საქმიანობას არანაირად არ ზღუდავდა. ამერიკის ადმინისტრაციის ძლიერი და ხანგრძლივი ზემოქმედებით, რადგან გაითვალისწინა თურქეთში ნატოს ბაზების სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა, აშშ-ის კონგრესმა 1975 წლის 2 ოქტომბერს მიიღო გადაწყვეტილება ემბარგოს ნაწილობრივ გაუქმების შესახებ.

საერთო სამხედრო სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, უთანხმოების ლიკვიდაციის, სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის მიზნით შეერთებულმა შტატებმა და თურქეთმა დაიწყეს მოლაპარაკებები ახალ შეთანხმებაზე. თურქეთი ცდილობდა, რომ მისთვის გაეზარდათ სამხედრო-ეკონომიკური დახმარება და, რომ აშშ-ის კონგრესს არ შეძლებოდა ხელი შეეშალა ამ შეთანხმების განხორციელებისათვის. ამერიკა კი, თავის მხრივ, ცდილობდა, რომ ამ შეთანხმებას მისთვის მიეცა გარანტია, რათა ხანგრძლივი დროის განმავლობაში მის სამხედრო ბაზებს შეუფერხებლად ემოქმედათ თურქეთში. ახალ შეთანხმებას თავდაცვის დარგში თანამშრომლობის შესახებ ხელი მოაწერეს 1976 წლის 26 მარტს. ამ შეთანხმებით თურქეთს უნდა მიეღო სამხედრო დახმარება და ოთხი წლის განმავლობაში მიეწოდებოდა 1366 მლნ დოლარის იარაღი, მაგრამ, რადგანაც ბერძნულ-თურქულ კონფლიქტში არ იყო სასიკეთო ძვრები, ბერძნული ლობის გავლენით, აშშ-ის კონგრესმა არ მოახდინა ამ შეთანხმების რატიფიკაცია[13].

1970-იანი წლების ბოლოს მომხდარმა მოვლენებმა (1979 წლის ირანის ისლამურ რესპუბლიკად გამოცხადება და ავღანეთში საბჭოთა ჯარების შესვლა) გავლენა მოახდინა თურქეთის მოკავშირეებზე, რომლებმაც საჭიროდ სცნეს თურქეთისათვის უფრო მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სამხედრო დახმარების აღმოჩენა. ამიერიდან ირანი აღარ იყო ამერიკის საყრდენი პუნქტი ახლო და შუა აღმოსავლეთში. აშშ იძულებული იყო სასწრაფოდ მოეძებნა რეგიონში თავისი პოზიციების აღდგენის შესაძლებლობა. ამას მოუწოდებდა ნატოს ხელმძღვანელობაც. ნატოს გენერალურმა მდივანმა ი. ლუნსმა ნატოს საბჭოს სესიაზე აღნიშნა, რომ თურქეთი ყველაზე მნიშვნელოვანი ქვეყანაა ნატოს სამხრეთ ფლანგზე. ის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა ირანში მომხდარი პოლიტიკური ცვლილებების შემდეგ[14]. ავღანეთში საბჭოთა ჯარების შეყვანას ნატო განიხილავდა, როგორც სპარსეთის ყურეში სერიოზული „საბჭოთა მუქარის“ შესაძლებლობას. ამ რეგიონიდან ნატოს ევროპელი წევრები ღებულობდნენ მათთვის აუცილებელ ნავთობს და იგი აშშ-მა გამოაცხადა „თავისი სასიცოცხლო ინტერესების ზონად“[15].

აშშ იძულებული იყო სასწრაფოდ მოეძებნა რეგიონში თავისი პოზიციების აღდგენის შესაძლებლობა. მოლაპარაკებები თურქეთთან ახალი შეთანხმების

თარბაზე მიმდინარეობდა 1979 წლის იანვრიდან. თურქეთი მოითხოვდა ეკონომიკური დახმარების მნიშვნელოვან გაზრდას[16].

1980 წლის 29 მარტს ამერიკამ და თურქეთმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას თავდაცვისა და ეკონომიკის დარგში თანამშრომლობის შესახებ. აღნიშნული ხელშეკრულება ძალაში შევიდა 1980 წლის 17 დეკემბერს. აღნიშნული ხელშეკრულება ამაგრებს აშშ სამხედრო-პოლიტიკურ პოზიციებს ახლო და შუა აღმოსავლეთში და კიდევ უფრო ამტკიცებს აშშ-ის ინტერესებს თურქეთის რეგიონში[17].

აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ 1982 წლის იანვარში საქმიანობა დაიწყო თურქულ-ამერიკულმა ჯგუფმა თავდაცვის დარგში თანამშრომლობისა და თურქეთის სამხედრო პოტენციალის გაძლიერებისათვის. 1982 წლის 29 ნოემბერს აშშ-მა და თურქეთმა ხელი მოაწერეს „თანხმობის მემორანდუმს". ამ დოკუმენტის მიზანია თურქეთის აღმოსავლეთ ნაწილში არსებული სამხედრო ობიექტების მოდერნიზაცია და ახალი სამხედრო ობიექტების მშენებლობა[18].

ამერიკის სტრატეგიაში თურქეთის მნიშვნელობის ზრდასთან ერთად გაიზარდა (განსაკუთრებით 1970–იანი წლების ბოლოდან) ამერიკის სამხედრო დახმარება თურქეთისადმი. თუ 1978–1979 წლებში ის იყო 175 მლნ დოლარი წელიწადში, 1984 წელს მან შეადგინა 718,1 მლნ (საჩუქრის სახით 130 მლნ), 1985 წელს – 703,1 მლნ (საჩუქარი 215 მლნ), 1986 წელს – 618,4 მლნ დოლარი (საჩუქარი 205,7 მლნ დოლარი), 1987 და 1988 წლებში წელიწადში 490 მლნ დოლარი. სულ ამ დახმარებამ 1981–1988 წლებში გადააჭარბა 4 მლრდ დოლარს[19].

უნდა აღინიშნოს, რომ 1991 წელს ერაყის წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო ოპერაციის – „უდაბნოს ქარიშხლის" დროს, თურქეთი აშშ-ს უჭერდა მხარს[20].

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, თურქეთი ცდილობს მომხდარი გეოპოლიტიკური ცვლილებების გათვალისწინებით დაიმკვიდროს ადგილი თანამედროვე მსოფლიოში და შეასრულოს წამყვანი სახელმწიფოს როლი რეგიონში.

საყურადღებოა ისიც, რომ თურქეთს ურთიერთობა აქვს როგორც შტატებთან და დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან, ასევე კავკასიისა და შუა აზიის ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან, აღმოსავლეთის ისლამურ სახელმწიფოებთან. თურქეთის სახელმწიფო მოღვაწეები ხშირად აცხადებენ, რომ თურქეთი არის „ხიდი" დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის და, რომ მისი ურთიერთობა დასავლეთთან და ისლამურ სახელმწიფოებთან ავსებს ერთმანეთს.

როგორც აღვნიშნეთ, თურქეთის როლი ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაში განპირობებულია, თურქეთის მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობით.

თავის მხრივ, თურქეთის სამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობა არა მხოლოდ მისი სამხედრო ძლიერებით, არამედ მისი გეოგრაფიული მდებარეობითაც შეიძლება აიხსნას. ამდენად, თურქეთს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარების სტრატეგიაში.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Турецкая Республика. Справочник. М., 1990, с.58.
2. ნ. კომახიძე. მეზობელო კარისაო... საქართველო თურქეთის ურთიერთობის თვისებრივად ახალი ეტაპი. თბილისი, 1994, გვ.16.

3. Поцхверия Б.М. Внешняя политика Турции после второй мировой войны. М., 1976, с.63-75.
4. F.Armaoðlu. 20. yüzyil siyasi Tarihi 1980-1990. Cilt: II. Ankara, 1992, s.304-305.
5. E. Kongar 21. Yüzyilda Türkiye. 2000'li Yillarda, Türkiye'nin Toplumsal Yapisi. Istanbul, 1999. s.458.
6. А.Новичев. Турция. Краткая история. Москва, 1965, с.203.
7. Temel Britanica. Cilt 18, Temel eðitim ve kultür ansiklopedisi. Hürriyet. Istanbul, 1993 s.88.
8. А.Новичев, указ. соч., с.205.
9. Страны мира. Москва, 1999, с.419.
10. Б.Поцхверия. Внешняя политика Турции в 60-х-начале 80-х годов XX в. М., 1986, с.155-159.
11. В.Шмаров. Особенности политики империализма в Восточном Средиземноморье. М., 1986, с.86-87.
12. Там же, с.86; Б.Поцхверия. Внешняя политика Турции в 60-х-начале 80-х годов XX в., с.131-132.
13. Б.Поцхверия. Турция в системе международных отношений. Проблемы развития стран современного Ближнего и Среднего Востока. М., 1981, с.172; Turkish Foreign Policy Report. 1976, N14, p.5-10.
14. *The New York Times. 18.05.1979.*
15. В.Данилов. Турция 80-х от военного режима до „ограниченной демократии". М., 1991, с.23.
16. *The Financial Times. 18.01.1979.*
17. Страны мира. Москва, 1999, с.208-210; F.Armaoplu. 20. yьzyil siyasi Tarihi 1980-1990. Cilt: II. s.303-304.
18. Б.Поцхверия. Внешняя политика Турции в 60-х-начале 80-х годов XX в. с.216.
19. Турецкая Республика. Справочник. М., 1990, с.60.
20. B.Bostanoðlu. Türkiye–ABD Iliskilerinin Politikas. Ankara, 1999, s.368; Bugünkü Türkye 1980-1995. Istanbul, 1995, s.109.

**ვახტანგ მახარობლიშვილი**
*საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროკავშირთან ურთიერთობის დეპარტამენტის განყოფილების გამგე*

# ამერიკა-ევროკავშირის ურთიერთობები მსოფლიო პოლიტიკის „გზაჯვარედინზე"

1989 წელს ევროპაში ფუნდამენტალური პოლიტიკური ცვლილებები დაიწყო. ამას, 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლა და ცივი ომის დასრულება მოჰყვა. ყოველივე აღნიშნულს უზარმაზარი ზეგავლენა ჰქონდა საერთაშორისო სისტემის სტრუქტურაზე და საერთაშორისო არენაზე ძალაუფლების გადანაწილებაზე. აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის სამოცდაათი წლის იდეოლოგიური ბრძოლის დასასრულმა ზოგიერთ მეცნიერს, როგორიც მაგალითად არის ფ. ფუკუიამა, აღნიშნული პერიოდის „ისტორიის დასასრულად" („End of History") მონათვლაც კი შთააგონა. ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა, თავის ერთ-ერთ გამოსვლაში განაცხადა, რომ „დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული სახელმწიფოები ერთმანეთს თავს არ ესხმიან".

საერთაშორისო ასპარეზზე ასეთმა ფუნდამენტალურმა ცვლილებებმა ლიბერალური და რეალისტური თეორიების გადახედვა და გადასინჯვა გამოიწვია. საბჭოთა ბლოკის დაშლამდე ეს ორი თეორია საერთაშორისო პოლიტიკაში მონაცვლეობით ძლიერდება. ლიბერალური აზროვნება პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დომინირებდა. ლიბერალიზმის მიმდევარი,როგორიც იყო ვ. უილსონი, საერთაშორისო მშვიდობის გარანტად „კოლექტიურ უსაფრთხოებას" მიიჩნევდა და პოლიტიკას განსაზღვრავდა, როგორც ბრძოლას კონსენსუსის მისაღწევად და არა როგორც ბრძოლას ძალაუფლებისა და პრესტიჟისათვის. მეორე მსოფლიო ომის გარდაუვალობამ ლიბერალიზმის მიმართ სერიოზული კრიტიკა გამოიწვია და რეალისტური თეორიის აღზევებას დაუდო საფუძველი. რეალისტური აზროვნების მიმდევრის ტ. ჰობსის აზრით, საერთაშორისო პოლიტიკა იყო ბრძოლა ძალაუფლებისთვის - „ყველას ომი, ყველას წინააღმდეგ".

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიო პოლიტიკას ორი ზესახელმწიფო ამერიკა და საბჭოთა კავშირი აკონტროლებდნენ. საბჭოთა კავშირის დაშლისა და ცივი ომის დასრულების შემდეგ საერთაშორისო პოლიტიკის მართვის სადავეები მხოლოდ ამერიკის ხელში აღმოჩნდა. ბევრი მეცნიერის აზრით, საერთაშორისო ურთიერთობების ასეთი განვითარება უნიკალურ შანსს აძლევდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას თავისი ღირსება და პატივი აემაღლებინა, თუმცა მისმა უუნარობამ საერთაშორისო კონფლიქტების სიტუაციებში (ბალკანეთის კრიზისი) და შეერთებული შტატების ცალხმრივმა (unilateral) პოლიტიკამ, გაერო-ს ასეთი შანსი არ მისცა. 1991 წელს, როცა შეერთებულმა შტატებმა ტრიუმფით გაიმარჯვა სპარსეთის ყურის ომში, მსოფლიომ ნათლად დაინახა, რომ აშშ იყო ერთადერთი ქვეყანა სამხედრო, დიპლომატიური, პოლიტიკური და ეკონომიკური შესაძლებლობებით, რომელსაც შეეძლო შეესრულებინა გადამწყვეტი როლი ნებისმიერ კონფლიქტში დედამიწის ნებისმიერ რეგიონში. აშშ-ის ეკონომიკა

ორჯერ აღემატება სიდიდით მეორე, იაპონიის ეკონომიკას, ხოლო შეერთებული შტატების სამხედრო დანახარჯები სხვა დანარჩენი დიდი სახელმწიფოების ანალოგიურ დანახარჯებს ერთად აღებულს აჭარბებს. მიუხედავად ამერიკის შეერთებული შტატების ჰეგემონიისა, ბევრი მეცნიერის აზრით, მისი ჰეგემონია უფრო ნაკლებ დროს გასტანს, ვიდრე აქამდე ვარაუდობდნენ და ამის მიზეზი იქნება არა ჩინეთი, როგორც ზოგ მეცნიერს ჰგონია, არამედ ევროკავშირი, რომელიც ამ კონტინენტის სახელმწიფოების რესურსებისა და ისტორიული ამბიციების უპრეცედენტო აკუმულირების ადგილს წარმოადგენს.

ევროკავშირის შექმნის ისტორია მეორე მსოფლიო ომის დასასრულს უკავშირდება, როცა ევროპული სახელმწიფოების ინტეგრაცია უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა კონტინენტზე მშვიდობისა და უსაფრთხოების დამყარებისათვის. ყოველივე ეს კარგად ესმოდა ამერიკის შეერთებულ შტატებსაც, რომელმაც 30 წლის მანძილზე ორჯერ მიიღო მონაწილეობა ევროპის კონტინენტზე გამართულ ომებში და რომელსაც „იზოლაციონისტური პოლიტიკის" გატარებამ კარგი არაფერი მოუტანა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე 1950-იანი წლების დასაწყისში აშშ-მა წამოიწყო მისი ალბათ ყველაზე პოპულარული საერთაშორისო ინიციატივა, რომელიც მარშალის გეგმით არის ცნობილი და, რომელიც ევროპისთვის დიდძალ ფინანსურ დახმარებას ითვალისწინებდა. ძლიერი ევროპა ამერიკისთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა არა მხოლოდ ეკონომიკური თვალსაზრისით, არამედ ინტეგრირებული ევროპა წინ უნდა აღსდგომოდა იმ საფრთხესაც, რომელიც ცივი ომის დაწყებითა და საბჭოთა იმპერიის შექმნით იყო მოსალოდნელი.

ბერლინის კედლის დანგრევისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საფრთხე და აგრესია, რომელიც აღმოსავლეთიდან მოდიოდა, შემცირდა და შემდგომ საერთოდ გაქრა, რამაც ევროკავშირის ვაშინგტონზე დამოკიდებულება უსაფრთხოების სფეროში საგრძნობლად შეამცირა. თუმცა, თავისივე კონტინენტზე კონფლიქტების მოგვარების უუნარობამ, ევროკავშირი მალევე დაარწმუნა, რომ მხოლოდ ეკონომიკური სიძლიერე მას საერთაშორისო ასპარეზზე ზესახელმწიფოდ ვერ ჩამოაყალიბებდა.

1991 წელს ქ. მაასტრიხტში ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა ევროკავშირის ერთიან საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანეს. მაასტრიხტის შეთანხმების რატიფიცირებით, წევრმა სახელმწიფოებმა ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ინსტიტუციონალიზაცია განახორციელეს - ევროკავშირის ისტორიაში პირველად განისაზღვრა ევროპის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა (Common Foreign and Security Policy). ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის განვითარების შემდგომ მნიშვნელოვან ნაბიჯს ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენლის ინსტიტუტის შემოღება იყო, რომელიც 1999 წლის ამსტერდამის შეთანხმებაში აისახა. ეს ყველაფერი ნატო-ს როლს რეგიონში ბუნდოვანს ხდიდა და, რაღა თქმა უნდა, აშშ-ის ინტერესების საპირისპირო იყო.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ევროკავშირის მიერ საგარეო პოლიტიკის მიმართ მეტი ყურადღების დათმობისა, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს თავისი სუვერენული უფლებების დათმობა ძალზედ უმძიმდათ, რაც ორგანიზაციის საგარეო პოლიტიკის არაეფექტურობასა და ერთიანი პოზიციის ჩამოყალიბებას უშლიდა ხელს. ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უუნარობა ნათლად აისახა ბალკანეთის კრიზისის დროს. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირმა და ნატომ ერთობლივად იზეიმეს გამარჯვება, ევროპელები მეტად

დამცირებულნი იყვნენ თავიანთი უსუსურობით და ამერიკის სამხედრო ძალაზე დამოკიდებულებით. ევროკავშირის დამოკიდებულებამ ამერიკის სამხედრო ძალაზე შესაძლებლობა მისცა აშშ-ს სეგაელენა ჰქონოდა არა მარტო ომის წარმართვაზე, არამედ დიდი როლი ეთამაში საერთაშორისო დიპლომატიაში ომამდე, ომის დროს და ომის შემდეგაც. ომის დროინდელი სამხედრო ოპერაციების დიდი ნაწილი განხორციელებული იყო ამერიკის მიერ, დაბომბილი სამიზნეების 99% ნაკარნახევი იყო აშშ-ის დაზვერვის სამსახურის მიერ[1]. ასე რომ, მიუხედავად ევროპის ეკონომიკური სიძლიერისა, ევროპის სამხედრო სისუსტემ განაპირობა მისი დიპლომატიური სისუსტეც და აშშ-თან შედარებით, მკვეთრად შეამცირა ევროკავშირის პოლიტიკური გავლენა თვით ევროპის კონტინენტზეც კი.

ყოველივე ზემოთ ნახსენებმა განაპირობა ის, რომ კოსოვოში საბრძოლო მოქმედებების დამთავრებისთანავე, ევროკავშირმა საკუთარი სამხედრო ფორმირების შექმნის სურვილი გამოაცხადა, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატებისგან დამოუკიდებლად შეძლებდა მოქმედებას.

1999 წელს, ევროკავშირის საბჭოს კიოლნის სამიტზე ევროკავშირის წევრი ქვეყნების ლიდერები შეთანხმდნენ, რომ ევროკავშირმა უნდა შექმნას საკუთარი სამხედრო შენაერთი, რომელსაც ექნება უნარი სხვადასხვა კრიზისულ სიტუაციებში (სამხედრო მოქმედებების ჩათვლით) ევროკავშირის სახელით იმოქმედოს. „ეს უზარმაზარი ნაბიჯია ევროკავშირის ისტორიაში", - განაცხადა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გუნტერ ვერჰეგენმა[2]. 1999 წლის ევროკავშირის საბჭოს ჰელსინკის სამიტზე, ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა აიღეს ვალდებულება, რომ ერთმანეთთან ნებაყოფლობითი თანამშრომლობის გზით, 2003 წლისთვის, შეძლონ კრიზისულ სიტუაციებში არაუმეტეს 60 დღის განმავლობაში თავი მოუყარონ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების 50 ათასიდან 60 ათასამდე სამხედრო პირს (ე.წ. Rapid Reaction Force)[3]. ამასთან ევროკავშირის წევრ ქვეყნებს უნდა შესწევდეთ უნარი, ხსენებული სამხედრო ძალა ერთი წლის განმავლობაში საბრძოლო მზადყოფნაში შეინარჩუნონ.

ამერიკა-ევროკავშირს შორის ურთიერთობების გაცივება, მხოლოდ უსაფრთხოების საკითხებით როდია გამოწვეული. მათ შორის უთანხმოება ბევრ სხვა მნიშვნელოვან საკითხს მოიცავს, როგორიც, მაგალითად, არის გლობალური კლიმატი. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და, კერძოდ, პრეზიდენტ კლინტონის ადმინისტრაციამ აქტიური მოლაპარაკებები აწარმოა 1997 წლის კიოტოს პროტოკოლის მიღებასთან დაკავშირებით, რომელიც გლობალური კლიმატის ცვლილებას ეხებოდა, მაგრამ შემდგომ შეგნებულად არ გაიტანა საკითხი ამერიკის სენატის წინაშე, მისი სენატში აშკარა არაპოპულარობის გამო.

უთანხმოება ამერიკასა და ევროკავშირს შორის წარმოიშვა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს შექმნასთან დაკავშირებითაც, როცა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, აღნიშნულ ინიციატივაში თავისი მონაწილეობის და ბოსნიიდან აშშ-ის ჯარების გამოყვანის ულტიმატუმად, თავისი სამხედროების ბოსნიაში შესაძლო დანაშაულებებისთვის გასამართლებისაგან იმუნიტეტი მოითხოვა.

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკასა და ევროკავშირს ერთმანეთთან მსოფლიოში ყველაზე დიდი ეკონომიკური ურთიერთობები აკავშირებთ, ნიშანდობლივია მათ შორის არსებული მრავალი ეკონომიკური დაპირისპირებაც. დღევანდელისათვის „აერობუსმა" უკვე ჩამოართვა „ბოინგს" მსოფლიოს წამყვანი ავიაინდუსტრიული

კონცერნის სტატუსი. მობილური ტელეფონების წარმოებაში ლიდერობა ასევე ევროპულმა ნოკიამ ჩაიგდო ხელთ.

მართალია ამ ორმა ეკონომიკურმა გიგანტმა მრავალ შეთანხმებას მიაღწია ვაჭრობის სფეროში, როგორებიც, მაგალითად, არის შეთანხმებები ტელეკომუნიკაციებისა და ფინანსური მომსახურების სფეროში, ასევე სტანდარტიზაციისა და სერთიფიკაციის სფეროებში, მაგრამ ეს ყველაფერი დაჩრდილა ახალმა დაპირისპირებებმა ისეთ სფეროებში, როგორიც არის ელექტრონული მონაცემების ტრანსმისია, პრივატულობასთან დაკავშირებული აკრძალვები, წესები გენეტიკურად მოდიფიცირებულ ორგანიზმებთან დაკავშირებით და სხვ.

2001 წლის 11 სექტემბერს მოხდა ის, რამაც შეაძრწუნა მთელი მსოფლიო. ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ განხორციელებულმა ტერაქტმა გააერთიანა საერთაშორისო საზოგადოება. მილიონობით ევროპელი გამოვიდა ქუჩაში და სოლიდარობა გამოუცხადა ამერიკელ ხალხს. მიუხედავად მრავალი უთანხმოებისა, ტერაქტმა ატლანტიკის ორივე მხარეს ნათლად დაანახა ის ფასეულობები და ინტერესები, რომლებიც მათ დღემდე აკავშირებთ. ფრანგულმა გაზეთმა „Le Monde"-მა, რომელიც ამერიკის მიმართ სიმპათიებით ნაკლებად გამოირჩევა, გამოაქვეყნა სტატია, სათაურით - „ჩვენ ყველანი ამერიკელები ვართ"3. სწორედ საფრანგეთი იყო ის ქვეყანა, რომელიც აშშ-ის პოლიტიკის ტრადიციული ოპოზიციონერია, რომელმაც მეორე დღესვე (12 სექტემბერს) მიმართა გაერო-ს უშიშროების საბჭოს, რათა მას შეემუშავებინა რეზოლუცია, რომელიც დაგმობდა ტერორისტულ აქტს და გამოაცხადებდა მას, როგორც „საფრთხეს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროებისთვის", რაც გაერო-ს ქარტიის მეშვიდე თავით არის გათვალისწინებული და სამხედრო ძალის გამოყენებას გულისხმობს.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ევროპელების ამერიკელებისადმი ასეთი თანადგომა გამოწვეული იყო მხოლოდ და მხოლოდ მეგობრული თანაგრძნობით და არ ჰქონდა კავშირი თვით ევროპის ინტერესთან. ექსპერტების თქმით, სწორედ ერთობლივი რისკისა და პასუხისმგებლობის არქონამ ევროპელების მხრიდან განაპირობა ის, რომ არ შედგა ამერიკა-ევროკავშირის სტრატეგიული პარტნიორობა, რაც შემდგომ ამერიკისა და ევროკავშირის შეხედულებების დაპირისპირებაში აისახა. თუმცა საგულისხმოა, რომ ამერიკა-ევროკავშირის ურთიერთობების გაუარესების უფრო მნიშვნელოვან მიზეზად, ბევრი მეცნიერის აზრით, ითვლება ის ფაქტი, რომ 11 სექტემბრის ტერაქტით წარმოჩენილმა ტერორიზმის საფრთხემ ევროპელებს იმედი ჩაუსახა, რომ შეერთებული შტატები დაინახავდა ცალმხრივი (unilateral) პოლიტიკის ნაკლოვანებებს და აღმოაჩენდა მრავალმხრივი (multilateral) საგარეო პოლიტიკის სიკეთეებს. ამერიკას უნდა გაეცნობიერებინა, რომ მხოლოდ ერთობლივ ძალისხმევას შეეძლო გლობალური წინააღმდეგობების დაძლევა. ამგვარი მოლოდინის საწინააღმდეგოდ პრეზიდენტმა ბუშმა ირანი, ერაყი და ჩრდილოეთ კორეა „ბოროტების ღერძის" (Axis of Evil) ქვეყნებად გამოაცხადა. ამერიკის ასეთმა რადიკალურმა საგარეო პოლიტიკამ ევროპელების გულისწყრომა დაიმსახურა. ევროკავშირის საგარეო ურთიერთობების დირექტორატის კომისარმა კრის პატენმა აშშ-ის პოლიტიკას ნაკლებად გააზრებული უწოდა. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ვედრინეს სიტყვებით, ამერიკის პოლიტიკა წარმოადგენს პრობლემას, რადგან „ის არ ასახავს ევროპის მსოფლიო ხედვას, ის არ ასახავს ევროპის ხედვას საერთაშორისო ურთიერთობებისა და გლობალიზაციის მიმართ"4.

ევროპელების კიდევ უფრო დიდი გაღიზიანება გამოიწვია ბუშის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებამ მოკავშირეების და გაეროს თანხმობის გარეშე დაეწყო სამხედრო მოქმედებები სადამ ჰუსეინის რეჟიმის წინააღმდეგ. თუმცა, მოგვიანებით, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები გაიყო, რამაც ევროკავშირის ერთობლივი პოზიციის ჩამოყალიბებას შეუშალა ხელი. ევროკავშირის ისეთმა ქვეყნებმა, როგორებიც არიან დიდი ბრიტანეთი, იტალია და ესპანეთი, აქტიური მხარდაჭერა გამოხატეს ერაყში სამხედრო მოქმედებების ჩატარებასთან დაკავშირებით.

მსოფლიოს ორი გიგანტური ძალის ურთიერთობების გაცნობამ, ნათლად გვაჩვენა, რომ მათ შორის ურთიერთობა ძალზედ კომპლექსურია და მუდმივი ჰარმონიის მიღწევა პრაქტიკულად შეუძლებელია. თუმცა მათ შორის არსებული მრავალი უთანხმოების მიუხედავად, ნათელია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და ევროკავშირი მომავალშიც მჭიდროდ ითანამშრომლებენ არა მარტო ორმხრივი ურთიერთობების დიდი მნიშვნელობის გამო, არამედ იმიტომაც, რომ მათ სჭირდებათ ერთობლივი ინტერესების დაცვა იმ მსოფლიოში, სადაც დემოკრატიული ფასეულობები და ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრება ჯერ კიდევ შორსაა რეალობიდან.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Charles W, Kegelg, Jr. Eugneer, Wittkopf, World Politics, 2001
2. Desmond Dinan, Ever Closer Union; Second Edition, Palgrave, 1994.
3. Robert Kagan, Paradize and Power, Atlantic Books, 2003.
4. რიჩარდ კუპჩანი, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპის კავშირს შორის განვითარების ანალიზი, საგარეო პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ცენტრი, საგარეო საქმეთა სამინისტრო, თბილისი, 2003.

**მიხეილ მიქელაძე**
*დიპლომატიის და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის მაგისტრი*

# ამერიკელი მეცნიერები ტერორიზმის შესახებ

ტერორიზმი და, მათ შორის, საერთაშორისო ტერორიზმი თანამედროვე მსოფლიოს უმწვავეს პრობლემას წარმოადგენს. მან შეძრა მთელი მსოფლიო და დააფიქრა ამ პრობლემაზე როგორც ცალკეული ქვეყნები, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებიც. მართალია მათ ჩამოაყალიბეს „ანტიტერორისტული კოალიცია“, მაგრამ ამ ქვეყნებს შორის ინტერესთა კონფლიქტი იმდენად სერიოზული და გადაულახავია, რომ მას დაშლის საფრთხე დაემუქრა და არავინ იცის როგორ დაასრულებს ის თავის არსებობას. ამ გაერთიანებას მნიშვნელოვანი საფრთხე შეუქმნა ერაყის კრიზისმა. აღნიშნულის ირგვლივ გაერო-ში წარმოქმნილმა დაპირისპირებამ ცუდი სამსახური გაუწია „ანტიტერორისტული კოალიციის“ არსებობას. ეს სიტუაცია კიდევ უფრო გამძაფრდა და გაღრმავდა მას შემდეგ, რაც შეერთებულმა შტატებმა მოახდინა „გაეროს იგნორირება და ბრიტანეთთან და სხვა ეკონომიკურად სუსტ სახელმწიფოებთან ერთად შექმნა ალტერნატიული კავშირი, რომლის ძალითაც ერაყში საომარი ოპერაციები დაიწყო. თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა ისეთი სახელმწიფოები, როგორიცაა: საფრანგეთი, გერმანია, რუსეთი, ჩინეთი, კანადა და ა.შ. ამ დაძაბული ვითარების ფონზე რუსეთმა საკმაოდ ნათლად და გასაგებად განაცხადა, რომ შეერთებული შტატების პოზიციის გამო ისინი დატოვებდნენ „ანტიტერორისტულ კოალიციას“ და მათ მაგალითს სხვებიც მიბაძავდნენ. ეს კი გამოიწვევს არსებული პოლიტიკური სისტემის ნგრევას და არ არის გამორიცხული პოლიტიკური კატაკლიზმები. თანამედროვე პოლიტიკაში ირაციონალური მომენტების მომძლავრება საგრძნობია, რაც საბოლოო ჯამში ქაოსის წინაპირობად შეიძლება აღვიქვათ. თუ ამ ლოგიკას მივყვებით, გაერო-ს მიმართ დაუმორჩილებლობის გამო მსოფლიოში ჯაჭვური რეაქცია გარდაუვალი იქნება. ამრიგად დროულად უნდა იქნეს დაცული თანამედროვე საერთაშორისო სამართლის პრინციპები, ანდა ყველა ქვეყანამ დამოუკიდებლად უნდა განაგრძოს არსებობა.

ამჯერად მიზანშეწონილად მიგვაჩნია გადავიდეთ ჩვენი თემის თეორიულ მხარეზე და დაწვრილებით გავეცნოთ მის ნიუანსებს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტერორიზმის საკითხებზე მსოფლიოში საკმაოდ ბევრი მეცნიერი მუშაობს. ჩვენი ყურადღება ამერიკელ მეცნიერებზე შეჩერდება.

ტერორიზმის თეორიული მხარის განხილვა წარმოუდგენელია მისი განსაზღვრების გარეშე, რომლის საბოლოო მიზანია შემუშავდეს განსაზღვრებათა ოპტიმალური ვარიანტი. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხის სრულყოფილი გააზრება დღემდე არ არსებობს. ამას კი საკითხის სირთულე განაპირობებს. აღნიშნულ თემაზე სერიოზული სჯა-ბაასი ჰქონდა გაერო-ს 1975 წლის მე-5 კონგრესზე, რომლის დროსაც მონაწილენი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ძალიან ძნელია ამ დანაშაულს შეუფარდო ისეთი განსაზღვრება, რომელიც მეტნაკლები ოპტიმალობით ასახავს მის ნამდვილ ხასიათს. ასეთი განსაზღვრების უქონლობას მძიმე შედეგები მოაქვს სისხლის სამართლის სამართალწარმოების

დროს. მოცემული საკითხის შემუშავებამდე კი გაერო-ს წევრი ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ ამ ტიპის დანაშაულის წინააღმდეგ ერთად იბრძოლებდნენ და მისი პრეცედენტის შემთხვევაში ინფორმაციის გაცვლა დაუბრკოლებლივ განხორციელდებოდა.[1]

ნიშანდობლივია ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის განმარტება, რომელიც ასე გამოიყურება: „ტერორიზმი არის ძალადობის გამოყენება პოლიტიკური მიზნით, ცალკეული პირების ან ჯგუფების მიერ, რომელიც არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ არის მიმართული. მისი მთავარი მიზანია დააშინოს მასები და განაწყოს რეჟიმის წინააღმდეგ.

ეს განსაზღვრება მეფრიებული შტატების ხელისუფლებას და სხვებს საფუძველს აძლევდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ჩაეთვალათ ტერორისტულად. მათი აზრით, ეს მაშინ მოხდებოდა თუ ასეთ მოძრაობას სხვა სახელმწიფოდან ექნებოდა მხარდაჭერა. მათივე სიტყვებით, ასას ის ხალხი ნაცის, ვისაც სურს სამართლიანობის აღდგენა, ან საერთაშორისო წესრიგის დარღვევა.[2] ეს განსაზღვრება ოპტიმალურად შეიძლება ჩაითვალოს. აქვე აღსანიშნავია, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის განსაზღვრება ყველაზე კონკრეტული და მისაღებია. აქ ნათლადაა ნაჩვენები, თუ როგორია ტერორისტული სახელმწიფო და მისი უკომპრომისო პოლიტიკა. თუ საერთაშორისო სამართლის განმარტებები ბუნდოვანი და მოხელეთა დაცვაზეა აქცენტირებული, აქ ჩნდება თანამედროვე სამხედრო დაპყრობის სტრატეგიის კონტურები, რომლებიც საკმაოდ წარმატებით არის აპრობირებული. ეს იდეა ხაზგასმულია ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის განსაზღვრებაში. ის ყველაზე მისაღები ფორმულირებაა. სწორედ ამ კონცეფციას ეფუძნება ჩვენი განმარტება, რომ „ტერორიზმი არის სახელმწიფოთა უკომპრომისო პოლიტიკის შედეგი საშინაო და საგარეო პოლიტიკაში."

განსაზღვრებებიდან ჩვენ ყველაზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ტერორიზმის საერთაშორისო სამართლისეული განსაზღვრება, რომელიც ასე გამოიყურება.

1) საერთაშორისო სამართალი ტერაქტად მიიჩნევს სახელმწიფოს, ან მთავრობის მეთაურის დიპლომატიური წარმომადგენლობის წევრის მკვლელობის, ანდა სხვაგვარ ხელყოფას, ამა თუ იმ სახელმწიფოს პოლიტიკაზე ზემოქმედების მიზნით.[3]

ეს განსაზღვრება შეიძლება ითქვას, რომ სრული არ არის, ვინაიდან იგი საზოგადოების მხოლოდ ერთ ელიტარულ ნაწილს იცავს ტერორისტული თავდასხმებისაგან. აქ თავიდანვე გამორიცხულია რიგითი მოქალაქეების დაცვა ამგვარი საფრთხისაგან. მაგალითისთვის: თუ ტერორისტებმა მშვიდობიანი მოსახლეობა ააფეთქეს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, მაშინ ეს ფაქტი ტერორისტულ აქტად არ ჩაითვლება, რაც ხშირი არ არის.

2) თანამედროვე საერთაშორისო სამართალი ტერორიზმს განიხილავს როგორც არასახელმწიფოებრივ ძალადობას, ან ძალადობის საშიშროებას, რომლის მიზანიცაა საზოგადოებაში გამოიწვიოს პანიკა და შემდეგ პოლიტიკური ცვლილებები.[4]

ამ განმარტებაში უკვე მოხსენიებულია საზოგადოება, თუმცა გატარებულია აზრი, რომ საზოგადოების უსაფრთხოება დამოკიდებულია თანამდებობის პირთა ძლიერებაზე, რაც ხშირად არ შეესაბამება სასურველ ყოფარებას.

3) ტერორიზმი გულისხმობს აფეთქებას, ცეცხლის მოკიდებას, ან ამდაგვარ საქციელს, რომელიც ხიფათს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, იწვევს ქონებრივ

ზარალს, ემუქრება თანამდებობის პირს, რაც თავის მხრივ ზემოქმედებას ახდენს სახელმწიფო პოლიტიკაზე.[5]

ეს განსაზღვრებაც სრული არ არის, ვინაიდან ტერორიზმის მიზეზებზე აქცენტი არ კეთდება და ყურადღება მახვილდება შესაძლო შედეგებზე. რაც შეეხება ამ განსაზღვრების დადებით მხარეს, მასში გათვალისწინებულია საზოგადოების ყველა ფენა და აღიარებულია, რომ მასები ტერორის ისეთივე მსხვერპლს წარმოადგენენ, როგორც თანამდებობის პირები.

ამერიკელი მეცნიერები ზასოინი და ნანდი თავიანთ ერთობლივ მონოგრაფიაში ტერორს განიხილავენ როგორც დაშინებას, ბარბაროსობას, აგრეთვე ნებისმიერი სახის ძალადობრივ აქტს.[6]

ამ განსაზღვრებაში მცირედი უზუსტობაა დაშვებული. რა თქმა უნდა ტერორი ძალადობის გამოხატულებაა, მაგრამ იგი იურიდიული თვალსაზრისით არასოდეს არ ჩაითვლება ადმინისტრაციული სამართლის დანაშაულად. ამასთანავე განმარტებაში ყურადღება გამახვილებულია დანაშაულის კრიმინალურ ხასიათზე და ყურადღება არ ექცევა დანაშაულის წარმოშობის მიზეზებს.

ებრაელი მეცნიერის დინშტეინის განსაზღვრება სხვებთან შედარებით უფრო მისაღებია. მისი აზრით, ტერორიზმისა და საერთაშორისო ტერორიზმის არსი მდგომარეობს მასიურ და უწესრიგო ძალადობაში მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ.[7]

ეს განსაზღვრებაც მოითხოვს დაზუსტებას. დინშტეინი გამოდის პალესტინა-ისრაელის კონფლიქტის პოზიციებიდან და ადგილობრივი ტერორის სპეციფიკიდან გამომდინარე მსჯელობს. ეს ნათლად ჩანს მის მონოგრაფიაში, თუმცა თუ მის განსაზღვრებას დინშტეინის თემატიკიდან განყენებულად, ანუ უფრო ზოგად ჭრილში განვიხილავთ, მისი ფასი ერთიორად გაიზრდება. ამ განსაზღვრების მთავარი ღირსება ის არის, რომ წინა პლანზე დგას მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის პრობლემა. გარდა ამისა, იგი ერთმანეთისგან მიჯნავს ტერორიზმს და საერთაშორისო ტერორიზმს, რითაც ხაზს უსვამს მათ შორის სხვაობას და ასახელებს შიდასახელმწიფოებრივ და საპირისპირო ხასიათის ტერორიზმს.

ამერიკელი მეცნიერი ჯ. ტამკოჩი თავის განსაზღვრებას უფრო ნათლად წარმოგვიდგენს და ისეთ აქცენტებს აკეთებს, რომლებიც ტერორიზმის მიზეზებს განაპირობებს. მისი აზრით, „ტერორიზმი ეს უფრო მეტია, ვიდრე ანარქია. იგი მიმართულია საზოგადოებრივი ცხოვრებისა და არსებული წესრიგის ნგრევისაკენ. ტერორში არაფერია პოლიტიკური. იგი წმინდა ბარბაროსული ქმედებაა.[7]

ვფიქრობთ ტერორიზმის განსაზღვრება მისი წარმოშობის მიზეზების გათვალისწინებით ასეთი შეიძლება იყოს: „ტერორიზმი არის სახელმწიფოთა უკომპრომისო პოლიტიკის შედეგი საშინაო და საგარეო ასპარეზზე."

მეცნიერებს შორის წარმოქმნილ დავას იმის შესახებ, თუ რა არის ტერორიზმის გამომწვევი ეკონომიკური თუ პოლიტიკური მიზეზი, შეიძლება ასე ვუპასუხოთ: ამ საკითხის განხილვისას თუნდაც ერთი, უმნიშვნელო დეტალის გამოტოვება დაუშვებელია. ამიტომ ვასკვნით, რომ ტერორიზმის მიზეზები მოიცავს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და, მათ შორის, ყველაზე მთავარ სოციალურ ასპექტებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებაზე კონტროლი დაკარგულია და ყოველივე ეს დიდ საშიშროებას ქმნის გლობალური ქაოსის შექმნის თვალსაზრისით. ხელისუფლება თითქოს ფლობს სიტუაციას, თუმცა აქვე ისმის კითხვა: საიდან გაჩნდა ამდენი ტერორისტი? ამ კითხვას ზემოთ უკვე გავეცით პასუხი. ყოველივე

ამის დასამტკიცებლად, ჩვენ მოვიყვანთ სტატისტიკურ მონაცემებს. მე-20 საუკუნის 70-იან წლებში მსოფლიოს მასშტაბით განხორციელდა 5534 ტერორისტული აქტი. 1980-იან წლებში კი ეს ციფრი 9400-მდე გაიზარდა, რაც შეეხება 1990-იან წლებს – აქ ცვლილება თვალშისაცემია. ტერაქტების რიცხვი მინიმუმამდე შემცირდა, სამაგიეროდ ტერაქტის ხასიათი უფრო გამკაცრდა და მსხვერპლის რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა.[9]

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Доклад 5-ого Конгресса ООН по международному преступлению, Нью-иорк,1976, с. 35-36.
2. "Paterns of international Terrorism" Central I nteligense, p.81-10163u;1981, p.66.
3. И И Лукащук, Международное право, М., 1986, с.220.
4. О.Г.Румянцев, В.Н. Додонов. Юридическая энциклопедия, М., 1997, с.315
5. M.Basioni, V.Nandi, „ Atreatiseon international criminal law",Colorado,1980, p.491.
6. Ю Динштеин, Борьба против терроризма, Израиль,1998, с.163.
7. M.Tamkoc, International Terrorism, Delhi News, 1984, p.12.
8. К.Н.Салимов, Современные проблемы терроризма, М., 2000, с.8.
9. ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. თბ., 1998, გვ.18.

**ინგა ფალიანი**
*სახელმწიფო მართვის მაგისტრი*

# ამერიკის შეერთებული შტატების როლი ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების სისტემაში

ამერიკის შეერთებული შტატების როლი ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების სისტემაში განსაკუთრებით ნათლად გამოიკვეთა ნატო-ს შექმნით. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როცა აშკარა გახდა, რომ ევროპა რუსეთისგან დაუცველი იყო, მთელი სიმძაფრით წარმოჩინდა ამერიკის ჯარების ევროპაში ყოფნის აუცილებლობა. ამ ყოფნის ინსტიტუციონალიზაცია 1949 წლის 4 აპრილს ვაშინგტონში ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ხელმოწერით მოხდა. ხელშეკრულების საკვანძო მე-5 მუხლში განსაზღვრულია კოლექტიური თავდაცვის საკითხი. ამ ასპექტში აშშ-ის განსაკუთრებული როლი მიენიჭა.

ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს მემკვიდრეობად ეკონომიურად დაშრეტილი, პოლიტიკურად დათრგუნული და სამხედრო თვალსაზრისით სუსტი ევროპა ერგო. დასავლეთ ევროპა ალიანსს საგარეო საფრთხისაგან უნდა დაეცვა. აშშ-ის დახმარების გარეშე ევროპის დაცვა და აღდგენა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. შემობრუნების მომენტი 1947 წელს მიღებული აშშ-ის სამი გადაწყვეტილება გახდა: (1) ტრუმენის დოქტრინა; (2) მარშალის გეგმა; (3) შეკავების თეორია.

(1). ტრუმენის დოქტრინა თურქეთისა და საბერძნეთის მხარდაჭერაში მდგომარეობდა. ის ეფუძნებოდა აშშ-ის განზრახვას, შეეჩერებინდა საბჭოთა კავშირი. საბერძნეთი და თურქეთი საბჭოთა კავშირისგან განსაკუთრებულ ზეწოლას განიცდიდნენ. საბერძნეთზე ზეწოლა პირდაპირ არ ხორციელდებოდა. კომუნისტური აჯანყება, რომელიც 1944 წელს იქნა ჩახშობილი, სამოქალაქო ომში გადაიზარდა. კომუნისტები მხარდაჭერას საბერძნეთის საზღვრებს გარედან ალბანეთის, ბულგარეთისა და იუგოსლავიის კომუნისტური რეჟიმებისგან იღებდნენ. თურქეთზე ზეწოლა პირდაპირი იყო. საბჭოთა კავშირი ანატოლიის ტერიტორიას და დარდანელის სრუტეში საზღვაო ბაზას ითხოვდა. ამ მიზნების მისაღწევად მოსკოვი სამხედრო ძალის გამოყენებითაც იმუქრებოდა. აშშ-მა საბჭოთა კავშირის ექსპანსიის ბლოკირება ევროპის ძალთა ბალანსში სტრატეგიული წვლილის შეტანით გადაწყვიტა.

(2). მარშალის გეგმა ანუ ევროპის აღორძინების პროგრამა მიზნად ისახავდა ევროპის ეკონომიკურ აღორძინებას. პროგრამა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯორჯ მარშალმა შეიმუშავა. პროგრამის მიხედვით, აშშ-ს ფინანსური რესურსები უნდა გამოეყო, დახმარების რეციპიენტებს კი ევროპის ეკონომიური თანამშრომლობის ერთიანი პროგრამა უნდა შეემუშავებინათ. პროექტი ურთიერთთანამშრომლობას, დაგეგმვას ეფუძნებოდა და სამხედრო მიზნებისათვის დახმარებას არ ითვალისწინებდა. გეგმაში თვით საბჭოთა კავშირსა და მისი გავლენის ქვეშ მყოფი ქვეყნებსაც შეეძლოთ მონაწილეობის მიღება. რა თქმა უნდა, მოსკოვმა ცენტრალური ევროპის ქვეყნებს პროგრამაში მონაწილეობა აუკრძალა. მარშალის გეგმამ 1947–1952 წლები მოიცვა და დიდი წარმატებით დასრულდა.

(3). შეკავების თეორიის ავტორი ჯორჯ ფ. კენანი, საბჭოთა საკითხებში აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ექსპერტი იყო. ამ თეორიით, საბჭოთა პოლიტიკა ხანგრძლივი ექსპანსიის პროგრამას წარმოადგენს, იდეოლოგიით იკვებება, ფესვები ისტორიაში აქვს გადგმული ევროპის დემოკრატიისა და ისტორიული მემკვიდრეობის განადგურებას ისახავს მიზნად. ასეთ სიტუაციაში აშშ-ს შეკავების პოლიტიკისთვის უნდა მიემართა. ეს არ გულისხმობდა ომს, მაგრამ ძალის გამოყენებაზე ძალითვე პასუხს ნიშნავდა. შეკავება მხოლოდ ევროპას შეეხებოდა და თავდაცვითი ხასიათის იყო.

ზემოაღნიშნულმა სამმა ელემენტმა - დოქტრინამ, გეგმამ და თეორიამ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წარმოშობას დაუდო საფუძველი. 1951 წელს კი ჩამოყალიბდა ევროპაში გაერთიანებული ძალების უმაღლესი შტაბბინა (SHAPE) გენერალ ეიზენჰაუერის მეთაურობით.

აღსანიშნავია, რომ ნატო ევროპული ძალების შეიარაღებასთან დაკავშირებით გარკვეულ სირთულეებს აწყდებოდა, რაც გარკვეულწილად დღეს არსებულ აშშ-სა და ევროპის ძალებს შორის „შესაძლებლობათა შორის განსხვავებას" ეხმიანება. ნატო-ს სამხედრო ექსპერტები მართალია გეგმავდნენ შეიარაღებული ძალების საჭირო მოცულობას, მაგრამ წევრ ქვეყნებს გეგმის რეალიზაცია უჭირდათ. ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების მოცულობის გაზრდის ერთ-ერთ საშუალებას გერმანიის ჯარების ნატო-ში გაერთიანება წარმოადგენდა. ეს საკითხი ამერიკელებმა წამოწიეს. გერმანიის ნატოში გაწევრიანების სასარგებლო არგუმენტად ორი ფაქტორი მოქმედებდა:(1). ევროპის სხვა ქვეყნების მსგავსად გერმანელებსაც ემუქრებოდათ საბჭოთა საფრთხე; (2). ქვეყანა დემოკრატიის განვითარების და ეკონომიკის აყვავების გზას ადგა. ორივე ფაქტორის გათვალისწინებით დასავლეთ გერმანიის სამხედრო ძალების ალიანსში გამოყენების საკითხი დაისვა. 1955 წელს კი გერმანია ნატოს წევრი გახდა. უფრო ადრე, 1952 წელს ნატო-ს საბერძნეთი და თურქეთი შეუერთდა, რაც დასავლეთ ევროპული კომბინაციის ბუნებრივი გაფართოების ნაწილი იყო.

ნატო-ს პირველი სტრატეგიული კონცეფცია 1949 წელს ალიანსის თავდაცვის მინისტრებმა შეიმუშავეს. ვაშინგტონის ხელშეკრულების შემდეგ ეს მეორე უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი იყო. მის მიზანს წარმოადგენდა საბჭოთა კავშირიდან მომდინარე აშკარა საფრთხის წინაშე ეფექტური თავდაცვითი პოზიციის ჩამოყალიბება.

ნატო-ს სტრატეგიაში იმდროინდელი ვითარების სამი მნიშვნელოვანი ფაქტორის კვალი შეინიშნება:(1). ამერიკის სიძლიერისა და ზეგავლენის ზრდა ევროპაში; (2). ამერიკის, როგორც გლობალური სახელმწიფოს დომინანტური როლი; (3). ბირთვული შეიარაღება. აღნიშნული ფაქტორები შემდგომშიც ახდენდა ზეგავლენას ნატო-ს სტრატეგიული კონცეფციების ფორმირებაზე.

ცივი ომის დროინდელი ეპოქის დოკუმენტში – აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს 68-ე დირექტივაში ნათლად არის ჩამოყალიბებული თუ რატომ დარჩა აშშ ევროპაში და უნდა დარჩეს დიდ ხნით. ამ დოკუმენტში გადმოცემულია შეკავების სტრატეგია, რომელმაც მნიშვნელოვნად განსაზღვრა აშშ-ის უსაფრთხოების პოლიტიკა ცივი ომის პერიოდში. 68-ე დირექტივა პრეზიდენტ ტრუმენის მიერ 1950 წლის იანვარში შეკვეთილი კვლევის შედეგად შემუშავდა. 1949 წლის აგვისტოში ბირთვული უნარის დემონსტრირების შემდეგ საბჭოთა საფრთხე ძალიან აშკარა გახდა. ამ მოვლენამ, ჩინეთში კომუნისტური

მმართველობის დამყარებასთან ერთად, ცხადი გახადა, რომ საბჭოეთი ძალთა თანაფარდობის გადანაცვლების ზღვარზე იყო. 68-ე დირექტივა 1950 წლის სექტემბერში ჩრდილოეთ კორეის მიერ სამხრეთ კორეაზე თავდასხმის შემდეგ იქნა მიღებული. დოკუმენტში გაცხადდა, რომ აშშ მზად იყო მსოფლიო ლიდერის როლი ეკისრა.

68-ე დირექტივის შემდეგ აშშ-მა, კანადამ და ევროპელმა მოკავშირეებმა დაიწყეს ვაშინგტონის ხელშეკრულების კოლექტიურ თავდაცვის პოლიტიკური გადაწყვეტილებიდან ინტეგრირებულ სამხედრო ორგანიზაციად გარდაქმნა. ამ ორგანიზაციის ძალებს და სამეთაურო სტრუქტურას ნამდვილი შეკავებისა და დაცვის უნარი შესწევდათ. ეს პროცესი ხელშეკრულების რატიფიკაციიდან მხოლოდ ორი წლის შემდეგ, 1961 წელს დასრულდა. შედეგად, აშშ-ის და კანადის სამხედრო ყოფნა დასავლეთ ევროპაში სტაბილურობას უზრუნველყოფდა და იქ ეკონომიკის განვითარების პირობებს ქმნიდა.

საბჭოეთის სამხედრო საფრთხის გაქრობის შემდეგ, ზოგიერთი მკვლევარი თვლიდა, რომ ჩრდილოეთ ამერიკა და, კერძოდ, აშშ უსათუოდ გაიყვანდა ძალებს ევროპიდან და შემდგომ თანდათან ბირთვული და ჩვეულებრივი შეიარაღების გარანტიებსაც მოხსნიდა ევროპაში, რაც ევროპული უსაფრთხოების პოლიტიკის ნაციონალიზებას და კონტინენტზე არასტაბილურობას გამოიწვევდა. სინამდვილეში ასე არ მომხდარა. თუმცაღა „ცივი ომის" დასრულების შემდეგ აშშ-მა თავისი სამხედრო ყოფნა 40%-ით შეამცირა (მათ შორის ბირთვული კომპონენტიც) და ამჟამად 100,000-იანი ჯარით განისაზღვრება.

საბჭოთა კავშირის სამხედრო საფრთხის გაქრობის მიუხედავად, ევროპის უსაფრთხოება და სტაბილურობა აშშ-სთვის კვლავ მნიშვნელოვან ამოცანად დარჩა. აშშ-ის ძალისხმევა მხოლოდ საბჭოთა კავშირისგან დაცვით არ შემოიფარგლებოდა. ასე რომ ყოფილიყო, ნატო თავისი არსებობის საფუძველს დაკარგავდა. ევროპასთან კავშირი კომერციული თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია როგორც აშშ-ის ასევე კანადისთვის. ორივე ქვეყნის ვაჭრობა აზიასთან ბოლო წლებში საგრძნობლად გაიზარდა, მაგრამ მათი ეკონომიკისთვის ორივე რეგიონს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

აშშ-მა ე.წ. „ძველი ევროპის" დაცვასთან ერთად, უდიდესი როლი შეასრულა „ახალი ევროპის" ანუ აღმოსავლეთ, სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის წარმართვაში და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების რეფორმირებასა და მსოფლმხედველობის შეცვლაში. კონკრეტულად ეს ნატო-ს „პარტნიორობა მშვიდობისათვის" (პმ) პროგრამის შემუშავებით განხორციელდა, რომლის ავტორიც აშშ იყო. როგორც თავის დროზე პროგრამის ინიციატორმა აშშ-ის პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა განაცხადა, მისი ქვეყანა არაფრით არ დაუშვებდა რკინის ფარდის გულგრილობის ფუალით შეცვლას. ამდენად, პროგრამას სერიოზული პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა. აშშ-ს განცხადებით, „პმ"-ს ცივი ომისშემდგომი ევროპის გარდაქმნის ისეთივე საშუალება გახდა, როგორც მარშალის გეგმა იყო მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში. 40-იან წლებში მარშალის გეგმის მსგავსად, პარტნიორობამ შექმნა ადამიანებისა და ინსტიტუტების ქსელი მთელ ევროპაში, რომლებიც ერთად იღვწიან თავისუფლების შენარჩუნებისთვის, ასევე დემოკრატიისა და თავისუფალი ბაზრების განვითარებისათვის. 40-იან წლებში საბჭოთა კავშირმა უარი თქვა ჯორჯ მარშალის გეგმაში მონაწილეობაზე. შედეგად საბჭოთა კავშირი და რიგი ქვეყნები

რკინის ფარდის უკან მოექცა. ამის გამო ევროპა ორმოც წელზე მეტხანს გაყოფილი იყო. „პმ"- პროგრამამ აღმოფხვრა მსგავსი წინააღმდეგობები. ამის მაგალითი იყო ის, რომ რუსეთიც ჩაერთო ნატოს პროგრამაში. ამრიგად, თანამშრომლობის ორ ხაზს - რუსეთის თანამშრომლობას ნატოსთან და რუსეთის ორმხრივ თანამშრომლობას აშშ-თან ხელი უნდა შეეწყო თანამშრომლობისა და ნდობის აღმშენებლობისათვის ევროპაში.

„პარტნიორობა მშვიდობისათვის" (პმ) პროგრამის მიზანი ევროპის ახალ დემოკრატებთან და სხვ., მაგალითად, ნეიტრალურ ქვეყნებთან ინტენსიური პოლიტიკური და სამხედრო თანამშრომლობის უზრუნველყოფა, მათი სამშვიდობო, კრიზისების მართვისა და ჰუმანიტარულ ოპერაციებში თანამშრომლობის უნარის განმტკიცებისკენ იყო მიმართული. ნატოს აღნიშნული პროგრამა უსაფრთხოების არქიტექტურაში ახალი დამოუკიდებელი ქვეყნების ინტეგრაციას უზრუნველყოფდა.

„პმ"-ს დადებითი როლი უსაფრთხოების ფარგლებს სცილდება. მან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროზე. ზოგ პარტნიორ ქვეყანაში, „პმ„-ში მონაწილეობამ და ნატოში გაწევრიანებისადმი მისწრაფებამ პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას შეუწყო ხელი. უფრო მეტიც, პოლონეთის, ჩეხეთისა და უნგრეთისათვის „პმ" ნატოში გაწევრიანების მნიშვნელოვანი საფეხური აღმოჩნდა.

„პმ"-ს პროგრამის მონაწილე რიგმა ქვეყნებმა, ნატო-ს კრიტერიუმების ნაბიჯ-ნაბიჯ დაკმაყოფილებით ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის პოლიტიკური და ეკონომიკური სახე შეცვალეს. მრავალი პარტნიორი ქვეყანა იძულებული გახდა ისეთი რეფორმებიც განეხორციელებინა, რასაც სხვა პირობებში არ ან უკეთეს შემთხვევაში, ნაკლები მონდომებითა და უფრო ნელა განახორციელებდა.

ამდენად, აშშ-ის ამ ინიციატივამ უდიდესი როლი შეასრულა ახალი დამოუკიდებელი ქვეყნების ევროატლანტიკური უსაფრთხოების ახალ არქიტექტურაში ჩართვის საქმეში და ამდენად მთელი ევროპის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

თუმცა, ბოლო დროს განვითარებული მოვლენების შედეგად მთელ რიგ საკითხებზე საგრძნობი განსხვავებები წარმოიშვა ნატო-ს ევროპელ მოკავშირეებსა და ამერიკის შეერთებული შტატებს შორის.

უთანხმოების ერთ-ერთი მიზეზია სულ უფრო მზარდი განსხვავება ნატო-ს ევროპელი მოკავშირეების და აშშ-ის სამხედრო პოტენციალებს შორის. აშშ-ის ქმედებამ ნატო-ს მიმართ 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ ნათლად წარმოაჩინა აშშ-ის დამოკიდებულება ამ საკითხთან დაკავშირებით. საერთაშორისო ტერორიზმის საფრთხესთან გასამკლავებლად, ბუშის ადმინისტრაციამ ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის, სამხედრო აზროვნებისა და სამთავრობო ორგანიზაციების საყოველთაო რეფორმა ჩაატარა, რითაც კიდევ უფრო სრულყო სწრაფი რეაგირების პოტენციალი.

აშშ-სა და ევროპულ მოკავშირეებს შორის არსებული დისბალანსი აიძულებს აშშ-ს მსოფლიოში შექმნილ კრიზისული სიტუაციებში ევროპასთან შედარებით გაცილებით მეტი ხარჯი გაიღოს. ჯერ კიდევ 1999 წელს კოსოვოს ომის დროს, აშშ-მა სერიოზულად გააკრიტიკა ნატო-ს ევროპელი მოკავშირეები კრიზისის კონტროლის მექანიზმის, რაციონალური სამეთაურო სტრუქტურისა და სწრაფი რეაგირების უნარის უქონლობის გამო. ანალიტიკოს რ.ს. ლონგვეერტის აზრით, კოსოვოს ომში განსაკუთრებული სიძლიერით წარმოჩნდა აშშ-ს სამხედრო უპირატესობა, რამაც უხერხულობაში ჩააყენა ევროპელები. მდგომარეობის გამოსასწორებლად დაისახა გეგმები ერთობლივი მუშაობის შესახებ, რომელთა

თანახმად ევროპის სამხედრო ძლიერება აშშ-ის თანაბარი უნდა გამხდარიყო. თუმცა რამდენიმე წელი გავიდა მას შემდეგ, არაფერი განხორციელებულა და გეგმები გეგმებად რჩება. იგივე ითქმის ევროკავშირზეც, რომლის ამბიციური გეგმები სწრაფი რეაგირების ძალის შესახებ ჯერ კიდევ ფიქციაა.[1]

ნატო-ს ქვეყნებს არ ძალუძთ სწრაფი სამხედრო რეაგირების შესაძლებლობათა გაზრდაში დიდი თანხები დააბანდონ. ნატო-ს სტანდარტით ალიანსის წევრმა ქვეყნებმა მთელი ეროვნული პროდუქტის სამი პროცენტი მაინც უნდა მოახმარონ ეროვნულ თავდაცვას. დღეისათვის მხოლოდ აშშ და რამდენიმე ქვეყანა ხარჯავს ამაზე მეტს. აშშ ამ მიზნით ყოველწლიურად 343 მილიარდ დოლარს გამოყოფს თავდაცვაზე, რაც თითქმის ორჯერ აღემატება მეკავშირეთა ერთად აღებულ დანახარჯს. ნატო-ს ევროპელი წევრები საშუალოდ მთელი შიდა პროდუქტის მხოლოდ 2 პროცენტს ხარჯავენ თავდაცვაზე, მაშინ როცა 1989 წელს ეს მაჩვენებლი 3.2 პროცენტს შეადგენდა. ზოგი წევრი ამ მინიმალურ კრიტერიუმსაც ვერ აკმაყოფილებს. მაგალითად, გერმანიის მაჩვენებელია 1.5%, იტალიის 1.9%, ხოლო ესპანეთის 1.2. თურქეთი და საბერძნეთი 5% ახმარენ თავდაცვას, რაც ლინგვერტის აზრით, უფრო ერთმანეთისაგან თავდაცვისათვის ბანდდება. აშშ-ის დანახარჯი 1989 წლის 6 პროცენტიდან სტაბილურ 3 პროცენტამდე ჩამოვიდა და მალე 3.3. პროცენტამდე აიწევს.[2]

„ამერიკენ ენთერპრაიზ ინსტიტუტის" ექსპერტის თომას დონელის აზრით, სამხედრო დისბალანსი აშშ-სა და ევროპას შორის იმდენად დიდია და კიდევ უფრო მზარდი, არ არსებობს ალტერნატივა იმისა, რომ ამერიკამ მართოს მსოფლიო. მისი თქმით, „ევროპის კონტინენტის არსებული პოპულარული გაგება, როგორც ადგილისა, სადაც ქვეყნებში კანონი ბატონობს და ომი წარსულს ჩაბარდა, მხოლოდ მანამდე შენარჩუნდება ვიდრე აშშ-ის სამხედრო ძალა ახლო აღმოსავლეთის სტაბილურობას და სპარსეთის ყურეში ევროპისკენ მიმავალი ტანკერების უსაფრთხოებას უზრუნველყოფს". [3]

აშშ-ის და ევროპული მოკავშირეების უთანხმოების მიზეზია აგრეთვე აშშ-ის პოზიცია იმაზე, თუ რა როლი უნდა ენიჭებოდეს ნატო-ს, რომლის ევროპულ ძალებს რთული ტექნოლოგიების არქონის გამო უჭირს აშშ-ის ძალებთან ურთიერთქმედება. ამიტომ, როცა 11 სექტემბრის მოვლენებთან დაკავშირებით, ნატო-მ დაუყოვნებლივ და, პირველად არსებობის მანძილზე, ნატო-ს კოლექტიური თავდაცვის ხელშეკრულების მე-5 მუხლი აამოქმედა და აშშ-ს თანადგომა გამოუცხადა, აშშ-მა უარი თქვა ავღანეთის ომში ნატო-ს ჩართვაზე და მხოლოდ ბრიტანეთს დართო სამხედრო მოქმედებებში მონაწილეობის ნება. ჯერ კიდევ კოსოვოს ომიდან მოყოლებული შრომის განაწილების დაუწერელი წესი გამოიკვეთა აშშ-სა ნატო-ს ევროპელი მეკავშირეების ურთიერთობებში: აშშ ახორციელებდა ტექნიკურ დაბომბვებს და ზიანს აყენებდა სამიზნეებს, ხოლო ნატო-ს მოკავშირეები სამშვიდობო ოპერაციაში ჩაერთვნენ.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია უთანხმოება ევროპის ქვეყნებსა და აშშ-ის შორის ერაყის ომთან დაკავშირებით. ევროპის ზოგიერთმა ქვეყანამ მხარი არ დაუჭირა აშშ-ის როლს ერაყში ქვეყნის პოლიტიკის რეჟიმის შეცვლასთან დაკავშირებით. ანტიამერიკულმა განწყობამ ამ საკითხში მეტად გაართულა აშშ-ის ურთიერთობები საფრანგეთთან და ასევე გერმანიასთან, რომელიც მუდმივად აშშ-ის ერთგულ მოკავშირედ მოიაზრებოდა. ისინი აშშ-ის „აღმკვეთი ომის" პოლიტიკის წინააღმდეგ გამოვიდნენ. ითქვა ისიც, რომ ეს მხოლოდ ტაქტიკური

არჩევანია და არ ღირდა მისი აშშ-ის ეროვნული უსაფრხოების სტრატეგიაში შეტანა. უფრო მეტიც, აღინიშნა, რომ ასეთი დარტყმის განხორციელება ეწინააღმდეგება საერთაშორისო კონვენციებს.[4]

ბოლო დროის განვითარებული მოვლენების ფონზე ბევრი მკვლევარი თვლის, რომ სახეზეა უსაფრთხოების სტრუქტურის კონფიგურაციის ცვლილება.

ანალიტიკოს ჯეიმზ კიტფილდის აზრით, ისტორიის მანძილზე, ომი ყოველთვის ცვლიდა საერთაშორისო სტრუქტურას და მთავარ ალიანსებს. ახლაც ეს პროცესი მიმდინარეობს. აშშ-ის ხელმძღვანელობით მიმდინარე ანტი-ტერორისტული ომი, ერაყის კამპანია, ცვლის საერთაშორისო ინსტიტუტებს და სტრატეგიულ ურთიერთობებს. ეს ცვლილებები უკვე აისახა მსოფლიოში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებში.

კერძოდ, ნატო, რომელმაც პირველად არსებობის მანძილზე 11 სექტემბრის ტერორისტული თავდასხმასთან დაკავშირებით აშშ-ს თანადგომა გამოუცხადა კოლექტიური თავდაცვის შესახებ ხელშეკრულების მე-5 მუხლის ამოქმედებით, ინერტული აღმოჩნდა, როცა თურქეთმა ერაყის წინააღმდეგ ომის დაწყების შემთხვევაში დახმარების თხოვნით მიმართა.

ერაყთან ომის მიმართებაში გაყოფილი აღმოჩნდა ევროკავშირიც, რომელიც უსაფრთხოების საერთო პოზიციის განვითარებას ესწრაფვის. როგორც ჯ. კიტფილდი აღნიშნავს, ამ უთანხმოებამ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისგან შემდგარი „ახალი ევროპა" ბრიტანეთთან, ესპანეთთან და იტალიასთან ერთად დაუპირისპირა საფრანგეთითა და გერმანიით წარმოდგენილ ევროპული ინტეგრაციის ლოკომოტივს „ძველ ევროპას". [5]

აღსანიშნავია ბრიტანეთის პარლამენტის ყოფილი წევრის, ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ მინისტრის შვილიშვილის უინსტონ ს. ჩერჩილის აზრი აშშ-თან „ახალი" და „ძველი" ევროპის დამოკიდებულების საკითხთან დაკავშირებით: „ფრანგების, გერმანელების და ბელგიელებისაგან განსხვავებით აღმოსავლეთ ევროპელებს არ დავიწყებიათ აშშ-სადმი მადლიერების ვალი ჯერ ნაცისტებისაგან და შემდგომ საბჭოთა ბატონობისგან განთავისუფლების გამო. აბსურდული გალური ქედმაღლობით, ბატონი შირაკი აღმოსავლეთ ევროპის ათ ქვეყანას დაემუქრა, რომ დასჯიდა ერაყის თაობაზე ანგლო-ამერიკული პოზიციის მხარდაჭერის გამო და მომავალ წელს დაბლოკავდა მათ ევრო-კავშირში მიღებას. ფრანგებისა და გერმანელების პროტესტებს მიღმა კრიზისი გამოსჭვივის. ჩვენ ვხედავთ ფრანკო-გერმანულ დომინაციის ქვეშ მყოფი ძველი ევროპის გახუნებას."[6]

პენსილვანიის ლეჰაის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა პროფესორის რაიან მენონის აზრით, აშშ ფორმალური სტრუქტურირებული ალიანსების სამყაროზე უარს ამბობს და უპირატესობას ქვეყანათა უფრო მოქნილ კოალიციებს ანიჭებს, რომლებიც ისეთ კონკრეტული ოპერაციებისთვის ერთიანდებიან, როგორიც ავღანეთისა და ერაყის კონფლიქტებია. ეს მთავარი ცვლილებაა აშშ-თვის, რომელიც, მას შემდეგ რაც გლობალურ სახელმწიფოდ იქცა, ფორმალურ ალიანსებზე დაყრდნობით მოქმედებდა.

ბრუკინგსის ინსტიტუტის საერთაშორისო ურთიერთობათა ექსპერტი ივო დაადლერი თვლის, რომ ერთი შეხედვით რეალური ჩანს აშშ-ის სტრატეგიული კავშირების განვითარების პერსპექტივა რუსეთთან, ისრაელთან და შესაძლოა ჩინეთთან, რაკი ეს სახელმწიფოები ტერორიზმს მათი ქვეყნებისათვის ფუნდამენტურ საფრთხედ თვლიან. მაგრამ სინამდვილეში ასეთ კონფიგურაციას განხორციელება

არ უწერია, რადგან აშშ-ის ღირებულებათა სტრუქტურა მეტად განსხვავდება ამ ქვეყნების სტრუქტურისაგან. თუმცა, ამავე დროს, ასკენის დაადლერი, ტრანსატლანტიკური ალიანსი, რომელიც საერთო ღირებულებებზე იყო აგებული, ჩანს დასასრულს უახლოვდება.

ჯორჯ ტაუნის უნივერსიტეტის პროფესორის ჩარლზ კუპჩანის აზრით, ჩვენ საერთაშორისო წესრიგის გაყოფის მოწმენი ვხდებით, რადგან დასავლური ალიანსი, რომელიც აშშ-სა და ევროპული უსაფრთხოების განუყოფლობას ეყრდნობოდა, დღითიდღე სუსტდება. ის ზიანი, რომელიც აშშ-ს და გერმანია-საფრანგეთის ურთიერთობებს მიადგა, ჩანს აუნაზღაურებელია, რადგან ორივემ გამოხატა ამერიკის სიძლიერის დამთავრების სურვილი. შუალედური შედეგი ამისა შესაძლოა იყოს ამერიკის ჯარების გასვლა გერმანიიდან და ევროპის დაცვის ენთუზიაზმის გაქრობა. სცენარის ასეთი განვითარების შემთხვევაში ტრანს-ატლანტიკური ურთიერთობები კონკურენტული და შესაძლოა ოპოზიციურიც გახდეს.

მაინც რამ გამოიწვია ტრანს-ატლანტიკური განხეთქილება? უპირველეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირის დაშლამ, რომელიც ტრანსატლანტიკური ალიანსის შემაკავშირებელი ფაქტორი იყო. ჯეიმზ კიტფილდის აზრით, 1990-იან წლებში ატლანტიკის ორივე მხარეს ნატო-ს პოსტებიდან წავიდა ის თაობა, რომელმაც ნატო ადრინდელი კრიზისებიდან გამოიყვანა. მათი ადგილი დაიკავა პოლიტიკოსთა ახალმა თაობამ, რომელნიც ნაკლებ იზიარებენ ტრანსატლანტიკური იდეალის საერთო ღირებულებებსა და საერთო უსაფრთხოების პრინციპებს.

შეერთებული შტატების მარშალის გერმანული ფონდის მკვლევარი, 1997–2000 წლებში აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მდივნის მოადგილე რონალდ ასმუსი სვამს კითხვას, თუ რამდენადაა შესაძლებელია ამერიკასა და ევროპას შორის ურთიერთობების აღდგენა და განვითარების ორ სცენარს გვთავაზობს:

1. პოლიტიკური ომის გაგრძელება იმის თაობაზე თუ როგორ უნდა იმართებოდეს ევროპა, როგორი ურთიერთობები უნდა ჰქონდეს ამერიკასთან და როგორ უნდა ჩამოყალიბდეს მსოფლიო.

2. ატლანტიკის ორივე მხარის მიერ ამ ფურცლის გადაშლა, აშშ-ევროპას შორის უსიამო თავის დასრულება და ურთიერთობათა აღდგენა არსებულ გამოწვევებთან გასამკლავებლად.

ასმუსი ასკვნის, რომ ორივე მხარეს გააჩნია სერიოზული მიზეზი იმისა, რომ განვითარების მეორე სცენარი აირჩიონ. ამისათვის, ამერიკის მხრიდან საჭიროა ომის დასრულებისთანავე ბუშმა ნათლად გამოხატოს ურთიერთობათა აღდგენის სურვილი. ევროპის მხრივ კი მათ, ვინც ომს ეწინააღმდეგებოდა თვალი უნდა გაუსწორონ იმ ფაქტს, რომ მათ ინტერესებში არა მარტო აშშ-ის გამარჯვება არამედ დემოკრატიული და ერთიანი ერაყის მშენებლობაც. [7]

ჩვენი აზრით, სწორედ მეორე სცენარის განვითარებაა მოსალოდნელი. ამის ნიშნები საფრანგეთის და გერმანიის პოლიტიკაში ერაყის ომის დამთავრებისთანავე გამოიკვეთა, როცა მათ ერაყის აღმშენებლობაზე დაიწყეს კონკრეტული საუბარი. სავარაუდოა, რომ აშშ თანდათანობით აღადგენს დამოკიდებულებას ევროპის მიმართ. ტრანსატლანტიკური კავშირის აღდგენა გარდუვალია და ამის წინაპირობა როგორც ტრადიციული ფაქტორები, ასევე ერაყის ომის შემდგომი რეალიებია.

ტრადიციული ფაქტორები ეგრეთ წოდებული „ძველი ევროპის" და ამერიკის შეერთებული შტატების საერთო ღირებულებებს ეყრდნობა, რომელთა უგულებელყოფას ვერც ერთი მხარე ვერ შეძლებს. ამ ღირებულებებიდან

გამომდინარე, მხარეებს ერთად მოუწევთ მუშაობა ისეთ გამოწვევებთან გასამკლავებლად, როგორიცაა მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება, გლობალიზაციით გამოწვეული პრობლემები და მათი ეკონომიკურ-პოლიტიკური იმპლიკაციები და სხვ.

ამასთან, მშვიდობიანი და დემოკრატიული ერაყის განიარაღება, სტაბილიზაცია და აღმშენებლობა უზარმაზარ და ერთობლივ ძალისხმევას მოითხოვს. თუმცა ალბათ ძირითად სიმძიმეს აშშ იტვირთებს, ევროპა მზად უნდა იყოს გრძელვადიან პერსპექტივაში უზრუნველყოს უსაფრთხოება და რესურსები.

ვფიქრობთ; რომ პროამერიკულად განწყობილი „ახალი ევროპის" ევროკავშირში შესვლა კიდევ ერთი ძლიერი ფაქტორი აღმოჩნდება ტრანსატლანტიკური კავშირის განსამტკიცებლად. ევროპა დიდ ხანს ვერ დარჩება გაყოფილი და როგორც პოლიტიკური, ასევე ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური პერსპექტივებიდან გამომდინარე, იქ არა იზოლაციის, არამედ ინტეგრაციის პოზიცია იმძლავრებს.

ამდენად, ამერიკის შეერთებული შტატების როლი ევროპის უსაფრთხოებაში, თუმცა ალბათ ტრანსფორმაციას განიცდის, მნიშვნელობას არ დაკარგავს.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. R.C. Longworth. *Chicago Tribune*, March 31, 2003.
2. Differences between US and NATO Widen. People's Daily. 21Nov. 02.
3. *NATO Enlargement Daily Brief*. Monday, 31 March, 2003.
4. ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უშიშროების სტრატეგია. 2002.
5. James Kitfield. Fractured Alliaces. *National Journal*. 08 Mar 03.
6. Winston Churchil. My Gransdather Invented Iraq. *The Wall Sreet Journal*. 10 March, 2003.
7. *NATO Enlargement Daily Brief*. Monday, 03 April, 2003.

**დუგლას ბ. პეტერსონ II**
*მაიორი, თბილისში აშშ-ის საელჩოს თავდაცვის საკითხებში თანამშრომლობის ოფისის ხელმძღვანელი*

# სერჟანტი ამერიკის ჯარში

უკვე დიდი ხანია რუსეთის ჯარს ესაჭიროება სერჟანტების კორპუსის ჩამოყალიბება, რაც ტრაგიკულად დადასტურდა ჯერ კიდევ პირველი ომის დროს ჩეჩნეთში, როდესაც რუსეთის სამხედროებმა ვერ დაამარცხეს ჩეჩნების ოპოზიცია. 1994 წლის სექტემბერში გენერალმა ვორობიოვმა, რუსეთის სახმელეთო ჯარების სარდლის პირველმა მოადგილემ აღიარა ინტერვიუში:

„სერჟანტი ჩვენი ჯარის ყველაზე დაუცველი რგოლია. იგი პროფესიონალი ჯარისკაცი უნდა იყოს, თუმცა ჩვენც. . . და ჯარისკაცებიც ზოგადად ვთვლით, რომ სერჟანტი უფრო ასაკოვანი, გამოცდილი და განათლებული უნდა იყოს, ვიდრე ამჟამად არის. ეს უნდა იყოს ნამდვილი, გამოცდილი პროფესიონალი. რიგითი ჯარისკაცები პატივით უნდა განიმსჭვალონ მისდამი".[1]

სერჟანტი ამერიკის შეერთებული შტატების ჯარის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა მისი შექმნისთანავე 1774 წელს. ეს წოდება, ჩვეულებრივ, ცნობილია სერჟანტის სახელით მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. სერჟანტი გადამწყვეტ როლს ასრულებს დასავლეთის ჯარში და განსაკუთრებით ამერიკის სამხედრო სისტემაში. ეს არის გამოცდილი პირი, რომელიც მაღალპროფესიონალურად და ეფექტურად ჩართულია აშშ-ის ჯარების საბრძოლო ნაწილში. სერჟანტი ამერიკის ჯარში ჩვეულებრივ აღიქმება აშშ-ის ჯარის საყრდენად. ის უნდა იყოს პროფესიონალი სამხედრო ქალი ან მამაკაცი, უმაღლეს დონეზე გამოწვრთნილი და განათლებული, რომელსაც ეკისრება მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა და უსაზღვრო პატივისცემა ქვემდგომების და უფროსების მხრივ. სერჟანტებს ნიშნავენ როგორც მცირე, 9-კაციანი რაზმების მეთაურებად, ისევე პენტაგონის უმაღლესი ეშელონების წარმომადგენლებად. სერჟანტები დომინირებენ აშშ-ის ჯარში, მაგრამ სწორედ ამის გამო ამერიკის ოფიცერის სამსახური უფრო მოქნილი ხდება მენეჯმენტის თვალსაზრისით და უფრო ეფექტური, ვიდრე იმ ჯარებში, სადაც სერჟანტები არ არსებობენ, ან სადაც მათზე არ არის დაკისრებული მნიშვნელოვანი მოვალეობები.

იმისათვის, რომ გავიგოთ, რატომ არის სერჟანტი ესოდენ ფასეული ამერიკის სამხედრო სისტემისთვის ჯერ უნდა გავიგოთ, რით განსხვავდება მისი სტატუსი ჯარის ოფიცრის სტატუსისაგან.

### *ვინ არის სერჟანტი?*

სამხედრო ოფიცერს ჩვეულებრივ დამთავრებული აქვს უნივერსიტეტი. იგი გაწვეული იყო ჯარში ოთხწლიანი სწავლების შემდეგ. ამის მერე იგი გადის ტრენინგებს სამხედრო წვრთნის კურსებზე, ან სწავლობს ოთხწლიან სამხედრო აკადემიაში. ამერიკის ჯარში ოფიცერი ერთპიროვნულად აგებს პასუხს და მეთაურობს მის ხელქვეით მყოფ რაზმს. ამერიკის ჯარის ოფიცერი ყოველდღიურად გეგმავს და კოორდინირებას უწევს ოპერაციებს და ტრენინგებს. ამ ღონისძიებების ჩატარებისას იგი ითვალისწინებს ტაქტიკას, ოპერაციებს, მომარაგების, ტექნიკური უზრუნველყოფის და პერსონალის საკითხებს. მოკლედ რომ ვთქვათ, ოფიცერი აფიქსირებს საერთო მდგომარეობას. იგი ერთმანეთს უკავშირებს წინა, მიმდინარე და მომავალ ოპერაციებს.

რა თქმა უნდა, იგი იხილავს გეგმის მცირე დეტალებსაც, მაგალითად, ითვალისწინებს შეიარაღების საჭირო სისტემებს, მაგრამ სწორედ სერჟანტი უზრუნველყოფს ამ მცირე დეტალების განხორციელებას რაზმების დონეზე. სერჟანტის გარეშე საერთო სამხედრო სურათი ვერ დაიხატება, ვინაიდან თუ ოფიცერი ქმნის სამხედრო სურათის კონცეფციას, სერჟანტი საღებავებს ამზადებს.

ამერიკელ სერჟანტს შეიძლება ჰქონდეს ან არ ჰქონდეს მიღებული საუნივერსიტეტო განათლება. მიუხედავად ამისა, იგი ჩაირიცხება აშშ-ის ჯარში, როგორც რიგითი სამხედრო, პირველი 2-6 წლის განმავლობაში. ჩვეულებრივად იგი სერჟანტის წოდებას ღებულობს ჯარში 4-წლიანი სამსახურის შემდეგ, ჯარის ოფიცრების უმრავლესობისაგან განსხვავებით, რომლებიც პირდაპირ ჩაირიცხნენ ჯარში უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე. სერჟანტს აკისრია სპეციფიკური პასუხისმგებლობები, რომლებიც შესაძლებელს ხდის დიდი გეგმის სისრულეში მოყვანას. იგი უზრუნველყოფს ოფიცრის მიერ დაგეგმილი წვრთნის განხორციელებას. სწორედ სერჟანტია პასუხისმგებელი იმისათვის, რომ მისი ხელქვეითი ჯარისკაცები გაწვრთნილები იყვნენ და ფლობდნენ სათანადო საბრძოლო ცოდნასა და უნარჩვევებს. როდესაც ოფიცერი გეგმავს თავდაცვას ან იერიშს, სწორედ სერჟანტი ზრუნავს ჯარისკაცების სათანადო საბრძოლო აღჭურვილობაზე, კვებაზე, მათ სიფხიზლეზე და შესაბამის შეიარაღებაზე დაგეგმილი ოპერაციის განსახორციელებლად. თუ ოფიცერი ამზადებს თავდაცვის კამპანიის ზოგად გეგმას და პასუხისმგებელია მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილებაზე, სერჟანტი უზრუნველყოფს საბრძოლო პოზიციების აღმართვას სათანადო სტანდარტებით და ჯარისკაცების საველე-საბრძოლო ეფექტურობას. სწორედ სერჟანტი უზრუნველყოფს საბრძოლო ტექნიკის არსებობას, ძირითადი საბრძოლო მასალის მომარაგებას და აირის ტანკერების ფუნქციონირებას. ოფიცერი, რა თქმა უნდა, აზუსტებს ამას წასვლამდე, მაგრამ საბოლოო ჯამში მხოლოდ სერჟანტი ამზადებს რაზმს ბრძოლისათვის, როდესაც ოფიცერი ამუშავებს გამარჯვებისათვის საჭირო სპეციალურ ტაქტიკურ დეტალებს. აშშ-ის ჯარში ოფიცერი არ კარგავს დროს წარმატებისათვის მნიშვნელოვანი ყოველი წვრილმანის პირადად შემოწმებაზე. ეს სერჟანტის პრეროგატივაა, ამიტომაც შეუძლია ამერიკელ ოფიცერს ფოკუსირება ტაქტიკური თუ ოპერაციული დეტალების კოორდინირებაზე საერთო გეგმის წარმატებისათვის.

საბჭოთა სამხედრო სისტემაში სერჟანტის წოდების მისაღებად ჯარისკაცები უბრალოდ აგრძელებდნენ სამხედრო სამსახურს ორწლიანი საწყისი სამსახურის შემდეგ. ზოგიერთებს ანიჭებდნენ სერჟანტის წოდებას ავღანეთში ბრძოლის შემდეგ. რუსეთისაგან განსხვავებით დასავლეთის ჯარებში სერჟანტის პროფესიონალურ გაწვრთნას გაცილებით უფრო სერიოზულად ეკიდებიან. ამერიკის სახმელეთო ჯარებში ჯარისკაცის კანდიდატურა არც კი განიხილება სერჟანტის რანგის მისაღებად, სანამ იგი ოთხ წელიწადს არ იმსახურებს ჯარში. ამ დროისათვის უფრო გამოცდილი სერჟანტის ხელმძღვანელობით იგი დააგროვებს მეთაურის გამოცდილებას, როდესაც მეთაურობას გაუწევს სამკაციან ცეცხლსასროლ ბრიგადას. სერჟანტის რანგის მიღებისათვის მას სჭირდება კარგი დახასიათებები, მას უნდა დამთავრებული ჰქონდეს არა მარტო საწყისი 8-კვირიანი საბაზო წვრთნის კურსები და 6-კვირიანი ინდივიდუალური ტრენინგები, რომლებსაც ესწრებიან ყველა სახმელეთო ჯარისკაცები,არამედ ოთხკვირიანი საწყისი ლიდერობის უნარჩვევების კურსიც. შემდგომში, როდესაც სერჟანტი დააგროვებს საჭირო გამოცდილებას, მისთვის სავალდებულო ხდება სერჟანტების საბაზო კურსის დამთავრება, და, თუ გააჩნია საკმარისი უნარ-ჩვევები, მას შეუძლია ისწავლოს სერჟანტ-მაიორის აკადემიაშიც. ამ პერიოდისათვის სერჟანტს უკვე უნდა ჰქონდეს ესკადრონის, ოცეულის ან საბრძოლო

კამპანიის მეთაურის გამოცდილება. ამ თანამდებობებზე იგი უშუალოდ იყო პასუხისმგებელი წვრთნაზე, ჯარის ზედამხედველობაზე, ოფიცრების რწევა-დარიგებაზე და მცირე ტაქტიკურ დაგეგმებზე. ამერიკელი სერჟანტები წვრთნიან საკუთარ ჯარისკაცებს საბრძოლო ილეთების დაუფლებაში და უზრუნველყოფენ ყველა დავალების სათანადო დონეზე შესრულებას ცეცხლსასროლი ბრიგადიდან დაწყებული ბატალიონით დამთავრებული. ეს დავალებები მოიცავს საბრძოლო მომზადებას, ჯარისკაცების ზედამხედველობას, საპირფარეშო ორმოების გათხრას და მცველთა რაზმების შედგენას. ფაქტობრივად, ამერიკულ ჯარებში ოფიცრები ხელმძღვანელობენ რაზმებს, ხოლო სერჟანტები წარმართავენ მათ მუშაობას.

### *სერჟანტის არსებობა კრიტიკული მნიშვნელობისაა ჯარის წარმატებული ფუნქციონირებისათვის*

გამოცდილი და გაწვრთნილი სერჟანტის გარეშე საბჭოთა ჯარში ოფიცრებს ევალებოდათ ყველაფრის გაკეთება: საწყისი საფეხურის წვრთნა, დაგეგმვა და იმის გაკონტროლება, რომ ჯარისკაცებმა უკვე მოათავეს ტუალეტი და არ ეწევიან საფარებში. ამის გამო საბრძოლო ნაწილების და, შესაბამისად, მთლიანად ჯარის ეფექტურობა კლებულობდა. ავღანეთსა და ჩეჩნეთში პირველი ომის დროს პროფესიონალურად გაწვრთნილი სერჟანტების ნაკლებობა სერიოზულად დაეტყო საბჭოთა და რუსეთის ჯარების ეფექტურობას. სერჟანტების კორპუსი შედგებოდა ახალწვეულებისაგან, რომლებიც უბრალოდ ჩარიცხეს რაზმებში ან საბაზო ტრენინგების შემდეგ „განათლებულებად" მონათლეს და დამატებითი სწავლება ჩაუტარეს.[2] მაგრამ ეს ახალგაზრდა სერჟანტები არ იყვნენ იმდენად გაწვრთნილები და გამოცდილები, რომ წარემართათ ბრძოლა და ისინი ვერ შეცვლიდნენ დაღუპულ ან დაჭრილ რაზმის მეთაურებს. როგორც ჩანს ჩეჩნებმა ეს კარგად დაინახეს, როდესაც ომის დროს ვოლგოგრადის მე-8 საჯარისო კორპუსის თითქმის ყველა მეთაური ჩეჩენმა სნაიპერებმა მოკლეს ან დაჭრეს.[3]

სტატისტიკური მონაცემებით ავღანეთში სერჟანტების ეფექტური კორპუსის არარსებობამ გამოიწვია ინფექციური დაავადებების გავრცელება, რასაც მოჰყვა მსხვერპლი. საბჭოთა სამხედრო სისტემა დარწმუნდა, რომ სამედიცინო პროფილაქტიკა საველე პირობებში აუცილებელია ჯარის ფუნქციონირებისათვის ექსტრემალურ პირობებში.[4] ეს იმიტომ მოხდა, რომ საბჭოთა სანიტარული და იმუნოლოგიური სამსახური ავღანეთში საშინელი იყო. სხვადასხვა სახის დაავადებები სერიოზულად აფერხებდა ჯარის ბრძოლისუნარიანობას. ამერიკას ამგვარი მარცხი მოუვიდა ესპანეთთან ომის დროს 1890 წელს, მაგრამ ეს იყო გასულ საუკუნეში, როდესაც მედიცინა და ჰიგიენა შორს იყო განვითარების თანამედროვე სტანდარტებისაგან. ავღანეთში მებრძოლი 620 000 ჯარისკაცისაგან 14 453 დაიღუპა ან დაიჭრა ბრძოლებში. 233 დაიღუპა დაავადებებისა და უბედური შემთხვევებისაგან, მაგრამ ეს სტატისტიკა მთლიანად არ ასახავს რეალურ სიტუაციას.[5] 469,685 შესანიშნავი კადრი ჰოსპიტალიზებულ იქნა ავღანეთში, ამათგან 88.56% სერიოზულად იყო დაავადებული და მკურნალობას გადიოდა, ეს კი შეადგენდა ავღანეთში მებრძოლთა 67%. ჯარისკაცებში აღმოაჩინეს ვირუსული ჰეპატიტის 115,308 შემთხვევა, ტიფის 31,080 შემთხვევა, დანარჩენი 269,544 ჯარისკაცი დაავადდა მალარიით, ქოლერით, ჭირით, დიფტერიტით, მენინგიტით, გულის დაავადებით, ინფექციური დიზენტერიით, ამებური დიზენტერიით, რევმატიზმით, ფილტვების ანთებით, მზის დაკვრით, ტიფითა და პარატიფით.[6] საბჭოთა ჯარში აღმოაჩინეს სკორბუტის[7] შემთხვევაც კი.

ავღანეთში საბჭოთა ჯარისკაცების ავადმყოფობის რამდენიმე მიზეზი არსებობდა. უპირველეს ყოვლისა, სუფთა სასმელი წყლის ნაკლებობა, ცუდი

საკვები, ტილები და მღრღნელები, ჭუჭყიანი ფორმები, ცუდი სანიტარული დისციპლინა და მზარეულების უნიათობა.[8] საბჭოთა კავშირის მე-40 არმიაში, რომელიც მთავარ საბრძოლო ძალას წარმოადგენდა, ზემოხსენებული დაავადებების გამო ჯარისკაცების ერთ მეოთხედზე მეტი მუდმივად უმოქმედოდ იყო და ვერ ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობებს. მაგალითად, 1981 წელს მთელი მე-5 მოტომსროლელი დივიზია ბრძოლისუუნარო იყო, ვინაიდან მისი 3000 ჯარისკაცი ერთდროულად დაავადდა ჰეპატიტით. ყოველ წელს ომის მსვლელობაში მე-40 არმიის 33% ავადდებოდა რაიმე ინფექციური დაავადებით. [9]

ავღანეთის სადგომებში მუდმივად იყვნენ ვირთხები, თაგვები, მოსკიტები ნაგავსაყრელების და წყლის ჭუჭყიანი გუბეების გამო, რომლებსაც არ უკეთებდნენ დრენაჟს. ამ საგანგაშო სიტუაციას ვერაფერი მოუხერხეს, ჯარისკაცები არ რეცხავდნენ ფორმებს და თეთრეულს. გაფრთხილების მიუხედავად ჯარისკაცები ხშირად სვამდნენ ჭუჭყიან წყალს, თუმცა ეს უფრო საბჭოთა მომარაგების სისტემის ბრალი იყო, მან ვერ უზრუნველყო სუფთა წყლის მიწოდება. საბჭოთა ჯარებს ისედაც სახელი ჰქონდათ გატეხილი ანტისანიტარიის გამო, ხოლო ავღანეთში სიტუაცია კიდევ უფრო გაუარესდა. მიუხედავად იმისა, რომ საბაზო ბანაკებში არსებობდა საპირფარეშოები, ჯარისკაცები საცხოვრებლად და სასადილოდ გამოყოფილ ტერიტორიას იყენებდნენ საპირფარეშოდ და არც ხელს იბანდნენ ტუალეტის შემდეგ. არც მზარეულები დიდად გამოირჩეოდნენ ჯარისკაცებისაგან ჰიგიენით. ინფიცირებული საკვებით ხშირად მთელი სამხედრო ერთეული ავადდებოდა ხოლმე. მთელი ომის განმავლობაში საბჭოთა მზარეულების ჰიგიენას ვერაფერი ეშველა. [10]

პროფესიონალი სერჟანტების არარსებობის გამო საბჭოთა ჯარში მძვინვარებდა ეპიდემიები. მიუხედავად იმისა, რომ სერჟანტი ვერ გააუმჯობესებდა კვების რაციონს და ვაქცინაციას, იგი მაინც გააძლიერებდა ჰიგიენას და დაიცავდა სისუფთავეს, როგორც ეს დასავლეთის ჯარში ხდება. ამის შედეგად საბჭოთა ჯარში არ იქნებოდა ამდენი ავადმყოფი ჯარისკაცი. ავღანეთში საბჭოთა ოფიცრები გადატვირთულები იყვნენ საბრძოლო ოპერაციების დაგეგმვით და განხორციელებით. ამავდროულად არ არსებობდა არც ერთი შესაბამისი ორგანო, რომელიც გააკონტროლებდა ყველაზე წვრილმან დეტალებს, რომლებიც საჭიროა სამხედრო ძალების საბაზისო მოქმედებისათვის. ამგვარი უყურადღებობის გამო წვრილმანი დეტალები გადაიქცა უზარმაზარ პრობლემებად. ამერიკელი სერჟანტები გადიან სპეციალურ წვრთნას იმაზე, თუ როგორ აღმოფხვრან დანაგვიანება და გააკონტროლონ ჯარისკაცების მიერ ხელის დაბანა, და ყოველივე ეს ხდება ესპანეთ-ამერიკის ომიდან მოყოლებული.

### *სერჟანტი - პროფესიონალი და მასწავლებელი*

აშშ-ის ჯარში სერჟანტს ევალება ჯარისკაცების არა მარტო წვრთნა და დისციპლინის დამყარება, არამედ, როგორც სამხედრო პროფესიონალებს, მათ ევალებათ იმ სამხედროების გაწვრთნაც, ვინც საბოლოო ჯამში მათი უფროსები გახდებიან. ოფიცერთა საბაზისო ტრენინგზე სერჟანტები ასწავლიან ახალგაზრდა ლეიტენანტებს სროლას და იარაღის გაწმენდას, ნავიგაციას კომპასით და რუკით, რადიოგადამცემის ხმარებას, გადაცემების კოდირებას, გზებზე გადაადგილებას და ზურგჩანთის ისე ჩალაგებას, რომ წვიმაში შიგ ჩადებული ნივთები არ დასველდეს და, რომ მან იტივტივოს წყალში. სერჟანტები ახორციელებენ ჯარისკაცების სპორტულ წვრთნას და ასწავლიან ახალგაზრდა ოფიცრებს ჯარზე მზრუნველობას. ოფიცერთა საბაზო ტრენინგზე ოფიცერი ინსტრუქტორები ასწავლიდნენ ტაქტიკის

საკითხებს, დაგეგმვას და ოპერაციების კოორდინირებას. საუკეთესო ოფიცრები ასწავლიდნენ ლიდერობას საკუთარი მაგალითით. რა თქმა უნდა, სერჟანტებიც ასწავლიდნენ ჯარისკაცებს ლიდერობას საკუთარი მაგალითით, რასაც ნებისმიერი პროფესიონალი ოფიცერი გეტყვით. ძალიან ხშირად ოფიცერი საუკეთესო პედაგოგად სწორედ თავის პირველ პედაგოგს - რაზმის სერჟანტს მიიჩნევს.

როდესაც მე დავიწყე ჩემი პირველი მძიმე ნაღმტყორცნელთა ბატალიონის რაზმის მეთაურობა ახალგაზრდა ლეიტენანტის რანგში, რაზმის სერჟანტი ჩემზე 14 წლით უფროსი იყო და ჯარში უკვე 12 წელზე მეტი ჰქონდა ნამსახურები. მე ჯარში 6 თვე ემსახურობდი უესტ პოინტის დამთავრების შემდეგ და 22 წლის ვიყავი. ჩემი ესკადრონის მეთაურები ყველანი 25 წლისანი ან უფრო დიდებიც იყვნენ ასაკით. მიუხედავად იმისა, რომ მე დამთავრებული მქონდა ნაღმტყორცნელთა სკოლა და კარგად მესმოდა ნაღმტყორცნის ოპერაციის და ტაქტიკის საკითხები, რაზმის სერჟანტმა მასწავლა საქმის უფრო სწრაფად, ეფექტურად და ზუსტად გაკეთება. თუ შეცდომებს ვუშვებდი, ამას მარტო რომ ვრჩებოდით, მაშინ მეუბნებოდა, თუმცა ეს იშვიათად ხდებოდა, იმიტომ, რომ იგი იშვიათად *მაძლევდა შეცდომის დაშვების შესაძლებლობას*. მან მასწავლა ეფექტური მეთაურობა, იმიტომ რომ ყველაფერს მეუბნებოდა რაზმის ჯარისკაცების ემოციებსა და მორალური განწყობის შესახებ. იგი აგვარებდა პრობლემებს, სანამ ისინი აღმოცენდებოდა და მეძახდა, მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში, მაგრამ იგი ყოველთვის მაწვდიდა ინფორმაციას.

ჩვენი კამპანიის მეთაური ჩემი ხელმძღვანელი და პედაგოგი იყო, მან მასწავლა ადამიანებისაგან შემდგარი ჯგუფების მეთაურობა და მართვა. ამ პროცესში მე ვისწავლე, რა აქცევს დამწყებ ოფიცერს კარგ ოფიცრად. ჩემმა სერჟანტებმა მასწავლეს, რა აქცევს დამწყებ ჯარისკაცს კარგ ოფიცრად. ორივე აუცილებელია ეფექტური ოფიცერთა კორპუსის ჩამოყალიბებაში, ხოლო სერჟანტის გარეშე შეუძლებელია ჯარს ჰყავდეს მაღალკვალიფიცირებული ოფიცერი.

### *მზრუნველობა სერჟანტებზე*

სერჟანტთა კორპუსის ეფექტური მუშაობისათვის ქვეყანამ უნდა უზრუნველყოს აუცილებელი ინფრასტრუქტურა და წარმატებით მართოს იგი. ამ კრიტერიუმებით განისაზღვრება სერჟანტების უფლებამოვალეობები და პასუხისმგებლობები, მათი განათლება, შესაბამისი ანაზღაურება და კარიერის მენეჯმენტის სისტემა.

უპირველეს ყოვლისა, ჩარიცხული კადრების მზაობა და სურვილი, საკუთარ თავზე აიღონ კრიტიკული მნიშვნელობის პასუხისმგებლობები, გამოარჩევს სერჟანტებს სხვა სამხედროებისაგან. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პასუხისმგებლობების დაკისრების და მათი შესრულების უფლებამოსილების გაცემა შესაძლებელს ხდის ოფიცრებისათვის მთელი ყურადღება გადაიტანონ მაღალი რანგის ოპერაციების დაგეგმვასა და მათი წარმატებისათვის აუცილებელი განკარგულებების გაცემაზე. მაშინ, როდესაც სერჟანტები მუშაობენ თანაბარი მნიშვნელობის უფრო დაბალი რანგის დავალებებზე, რომლებიც ასევე კრიტიკული მნიშვნელობისაა წარმატების მიღწევის გზაზე.

მეორე მხრივ, სერჟანტს უნდა ჰქონდეს შესაბამისი განათლება და უნარჩვევები დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად და უფლებამოსილების ეფექტურად გამოყენების უნარი. თუ სერჟანტი მხოლოდ და მხოლოდ ჯარისკაცია, რომელიც მეორე წელია რაც მსახურობს ჯარში, იგი ვერ იქნება სრულყოფილი პროფესიონალი, ვერ აიღებს თავის თავზე რაზმის მეთაურობას ბრძოლის ველზე. ადგილზევე, ჯარში მიღებული გამოცდილება წლების განმავლობაში, სამხედრო განათლებასთან ერთად, ეფექტურად აყალიბებს მომავალ სერჟანტს და აქცევს მას ლიდერად და

ძლიერ სამხედრო პროფესიონალად, როგორც ეს საბოლოო ჯამში აშშ-ის ჯარში ხდება.

მესამე, იმისათვის, რომ სერჟანტი გახდეს პროფესიონალი მისი საქმიანობა მისი პროფესია უნდა იყოს. იგი უნდა ღებულობდეს ხელფასს, რომელიც არა მარტო არჩენს მას და მის ოჯახს, არამედ გამოხატავს პატივისცემას ამ პროფესიის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ სერჟანტის ხელფასი ნაკლებია, ვიდრე ოფიცერის, ეს ანაზღაურება და ასევე სხვა სამსახურებრივი შეღავათები მის სამუშაოს გადააქცევს კონკურენტუნარიან პროფესიად, რომელსაც პატივს სცემენ. ამგვარად, მას უჩნდება შესაძლებლობა და სურვილი განაგრძოს მუშაობა ამ სფეროში. მას უჩნდება კარიერაში წინსვლის შანსი.

დაბოლოს, იმისათვის, რომ ჩამოყალიბდეს სერჟანტების კვალიფიციური კორპუსი, სამხედრო სისტემამ უნდა უზრუნველყოს სერჟანტის კარიერის ეფექტური მენეჯმენტი. ეს სისტემა მაქსიმალურად იყენებს ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს. იგი განსაზღვრავს, თუ რაზეა პასუხისმგებელი სერჟანტი ყოველ საჯარისო ნაწილში, სადაც იგი მსახურობს. ეს სისტემა განსაზღვრავს, რისი გაკეთება მოეთხოვება სერჟანტს ყოველწლიურად, რათა პროფესიულ კარიერაში წარმატებას მიაღწიოს. სერჟანტის კარიერის მენეჯმენტი უზრუნველყოფს საჭირო საგანმანათლებლო კურსებს და განსაზღვრავს მათი დასწრების გარკვეულ დროს, რათა გაიზარდოს მისი დაწინაურების შანსები. ეს სისტემა ადგენს ხელფასების ოდენობას ჯარში სამსახურის ხანგრძლივობიდან, რანგიდან, გამოცდილებიდან და დაკისრებული პასუხისმგებლობიდან გამომდინარე. ამ სისტემის გარეშე სერჟანტის საქმიანობა უმიზნო იქნებოდა პროფესიონალური თვალსაზრისით. დაიკარგებოდა მისი სამსახურებრივი და პროფესიონალური მოტივაცია და ბუნდოვანი იქნებოდა ამ სერიოზული დარგის მუშაკების კარიერული წინსვლა.

*დასკვნა*

ამერიკელი სერჟანტის ცნება ასახავს ამერიკული საზოგადოების სწრაფვას მოახდინოს ხელისუფლების დეცენტრალიზაცია. თუ ამერიკის ჯარში ყოველ ნაწილს თავისი მეთაური ჰყავს, ოფიცერი და სერჟანტი წარმოადგენენ ამ ოფიცრის ცენტრალიზებული ხელისუფლების გადანაწილების მაგალითს. ასე ხდება მმართველობითი ჯაჭვით ხელისუფლების გადაცემა სპეციალურად განსაზღვრულ პირებზე. პასუხისმგებლობის გადანაწილება ხელს უწყობს მოვალეობების შესრულებას ყველაზე დაბალ საფეხურებზე ყოველ ნაბიჯზე ოფიცერის ზედამხედველობის გარეშე. ხელისუფლების დეცენტრალიზაცია ოფიცერს აძლევს შესაძლებლობას მთელი ძალისხმევა მიმართოს საბრძოლო წარმატებისათვის აუცილებელ ტაქტიკას და სტრატეგიას, ნაცვლად იმისა, რომ ენერგია დახარჯოს საბაზისო ტრენინგებზე, ან ნებისმიერი საჯარისო ერთეულის წარმატებული ფუნქციონირებისათვის საჭირო უბრალო ოპერაციებზე.

ამერიკელი სერჟანტი წარმოადგენს ნდობის და პასუხისმგებლობის დაკისრების მაგალითს. მისიის წარმატება დამოკიდებულია დეტალური გეგმების გაზიარებაზე უფრო დაბალი რანგის დაქვემდებარებულ სამხედროებთან, რომლებიც ოფიცრები არ არიან. ეს კონცეფცია სრულიად უცხო იყო საბჭოთა სამხედრო სისტემისათვის. ამის გამო საბჭოთა ჯარის საბრძოლო სიძლიერემ საგრძნობლად იკლო, როგორც მოგვიანებით ეს დამტკიცდა ავღანეთსა და ჩეჩნეთში. რაც უფრო მეტმა ადამიანმა იცის გეგმის თაობაზე, მით უფრო მეტია შანსი იმისა, რომ იგი განხორციელდება, ვინაიდან მეტი ხალხი ითანამშრომლებს მის განხორციელებაზე. უფრო მეტიც, ეს საბოლოო გეგმა მაინც განხორციელდება მიუხედავად იმისა,

დაიღუპებიან თუ არა ბრძოლაში ჯარის მეთაურები, იმიტომ რომ სერჟანტებმა იციან, ესმით და გააჩნიათ პროფესიული გამოცდილება გეგმის განსახორციელებლად მათი ოფიცრების არყოფნისას. ნაკლებად ინტენსიური ბრძოლის პირობებში ამ ფაქტორს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ავღანეთსა და ჩეჩნეთში კიდევ ერთხელ გამოვლინდა საბჭოთა ჯარის ეს სისუსტე, ისევე როგორც ვიეტნამში, გრენადასა და პანამაში დამტკიცდა ამერიკელი სერჟანტების მნიშვნელოვანი როლი ნაკლებად ინტენსიურ ბრძოლებში. მსოფლიოს ნებისმიერი ნაყოფიერად მომუშავე ორგანიზაცია საფუძვლიან ცოდნას და უნარ-ჩვევებს ემყარება. ოპერაციების განხორციელება არ ჩერდება უბრალოდ იმის გამო, რომ ის პიროვნება, რომელმაც იცის, რა აკეთოს, ავად გახდა ან შვებულებაში გავიდა.

სერჟანტების ეფექტურობა განასახიერებს პროფესიონალიზმის იმ ჭეშმარიტ დონეს, რომელსაც მიაღწია ამერიკის სამხედრო სისტემამ, და ასევე ასახავს ერის მიერ მიღწეულ განვითარების ახალ საფეხურს, რომელიც ხელს უწყობს დეცენტრალიზაციას, დემოკრატიასა და ეკონომიკური კეთილდღეობის უფრო მაღალ მაჩვენებელს. სერჟანტების კორპუსის ეფექტური სისტემა ცხადყოფს ერის ჭეშმარიტ საზოგადოებრივ განვითარებას.

## შენიშვნები და გამოყენებული ლიტერატურა


1. Lievan, Anatol, Chchnya: Tombstone of Russian Power, New Heaven: Yale University Press, 1998. P 293.
2. А. Марков, Нелегальное использование напитков в армии, «Армейский спутник» №12, 1998, с.49. ასევე გამოყენებულია მაიორ ტარნ უორენის ინტერვიუ. იგი მსახურობდა დივიზიის დამაკავშირებელი ოფიცერის რანგში რუსეთის საჰაერო ბრიგადაში ბოსნიაში 1999წ. იგი და მასთან მყოფი 3 ამერიკელი ამტკიცებდნენ, რომ სერჟანტები უბრალო ჯარისკაცები არიან, რომლებიც მე-2 ვადით ჩაირიცხნენ ჯარში. იგი პირადად შეხვდა რუს მთავარ სერჟანტს, რომელიც ჯარში მსახურობდა სულ რაღაც 2 წლისა და 6 თვის განმავლობაში. აშშ-ში მთავარი სერჟანტის რანგის მისაღწევად საჭიროა ჯარში სამსახური 15 ან მეტი წლის განმავლობაში.
3. Knezys, Statys, and Sedilackas, Romanas. The war in Chechnya. College Station, Texas A&M, 1997.
4. Lester Gran, William Jorgensen, Beaten by the Bugs: the Soviet-Afghan. (March 1998). [cited 2 Aug 2001]. Found at www.cgsc.army.mil/milrev/milrevweb/nov/gra.html .
5. Ibid.
6. В.Перспёлкин, Уроки борьбы с кишечными заболеваниями в Авганистане, Военно медицинский журнал,июль1991,с.13, see Grau Jorgensen.
7. С.Алексеевич, Цынковые мальчики. Москва, 1996, с. 26.
8. Grau Jorgensen, op.cit., p.2.
9. Б. Громов, Ограниченный Контингент. Москва, «Прогресс», с. 275.
10. Grau Lester, The Bear Went Over the Mountain. Portland, Frank Cass Publishers, 1998, p. 4-6

ლალი ფირცხალავა
*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი*

# ალიასკის ისტორიის რუსული პერიოდი

ალიასკა, ამერიკის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთით ბერინგის ზღვასა და წყნარ ოკეანეს შორის მდებარე ნახევარკუნძული, რომლის შემადგენლობაში შედის ალეუტის,პრიბილოვის,კოდიაკის კუნძულები,ალექსანდრეს არქიპელაგი და სხვ., როგორც ცნობილია, რუსი მოგზაურების მიერ იქნა აღმოჩენილი და ათვისებული.

მის აღმოჩენას უკავშირებენ ვ.ბერინგისა და ა. ჩირიკოვის ხელმძღვანელობით 1741 წელს განხორციელებულ ექსპედიციას, რომლის შედეგადაც მიღებულ იქნა პირველი სამეცნიერო ინფორმაცია ალიასკის ბუნებისა და მოსახლეობის შესახებ, აგრეთვე აღმოჩენილ იქნა კომანდორისა და ალეუტის მთელი რიგი კუნძულები. ამ აღმოჩენამ გზა გაუხსნა რუსებს წყნარი ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში ბეწვეულის სიმდიდრის გამოყენებისაკენ.

ციმბირელმა ვაჭრებმა და მრეწველებმა ალეუტის კუნძულებზე ექსპედიციების სისტემატური აღჭურვა დაიწყეს, რასაც ვაჭრობის ზრდისა და ბეწვეულის ახალი წყაროების ძიების ინტერესები მოითხოვდა. გარდა ამისა აღსანიშნავია ინგლისის კონკურენციაც, რომელიც განსაკუთრებით გაძლიერდა ამ რაიონში 1778 წელს კუკის ექსპედიციის ყოფნის შემდეგ.

1775 წელს რუსმა ვაჭარმა და მრეწველმა გრიგოლ შელიხოვმა სხვა რუს ვაჭრებთან ერთად ჩამოაყალიბა სავაჭრო კომპანია, რომელიც დაკავებული იყო ბეწვეულისა და ნადირთსახოცი სარეწით წყნარი ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილის კუნძულებზე და ალიასკაზე.

იმავე გრიგოლ შელიხოვმა 1784წელს რუსების პირველი ახალშენი დააარსა ამერიკაში, კ. კოდიაკზე. მისი შუამდგომლობით ხელოსნების 30 ოჯახი გადაასახლეს ირკუტსკიდან კოდიაკზე, მაგრამ ამ ახალმოსახლეებს რუსეთიდან არავითარი დახმარება არ აღმოუჩინეს და 1805 წლისთვის მათგან აღარავინ იყო ცოცხალი. ზოგი შიმშილით დაიხოცა და ზოგიც მკვიდრი მოსახლეობის თავდასხმით. ეს მოგვიანებით მოხდა, მანამდე კი 1786 წლიდან რუსული დასახლებები გაჩნდა ამერიკის სხვა მომიჯნავე რაიონებშიც[1].

რუსეთისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1786–87 წლებში შტურმან პრიბილოვის მიერ მსოფლიოში ზღვის წავის უმდიდრესი თავშესაყარების აღმოჩენას კუნძულებზე, რომლებიც დღეისათვის მის სახელს ატარებს. რუსები წარმატებით აგრძელებდნენ ბეწვეულის მიღებისათვის ახალი რაიონების ძიებასა და ამერიკის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროს ათვისებას იაკუტატის ყურემდე (1796წ) და სიტკას კუნძულებამდე (1799წ).

ინგლისისა და ამერიკის მზარდი კონკურენციის პირობებში პეტერბურგის მმართველმა წრეებმა მხარი დაუჭირეს მრეწველთა ჯგუფის, კერძოდ გრ. შელიხოვის მემკვიდრეების ინიციატივას ოსტ-ინდოეთის კომპანიის მაგალითზე უკვე არსებულ და ერთმანეთს შორის კონკურირებად კერძო სავაჭრო კომპანიებიდან ( გოლიკოვის, შლიხოვის, მელნიკოვის და სხვ.) შეექმნათ ძლიერი სავაჭრო კომპანია. 1799წლის

8 ივლისს პაველ I-მა ხელი მოაწერა ბრძანებას რუსეთ-ამერიკის კომპანიის (რაკ) შექმნის შესახებ, რომლითაც მას ანიჭებდა მონოპოლიურ უფლებას წრდილოდასავლეთ სანაპიროზე.[2]

რუსეთ-ამერიკის კომპანიის საქმიანობაში დიდი როლი შეასრულეს ალექსანდრ ბარანოვმა, რომელიც ამერიკაში რუსული სამფლობელოების მმართველი იყო 1799 წლიდან 1818 წლამდე და ფერდინანდ ვრანგელმა რომელიც რუსული სამფლობელოების მთავარი მმართველი იყო 1829–35 წლებში და კომპანიის დირექტორი 1840–49 წლებში.

რუსეთ-ამერიკის კომპანიის დირექტორების საიდუმლო მითითებაში, ამერიკაში რუსთა დასახლებების მთავარი მმართველისადმი ალექსანდრე ბარანოვისადმი, 1802 წლის 18 აპრილს, აღნიშნული იყო, რომ „რუსეთის უფლებები უნდა განემტკიცებინათ არა მხოლოდ 55 გრადუსამდე, არამედ უნდა გაეფართოებინათ რაც შეიძლებოდა შორს". აქ კარგად ჩანს დაპყრობებში რუსთა დაუოკებელი ლტოლვა. ა.ბარანოვს პეტერბურგელი დირექტორების „მითითებების" განხორციელებაში ხალხისა და მატერიალური რესურსების უკმარისობამ შეუშალა ხელი.

1809 წლიდან რუსული ამერიკის მთავარი სამეურნეო და ადმინისტრაციული ცენტრი გახდა ნოვოარხანგელსკი, კუნძულ სიხტაზე, რომელიც 1804 წელს დაარსდა. მთლიანად რუსული სამფლობელოების ტერიტორიაზე იყო დაახლოებით 15 დასახლება. აღსანიშნავია, რომ რუსული მოსახლეობა საკმაოდ მცირერიცხოვანი იყო: რუსეთის ამერიკულ სამფლობელოებში დაახლოებით 400-500 კაცი.

რუსეთის ამერიკის შესახებ ძალზე საინტერესო ცნობებს იძლევა ნოვოარხანგელსკის კანტორის მმართველი, შემდგომში რუსეთ-ამერიკის კომპანიის მთავარი სამმართველოს დირექტორი კირილ ხლებნიკოვი (1784-1834). მის „ჩანაწერებს" სავსებით სამართლიანად უწოდებენ რუსული ამერიკის მატიანეს.

კ.ხლებნიკოვი აღნიშნავდა, რომ თავიდან ალეუტები საკმაოდ კეთილგანწყობით ღებულობდნენ რუსებს, საოცარი მოთმინებით იტანდნენ სხვადასხვა შევიწროვებას. მაგრამ, როცა მრეწველთა საქციელი ყოველგვარ ზღვარს გადასცილდა, მათი მოთმინების ფიალა აივსო. „ველურის შურისძიება საშინელია, მაგრამ ეს არ შეიძლება მათ სახალხო ხასიათს მივაკუთვნოთო"- წერდა ხლებნიკოვი. თუმცა, შემდგომში რუსებმა იძიეს შური და მკვიდრ მოსახლეობას აჯობეს ველურ სისასტიკეში.[3]

საკმაოდ რთული აღმოჩნდა აეძულებინათ მკვიდრი მოსახლეობა ეცნო რუსთა ბატონობა, რომელიც განხორციელებული იქნა უპირატესად იარაღის ძალით და ეს ძალიან კარგად აისახა მოსახლეობის აღწერაში, რომელსაც თავად რუსები ახორციელებდნენ, მაგალითად:[4]

| | კუნძულ კოდიაკზე | | | ალიასკაზე | |
|---|---|---|---|---|---|
| | მამაკაცი | ქალი | | მამაკაცი | ქალი |
| 1792წ. | 3027 | 3669 | 1792წ. | 439 | 375 |
| 1821წ. | 1176 | 1429 | 1825წ. | 99 | 91 |

რა თქმა უნდა, ადგილი ჰქონდა უბედურ შემთხვევებსაც, ავადმყოფობებსაც, მაგრამ, მკვიდრი მოსახლეობის გადაშენებაში ლომის წილი რუსთა დაუნდობელ ბატონობაში იყო.

კ.ხლებნიკოვი გაოცებას და აღშფოთებას ვერ ფარავდა იმ მტაცებლობისადმი, რასაც რუსი მეწარმეები ეწეოდნენ ძვირფასბეწვიანი ცხოველების მიმართ. მას მოჰყავდა ციფრები ალიასკის კუნძულებიდან ზღვის წავის ბეწვის გატანის შესახებ 1786 წლიდან 1828 წლის ჩათვლით: ეს 3 080 655 –ს შეადგენდა. იგი აღნიშნავდა, რომ „წარმოუდგენელია, როგორ გადარჩა ეს ცხოველი ასეთ განადგურებას, თუ გავითვალისწინებთ, რომ ზღვის წავი აჩენს ერთ ან ძალზე იშვიათად ორ ლეკვს. შესაბამისად,ცხოველთა ეს სახეობა მოკლე ხანში სრულიად შეიძლება განადგურდესო".

საინტერესოა რუსეთის ხელისუფლების აქტები ამერიკის სამფლობელოებისადმი, რომლებიც ნათელს ჰფენს იქ არსებულ მდგომარეობას. პირველი იყო ირკუტსკის გუბერნატორის, არმიის გენერალ-მაიორის ფრანც კლიჩკას აქტი, რომელშიც იგი მიმართავდა ალეუტის კუნძულებისა და ალიასკის ნახევარკუნძულის მცხოვრებლებს. მასში ნათქვამი იყო, რომ მისი საიმპერატორო უდიდებულესობა ეკატერინა ალექსის ასული, ზრუნავდა რა თავის ქვეშევრდომებზე, წერილის ავტორს დაავალა გაეგზავნა მათთვის რუსეთის გერბები, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობას უნდა დაემაგრებინა კუნძულებზე, ძირითადად, ისეთ ადგილებში, სადაც ნავსადგომები იყო, ხეებზე, რათა ყველას დაენახა, რომ ეს მიწები უკვე რუსეთის იმპერიას ეკუთვნოდა, ხოლო მათზე მცხოვრები ხალხი რუსეთის ქვეშევრდომი იყო აწ და მარადის. წერილის ავტორთა აზრით, გერბები ერთგვარ დაცვის ფუნქციას შეასრულებდა ამ სამფლობელოებში."[5]

აღსანიშნავია, რომ 1783 წლის 15 ივნისს სპეციალური წერილი იყო შედგენილი ოხოტსკის მხარის კომენდანტის, პოლკოვნიკ გრიგოლ კოზლოვ-უგრენინის მიერ სამრეწველო კომპანიების ხომალდების ეკიპაჟებისადმი. მასში ნათქვამი იყო, რომ „ნებისმიერი ხომალდი, რომელიც ამერიკის რუსული სამფლობელოების რომელიმე კუნძულს მოადგება, ადგილობრივ მოსახლეობას უნდა მოექცეს ლმობიერად, არ უნდა გადაასახლონ შორეულ კუნძულებზე, როგორც ჩანს, ამას მასობრივი სახე ჰქონდა – თუ რომელიმე ხომალდის ეკიპაჟის წევრები მათ მიმართ დანაშაულს ჩაიდენენ, დაუსჯელი არ დარჩებიან. ჩვენთვის ცნობილია რასაც აქამდე სჩადიოდით, ამიერიდან მსგავსი აღარ განმეორდეს და აღმოიფხვრას ბოროტება, გახსოვდეთ, რომ არავითარი დანაშაული არ დაიმალება"[6] – ნათქვამი იყო წერილში.

მაგრამ, როგორც კ.ხლებნიკოვი აღნიშნავდა, ეს ღონისძიებები დაგვიანებული იყო, რადგან ალეუტის კუნძულები გაუკაცრიელებული იყო. ალეუტები ცოტანი დარჩნენ. თუმცა, ისინიც, ალბათ, ბ-ნ უგრენინს უნდა უმადლოდნენ თავის გადარჩენას, რომელიც შეეცადა აღეკვეთა მათი განადგურება.

რუსეთის ამერიკულ სამფლობელოებში არსებული მდგომარეობის წარმოსადგენად ძალზე მნიშვნელოვანია აგრეთვე გრ.კოზლოვ-უგრენინის ნუგეშისმცემელი ცირკულარი, რომელიც კუნძულების მკვიდრი მოსახლეობისადმი იყო მიმართული. ის ეხებოდა იმ ძალადობასა და ბოროტმოქმედებას, რასაც რუსები სჩადიოდნენ ალიასკის მოსახლეობის მიმართ.

ცირკულარში აღნიშნული იყო, რომ ეკატერინა II-ის ბრძანებით ფრანც კლიჩკას მიერ გაგზავნილი გერბები უნდა დადგმულიყო ყველა იმ კუნძულზე, რომელიც რუსეთის გვირგვინის ქვეშ იყო, ასევე, იმ კუნძულებზეც, რომლებიც შემდგომში დაექვემდებარებოდა რუსეთს. აქ კარგად ჩანს რუსეთის ლტოლვა სამფლობელოების მუდმივად გაზრდისკენ.

ცირკულარში აღნიშნული იყო, რომ „ჩვენამდე მოვიდა თქვენი თხოვნა, რომლიდანაც, სამწუხაროდ ნათელი გახდა ის არაადამიანური დამოკიდებულება რუსების მხრიდან, რომლის შესახებაც არაფერი იცოდა ხელისუფლებამ დღევანდლამდე და რომ სცოდნოდა, აუცილებლად აღმოფხვრიდა. გთხოვთ დამშვიდდეთ და გქონდეთ იმპერატრიცას წყალობის იმედი, რომელიც, რა თქმა უნდა, ყველაფრისგან დაგიცავთ, რადგან იცის თქვენი ურყევი ერთგულება."[4] რა თქმა უნდა, ეს დაპირებები, მხოლოდ ფარატინა ფურცელზე რჩებოდა და მკვიდრი მოსახლეობისათვის არსებითად არაფერი შეცვლილა.

ყველა რუსული ხომალდის ხელმძღვანელობისათვის, რომელიც ჩავიდოდა კუნძულზე, უნდა ეჩვენებინათ ეს ცირკულარი, რომელიც ემლეოდათ მათ როგორც დაცვის სიგელი, რათა კუნძულის ყოველი მცხოვრები დარჩენილიყო თავის საცხოვრისში, არ დამორჩილებოდა მოძალადეს და იძულებით არ გადასახლებულიყო მისთვის უცნობ კუნძულებზე. როგორც წერილში იყო მითითებული, „მათ უნდა იცოდნენ, რომ ერთი სახელმწიფოს ქვეშევრდომები ხართ. თუ თქვენს მიმართ გამოიყენებენ იძულების ხერხებს, მაშინ გირჩევთ დაიმახსოვროთ რომელი ხომალდიდან არიან ისინი და რომელი ვაჭრის კომპანიიდან, რის შესახებაც გამოგზავნით თქვენს საჩივრებს სამართლიანი მტკიცებულებით და ის ხალხი აუცილებლად დაისჯება მათი დანაშაულის შესაბამისად, თქვენ კი დაკმაყოფილდებით". საინტერესო დეტალები მჟღავნდება ამ ცირკულარით. მასში ნათქვამია: „ჩვენამდე მოაღწია იმ ხმებმაც, რომ თქვენ მიერ წარმოებული ცხოველები მაღალხარისხოვანია. მე გირჩევთ, თქვენ მიერ წარმოებულ საქონელს დაუსვათ განსაკუთრებული ნიშნები, რომლის შეცვლასაც ვერ შეძლებენ". წერილი თარიღდება 1787 წლის 15 ივნისით. წერილიდან ნათელი ხდება, რომ რუსი მეწარმეები არა მარტო ადგილობრივ მოსახლეობას, არამედ თავის ხელისუფლებასაც კი არ ინდობდნენ და ატყუებდნენ მას საკუთარი გამდიდრების მიზნით.[7]

კ.ხლებნიკოვის ცნობით, ალეუტები ამ ცირკულარს აჩვენებდნენ იქ ჩასულ ხომალდების ხელმძღვანელებს და მოითხოვდნენ, რომ წაკითხვის შემდეგ მასზე ხელი მოეწერათ. თუმცა, ამ ღონისძიებას მნიშვნელოვანი შედეგი არ მოჰყოლია.

ეს იქიდანაც ჩანს, რომ 1834 წელს რუსეთ-ამერიკის კომპანიის დირექტორი ფერდინანდ ვრანგელი წერდა კოდიაკის კუნძულის მოსახლეობის შესახებ, რომ „მას შემდეგ, რაც შელიხოვმა ეს კუნძული დაიკავა 1784 წელს, 50 წელი გავიდა და ნახევარი საუკუნის მანძილზე მკვიდრი მოსახლეობის სასარგებლოდ არაფერი გაკეთებულა". არც სასულიერო მისიას გაუკეთებია რამე. იგი ხელს უწყობდა ალვირახსნილობას და გაუთავებლად ებრძოდა ადგილობრივ ხელმძღვანელობას. აღსანიშნავია, რომ ფ. ვრანგელი ერთ-ერთი იყო იმ მცირერიცხოვან რუს მოხელეთაგან, რომლებსაც გული შესტკიოდათ ალიასკაზე რუსების უპასუხისმგებლო ქმედებებზე.

ამრიგად, რუსეთ-ამერიკის აქციონერთა მოღვაწეობა, კერძოდ, ბეწვეულის სარეწის ორგანიზაცია, ატარებდა მტაცებლურ ხასიათს, რასაც თან ახლდა ძალადობა და დაუნდობლობა მკვიდრი მოსახლეობის მიმართ. რუსეთისათვის სულ უფრო რთული ხდებოდა სამფლობელოების შენარჩუნება ჩრდილოეთ ამერიკაში.

ბეწვეულის სარეწის მკვეთრმა შემცირებამ, რომელიც რუსეთ-ამერიკის კომპანიის მოღვაწეობის საფუძველს წარმოადგენდა, საერთაშორისო ვითარების გაუარესებამ, სირთულეებმა რუსეთთან რეგულარული კავშირის დამყარებაში, ასევე, რუსეთის ხელისუფლების პოზიციის შესუსტებამ წყნარ ოკეანეში, განაპირობა ამერიკაში რუსული სამფლობელოების ლიკვიდაცია. 1859 წელს ამერიკის

შეერთებულმა შტატებმა განახორციელა პირველი მცდელობა ალიასკის შესაძენად, ხოლო 1867 წლის 8 მარტს აშშ-მა მიაღწია ხელშეკრულების ხელმოწერას მისთვის ალიასკისა და ალეუტის კუნძულების მიყიდვაზე 7 200 000 აშშ დოლარად. ეს იყო დაახლოებით 11 მლნ რუბლი ოქროთი.[8]

რუსეთის საგარეო პოლიტიკის პრაქტიკისათვის ამ უჩვეულო გადაწყვეტილების მიღება ლოგიკური შედეგი იყო მეფის ხელისუფლების უუნარობისა, დაეცვა თავისი შორეული სამფლობელოები და მისი მოსახლეობა ამერიკის კონტინენტზე.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. «Русские открытия в Тихом океане и северной Америке в XVIII в.» Под ред. А. И. Андреева, М., 1948, с.24
2. С.Б.Окунь. Российско-американская компания, М.-Л.,1939, с.17.
3. «Русская Америка в неопубликованных записках К.Т.Хлебникова». Л.,1979,с.144.
4. То же.
5. Там же, с.134.
6. Там же, с.136.
7. Там же, с.134.
8. А.И.Алексеев. Судьба Русской Америки. Магадан, 1975, с.77.

**ლევან სვანაძე**
*ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის პროფესორი*

# იუკჰემ სტიდის ტურნე აშშ-სა და კანადაში

მაღალი რანგის მსოფლიო პოლიტიკის ცალკეული რაკურსები ქართულ ისტორიოგრაფიაში, ჩვენდა სავალალოდ, ალბათ, ჯერ კიდევ დიდხანს იქნება ანბანური ჭეშმარიტების დადგენის ცდის დონეზე. მსოფლიო პოლიტიკის საკითხებისადმი საქართველოს ხელისუფლების გულგრილი დამოკიდებულების გამო ამ სიერცის ისტორიული სამეცნიერო მემკვიდრეობა სრულიად გაუთვითცნობიერებულია ქართული საზოგადოებრიობის, პირველ რიგში, სტუდენტი ახალგაზრდობის ფართო წრეებისათვის. ქართულ ენაზე არ მოგვეპოვება არა მარტო მსოფლიო პოლიტიკის რანგის მოღვაწეთა ნაშრომები, არამედ შედევრებიც კი (ჩერჩილი, იდენი, ტეთჩერი, ბისმარკი, დე გოლი, კისინჯერი, მაკმილანი, ჰ. ნიკოლსონი). მით უმეტეს, სრულიად უცნობია იმ პირთა პოლიტიკური საქმიანობის ამპლიტუდა, რომელთაც თავისი აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციით არა მარტო ხელი შეუწყვეს მსოფლიო პოლიტიკის კაცობრიობისათვის უკეთესი მერმისისათვის ფორმირებისა და წარმართვის პროცესს, არამედ შექმნეს ამ საქმის პოლიტიკურ-დიპლომატიური მომზადების ფართო საზოგადოებრივი აზრის მაღალი დონე, უპირველეს ყოვლისა, თავისი რენომეთი, ცოდნით, წონით, დარწმუნების უნარით და, თუ გნებავთ, მასების გაძღოლის უნარით. არ შეიძლება ისტორიაში მათი გაბნევა-გაუჩინარება. ეს უსამართლო და დაუმსახურებელი მოპყრობა იქნებოდა მათდამი. ისინი არ იმსახურებენ ამას.

უიკჰემ სტიდი ერთ-ერთი მათგანი გახლდათ. იგი არ იყო ამერიკელი. სამაგიეროდ, მას ღმერთმა არგუნა ბრიტანეთში დაბადება, რისთვისაც განგებას, ალბათ, მადლობა უნდა მოვახსენოთ, რამეთუ მაშინ აშშ, ასე ვთქვათ, იაპონელებივით თავის დროზე, ჩაკეტილი იყო და ძველი სამყაროს მიმართ ინტერესს არც თუ დიდად იჩენდა.

უიკჰემ სტიდის ბიოგრაფიით ზედმეტად თავს არ შეგაწყენთ, თუმცა, რომ მომენდომებინა, თურმე, ამას საქართველოში მაინც ვერ გავაკეთებდით. ვერც კი წარმომედგინა, რომ ენციკლოპედია „ბრიტანიკა" მას ადგილს თავის ფურცლებზე არ დაუთმობდა. ან კიდევ, ჰაროლდ ნიკოლსონი, რომელიც მართალია ერთი-ორჯერ იხსენებს მას თავის საინტერესო მემუარებში, მაგრამ არავითარ ინფორმაციას არ იძლევა მის შესახებ და განსაკუთრებით უ. სტიდის ტურნეს თაობაზე კანადასა და აშშ-ში.

ამიტომ შევეცდებით ჩვენი მთავარი ფიგურანტის რამდენიმე პოზიციის დასახელებას, რაც საშუალებას მოგვცემს აპრიორი ვიცოდეთ, თუ ვინ იყო იგი და ბოლოს ვინ და რატომ გადაწყვიტა დასახელებულ ქვეყანაში მისი ემისრად მივლინება. ეს ხომ ხუმრობა არ იყო: უ. სტიდს უნდა წარმოედგინა თავისი ქვეყანა დიდი ბრიტანეთი. მართალია, იმავე ანგლო-საქსურ სამყაროში, რომელსაც თვითონ ეკუთვნოდა. მაგრამ მთავარი მაინც ეს არ იყო, არამედ მას უნდა განეწყო ისინი ანტი-გერმანულად. ნუ დაგავიწყდებათ, კანადაში, თვით აშშ-შიც, ათობით

მილიონი გერმანული წარმოშობის ამერიკელი ცხოვრობს, რომელთა ძარღვებში გერმანული სისხლი ჩქეფდა, პლუს ნაცისტი ჯაშუშების საქმიანობით გართულებულ ვითარებაში.

მაშ ასე, პირველი და მნიშვნელოვანი ამ შემთხვევაში ის გახლავთ, რომ უ. სტიდი პირველი მსოფლიო ომის უშუალოდ მომდევნო პერიოდში იყო ლონდონის „ტაიმსის" მთავარი რედაქტორი. ეს გარემოება მას დიდ იმიჯსა და, ქართული სიტყვა რომ ვიხმაროთ, გამავლობას უქმნიდა არა მარტო დიდ ბრიტანეთსა და ინგლისურენოვან სამყაროში, არამედ საერთოდ მსოფლიოში. იგი დიდი დემოკრატი იყო, პროგრესული შეხედულებების მქონე კაცი, ადამიანი, რომლის შესახებ ბრიტანელები ხმარობენ ორ უჩვეულო ტერმინს—public person ანდა national figure-ს. ის იყო წარმომადგენელი ლონდონური ელიტარული წრისა,რომელიც პოლიტიკური მსჯელობის მიზნით სისტემატურად იკრიბებოდა ჩვეულებრივ სადილებზე დედაქალაქის პრესტიჟულ კაფე—რესტორნებში. ჰაროლდ ნიკოლსონი – მწერალი, პოლიტიკოსი,დიპლომატი,პარლამენტარი და საკმაოდ ცნობილი ორატორი, 1938 წლის 2 მარტს ასეთ ჩანაწერს აკეთებს: „გუშინ უცნაურად საინტერესო ლანჩს შევესწარი. ეს ხალხი ატარებს „ფოკუსის ჯგუფის" სახელწოდებას და უინსტონის ერთ—ერთ ქმნილებას წარმოადგენს (and is one of Winstons things)". უინსტონში, რაღა თქმა უნდა, ჩერჩილი იგულისხმებოდა (ჩვენშიც ხომ ხმარობენ ვაჟას, ილიას, აკაკის). მის გარდა ჯგუფში შედიან: ნორმან ანჯელსი (ნობელის პრემიის ლაურეატი, პაციფისტი,„ნორმანჯელიზმის" ლიდერი),უიკჰემ სტიდი,ვალტერ ლაიტონი,რობერტ სესილი,ვიოლეტ ბონჰემ კარტერი,კ. ეტლი და ზოგიერთი სხვა ლეიბორისტების რიგებიდან,ა. სინკლერი, ლიბერალთა ლიდერიც. იქ მეც მერგო სიტყვა,შეიძლება ერთგვარად გართულებული. მაგალითად, უინსტონი იყო უჩვეულოდ მახვილგონიერული. ეს ის სიტყვაა,რომელიც გამოვა „სავოიიდან",მთელს ლონდონს შემოივლის და მთელს ბრიტანეთსა და მსოფლიოს მოეფინება. უინსტონ ჩერჩილმა მასში ინგლისი მოიხსენია, როგორც დიდი ქვეყანა („this great country"), რომელიც კარიდან კარზე ხბოდაკარგული ძროხასავით ბღავის. დაებუნძულებთ დახმარებისათვის დღეს რომში, ხვალ ბერლინში, მაშინ როცა სამყარო სავსეა მათ გადასანსლავად შემზადებული ნიანგებითა და ალიგატორებით".

ფოკუსის ჯგუფზე ჩვენ ქვემოთ შევჩერდებით. აქ კი მივაქციოთ ყურადღება, როგორ და ვის წრეში აღინიშნება უიკჰემ სტიდი - უ. ჩერჩილი, ნ. ანჯელი, ვიოლეტ ბონჰემ კარტერი, ჰ. ნიკოლსონი. ესენი ხომ პოლიტიკური ბრიტანეთის კორიფეები არიან. მათ გვერდით და ისიც სუფრაზე ყოფნა, ეს სრულიადაც არ არის შემთხვევითი მოვლენა.

ჩვენ ზემოთ ვახსენეთ უიკჰემ სტიდის „ტაიმსის" ექს-რედაქტორობა, თუმცა იმ დროისათვის (1930-იანი წლები) იგი ასეთი აღარ არის. როდესაც ლორდმა ასტორებმა ეს გაზეთი შეიძინეს, მათ უპირატესობა მიაკუთვნეს ჯეფრი დაუსონს, რომელიც შემდეგ მოგვევლინა მემარჯვენედ, მიუნხენელად, დამყვავებლად და ყველაფერ იმად, რაც ჩამოყალიბდა „ნევილ—ჩემბერლენიზმად" (ნევილს იმიტომ ვურთავთ, რომ იყო მისი ძმაც—ოსტინ ჩემბერლენი. ადრე მასზე გამოჩენილი კონსერვატორი მოღვაწე,პარტიის ლიდერი,საგარეო საქმეთა მინისტრი,საკმარისი მემარჯვენე, მაგრამ არა მიუნხენელი. ის „ფოკუსის" წევრიც იყო!..). „ტაიმსის" ეს რადაქტორი, მხედველობაში გვყავს ჯ. აუსონი, ბნელ საქმიანობას ეწეოდა ქვეყანასა და, განსაკუთრებით, „კლაივდენის ჯგუფში", რომელიც შეიძლება ითქვას სრულიად გამორჩეული პოლიტიკის დამფუძნებელ-მწარმოებლური პრესტიჟული ჯგუფი იყო

დიდ ბრიტანეთში და არა მარტო იქ. ვფიქრობთ, ორგანიზაცია „ფოკუსი" სწორედ იმ ელიტარული კლუბის საპირისპიროდ შეიქმნა, რომელსაც „კლაივდენური" ეფექტის გაბათილებისა და დამჩრდილველის როლი უნდა შეესრულებინა, როგორც ეს ახლად შექმნილი ინფორმაციის სამინისტროს შემთხვევაში იყო, როდესაც მისი არსებობის აუცილებლობა დასაბუთდა გერმანიის პროპაგანდის სამინისტროს (ი. გებელსის ხელმძღვანელობით) ეფექტის შემამცირებელი საშუალების შექმნის საჭიროებით.

ჩვენ ამ კონკრეტულ შემთხვევაში გვაინტერესებს უიკჰემ სტიდის როგორც „ფოკუსელის" პოზიცია, რამეთუ მისი ტურნე კანადასა და აშშ-ში სწორედ ამ ორგანიზაციის დავალებით და სახელით განხორციელდა. „ფოკუსი", როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია, დაარსდა 1936 წლის დასასრულს. იგი დაფუძნდა როგორც არაპარტიული, ანდა ზეპარტიული გაერთიანება, რომლის წევრები იყვნენ როგორც კონსერვატორული,ასევე ლეიბორისტული და ლიბერალურ პარტიათა წარმომადგენლები. ჩერჩილზე, ანჯელსზე, ე. ბ. კარტერზე, ჰ.ნიკოლსონზე და სხვებზე უკვე ითქვა,მაგრამ სხვა ჯგუფს წარმოადგენდნენ ო.ჩემბერლენი,კ. ეტლი, ლორდი სესილი და კიდევ ბევრი სხვა. არანაკლებ საინტერესოა, რომ ამავე ჯგუფში იყო გაერთიანებული წარმოშობით გერმანელი ებრაელი ბიზნესმენი, რომელიც ინგლისში ემიგრაციაში იმყოფებოდა და რომელმაც უდიდესი სამსახური გაუწია „ფოკუსს". ჯერ იყო და, იგი აფინანსებდა ჯგუფს, იყო მისი სულისჩამდგმელი და როდესაც ომი დამთავრდა, ის ინტერნირებული ამ ომის პროცესში, დაბრუნდა ინგლისში. მან გამოაქვეყნა წიგნი ამ ორგანიზაციის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ჩერჩილი იმჯერად ამის წინააღმდეგი იყო. ამ ემიგრანტის სახელი და გვარი იყო იუჯინ სპაიერი. სწორედ ამ მონოგრაფიამ მოგვცა შესაძლებლობა გავცნობოდით „ფოკუსის" საქმიანობას.

„ფოკუსი" დაარსდა დაყვავების პოლიტიკის წინააღმდეგ, როგორც მისი ანტითეზა, როგორც ანტინაცისტური ჯგუფი. ვ. ბ. კარტერის სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი სერ უინსტონ ჩერჩილმა დააარსა კაცობრიობის ისტორიის უბნელეს ჟამს თავისუფლებისა და მშვიდობის ინტერესებით. იგი ნახევრად თუ არა, მთლიანად კონსპირაციულ ორგანიზაციას წარმოადგენდა. მისი წევრები სარგებლობდნენ გამოგონილი სახელებით. სახელდობრ, ჩერჩილის მეტსახელი იყო „ოსკარი". „ფოკუსი" აკრიტიკებდა და უტევდა დიდი ბრიტანეთის მთავრობის პროგერმანულ კურსს, სამართლიანად მიიჩნევდა რა, რომ იმ ეტაპზე ნაცისტურ გერმანიასთან დაახლოების პოლიტიკა, თავისი არსით, ანტიბრიტანული იყო. ორგანიზაციის წევრები მოითხოვდნენ ინფორმაციისა და შეიარაღების სამინისტროების შექმნას, ჩერჩილის დაუყოვნებლივ დაბრუნებას მთავრობაში (მოგვიანებით მის პრემიერ-მინისტრობას), ე. იდენის დაბრუნებას მთავრობაში, იწვევდნენ მშვიდობის დაცვის კონგრესებს და სხვ. ყველაფერი ეს „ფაშისტური გერმანიის საფრთხით გამოწვეულ გამოფხიზლების შედეგი იყო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „ფოკუსის" დაფუძნება მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო ე. წ. „კლაივდენის ხროვის" არსებობით, როგორც ამას თვით ინგლისელები უწოდებდნენ. კლაივდენი ლორდი ასტორების „ქანთრი-ჰაუზი" იყო მდ. ტემზის პირას, ლონდონიდან 50-60 კმ-ზე. ეს ბრწყინვალედ მოწყობილი მამული გვაროვნული არისტოკრატიისა და ინგლისურენოვანი სამყაროს პოლიტიკური ელიტის საკრებულო ადგილს წარმოადგენდა: მერი პიკფორდიდან და ჩარლი ჩაპლინიდან დაწყებული, აქ შეხვდებოდით მეფეებს, პრეზიდენტებს,

პრემიერებს,მინისტრებს,პოლიტიკურ პარტიათა ლიდერებს,არა მარტო საკუთრივ ინგლისიდან, არამედ ამერიკიდან, კანადიდან, ავსტრალიიდან და საბჭოთა კავშირიდანაც კი (ლიტვინოვი, მაისკი). ზოგიერთი მათგანი, განსაკუთრებით მდიდარი ამერიკელების წრიდან, სტუმართა ჟურნალში თავისი გვარის აღნიშვნას ერიდებოდა და პოლიტიკურ იეროგლიფებს მიმართავდა.

საუბრის თემა ამ უიკენდებსა და შეხვედრებზე პოლიტიკა იყო, მეტწილად, ტოტალიტარულ ქვეყნებთან დამოკიდებულებისა და ურთიერთობის საკითხები. ბუნებრივია, ეს სჯა-ბაასი გაააქტიურა ჯერ, თავის დროზე, რუსეთში ბოლშევიკების მოსვლამ ხელისუფლებაში, შემდეგ ფაშისტებისამ იტალიაში, ხოლო 1930-იანი წლების დამდეგს ნაციონალ-სოციალისტებისამ – გერმანიაში. ზოგჯერ ის მამლის ყივილამდე გრძელდებოდა. სახლის დიასახლისი, პარლამენტის წევრი, ნენსი ასტორი მწერალ ბერნარდ შოუს ახლდა მოსკოვში, 1931 წელს სტალინთან კრემლში მისი ვიზიტის დროს, სადაც საკმაოდ ხანგრძლივი დისკუსიების მიუხედავად ვერა და ვერ აჯობა მასპინძელს, რასაც ჩვეულებრივ მიჩვეული იყო ინგლისსა და ამერიკაში (საიდანაც იყო წარმოშობით), უფრო პირიქით. სტალინმა ისე აკეწლა იგი, რომ უინსტონ ჩერჩილმა თავის „მეორე მსოფლიო ომის ისტორიაში" კლასიკურ ნიმუშად წარმოადგინა ეს ეპიზოდი.

რაც შეეხება სტუმრების მოწვევას საბჭოთა კავშირიდან, ეს იმისთვის კეთდებოდა, რომ ინგლისის ფართო საზოგადოებრიობისთვის ეჩვენებინათ, რომ აი ნახეთ, როგორი დემოკრატი ბიჭები ვართო: ჩვენთან არიან რუსი მინისტრებიო.

კლაივდენიდან მობრუნებული ამერიკელები და კანადელები თავიანთ ქვეყნებში ფართომასშტაბიან პროპაგანდას ეწეოდნენ იქ პოლიტიკური ქცევის ნორმად მიღებულ – პროგერმანულ ორიენტაციას და ამ კურსის მხარდაჭერისკენ მოუწოდებდნენ თავის თანამემამულეებს. მსგავს აგიტაციას ისედაც საკმაოდ ფართოდ ეწეოდა ნაცისტთა „მეხუთე კოლონა" ამ ქვეყნებში. ანალოგიურ მხარდაჭერას ნებსით თუ უნებლიეთ ეწეოდნენ ცალკეულ შემთხვევებში ამერიკის თვალსაჩინო პოლიტიკოსები თუ დიპლომატები. მათგან გამოვყოფდი აშშ-ის ელჩს ინგლისში ჯოზეფ კენედის, ამ სახელმწიფოს მომავალი პრეზიდენტის მამას, რომელიც ამ საქმიანობის გამო უკან გაიწვია ქვეყნის პრეზიდენტმა ფრანკლინ დელანო რუზველტმა!.. და ეს იმის მიუხედავად, რომ მისგან ძალზე დავალებული იყო 1936 წლის არჩევნებში გამარჯვებით.

დიდ ბრიტანეთში ქვეყნის არაოფიციალურმა ოპოზიციამ დროზე შეამჩნია საფრთხე და კლაივდენის ვირუსისაგან „ამერიკის გადარჩენის მიზნით" გადაწყვიტა იქ თავის პოლიტიკურ ყოჩთაგან ერთის გაგზავნა. ახლოვდებოდა 1937 წლის შემოდგომა. დიდხანს იდავეს, თუ ვისთვის შეებათ უღელი. ეს ისე იოლი საქმე ხომ არ იყო. კანდიდატს წარმატებით უნდა აეწია შტანგა, „რომლის გირებად" ერთ მხარეს აშშ უნდა ყოფილიყო, ხოლო მეორეზე - კანადა! თუ ბიჭი ხარ, მიდი და მოგერიებინა ასეთი ძალოსანი. მდგომარეობას ის ართულებდა, რომ ენტონი იდენი, რომელიც მართალია ოფიციალურად არ იყო „ფოკუსის" წევრი, მაგრამ მხარს უჭერდა მათ, ჯერ კიდევ საგარეო საქმეთა მინისტრი იყო (1938 წლის 20 თებერვლამდე) და ამიტომ გამოირიცხებოდა იმჯერად (მომდევნო წელს ის ამავე მარშრუტით გაგზავნეს, რომლის დროს მან ჩვენთვის უკვე ნაცნობი ჟ.კენედის სიტყვებით რომ ეთქვათ, მთელი ამერიკა დაიპყრო!).

შეიძლებოდა ასეთი ყოფილიყო უკვე ხსენებული ჰაროლდ ნიკოლსონი, მაგრამ იგი 1933 წელს თავის მეუღლესთან, აღიარებულ მწერალთან ვერა (ვიტა)

საკველ-ვესტთან ერთად, უკვე სტუმრობდა კანადასა და აშშ-ში სამთვიანი სალექციო კურსით. ალბათ უხერხული ჩანდა ასე მალე მათი შებრუნება იმავე გზაზე. ასე რომ, უნდა გაკეთებულიყო ახალი არჩევანი. წარბშეუხრელად შეჩერდნენ უიკჰემ სტიდზე. სხვას, ალბათ, რომ თავი დაეანებოთ, ასტორებისთვის და „ტაიმსისთვის“ უნდა დაემტკიცებინათ გაზეთიდან მისი გათავისუფლების მცდარობა. ეს ჩვენი დასკვნა იყო, მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული მის არც თუ უსაფუძვლობაში.

რაღა თქმა უნდა, ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი იქნებოდა უინსტონ ჩერჩილი, მაგრამ რამდენიმე მიზეზი ამას ხელს შეუშლიდა. ჯერ ეს ერთი, ორ-სამი თვე ლონდონში მისი არყოფნა „ფოკუსსა“ და, საერთოდ, ოპოზიციას პარლამენტში ძალზე დაეტყობოდა, მაგრამ, რაც მთავარია, ამის საშუალებას მას არ აძლევდა მისი ფიზიკური კონდიცია. ჯერ კიდევ 1930 წელს, მან შესჩივლა ლორდ ბივერბრუკსა და ჰაროლდ ნიკოლსონს, რომ სისუსტეს გრძნობდა და ახალგაზრდული ენერგია დაკარგა (H. Nicolson, Diaries end Letters, 1967, v.I, p..38).

და აი, 1937 წლის სექტემბერში ასეთი რთული და საპასუხისმგებლო მისიით ქრისტეფორე კოლუმბის აღმოჩენილი კონტინენტისაკენ ხომალდით გაემგზავრა უიკჰემ სტიდი. მისია საპატიო, მაგრამ იმავდროულად მძიმე მუხტის მატარებელი იყო. მკითხველმა უნდა წარმოიდგინოს ის სიძნელეები, რომლებიც ასეთ ტურნეებს ახლდა, მით უმეტეს, ისეთ უკიდეგანო ქვეყნებში, როგორსაც სავიზიტო ქვეყნები წარმოადგენდა. ამას დაუმატეთ გზები, სასტუმროები, ტრანსპორტი – ყველაფერი ეს 1930-იანი წლების ამერიკის კონტინენტზე, იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყნები ის-ის იყო მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის კატაკლიზმებიდან ძლივს აღწევდნენ თავს.

ეს იყო არა ტურნე, არა ვიზიტი, არამედ ტრიუმფი, ჰიმნი, თუ გნებავთ, უიკჰემ სტიდის ჯერ არნახული აღიარება, როდესაც ორივე ქვეყანა ხალიჩად დაეგო მის წინაშე და თავისი ქვეყნის – დიდი ბრიტანეთის წინაშეც, „ინგლიშმენის“ დიდი უნარის წინაშე. დაწყებული ტორონტოდან (კანადა), ვიდრე ფილადელფიამდე და ნიუ-ორლეანამდე (აშშ) სტიდმა ისეთივე ხალხმრავლობითა და ზეიმით განვლო გზა, როგორც ნაპოლეონმა 1815 წლის 1 მარტიდან 15-მდე ქალაქი კანიდან პარიზამდე ცნობილი „100 დღის“ დასაწყისში.

დაახლოებით ორი თვე დაჰყო სტიდმა ამ ქვეყნებში. ვის არ შეხვდა იგი – გამოჩენილ ჟურნალისტებს, პოლიტიკოსებს, მინისტრებს, პრემიერ-მინისტრებს, სახელმწიფო მინისტრს და პრეზიდენტს, „The Monreal star“-ის რედაქტორს, ოტავის გუბერნატორს, ბოსტონში გამომავალი გაზეთის - „The Cristian Science Monitor“-ის რედაქტორს როსკიუ დრიუმონდს, უცხოეთთან ურთიერთობების საბჭოს ხელმძღვანელობას, რომელსაც ნორმან დევისი მეთაურობდა, სახელმწიფო მდივანს კორდელიუს ჰელს და ბოლოს თეთრ სახლში პრეზიდენტ ფრანკლინ დელანო რუზველტს. მთელი ეს გზა გვირგვინებით იყო შემკული.

ყოველმა მათგანმა აღუთქვა სტიდს მხარდაჭერა „ფოკუსის“ საქმიანობაში და ამერიკული საზოგადოებისთვის იმის შთაგონება, რომ ქვეყნის ნეიტრალიტეტი შეუთავსებელია მშვიდობისა და დამოუკიდებლობის დაცვასთან და რომ თვით პრეზიდენტის სულ ბოლო გამოსვლა ჩიკაგოში 10 ოქტომბერს სწორედ ამ კონცეფციას ითვალისწინებდა. იგი ისტორიაში შევიდა, როგორც „საკარანტინო სიტყვა“ და კარდაკარ შემოიარა მთელი ქვეყანა და არა მარტო ამერიკაში. თავის სიტყვაში რუზველტმა თავისებური კორექტირება გაუკეთა 1936 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ამერიკელი დიასახლისებისათვის მიცემულ დაპირებას – თქვენს

შეილებს საომრად ევროპაში არ გავაგზავნიო. ეს იყო 1936 წელს. იმჟამად კი, 1937 წელს, მან შესწორება შეიტანა მასში, ესაოდა ქვეყანას რომ დასჭირდეს რაიმე კარანტინი, ხომ უნდა უმალ შემოვიღოთო. სტიდს იქ „ფოკუსის" ფილიალების შექმნაც აღუთქვეს.

დიდ ბრიტანეთში სტიდი 28 ოქტომბერს დაბრუნედა. მან ვრცელი ანგარიში წარუდგინა „ფოკუსსა" და მთავრობას. ამ გარემოებას პრემიერ-მინისტრ ნევილ ჩემბერლენის დაინტერესება გამოუწვევია, რის გამოც სტიდი დაუნინგ-სტრიტზე მიუწვევიათ სასაუბროდ. პირადად მომახსენოსო, უთქვამს პრემიერს. იქ მისულ სტიდს ბევრი სიახლე უთქვამს. პრემიერი ოდნავ დაფიქრებულა, მაგრამ მალევე უთქვამს, რომ სამხედრო მუქარას ჩვენ თავისუფლებისთვის ბრძოლის მაღალი გადაწყვეტილებით დავხვდებით.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Th. Jones, Diary and Letters. 1931-1950. L., 1950.
2. E Spier, Focus. L., 1963.
3. W-S. Churchil, The Second World War, 6 vol., Boston, 1948-1953.
4. J. Kennedy, While England Slept, N.Y., 1940.
5. ლ. სვანაძე. უინსტონ ჩერჩილი და კონსერვატორები. თბილისი, 1989.

ლია უნაძე
*თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის*
*სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის მაგისტრანტი*

# 11 სექტემბერი და საქართველო

2001 წლის 11 სექტემბერს მთელი მსოფლიო ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში მომხდარი საშინელების მოწმე გახდა. ბინ-ლადენისა და მისი თანამოაზრეების მიერ კარგად დაგეგმილ ტერორისტულ აქტს ხელი ვერაფერმა შეუშალა – მსოფლიოში უდიდესი სავაჭრო ცენტრის ცათამბჯენები რამდენიმე წამში იქცა ნანგრევებად, დანგრეულ იქნა, აგრეთვე, პენტაგონის მნიშვნელოვანი ნაწილი. სამწუხაროდ, ამ ანგარიშსწორებას მაშინ სამი ათასი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ამერიკის ისტორია ორად გაიყო – 11 სექტებრამდე და 11 სექტემბრის შემდეგ.

ტრაგედიიდან რამდენიმე საათის შემდეგ აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში სიტყვით გამოდის თავისი ხალხის წინაშე:

„11 სექტემბერს თავისუფლების მტრებმა მოაწყვეს საომარი აქტი ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ. ამერიკელებისთვის ნაცნობია ომი, მაგრამ ბოლო 136 წლის მანძილზე ის სხვის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა, თუ არ ჩავთვლით 1941 წლის ერთ კვირა დღეს. ამერიკელებისთვის ნაცნობია დანაკარგები, მაგრამ არა დიდი ქალაქის ცენტრში მშვიდობიან დილას. ამერიკელებისთვის ნაცნობია უეცარი თავდასხმები, მაგრამ არა თავდასხმა მშვიდობიან მოქალაქეებზე. ყველაფერი ეს დაგვატყდა თავს ერთ დღეში – დაღამდა კი უკვე სულ სხვა მსოფლიოში, მსოფლიოში, რომელშიც შელახულ იქნა თვით თავისუფლებაც...

მაგრამ ეს არ არის მხოლოდ ამერიკის ომი. აქ არ წყდება მხოლოდ ამერიკის დამოუკიდებლობის ბედი. ეს ცივილიზაციათა ომია. ეს თითოეული იმათგანის ომია, ვისაც სწამს პროგრესისა და პლურალიზმის, მოთმინებისა და თავისუფლების...

ცივილიზებული მსოფლიო ამერიკის გვერდით დგება. ქვეყნებს ესმით, რომ თუ ამგვარი ტერორი დაუსჯელი დარჩება, მის სამომავლო სამიზნეებად შეიძლება იქცნენ მათი ქალაქები, მათი მოსახლეობა. უპასუხოდ დარჩენილმა ტერორმა შეიძლება არა მხოლოდ შენობა დაანგრიოს, არამედ კანონიერი მთავრობების სტაბილურობის საფრთხედაც იქცეს. ჩვენ ამას არ დავუშვებთ...

ჩვენი გზა ჯერ კიდევ არ არის გარკვეული, მაგრამ შედეგი ნათელია. თავისუფლება და შიში, სამართლიანობა და დაუნდობლობა ყოველთვის ებრძვიან ერთმანეთს და ჩვენ გვწამს, რომ ღმერთი არასოდეს დაიჭერს ნეიტრალურ პოზიციას ამ უკიდურესობათა შორის."[1]

პრეზიდენტის ამ გამოსვლამ გააღვივა ამერიკელთა პატრიოტიზმი, ეროვნული სიამაყე, ერთიანობის შეგრძნება.

11 სექტემბერს აშშ-მა პირველად იგემა საკუთარ ტერიტორიაზე თავდასხმა და ისიც ყველაზე მგრძნობიარე ადგილებში! საერთაშორისო უსაფრთხოების პრობლემათა ჩამონათვალში საერთაშორისო ტერორიზმმა უმნიშვნელოვანესი ადგილი დაიკავა. შეერთებულმა შტატებმა და მთელმა მსოფლიომ დაინახა, რომ საერთაშორისო ტერორიზმისაგან, თუ მას საგანგებოდ და გლობალურ დონეზე არ შეებრძოლე, ვერც უზარმაზარი სამხედრო ძალა, ვერც მსოფლიოში უძლიერესი ეკონომიკა და ვერც უმაღლესი ტექნოლოგიები დაგიცავს.[2]

აშშ-ის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის აზრს იზიარებს მისი სახელმწიფო მდივანი კოლინ ლ. პაუელიც და მოუწოდებს მსოფლიოს ქვეყნებს გაერთიანდნენ ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად: „ტერორიზმის საფრთხეს გლობალური, მრავალფეროვანი და მიზანმიმართული ხასიათი აქვს. ჩვენ და ჩვენი პარტნიორები კოალიციიდან ხანგრძლივი, რთული კამპანიისათვის უნდა ვიყოთ მზად. მისი ხანგრძლივობა წლობით განისაზღვრება და მრავალი მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის ყველა არსებულ – დიპლომატიურ, სამართლებრივ, ეკონომიკურ, ფინანსურ, სადაზვერვო და საჭიროების შემთხვევაში სამხედრო საშუალებათა გამოყენებით იწარმოებს.

ტერორიზმთან ბრძოლის ამ გლობალური კამპანიის მსვლელობისას არცერთ ქვეყანას არ შეუძლია თავს განაპირას დგომის ფუფუნების უფლება მისცეს, რადგანაც არანაირი განაპირა ადგილი არ არსებობს. ტერორისტები არც გეოგრაფიულ და არც მორალურ საზღვრებს ცნობენ. ამიტომაც ფრონტის ხაზი მთელს მსოფლიოზე გადის და ძალზე ბევრი რამ დგება საფრთხის წინაშე."[3]

სრულიად ნათელია, რომ ამერიკელი ხალხის ამ ტრაგედიას საკადრისად გამოეხმაურა მთელი მსოფლიო და არც საქართველო დარჩა გულხელდაკრეფილი.

ამერიკაში მომხდარი ტერაქტის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ იმ დღეს კახეთში გამართული ზეიმის დროს გაიგო. მან იმავე წუთს მიატოვა წინანდალი და თბილისისკენ წამოვიდა.

იმავე დღეს ედუარდ შევარდნაძემ გულითადი თანაგრძნობის დეპეშა გაუგზავნა აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს:

„ბატონო პრეზიდენტო, შეძრწუნებული ვარ არნახული მასშტაბის ტერორისტული აქტით. გადაჭრით ვგმობ ბარბაროსობისა და სიძულვილის ამ გამოვლინებას. ქართველი ხალხის სახელით ღრმა სამძიმარს ვუცხადებ დაღუპულთა ოჯახებს და მთლიანად ამერიკელ ხალხს. გულწრფელად თქვენი, ედუარდ შევარდნაძე."[4]

იმავე დღეს საქართველოს პარლამენტმაც გააკეთა განცხადება იმის თაობაზე, რომ ეს „სერიოზული დანაშაული" მხოლოდ ამერიკის „ეროვნულ კატასტროფას" კი არა, მთელი კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს წარმოადგენდა.

„ტერორიზმის მასშტაბებისა და მოცულობის მუდმივი ზრდა საფრთხეს მთელს კაცობრიობას უქმნის, – ნათქვამი იყო განცხადებაში. – ამერიკელი ხალხის ტრაგედია ყოველი სახელმწიფოსა და ადამიანის მიერ პირადად მათ მიმართ განხორციელებულ დანაშაულად უნდა აღიქმებოდეს."[5]

პარლამენტის წევრებმა პირობა დადეს, რომ საქართველო ტერორიზმთან ბრძოლას ყველანაირად ხელს შეუწყობდა. მათ ყველა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს „ტერორიზმის მიმართ დაუნდობელი ბრძოლის გამოცხადებისკენ" მოუწოდეს.

როცა ტერაქტებით გამოწვეულმა შოკურმა მდგომარეობამ გაიარა, შეერთებულმა შტატებმა აღმოაჩინა, რომ იმ ქვეყნების მხარდაჭერით სარგებლობდა, რომელთა იმედიც ყველაზე ნაკლებ ჰქონდა. ყოფილმა მტრებმა რუსეთიდან, შუა აზიისა და კავკასიის სახელმწიფოებმა ოპერაცია „დაუმარცხებელი მშვიდობის" დაწყებით აშშ-ის დახმარების ხელი გაუწოდეს. მსოფლიო ტერორიზმთან ერთობლივმა ბრძოლამ საერთო ინტერესის გამომწვევ სხვა პრობლემათა ფრონტის ხაზის განსაზღვრაც გახადა შესაძლებელი. საერთო ინტერესები, ერთი შეხედვით, ნაკლებმიმზიდველი საქართველოს ტერიტორიასთანაც გამოჩნდა.

ამერიკის შეიარაღებული ძალების პრეს-სამსახურის წარმომადგენელი ლინდა დ. კოზარინი საქართველოს ტერორთან ბრძოლის გლობალურ პარტნიორად

თელის. აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ წერილში იგი აღნიშნავს:

„კავკასიაში მდებარე საქართველოს რესპუბლიკა, შესაძლოა, შეერთებული შტატებიდან და ვაშინგტონიდან უსაშველოდ შორს მყოფი გეჩვენოთ, მაგრამ როცა 11 სექტემბერს ტერორისტებმა შეერთებულ შტატებს შეუტიეს, ქართველი ხალხი მეზობელივით გამოგვეხმაურა.

საქართველოს მთავრობა პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით ეკონომიკური რეფორმების ერთგულია. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ საქართველო დიდ იმედებს ამყარებს ევროპასა და აზიას შორის არსებული უძველესი სავაჭრო მარშრუტის – აბრეშუმის გზის აღორძინებაზე. შეერთებულმა შტატებმა საქართველოსთან ეკონომიკური, დიპლომატიური და სამხედრო კავშირები დაამყარა."[6]

2001 წლის 2 ოქტომბერს დაიწყო აშშ-ის ადმინისტრაციის მოწვევით საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტი ამერიკაში. ჩვენი პრეზიდენტი იყო პირველი პოსტსოციალისტური სივრცის ქვეყნების ლიდერთა შორის, ვინც ტყუპი ცათამბჯენების ნანგრევებზე გვირგვინი დადო და პატივი მიაგო აქ დაღუპულთა ხსოვნას.

აღნიშნული ვიზიტის დროს გამართულ ბრიფინგზე ამერიკის პრეზიდენტმა გადაწყვეტილება მიიღო საქართველოსთვის სამხედრო დახმარება გაეზარდა. ბუშის მისწრაფება სამხედრო სფეროში უფრო ენერგიული თანამშრომლობის შესახებ მას შემდეგ გაძლიერდა, რაც აშშ-ის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ პანკისის ხეობაში გახიზნულ ჩეჩენ ბოევიკებს უსამა ბინ ლადენთან და „ალ-ქაიდასთან" ჰქონდათ კავშირი.

საქართველოს შეიარაღებულ ძალთა ქაოსური მდგომარეობა აშშ-ის ინტერესებისთვის აშკარა საფრთხეს წარმოადგენს. საქართველო უშუალოდ ჩეჩნეთს ესაზღვრება, მის ტერიტორიაზე ამერიკის მიერ დაფინანსებული „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" ნავთობსადენი გაივლის.

ახლა შეერთებული შტატები თავისი გლობალური ანტიტერორისტული კამპანიის ფარგლებში საქართველოს ხელისუფლებას თავისი კონტრტერორისტული რესურსების გაძლიერებასა და პანკისის ხეობაში შექმნილი სიტუაციის გამოსწორებაში ეხმარება.

1999 წელს საქართველოს ოფიციალურმა პირებმა დაახლოებით 7000 ჩეჩენი ლტოლვილის არსებობა აღიარეს. დასავლეთელი დამკვირვებლების აზრით ისინი საფრთხეს უქმნიან ქვეყნის უშიშროებას. რუსეთსაც და შეერთებულ შტატებსაც სურთ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ კონტროლი აღადგინოს პანკისის ხეობის კრიმინალიზებულ რაიონზე, სადაც შესაძლებელია იმალებოდნენ ჩეჩენი სეპარატისტებიც და ის შეიარაღებული ბოევიკებიც, რომლებსაც სავარაუდოდ უსამა ბინ ლადენის ტერორისტულ ქსელ „ალ-ქაიდასთან" აქვთ კავშირი.

ფსბ-ს აზრით, აქ 2000 შეიარაღებული მებრძოლია, მაგრამ მართლა რამდენია, ღმერთმა უწყის.[7]

29 აპრილს საქართველოს დედაქალაქ თბილისში „წვრთნისა და აღჭურვის" ქართული პროგრამის დასაწყებად 20-მდე ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე ჩამოვიდა. სულ პროგრამაში 150-მდე ამერიკელი და 2000-ზე მეტი ქართველი სამხედრო იღებს მონაწილეობას.[8]

როგორც პენტაგონის წარმომადგენლები იუწყებიან, შეერთებული შტატები აღჭურვის სფეროში საქართველოს მიაწვდიან ტექნიკას და რესურსებს, მათ შორის, სამხედრო ფორმას, სასროლ იარაღს და ტყვია-წამალს, საწვავს, საამშენებლო

მასალებს, ასევე სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენ, სასწავლო და კავშირგაბმულობის დასამყარებელ ინვენტარს.

„ჩვენ თავიდანვე დაუფარავად განვაცხადეთ, რომ ანტიტერორისტულ კოალიციაში მივიღებდით მონაწილეობას, – განაცხადა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა დავით თევზაძემ 7 მაისის ინტერვიუში, რომელიც საიტ EuraziaNet.org-ზე გამოქვეყნდა. – დახმარება, რომელსაც ჩვენი ამერიკელი კოლეგები გვიწევენ, საქართველოს შიდა პრობლემების გადაჭრაში დაგვეხმარება და ამასთან საერთაშორისო მისიებში მონაწილეობის საშუალებასაც მოგვცემს."[9]

მან აღნიშნა, რომ ეს პროგრამა „იმისთვისაა გამიზნული, რათა საქართველომ საკუთარი პრობლემების მოგვარება გარეგანი დახმარებისა თუ ჩარევის გარეშე შეძლოს. მეორე მხრივ, ცხადი უნდა იყოს, რომ იგი ნატო-ს სტრუქტურებთან ჩვენს ინტეგრაციას აეითარებს. ჩვენ დიდი ხანია ემონაწილეობთ ნატო-ს სასწავლო პროგრამაში „პარტნიორობა მშვიდობისათვის", რომლის მეშვეობითაც გვყავს ქვედანაყოფები, რომლებიც კოსოვოს სამშვიდობო ძალებში მონაწილეობისთვის არიან მომზადებულები."[10]

დავით თევზაძესთან პენტაგონში 7 მაისს გამართული შეხვედრის შემდეგ თავდაცვის მინისტრმა დონალდ ჰ. რამსფილდმა განაცხადა, რომ დაახლოებით 15 ქვეყანამ, მათ შორის თურქეთმა და გერმანიამ, საქართველოსა და მისი თავდაცვის მინისტრს „მათი შეიარაღებული ძალების გაცილებით მაღალხარისხიანი ანტიტერორისტული პოტენციალის შესაქმნელად" მრავალფეროვანი დახმარების გაწევა აღუთქვეს.

„შეერთებული შტატები და საქართველო აგრძელებენ ურთიერთობას იმ სამხედროთა დონეზე, რომლებიც „პარტნიორობა მშვიდობისათვის" და ნატოსთან ურთიერთობათა რეალურ გაფართოებას წარმოადგენენ, – მიუთითა რამსფილდმა. – ეს მრავალწახნაგოვანი ურთიერთობაა და უშიშროების საკითხებთან ერთად დიპლომატიურ და ეკონომიკურ საკითხებსაც მოიცავს."[11]

ამერიკა 11 სექტემბრამდეც აცხადებდა, რომ საქართველო მისი ინტერესების სფეროში ხვდებოდა. ცნობილი მოვლენების შემდეგ კი, როგორც დავინახეთ, ამ იდეამ მეტი იმპულსი შეიძინა.

რას ფიქრობენ დღეს ამაზე ქართველი პოლიტიკოსები და რა შედეგს მოუტანს ეს საქართველოს?

„11 სექტემბრის შემდეგ მთელს მსოფლიოში შეიცვალა დამოკიდებულება საერთოდ ტერორიზმის მიმართ, ის უფრო სერიოზულად აღიქვა მთელმა მსოფლიომ, ვიდრე მანამდე ხდებოდა. ბუნებრივია, ამერიკა მანამდეც აქცევდა ყურადღებას ამ პრობლემას და მათ სამხედრო დოქტრინაშიც ტერორიზმი ერთ-ერთ ყველაზე უმნიშვნელოვანეს საფრთხედ ითვლებოდა, მაგრამ 11 სექტემბერმა ხარისხობრივად უფრო მაღალ დონეზე აიყვანა სახელმწიფოთა სიფრთხილის საკითხი.

მსოფლიო გარკვეულწილად უფრო მობილიზებული გახდა და უსაფრთხოების საკითხებმა წინ წამოიწია.

ჩვენი ქვეყნის თვალსაზრისით, ჩვენ უფრო მეტი შანსი მოგვეცა 11 სექტემბრის შემდეგ იმისა, რომ საერთაშორისო ძალთა განაწილების სქემაში უფრო აქტიურად ჩავერთოთ. ჩვენთვის ეს კარგია, რადგან ამ ეტაპზე მსოფლიო ცივილიზებულ სახელმწიფოებთან სჯობს ინტეგრირებული ვიყოთ, ვიდრე მარტო ვეცადოთ გადარჩენას," – მიიჩნევს გიორგი ბარამიძე. – „დღეს ამერიკაში უფრო დიდი ყურადღება ეთმობა უსაფრთხოების საკითხებს. მაგალითად, ამერიკის სამხედროების დაფინანსება და მომზადება მნიშვნელოვანწილად გაიზარდა.

11 სექტემბრის შემდეგ ამერიკელები ცოტა მეტად იზრუნებენ საერთაშორისო ასპარეზზე მყოფი სხვა ქვეყნებისათვის. ამ ტრაგედიამ მთელს მსოფლიოს კარგი გაკვეთილი აჩვენა და ერთი მხრივ, როგორც იტყვიან, ზოგი ჭირი მარგებელიაო, ასე მოხდა, რადგან ეს თარიღი რომ არ ყოფილიყო, მაშინ ნატოში გაწევრიანების მოსურნე არც ამდენი კანდიდატურა გამოჩნდებოდა."[12]

ქართველი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ 11 სექტემბერმა ამერიკა გამოაფხიზლა, უფრო სწორად მას მიეცა მთელი რიგი საკითხების გააზრების საშუალება.

პოლიტოლოგი ზურაბ ჭიაბერაშვილი თვლის, რომ 11 სექტემბრამდე განვითარებული სამყარო, კერძოდ ევროპისა და ამერიკის მიდგომა დანარჩენი მსოფლიოს მიმართ იყო გაცილებით განსხვავებული, ვიდრე არის დღეს: „ეს მიდგომა მდგომარეობდა იმაში, რომ ეკონომიკური პროექტების განხორციელებით განვითარებად და ჩამორჩენილ ქვეყნებში, ისინი თუ მთლად ბოლომდე ვერ დაეწეოდნენ დასავლეთს, მიუახლოვდებოდნენ მაინც მას. ამ პროცესს სხვაგვარად მოდერნიზაციის პროცესი ჰქვია და ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოები, ადრე პრიმიტიული და განვითარებადი, ყალიბდებიან დემოკრატიულ სახელმწიფოებად.

მაგრამ 11 სექტემბრის მოვლენამ აჩვენა, რომ მხოლოდ ეკონომიკური პროექტების განხორციელება არ იყო საკმარისი ამ პროცესების წარმატებით განხორციელებისათვის, იმისათვის, რომ მსოფლიო საერთო განვითარების გზით წასულიყო," – აცხადებს ჭიაბერაშვილი.[13]

ამ მოვლენების შემდეგ განვითარებადი და ჩამორჩენილი ქვეყნებისათვის მხოლოდ ზემოთ აღნიშნული პროგრამებით დახმარება საქმეს აღარ შველოდა. ეს, ბუნებრივია მანამდეც ცნობილი იყო საზოგადოების გარკვეული ნაწილისათვის, თუმცა, რეალურად ამ თემის უფრო მეტად გააზრება და, რაც მთავარია, ცხოვრებაში გატარება სწორედ 11 სექტემბრის შემდეგ განხორციელდა.

ამ თარიღის შემდეგ მივიღეთ მსოფლიო, რომელშიც აშშ ახორციელებს სამხედრო ოპერაციებს მათ წინააღმდეგ, ვინც კაცობრიობას და ცივილიზაციას უქმნის საფრთხეს, ვინც მის განვითარებას უშლის ხელს.

ცივილიზებულ და არაცივილიზებულ სამყაროს და არა ქრისტიანულ და მუსლიმურ, ან დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის დაპირისპირება, როგორც დღეს უკვე შეფასდა 11 სექტემბრის ტერაქტი, საქართველოსთვისაც გადამწყვეტი როლის მატარებელი აღმოჩნდა.

"რაც შეეხება საქართველოს, ჩვენი ქვეყანა მათთვის მანამდეც იყო უმნიშვნელოვანესი წერტილი. ასეთი დამოკიდებულება საქართველოს მიმართ გამოწვეულია არა ამერიკის გულმოწყალებით, არამედ იმით, რომ საქართველო ამერიკის ინტერესებში შედის. მის ინტერესებში შედის ის, რომ დაეხმაროს ქართულ ჯარს თუნდაც იმისათვის, რომ ამ ჯარმა შემდეგ დაიცვას საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ნავთობსადენი. ეს არის დიდი შანსი საქართველოსთვის, რომელსაც ჩვენი ქვეყანა ჯერ სრულად ვერ იყენებს, მაგრამ პანკისში მიმდინარე ანტიტერორისტული ოპერაცია ტოვებს მცირე იმედს, რომ ეს არის ქვეყანა, რომელსაც შეუძლია დასავლეთთან პარტნიორობა.

სხვათაშორის, 11 სექტემბერმა ეს პროცესი მეტად დააჩქარა. მაგალითად, თუ ჩვენ გვეგონა, რომ ქართული ჯარის გაწვრთნას ამერიკა 2005 წელს შეუდგებოდა, ეს გაცილებით ადრე დაიწყო. ეს კი მეტად მნიშვნელოვანია. მსოფლიომ დაინახა საქართველოს ფასი.

ამ მხრივ, ზემოთ ჩამოთვლილ პიროვნებებს „აღორძინების" ერთ-ერთი ლიდერი ჯემალ გოგიტიძეც ეთანხმება, თუმცა, მიიჩნევს, რომ 11 სექტემბრის წინდაუხედავი პოლიტიკის შემდეგ საქართველომაც სერიოზულად იზარალა.

"ერთი, რაც ნათელია, ის არის, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში არაფერი შეცვლილა. აქცენტი გაკეთდა რუსეთ-ამერიკის ურთიერთობებზე, მათ თანამშრომლობაზე. ამას გრძნობს საქართველოც.

საქართველო არის პატარა ქვეყანა, მას ამერიკა „წამოარტყამს თავში ხელს", თუ რუსეთი, ჩემთვის ამას არა აქვს მნიშვნელობა. ამ პროცესებში ამერიკაც უფრო აგრესიული გახდა. დღეს მათი პოლიტიკა მიმართულია იმისკენ, რომ პრეცედენტების გაჩენას არ შეუწყოს ხელი. თუმცა, არც ამ აზროვნებას შეიძლება ტაში დაეუკრათ," – თვლის გოგიტიძე.[14]

სხვათაშორის, ნიკო ნიკოლაძემ თავის დროზე თქვა: „საქართველო მზესუმზირას ჰგავს, საიდანაც გრძნობს ძალას, იმ ქვეყნისკენ გადაიხრება ხოლმე. ასე იყო ბიზანტიის, რუსეთის და სხვა ქვეყნების შემთხვევაში."[15]

ახლა დადგა დრო, რომ ალბათ, სჯობს, ამერიკის ძალიდან გამომდინარე მას დავუჭიროთ მხარი, რადგან კარჩაკეტილობა დღეს ჩვენ ვერ გადაგვარჩენს.

11 სექტემბრის ტერორისტული აქტის შეფასება-გააზრების პროცესი ალბათ, კიდევ დიდხანს გაგრძელდება, მსოფლიოს ქვეყნები, მოსალოდნელია, უფრო ინტენსიურად დაიწყებენ თანამშრომლობას საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. იმედია, რომ საქართველო, თავისივე სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე, თავის მცირე წვლილს შეიტანს საერთო საქმეში. ეს წვლილი ჩვენნაირი პატარა ქვეყნისთვის საკმარისი, ხოლო მსოფლიო არენაზე კარგად შესამჩნევი უნდა აღმოჩნდეს.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. «Внешняя Политика США» - Терроризм, том 6, №3, Ноябрь 2002, с. 3, Электронный журнал Государственного Департамента США.
2. ალექსანდრე რონდელი, აშშ-ის ახალი როლი ევრაზიაში 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ, „ამერიკის შესწავლის საკითხები", №1, თბილისი, 2002 წელი, გვ. 20-21.
3. „საერთაშორისო ტერორიზმი 2001 წელს", სახელმწიფო მდივნის კოლინ ლ. პაუელის წინასიტყვაობა, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მოხსენება.
4. არმაზ სანებლიძე, „ზუსტად შარშან და 8 წლის წინათ", „საქართველოს რესპუბლიკა", 11 სექტემბერი, 2002 წელი.
5. http//usinfo.state.gov.
6. ლინდა დ. კოზარინი, „საქართველოს რესპუბლიკა – ტერორიზმთან ბრძოლის გლობალური პარტნიორი", 15 მაისი, 2002 წელი, http//www.defenselink.mil.
7. „საქართველო", №9(1781), სამშაბათი, 10 სექტემბერი, 2002 წელი.
8. თომას ბრეიდის კომენტარი, http//www.EuraziaNet.org.
9. იქვე.
10. იქვე.
11. იხ. ლინდა დ. კოზარინის წერილი.
12. „რეზონანსი", №247, ოთხშაბათი, 11 სექტემბერი, 2002 წელი, ეკა ქევანიშვილის კომენტარი.
13. იქვე.
14. იქვე.
15. იქვე.

**ლეილა ხუბაშვილი**
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დოცენტი*

# ამერიკის კოლონიზაცია და ესპანელი ჰუმანისტები

XVI საუკუნე ყველაზე რთული და წინააღმდეგობრივი ეპოქა იყო ესპანეთის ისტორიაში. გაერთიანების პროცესის დასრულების შემდეგ, ესპანეთი დაადგა კოლონიური დაპყრობებისა და ევროპაში აგრესიული საგარეო პოლიტიკის წარმოების გზას. რელიგიურ ფანატიზმთან შეთავსებული მომხვეჭელობისკენ სწრაფვა ესპანელებს უბიძგებდა ატლანტიკის ოკეანის გაღმა. ახალ სამყაროში ნაძარცვი ოქრო-ვერცხლით დატვირთული ხომალდები მიემართებოდნენ ესპანეთის სანაპიროსაკენ, რათა მოეტანათ სახსრები ახალი დაპყრობითი ომების საწარმოებლად.

მიუხედავად იმისა, რომ ეს იყო ქვეყნის საბოლოო გაერთიანების, არაბებთან განმათავისუფლებელი ბრძოლის დასრულების, გაბედული საზღვაო მოგზაურობებისა და დიდი აღმოჩენების ეპოქა, XV საუკუნის ბოლო და XVI საუკუნე რჩება ყველაზე შავბნელ ფურცლებად ესპანეთის ისტორიაში.

XVI საუკუნის პირველ ნახევარში ესპანური ეკონომიკის ხანმოკლე აღმავლობას საუკუნის ბოლოს უკვე ძლიერი ეკონომიკური დაცემა მოჰყვა. XVI საუკუნის დასასრულს და XVII საუკუნის დასაწყისში ევროპაში წარუმატებელი ომების შემდეგ ესპანეთმა დაკარგა თავისი პოლიტიკური ძლიერება და ევროპის მოწინავე ქვეყნების რიცხვიდან ამოიშალა. მაგრამ ეს ფაქტი არ ამცირებს იმ უდიდეს დამსახურებას, რაც ესპანეთმა მოუტანა კაცობრიობას „ახალი სამყაროს" აღმოჩენის სახით. სწორედ ესპანეთიდან, კერძოდ, საზღვაო პორტ პალოსიდან 1492 წლის 12 მაისს გაემგზავრა ქრისტეფორე კოლუმბის პირველი ექსპედიცია, რასაც ახალი მატერიკის აღმოჩენა მოჰყვა.

XV საუკუნის 90-იან წლებში ესპანეთში შექმნილი ისტორიული და სოციალური პირობები გვეხმარება გავიგოთ, თუ რიგორ შეძლო ჩამორჩენილმა ფეოდალურმა ქვეყანამ წამყვანი როლი შეესრულებინა XV-XVI საუკუნეების დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებში.

ესპანეთში, ისევე როგორც პორტუგალიაში, განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი იყო წვრილი და საშუალო აზნაურ იდალგოთა ფენა. მათმა დიდმა ნაწილმა ტიტული მიიღო სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ, რაც იდალგოთა ერთადერთ შემოსავალს წარმოადგენდა. ისინი არასოდეს მისდევდნენ მეურნეობას. რეკონკისტას დამთავრების შემდეგ საარსებო წყაროს გარეშე დარჩენილ იდალგოებს გამდიდრებისკენ სწრაფვა და უზრუნველი ცხოვრების სურვილი არ დაუკარგავთ. მათი უზარმაზარი არმია მზად იყო ახალი დაპყრობითი ლაშქრობებისთვის.

1476 წელს იზაბელა კასტილიელისა და ფერდინანდ არაგონიელის ქორწინების შედეგად გაერთიანდა კასტილია და არაგონია და ამით საფუძველი ჩაეყარა ესპანეთის მონარქიას. სარგებლობდნენ რა უსაზღვრო ძალაუფლებით, ფერდინანდმა და იზაბელამ შეძლეს დიდგვაროვნების დამორჩილება და მათი თვითნებობის აღკვეთა. მიუხედავად ამისა, ქვეყანაში მცხოვრები აზნაურობის არსებობა სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა მეფის ხელისუფლებისთვის, ამიტომ ის დაინტერესებული იყო ეს მოუსვენარი ძალა მიემართა ესპანეთიდან შორს, იდუმალ ახალ სამყაროში. ამასთან, ოკეანის გაღმა ექსპედიციებს სამეფო ხაზინისთვის შემოსავლის დამატებითი წყაროები უნდა მოეტანა.

ამ დროიდან განმტკიცდა კავშირი სამეფო ხელისუფლებასა და კათოლიკურ ეკლესიას შორის. ეკლესიის ზედა ფენები ყველანაირად მხარს უჭერდნენ ოკეანის გაღმა ექსპედიციების იდეას, რადგანაც მასში ხედავდნენ „წარმართებში" ქრისტიანობის გავრცელების საბაბით ეკლესიის სიმდიდრის გაზრდის საშუალებას.

ცნობილია, რომ XV საუკუნეში თურქების მიერ დაპყრობითი ომების გაფართოებამ, მათ მიერ მნიშვნელოვანი სავაჭრო გზების ხელში ჩაგდებამ მეტისმეტად გაართულა ევროპის ქვეყნების აღმოსავლეთთან ვაჭრობა, რამაც გამოიწვია აზიისკენ ახალი საზღვაო გზების ძიება.

ასეთი იყო საშინაო და საგარეო სოციალურ-ეკონომიკური წანამძღვრები, რომელთაც განსაზღვრეს ესპანეთის შესაძლებლობა – ეთამაშა წამყვანი როლი უდიდეს გეოგრაფიულ აღმოჩენებში. გარდა ამისა, გეოგრაფიული აღმოჩენები შესაძლებელი გახდა ტექნიკაში მნიშვნელოვანი ძვრების, გემთმშენებლობაში და ზღვაოსნობაში მიღწეული წარმატებების შედეგად. დაახლოებით XV საუკუნის მეორე ნახევარში პორტუგალიაში აგებულ იქნა პირველი კარაველები, რომლებიც აერთიანებდნენ წინა ეპოქის გემების ყველა საუკეთესო თვისებას. შორეული საზღვაო მოგზაურობისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ნავიგაციური ხელსაწყოების სრულყოფას. XV საუკუნისთვის კომპასი უკვე საიმედო ხელსაწყოდ იქცა. XV საუკუნის ბოლოს ფართოდ გავრცელდა სწავლება დედამიწის სფეროსებურობის შესახებ. ახლა ეკლესია ცდილობდა კიდეც დედამიწის სფეროსებურობა მოერგო ქრისტიანული კოსმოგრაფიისათვის.

ასეთი იყო პირობები, როდესაც შედგა კოლუმბის პირველი მოგზაურობა. როცა 1492 წლის 24 დეკემბერს კოლუმბმა კუნძულ ესპანიოლაზე (ჰაიტი) დააარსა თავისი პირველი სიმაგრე ნავიდადი, მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, თუ რა უზარმაზარი შედეგები ექნებოდა ამ მოვლენას ესპანეთისა და მთელი კაცობრიობისათვის. მიუხედავად იმისა, რომ თავიდან ესპანელებმა ვერ ნახეს ოქროსა და ვერცხლის დიდი საბადოები, 1497 წლიდან მათ დაიწყეს ანტილიის კუნძულების კოლონიზაცია და იქ მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ესპანური წესის დანერგვა. მდგომარეობა ძირეულად შეიცვალა ძვირფასი ლითონების საბადოების აღმოჩენის შემდეგ – მექსიკაში (1521 წელს) და პერუში (1530 წელს), რის შედეგადაც დაიწყო ნამდვილი „ოქროს ციებ-ცხელება".

1519 წელს კარლოს I მიაღწია იმას, რომ აერჩიათ რომის საღვთო იმპერიის წინამძღოლად. ის გახდა იმპერატორი კარლოს V, საბოლოოდ ესპანეთი კი იქცა უზარმაზარი იმპერიის ცენტრად, რომელიც საკუთრივ ესპანეთის სამფლობელოების გარდა მოიცავდა კოლონიებს ამერიკაში, სამფლობელოებს გერმანიაში, იტალიასა და ნიდერლანდებში. საფუძველს მოკლებული არ იყო თანამედროვეთა აზრი კარლოს V სახელმწიფოზე, რომ „ესპანეთის მეფის სამფლობელოში მზე არასოდეს ჩადიოდა"[1]. ამავე დროს ესპანეთი ფართო კოლონიური ექსპანსიის გზას დაადგა. ამერიკის აღმოჩენის პირველივე წლებში ესპანელები დაეუფლნენ კარიბის ზღვის აუზს; 1511–1513 წლებში მიიტაცეს კუბა, პანამის ყელი; შეიჭრნენ ფლორიდასა და იუკატანში. მექსიკის ყურის დასავლეთ ნაპირისკენ წაწევამ განაპირობა მექსიკის დაპყრობა (1519–1522 წლები). 1530 წელს პერუში ინკების ქვეყნის დამორჩილებამ ესპანელებს გზა გაუხსნა სამხრეთ ჩილესაკენ[2].

ამრიგად, XVI საუკუნის პირველი ნახევარი იყო ესპანეთის ძლიერების ზრდის არნახული პერიოდი,თუმცა ძვირფასი ლითონების ნაკადი და ევროპაში ხანმოკლე სამხედრო წარმატებები ვერ ფარავდა ეკონომიკური და პოლიტიკური დაცემის იმ მრისხანე სიმპტომებს, რომლებიც უკვე XVI საუკუნის შუა წლებში გამოჩნდა.

ამერიკის აღმოჩენამ და კოლონიური ვაჭრობის გაფართოებამ გამოიწვია ესპანეთის ეკონომიკაში სერიოზული ცვლილებები. აღმოჩენიდან პირველივე წლებში ახალ მიწებზე მოსახლეობის მიზიდვის მიზნით, ხელისუფლებამ „კასტილიის გვირგვინის" ყველა ქვეშევრდომს ინდიელებთან თავისუფალი ვაჭრობის უფლება მისცა და გაათავისუფლა ისინი გადასახადებისაგან. მაგრამ უკვე 1503 წელს გამოცემული დადგენილებით, სევილიის სავაჭრო პალატა გახდა ის დაწესებულება, რომელსაც უნდა განეხორციელებინა ახალ სამყაროსთან ვაჭრობის კონტროლი. სევილიის სავაჭრო პალატას ერთნახევარი საუკუნის მანძილზე ხელთ ეპყრა ესპანეთის კოლონიებთან ვაჭრობის ჰეგემონობა[3].

ამერიკის აღმოჩენამდე სევილია ანდალუსიის ეკონომიკურ ცენტრს წარმოადგენდა, სადაც უხსოვარი დროიდან განვითარებული იყო სხვადასხვა ნაკეთობათა წარმოება და ვაჭრობა. თავისი მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობის გამო სევილია გახდა ესპანეთის უმსხვილესი სავაჭრო ცენტრი და ასევე მთავარი პორტი ამერიკასთან ვაჭრობაში.

ამერიკის აღმოჩენამ და კოლონიური ვაჭრობის არნახულმა გაფართოებამ დიდი გავლენა იქონია ესპანეთის მრეწველობასა და მეურნეობაზე. კოლონიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი ე.წ. „ფასების რევოლუცია" იყო. ესპანეთს მოასკდა მექსიკასა და პერუში მონების შრომით ნაპოვნი და კონკისტადორების მიერ ნაძარცვი ოქრო-ვერცხლი. ამან გამოიწვია ის, რომ კოლონიებიდან შემოსული ძვირფასი ლითონები უფრო იაფი იყო იმ ოქროზე, რომელიც ქვეყნის შიგნით ტრიალებდა. ამან კი, თავის მხრივ, ყველა საქონლის გაძვირება გამოიწვია. „ფასების რევოლუციამ" მძიმე დარტყმა მიაყენა ესპანეთის ახალგაზრდა, ჯერ კიდევ სუსტ ეკონომიკას. ძვირფასი ლითონების ნაკადი იზრდებოდა ყოველწლიურად. შემოსავლის ეს დამატებითი წყაროები სამეფო ხელისუფლებასა და გაბატონებულ კლასს სავსებით გულგრილს, ზოგჯერ კი პირდაპირ მტრულს ხდიდა საკუთარი ქვეყნის ეკონომიკური ინტერესებისადმი. „ამერიკის ოქრომ დაღუპა ესპანეთი", – აღნიშნავდა XVII საუკუნის ესპანელი ეკონომისტი სანჩო მონკადა[4]. ამერიკული საგანძური იხარჯებოდა საგარეო პოლიტიკურ ავანტიურებზე, ომებზე, ევროპის ქვეყნებში კათოლიკური შეთქმულებების მოწყობაზე. კარლოს V მხოლოდ ესპანეთში ხედავდა ომის საწარმოებელი სახსრების წყაროს. ყოველწლიურად იზრდებოდა გადასახადები, რომლებიც მძიმე ტვირთად აწვებოდა ესპანელ მოსახლეობას. ესპანელმა ვაჭრებმა დაიწყეს ძვირი ესპანური საქონლის უფრო იაფი უცხოური საქონლით შეცვლა.

ესპანური გვირგვინის პოლიტიკა მხოლოდ იმპერიის ქვეყნების ეკონომიკისათვის არ იყო დამღუპველი. ეკლესიისა და ინკვიზიციის ძალმომრეობა ახრჩობდა ქვეყანაში ყველაფერ მოწინავეს. მაგრამ ასეთი პირობების მიუხედავად პროგრესული და ჰუმანური იდეები მაინც ვითარდებოდა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა სალამანკას უნივერსიტეტი, რომელიც XVI საუკუნის ესპანეთში მოწინავე კულტურული ცენტრი იყო და საუკუნეების მანძილზე ესპანეთის სიამაყეს წარმოადგენდა. პარიზის უნივერსიტეტისგან განსხვავებით, სადაც ისწავლებოდა ღვთისმეტყველება და ბოლონიის უნივერსიტეტისაგან განსხვავებით, სადაც მთავარი დისციპლინა მართლმსაჯულება იყო, სალამანკაში ყველა საგნის სწავლება ჰყვაოდა.

სალამანკას გამოჩენილ მეცნიერთა შორის ცნობილი იყო ბართოლომეო და ლასკასასი. იგი ერთ-ერთი იმ მოაზროვნეთაგანი იყო, ვისაც ესმოდა, თუ სადამდე შეუძლია მიიყვანოს ესპანეთი და მისი კოლონიები კონკისტადორების მიერ ხალხის ამოწყვეტამ და ახალი მიწების ძარცვამ. „...ინდიელთა ქვეყნიდან გამოტანილი სიმდიდრე მოსტაცეს მის ნამდვილ მფლობელებს, უკვე ესაა საკმარისი იმისათვის, რომ წყევლა-კრულვას გადაეცეს იმათი ურიცხვი რაოდენობა, ვინც

ამაში მონაწილეობდა, ყიდულობდა და ყიდდა ნაძარცვს, ყაჩაღებსა და მტაცებლებს ამარაგებდა აუცილებელი აღჭურვილობით, იღებდა მათგან საჩუქრებსა და მოწყალებას. ამრიგად, მთელი ესპანეთი სჩადის ამ ცოდვას და უნდა მიიღოს დამსახურებული სასჯელი", – ამბობდა იგი[5].

ლას–კასასის იდეებს განუხრელად უჭერდნენ მხარს ფრანსისკო დე ვიტორია და დომინგო დე სოტო. რასის მიუხედავად, ღვთის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის იდეა, ესპანეთისა და მისი კოლონიების მოსახლეობის დამოკიდებულების დარეგულირება დაედო საფუძვლად ფრანსისკო დე ვიტორიას შრომებს.

სალამანკის უნივერსიტეტი ყოველთვის ლას–კასასის მხარეს იყო მის გამოსვლებში ინდიელების დასაცავად. 1517 წელს თეოლოგების ხუნტამ მხარი დაუჭირა ლას–კასასის წინადადებას ინდიელების გათავისუფლების შესახებ. 1532 წელს ფრანსისკო დე ვიტორიამ იგივე უნივერსიტეტის კათედრიდან წაიკითხა ლექციების კურსი ინდიელების უფლებების შესახებ. „ქრისტიანებმა არ უნდა წაართვან ინდიელებს სოფლები და არ უნდა წაართვან მათ ქონება". „ესპანელების მიერ ქრისტიანობის გავრცელება მხოლოდ იმ შემთხვევაშია კანონიერი, თუ მას არ ახლავს უსამართლობა და ზარალის მიყენება ადგილობრივ მკვიდრთათვის", – ამბობდა ვიტორია[6].

ლას–კასასისა და ვიტორიას მომხრეები ეჭვქვეშ აყენებდნენ არა მარტო ქრისტიანობის გავრცელების უფლებას, არამედ ესპანელთა უფლებებს ინდიელთა მიწებზე, ოქროსა და ვერცხლზე.

ისევე როგორც ვიტორია, ლას-კასასი უსამართლოდ თვლიდა ესპანელთა ომებს ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგ. „ინდიელები ყოველთვის სამართლიან ბრძოლას ეწეოდნენ ქრისტიანების წინააღმდეგ, ხოლო ქრისტიანების ბრძოლა ინდიელების წინააღმდეგ არასოდეს იყო სამართლიანი"[7].

ლას–კასასს მრავალი თანამოაზრე ჰყავდა. მრავალი ესპანელი ჰუმანისტის სახელი თვითონ ლას–კასასის ნაწარმოებებში გვხვდება. უკვე დასახელებული ვიტორიასა და დე სოტოს გარდა, იყვნენ გამოჩენილი მეცნიერები ლუჩიო მარინეო სიცილიელი, პირველი ესპანური გრამატიკის შემქმნელი ელიო ანტონიო დე ნებრიხა, ანტიკური ლიტერატურის მცოდნე და ესკურიალის ბიბლიოთეკის დამაარსებელი დიეგო ურტადო დე მენდოსა, ცნობილი ფილოსოფოსი მელხიორ კანო.

სამწუხაროდ, უკვე XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან გაძლიერებულმა პოლიტიკურმა რეაქციამ და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ინკვიზიციის განუყოფელმა ბატონობამ დაღუპა ჰუმანიზმის პირველი ყლორტები ფილოსოფიის, სამართლისა და პოლიტიკის დარგში.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Алтамира и Кревеа Р. История Испании, М., 1967, с.45.
2. Литаврина Э.Н. Испания в эпоху великих географических открытий.М ., 1968, с.37.
3. Уинсор Д.А. Христофор Колумб и открытие Америки. СПБ, 1893, с.96.
4. Бартоломео де Лас-Касас, М., 1966, с.41.
5. Там же, с.44.
6. Там же, с.55.
7. Кудрявцев А.М., Испания в средние века, Л., 1937.

**თენგიზ ცხვიტავა**
*საქართველოს შინაგანი ჯარების ცალკეული საავიაციო ნაწილის მეთაურის მოადგილე, მფრინავი, მაიორი*

# საქართველო-შეერთებული შტატები — სტრატეგიული პარტნიორები და მოკავშირეები

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის დამყარდა მტკიცე თანამშრომლობა, რომელიც მიზნად ისახავს კავკასიის რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის ხელშეწყობას. საქართველოსა და აშშ-ს შორის არსებობს მჭიდრო საქმიანი ურთიერთობა, რომელიც ემყარება ორმხრივ პატივისცემასა და იდეების ღიად გაცვლას.

გასული ათწლეულის განმავლობაში განხორციელებულმა სამხედრო თანამშრომლობამ ხელი შეუწყო და გააძლიერა ეს ურთიერთობა. სამხედრო ურთიერთთანამშრომლობის პროგრამებმა ორივე ქვეყნისათვის შექმნა ხელსაყრელი გარემო მთელი რიგი საკითხების გარშემო ინფორმაციისა და ტექნიკის გაცვლის თვალსაზრისით, მათ შორისაა, ინგლისური ენის სწავლება, სამხედრო სტრუქტურა და ორგანიზაცია, ჰუმანიტარული განაღმვის ოპერაციები, სამხედრო ფრენები, საზღვაო ოპერაციები და სწავლებები აღჭურვილობის გაცნობის მიზნით.

პრეზიდენტმა შევარდნაძემ და ბუშმა ერთმანეთს აღუთქვეს მჭიდროდ ითანამშრომლონ საქართველოს უსაფრთხოების გაზრდის მიმართულებით.

1998 წლამდე ქვეყნის კავშირ - ურთიერთობები ძირითადად გაცნობის ღონისძიებებს მოიცავდა და შეიძლება ითქვას არ გასცილებია ე.წ. თავაზიანობის ვიზიტების ფარგლებს. მდგომარეობა კარდინალურად შეცვალა ქვეყნის ხელისუფლების პოლიტიკურმა გადაწყვეტილებამ, ეთანამშრომლა დასავლეთის სახელმწიფოების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო სტრუქტურებთან.

მკვეთრად გააქტიურდა თანამშრომლობა ნატოსთან, აშშ-თან და დასავლეთის ქვეყნების სამხედრო უწყებებთან. საქართველო ინტენსიურად ჩაერთო ნატოს პროგრამებში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ფინანსური სიძნელეების გამო ქართველი სამხედროები მონაწილეობას ვერ ღებულობენ ბევრ შეხვედრაში, სადაც განიხილება პროგრამების პრაქტიკული რეალიზაციის საკითხები.

ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური ფონი, საკანონმდებლო ბაზის მოუქნელობა უსაფრთხოებასთან მიმართებაში, კონცეპტუალურ სფეროში არსებული ვაკუუმი (ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის არქონა და ა.შ.), შიდა პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ სირთულეებთან ერთად, ჩვენი ქვეყნის დინამიური განვითარების ძირითად შემაფერხებელ ფაქტორებს წარმოადგენს.

დღევანდელი მდგომარეობა ის ზღვარია, როდესაც კონკრეტული და გადაუდებელი ნაბიჯების გადადგმა სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. ამის საშუალებას კი ქვეყნის მიერ აღებული შიდა და საგარეო პოლიტიკური (მათ შორის სამხედრო-პოლიტიკური) კურსი იძლევა.

რეალობიდან გამომდინარე ძალზედ მნიშვნელოვანია უცხოელი პარტნიორების ძლიერი მხარდაჭერა ისეთ უმნიშვნელოვანეს (თუ არა უმთავრეს) სფეროში, როგორიცაა უსაფრთხოება.

სამხედრო ძალებში 1998 წელს დაწყებული რეფორმირების პროცესი, თავისი შინაარსითა და საქართველოს შეიარაღებული ძალების ნატო-ს სტანდარტებზე გადასვლის პერსპექტივით, შეუქცევადი პროცესია და მის წარმატებით განხორციელებაზე დამოკიდებულია საქართველოს თავდაცვის სფეროს დემოკრატიული განვითარება და შედეგად, მცირერიცხოვანი, მობილური და ბრძოლისუნარიანი ძალების შექმნა.

ისევე, როგორც წინა წლებში, დღესაც საქართველოს სამხედრო-საგარეო ურთიერთობების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს პარტნიორ სახელმწიფოებთან არსებული კავშირების განმტკიცება, ნატოსთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან სამხედრო თანამშრომლობის გაღრმავება.

გასული წლების განმავლობაში: დასრულდა საერთაშორისო სამხედრო თანამშრომლობით დაკავებული სტრუქტურული ერთეულების ოპტიმიზება. დაიხვეწა პირადი შემადგენლობის ფუნქციონალური მოვალეობები. სამეთაურო რგოლში გაიმიჯნა უფლებათა სფეროები და სხვა. შეიქმნა საზღვარგარეთის სამხედრო წარმომადგენლობებთან ურთიერთობებისა და მათი ქცევის წესების მარეგულირებელი დოკუმენტი, გაფორმდა მრავალი საერთაშორისო ხელშეკრულება;

- შედგა ოფიციალური და სამუშაო ვიზიტები, გაიზარდა პარტნიორი ქვეყნების მხრიდან დახმარების მასშტაბები. მკაცრად განისაზღვრა თითოეულ პარტნიორ ქვეყანასთან თანამშრომლობის პრიორიტეტები, რითაც გამოირიცხა თანამშრომლობისა და დახმარებების დუბლირება;
- განხორციელდა წინა წლებში დაწყებული მნიშვნელოვანი პროექტები - მარნეულის სამხედრო აეროდრომის მოდერნიზება, ნატო-ს სამშვიდობო წვრთნები, ბლექსიფორის აქტივიზება, ვერტმფრენების პროგრამა, სამხედრო მოსამსახურეთა საზღვარგარეთ განათლება, საკომუნიკაციო პროგრამის განვითარება.

აღნიშნული სამუშაოების თითქმის მთელი ფინანსური და მატერიალური უზრუნველყოფა მოახდინეს მეგობარმა ქვეყნებმა, ძირითადად კი, შეერთებულმა შტატებმა. დღეს არსებული სამხედრო ძალების მწირი ბიუჯეტი არათუ რეფორმირების პროცესს, არამედ ქვეყნის წინაშე მდგარი ყოველდღიური ამოცანების შესრულებასაც კი ვერ წვდება.

მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა სამხედრო სფეროში მოქმედი კანონმდებლობის ანალიზის კუთხით. მომზადდა და პარლამენტს წარედგინა რიგი კანონპროექტებისა. მიმდინარეობდა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების შესწავლა და სამხედრო ძალებში მათი გავრცელება.

საქართველო-აშშ-ს შორის სამხედრო სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში გაწეულმა მუშაობამ მასშტაბური სახე მიიღო.

ნათელია, რომ დღეისათვის შეერთებული შტატები საქართველოსათვის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პარტნიორია, რაც კარგად აისახება სწორედ ორმხრივი თანამშრომლობის ჩარჩოში თვისობრივად ახალი და შორს მიმავალი მიმართულებების განვითარებაში.

სტრატეგიული პარტნიორობის ნათელი მაგალითია ჯორჯიის შტატის ქ. სავანაში გამართული საქართველო-აშშ-ის ორმხრივი სამუშაო ჯგუფის (Bilateral Working Group) შეხვედრა.

შეხვედრის დღის წესრიგში განსახილველად შეტანილი საკვანძო საკითხების წარმატებით განხორციელება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოს, როგორც სუვერენული ერთეულის თავდაცვის სფეროსა და, მთლიანობაში, უსაფრთხოების სისტემის განმტკიცებას. შეჯერდა პოზიციები და გამოიკვეთა 4 პრიორიტეტი, რომლებმაც საბოლოო სახე მოგვიანებით ბრიუსელში ორი ქვეყნის თავდაცვითი უწყებების ხელმძღვანელების შეხვედრისას მიიღო:

- **სწრაფი რეაგირების ძალების განვითარება. ვერტმფრენების პროგრამა, როგორც ამ ძალების სწრაფი-მობილური გადაადგილების საშუალება. „უსაფრთხოების სფეროში დახმარების" (Security Assistance Program - SAP) პროგრამის ფარგლებში, აშშ-მა საქართველოს ამერიკული წარმოების UH-1H ტიპის 10 ვერტმფრენი გადმოსცა (აქედან 4 სათადარიგო ნაწილებისათვის). პროგრამის საერთო ღირებულებამ შეადგინა 14 275 000 აშშ დოლარი.**
- თავდაცვითი რეფორმა, რომელიც მოიცავს: გენერალური შტაბისა და თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურულ და ფუნქციონალურ რეორგანიზაციას, სამხედრო აკადემიის სასწავლო პროცესის რეფორმას (დამატებითი ყურადღება ექცევა ინგლისური ენის შესწავლას);
- **მე-11 მექანიზებული-მოტომსროლელი ბრიგადის რეორგანიზაცია; სამშვიდობო ოპერაციებში საქართველოს მონაწილეობის** გაგრძელება. ამ კუთხით გამოიკვეთა სრულიად ახალი პერსპექტივები, მაგალითად, საქართველოში არსებულ კონფლიქტურ ზონებში, კერძოდ კი, სამაჩაბლოში დისლოცირებული ქართველ მშვიდობისმყოფელებისათვის პირობების გაუმჯობესება და შესაბამისი მხარდამჭერი ინფრასტრუქტურის განვითარება.

**ამერიკელი ექსპერტების მიერ საქართველოს სამხედრო ძალების შერჩეული შენაერთების შეფასება (Assessment).**

აშშ-საქართველოს თანამშრომლობის პრიორიტეტულობა და შესაბამისი მიმართულებები კიდევ ერთხელ დაადასტურა აშშ-ის თავდაცვის მდივანმა, დონალდ რამსფელდმა საქართველოში ვიზიტისას.

ფაქტია, რომ აშშ-ში დატრიალებულმა 11 სექტემბრის ტრაგედიამ რადიკალურად შეცვალა მსოფლიო თანამეგობრობის დამოკიდებულება ისეთი სერიოზული და საშიში ფენომენისადმი, როგორიცაა ტერორიზმი და შესაბამისად დღის წესრიგში რადიკალური ზომების მიღების აუცილებლობა დადგა. ის საფრთხე, რომელიც ტერორიზმის არსებობითაა გამოწვეული მსოფლიო თანამეგობრობას ეკონომიკური ზრდის შეჩერებით, სოციალური და რელიგიური ფაქტორების გამწვავების საშიშროებით ემუქრება.

სწორედ ამ ფენომენისადმი მსოფლიო პოლიტიკური ხედვის რადიკალური ცვლის შედეგი გახლავთ საქართველოს პრეზიდენტის ვაშინგტონში, აშშ პრეზიდენტთან ვიზიტისას მიღწეული შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებდა აშშ-ის მხარის ექსპერტების მიერ საქართველოს სამხედრო ძალების შერჩეული შენაერთების შეფასების პროცესის ჩატარებას. აღნიშნული პროცესი მიზნად ისახავს საქართველოს სამხედრო ძალების კონკრეტული შენაერთების სამხედრო შესაძლებლობის, გაწვრთნილობის დონისა და ბრძოლისუნარიანობის განსაზღვრას,

შემდგომში შესაბამის მატერიალურ-ტექნიკურ მხარდაჭერასა და წვრთნის სფეროში დახმარების აღმოჩენას.

რეკომენდაციათა საფუძველზე კონკრეტული და მიზანმიმართული ღონისძიებები დაისახა. ამერიკული მხარე ახდენს შერჩეული შენაერთების აღჭურვასა და მომზადებას.

იმისათვის რომ პროგრამა განხორციელდეს, საქართველოს მხარემ უნდა გადადგას გარკვეული ნაბიჯები. კერძოდ, მიზანმიმართულად მიახდინოს არსებული რესურსების გამოყენება, რასაც მოჰყვება აშშ-ის მხრიდან ადეკვატური მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფა. ამასთანავე, მოხდება გაწეული დახმარების დეტალური აუდიტიც.

პოზიტიური შეფასების ღირსია დაგეგმარებისა და განხორციელების კუთხით დასავლური ტიპის მიდგომის დანერგვა, კერძოდ, სხვადასხვა მიზნობრივი პროგრამების წარმართვა კონკრეტულ პრიორიტეტებზე ორიენტირებით.

დღეისათვის საქართველოს ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას სამხედრო ძალების ძირფესვიანი რეფორმირება წარმოადგენს, რომლის მიზანია ნატოსთან თავსებადობის მიღწევა, ამიტომაც ორმხრივი ურთიერთობების ჩარჩოში მიმდინარე პროგრამებისა და ღონისძიებების უმეტესობა მიმართულია ამ ამოცანის მხარდასაჭერად. სწორედ ამ სახით ხორციელდებოდა და დღესაც გრძელდება თანამშრომლობა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ (Partnership for Peace Program - PFP), „უსაფრთხოების სფეროში დახმარებისა“ (Security Assistance Program - SAP) და „სამხედრო კონტაქტების“ (Military to Military Contacts Program) პროგრამების ჩარჩოებში (ამ საქმეში ძირითადი მხარდამჭერია შეერთებული შტატები).

სამხედრო კონტაქტების პროგრამით უკვე ჩატარდა 25 ღონისძიება (21 საქართველოში).

უსაფრთხოების სფეროში დახმარების პროგრამის (Security Assistance Program - SAP), ფარგლებში მოქმედი ქვეპროგრამების ჩარჩოში წარმოებდა შემდეგი საქმიანობა:

საერთაშორისო სამხედრო განათლებისა და წვრთნის (International Military Education and Training - IMET) ფარგლებში აშშ-ში პროფესიული განათლება მიიღო ათეულობით სამხედრო მოსამსახურემ.

საქართველო-აშშ-ს შორის სამხედრო სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში, წარმოებულმა საქმიანობამ კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩინა ამ თანამშრომლობის მნიშვნელოვანი პროგრესი. ამ მიმართულებების განსაზღვრა და მათთან დაკავშირებული კონსულტაციების ჩატარება ძირითადად ხორციელდება მაღალი ხელმძღვანელი პირების ვიზიტებისას და ორმხრივი შეხვედრებისას.

საქართველოს ეწვიენენ:

- აშშ-ს ევროპული ჯარების სარდლის მოადგილე ადმირალი ებოტი;
- თავდაცვის მდივნის მოადგილე უორნერი;
- გაერთიანებული შტაბების კომიტეტის თავმჯდომარე გენერალი შელტონი;
- ჯორჯიის შტატის გვარდიის უფროსი, გენერალი პოეტრისი;
- ევროპული სარდლობის დაგეგმარებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის (ჟ5) დირექტორი გენერალ-მაიორი სიმფსონი.

ვაშინგტონში გაიმართა საქართველო-აშშ-ს შორის უსაფრთხოების დიალოგის (Security Dialog) მე-4 რაუნდი, თბილისში შედგა საქართველო-აშშ-ის ორმხრივი სამუშაო ჯგუფის (Bilateral Working Group - BWG) რიგით მეორე შეხვედრა.

გაწეული საქმიანობიდან საინტერესოა შემდეგი მიმართულებები: საქართველოსათვის უსაფრთხოების საკითხებში მრჩეველთა საერთაშორისო საბჭოს (ISAB) საქმიანობა, თავდაცვის რესურსების მართვის სფერო (Defense Resource Management - DRM) და აშშ-ის ევროპული სარდლობის შეფასებები (US EUCOM Defense Assessment), რომელიც განახორციელა აშშ-ის ევროპული სარდლობის სპეციალურმა ჯგუფმა. ამ საქმიანობის შედეგად უკვე ჩამოყალიბებულია საქართველოს უსაფრთხოების სისტემის რეფორმირებისა და შემდგომი განვითარების საფუძვლები. ევროპული სარდლობის რეკომენდაციები კი პრაქტიკულად წარმოადგენს საქართველოს სამხედრო ძალების შემდგომი განვითარების 10—15 წლიან პროგრამას, რომელთა ჩარჩო (Frame) და რიცხვი ყოველწლიურად ფართოვდება.

ვაშინგტონში ხელმოწერილი, „ჩარჩო შეთანხმების" საფუძველზე, ყოველწლიურად ხელი ეწერება ორმხრივი თანამშრომლობის პროგრამებსა და გეგმებს.

შესრულდა შემდეგი ღონისძიებები, რომლებიც იყოფა 10 კატეგორიად:

უმაღლესი ხელმძღვანელობისა და სარდლობის ვიზიტები (5 ღონისძიება);

საშტაბო ვიზიტები და გაცვლები (28);

კომბინირებული წვრთნები (3);

სახმელეთო შემადგენლობის ვიზიტები და გაცვლები (8);

სამხედრო-საზღვაო ძალების შემადგენლობის ვიზიტები (6);

სამხედრო-საჰაერო ძალების შემადგენლობის ვიზიტები და გაცვლები (4);

სასწავლო კურსები, სემინარები და კონფერენციები ჯ. მარშალის სახელობის ევროპის უსაფრთხოების შემსწავლელ ცენტრში (11);

საქართველოსა და ჯორჯიის შტატის ეროვნული გვარდიების ერთობლივი ღონისძიებები (5).

წვრთნებიდან აღსანიშნავია სამხედრო-სამედიცინო სფეროში PFP-ის ეგიდით გამართული წვრთნა „Medcare 2000" (საქართველო-აშშ) და „ჰუმანიტარული განაღმვის ოპერაციების" სამხრივი წვრთნა (საქართველო-აზერბაიჯანი-სომხეთი), რომლის ინიციატორიც იყო ამერიკული მხარე, მიმართული იყო რეგიონალური სტაბილურობის განსამტკიცებლად.

სამხედრო ძალებში მიმდინარეობს ინგლისური ენის სწავლების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება. კერძოდ, ჩვენი ინიციატივითა და აშშ-ის დახმარებით გაერთიანებული სამხედრო აკადემიის ბაზაზე ჩამოყალიბდა ინგლისური ენის ინტენსიური სწავლების კურსი. უნდა აღინიშნოს, რომ მოკლევადიანი (5 თვე) სასწავლო კურსის შედეგები შესაძლოა მიჩნეულ იქნეს, როგორც ძალზედ წარმატებული (ამერიკული მხარის შეფასება).

დღეისათვის განხორციელდა შემდეგი პროგრამები:

1. საკომუნიკაციო აპარატურის პროგრამა - მის ფარგლებში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გადმოეცა SINGAAR-ის ფირმის წარმოების საკომუნიკაციო აპარატურა (55 ერთ. გადასატანი და 8 სტაციონარი, საერთო ღირებულება 70 9061 აშშ დოლარი). ქართულ კონტინგენტს ჩაუტარდა შესაბამისი ინსტრუქტაჟი (ბიუჯეტი შეადგენდა 360 000 აშშ დოლარს);

2. საველე ფორმების პროგრამა - მის ფარგლებში საქართველოს შეიარაღებულ ძალებს მოეწოდა 1 619 541 აშშ დოლარის ღირებულების პროდუქცია,

კერძოდ, 10399 საველე ქურთუკი, 9040 ერთეული კომუფლირებული შარვალი, 9.788 ერთეული ქუდი და 21027 წყვილი მაღალყელიანი ფეხსაცმელი.

აღსანიშნავია, „საჰაერო სივრცის უსაფრთხოების" ინიციატივა (Air Safety Initiative - ASI), რომლის ფარგლებშიც პირველ ეტაპზე უნდა შეიქმნას სამხედრო-სამოქალაქო საჰაერო სუვერენიტეტის საოპერაციო ცენტრი (Air Sovereignty Operational Center - ASOC),რაც წარმოადგენს საჰაერო სივრცის მეთვალყურეობის (surveillance) სისტემას და საშუალებას იძლევა დასავლური სტანდარტების შესაბამისად დაინახონ ქვეყნის საჰაერო სივრცის სურათი. ამერიკელი ექსპერტების მიერ სრულად შესწავლილია საქართველოს საჰაერო თავდაცვისა და საჰაერო მოძრაობაზე კონტროლის სისტემები, გადმოიგზავნა დასკვნები და შესაბამისი რეკომენდაციები.

აშშ-ის მთავრობამ პირველად უზრუნველყო ეუთო-ს მანდატით საქართველო-რუსეთის საზღვრის მონიტორინგი, რისთვისაც გამოიყო 925 000 აშშ დოლარი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკული მხარის უშუალო მხარდაჭერით და დაფინანსებით დაიწყო საქართველოდან რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზების გაყვანის პროცესი.

*სწაპი – წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა*

საქართველოში უსაფრთხოებისა და რეგიონალური სტაბილურობის გაზრდის მიზნით, აშშ-ის ევროპის სარდლობამ არჩევანი გააკეთა აშშ-ის სპეც. ოპერაციების ევროპის სარდლობაზე საქართველოს წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის განსახორციელებლად.

სწაპის ამოცანა:

საქართველოს წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის ამოცანაა შერჩეული ქართული სამხედრო ნაწილების შესაძლებლობების გაზრდა საქართველოს მოქალაქეებისა და რეგიონისათვის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. წვრთნების ჩატარების მოქნილი, ეტაპობრივი ინიციატივა ეფუძნება ძლიერ ორმხრივ სამხედრო ურთიერთობებს და კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს საქართველოს სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან.

I ეტაპი: ძალების დისლოცირება

ამერიკელი ინსტრუქტორები სპეც. ოპერაციების ევროპის სარდლობის ოპერატიულ კონტროლს ემორჩილებიან. დამხმარე პერსონალი წარმოადგენს აშშ-ის ევროპის სარდლობის სახმელეთო ძალებისა და საჰაერო ძალების შერჩეულ ორგანიზაციებს. I ეტაპი ოფიციალურად დასრულდა ლოჯისტიკის საჭიროების ადგილზე განსაზღვრის, სამუშაო ბაზის შექმნისა და ინსტრუქტორებისა და დამხმარე პერსონალის ჩამოსვლის შემდეგ.

II ეტაპი: საშტაბო სწავლება

II ეტაპი ითვალისწინებს საქართველოს სამხედრო ძალების სახმელეთო დანაყოფების საშტაბო და ორგანიზაციულ სწავლებას.

II ეტაპი ჩატარდა მცირერიცხოვანი ჯგუფებისათვის საკლასო პირობებში. სასწავლო პოგრამაში შესული იყო მიზანმიმართული სწავლება და პრაქტიკული ვარჯიშები, რომლებიც ამერიკის თავდაცვის ეროვნული უნივერსიტეტისა და აშშ-ის სახმელეთო ძალების კოლეჯის სასწავლო პროგრამების მსგავსი იყო. ამ ეტაპის ხანგრძლივობა განსაზღვრული იყო 70 დღით. იგი შედგებოდა ერთმანეთის პარალელურად მიმდინარე ორი ნაწილისაგან:

III ეტაპი: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საშტაბო სწავლება

- მიზანი: ძლიერი და ეფექტური საშტაბო ორგანიზაციის შექმნა, რომელიც შეძლებს ჩამოაყალიბოს და უზრუნველყოს სტანდარტიზებული სამოქმედო პროცედურები, სასწავლო გეგმები, ოპერატიული გეგმები და ქონების აღრიცხვიანობის სისტემა, დესანტირებადი ძალები და სპეცდანიშნულების ძალები. სასწავლო პროგრამა, რომელიც საერთო იყო III ეტაპში მონაწილე ყველა ელემენტისათვის, მოიცავდა:
- ძირითად ინდივიდუალურ უნარ–ჩვევებს
  - დახელოვნება სამედიცინო დახმარებაში
  - რადიოოპერირების პროცედურები
  - სახმელეთო ნავიგაცია
  - ადამიანთა უფლებების ცოდნა
- ინდივიდუალური საბრძოლო უნარ – ჩვევები
  - მიზანში სროლა
  - ინდივიდუალური გადაადგილების ტექნიკა
  - ათეულისა და ოცეულის ტაქტიკა
  - ჯგუფური გამოყენების იარაღები
  - ასეულის დონის ტაქტიკა და ოპერციები ქალაქში
  - საველე წვრთნები და შედეგების შემოწმება

III ეტაპი შედგება 5 ცალკეული ქვეეტაპისაგან, თითოეული მათგანი ტარდება საველე პირობებში და აქვს კონკრეტული მიზნები, კერძოდ:

- ა): კომანდოს ბატალიონი
  - მიზანი: 400 – კაციანი კომანდოს ბატალიონის მომზადება ასეულის დონის დღის შეტევებისათვის, ღამის თავდაცვითი ოპერაციებისათვის, ოცეულის თავდასხმებისა და საჰაერო საშუალებით ძირითად ამოცანათა შესრულებისათვის

  ბ) – I: სამთო ბატალიონი
  - მიზანი: 400 – კაციანი მე–16 სამთო ბატალიონის გაწვრთნა ასეულის დონის დღის შეტევებისა და ღამის თავდაცვითი ოპერაციებისათვის, ხანგრძლივი პატრულირებისათვის, ოცეულის დონის თავდასხმებისათვის და სამხედრო ოპერაციებისათვის საჭირო საკონტროლო გამშვები პუნქტის საქმიანობისათვის მთიან გარემოში. სპეციალიზებული წვრთნა ჩატარდება სამხედრო მთასვლელობაში.
  - ეროვნული სამხედრო მართვის ცენტრის ჩამოყალიბება, რომელსაც შესაძლებლობა ექნება აკონტროლოს პროგრამასთან დაკავშირებული ყველანაირი სამხედრო საქმიანობა და კოორდინირება გაუკეთოს ქვეყნის შიგნით სამსახურთაშორის თანამშრომლობას.
  - სასწავლო პროგრამაში შესულია:
    – ეროვნული სტრატეგიის მიმოხილვა;
    – გაერთიანებულ დონეზე დაგეგმარება;
    –შტაბის ძირითადი თანამდებობები, ფუნქციები და პროცედურები;
    – მეთაურისა და შტაბის ფუნქცია-მოვალეობები ბრძოლის დროს;

– საბრძოლო ოპერაციების საფუძვლები;
– სამხედრო გადაწყვეტილების მიღების პროცესი;
– სასწავლო დოქტრინა/მეთაურობის საშტაბო სწავლება.

- ბ-2: მსუბუქი ქვეითი ბატალიონი
  - მიზანი: მე-11 მოტომსროლელი ბრიგადის 400-კაციანი ქვეითი მსუბუქი ბატალიონის გაწვრთნა ასეულის დონის დღის შეტევებისათვის, ოცეულის პატრულირებისათვის, სამხედრო ოპერაციების მხარდასაჭერად საჭირო ასეულის დონის დღისა და ღამის თავდაცვითი ამოცანებისათვის.
- ბ-3: სპეცდანიშნულების ძალები
  - მიზანი: 400-კაციანი ქართული სპეცდანიშნულების ძალების გაწვრთნა მსუბუქი ქვეითთა საწყისი და მაღალი დონის უნარ-ჩვევებში, კერძოდ, დაზვერვის, თავდასხმების და ქალაქში სამხედრო ოპერაციების ცენტრალიზებული დაგეგმარებასა და დეცენტრალიზებულ განხორციელებაში ზოგადი დანიშნულების ქართული ძალების მხარდასაჭერად.
- ბ-4: მექანიზებული შერეული ასეული
- მიზანი: მე-11 მოტომსროლელი ბრიგადის შემადგენლობიდან ჯავშანსატანკო ასეულის ჯგუფის მომზადება (ჯავშანტრანსპორტიორებში ტანკებისა და ქვეითთა კომბინაცია) საცეცხლე მხარდაჭერის დროს მანევრირებისა და კონვოის მიერ უსაფრთხოების უზუნველყოფის შესაძლებლობით მსუბუქი ქვეითი ძალებისათვის მობილურობის, მართვისა და კონტროლის გაზრდის მიზნით.

**IV ეტაპი: ძალების დაბრუნება**

აშშ-ის შეიარაღებული ძალების დაბრუნება დაიწყება სპეცოპერაციების ევროპის სარდლობის მიერ II და III ეტაპებისათვის განსაზღვრული ამოცანების შესრულების შემდეგ.

**ალექსანდრე წურწუმია**
*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის კათედრის დოცენტი*
**ავთანდილ ტუკვაძე**
*ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის კათედრის პროფესორი*

# აშშ-ის გეოსტრატეგიული ინტერესები – მონოპოლარული სამყაროს პერსპექტივები

გეოსტრატეგიული ინტერესები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე. ის ემყარება არსებულ გეოპოლიტიკურ დოქტრინებსა და მათ კონკრეტულ ვითარებაში რეალიზებას.

დასავლეთსა და აღმოსავლეთს, კერძოდ კი, აშშ-სა და რუსეთს შორის არსებული დაპირისპირება გასული საუკუნის პირველი მეოთხედიდან იღებს სათავეს. თუმცა, ამ დაპირისპირებაში ამერიკა თავიდანვე როდი თამაშობდა დასავლეთის გამოკვეთილი ლიდერის როლს. დაპირისპირება კიდევ უფრო გაამძაფრა დასავლეთ ევროპაში კომუნიზმის ექსპანსიამ. სსრკ-მა (რუსეთმა) თითქმის სრულად შეძლო იმ არეალის ათვისება, რომელიც ცნობილია Heartland-ის სახელწოდებით და წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს არეალს ევრაზიული სივრცის კონტროლისათვის.

შექმნილ ვითარებაში ნატომ, რომლის წარმმართველ ძალას წარმოადგენდა აშშ, უზრუნველყო და შეძლო უპირატესობის მოპოვება, რასაც შედეგად სოციალისტური ბანაკის რღვევა მოჰყვა. მასში შემავალმა ქვეყნებმა ორიენტაცია დასავლეთზე და, კერძოდ, ნატოზე აიღეს. ასევე დასავლეთზე აიღო ორიენტირი ყოფილი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალ რესპუბლიკათა უმეტესობამაც.

აშშ,ახორციელებს „ანაკონდის“ პრინციპს,რითაც ცდილობს მაქსიმალურად შეავიწროვოს „მარყუჟი“ რუსეთის გარშემო. ამ პრინციპის ძირითადი არსი მდგომარეობს მოწინააღმდეგის ტერიტორიების ზღვიდან და სახმელეთო ხაზებიდან ბლოკირებაში, რაც იწვევს მოწინააღმდეგის თანდათანობით სტრატეგიულ გამოფიტვას.

ეს რუსეთისთვის კატასტროფის ტოლფასი იქნება, ვინაიდან პრაქტიკულად ის დაუბრუნდება იმ საწყის მდგომარეობას, საიდანაც დაიწყო თავისი საზღვრების გაფართოება.

აშშ-ის გეოსტრატეგიულ ინტერესებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სამხრეთ კავკასიას. მისთვის ის არა მარტო Heartland-ის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რეგიონს წარმოადგენს, არამედ დერეფანსაც, საიდანაც შეძლებს „შეღწევას“ და თავისი კონტროლის დაწესებას შუა აზიის რეგიონზე. ეს კი, კიდევ უფრო შეავიწროვებს „ანაკონდის მარყუჟს“ რუსეთის გარშემო. აშშ-ის საგარეო პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთსა და კასპიის რეგიონში განსაკუთრებით გააქტიურდა ჯორჯ ბუშ (უმცროსის) გაპრეზიდენტების შემდგომ.

11 სექტემბრის ტერაქტმა მოსალოდნელი პოლიტიკური სტაგნაციის ნაცვლად, გამოიწვია უკურეაქცია. მან გარკვეული „კარტბლანში" მისცა ამერიკას ავღანეთსა და შუა აზიაში გააქტიურებისათვის. აშშ არ მალავდა თავის მიზნებს და ყოველთვის აცხადებდა, რომ ყოფილ იუგოსლავიაში კონფლიქტის დარეგულირების შემდეგ, იგი მთელ თავის ძალისხმევას მიმართავდა „ევრაზიულ ბალკანებში" არსებული წინააღმდეგობის კერების ნეიტრალიზებისათვის.

ერაყში აშშ-ის მიერ წარმოებულმა საომარმა კამპანიამ გამოიწვია მსოფლიოს ორ ნაწილად გაყოფა – ომის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა. ძირითადი აქცენტი ომის მოწინააღმდეგეთა მხრიდან კეთდება მასზედ, რომ აშშ-სა და ამ ომში მის მოკავშირეთა მოქმედება არ იყო სანქცირებული გაეროს მიერ. საუბარია გაეროს და საერთაშორისო ურთიერთობებში არსებულ კრიზისზე.

არც ისე შორეულ წარსულში, ამერიკის გარდა, სხვა სახელმწიფოებსაც მოუხდენიათ სუვერენული სახელმწიფოების ოკუპაცია. თუმცა, ამერიკა მათგან განსხვავებით აცხადებს, რომ იგი ერაყში დაჰყოფს მაქსიმუმ ორ წელიწადს, სანამ ქვეყნის სათავეში არ მოვა ხალხის მიერ არჩეული ლეგიტიმური ხელისუფლება, რომელიც სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარების გარანტი იქნება.

ომის გამომწვევ მიზეზებზე საუბრისას გარკვეული აქცენტი კეთდება ნავთობზე. თუმცა, უნდა აღინიშნოს – ერაყი ფლობს მსოფლიოს ნავთობის მხოლოდ 5%. ძირითადი მიზეზი სადამ ჰუსეინის რეჟიმთან ომისა, არის მისი საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაციებთან ურთიერთობა და მათი მხარდაჭერა, აგრეთვე მასობრივი განადგურების იარაღის წარმოება.

ომის მოწინააღმდეგე სახელმწიფოებმა უნდა გაათვითცნობიერონ – საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციები მათთვისაც წარმოადგენს რეალურ საფრთხეს. მათ წინააღმდეგ ბრძოლაში გვერდზე გადგომა და უარყოფითი პოზიციის დაფიქსირება არ გამოიღებს დადებით შედეგს.

შექმნილ ვითარებაში გერმანიის,საფრანგეთის,ბელგიისა და ლუქსემბურგის ინიციატივა ცალკე სამხედრო გაერთიანების შექმნისა, კიდევ უფრო გააღრმავებს ნატოში არსებულ უთანხმოებას. „ბალკანეთის კრიზისის" დაძლევა აშშ-ის უდიდესი ძალისხმევით მოხდა. დასავლეთ ევროპაში საფრთხის ნეიტრალიზების შემდგომ ერაყის ომის მოწინააღმდეგეთა პოზიცია დემონსტრირებაა პრინციპის – „მავრმა გააკეთა თავისი საქმე, მავრი უნდა წავიდეს". ამის მიზეზი არის ის პერსპექტივები და საფრთხე, რასაც წარმოადგენს მსოფლიო პოლიტიკური სისტემის მონოპოლარულად ტრასფორმაცია. მაგრამ ეს საკმაოდ არარეალური პერსპექტივაა. თავად ის ფაქტი, რომ გერმანია და საფრანგეთი არ ეთანხმებიან აშშ-ს მისი საგარეო-პოლიტიკური კურსის განხორციელებაში, წარმოადგენს მკაფიო დადასტურებას იმისა, რომ სამყარო არ არის მონოპოლარული და ეს პერსპექტივა მას არ ემუქრება (ყოველ შემთხვევაში უახლოეს მომავალში). გასათვალისწინებელია ასევე ჩინეთის ფაქტორი, რომელიც ეკონომიკური წინსვლისა და განვითარების ფონზე ეცდება შუა აზიაში ინტეგრირებასა და თავისი ინტერესების რეალიზებას.

რუსეთი შექმნილი მდგომარეობის მთელ სირთულეს აცნობიერებს. მის წინააღმდეგ აშშ-ის პოლიტიკის გააქტიურებას, ანალოგიური ქმედებებით ცდილობს უპასუხოს. მისი საგარეო-პოლიტიკური გააქტიურების ვექტორი პოსტსაბჭოთა სივრცეში გავლენის შენარჩუნებაზეა მიმართული. თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი,

ამ ბოლო ხანს რუსეთის მიერ გადადგმული საგარეო-პოლიტიკური ნაბიჯებიდან, არის გერმანიასთან, გარკვეულწილად, „დამთბარი" ურთიერთობა.

გერმანიის, საფრანგეთის და რუსეთის დაახლოების ფონზე არ უნდა მოხდეს შემდეგი გარემოების უგულებელყოფა – რუსეთს ჰქონდა და შემდგომშიც ექნება საგარეო-პოლიტიკურ ინტერესთა მაქსიმალურად რეალიზების სურვილი. დღევანდელი რთული ეკონომიკური ვითარების ფონზე ეს მას არ ძალუძს. ეკონომიკური აღმავლობის ფონზე ის ეცდება კვლავ გააფართოვოს თავისი გავლენის არეალი, რაც კვლავ შეუქმნის გარკვეულ პრობლემებს როგორც გერმანიას, ასევე საფრანგეთს.

შექმნილ კრიზისულ ვითარებაში აშშ ეცდება ნატოს შიგნით ურთიერთობათა სწრაფ დარეგულირებას და დაძაბულობის განმუხტვას. ეს კი, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია დიპლომატიურ რესურსთა სწორ და მიზანმიმართულ რეალიზებაზე.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. ა.დუგინი. გეოპოლიტიკის საფუძვლები, თბ., 1999.
2. З.Бжезинский, Великая Шахматная Доска, М.,1999.
3. H I. Mackinder. Democratic Ideals and Reality, N.Y., 1944.

**ნიკო ჯავახიშვილი**
*ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო*
*უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის პროფესორი*

# გენერალი ჯონ შალიკაშვილი – აშშ-ის გამოჩენილი სამხედრო მოღვაწე
## (წინაპრები, ტრადიციები, დღევანდელობა)

ოთხვარსკვლავიანი გენერალი ჯონ-მალხაზ-დავით შალიკაშვილი მიეკუთვნება იმ თვალსაჩინო სამხედრო მოღვაწეთა ბრწყინვალე კოჰორტას, რომლის წევრთა მიმართ ინტერესიც მათი თადარიგში გასვლის შემდეგაც არ ნელდება.

აშშ-ის არმიის ყოფილი მთავარსარდალი ძირძველი და წარჩინებული ქართული საგვარეულოს ღირსეული შთამომავალია.

შალიკაშვილთა გვარი სათავეს საუკუნეთა სიღრმიდან იღებს. იგი საქართველოს ერთ-ერთი ძირძველი ისტორიული კუთხიდან – სამცხიდან მომდინარეობს. მათი პირვანდელი გვარი როჭიკაშვილები ყოფილა. როგორც XVIII საუკუნის გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი შენიშნავს თავის თხზულებაში: „როჭიკაშვილი არს შალიკაშვილი, მოვიდა სამცხიდამ“[1].

თვალსაჩინო ქართველი მეცნიერ-ენციკლოპედისტი, ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის ვაჟი – იოანე ბატონიშვილი თავის თხზულებაში „შემოკლებით აღწერა საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა“ შალიკაშვილთა შესახებ წერს: „ესენიცავე არიან საათაბეგოდგანვე მოსრულნი შემდგომად განდგომისა ათაბაგისა და არიან მონათესავენი შორიელნი ათაბაგისა და ესენი მიღებულ იყვნენ პატივით დროსა სვიმონ მეფისასა წელსა 1550-სა და ესრეთვე უწოდებენ როჭიკაშვილებათ სახელისა გამო ამათ წინაპარსა. ესენი ცხოვრობენ გაღმა მხარს ქართლისა სკრად წოდებულისა და არიან აწ ორ სახელად: 1) ვილახლას შვილები, 2) ბეციას შვილები, გვართა ამათგანი რომელნიმე გადარსახლებულ არიან რუსეთსა შინა ადრითვე და რომელნიმე სახლობენ ახალციხესა შინა“[2].

შალიკაშვილთა საგვარეულოს ისტორია მონოგრაფიულად გვაქვს შესწავლილი[3]. ამის გამო, წინამდებარე ნარკვევში მხოლოდ აშშ-ის არმიის გენერალ ჯონ-მალხაზ-დავით შალიკაშვილისა და მისი უშუალო წინაპრების შესახებ ვისაუბრებთ.

გენერალ ჯონ შალიკაშვილის ჩვენთვის ცნობილი ყველაზე ძველი წინაპარია XVI საუკუნის შუა ხანებში მოღვაწე მესხი ფეოდალი ოთარ შალიკაშვილი. იგი სამცხის ათაბაგ ყვარყვარე მეორე ჯაყელის პირველი ვეზირი იყო. მისი გარდაცვალების შემდეგ მის შთამომავლობასა და ჯაყელებს შორის მტრული ურთიერთობა დამყარდა. ამას შეეწირა ვარაზ ოთარის ძე. მისი ვაჟი კოკოლა ვარაზის ძე გამაჰმადიანების შემდეგ ოსმალებმა ქალაქ გორის ბეგლარბეგად დანიშნეს მაჰმუდ-ხანის სახელით.

ქართლში გადმოსახლებულმა შალიკაშვილებმა შეინარჩუნეს თავადობა, ხოლო გურიაში გადასახლებულები დაკნინდნენ და გააზნაურდნენ.

ქართლში დაარსდა ფეოდალური სენიორია – საშალიკაშვილო, რომელსაც ეკუთვნოდა ციხე-სიმაგრე აბანო[4].

შალიკაშვილები ქართლის თავადთა შორის მოიხსენიებიან ქართველ თავადაზნაურთა იმ ცნობილ სიაში, რომელიც მეფე ერეკლე მეორემ 1783 წელს წარუდგინა დასამტკიცებლად რუსეთის საიმპერიო მთავრობას.

აღსანიშნავია, რომ შალიკაშვილთა საგვარეულოს ერთი შტო ქართლის მეფეს ვახტანგ მეექვსეს გაჰყვა რუსეთში და იქვე დამკვიდრდა. ამ შტომ, რომელიც შალიკოვის გვარით იხსენიებოდა, არაერთი გამოჩენილი მოღვაწე მისცა რუსეთს. მათ შესახებ ვრცლად გვაქვს საუბარი ჩვენს ზემოხსენებულ ნაშრომში[5], აგრეთვე წიგნში „ქართველები რუსეთის დროშის ქვეშ"[6].

ივანე (გლახა) შალიკაშვილი ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის უკანასკნელ წლებში ნაზირად მსახურობდა. შემდეგ იგი რუსეთის იმპერიის არმიაში კაპიტნის წოდებით მსახურობდა. გარდაიცვალა 1810 წელს. მისი ვაჟის იოსებ ივანეს ძე შალიკაშვილის (1775–1845 წლამდე) სათავადო ღირსება რუსეთის იმპერიის საბჭომ 1826 წლის 26 მარტს სცნო. მას ცოლად ჰყავდა კახელი თავადის რამაზ ანდრონიკაშვილის ასული მარიამი. სწორედ მარიამის მზითევი იყო მამული გურჯაანში. იოსებისა და მარიამის სამივე ვაჟი გამოჩენილი სამხედრო მოღვაწე იყო. პირველი ვაჟი სიმონი (1811–1863) გენერალ-მაიორი და ჩრდილოეთ დაღესტნის სამხედრო მმართველი იყო. მისი ძმა – ივანე (1813–1866) ასევე გენერალ-მაიორი იყო. ხოლო მეორე ძმა – ნიკოლოზი (1815–1854) – პოლკოვნიკი. სამივე მათგანი დაჯილდოებული იყო არაერთი საბრძოლო ორდენით[7].

გენერალ-მაიორ ივანე შალიკაშვილს ცოლად თავად გულბაათ ჭავჭავაძის ასული – დარია ჰყავდა. მისმა ვაჟმა იოსებმაც (1847–1903) სამხედრო კარიერის გაკეთება სცადა. იგი სანქტ-პეტერბურგის კადეტთა კორპუსში სწავლობდა, მაგრამ მამის გარდაცვალებისა და სუსტი ჯანმრთელობის გამო, იძულებული გახდა სამშობლოში დაბრუნებულიყო და სამოქალაქო სამსახური დაეწყო. მსახურობდა ბაქოს გუბერნატორის კანცელარიაში თემირ-ხან-შურაში პოლიცმაისტერად, შემდეგ – ციხეების მზრუნველთა კომიტეტის დირექტორად, ავარიისა და გუნიბის ოკრუგთა მმართველის თანაშემწედ. გადადგა კოლეჟის მრჩევლის ჩინით (1898). იყო რამდენიმე ორდენის კავალერი, სიღნაღის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლი (1900–1903). მას ცოლად ჰყავდა ბაქოს გუბერნატორის, გენერალ-ლეიტენანტისა და სენატორის, ერთხანს კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებლის დიმიტრი სიმონის ძე სტაროსელსკის ასული ნინო[8].

სიმამრის პატივსაცემად იოსებ შალიკაშვილმა თავის უმცროს ვაჟს დიმიტრი (1896–1978) დაარქვა. იგი სანქტ-პეტერბურგში კადეტთა კორპუსში სწავლობდა, რომლის დამთავრების შემდეგაც პირველ მსოფლიო ომში მონაწილეობდა, თავისი უფროსი ძმის დავითის (1886–1978) მსგავსად. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში დიმიტრი ქართულ არმიაში მსახურობდა. 1921 წლის დასაწყისიდან იგი ოსმალეთში საქართველოს საელჩოს თანამშრომელი იყო, ხოლო შემდეგ პოლონეთის არმიის ოფიცერი გახდა.

სხვა ქართველ ოფიცერთა მსგავსად, დიმიტრიც პოლონეთში დაოჯახდა. 1932 წელს მან ცოლად მოიყვანა გრაფ ალექსანდრე ალექსის ძე რიდიგერ-ბელიაევის ასული მარია, რომელთანაც სამი შვილი შეეძინა: იოსებ-ოთარი (ჯოზეფი) (დაბ. 1933 წ.); ჯონ (მალხაზ-დავითი) (დაბ. 1936 წ.) და ნინო (ალექსანდრა) (დაბ. 1940 წ.). სამივე მათგანი პოლონეთში დაიბადა.

პოლონეთის არმიაში მომსახურე ქართველ ოფიცერთა ისტორიის შესწავლას ცალკე წიგნი მიეუძღვენით⁹.

გერმანული არმიის მიერ პოლონეთის ოკუპაციის (1939) შემდეგ დიმიტრი შალიკაშვილი მაიორის წოდებით მსახურობდა მათი სარდლობის მიერვე ჩამოყალიბებულ „ქართულ ლეგიონში" (1942–1945). 1944 წლის იენისამდე იგი ნორმანდიაში (ჩრდილოეთი საფრანგეთი), ხოლო იენისიდან – მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე ჩრდილოეთ იტალიაში მსახურობდა. მისი ბრძოლა გერმანული დროშის ქვეშ, არაერთი ქართველი ემიგრანტის მსგავსად, საქართველოს ბოლშევიკური რეჟიმისგან განთავისუფლების სურვილით იყო განპირობებული.

1944 წელს, საბჭოთა ჯარების პოლონეთში შეჭრის გამო, შალიკაშვილების ოჯახმა დატოვა ეს ქვეყანა და თავი გერმანიაში (ბავარიაში) მცხოვრებ ნათესავებს შეაფარა. იქ მათ 1946 წელს შეუერთდათ ამერიკელთა ტყვეობიდან განთავისუფლებული დიმიტრი შალიკაშვილი. გერმანიაში მათ 1952 წლამდე დაჰყვეს, შემდეგ კი დიმიტრი შალიკაშვილის მეუღლის მარიას შორეული ნათესავის – ბანკირ ჯორჯ ლათის დახმარებით აშშ-ში ჩაეიდნენ და ილინოისის შტატში, პეორიაში დაბინავდნენ. მაშინ ჯონ შალიკაშვილი 16 წლის იყო და ინგლისური ენაც კი არ იცოდა. სამაგიეროდ, როგორც ვარშავაში დაბადებულმა და გერმანიაში აღზრდილმა, მან კარგად იცოდა რუსული, პოლონური და გერმანული ენები. ინგლისურის უცოდინარობა არავითარ დაბრკოლებად არ ქცეულა ნიჭიერი ახალგაზრდისათვის, რომელიც მალევე გახდა აშშ-ს მოქალაქე.

აშშ-ში ჯონ შალიკაშვილმა ბრედლის უნივერსიტეტის საინჟინრო-მექანიკური ფაკულტეტი დაამთავრა და შესაბამის დარგში ბაკალავრის ხარისხი მოიპოვა. აქვე დავძენთ, რომ 1897 წელს დაარსებული ბრედლის უნივერსიტეტი ერთ-ერთი პრესტიჟული სასწავლო-სამეცნიერო ცენტრია აშშ-ში. ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ მას საერთაშორისო ურთიერთობათა მაგისტრის ხარისხი მიენიჭა.

ახალგაზრდა შალიკაშვილი უდიდესი ინტერესითა და მონდომებით იწყებს სამხედრო საქმის დაუფლებას, რაშიც, ცხადია, დიდ როლს თამაშობს შალიკაშვილთა სახელოვანი საგვარეულოს ძირძველი მხედრული ტრადიციები. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ თვალს გავადევნებთ გენერალ შალიკაშვილის მიერ ღირსეულად განვლილ გზას საველე-საარტილერიო სკოლის მსმენელიდან – აშშ-ის უსენაეს სამხედრო პირამდე. აქვე დავძენთ, რომ ქვემოთ მოტანილი ცნობები იმ მონაცემებიდან არის ამოკრებილი, რომელიც გენერალმა შალიკაშვილმა 1996 წლის 3 იანვარს პირადად გამოგვიგზავნა.

აშშ-ის უმაღლესი სამხედრო-საზღვაოსნო სასწავლებლის, შტაბის კოლეჯისა და არმიის სამხედრო კოლეჯის დასრულების შემდეგ, 1959 წელს ჯონ შალიკაშვილი ოფიცერთა საკანდიდატო სკოლასაც ამთავრებს და მას არტილერიის მეორე რანგის ლეიტენანტის სამხედრო წოდება ენიჭება. მომდევნო 38 წლის განმავლობაში იგი სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მსახურობდა არა მარტო ალიასკაზე და კონტინენტურ აშშ-ში, არამედ ევროპისა და აზიის მრავალ ქვეყანაში, კერძოდ, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, იტალიაში, ვიეტნამსა და სამხრეთ კორეაში.

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაწყებული ჯონ შალიკაშვილის სამხედრო კარიერა ერთობ წარმატებით ვითარდება. 1962 წლის 7 ივლისს იგი ხდება პირველი რანგის ლეიტენანტი (შეესაბამება უფროს ლეიტენანტს). 1966 წლის 7

ივლისს – კაპიტანი, 1973 წლის 7 ივლისს – მაიორი, 1980 წლის 7 ივლისს – ლეიტენანტ-კოლონელი (შესაბამება ვიცე-პოლკოვნიკს), ხოლო 1982 წლის 15 მარტს – კოლონელი (შეესაბამება პოლკოვნიკს).

1982 წელს ჯ. შალიკაშვილი ბრიგადის გენერლად დააწინაურეს. აშშ-ის სამხედრო ხელმძღვანელობაში იგი ასრულებდა: დირექტორის მოადგილის, სტრატეგიისა და პოლიტიკური დამგეგმაეის მოვალეობებს.

1984 წელს ჯ. შალიკაშვილი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ბრუნდება და პირველ ჯაეშან-სატანკო დიეიზიაში მეთაურის ასისტენტად ინიშნება. 1986 წლის 1 სექტემბერს, 50 წლის ასაკში, ჯ. შალიკაშვილს გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება მიენიჭა. იგი ბრუნდება აშშ-ის სამხედრო ხელმძღვანელობაში. 1987 წლის ივნისიდან 1989 წლის აგვისტომდე იგი მსახურობდა ვაშინგტონის შტატის ქალაქ ფორტ ლევისში დისლოცირებულ ინფანტერიის მე-9 მოტორიზებულ დივიზიაში. 1989 წლის აგვისტოში ჯ. შალიკაშვილი კვლავ გფრ-ში ბრუნდება და ევროპაში დისლოცირებული აშშ-ის მე-7 არმიის შტაბის უფროსის მოადგილედ ინიშნება. იმავე წლის 1 ოქტომბერს მას გენერალ-ლეიტენანტის სამხედრო წოდება მიენიჭა.

1991 წლის აპრილში ჯ. შალიკაშვილი სათავეში ედგა ოპერაციას „Provide Komfort" ანუ „ნუგეშისცემას," რომლის წარმატებით განხორციელების შედეგად ჩრდილოეთ ერაყში ასიათასობით ლტოლვილი ქურთი დაბრუნდა.

1991 წლის აგვისტოში ჯ. შალიკაშვილი ვაშინგტონში გაიწვიეს და აშშ-ის არმიის შტაბების უფროსთა გაერთიანებული კომიტეტის თავჯდომარის თანაშემწედ დანიშნეს. 1992 წლის ივნისიდან 1993 წლის ოქტომბრამდე იგი ევროპაში განლაგებული ჩრდილოეთ ატლანტიკური კავშირის (NATO) ჯარების უმაღლესი მთავარსარდალი იყო, ხოლო იმავდროულად, ევროპაში აშშ-ის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის თანამდებობასაც ითავსებდა.

მთავარსარდლად ყოფნის პერიოდში ჯ. შალიკაშვილმა დიდი გამოცდილება შეიძინა სრულიად ახალი ტიპის კონფლიქტების (განსაკუთრებით კი ლოკალურის) გადაწყვეტაში. მან დაამტკიცა, რომ აშშ-ის სტრატეგიულ მოკავშირეებთან ურთულეს პირობებშიც შეუძლია მუშაობა. ხსენებულ თანამდებობაზე ყოფნისას ჯ. შალიკაშვილი პასუხს აგებდა ნატო-ს მიერ იუგოსლავიის ტერიტორიაზე განხორციელებულ თითოეულ ოპერაციაზე. უშუალოდ მასვე ეკისრებოდა როგორც ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენა ბოსნიელი მუსლიმებისათვის, ასევე ბოსნიელ სერბთა პოზიციებზე ნატო-ს შეიარაღებულ ძალთა საჰაერო თავდასხმის გეგმების შემუშავების კოორდინაცია.

გენერალი ჯ. შალიკაშვილი აშშ-ვიეტნამისა და აშშ-ერაყის ომების აქტიური მონაწილეა. სპარსეთის ყურეში ომის დროს მან თავი გამოიჩინა რთული სამხედრო და დიპლომატიური ამოცანების წარმატებით გადაწყვეტით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგი ჩრდილოეთ ერაყში ქურთთა დახმარების ოპერაციებს სარდლობდა, მათი სადამ ჰუსეინის ტერორისგან გადასარჩენად. ამასთან დაკავშირებით, აშშ-ის შტაბების უფროსთა გაერთიანებული კომიტეტის მაშინდელი თავმჯდომარე, ამჟამად – სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი აცხადებდა: „რეალურ ბრძოლაში შალიკაშვილმა თავისი უნიკალური თვისებები გვიჩვენა, როგორც შესანიშნავმა მეთაურმა"[10].

გენერალ ჯ. შალიკაშვილს რადიკალური მოქმედებისაკენ მიდრეკილება ახასიათებს. კერძოდ, კოლინ პაუელისაგან განსხვავებით, იგი თუმცა წინააღმდეგი

იყო აშშ-ის შეიარაღებული ძალების აქტიურობისა საზღვარგარეთ, იუგოსლავიის კონფლიქტის დროს, მზად იყო, რომ ბოსნიაში აშშ-ის შეიარაღებული ძალები გამოეყენებინა.

თავისი 38-წლიანი თავდადებული სამხედრო სამსახურის განმავლობაში, გენერალმა „შალიმ" (ასე უწოდებდნენ მას აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში) არნახული ავტორიტეტი მოიპოვა როგორც უბრალო ჯარისკაცებს,ასევე მაღალი რანგის სამხედრო პირთა შორის. თავისი შორსგამიზნული, გააზრებული მოქმედებით მან სახელი გაითქვა პოლიტიკოსთა წრეშიც. მან იცოდა, როგორ შეემცირებინა მის დაქვემდებარებაში მყოფი შეიარაღებული ძალები ისე, რომ მსოფლიოში უძლიერესი არმიის მქონე სახელმწიფოდ კვლავაც აშშ დარჩენილიყო. შალიკაშვილმა დიდი წვლილი შეიტანა, აგრეთვე, აშშ-ის სამხედრო ძალების სტრატეგიისა და დაგეგმვის საკითხთა სათანადოდ დამუშავებაში.

სწორედ ამ თვისებების გამო, 1993 წლის 25 ოქტომბერს, აშშ-ის პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა გენერალი ჯ. შალიკაშვილი აშშ-ის შტაბების უფროსთა გაერთიანებული კომიტეტის რიგით მე-13 თავმჯდომარედ დანიშნა. ამ დანიშვნის წინ გაკეთებულ განცხადებაში პრეზიდენტმა ფრიად მაღალი შეფასება მისცა ოთხვარსკვლავიან გენერალს: „შალიკაშვილი იმიტომ ავირჩიე, რომ დარწმუნებული ვარ, მას შეუძლია უხელმძღვანელოს ნებისმიერ სამხედრო ოპერაციას, რომელიც მის ქვეყანას დასჭირდება და გაიმარჯვოს. სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ იგი აბსოლუტურად გულახდილი იქნება ჩემთან და როგორც სამხედრო პირი, პროფესიული თვალსაზრისით, მუდამ უნაკლო რჩევა-დარიგებას მომცემს, რომელიც ჩემთვის, როგორც პრეზიდენტისთვის, შეიძლება აუცილებელი გამოდგეს"[11].

აღსანიშნავია, რომ კლინტონი თვეზე მეტხანს არჩევდა ამ კომიტეტის თავმჯდომარის კანდიდატურას და საბოლოოდ არჩევანი მაინც გენერალ შალიკაშვილზე შეაჩერა. მის კანდიდატურას მხარს უჭერდა აშშ-ის მაშინდელი თავდაცვის მინისტრი ლეს ესპინი. შეიძლება ითქვას,რომ ჯ. შალიკაშვილის ასეთ მაღალ თანამდებობაზე დანიშვნის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო ის, რომ ევროპაში ნატო-ს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის პოსტზე ყოფნისას გენერალმა შექმნა მობილური სწრაფი რეაგირების ძალები, რომლებიც ეფექტურად მოღვაწეობდნენ.

1995 წელს ჯ. შალიკაშვილი მეორე ვადით დაინიშნა აშშ-ის უმაღლეს სამხედრო თანამდებობაზე. ამ პოსტზე მოღვაწეობის პერიოდში (1993-1997) გენერალი იყო აშშ-ის პრეზიდენტის, ეროვნული თავდაცვის საბჭოსა და თავდაცვის სამდივნოს მთავარი სამხედრო მრჩეველი. მას, როგორც კომიტეტის თავმჯდომარეს, ევალებოდა აშშ-ის შეიარაღებული ძალების სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრა, სტრატეგიული და კადრობრივი დაგეგმვა, წარდგინებები პროგრამის, ბიუჯეტის, დოქტრინის, სამხედრო სწავლა-განათლების და სხვა ასპექტებთან დაკავშირებით.

გენერალი ჯ. შალიკაშვილი მრავალი ამერიკული და უცხოური სამხედრო წარჩინების ნიშნის კავალერია. მაგალითად, მას დამსახურებული აქვს ბელგიის სამეფოს „ლეოპოლდის" ორდენი, ბრაზილიის რესპუბლიკის ორდენი „სამხედრო დამსახურებისათვის," ვიეტნამის რესპუბლიკის „მამაცობის ჯვარი" და სხვა[12].

აშშ-ის სახელოვანი სამხედრო მოღვაწე 1992 წლის მაისიდან დღემდე არაერთხელ ეწვია საქართველოს, აქედან რამდენჯერმე თავის ძმასთან ერთად, რომელიც ასევე პროფესიონალი სამხედრო პირია, თადარიგის გენერალ-მაიორი და აშშ-ის თავდაცვის ამჟამინდელი მინისტრის მრჩევლად მსახურობს. ჯ.

შალიკაშვილს ჰყავს მეუღლე – ჯოან ელისაბეტ ციმპელმანი და ერთადერთი, 31 წლის ვაჟიშვილი ბრანტი (ალექსანდრე), რომელიც ვაშინგტონის შტატში ცხოვრობს.

ამრიგად, ოთხვარსკვლავიანი გენერალი ჯონ-მალხაზ-დავით შალიკაშვილი XX საუკუნის მიწურულის აშშ-ში ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი სამხედრო მოღვაწე იყო. აქვე უნდა ითქვას, რომ გენერალისიმუს იოსებ სტალინის (ჯუღაშვილი) შემდეგ, საქართველოს ფარგლებს გარეთ ეთნიკურად ქართველი ჯონ შალიკაშვილამდე არ ყოფილა ასეთ მაღალ სამხედრო თანამდებობაზე.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. იხ.: „ქართლის ცხოვრება," ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 34.
2. იოანე ბაგრატიონი. შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, მასალა ისტორიისათვის. რედაქტორი და გამომცემელი ზურაბ კაცელაშვილი, თბ., 1997, გვ. 30.
3. ნიკო ჯავახიშვილი. შალიკაშვილები (ფესვები, ტრადიციები, დღევანდელობა). თბ., 1997.
4. Станислав Думин, Пётр Гребельский, Дворянские роды Российской Империи, т. 4, Князья Царства Грузинского, Станислав Думин и князь Юрий Чиковани, Москва, 1998, с. 253.
5. ნიკო ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 7-9.
6. Николай Джавахишвили. Грузины под Российским флагом (грузинские военные и государственные деятели на службе России в 1703-1917 гг.). Тбилиси, 2003.
7. Станислав Думин, указ. соч., с.253-254.
8. Там же, с. 255.
9. ნიკო ჯავახიშვილი. ქართველი მხედრები პოლონეთის დროშის ქვეშ (პოლონურ-ქართულ სამხედრო-პოლიტიკურ ურთიერთობათა ისტორიიდან). თბ., 1998.
10. ნიკო ჯავახიშვილი, შალიკაშვილები (ფესვები, ტრადიციები, დღევანდელობა), გვ. 22.
11. იქვე, გვ. 22-23.
12. იქვე, გვ. 24.

**ლიანა ჯერვალიძე**
*ანალიტიკოსი, კასპიისპირეთის რეგიონის საკითხთა მკვლევარი*
*კენანის რუსულ კვლევათა ინსტიტუტი, ვაშინგტონი*

# აშშ-ის პოლიტიკა ნავთობით მდიდარ ახლო აღმოსავლეთში · მეორე მსოფლიო ომის შემდეგ

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყოფილ მოკავშირეთა მთავარი ყურადღება მიმართული იქნა ახლო აღმოსავლეთისკენ, სადაც ენერგორესურსების დიდი მარაგები იყო. თუ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ჯერ კიდევ იყვნენ ისეთები, ვინც ნავთობის როლს ჯეროვნად ვერ აფასებდნენ (ვინაიდან ეკონომიკაში ჯერ კიდევ გადამწყვეტ როლს ქვანახშირი თამაშობდა), მეორე მსოფლიო ომის დროს და მისი დამთავრებისათვის უკვე ყველასთვის ცხადი გახდა, რომ როგორც ომის წარმოება, ისე მისი შემდგომი მშვიდობიანი მშენებლობა ნავთობრესურსების უწყვეტი მიწოდების გარეშე წარმოუდგენელი იყო.

დანგრეული იყო მთელი ევროპა, საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის ჩათვლით. ომის მიწურულს მოკავშირეებს შორის ბევრი სადავო საკითხი წარმოიშვა ომისშემდგომი ევროპის მოწყობის თაობაზე, რასაც თან დაერთო ბრძოლა ახლო აღმოსავლეთის ენერგორესურსებისათვის. მართლაცდა, ენერგიის რომელ წყაროებს უნდა უზრუნველეყოთ დასავლეთ ევროპისა და საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის აღდგენა? ეს საკითხი სასწრაფო გადაწყვეტას საჭიროებდა.

ცხადია, ომის მთავარ კრედიტორს, აშშ-ს, იდეოლოგიური მოწინააღმდეგე, საბჭოთა კავშირი ნაკლებად აინტერესებდა, სამაგიეროდ სერიოზულად აფიქრებდა დასავლეთ ევროპის ბედი. აშშ-ის ხელისუფლებას მშვენივრად ესმოდა, რომ თუ ევროპული ქვეყნების ეკონომიკა სასწრაფოდ არ აღდგებოდა, ომისშემდგომი უმუშევრობა და სოციალური დაძაბულობა ხელს შეუწყობდა საზოგადოებრივი პროცესების რადიკალიზაციას, რაც ამ ქვეყნებში ხელისუფლების სათავეში საბჭოური ორიენტაციის მთავრობებს მოიყვანდა.

მეორე მსოფლიო ომის დროს მოკავშირეებმა მოიხმარეს 7 მილიარდი ბარელი (დაახლებით 1 მილიარდი ტონა) ნავთი და ნავთობპროდუქტები, საიდანაც 6 მილიარდი აშშ-ის მიერ იყო წარმოებული. აშშ-ის პოლიტიკურ წრეებში ყველა იზიარებდა შეხედულებას იმის თაობაზე, რომ ქვეყნის ენერგომარაგები ომის დროს დაუზოგავი ექსპლუატაციის შედეგად მთლიანად თუ არა, მნიშვნელოვანწილად ამოწურული იყო. საჭირო იყო დამატებითი ენერგოწყაროების მოძებნა ქვეყნის ტერიტორიის მიღმა, როგორც საკუთარი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით, ისე ევროპის უზრუნველსაყოფად.

ქვეყნის მიღმა ნავთობის დიდი მარაგები ცნობილი იყო ირანსა და ერაყში, რომელთა კონცესიებსაც ბრიტანული კომპანია Anglo-Iranian (დღევანდელი British Petroleum) და ბრიტანულ –ჰოლანდიური კომპანია Royal Dutch / Shell ფლობდა. ამიტომ აშშ-ის ხელისუფლებამ მთელი ყურადღება გადაიტანა საუდის არაბეთისაკენ, სადაც ნავთობის დიდი მარაგების არსებობის შესახებ 1938 წლიდან იცოდნენ.

ამგვარად, მეორე მსოფლიო ომის მიწურულს აშშ-მა გაააქტიურა დიპლომატიური საქმიანობა ახლო აღმოსავლეთში დიდი ბრიტანეთის სამანდატო ტერიტორიებზე, რომელიც მთელს ახლო აღმოსავლეთს მოიცავდა. დიდი ბრიტანეთი შეშფოთებით ადევნებდა თვალყურს თავისი მოკავშირის დიპლომატიურ მოქმედებას

და თავისი ელჩის, ლორდ ჰალიფაქსის პირით განმარტებას ითხოვდა აშშ-ის პოლიტიკური ისტებლიშმენტისაგან. როგორც ლორდი ჰალიფაქსი აღნიშნავს, 1944 წლის 18 თებერვალს მისი პირისპირ შეხვედრის დროს პრეზიდენტ რუზველტთან ამ უკანასკნელს უთქვამს: „ირანის ნავთობი თქვენია, ერაყისა და ქუვეიტის ნავთობს გავიყოფთ, საუდის არაბეთის ნავთობი კი მთლიანად ჩვენ უნდა გვეკუთვნოდეს."[1] ეს ძალიან ჰგავდა მოკავშირეთა შორის ომისშემდგომ გავლენის სფეროთა გადანაწილებას ნავთობით მდიდარ ახლო აღმოსავლეთში.

იმის გამო, რომ ჯერ იმპერიული რუსეთისა და შემდგომ საბჭოთა კავშირის გავლენა ამ რეგიონზე, გარდა თურქეთისა და ირანისა, მინიმალური იყო, ამ გადანაწილებაში საბჭოთა კავშირს წილი არ ედო. თუმცა, მას სრულიად გარკვეული პრეტენზიები ჰქონდა სწორედ ირანისა და თურქეთის მიმართ, რასაც მოკავშირეებთან მოლაპარაკებების დროს სტალინი მუდმივად აყენებდა. ამ საკითხს ქვემოთ უფრო დეტალურად შევეხებით.

მართლაც, 1945 წლის თებერვალში იალტის შეხვედრის შემდეგ პრეზიდენტი რუზველტი სუეცის არხის წყლებში, აშშ-ის სამხედრო გემ „ქუინსიზე" შეხვდა საუდის არაბეთის მეფე იბნ-საუდს. რუზველტი და იბნ საუდი შეთანხმდნენ ომის შემდგომი თანამშრომლობის ძირითადად პრინციპებზე,რომელიც მდგომარეობდა აშშ-ის პოლიტიკურ და სამხედრო მხარდაჭერაში იბნ-საუდის დინასტიის მიმართ საუდის არაბეთის ტახტზე ნავთობის სანაცვლოდ. უნდა აღინიშნოს, რომ საუდის არაბეთის ტახტს სხვა პრეტენდენტიც ჰყავდა ჰაშიმიდების სახით, რომლის წარმომადგენლებიც მართავდნენ სირიას, ერაყს, იორდანიას და წარმოშობით მექიდან იყვნენ. ამიტომ საუდის არაბეთის მეფე იბნ-საუდისათვის ტახტის შენარჩუნებისათვის აშშ-ის ხელისუფლების მხარდაჭერას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

რუზველტისა და იბნ-საუდის შეხვედრამ საფუძველი ჩაუყარა აშშ-ის პოლიტიკას ახლო აღმოსავლეთში, რომელიც ძალაში დარჩა მთელი XX საუკუნის განმავლობაში და რომლის გადასინჯვის ოდნავი მცდელობაც კი ძალზე მტკივნეულია და დღესაც სერიოზულ გათელებს საჭიროებს.

*მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ენერგოპოლიტიკა*

მართლაც ომისშემდგომმა მოვლენებმა ახლო აღმოსავლეთის ნავთობთან დაკავშირებით მთლიანად დაადასტურა დიდი ბრიტანეთის ელჩის აშშ-ში ლორდ ჰალიფაქსის მიერ მოყვანილი პრეზიდენტ რუზველტის ციტირება.

აშშ-სა და დასავლეთ ევროპის ენერგომატარებლებით უზრუნველსაყოფად დაიდო რამდენიმე სერიოზული გარიგება ამერიკული და ბრიტანული ნავთობკომპანიების მონაწილეობით.

1. ARAMCO-ს კონსორციუმი (საუდის არაბეთის ნავთობის გარიგება), ხელი მოეწერა 1948 წელს და წილები შემდეგნაირად განაწილდა: Standard Oil of New Jersey (ამჟამინდელი EXXONი)-30%, TEXACO-30%, Socony—Vacoom-I (ამჟამინდელი MOBIL)-30% და Standard Oil of California (ამჟამინდელი Chevron)-10%. საუდის არაბეთის მეფე იბნ საუდის დაჟინებული მოთხოვნით ინგლისური ინტერესები არც ამ გარიგებაში მონაწილეობდა;
2. ქუვეიტის კონსორციუმი, ხელი მოეწერა 1947 წელს და წილები შემდეგნაირად განაწილდა: Gulf (აშშ)-50%, Royal Dutch/Shell(ინგლისურ-ჰოლანდიური კომპანია)-50%.[2]

ომის დამთავრებისთანავე მიღებული იქნა გადაწყვეტილებები საუდის არაბეთის ნავთობის ტრანსპორტირების მიზნით ტრანსარაბული ნავთობსადენის (საუდის არაბეთიდან ლიბანის პორტ სიდონამდე) მშენებლობის დაწყების შესახებ,აგრეთვე ცალკე ერაყის ნავთობსადენების მშენებლობის შესახებ (სირიისა და ლიბანის

პორტებამდე). ამ ნავთობსადენების მშენებლობა დასრულდა 1950 წელს და მათ სერიოზული სტრატეგიული დატვირთვა მიეცათ საწვავით უზრუნველეყოთ ევროპის ომისშემდგომი აღდგენა.

ისე, რომ არსებობდა რესურსები, დაიდო გირიგებები, აშენდა ნავთობსადენები და პორტები. საჭირო იყო ამ გარიგებების და მათი ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების პოლიტიკური და სამხედრო უზრუნველყოფა ვითარებაში, როდესაც ომში საბჭოთა კავშირის წარმატებამ მისი იდეოლოგიური და სამხედრო ექსპანსიის სერიოზული საფრთხე წარმოშვა.

ომის შემდგომ საბჭოთა იდეოლოგიის გავლენის ზრდამ, რასაც უდავოდ შეუწყო ხელი საბჭოთა კავშირის თავგანწირულმა ბრძოლამ ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ, ევროპის მთავარი ქვეყნების ინგლისისა და საფრანგეთის სათავეში მემარცხენე ძალები მოიყვანა. ამას ზედ დაერთო ენერგოკრიზისი (ქვანახშირის ნაკლებობა), რომელმაც 1946 წელს მთელი ევროპა მოიცვა.

საჭირო იყო დასავლეთ ევროპის ქვეყნების ფეხზე დაყენება, თორემ იქ ხელისუფლების სათავეში კომუნისტები მოეიდოდნენ. ჯორჯ მარშალმა, აშშ-ის იმდროინდელმა სახელმწიფო მდივანმა, 1947 წელს ჰარვარდში გამოსვლის დროს გამოაცხადა ევროპისათვის დახმარების პროგრამა, რომელიც ისტორიაში მარშალის გეგმით არის ცნობილი. 1948 წლის შემდგომ ოთხი წლის განმავლობაში მარშალის გეგმის ფარგლებში ევროპისათვის დახმარების სახით გამოყოფილი სახსრების 20% ენერგომატარებლების შეძენას მოხმარდა. მარშალის გეგმით გათვალისწინებული დახმარება კარგად გამოიყენა აშშ-მა ინგლისისა და საფრანგეთის მემარცხენე ორიენტაციის მთავრობებზე ზეწოლისათვის. საფრანგეთის შემთხვევაში ამას ხელისუფლების შეცვლა მოჰყვა.

ომისშემდგომ პერიოდში ყოფილ მოკავშირეთა აშშ-ის, ინგლისისა და საფრანგეთის საგარეო პოლიტიკური აქტივობის ძირითად მიმართულებას ენერგორესურსების თვალსაზრისით წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის შესაძლო ექსპანსიის შეზღუდვა ნავთობით მდიდარ ახლო აღმოსავლეთში, კერძოდ, ირანისა და თურქეთის სრუტეების მიმართულებით.

*საბჭოთა კავშირის ექსპანსია ირანში*

1939 წლის გახმაურებული რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტის თანახმად, კასპიის სამხრეთით სპარსეთის ყურემდე რეგიონი საბჭოთა კავშირის გავლენის არედ ცხადდებოდა. სამხრეთის საზღვაო გზებზე მოკლე გასასვლელის ქონა ხომ რუსეთის იმპერიული და შემდგომ საბჭოთა ხელისუფლების უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა. საბჭოთა ხელისუფლებას მალე მიეცა ამ დიდი ხნის ნალოლიავები ოცნების ასრულების შესაძლებლობა და არა რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტის ფარგლებში.

ფაშისტური გერმანიის საბჭოთა საზღვრებში შეჭრიდან ორი თვის შემდეგ, 1941 წლის აგვისტოში საბჭოთა, დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის სამხედრო ნაწილებმა დაიკავეს შესაბამისად ჩრდილოეთი და სამხრეთი ირანი. მოკავშირეებმა ტახტიდან ჩამოაგდეს და ქვეყნიდან გააძევეს შაჰი რეზა ფაჰლავი, ირანის ბოლო შაჰის მოჰამად რეზა ფაჰლავის მამა, რომელიც გერმანელებს აშკარად თანაუგრძნობდა. ამ აქციის მიზანი იყო სათავეშივე აღეკვეთათ ირანის შესაძლო მოქცევა ფაშისტური გერმანიის გავლენის ორბიტაში და საბჭოთა სამხედრო მანქანის Anglo-Iranian-ის ირანული ნავთით გარანტირებული უზრუნველყოფა ირანის კასპიისპირული ნავსადგურის ნეკას (Neka) გავლით.

ეს იყო აღნიშნული პაქტით გაცხადებული გეგმის განხორციელებისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი. მართლაც, საბჭოთა კავშირის სამხედრო ნაწილებმა

ირანის ჩრდილოეთი დანარჩენი ტერიტორიისაგან სრულ იზოლაციაში მოაქციეს და იქ აზერბაიჯანის ავტონომიური წარმონაქმნის შექმნას შეუწყვეს ხელი. ეს ავტონომიური წარმონაქმნი ირანის ხელისუფლებას არ ცნობდა და სრული დამოუკიდებლობისაკენ მიისწრაფოდა. ომის დამთავრების შემდეგ დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის სამხედრო ნაწილებმა დაუყოვნებლივ დატოვეს ირანი. საბჭოთა შენაერთები გასვლას არ ჩქარობდნენ.

მოკავშირეთა შორის არსებული შეთანხმების საწინააღმდეგოდ საბჭოთა შენაერთები 1946 წლის 2 მარტს არ გავიდნენ ირანიდან. ირანის ხელისუფლებამ საბჭოთა კავშირს ახლად შექმნილ გაეროში უჩივლა. გაეროს ტრიბუნიდან ირანის ინტერესების დასაცავად გამოვიდა აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბაირნსი (James Byrnes). საბჭოთა კავშირი იძულებული გახდა თავისი სამხედრო შენაერთები ირანიდან გაეყვანა ერთი ნავთობკონცესიის სანაცვლოდ. გარიგება დაიდო კიდეც, თუმცა, მოგვიანებით ირანის მხარემ უარი განაცხადა ამ კონცესიის რატიფიცირებაზე. ირანიდან ჯარების გაყვანის შემდეგაც დიდხანს იგრძნობოდა რუსეთის ძლიერი გავლენა ირანის შიდა პოლიტიკურ ვითარებაზე. საბჭოთა კავშირიდან იმართებოდა თუდეს (Tudeh) ულტრა მემარცხენე იგივე მემარცხენე პარტია, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა 1951 წელს ირანის შაჰ მოჰამად რეზა ფაჰლავის ჩამოგდებასა და მილი მეჯლისის თავმჯდომარის მოჰამად მოსადეყის აღზევებაში.

მოსადეყის ხელისუფლებამ მოახდინა ინგლის-ირანის ნავთობის კომპანიის სრული ნაციონალიზაცია და მისი აშკარად ანტიდასავლური პოლიტიკის ფონზე წარმოიშვა საბჭოთა კავშირის ირანის შიდა პოლიტიკურ ავანსცენაზე დაბრუნების ძალზე სერიოზული საფრთხე. ამას ისიც დაერთო, რომ ინგლის-ირანის ნავთობის კომპანიის ნაციონალიზაციის შემდეგ ირანის ნავთობმა შეწყვიტა საერთაშორისო ბაზარზე დინება, რამაც ენერგოდეფიციტის საფრთხე წარმოშვა.

ამ დროს აშშ კორეის ომში იყო ჩაბმული სამხრეთ — აღმოსავლეთ აზიის ზღვებისაკენ საბჭოთა კავშირ—ჩინეთის ერთობლივი ექსპანსიის წინააღმდეგ. ადვილი წარმოსადგენია, რამდენად მნიშვნელოვანი იყო მისთვის ენერგომატარებლებზე არსებული ფასების შენარჩუნება. აშშ-ის ენერგეტიკის დეპარტამენტმა გამოაცხადა ნავთობკომპანიებისა და სახელმწიფო რეზერვების სრული მობილიზაცია, რათა არ დაეშვათ ფასების ზრდა და ენერგოკრიზისი. მართლაც ნავთობ-კომპანიების თანამშრომლობით ეს საფრთხე თავიდან იქნა აცილებული.

მაგრამ საბჭოთა ექსპანსიის საფრთხე ირანში სულ უფრო რეალური ხდებოდა. მეტი ცდა აღარ შეიძლებოდა. ცსს-ს ხელმძღვანელის ალენ დალესის ზედამხედველობითა და დიდი ბრიტანეთის სადაზვერვო სამმართველოს მ-16-ის აქტიური თანამშრომლობით დაიგეგმა ირანში სამხედრო გადატრიალების ერთობლივი ოპერაცია, რომელსაც ადგილზე აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის თეოდორ რუზველტის (1908—1912) შვილიშვილი ქერმით რუზველტი ხელმძღვანელობდა.

ეს ოპერაცია სრული კრახით დამთავრდა. შაჰი ჩამოაგდეს. მოსადეყისა და რეზა ფაჰლავის ორხელისუფლებიანობა დასრულდა და შაჰი იძულებული გახდა ჯერ ერაყში და შემდგომ რომში გაქცეულიყო. თუმცა, სულ რამდენიმე დღეში ვითარება სრულიად მოულოდნელად შაჰის სასარგებლოდ შემობრუნდა და აგვისტოს ბოლოს იგი ირანში დაბრუნდა. შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, რა დაუჯდებოდა აშშ-ის სადაზვერვო სამსახურს შაჰის სასარგებლოდ სიტუაციის შემობრუნება.

ყოველ შემთხვევაში, პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლის საფრთხე დროებით, მაგრამ მაინც აცილებული იქნა. ახლა საჭირო იყო ირანის უზარმაზარი ენერგორესურსების ამუშავება, რათა ქვეყანას შემოსავალი გასჩენოდა. ვინაიდან

სოციალური პოლიტიკით უკმაყოფილო მოსახლეობაში საბჭოთა კავშირი იოლად მოიძებნიდა დასაყრდენს თავის ყოფილ პარტნიორთან თურქეთის წინააღმდეგ.

ომისშემდგომი გარიგების თანახმად, აშშ-ს უნდა დარჩენოდა საუდის არაბეთის ნავთობი, ერაყისა და ქუვეითის ნავთობი მას და დიდ ბრიტანეთს უნდა გაეყოთ, ირანის რესურსები კი დიდი ბრიტანეთის ხელში უნდა დარჩენილიყო. გავიხსენოთ, რომ ინგლის-ირანის კომპანიის აქციათა საკონტროლო პაკეტის მფლობელი დიდი ბრიტანეთის ხელისუფლება იყო.

ომის შემდეგ დიდი ბრიტანეთი ძალიან დასუსტებული იყო. საყოველთაო ანტიკოლონიური მოძრაობის ფონზე, მას, როგორც იმპერიას, რეპუტაცია ჰქონდა შელახული და რომც მოენდომებინა, მასტაბილიზებელ გავლენას ვეღარ მოახდენდა ვერც სხვაგან და მითუმეტეს, ვერც ირანში, სადაც ინგლის-ირანის კომპანია სრულიად დისკრედიტირებული იყო და ეს შემთხვევითი არ ყოფილა.

ომის შემდგომ წლებში ირანის ხელისუფლება დაჟინებით მოითხოვდა კომპანიის მოგებაში საკუთარი წილის გაზრდას, კომპანია კი არანაირ დათმობებზე არ მიდიოდა (1945–50 წლებში ინგლის-ირანის კომპანიის მოგებამ 250 მილიონი ფუნტი სტერლინგი შეადგინა, ირანის ხელისუფლებას კი მხოლოდ 90 მილიონი ფუნტი სტერლინგი ერგო.) დიდი ბრიტანეთის ხელისუფლება კომპანიისაგან გადასახადების სახით უფრო მეტ მოგებას იღებდა, ვიდრე ირანის ხელისუფლება როიალტის შემოსავლების სახით. აქედან გამომდინარე, ირანის არც შაჰს და არც ერთ პოლიტიკურ პარტიასა თუ საზოგადო მოღვაწეს ინგლისური კომპანიის სახელის გაგონებაც კი არ უნდოდა.

ვის უნდა აეთვისებინა ირანის ენერგორესურსები? ამ დროს ყველა ამერიკული კომპანია მონაწილეობდა საუდის არაბეთის, ქუვეიტის, ერაყისა თუ ვენესუელის ნავთობის გარიგებებში, არც ბაზარზე არ იგრძნობოდა მიწოდების ნაკლებობა. პირიქით, ხანგრძლივი შესვენების შემდეგ რუსეთის ნავთობიც იწყებდა საერთაშორისო ბაზარზე გამოსვლას. ასე რომ, არც ერთი ამერიკული კომპანია არ იჩენდა დაინტერესებას ირანის მიმართ.

იმისათვის, რომ ეს რესურსები უკონტროლოდ არ დარჩენილიყო, აშშ-ის ხელისუფლებამ ფაქტობრივად აიძულა თავისი კომპანიები კონცესიების თაობაზე შაჰთან მოლაპარაკებები დაეწყოთ. ეს მოლაპარაკებები ძალზე მძიმედ მიმდინარეობდა და დასრულდა 1954 წლის 29 ოქტომბრის გარიგებით, რომელშიც მონაწილეობდნენ: ინგლის-ირანის კომპანია- Ango-Iranian, 40%,Royal Dutch/Shell-14%,Standard Oil of New Jersey- დღევანდელი EXXON,Socony,Texaco და Standard Oil of California დღევანდელი Chevron(ყველა აშშ)-თითოეული-8% და Societe Francaise du Petrole(საფრანგეთი)-6%. ეს გარიგება შვიდი დის გარიგების მეორე სახელით არის ცნობილი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ გარიგებაში მონაწილე ამერიკული კომპანიები დიდ წილებს ფლობდნენ საუდის არაბეთის, ქუვეიტისა და ერაყის გარიგებებში და ამ ახალი გარიგებით, ფაქტობრივად, საკუთარი წარმოებისავე ნავთობს გაუწევდნენ კონკურენციას საერთაშორისო ბაზარზე. ამიტომ იყო, რომ აშშ-ის ხელისუფლებას ორ ფრონტზე უწევდა მოქმედება — მოლაპარაკება შაჰთან და მოლაპარაკება საკუთარ კომპანიებთან. საზოგადოდ, ნავთობკომპანიები თავისი ქვეყნების ხელისუფლებასთან მუდმივად თანამშრომლობენ. ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა და აშშ-ის ნავთობკომპანიები უხალისოდ, მაგრამ მაინც, შევიდნენ ირანში.

### *საბჭოთა ექსპანსიის მცდელობა ბალკანეთსა და თურქეთის სრუტეებისაკენ*

თურქეთის სრუტეებზე კონტროლის მოპოვება წარმოადგენდა რუსეთის მთავარ მიზანს დასუსტებულ ოტომანთა იმპერიასთან წარმოებული ომების დროს მეცხრამეტე საუკუნიდან მოყოლებული პირველი და მეორე მსოფლიო ომების

ჩათვლით. სრუტეებზე კონტროლის მოპოვებას უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა კავშირისთვის. აქედან გაედინებოდა საბჭოთა კავშირიდან მიმავალი ტვირთების უდიდესი ნაკადი, ამ გზით გაედინებოდა ბაქოსა და გროზნოს, მოგვიანებით ვოლგა – ურალის ნავთობიც.

საბჭოთა კავშირის მიერ სრუტეებზე კონტროლი არა მხოლოდ სავაჭრო გზებზე კონტროლის აღებას, არამედ ხმელთაშუა ზღვაზე სამხედრო ყოფნის გარანტიას ნიშნავდა. ხმელთაშუა ზღვა კი ტაპლაინისა და ერაყის ნავთობსადენების სისტემის მშენებლობის დასრულების შემდეგ სირიისა და ლიბანის პორტებისაკენ, აგრეთვე სუეცის არხით მიმავალი ტანკერების გამო ნავთობის ტრანსპორტის უმსხვილეს კვანძად გადაიქცა. აქ საბჭოთა კავშირის გაძლიერებული სამხედრო ყოფნა, რასაც სტალინი დაბეჯითებით მოითხოვდა მოკავშირეებისაგან ჯერ კიდევ ომის მიწურულის მოლაპარაკებების დროს, დაუშვებელი იყო. ამიტომ აუცილებელი იყო სრუტეები დაპირისპირებოდნენ მონტრეს 1936 წლის საერთაშორისო კონვენციას.

1947 წლის ტრუმენის დოქტრინა იყო შავი და ხმელთაშუა ზღვების დამაკავშირებელ სრუტეებზე საბჭოთა ექსპანსიის შეჩერებისაკენ მიმართული აქტი. საბჭოთა ექსპანსიის შეჩერება მიმდინარეობდა მთელს სამხრეთ პერიმეტრზე. სრუტეების გამო თურქეთი ირანის შემდეგ ერთ-ერთ ყველაზე საკვანძო მიმართულებად რჩებოდა. დიდი ბრიტანეთის დასუსტების შემდეგ არ არსებობდა სხვა ძალა გარდა აშშ-ისა, ვინც შეძლებდა საბჭოთა კავშირის მზარდი იდეოლოგიური გავლენის შეკავებას ბალკანეთის ღარიბ, სოციალური აფეთქების საფრთხის წინაშე მდგარ ქვეყნებში. სანამ არ მოხერხდა საბერძნეთსა და თურქეთში სტაბილიზაციის აღდგენა, მანამდე არ განეიტრალდა საბჭოთა კავშირის გავლენა იუგოსლავიაზე. საჭირო იყო ამ ქვეყნების სასწრაფოდ ფეხზე დაყენება.

აშშ-ის ფინანსური დახმარებით, თურქეთის ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის აღდგენა დაიწყო 1948 წელს და ინტენსიურად მიმდინარეობდა ოთხი წლის განმავლობაში. იმდენად, რომ 1952 წლისათვის თურქეთი უკვე საკმაოდ იყო მომზადებული იმისათვის, რომ ნატო-ში გაწევრიანებისათვის საჭირო პირობები დაეკმაყოფილებინა. მართლაც, 1952 წელს ნატო-ს ლისაბონის კონფერენციაზე თურქეთი ნატო-ს სრულუფლებიანი წევრი და ამ ორგანიზაციის სამხრეთი ფრთის მთავარი დასაყრდენი გახდა. ამავე დროს მიიღეს ნატო-ში საბერძნეთიც. საბერძნეთსა და თურქეთში პოლიტიკური სტაბილიზაციისათვის აშშ-ის ერთჯერადი ომისშემდგომი ინექცია 400 მილიონ დოლარს შეადგენდა. სხვა იყო შეღავათიანი კრედიტებისა და გრანტების სახით გაწეული დახმარება.

საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და სამხედრო ექსპანსიის საფრთხე ნავთობით მდიდარი ახლო აღმოსავლეთისა და სტრატეგიული მნიშვნელობის სავაჭრო არტერიებისაკენ, შეჩერებული იქნა 1955 წლის 25 თებერვალს თურქეთს, პაკისტანსა და ერაყს შორის ე.წ. ბაღდადის პაქტის დადებით, რომელსაც „აღმოსავლეთის ფარი" უწოდეს. მიუხედავად საბჭოთა კავშირის ელჩის დიდი მცდელობისა, 1955 წლის ოქტომბერში ბაღდადის პაქტს ირანიც შეუერთდა.

ეს იყო აშშ-ის ახლო აღმოსავლური პოლიტიკის უდიდესი გამარჯვება. ძალთა ამგვარი თანაფარდობა ნავთობით მდიდარ ახლო აღმოსავლეთში შენარჩუნებული იქნა მთელი XX საუკუნის განმავლობაში.

თუმცა საფრთხემ კვლავ იჩინა თავი სულ მალე და სულ სხვა ფორმით, რასაც ნავთობმწარმოებელი ქვეყნების ორგანიზაციის შექმნა მოჰყვა. თუმცა ეს უკვე სხვა თემაა და მას აქ აღარ შევეხებით.

# განათლება, სამართალი, სოციალური და ქალთა საკითხები, მედია

**ლელა აბდუშელიშვილი**
*პედაგოგი*

## ამერიკული იდიომების სწავლების თავისებურებანი ქართულენოვან აუდიტორიაში

თუ ამერიკის ისტორიას თვალს გადავავლებთ, დავინახავთ, რომ ამერიკელი ხალხი ერთ ადგილზე არ ჩერდება და მთელი მსოფლიოს მასშტაბით გადაადგილდება. ამას ისიც ემატება, რომ ამერიკაში საცხოვრებლად თუ სამუშაოდ მთელი მსოფლიოდან ჩადიან – მექსიკა,ფილიპინები,კორეა,ვიეტნამი,ცენტრალური და სამხრეთ ამერიკა და ა.შ.

500 წლის წინ ჩრდილოეთ ამერიკაში არ ლაპარაკობდნენ ინგლისურად. ამერიკელ ინდიელებს თავიანთი ენა ჰქონდათ. თავიანთ ენაზე ლაპარაკობდნენ ასევე ესკიმოსები და ალეუტები კანადაში, აბორიგენები ავსტრალიაში, მაურები ახალ ზელანდიაში. როდესაც ამერიკაში ინგლისელები ჩავიდნენ, მათ დააარსეს თავიანთი კოლონიები, რის შემდეგაც დაიწყო მთელი მსოფლიოდან ხალხის დინება, რამაც თავისთავად გამოიწვია სრულიად განსხვავებული ენებისა და კულტურების ერთმანეთში არევა. ამას მოჰყვა საუბრის თავისებური სტილის შემოღებაც, რაც შეერია ადგილობრივ ენას. სწორედ ასეთნაირად დაიბადა და დამკვიდრდა ამერიკულ ინგლისურში იდიომატური გამოთქმები. უნდა აღინიშნოს, რომ არაფერი ისე არ გამოხატავს ენის ხასიათს, ისტორიას და მნიშვნელობას, როგორც იდიომები. იდიომები ენის განუყოფელი ნაწილია და ამდენად მათი ცოდნა ენის ზედმიწევნით ცოდნას ნიშნავს.

ისინი, ვისთვისაც ინგლისური მშობლიურ ენას არ წარმოადგენს, ხშირად იბნევიან, როდესაც იდიომატურ გამოთქმებს აწყდებიან. აბა შეეკითხეთ ნებისმიერ უცხოელს, რას ნიშნავს გამოთქმა „beg the question" ან „keep your eyes peeled" და მისი სახის გამომეტყველებით მიხვდებით, რომ იგი სრულიად დაბნეულია.

რა არის იდიომი? ზოგი თვლის, რომ იგი არის სიტყვათა ჯგუფისათვის, რომელთაც თავისი საკუთარი მნიშვნელობა აქვს, ახლის მინიჭება. ზოგი კი მათ სპეციალურ გამოთქმებად მიიჩნევს. უცხო სიტყვათა ლექსიკონი შემდეგნაირად განმარტავს იდიომს: „იგი არის ამა თუ იმ ენის თავისებური, დაუშლელი გამოთქმა, რომლის მნიშვნელობა არ უდრის შემადგენელი სიტყვების მნიშვნელობათა ჯამს. მაგალითად, სიტყვის ბანზე აგდება, ტანის აყრა და ა.შ. სინამდვილეში, იდიომი არის გამოთქმა, რომლის პირდაპირი მნიშვნელობით გაგება ძნელია. იმ შემთხვევაშიც კი, როცა ვიცით მასში შემავალი ყველა ცალკეული სიტყვის მნიშვნელობა და გრამატიკულადაც გვესმის იგი, მაინც ძნელია საბოლოო მნიშვნელობის დადგენა.

იდიომები არა მხოლოდ სასაუბრო გამონათქვამებია, არამედ ისინი ოფიციალურ საუბარში, პოეზიასა და ბიბლიაშიც კი გვხვდება. ეს იმაზე მიუთითებს, რომ მათი

გამოყენება საკმაოდ ხშირია. ამერიკულ ინგლისურში დღემდე შემოდის ახალ-ახალი სიტყვები, რაც ამ ენის მოქნილობაზე მიგვითითებს. როდესაც ამერიკელი იყენებს იდიომებს, ეს მას ბუნებრივად გამოსდის, რადგან იდიომები ამერიკული ინგლისურის განუყრელი ნაწილია. მათთვის, ვისთვისაც ინგლისური მეორე ენაა, შესაძლოა ცნობილი იყოს ძირითადი მნიშვნელობა ისეთი გამოთქმებისა, როგორიცაა „I gave it my best shot" ან „dressed to kill", მაგრამ მაინც ვერ შეძლონ მათი სწორად გამოყენება. მაგალითად, თუ ოფიციალურ შეხვედრაზე ამერიკელი უცხოელი დიპლომატის მეუღლეს ჩასაცმელს მოუწონებს და ეტყვის,რომ ის ელეგანტურად გამოიყურება, პასუხად შესაძლოა მიიღოს ასეთი რამ: „Thank you. I gave it my best shot", ან „Thanks, I dressed to kill". ამის გამგონი ამერიკელი ალბათ ძლივს შეიკავებს სიცილისაგან თავს. ეს იმიტომ, რომ მას ინტუიციური მიხვედრა აქვს ამ იდიომის მნიშვნელობისა, რაც ენის კარგად მცოდნეს არ აკლია.

ენის საფუძვლიანად დაუფლების მსურველთათვის იდიომების ზედმიწევნით ცოდნა ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. რაც უფრო ხშირად იყენებთ იდიომებს ამერიკელებთან საუბარში, მით უფრო ადვილად შემოდიან ისინი კონტაქტში, თავიდანვე მყარდება მეგობრული ურთიერთობა და ენის თავისუფლად მოლაპარაკედაც იქნებით მიჩნეულნი.

იდიომატური ინგლისური მრავალ სირთულეს უქმნის ენის შემსწავლელთ. მნიშვნელოვანია მათი სწორად დასწავლა. როგორც ზემოთ აღინიშნა, იდიომების გამოყენების წესები ხან არ არსებობს, ხან ისე გაუგებარი და ბუნდოვანია, რომ არ ღირს მათი დასწავლა, ხან კი უნდა ვიცოდეთ უშუალოდ რისთვის და რა შემთხვევაში უნდა ვიხმაროთ ისინი. მაგალითად, ბიზნესის სფერო, სამედიცინო სფერო. ამას ისიც ემატება, რომ თუ იდიომს არ გამოვიყენებთ ისეთი ფორმით, როგორითაც ის არსებობს ენაში, მას შეიძლება საერთოდ დაეკარგოს მნიშვნელობა. და, რაც მთავარია, უნდა გვახსოვდეს, რომ იდიომები არ ითარგმნება. მათი სიტყვა-სიტყვით თარგმნამ შესაძლოა უაზრობამდეც კი მიგვიყვანოს.

მოცემულ სტატიას ასეთი სათაური იმიტომ შევურჩიე, რომ როგორც ინგლისური ენის მასწავლებელს, ადრე თუ გვიან მიწევს ჩემს სტუდენტებს ვასწავლო იდიომატური გამოთქმები და ვუპასუხო მათ მიერ დასმულ შეკითხვებს. ყველაზე ხშირად იდიომატური გამოთქმების დასწავლა სჭირდებათ მათ, ვინც აშშ-სა თუ სხვა ქვეყნებში სასწავლებლად ან სამუშაოდ მიემგზავრება და მოეთხოვება ე.წ. TOEFL, GMAT და სხვა საერთაშორისო ენობრივი გამოცდების ჩაბარება. უნდა აღინიშნოს, რომ TOEFL-ის მოსმენით ნაწილში უამრავი იდიომაა თავმოყრილი. მათი ვერ გაგება ხელს უშლის სტუდენტს შეკითხვაზე სწორი პასუხი გასცეს და შესაბამისად დადებითი ქულები დააგროვოს. იდიომების შესწავლა სასარგებლოა ბიზნეს ინგლისურის შემსწავლელი სტუდენტებისთვისაც. იდიომების ცოდნა ამ სფეროს მუშაკებს უადვილებს უცხოელ კოლეგებთან თუ პარტნიორებთან საქმის უკეთ წარმოებას და, შესაბამისად, წარმატების მიღწევას.

ამრიგად, როგორც პედაგოგს, მომეთხოვება ყველა დაინტერესებულ პირს იდიომები ეფექტურად შევასწავლო, რომ შეძლონ მათი მნიშვნელობის გაგება და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, მათი შესაბამის სიტუაციაში გამოყენება. მრავალი მეთოდი თუ მიდგომა მოვსინჯე და ყველაზე ეფექტურად მაინც ნახატებითა და დასურათებული მასალით სწავლებას ვაღიარებ. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკული იდიომების მხოლოდ მცირე ნაწილი თუ არის დასურათებული, ეს მეთოდი მაინც წარმატებულია და ეხმარება სტუდენტს უკეთ დაიმახსოვროს იდიომები. ნახატზე

ხან სიმბოლური სცენა თუ ფიგურაა გამოსახული, ხან პირდაპირ იდიომი. ნახატების ჩვენებით სტუდენტს აღვუძრავ ცნობისმოყვარეობას და ვუადვილებ იდიომის დასწავლას. მეტი მრავალფეროვნებისათვის ვარჩევ ხან სერიოზულ, ხან სასაცილო ნახატებს. აუცილებლად ვახდენ ნახატების აღწერას, რათა ასეთი გზით ნელ-ნელა ვუახლოვდებით თვით კონტექსტს, შინაარსს, რომელშიც ამ იდიომის გამოყენება შეიძლება.

მეორე სასარგებლო მეთოდი არის იდიომების კონტექსტში სწავლება. არსებობს იდიომები, რომელთაც სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა აქვს იმის მიხედვით, თუ რა კონტექსტში გამოვიყენებთ. მაგალითად, take off the clothes, prices, airplanes.

ასეთ იდიომებთან როცა გვაქვს საქმე, მასწავლებელმა აუცილებლად უნდა შეარჩიოს შესაბამისი სავარჯიშოები, შეადგინოს დიალოგები თუ ტექსტები, რათა დაეხმაროს სტუდენტს იდიომების უკეთ დამახსოვრებაში. გარდა ამისა, სტუდენტებს უნდა მიაწოდოთ განმარტებები, საილუსტრაციო წინადადებები და სინონიმური გამონათქვამები, რაც მათ დაეხმარება ენა უფრო ღრმად შეისწავლონ და გაიმდიდრონ სიტყვითი მარაგი.

ამრიგად, ჩემ მიერ გამოყენებული მეთოდის ეფექტურობა შემდეგში მდგომარეობს:

1) ჯერ სტუდენტს ვაძლევ განმარტებებს და საილუსტრაციო წინადადებებს, რასაც მოსდევს საილუსტრაციო წინადადების პერიფრაზი და ვამეორებინებ ამ საილუსტრაციო წინადადებებს;
2) შემდეგ ვეუბნები პერიფრაზს ზეპირად, ხოლო მათ ვთხოვ, მითხრან საილუსტრაციო წინადადება;
3) შემდეგ ვაძლევ სინონიმურ გამოთქმებს და მათ განმარტებებს. სტუდენტებს მოეთხოვებათ შეცვალონ სინონიმური გამოთქმა შესაბამისი საილუსტრაციო წინადადებით. აქვე ვამეორებინებ ამ ახალ წინადადებებს;
4) ამის შემდეგ სტუდენტებს ვავალებ შეადგინონ თავიანთი საკუთარი წინადადებები;
5) ბოლოს კი ვყოფ სტუდენტებს ორ-ორად, ვაძლევ 2-3 წუთს მოფიქრებისათვის, რომ კლასის წინაშე წარმოადგინონ მოკლე, 4-6 ხაზიანი დიალოგი ამათუიმ იდიომის თუ სინონიმური გამონათქვამის გამოყენებით.

ასეთი მიდგომით იმას მივაღწიე, რომ დავაინტერესე სტუდენტები. მათ გაუჩნდათ ამერიკული ინგლისურის უფრო ღრმად შესწავლის სურვილი. გაკვეთილები მათთვის სიამოვნების მომგვრელი, ხანდახან სახალისოც კი არის და, რაც მთავარია, მათ ბევრი რამ შეისწავლეს და საბოლოო ტესტებში მაღალი შეფასებები მიიღეს. ამრიგად, მოცემული სტატიით მინდოდა მეჩვენებინა, თუ როგორ უნდა დაეხმაროს მასწავლებელი სტუდენტს ისე შეისწავლოს ენა, რომ ნამდვილი ამერიკელივით ისაუბროს, რაც მას მომავალში აუცილებლად წარმატებას მოუტანს

**მაიკლ ბარტონი**
*პენსილვანიის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი*

## რამდენად მრავალფეროვანია ამერიკა?
## მაგალითები შედარებითი სოციალური მეცნიერებიდან

რით განსხვავდება ამერიკა მსოფლიოს სხვა ქვეყნებისგან? ამ კითხვით ინტერესდებოდნენ დამკვირვებლები მას შემდეგ, რაც ამერიკა არსებობს. ეს ალბათ, ძალიან მარტივად რომ ვთქვათ, ხოლო თუ უფრო დავაკონკრეტებთ ვნახავთ, რომ ადრეულ პერიოდში ამ შეკითხვაზე პასუხებში აქცენტს აკეთებდნენ ამ ქვეყნის უნიკალურობაზე. ხოლო უახლესი შედეგების მიხედვით, მას შემდეგ, რაც ამ კითხვამ კრიტიკის დიდი ქარცეცხლი გაიარა, ამერიკული უნიკალურობა, ანუ გამორჩეულობა ყოველთვის გადაჭარბებულად იყო წარმოდგენილი.

ჩემი აზრით კი, შევძლებთ უკეთესი შეკითხვების დასმას და უკეთესი პასუხების მიღებას, თუკი გამოვიყენებთ თანამედროვე სოციალური მეცნიერების მეთოდებს. ამჯერად, მე ვისურვებდი წარმომედგინა თქვენთვის, თუ როგორ არის ეს შესრულებული გერტ ჰოფსტიდის შედარებითი სოციალური ფსიქოლოგიის კვლევაში, რომელიც სულ ახლახან გამოქვეყნდა წიგნში *„კულტურის მნიშვნელობა; სხვადასხვა ქვეყნის ფასეულობების, ქცევების, ინსტიტუციებისა და ორგანიზაციების შედარება“* (იხ. II გამოცემა, 2001). ნებსით თუ უნებლიეთ, ეს არის უპირველესი ნაშრომი, რომელიც ზედმიწევნით იკვლევს ამერიკულ განსხვავებებს.

და კიდევ, მე მნიშვნელოვნად ვამარტივებ ამ ურთულეს პროექტს, როცა ვამბობ, რომ ჰოფსტიდმა შეადარა ისეთი ტენდენციები სხვადასხვა ქვეყნებისა, როგორიცაა ინდივიდუალიზმი და კოლექტივიზმი. ეს „იზმები“ ის ცნებებია, რომლითაც მოვყავართ ფერდინანდ ტონის მე-19 საუკუნის ნაშრომებიდან *gemeinschaft* და *gesellschaft* სოციალური წყობის შესახებ ან დევიდ რისმანის უფრო თანამედროვე ნამუშევართან, რომელიც კონტრასტულად იხილავს „ტრადიციისკენ მიმართულ“ და „თვით-მიმართულ“ ტიპებს. ინდივიდუალისტურ საზოგადოებაში წინა პლანზეა პიროვნების ავტონომია – თავისუფალი არჩევანი, თვით-რეალიზაცია და თვით-გამტანიანობა, რაც დაცულია კანონისა და საზოგადოებრივი აზრის მიერ. ინდივიდუალისტები მოითხოვენ პირადი ხელშეუხებლობის და საკუთარ თავთან, თუ ოჯახთან საჭირო ვალდებულებების უპირობო უფლებას. დავარქვათ მათ „მე“ საზოგადოების ტიპი. კოლექტივისტური საზოგადოება ნაშრომში აბსოლუტურად საპირისპირო პრინციპებზეა აგებული. ასეთი საზოგადოების წევრები აღიარებენ პიროვნების თავისუფლებას სოციალური ვალდებულებებისა და მოვალეობის გათვალისწინებით. მათი ფასეულობებია კოლექტიური კეთილდღეობა, სოციალური ჰარმონია და ადამიანის ლოიალურობა ჯგუფის მიმართ. დავარქვათ მათ „ჩვენ“ საზოგადოების ტიპი. ინდივიდუალიზმი და კოლექტივიზმი „მენტალური პროგრამებია“, როგორც ამას ჰოფსტიდი ამბობს, რომლებიც ხორციელდება ოჯახში და ცხოვრების შემდგომ ეტაპებზე ვითარდება შესაბამის ინსტიტუციებში. ეს მენტალური პროგრამები „ეროვნული კულტურის“ სასიცოცხლო ნაწილია.

ჰოფსტიდის მონაცემები ინდივიდუალიზმის და კოლექტივიზმის შესახებ პირველად მოპოვებულ იქნა 1960-იან და 70-იან წლებში. ეს მონაცემები ეფუძნება

გამოკითხვებს, რომელიც შეასრულა IBM-ის 116,000 თანამშრომელმა 40 ქვეყანაში. უახლესი მონაცემები არის იმ 53 ქვეყნიდან და რეგიონიდან, სადაც გამოკითხვა ჩატარდა. წინააღმდეგობრივი შედეგები, ძირითადად, მსგავსი მახასიათებლებით გამოირჩეოდა, თუმცა ჩვენთვის ამჯერად მთავარია შედეგი და მათი მნიშვნელობა.

ჰოფსტიდმა გამოითვალა *ინდივიდუალიზმის ინდექსი* ყოველი ქვეყნისთვის, რაზეც აშკარა გავლენას ახდენს (სტატისტიკის მიხედვით 78% სხვადასხვაობით) ეროვნული სიმდიდრე და გეოგრაფიული ადგილმდებარეობა; ასევე, რამდენადმე მნიშვნელოვანია ისტორიული გავლენა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ქვეყნები, რომლებიც ინდივიდუალიზმის მაღალი ხარისხით გამოირჩევიან, მაღალ ეროვნულ შემოსავალსაც იღებენ და, ძირითადად, მდებარეობენ ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ზომიერ კლიმატურ ზონაში.

ქვემოთ მოცემულია 50 ქვეყნის და 3 რეგიონის *ინდივიდუალიზმის ინდექსი* წიგნიდან *„კულტურის მნიშვნელობა"*, ბოლო გამოცემა:

| | | | |
|---|---|---|---|
| აშშ | 91 | თურქეთი | 37 |
| ავსტრალია | 90 | ურუგვაი | 36 |
| დიდი ბრიტანეთი | 89 | საბერძნეთი | 35 |
| კანადა | 80 | ფილიპინები | 32 |
| ნიდერლანდები | 80 | მექსიკა | 30 |
| ახალი ზელანდია | 79 | იუგოსლავია | 27 |
| იტალია | 76 | პორტუგალია | 27 |
| ბელგია | 75 | აღ. აფრიკა | 27 |
| დანია | 74 | მალაიზია | 26 |
| შვედეთი | 71 | ჩილე | 23 |
| ირლანდია | 70 | სინგაპური | 20 |
| ნორვეგია | 69 | ტაილანდი | 20 |
| შვეიცარია | 68 | დას. აფრიკა | 20 |
| გერმანია | 67 | სალვადორი | 20 |
| სამხრ. აფრიკა | 65 | სამხრ. კორეა | 18 |
| ფინეთი | 63 | ტაივანი | 17 |
| ავსტრია | 55 | პერუ | 16 |
| ისრაელი | 54 | კოსტა რიკა | 15 |
| ესპანეთი | 51 | პაკისტანი | 14 |
| ინდოეთი | 48 | ინდონეზია | 14 |
| იაპონია | 46 | კოლუმბია | 13 |
| არგენტინა | 46 | ვენესუელა | 12 |
| ირანი | 41 | პანამა | 11 |
| იამაიკა | 39 | ეკვადორი | 8 |
| ბრაზილია | 38 | გვატემალა | 6 |
| არაბული ქვეყნები | 38 | | |

*ინდივიდუალიზმის ინდექსის* საშუალო მაჩვენებელია 53. ქვეყნები, რომელთა *ინდივიდუალიზმის ინდექსი* გაცილებით მაღალია, ვიდრე ამას ჰოფსტიდი ვარაუდობდა, არის სამხრეთ აფრიკა, ავსტრალია, დიდი ბრიტანეთი, იტალია, ინდოეთი, ირლანდია და ახალი ზელანდია; ქვეყნები, რომელთა *ინდივიდუალიზმის ინდექსი*

უფრო დაბალია, ვიდრე ეს ნავარაუდევი იყო, არის შვედეთი, გვატემალა, სამხრეთ კორეა, იუგოსლავია, ჩილე და ვენესუელა. ეს განსხვავებები კი ისტორიული გავლენით აიხსნება; გასათვალისწინებელია ის მნიშვნელოვანი დეტალი, რომ სამხრეთ აფრიკის შეფასებისას ყველა გამოკითხული თეთრკანიანი იყო.

ჰოფსტიდი ამბობს, რომ სულ მცირე 3 ათეული უმთავრესი შედარებითი კვლევის შედეგი ეხმიანება მის აღმოჩენებს. წიგნი *„კულტურის მნიშვნელობა“* მრავალ საჟურნალო სტატიაში არის აღიარებული და ციტირებული. უფრო მეტიც, მისი აღმოჩენები სარწმუნოდ გვეჩვენება, რადგან ისინი შეესაბამება ჩვენს შეხედულებებს ამ ქვეყნების შესახებ. მოკლედ, ჩვენ შეგვეძლო გამოგვეცნო ინდექსების თანამიმდევრობა.

როგორც აღვნიშნე, ეს არის ამერიკის თავისებურებების შესახებ არსებული მნიშვნელოვანი ნაშრომი. წიგნი გვიჩვენებს, რომ ამერიკელები არიან ინდივიდუალიზმის უკიდურესი პროპონენტები. უფრო შთამბეჭდავი კი ისაა, რომ კვლევა ასევე გვიჩვენებს ინგლისურენოვანი ქვეყნების ლიდერობას ინდივიდუალიზმში. ასევე აღსანიშნავია,რომ ქვეყნები,სადაც ინგლისურად ლაპარაკობენ და სადაც ინგლისური ისწავლება სკოლებში, მაგალითად, სკანდინავიის ქვეყნები, *ინდივიდუალიზმის ინდექსის* მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევიან. ალბათ საეჭვოა, რომ ინგლისური ენის გრამატიკასა ან სინტაქსში არსებობდეს ისეთი რამ, რასაც ინდივიდუალიზმისკენ მივყავართ, თუმცა არც კავშირი ინგლისურსა და ინდივიდუალიზმს შორის არ უნდა იყოს უბრალო დამთხვევა. საინტერესო იქნებოდა, თუ გამოვიკვლევდით სხვა ქვეყნების *ინდივიდუალიზმის ინდექსი* რამდენად უკავშირდება ინგლისურად მოლაპარაკე მოსახლეობის რაოდენობას. თუკი არსებობს კორელაცია ინდივიდუალიზმის ხარისხსა და ინგლისურად ლაპარაკს შორის, მაშინ ადვილად დავადგენდით ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ინდიკატორს.

ყოველ შემთხვევაში, ჰოფსტიდის მონაცემებში ეკონომიკურ განვითარებასა და ინდივიდუალიზმს შორის ურთიერთკავშირის გამო ისმის რამდენიმე ამოცანა, რომელიც გადაჭრას საჭიროებს. ნათელია, რომ ინდივიდუალიზმის მაღალი ხარისხი უკავშირდება ეროვნული შემოსავლის მაღალ დონეს, ხოლო ინდივიდუალიზმის დაბალი ხარისხი კი ეროვნული შემოსავლის დაბალ დონეს. თუმცაღა, სამხრეთ კორეას, სინგაპურსა და ჰონგ-კონგს ინდივიდუალიზმის დაბალი მაჩვენებელი და ეკონომიკური ზრდის მაღალი ხარისხი აქვთ, ხოლო ინდოეთს იაპონიაზე ოდნავ მაღალი *ინდივიდუალიზმის ინდექსი* აქვს და კეთილდღეობის აშკარად ნაკლები დონით გამოირჩევა. ასე რომ, მაღალი *ინდივიდუალიზმის ინდექსი* ნამდვილად არ არის ეკონომიკური სიძლიერის გარანტი.

და ბოლოს, ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ქვეყნები, რომლებიც აფასებენ ინდივიდუალიზმს, შესაძლოა თავად არ გამოირჩეოდნენ ამ ნიშნით. მაგალითად, ალექს დე ტოკვილი ფიქრობდა, რომ ამერიკელებს „გონებრივი დამოუკიდებლობა“ საკმაოდ მცირე დოზით აქვთ. ამერიკაში ყველაზე დიდ საშიშროებას ის „უმრავლესობის ტირანიის“ გამარჯვებაში ხედავდა. საინტერესო იქნებოდა ამ კონტრარგუმენტის ჰოფსტიდისეული ახსნა მოგვესმინა.

**ირინე ბახტაძე**
*პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი*

# საასპირანტო განათლება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოში

წინამდებარე ნაშრომის ამოცანაა წარმოვაჩინოთ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა – სამეცნიერო, პროფესიონალური და სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადება საქართველოში საასპირანტო განათლების ფარგლებში, ამავე დროს, მოკლედ მიმოვიხილოთ აშშ-ში სადოქტორო ხარისხის მოსაპოვებელი სასწავლო პროგრამები.

საქართველოში განათლების რეფორმამ მეტ-ნაკლებად მისი თითქმის ყველა რგოლი მოიცვა – სკოლამდელი აღზრდიდან – უმაღლეს განათლებამდე. იგი ჯერჯერობით არ შეხებია საასპირანტო განათლებას, რომელიც დღემდე ფუნქციონირებს საბჭოთა კავშირის პერიოდში შექმნილი დებულების ფარგლებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1980–85 წლებთან შედარებით ამ სფეროში განსაკუთრებით თვალსაჩინოა უკუსვლა: მკვეთრად დაეცა განათლების ხარისხი, კიდევ უფრო გაღარიბდა სასწავლო გეგმა-პროგრამები. შეიძლება ითქვას, რომ იგი დღეს ვერ პასუხობს საერთაშორისო სტანდარტებს და მომავალში სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის სამეცნიერო ხარისხების ნოსტრიფიკაციას. სწორედ ამ სფეროში ვაწყდებით სერიოზულ შეუსაბამობას ამერიკისა და ევროპის სისტემებთან; მხედველობაში მაქვს ხარისხების მოპოვების ორსაფეხურიანი სისტემა – I – საკანდიდატო და II სადოქტორო, რაც ბოლო ხანებში სერიოზული დისკუსიის საგნად იქცა. ხშირად ისმის კითხვა – საჭიროა თუ არა შევინარჩუნოთ იგი უცვლელად. ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა ამ რთულ კითხვაზე დღევანდელობით თითქმის შეუძლებელია, რადგან ამ საკითხის კვლევა. და არც მისი ფართო განხილვა ჯერ არ დაწყებულა. აუცილებელ და გადაუდებელ ამოცანად მიგვაჩნია სამეცნიერო ხარისხების ამჟამად არსებული სისტემის ღრმა ანალიზი. უნდა გაირკვეს, თუ რა ამოცანებს უსახავს დღეს სახელმწიფო ამ „ინსტიტუტს", ხოლო შემდგომ შემუშავდეს სახელმწიფო პოლიტიკა, მიღებულ იქნეს კანონი აღნიშნულ საკითხზე – დაიწყოს არსებული სტრუქტურის ძირეული გარდაქმნა. დარწმუნებული ვართ, უმაღლესი განათლების სფეროში დაწყებული რეფორმა, რომელიც ორსაფეხურიან (ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის) განათლების სისტემაზე გადასვლას გულისხმობს, დააჩქარებს ამ პროცესს. სამაგისტრო გეგმა-პროგრამების შემუშავება აუცილებელი პირობაა საასპირანტო განათლებაში ძირეული ცვლილებების განხორციელებისათვის.

ამჟამად, ჩვენს ქვეყანას თითქმის ფორსმაჟორულ ვითარებაში უხდება გადაჭრა იმ ურთულესი საკითხებისა, რომელსაც სხვა ქვეყნებმა ათეულობით წლები მოანდომეს. იგივე შეიძლება ითქვას სამეცნიერო კადრების მომზადების სისტემის შეცვლაზე, რადგან ნებისმიერი სამეცნიერო ნაშრომი უკვე მოძველებული აღმოჩნდება დღეს, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით, თუ

მასში არ აისახა კონკრეტული საკითხის კვლევის თანამედროვე დონე მსოფლიო მასშტაბით.

სტატიაში შევეხებით მხოლოდ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოპოვების ერთ–ერთ საშუალებას – ასპირანტურას. როგორ მოვიაზრებთ ასპირანტურას, რა მიზნებს და ამოცანებს ვაყენებთ მის წინაშე ან რა რეფორმები უნდა გატარდეს ამ მიმართულებით. ამჯერად შემოვიფარგლებით მხოლოდ მათი ჩამოთვლით. უფრო დეტალურად განვიხილავთ აშშ–ის უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო–სასწავლო ინსტიტუტების სადოქტორო კურიკულუმს, ისიც მხოლოდ ერთ – უმაღლესი განათლების სფეროში.

ა. უპირველეს ყოვლისა ვთვლით, რომ უნდა მოხდეს საასპირანტო მოთხოვნების ინტეგრაცია დარგების მიხედვით, ე.წ. „საკანდიდატო მინიმუმი", რომელიც ამჟამად მხოლოდ სამი საგნით შემოიფარგლება და ერთნაირად სავალდებულოა ყველასათვის, უნდა შეიცვალოს ძლიერი თეორიული და პრაქტიკული სასწავლო კურსებისაგან შედგენილი კურიკულუმით დარგებისა და სპეციალობების მოთხოვნებიდან გამომდინარე.

ბ. საასპირანტო განათლებას მოვიაზრებთ როგორც უწყვეტი განათლების ნაწილს, რასაც აგრეთვე მივყავართ სასწავლო თეორიული კურსის გაძლიერებისაკენ. აქცენტი არჩეული სამეცნიერო საკითხის სიღრმისეული კვლევიდან გამომდინარე, შეიძლება გადატანილ იქნეს შემდგომ პროფესიულ განათლებაზე. ეს, ცხადია, შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ დასწრებული ასპირანტურის ფარგლებში.

გ. დღეს, როდესაც კვალიფიკაციის ამაღლებისა და სპეციალისტთა მომზადების ინსტიტუტები აღარ ფინანსდება სახელმწიფოს მიერ და შესაბამისად ვეღარ ფუნქციონირებენ ეფექტურად, ასპირანტურას ნაწილობრივ შეგვიძლია დავაკისროთ ეს ფუნქციაც; ეს ნიშნავს, რომ იმ პირებს, რომელთაც სურთ შეიცვალონ პროფესია,გადამზადდნენ მონათესავე,მომიჯნავე დისციპლინაში (რაც სრულიად ბუნებრივია ახალ – საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში მყოფი ქვეყნისათვის) და მოერგონ საბაზრო მოთხოვნებს, შესაძლებლობა მიეცემათ ეს ამოცანა გადაჭრან ასპირანტურაში სწავლის გაგრძელებით, რომელიც შესთავაზებს მათთვის საინტერესო სასწავლო კურსს და საბოლოოდ გასცემს კურსის დამთავრების სერტიფიკატს ან დიპლომს,სადაც აღნიშნული იქნება ყველა ჩაბარებული თეორიული საგანი, შესრულებული პრაქტიკული სამუშაო და საკურსო ნაშრომი.

დ. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენ ასპირანტურას მოვიაზრებთ, როგორც უმაღლესის შემდგომ განათლების ერთ–ერთ ძლიერ რგოლს, ვუწოდებთ მას საასპირანტო განათლებას და ორ ძირითად მიმართულებას გამოვყოფთ – სასწავლო თეორიულს და სამეცნიერო კვლევითს. ასპირანტი ინტერნატურას გაივლის მისთვის საინტერესო სფეროში, შესაბამის ინსტიტუტში.

ე. სასწავლო დაწესებულების ასპირანტურა, მჭიდრო კავშირს ამყარებს დარგის შესაბამის კვლევით–სამეცნიერო ინსტიტუტთან, საწარმოსთან, საცდელ სადგურთან. აქ ასპირანტი გადის პრაქტიკას, სადაც მას ეძლევა შესაძლებლობა დანერგოს სიახლე.

ამგვარი მრავალფეროვანი სასწავლო გეგმა–პროგრამების შემუშავება უაღრესად რთული, შრომატევადი, ძვირადღირებული და გრძელი პროცესია. პრაქტიკულად მის განხორციელებას შეძლებს მხოლოდ ის ძლიერი უნივერსიტეტები,

ფაკულტეტები, სამეცნიერო–კვლევითი და სასწავლო დაწესებულებები, რომლებმაც უკვე შეიმუშავეს სამაგისტრო პროგრამები, აქეთ ძლიერი კათედრები, ფინანსური მხარდაჭერა, სათანადო ტექნიკური აღჭურვილობა, მჭიდრო კავშირები საზღვარგარეთის წამყვან ინსტიტუტებთან.

აქამდე ჩვენ ვსაუბრობდით მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოპოვების ერთ–ერთ საშუალებაზე–ასპირანტურაზე. რაც შეეხება მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოპოვებას, ამისათვის ყოფილ საბჭოთა კავშირის სივრცეში არსებობდა დოქტურანტურა, რომელიც დღეს საერთოდ აღარ არის, ფაქტობრივად, აქ იჩენს თავს ის დიდი სხვაობა, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. კვლავ ისმის კითხვა, რომელი ხარისხი შეესაბამება აშშ-ის დოქტორის ხარისხს (PH.D), რომელიც, სხვათაშორის, არ არის ერთნაირი, ყველა დარგში მიღებული ხარისხისათვის (მაგალითად, განათლების დარგში გვაქვს ორი სახის დოქტორის ხარისხი: „განათლების დოქტორი (Ed.D) და ფილოსოფიის დოქტორი (Ph.D).

ამ საკითხს რომ ნაწილობრივ მაინც მოვფინოთ ნათელი, განვიხილავთ აშშ–ის ჯორჯიის ათენის უმაღლესი განათლების ინსტიტუტის სადოქტორო გეგმა–პროგრამას (კერიკულუმს) და იმ მოთხოვნებს, რომელსაც სამეცნიერო ხარისხის მაძიებელს უყენებს იგი. მაგრამ იმ კურიკულუმის მიმოხილვაც ვერ შეგვიქმნის სრულფასოვან წარმოდგენას, რადგან აპლიკანტს დამთავრებული უნდა ჰქონდეს მაგისტრატურა (საშუალოდ 100 კრედიტიანი სასწავლო კურსი). აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მხოლოდ განათლების ფაკულტეტი აშშ–ში სთავაზობს სამაგისტრო პროგრამას 45 სპეციალობაში, ხოლო თითოეული სამაგისტრო პროგრამა, თავის მხრივ, შედგება დაახლოებით 10–დან 15–მდე სასწავლო დისციპლინისაგან (ინგლისში მათ „მოდულებს“ უწოდებენ), ამდენად ჯამში სასწავლო კურსების (თითოეული 2 ან 3 კრედიტიანია) რაოდენობა მხოლოდ განათლების სფეროში 400–მდე აღწევს.

2000 წლის იანვრიდან–მაისამდე ვიმყოფებოდი სახელმწიფო პროგრამით აშშ-ი, ჯორჯიის შტატის ათენის უნივერსიტეტში, სადაც საშუალება მომეცა გავცნობოდი „უმაღლესი განათლების ინსტიტუტის“ მრავალმხრივ მოღვაწეობას, მის მიზნებსა და ამოცანებს. ინსტიტუტი, ძირითადად, ამზადებს მაღალპროფესიულ მენეჯერებსა და ადმინისტრატორებს კოლეჯების, უნივერსიტეტებისა და სხვა საგანმანათლებლო ობიექტებისათვის. ამ მიზნით იგი აწარმოებს კვლევებს, აწყობს ტრეინინგებსა და კონფერენციებს, ქმნის ორიგინალურ სასწავლო პროექტებსა და პროგრამებს; ინსტიტუტს აქვს დოქტორანტურა, იგი მჭიდროდ თანამშრომლობს უნივერსიტეტის „განათლების კოლეჯთან“, უწყვეტი განათლების ცენტრთან და სხვა ინსტიტუტებთან. 30 წლის მანძილზე ინსტიტუტმა დაახლოებით 100 უმაღლესი განათლების სპეციალობის მეცნიერებათა დოქტორი მოამზადა.

დოქტორანტურაში შემსვლელს უნდა ჰქონდეს მაგისტრის ხარისხი, უნივერსიტეტსა ან უ/გ სხვა ინსტიტუტში მუშაობის, სწავლების სათანადო სტაჟი, და ნათლად უნდა ჰქონდეს გამოკვეთილი მომავალი სამეცნიერო შრომის მიზნები და ამოცანები. ინსტიტუტი ყოველგვარ დახმარებას უწევს თავის სტუდენტებს: უნიშნავს ხელმძღვანელს (ცხადია, სტუდენტის სურვილის გათვალისწინებით), ეხმარება მომავალი საკვალიფიკაციო ნაშრომის მიზნების ნათლად ჩამოყალიბებასა და მათ წინაშე დასმული ამოცანების ეფექტურად გადაჭრაში, რაც გამოიხატება აპლიკანტისათვის ორიგინალური სასწავლო კურსების მომზადებაშიც. გარდა აუცილებელი სასწავლო პროგრამებისა, ამით საშუალებას იძლევა სწორედ ინსტიტუტის უაღრესად მაღალი კლასის პროფესურა, აგრეთვე სხვადასხვა

პროექტების განხორციელებისათვის შექმნილი პროგრამები, რომლებიც წლების მანძილზე მუშავდება ინსტიტუტში.

სადოქტორო პროგრამის მომავალი აპლიკანტი განსახილველად წარადგენს მის მიერ შერჩეულ სასწავლო კურიკულუმს, რომლის ერთგვარი კორექტირების საშუალებაც, ცხადია, არსებობს და რომელიც ნაწილობრივ ნაკარნახევია ინსტიტუტის მიერ დადგენილი მოთხოვნებით. ეს არის დოქტორანტურის თეორიული საგნები, რომელიც 4 ბლოკისაგან შედგება.

I ბლოკი – 7 სავალდებულო საგნისაგან შემდგარი სასწავლო–თეორიული კურსი:

1. ამერიკის უმაღლესი განათლების ისტორია; 2. კანონი და უმაღლესი განათლება; 3. უმაღლესი განათლების დაფინანსება; 4. აკადემიური პროგრამები უმაღლეს განათლებაში; 5. უმაღლესი განათლების მეთოდოლოგია; 6. უ/გ ორგანიზაცია და მართვა; 7. უ/გ ადმინისტრირება და ხელმძღვანელობა;

II ბლოკი – 3 საგნისაგან შემდგარი კურსი, რომელიც სამეცნიერო კვლევისათვის აუცილებელ უნარ–ჩვევებს ანვითარებს: 1. კვლევის მეთოდები; 2. შეფასების სისტემა უ/განათლებაში; 3. სემინარი უ/განათლების კვლევაში (რაც ჯამში 11 სასწავლო საათს მოიცავს);

III ბლოკი – სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობა: 1. სადოქტორო დისერტაციის კვლევის მეთოდიკა; 2. სადოქტორო დისერტაცია (სულ 10 საათი);

IV ბლოკი – არჩევითი კურსები: ინსტიტუტი სთავაზობს 10 სასწავლო კურსს, რომელთაგან დისერტანტმა უნდა შეარჩიოს სულ მცირე 3 კურსი, რომელიც აგრეთვე ჯამში შეადგენს 12 საათს.

თითოეულ საგანში დისერტანტმა უნდა წარადგინოს წერილობითი ნაშრომი და ჩააბაროს ზეპირი ან წერითი გამოცდა. წერით ნამუშევრებს აფასებს 2 პროფესორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, რომელიც შერჩეულია ინსტიტუტის მიერ.

გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში სპეციალური კომისია იხილავს და ამტკიცებს მომავალი საკვალიფიკაციო ნაშრომის პროექტს. სადოქტოროზე მუშაობა წარმოებს ძირითადად ინსტიტუტის ბაზაზე. დასრულებული ნაშრომი განსახილველად კვლავ ურიგდება სამეცნიერო ხელმძღვანელთა საბჭოს წევრებს, რომლებიც იხილავენ და საჭიროების შემთხვევაში სათანადო ცვლილებების, შესწორებების შეტანას სთავაზობენ დისერტანტს. დისერტაციის დაცვა წარმოებს ზეპირად, დაცვა ტარდება საზეიმო ვითარებაში, ძირითადად, საგაზაფხულო სემესტრის ბოლოს – აპრილის პირველ კვირაში.

უფრო მეტ ძალისხმევას მოითხოვს „ფილოსოფიის დოქტორის" (Ph.D) ხარისხის მოპოვება, ვიდრე „განათლების დოქტორის" ხარისხი (Ed.D), მაგრამ ორივე შემთხვევაში ერთ სემესტრში ასაღები კრედიტების რიცხვი 12 ან 15–მდეა, რაც მეტად დაძაბულ შრომას მოითხოვს. ლექციები ხშირად ტარდება დღის მეორე ნახევარში, რათა ყველასათვის ხელმისაწვდომი იყოს (სტუდენტთა უმრავლესობა მუშაობს). ჯამში, მინიმალური მოთხოვნა ხარისხის მოსაპოვებლად არის 62 კრედიტი, თუმცა, ხშირად აჭარბებს კიდეც ამ რაოდენობას. არის სტუდენტების კატეგორია, რომელიც თავიდანვე არ აკეთებს განაცხადს სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობის შესახებ ან ვერ დააკმაყოფილა მის წინაშე წაყენებული მოთხოვნები და არ ჩაირიცხა დოქტორანტურაში. ასეთ შემთხვევაში სტუდენტი მხოლოდ თეორიულ საგნებს სწავლობს, აბარებს გამოცდებს, მაგრამ არ მუშაობს სადოქტორო

ნაშრომზე, შესაბამისად იღებს მხოლოდ სერთიფიკატს ან დიპლომს სადოქტორო კურსის დამთავრების შესახებ.

განხილული მასალა ნათელ წარმოდგენას გვიქმნის, თუ რა დიდია სხვაობა ჩვენს ე.წ. საკანდიდატო მინიმუმსა და აშშ-ის „სადოქტორო მინიმუმს" შორის. ჩვენი სამეცნიერო ხარისხის მაძიებლის მიმართ წაყენებული მოთხოვნები, ვერ უწევს კონკურენციას აშშ-ის სამაგისტრო პროგრამებსაც კი. მაგისტრანტს მოეთხოვება 100–120-კრედიტიანი კურსის შესრულება (კრედიტის რაოდენობა მერყეობს ვიწრო სპეციალობების მიხედვით), არჩეულ საკურსო-სადისერტაციო თემაზე მუშაობა, რომელიც უნდა იყოს 60–100 გვერდამდე და მისი საჯარო დაცვა.

ჩვენი ინსტიტუტების სამაგისტრო საგნები ხშირად შინაარსით, მოცულობით მთლიანად ემთხვევა ბაკალავრიატისას. ახალი პროგრამების დამუშავება სულ რამდენიმე წელია რაც დაიწყო და ათწლეულობით დაძაბული შრომაა საჭირო, სანამ ისინი საბოლოოდ გაუთანაბრდება საერთაშორისო სტანდარტებს.

უკანასკნელი ათი წლის მანძილზე აშშ-ისა და ევროპის განვითარებულ ქვეყნებში არნახული ტემპით გაიზარდა მოთხოვნა მაგისტრატურასა და დოქტორანტურაზე. მთავრობა უდიდესი ინტერესით ადევნებს თვალყურს უმაღლესი განათლების სფეროში მიმდინარე ცვლილებებს. სულ უფრო იზრდება, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო ინვესტიციები, იქმნება მოკლე და გრძელვადიანი პროექტები და საგანმანათლებლო პროგრამები ყველა დონეზე – დაწყებული ფედერალურიდან – დამთავრებული ცალკეული განათლების ობიექტით, იგეგმება და ხორციელდება სპეციალისტებისათვის კვალიფიკაციის ამაღლების მრავალსაფეხურიანი პროგრამები. სამუშაო სემინარების, კონფერენციების რაოდენობა გეომეტრიული სისწრაფით იზრდება, იქმნება უწყვეტი განათლების სისტემები.

ოცდამეერთე საუკუნე პოსტინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბების ეპოქა იქნება. ნებისმიერი რეფორმა უნდა განვიხილოთ როგორც მუდმივი პროცესი, რომელიც არა თუ შექმნილი კრიზისული მდგომარეობით უნდა იყოს ნაკარნახევი, არამედ გათვლილი უნდა იყოს მომავალი სტრატეგიული საკითხების დროული და ეფექტური გადაჭრისათვის.

**მედეა ბუკია**
*თბილისში აშშ-ის საელჩოს თანაშემწე პოლიტიკურ საკითხებში;*
*ი.ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო*
*უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი*

# მედიისა და საზოგადოებრივი აზრის როლი აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ფორმირებაში

ამერიკულ ანალიტიკურ ლიტერატურაში მედიისა და საზოგადოებრივი აზრის ურთიერთმიმართება სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკასთან საკმაოდ არაერთგვაროვნად არის ასახული. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ არსებობს მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებული მიდგომა, რომლის თანახმადაც, როგორც მედიას, ასევე საზოგადოებრივ აზრს საგარეო პოლიტიკის მიმართ, ძირითადად, აქტიური როლი ენიჭება.

ლიტერატურაში საზოგადოებრივი აზრი ძირითადად განიხილება როგორც საგარეო პოლიტიკის პრაგმატული შეფასების საშუალება. თავის მხრივ, აქაც ორი თვალსაზრისი გამოიყოფა. პირველი, ყველაზე გავრცელებული თვალსაზრისით, საზოგადოებრივი აზრი შორს არის საგარეო პოლიტიკის „კვალიფიციური" ანალიზისაგან; თუმცა კი პოლ საბატიერის მტკიცებით, მაინც არსებობს ძლიერი კორელაცია საზოგადოებრივი აზრის *მნიშვნელოვან* ცვლილებებსა და სახელმწიფო პოლიტიკის ზოგად *მიმართულებებს* შორის. ამ თვალსაზრისის ფარგლებში საზოგადოების როლი საგარეო პოლიტიკის მიმართ დახასიათებულია, როგორც შეფასებების ზოგადი კრიტერიუმების ჩამოყალიბება არსებული ღირებულებებისა თუ მოლოდინების სახით. მეორე თვალსაზრისით, საზოგადოებრივი აზრის რეაგირება ხელისუფლების საგარეო პოლიტიკის კურსზე თანმიმდევრული და სტრუქტურირებულია, თუმცა საზოგადოებრივ აზრს არ ენიჭება ზემოქმედების რაიმე აქტიური როლი.

არსებული თვალსაზრისების გათვალისწინებით, ჩვენ ამავე დროს მივიჩნევთ, რომ საზოგადოებრივ აზრს გააჩნია საგარეო პოლიტიკაზე აქტიური ზემოქმედების სოციალურ-იდეოლოგიური ფუნქციაც,ვინაიდან დემოკრატიული საზოგადოების პირობებში, საგარეო პოლიტიკის „პრაგმატული შეფასება" სწორედ რომ წარმოადგენს „პრაგმატულ" იარაღს პოლიტიკური ისტებლიშმენტის კურსის კორექციისათვის.

ლიტერატურაში განხილულია საზოგადოებრივი აზრის ფორმირების ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ერის ისტორიული გამოცდილება, ერის კულტურულ-იდეოლოგიური თვისებები და სხვა. მაშინ როდესაც აღნიშნული ფაქტორები უეჭველად ქმნის ზოგად ფონს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისათვის, მიგვაჩნია, რომ მიმდინარე პოლიტიკურ კონტექსტში, ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორს მედია წარმოადგენს. არსებობს გამოკვლევები იმის თაობაზე, რომ პიროვნების მიერ ე.წ. „პოლიტიკური მესიჯის" აღქმა დიდად არის განპირობებული იმ „ინფორმაციული კონტექსტით," რომელიც მას გააჩნია დროის მოცემულ მონაკვეთში. თუკი დავეყრდნობით აღქმის თეორიის ზოგად პოსტულატებს, შესაძლებელია ასევე მტკიცება, რომ საზოგადოების მიერ „პოლიტიკური მესიჯის" აღქმა და მის მიმართ გარკვეული დამოკიდებულების ფორმირება დამოკიდებულია ორ ფაქტორზე: 1. საზოგადოებაში არსებულ ინტელექტუალურ სტერეოტიპებზე და 2. ამ

სტერეოტიპებზე დაფუძნებულ მოლოდინებზე. ვთვლით, რომ როგორც „ინფორმაციული კონტექსტის" უზრუნველყოფაში,ასევე აღნიშნული სტერეოტიპების და მოლოდინების ფორმირებაში მედიას წამყვანი როლი ენიჭება.

ლიტერატურაში განხილულ მედიის ფუნქციებს შორის გამოვყოფთ შემდეგ ძირითად ფუნქციებს: 1.პოლიტიკოსების „დღის წესრიგის" განსაზღვრა; 2. პოლიტიკოსებისათვის „რეალურ" დროში ინფორმაციის მიწოდება და იმავე საკითხებზე მათი პოზიციის გახმოვანება.

3. გარკვეულ საკითხებზე კერძო ინტერესების, ისევე როგორც ხელისუფლების პოზიციის ასახვა.

აღნიშნულ მრავალასპექტიან ფუნქციებს ჩვენ გავაერთიანებდით ორ ზოგად ფუნქციაში. ეს ფუნქციებია: 1. საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედება და 2. საზოგადოებრივი აზრის გამოხატვა. ანალიზის ჩვენი მიდგომის თანახმად, მედია ასრულებს ერთგვარ შემაკავშირებელ როლს, ერთი მხრივ, საერთაშორისო და სახელმწიფოს შიდა პოლიტიკურ გარემოსა და საზოგადოებრივ აზრს შორის და, მეორე მხრივ, საზოგადოებრივ აზრსა და პოლიტიკურ ისტებლიშმენტს შორის.

შესაბამისად, მედიას და საზოგადოებრივ აზრს ჩვენ განვიხილავთ ერთმანეთთან კორელაციაში, როგორც სახელმწიფოს შიდა პოლიტიკური გარემოს კომპლექსურ იდეოლოგიურ კომპონენტს. მივიჩნევთ, რომ აღნიშნული კომპონენტი, საერთაშორისო გარემოსა და სახელმწიფოს შიდა პოლიტიკური გარემოს სხვა კომპონენტებთან ერთად, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის, როგორც ერთიანი მრავალფაქტორიანი სისტემის ფუნქციონირებას.

საგარეო პოლიტიკის სისტემაზე მედიისა და საზოგადოებრივი აზრის ზემოქმედების აღწერის მიზნით, მედიისა და საზოგადოებრივი აზრის ფუნქციონირებას ჩვენ დავახასიათებთ წყვილი პარამეტრების მიხედვით, რომლებიც რეალურად ასახავს მათი ფოკუსირების ხარისხს საერთაშორისო თუ შიდა პოლიტიკური გარემოს მიმდინარე მოვლენებზე. კერძოდ, საზოგადოებრივი აზრის ფუნქციონირებას დავახასიათებთ წყვილი პარამეტრის — საზოგადოებრივი აზრის „კონსოლიდირება-გაფანტულობის" პარამეტრების მიხედვით. ხოლო მედიის ფუნქციონირებას დავახასიათებთ წყვილი პარამეტრის — „ინტენსიური-სპორადული" გაშუქების პარამეტრების მიხედვით.

ამავე დროს, მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ პარამეტრებს შორის ძლიერი კორელაცია არსებობს. კერძოდ, გარკვეულ მოვლენასთან მიმართებაში, მედიის „ინტენსიური" გაშუქების პარამეტრი უმეტესწილად განაპირობებს საზოგადოებრივი აზრის „კონსოლიდირების" პარამეტრის ამოქმედებას, ხოლო მედიის „სპორადული" გაშუქების პარამეტრი ამავე დროს განაპირობებს საზოგადოებრივი აზრის „გაფანტულობის" პარამეტრის ამოქმედებას. სავარაუდოა, რომ შედარებით უფრო ნაკლები ხარისხით, არსებობს საპირისპირო კორელაციაც საზოგადოებრივ აზრსა და მედიას შორის.

აღნიშნული პარამეტრები დროის ყოველ მოცემულ პერიოდში განსაზღვრავს საგარეო პოლიტიკის სისტემის ოპერირების გარკვეულ ფორმატს, რომელიც, თავის მხრივ, განაპირობებს საგარეო პოლიტიკის კონკრეტული შედეგების ჩამოყალიბებას.

აღწერილი მოდელის ილუსტრაციის სახით, ვაჩვენებთ, თუ რა ზეგავლენას ახდენს საზოგადოებრივი აზრისა და ნაბეჭდი მედიის ფუნქციონირება „კონსოლიდირება-გაფანტულობის" და „ინტენსიურობა-სპორადულობის" პარამეტრების მიხედვით აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე საქართველოს

მიმართ. უფრო კონკრეტულად, განეიხილავთ საქართველოს უახლესი ისტორიის უმნიშვნელოვანეს საკითხს — საქართველოს მოძრაობას დამოუკიდებლობისათვის საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდში.

აღნიშნულ საკითხს, როგორც საერთაშორისო გარემოს მოვლენას, ადგილი აქვს აშშ-ის საგარეო პოლიტიკისთვის უაღრესად კრიტიკულ პერიოდში, როდესაც, საბჭოთა მუქარის მოსპობის პირობებში, ირღვევა, ერთი მხრივ, აშშ-ის შიდა პოლიტიკური კონსენსუსის ერთიანი კრიტერიუმები და, მეორე მხრივ, - მედიისა და საზოგადოებრივი აზრის გამაერთიანებელი ორიენტირი - კონცენტრაცია აშშ-ის უსაფრთხოებაზე. ამავე დროს, მოცემულ პერიოდში, მედიისა და საზოგადოებრივი აზრის ფოკუსში ძირითადად ექცევა აშშ-ის შიდა პოლიტიკური გარემოს ისეთი ნეგატიური მოვლენები, როგორიცაა ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპი და საბიუჯეტო და სავაჭრო ბალანსის „ტყუპი" დეფიციტი. ხოლო საერთაშორისო გარემოს მოვლენათა ამსახველი თემები, რომლებიც ძირითადად ფიგურირებს მოცემული პერიოდის მედიაში, თავის მხრივ, საერთაშორისო გარემოს მოუწესრიგებლობასა და არასტაბილურობას წარმოაჩენს. ამგვარი ტენდენციები, ბუნებრივია, არ განაპირობებს საზოგადოებრივი აზრის კონსოლიდირებას საერთაშორისო მოვლენებში აშშ-ის აქტიური მონაწილეობის თაობაზე. ანუ, საგარეო პოლიტიკასთან მიმართებაში, საზოგადოებრივი აზრი ფუნქციონირებს „გაფანტულობის" პარამეტრის მიხედვით.

მიგვაჩნია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი როგორც საერთაშორისო გარემოს კონკრეტული მოვლენა, სწორედ რომ საზოგადოებრივი აზრის „გაფანტულობის" და მედიის „სპორადული" გაშუქების პარამეტრების ჭრილში ექცევა. აღწერილ კონტექსტში, ის სპორადული ინფორმაცია, რომელიც ჩნდება პრესაში ამ საკითხთან დაკავშირებით, ნეგატიური შინაარსისაა და მოიცავს სამ ძირითად თემას: 1.„ნაციონალისტი ლიდერის" ზ.გამსახურდიას დაპირისპირება რუსეთთან. ამ თემის კონტექსტში კერძოდ გაშუქებულია: საქართველოს უარი, მონაწილეობა მიიღოს დსთ-ს ფორმირებაში; და რუსეთის დადანაშაულება საქართველოს შიდა პოლიტიკური და ეთნიკური კონფლიქტების ინსპირირებაში. 2. ზ.გამსახურდიას დაპირისპირება დასავლეთთან. ამ თემის კონტექსტში გაშუქებულია ზ.გამსახურდიას ბრალდება აშშ-ის მიმართ, საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ შეთქმულებაში. 3. დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად „ბრძოლა ქართველებს შორის." ამ თემის ფარგლებში გაშუქებულია ზ.გამსახურდიას ბრძოლა შიდა ოპოზიციასთან.

ამ სამ ძირითად თემას უკავშირდება თანამავალი თემებიც, რომლებიც ასევე საკმაოდ მკაფიოდ არის წარმოდგენილი ამერიკულ პრესაში: ეს თემებია: 1. ზ.გამსახურდიას ავტორიტარული რეჟიმი. თემა, თავის მხრივ, მოიცავს შემდეგ საკითხებს: დიქტატორული მმართველობის ბრალდებები; ბალტიისპირეთის რესპუბლიკების საერთაშორისო აღიარების ფონზე, საქართველოს დემოკრატიის არაადეკვატური განვითარება; შევარდნაძის გაფრთხილება ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში ტოტალიტარიზმის დაბრუნების საფრთხის შესახებ. 2.საქართველოს მოსახლეობის იდეოლოგიური დაპირისპირება. თემა მოიცავს შემდეგ საკითხებს: მოსახლეობის შეშფოთება საქართველოს „ლიბანიზაციის" შესაძლებლობის თაობაზე; ზ.გამსახურდიას იმიჯის გაორება — როგორც დიქტატორის და როგორც ეროვნული გმირისა; გაუცხოება ზ.გამსახურდიას და მის ყოფილ თანამოაზრეებს შორის. 3. საქართველოს მოსახლეობის შიდა ძალისმიერი დაპირისპირება. თემა მოიცავს

შემდეგ საკითხებს: ოპოზიციური გამოსვლების დარბევები; თბილისში სამოქალაქო ომის გაჩაღება; შეტაკებები სამხედრო საბჭოს ძალებსა და ზ.გამსახურდიას მხარდამჭერ ძალებს შორის.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ნეგატიური დატვირთვის მქონე თემები, ექცევა რა მედიის „სპორადული გაშუქების" პარამეტრის ჭრილში, თავის მხრივ, განსაზღვრავს იმ ფორმატს, რომლითაც მიმდინარეობს საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხის აშშ-ის საგარეო პოლიტიკის საკითხად ჩამოყალიბება.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, დროის მოცემული პერიოდისთვის, არ არსებობს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მონაცემები უშუალოდ საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხთან მიმართებაში. თუმცა, როგორც ზემოთ ითქვა, არსებული კორელაცია მედიისა და საზოგადოებრივი აზრის შესაბამის პარამეტრებს შორის იძლევა გარკვეული დასკვნის გაკეთების საშუალებას. თუკი მივიჩნევთ, რომ მედიის „სპორადული გაშუქების" პარამეტრი გარკვეულწილად გულისხმობს აღნიშნულ საკითხზე საზოგადოებრივი აზრის „გაფანტულობის" პარამეტრის ამოქმედებასაც, ხოლო მედიაში ასახული თემების ნეგატიური დატვირთვა გარკვეულწილად გულისხმობს საზოგადოებრივი აზრის შესადარი პოზიციის ფორმირებასაც, შეიძლება დავუშვათ, რომ აშშ -ის საზოგადოების „ინფორმირებული" ნაწილისათვის საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი უკავშირდება ქვეყნის შიდა და გარე დაპირისპირებებს და ეხმიანება ამ პერიოდში ზოგადად არსებულ დილემას ავტორიტარიზმსა და დემოკრატიულად არჩეულ ხელმძღვანელობას შორის.

მიგვაჩნია, რომ საზოგადოებრივი აზრის ამგვარი, თუნდაც ჰიპოთეტური პოზიცია, ექცევა თუ არა საზოგადოებრივი აზრის „გაფანტულობის" პარამეტრის ჭრილში, თავის მხრივ, განსაზღვრავს იმ ფორმატს, რომლითაც მიმდინარეობს საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხის აშშ-ის საგარეო პოლიტიკის საკითხად ჩამოყალიბება.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე მიგვაჩნია, რომ აშშ-ის საგარეო პოლიტიკის სისტემაში საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი დგება, როგორც საკითხი ქვეყნისა, რომელიც რეალურად არ არის მზად ამგვარი მისნისათვის, არც პოლიტიკური ხელმძღვანელობის და არც სამოქალაქო საზოგადოების განვითარების თვალსაზრისით.

მედიისა და საზოგადოებრივი აზრის ზემოქმედებით საგარეო პოლიტიკის ამგვარად ჩამოყალიბებული საკითხი საბოლოოდ იღებს საგარეო პოლიტიკის შედეგის სახეს, რომელსაც, განზოგადებული ფორმით, „ჩაურევლობის" შედეგი შეგვიძლია ვუწოდოთ. უფრო კონკრეტულად:

1. აღნიშნული შედეგი ეწინააღმდეგება აშშ-ის პოლიტიკური ისტებლიშმენტის საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ დეკლარირებულ ე.წ. „ორი მიმართულების" პოლიტიკას (two-track policy), რომელიც, ერთი მხრივ, გულისხმობს თანამშრომლობას მოსკოვის ცენტრალურ მთავრობასთან გლობალური უსაფრთხოების საკიხებზე, ხოლო მეორე მხრივ, - უშუალო ურთიერთქმედებას რესპუბლიკებთან დემოკრატიული განვითარების ხელშესაწყობად. 2. აღნიშნული შედეგი არ ითვალისწინებს აკადემიური წრეების რეკომენდაციებს აშშ-ის ხელისუფლებისადმი, რათა მან პირდაპირი დახმარება გაუწიოს რესპუბლიკებს, ცენტრალურ მთავრობის გვერდის ავლით. 3. აღნიშნული შედეგი უგულებელყოფს კონგრესში გახმოვანებულ მოწოდებებს, განხორციელდეს დიპლომატიური და ეკონომიკური ზეწოლა ცენტრალურ ხელისუფლებაზე, რესპუბლიკებში დამოუკიდებლობის მოძრაობის

წინააღმდეგ რეპრესიული ზომების აღსაკვეთად.

1990 წ. სენატის საკომიტეტო მოსმენაზე ზ. ბჟეზინსკი სვამდა კითხვას, თუ რა უნდა მოემოქმედებინა აშშ-ს, თუკი მოძრაობა დამოუკიდებლობისათვის ისეთ რესპუბლიკებში, როგორიცაა: საქართველო ან უკრაინა, წინააღმდეგობაში მოვიდოდა გორბაჩოვის პოლიტიკასთან.

როგორც სჩანს, რეალისტური პასუხი ამ შეკითხვაზე დამოუკიდებლობის მოძრაობებისაგან განდგომას გულისხმობდა.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Sabatier, Paul. Public Policy: Toward Better Theories of the Policy Process, Comparative Politics. Policy, and International Relations. North-Western University Press, Evanston, Illinois, 1991. p.271.
2. Gerner. Deborah J. Foreign Policy Analysis: Renaissance, Routine, or Rubbish?, Comparative Politics, Policy, and International Relations. North-Western University Press. Evanston, Illinois, 1991, p.144.
3. Holsti, Ole R., Public Opinion and American Foreign Policy, University of Michigan, 1997.
4. Crigler, Ann N. The Psychology of Political Communication, The University of Michigan, 1996
5. Strobel. Warren P., The Media: Influencing Foreign Policy in the Information Age, The Making of the U.S. Foreign Policy, Vol. 5, Issue 1, March 2000, pp.38-42.
6. Pickering. Thomas R., The Changing Dynamics of U.S. Foreign Policy-Making, The Making of the U.S. Foreign Policy. Vol. 5, Issue 1, March 2000, pp. 5- 10.
7. 1989 წელს ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მონაცემებით, მოსახლეობის 50%-ს მიაჩნდა, რომ აშშ-ის საგარეო დახმარება ფედერალური ბიუჯეტის ერთ-ერთ უდიდეს ხარჯვით მუხლს წარმოადგენდა. ხოლო 1992 წელს ამერიკელთა უმრავლესობა მიიჩნევდა, რომ ქვეყნის მმართველობას ნაკლებად უნდა ეფიქრა „ახალ მსოფლიო წესრიგზე“ და მეტი ყურადღება დაეთმო ქვეყნის შიდა ეკონომიკური პრობლემებისადმი.
8. განხილულია 1991-1992 წლების პუბლიკაციები შემდეგ გაზეთებში: Wall Street Journal, Atlanta Constitution, Chicago Tribune, New York Times Current Events Edition, Washington Post, USA Today.
9. Zbignev Bzezinski, Soviet Disunion: Creating a Nationalities Policy , Hearing Before the Subcommittee on European Affairs of the Committee on Foreign Relations, United States Senate, July 24, 1990, Government Printing Office, p.3.

**ნოდარ ბურკაძე**
*საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის მეორე მდივანი*

# ამერიკის შეერთებული შტატების პირველი პრეზიდენტები და პრესა

1789 წლის 30 აპრილს ჯორჯ ვაშინგტონმა, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების პირველმა პრეზიდენტმა, ნიუ-იორკის ფედერალური დარბაზის აივანზე დადო ფიცი. ამ დროიდან აშშ-ში იწყება საპრეზიდენტო ხელისუფლების ფორმირება და ამასთან ერთად აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ინსტიტუტების ჩამოყალიბება, რომელთაც მოუწევთ თავიანთი ფუნქციის, როლის და გავლენის დამკვიდრება საზოგადოებაში. აღსანიშნავია, რომ ამ დროისათვის პრესას, თავისი არსებობის თითქმის ასწლიან მანძილზე, უკვე მოპოვებული ჰქონდა ღირსეული ადგილი ახლად შექმნილ დამოუკიდებელ სახელმწიფოში.

პრესამ ამერიკაში ფეხის მოკიდება ჯერ კიდევ შორეულ მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლოს დაიწყო. მისი განვითარების საწყის ეტაპზე მას სათავეში ედგნენ ისეთი გამოჩენილი ადამიანები, როგორებიც იყვნენ უილიამ ბრედფორდი და ბენჯამინ ფრანკლინი. პრესის სწრაფ პოპულარიზაციას და გაფართოებას ხელს უწყობდა ის ფაქტორი, რომ არ არსებობდა ხელისშემშლელი პირობები: არ იყო მიღებული რაიმე აკრძალვა. ასევე არ არსებობდა ამ სფეროში გადასახადები, ან მოსაკრებელი, რაც იძლეოდა პრესის ინტენსიური განვითარების ბრწყინვალე საშუალებას.

არაფრით შეზღუდული პრესა, კოლონიურ პერიოდში 37-მდე პერიოდული გაზეთის გამოშვებას ახერხებდა, ხოლო 1776–1789 წლებში ამერიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მათი რიცხვი 45-დან 90-მდე გაიზარდა, ხოლო 1800–1810 წლებში უკვე 230-ს ითვლიდა. მართალია, გაზეთების ტირაჟი და გავრცელების არეალი შეზღუდული იყო, მაგრამ ისინი მაინც ახერხებდნენ დაეკმაყოფილებინათ საზოგადოების სხვადასხვა ფენის საინფორმაციო, თუ პოლიტიკური ინტერესები.

მას შემდეგ, რაც ამერიკამ კოლონიური ტვირთი მოიშორა და დამოუკიდებელი საპრეზიდენტო ხელისუფლება შექმნა, პრესამაც უმალ იცვალა პირი და საკუთარი პრეზიდენტების კრიტიკა დაიწყო. ეს კრიტიკა ხშირად დაუნდობელი და ულმობელი იყო მათ მიმართ, ვინც თითქოს ამ იარაღს თავად კარგად ფლობდა და იყენებდა მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში.

საინტერესო იყო ის საგაზეთო ბრძოლა, რომელიც წარიმართა ჯორჯ ვაშინგტონსა და თომას ჯეფერსონს შორის. ყველაფერი დაიწყო იმით, რომ დამოუკიდებელი ამერიკის ისტორიის ერთ-ერთ პირველ გაზეთს წარმოადგენდა „Newspaper of The United States“, რომელიც დაფუძნდა ნიუ-იორკში 1789 წელს. მას ჟონ ფენნო რედაქტორობდა, რომელიც პრეზიდენტისა და მისი ფინანსთა მინისტრის ალექსანდრ ჰამილტონის მითითებით მოქმედებდა. ცოტა მოგვიანებით კი თომას ჯეფერსონმა ჯეიმს მედისონის უშუალო მხარდაჭერით ჩამოაყალიბა გაზეთი „National Newspaper“, რომლის რედაქტორი გახდა ფ. ფრენო. ზუსტად ამ ორი გაზეთის ფურცლებზე გაიმართა დაპირისპირება, რომელიც არსებობდა

ფედერალისტებსა და ანტიფედერალისტებს (რესპუბლიკელებს) შორის და პირადად ჯორჯ ვაშინგტონსა და თომას ჯეფერსონს შორის. ამ დროინდელი პრესის გაანალიზების შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ საგაზეთო კინკლაობის წამომწყები თავად პრეზიდენტი იყო. თუმცა ჯორჯ ვაშინგტონმა საკმაოდ იღბლიანად განვლო თავისი პრეზიდენტობის პირველი ოთხი წელი, როდესაც გაზეთების უმეტესობა ერის მამად, დამოუკიდებელი ქვეყნის იმპერიის აღმშენებლად და სხვა სასიამოვნო ქათინაურებით ამკობდა მას. სიტუაცია უმალ შეიცვალა 1793 წლიდან, მას შემდეგ, რაც იგი პრეზიდენტობის მეორე ვადით იქნა არჩეული. თავდასხმები პრეზიდენტის ავტორიტეტზე გამუდმებით ხდებოდა. ეჭვქვეშ დგებოდა მისი ინტელექტუალური და მორალური პრინციპები. ჯორჯ ვაშინგტონს, პრესიდან მიღებული შეურაცხყოფებით გაღიზიანებულს, მინისტრთა კაბინეტის სხდომაც კი შეეძლო შეეწყვიტა უცაბედად, თუმცა თავის გაღიზიანებას ის მაინც მარტო ახლო სამეგობრო წრეს უმხელდა. ამ პერიოდში თომას ჯეფერსონი მოქმედ პრეზიდენტს არ უტოვებდა არანაირ შანსს, რომ გესლიანად და სავსე ბოღმით არ მიემართა მისთვის საგაზეთო ფურცლებიდან. შეიძლება ითქვას რომ, გააქტიურდა და ჩამოყალიბდა პოლიტიკური პრესა, რომელიც რეალურ ზეგავლენას ახდენდა სახელმწიფო ინსტიტუტების მოქმედებასა და საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე.

თავდასხმები პრეზიდენტზე გამწვავდა მას შემდეგ, რაც სახელმწიფო მდივნის პოსტიდან გადადგა თ. ჯეფერსონი. მისი გადადგომა გამოწვეული იყო იმ დაპირისპირებით, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ უკანასკნელსა და პრეზიდენტის ფინანსთა მინისტრს ალექსანდრე ჰამილტონს შორის. განხეთქილების მთავარი ქვაკუთხედი იყო შეხედულების სხვადასხვაობა ისეთ საკითხებზე, როგორიც ამერიკის ურთიერთობების განტკიცებაა საფრანგეთთან, თუ ინგლისთან. თომას ჯეფერსონი ემხრობოდა იმ აზრს, რომ საჭირო იყო ინგლისთან ურთიერთობა დაებალანსებინათ საფრანგეთთან თანამშრომლობის გაღრმავების საფუძველზე.

ოპოზიციური გაზეთების ლიდერებმა ჯ.ვაშინგტონის წინააღმდეგ საბოლოოდ 1797 წლის 4 მარტს პრეზიდენტის თანამდებობიდან წასვლის დღეს გაილაშქრეს. მათ გადამდგარმა პრეზიდენტმა უწოდა „დანაშაული საზოგადოებრივი მორალის წინააღმდეგ“. ჯ.ვაშინგტონმა გადადგომის შემდეგ უარი თქვა ყველა გაზეთის ხელმოწერაზე.

აშშ-ის მეორე პრეზიდენტი ჯონ ადამს კვინსი იყო. რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე მას „შემთხვევით პრეზიდენტს“ უწოდებდნენ, ვინაიდან მან მხოლოდ სამი ხმით მოუგო არჩევნები თავის უშუალო კონკურენტს თ.ჯეფერსონს. იგი იყო მომხრე და უშუალო შემოქმედი კანონისა, რომელიც 1798 წლის ივლისში მიიღეს. ამ კანონით გაზეთის რედაქტორები ისჯებოდნენ სახელმწიფოს წინააღმდეგ წაქეზებისა და ამბოხებისაკენ მოწოდებისათვის ორი ათასი დოლარით, ან ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთით. ახალი კანონის შესაბამისად რესპუბლიკური გაზეთების 24 რედაქტორი იქნა დაპატიმრებული, მაგრამ საგრძნობი შედეგი ამ ქმედებას პრეზიდენტისათვის არ მოუტანია. დაპატიმრებულთა შორის აღმოჩნდა წარმომადგენლობითი პალატის წევრი მეტიუ ლაიონი, რომელსაც საკუთარი გამომცემლობა ჰქონდა. ის ციხეში ყოფნისას იქნა არჩეული კონგრესში და ფედერალისტებისგან წამებულის იმიჯიც დაიმკვიდრა.

ჯონ ადამსის მდგომარეობას ამწვავებდა ის, რომ რესპუბლიკური ოპოზიციური გაზეთების უკან ყოველთვის იკითხებოდა ვიცე პრეზიდენტის თ. ჯეფერსონის ხელწერა. ეს უკანასკნელი მუდმივ ზეწოლას ახდენდა ამერიკის პრეზიდენტზე. ეს

იყო დრო, როცა ყვაოდა პოლიტიკური პრესა. ჯონ ადამსის ოთხწლიანი მმართველობის შემდეგ იგი გადარჩეული იქნა, ხოლო ამის მიზეზად 1809 წელს მან დაასახელა ის პიროვნებები, რომლებიც მას პრესის საშუალებით უმწარებდნენ ცხოვრებას. ესენია: ფრენსო, მკო, ნელა ჩოჩა, ენდრიუ ბრანი, ალექსანდრე ჰამილტონი და სხვა. საინტერესოა, რომ მათ შორის არ აღმოჩნდა ამერიკის მესამე პრეზიდენტი თ. ჯეფერსონი. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ადამსი კანონმორჩილი პიროვნება იყო გასაგებია, თუ რატომ არ შეეხო იგი მოქმედი პრეზიდენტის ავტორიტეტს.

საინტერესოა, რომ დაუნდობელი მტრები ჯონ ადამსი და თომას ჯეფერსონი თავიანთი საპრეზიდენტო ვადის გასვლის შემდეგ ერთმანეთთან გარკვეულ მეგობრულ მიმოწერასაც კი აწარმოებდნენ, რომელიც მათ ცხოვრების ბოლომდე არ შეუწყვეტიათ, ანუ 1826 წლის 4 ივლისამდე, როდესაც ამერიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების 50 წლისთავზე ორივე გარდაიცვალა. სიცოცხლის ბოლოს ადამსი წერს მწუხარებით მარტო ერთზე, რომ ის კვდება, ჯეფერსონი კი ცოცხალია. ადამსმა არ იცოდა, რომ ამერიკის უდიდესი პიროვნება მესამე პრეზიდენტი სულ რამდენიმე საათის მკვდარი იყო.

მაგრამ ამ მოვლენებამდე იყო 1801 წლის 4 მარტი, როდესაც თომას ჯეფერსონი ამერიკის პირველი პრეზიდენტის პატივსაცემად დარქმეულ დედაქალაქში, ჯერ კიდევ დაუმთავრებელ თეთრ სახლში უნდა შესულიყო. უკან დარჩა წინასაარჩევნო ბატალიები, რომლის დროსაც საგაზეთო ბრძოლამ პიკს მიაღწია.

პრეზიდენტმა თ. ჯეფერსონმა, უპირველეს ყოვლისა, გააუქმა ადამსის მიღებული კანონი წაქეზებისა და ამბოხების მოწოდებისთვის, რომლის მოქმედების ვადა ზუსტად იმავე წლის მარტში გადიოდა. მიუხედავად ამისა, პრეზიდენტი სულაც არ იყო გულგრილი მის მიმართ პრესის ფურცლებზე მიმდინარე თავდასხმებისა, რაც ხშირად შეურაცხმყოფელ და მიუღებელ ფორმებში გამოიხატებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტმა პრესის ავტორიტეტის ამაღლების მიზნით ხელი შეუწყო კონკრეტული ცილისმწამებელი რედაქტორების წინააღმდეგ სასამართლო პროცესების გამართვას, მას მაინც ძალიან გაუჭირდა იმ ოპოზიციური გაზეთების თავდასხმის ატანა, რომელთაც დაემატა კიდევ რესპუბლიკელების მხარდამჭერი გაზეთები, რომელთა რედაქტორები იმედოვნებდნენ თავიანთი ლოიალობის საპასუხოდ მიეღოთ შესაბამისი თანამდებობები მთავრობაში. ხოლო თ. ჯეფერსონის გაპრეზიდენტების შედეგ ეს იმედები განუხორციელებელი დარჩა.

თომას ჯეფერსონის პრეზიდენტობის რვაწლიანი პერიოდის დროს საგაზეთო ბანაკი ორ ნაწილად იქნა გაყოფილი, რომელთაგან ერთი აქებდა პრეზიდენტს, მეორე კი აძაგებდა. პრეზიდენტობის მეორე ვადის დროს თომას ჯეფერსონის მიმართ პრესა იმდენად დაუნდობელი გამოდგა, რომ თავისუფლების დეკლარაციის ავტორს კიდევ ერთი ფაქტის კონსტატაცია მოუხდა „ჩვენი მეგაზეთეები სულდგმულობენ თავიანთი მსხვერპლის სასოწარკვეთილებით, ისე როგორც მგლები ბატკნის სისხლით“.

თომას ჯეფერსონი პრეზიდენტობის შემდეგ დაბრუნდა თავის საყვარელ შტატ ვირჯინიაში და გახდა „მონტიჩელოს გენიოსი“, როგორც მას ჯონ ადამსმა უწოდა და წინამორბედი პრეზიდენტების მსგავსად გაზეთების კითხვას დაანება თავი.

**ბელა გომელაური**
*გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი*

# სწავლების ამერიკული თეორია და გერმანული დიდაქტიკა

***ამერიკული სწავლების თეორია სათავეს პრაგმატიზმის თეორიიდან იღებს.*** საქართველოში უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში დიდაქტიკა პედაგოგიკის ერთ-ერთ განყოფილებად განიხილებოდა, ხოლო თვით დიდაქტიკასა და სწავლების თეორიას შორის ტოლობის ნიშანს სვამდნენ. ამ საკითხში ამერიკისა და ევროპის ქვეყნების ტრადიცია პოსტკომუნისტური ქვეყნების ტრადიციისაგან ძალზე განსხვავებულია. ამ განსხვავებისა და, რაც მთავარია, განვითარებული ქვეყნების დიდაქტიკის, სწავლების თეორიისა და კურიკულუმის დიზაინის თანამედროვე კონცეფციების ცოდნის გარეშე მასწავლებელთა საბაზო-საუნივერსიტეტო მომზადებისა და პროფესიული განვითარების ეროვნული სისტემის რეფორმის განხორციელება შეუძლებელია. სტატიაში განვიხილავთ პერტი კანსანენის, სტეფან ჰოპმანისა და სხვა ევროამერიკელი მკვლევრების შეხედულებებს გერმანული დიდაქტიკისა და სწავლების ამერიკული თეორიის შესახებ.

გერმანულ დიდაქტიკას მე-17 საუკუნის დასაწყისში ჩაეყარა საფუძველი. მისი ფუძემდებლებია ვოლფგანგ რატკე და ჯოან ამოს კომენიუსი. დიდაქტიკის, როგორც პედაგოგიკური მეცნიერების სტატუსი მომდევნო საუკუნეებში იზრდება. მე-19 საუკუნის შუა წლებში ჯოან ფრიდრიხ ჰერბარტის მიერ (1776–1841) განათლების ფორმალური საფეხურების დადგენამ და, ამ უკანასკნელის, სწავლების ასაკობრივი საფეხურების შესაბამისად ორგანიზაციის მეცნიერული საფუძვლების შემუშავებამ დიდაქტიკის სტატუსი კიდევ უფრო აამაღლა, იგი უკვე დამოუკიდებელ მეცნიერებადაა აღიარებული.

მე-20 საუკუნის დასაწყისის რეფორმისტულმა პედაგოგიკამ (კერშენტეინერი, გაუდიგი, პეტერსენი) სწავლების პროცესის ცენტრში ბავშვი დააყენა. ამ პერიოდიდან მოყოლებული, თითქმის მთელი ორმოცდაათი წლის განმავლობაში, დომინირებული ადგილი *თეორიულ-პედაგოგიკურ აზროვნებას უკავია, რაც ძირითადად დიდაქტიკითაა წარმოდგენილი* (ნოჰლი, ვენიგერი, კლაფკი). გერმანული დიდაქტიკის განვითარების ეტაპების ანალიზი გვიჩვენებს, წერს პერტი კანსანენი, რომ განვითარების მაღალ საფეხურზე დიდაქტიკის ძირითადი მიდგომები (თეორიული, ემპირიულ-ანალიტიკური, კრიტიკულ-კომუნიკაციური) მჭიდროდ დაუახლოვდა ერთმანეთს, მოხდა მათი ინტეგრაცია[1].

ამერიკული სწავლების თეორიას, ისევე როგორც კურიკულუმის პრობლემების კვლევას, არა აქვს ისეთი ხანგრძლივი ისტორია როგორც გერმანულ დიდაქტიკას. იგი სათავეს პრაგმატიზმის თეორიიდან იღებს. ცნობილია, რომ მისი ფუძემდებლები არიან ჰერბერტ სპენსერი (1820–1903) და უილიამ ჯეიმსი (1842–1910). ამერიკული სწავლების თეორიაზე ასევე დიდი გავლენა მოახდინა ჯონ დიუიმ და უილიამ კილპატრიკმა. აქვე უნდა აღინიშნოს ედვარდ ტორნდაიკის (1874–1949) განათლების ფსიქოლოგიის დიდი გავლენა შეერთებული შტატების სწავლების თეორიაზე.

XIX საუკუნის ამერიკაში ძალზე გაიზარდა ინტერესი სწავლების საკითხებისადმი. მას საფუძვლად დაედო სწავლებისა და მასწავლებლის შრომის

ეფექტურობისადმი წაყენებული დიდი მოთხოვნები. XX საუკუნის მეორე ნახევარში იმავე მოთხოვნებით იყო განპირობებული გეიჯის, ლანკინის, ბილდის, შალმანისა და სხვათა დიდაქტიკური მოდელების შექმნა. აღსანიშნავია, რომ ამ მოდელებს პრაქტიკულ საქმიანობაში განსაკუთრებული წარმატების მქონე მასწავლებლების გამოცდილება ედო საფუძვლად.

აშშ-ის მეცნიერებმა შეისწავლეს განსაკუთრებული წარმატების მქონე პედაგოგების მიერ სწავლების პროცესის წარმართვის თავისებურებანი, სამუშაოს დაგეგმვის სპეციფიკა და, საერთოდ, წარმატების განმაპირობებელი ფაქტორები. მაგალითად, ჯონ კეროლიმ და ბენჯამინ ბლუმმა ემპირიულ გამოკვლევებზე დაყრდნობითა და რეალური სასწავლო სიტუაციების ტესტირების საფუძველზე შეიმუშავეს სწავლების თეორიული მოდელი, ხოლო ბრუს ჯოუსისმა და მარშა ვეილისმა არსებული ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური თეორიების გაანალიზების საფუძველზე დაადგინეს სწავლების პროცესის ეფექტური წარმართვის სტრატეგიები. ყველა ეს მეცნიერული მიღწევა გამოიყენეს ამერიკის მასწავლებელთა საბაზო განათლებისა და პროფესიული განვითარების პრობლემების მოგვარებაში.

აღნიშნული პერიოდის ამერიკული სწავლების თეორიის დარგში არსებული გამოკვლევების დიდი ნაწილი ექსპერიმენტულ მასალაზე და კვლევის რაოდენობრივ მეთოდებზე დაყრდნობით შეიქმნა. რაც შეეხება უკანასკნელი პერიოდის ალტერნატიულის სახით შემოთავაზებულ მოდელებს, ისინი არა რაოდენობრივ, არამედ ხარისხის კვლევის მეთოდებზეა აგებული. დღეს პრაქტიკაში ყველაზე გავრცელებული-პროდუქტის პარადიგმა აღარ არის დომინანტური მნიშვნელობის.

***სწავლების ამერიკული თეორია სწავლების სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტების კვლევით შემოიფარგლება.*** გერმანულენოვან ან გერმანიასთან კულტურული ურთიერთობის მქონე ქვეყნებში დიდაქტიკა ისტორიულად პედაგოგიკის მნიშვნელობითაც გამოიყენებოდა. ეს ტერმინი ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებში დღესაც გამოიყენება, მაგრამ მას პრაქტიკულად არ იცნობენ ინგლისში, საფრანგეთში და ფრანგულენოვან ქვეყნებში. თანამედროვე გაგებით დიდაქტიკა არის სწავლება-სწავლა-დასწავლის ერთგვარი მეტათეორია, რომელიც მოიცავს ურთიერთთან დაკავშირებულ სწავლება-სწავლა-დასწავლის სხვადასხვა მოდელებს.

XX საუკუნის დასაწყისში სწავლების ამერიკული თეორია ემპირიულ-ანალიტიკურ ხასიათს ატარებდა. კვლევითი ნაშრომების დიდი ნაწილი ე.წ. პროცეს-შედეგობრივ მოდელს ეყრდნობოდა. ამ დროისათვის სწავლების ამერიკული თეორია (research of teaching) აქცენტს საკლასო მეცადინეობის პირობებში სწავლების სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტების კვლევაზე აკეთებს, რაც ძირითადად ემპირიულ კვლევას გულისხმობს. აქედან გამომდინარე, კანზანენის თვალსაზრისით, ძალზე დიდია სხვაობა გერმანულ დიდაქტიკასა და სწავლების ამერიკულ თეორიას შორის. *გერმანული დიდაქტიკა წარმოადგენს ფართო მიძღვრებას, რომელიც კანტისა და ჰერბარტის ფილოსოფიიდან ამოდის და პედაგოგიური პროცესის ყველა მხარეს მოიცავს, მაშინ როდესაც სწავლების ამერიკული თეორია მხოლოდ საკლასო მეცადინეობის პირობებში სწავლების სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტების კვლევით შემოიფარგლება.*

გერმანულ დიდაქტიკასა და სწავლების ამერიკულ თეორიას შორის არსებულ განსხვავებას საფუძვლად უდევს იმდროინდელ ცხოვრებაში და მეცნიერებაში მიმდინარე ტენდენციები. ბიზნესის მოდელზე დაფუძნებულ, დროის მცირე პერიოდში

საჭირო შედეგების მიღებაზე ორიენტირებულ სწავლების ამერიკულ მოდელს, რა თქმა უნდა, ნაკლებად აინტერესებდა ფართო ფილოსოფიური განზოგადებები და აქცენტი პედაგოგიური პროცესის კონკრეტულ პრაქტიკულ საკითხებზე გადაჰქონდა.

სწავლების თეორია, განათლების ფსიქოლოგია და დიდაქტიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან. ასევე უახლოესი კავშირებია დიდაქტიკასა და კურიკულუმის თეორიას შორის. ამის გამო, ვფიქრობთ ორიოდე სიტყვა საჭიროა ითქვას კურიკულუმის შესახებაც, მითუმეტეს რომ ეს ტერმინი ჩვენში სულ ახლახან, საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროგრამით არის შემოტანილი და ამ უკანასკნელის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. პირველად ტერმინი კურიკულუმი, სასწავლო გეგმის მნიშვნელობით გერმანიაში ფილანტროპისტებმა გამოიყენეს. XIX საუკუნეში ამერიკაში კურიკულუმი სასწავლო გეგმის საუკეთესო ვარიანტის მნიშვნელობით გამოიყენებოდა. ეს სასწავლო გეგმა, ანუ კურიკულუმი თავისი შინაარსით გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე მანამდე არსებული სასწავლო გეგმა. ტერმინი კურიკულუმის თეორიული საფუძველი იყო ჯონ დიუის ამერიკული რეფორმისტული პედაგოგიკა. იგი ყურადღებას ამახვილებდა ყოველი ბავშვის ინდივიდუალურ სწავლის პროცესზე. ბლენკერსტის თვალსაზრისით, სასწავლო გეგმა უფრო მეტად მასწავლებლისთვის იქმნება. მისი დანიშნულებაა მასწავლებელს უჩვენოს, კონკრეტული სასწავლო საგნის სწავლებისას, ერთი მხრივ, როგორ შეარჩიოს სასწავლო მასალის შინაარსი, ხოლო მეორე მხრივ, როგორ გაუკეთოს ორგანიზაცია სასწავლო პროცესს. ამასთან, კურიკულუმის ახალი კონცეფციის არსი მდგომარეობს ყოველ ინდივიდუალურ მოსწავლეზე და მის სწავლაზე ყურადღების კონცენტრაციაში.

ამრიგად, *კურიკულუმი გულისხმობს სკოლაში განსაზღვრული სასწავლო დროის განმავლობაში წარმოებული სწავლის პროცესს რომლის ყურადღების ცენტრშია ყოველი კონკრეტული ბავშვი*[2]. *კურიკულუმი, თავისი ყველაზე ზოგადი მნიშვნელობით, გულისხმობს პასუხისმგებლობას ბავშვის მიმართ, ამასთან დროის მხოლოდ იმ მონაკვეთის განმავლობაში, რომელიც მისთვის არის გამოყოფილი სკოლაში. კურიკულუმი გულისხმობს წინასწარ დაგეგმილ, შესაძლებელია, ხშირად განმეორებად სასწავლო პროცესს.* ამგვარად, კურიკულუმს ვერსად მიუჩენ ადგილს,ვინაიდან ყველაფერი თვითონ მასშია თავმოყრილი, 1992 წელს წერდა ჯექსონი.[3]

***აშშ-ში სკოლებს თითქმის მთლიანად მუნიციპალური ხელისუფლება აკონტროლებს.*** XIX საუკუნის ბოლოს გერმანულ და ამერიკულ პედაგოგიკურ გამოკვლევებს ბევრი რამ ჰქონდათ საერთო. გერმანელ და ამერიკელ მეცნიერთა შორის არსებობდა პირადი კონტაქტები და თანამშრომლობა, მაგრამ როგორც ჰოპმანი შენიშნავს, მე-20 საუკუნის დასაწყისში ეს კონტაქტები შეწყდა[4]. ამ პერიოდიდან მოყოლებული ამერიკული პროგრესული მიმდინარეობა და ევროპული რეფორმისტული პედაგოგიკა განვითარების განსხვავებულ გზებს ირჩევენ. აღსანიშნავია, რომ ევროპული (რეფორმისტული) პედაგოგიკა, ამერიკული (პროგრესული) პედაგოგიკისაგან სკოლის სოციალური გარემოს ფართო ხედვითა და განათლების პოლიტიკის საკითხებისადმი დიდი ყურადღებით გამოირჩევა.

ამერიკელებმა ჰერბარტისაგან განათლების ფსიქოლოგიის საკითხები აიღეს და ერთგვარად ჩაიკეტნენ საკლასო ოთახში. მათ მთლიანად დიდაქტიკა, ე.ი. განათლების საკითხების ფართო ხედვა არ აინტერესებდათ, იმ დროს როდესაც გერმანიაში, განათლების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების საჭიროებების გამო, ამ ყოველივეს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. კერძოდ, XX საუკუნის

დასაწყისში საზოგადოების მოთხოვნით დღის წესრიგში დადგა სკოლისა და სამასწავლებლო სემინარიებისათვის კურიკულუმის შექმნისა და განათლების სისტემის მთელი რიგი საკითხების ახლებურად გააზრების საჭიროება. ამან საფუძველი დაუდო პედაგოგიკის რეფორმას და დიდაქტიკის ახალი, რეფორმისტული კონცეფციის წარმოშობას. გერმანიაში მიმდინარე აღნიშნული ცვლილებები ამერიკულ განათლებაში ვერ აისახა. ჰოპმანის აზრით, ამერიკულ განათლებაში დიდაქტიკის ტერმინის გაქრობის მიზეზად სწორედ ეს გარემოება იქცა.

ამერიკული განათლების მეცნიერებებიდან არა მხოლოდ ტერმინის, არამედ თვით დიდაქტიკის ამოვარდნასა და მის ადგილს განათლების ფსიქოლოგიის ჩანაცვლებას სხვა მიზეზიც ჰქონდა. ეს ძირითადად იყო სკოლის პროგრამაზე - კურიკულუმზე ადგილობრივი ხელისუფლებისა და ბიზნესის ძლიერი გავლენა. აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას, ვალტერ დოული და ლენ ვესტბარი მიუთითებენ რომ პასუხისმგებლობა სკოლების მართვაზე დღეს მთლიანად ადგილობრივ ხელისუფლებას აქვს გადაცემული. მართალია, ზოგიერთი შტატის კონსტიტუციის თანახმად, სკოლის მართვაზე პასუხისმგებლობა ფორმალურად შტატის მთავრობას ეკისრება, მაგრამ ფაქტობრივი მდგომარეობით, სკოლებსა და მასწავლებლებს თითქმის მთლიანად მუნიციპალური ხელისუფლება აკონტროლებს. შესაბამისად, სკოლის კურიკულუმის შინაარსსა და ორგანიზაციას ფაქტობრივად ადგილობრივი ხელისუფლება განსაზღვრავს. სკოლის პროგრამაზე ვერც ეკლესია ახდენს გავლენას, ვინაიდან სწავლების მიდგომა, ფაქტობრივად, საბაზრო ეკონომიკითა და ბიზნესით არის გაპირობებული. ბიზნესისა და ხელისუფლების ასეთი ძლიერი ზეგავლენა, ცხადია, ზღუდავს სკოლის შემოქმედებით მუშაობასა და ამ უკანასკნელის მიერ ავტონომიური გადაწყვეტილებების მიღებას.

განათლების ფსიქოლოგიის პრობლემების კვლევა, განათლების მთლიანი სინამდვილის გათვალისწინების გარეშე, რასაც აშშ-ში აქვს ადგილი, არ არის მართებული. განათლების მართვის ყველა დონეზე პედაგოგიური სინამდვილის კვლევა მოითხოვს რეალური პედაგოგიური სიტუაციების გათვალისწინებას. განათლების სინამდვილის კვლევა მხოლოდ მისი ლოკალური, ვიწრო პრობლემების (სწავლა, მოტივაცია, შესაძლებლობები, მიღწევები და სხვა) გათვალისწინებით არ არის სწორი. *პედაგოგიური სინამდვილის კვლევა უნდა მიმდინარეობდეს არა მხოლოდ ემპირიულ-ანალიტიკური საშუალებებით, არამედ განათლებაში მიმდინარე დემოკრატიული პროცესების გათვალისწინებით.* აქედან გამომდინარე, შეერთებულ შტატებში აღნიშნული პერიოდის განათლების სფეროს გამოკვლევებისთვის დამახასიათებელი საკითხის ვიწრო ხედვა და დიდაქტიკის, როგორც განათლების მეცნიერების ერთ-ერთი დარგის იგნორირება, მის ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

ევროპაში საწინააღმდეგო ვითარებასთან გვაქვს საქმე. დიდაქტიკის განვითარება კონკრეტულ დიდაქტიკებამდე, განათლების ფსიქოლოგიური პრობლემებისა და, განსაკუთრებით, სწავლება-სწავლა-დასწავლის პროცესების განათლების პოლიტიკის, მისი მთლიანი ხედვის გათვალისწინებით კვლევა, ზრდის ევროპული დიდაქტიკის დემოკრატიულ და მეცნიერულ ღირებულებას.

ამრიგად, გერმანული დიდაქტიკისა და ამერიკული სწავლების თეორიის შედარებისას, მთავარი, რაც თვალში გვხვდება არის შემდეგი: გერმანული დიდაქტიკისთვის ამოსავალია გერმანული იდეალიზმი, იგი დაკავშირებულია იმანუილ კანტის სახელთან. მისთვის დამახასიათებელია პედაგოგიკური პრობლემების ფართო ხედვა. ამ თეორიას იცნობენ როგორც გეშტალტდიდაქტიკას,

როილის ინგლისურენოვან ვერსიას წარმოადგენს erudition - centered didaktik, ხოლო ქართული ექვივალენტია პედაგოგიურ ცოდნაზე ორიენტირებული დიდაქტიკა. გეშტალტდიდაქტიკა მთავარ მნიშვნელობას ანიჭებს არა მხოლოდ საგნის ცოდნას, არამედ საგნის პედაგოგიკური შინაარსის ცოდნას. შეერთებული შტატების სწავლების თეორიისაგან განსხვავებით, გერმანული დიდაქტიკა მასწავლებელთა განათლებისა და სწავლების პროცესის დაგეგმვის მიზანს ემსახურება. აქედან გამომდინარე, საერთოდ დაგეგმვისა და, კერძოდ, მასწავლებელთა მიერ საკუთარი კურიკულუმის დაგეგმვის საკითხზე, მხოლოდ პედაგოგიურ ცოდნაზე ორიენტირებულ დიდაქტიკას აქვს ნათელი წარმოდგენა. სწორედ ამიტომაა, რომ იგი მჭიდრო კავშირშია საგანთა დიდაქტიკებთან, მასალის პედაგოგიკური შინაარსის ცოდნასთან. რაც შეეხება ამერიკულ კვლევით მოდელებს, ისინი ძალზე ზოგადია და მათ არავითარი კავშირი არა აქვთ ღირებულებათა საკითხთან.

ფართო ინტერნაციონალური თვალსაზრისით, პედაგოგიკური შინაარსის ცოდნაზე ორიენტირებული დიდაქტიკა წარმოადგენს იმის საუკეთესო მაგალითს, რამდენად ეროვნულია განათლება, რამდენად რთულია სხვადასხვა ქვეყნის განათლების სისტემების შედარება და ახალი იდეების კრიტიკული მიდგომის გარეშე სხვა კულტურაში გადატანა.

თუ შევადარებთ ერთმანეთს გერმანულ დიდაქტიკას, მისთვის დამახასიათებელ განათლების საკითხების ფართო სოციალურ-კულტურულ ჭრილში ხედვის უნარს და ამერიკული სწავლების თეორიას, ამ უკანასკნელის შეზღუდულობასა და ძირითადი აქცენტის განათლების ფსიქოლოგიის სფეროში გადატანას და შემდეგ, ორივეს ერთად, საბჭოთა პერიოდის ქართულ დიდაქტიკურ ტრადიციას, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ საკვლევი პრობლემების სიფართისა და მასშტაბურობის თვალსაზრისით, ამ უკანასკნელს გაცილებით მეტი აქვს საერთო გერმანულ დიდაქტიკასთან, ვიდრე შეერთებული შტატების სწავლების თეორიასთან. ქართული საბჭოთა პედაგოგიკურ-დიდაქტიკური აზროვნებისთვის, რომელიც რუსულ საბჭოთა დიდაქტიკასთან ერთად ვითარდებოდა, ერთნაირად საინტერესო იყო როგორც განათლების პოლიტიკის, ასევე სწავლების პროცესთან დაკავშირებული საკითხების კვლევა.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Per. Kansanen, The Deutsche Research and American Research on Teaching, TNTEE Publications Volume 2, p.22 ‡1. 1999.
2. Philip L. Hosford. *An Instructional Theory*: A Beginning. Englewood Cliffs: Prentice-Hall, 1973, p.74.
3. Philip W. Jackson. Conceptions of Curriculum and Curriculum Specialits. In JACKSON, PHILIP W. (ed.). *Handbook of Research on Curriculum.* New York: Macmillan: 1992, 3-40, p.22.
4. Stephan Hopman. Starting a Dialogue. Roots and Issues of the Beginning Conversation between European Didaktik and the American Curriculum Tradition. *Paper presented at the Annual Meeting of the American Educational Research Association in San Francisco,* April 1992, p.7.
5. Walter Doyle, Ian Westbury. Die Rückbesinnung auf den Unterrichtsinhai: in der Curriculum - und Bildungsforschung in den USA. *Bildung und Erziehung 45,* 1992, *p.*137-157.

**ტატიანა დენისოვა**
*ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, კლივლენდი (აშშ)*

# მედელინ ოლბრაიტის ფენომენი

ბოლო წლებში ამერიკაში გაიზარდა ინტერესი ქალი პოლიტიკოსების, მათ შორის, მედელინ ოლბრაიტის მიმართ.[1]

1997 წლის 23 იანვარს მედელინ ოლბრაიტი აშშ-ის რიგით 64-ე სახელმწიფო მდივანი გახდა – პირველი ქალი ასეთ მაღალ თანამდებობაზე და სუსტი სქესის ყველაზე „მაღალჩინოსანი" წარმომადგენელი ამერიკის სამთავრობო იერარქიის ისტორიაში. თუ მე-20 საუკუნის პოლიტიკური ისტორიის თვალსაზრისით ასეთ მაღალ თანამდებობაზე ქალის დანიშვნის თვით ფაქტი არ იყო ისეთი უჩვეულო, - საკმარისია გავიხსენოთ სირიმავო ბანდარანაიკე და გოლდა მეიერი, ინდირა განდი და ჰანა სუჩოსკა (პრემიერ-მინისტრი ლეხ ვალენსას მთავრობაში),მარგარეტ ტეთჩერი და სხვ., - შეერთებული შტატებისათვის, სადაც ქალების მონაწილეობის დონე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საკმაოდ დაბალია, მედელინ ოლბრაიტის ნომინაცია საგანგებო მოვლენა აღმოჩნდა.

თუმცა ოლბრაიტის ცხოვრება და თვით მისი პიროვნული თვისებებიც საკმაოდ არაორდინალურია. იმისათვის, რომ ამ მეორე თაობის ემიგრანტს, რომელიც ამერიკაში 11 წლის ასაკში აღმოჩნდა, გაეკეთებინა ასეთი თავბრუდამხვევი კარიერა (როდესაც სხვები მის ადგილას დაკმაყოფილდებოდნენ უბრალოდ ამერიკის მოქალაქეობის მიღებით), საჭირო იყო ფენომენალური მიზანდასახულობა და ნებისყოფა.

რასაკვირველია, დიდი როლი ითამაშა შემთხვევითმა ობიექტურმა პირობებმაც. მედელინის მამა, ჯოზეფ კორბელი მაღალი რანგის ჩეხი დიპლომატი იყო. მის დაბადებამდე (1935 წლის 15 მაისი, პრაღა) ცოტა ხნით ადრე ის პირველად დანიშნეს საზღვარგარეთ სამუშაოდ, ბალდადში ჩეხოსლოვაკიის საელჩოს პრეს-ატაშედ. ერთ-ერთ თავის ინტერვიუში სახელმწიფო მდივანმა აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ ბავშვობაში მშობლებთან ერთად ხშირად საუბრობდა საერთაშორისო პოლიტიკაზე, 12 წლის ასაკისათვის კი მისი ინტერესები საბოლოოდ გამოიკვეთა.

1938 წლის დეკემბერში, მიუნხენის ხელშეკრულების ხელმოწერიდან სამი თვის შემდეგ, კორბელი ბალდადიდან გაიწვიეს და საგარეო საქმეთა სამინისტროში დაასაქმეს. 1939 წლის 15 მარტს გერმანიის ჯარები პრაღაში შევიდნენ და კორბელების ოჯახს – ებრაელებსა და „დემოკრატებს" - მძიმე დროება დაუდგა. მათ მოახერხეს ემიგრაციაში წასვლა მანამ, სანამ ჰიტლერმა საზღვრები ჩაკეტა. იუგოსლავიისა და საბერძნეთის გავლით ჯოზეფმა ცოლთან და პატარა ქალიშვილთან ერთად ინგლისამდე მიაღწია. ლონდონში კორბელი დაინიშნა ბენეშის დევნილი მთავრობის ინფორმაციის განყოფილების ხელმძღვანელად. მედელინის ბაბუის, უფროსი კორბელის ფულის წყალობით (რომელიც მომავალი სახელმწიფო მდივნის ბებიასა და სხვა მრავალრიცხოვან ნათესავებთან ერთად ერთ-ერთ ყველაზე საშინელ ნაცისტურ საკონცენტრაციო ბანაკში – აუშვიცში იღუპებოდა) ოჯახს ინგლისში არ უჭირდა. საინტერესოა, რომ მაღალ თანამდებობაზე დანიშნული მედელინისთვის მისი ოჯახის ისტორია, მათ შორის, ბაბუისა და ორი

ბებიის ბედი, რომლებიც ხოლოკოსტის მსხვერპლი გახდნენ, და ისიც, რომ ის წარმოშობით ებრაელია, სრულიად „მოულოდნელი" აღმოჩნდა. ძნელი დასაჯერებელია, რომ პროფესიონალი ისტორიკოსი და პოლიტოლოგი, აღმოსავლეთ ევროპის სპეციალისტი ასეთი გაუთვითცნობიერებელი ყოფილიყო საკუთარი ოჯახისა და წარმოშობის შესახებ. ალბათ, ამის ახსნა შეიძლება კარიერის გაკეთების მსურველი ემიგრანტების აზროვნების სტერეოტიპით: იყვნენ უფრო მეტად ამერიკელები, ვიდრე თვით ამერიკელები არიან, დაივიწყონ ყველაფერი, რისი დავიწყებაც შეიძლება და დამალონ ის, რისი დამალვაც გარკვეულ დრომდე შეიძლება, მაშინაც კი, თუ ის მათ კარიერას არ ემუქრება.

ომის შემდეგ კორბელები პრაღაში დაბრუნდნენ. 1945 წლის სექტემბერში ჯოზეფი დაინიშნა ელჩად იუგოსლავიაში. მალე მედელინი გაამწესეს შვეიცარიის ერთ-ერთ დახურულ სკოლაში,სადაც მან ფრანგულად ლაპარაკი ისწავლა.

1948 წელს ჩეხოსლოვაკიის ხელისუფლებაში კომუნისტების მოსვლის შემდეგ კორბელი მეორედ გაიწვიეს ბელგრადიდან და მას ისევ დაემუქრა საფრთხე ბენეშთან და საგარეო საქმეთა მინისტრ იან მასარიკთან ახლო ურთიერთობის გამო. ისევ დაიბადა გაქცევის გეგმები. გამოსავალი თავისთავად გამოინახა: ჯოზეფი დაინიშნა ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლად გაეროს კომისიაში ქაშმირის საკითხთან დაკავშირებით. კორბელები ნიუ-იორკში გაემგზავრნენ. თავდაპირველად ჯოზეფი მართლაც გაეროში მუშაობდა, მაგრამ მოგვიანებით აშშ-ში პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვა, რომელიც მიიღო კიდეც.

ამასობაში, მედლინმა, ჯერ კიდევ მოსწავლემ, ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ თავისი ბრიტანული გამოთქმა ამერიკულით გამოესწორებინა.

1949 წელს ჯოზეფმა დაიწყო საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის სწავლება დენვერის უნივერსიტეტში და იქ საერთაშორისო ურთიერთობების სკოლაც კი დააარსა. ამის შემდეგ მედელინი უკვე ძვირფას კერძო სკოლაში სწავლობდა, რის შემდეგაც მიიღო სტიპენდია პრესტიჟულ Wellesbey College-ში სასწავლებლად, არდადეგების დროს კი – სამსახური გაზეთში Denver Post. სწორედ გაზეთში მუშაობისას მან გაიცნო თავისი მომავალი ქმარი ჯოზეფ მედილ პატერსონ ოლბრაიტი, გამომცემელთა გავლენიანი ოჯახის მემკვიდრე.

კოლეჯში მედელინი არაფრით აღარ გამოირჩეოდა თავისი ამერიკელი თანატოლებისაგან, უფრო მეტიც, თავის შორტებ-ბერმუდებში, სვიტრსა და შალის პალტოში – 50-იანი წლების სტუდენტების ამ ტიპურ ტანსაცმელში – ის უფრო ამერიკელად გამოიყურებოდა, ვიდრე დანარჩენები. ამასთან ერთად, მისი ბრიტანული გამოთქმაც გაქრა.

ოჯახური ტრადიციისამებრ, მომავალი სახელმწიფო მდივანი არ ყოყმანობდა დემოკრატებსა და რესპუბლიკელებს შორის არჩევანისას. ის ყოველთვის ყველაფერში მამას ბაძავდა. მამის ინტერესები მისი გახდა. უკვე სკოლაში ის წერდა თხზულებებს ინდოეთსა და აღმოსავლეთ ევროპაზე. მრავალი წლის შემდეგ თავისი სადოქტორო დისერტაციისათვის მან აირჩია თემა პრესის როლზე 1968 წლის ჩეხოსლოვაკიის მოვლენებში.

1970-იანი წლების დასაწყისში მედელინმა თავის პოლიტიკურ კარიერაზე ზრუნვა დაიწყო. ინტუიცია, ახალგაზრდა ქალიშვილისათვის იშვიათი ცხოვრებისეული გამოცდილება, ეტიკეტისა და თამაშის წესების ცოდნა, მამის რჩევები – ყველაფერი მის სასარგებლოდ მუშაობდა. როგორც მოხალისე ის მონაწილეობდა დემოკრატიული პარტიის კანდიდატების წინასაარჩევნო კამპანიებში.

თანაც ერთგული „დემოკრატის“ ენერგია და სიმტკიცე შეუმჩნეველი არ დარჩა. მოგვიანებით ერთ-ერთი „თანამოაზრე“ იხსენებდა, რომ საქმეში ის ნამდვილ ენთუზიაზმს ავლენდა და წარმოადგენდა ადამიანს, რომელმაც იცოდა განსხვავება სიტყვასა და საქმეს შორის. როდესაც ის ამბობდა, რომ რამეს გააკეთებდა, ის უბრალოდ ამას აკეთებდა.

მედლინმა ნამდვილ პოლიტიკურ საქმიანობას გემო გაუგო, როდესაც 1976 წელს გახდა სენატორ ედმუნდ მასკის (მენის შტატიდან) მრჩეველი იურიდიულ საკითხებში. ორი წლის შემდეგ ზბიგნევ ბჟეზინსკის პროტექციით, რომელიც მისი სამეცნიერო ხელმძღვანელი, მამის შემდეგ იდეალი იყო და რომელთანაც მას აღმოსავლეთ ევროპული „ბექგრაუნდი“ და საბჭოთა კავშირისადმი მტრობა აკავშირებდა, მედლინი კარტერის ადმინისტრაციაში ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრი გახდა. 1978–1981 წლებში ის ამავე დროს მუშაობდა სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევის ცენტრში, სადაც საბჭოთა და აღმოსავლეთ ევროპული პოლიტიკის პრობლემებით იყო დაკავებული. 1982–1993 წლებში ოლბრაიტი ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის პროფესორი იყო, სადაც საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიას, აშშ-ის რუსეთის, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის საგარეო პოლიტიკას ასწავლიდა და პარალელურად იყო უნივერსიტეტის პროგრამის „ქალები დიპლომატიურ სამსახურში“ დირექტორი და ეროვნული პოლიტიკის ცენტრის პრეზიდენტი. ამასთან ერთად, ისეთი ორგანიზაციების წევრი,როგორებიცაა: Atlantic Institute, Boards of Trustees of Wellesley College და Williams College, National Democratic Institute for International Affairs, Black Student Fund და Washington Urban League.

1983 წელს ქმართან გაყრის შემდეგ მედლინის ხელში დიდი სიმდიდრე აღმოჩნდა, მათ შორის, სახლი ვაშინგტონის ჯორჯთაუნში. აქ მან დააარსა ყოველკვირეული პოლიტიკური სალონი დემოკრატიული პარტიის გამოჩენილი წევრებისათვის და ამ გზით გააფართოვა, გააღრმავა და განამტკიცა სასარგებლო კონტაქტები, რომელთა მნიშვნელობა ამერიკაში უაღრესად დიდია. „საგარეო პოლიტიკური სადილების“ ერთ-ერთმა მონაწილემ ჯერალდინ ფერარომ, ვიცე-პრეზიდენტობის იმდროინდელმა კანდიდატმა, ის თავის მრჩევლად აიყვანა საგარეო პოლიტიკურ საკითხებში 1984 წლის საარჩევნო კამპანიისას. 4 წლის შემდეგ კი ოლბრაიტი უკვე პრეზიდენტობის კანდიდატის მაიკლ დუკაკისის მთავარი მრჩეველი იყო საგარეო პოლიტიკის საკითხებში. ხალხი, რომელსაც იმ დროს მედლინთან ჰქონდა ურთიერთობა, ერთნაირად არ აფასებდა მისი, როგორც ფუნქციონერისა და საგარეო პოლიტიკის თეორეტიკოსის შესაძლებლობებს. ერთნი ხაზს უსვამდნენ საერთაშორისო ასპარეზზე აშშ-ის ამოცანებისა და საკუთარი ხელმძღვანელების პრობლემების მკაფიოდ ჩამოყალიბების მისეულ უნარს. სხვები მის წარმატებასა და წინ წაწევას მიაწერდნენ საჭირო კონტაქტების შენარჩუნების ხელოვნებას. ალბათ ორივენი არ ცდებოდნენ. უდაოდ, ის კავშირების დამყარების დიდი ოსტატი იყო. ამასთან ერთად, ვფიქრობთ, მას ჰქონდა პატრონის განწყობილების, მისი იდეების, პრიორიტეტების გარკვევისა და მათი პროფესიულად გახმოვანების ფენომენალური უნარი. შესაძლებელია ის არც კი ისწრაფვოდა საკუთარი იდეების გენერაციისაკენ, ვინაიდან თავის ამოცანად თვლიდა ბოსის პროდუქტიულ მხარდაჭერას, იქნებოდა ის პრეზიდენტობის კანდიდატი, თუ უკვე პრეზიდენტი.

გარდა საჭირო კონტაქტების გაფართოებისა, სახლში არაფორმალური სადილები მას სააზროვნო მასალას და დამატებით ინფორმაციას აძლევდა, რასაც

ის გაზეთებში ვერ ამოიკითხავდა. აქვე ის იგებდა პროფესიონალ პოლიტიკოსებს შორის გავრცელებულ თვალსაზრისს ამა თუ იმ მოვლენაზე, რაც ეხმარებოდა მას საკუთარი შეხედულების ჩამოყალიბებაში. მედელინის შემდგომმა მოღვაწეობამ გვიჩვენა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ის არ იყო საგარეო პოლიტიკის გამოჩენილი სტრატეგი და პროგნოზისტი, მას კარგად შეეძლო ამა თუ იმ წინადადების ისე გადაკეთება და გაფორმება, თითქოს ის მისი საკუთარი იყო. ბუნებით მებრძოლი და სხვების დარწმუნების უნარით დაჯილდოვებული მედელინი ადვილად ზემოქმედებდა პატრონზე ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებისას.

პოლიტიკური კარიერის გასაკეთებლად ოლბრაიტმა წარმატებით გაითამაშა სამი კარტი: მშობლების და საკუთარი „სიყვარული დამოკრატიისადმი" („დემოკრატიისადმი ჩემი მშობლების სიყვარულის გამო ჩამოვედით ამერიკაში მას შემდეგ, რაც ორჯერ გამოგვაგდეს სახლიდან–"); „ამერიკული სუპერპატრიოტიზმი", ასე მიმზიდველი რიგითი ამერიკელისათვის და, ბოლოს, ხელმძღვანელისადმი ლოიალურობა (ამის ერთ-ერთი მაგალითი: კორესპონდენტის მიერ პირდაპირ დასმულ კითხვაზე, თუ რა ზომების მიღებას აპირებს შეერთებული შტატები აღმოსავლეთ ტიმორში კონფლიქტის განმუხტვისათვის, სახელმწიფო მდივანს პირდაპირვე უნდა ეპასუხა, მაგრამ ოლბრაიტმა ასეთი პასუხი გასცა: „პრეზიდენტი კლინტონი გრძნობდა, რომ ის, რაც აღმოსავლეთ ტიმორში ხდებოდა, დანაშაული იყო. ის ამის შესახებ რეგიონში ჩასვლამდე საუბრობდა. მან ეს ახალ ზელანდიაშიც განაცხადა, სადაც აღნიშნა, რომ ამერიკამ დახმარება უნდა აღმოუჩინოს იმ სფეროებში, რომლებშიც ყველაზე ძლიერია – ტექნიკური და სამხედრო-სტრატეგიული მხარდაჭერა, კომუნიკაციები. აი ამაში მდგომარეობს ჩვენი როლი". ძალიან კარგი, მაგრამ თქვენ თვითონ რას ფიქრობთ, ქალბატონო სახელმწიფო მდივანო?").

1992 წელს მედელინი კლინტონის მრჩეველი გახდა. 1993 წელს ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა ის გაეროში აშშ-ის მუდმივ წარმომადგენლად დანიშნა. ამავე დროს ის მისი კაბინეტისა და ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს წევრიც იყო. ამერიკული ინტერესების აქტიური დამცველი ოლბრაიტი თავის როლს გაეროს საქმიანობაში, პირველ რიგში, სამხედრო ოპერაციებში აშშ-ის მონაწილეობის გაზრდაში ხედავდა.

გაეროში აშშ-ის ელჩის თანამდებობაზე მოღვაწეობის დასაწყისშივე მან საოცარი შრომისუნარიანობა გამოავლინა. იგი დგებოდა დილის ხუთის ნახევარზე, რათა გადაეხედა მთავარი გაზეთებისათვის: Washington Post, New York Times და Wall Street Journal და თავის სამუშაო დღეს ღამის 11 საათზე ამთავრებდა[2]; იყო ენამწარე (ოფიციალურ გამოსვლებში თუ პირად საუბრებში იყენებდა უხეშ ხუმრობებს, არადიპლომატიურ გამოთქმებს,არაფრად აგდებდა მკაცრი ეტიკეტის მომხრეთა გაოგნებულ მზერას და გაითქვა სახელი როგორც „ენამწარე დიპლომატიის" წარმომადგენელმა); ამასთან ერთად გამოირჩეოდა განსაკუთრებული კონტაქტურობით (შემოიღო ყოველდღიური საუზმეები, სადილები და ვახშმობები გაეროში უცხოური დელეგაციების წარმომადგენლებისათვის). მედელინი უპირატესობას ანიჭებდა ასეთ არაფორმალურ შეხვედრებსა და საუბრებს კოლეგებთან, ასევე საუბრებს კულუარებში, ვიდრე ღია დებატებს გაეროს სესიებზე და იქ საკუთარ ოფიციალურ გამოსვლებს. რასაკვირველია, ამგვარი „პრიორიტეტები" შეიძლება აიხსნას იმით, რომ არაფორმალურ ატმოსფეროში, როდესაც არ ხარ შებოჭილი გამოთქმებში, უფრო ადვილია თანამოსაუბრის დარწმუნება საკუთარ სიმართლეში. ვფიქრობთ, ოლბრაიტი პოლიტიკურ, თუ საყოფაცხოვრებო ჟარგონს

უკეთ ფლობდა, ვიდრე პროფესიულ დიპლომატიურ ლექსიკას. მის გამოსვლებში მუდმივად ვხვდებით ერთსა და იმავე სიტყვებით ნამოთხრობ ბიოგრაფიულ ფაქტებს და დემაგოგიურ განცხადებებს ამერიკის განსაკუთრებული როლის შესახებ, ასევე ყველა კითხვაზე პასუხის წინ სიტყვებს „მე ვფიქრობ, რომ ". ალბათ, მოგვიანებით სახელმწიფო მდივანს აშკარად სჭირდებოდა დრო პასუხის გასაცემად და სიტყვების მოსაძებნად. ამითვე აიხსნება პასუხის გაცემის ნაცვლად სიტყვის ბანზე აგდება და საუბრის თემის შეცვლა დედობის, აღზრდის, მებაღეობის და ა.შ. თემებით. მაგრამ, საინტერესოა, რომ ეს, თითქოსდა, წმინდა ქალური თამაში, რომელიც პროფესიონალიზმის ნაკლებობას ანაზღაურებდა, ტრიალდებოდა სავსებით მამაკაცური მიდგომით საკითხების გადაწყვეტისას, როდესაც იმავე დიპლომატიური გამოცდილებისა და მოლაპარაკებების ტაქტიკის უქონლობის გამო მედელინი მათ მუქარის, სანქციებისა და სამხედრო ჩარევის გზით წყვეტდა. ალბათ მისი ბრალიც იყო ამერიკული სამხედრო ოპერაციის ჩაშლა სომალიში, რომლის დროსაც 18 საზღვაო ქვეითი დაიღუპა. სწორედ ოლბრაიტი, თავისი უახლოესი მრჩევლების, თანამშრომლებისა და ამავე დროს მეგობრების მხარდაჭერით, იყო ნატოს მიერ სერბეთის მრავალდღიანი საჰაერო დაბომბვების ინიციატორი – ოპერაციისა, რომლის მთავარი მიზანი მილოშევიჩის გადაყენება – მოხერხდა, რამაც გაამართლა მედელინი ფართო საზოგადოების თვალში, მაგრამ ამავე დროს მრავალრიცხოვანი მსხვერპლი გამოიწვია. სწორედ ოლბრაიტი და მისი გარემოცვა გეგმავდა სახედრო ძალის გამოყენებას ერაყის წინააღმდეგ, რაც ჯორჯ ბუშ მეორემ არც ისე დიდი ხნის წინათ წარმატებით განახორციელა.

შეიძლება ითქვას, რომ ოლბრაიტის საყვარელი საგარეო პოლიტიკური ნაბიჯი ეკონომიკური სანქციები იყო. როდესაც გაეროში მისი ელჩად ყოფნის დროს სხვა, მათ შორის, რუსეთის დელეგაციის წევრები ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ ეს სანქციები, უპირველეს ყოვლისა, რიგითი მოქალაქეების ცხოვრების დონეს ლახავს, ლიდერების პოზიცია კი უცვლელი რჩება, ოლბრაიტი მისთვის დამახასიათებელი მაქსიმალიზმით აცხადებდა, რომ მსგავს შემთხვევაში ხალხმა უნდა ისწავლოს ასეთი ლიდერებისაგან თავის დაღწევა.[3] თვითონ მედელინი თვლიდა, რომ პოლიტიკაში რაციონალიზმის დაცვაა აუცილებელი. პრაქტიკულად კი მისი რაციონალიზმი აშკარა ცინიზმს გავდა. ასე მაგალითად, სახელმწიფო მდივნობის დროს კითხვაზე, ხომ არ მიაჩნია, რომ დაახლოებით ერთნახევარი მილიონი ერაყელი ბავშვის სიკვდილი შიმშილისა და ავადმყოფობისაგან ძალიან მაღალი ფასია ერაყის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების შენარჩუნებისათვის, ოლბრაიტმა თვალის დაუხამხამებლად უპასუხა – ის სიტყვებს არც ეძებდა – რომ ფაქტი, რასაკვირველია საწყენია, მაგრამ ფასი – არა, ძვირი არ არის.

კორესპონდენტის კითხვაზე, თუ რატომ არის ქალბატონი სახელმწიფო მდივანი ბირმის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების ასეთი თავგამოდებული მომხრე, მაშინ, როდესაც იმავეს არ მოითხოვს ჩინეთთან დაკავშირებით, სადაც კიდევ უფრო მეტად ილახება ადამიანის უფლებები, ოლბრაიტმა უპასუხა: იმიტომ, რომ ბირმა პატარა და სუსტია, ჩინეთი კი დიდი და ძლიერი, თანაც იქ შეერთებულ შტატებს სერიოზული სავაჭრო და ეკონომიკური ინტერესები აქვს.[4]

დაახლოებით ასევე პასუხობდა ოლბრაიტი კითხვებს სერბეთის დაბომბვასთან დაკავშირებით, თუმცა კოსოვო მისი ტერიტორიის ნაწილია, ისევე როგორც ჩეჩნეთი – რუსეთის. ვინაიდან რუსეთი დიდი და ძლიერია და მასთან საჭიროა ურთიერთობის მოგვარება, სერბეთი კი პატარაა და დიდ ეკონომიკურ ინტერესს არ წარმოადგენს.

სხვა მხრივ. რუანდაც პატარაა და ეკონომიკური თვალსაზრისით არასაინტერესო, ამიტომ იქ დატრიალებული გენოციდის გამო აშშ-მა მხოლოდ სინანული გამოთქვა და ხელები დაიბანა. სახელმწიფო მდივანი თანმიმდევრულად იცავდა „ამერიკის ჩარევის" და „ჩაურევლობის" უფლებას. ამასთან ერთად, ოლბრაიტის ერთ-ერთი ძირითადი საგარეო პოლიტიკური პრინციპი იყო, ყოველი ცალკეული შემთხვევისადმი ინდივიდუალური მიდგომის პრინციპი. მაგალითად, აფრიკაში მოგზაურობის დროს კლინტონმა (რასაკვირველია, თავისი საგარეო პოლიტიკური გუნდის რჩევით) თვითმფრინავიდან გაუგზავნა მისალმება ლიბერიის პრეზიდენტს ჩარლზ ტეილორს, რომელმაც თავის დროზე სამოქალაქო ომი გააჩაღა დასავლეთ აფრიკის ამ ქვეყანაში, რის შედეგადაც ასობით ათასი ადამიანი დაიღუპა მხოლოდ იმიტომ, რომ მისი „განმათავისუფლებელი არმიის" გზაზე აღმოჩნდა, ასობით ათასი გადარჩენილი კი ლტოლვილად იქცა მეზობელ ქვეყნებში,მაგრამ,რომელიც სამაგიეროდ, „დემოკრატიული" არჩევნების გზით მოვიდა ხელისუფლების სათავეში. ამავე დროს კლინტონმა იგივე არ გააკეთა ნიგერიის პრეზიდენტის სანი აბაჩის მიმართ, რომელმაც შეიარაღებული გზით ჩაიგდო ხელში ძალაუფლება და, ცხადია, ლახავდა ადამიანის უფლებებს, მაგრამ რომელსაც არც კი დასიზმრებია გვამების ის მთები, რომლებიც ტეილორმა თავის უკან დატოვა.

სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე ყოფნის პირველ ხანებშივე ოლბრაიტმა აირჩია თავისი იმიჯი, რომელიც მკვეთრად განსხვავდებოდა მისი წინამორბედი კორექტული უორენ კრისტოფერისაგან. საზოგადოების წინაშე გამოსვლისას ის მუდამ ხაზს უსვამდა, რომ მხარს უჭერდა საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესის პოპულარიზაციას, პროფესიული ტერმინოლოგიის უბრალო, საყოველთაოდ გასაგებ ენაზე თარგმნას. „როგორც მდივანი, მე ვეცდები საგარეო პოლიტიკაზე ვიმსჯელო არა აბსტრაქტული ტერმინებით, არამედ ადამიანურ ენაზე იმიტომ, რომ ჩვენს დემოკრატიულ საზოგადოებაში ვერ გავატარებთ ისეთ საგარეო პოლიტიკას, რომელიც გაუგებარი და მიუღებელი იქნება ხალხისათვის. მისი სიტყვებით, ის ცდილობდა იმ ბურუსის გაფანტვას, რომელიც ფოგი ბატომს (ვაშინგტონის ცენტრალური რაიონი, სადაც სახელმწიფო დეპარტამენტი მდებარეობს) ფარავდა და მისი უწყების საქმიანობა მოქალაქეთათვის გამჭვირვალე გაეხადა. მისი გადაწყვეტილების საილუსტრაციოდ ის ყვებოდა, რომ სახელმწიფო დეპარტამენტში ლიფტსაც კი ხარისხის სერტიფიკატში უწოდებენ „ვერტიკალურად მოძრავ ტრანსპორტის საშუალებას". მსგავს ხუმრობას ყველგან ენთუზიაზმით ხვდებოდნენ. ეს იყო ახალი სტილი, გათვლილი პოპულარობის მოპოვებაზე, მედლინს კი ძალიან უყვარდა ყურადღების ცენტრში ყოფნა.

ამასთან ერთად, პოპულარიზაციისა და დემოკრატიულობის საპირისპიროდ მოიქცა ოლბრაიტი პრესის მიმართ. ცნობილია, რომ არსებობს ჟურნალისტთა განსაკუთრებული ჯგუფი, რომელიც საგარეო პოლიტიკურ მოვლენებსა და სამთავრობო ადმინისტრაციის საქმიანობას აშუქებს, რომელიც თან დაყვება მაღალჩინოსნებს მოგზაურობისას, მონაწილეობს მრავალ ოფიციალურ თუ არაოფიციალურ ღონისძიებაში, აქვს კონტაქტების ფართო ქსელი, გავლენა და შედარებითი თავისუფლება მასალის მიწოდებაზე და რომელიც მაშინვე იღებს ინფორმაციას უშუალოდ პირველი პირიდან. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან ამ დროს ინფორმაცია არ მახინჯდება „გაფუჭებული ტელეფონის" საშუალებით და პრესასა და ეთერში სინამდვილესთან ყველაზე მიახლოებულია და თანაც ისეთი, როგორიც მისი პირველწყაროსათვის არის

სასურველი. ერთ-ერთი ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტის, „ვაშინგტონ პოსტის" კორესპონდენტის თომას ლიპმანის სიტყვებით,რომელიც ათწლეულების მანძილზე აშუქებდა ამერიკის საგარეო პოლიტიკას, ოლბრაიტის სახელმწიფო მდივნობის პერიოდი მუშაობისათვის მძიმე ხანა იყო. მან პრესასთან კონტაქტები მკვეთრად შეზღუდა, თუმცა ახალგაზრდობაში თვითონ იყო ჟურნალისტი და საერთაშორისო ჟურნალისტის ცოლი და არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა, რომ რეპორტიორი მაინც მოიძიებდა ინფორმაციას — თეთრ სახლში, კონგრესში, პენტაგონში ან კიდევ სადმე სხვაგან, ვინაიდან ეს იყო მისი არსებობის წყარო. ოლბრაიტმა კი თავისი გუნდის წევრებს პრესასთან კონტაქტის გაწყვეტა მოსთხოვა, ჟურნალისტებს კი, პირველ რიგში, მასთან ან სხვა რომელიმე ოფიციალურ პირთან შეხვედრამდე, სახელმწიფო მდივნის ოფისში დარეკვა და იმის ახსნა მოსთხოვა, თუ ვისთან და რა საკითხზე აპირებენ ლაპარაკს. ამგვარად,ინფორმაცია მომდინარეობდა სხვა წყაროებიდან, ოლბრაიტი კი იკვლევდა, თუ საიდან „გაუონა" მან[5].

სახელმწიფო მდივნისათვის კატეგორიულად მიუღებელი იყო ყოველგვარი კრიტიკა. ის ჟურნალისტები, რომლებიც ბედავდნენ მასზე ან მის საქმიანობაზე რაიმე ცუდის თქმას, კარგავდნენ ადგილს მის თვითმფრინავში (რის გამოც ღონისძიებათა გრაფიკს ჩამორჩებოდნენ, მითუმეტეს, რომ ოლბრაიტის ნაბიჯები ხშირად არაპროგნოზირებადი იყო: მას შეეძლო შეხვედრაზე უარის თქმა, მარშრუტის შეცვლა და ა.შ.), მათ უარსეუბნებოდნენ გამგზავრებაზე, ისინი კარგავდნენ მათთვის ძვირფას მოსაწვევებს. ოლბრაიტს არ ესმოდა, რომ ამერიკის პოლიტიკური პრესა სახელმწიფო მდივანზე მეტად გაელენიანი იყო, ამიტომ რეკავდა ხოლმე გაზეთების რედაქციებში და მოითხოვდა იმ სტატიების მასთან ცენზურისათვის გამოგზავნას, სადაც მისი სახელი მოიხსენიებოდა.[6]

ის არ იღებდა არც კოლეგების კრიტიკას, ადვილად ფეთქდებოდა, მაგრამ ყოველთვის პოულობდა სიტყვებს თავის გასამართლებლად. როგორც პოლიტიკაში, მას ყოველთვის არ შეეძლო იმის ახსნა, თუ რატომ აპირებდა ადმინისტრაცია ამა თუ იმ ნაბიჯის გადადგმას, მაგრამ უკვე დასრულებული ყოველი აქციის გამართლებას ახერხებდა.

ოლბრაიტი მაღალ თანამდებობაზე რთულ, განსაკუთრებით, მისთვის რთულ დროს აღმოჩნდა. მაინც, რატომ? ამერიკას უშუალოდ არაფერი ემუქრებოდა, გარდა ტერორიზმისა და ნარკოტიკების გავრცელების უკვე „კლასიკად" ქცეული, თუმცა უდაოდ, სერიოზული საფრთხისა. მაგრამ ოლბრაიტი, ისევე როგორც მისი თაობის სხვა პოლიტიკოსები, იზრდებოდა და პროფესორ-პოლიტოლოგისა და მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელის კარიერა გაიკეთა კომუნიზმისადმი, საბჭოთა კავშირისა და მსოფლიო სოციალისტური სისტემისადმი ზიზღის პირობებში. ოლბრაიტის წინამორბედებს და კერპებს — ბჟეზინსკის, კისინჯერსა და სხვებს უფრო გაუადვილდათ: მათი საგარეო პოლიტიკის ღერძი იყო მთავარი მტრის გამოაშკარავება და მისთვის წინააღმდეგობის გაწევა. ცივი ომის დასრულების შემდეგ კი საჭირო გახდა ახალი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების გამონახვა. ოლბრაიტმაც ისინი იპოვა: ყველაფერი ამერიკისა და ამერიკელი ხალხის ინტერესებში. ამერიკა დაინტერესებულია იმით, რომ მსოფლიოს რაც შეიძლება მეტი ქვეყანა დემოკრატიული გახდეს, ვინაიდან „დემოკრატები ერთმანეთს თავს არ ესხმიან"[7], ამგვარად, უნდა გაკეთდეს ისე, რომ მსოფლიოში რაც შეიძლება მეტი დემოკრატია იყოს. ამერიკა ასევე დაინტერესებულია სხვა ქვეყნებთან, განსაკუთრებით კი,საბაზრო ეკონომიკის პრინციპის მხარდამჭერ ქვეყნებთან ვაჭრობით,რაც იმას

ნიშნავს, რომ ისე უნდა გაკეთდეს, რომ მომრავლდეს ამ უკანასკნელთა რაოდენობა. თანაც ეს აშშ-ის საგარეო პოლიტიკური ამოცანების უბრალო გამარტივება და გაპრიმიტივება არ არის, როგორც ამას ოლბრაიტი აკეთებდა. სწორედ ასე, ამგვარი გამოთქმებით აყალიბებდა ის მათ ფართო ან ვიწრო საზოგადოების წინაშე. ერთგვარი გლობალური „დემოკრატიზაცია და მარკეტიზაცია", თუ არა საყოველთაო „ამერიკანიზაცია".

ამერიკელი პოლიტიკოსები სხვადასხვაგვარად აფასებდნენ კლინტონის ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკურ საქმიანობას. ერთნი თვლიდნენ, რომ ამერიკის საგარეო პოლიტიკა მანამდე არასოდეს ყოფილა ასეთ ცუდ ხელში. მეორენი კი, მაგალითად, საერთაშორისო ურთიერთობების ჩიკაგოს საბჭო (Chicago Council on Foreign Relations) კლინტონის საგარეო პოლიტიკური გუნდის საქმიანობას მაღალ შეფასებას აძლევდა.[8]

რასაკვირველია, ისევე როგორც ნებისმიერი ადმინისტრაციის თუ სახელმწიფო მდივნის საქმიანობაში, ოლბრაიტის მუშაობაშიც იყო მნიშვნელოვანი წარმატებები. ასე, მაგალითად, მან მოახერხა არაფატისა და ნეთანიაჰუს იძულება, შეხვედროდნენ ერთმანეთს და დაეწყოთ სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესი, ისრაელის ხელმძღვანელმა ლაზას სექტორიც კი მოინახულა. მაგრამ, სინამდვილეში, ისინი შეხვდნენ ჯეიმს ბეიკერის მიერ დაწყებული პროცესის ფარგლებში და ნეთანიაჰუს გადადგომამდე ცოტა ხნით ადრე, ამიტომ სერიოზული პოზიტიური შედეგები ამას არ მოჰყოლია. ადმინისტრაციის და სახელმწიფო დეპარტამენტის მოღვაწეობის ნეგატიურ შედეგად კი შეიძლება მივიჩნიოთ ძალისმიერი მეთოდებისა და ეკონომიკური სანქციების როლის ზრდა მშვიდობიანი დიპლომატიისა და მოლაპარაკებების პროცესის ნაცვლად.

### შენიშვნები და გამოყენებული ლიტერატურა


1. იხ. მაგალითად, Eric Alterman, Who Speacs for Amerika? Why Democracy Matters in Foreign Policy, Ithaca: Cornell University Press, 1998; Ann Blackman, Seasons of Her Life: A Biography of Madeleine Korbel Albright, New York: Scribner, 1998; Thomas Blood, Madam Secretary: A Biography of Madeleine Albright, New York: St.Martin's Press, 1997; Michael Dobbs, Madeleine Albright: A Twentieth-Century Odissey, New York: Henry Holt and Co., 1999; Thomas W. Lippman, Madeleine Albright and the New American Diplomacy, Boulder, Colorado: Westview Press, 2000; Richard A.Melanson, American Foreign Policy Since the Vietnam War: The Search for Consensus from Nixon to Clinton, Armonk, N.Y.:M.E.Sharpe, 1996.
2. Ann Blackman, Seasons of Her Life: A Biography of Madeleine Korbel Albright, p.236.
3. Ibid, p.239.
4. Thomas W. Lippman, Madeleine Albright and the New American Diplomacy, p.327.
5. Ibid, pp.50-52.
6. Ibid.
7. Ibid, p.330.
8. Ibid, p.319.

**ელასი ვაწაძე**
*ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის ასპირანტი*

# ხიპური მოძრაობის სოციალური და ეკონომიკური მიზეზები

არც ერთ ისტორიულ ეპოქაში „შვილებსა" და „მამებს" შორის კონფლიქტს არ მიუღწევია იმ ზღვრამდე, როგორც ეს XX საუკუნის 60-იან წლებში მოხდა, არც ერთ ეპოქაში „შვილებს" არ მისცემიათ შესაძლებლობა თვითგამოხატვისა და ხმამაღალი პროტესტისა, როგორც ეს 1960-იანი წლების ამერიკაში მოხდა. „ჰიპიზმს", რომელმაც ჯერ მთელი აშშ, შემდეგ კი მთელი მსოფლიო მოიცვა, ჰყავდა ლიდერები, იდეოლოგები, რომლებმაც ეს მოძრაობა შექმნეს: ებერტ მარკუზი, თეოდორ ადორნო და სხვანი.

ჰიპებს ჰყავდათ წინამორბედები, ჰქონდათ შექმნილი ნიადაგი „ბიტნიკების" სახით. ჰიპები ბიტნიკების სრულფასოვანი გამგრძელებლები იყვნენ. ჰიპობა არის 1950-იანი წლების ბიტნიკების ოპტიმისტური სახე 1960-იან წლებში, რომელმაც უფრო მასობრივი მოძრაობის სახე მიიღო.

რუსი მეცნიერები ფეოფილოვი და ნალოევი თავიანთ ნაშრომში „Бунтари и конформисты" შეეცადნენ აეხსნათ, რამ გააბრაზა ამერიკელი ახალგაზრდები და ამას ბურჟუაზიული საზოგადოების მორალური კრიზისით და უფროსებისადმი (მშობლების ავტორიტეტისადმი) რწმენის დაკარგვით ხსნიდნენ.[1] ჰიპებს ჰკიცხავდნენ იმის გამო, რომ მათ ვერ შეძლეს იმ პრობლემების გადაჭრა, რომელიც საზოგადოების წინაშე იდგა (პრობლემის მიღმა ის პოლიტიკური და ეკონომიკურ-სოციალური კრიზისი იგულისხმება, რომელმაც ამერიკა 1960-იან წლებში მოიცვა).

XX საუკუნის 60-იანი წლები აშშ-ის ისტორიაში დიდი ძვრებისა და პრობლემების ათწლეულია. „დემოკრატიული" სახელმწიფო აღმოჩნდა შავკანიანთა პრობლემის წინაშე, რომლებიც თანასწორუფლებიანობას მოითხოვდნენ. 1964—1973 წლებში არაპოპულარულმა ვიეტნამის ომმა აშშ-ს დიდი მსხვერპლი და სახელმწიფო ხარჯები მოუტანა. უმუშევრობა, ინფლაცია, ყველაფერი ეს კი ახალგაზრდების უკმაყოფილებას და უნდობლობას იწვევდა უფროსების მიმართ. მათ არ სურდათ წასულიყვნენ „მამების გზით", უარყოფდნენ მათ იდეალებს: ფულს, ძალაუფლებას, უპრინციპობას, ეგოიზმს და კომპრომისს – ყველა იმას, რამაც მსოფლიო ატომური კატასტროფის საშიშროებამდე მიიყვანა და ამის გამო იზრდიან თმებს, დადიან დახეული ჯინსებით (რაც უფრო ძველია და გაცვეთილია, მით უფრო ძლიერია პროტესტი)[2], მიეძალნენ ნარკოტიკებს, უსმენენ როკს, ანუ აკეთებენ იმას, რაც საზოგადოებისათვის მიუღებელია. მშობლებისადმი საპროტესტო განწყობილება კარგად აისახა ჯენის ჯოპლინის სიტყვებში: „შეიძლება მე არ ვიყო ისეთი დღეგრძელი, როგორც სხვა მომღერლები, მაგრამ მე ვთვლი, რომ შეიძლება დაანგრიო საკუთარი თავი დღეს, არ ინერვიულო საკუთარ თავზე დღეს, არ ინერვიულო ხვალინდელ დღეზე. თუ შეეკავებ თავს, არ ვიქნები კარგი ახლა. ჯობია ვიყო კარგი რაღაც პერიოდში, ვიდრე თავი შევიკავო და გავუფრთხილდე საკუთარ თავს მთელი ცხოვრება. მე ისევე, როგორც ჩემი თაობის სხვა წარმომადგენლები,

ვუყურებ ჩვენს მშობლებს და ვხედავ, როგორ თმობდნენ და მიდიოდნენ კომპრომისზე და რაც ბოლოს უშედეგოდ დამთავრდა. ბავშვებს უნდათ ყველაფერი ახლა და არა ბინძური ცხოვრება 70 წლამდე"[3].

ჰიპების ძირითად ნაწილს წერილი ბურჟუაზიის ფენიდან გამოსული ახალგაზრდები შეადგენდნენ. სარკატოვი და ბოჟკო თავიანთ ნაშრომში „Рок-музыка, сущность,история, проблемы" ჰიპებთან დაკავშირებით წერენ "წლიდან-წლამდე ახალგაზრდა კაცს დასავლეთში უფრო და უფრო უჭირდა მოენახა თავისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა, ადგილი ცხოვრებაში, ამან საბოლოოდ მიიყვანა კრიზისამდე, რომელიც 1960-იანი წლების მეორე ნახევარში გადაიზარდა ახალგაზრდების მასობრივ მემარცხენე რადიკალურ მოძრაობაში."

ჰიპებს სჯეროდათ, რომ საზოგადოება შეიძლება უკეთესობისაკენ შეცვლილიყო, თუ უარყოფდნენ მათ ფასეულობებს, კულტურას, იქადაგებდნენ სიყვარულს და სიკეთეს; ისინი თვლიდნენ, რომ პაციფიზმის ქადაგებას, ანუ უარის თქმას ყოველგვარ ომზე, როგორც სამართლიან, ისე უსამართლოზე, შეიძლება ეხსნა კაცობრიობა დაღუპვისაგან. ჰიპების ერთგვარ ლოზუნგად იქცა ჯონ ლენონის სიტყვები:

*"შენ შეგიძლია მიწოდო მეოცნებე,*
*მაგრამ მე არ ვარ მარტო*
*იმედი მაქვს, რომ ოდესღაც თქვენც შემოგვიერთდებით*
*და მსოფლიო გახდება როგორც ერთი მთლიანი" .*

ჯონ ლენონის ეს სიტყვები კარგად ასახავდა მომავლის ოპტიმისტურ ხედვას. შესაძლოა 1970 წელს პრეზიდენტმა ნიქსონმა თავისი ახალი საგარეო პოლიტიკური კონცეფციის – „ნიქსონის დოქტრინის" შედგენისას ნაწილობრივ გაითვალისწინა აშშ-ის ახალგაზრდების აზრი, როდესაც ამბობდა „ამერიკას არ შეუძლია– და არც სურს მთლიანად აიღოს თავის თავზე მსოფლიოს თავისუფალი ერების დაცვა,"[4] ამიტომ უნდა დასრულდეს აღმოსავლეთის კონფრონტაციის ეპოქა და დაიწყოს მასთან მოლაპარაკების ხანა, მშვიდობის სტაბილური სტრუქტურის შესაქმნელად. აღმოსავლეთთან მოლაპარაკების უმთავრესი თემა „შეიარაღების შეზღუდვა" უნდა გამხდარიყო. ნიქსონის ასეთი ნაბიჯი არა მარტო ეკონომიკური კრიზისითა და საგარეო გართულებებით იყო გამოწვეული, არამედ იმ პაციფისტური საპროტესტო აქციებით, რომელიც ვიეტნამის ომის წინააღმდეგ იყო მიმართული. ახალგაზრდებს მართლაც ჰქონდათ უკმაყოფილების საბაბი: „თუ ომის დასაწყისში ვიეტნამში 15000 ახალგაზრდა იბრძოდა, 1968 წელს ამ რიცხვმა 500000 გადააჭარბა"[5].

ჰიპებს ბიტნიკების მსგავსად ჰქონდათ თავიანთი მუსიკა. თუ ეს უკანასკნელნი სულიერ საყრდენს „ბოპის" სტილის ჯაზში ნახულობდნენ, 60-იანი წლების თაობამ თავიანთ მუსიკად როკი - „მეამბოხეთა მუსიკა" აირჩია. ერთ-ერთი რუსი სოციოლოგის მართებული შენიშვნით, „როკ-მუსიკა გახდა უპირველეს ყოვლისა, ყველაზე ზუსტი ანარეკლი კონტრკულტურისა, მთელი თავისი იდეოლოგიით, ფასეული პრინციპებით". აი, რას სწერდა სხვა რუსი ავტორი „დაბადება არის სიყვარულის ნაყოფი. როკ-მუსიკა დაიბადა განდევგილად, სიძულვილის ნაყოფად"[6]. 60-იანი წლების როკ-მუსიკა იყო ახალგაზრდების ამბოხის სარკე და ასახავდა მის წინააღმდეგობას და განსხვავებულ ხასიათს."[7]

ამ მოძრაობამ თავის აპოგეას 1969 წელს ვუდსტოკში მიაღწია, როდესაც ფესტივალი მოეწყო და ჰიპებმა იქ მოიყარეს თავი. 70-იანი წლების დასაწყისიდან დაიწყო ჰიპური მოძრაობის შესუსტება, რაც აშშ-ში „კომუნების" შემცირებაშიც აისახა. ამას თავისი მიზეზები ჰქონდა, კერძოდ 1968 წელს სახელმწიფოს სათავეში ნიქსონი მოდის, რომლის მიერ გატარებულმა საშინაო, თუ საგარეო რეფორმებმა მნიშვნელოვანი გარდატეხა და სასიკეთო ცვლილებები მოიტანა. მართლაც, 1972 წელს ინფლაციის ტემპმა საგრძნობლად იკლო, ეკონომიკაც გამოცოცხლდა და უმუშევრობაც შემცირდა. 1968 წელს დაიწყო მოლაპარაკება ვიეტნამის ომის შეწყვეტის შესახებ, რომელიც 1973 წელს პარიზში ჩრდილოეთ ვიეტნამთან სამშვიდობო ხელშეკრულებით დასრულდა[8]. 1970–1971 წლებში ჰიპების ლიდერთა რიგებს გამოაკლდნენ ჯიმი ჰენდრიქსი, ჯენის ჯოპლინი, ჯიმ მორისონი. ამან მნიშვნელოვნად შეასუსტა მათი რიგები. როკ-მუსიკა კომერციული გახდა[9], თვითონ ჰიპების ცხოვრების წესი, სტილი საზოგადოებისთვის უკვე არც ისე ამაზრზენი და მიუღებელი იყო, როგორც ცოტა ხნის წინ. გრძელი თმები და ჯინსები, რომლის მიმართაც აშშ-ის საზოგადოება აღშფოთებას ვერ მალავდა, თანდათან მისაღებად იქცა. 1970-იანი წლების დასაწყისში ატომური საშიშროების საფრთხე მოისპო. ჰიპებმა პესიმისტურად დაუწყეს ყურება თავის მოძრაობას, რაც კარგად აისახა თეოდორ როზაკის სიტყვებში „უდაბნო იყო ჩვენს შიგნით და ირგვლივ, ჩვენ არ გვეყო სიმამაცე შეგვეცვალა რამე სამყაროში, ბოლოს და ბოლოს ბევრი ჩვენგანი ჩაეფლო ანაბიოზში იმ იმედით, რომ გაღვიძებულნი ერთ მშვენიერ დღეს აღმოაჩენენ, რომ სამყარო გახდა უკეთესი"[10].

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Феофанов Ол., Налоев Ал. Бунтари и конфромисты. М.,1989, ст.9.
2. Набок И. Рок музыка, эстетика и идеология. М., 1987, ст. 24.
3. Феофанов Ол., Налоев Ал. указ. соч., ст 12.
4. История Дипломатии Том V М. 1979. ст.271.
5. История Дипломатии Том V М. 1979. ст.256.
6. Набок И. Рок музика, эстетика и идеология. М. 1987. ст. 20.
7. Корзун Н. Рок, игры, мода и реклама. М. 198 ст.6.
8. История Дипломатии Том V М. 1979. ст.271.
9. სონღულაშვილი ავთ. ჰიპები, პანკები... თბ. 1996 გვ.28.
10. Козлов А. Рок музика, истоки и развития. М. 1981 ст.20.

**ფერიდე ზურიკაშვილი**
*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გეოგრაფიის კათედრის პროფესორი*

# ფემინიზმის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები

სქესის კვლევის სფეროში პრინციპულად ახალი მეცნიერული პარადიგმების წარმოშობაში გადამწყვეტი როლი ითამაშა სოციოკულტურული განვითარების ალტერნატიულმა ფილოსოფიურმა კონცეფციამ – ფემინიზმმა, რომელიც როგორც სოციალურ-პოლიტიკური აზროვნების მიმართულება წარმოშობიდან იმყოფება სხვადასხვა ფილოსოფიური, ანთროპოლოგიურ–სოციოლოგიური და პოლიტიკური თეორიების მუდმივი და წინააღმდეგობრივი გავლენის ქვეშ. ამ პერიოდში ის იძენდა კონსერვატიზმის და ლიბერალიზმის, უტოპიური სოციალიზმისა და მარქსიზმის, ნეოსოციალიზმისა და ნეომარქსიზმის, ეკოლოგიზმისა და პოსტმოდერნიზმის დადებით და უარყოფით თვისებებს.

ცალკეულ ქვეყანაში ფემინიზმის განვითარების საქმეში დიდი როლი ითამაშა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონემ, ქვეყანაში არსებულმა პარტიულმა სისტემებმა, პროფკავშირების სიძლიერემ, აღმასრულებელი ხელისუფლების, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების თავისებურებებმა, მოსახლეობის განათლების დონემ და სხვა ფაქტორებმა. ფემინიზმს ქალთა მოძრაობის განვითარება მოჰყვა. ქალთა მოძრაობამ კი, თავის მხრივ მრავალ ქვეყანაში მოახდინა ფემინიზმის პოლიტიზაცია. გამოყოფენ ფემინისტური მოძრაობის რამდენიმე მოდელს: ამერიკული, ქალთა მოძრაობის ზეწოლის ჯგუფის; მემარცხენე იდეოლოგიის მქონე ბრიტანული ფემინიზმის; შვედური – სახელმწიფო ფემინიზმის; გერმანული – შერეული ტიპის; პარტიებზე ორიენტირებული ფრანგული მოდელი.

ქალთა ფემინისტური მოძრაობის ამერიკული მოდელი ემყარება დეცენტრალიზებულ, პლურალისტურ და ღია პოლიტიკურ სისტემას, სადაც სამართალი ორიენტირებულია მოქალაქეთა ინდივიდუალური უფლებების დაცვაზე, პარტიები და პროფკავშირები შედარებით უფრო ნაკლებ როლს თამაშობენ, ვიდრე ევროპის ქვეყნებში.

ქალთა ზეწოლის ჯგუფის მოქმედების შემდეგი ფორმებია: ა) მიტინგების, მარშების, დემონსტრაციების მოწყობა პროფესიონალ ქალთა მიერ; ბ) სამოქალაქო უფლებების დასაცავად სასამართლოს სფეროში მუშაობა; გ) ლობირება: სპეციალიზებული, საკანონმდებლო პროექტების წარდგენა, არსებული კანონმდებლობის ექსპერტიზა; დ) ლიდერების მომზადება და მათი განათლება (სემინარები, ლექციები, ტრეინინგები და სხვ.).

ბრიტანულმა ფემინიზმმა ვერ მიაღწია განვითარების აშშ-ის დონეს თავისი მასშტაბურობით და პოლიტიკური შედეგებით. ამ მოდელს ახასიათებს ფრაგმენტაცია და იდეოლოგიური ენთუზიაზმი. მისი მუშაობა აქტიურია პარტიის და პროფკავშირების ფარგლებში და უფრო მეტი მიღწევები აქვს შემეცნების განვითარებაში, ვიდრე პოლიტიკური სისტემის დონეზე. ამას თავისი ახსნა აქვს. ბრიტანულ ფემინისტურ დაჯგუფებებში ყურადღება ძირითადად გადატანილი იყო ცხოვრების სტილის შეცვლაზე, რისთვისაც 60–იანი წლების ბოლოდან წარმოიშვა მრავალრიცხოვანი კრიზისული ცენტრები, კლინიკები, ცალკეული

პროფესიის ქალთა გაერთიანებები. ბრიტანეთის პოლიტიკური სისტემები უფრო მეტად დახურულია,რაც გარკვეულად 'სღუდავს ლობირების შესაძლებლობებს, მით უმეტეს, რომ ბრიტანეთში რესურსების ნაკლებობა იგრძნობა.

ბრიტანეთის პოლიტიკური სისტემა ცენტრალიზებულია და უფრო მეტად ტრადიციული. პოლიტიკა ნეოკორპორატიულობის, ეკონომიკური ჯგუფების ზეწოლის გავლენით მუშაობს. პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტაში პარტიები წარმოადგენენ მთავარ სუბიექტებს. სასამართლოები უფრო მეტად გამოხატავენ სახელმწიფოს ინტერესებს, ვიდრე ინდივიდუალურ უფლებებს.

სახელმწიფო ფემინიზმის მოდელი შვედეთში განვითარდა. ამ ქვეყნის პოლიტიკური სისტემა კონსენსუსის მოდელს წარმოადგენს, რომელიც ითვალისწინებს მოქალაქეთა ინტერესებს. თვით სახელმწიფო პოლიტიკაში დევს ქალთა თანასწორუფლებიანობის საკითხი, ამიტომ ქალთა ორგანიზებული მოძრაობა არ არსებობს. სამაგიეროდ, სახელმწიფო ინსტიტუციაში არსებული კომისიები ფართოდ თანამშრომლობენ სამოქალაქო საზოგადოებასთან. ქალთა ტრადიციული მოძრაობა ძირითადად განვითარდა პარტიებში, პოლიტიკურ ინსტიტუტებში, ალტერნატიულ სტრუქტურებში, პროფკავშირებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებში. მთავრობა ქალთა საკითხებზე რეაგირებას ახდენს ზეწოლის გარეშე.

ფრანგული ფემინიზმის მოდელი ორიენტირებულია პარტიებზე. აქცენტი გადატანილია არჩევნებზე. ქალთა მოძრაობა სუსტი და დისპერსულია. ტენდენციურად ეყრდნობიან მემარცხენეებს (სოციალისტური პარტია). მოძრაობა აქტიურ საქმიანობას ეწევა პარტიულ სფეროში. ლობირებას არ მოაქვს შედეგები, თანაც ხელს უშლის მოძრაობის განვითარებას, ხშირად რეპრესიული მეთოდებითაც, ამიტომ მოძრაობა ვითარდება პარტიის შიგნით.

გერმანული ფემინიზმი ორიენტირებულია პარტიებზე, არაფორმალურ მოქმედებისა და ინტერესების ჯგუფზე. გერმანიაში არსებობს ქალთა ძლიერი მოძრაობა განვითარებული ინფრასტრუქტურით. დასაწყისში ჭარბობდა არასამთავრობო ორგანიზაციები, შემდეგ ჩამოყალიბდა სტრუქტურირებული ორგანიზაციები, მომდევნო ეტაპზე გამოჩნდა ინტერესთა ჯგუფები, რომლებიც დაკავდნენ ლობირებით. გერმანიის ქალთა მოძრაობას აქვს დეცენტრალიზებული სტრუქტურა. პარტიებსა და პროფკავშირებში ქალთა ორგანიზაციები არ არის ინტეგრირებული ერთიან მოძრაობაში, მაგრამ თანამშრომლობენ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. გერმანიის სახელმწიფო სტრუქტურების უნარი განახორციელონ ესა თუ ის პოლიტიკა შეგვიძლია შევაფასოთ, როგორც საშუალო ხარისხის (დონის) (საფრანგეთისაგან განსხვავებით, სადაც მაღალი ხარისხია, აშშ–ში დაბალი). საზოგადოების მიღწევადობა გადაწყვეტილების მიღებაზე ხასიათდება საშუალო დონით (ნაკლები ვიდრე აშშ–ში, მეტი ვიდრე საფრანგეთში) ოპოზიციური მოძრაობები ძალზედ სუსტია, ფუნქციონალურ სუბსტიტუტად გამოდიან კონსერვატიული პარტიები. საზოგადოებრივ მოძრაობას შეუძლია იმუშაოს ყველა სფეროში, ამიტომ მრავალსტრუქტურულ მოდელს ქმნის.

ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებაში პოსტინდუსტრიული ქვეყნების გარდა დიდი წვლილი მიუძღვის საერთაშორისო ორგანიზაციებს. თვით გაეროში არსებობს სპეციალური სამსახურები, რომლებიც ამ მიმართულებით საქმიანობენ. თავისი არსებობის პირველ ეტაპზე (პირველი სამი ათწლეულის განმავლობაში) გაეროს საქმიანობა მიმართული იყო ოფიციალური დოკუმენტაციის შემუშავებაზე, რომელიც ეხებოდა ქალთა იურიდიულ და სამოქალაქო უფლებებს, მის პრაქტიკულად განხორციელების შეფასებას. მეორე ეტაპი მიეძღვნა ახალი სტრატეგიების ძიებას

ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, რაც გამოიხატა საერთაშორისო კონფერენციების ჩატარებასა და კონკრეტული სამოქმედო გეგმების შემუშავებაში.

ქალთა მდგომარეობის კომისია შეიქმნა ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოსთან 1946 წლის 21 ივნისის მე–11 რეზოლუციის საფუძველზე, რომელიც მიზნად ისახავდა ქალთა უფლებების სფეროში საბჭოსთვის მოხსენებებისა და რეკომენდაციების მომზადებას. მისი მანდატი საბჭომ გააფართოვა 1987 წლის 1987/22 რეზოლუციით. 1995 წლის პეკინის კონფერენციის შემდეგ გენერალურმა ასამბლეამ დაავალა კომისიის კონფერენციის პროგრამის განხორციელებაზე მონიტორინგი და გენდერის დანერგვა გაეროს საქმიანობაში. კომისიის მუშაობა შეფასებული იქნა გენერალური ასამბლეის სპეციალურ სესიაზე, რომელიც „პეკინი +5" -ის სახელწოდებით არის ცნობილი. კომისიის მიმდინარე და მომავალი მუშაობა განსაზღვრულია 2002–2006 წლების სამუშაო გეგმაში.

მეხიკოს კონფერენცია ჩატარდა 1975 წელს. ეს წელი გამოცხადდა ქალის საერთაშორისო წლად. მიზანი მდგომარეობდა: ქალთა დისკრიმინაციის პრობლემისადმი ყურადღების მიპყრობაში, რადგან ეს პრობლემა – ქალთა დისკრიმინაცია – გადაუწყვეტელი რჩებოდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ამ კონფერენციის ინიციატივით და მოთხოვნით გაერომ შემდგომი ათწლეული ქალთა ათწლეულად გამოაცხადა.

1975 წლის მსოფლიოს კონფერენციას შედეგად მოჰყვა კონკრეტული ნაბიჯები. გაეროში შეიქმნა ორი ორგანო UNIFEM და INSTRAW. გაეროს ქალთა განვითარების ფონდი (UNIFEM) დააარსა გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1976 წელს, ქალთა პროგრამების განვითარების მხარდასაჭერად.

ამჟამად UNIFEM–ი მუშაობს 10 მუდმივ ოფისში. მისი პრიორიტეტული სფეროებია: ვაჭრობა და მრეწველობა, კრედიტი, მეცნიერება და ტექნოლოგია, სოფლის მეურნეობა და სურსათის უსაფრთხოება, პოლიტიკის შექმნა და ნაციონალური დაგეგმვა.

გაეროს ქალთა წინსვლის კვლევისა და ტრეინინგის საერთაშორისო ინსტიტუტი (INSTRAW) 1975 წელს დააარსა გაეროს გენერალურმა ასამბლეამ, ქალთა მსოფლიო პირველი კონფერენციის რეკომენდაციით, როგორც ავტონომიური ერთეული გაეროს სისტემის შიგნით. მას მიეცა მანდატი ჩაეტარებინა კვლევა, ტრეინინგები და საინფორმაციო სამუშაოები ქალის, როგორც მდგრადი განვითარების ცენტრალური აგენტის შესახებ. ეს ინსტიტუტი განთავსდა დომინიკის რესპუბლიკაში ქ. სანტა დომინგოში.

ქალთა მდგომარეობის შესახებ მეორე მსოფლიო კონფერენცია ჩატარდა კოპენჰაგენში 1980 წელს, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენდა 1975 წლის კონფერენციაზე მიღებული სამოქმედო გეგმის შესრულების ანალიზი და შეფასება. გაეროს 145 წევრი ქვეყნის წარმომადგენელი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ უმნიშვნელოვანესი პროგრესი იქნა მიღწეული ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხში.

მესამე მსოფლიო კონფერენცია ქალთა მდგომარეობის შესახებ ჩატარდა 1985 წელს ქ. ნაირობიში, რომელმაც შეაფასა ქალთა ათწლეულის მიღწევები. ფორუმზე აღინიშნა, რომ კონფერენციამ სათავე დაუდო „მსოფლიო ფემინიზმის განვითარებას".

მიუხედავად იმისა, რომ მეხიკოს და ნაირობის კონფერენციებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქალთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, მაინც უყურადღებოდ რჩებოდა სქესობრივი უთანასწორობის სტრუქტურული საფუძვლები: დადგა ქალთა უფლებებისა და შესაძლებლობების გაფართოების საჭიროება, რათა მათ შეძლებოდათ თავიანთი პრიორიტეტებისა და ღირებულებების წინ წამოწევა მამაკაცებთან თანაბარ პარტნიორულ და, გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე.

ქალთა დისკრიმინაციის სალიკვიდაციო კომიტეტი ჩამოყალიბდა 1993 წლის დეკემბერში იმავე წლის მარტის გენერალური ასამბლეის მიერ ქალის წინააღმდეგ მიმართული დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ კონვენციის (CEDAW) (ან ე.წ. „ქალთა კონვენციის") მიღების შემდეგ. კომიტეტის მიზანია ქალთა კონვენციისადმი შესაბამისობაზე მონიტორინგის ჩატარება. კომიტეტი შედგება 23 ექსპერტისაგან. ექსპერტებს ირჩევენ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები 4 წლის ვადით.

გადაწყვეტილების პროცესში ქალების მონაწილეობის აუცილებლობის აღიარებას მიეძღვნა გაეროს რამდენიმე კონფერენცია, რომელიც ჩატარდა განვითარების სხვადასხვა ასპექტების მიხედვით: გეოგრაფიული გარემოს (1998), ადამიანის უფლებების, (ვენა 1999) ხალხთმოსახლეობის და სოციალური განვითარების (კაირო) განხრით (1994).

გენდერული თანასწორობის ბრძოლის საქმეში დიდი როლი მიუძღვის 1995 წელს ქ. პეკინში ჩატარებულ მსოფლიოს კონფერენციას. ამ კონფერენციაზე ქალების ყურადღება მიპყრობილი იქნა სქესის კონცეფციაზე, საზოგადოების სტრუქტურისა და ქალებსა და მამაკაცებს შორის ურთიერთობების გადაფასებაზე. მხოლოდ საზოგადოების და ინსტიტუტების ფუნდამენტალური რესტრუქტურიზაციის საფუძველზე იყო შესაძლებელი ქალებისთვის, ყველა სფეროში, მამაკაცებთან თანაბარი პარტნიორის რანგში მუშაობა.

კონფერენციის მონაწილეებმა ერთხმად მიიღეს პეკინის დეკლარაცია და მოქმედების გეგმა, რომლებიც აფართოებდა ქალთა უფლებებსა და შესაძლებლობებს XXI საუკუნის მიჯნაზე.

პეკინის კონფერენციის შემდეგ გაეროს ქალთა მდგომარეობის კომისია ახორციელებდა: კონტროლს ქვეყნების მიერ მოქმედების გეგმის უმნიშვნელოვანესი პუნქტების შესრულების საკითხებზე. განხილული იქნა ნაციონალური პროგრამები, რომლებიც მომზადდა გაეროს 116 წევრი და 2 დამკვირვებელი ქვეყნის მიერ, ჩატარდა 5 რეგიონული შეკრება ბანკოკში (1999 წლის სექტემბერი), ადის აბებაში (1999 ნოემბერი), ბეირუთში (1999, დეკემბერი). ჟენევაში (2000, იანვარი), ლიმაში (2000 თებერვალი).

გაეროს გენერალური ასამბლეის სპეციალური სესია „ქალები 2000 წელს", „თანასწორობა ქალებს და მამაკაცებს შორის", „განვითარება და მშვიდობა 21-ე საუკუნეში", ცნობილი „პეკინი+5" სახელწოდებით ჩატარდა 2000 წლის 5–9 ივნისს, რომელმაც განიხილა გენდერული თანასწორობის რეალიზაციის საკითხი და დასახა ამოცანები მომავალი მუშაობისთვის.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Теория и история феминизма, Под. ред. И. Жеребкиной, Харьков, 1996.
2. Теория и методология гендерных исследований: Курс лекций под. ред. О. Ворониной, М., 2001.
3. Введение в гендерные исследования: (Учеб. пос.) под ред. И. Жеребкиной, С. Пб, 2001.
4. Judith Lorber, Paradoxes of Gender, Yale, UN, Press, 1994.
5. Modern Feminism, ed. by Maggie Humm, Columbia Un., 1992.
6. Feminist Legal Theory, Foundation. ed. by D. Kelly Weisberg, Temple Un. Press, 1993.
7. Penny A. Weiss Conversations with feminism, N.Y., 1998.

**ირმა კეცხოველი**
*საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ.ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი*

# ამერიკელი ქალი და კულტურათა ინსტიტუტი

ახალ კონტინენტზე დამკვიდრებიდან მოყოლებული დღევანდელ დღემდე, აშშ-ში მცხოვრებმა ქალებმა თავისი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს. მათ მონაწილეობა მიიღეს სირთულეთა დაძლევის პროცესებში, აქტიურად მონაწილეობდნენ პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში. ამერიკის კონტინენტი სხვადასხვა ქვეყნების ერთობლიობაშიც წარმოადგენს საინტერესო კულტურათა კონგლომერატს, რამაც შესაძლებელი გახადა დიდი გამოცდილებისა და ისტორიის მქონე ქვეყნების გვერდით აშშ კიდევ უფრო მეტად წარმოჩენილიყო. რაც შეეხება თანამედროვე ცხოვრების წესს, რომელშიც რეალურად აისახა რელიგიური, პოლიტიკური, სოციალური ძვრები და სხვა, ეს გზა ამერიკამ აღმავლობით გაიარა.

როდესაც სახელმწიფო მანქანის დემონტაჟი ხდება, იწყება ახალი საფეხური – ამას ქვეყნის შენება ეწოდება. ეს პროცესი წლების მანძილზე პრობლემურად ვითარდება. რაც შეეხება კულტურათა სისტემებს, ისინი ავსებენ იმ ვაკუუმს, რომელიც არსებობს მდგრადი ცხოვრების წესის შესაქმნელად. ეს სისტემები ახალი ცხოვრების წესის დამკვიდრების პერსპექტივას იძლევა.

ამერიკული ცხოვრების წესი ემყარება უკვე საკმაოდ მტკიცედ ჩამოყალიბებულ ფსიქოლოგიურ კლიმატს, რომელიც დაფუძნებულია სოციალურ-ეკონომიკურ, სამხედრო-პოლიტიკურ, რელიგიურ-იდეოლოგიურ ფორმებზე. ამ კონგლომერატის ჩამოყალიბებაში და სამართლებრივი საზოგადოების გამთლიანების პროცესში ორგანიზატორულ ბირთვად და, საკუთრივ, ორგანიზატორად გვევლინება მამაკაცი, რომელიც გამოიკვეთება როგორც სახელმწიფო მოღვაწე, ლიდერი. იგი კროსკულტურული გამოკვლევების დროსაც ინარჩუნებს სქესთა შორის კონვერგენციულობას. მამაკაცისა და ქალის ურთიერთობათა კვლევის პროცესი საშუალებას გვაძლევს ვაწარმოოთ კულტურათა სისტემების შეჯერება დროთა და ფორმაციათა ცვლის პროცესში.[1]

მხოლოდ ერთი შეხედვით გვგონია, რომ მამაკაცისა და ქალის აზროვნება, საქმიანობის ფორმები და ქცევის ნორმები ბუნების მიერაა განსაზღვრული. თუ მათ გავაანალიზებთ, აღმოჩნდება, რომ სოციალურ-კულტურული სფეროს გარეშე ვერც ქალი და ვერც მამაკაცი ვერ იარსებებს. ქალურობის და მამაკაცურობის კონსტრუირება ხდება სპეციალურ კულტურულ გარემოში: ეთნიკური, კლასობრივი, ასაკობრივი, საოჯახო და სხვა ძირითადი ფაქტორების გავლენით. ის, რაც ბუნებრივად გვეჩვენება, ხშირად კულტურის მიერაა წარმოქმნილი. სექსუალობას ვერ გამოვხატავთ მხოლოდ ბიოლოგიური ტერმინით. ის არ არის ინსტინქტების სფერო. ის არის კულტურამდელი ფიზიოლოგიური უნარი. სხვანაირად რომ ვთქვათ, სექსუალობა კონსტრუირდება საზოგადოებაში. სქესს აქვს ისტორია და თავისი გეოგრაფია. მიუხედავად იმისა, რომ ფიზიოლოგიური განსხვავება წინ

უსწრებს ბევრ მოვლენას, მაგალითად, სოციალურ განსხვავებას, მთავარია ის, თუ როგორ სარგებლობს კულტურა ბიოლოგიური საწყისით, როგორ ახდენს მის ინტერპრეტაციას, როგორ რთავს ძალაუფლებრივი ურთიერთობების თამაშებში.

რას წარმოადგენს დღეს ამერიკელი ქალი, ან ქალი ამერიკაში, ყველა იქ არსებული და და მახასიათებელი თავისებურებებით? ჩვენი აზრით, იგი საკმაოდ მაღალი სტატუსის მქონეა. ქალმა მოიპოვა იურიდიული თანასწორობა და პოლიტიკურადაც მობილიზებულმა, სხვებთან შედარებით უფრო გვიან, მაგრამ ადვილად გაიარა მთელი თავისი სოციალური ისტორია და დაიმკვიდრა ახალი ადგილი კულტურათა სისტემებში, თუნდაც ტრანსფორმაციის ხარჯზე. იგი არ გახდა კულტურული მოდელის ჩამოყალიბების პროცესში თანამედროვე ცხოვრების ხელქვეითი.

კულტურათა სისტემების პროცესი, ჩვენი აზრით, უსასრულოა. ამ საინტერესო და რეფორმატორული ხანგრძლივობის სივრცეში ქალის ფსიქოლოგიური, ფიზიოლოგიური და ზნეობრივი „აკუსტიკა“ ხშირად სცილდება საზღვრებს, ასე ვთქვათ, ცნობილ ნორმატივებს. იგი საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბდა ქალთან მიმართებაში და გამოიხატა მისი ორმაგი როლით საზოგადოებაში, ჩვენი აზრით, „სამმაგი“ როლითაც, რომელიც გულისხმობს ცნებებს: ქალი-ოჯახი, ქალი-საზოგადოება და ამ ორი ბირთვის დამაკავშირებელი – ქალი-ორგანიზატორი.

ამერიკელი მკვლევრები, ისტორიკოსები, სოციოლოგები, ანთროპოლოგები, ფილოსოფოსები და სხვები, კულტურათა სისტემებში აყალიბებდნენ ქალის მოდელს, რომელიც კონტრასტულად უკავშირდებოდა სოციალურ ღირებულებებს. მაგალითად, ამ თეორიის „შემქმნელი“ პ.სენდი მიგვითითებს, რომ მითოლოგიის და რელიგიის სიმბოლიკის ანალიზის დროს უმთავრესი ადგილი უჭირავს ქალის საზოგადოებრივი მდგომარეობის გარკვევას. XX საუკუნის 80-იანი წლების კვლევის ტენდენციები ძირითადად უკავშირდებოდა იმ მახასიათებლებს, რომლებიც ქალის პრობლემათა კვლევაში, ძირითადად წარმოადგენდა ანთროპოლოგიური კვლევის მიმართულებას. საინტერესოა, აგრეთვე, კ.უაიტის, შ.ორტნერის და სხვათა გამოკვლევები, რომლებიც კულტუროლოგიური კვლევის მიმართულებით აპელირებენ ისტორიულ-კულტურულ მიდგომას ფართო დიაპაზონით. ისინი ცდილობდნენ კროსკულტურული შეთანწყობის წარმოდგენებით გვარისა და სქესის მთელი რიგი საერთო მახასიათებლები გამოემზეურებინათ. აქ, პირველ რიგში, შეიძლებოდა დაენახათ უნივერსალური დიხოტომიის „ბუნება-კულტურა“, რომელშიც „მამაკაცის სახე“ ემყარება „ბუნების“ ოპოზიციურ გაგებას, ხოლო „ქალის სახე“ შეიცავს ორივე ელემენტს. განსხვავებული მიდგომა აქვს შ.ორტნერს, რომელიც მითოლოგიაში რიტუალური სიმბოლიკის რიგში საზოგადოების ერთობლიობას სისტემებით ახასიათებდა, სადაც კატეგორია „კულტურა“, საზოგადოებისათვის მამრობითი სქესით ასოცირდება, ხოლო თავისი მნიშვნელობით და ღირებულებებით ასოცირდება ქალის გაგებასთან - „ბუნება“. ამ თვალსაზრისით, ის შედის იერარქიული ზეგავლენების სფეროშიც. ს.როჯერსი აღნიშნავს, რომ დასავლეთსა და, საერთოდ, ამერიკულ საზოგადოებაში შეიქმნა ქალის განსხვავებული სტერეოტიპი,რომელმაც კეთილშობილური ზემოქმედება მოახდინა მამაკაცის ანტისოციალურ ქმედებებზე (მაგალითად, თავაშვებულობაზე).

„ბიოპვეისტების“ კვლევითი მიმართულების ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ი. ბრაუნმა, კროსკულტურული ანალიზით შეაფასა ამერიკელი ქალის სამეურნეო მოღვაწეობა. ბრაუნი ახასიათებს და თვლის მას უპირატეს საქმიანობად, რომელიც

გულისხმობს ძირითად დასაქმებას სურსათ-სანოვაგის ორგანიზებაში, მის საქმიანობას ბავშვების მოვლაში. ამავე დროს, ქალს შეუძლია, საქმეები გადააბაროს სხვას და დასაქმების სხვა ფორმებთან ერთად შეასრულოს აგრეთვე პრესტიჟული საქმე, რომელსაც მამაკაცი უძღვება.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ბევრჯერ იყო მცდელობა შეეცვალათ, ან გარდაექმნათ ქალების ცხოვრების წესი რეფორმების გზით. ჩვენ ვიცით, რომ მაგალითად, ძველ ცივილიზაციებში შექმნილი ჰქონდათ რამდენიმე კულტურული მოდელი. ცნობილი იყო, რომ შუმერული კანონების მიხედვით, დედა და მამა შვილთან ერთად თანასწორი უფლებებით სარგებლობდნენ. ჰამურაბის კანონის მიხედვით, თავისუფალი ქალისა და მონა-მამაკაცის შთამომავლობა თავისუფალი იყო – შვილები დედას ეკუთვნოდა. წინაბერძნული მინოსური საზოგადოება თავისი რელიგიური და სოციალური სტრუქტურით „ფემინისტური" იყო. მინოსური პანთეონის უზენაესი ღვთაება დიდი დედა – ქალღმერთი იყო. ცნება „Pax Minoica" („მინოსური მშვიდობა"), გამორიცხავდა ომებს, სისხლისღვრებს. საერთოდ მაღალგანვითარებული კულტურისთვის უცხო იყო ძალადობა და ომი, ვინაიდან მინოსური იდეოლოგია, რომელსაც მდედრი აკონტროლებდა, ეწინააღმდეგებოდა მამაკაცის აგრესიულ ფსიქიკასა და პოლიტიკას. რა თქმა უნდა, კულტურათა ინსტიტუტის დადგენისთვის შესაძლებელია ძველი მითოლოგიისა და ისტორიის მაგალითი არ გავიზიაროთ, მაგრამ, ჩვენი აზრით, მასში რეალური წარმოსახვის მარცვალი ურევია, განსაკუთრებით, მშვიდობიანი ცხოვრების და თანაარსებობის წესისათვის.

რა თქმა უნდა, სასურველია ცხოვრებისეული რეალობიდან გამომდინარე შეიქმნას ისეთი სოციო-კულტურული მოდელი, რომელიც „საკუთარ" საზოგადოებას უფრო სრულყოფილს შექმნის და მნიშვნელოვნად მოაწესრიგებს, უზრუნველყოფს თავისი ქვეყნის მოქალაქეთა ცხოვრების წესს და დონეს. და აი აქ, ამ მნიშვნელოვანი საკითხების მოწესრიგებაში ერთ-ერთი ძირითადი ადგილი უკავია ქალს: საზოგადოებაში, კონკრეტულ სახელმწიფოში, კონკრეტულ ქვეყანაში, ქალაქში, სოფელში, დასახლებაში და, რაც მთავარია, ოჯახში. მაგალითად, ამერიკული საზოგადოება და სამეცნიერო წრეები თვლიან, და ჩვენც ვიზიარებთ, რომ ქალი – ოჯახში, პოლიტიკაში, კულტურაში და ა.შ. უნდა იყოს დატვირთული და ღირსეულად უნდა უძღვებოდეს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. მაგრამ, ეს არ უნდა წარმოადგენდეს მხოლოდ ერთი პირის, ცოლ-ქმრის, ან ოჯახის ზრუნვის საგანს. საზოგადოება თანაბრად მიიჩნევს სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ ღირებულებების სინთეზს ცხოვრების წესის შესაქმნელად. ეს იქნება ქალის პოლიტიკური როლი, თუ ქალური ფასეულობები – დედობა, დასაქმება, ყველაფერი ეს ტრადიციულად გამოიყურება მაგრამ ასოცირდება როგორც საზოგადოების დონის მახასიათებელი. რამდენადაც ცნობილია, ამერიკელი ქალი თავისი მოღვაწეობის მანძილზე ბევრ წინააღმდეგობას აწყდება. ზოგჯერ მიდიან იმ დასკვნამდე, რომ ქალები, სოციალური გარემოს გათვალისწინებით, მიდრეკილნი არიან მარტივი მიზნებისკენ. მართალია, საზოგადოება თავისი კულტურული ტრადიციებით დახუნძლულია, მაგრამ აქაც, ქალი შესაფერის უნარჩვევებს ამჟღავნებს. აქედან გამომდინარე, ქალის შრომის მოტივაცია, ღირებულებითი ორიენტირები და ინდივიდუალური თვისებები, აგრეთვე შესაძლებლობებიც, შეიძლება სხვადასხვა იყოს. როდესაც ფემინიზმმა ამერიკასა და ევროპაში სხვადასხვა დარგები მოიცვა, საკითხის კონცეპტუალური სტრუქტურა მეტად რთული და არაერთგვაროვანი

აღმოჩნდა. მათ შორის შეიქმნა მოდელი „დომინანტურობის“ სახელწოდებით, „იგივეობა-განსხვავებულობის“ მოდელი. ცნობილი იყო აგრეთვე „პოსტმოდერნისტული ლეგალური ფემინიზმი“ და სხვა.

რაც შეეხება XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისს, იმ ძვრების მიხედვით, რომლებიც ხდება სახელმწიფოთა თანაარსებობის, კულტურათა სისტემების დაახლოების მცდელობაში, შესაძლებლობა გვეძლევა გავაანალიზოთ თანამედროვე საზოგადოების კულტურათა სისტემების ის მონაპოვარი, რომელიც დაგვიტოვა კაცობრიობის ისტორიამ და რომლის მიწყობაშიც უდიდესი წვლილი შეიტანა ქალმა. ის ნორმატიული აქტები, კონვენციები, ხელშეკრულებები და სხვა, რომლებიც სახელმწიფოთა შორის საშინაო და საგარეო პოლიტიკას ეხმაურება, მნიშვნელოვნად უნდა იყოს განსაზღვრული დებულებებით, სადაც უფრო მკაფიოდ განისაზღვრება „ქალი-ბუნება“, „ბუნება-ქალი“.

მართალია, კულტურათა სისტემების რიგი აშშ-ს არ გაუვლია ისტორიული ფორმულით, მან საპასუხოდ თანამედროვე კულტურათა სისტემაში შექმნა ქალის ღირებულებითი ფენომენი, რომელმაც საკმაოდ მყარი ადგილი დაიმკვიდრა ამერიკულ საზოგადოებაში, შექმნა შრომისა და მოღვაწეობის ტრადიციული სამყარო. ხოლო, რაც შეეხება, ამერიკის ეთნოსთა ერთობლიობას, მეცნიერებს მისცა საშუალება, რათა ისტორიულ-ეთნოლოგიურ, სოციოლოგიურ, ფილოსოფიურ, ანთროპოლოგიურ ჭრილში შეაჯერონ ის უდიდესი ღვაწლი, რომელიც ქმნის თანამედროვე კულტურების სისტემას საზოგადოებაში, რომელიც პრიორიტეტულია სხვა ქვეყნების ცხოვრების წესისათვისაც. აქედან გამომდინარე, ასეთი საზოგადოება ყველა ზემოაღნიშნული ატრიბუტიკით, მეორეხარისხოვანი ფუნქციის მატარებელი არასოდეს იქნება.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. „კულტურა როგორც ფილოსოფიური კვლევის საგანი“. თბილისი, 1997. გვ.37.
2. „კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა“, თბილისი, 1997. გვ.37
3. Ortner S., „Is Female to Male as Natue is to Culture?“, Women, Culture and Society, Stanford, 1974. p. 67-88
4. Rogers S.C., Woman's Place: a Critical Review on Anthropological theory, Comparative Studies in Society and History. New York. 1978. Vol. 20, #1. p.123-162.
5. ე. ავალიანი, „კულტურების სივრცესა და დროში ტრანსფორმაციის ფენომენი (ძველი ცივილიზაციები)“. თბილისი, 1997. გვ.1-2.

**გია ლილუაშვილი**
*იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი,*
*საერთო სამართლისა და დემოკრატიის*
*საერთაშორისო ცენტრის დირექტორი*

# აშშ-ის სამოქალაქო საპროცესო სამართლის ზოგიერთი საკითხი

თუ გადავხედავთ ამერიკის სამართლის ისტორიას მე-17 საუკუნიდან დღემდე, დავინახავთ, რომ ამერიკის სამართალი დამოუკიდებლად ვითარდებოდა და ვითარდება. მიუხედავად იმისა, რომ იგი მიეკუთვნება ინგლისური სამართლის სისტემას, მაინც ბევრი თვისებითა და თავისებურებებით განსხვავდება მისგან. შეიძლება ამის ერთ-ერთი მიზეზი იყოს ის, რომ ამერიკაში ინგლისელებთან ერთად, ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასული პირები ცხოვრობენ, რომლებმაც სამართლის სფეროში თავიანთი ცოდნა და გამოცდილებაც შეიტანეს.

ასეა თუ არა, ფაქტია, რომ ინგლისური სამართლის ცოდნა არ ნიშნავს ამერიკული სამართლის ცოდნას და პირიქით, რასაც ვერ ვიტყოდით ავსტრალიის ან ახალი ზელანდიის სამართალზე. ავსტრალიის სამართლის ფორმირება მთლიანად ხდებოდა ინგლისის სამართლის მიხედვით. 1986 წელს ავსტრალიის კანონმა დაადგინა, რომ გაერთიანებული სამეფოს კანონები აღარ გავრცელდებოდა ავსტრალიაზე.[1]

ეს სტატია ეძღვნება ამერიკის სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის — სამოქალაქო პროცესის პირველი სტადიის – საქმის მომზადების ზოგიერთ საკითხს, რომელიც, ვფიქრობ, საინტერესო იქნება ქართველი იურისტებისთვის.

1. **სარჩელის აღძვრის წესი.** ამერიკის, როგორც ფედერალური სახელმწიფოს ბუნებიდან გამომდინარე, სამოქალაქო პროცესი – სამოქალაქო საქმის წარმოება სასამართლოში, ძირითადად, რეგულირდება ფედერალური და შტატის კანონმდებლობით. ფედერალურში, ძირითადად, მოიაზრება ამერიკის 1787 წლის კონსტიტუცია, კერძოდ, მე-3 მუხლი, რომელიც ეხება სასამართლო ხელისუფლებას, სამოქალაქო პროცესის ფედერალურ წესებს, შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს ფედერალურ წესებს, მტკიცებულებების შესახებ ფედერალურ წესებს და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ფედერალური წესების პარალელურად თითოეულ შტატს შეუძლია გამოიყენოს მის მიერ შემუშავებული წესებიც, თუმცა, ძირითადად, მაინც ეყრდნობა ფედერალურ წესებს.

***როგორია სარჩელის აღძვრის წესი და მოსამზადებელი სტადია აშშ-ში?***

იმისათვის, რომ პირმა – ფიზიკურმა პირმა, კორპორაციამ და ა.შ. დაიცვას თავისი სამოქალაქო უფლება, მან სარჩელი (complaint) უნდა აღძრას სასამართლოში. სარჩელის რეგისტრაციით სასამართლოში იწყება სამოქალაქო დავა. სამოქალაქო პროცესის ფედერალური წესების[2] (შემდგომში - ფედერალური წესები) მე-5 მუხლის „ე" ქვეპუნქტით, სარჩელის რეგისტრაციას ახორციელებს სასამართლოს კლერკი.

ფედერალური წესები, კერძოდ, მე-8 მუხლი ავალდებულებს მოსარჩელეს, რომ მან სარჩელში მოკლედ და ზუსტად ასახოს თავისი მოთხოვნა. მაგალითად, ამავე წესების მე-8 მუხლის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელში უნდა აღინიშნოს:

1. სასამართლოს იურისდიქციის საფუძველი, ე.ი. დაასაბუთოს, თუ რატომ შეაქვს სარჩელი სწორედ იმ სასამართლოში და არა სხვა სასამართლოში;
2. მოკლედ და ნათლად მიუთითოს და დაასაბუთოს, რომ მას ე.ი. განმცხადებელს აქვს სასამართლო დაცვის უფლება;
3. მოთხოვნა, რომ სასამართლო დაცვიდან გამომდინარე მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება.

სარჩელების მოცულობა და სიდიდე დამოკიდებულია საქმის სირთულეზე. ***სასამართლო არ ერევა მხარეთა დავაში.*** მოსამართლეები სწავლობენ მოსამზადებელ სტადიაზე მხარეთა მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს არა იმისათვის, რომ დაეხმარონ მხარეს და ურჩიონ მას შეცვალოს ან დაამატოს რაიმე, არამედ იმისათვის, რომ თავად იყოს მომზადებული საქმის მოსმენის დროს.

ამიტომაც, **რასაც ღებულობს ერთი მხარისგან იმის ასლს უგზავნის მეორე მხარეს**. მიღებული მასალა კი შემდგომში ხდება მხარეებს შორის თავდაცვისა და შეტევის საფუძველი.

სარჩელის შედგენა დიდ იურიდიულ ცოდნას და გამოცდილებას მოითხოვს, მითუმეტეს, თუ საქმე საკმაოდ რთულია. ამიტომ, როდესაც ადვოკატი ისმენს კლიენტის მონათხრობს და აფიქსირებს მათ თავის ფურცლებზე, ამას აკეთებს არა მხოლოდ საქმის არსის გასაგებად არამედ აგრეთვე ამ მონათხრობიდან იგი ირჩევს მისთვის საჭირო ფაქტებს და ასახავს მათ სარჩელში არც ისე მოკლედ, მაგრამ არც ძალიან დაწვრილებით[3].

თუ სარჩელში მითითებულია რაიმე დოკუმენტზე ან ხელშეკრულებაზე, მაშინ ისინი უნდა ერთოდეს ამ სარჩელს, როგორც მტკიცებულება. თუ სარჩელი ეყრდნობა კანონს, უნდა იყოს მითითებული შესაბამისი კანონიც.

2. ***უწყებისა და სარჩელის გადაგზავნა მოპასუხისათვის.*** როგორც ზევით დავინახეთ, სარჩელის შეტანის შემდეგ ხდება მოპასუხის სახელზე უწყების (summons) გაგზავნა. ეს მოქმედება არ წარმოადგენს მხოლოდ ტექნიკურ მოქმედებას, მას დიდი იურიდიული მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც მასზეა დამოკიდებული უფლების (ინტერესის) დაცვის შემდგომი მსვლელობა.

თუ როგორი უნდა იყოს სასამართლო უწყების ფორმა და შინაარსი, ფედერალური წესების მე-4 მუხლის „ა" პუნქტში, კერძოდ, აღნიშნულია:

„სასამართლო უწყებას ხელს აწერს სასამართლოს კლერკი, მას ადასტურებს სასამართლოს ბეჭდით, უთითებს სასამართლოს და მხარეებს, მოსარჩელის ადვოკატის სახელს და მისამართს, თუ მოსარჩელეს არ ჰყავს ადვოკატი, მაშინ მოსარჩელის სახელს და მისამართს.

უწყებაში უნდა აღინიშნოს ვადა, რომლის განმავლობაშიც მოპასუხემ სარჩელს უნდა უპასუხოს, აგრეთვე, შეიცავდეს გაფრთხილებას იმის შესახებ, რომ *თუ პასუხს არ გასცემს სარჩელს, სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას (judgment by default) მოპასუხის წინააღმდეგ. . .*"

ფედერალური წესების მე-4 მუხლის „ბ" პუნქტით: „სარჩელის რეგისტრაციის შემდეგ, მოსარჩელემ შეიძლება გადასცეს უწყება სასამართლო კლერკს ხელის მოსაწერად და ბეჭდით დადასტურებისათვის. თუ უწყება სწორად არის შედგენილი, სასამართლოს კლერკი ხელს აწერს მას, ადასტურებს ბეჭდით და უბრუნებს

მოსარჩელს, რათა მან გადასცეს მოპასუხეს. თუ უწყება გათვალისწინებულია რამდენიმე მოპასუხისათვის, მაშინ ყოველ მათგანს უნდა გადაეცეს იგი.“

დასახელებული მუხლის „c“1. ქვეპუნქტით: „უწყება უნდა გაიგზავნოს სარჩელის ასლთან ერთად. მოსარჩელე პასუხისმგებელია უწყებისა და სარჩელის გადაცემისათვის ამ მუხლის „m“ პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში.“

***რას ითვალისწინებს აღნიშნული „m“ პუნქტი?*** ამ პუნქტის მიხედვით: „თუ უწყებისა და სარჩელის მოპასუხისათვის ჩაბარება არ მოხდება სარჩელის რეგისტრაციიდან 120 დღეში, სასამართლო, შუამდგომლობის საფუძველზე ან თავისი ინიციატივით – მოსარჩელისათვის შეტყობინების შემდეგ, შეწყვეტს სამოქალაქო დავის განხილვას. თუ მოსარჩელეს ჰქონდა ვადის გადაცილების საპატიო საფუძველი, მაშინ სასამართლო უმატებს შესაბამის ვადას.“

მე-4 მუხლის „c“ 2. ქვეპუნქტით: „უწყება შეიძლება ჩააბაროს ნებისმიერმა პირმა, რომელიც არ არის მხარე და არის მინიმუმ 18 წლის. მოსარჩელის მოთხოვნით უწყება შეიძლება ჩააბაროს შეერთებული შტატების სასამართლო აღმასრულებელმა (United States marshal), ან აღმასრულებლის მოადგილემ ( Deputy United States marshal) ანდა სხვა ნებისმიერმა პირმა ან მოსამსახურემ, რომელსაც დანიშნავს მოსამართლე.“ უწყების ჩაბარების პრობლემა დგება მაშინ, თუ მოპასუხე იმყოფება საზღვარგარეთ. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება დიპლომატიური არხები, დაზღვეული წერილი, სასამართლო დავალება და ა.შ.

საინტერესოა უწყების ჩაბარების ფორმებიც, რომლებიც სხვადასხვა სახით არსებობს. ძირითადად მაინც გავრცელებულია მოსარჩელის მიერ უწყების პირადად ჩაბარება. მაგრამ ვის ბარდება უწყება თუ მოპასუხე არის ქმედუუნარო პირი, ნაციონალური თუ უცხოური კორპორაცია, სახელმწიფო დაწესებულება და ა.შ.? ისეთ შემთხვევაში, როდესაც მოპასუხე კორპორაციაა, მაშინ კალიფორნიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416.10 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტების თანახმად, უწყება უნდა ჩაბარდეს კორპორაციის პრეზიდენტს, ვიცე-პრეზიდენტს, მდივანს და ა.შ. ძირითადად, ასეთივე წესი მოქმედებს, როდესაც მოპასუხე არა-კორპორაციული ასოციაციაა (მათ შორის პარტნიორობაც) (416. 40).

თუ პირი არასრულწლოვანია, მაშინ უწყება ბარდება მის მშობელს, მეურვეს. თუ ასეთი არ არის, მაშინ იმ პირს, ვინც ზრუნავს არასრულწლოვანზე ან ვისთანაც მუშაობს არასრულწლოვანი, თუ იგი არის მინიმუმ 12 წლის (416.60). ასეთივე წესი გამოიყენება ქმედუუნარო პირის მიმართაც.

ზოგჯერ მოპასუხე არ იმყოფება ადგილზე ან განზრახ იმალება, რომ არ მიიღოს უწყება. ასეთ შემთხვეეეაში ფედერალური წესების მე-4 მუხლის თანახმად, უწყება შეიძლება დატოვებულ იქნეს მოპასუხის საცხოვრებელ ადგილზე, ან ჩაბარდეს მასთან მცხოვრებ პირს, ნათესავს, რომელიც შემდეგ მოპასუხეს გადასცემს (კალიფ.ს.ს.პ. 415.20).

ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოიყენება უწყების ჩაბარების სხვა ფორმაც. კერძოდ, კალიფორნიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 415.30 მუხლით, უწყება შეიძლება გაეგზავნოს ფოსტითაც, მას უნდა ახლდეს უწყების ასლი და კონვერტი, დამოწმებული უწყების უკან გამოსაგზავნად. უწყების ჩაბარების აღნიშნული წესი დღეს საკმაოდ გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს.

გარდა აღნიშნულისა, სასამართლოში დაბარება შეიძლება ეცნობოს მოპასუხეს პრესის მეშვეობითაც. ეს წესი განსაკუთრებულ შემთხვეეაში გამოიყენება, კერძოდ, როდესაც შეუძლებელია უწყების პირდაპირ ჩაბარება ან საერთოდ

სუბსტიტუტური ჩაბარება, როდესაც დაეა ეხება ქონებას – საკუთრების უფლებას, გირავნობას და ა.შ. დასახელებული წესი მოწესრიგებულია სხვადასხვა შტატის საპროცესო წესებით. წესები ითვალისწინებს აგრეთვე გამოქვეყნების ოდენობასაც, მაგალითად, ნიუ-იორკის შტატის სემოთ დასახელებული კანონის 316-ე მუხლით შეტყობინება გამოქვეყნდება პრესაში კვირაში ერთხელ ოთხი კვირის განმავლობაში, თანმიმდევრულად.

აღნიშნულ წესებს ემატება მოსამართლეთა უფლებაც, თავად გადაწყვიტოს შემთხვევები, როდესაც უწყება შეიძლება ჩაბარებულად ჩაითვალოს. მაგალითად, თუ პირი ვერ მოინახა, უწყება შეიძლება ჩაბარებულად ჩაითვალოს, თუ იგი გადაეცემა შტატის თანამდებობის პირს. მოსამართლეთა შეხედულება უწყების ჩაბარება არ ჩაბარების თაობაზე ემყარება გონივრულ აზრს.[4]

ამერიკის სასამართლო პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც მოპასუხეს განუცხადებია, რომ უწყება, რომელიც მის საფოსტო ყუთში ჩაუგდია მიმტანს, მას არ უნახავს და ამიტომ უწყება ჩაბარებულად არ ეთვლება.

სასამართლოს ასეთი განცხადება არ მიუღია და ჩათვალა უწყება ჩაბარებულად. მაგრამ, თუ უწყება ჩაბარებია კორპორაციის ისეთ თანამშრომელს, რომელსაც ამის უფლებამოსილება არ ჰქონდა, სასამართლოს პირიქით ჩაუთვლია, რომ ასეთი ჩაბარება არ ითვლება ჩაბარებად[5].

3. *მხარეთა წერილობითი შეჯიბრი.* როდესაც მხარე უწყებას ჩაიბარებს იწყება შემდეგი არანაკლებ საინტერესო სტადია, ე. წ. პასუხების წერილობითი ფორმით გაცვლა, ანუ „შეჯიბრი წერილობითი ფორმით". მთელი ეს პროცესი ინგლისურად ერთი სიტყვით გამოიხატება – Pleadings.

რატომ წერილობითი ფორმით? როგორც ზევით აღვნიშნეთ, მოპასუხემ უნდა გასცეს წერილობითი პასუხი სარჩელს და გადაუგზავნოს მოსარჩელის ადვოკატს ან თავად მოსარჩელეს. ეს კი შესაძლებელია, რა თქმა უნდა, მხოლოდ წერილობითი ფორმით. რას ნიშნავს პასუხების წერილობით გაცვლა?

ფედერალური წესების მე-7 წესის თანახმად, წერილობითი შეჯიბრი მოიცავს:

სარჩელს და მასზე პასუხს; პასუხს შეგებებულ სარჩელზე (counterclaim); პასუხს ჯვარედინა სარჩელზე (cross-claim); მესამე პირის სარჩელს; მესამე პირის სარჩელზე პასუხს.

სხვა რამეს წერილობითი შეჯიბრი აღარ მოიცავს, თუ სასამამართლო არ დართავს ნებას მხარეებს, გააგრძელონ პასუხების გაცვლა.

4. სამოქალაქო პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მტკიცებულებათა გამოვლენასაც. ამის მეშვეობით ადვოკატები ქმნიან შემდგომი მუშაობის სტრატეგიას და ტაქტიკას, ადვილად ხედავენ საკუთარ და მოწინააღმდეგე მხარის დადებით და სუსტ მხარეებს, მუშაობენ თავიანთი პოზიციების განსამტკიცებლად და ა.შ. ამასთან ერთად, მტკიცებულებების წინასწარ გამოვლენის ინსტიტუტი ხელს უწყობს იმასაც, რომ ადვოკატებმა მიაღწიონ ურთიერთშეთანხმებას ანდა გადაწყვეტილება გამოტანილი იქნეს გამარტივებული წესით. ყოველი დოკუმენტი, თუკი ეს შესაძლებელია, უნდა იქნეს დადასტურებული ერთი მხარის ადვოკატის მიერ მაინც.

თუ მტკიცებულებათა გამოვლენა უნდა განხორციელდეს აშშ-ის გარეთ, მაშინ სპეციალურად დანიშნული პირი – კომისიონერი (commissioner), აშშ-ის დიპლომატი ან საკონსულოს წარმომადგენელი ახორციელებს ამ ქმედებას ანდა იგი ხორციელდება სასამართლოს დავალებით (letters rogatory).

შეიძლება აგრეთვე მიმართონ შესაბამისი ქვეყნის სასამართლოს, რათა მან დაავალდებულოს პირი, რომ იგი გამოცხადდეს და ამერიკის კონსულს, საელჩოს მისცეს ჩვენება ან გადასცეს დოკუმენტი.

*5.* ***მოსამზადებელი შეხვედრები (Pretrial conference).*** მოსამზადებელ სტადიაზე, გარკვეულ შემთხვევებში შესაძლებელია მოსამართლეთა შეხვედრა ადვოკატებთან. ასეთი შეხვედრები ძირითადად ეწყობა მტკიცებულებების გამოვლენის შემდეგ.[6] ასეთი შეხვედრის მიზანია დაჩქარდეს საქმის გადაწყვეტა, ხელი შეუწყოს მხარეთა მოლაპარაკებას, მორიგებას, ზუსტად დადგინდეს საკითხები, რომლებიც ნაჩვენები იქნა მტკიცებულებათა გამოვლენის შემდეგ.

შეხვედრის შემდეგ სასამართლო ღებულობს დადგენილებას (pretrial orders), რომელშიც მითითებულია მოწმეები, ის მტკიცებულებები, რომლებიც უნდა იქნენ წარმოდგენილნი და ა.შ. მას შემდეგ როდესაც მოსამართლე ჩათვლის, რომ საქმე მზადაა მთავარ სხდომაზე განსახილველად, ნიშნავს მთავარ სხდომას. ამ დროიდან საქმის წინასწარი მომზადება დამთავრებულად ითვლება.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Australia act 1986. Public general acts, 1986, p. 2.
2. R. Field, B. Kaplan. Materials for a Basic Course of Civil Procedure. N-Y, 1973, p.375.
3. Ibid.
4. Smit H. Constitutional Guarantees in Civil Litigation in the United States of America. In: Fundamental Guarantees of the Parties in Civil Litigation. N-Y, 1973, p.449.
5. Mcdonald V. Ames Supply Co.22 N-Y. 2d. 111. 1968.
6. Mary Kay Kane. Civil Procedure – in a Nutshell, West Publishing Co., St.Paul Minn, 1991, p.150.

**თამარ მაისაშვილი**
*საქართველოს პარლამენტის მოწვეული სპეციალისტი*

# კონდოლიზა რაისის გზა ძალაუფლებისაკენ

კაცობრიობის ისტორიაში ყოველთვის იყვნენ ქალები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ საკუთარი და არამარტო საკუთარი, ქვეყნის ისტორიაში. სწორედ ასეთ ქალბატონად მიგვაჩნია ჯორჯ ბუშის მრჩეველი ეროვნული უშიშროების დარგში, მსოფლიოს პოლიტიკურ წრეებში კარგად ნაცნობი, მაგრამ ქართული საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილი შავკანიანი ქალი – კონდოლიზა რაისი. იგი დაიბადა 1954 წლის 14 ნოემბერს ალაბამას შტატში, ქ. ბირმინჰემში, სადაც იმ დროისათვის დამახასიათებელი რასიზმი ბატონობდა. ეს ადგილი იყო საშინელება იქ მცხოვრები შავკანიანებისათვის, განსაკუთრებით კი, შავკანიანი ბავშვებისათვის და კონდოლიზას მეხსიერებასაც კარგად შემორჩა იმ ყოველი წერილმანის სიმწარე, რაც რასისტულ დისკრიმინაციას სდევდა თან. სწორედ ამან უბიძგა პატარა შავკანიან ბირმინჰემელ გოგონას ებრძოლა შავკანიანთა უკეთესი ცხოვრებისა და მომავლისათვის, ამ ბრძოლისათვის კი გამოეყენებინა თავისი სამი უმთავრესი იარაღი: ცოდნა, თვითდაჯერებულობა და ღვთისადმი უდიდესი რწმენა, რათა ადგილი დაემკვიდრებინა, მისი სიტყვებით, უსამართლო საზოგადოებაში. კონდოლიზა რაისს ეს პასუხისმგებლობის გრძნობა კარგად ჰქონდა გათავისებული და აკეთებდა ყველაფერს, რათა თავისი ცოდნა სწორედ ამ კუთხით წარემართა. ერთ-ერთი მოგზაურობის დროს, როდესაც იგი ჯერ კიდევ 10 წლის იყო და მისმა მშობლებმა ვაშინგტონში წაიყვანეს,იგი თეთრი სახლის წინ აღმოჩნდა და მშობლებს განუცხადა: „მართალია მე შავკანიანი ვარ, მაგრამ მოვა დრო და თეთრ სახლში აღმოვჩნდები"-ო[1]. მისმა მშობლებმა მთელი ძალისხმევა თავიანთი ერთადერთი ქალიშვილის განათლებაში ჩადეს. მას საკმაოდ ადრეულ ასაკში შეასწავლეს კლასიკური მუსიკა, ბალეტი, ფრანგული და ესპანური ენები, ფიგურული სრიალი. 11 წლის ასაკში მას უკვე ცხრა კლასის განათლება ჰქონდა მიღებული. 16 წლის იყო, როდესაც სკოლა დაამთავრა, ხოლო 19 წლისამ უკვე ბაკალავრის ხარისხი მიიღო პოლიტიკურ მეცნიერებაში. 1975 წელს ნოტრდამის უნივერსიტეტში მიიღო მაგისტრის ხარისხი, 1981 წელს დენვერის უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე და დაჯილდოვებულია მრავალი საპატიო ჯილდოთი.

11 სექტემბრის შემდეგ პრეზიდენტ ბუშის გუნდის წევრთაგან კონდოლიზა არის ერთ-ერთი იმათთაგანი, ვისაც პრეზიდენტი ყველაზე დიდ დროს უთმობს კონსულტაციებზე საგარეო პოლიტიკის საკითხებში. იგი არის ე.წ. „სტრატეგიული გასაღები" ანტიტერორისტულ კამპანიაში. კონდი ამ მოვლენის შემდეგ უფრო მეტად შესამჩნევი გახდა. პრესკონფერენციებზე სიამაყით წარმოაჩენს ხოლმე თავს, როგორც შავკანიანი და აცხადებს, რომ ტერორიზმს ბრძოლა გამოუცხადა არა 11 სექტემბრის შემდეგ, არამედ ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ქ. ბირმინჰემში მკაცრი რასიზმის პერიოდში ცხოვრობდა. იგი სიამაყით წარმოსთქვამს სიტყვებს: „არ არსებობს საზღვრები, რომელიც შავკანიანი ამერიკელებისათვის იქნება გადაულახავი, მე ვარ აფრო-ამერიკელი და ვამაყობ კიდეც ამით"[2]. იგი საჯაროდ ლაპარაკობს ღმერთის წინაშე უდიდეს რწმენაზე, ვინაიდან მისი აზრით, ეს არის ერთ-ერთი მთავარი იარაღი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი აქტიური წევრი იყო პრესბიტერიანული ეკლესიისა, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია მისთვის

ურთიერთობა დაამყარებინა ისეთ მუსლიმანურ ორგანიზაციასთან, როგორიც არის „ კარამა“, რომელიც დიდ როლს უთმობს მუსლიმ ქალთა უფლებებს.[3]

46 წლის კონდი ცნობილია როგორც ექსპერტი რუსეთთან დაკავშირებულ საკითხებში. „ მან იცის საკმაოდ ბევრი საბჭოთა კავშირის შესახებ და არა მგონია მასავით მცოდნე ამ საკითხში ვინმე შემხვედროდეს“,[4] განაცხადა ვიცე-პრეზიდენტმა დიკ ჩეინიმ, როდესაც 1980 წელს ერთ-ერთ კონფერენციაზე გამოვიდა. კონდოლიზაზე უდიდესი გავლენა მოახდინა და მისი განათლების მიმართულებას გეზი მისცა პროფესორმა, ევროპელმა დიპლომატმა, ყოფილი სახელმწიფო მდივნის–მედელინ ოლბრაიტის მამამ, ჯოზეფ კორბელმა, რომელიც კონდის ლექციების კურსს უკითხავდა. სწორედ ამ პერიოდში მიხვდა კონდი, რომ მას ძალიან იზიდავდა საერთაშორისო პოლიტიკა. ეს იყო პროფესია და ის სფერო, რაზეც მას მომავალში უნდა ეფიქრა. მართლაც, იგი არ შემცდარა არჩევანში. ეს იყო მისი ცხოვრების დიდი ინტერესი. მისი ნაშრომები საკმაოდ კარგად მეტყველებს მის უდიდეს ცოდნაზე საბჭოთა კავშირის შესახებ. მრავალფეროვანია მისი ნაშრომების ნუსხა, რომელთაც სახელი გაუთქვეს მას, როგორც საბჭოთა რეჟიმის ექსპერტს: „საბჭოთა კავშირი და ჩეხოსლოვაკიის არმია“, „გორბაჩოვის ერა“, „გერმანიის გაერთიანება და ევროპის გარდაქმნა“ და სხვა მრავალი სტატია თუ პუბლიკაცია. საბჭოთა საკითხების ღრმა ცოდნამ საფუძველი შეუქმნა მის შემდგომ კარიერას. კონდოლიზა გახდა ხელმძღვანელთა ერთიანი შტაბის წევრი, რამაც საბოლოოდ იგი ვაშინგტონამდე მიიყვანა. როგორც ამ შტაბის წევრი, კონდი ძირითადად მუშაობდა სტრატეგიული შეიარაღების საკითხებზე. მალე იგი გაემგზავრა ბულგარეთში ამერიკის ელჩთან ერთად, რომელიც საბჭოთა კავშირმა მიიწვია, რათა გასაუბრებოდნენ საბჭოთა დიპლომატებს იარაღის კონტროლის პოლიტიკაზე. 1989 წელს კონდი დაინიშნა ეროვნული უშიშროების საბჭოში საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელად და როგორც მამა ბუში იგონებს, საბჭოთა კავშირის შესახებ სრულ ინფორმაციას, სწორედ კონდოლიზასგან ღებულობდა.

რაისი ასევე იყო რამდენიმე საზოგადოებრივი საბჭოს ხელმძღვანელი: შევრონი, ჩარლზ შვაბი, ტრანსამერიკული კორპორაციის საერთაშორისო მრჩეველთა საბჭო, ნოტრდამის უნივერსიტეტის დირექტორთა საბჭოს წევრი. მისი სამუშაო დაკავშირებული იყო ისეთ ორგანიზაციებთან, როგორიც არის: კარნეგის საერთაშორისო მშვიდობის ცენტრი, საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების შემსწავლელი ეროვნული საბჭო და ა.შ.

უნდა აღინიშნოს მისი გამოსვლა გაეროში, ერთ-ერთ ფორუმზე, სადაც წარადგინა თემა: „საბჭოთა კავშირისა და ამერიკის ურთიერთობა, გორბაჩოვის პერიოდი“. ეს იყო ფორუმი, რომელზეც ერთ დროს გამოდიოდნენ თეოდორ რუზველტი, მარტინ ლუთერ კინგი, რონალდ რეიგანი, რამაც საკმაოდ დიდი რეპუტაცია შესძინა მას. სწორედ ასეთი მორიგი კონფერენციის დროს იგი შეხვდა ბრენდ სკროუფკორდს, რომელიც აღფრთოვანებული იყო მისი ცოდნით საბჭოთა კავშირის შესახებ და როდესაც სკროუფორდი აირჩიეს მამა ბუშის მრჩევლად ეროვნული უშიშროების საკითხებში, კონდი იყო პირველი, ვინც მან აიყვანა თეთრი სახლის ეროვნული უშიშროების საბჭოში, სადაც ის საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის საკითხებს კურირებდა. ამ პიროვნებამ დიდი გავლენა მოახდინა კონდიზე, კერძოდ მისი საგარეო პოლიტიკის სპეციალისტად ჩამოყალიბებაში. აღნიშნული დროიდან მოყოლებული იგი მალე გახდა პრეზიდენტისა და მისი მეუღლის არა მარტო მრჩეველი, არამედ მათი ოჯახის საკმაოდ ახლო მეგობარი. მათი მეგობრობა დღემდე გრძელდება.

როდესაც ბუშმა უმცროსმა დაიწყო საარჩევნო კამპანიის მზადება, მაშინვე მოიწვია კონდი, რომელიც მას დახმარებას გაუწევდა, როგორც საგარეო პოლიტიკის გუნდის წევრი. თუმცა კონდი იმავდროულად არაპოლიტიკურ განცხადებებსაც

აკეთებდა. ბუშის საარჩევნო კამპანიას იგი ესაჭიროებოდა როგორც ქალი – ქალთა ხმების მისაღებად, და როგორც შავკანიანი, რათა განსაკუთრებული აქცენტი გაეკეთებინათ უმცირესობის მნიშვნელობისათვის ბუშის უმცროსის ადმინისტრაციაში. კონდოლიზა მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე გახდა რესპუბლიკური პარტიის წევრი, მსგავსად მამისა, რომელსაც დემოკრატებმა არ მისცეს ხმის უფლება, როგორც შავკანიანს. როგორც იგი ამბობს „რესპუბლიკელებში თავი ვიგრძენი ისე, როგორც დამოუკიდებელმა წევრმა პარტიისა და არა მარტო ჯგუფისა. ამერიკაში მთავარი ის კი არ არის საიდან მოდიხარ, არამედ ის, თუ საით მიდიხარ“.[5]

გაზეთ „ნიუიორკ ტაიმსში“-ი დაბეჭდილი სტატიის თანახმად, ბუშის საგარეო პოლიტიკის წევრები კონდის გარეშე არ აკეთებდნენ განცხადებებს. საარჩევნო კამპანიაში კონდის მთავარი ადგილი ეკავა და კოორდინაციას უწევდა საერთაშორისო საკითხებს დიკ ჩეინის, ჯორჯ შულცისა და პოლ უოლფოვიცის გვერდით. კონდი იყო აგრეთვე წევრი პროგრამისა „ქალები ქალებისათვის“, რომლის დახმარებითაც რესპუბლიკურმა პარტიამ შეძლო მიეზიდა ქალთა ხმები დემოკრატიული პარტიიდან. ისევე როგორც ბუშის დედა, ასევე რიჩარდ ჩეინის მეუღლე, კონდოლიზა რაისიც მათ გვერდით იდგა და რესპუბლიკელ ქალთა სახეებს გამოხატავდა. როდესაც მას საარჩევნო კამპანიის პერიოდში ეკითხებოდნენ, თუ რა თანამდებობას დაიკავებდა იგი მომავალში, კონდი პასუხობდა, რომ მისი ოცნება იყო ეროვნული ფეხბურთის ლიგის წევრობა. „თუ მე ვინმე კარგად მიცნობს, მიხვდება, რომ ეს სიმართლეა“[6].

თანამდებობაზე წარდგენისას ბუშმა იგი ასე დაახასიათა: „კონდი არის გამოცდილი პიროვნება, კარგი მმართველი, მე ვენდობი მის გადაწყვეტილებებს , მოვა დრო და ამერიკა მის ნიჭიერებას აღმოაჩენს“.[7]

მისი წარმატება დაიწყო ჯერ კიდევ მამა ბუშის დროს, როდესაც გორბაჩოვთან შეხვედრისას ბუშმა კონდის დახმარებით საკმაოდ კარგად შეძლო გლობალურ მშვიდობასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება. ასევე წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს, უკვე ბუში უმცროსის ადმინისტრაციაში, კონდის ვიზიტი მოსკოვში, რაც წინ უსწრებდა ბუშის ევროპულ ვიზიტს, რომელიც პუტინთან სამხედრო თავდაცვის საკითხთან დაკავშირებულ მოლაპარაკებას ეხებოდა. კონდი იყო მრჩეველთა ადმინისტრაციიდან პირველი, ვინც მოსკოვს ამ მისიით სტუმრობდა. ეს ვიზიტი კი შეფასდა, როგორც უპრეცედენტო. გარდა ჰენრი კისინჯერისა, მოსკოვს არ სწვევია მრჩეველი ასეთი მნიშვნელოვანი დიპლომატიური მისიით. მთავარი მიზანი კი ამისა შემდეგში მდგომარეობდა – იმისათვის რომ მოსკოვს მიეღო ბუშის სამხედრო გეგმა, საჭირო იყო შეთანხმება ბირთვული არსენალის რადიკალურად შემცირების თაობაზე. კონდი ძალიან ფრთხილობდა, რათა არ გამოემჟღავნებინა, რომ ინიციატივა პრეზიდენტისგან მომდინარეობდა. ის ამბობდა, რომ ეს აზრი მომდინარეობდა ზემდგომი ადმინისტრაციული ოფიციალური პირებისაგან, რომელთა შორისაც თვითონ კონდის დიდი ადგილი ეკავა.

კონდოლიზას თავისი განათლება, ცხადია, აძლევს იმის უფლებას, რომ გაელენა მოახდინოს ბუშის მსოფლმხედველობაზე, თუმცა იმასაც ცდილობს, ნაკლებად მოხვდეს ყურადღების ცენტრში. 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ მას მოუხდა მუშაობა ისეთ მნიშვნელოვან დოკუმენტზე, როგორიც არის „ეროვნული უშიშროების სტრატეგია“, რომელსაც ფაქტობრივად უნდა განესაზღვრა ამერიკის როლი მსოფლიო პოლიტიკაში. კონდი ერთ-ერთ ინტერვიუში თამამად აცხადებს, რომ ამერიკა აღჭურვილია არაორდინალური შესაძლებლობებით, რომელიც მან უნდა გამოიყენოს ყოველგვარი ქედმაღლობისა და მუქარის გარეშე, მან უნდა იბრძოლოს არა მარტო უსაფრთხოების შესანარჩუნებლად, არამედ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და არა მხოლოდ ამერიკისა.“[8]

ზოგჯერ მისი შეხედულებები ურთიერთსაწინააღმდეგოა. ერთი მხრივ, იგი როგორც კონსერვატორი რესპუბლიკელი ამბობს, რომ ამერიკის სამხედრო შენაერთები არ უნდა ერეოდნენ სხვა ქვეყნების კონფლიქტებში, თუმცა იმავდროულად მომხრეა სამხედრო ტვირთის გაზიარებისა და კოალიციისა სხვა ქვეყნებთან, რაც მისცემს მათ შესაძლებლობას მსოფლიო იყოს უფრო მეტად დემოკრატიული და მშვიდობიანი. მისი სიტყვებით, „ეს იყო მთავარი ამერიკის არსებობის ისტორიაში და ამ ნაბიჯით უნდა შევიდეს ამერიკა ახალ საუკუნეში." დღევანდელობიდან გამომდინარე ამერიკა აძლევს თავს უფლებას გადაწყვიტოს, თუ რა არის ცუდი მსოფლიოსათვის და იტოვებს კიდეც ამის უფლებას. „სამხედრო ძალა არსებობს იმისათვის, რათა განამტკიცოს და წაეშველოს გონივრულ, გამჭვირვალე პოლიტიკურ მიზნებს. ჩვენ ვცდილობთ არ მივიდეთ ომამდე, მაგრამ ხანდახან იმისთვის, რომ მივაღწიოთ მშვიდობას, უნდა ვიყოთ სერიოზულად განწყობილი იარაღის გამოყენებისათვის.[9]

კონდოლიზა რაისი თავისი შრომისმოყვარეობით, პოლიტიკური გამჭრიახობით და ცოდნის წყალობით შეუცვლელი გახდა არა მარტო, როგორც ბუშის „პრეზიდენტის დღიურის" ავტორი, არამედ ის შეუცვლელი გახდა თეთრი სახლის სახელმწიფო პოლიტიკისათვის. დღეისათვის ის ასევე ყველაზე ცნობილი ქალია პოლიტიკურ ასპარეზზე, მსგავსად მედელენ ოლბრაიტისა, რომელიც თავის წარმატებას ყველა ქალის დიდ წარმატებად მიიჩნევდა.

ფერადკანიანთა განვითარების ეროვნულმა ასოციაციამ სცნო კონდოლიზას მიღწევები და მას პრეზიდენტის ჯილდო გადასცა, ჯილდო, რომელიც გადაეცემათ იმ პიროვნებებს, რომელთა წარმატებებიც უმცირესობის ინტერესების წარმატებას ნიშნავს. როგორც პრეზიდენტ ბუშთან დაახლოვებული და ნდობით აღჭურვილი პირი, კონდი არის ალბათ ყველაზე ცნობილი ზანგი ქალი მსოფლიოში. მან შეძლო დაენგრია თეთრი სახლის მკაცრად განსაზღვრული იერარქიული „კიბე". კონდოლიზა არის ამერიკის მე-20 უშიშროების მრჩეველი, პირველი ქალი ამ თანამდებობაზე და მეორე შავკანიანი კოლინ პაუელის შემდეგ, რომელიც ჯერ კიდევ რეიგანის დროს გამოჩნდა პოლიტიკურ ასპარეზზე. მოარული ხმები ამბობენ, რომ მალე ამერიკის პრეზიდენტი წამოაყენებს მის კანდიდატურას ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე. ზოგიერთი უფრო შორს მიდის და ამბობს, რომ 47 წლის კონდი მნიშვნელოვანი საერთაშორისო პოლიტიკური ფიგურა გახდა და მას აქვს ყველა ის პირობა რათა მომავალში გახდეს ამერიკის წარმატებული პრეზიდენტი.

გამოყენებული ლიტერატურა


1. Antonia Felix. The Condoleezza Rice Story, New York., 2002, p.1.
2. "Leaders for a New Millennium", *Financial Times,* December 28, 1995.
3. "Condi Rice a Rare Woman in World Affairs, *Denver Rocky Mountain News*, December 18, 2000.
4. Antonia Felix, op cit., p.135
5. „Leaders for a New Millennium", *Financial Times,* December 28, 1995
6. Antonia Felix, op cit., p.17.
7. Antonia Felix, op cit., p.208.
8. "Bush's Foreign Policy Guru", ABC News, http://www.abcnews.go.com /sections/politics/ politicalNation/profile_rice.htm (September 23,2001).
9. Hans Morgenthau, Politics Among Nations: The Struggle for Peace andPower, New York: WCB/McGraw-Hill, 1985, p.54.

**ნაირა მამუკელაშვილი**
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის პროფესორი*

# აშშ-ის ისტორიის შესწავლა საქართველოს საშუალო სკოლებში ახალი ისტორიის კურსში

საბჭოთა იმპერიის ნგრევამ ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში განსაზღვრა აუცილებლობა შექმნილიყო საბჭოთა სახელმძღვანელოებისაგან პრინციპულად განსხვავებული, დეიდეოლოგიზებული და დეპოლიტიზებული მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოები. უკვე 1992 წელს გამოქვეყნდა და საქართველოს სკოლებში დაინერგა ახალი ყაიდის ახალი ისტორიის სახელმძღვანელო, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიამ.

საქართველოს სკოლებში დღესდღეობით მოქმედი ახალი ისტორიის სახელმძღვანელოში (კანთაძე, ნ.მამუკელაშვილი-სიმონიშვილი, ახალი ისტორია, თბ., 2002)[1], აშშ-ს ისტორია გაშლილია ოთხ თავში: 1. ინგლისის კოლონიები ჩრდილოეთ ამერიკაში; 2. ომი დამოუკიდებლობისათვის და ამერიკის შეერთებული შტატების შექმნა; 3. ამერიკის შეერთებული შტატები 1803–1860 წლებში; 4. ამერიკის შეერთებული შტატები 1861–1914 წლებში[2]. აღნიშნული თავების 12 პარაგრაფში მოცემულია არა მხოლოდ ძირითადი სასწავლო, არამედ მთელი რიგი დამატებითი მასალა: წყაროების, საცნობარო ინფორმაციის, კითხვების, დავალებების და სხვ. სახით.

ახალი სახელმძღვანელო მნიშვნელოვნად განსხვავდება ტრადიციული, სტაბილური სახელმძღვანელოებისაგან, რომლებიც საქართველოში ისწავლებოდა გასულ საუკუნეში, 70-წლიან საბჭოთა პერიოდში, უპირველეს ყოვლისა, მეთოდოლოგიური, მეთოდიკური და შინაარსობრივი თვალსაზრისით.[3]

თუ საბჭოთა სახელმძღვანელოებში XVIII-XIX საუკუნეების ამერიკის ისტორია დაყვანილი იყო ორ ბურჟუაზიულ რევოლუციაზე, რაც ნათლად ჩანს თვით სახელმძღვანელოთა პარაგრაფების სათაურებიდანაც კი, საქართველოში მოქმედ ახალ სახელმძღვანელოში უარყოფილია ამდაგვარი დამოკიდებულება და მოცემულია პრინციპულად განსხვავებული შეხედულებები ამერიკის ისტორიის მიმართ, სახელმძღვანელოში დამოუკიდებლობისათვის ომისა და სამოქალაქო ომის მიმდინარეობის გადმოცემისას მოცემულია ამ მოვლენების ობიექტური შეფასებები.

ახალი ისტორიის სახელმძღვანელოში გადმოცემულია აშშ-ის ისტორია გაბმული თხრობით პირველი ამერიკული კოლონიის დაარსებიდან დაწყებული. დიდი ადგილი ეთმობა ამერიკულ ჰუმანურ და განმათავისუფლებელ იდეებს, ფრანკლინისა და ჯეფერსონის შეხედულებების განხილვას, რომელიც უპირისპირდება არაჰუმანურ, მონათმფლობელურ იდეოლოგიებს. ამერიკის ისტორია წარმოდგენილია ყოველგვარი კლასობრივ-ფორმაციული საბურველის გარეშე. თანმიმდევრულად არის მოცემული ის წინააღმდეგობები, რომლებიც იქმნებოდა მეტროპოლიასა და კოლონიებს შორის ურთიერთობაში და რომელიც საბოლოოდ გადაიზარდა კოლონისტების თავგანწირულ ბრძოლაში ინგლისის წინააღმდეგ.

სახელმძღვანელოში სათანადო ადგილს იკავებს პირველი და განსაკუთრებით მეორე კონტინენტური კონგრესის დადგენილებათა განხილვა. თ. ჯეფერსონის მიერ შედგენილი „დამოუკიდებლობის დეკლარაციის“ ანალიზი, რომლის უმნიშვნელოვანესი პრინციპი იყო აშშ-ის დამოუკიდებლობის გამოცხადება. სახელმძღვანელოში ახსნილია აშშ-ის სახელმწიფო დროშის სიმბოლიკა.[4]

სახელმძღვანელოში ცალკეული ზოგადი ფრაზების ნაცვლად გადმოცემულია დამოუკიდებლობისათვის ომის მსვლელობის პროცესი. ძირითადი საომარი მოქმედებები, რომლებმაც განსაზღვრა ევროპის დიდი ქვეყნების საერთაშორისო აზრი ამერიკელების სასარგებლოდ, რამაც ხელი შეუწყო აშშ-ის დამოუკიდებლობის აღიარებას ევროპული სახელმწიფოების მიერ.

მნიშვნელოვანი განსხვავებაა ახალ და ძველ სახელმძღვანელოებს შორის ამერიკის შეერთებული შტატების 1878 წლის კონსტიტუციის პრინციპების გადმოცემისას. უპირველეს ყოვლისა, ეს განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ახალ სახელმძღვანელოში აშშ-ის კონსტიტუცია განხილულია არა უშუალოდ დამოუკიდებლობისათვის ომის მოვლენების გადმოცემის შემდეგ. არამედ სწორედ ამ კონსტიტუციის პრინციპების გადმოცემით იწყება აშშ-ის XIX საუკუნის ისტორიის შესწავლა. ეს განპირობებულია ორი უმთავრესი მოსაზრებიდან გამომდინარე: ჯერ ერთი, აშშ-ის დამოუკიდებლობისათვის ომის შესწავლის პერიოდში მოსწავლეებს არა აქვთ შესწავლილი საფრანგეთის XVIII საუკუნის მიწურულის რევოლუცია და ამდენად, არც ფრანგი განმანათლებლების მოძღვრებებს იცნობენ. აშშ-ის 1787 წლის კონსტიტუცია კი მონტესკიეს პოლიტიკური მოძღვრებების საფუძველზეა შედგენილი, და მეორეც, აშშ-ის XIX საუკუნის ისტორია დიდად იყო განსაზღვრული XVIII საუკუნის მიწურულში კონსტიტუციური ფორმით ქვეყნად ჩამოყალიბებული წყობილებით.[5] ამიტომ მოსწავლეთათვის უმჯობესად მივიჩნიეთ, რომ მათთვის უშუალოდ აშშ-ის XIX საუკუნის ისტორიის შესწავლის წინ გაგვეცნო აშშ-ის კონსტიტუცია, ხოლო შემდეგ მასზე დაყრდნობით და მისი გათვალისწინებით წარმოგვეჩინა აშშ-ის შემდეგი პერიოდის ისტორია. განსხვავება ახალ და ძველ სახელმძღვანელოებს შორის მდგომარეობს თვით კონსტიტუციის ძირითადი პრინციპების გადმოცემის დროსაც. ახალ სახელმძღვანელოში შედარებით განვრცობილია აშშ-ის კონსტიტუციის შესახებ მსჯელობა. მისი პრინციპები დაკავშირებულია ფრანგი განმანათლებლების, კერძოდ, მონტესკიეს იდეებთან, საუბარია აშშ-ის კონსტიტუციის შესწორებებზე, რომლებსაც რეალურად კონსტიტუციაზე მეტი ძალა აქვს და ა.შ. ასევე მეორე ნაწილშია გადატანილი ახალ სახელმძღვანელოში ჯ. ვაშინგტონი. ამან საშუალება მოგვცა შევაჯამოთ მთელი მისი მოღვაწეობა.[6]

აშშ-ის XIX საუკუნის ისტორიის შესახებ საუბრისას ლაპარაკია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, მონობაზე, მონათმფლობელთა პოლიტიკურ ბატონობაზე, აშშ-ის ტერიტორიულ გაფართოებაზე, რომელიც რეალურად იყო აშშ-ის თანამედროვე საზღვრების ფორმირებისათვის ბრძოლის ხანგრძლივი პროცესი, რომელსაც დაპყრობითი ომების გარდა, იყო თავდაცვითი ხასიათის ომებიც. მაგალითად, 1812–1814 წლების ომი ინგლისთან. ე.წ. დამოუკიდებლობისათვის მეორე ომი და სხვ. აშშ-ის ტერიტორიული ფორმირების საკითხები მოსწავლეთათვის მიწოდებულია როგორც მოვლენა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე აშშ-ს, მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოს.

სახელმძღვანელოში აშშ-ში სამოქალაქო ომის დაწყება განხილულია, როგორც სამხრეთის მონათმფლობელთა დემოკრატიული პარტიის მიერ პრეზიდენტის პოსტის დაკარგვისა და ამ პოსტზე მონობის მოწინააღმდეგის, რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლის ა. ლინკოლნის არჩევის შედეგი. მოსწავლეებს უნდა განემარტოთ, რომ პრეზიდენტის პოსტზე ლინკოლნის არჩევა მონათმფლობელებმა აღიქვეს, როგორც მონობის წინააღმდეგ ბრძოლის დასაწყისი. მონობის წინააღმდეგ ბრძოლას სამხრეთის შტატების მონათმფლობელები ვერ შეეგუებოდნენ. ამიტომ სამხრეთის შტატები კავშირიდან გავიდნენ და სამხრეთის შტატების კონფედერაცია შექმნეს, დედაქალაქად რიჩმონდი გამოაცხადეს, აირჩიეს თავისი პრეზიდენტი.[7] ამრიგად,

სამოქალაქო ომი ახალ სახელმძღვანელოში განხილულია, როგორც ომი, რომლის ყველა ეტაპზე უმთავრეს საკითხად მონობა რჩებოდა, ხოლო 1862 წლის კანონი ჰომსტედების შესახებ და 1863 წლის პირველი იანვრიდან მონების განთავისუფლების გამოცხადება ის გონიერული ღონისძიება იყო, რომელმაც დააჩქარა სამხრეთის შტატებზე ჩრდილოელების კანონზომიერი გამარჯვება.

სახელმძღვანელოში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი აშშ-ის პოლიტიკური წყობილების დახასიათებას. ქართველი მოსწავლეებისთვის ნათელი ხდება აშშ-ში ორპარტიული სისტემის ჩამოყალიბების პროცესი. გაანალიზებულია საპარლამენტო არჩევნების შედეგები XIX ს-ის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში პირველ მსოფლიო ომამდე. სახელმძღვანელოში განხილულია აშშ-ის ინტერესები და მონაწილეობა პირველ მსოფლიო ომში.

საქართველოში მოქმედ სახელმძღვანელოში ძველ სახელმძღვანელოსთან შედარებით განსხვავებულია აშშ-ის ისტორიის შესწავლის მეთოდიკური მხარეებიც. სპეციალურად აშშ-ის ისტორიის შესასწავლად შეიქმნა 3 კედლის რუკა 1. ამერიკის შეერთებული შტატების შექმნა; 2. ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიული ზრდა XIX საუკუნის პირველ ნახევარში; 3. სამოქალაქო ომის უმნიშვნელოვანესი საომარი მოქმედებები, რომელთა დატვირთვებიც შეესაბამება სახელმძღვანელოში მოცემულ სასწავლო-დიდაქტიკურ მასალას და ითვალისწინებს მოსწავლეთა რუკაზე მუშაობის უნარჩვევების შემდგომ განვითარებას.

ასეთივე განმავითარებელი ამოცანები ეხება სახელმძღვანელოში მოცემულ ილუსტრაციებსაც. აშშ-ის გამოჩენილ მოღვაწეთა პორტრეტებთან ერთად აქ მოცემულია მოვლენის ამსახველი სურათების მთელი რიგი „ბოსტონის ჩაის სმა", „მეორე კონტინენტური კონგრესი აცხადებს დამოუკიდებლობის დეკლარაციას", „ალმოდებული ქალაქი რიჩმონდი", „საზღვაო ბრძოლა ჩრდილოელებსა და სამხრეთელებს შორის 1862 წლის 9 მარტს", და სხვ., რომლებიც სახელმძღვანელოს სასწავლო ტექსტის შინაარსის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და ხელს უწყობს მოსწავლეთა სურათებზე მუშაობის უნარჩვევების განვითარებას, დამახსოვრების სიმტკიცეს, აბსტრაქტული აზროვნების განვითარებას.

მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო დატვირთვა აქვს აგრეთვე სასწავლო ტექსტების ბოლოს მოცემულ დოკუმენტებს, კითხვებსა და დავალებებს, რომლებიც ხელს უწყობენ მოსწავლეთა დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებას, ანალიზისა და სინთეზის უნარჩვევების განვითარებას.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. კ. ანთაძე, ნ. მამუკელაშვილი, ახალი ისტორია, VIII კლასის სახელმძღვანელო, თბ., 1999.
2. იქვე, გვ. 47-56, 171-178.
3. Internationle Schulbuchforschung, zeitschrift des Georg-Eckert-Instituts fur internationale Schulbuchforschung, 20, Iahrgang 1998, Heft 4.
4. ნ. მამუკელაშვილი, ახალი ისტორია, VIII კლასის სახელმძღვანელო, თბ., 1992, გვ. 40-53.
5. A History of The United States, Ginn and Company, 1983.
6. ნ. მამუკელაშვილი, ახალი ისტორია 1814-1871, IX კლასის სახელმძღვანელო, თბ., 1992, გვ. 185-211.
7. Adventures in American History, Silver Burdett Company, Morristown, New Jersey, 1979.

ელენე მეძმარიაშვილი
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი. ამერიკის შესწავლის ცენტრი*

# ამერიკელი ქალი და არჩევნები

მაინც როგორი აპოლიტიკურები ვიყავით წინა ათწლეულებში! ოფიციალურად თითქოს გვქონდა ყველა სამოქალაქო უფლება, მაგრამ ფაქტობრივად არავითარი უფლებებით არ ვსარგებლობდით. ჩვენ არ ვირჩევდით და არც არავინ გვირჩევდა, მხოლოდ გვნიშნავდნენ, თუკი ვაკმაყოფილებდით პარტიული ხელმძღვანელების სტერეოტიპებს. ქალებს შესაბამისი კვოტები ჰქონდათ უმაღლეს საკანონმდებლო თუ აღმასრულებელ ორგანოებში. მაგრამ როგორც წესი ისინი უმაღლეს თანამდებობებს არასოდეს იკავებდნენ. მხოლოდ ადგილობრივ დონეზე შეიძლებოდა მათი პარტიულ ხელმძღვანელად დანიშვნა, ისიც საკმაოდ იშვიათად.

ქალები ამას შეგუებულები იყვნენ და არც მოსვლიათ თავში, რომ ებრძოლად საკუთარი უფლებებისათვის. მაგრამ ბრძოლაც ხომ აბსურდული იყო? ტოტალიტარულ სახელმწიფოში ამას კაცებიც ვერ ახერხებდნენ, არათუ ქალები, რომლებსაც უამრავი სოციალური თუ ეკონომიკური პრობლემა აღელვებდათ.

მაგრამ რა ხდება დღეს? რამდენად აქტუალურია დღევანდელი საქართველოსათვის ქალების უფლებებისათვის, სქესებს შორის რეალური თანასწორობისათვის ბრძოლა?

როდესაც კი ჩემს სტუდენტებთან ამ თემაზე ვიწყებ საუბარს, უმრავლესობის, მათ შორის, გოგონების სახეზე ირონიულ ღიმილს ვამჩნევ. კაცებს მიაჩნიათ, რომ ჩვენს ქალებს არავინ ჩაგრავს, თანაც ისევე როგორც ბევრ პატრიარქალურ საზოგადოებაში (მათ შორის შეერთებულ შტატებშიც) ქალებს წინასწარ განსაზღვრული ადგილი აქვთ დათმობილი – ოჯახში ბავშვებთან და სამზარეულოში. თვით ქალები კი ფიქრობენ, რომ დღეს ჩვენს საზოგადოებას ბევრად უფრო სერიოზული პრობლემები აღელვებს, ვიდრე ეს მათი რეალური თანასწორუფლებიანობაა.

მე ხაზს ვუსვამ რეალურს, ვინაიდან ქაღალდზე, ანუ კანონმდებლობით, ჩვენ თანასწორები ვართ. თუმცა ე.წ. „შუშის ჭერი", რომელიც მარტო ჩვენ არ გვაღელვებს, საქართველოში აშკარად იგრძნობა. მაგრამ ამ პრობლემის მოგვარებისათვის ალბათ ძლიერი ფემინისტური მოძრაობა უნდა არსებობდეს, თავისი ტრადიციებითა და კონკრეტული მიზნებით, ისეთი, როგორიც, მაგალითად, შტატებშია. ჩვენთან კი ქალები მხოლოდ ბოლო ათწლეულში „გამოფხიზლდნენ". ამავე პერიოდში შეიქმნა არაერთი ქალთა ორგანიზაცია და ქალების პრობლემატიკამაც შედარებით წინა პლანზე წამოიწია.

მაინც რა შეიძლება ვისწავლოთ ამერიკელი ქალებისაგან? გამოგვადგება კი მათი გამოცდილება? რაში ვგავართ ერთმანეთს და რით განვსხვავდებით? მოცემულ სტატიაში ვეცდები მხოლოდ ამერიკელი ქალების არჩევნებისადმი დამოკიდებულების გარკვევას. საქართველოში აღნიშნული საკითხი დღეს განსაკუთრებით გვაღელვებს, ვინაიდან არჩევნები გვიახლოვდება.

ქალების ისტორია ამერიკული საზოგადოების ირონიულობისა და წინააღმდეგობრიობის კარგ მაგალითს წარმოადგენს. მართალია ქალები ყოველთვის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ, მათ მაინც ხშირად უმცირესობად

განიხილავდნენ, რომელსაც განკუთვნილი აქვს ცალკე „ადგილი" (თუ რა ადგილი, ამაზე ზევით აღვნიშნეთ) სოციალურ წესრიგში, გადაკეტილი აქვს გზა კარიერისა და, მითუმეტეს, ძალაუფლებისაკენ და განიხილება როგორც დამოკიდებული, სუსტი და თავისი ბუნებით „მორჩილი" ფენა.

მეორე მხრივ, სხვა უმცირესობების მსგავსად, ქალები არ ცხოვრობენ ერთად „გეტოებში", მათზე არის მოთხოვნა ყველა რეგიონში, კლასსა თუ სოციალურ ჯგუფში და ხშირად უფრო ახლოს არიან თავიანთ „მჩაგვრელებთან", ვიდრე ერთმანეთთან. ამიტომ, როგორც ამერიკელი მეცნიერი უილიამ ჩეიფი წერს, „ქალების გამოცდილების გაგების ყოველი ცდა აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს ორივე სქესის ერთიანობასა და ამასთან ერთად განსხვავებას".[1]

ჩვენც ამას ვითვალისწინებთ და, მიუხედავად იმისა, რომ მიგვაჩნია, ნებისმიერი ქვეყნის ისტორია არ შეიძლება გავყოთ ცალკეული სქესების ისტორიად, მაინც გამოვყოფთ ქალს, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ გავარკვიოთ მისი ადგილი ქვეყნის საზოგადოებრივ, კონკრეტულად კი პოლიტიკურ ცხოვრებაში, თანაც საქართველოში ჯერჯერობით ეს პრაქტიკულად არავის გაუკეთებია. ჩვენ ვსვამთ კონკრეტულ კითხვას: რა მონაწილეობას იღებს ქალი არჩევნებში, ანუ როგორ იყენებს ის ამ ერთ-ერთ ძირითად სამოქალაქო უფლებას ამერიკაში? პარალელისათვის გამოვიყენებთ ევროპის განვითარებულ ქვეყნებსა და საქართველოში ამ სფეროში არსებულ მდგომარეობას. თუმცა ჩვენთან სტატისტიკური მონაცემები პრაქტიკულად არ არსებობს, ან თუ არის – ნაკლებად სანდოა.

მართალია ქალი როგორც ამომრჩეველი ბევრგან კაცზე უფრო აქტიურია, მაგრამ ეს აქტიურობა მხოლოდ არჩევნებში მონაწილეობით შემოიფარგლება, ასარჩევ კანდიდატებს შორის კი ნებისმიერ დონეზე ქალების რაოდენობა კაცებისას მკვეთრად ჩამორჩება. ამ მხრივ არც ამერიკის შეერთებული შტატებია გამონაკლისი.

კონსტიტუციის მე-18 შესწორების ძალით 1920 წლის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მოპოვების შემდეგ ამერიკელი ქალები ჩაერთნენ საარჩევნო პროცესში. მათ „სიმბოლურად დატოვეს ოჯახები"[2]. თავიდანვე ნათელი გახდა, რომ ქალები ერთგვაროვანნი არ არიან. ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან რასობრივი, სოციალური, ეროვნული თვალსაზრისით. ეს განსხვავება უფრო საგრძნობია, ვიდრე მათი ერთიანობა. არც საარჩევნო უფლებისათვის ბრძოლისას იყვნენ ისინი ერთიანნი. ყველა ქალს არ სურდა ამ უფლების მოპოვება. ანტისუფრაჟისტულ მოძრაობაში კაცებთან ერთად ქალებიც მონაწილეობდნენ.[3] ალბათ ამიტომაც ქალების აქტიურობა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, კონკრეტულად არჩევნებში, უფრო მეტად მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულებში გაიზარდა, ქალთა მოძრაობის ე.წ. მეორე ტალღის (1960–1970-იანი წლები) შედეგად. მას შემდეგ ქალი-ამომრჩევლების რაოდენობა წლითიწლობით იზრდებოდა. მაგალითად, 1980 წელს კაცი-ამომრჩევლები 74,1 მლნ იყო, ქალი კი – 83 მლნ 1998 წელს უკვე კაცი-ამომრჩევლები 95,2 მლნ-ს შეადგენდნენ, ქალები კი – 103 მლნ-ს[4]. სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარე, ყველაზე მეტად აქტიურობენ ახალგაზრდა ქალები, ინტელიგენციის ყველაზე განათლებული ნაწილი და აფრო-ამერიკელები.[5]

ქალების საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ აქტიურობასთან, შესაბამისად არჩევნებში მათ აქტიურ მონაწილეობასთან დაკავშირებით შეერთებულ შტატებში დღეს არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა. იქ არსებობს განსხვავებული – ლიბერალური და კონსერვატიული შეხედულება. კონსერვატიული დამოკიდებულების გამომხატველია 1992 წელს ვაშინგტონში შექმნილი ე.წ. დამოუკიდებელ ქალთა

ფორუმი, რომლის მიზანია აჩვენოს, რომ ყველა ამერიკელი ქალი ერთნაირად არ ფიქრობს და რომ ქალებს არა მარტო ე.წ. „ქალთა საკითხები" (ანუ საშინაო სოციალური და არა გლობალური პოლიტიკის, განიარაღების და სხვა მსგავსი პრობლემები) აღელვებთ, რომ ისინი არ არიან ერთიანი მონოლითური ჯგუფი, რომელსაც მხოლოდ „ლიბერალური" ინტერესები აქვს[6].

მაინც როგორია ამერიკელი ქალების არჩევნებში მონაწილეობის სურათი, ძირითადად ვის აძლევენ ისინი თავიანთ ხმებს?

საინტერესო დასკვნებს აკეთებს ფრანგი მეცნიერი მარიეტ სინო (Mariette Sineau). მისი აზრით (და სტატისტიკაც ამას ადასტურებს), ომის შემდგომ პირველ ათწლეულებში ქალი-ამომრჩევლების უმრავლესობა ხმას აძლევდა კონსერვატიულ ძალებს (პარტიებს), განსაკუთრებით კათოლიკურ ქვეყნებში. მაგრამ არც ჩრდილოეთ ამერიკა იყო გამონაკლისი: კანადასა და შეერთებულ შტატებშიც იგივე ხდებოდა – ქალების უმრავლესობა „კონსერვატორებს" აძლევდა ხმას[7]. მაგრამ ამის მიზეზები ბოლომდე არ არის გარკვეული. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მომხდარი რელიგიური თუ სოციალური ცვლილებები პოლიტიკური ცვლილებების მიზეზიც გახდა. კათოლიკურ ქვეყნებში არსებული კონსერვატიზმის ფესვები რელიგიაშიც უნდა ვეძებოთ. მორწმუნეთა უმრავლესობა უმეტესად ხანში შესული ქალები იყვნენ. ამითაც შეიძლება აიხსნას მათი სიმპათიები მემარჯვენე პარტიებისადმი და მტრობა მარქსიზმისადმი. თანდათანობით, 1970-იან წლებში, ქალების არჩევანი კაცებისას დაუახლოვდა. ბევრი ანალიტიკოსი ფიქრობს, რომ ეს ევოლუცია შეიძლება დამთავრდეს მაშინ, როდესაც აღარ იქნება განსხვავება კაცებისა და ქალების პოლიტიკურ საქციელს შორის.

მაგრამ 1980-იან წლებში ქალებმა კაცებზე მეტად მარცხნივ გადაინაცვლეს. ასეთი მოვლენა დაიწყო შეერთებულ შტატებში 1980 წელს, როდესაც ქალებმა გამოავლინეს „ანტი-რეიგანული" ტენდენციები[8]. კათოლიკურ საფრანგეთშიც 1988 წელს ქალების 37%-მა ხმა მისცა სოციალისტ ფრანსუა მიტერანს მაშინ, როდესაც კაცების მხოლოდ 31%-მა დაუჭირა მას მხარი.

ქალები ასევე კაცებზე მეტად პაციფისტები არიან და გამოდიან ბირთვული იარაღის წინააღმდეგ, საერთოდ ძალის გამოყენების წინააღმდეგ, მოითხოვენ სამხედრო ხარჯების შემცირებას და ყველაზე აქტიურად უჭერენ მხარს სოციალურ რეფორმებს, უფრო მგრძნობიარენი არიან გარემოს დაცვის საკითხებისადმი[9] და, რაც მთავარია, ისინი უფრო ფემინისტები არიან. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ქალები აქტიურად ემხრობიან თავიანთ წარმომადგენლებს მთავრობაში. მაგალითად, სკანდინავიაში 1975 წლის საპარლამენტო არჩევნებში გელაპის (Gallup poll) მონაცემებით, ქალების 40%-მა და კაცების მხოლოდ 7%-მა მხარი დაუჭირა ქალ-კანდიდატებს[10].

ქალების ხმების გამემარცხენების ერთ-ერთი მიზეზია მათი სოციალური მდგომარეობის შეცვლა. 1970-იან წლებში ქალებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს ცალკეული სფეროების დემოკრატიზაციაში (საშუალო და უმაღლესი განათლების სფეროში, ეკონომიკურ ცხოვრებაში მათი გააქტიურების თვალსაზრისით).

ახალგაზრდა ქალები უფრო მეამბოხეები არიან, ამიტომ ისინი უმეტესად მემარცხენე პარტიების მხარდამჭერები არიან, ვიდრე ამავე თაობის მამაკაცები. სკანდინავიასა და ჩრდილოეთ ამერიკაში ფემინისტები მხარს უჭერენ უფრო რეალისტურ, უფრო პოლიტიკურ დამოკიდებულებას[11], ანუ ისინი საკმაოდ აქტიურები არიან არჩევნებისას. მხარდამჭერების მომრავლების წყალობით და საარჩევნო ყუთის „ხელში ჩაგდების" გზით მათ გარკვეულ სასურველ შედეგებს მიაღწიეს. საბოლოო ჯამში, ასეთ სტრატეგიას ქალების პოლიტიკური წარმომადგენლობის ზრდა მოჰყვა.

არც ერთი ქვეყნის მთავრობაში არ არის წარმოდგენილი იმდენი ქალი, რამდენიც იყო ნორვეგიაში,როდესაც 1985და 1991 წლებში ნორვეგიის შრომის პარტიის ლიდერმა გრო ჰარლემ ბრანტლენდმა თავისი მთავრობის ნახევარი ქალებით დააკომპლექტა. მაგრამ ისმის კითხვა, თუკი ქალები ყველგან უმცირესობას შეადგენენ, ნიშნავს კი ეს იმას, რომ პოლიტიკაშიც მათ მხოლოდ უმნიშვნელო როლის თამაში შეუძლიათ? ამ კითხვაზე პასუხი მარტივი არ არის. მთავარია არა მარტო წარმომადგენლობის დრო და ადგილი, არამედ სამთავრობო იერარქიის დონე.

ყველაზე ფართოდ პოლიტიკაში ქალები ჩრდილოეთ ევროპაში ფიგურირებენ –სკანდინავიის ხუთ ქვეყანასა და ნიდერლანდებში მათ ცენტრალურ თუ ადგილობრივ საკანონმდებლო ორგანოებში ადგილების 20-დან 40%-მდე უკავიათ (იხ. ცხრილი: ქალები პარლამენტში). მათი რაოდენობა 1975–1985 წლებში გაორმაგდა. სამაგიეროდ, სამხრეთ ევროპაში – პორტუგალიაში საბერძნეთში, თურქეთსა და საფრანგეთში (იტალია და ესპანეთი გამონაკლისია) კაცები პარლამენტში 92%-ს შეადგენდნენ. საინტერესოა, რომ სუფრაჟისტების სამშობლოში – ინგლისში 1992 წლამდე პარლამენტში ქალები მხოლოდ 6% იყვნენ. მხოლოდ 1992 წლის არჩევნების შემდეგ ეს მაჩვენებელი პირველად ისტორიაში 10%-მდე გაიზარდა.

აღსანიშნავია, რომ შეერთებულ შტატებში, სადაც მრავალი წელია ძლიერი ფემინისტური მოძრაობა არსებობს, სენატსა და კონგრესში ქალი სენატორებისა და კონგრესმენების პატარა ჯგუფია[12].

ქალები პარლამენტში

| ქვეყანა | არჩევნების წელი | ქალების % | ხმის უფლება | სამოქალაქო უფლებები (გათხოვილი ქალების) |
|---|---|---|---|---|
| ფინეთი | 1991 | 38.5 | 1906 | 1919 |
| ნორვეგია | 1989 | 35.7 | 1913 | 1888 |
| შვედეთი | 1991 | 33.8 | 1921 | 1920 |
| დანია | 1990 | 33 | 1915 | 1925 |
| ნიდერლანდები | 1989 | 25.3 | 1919 | 1956 |
| ისლანდია | 1991 | 23.8 | 1915 | 1923 |
| ავსტრია | 1990 | 21.8 | 1918 | 1811 |
| გერმანია(გფრ) | 1990 | 20.5 | 1919 | 1896 |
| ესპანეთი | 1989 | 14.6 | 1931 | 1975 |
| შვეიცარია | 1987 | 14 | 1971 | 1912 |
| ლუქსემბურგი | 1989 | 13.3 | 1919 | 1972 |
| კანადა | 1988 | 13.2 | 1920 | XIX-XX სს მიჯნა |
| აშშ | 1992 | 10.8 | 1920 | XIX-XX სს მიჯნა |
| დიდი ბრიტანეთი | 1992 | 10.1 | 1928 | 1882 |
| ბელგია | 1991 | 9.4 | 1948 | 1958 |
| იტალია | 1992 | 8.1 | 1945 | 1919 |
| ისლანდია | 1989 | 7.8 | 1918 | 1957 |
| პორტუგალია | 1987 | 7.6 | 1976 | 1976 |
| საფრანგეთი | 1993 | 6.0 | 1944 | 1938 |
| საბერძნეთი | 1990 | 5.3 | 1952 | არ ვიცით |

წყარო: Union Interparlementaire, 1991.[13]

როგორც ვხედავთ, პარლამენტში წარმოდგენილი ქალების რაოდენობით შეერთებული შტატები საგრძნობლად ჩამორჩებოდა დასავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანას. მართალია, 2001 წლისათვის შტატებში ეს მაჩვენებელი 13,6%-მდე გაიზარდა (აქედან სენატში –13%-ია, წარმომადგენელთა პალატაში – 13,8%). ამგვარად, ბოლო 10 წელიწადში ეს მონაცემები 2-ჯერ და მეტად გაიზარდა (1989 წელს შესაბამისად იყო 5% და 5,8%)[14], თუმცა, ზრდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებშიც გრძელდება. ამ მხრივ, ტრადიციულად, განსაკუთრებით კარგი მდგომარეობაა სკანდინავიის ქვეყნებში. როგორც ზემოთ მოტანილი ცხრილიდან ჩანს, ფინეთში ქალები 1991 წლის პარლამენტის წევრთა 38,5%-ს შეადგენდნენ, მაგრამ საარჩევნო უფლებაც მათ ყველაზე ადრე – 1906 წელს მიიღეს. მართალია, პარლამენტში ქალთა რაოდენობით შვეცია 1990-იანი წლების დასაწყისში ჩამორჩებოდა ფინეთსა და ნორვეგიას, მაგრამ დღეს იქ უკვე ეს მაჩვენებელი 43%-ს აღწევს, ამიტომ ითვლება, რომ სწორედ ეს ქვეყანა შეიძლება ჩავთვალოთ ქალების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის პრობლემის მოგვარების საუკეთესო ნიმუშად. სწორედ აქ, ისევე როგორც ჩრდილოეთ ევროპის სხვა ქვეყნებში, არსებობს იდეალური სოციალური პირობები (ბავშვის გაჩენისთანავე დედისა და მამის ანაზღაურებული შვებულება, განსაკუთრებული ზრუნვა ბავშვებზე, საბავშვო ბაღების სისტემა, კომფორტული საცხოვრებელი პირობები და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, რეალური თანასწორობა სქესებს შორის). სწორედ ეს განაპირობებს იმას, რომ ქალი პოლიტიკოსებისა და მინისტრთა კაბინეტის წევრების რაოდენობა აქ ბევრად მეტია, ვიდრე სხვა ქვეყნებში[15].

პარალელისათვის საინტერესოა რუსეთის მაგალითის მოტანაც. იქ სამთავრობო ორგანიზაციებში მომუშავეთა 50%-ზე მეტს ქალები შეადგენენ, მაგრამ მხოლოდ 7%-ზე ცოტა მეტს შეუძლია გადაწყვეტილებების მიღება.

ტრადიციულად ითვლება, რომ ქალის საქმე ძირითადად სოციალური სფეროა, კაცის – პოლიტიკა. ამიტომ, ჩვეულებრივ, მთავრობებში კაცებს უკავიათ საგარეო საქმეთა, თავდაცვის, საშინაო საქმეების, იუსტიციის, ეკონომიკის, ვაჭრობის მინისტრების თანამდებობები, ქალებს კი – სხვადასხვა სოციალური, კულტურის მინისტრების. სკანდინავიის გარდა ასეთი დაყოფა ყველა ქვეყანაში არსებობს (როლების ე.წ. ჰორიზონტალური დაყოფა მთავრობების დონეზე). ეს არის იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ ქალები პოლიტიკიდან განზე რჩებიან. ნათელია, რომ პოლიტიკური ელიტის ფემინიზაცია შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ რეალური თანასწორობის, ქალების მაღალი კვალიფიკაციის (იგულისხმება კარგი განათლება, პროფესიული გამოცდილება და შესაბამისი უნარ-ჩვევები) შემთხვევაში.

რაც შეეხება შეერთებულ შტატებს, აქ მაინც ძნელია სქესების რეალურ თანასწორობაზე საუბარი. მიუხედავად ბოლო წლებში მიღწეული წარმატებებისა, ბევრ სფეროს დღემდე მხოლოდ კაცები აკონტროლებენ. პროფესიონალი ქალები კი მათი ხელფასების მხოლოდ 73%-ს იღებენ[16]. მაგრამ ცალკეულ სფეროებში მოხდა გარღვევა. მაგალითად, კლინტონის ადმინისტრაციაში სამხედრო-საზღვაო ძალების მინისტრი იყო დ-რი შეილა ი.უიდნოლი, რომ არაფერი ვთქვათ მედლინ ოლბრაიტზე, რომელიც პირველი ქალი იყო სახელმწიფო მდივნის პოსტზე. მარტო ეს ორი მაგალითი, პლუს კონდოლიზა რაისიც, მეტყველებს იმაზე, რომ ქალებს შესაძლებლობა მიეცათ შეეღწიათ კაცების საქმიანობის ტრადიციულ სფეროებში, თანაც ასეთ მაღალ ხელმძღვანელ თანამდებობებზე.

მსგავსი მაგალითები მეტყველებს იმაზეც, რომ აშშ-ში უკვე აღარ არსებობს ე.წ. «შუშის ჭერი», ანუ ქალებს აღარაა აქეთ გადაკეტილი გზა გარკვეული «კაცური» თანამდებობებისაკენ, რასაც ვერ ვიტყვით, მაგალითად, საქართველოზე. ჩვენთან ხომ წარმოუდგენელია იმის გაფიქრებაც კი, რომ ქალი შეიძლება გახდეს თავდაცვის ან შინაგან საქმეთა მინისტრი. თუმცა არ შეიძლება არც იმის იგნორირება, რომ ქალებს მართლაც არ ჰყოფნით კვალიფიკაცია მსგავსი თანამდებობების დაკავებისათვის.

შეერთებულ შტატებში კი ბოლო ათწლეულში მაღალი არჩევითი თანამდებობის მქონე ქალების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა. ეს ტენდენცია ალბათ გაგრძელდება, თუკი ქალებს საკმარისი პროფესიული გამოცდილება ეყოფათ. ყოველ შემთხვევაში, ამერიკული კანონმდებლობა არ ზღუდავს მათ უფლებებს.

წარსულში ქალ-დეპუტატებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანნი ძირითადად მემარცხენე პარტიების წარმომადგენლები იყვნენ (კომუნისტები ან სოციალისტები), შემდეგ ქრისტიან-დემოკრატები. მაგალითად, 1946 წელს საფრანგეთში 40 ქალი დეპუტატიდან 29 კომუნისტი იყო, მაშინ როდესაც მხოლოდ 9 ქრისტიან-დემოკრატებს წარმოადგენდა. 1953 წელს ბუნდესტაგში ქალი-დეპუტატების 46% სოციალ-დემოკრატები იყვნენ და 42% - ქრისტიან-დემოკრატები. და ბოლოს, ნორვეგიაში 1950-იან წლებში თითქმის ყველა დეპუტატი ქალი სოციალისტი იყო. იტალიაში 1987 წელს პარლამენტში არჩეული ქალების 60% კომუნისტი იყო. იტალიის კომუნისტური პარტიის იმდროინდელი ლიდერი ფემინისტური კარტით თამაშობდა და თავის პარტიას ქალების უფლებებისათვის მებრძოლად აცხადებდა. ბრიტანეთში 1992 წლის აპრილში პარლამენტში არჩეულ იქნა 37 ქალი ლეიბორისტული პარტიის სახელით, რაც ამ პარტიის დეპუტატების (271) 13,6%-ს შეადგენდა[17]. დღეს ბევრ ქვეყანაში მემარცხენეებმა უკვე დაკარგეს მონოპოლია ქალ დეპუტატებზე.

ბოლო ხანებში შექმნილი პოლიტიკური პარტიები, როგორც წესი, თავის ხელმძღვანელობაში ქალებსაც რთავენ. აღსანიშნავია მწვანეები გერმანიაში, რომელსაც „ყველაზე ფემინიზებულ პარტიას“ უწოდებენ. 1987 წელს ბუნდესტაგში არჩეული 42 მწვანე დეპუტატიდან 25 ქალი იყო მაშინ, როდესაც 1970 წელს დეკემბერში გფრ-ის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ამავე პარტიიდან გასული 8 დეპუტატიდან მხოლოდ 3 ქალი იყო[18]. საფრანგეთის მწვანეებმაც ევროპარლამენტში 9 დეპუტატიდან 4 ქალი გაიყვანეს და ხმების 11% დააგროვეს, რაც უპრეცენდენტო წარმატება იყო.

მსოფლიოში ერთადერთი წარმატებული ფემინისტური პარტია არის ისლანდიის ქალთა პარტია, რომელმაც 1987 წლის არჩევნებში ხმების 10% მიიღო და პარლამენტში 6 დეპუტატი გაიყვანა. ეს დეპუტატები იქ წამყვან როლს თამაშობდნენ.

საქართველოში იყო ქალთა საარჩევნო ბლოკის შექმნის ცდა 1995 წლის არჩევნებში. ქალებმა თავიანთი კანდიდატები წამოაყენეს, მაგრამ ვერც ერთი ვერ გაიყვანეს. როგორც წესი, დამოუკიდებლად გამოსული ქალთა (ფემინისტური) პარტიები ყველგან მარცხდებიან.

ქალები მეტ წარმატებას აღწევენ რეგიონალურ პარტიულ ორგანიზაციებში – კაცები ცენტრში, ქალები – პერიფერიებზე. მაგალითად, საფრანგეთში ქალები მუნიციპალურ საბჭოებში 17%-ს შეადგენენ,რეგიონალურ საბჭოებში – 12,6%-ს, ხოლო პარლამენტში (სენატსა და ეროვნულ ასამბლეაში) – 5,4%-ს. თუმცა მუნიციპალურ საფეხურზეც მხოლოდ 6%-ია ქალი-მერები. მათი უმრავლესობა

პატარა სასოფლო კომუნებს უდგანან სათავეში. როდესაც 1989 წელს სტრასბურგის მერი გახდა სოციალისტი კატრინ ტრაუტმენი – ის იყო პირველი ქალი, რომელიც სათავეში ჩაუდგა ქალაქს, სადაც 100 ათასზე მეტი ადამიანი ცხოვრობდა.

როდესაც 1987 წელს ბაზრის ქვეყნებში ჩატარდა გამოკითხვა „უკეთესი თუ უარესი იქნება, თუ მეტი ქალი იჯდება პარლამენტში?" მხოლოდ 28%-მა უპასუხა „უკეთესი", 49%-მა – „არაფერი შეიცვლება", 11%-მა – „უარესი და 12%-მა „არ იცის"[19]. ზოგიერთი ავტორი, მაგალითად, ამერიკელი კონგრესმენი ბელა აბზუგი (Abzug) ფიქრობს, რომ მსოფლიო უკეთესი იქნება, თუ მეტი ქალი მოვა ხელისუფლების სათავეში.

სამწუხაროდ, ქართველი ქალების უკან არ დგას ძლიერი ფემინისტური მოძრაობა. ამიტომაც ჩვენი წარმატებები ნაკლებად შთამბეჭდავია, თუმცა ცალკეულმა ქალებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს. მაგრამ ასეთი ქალები გამონაკლისია და არა საერთო წესი. ქალებმა ვერ გამონახეს გაერთიანების საფუძველი. ისევე როგორც ამერიკაში და სხვა ქვეყნებში, მათ ვერ შექმნეს დამოუკიდებელი ქალთა პარტია (როგორც ზევით აღინიშნა გამონაკლისი ირლანდიის ქალთა პარტიაა).

თანამედროვე მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში, ასევე საქართველოში, კანონმდებლობა იცავს სქესების თანასწორუფლებიანობას. მაგრამ საქართველოში ამ თანასწორობის დაცვის არანაირი გარანტია არ არსებობს. არ არის ჩვენთან არც გენდერული პოლიტიკის პროგრამები, ასევე საერთოდ არ არსებობს, ან თუ არის, არასანდოა ჩვენთვის საინტერესო სტატისტიკური მონაცემები. მიუხედავად ამისა, ნათლად ჩანს პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალების მონაწილეობის უაღრესად დაბალი მაჩვენებელი. მდგომარეობის გამოსწორება ისევ თვით ქალების გააქტიურებას, მათი ბრძოლისუნარიანობის ზრდას შეუძლია. ჩვენ ამერიკელი ქალების სახით კარგი მაგალითი გვაქვს.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. William H.Chafe, Women and American society. In: Making America. The Society and Culture of the United States. Ed. by Luther S. Luedtke. USIA, Washington D.C., 1988, p.258.
2. Paula Baker, The Domestication of Politics: Women and American Political Society, 1780-1920. In: Unequal Sisters. A Multi-Cultural Reader in U.S. Women's History. Ed. by Ellen Card DuBois and Viski L.Ruiz. Routledge, New york and London, 1990,p.80.
3. Suzanne Lebsock, Woman Suffrage and White Supremacy: A Virginia Case Study. In: Women's America. Refocusing the Past. Fourth Edition, Ed. by Linda K.Kerber, Jane Sherron De Hart. New York, Oxford, Oxford Universiti Press, 1995, p.320-334.
4. "Statistical Abstract of the United States: 2000. The National Data Book". 120th Editor, Washington D.C., 2000,p.290.
5. ტდენისოვა, ემეძმარიაშვილი. ქალის როლი თანამედროვე ამერიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში. კრებულში: „ამერიკის შესწავლის საკითხები", თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2002, გვ.193.

6. «Консервативная точка зрения. Мнение Форума независимых женщин». См. Электронный журнал: «Изменение социально-политической роли женщины в США». http//www.iwf.org ).
7. Mariette Sineau. Law and Democracy. In „A History of Women in the West. Toward a Cultural Identity in the Twentieth Century". Francoise Thebaut, Editor, The Belknap Press of Harvard University Press, Cambridge, Massachusetts, London, England, 1994, p.515.
8. Ibid.
9. Op.cit, p.516.
10. Tolird Skard and Elina Haavio-Mavmila, Women in Parliament, in Haavio-Mavmila et al., Women in Nordic Politics, Pergamon Press, New York, 1985, p.58.
11. Op.cit. p.518.
12. იხ. ტ.დენისოვა, ე.მეძმარიაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ.193.
13. "A History of Women in the West...", p.500.
14. იხ. ტ.დენისოვა, ე.მეძმარიაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ.193.
15. Пол Кеннеди. ........,с.401.
16. William H. Chafe, Women and American Society, p.266.
17. "A History of Women in the West...", p.520-521.
18. Op.cit., p.521.
19. Op.cit., p.525.

**ანი მორგოშია**
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის საფუძვლების კათედრის მასწავლებელი*

# ამერიკის შეერთებული შტატების საჯარო სამსახურის თავისებურებანი

ამერიკის შეერთებული შტატების საჯარო სამსახურის თვისობრივ გამორჩეულობას მნიშვნელოვნად განაპირობებს თავად ამერიკული ცივილიზაციის ისტორიულ-კულტურული, გეოგრაფიული, პოლიტიკური და იდეოლოგიური ფაქტორები. იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ბიუროკრატია–საჯარო მოხელეთა კორპუსი ჩამოყალიბდა ამერიკული დემოკრატიის წიაღში (პირველყოვლისა, ვგულისხმობ დემოკრატიულ კულტურასა და პრაქტიკას), რაც არსებითად გამოარჩევს მას ტრადიციული ბიუროკრატიებისაგან. თავდაპირველად, ამერიკელი ერი რეპრეზენტატიულობის წყალობით ცდილობს აიცილოს მუდმივი საჯარო მოხელეების საჭიროება. თუმცა, თანამდებობის ბოროტად გამოყენების საშიშროება არც არჩევითი თანამდებობის პირებისათვის აღმოჩნდა გამონაკლისი. გარდა ამისა, პროფესიული საჯარო მოხელეების არარსებობა კატასტროფულ ქაოსს უქადდა მთლიანად სახელმწიფო მმართველობას. ამდენად, გარდაუვალი შეიქნა სამთავრობო სისტემაში დანიშვნითი თანამდებობების შემოღება, რომელთა მფლობელები უნდა ყოფილიყვნენ ე.წ. „ბუნებითი არისტოკრატიის" წარმომადგენელნი. მიუხედავად სახელმწიფო პოლიტიკის ერთგვარი „ხელმომჭირნეობისა", ბიუროკრატიის მასშტაბების გაფართოების კუთხით, სახელმწიფოს ზრდის ობიექტურმა გარემოებებმა განაპირობა საჯარო სამსახურის თვალშისაცემი ზრდა. ამის მაგალითად უნდა მივიჩნიოთ საგადასახადო სამსახურები და ფედერალური საფოსტო სამსახური. ეს უკანასკნელი მე-19 საუკუნის ბოლოსათვის 86%-ით გაიზარდა. დროთა განმავლობაში შეერთებული შტატების საჯარო სამსახური ელიტურ ხასიათს იძენს, რაც ეწინააღმდეგება ამერიკული დემოკრატიის ამოსავალ ღირებულებებს. სწორედ ამიტომ, პრეზიდენტმა ენდრიუ ჯექსონმა განიზრახა საჯარო სამსახურის ფუძემდებლურ პრინციპად ექცია „დამსახურების სისტემის" იდეა ბიუროკრატიის შემადგენლობისადმი მძაფრი პოლიტიკური ცვლილებების ასახვის, ასევე ქრონიზმის, ნეპოტიზმისა და კორუფციის რეალურ საშიშროებათა საპირისპიროდ. მოგვიანებით, საჯარო სამსახურის რეფორმის ეროვნული ლიგის მოწადინებით, 1883 წლის იანვარში კონგრესმა მიიღო პენდლტონის აქტი, რომელიც წარმოადგენს პოლიტიკური ზეგავლენის აღკვეთის საკანონმდებლო მცდელობას ადმინისტრაციული ორგანოების ფუნქციონირების პროცესებისადმი და იმავდროულად მიიჩნევა კომპეტენტური საჯარო მოსამსახურეების სამართლებრივი დაცვის მექანიზმად. პენდლტონის აქტის საფუძველზე შეიქმნა ამერიკის შეერთებული შტატების საჯარო სამსახურის კომისია აღმასრულებელი ხელისუფლების სფეროში ფედერალური მთავრობის საჯარო სამსახურისათვის სუბსტანციური და პროცესუალური წესების შემუშავება-აღსრულებისათვის. შემოღებულ იქნა საჯაროობისა და შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებული სამსახურში შესვლის საკონკურსო გამოცდები, საჯარო მოხელე დაცულ იქნა „სავალდებულო" პოლიტიკურ კამპანიებში მონაწილეობის იძულებისაგან, რამაც

დაამყარა პოლიტიკური ნეიტრალობის პრინციპი, შესაძლებელი გახდა საჯარო სამსახურში შესვლა მის ნებისმიერ დონეზე და არა ტრადიციულად დამკვიდრებული წესისამებრ დასაწყის დონეზე და, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, ვაშინგტონის ოფისებში დადგინდა გეოგრაფიული წარმომადგენლობის ინსტიტუტი ამერიკის ყოველი შტატისათვის. პენდლტონის აქტის წყალობით „დამსახურების სისტემა" აზრობრივად იმდენად სისხლხორცეულია საჯარო სამსახურის ამერიკული გაგებისათვის, რომ „დამსახურების სისტემა" და „საჯარო სამსახურის სისტემა" სინონიმებად მიიჩნევა.

საჯარო სამსახურის მენეჯმენტის დახვეწის მიზნით 1978 წელს მიღებულ იქნა აქტი საჯარო სამსახურის რეფორმის შესახებ, რომლის საფუძველზეც დაარსდა საჯარო სამსახურის მენეჯმენტის ოფისი სამთავრობო კურსის უკეთ გატარების მიზნით, ხოლო შიდაუწყებრივი გამოძიებებისა და სამსახურებრივი საჩივრების საქმეთა განხილვისათვის კი - „დამსახურების სისტემის" დაცვის საბჭო. ხსენებულმა აქტმა განსაზღვრა საჯარო სამსახურში შეფასების სისტემა თანამდევი ანაზღაურებისა და წახალისების ინსტიტუტებითურთ, ადმინისტრაციულ ორგანოებს შესძინა მეტი მოქნილობა შიდა სამსახურებრივი დანაყოფების უკეთ ადმინისტრირებისათვის, უზრუნველყო ე.წ. „ვისთლბლაუერების" დაცვა და ფედერალურ დონეზე შექმნა არსებულზე უფრო მეტად დამოუკიდებელი შრომითი ურთიერთობების მომწესრიგებელი სტრუქტურა.

შეერთებული შტატების საჯარო სამსახურის ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის მატარებლები არიან „შრომის თანასწორი შესაძლებლობისა" და „პოზიტიური დისკრიმინაციის" ინსტიტუტები, რომელთა საკანონმდებლო საფუძვლად მიიჩნევა 1964 წლის აქტი სამოქალაქო უფლებათა შესახებ, 1967 წლის და 1990 წლის აქტი დაქვეითებული შრომისუნარიანობის მქონე ამერიკელების შესახებ. ხსენებულ ინსტიტუტთაგან პირველი გულისხმობს შრომითი დისკრიმინაციის აღმოფხვრას რასის, ეთნიკური წარმომავლობის, სქესის, ასაკისა და ფიზიკური უუნარობის საფუძველზე და უზრუნველყოფს საჯარო სამსახურში შესვლას პროფესიული კვალიფიკაციის შესაბამისად, ხოლო მეორე ინსტიტუტი უფრო კონკრეტულად ემსახურება შრომისუუნარო პირებისა და საზოგადოების სხვა დაუცველი ფენების რეპრეზენტატიულობის დაცვას საჯარო სამსახურში.

საჯარო სამსახურის თეორიული განსაზღვრება ეფუძნება საჯარო სამსახურში ინდივიდის ეთიკური თვითმყოფადობისა და ეთიკური რელატივიზმის საკითხებს. ეთიკური ხასიათის პრობლემების გადასაჭრელად, პირველყოვლისა, აუცილებელია ფაქტების დადგენა მაქსიმალურად ობიექტური აღქმის პირობებში, შემდეგ კი გარკვეული ძირეული პრინციპების მოძიება, რაზედაც შესაძლებელია დაპირისპირებულ მოსაზრებათა შეთანხმება და მსჯელობათა მრავალმხრივი ანალიზი საკითხის საბოლოო გადაწყვეტისათვის. ამ შემთხვევაში მოსახსენიებელია ნეიტრალური კომპეტენციის დოქტრინის უდიდესი როლი. საჯარო მოსამსახურეთა ეთიკური კოდექსის შემუშავება და მასში ჩამოყალიბებული ქცევის წესებისადმი მიდევნება ერთი რიგის ეთიკური ღირებულებების დამკვიდრებისა და დაცვის მნიშვნელოვან მექანიზმად განიხილება. ეთიკური კოდექსები გარდა იმისა, რომ შეიცავენ ზოგადი ხასიათის ქცევის მორალურ წესებს, ხშირ შემთხვევაში მოიცავენ შესამჩნევად ლოკალური ხასიათის წესებსაც, რაც კიდევ უფრო ზრდის მათ მნიშვნელობას. ყოველი ადმინისტრაციული ორგანოს ეთიკური კოდექსი ერთმანეთისაგან განირჩევა ფუნქციონალური დანიშნულების სპეციფიკიდან

გამომდინარე. რაც შეეხება მათი ცხოველუნარიანობის საკითხს, რიგი ამერიკელი მეცნიერებისა აუცილებლად მიიჩნევს ეთიკური კოდექსებისათვის უზრუნველმყოფი საშუალებების თანდართვას, რომელნიც რეგლამენტირებული უნდა იქნენ ადმინისტრაციული სამართალშემოქმედების გზით.

ამერიკის შეერთებული შტატების საჯარო სამსახურის თავისებურებათაგან აღსანიშნავია პოლიტიკური და საშტატო საჯარო მოსამსახურეების ურთიერთობის რეგულირების თემაც. პროფესორი ალ ზაკი, რომელიც შეერთებული შტატების შრომის დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა აყალიბებს ერთობ საგულისხმო რეკომენდაციებს ხსენებული ურთიერთობების ეფექტურობის შესახებ. კერძოდ, იგი თვლის, რომ პოლიტიკურ და საშტატო მოსამსახურეთა ურთიერთობების მაღალნაყოფიერებისათვის ბიუროკრატმა უნდა აღიაროს პოლიტიკური ცვლილებების გარდაუვალობა და ამასთანავე გააცნობიეროს საკუთარი როლი, როგორც პოლიტიკური ნების აღმსრულებლისა. პროფესორის აზრით, ბიუროკრატს მოეთხოვება უზადო პროფესიონალიზმი, რაც გამოიხატება პროფესიული რჩევების მიცემის ვალდებულებასა და ემპირიული ცოდნის გაზიარებაში. საშტატო მოსამსახურე უნდა ერიდოს მოჭარბებულ „ბიუროკრატიულობას“, რომელიც, როგორც წესი, გამოიხატება ადმინისტრაციული პროცედურების ხელოვნურ გართულებაში. ალტერნატიული გზებისა და საშუალებების შემუშავება და მიწოდება პოლიტიკური მოსამსახურეებისათვის მნიშვნელოვნად ზემოქმედებს სამთავრობო კურსის შემუშავების პროცესზე.

### გამოყენებული ლიტერატურა:


1. Administrative Law and Process. Ernest Gellhorn, Ronald M. Levin. West Publishing Co.1997.
2. Public Administration and Law. David H. Rosenbloom, Posemary O'leary. Marcel Dekker, Inc 1997.
3. Public Administration. An Action Orinetation. Robert B. Denhartd. Thomson Learning, Inc 1999.
4. Public Law and Public Administration. Philip J. Cooper. F.E Peacock Publishers, Inc 2000.

**მაია ნადარეიშვილი**
*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დოცენტი*

# ამერიკული მედიის როლი პოლიტიკოსთა იმიჯის ფორმირებაში

პოლიტიკაში სიმბოლოები და კერპები ყოველთვის ერთმანეთთან იყო გადაჯაჭვული, რაც ქმნიდა იმ საოცარ ძალას, ერთი ფიგურის, ერთი მოელენის ნებას რომ უქვემდებარებდა მასებს.

იცვლება პოლიტიკური თაობა, იცვლებიან კერპები და სიმბოლოებიც. კვლავ რიტორიკულ კითხვად რჩება – სურს კი ხალხს არჩევანის თავისუფლება ჰქონდეს? ორიგინალური ფორმულირება მოუძებნეს ამ საკითხს დამფუძნებელმა მამებმა, როდესაც „მართულთა მმართველობა" დასახეს ახალი სამყაროს ფუნდამენტად.

თანამედროვე ამერიკელის ცხოვრებაში მედიას უზარმაზარი ადგილი უკავია. მისთვის სულაც არ არის ცარიელი სიტყვები „ხალხის უფლებაა იყოს ინფორმირებული". იგი მოითხოვს ამ უფლების გამოყენებას და ამით, გარკვეულწილად, მხარს უჭერს პრესის თავისუფლების დაცვასაც.

ამერიკული მედიაც მაქსიმალურად იყენებს კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებებს. ეს განსაკუთრებით იკვეთება პოლიტიკური მედიის მაგალითზე. იგი ქმნის ამა თუ იმ პოლიტიკოსის იმიჯს, რომლის შენარჩუნებასაც ყველანაირად ცდილობს – დასაშვებისა და დაუშვებლის ფარგლებშიც, სიტუაციის მიხედვით. საკმარისია, თუნდაც, ამერიკის პრეზიდენტთა სახის გამოძერწვის ოსტატობას ვადევნოთ თვალყური, რომ სრული სიდიადით გამობრწყინდეს თანამედროვე ამერიკული მედიის პოტენციალი. მის არსენალში ერთ-ერთი უნიკალური ხერხია სტერეოტიპების სისტემა, რაც ამერიკული მედიის ორიგინალური გამოგონება ნამდვილად არ არის, მაგრამ სწორედ მან ამოატივტივა და ძველის ახლებური გააზრებით ეფექტურად გამოიყენა საკუთარი მიზნებისათვის. რაში მდგომარეობს იგი?

პოლიტიკური ფიგურები საზოგადოების გონებაში მკვიდრდებიან გარკვეული საშუალებებით. ამერიკული მედიის საქმიანობის შედეგს თუ გავაანალიზებთ, დავრწმუნდებით: ძლიერი პოლიტიკური ფიგურის შექმნისათვის რეალობა მეორეხარისხოვანია, ხოლო იმიჯი – უმთავრესი. ამერიკულ მედიასა და პოლიტიკოსებს, როგორც ჩანს, საყვარელი დევიზი საერთო აქვთ: გამარჯვება ნებისმიერი ხერხით, ნებისმიერ ფასად.

ყოველთვის რთულია ხალხისთვის რაიმე სიახლის შეთავაზება და ცხოვრებაში დანერგვა. სტერეოტიპების მექანიზმი ჯერ კიდევ პირველყოფილი თემური წყობილებისთვის იყო დამახასიათებელი. თუმცა, თაობები იცვლებოდა და თავის კვალს ტოვებდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეპოქის მიხედვით იცვლებოდა სტერეოტიპებიც.

პოლიტიკასა და ჟურნალისტიკას საუკუნეთა მტერის სუნი ერთნაირად უდის. მაშინაც კი, როდესაც არ არსებობდა სიტყვა „მედია", იყო ის, რაც მას ცვლიდა და არცთუ ურიგოდ. არამხოლოდ ნივთები და ადამიანები, თვით ღმერთებიც კი ხშირად გადაიქცეოდნენ გარკვეული დატვირთვის მქონე სიმბოლოებად, რომელთაც

მნიშვნელოვანი ფუნქციები ენიჭებოდათ შესაბამისი პერიოდის პოლიტიკური თამაშის მსვლელობაში.

ძველად ამ პროცესს ისტორიის სამსჯავრო წარმართავდა. დღევანდელ ტესტს ყოვლისმძლე ალბათ, მხოლოდ მობილიზებული, კარგად გაწვრთნილი, უნარიანი და განათლებული ჟურნალისტური ელიტა გაუძლებს.

ზოგჯერ აკვირდები აშშ-ში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებს და ძნელია დანამდვილებით თქვა, ვინ ვის მართავს, ვინ ვის იყენებს და ათამაშებს თავის ნებაზე — მედია პოლიტიკოსებს თუ პირიქით. იქნებ, ეს ორი ხელისუფლება ფარულად გაერთიანდა ერთმანეთის ხელშესაწყობად მეტი ძალაუფლების მოპოვების მიზნით?

ამერიკული დემოკრატიის სათავეებთან მდგომი დამფუძნებელი მამები პრესას კეთილი თვალით უყურებდნენ და მათი უმეტესობა აქტიურადაც თანამშრომლობდა მასთან. კონსტიტუციის პროექტის მხარდასაჭერად, ახალგაზრდა პოლიტიკოსებმა ალექსანდრე ჰამილტონმა და ჯეიმს მედისონმა ჯონ ჯეის თანადგომითა და თანამშრომლობით ცალ-ცალკე შექმნეს წერილების სერია ნიუ-იორკის გაზეთებისათვის, საერთო ფსევდონიმით — „პუბლიუსი". ამ წერილებში მათ განმარტეს და დაიცვეს აშშ-ის კონსტიტუცია. „ფედერალისტური ჩანაწერები" დღემდე რჩება ყველაზე ავტორიტეტულ კომენტარად კონსტიტუციის შესახებ და პრესისა და პოლიტიკის ერთ-ერთი პირველი მძლავრი თანამშრომლობის ნიმუშად ამერიკის ისტორიაში.

მედიისა და პოლიტიკოსის წარმატებული თანამშრომლობის შედეგად, იქმნება ადამიანი-სიმბოლო, რომელიც კონკრეტულ იდეას გამოხატავს მასის ცნობიერებაში და უკავშირდება საზოგადოების ამა თუ იმ მწვავე პრობლემას, ინტერესს. ამავე დროს, კონკრეტული იდეა ბოლომდე გაშიფრული არ უნდა იყოს და, გარკვეულწილად, ბუნდოვანიც დარჩეს. ეს პოლიტიკოსს და, მასთან ერთად, მისი იმიჯის შემქმნელებს იდეის ფარგლებში მანევრირების საშუალებას უტოვებს.

აშშ-ის პოლიტიკურ სიმბოლოთა შორის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული, ჰოლივუდის ვარსკვლავივით კაშკაშა სიმბოლოა ქვეყნის პრეზიდენტი. წარმოუდგენელია ისაუბრო ამერიკაზე და გამოტოვო ქვეყნის პირველი პირი. იგი საოცარი ორიგინალობით საკუთარ თავში აერთიანებს, ერთმანეთს უკავშირებს თითქმის შეუთავსებელ ორ თვისებას — პოლიტიკურ სიდარბაისლესა და პოპ-ვარსკვლავებზე არანაკლებ პოპულარობას მასაში. ხშირად ეს პოპულარობა კრიტიკის ქარცეცხლშია გატარებული, მაგრამ პოლიტიკოსების ბედი ამ მოვლენასთან აბსოლუტურად ადაპტირებულია.

სპეციალისტთა მტკიცებით, არც ერთ პოლიტიკურ ინსტიტუტს ისეთი ღრმა ზეგავლენა არ მოუხდენია მსოფლიო ისტორიის მსვლელობაზე გასულ საუკუნეში, როგორც პრეზიდენტობის ამერიკულ ინსტიტუტს.

ამდენად, ერთი მხრივ, სტრუქტურისადმი (კონსტიტუციური საფუძვლებისა და პრეზიდენტობის პრაქტიკული ფორმებისადმი) და, მეორე მხრივ — თვით პრეზიდენტთა პიროვნებებისადმი ინტერესი „მეოთხე ხელისუფლების" მუდმივი ყურადღების ცენტრშია.

პრეზიდენტის იმიჯის ფორმირებაში პირად იმიჯმეიკერებზე არანაკლებ მონაწილეობას ღებულობს ამერიკული მედია. თუ პირველი, ძირითადად, ქვეყნის პირველი პირის ხატის შექმნაზეა კონცენტრირებული, მედიას ამ კუთხით ნაკლები პასუხისმგებლობა და, ზოგადად, არჩევანის უსაზღვრო თავისუფლების პრივილეგია

საშუალებას აძლევს ფრთა გაშალოს პოლიტიკური ფანტაზიისა და რეალობის ფარგლებში. სწორედ ამ დროს საკუთარი ქმარ-სიმბოლოს შუქ-ჩრდილებიდან იკვეთება მესამე მძლავრი ძალა, რომელიც პრეზიდენტის იმიჯზე უშუალო გავლენას ახდენს.

დღემდე აშშ-ს 43 პრეზიდენტი ჰყავდა. თუ მათ ცხოვრებას და პოლიტიკურ მოღვაწეობას გადავხედავთ, აშკარად იკვეთება პირველი ლედის უკიდურესად მნიშვნელოვანი როლი თეთრი სახლისკენ მიმავალ გზაზე. ყველაზე ჩუმი, მორიდებული და უტყვი ცოლებიც კი გავლენას ახდენდნენ ქმრის კარიერაზე. თუ გავაანალიზებთ იმ ხერხებსა და მეთოდებს, რომლებსაც ეს ქალბატონები მიმართავდნენ, შეგვიძლია გამოვყოთ სამი ძირითადი ჯგუფი:

ზოგჯერ, პრეზიდენტი-სიმბოლოს გვერდით არანაკლები სიძლიერით იკვეთება ახალი სიმბოლო პირველი ლედის სახით. ამის ერთ-ერთი თვალნათელი ნიმუშია ელეონორა რუზველტის პიროვნება. აქ შეგვიძლია ვისაუბროთ ორი, თითქმის თანაბარი სიძლიერის პოლიტიკურ მოღვაწეზე.

მეორე ჯგუფს განეკუთვნებიან ბესი ტრუმენისა თუ მეიმი ეიზენჰაუერის ტიპის ქალბატონები. ისინი იდუმალებით მოცულ ჩრდილებად წარმოგვიდგებიან პრეზიდენტის გარშემო და სწორედ ქმრის პოლიტიკური სიმბოლოს კიდევ უფრო უკეთ წარმოჩენისთვის იღვწიან ჩუმად და შეუსვენებლივ.

მესამე ჯგუფი კი შედარებით მრავალრიცხოვანია და აერთიანებს იმ ქალბატონებს, რომლებიც შუქ-ჩრდილებად გასდევენ თავიანთი პრეზიდენტი მეუღლეების კარიერას.

ამერიკის კონსტიტუციასა და კანონმდებლობაში არსადაა მოხსენებული პრეზიდენტის მეუღლე და მისი უფლება-მოვალეობები. სწორედ ეს ანიჭებს ამ ტიტულის მქონე პიროვნებას უსაზღვრო თავისუფლებასაც და უკიდურეს შეზღუდულ პოზიციას ამავდროულად. არსებითია ერთი მომენტი – პირველი ლედი ეს არის ქალი, რომელსაც ყველაზე იოლად და მძლავრად შეუძლია გავლენა მოახდინოს ქვეყნის პრეზიდენტსა და მის პოლიტიკაზე. არ არსებობს კანონი, რომელიც გააკონტროლებს ცოლის ზემოქმედების ხარისხს თუნდაც ასეთ მაღალ დონეზე.

საბოლოოდ კი წრე იკვრება. ყველა და ყველაფერი ქედს იხრის მეოთხე ხელისუფლების წინაშე, რადგან სწორედ იგი აკონტროლებს და თამაშის წესებს კარნახობს როგორც პრეზიდენტსა და მის იმიჯმეიკერებს,ასევე პირველ ლედისა და მთელ მათ ამალას.

პოლიტიკური სცენის რეჟისორებად სწორედ ამერიკელი ჟურნალისტები გვევლინებიან. ამის ნათელ დადასტურებად, თუნდაც, რიჩარდ ნიქსონის იძულებითი გადადგომა გამოდგება. „უოთერგეიტის" სკანდალურ ამბავს მსოფლიოს ყველა ჟურნალისტურ სკოლაში ასწავლიან.

ამიტომაც, მედიისადმი პირადი დამოკიდებულების მიუხედავად, ნებისმიერი პოლიტიკოსი გრძნობს, რომ მისი ხანგრძლივი პოლიტიკური არსებობა სწორედ მეოთხე ხელისუფლებად მონათლულ სტრუქტურაზეა დამოკიდებული. ამის დასტურია ის ფაქტი, რომ პოლიტიკოსები თანახმანი არიან ყველა ხერხითა თუ საშუალებით უფრო მეტი საეთერო დრო და საგაზეთო სივრცე მოიპოვონ,თუნდაც ზოგჯერ „არასახარბიელო" კუთხითაც კი გამოჩნდნენ.

როცა მედია გივიწყებს, ხალხის მეხსიერებასაც ბინდი ედება. მოსახლეობის – პოტენციური ელექტორატის გონებაში პოლიტიკოსის იმიჯის ჩანერგვა და შემდგომ მისი საფუძვლის გამყარება სწორედ ტელევიზიის, რადიოსა და პრესის ექსკლუზიური შესაძლებლობაა. ამიტომ, პოლიტიკოსებს „მედია სძულთ და, მედია უყვართ".

**ლუის ნასი**
*დასავლეთ კეიპის უნივერსიტეტის (ბელვილი, სარ)*
*ინგლისური ენის ფაკულტეტის დოცენტი*

# რისთვის გეჭირდება ამერიკის შესწავლა სამხრეთ აფრიკაში?

შეიძლება იფიქროთ, რომ სამხრეთ აფრიკა და, საერთოდ, აფრიკა ძალიან შორსაა თბილისისაგან. მაგრამ მეგობრებმა მითხრეს, რომ აფრიკა უფრო ახლოსაა თბილისთან, ვიდრე თქვენ ფიქრობთ, ვინაიდან თბილისის შემოგარენში არსებობს აფრიკად წოდებული უბანი, რომლის სახელწოდება იმას მიგვანიშნებს, რომ იგი ძალიან მოშორებულია ქალაქის ცენტრიდან.

სინამდვილეში ის – ნამდვილი აფრიკა და, განსაკუთრებით, სამხრეთ აფრიკა არ მდებარეობს ისე შორს საქართველოსაგან, როგორც თქვენ გგონიათ. ამ ორ ქვეყანას შორის მართლაც არსებობს რაღაც აბსტრაქტული მსგავსება. ორივე ცენტრალიზებული სისტემიდან დეცენტრალიზებულ, კაპიტალისტურ სისტემაზე გადასვლის პროცესშია: აქ მე, რა თქმა უნდა, ვგულისხმობ შავკანიან აფრიკელებს, რომლებიც იტანჯებოდნენ აპართეიდის რეჟიმის პირობებში.

*რისთვის გეჭირდება ამერიკის შესწავლა სამხრეთ აფრიკაში?*– სტატიის ეს საკმაოდ მოსაწყენი სათაური შესაძლოა ბადებს კითხვას, თუ რატომ სწავლობენ ამერიკას საქართველოში ან, საერთოდ, რისთვის არის საჭირო ეს საგანი? ასე მოხდა, რომ მე ვარ ახლად დაფუძნებული ამერიკის შესწავლის საერთაშორისო ასოციაციის /აშსა/ აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. საერთაშორისო კომიტეტის პირველი მსოფლიო კონგრესი ჩატარდება მაისის ბოლოს ნიდერლანდების ქალაქ ლეიდენში, ჩემს მშობლიურ ქალაქში, საიდანაც 1990 წელს აფრიკაში გადავედი საცხოვრებლად.

აშსა დააფუძნა ამერიკის საერთაშორისო მკვლევართა ჯგუფმა, რომელსაც სურდა გასცდენოდა ამერიკის შესწავლის თავდაპირველ კონცეფციას, ანუ მხოლოდ ჩრდილოეთ ამერიკის, ამერიკის შეერთებული შტატების შესწავლას. ახალი ორგანიზაცია ითვალისწინებს როგორც ჩრდილო, ისევე სამხრეთ ამერიკის შესწავლას, კარიბის კუნძულების ჩათვლით და, ამგვარად, არ შემოიფარგლება ამერიკის ინგლისურენოვანი ნაწილით.

ამ ბოლო ათწლეულის განმავლობაში თვით ამერიკის შესწავლისას ძირითადი აქცენტი კეთდება „განსხვავებულობის ფენომენზე" და არა ამერიკაზე, როგორც ქვეყანაზე, სადაც ყველა ერი *ერთ ქვაბში იხარშება*. ჩვენ გამოვნახეთ ახალი მაგალითი - *სასალათე*, სადაც ჩაყრილია სხვადასხვა ინგრედიენტები, რომლებიც თავის თვითმყოფადობას ინარჩუნებენ და, ამავდროულად, ერთობლიობაში მთლიანობას ქმნიან. ჩემთვის და იმ გარემოსთვის, სადაც მე ვასწავლი, მრავალკულტურულ და მრავალეროვნულ საზოგადოებაში, ქვეყანაში, სადაც 11 ოფიციალური ენაა, ეს ახალი აქცენტი განსხვავებულობაზე ახალ ცხოვრებას შთაბერავს ამერიკის შესწავლის პროცესს.

აშშ-ს ჩვეულებრივად მიიჩნევენ იმიგრანტების სახელმწიფოდ, სადაც იმიგრაცია იძულებითი (მონები, ამერიკელი ინდიელები, მექსიკელები, პუერტო რიკოელები, ჰავაის კუნძულების მკვიდრები, კუბელები), თუ ნებაყოფლობითი (თეთრკანიანთა

ეთნიკური ჯგუფები) ყოველთვის ცენტრალურ ადგილს იკავებდა ქვეყნის ისტორიაში. მაგრამ სულ ცოტა ხნის წინ იმიგრაციას მიიჩნევდნენ ინგლისურენოვანი საზოგადოების ძირითად ნაწილში ინტეგრირების საშუალებად. ამ საზოგადოების ძირითადი შემადგენლობა წარმოადგენს ეროვნული კონსენსუსის ერთობლივ გამოვლინებას. ხოლო გრეგორი ჯეი „*ამერიკის ლიტერატურულ და კულტურულ ომებში*" /1997 წ/ წერს: „ეს კონსენსუსი უთუოდ არ შედგებოდა, თუკი ამერიკელები თავის მოსახლეობას ეროვნულ უმცირესობებად დაყოფდნენ იქიდან გამომდინარე, რომ მოსახლეობას შეადგენენ იმიგრანტები, საკუთარი მიწა-წყლიდან აყრილი ხალხები და სხვა ქვეყნებიდან ჩამოყვანილი მონები".[1] ჯეი წერს: „კულტურული და ეკონომიკური ასიმილაცია ისტორიულად უადვილდება წარმოშობით ევროპელებს, უფრო ძნელია წარმოშობით ესპანელებისათვის და პრაქტიკულად შეუძლებელია აფრიკელებისათვის /1997–1996/, ამასთანავე აზიური წარმოშობის ამერიკელების ასიმილაცია ჯერ კიდევ პრობლემად რჩება. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ მოსახლეობის აღწერის ბიუროს ვარაუდს, აშშ ამჟამად განიცდის სიღრმისეულ დემოგრაფიულ ცვლილებებს ეთნიკური და რასობრივი შემადგენლობის მხრივ მე-19 საუკუნის დასასრულიდან მოყოლებული. ამგვარად, ამერიკაში იქმნება უპრეცენდენტოდ მრავალკულტურული და მრავალეთნიკური საზოგადოება".[2] ამ საუკუნის შუა ხანებში თეთრკანიანი ევროპელების შთამომავლები, რომლებიც ქვეყნის არსებობის მანძილზე განსაზღვრავდნენ აშშ-ს ეროვნულ კულტურას, ამჯერად უმცირესობაში აღმოჩნდებიან.[3]

სხვადასხვა ეთნიკურმა ჯგუფებმა მათთვის დამახასიათებელი თვისებების გამოვლინება მხოლოდ 1960–1970 წლებში დაიწყეს, რითაც დაუპირისპირდნენ წინათ განმტკიცებულ იმიგრაციის „ანგლო-კონფორმისტულ" მოდელს. ამან ეჭვქვეშ დააყენა თვით ამერიკის შესწავლის სფეროს არსებობაც კი.

ჩემს შემთხვევაში ამერიკის შესწავლა ფოკუსირებულია ლიტერატურასა და კულტურაზე. ახლა ეს დარგი უკვე აღარ არის შეზღუდული არც საზღვრებით, არც აშშ-ის გავლენის გავრცელების სფეროებით, თუმცა, აშშ-ის ამჟამინდელი ჰეგემონური როლი მსოფლიოში სხვას გვაფიქრებინებს. საკმაოდ შესაბამისად და დროულად ჟღერს ამერიკის შესწავლის საერთაშორისო ასოციაციის პირველი მსოფლიო კონგრესის თემა: „რამდენად შორსაა ამერიკა ჩვენგან?".

ამერიკის შესწავლა უკვე აღარ ასრულებს „ჭეშმარიტად" ამერიკული სულისკვეთების განმსაზღვრელის იდეოლოგიურ როლს, ახლა აქცენტი კეთდება „განსხვავებულობის" ფენომენზე. ამჟამად კი, ეს განსხვავებულობა ანუ მარგინალურობა თანდათან ცენტრალურ ადგილს იკავებს. თუმცა, უნდა გავაფრთხილოთ, რომ არ ავცდეთ „გულუბრყვილო პლურალიზმს ან ეთნიკური ტრადიციების გადაჭარბებულ განმტკიცებას", როგორც გრეგორი ჯეი წერს „ერთი პირის მიერ საკუთარი კულტურული თვითმყოფადობის სხვების თავზე მოხვევა საბოლოო ჯამში ვერ დააკმაყოფილებს იმათ, ვინც საკუთარი თვითმყოფადობის პოლიტიკის საფუძველზე ავიწროვებდა და უარყოფდა უმცირესობების თვითმყოფადობას.[4] სწორედ ამ მრავალკულტურულ და მრავალეთნიკურ კონტექსტში ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა საქართველო და სამხრეთ აფრიკა, რომლებიც შედგება მრავალეთნიკური მოსახლეობისაგან, სხვადასხვა ერების წარმომადგენელ ამერიკელ მწერლებს და კინორეჟისორებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ ამერიკის შესწავლის სფეროში.

საქართველოზე მეტად სამხრეთ აფრიკა დიდი ხნის განმავლობაში, ფაქტობრივად, ჩაძირული იყო ამერიკის კულტურულ იმპერიალიზმში. ტელევიზია ქვეყანაში გაჩნდა მხოლოდ 1976 წელს და სულ მოკლე ხანში ქვეყანა ეკონომიკურმა ბოიკოტებმა შეკრა. გაიმართა ბრიტანეთის სატელევიზიო პროგრამების ბოიკოტი, რის შედეგადაც სატელევიზიო პროგრამების უმრავლესობა აფრიკაში მაშინაც და ახლაც ამერიკულია. ამან გამოიწვია ამერიკული კულტურის სიღრმისეული შეჭრა და განმტკიცება სამხრეთ აფრიკის საზოგადოებაში.

ამერიკას თავს ვერ დავაღწევთ. მაგალითად, ჩვენთან დაიწყო ამერიკული სავაჭრო ცენტრების დაარსება - მალაზიები ქალაქის გარეუბნებში. როდესაც თქვენ დასახლებულ პუნქტსა თუ ბაზარში დასეირნობთ, ისეთი შთაბეჭდილება გექმნებათ, თითქოს „Chicago Bulls"-ის გულშემატკივარი კეიპ თაუნში მეტია, ვიდრე თვით ჩიკაგოში. როდესაც გასული წლის თებერვალში ჩიკაგოს ვეწვიე, იქ ვერსად ვნახე მაისურები „ბულლს"-ის წარწერით, მაგრამ შეიძლება ეს მაისურები მკაცრი ზამთრის გამო არ იყიდებოდა.

კეიპ თაუნში არსებობს ჰომოსექსუალისტების ეკლესია, სახელწოდებით „Metropolitan Church" (მეტროპოლიტენ ეკლესია), რომელიც წარმოადგენს კალიფორნიიდან ჩვენამდე მოღწეულ რელიგიურ მოძრაობას. (კეიპ თაუნს ხშირად უწოდებენ ცისფერების დედაქალაქს, ანუ სამხრეთ აფრიკის ან საერთოდ მთელი აფრიკის სან-ფრანცისკოს). ქალაქის შემოგარენში სახლების კედლებზე თვალში გვხვდება ტუპაკ შაკურის პულვერიზატორით დაწერილი სახელი. ეს იყო განგსტერების ავადცნობილი ლიდერი, რომელიც მოკლეს რამდენიმე წლის წინ. ჩემდა გასაკვირად აქაც, თბილისში საბურთალოზე, საცხოვრებელი სახლის კედელზე ტუპაკ შაკურის პულვერიზატორით დაწერილი სახელი ვნახე ვაჟა ფშაველას და ყაზბეგის ქუჩების გადაკვეთაზე. ეს დამთხვევა ცალკე შედარებითი ანალიზის საგანი შეიძლება გახდეს. ჩვენი ქალაქების შემოგარენში მოქმედებენ განგსტერთა დაჯგუფებები, რომლებიც მოწყობილია ამერიკის მეორეხარისხოვანი განგსტერული ფილმების მიბაძვით, მათი სახელებია – „მაგარი ბანდა" და „ამერიკელები". ხოლო, როდესაც მე ჩემი სტუდენტები გავაგზავნე კეიპ თაუნში ამერიკული გავლენის მაგალითების გამოსავლენად, ერთი სტუდენტი წააწყდა უკანონოდ დასახლებულ რასტაფარიანელთა ბანაკს. ეს ბანაკი 1920-იანი წლების აფრიკაში დაბრუნების მოძრაობის ლიდერის - მარკუს გარვის სახელს ატარებდა. ასევე, რა თქმა უნდა, ჯაზიც ზედმიწევნით პოპულარულია კეიპ თაუნში. ჯაზი წარმოიშვა აფრიკაში, ხოლო ახლა იგი ამერიკის გავლით ექსპორტით შემოაქვთ აქ, რამაც ხელი შეუწყო აფრიკული და ამერიკული ქალაქური ჯაზის საოცარი ჰიბრიდული ფორმის წარმოქმნას.

ამერიკის შესწავლისას ყოველთვის ვცდილობ ამ ორი ქვეყნის ისტორიის შედარებას და რაიმე საერთოს გამონახვას მათ შორის. როგორც ამერიკაში ჩამოსული პირველი ევროპელი ემიგრანტები, ასევე პირველი ევროპელი ემიგრანტები სამხრეთ აფრიკაში საკუთარ თავს ღვთის რჩეულებად თვლიდნენ. ისინი ამბობდნენ, რომ ღმერთთან ხელშეკრულება ჰქონდათ დადებული აღთქმულ მიწაზე წასასვლელად. ამ შეხედულებამ გარკვეული როლი ითამაშა რასისტული იდეოლოგიის შექმნაში, რომელიც, სამწუხაროდ, ახლაც არსებობს სამხრეთ აფრიკაში და აშშ-ის სამხრეთში. ორივე ქვეყნის ისტორიაში მონათმფლობელობას დიდი ადგილი უკავია და მე მრცხვენია, რომ ჩემი ჰოლანდიელი თანამემამულეები მთავარ როლს ასრულებდნენ მონებით ვაჭრობაში მე-18 და მე-19 საუკუნეებში. მსგავსება შეიძლება

მოვნახოთ აშშ-ში სამოქალაქო უფლებებისათვის მოძრაობასა და აპართეიდის წინააღმდეგ ბრძოლას შორის სამხრეთ აფრიკაში, რაც ხელს უწყობს საინტერესო შედარებითი სწავლების მეთოდს.

მაგრამ ვინაიდან მე ვასწავლი თანამედროვე ამერიკულ ლიტერატურას და კინოს, ყველაზე მნიშვნელოვნად ამერიკის შესწავლისას მიმაჩნია მრავალეთნიკური და მრავალკულტურული ტექსტების ანალიზი, მათი ტექსტობრივი, აუდიო და ვიზუალური აღქმა. ამით მე სტუდენტებს ვასწავლი არა მარტო აშშ-ის, არამედ საკუთარი თავის კრიტიკულ გააზრებასაც. როგორც ამერიკელ სტუდენტებს, ასევე შავკანიან აფრო-ამერიკელებს, რომლებიც გრძნობენ თავის უნიკალურობას, სხვებისგან განსხვავებულობას, სპეციფიკურობას, ვინაიდან გაიზარდნენ განსაკუთრებულ ქვეყანაში, განსაკუთრებულ პირობებში და მხოლოდ ამერიკის ლიტერატურისა და კინოს შესწავლით, კერძოდ კი, თანამედროვე მრავალეთნიკური და მრავალკულტურული პოსტ-კოლონიური ტექსტების შესწავლით, ჩვენს სტუდენტებსაც ეძლევათ შესაძლებლობა კრიტიკულად შეაფასონ საკუთარი გამოცდილება.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Gregory Jay, American Literature and the Culture Wars (Ithaca and London, Cornell University Press, 1997.
2. Ibid.
3. Harold Augenbraum et al., The Latino Reader: An American Literary Tradition from 1542 to the Present. Boston and New York, Houghton and Miflin Company, 1997, XIII.
4. Gregory Jay, Op.cit, p.74.

**ვირჯინია დეივის ნორდინი**
*კენტუკის უნივერსიტეტის იუსტიციის დეპარტამენტის პროფესორი (აშშ)*

# უზენაესი სასამართლო განსაზღვრავს ახალ ფედერალიზმს: გადაწყვეტილება მე-11 შესწორების თაობაზე

ამერიკის შეერთებულ შტატებს დაარსებიდანვე მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ფედერალური სისტემა ჰქონდა. ამერიკელები თავიანთ კონსტიტუციას ლამის რელიგიური მოწიწებით უყურებენ და მიიჩნევენ, რომ ის საუკეთესო ნიმუშია მთელი მსოფლიოსათვის. როგორც უკვე აღვნიშნე სხვა ნაშრომში, სულაც არ არის აუცილებელი, ეს ასე იყოს.[1] ამერიკის დემოკრატიული კონსტიტუციური სისტემა ავტონომიური რეგიონების წარმომადგენლებს შორის პრაქტიკული კომპრომისის საფუძველზე წარმოიშვა. მართალია, ამ სისტემაში იყო ძლიერი სტრესები და დაძაბულობა, მათ შორის, სამოქალაქო ომი შტატების უფლებისათვის გასულიყვნენ ფედერაციიდან, სისტემა უცვლელი, ხოლო მმართველობითი სტრუქტურა ეფექტური რჩება. მაგრამ ამ ბოლო პერიოდში აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების მთელმა წყებამ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოახდინა შტატების აქამდე არსებულ სტრუქტურასა და ფედერალურ უფლებებში. აღნიშნული სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ატრიბუტი და საკითხია შტატების ფართო ავტონომია, რაც, უპირველეს ყოვლისა, იმ ფაქტზეა დაფუძნებული, რომ უწინდელი კოლონიები ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალურ კავშირში დამოუკიდებელ ავტონომიურ შტატებად შევიდნენ. წლების განმავლობაში ბალანსი მკაცრად ცენტრალიზებულ ფედერალურ მმართველობასა და შტატების დამოუკიდებლობას შორის უმნიშვნელოდ იცვლებოდა სხვადასხვა მიმართულებით. უახლესი ისტორიის განმავლობაში კონსერვატორები უფრო შტატების უფლებების გაძლიერებისაკენ იხრებოდნენ მაშინ,როცა ლიბერალები ფედერალური კანონმდებლობის მზარდ დონეს იყენებდნენ სოციალური რეფორმების გასატარებლად. ცხადია, კონსერვატორები სამოქალაქო აქტივობასა და სამოქალაქო კანონმდებლობის მიღებაში სდებდნენ ბრალს როგორც „ახალი მიდგომის", ისე უორენის სასამართლოს, რომლებმაც ამერიკის საზოგადოებას თავს მოახვიეს რასობრივი ინტეგრაცია უმცირესობის წარმომადგენელი მოქალაქეების პიროვნული უფლებების დამცველი გადაწყვეტილებების მთელი წყების მეშვეობით და მხარს უჭერდნენ ამავე მიზნის მისაღწევად აუცილებელი საკანონმდებლო აქტების მიღებას.

სპეციალისტთა უმეტესობა შიშობს, რომ ძალების ფედერალური ბალანსის მიმდინარე რესტრუქტურიზაციას, რომელსაც უზენაესი სასამართლო ახორციელებს, უფრო ღრმა მიზეზები აქვს და, აქედან გამომდინარე, მიიჩნევენ, რომ აუცილებელია სისტემის კიდევ ერთხელ გადასინჯვა, კერძოდ, საკანონმდებლო რევიზიის ცნება, რომელიც ცხრა ადამიანს, რომლებიც არჩეული არ ყოფილან, საშუალებას აძლევს მიიღონ მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებები, პროცესი, რომელსაც ჩვეულებრივ სამოქალაქო კანონმდებლობას უწოდებენ. ზოგს შეიძლება მიაჩნდეს, რომ პარტია ან ფრაქცია,კონსერვატიული იქნება ის,თუ ლიბერალური,რომელიც ეწინააღმდეგება უზენაესი სასამართლოს პოზიციას ყოველ მოცემულ დროს,

ყოველთვის შეძლებს წამოჭრას სასამართლოს მიერ უფლებამოსილების გადაჭარბების საკითხი.

თავის ამას წინათ გამოცემულ შინაარსიან წიგნში, რომელიც მოიცავს იეილის უნივერსიტეტში წაკითხულ ლექციებს ეთიკაში, პოლიტიკასა და ეკონომიკაში, რობერტ დალი სვამს კითხვას, თუ რამდენად დროულია ამერიკელების მხრივ კონსტიტუციისადმი თავიანთი დამოკიდებულების გადახედვა იმ თვალსაზრისით, რომ მან მეტი პოლიტიკური თანასწორობა უზრუნველყოს. დალის აზრით, ამერიკის კონსტიტუცია მოკლე და ქმედითია იმის წყალობით, რომ მასში ყურადღება „სამ ძირითად საკითხზე – *სტრუქტურებზე, ძალაუფლებასა და უფლებებზე* მახვილდება".[2]

მართალია, დალს მთლიანად არ ვეთანხმები, მაგრამ ამას წინათ უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული მე-11 შესწორება, როგორც ჩანს, ნამდვილად გამოდგება იმის საილუსტრაციოდ, თუ ზოგიერთი რატომ აყენებს ეჭვქვეშ უზენაესი და ქვემდგომი სასამართლოებისათვის მინიჭებული სასამართლო კონტროლის უფლების ამჟამინდელ დონეს. დაწყებული 1996 წლის საქმით *„ფლორიდის სემინოლის ტომი ფლორიდის წინააღმდეგ"*, აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მთელმა წყებამ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოახდინა შტატებისა და ფედერალური უფლებების მანამდე არსებულ სტრუქტურაში. თეორიულად, ამ სფეროში ამერიკის ფედერალიზმის განმსაზღვრელი, ბოლო ხანებში, მიღებული გადაწყვეტილებები ემყარება ინგლისის ზოგად სამართალს (რომელიც გადმოიღო აშშ-ის კონსტიტუციამ); 1-ელ მუხლს, რომელიც განსაზღვრავს კონგრესის უფლებამოსილებებს; მე-10 ნაწილს, რომელიც კრძალავს კონტრაქტების დარღვევას ნებისმიერი შტატის მიერ; კონსტიტუციის მე-3 მუხლს, რომელიც განსაზღვრავს ფედერალური სასამართლოების საკანონმდებლო უფლებამოსილებებს; მე-10 შესწორებას, რომლის თანახმადაც ყველა უფლებამოსილება, რომელიც კანონით პირდაპირ არ გადაეცემა ფედერალურ მთავრობას, უნარჩუნდება შტატებს; მე-11 შესწორება, რომლის თანახმადაც შტატები დაცულია სხვა შტატებისა და სახელმწიფოების მოქალაქეების სასამართლო სარჩელებისაგან; მე-14 შესწორებას და აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებულ მრავალ გადაწყვეტილებას, რომლებიც განმარტავს ამ დებულებებს.

ცვლილებები შტატებსა და ფედერალურ მთავრობას შორის ბალანსში, რომელსაც ზოგი „ორმაგ სუვერენიტეტს" უწოდებს, ბევრს უკიდურესობად ეჩვენება და, თითქოს, მიუთითებს მნიშვნელოვან ცვლილებებზე ამერიკის მმართველობით სტრუქტურაში. ტერმინს „ორმაგი სუვერენიტეტი" შტატების ფართო ავტონომიის მომხრეები იყენებენ. მან შეცვალა უწინ უფრო ფართოდ გავრცელებული გამოთქმა „შტატების უფლებები", რომელსაც ბევრი უარყოფითი პოლიტიკური კონოტაცია აქვს, განსაკუთრებით სამოქალაქო უფლებებთან მიმართებაში. თვით ტერმინი „ფედერალიზმი" აღიქმება როგორც მეტისმეტად ფართოდ გამოყენებადი სხვა ეროვნული სისტემებისათვის,[3] რომლებსაც სხვადასხვა ხარისხის ავტონომია აქვთ ქვეერთეულებისათვის. ამდენად, ის არ არის საკმარისად მკვეთრი, როცა საუბარია შტატების უფლებამოსილებაზე. ბევრისათვის გამოთქმის „ორმაგი სუვერენიტეტი" წონა საეჭვოა, ვინაიდან ტერმინი „სუვერენიტეტი" არ გამოიყენება ამერიკის კონსტიტუციაში, ხოლო შტატებთან თუ ფედერალურ მთავრობასთან მიმართებაში გამოყენებული სუვერენის იმუნიტეტის ცნება, როგორც დემოკრატიული კონსტიტუციური სისტემის პრინციპი, საეჭვო ისტორიული დასაბუთებაა.

ერთმა უფროსმა ფედერალურმა მოსამართლემ, რომელიც საზოგადოდ კონსერვატორადაა მიჩნეული, დაწერა წიგნი, რომელსაც ზოგი პოლემიკურს უწოდებს იმიტომ, რომ შტატების სუვერენის იმუნიტეტის თანამედროვე ინტერპრეტაცია, რომელიც ფართო ორმაგი სუვერენიტეტის ცნებას ეფუძნება, ფაქტობრივად, უზენაესი სასამართლოს მიერ კონგრესის უფლებამოსილებათა შეზღუდვის მიზნით გამოიყენება, რადგან ის მეტ საშუალებას აძლევს შტატებს თავიდან აიცილონ კონტროლი კონგრესის მხრივ.[4] მისი მწვავე კრიტიკა შეეხება კანონის უზენაესობაზე დამყარებული საზოგადოების საფუძვლებს: იგი ამტკიცებს, რომ მე-11 შესწორებით გათვალისწინებული იმუნიტეტის თანამედროვე გამოყენება არყევს მთელ სისტემას, რადგან ცალკეულ მოქალაქეებს უსპობს საშუალებას თავი დაიცვან უკანონო ქმედებებისაგან. მართალია, ამერიკული საზოგადოება ხშირად აღიქმება როგორც სასამართლო გარჩევებისაკენ მეტისმეტად მიდრეკილი, მაგრამ სასამართლოს გზით სოციალური სამართლიანობის მიღწევის შესაძლებლობამ საშუალება მისცა ჩვენს მღელვარე ქვეყანას არა მხოლოდ გადარჩენილიყო რევოლუციების გარეშე, არამედ მტკიცედ წასულიყო წინ სოციალური სამართლიანობის სულ უფრო ფართო გაგებისაკენ მზარდი რაოდენობის სასამართლო გადაწყვეტილებების მეშვეობით. ჩვენში ასეა მიღებული. ამჟამად ყველაფერი ეს იცვლება და ჩვენი მეტად პატივცემული საკანონმდებლო სისტემა შეიცავს ბევრ უფლებას, რომლებსაც არ გააჩნიათ ეფექტური სასამართლო დამცავი მექანიზმები, რითაც ირღვევა დროით გამოცდილი ზოგადი სამართლის წესი: „არ არსებობს უფლება სასამართლო დაცვის გარეშე"[5]

ანგლო-ამერიკული იურისპრუდენციის ეს უმთავრესი ელემენტი უზენაესმა სასამართლომ სულ ახლახან კვლავ გაიმეორა საქმეში, რომელიც ეხებოდა სქესობრივ დისკრიმინაციას განათლების კანონის მე-9 თავში 1972 წელს შეტანილი შესწორებების თანახმად. ის ხაზს უსვამს ამ ცნების მნიშვნელობას და შორს მიმავალ ცვლილებებს მე-11 შესწორებასთან დაკავშირებულ ახლანდელ საქმეებში. საქმე „*ფრენკლინი გუინეტის წინააღმდეგ*" განიხილებოდა როგორც მე-14 შესწორებით კონგრესისათვის მინიჭებულ უფლებამოსილებებზე დაფუძნებული და, შესაბამისად, ნაკლებად დამოკიდებული მე-11 შესწორების წინააღმდეგობებზე. ის აგრეთვე ნათელს ხდის განსხვავებას სამოქალაქო უფლებების ფედერალური ადმინისტრაციული ორგანოების მიერ განხორციელებასა და ამ უფლებების განხორციელებაში მოქალაქეების უფლებებს შორის. ეს ის სფეროა, რომელშიც მე-11 შესწორების მნიშვნელობა დიდია.

ცალკეული მოქალაქეების მიერ სამოქალაქო უფლებების კანონმდებლობის ცხოვრებაში გატარების უფლების განვითარებას თავისი წესი და საკანონმდებლო განვითარება აქვს. მართალია, ზოგიერთ საკანონმდებლო აქტს ცალკეული სასამართლო პროცესის უფლებამოსილება აქვს, ცალკეული პირების უფლებები ძირითადად სასამართლოების ინტერპრეტაციების შედეგად დადგინდა. ფედერალური საკანონმდებლო აქტები სამოქალაქო უფლებების სფეროში, როგორც წესი, საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული კონკრეტული სამოქალაქო უფლებების განხორციელებას ფედერალურ ადმინისტრაციულ ორგანოს აკისრებს, ხანდახან საკანონმდებლო აქტის თანახმად ჩამოყალიბებულ ახალ ორგანოს, ზოგჯერ კი - არსებულ ორგანოებს. იმ შემთხვევებისათვის, როცა ცალკეულმა პირებმა აღმოაჩინეს, რომ ფედერალური ორგანოები არაეფექტურია, სასამართლომ განიხილა შესაბამის ფედერალურ ორგანოში „ადმინისტრაციული ზომების ამოწურვის" შემდეგ მოქალაქეების მიერ სარჩელის პირდაპირ შეტანის საკითხი. საქმე „ფრენკლინი

გუინეტის წინააღმდეგ“ გვიჩვენებს, თუ როგორ ვითარდებოდა ეს პრინციპები, პრინციპის „არ არსებობს უფლება სასამართლო დაცვის გარეშე“ მნიშვნელობა და რამდენად მნიშვნელოვანია ეს ცნება სასამართლოებისათვის.

ფრენკლინის საქმე ეფუძნებოდა განათლების კანონის მე-9 თავში 1972 წელს შეტანილ შესწორებებს, რომლებიც კრძალავს სქესობრივ დისკრიმინაციას განათლების სფეროში. იმ დროს მისი მიზანი იყო დისკრიმინაციის საწინააღმდეგო დებულებები მოსწავლე ქალებზე გაევრცელებინა, რადგან მასწავლებლები და სხვა მუშაკები დაცული იყვნენ მე-7 თავით, რომელიც კანონგარეშე აცხადებდა სქესობრივ დისკრიმინაციას დაქირავებული მუშაკების სფეროში, მაგრამ არ არსებობდა მდედრობითი სქესის სტუდენტების სქესობრივი დისკრიმინაციისაგან დამცავი დებულებები. ფრენკლინის საქმეში ფიგურირებდა საშუალო სკოლის მოსწავლე გოგონა, რომელიც სკოლის ფიზკულტურის მასწავლებლის მხრივ სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გახდა. სასკოლო ოლქმა სამუშაოდან დაითხოვა მასწავლებელი, მაგრამ დათანხმდა, რომ, თუ ის წყნარად წავიდოდა, მის წინააღმდეგ დევნა აღარ გაგრძელდებოდა. სასკოლო ოლქმა აგრეთვე შეცვალა სექსუალური ძალადობის გამო საჩივრების შეტანის პროცედურები, რომლებიც შესაბამისობაში მოიყვანა შესაბამისობის უზრუნველმყოფი ფედერალური ორგანოს სტანდარტებსა და მითითებებთან. ამდენად, როცა მოსწავლის მშობლებმა სამართლის რაღაც ფორმით აღსრულება მოითხოვეს, სასკოლო ოლქმა მათ ამაზე უარი განუცხადა მასწავლებელთან კონტრაქტის გაწყვეტის საფუძველზე, ფედერალურმა ორგანომ კი იმის საფუძველზე, რომ მისი უპირველესი მოვალეობა იყო თვალი მიედევნებინა საჩივრის შეტანის ეფექტური პროცედურების არსებობისა და განხორციელებისათვის, რაც იმ დროისათვის მიღწეული იყო. ამან მშობლები დატოვა უპასუხო კითხვით: „ჩვენს ქალიშვილს რა?“. ამიტომ მათ გადაწყვიტეს შეეტანათ ინდივიდუალური სარჩელი სასკოლო ოლქის წინააღმდეგ და მოეთხოვათ ფულადი კომპენსაცია.

უწინ მე-9 თავის ფარგლებში განხილულ საქმეებში ფულადი კომპენსაციის უფლება არ ყოფილა გამოყენებული, თუმცა 1979 წელს უზენაესმა სასამართლომ გამოიყენა ვინმე ქალის მიერ ჩიკაგოს მახლობლად არსებული რამდენიმე სამედიცინო სკოლის წინააღმდეგ მის მიღებაზე უარის თქმის გამო შეტანილი სარჩელი და დაადგინა, რომ ქალებს შეეძლოთ მე-9 თავის საფუძველზე შეეტანათ სარჩელი არაფულადი კომპენსაციის მოთხოვნით. როცა ფრენკლინის საქმე უზენაეს სასამართლომდე მივიდა, სასამართლოს შემადგენლობა უკვე შეცვლილი იყო და სასამართლომ განაცხადა, რომ ის, სასამართლოს იმჟამინდელი შემადგენლობა, ვერ გადაწყვეტდა, რომ კენონის საქმეში მე-9 თავის თანახმად არსებობდა საქმის აღძვრის ინდივიდუალური უფლება, მაგრამ, ვინაიდან უზენაესმა სასამართლომ ამ საკითხზე ცოტა ხნის წინ გამოხატა თავისი აზრი, და ვინაიდან კონგრესმა მას შემდეგ მიიღო შესწორებები ისე, რომ არ შეუცვლია სასამართლოს მიდგომა, რომლის თანახმადაც ინდივიდს აქვს უფლება აღძრას საქმე. პრეცედენტების პრინციპი, *stare decisic* (პრეცედენტის აღმატებული ძალა) და საკანონმდებლო განზრახულება მიუთითებდა, რომ გადაწყვეტილება კენონის საქმეზე არ შეიძლებოდა შეცვლილიყო შემდგომი სასამართლო პრაქტიკით. შემდეგ სასამართლომ შეისწავლა ფაქტები და დაეთანხმა მოსაზრებას, რომ მოსწავლე და მისი მშობლები სასამართლო დაცვის გარეშე იქნენ დატოვებული. სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა იმ საკანონმდებლო პრინციპის საფუძველზე, რომ არ უნდა არსებობდეს უფლება სასამართლო დაცვის გარეშე. თუ ფრენკლინს ჰქონდა უფლება მე-9 თავის თანახმად,

მას ამ უფლების სასამართლო დაცვის საშუალებაც უნდა ჰქონოდა და თუ ერთადერთი დაცვა, რაც მას შეიძლებოდა ჰქონოდა, ფულადი კომპენსაცია იყო, მას უნდა მინიჭებოდა ზარალის ფულადი კომპენსაცია მე-9 თავის შესაბამისად. აქედან გამომდინარე, ეს გადაწყვეტილება ადგენდა პრინციპს, რომლის თანახმადაც ცალკეულ მომჩივან პირებს აქვთ უფლება სარჩელი შეიტანონ სექსუალური ძალადობისა და განათლების სფეროში სქესობრივი დისკრიმინაციის სხვა ფორმების თაობაზე.

თუმცა სასამართლოს ჯერ არ გაუუქმებია ეს გადაწყვეტილება, სახელმწიფოს სუვერენის იმუნიტეტის დამკვიდრების გამო დაირღვა ბევრი ინდივიდუალური უფლება, აღიძრა საქმე სახელმწიფო დაწესებულებების, მათ შორის, ორგანოების, სკოლებისა და კოლეჯების წინააღმდეგ. ამ საკანონმდებლო აქტებს შორისაა კანონები „ინვალიდი ამერიკელების შესახებ", „ქალების წინააღმდეგ ძალადობის შესახებ", „სამუშაოზე მიღების დროს ასაკობრივი დისკრიმინაციის შესახებ", „რელიგიური თავისუფლების აღდგენის შესახებ", ასევე სხვა კანონები, როგორიცაა „შრომის სამართლიანი სტანდარტების შესახებ", ლენემის (სასაქონლო ნიშნების) კანონი და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კანონები, კანონი „ინდიელთა თამაშების დარეგულირების შესახებ" და კანონები, რომლებიც არეგულირებს იარაღის ფლობის უფლებას სკოლების სიახლოვეს.

ამ ახალი სასამართლო პრაქტიკის კიდევ ერთი გაუცხადებელი მიზეზი შეიძლება ფინანსური ან ეკონომიკური იყოს, ვინაიდან საკონსტიტუციო სამართლისადმი სასამართლოს ახლებურ მიდგომას მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვს იმ თვალსაზრისით, რომ მან იმუნიტეტი უნდა მიანიჭოს შტატების მთავრობებს და მათ ქვედანაყოფებსა და დეპარტამენტებს, სკოლებისა და უნივერსიტეტების ჩათვლით, იმ სარჩელების წინააღმდეგ, რომლებიც ფულადი კომპენსაციის მიღების მიზნით აღიძვრება,[7] ხშირად ფედერალური სამოქალაქო უფლებების დამცველი კანონმდებლობის საფუძველზე.[8] ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამერიკის ამჟამინდელ სასამართლო პრაქტიკაში, რომელშიც ფულადი ანაზღაურების მოთხოვნით აღძრული სარჩელები უფრო ეფექტურად გამოიყენება, ვიდრე სამთავრობო წესები ცალკეული პირებისა და ორგანიზაციებისათვის ზარალის ანაზღაურების თაობაზე.

მე-11 შესწორება, რომელიც პირველი შესწორებაა ფედერალურ კონსტიტუციაში „უფლებების შესახებ" 1798 წელს მიღებული კანონის შემდეგ, ითვალისწინებს შტატების მთავრობების იმუნიტეტს სხვა შტატების მოქალაქეების მიერ მათ წინააღმდეგ აღძრული სარჩელების წინააღმდეგ. მე-11 შესწორება მიღებულ იქნა იმ საქმის შემდეგ, რომელიც აღიძრა სამოქალაქო ომიდან ცოტა ხნის შემდეგ, „*ჩისჰოლმი ჯორჯიის წინააღმდეგ*". მასში მოქალაქე მოითხოვდა, რომ ჯორჯიის შტატს გადაეხადა მისი ანგარიშები. სამოქალაქო ომის შემდეგ ყველა შტატს დაგროვილი ჰქონდა იმაზე მეტი ვალი მოქალაქეების წინაშე, ვიდრე გადახდა შეეძლო, ამიტომაც მათ მიმართეს სუვერენის იმუნიტეტის ძველ ინგლისურ დოქტრინას, რათა თავი დაეცვათ ამ სარჩელებისაგან. თავიდანვე ბევრი ამტკიცებდა, რომ ახალ დემოკრატიულ სახელმწიფოს არ უნდა გამოეყენებინა სუვერენის იმუნიტეტის ძველი იდეა, რათა ხელი შეეშალა მოქალაქეებისათვის აღეძრათ საქმე შტატების მთავრობების წინააღმდეგ და რომ მოქალაქეებს ჰქონდათ უფლება გადაეხდევინებინათ შტატებისათვის მათი ვალი, მაგრამ გადასწონა პრაგმატულმა მოთხოვნილებამ უზრუნველყოფილი ყოფილიყო შტატების მთავრობების ფინანსური უსაფრთხოება.

სუვერენის იმუნიტეტის შემდეგ მნიშვნელოვანი მოდიფიკაცია მოხდა 1868 წელს მე-14 შესწორების მიღების შემდეგ. მე-14 შესწორებამ, რომელიც მისნად ისახავდა ძირითადი სამოქალაქო უფლებების უზრუნველყოფას სამოქალაქო ომის შემდეგ, განსაკუთრებით ყოფილი მონებისათვის, კონგრესს უფლება მიანიჭა შესაბამისი კანონმდებლობის მეშვეობით ცხოვრებაში გაეტარებინა შესწორების დებულებები, რომლებიც უკრძალავდა შტატებს შეეზღუდათ მოქალაქეთა პრივილეგიები ან იმუნიტეტი ან ხელყოთ მათი სიცოცხლე, თავისუფლება ან ქონება შესაბამისი სასამართლო პროცედურების გარეშე, ან უარი ეთქვათ მათთვის კანონმდებლობით თანაბარ დაცვაზე. ვინაიდან მე-14 შესწორება დროში მე-11-ის შემდეგ მოხდა, მე-14 შესწორებით კონგრესისათვის მინიჭებული უფლებამოსილებანი ვერ შეიზღუდებოდა მე-11 შესწორებით. საბოლოოდ, თუმცა 1890 წლის გადაწყვეტილებით, უზენაესმა სასამართლომ მე-11 შესწორების მოქმედების სფერო გააფართოვა და მას დაუმატა კონკრეტული შტატის იმუნიტეტი მისივე მოქალაქეების მიერ აღძრული სარჩელების წინააღმდეგ.[9] მე-14 შესწორების შედეგი ის იყო, რომ მიღებულ იქნა მე-14 შესწორებაზე დაფუძნებული მარეგულირებელი ფედერალური კანონები. საკანონმდებლო აქტები იცავდა მოქალაქეებს რასობრივი, სქესობრივი, ასაკობრივი დისკრიმინაციისაგან, დისკრიმინაციისაგან ფიზიკური ან გონებრივი ნაკლის საფუძველზე და უზრუნველყოფდა სხვა სამოქალაქო უფლებებს. ამ ანალიზისა და დირექტივის საბოლოო შედეგი ის იყო, რომ ფედერალური სისტემის ფარგლებში ფედერალური მთავრობის ხელში მეტი ძალაუფლება გადავიდა შტატების ხარჯზე. ეს საკანონმდებლო ტენდენცია ჰგავს „ახალი მიდგომის" პერიოდში არსებულს.

უფრო კონსერვატულმა უზენაესმა სასამართლომ ბოლო ათწლეულების განმავლობაში გადახედა მე-11 შესწორებაზე დაფუძნებული დოქტრინების ინტერპრეტაციასა და გამოყენებას იმ მიზნით, რომ გამოესწორებინა შტატებისა და ფედერალური მთავრობის უფლებამოსილებების ბალანსი, შეეზღუდა ფედერალური და გაეფართოებინა შტატების უფლებამოსილებანი. 1996 წელს იმ საქმესთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა ინდიელთა (ამერიკის აბორიგენთა) ტომის უფლებას, აღძრა საქმე ფლორიდის შტატის წინააღმდეგ, აღიძრა საკითხი იმის თაობაზე, ჰქონდა თუ არა ფლორიდას იმუნიტეტი სარჩელის წინააღმდეგ მე-11 შესწორების თანახმად. უზენაესმა სასამართლომ გამოიყენა ეს საქმე, რათა დაეწყო შტატის სუვერენის იმუნიტეტის უფრო ფართო გაგების აღდგენა და დაადგინა, რომ ამ შემთხვევაში ფლორიდის შტატს ჰქონდა იმუნიტეტი სარჩელის აღძვრის წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ სემინოლების ტომი დამოუკიდებელი სუვერენული ერთეული იყო სუვერენული სახელშეკრულებო უფლებებით.

სემინოლების საქმეზე მის მიერ მიღებული ახალი დირექტივების შემდეგ უზენაესმა სასამართლომ სამოქალაქო უფლებების შესახებ საკანონმდებლო აქტების საფუძველზე არაერთხელ შეზღუდა კონგრესის უფლებამოსილება განეხორციელებინა კანონმდელობა სასამართლოში ფულადი კომპენსაციის მოთხოვნით შეტანილი სარჩელების მეშვეობით. სასამართლოს ძირითადი არგუმენტი ხშირად ის იყო, რომ მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები არ არის მე-14 შესწორებაზე დაფუძნებული ძალის მქონე „სამოქალქო უფლებების" დამცველი აქტები (ამდენად, ისინი ვერ გადასწონის მე-11 შესწორების დებულებებს იმუნიტეტის თაობაზე), თუ სარჩელში ვერ ხერხდება იმის ჩვენება, რომ განსახილველი უფლება არსებობდა მე-14 შესწორების მიღების დროს.

ერთ-ერთი კომენტატორი აღნიშნავს მე-11 შესწორების მოქმედების სფეროს ანალიზის სამ შესაძლო ვარიანტს, რომლებიც ასახულია სასამართლოს მიერ გამოთქმულ უახლეს შეხედულებებსა და განსხვავებულ მოსაზრებებში: 1) ეს უწინ არსებული ინგლისის ზოგადი სამართლის იმუნიტეტის აღდგენაა. ზოგიერთ მეცნიერს მიაჩნია, რომ იმუნიტეტი ზოგად სამართალში არ არსებობდა და სინამდვილეში ეს ვერსია უკავშირდება იმას, რასაც „ბუნებრივ სამართალს" უწოდებენ. თუ ის დაკავშირებულია სუვერენის პირად იმუნიტეტთან, რამდენად მისაღებია ის დემოკრატიული ან რესპუბლიკური სახელმწიფოსათვის? აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ მე-11 შესწორების თანახმადაც კონკრეტული შტატის წინააღმდეგ მისსავე მოქალაქეს არ შეუძლია სარჩელის შეტანა, ამტკიცებს იმ არგუმენტს, რომ მე-11 შესწორება ასახიერებდა სუვერენის იმუნიტეტის ძველ მონარქიულ იდეას.[10] 2) ეს არის მხოლოდ შტატების მთავრობების წინააღმდეგ სხვადასხვა სახის სარჩელების შეზღუდვა. ამ მოსაზრებას ემხრობა მოსამართლე ბრენანი, რომელიც არ ეთანხმება გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც 1973 წლის ფედერალური კანონით „რეაბილიტაციის შესახებ", რომელიც აღგენდა დაინვალიდებული პირების უფლებას ხელმისაწვდომობასა და დასაქმებაზე, შტატებს ენიჭებოდათ იმუნიტეტი ცალკეული პირების მიერ სარჩელის აღძვრის წინააღმდეგ. მოსამართლე ბრენანი წერდა:

> „შესაძლებელია და საჭიროც არის მე-11 შესწორების ინტერპრეტაცია მისი თავდაპირველი მიზნის შესაბამისად ხელმეორედ შემოედო სუვერენის იმუნიტეტის ძველი დოქტრინა შტატებთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის საქმეებში, რაც დამყარებულია შტატსა და მის მოქალაქეს, აგრეთვე შტატსა და გარეშე პირს შორის ურთიერთობების მარეგულირებელ სხვადასხვა პუნქტებზე... თუ ფედერალური იურისდიქცია ემყარება ფედერალურ საკითხს ან მე-3 მუხლის სხვა რომელიმე პუნქტს, ... მე-11 შესწორებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს." (*ატასკადეროს შტატის საავადმყოფო სკენლონის წინააღმდეგ*, 473 აშშ/234, 301 (1985).

3) ეს არის განსახილველი საკითხის მოქმედების სფეროს შეზღუდვა." სწორედ ეს ბოლო ვერსიაა ძალიან შორს მიმავალი. ალბათ, მას მივყავართ „ორმაგი სუვერენიტეტის" საკითხამდე უახლეს ლიტერატურაში. წამყვანი საქმე აქ, ალბათ, არის „*პენჰერსტი ჰოლდერმანის წინააღმდეგ*", 465 აშშ 89 (1984), რომელიც ეხება 1973 წლის კანონის „რეაბილიტაციის შესახებ" 504-ე პუნქტს. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ სუვერენის იმუნიტეტის ფუნდამენტური პრინციპი ზღუდავს სასამართლოს უფლებამოსილებას მე-3 მუხლის შესაბამისად. ამ ვერსიის მოქმედების სფერო გაფართოვდა და მოიცვა შტატების სასამართლოებში შეტანილი სარჩელები საქმეში „*ოლდენი მეინის შტატის წინააღმდეგ*" 527 აშშ 796 (1999), რის შესახებაც მოსამართლე კენედი წერდა, რომ მხოლოდ მე-11 შესწორების ტექსტის განმარტება არღვევდა სასამართლო და კონსტიტუციური ინტერპრეტაციის წესებს, ვინაიდან სუვერენის იმუნიტეტი თანდაყოლილია ფედერალიზმის კონსტიტუციით დადგენილ სისტემაში. 730-ე გვერდზე ის წერდა, რომ ფედერალიზმის სისტემა მოითხოვს შტატებისადმი ვალებისაგან განთავისუფლებული სუვერენისა და სახელმწიფოს ერთობლივ მმართველობაში მონაწილის სტატუსის შესაბამისად მიდგომას. 748-ე გვერდზე ის აღნიშნავს, რომ სუვერენული ერთეულის სტატუსი დადგენილია მე-10 შესწორებით, რომლის თანახმადაც შტატებს გადაეცემა მთელი ძალაუფლება, რომელიც არ ეკუთვნის ფედერალურ მთავრობას (იხ. გვ. 713-714).

„ორმაგი სუვერენიტეტის" ვერსია ნოგს ესმის როგორც ძალაუფლების ბალანსის ერთ-ერთი, ამერიკის დემოკრატიისა და კონსტიტუციური მმართველობისაგან სრულიად განუყოფელი ასპექტი. სასამართლოების უახლესი გადაწყვეტილებები შეიცავს ფორმულირებებს, რომლებშიც ნაგულისხმევია „ორმაგი სუვერენიტეტის" არსებობა კონსტიტუციური მოწყობის სათავეებიდანვე[12] და რომლებიც მკაცრად ზღუდავს კონგრესისათვის მე-14 შესწორებით მინიჭებულ უწინ ფართოდ და თითქმის განუსაზღვრელად მიჩნეულ უფლებებს. ნოგი სვამს ამ მოვლენების პოლიტიკური მოტივაციის საკითხს, მხედველობაში იღებს რა სასამართლოს გადაწყვეტილებას საქმეზე „*გორი ბუშის წინააღმდეგ*", როცა მან გამოიყენა მე-14 შესწორება, რათა გაებათილებინა ფლორიდის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის იურისდიქციაც, რა თქმა უნდა, ფლორიდის შტატის სუვერენიტეტს ეფუძნება და არჩევნებში გაამარჯვებინა გუბერნატორ ბუშს.

ბევრი სპეციალისტი უზენაესი სასამართლოს ამჟამინდელ დირექტივებს ფედერალური უფლებამოსილებების უწინდელი გაფართოების დაგვიანებულ შესწორებად მიიჩნევს. ამ უფლებამოსილებათა უმეტესობა ეფუძნება ფედერალური მთავრობის უფლებას განკარგოს საბიუჯეტო სახსრები (რაც, როგორც ჩანს, უფლებამოსილებათა გადანაწილების მხოლოდ ამერიკისათვის დამახასიათებელი მეთოდია). ამ თვალსაზრისით, სასამართლომ ნამდვილად მისცა საშუალება კონგრესს უარეყო სუვერენის იმუნიტეტი 1976 წლიდან, როცა მან (სასამართლომ) აღიარა მე-14 შესწორების აღმატებული ძალა მე-11-სთან მიმართებაში და შექმნა კონგრესისათვის მე-14 შესწორებით მინიჭებული უფლების გამოყენების პრეცედენტი. ამ მოსაზრების შესაბამისად, 1989 წელს კონგრესის უფლებამოსილებანი კიდევ უფრო გაიზარდა იმით, რომ კონსტიტუციის I-ლი მუხლის „აუცილებელი" და „შესაბამისი" პუნქტების საფუძველზე კონგრესის მიერ განხორციელებულ ყველა ქმედებას უპირატესობა მიენიჭა მე-11 მუხლის იმუნიტეტთან შედარებით. თითქმის ყველა ფედერალური საკანონმდებლო აქტი ეფუძნება I-ელ მუხლს ან მე-14 შესწორებას, განსაკუთრებით საბიუჯეტო ხარჯების გაწევის ფედერალური უფლება. თავისი პოზიციის განმარტების მიზნით, 2000 წელს კონგრესმა მიიღო 42 USC §2000-7(ა)(1), რომელშიც ნათქვამია:

> „ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის მე-11 შესწორების თანახმად შტატს არა აქვს იმუნიტეტი ფედერალურ სასამართლოში სარჩელის აღძვრის წინააღმდეგ „რეაბილიტაციის შესახებ" კანონის 504-ე პუნქტის, „განათლების შესახებ" კანონში 1972 წლის შესწორებების მე-9 თავის, 1975 წლის „ასაკობრივი დისკრიმინაციის შესახებ" კანონის, 1964 წლის „სამოქალაქო უფლებების შესახებ" კანონის მე-6 თავის ან ნებისმიერი იმ სხვა ფედერალური საკანონმდებლო აქტის დარღვევისათვის, რომელიც კრძალავს ფედერალური ფინანსური დახმარების მიმღები პირების დისკრიმინაციას."

თუმცა სასამართლოს არ გაუუქმებია გადაწყვეტილება საქმეზე „*ფიცპატრიკი ბიცერის წინააღმდეგ*", 427 აშშ 445 (1976), მან მნიშვნელოვნად შეამცირა მე-14 შესწორების თანახმად კონგრესისათვის მინიჭებული უფლებამოსილება 1996 წლის საქმის „*სემინოლების ტომი ფლორიდის წინააღმდეგ*" შემდეგ იმის საფუძველზე, რომ კონგრესს არ შეეძლო გამოეყენებინა I-ლი მუხლით მინიჭებული თავისი ზოგადი უფლება სუვერენის იმუნიტეტის გასაუქმებლად, არამედ უნდა დაყრდნობოდა

მხოლოდ მე-14 შესწორებით გათვალისწინებულ ძალდატანების უფლებას. შემდგომ საქმეებში სასამართლომ განმარტა, რომ ძალდატანების უფლებამოსილების გამოსაყენებლად, კონგრესს კონკრეტულად უნდა დაედგინა, რომ: 1) ირღვევა მე-14 შესწორებით გათვალისწინებული გარანტიები და 2) შესაბამისი კანონმდებლობა დარღვევის პროპორციულია. ამდენად, ამგვარი ჯენტლმენური ხერხით სასამართლომ კონგრესს უფლებამოსილება გამოაცალა ისე, რომ არ დაპირისპირებია და არც უარუყვია ეს უფლებამოსილება.

აშშ-ის უზენაესი სასამართლოსათვის მინიჭებულ ფართო უფლებამოსილებას კანონმდებლობის შეცვლის სფეროში ამერიკის ისტორიაში უწინაც გამოუწვევია ბრალდებები სასამართლოს მიერ საკანონმდებლო საქმიანობის განხორციელების ან პოლიტიკაში ჩარევის თაობაზე. ეს მოსაზრება ამას წინათ მოკლედ შეაჯამა იელის უნივერსიტეტის პოლიტოლოგმა რობერტ დალმა, რომელიც წერს:

> „როცა სასამართლო მოქმედებს ფუნდამენტური დემოკრატიული უფლებების [ამ] სფეროში, მისი ქმედებების ლეგიტიმურობა და მისი ადგილი მმართველობის დემოკრატიულ სისტემაში ძნელად თუ შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს. მაგრამ რაც უფრო სცდება ის ამ სფეროს, რომელიც თავისთავადაც ძალიან ფართოა, მით უფრო საეჭვო ხდება მისი უფლებამოსილება, ვინაიდან ამ შემთხვევებში ის იქცევა საკანონმდებლო ორგანოდ, რომელიც არჩეული არ ყოფილა. ... პირველი ინსტანციის სასამართლო ძალას ანიჭებს მნიშვნელოვან კანონებს და პოლიტიკურ კურსს, რაც მხოლოდ არჩეული ოფიციალური პირების პრეროგატივაა".[13]

პროფესორი დალი ასკვნის, რომ აშშ-ში აუცილებელია განახლდეს დიალოგი დემოკრატიის, მათ შორის, ჩვენი ეროვნული ხატის, კონსტიტუციის თაობაზე. მე მთლიანად როდი ვეთანხმები პროფესორ დალს იმაში, რომ ამერიკელებმა უნდა შეიცვალონ თავიანთი მიდგომა კონსტიტუციისადმი. მოწიწება კონსტიტუციისადმი და მისი მორჩილების სურვილი, კონსტიტუციის მნიშვნელობის თაობაზე სასამართლოებში თუ მათ გარეთ გამუდმებული ენერგიული კამათის პირობებში, ამერიკელებისათვის ცხოვრების წესია და არა მგონია, საჭირო იყოს მისი ასე ადვილად გვერდზე გადადება. კონსტიტუციის ადრეული ისტორიის განხილვისას დალი თვითონვე ამბობს, რომ „... მმართველობის რესპუბლიკური პრინციპების ერთგული და ამ პრინციპების შესაბამისად საკუთარი თავის მართვის შემძლე მოქალაქეების გარეშე კონსტიტუცია სულ მალე ქაღალდის ფარატინა ფურცლები იქნებოდა და სხვა არაფერი".[14] მჯერა, რომ მოწიწება კონსტიტუციისადმი არის ამერიკელი ხალხის კოლექტიური სურვილი, იმართებოდეს წესებითა და კანონებით. კონსტიტუცია შეიძლება ნაწილობრივ ხატი ან სიმბოლო იყოს, მაგრამ ის, ალბათ, მეტისმეტად მნიშვნელოვანი რამაა იმისათვის, რომ ასე ადვილად გადავდოთ გვერდზე ან პირდაპირ ეჭვქვეშ დავაყენოთ.

დალი ასევე მხარს უჭერს უფრო დიდ პოლიტიკურ თანასწორობას ამ კონსტიტუციის ფარგლებში პოლიტიკური რესურსების უფრო სამართლიანი გადანაწილების გზით. როგორც დეტოკვილი აღნიშნავდა თავისი შენიშვნების დასაწყისში, „რაც უფრო ღრმად ვსწავლობდი ამერიკის საზოგადოებას, მით უფრო კარგად ვხედავდი, რომ პირობების თანასწორობა ფუნდამენტური ფაქტია, რომლისგანაც, როგორც ჩანს, ყველა სხვა გამომდინარეობს. ის აგრეთვე ცენტრალური წერტილია, რომელსაც ყველა ჩემი დაკვირვება მუდმივად მთავრდებოდა".[15] ცალკეული

შტატებისათვის მეტი ავტონომიის მინიჭებისაკენ დაბრუნების პრაქტიკული შედეგი, როგორც ჩანს, საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობაა. შტატების სუვერენიტეტის ამჟამინდელი ცნება, ორმაგი სუვერენიტეტი, შტატების უფლებები ან მათი ავტონომია, როგორც ჩანს, იმაზე მიუთითებს, რომ, ალბათ, რაღაც დისკუსია ამ თემაზე მართლაც საჭიროა.

## შენიშვნები და გამოყენებული ლიტერატურა


1. Nordin, Virginia Davis, Real Politik, International Edition, 2002.
2. Dahl, Robert A., How Democratic is the American Constitution?, Yale Univ. Press, 2002.
3. ამ შემთხვევებში, როგორც წესი, იხსენიებენ გერმანიას, შვეიცარიას, კანადას, ავსტრალიასა და ბელგიას.
4. Noonan, John T., Jr., Narrowing the Nation's Power: The Supreme Court Sides With the States, 2002.
5. ამის მსგავს სამეცნიერო სტატიაში, ალბათ არ არის უცენზური, თუმცა უნივერსალური ამერიკული ხალხური ლოზუნგის ადგილი, რომელიც წარმოთქმის გარეშეც ყველამ ვიცით: თუ ეჭვი გაქვს, „ᲣᲩᲘᲕᲚᲔ ᲛᲐᲗ ᲜᲐᲑᲘᲯᲕᲠᲔᲑᲡ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲨᲘ".
6. *„კენონი ჩიკაგოს უნივერსიტეტის წინააღმდეგ"*, 441 აშშ 677 (1979).
7. იხ. *„ოლდენი მეინის შტატის წინააღმდეგ"* 527 აშშ 706, 750-51, 1999.
8. მართალია, „სამოქალაქო უფლებები" აშშ-ში ხშირად გაგებულია როგორც რასობრივი და სქესობრივი დისკრიმინაციის საწინააღმდეგო ცნება, ეს ტერმინი ფედერალური კანონმდებლობით დაცულ გაცილებით მეტ ჯგუფს მოიცავს, როგორიცაა, მაგალითად, მოხუცები, ფიზიკურად და გონებრივად დაუძლურებული ადამიანები, ვეტერანთა ზოგიერთი ჯგუფი და სხვა.
9. *„ჰანსი ლუიზიანას შტატის წინააღმდეგ"*, 134 აშშ 1 (1890).
10. *„ჰანსი ლუიზიანას შტატის წინააღმდეგ"*, 134 აშშ 1 (1890).
11. იხ. McFadden, Timothy S., 27 *J.* of College and University Law 519, 2000. ამ პუნქტში მოყვანილი ზოგიერთი განმარტება ავტორისეულია.
12. იხ. *„გრეგორი ეშკროფტის წინააღმდეგ"* 501 აშშ 452, 461 (1999).
13. Dahl, *op. cit.* p. 142.
14. Dahl, *op. cit.* p. 20.
15. DeTocqueville, Alexis, *Democracy in America*, p. 1.

**ვიესლავ ოლექსი**
*ლოძის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკური მეცნიერების ფაკულტეტის პროფესორი, ამერიკის შესწავლისა და მასმედიის განყოფილება (პოლონეთი)*

# ამერიკანისტიკის მთავარი პრინციპი: დისციპლინათშორისი სწავლება

წინამდებარე სტატია წარმოადგენს დაკვირვებებისა და მოსაზრებების პროგრამულ პრეზენტაციას პოლონეთის უნივერსიტეტებში დანერგილი ამერიკის შესწავლის პროგრამის თაობაზე. როგორი იქნება ეს პროგრამა ახლო მომავალში? დასაწყისშივე აღვნიშნავ, რომ დარწმუნებული ვარ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების შესწავლისათვის, რაც ამ დარგის ძირითად არსს წარმოადგენს, საკმაოდ მიზანშეწონილია ამერიკის შესწავლა დაყვანილ იქნეს ამერიკის ლიტერატურისა და კულტურის შესწავლამდე, როგორც ეს ხდება პოლონეთში. ამერიკული სტანდარტები განსაკუთრებით საინტერესო გახდა ჩვენთვის 1989 წლიდან, პოლონეთში პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გარდაქმნების დაწყების შემდეგ. ბოლო დროის მოვლენებმა, კერძოდ, 11 სექტემბრის ტერორისტულმა აქტმა, თანმდევი პოლიტიკური და სამხედრო შედეგებით, აშშ-ის თემას საერთაშორისო მნიშვნელობა შესძინა.

ჯერ განვმარტავ პოლონეთში 1989 წლიდან მომხდარ პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიურ ცვლილებებს და მათ ზეგავლენას პოლონეთის უმაღლეს განათლებაზე ზოგადად და, კერძოდ, ამერიკის შესწავლის პროგრამაზე. მე საქმე მქონდა იმ პრობლემებთან, რომლებიც წარმოიშვა პოლონეთის უმაღლეს სასწავლებლებში ამ გარდაქმნის პროცესში[1]. იმ პერიოდში პროგრესი შესაძლებელი იყო შემდეგ პირობებში, თუ მოხდებოდა:

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომიის გაზრდა;
2. პროგრამების მოდერნიზაცია და ინტერნაციონალიზაცია;
3. ფაკულტეტზე სტუდენტების მზარდი მობილურობა და საერთაშორისო გაცვლა;
4. უცხო ენების უფრო ინტენსიური სწავლება;
5. უმაღლესი განათლების პრივატიზაცია.

მოვიყვან ერთ ციტატას, რომელიც მოკლედ შეაჯამებს ამ მოხსენებას:

„პოლონეთის სამომავლო მოთხოვნების გათვალისწინებით დასახელებულ მოვლენებს დიდი წვლილი მიუძღვის პოლიტიკური და ეკონომიური სფეროების ლიდერების განათლებაში, ეხმარება სამომავლო პრობლემების წარმატებით გადაჭრაში. პოლონეთი მოიაზრება, როგორც აღმოსავლეთ/ცენტრალური ევროპის ტერიტორიაზე მდებარე მნიშვნელოვანი ბაზარი, რომელიც ვითარდება და ჰყავს კონკურენტუნარიანი სამოქალაქო საზოგადოება . . ."[2]

მინდა აღვნიშნო, რომ ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემების შეცვლის მიუხედავად, ზოგადად, საუნივერსიტეტო განათლებაში და, კერძოდ, ამერიკის შესწავლის სფეროში ცვლილებები იმდენად უმნიშვნელოა, რომ ეს საკითხი აკადემიურ წრეების მეტ ყურადღებას იმსახურებს. საერთოდ, პოლონეთის უნივერსიტეტებმა შეინარჩუნეს კონსერვატიული ხასიათი, როგორც ადმინისტრაციულ საქმიანობაში, ისევე სასწავლო პროგრამების სფეროში. ამიტომაც, სამართლიანობა მოითხოვს, რომ აღინიშნოს პოლონეთის უნივერსიტეტების

ჩამორჩენილობა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროცესებისაგან, რომლებიც 1989 წლის შემდეგ მოხდა, არაფერი რომ არ ვთქვათ სტუდენტების რაოდენობის ფენომენალურ ზრდაზე (დაახლოებით 400 000 სტუდენტი 1990 წლის დასაწყისში და 1.700.00 - 2003 წელს), ასევე უმაღლესი განათლების პრივატიზაცია (სტუდენტების 30 % ახლა სწავლობს კერძო უმაღლეს სასწავლებლებში). ეს იმედის არ მომცემი დაკვირვება ეხება ამერიკის შესწავლის დარგსაც და საკმარისია იმისათვის, რომ ამ დარგის მომავალი პოლონეთში განხილვის საგანი გახდეს.

სანამ პრობლემების განხილვაზე გადავალ და შევეხები ამერიკის შესწავლის პერსპექტივებს პოლონეთში, უმჯობესია შევჩერდეთ ამ საგნის, როგორც აკადემიური დისციპლინის აღქმაზე, ერთგვარ ძალისხმევაზე, რომელიც ჩაისახა და განხორციელდა აშშ-სა და პოლონეთში.

უპირველეს ყოვლისა, ამერიკის შესწავლა აკადემიური საგანია, როგორც ინსტიტუციონალურ, ასევე აკადემიურ დონეზე, საკმაოდ ჯანმრთელი და სიცოცხლის უნარიანი. იგი ისწავლება აშშ-ის მრავალ უნივერსიტეტში რამდენიმე წლის განმავლობაში.

ამერიკის შესწავლის განყოფილებები და პროგრამები წარმატებით იქმნება ამერიკასა და მთელს მსოფლიოში. ამერიკის შესწავლის ეროვნული და საერთაშორისო ასოციაციები ფუძნდებოდა 1951 წლიდან, როდესაც დაარსდა პირველი ასეთი ასოციაცია. იგი გამოსცემდა ამერიკის შესწავლის ჟურნალებს და საინფორმაციო ბუკლეტებს. სტუდენტებს ამ საგანში შეუძლიათ მიიღონ ბაკალავრის და დოქტორის წოდებები და, რაც მთავარია, ატლანტიკის ოკეანეს ორივე მხარეს არსებობს ამერიკანისტიკის სტიპენდიები. ამერიკის შესწავლის წარმატება განპირობებულია აშშ-ში განვითარებული მოვლენებით. ამ ბოლო წლებში ამერიკის შესწავლის დარგი საერთაშორისო ხასიათის გახდა. ეს ფაქტი აღნიშნა რობ კროუსმა, ამერიკის შესწავლის ევროპული ასოციაციის ყოფილმა პრეზიდენტმა, „ამერიკის შესწავლის ასოციაციის საინფორმაციო ბიულეტენში", 1995 წლის ივნისში.

მეორე მხრივ,ამერიკანისტი ისტორიკოსები (ერთ-ერთი მათგანი ლეო მაქსია) აღიარებენ, რომ ამერიკის შესწავლის დარგმა ბევრი ცვლილება განიცადა, რაშიც აისახა სხვადასხვა მიდგომა ამერიკის ფენომენის შესწავლისადმი: დაწყებული ამერიკის ლიტერატურისა და კულტურისადმი ერთობლივი მიდგომით 1930-იან და 40-იან წლებში და დამთავრებული ამერიკის შესწავლის პარადიგმის ფრაგმენტებად დაყოფით და განვრცობით, რასაც ბოლო წლებში მოჰყვა სხვა მეზობელ დარგებში გადასვლის ტენდენცია. ცვლილებებისა და განვითარების მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, ბუნებრივია, არსებობდა ამერიკანისტიკის მთავარი პრინციპების საკითხი,იგი ყოველთვის იყო დღის წესრიგში,საჭიროებდა რა თეორიულ და პრაქტიკულ დარეგულირებას.

ამერიკის შესწავლა პოლონეთში, პრაქტიკულად, დაიყვანეს ამერიკის ლიტერატურისა და, ზოგჯერ, ამერიკის ისტორიისა და კულტურის შესწავლამდე. ეს უკანასკნელი, ძირითადად, განპირობებული იყო მდიდარი ლიტერატურული ტრადიციებით. პოლონეთში ამერიკის შესწავლის ამგვარი შეზღუდვა, რა თქმა უნდა, აკნინებს მას აშშ-თან შედარებით.

პოლონეთში ამერიკის ლიტერატურის კურსი ტრადიციულად იყო ინგლისური ენის მასწავლებლების ფილოლოგიური ტრენინგების განუყოფელი ნაწილი. იგი დაინერგა 1960 წლებში და საკმაოდ დიდი დრო გავიდა, სანამ ამერიკის შესწავლის პროგრამები იმდენად გაიზრდებოდა, რომ 1970 წლებში მათში ჩაერთოთ აშშ-ის ისტორია და კულტურა. კარგად არის ცნობილი, რომ იმ წლების უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამები „ცენტრიდან იგეგმებოდა" და მათი დაცვა სავალდებულო

იყო პოლონეთის მთელ ტერიტორიაზე. ამ პირობებში სასწავლო პროგრამის ნებისმიერ შეცვლასა თუ განვრცობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო, არაფერი რომ არ ვთქვათ ახალი კურსის დამატებაზე. ამერიკანისტიკა, როგორც ნებისმიერი სხვა დისციპლინა ემსხვერპლა პოლიტიკურ სისტემას, მაგრამ განსხვავებით ეკონომიკის, მენეჯმენტის, პოლიტიკური მეცნიერების, ფილოსოფიისა და სოციოლოგიისაგან, სადაც 1989 წლიდან შესაძლებელი გახდა კრიტერიუმების რადიკალური შეცვლა. ამერიკის შესწავლის საგანი ვერ განთავისუფლდა წინასწარ გათვლილ-დაგეგმილი საგანმანათლებლო პროგრამების მარწუხებისაგან. ამას ხელს უწყობს ის ფაქტორიც, რომ ამერიკის შესწავლის ფაკულტეტზე ცოტაა ისეთი პედაგოგი, რომელიც გასცდებოდა დახავსებულ სასწავლო კრიტერიუმებს. ეს არის ერთ-ერთი პრობლემა, რომლის წინაშე დგას ამერიკის შესწავლის პროგრამა პოლონეთში: ლექტორების ნაკლებობა ისეთ დარგებში, როგორიცაა ამერიკის პოლიტიკა, ისტორია, ეთნოლოგია, გენდერული პრობლემები, ეკონომიკა, კინო, მასმედია, პოპკულტურა, მრავალკულტურულობა და ა.შ. საკმარისია თვალი გადავავლოთ ამერიკის ლიტერატურის ან ლიტერატურის და კულტურის ფაკულტეტების საქმიანობას, რომ დავრწმუნდეთ, რომ ეს საგნები არ ისწავლება. გამონაკლისია მხოლოდ ა. მიცკევიჩის სახელობის პოზნანის უნივერსიტეტი, სადაც თანაარსებობს პოლონურ-ინგლისურ-საქსონური კულტურული ურთიერთობებისა და ამერიკული ლიტერატურის ფაკულტეტები, ასევე ვარშავის უნივერსიტეტი, სადაც ამერიკის ლიტერატურის და ინგლისურ-საქსონური ქვეყნების ფაკულტეტები თანაარსებობს, ინგლისური ენის სწავლების ინსტიტუტი, ამერიკის შესწავლის ავტონომიური ცენტრი და ლოძის უნივერსიტეტი, სადაც მოქმედებს ამერიკის შესწავლისა და მასმედიის ფაკულტეტი (წინათ ჩრდილოეთ ამერიკის შესწავლის ცენტრი, დაფუძნებული 1992 წელს). სხვა უნივერსიტეტებში არ არსებობს ადმინისტრაციულად დამოუკიდებელი ამერიკის ლიტერატურის ან კულტურის ფაკულტეტები ამერიკანისტიკის ვრცელი პროგრამებით. ეს კი არის ამერიკის შესწავლის პროგრამაში ბოლო დროს დანერგილი დამატებითი კურსები, რომელიც შემოიღეს კრაკოვში ჯაგელონის უნივერსიტეტის არაფილოლოგიურ ფაკულტეტზე.

კიდევ ერთ დიდ პრობლემას პოლონეთში წარმოადგენს მონოდისციპლინარულობა, ანუ სხვადასხვა დისციპლინების კომპლექსური სწავლების პრაქტიკის არარსებობა. როგორც ამ დარგის მეცნიერები გამუდმებით აცხადებენ, ინტერდისციპლინარულობის პრინციპი თავიდანვე ფუძემდებლური იყო ამერიკის შესწავლის სფეროში და აქამდე ინარჩუნებს მნიშვნელობას. ამერიკის შესწავლის ასოციაციის 1995 წლის ივნისის ახალი ამბების ბიულეტენში პოლ ლაუტერი, ასოციაციის ყოფილი პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ: „სულ უფრო მეტი სტუდენტი ეძებს ინტეგრირებულ მსოფლმხედველობას, ამას კი ხელს უწყობს ისეთი პროგრამები, როგორიცაა ამერიკის შესწავლის პროგრამა". საინტერესოა, პროფესიული კარიერის გაკეთებაში რამდენად ეხმარება დისციპლინათშორისი სწავლება ამერიკელ სტუდენტებს მას შემდეგ, რაც ისინი აღმოჩნდებიან შრომით ბაზარზე და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, რამდენად აისახება დისციპლინათშორისი სწავლება ამერიკის შესწავლის სადისერტაციო ნაშრომებში აშშ-ში. ამერიკანისტიკის მაგისტრების კარიერული არჩევანის შესწავლისას 1992-1993 წწ როჯერ უიტლოუმ აღნიშნა, რომ კურსდამთავრებულთა 65% პედაგოგი ხდება, 13% განაგრძობს სწავლას და თითქმის 30% იწყებს მუშაობას სამთავრობო უწყებებში, ქალაქის მართვის დაწესებულებებში, მასმედიაში, სამხედრო და იურიდიულ სფეროებში[3]. American Quarterly–ის მიერ განხორციელებული კიდევ ერთი კვლევა ცხადყოფს, რომ ამერიკანისტიკის დარგში დაწერილი 61 სადოქტორო დისერტაციიდან თემები შემდეგნაირად განაწილდა: ხელოვნების ისტორია (12), ისტორია (8), ქალთა საკითხები

(5), პოლიტიკური მეცნიერება (4), ლიტერატურა და ქალთა საკითხები (4), ლიტერატურა (3), კულტურა (3), ეთნიკური საკითხები, ისტორია და ტურიზმი (3), ეკონომიკა (2), კინოხელოვნება (2), ეთნიკური და გენდერული საკითხები (2)[4].

ორივე კვლევამ ცხადყო, რამდენად უფრო მრავალფეროვანია, ინსტიტუციონალური და თემატური თვალსაზრისით, ამერიკის შესწავლის საგანი აშშ-ში. პოლონეთში ამერიკის შესწავლის საგანში მრავალფეროვნების შეტანა პრობლემებთან არის დაკავშირებული. მე სულ რამდენიმე ჩამოვთვალე. ეს პრობლემები გამოწვეულია უმაღლესი განათლების სისტემაში შექმნილი არასახარბიელო მდგომარეობით. მართალია,უნივერსიტეტებმა ქაღალდზე უკვე მოიპოვეს ავტონომია, მაგრამ განათლების სისტემა, ზოგადად, ჯერ კიდევ ცენტრალიზებულია. ამ სისტემაში დისციპლინათშორისი კურსების დანერგვა ძალიან ძნელია (თუმცა შესაძლებელი, როგორც ნათქვამია მოხსენების ბოლო ნაწილში), ასევე ეს სისტემა აძნელებს დეპარტამენტებს'შორის სწავლებას. შექმნილი სიტუაციის გამო სტუდენტები ვერ ღებულობენ კომბინირებულ ხარისხებს, რის გამოც ისინი იძულებულნი არიან ისწავლონ მხოლოდ ერთი კათედრის რომელიმე ერთ ფაკულტეტზე. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ზოგი საგანი, რომელიც ვითარდება, აქვს სამაგისტრო და სადოქტორო კურსები აშშ-ში და ევროკავშირის მრავალ სხვა უნივერსიტეტში არც კი არის ოფიციალურად აღიარებული პოლონეთში. ისინი არ შედის ხარისხის მიმნიჭებელ დისციპლინათა ოფიციალურ სიაში. საუბედუროდ, ამერიკის შესწავლის საგანიც მათ რიცხვშია. მოკლედ, პოლონეთში სტუდენტები ვერ ღებულობენ მაგისტრის ან დოქტორის ხარისხს ამერიკანისტიკაში. სანაცვლოდ, პოლონეთის უნივერსიტეტების უმრავლესობა სტუდენტებს ანიჭებს სასწავლო ხარისხებს ფილოლოგიაში და/ან კულტუროლოგიაში,მაგალითად,ვარშავის უნივერსიტეტში. ჩვენი პროგრამა ლოძის უნივერსიტეტში ერთადერთია, რომელსაც აქვს სამაგისტრო კურსი საერთაშორისო ურთიერთობებში ამერიკის შესწავლის სპეციალიზაციით.

სწავლებასა და კვლევით საქმიანობაში კიდევ ერთი სერიოზული პრობლემაა - საჭირო მასალების ხელმისაწვდომობა. იქმნება ჯადოსნური წრე: თუ თქვენ გადაწყვიტეთ ამერიკანისტიკაში ახალი კურსის დანერგვა, რომელიც არ არის დაკავშირებული ლიტერატურასთან, თქვენ უთუოდ ვერსად ნახავთ საჭირო სასწავლო მასალას, ვინაიდან ეს კურსი ახალია და სასწავლო მასალების საჭიროება ამ დარგში აქამდე არ არსებობდა.

ბოლოს, მოკლედ მინდა შევეხო ამერიკის შესწავლის კრიტერიუმებს. როგორც კარგად არის ცნობილი,ამერიკული ლიტერატურა ერთადერთი საგანია,რომელიც სისტემატურად და თანმიმდევრულად ისწავლებოდა პოლონეთში წლების განმავლობაში, როგორც ამერიკანისტიკის პროგრამის შემადგენელი ნაწილი. რა თქმა უნდა, თუკი იწერებოდა რამე ღირსშესანიშნავი ამერიკანისტიკაში, ეს იყო მხოლოდ ამერიკის ლიტერატურაში და აშშ-ის ისტორიაში. თუმცა ფაქტია, რომ არც ამერიკული ლიტერატურა და არც ამერიკული ისტორია არ ისწავლებოდა პოლონეთის ინგლისურენოვან ინსტიტუტებში ამომწურავად. ამ ვითარებაში ამერიკის შესწავლის სფეროში უნდა მოვიაზროთ არა მარტო ამერიკის ისტორიის ან ლიტერატურის შესწავლა, არამედ ამერიკის უფრო ფართომასშტაბიანი შესწავლა. ეს მარტივი ჭეშმარიტება გაგვახსენა ლეო მარქსმა,როდესაც 1997 წელს ლოძის უნივერსიტეტში ამერიკანისტიკის ექსპერტების ერთკვირიანი ვიზიტის ფარგლებში წაიკითხა მოხსენება ჩრდილოეთ ამერიკის შესწავლის ცენტრში. ექსპერტთა დელეგაციას ხელმძღვანელობდა ემორი ელიოტი - ამერიკის შესწავლის ასოციაციის საერთაშორისო კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე. თავის მოხსენებაში ლეო მარქსმა გამოთქვა აზრი,რომ ამ დისციპლინის ჭეშმარიტად ზუსტი სახელწოდება შეიძლება იყოს არა ამერიკის

შესწავლა / ანუ ამერიკანისტიკა, არამედ, ზოგადად, „ამერიკის შეერთებული შტატები“. მიუხედავად იმისა,რომ ახლო მომავალში ეს დისციპლინა არ შეიცვლის სახელს, ამერიკის შესწავლის პროგრამები აშშ-ში, USIA–ს დაფინანსებით, გამოვიდა „ამერიკის შეერთებული შტატების შესწავლის სამაგიდო წიგნის“ სათაურით[4]. სხვა საკითხებთან ერთად ამ ნაშრომში შედის მასალა 19 დისციპლინაზე და ყველა მათგანი განეკუთვნება ამერიკის შესწავლის კატეგორიას. დავასახელებ რამდენიმე მათგანს: აფრო-ამერიკის შესწავლა, ხელოვნება და არქიტექტურა, ეკონომიკა და ბიზნესი, კინო, ფოლკლორი, გეოგრაფია, ისტორია, იმიგრაცია და ეთნოსი, საერთაშორისო ურთიერთობები, მასმედია, ენა და ლინგვისტიკა, ლიტერატურა,მუსიკა და ფილოსოფია.

მე ვცდილობდი მინიშნებით მაინც მეხსენებინა ამერიკის შესწავლის პრობლემები პოლონეთში. მესმის, რომ შეიძლება ღია კარში ვიჭრები, მაგრამ სიძნელეებისა და წინააღმდეგოგების მიუხედავად, ღრმად მწამს, რომ ამერიკის შესწავლის დარგს პოლონეთში კარგი მომავალი ექნება, თუ კი ამ საგანს მოვიაზრებთ, როგორც მეცნიერებას ამერიკის შეერთებული შტეტების შესახებ. ამერიკის შესწავლისა და მასმედიის კათედრაზე პროგრამების პოპულარობა სტუდენტებსა და კურსდამთავრებულთა შორის, ისევე როგორც ჩვეულებრივ სტუდენტებში ნათლად ცხადყოფს, რომ ამერიკის შესწავლის დისციპლინას კარგი მომავალი ექნება პოლონეთში.

დაბოლოს, მინდა წარმოგიდგინოთ 1996 წლიდან მოყოლებული ლოძის უნივერსიტეტში ამერიკანისტიკისა და მასმედიის განყოფილებაზე არსებული ამერიკის შესწავლის პროგრამის საერთო სურათი. პროგრამა ხორციელდება საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტზე და მისი დამთავრებისთანავე სტუდენტები ღებულობენ მაგისტრის ხარისხს საერთაშორისო ურთიერთობებში. კურსების უმრავლესობა (დაახლოებით 80 %) ინგლისურ ენაზეა. ისწავლება ამერიკის კულტურა, საზოგადოება, მასმედია, ისტორია და საგარეო ურთიერთობები, ასევე ამერიკის კინო, ეროვნული უმცორესობები, მოკლე მოთხრობები, ტექნიკა და საზოგადოება, მრავალკულტურულობა და ეთნოსი, რასა და გენდერული პრობლემები, პოლიტიკური კამპანიები, რეკლამა, აშშ-ის ისტორია და საგარეო ურთიერთობები,NAFTA, და NATO. პროგრამის ბოლო,2002 წლის გამოკვლევამ ცხადყო ტრანსატლანტიკურ ურთიერთობებთან დაკავშირებული კურსების ზრდა, რაც დაკავშირებულია პოლონეთის გაწევრიანებასთან ევროკავშირში 2004 წელს და ბოლო დროის საერთაშორისო მოვლენებთან, რომლებმაც გვაჩვენა, რომ საჭიროა დავანგრიოთ საზღვრები დისციპლინებსა და რეგიონებს შორის, რათა უკეთ აღვიქვათ მსოფლიო ჩვენს გარშემო.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. იხ. W. Oleksy, 2000. The Role of Higher Education in the Development of Poland's Democracy and Market Economy. In: Mc Mullen, M. Mauch, J. and Donnorummo, B. /eds/ 2000. The Emerging Markets and Higher Education. New York and London: Routledge Falmer. 75-97.
2. W.Oleksy, op. cit., p.94.
3. *American Studies Association Newsletter*. June 1995. Publications of American Studies Association.
4. Ibid.
5. Bate, W and Frank, P. 1989. Handbook for the Study of the United States. USIA Publications.

**ქეთევან როსტიაშვილი**
*ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის კათედრის პროფესორი, ამერიკის უნივერსიტეტის ტრანსნაციონალური დანაშაულისა და კორუფციის კვლევითი ცენტრის საქართველოს ოფისის დირექტორი*

# კორუფცია – ამერიკელ და ქართველ მეცნიერთა ერთობლივი კვლევის საგანი

კორუფცია თავისი არსით ჩვენი პლანეტის ერთ-ერთი ყველაზე დესტრუქციული და სახიფათო მოვლენაა. კაცობრიობის განვითარებას ის უქმნის ისეთსავე საფრთხეს, როგორსაც – ბირთვული, ქიმიური თუ ბაქტერიოლოგიური იარაღი. კორუფცია არის სახელმწიფოთა დეგრადაციის, ომების, საერთაშორისო ტერორიზმის წარმოშობისა თუ გავრცელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო.

საქართველოს პოლიტიკური მართვის წესი, ისტორიული განვითარების თავისებურებიდან გამომდინარე, მეტწილად ეფუძნება კორუფციის არსებობის ძლიერ ტრადიციას,ძალაუფლების ბოროტად გამოყენების პრინციპებს.

საქართველოში დღესდღეობით არსებული კორუფციის დონე ერთ-ერთი ყველაზე მაღალია მსოფლიოში. ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული საერთაშორისო გამოცემის, „Transparency International"-ის, 2002 წლის მონაცემებით, მსოფლიოს ქვეყნების სულ 102 ადგილიდან საქართველო 85–ე ადგილს იკავებს. მას ჩამორჩება ისეთი კორუმპირებული რეჟიმები, როგორიცაა აზერბაიჯანის, ნიგერიისა და ბანგლადეშის (იხ. ცხრილი).

კორუფციის დონის მაჩვენებელი 2002 წლის მიხედვით

| რიგი | ქვეყანა | 2002 წლის კორუფციის გავრცელების მაჩვენებელი | ჩატარებული ანალიზის რაოდენობა | სტანდარტული გადახრა | კლება-მატების მაჩვენებელი | 90%-იანი ცდომილება |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ფინეთი | 9.7 | 8 | 0.4 | 8.9-10.0 | 9.5-9.9 |
| 2 | დანია | 9.5 | 8 | 0.3 | 8.9-9.9 | 9.3-9.7 |
| 3 | ახალი ზელანდია | 9.5 | 8 | 0.2 | 8.9-9.6 | 9.3-9.6 |
| 4 | ისლანდია | 9.4 | 6 | 0.4 | 8.8-10.0 | 9.2-9.7 |
| 5 | სინგაპური | 9.3 | 13 | 0.2 | 8.9-9.6 | 9.2-9.4 |
| 6 | შვედეთი | 9.3 | 10 | 0.2 | 8.9-9.6 | 9.2-9.4 |
| 7 | კანადა | 9.0 | 10 | 0.2 | 8.7-9.3 | 8.9-9.2 |
| 8 | ლუქსემბურგი | 9.0 | 5 | 0.5 | 8.5-9.9 | 8.7-9.5 |
| 9 | ჰოლანდია | 9.0 | 9 | 0.3 | 8.5-9.3 | 8.8-9.1 |
| 10 | დიდი ბრიტანეთი | 8.7 | 11 | 0.5 | 7.8-9,4 | 8.0-9.0 |
| 11 | ავსტრალია | 8.6 | 11 | 1.0 | 6.1-9.3 | 8.0-8.9 |
| 12 | ნორვეგია | 8.5 | 8 | 0.9 | 6.9-9,3 | 7.9-8.9 |
| 13 | შვეიცარია | 8.5 | 9 | 0,9 | 6.8-9.4 | 7.9-8.9 |
| 14 | ჰონგ კონგი | 8.2 | 11 | 0.8 | 6.6-9.4 | 7.8-8.6 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 15 | ავსტრია | 7.8 | 8 | 0.5 | 7.2-8.7 | 7.6-8.1 |
| 16 | აშშ | 7.7 | 12 | 0.8 | 5.5-8.7 | 7.2-8.0 |
| 17 | ჩილე | 7.5 | 10 | 0.9 | 5.6-8.8 | 7.0-7.9 |
| 18 | გერმანია | 7.3 | 10 | 1.0 | 5.0-8.1 | 6.7-7.7 |
| 19 | ისრაელი | 7.3 | 9 | 0.9 | 5.2-8.0 | 6.7-7.7 |
| 20 | ბელგია | 7.1 | 8 | 0.9 | 5.5-8.7 | 6.6-7.6 |
| 21 | იაპონია | 7.1 | 12 | 0.9 | 5.5-7.9 | 6.6-74 |
| 22 | ესპანეთი | 7.1 | *10* | 1.0 | 5.2-8.9 | 6.5-7.6 |
| 23 | ირლანდია | 6.9 | *8* | 0.9 | 5,5-8.1 | 6.4-7.4 |
| 24 | ბოცვანა | 6.4 | 5 | 1.5 | 5.3-8.9 | 5.6-7.6 |
| 25 | საფრანგეთი | 6.3 | 10 | 0.9 | 4.8-7.8 | 5.9-6,8 |
| 26 | პორტუგალია | 6.3 | 9 | 1.0 | 5.5-8.0 | 5.8-6.9 |
| 27 | სლოვენია | 6.0 | 9 | 1.4 | 4.7-8.9 | 5.3-6,9 |
| 28 | ნამიბია | 5.7 | 5 | 2.2 | 3.6-8.9 | 4.3-7.3 |
| 29 | ესტონეთი | 5.6 | 8 | 0.6 | 5.2-6.6 | 5.4-6.0 |
| 30 | ტაივანი | 5.6 | 12 | 0.8 | 3.9-6.6 | 52-6.0 |
| 31 | იტალია | 5.2 | 11 | 1.1 | 3.4-7.2 | 4.6-5.7 |
| 32 | ურუგვაი | 5.1 | 5 | 0.7 | 4.2-6.1 | 4.6-5.6 |
| 33 | უნგრეთი | 4.9 | 11 | 0.5 | 4.0-5.6 | 4.6-5.2 |
| 34 | მალაიზია | 4.9 | 11 | 0.6 | 3.6-5.7 | 4.6-5.2 |
| 35 | ტრინიდადი და ტობაგო | 4.9 | 4 | 1.5 | 3.6-6.9 | 3.8-5.9 |
| 36 | ბელარუსი | 4.8 | 3 | 1.3 | 3.3-5.8 | 3.3-5.4 |
| 37 | ლიტვა | 4.8 | 7 | 19 | 3.4-7.6 | 3.7-5.9 |
| 38 | სამხრეთ აფრიკა | 4.8 | 11 | 0.5 | 3,9-5.5 | 4.5-5.0 |
| 39 | ტუნისი | 4.8 | 5 | 0.8 | 3.6-5.6 | 4.1-5.3 |
| 40 | კოსტა რიკა | 4.5 | 6 | 0.9 | 3.6-5.9 | 4.0-5.1 |
| 41 | იორდანია | 4.5 | 5 | 0.7 | 3.6-5.2 | 4.0-4.9 |
| 42 | მავრიტანია | 4.5 | 6 | 0.8 | 3.5-5.5 | 4.0-4.9 |
| 43 | სამხრეთ კორეა | 4.5 | 12 | 1.3 | 2.1-7.1 | 3.9-5.1 |
| 44 | საბერძნეთი | 4.2 | 8 | 0.7 | 3.7-5.5 | 3.8-4.6 |
| 45 | ბრაზილია | 4.0 | 10 | 0.4 | 3.4-4.8 | 3.8-4.6 |
| 46 | ბულგარეთი | 4.0 | 7 | 0.9 | 3.3-5.7 | 3.8-4.6 |
| 47 | იამაიკა | 40 | 3 | 0.4 | 3.6-4.3 | 3.8-4.6 |
| 48 | პერუ | 4.0 | 7 | 0.6 | 3.2-6.0 | 3.8-4.2 |
| 49 | პოლონეთი | 4.0 | 11 | 1.1 | 2.6-5.5 | 3.5-4.6 |
| 50 | განა | 3.9 | 4 | 1.4 | 2.7-5.9 | 3.6-4.2 |
| 51 | კროატია | 3.8 | 4 | 0.2 | 3.6-4.0 | 3.7-4.4 |
| 52 | ჩეხეთის რესპუბლიკა | 3.7 | 10 | 0.8 | 2.6-5.5 | 3.4-4.5 |
| 51 | ლატვია | 3.7 | 4 | 0.2 | 3.5-3.9 | 3.5-3.9 |
| 52 | მაროკო | 3.7 | 4 | 1.8 | 1.7-5.5 | 2.2-4.8 |
| 53 | სლოვაკეთის რესპუბლიკა | *3.7* | 8 | 0.6 | 3.0-4.6 | 3.3-4.0 |
| 54 | შრი-ლანკა | 3.7 | 4 | 0.4 | 3,3-4.3 | 3.4-4.0 |
| 55 | კოლუმბია | 3.6 | 10 | 0.7 | 2.6-4.6 | 3.3-4.0 |
| 56 | მექსიკა | 3.6 | 10 | 0.6 | 2.5-4.9 | 3,3-3.9 |
| 57 | ჩინეთი | 3,5 | 11 | 1.0 | 2.0-5.6 | 3.1-4.1 |
| 58 | დომინიკის რესპუბლიკა | 3.5 | 4 | 0.4 | 3.0-3.9 | 3.2-3.7 |
| 59 | ეთიოპია | 3.5 | 3 | 0.5 | 3.0-4.0 | 3.0-3.8 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 62 | ეგვიპტე | 34 | 7 | 1.3 | 1.7-5.3 | 2.6-4.2 |
| 63 | ელ სალვადორი | 3.4 | 6 | 0.8 | 2.0-4.2 | 2.8-3.8 |
| 64 | ტაილანდი | 3.2 | 11 | 0.7 | 1.5-4.1 | 2.8-3.6 |
| 65 | თურქეთი | 3.2 | 10 | 0.9 | 1.9-4.6 | 2.7-3.7 |
| 66 | სენეგალი | 3.1 | 4 | 1.7 | 1.7-5.5 | 2.0-4.5 |
| 67 | პანამა | 3.0 | 5 | 0.8 | 1.7-3.6 | 2.3-3.4 |
| 68 | მალავი | 2.9 | 4 | 0.9 | 2.0-4.0 | 2.4-3.7 |
| 69 | უზბეკეთი | 2.9 | 4 | 1.0 | 2.0-4.1 | 2.0-3.5 |
| 70 | არგენტინა | 2.8 | 10 | 0.6 | 1.7-3.8 | 2.5-3.1 |
| 71 | კოტ დ ივუარი | 2.7 | 4 | 0.8 | 2.0-3.4 | 2.0-3.1 |
| 72 | ჰონდურასი | 2.7 | 5 | 0.6 | 2.0-3.4 | 2.3-3.2 |
| 73 | ინდოეთი | 2.7 | 12 | 0.4 | 2.4-3.6 | 2.5-2.9 |
| 74 | რუსეთი | 2.7 | 12 | 1.0 | 1.5-5.0 | 2,3-3.3 |
| 75 | ტანზანია | 2.7 | 4 | 0.7 | 2.0-3.4 | 2.0-3.3 |
| 76 | ზიმბაბვე | 2.7 | 6 | 0.5 | 2.0-3.3 | 2.4-3.0 |
| 77 | პაკისტანი | 2.6 | 3 | 1.2 | 1.7-4.0 | 1.7-3.3 |
| 78 | ფილიპინები | 2,6 | 11 | 0.6 | 1.7-3.6 | 2.4-2.9 |
| 79 | რუმინეთი | 2.6 | 7 | 0.8 | 1.7-3.6 | 2.2-3.1 |
| 80 | ზამბია | 2.6 | 4 | 0.5 | 2.0-3.2 | 2.2-3.0 |
| 81 | ალბანეთი | 2.5 | 3 | 0.8 | 1.7-3.3 | 1.7-3.0 |
| 82 | გვატემალა | 2.5 | 6 | 0.6 | 1.7-3.5 | 2.1-2.9 |
| 83 | ნიკარაგუა | 2.5 | 5 | 0,7 | 1.7-3.4 | 2.0-3.0 |
| 84 | ვენესუელა | 2.5 | 10 | 0.5 | 1.5-3.2 | 2.2-2.7 |
| 85 | საქართველო | 2.4 | 3 | 0.7 | 1.7-2.9 | 1.7-2.8 |
| 86 | უკრაინა | 2.4 | 6 | 0.7 | 1.7-3.8 | 2.0-3.0 |
| 87 | ვიეტნამი | 2.4 | 7 | 0.8 | 1.5-3.6 | 2.0-2.9 |
| 88 | ყაზახეთი | 2.3 | 4 | 1.1 | 1.7-3.9 | 1.7-2.9 |
| 89 | ბოლივია | 2.2 | 6 | 0.4 | 1.7-2.9 | 1.9-2.5 |
| 90 | კამერუნი | 2.2 | 4 | 0.7 | 1.7-3.2 | 1.8-2,6 |
| 91 | ეკვადორი | 2.2 | 7 | 0.3 | 1.7-2.6 | 2.0-2.4 |
| 92 | ჰაიტი | 2.2 | 3 | 1.7 | 0.8-4.0 | 0.8-3.3 |
| 93 | მოლდოვა | 2.1 | 4 | 0.6 | 1.7-3.0 | 1.7-2.5 |
| 94 | უგანდა | 2.1 | 4 | 0.3 | 1.9-2.6 | 1.9-2.3 |
| 95 | აზერბაიჯანი | 2.0 | 4 | 0.3 | 1.7-2.4 | 1.7-2.2 |
| 96 | ინდონეზია | 1.9 | 12 | 0.6 | 0.8-3.0 | 1.7-2.2 |
| 97 | კენია | 1.9 | 5 | 0.3 | 1.7-2.5 | 1.7-2.2 |
| 98 | ანგოლა | 1.7 | 3 | 0.2 | 1.6-2.0 | 1.6-1.9 |
| 99 | მადაგასკარი | 1.7 | 3 | 0.7 | 1.3-2.5 | 1.3-2.1 |
| 100 | პარაგვაი | 1.7 | 3 | 0.2 | 1.5-2.0 | 1.5-1.8 |
| 101 | ნიგერია | 1.6 | 6 | 0.6 | 0.9-2.5 | 1.2-1.9 |
| 102 | ბანგლადეში | 1.2 | 5 | 0.7 | 0.3-2.0 | 0.7-1.6 |

* Transparency International, Global Corruption Report, 2003, p.264

საქართველოში არსებული კორუფციის მაღალი დონით აიხსნება ამერიკელ და ქართველ მეცნიერთა ერთობლივი ინტერესი, შეისწავლონ ამ რესპუბლიკის კორუფციის არსი და მისი სპეციფიკა.

ამერიკელ მეცნიერთა ორიენტაცია საქართველოზე (და არა კავკასიის სხვა რესპუბლიკებზე – სომხეთსა თუ აზერბაიჯანზე, სადაც კორუფციის დონე ასევე მეტად მაღალია) აიხსნებოდა მთელი რიგი პოლიტიკური მოსაზრებებით:

1. საქართველოში ტრადიციულად არსებობს ღია ინტელექტუალური სამყარო, ასევე თავისუფალი მასმედია;
2. საქართველო მნიშვნელოვანი რეგიონია სტრატეგიული თვალსაზრისით;
3. საქართველო იმყოფება პოლიტიკური შესაძლებლობების გარდატეხის მნიშვნელოვან ეტაპზე.

ამერიკის უნივერსიტეტის ტრანსნაციონალური დანაშაულისა და კორუფციის კვლევითი ცენტრის საქართველოს ოფისის დაფუძნებაში დიდი წვლილი მიუძღვით თვით ქართველ მეცნიერებს, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე – 1996 წლიდან თანამშრომლობდნენ აღნიშნული ამერიკული ცენტრის მეცნიერებთან. ერთობლივად განხორციელდა მრავალი პროექტი და კვლევა, სადაც ქართველმა მკვლევრებმა გამოავლინეს მაღალი პროფესიონალიზმი და საქმისადმი ერთგული დამოკიდებულება. პროექტები ეხებოდა როგორც ტრანსნაციონალურ დანაშაულს, ისე კორუფციის პრობლემებს, რაც იძლევა იმის საიმედო გარანტიას, რომ ეს კერა პერსპექტივაში გახდება არა მარტო საქართველოს, არამედ კავკასიის რეგიონალური კვლევითი ცენტრი.

საქართველოს ოფისი ჩამოყალიბდა 2003 წლის 15 იანვარს და გახდა ამერიკის უნივერსიტეტის გაერთიანებული კვლევითი ცენტრების (რუსეთისა და უკრაინაში) შემადგენელი ნაწილი, რომელთა კვლევის ობიექტია ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის პრობლემების შესწავლა რეგიონალურ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო დონეებზე.

პრაქტიკულად, ამერიკელი მეცნიერები ახორციელებენ ადმინისტრაციულ, ტექნიკურ და ფინანსურ დახმარებას, რათა საქართველოში შეიქმნას კორუფციის კვლევის მაღალპროფესიონალური ბაზა. ისინი ხელს უწყობენ:

- ქართველ მეცნიერებს, პროფესორ-მასწავლებლებს, აწარმოონ ანტიკორუფციული განათლება უმაღლეს სასწავლებლებში;
  საქართველოში და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში არსებული კორუფციის მოდელების შედარებითი ანალიზის გაკეთებას;
- აღმასრულებელ სტრუქტურებს, კვალიფიციურად აწარმოონ მუშაობა კორუფციის დასაძლევად;
  საკანონმდებლო ორგანოებს საჭირო კანონპროექტების შემუშავებაში ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლის მიზნით;
  საქართველოს საზოგადოებას, მიიღოს ობიექტური ინფორმაცია რესპუბლიკაში არსებული კორუფციის დონის, მასშტაბების, მსოფლიო გამოცდილების, ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის დაძლევის გზებისა და საშუალებების შესახებ.

საქართველოს ოფისის მეცნიერთა კვლევის ძირითადი მიმართულებებია: აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებიდან მომავალი კონტრაბანდის სპეციფიკისა და სტრუქტურის შესწავლა, ელექტროენერგეტიკის, გზების მშენებლობისა და უმაღლესი განათლების სექტორებში არსებული კორუფციის ანალიზი. კვლევათა ორიგინალურობას განსაზღვრავს ის გარემოება, რომ ქართველი მეცნიერები მჭიდროდ თანამშრომლობენ რუს და უკრაინელ კოლეგებთან. სარატოვის ცენტრის თანამშრომლები თავიანთ ქართველ კოლეგებთან ერთად სწავლობენ კონტრაბანდის სტრუქტურასა და სპეციფიკას ჩრდილოეთ ოსეთსა და ცხინვალის რეგიონში, ხოლო უკრაინელ მკვლევრებთან ერთად ხდება უმაღლესი განათლების სისტემაში არსებული კორუფციის შედარებითი ანალიზის გაკეთება.

განსაკუთრებული როლი ენიჭება კვლევით მეთოდოლოგიასა და მეთოდებს. მეცნიერთა მუშაობის ძირითად იდეოლოგიად მიჩნეულია ლიბერალურ-დემოკრატიული აზროვნების პრინციპები.

ფართოდ გამოიყენება მრავალდისციპლინარული მიდგომები. პრაქტიკულად საქართველოს ოფისი აერთიანებს ჰუმანიტარული მეცნიერების ყველა ძირითადი დარგის სპეციალისტს: სოციოლოგებს, იურისტებს, ისტორიკოსებს, ეკონომისტებს, პოლიტოლოგებს, ფილოსოფოსებს, რაც საშუალებას იძლევა, მოხდეს პრობლემათა მრავალმხრივი,მრავალდისციპლინარული შესწავლა თანამედროვე დასავლეთის უახლესი მეთოდების გამოყენებით, რაშიც ქართველ მეცნიერებს დიდ დახმარებას უწევენ ამერიკელი კოლეგები.

პრობლემათა ანალიზისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა არა მარტო საკითხთა მაღალპროფესიონალურ ანალიზს, არამედ რეკომენდაციების შემუშავებას, რაც წარმოადგენს ნაშრომთა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს. ეს კი იმით აიხსნება, რომ მეცნიერთა მიერ შემუშავებული რეკომენდაციები მოიაზრება, როგორც კორუფციასთან ბრძოლის მნიშვნელოვანი ბაზა და საშუალება. ნაშრომები წარედგინება აშშ-სა და საქართველოს ყველა დაინტერესებულ სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სტრუქტურას, ისინი გადაეცემა საქართველოს მხარეს შემდგომი გამოყენებისთვის სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში.

ქართველ და ამერიკელ მეცნიერთა საქმიანობის ძირითად არსს წარმოადგენს ნაშრომებში შემუშავებული რეკომენდაციების დანერგვა და საზოგადოების მიზანდასახული თანმიმდევრული გაჯანსაღება.

ქართველ და ამერიკელ მეცნიერთა ერთობლივი საქმიანობა ასევე ითვალისწინებს:

- განსაკუთრებით საინტერესო პროექტებისა და ნიჭიერ მეცნიერთა კვლევების დაფინანსებას;
- უცხოური ლიტერატურის თარგმნას ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის სფეროში;
- მეცნიერთა თუ სპეციალისტთა მომზადებას სახელმწიფოს მართვის ვიწრო სპეციალობაში, კორუფციასთან და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის დარგში;
- კონფერენციების, სემინარების, მრგვალი მაგიდების, ლექციების მოწყობას კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის პრობლემების ირგვლივ;
- მჭიდრო კონტაქტების დამყარებას საქართველოს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებთან, მათთან, ვინც ნამდვილად დაინტერესებულია საქართველოში რეფორმების გატარებით;
- ანტიკორუფციული ჯგუფების საქმიანობის კოორდინირებას საქართველოში, მათთვის ყოველგვარი დახმარებისა და მხარდაჭერის აღმოჩენას;
- თანამშრომლობას ყველა დაინტერესებულ სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციასთან, კავკასიისა თუ მსოფლიოს სხვა ნებისმიერი ქვეყნის მეცნიერებთან, პოლიტიკოსებსა თუ საზოგადო მოღვაწეებთან.
  თანამშრომლობასა და საქმიანობის კოორდინირებას საქართველოში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რათა არ მოხდეს მათ მიერ ჩატარებულ კვლევათა დუბლირება.

ამერიკის უნივერსიტეტის ტრანსნაციონალური დანაშაულისა და კორუფციის კვლევითი ცენტრის საქართველოს ოფისის შესახებ უფრო ვრცელი ინფორმაციის მონახვა შეგიძლიათ ვებგვერდზე: http://www.traccc.cdn.ge, ხოლო მისამართია: თბილისი, 0179, თაყაიშვილის ქ. 1ა, მე-3 სართული, ბ.8

**დენიზა სუმბაძე**
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის დოცენტი*

# ამერიკელი ერის ფენომენი

მსოფლიოში არსებულ ჩვენთვის ცნობილ „ერის" განსაზღვრებათა შორის, ყველაზე ამომწურავ და ფუნდამენტალურ განსაზღვრებად მიმაჩნია დიდი გერმანელი ფილოსოფოსის – იმანუელ კანტისეული განსაზღვრება. ამ განსაზღვრებით „ერი" არის ერთიანობა ისეთი ხალხისა, რომელსაც ერთი გენეტიკური ძირი და ცხოვრების გზის ერთი წესი და რიგი აქვს. ვფიქრობთ, ამ განსაზღვრებისას ებრაელი ერი წარმოადგენს ყველასთვის გასაგებსა და იდეალურ ილუსტრაციას.

როგორც ვხედავთ, დიდი გერმანელის ამ განსაზღვრებაში ერად ყოფნის აუცილებელ მახასიათებლებში ორი აუცილებელი ნიშანია გამოცხადებული: ნიშანი - ერთი გენეტიკური ძირის და ერთი ცხოვრების წესის.

მახსენდება მაცხოვრის მიერ მოსეს ათი მცნების დაყვანა ორ უმთავრეს მცნებაზე: უფლის სიყვარულისა და მოყვასის სიყვარულის.

დიდმა ფილოსოფოსმა თითქოს წინასწარ მოგვცა „ერის" ყველა შესაძლებელი და მომავალში გამრავლებული მახასიათებლების მოქცევა ორ აუცილებელ ნიშანთვისებაში.

ხაზგასმით არის აღსანიშნავი, რომ დიდი ფილოსოფოსისეულ „ერის" განსაზღვრებაში საერთოდ არ ფუნქციონირებს მეოცე საუკუნის აზროვნებისათვის დამკვიდრებული ისეთი აუცილებელი სამართლებრივი ნორმატივი, ისეთი რეალობა და მახასიათებელი „ხალხის" „ერად" ყოფნისა, როგორიც არის „სახელმწიფოებრიობა": „გაქვს სახელმწიფო, ხარ ერი, არა გაქვს სახელმწიფო, არა ხარ არც ერი". მოხდა უფრო მეტიც: ყოველივე ეს იქამდე მივიდა, რომ კაცობრიობის ისტორიამ შექმნა სახეობა ერისა, რომელიც მხოლოდ მისი – ამ ერის სახელმწიფოებრიობით არის განსაზღვრული და დასახელებული ორი აუცილებელი და ძირითადი ნიშანი საჭირო აღარ არის.

მეოცე საუკუნის ორი ზესახელმწიფოს არსებობამ: აშშ-ის და სსრკ-ის, რომლებიც ხალხების სხვადასხვა ტიპის კონგლომერატებს წარმოადგენდნენ, კაცობრიობის ცნობიერებაში შექმნა ტენდენცია ხალხის ინდივიდუალური მახასიათებლის განსაზღვრისა მათი სახელმწიფოებრივი ქინაობით. ამ ტენდენციის ფსიქოლოგიას ასაზრდოებდნენ სხვა არაცნობიერი ფაქტორებიც. მაგრამ ფაქტია: სახელმწიფოებრიობამ ერის ყველა სხვა ძირითადი მახასიათებელი შთანთქა და პირველ აუცილებელ ნიშნად იქცა.

ამერიკელი ხალხის ეროვნული განსაზღვრულობა, მისი ერად ყოფნა, მის სახელმწიფოებრიობაში, უფრო მეტი, მის ზესახელმწიფოებრიობაშია ჩადებული. ერად ყოფნის ის არსებითი ნიშანი, რომელსაც ერთი ცხოვრების წესი ჰქვია და ის, რასაც აწესრიგებდა რელიგია, ამერიკელი ხალხისთვის აღმოჩნდა სახელმწიფოს და პოლიტიკის კუთვნილება. ამ თვალსაზრისით, იგი ბიზანტიის იმპერიას მოგვაგონებს – ბიზანტიელ ერს – ქრისტიანობის მედროშეს.

ასე მივიღეთ ტრადიციული გენეტიკური ერთიანობის მქონე ერებისაგან განსხვავებული, სრულიად ახალი ხალხი და ახალი კატეგორია ერისა, რომელსაც,

შესაძლოა, ტრადიციული ნორმებით არც გააჩნია ერის შინაარსი და არც არის ერი, მაგრამ აქვს ტრადიციული შინაგანი მოთხოვნილება და იმპულსი ერად ყოფნისა და ერთიანი ღირსების გრძნობის, რაც მას ახალი ტიპის ერად წარმოგვიდგენს.

ყოველ ერს, ისევე როგორც ყოველ პიროვნებას თავისი ტრანსცენდენტური არსი და ამ არსიდან გამომდინარე თავისი ამქვეყნიური მისია აქვს. გაცნობიერება ამ მისიისა და აღსრულება ამ გაცნობიერებულისა, ყოველი ხალხის თვითშემეცნების მიზანია.

ამერიკის შეერთებული შტატები, როგორც სახელმწიფო და ამერიკელი ხალხი, როგორც ერი, ერთიანი კაცობრიული მოვლენაა. შეიძლება ითქვას, რომ შედეგია მთელი კაცობრიული ისტორიისა და ცხოვრების გზის და ამიტომ ვერც კაცობრიობა და ვერც ამერიკელი ერი ვერ იქნებიან გულგრილნი ერთმანეთის მიმართ. ეპოქა, რომელშიაც ჩვენ ვიცხოვრეთ და ვცხოვრობთ, მე-20 და 21-ე საუკუნეების ეპოქა, რომლის სადავეებსაც ამერიკის შეერთებული შტატები სხვა სახელმწიფოებთან ერთად ფლობდა, მსოფლიოს მომავალი წესრიგისათვის აშკარად მიიმართება დამოუკიდებელი პროამერიკული მმართველობის ტენდენციით: მსოფლიოს ფედერალური იმპერიის შექმნის ტენდენციით — როგორც წერს არნოლდ ტოინბი — დიდი ინგლისელი ისტორიკოსი. ბუნებრივია, და სრულიად ადამიანური, რომ ამერიკის შეერთებული შტატები კაცობრიობას უყურებს თავისი საკუთარი გადასახედიდან და ბუნებრივია, ისიც, რომ კაცობრიობაც, თავისი შემადგენელი ნაწილებით, თავისი აღნაგობით, თვითონ ეს ნაწილებიც უყურებენ ამერიკის შეერთებულ შტატებს თავ-თავისი საკუთარი გადასახედიდან.

ვაცნობიერებ, რომ პირადად ჩემი ხედვა და აღქმა, ჩემეული ანალიზი და შეფასება ამერიკული ფენომენისა არის და არ შეიძლება არ იყოს ხედვა პლანეტის ერთ-ერთი უძველესი ერისა და უძველესი ქვეყნის წარმომადგენლისა, ქვეყნისა, რომლის ისტორიაც თავისი გრძლიობით ლამის მთელი კაცობრიობის ისტორიას უტოლდება, მაგრამ დღევანდელი მსოფლიოს რეალურ ყოფიერებაში, მისი ადგილმდებარეობაცა და ვინაობაც თანაბრად არის ჩაკარგული: რუკაზეც და ხმაურიანი მსოფლიოს ემპირიულ ცნობიერებაშიც. მაგრამ ჩემი ქვეყნის ეს უჩინარი ყოფნა არ გვიხსნის პასუხისმგებლობას მსოფლიოს მომავალზე ფიქრისას წამყვან პოლიტიკურ ქვეყნებთან ერთად, რადგან მსოფლიოს მომავალი თანაბრად ეხება დიდსაც და პატარასაც. უფრო მეტიც, ეს უჩინარყოფნა უფრო მწვავედ აყენებს ჩვენს პასუხისმგებლობას ჩვენი ეროვნული, სულიერი და მორალური მისიის აღსრულებისას საკაცობრიო მომავალში.

ამერიკელ ხალხს და ამერიკის სახელმწიფოს ზოგჯერ ჩვენ აღვიქვამთ როგორც ახალ კაცობრიობას, რომელმაც შეძლო თავისი ძველი სამყოფელის დათმობა და ახალი დედამიწის აღმოჩენა, ახალი ღირებულებების შესაქმნელად, ცხოვრების ახალი გზის დასაწყებად, ერთიანად მთელი კაცობრიობისათვის.

ფაქტია, ახალი სულისკვეთების სიმბოლოდ, ამ ახალმა კაცობრიობამ, ნიშნად ახალი ვინაობისა, თავისი ახალი ქვეყნის მისადგომთან, ოკეანის ნაპირზევე აღმართა თავისი ახალი ვინაობის ამსახველი ახალი კერპი. ჩვენი თანამედროვეობის ენაზე ამ კერპს თავისუფლების ქანდაკება ჰქვია და თუ შევეკითხებით ჩვენს თავს, რა არის ის თვისობრიობა, რომელიც გამოდგება, როგორც მახასიათებელი ამერიკელი ხალხისა და ამერიკული სახელმწიფოებრიობისა, ამერიკული აზროვნების, უნდა ვაღიაროთ, რომ ეს არსებითი მახასიათებელი არის სწორედ „თავისუფლება" და

სხვა მეტოქე ამ ცნებას ჯერჯერობით ძნელად ეძებნება. ერთი აუცილებლობაა აქ მხოლოდ გასათვალისწინებელი: თავისუფლების გაგებას მთელს პლანეტაზე თავისი ისტორიული ევოლუცია გააჩნია. ამასთან თავისუფლება მორალური კატეგორიაა და ყოველ ხალხს, იგი თავისი მორალური შეგნებიდან ამოსვლით ესმის. ყოველ ხალხს, ისევე, როგორც ყოველ ერს, თავისუფლების გაგების საკუთარი ისტორია აქვს. ამიტომ თავისუფლება ეროვნული შინაარსის მატარებელიც არის და მასთან (ე.ი. თავისუფლებასთან) მიმართებაში მყოფი ამერიკისა და კაცობრიობის ტრაგედია იმაშია, რომ ის, რაც მორალურია და ეროვნულია ამერიკისათვის, შესაძლოა სხვა ერისათვის და საერთოდ კაცობრიობისათვის არ იყოს მორალური. კლასიკური სხვაობა ამ თვალსაზრისით იქნება სწორედ ამერიკელ ერსა და ებრაელ ერს შორის, ძველ ბიბლიურ ერსა და ახალ ამერიკელ ერს შორის.

როდესაც ამერიკულ დემოკრატიას, როგორც თავისუფლების იდეალურ ფორმას, ამერიკული გაგებით, თავს ვახვევთ ახლად ფეხადგმულ დამოუკიდებელ ხალხებს — წერს ბრწყინვალე ამერიკელი პოლიტოლოგი ფრიდრიხ ფონ ჰეიიკი — ჩვენ ამით ფესვებშივე ვუხშობთ მათ საკუთარი თვითმყოფადი განვითარების შესაძლებლობას.

თავისუფლების ამერიკული ქანდაკებით, ჩემთვის, როგორც ძველი იბერიულ-კოლხური ცივილიზაციის მემკვიდრე ქვეყნის წარმომადგენლისათვის, კაცობრიობის ისტორია ორი უმთავრესი სკულპტურული კერპითა და ნიშანსვეტით მოინიშნა: პირველი, ეს კოლხეთის ნაპირზე მდგარი გრანდიოზული ქანდაკება გახლავთ — დიდი დედა ღვთაების — სიყვარულისა, ოჯახისა, მიწათმოქმედებისა და მიწის ნაყოფიერების ღმერთის, რომელიც პირველი საუკუნის რომაელმა ქურუმმა და მოგზაურმა, არიანემ აღწერა თავის ნაწერებში: ჩაბრძანებული სავარძელში, ცალ ხელში ქნარით, ცალ აღმართულ ხელში ღუზით, და მუხლებთან გაწოლილი ორი ლომით. მეორე ნიშანსვეტი კი გახლავთ ნიუ-იორკში, ოკეანის ნაპირზე მდგარი თავისუფლების ქანდაკება: კაცობრიობის ისტორია ამ ორ ქანდაკებას შორის მიედინება, ხან ქარიშხლებითა და ტალღათა აზვირთებით, ხან შემაშინებელი სიმშვიდით. უნდა ვაღიარო, რომ 2001 წლის 11 სექტემბრის ტრაგედიის შემდეგ კაცობრიობის ისტორიის ეს ორი სკულპტურული ნიშანსვეტი — დიდი დედა ღვთაებისა და თავისუფლების ქანდაკის — ჩემთვის ორი ახალი ნიშანსვეტით შეიცვალა: ჩვენი ცივილიზაციის ისტორია გაწვა ბაბილონის ბიბლიური გოდოლის დაცემასა და ნიუ-იორკის ცათამბჯენების დაცემას შორის. მოხდა ისე, რომ 2001 წლის 11 სექტემბერს ტრაპიზონში შევხვდი; როგორც ქალდეური ცივილიზაციის რელიგიური საწყისების მკვლევარს, გადაწყვეტილი მქონდა ტრაპიზონში ქალდეველთა ეთნიკური გადმონაშთებისათვის მიმეკვლია. აღმოჩნდა, რომ სწორედ იმ დროს, როცა მე ქალდეველებს ვეძებდი ტრაპიზონში, ნიუ-იორკის ცათამბჯენები ეცემოდნენ. ტრაპიზონის იმპერია — ბიზანტიის იმპერიაში - პონტოსპირეთის ქალდეველთა ქვეყანა იყო, რომელსაც ჩემს ხედვაში შუამდინარეთის ქალდეა ენათესავებოდა. 11 სექტემბრის ტრაგედიის მოსმენით ტრაპიზონში შუამდინარეთის ქალდეველთა დიდი დედაქალაქის, ბაბილონის გოდოლი კიდევ ერთხელ ჩამოიქცა ჩემთვის. ბაბილონი თავისი დროის ერთპირი, ერთ ენაზე მეტყველი კაცობრიობისათვის ინტეგრაციული ცენტრი იყო. ცას მიწვდენის სურვილი ბაბილონელებისა ისრაელის ღმერთის წინაშე აღმოჩნდა დანაშაული. ბაბილონის მისიის უარყოფით ებრაელმა ერმა თავის თავზე აიღო მისია კაცობრიობის სულიერი წინამძღოლობისა და ინტეგრაციული მართვის. ბაბილონის დაცემიდან

ნიუ-იორკის ცათამბჯენების დაცემამდე კაცობრიობის ისტორია მართლაც წარიმართა ებრაული მონოთეისტური ორიენტირებით. ჩვენი ცივილიზაციის ისტორია მონოთეისტური, ამასთან პატრიარქალურ-მონოთეისტური ცივილიზაციის ისტორიად იქცა, რომელმაც, სამწუხაროდ, პლანეტა სასიცოცხლო საფრთხის საშიშროებამდე მიიყვანა.

ბაბილონის დაცემის შემდგომ ისრაელის ღმერთისაგან დასჯილმა და მრავალ ენაზე ამეტყველებულმა მსოფლიომ, როგორც დავინახეთ, კვლავ ააგო ახალი ცათამბჯენები ღვთის წინაშე, „ცას მიწვდომისა" და მსოფლიო ინტეგრაციის, კვლავ ამოხეთქილი ადამიანური სურვილით. გაჩნდა ძალა, რომელმაც დაანგრია ეს ცათამბჯენები. ფაქტიურად, და სიმბოლურად, ამ ძალამ დაანგრია ეს მსოფლიო ინტეგრაციის ამერიკული სურვილიც. ნათელია, რომ ბაბილონის გოდოლი დაამხო ღმერთმა ისრაელისამ. მაგრამ რა იყო ის ძალა და რა იყო ის მიზეზი, რომელიც დაუპირისპირდა ამერიკას?! რა იყო ის იმპულსი, რომელმაც 21-ე საუკუნის დასაწყისში თვითმფრინავების მითოსური შეჭრით ცათამბჯენების მწვერვალებში, შეუძლებელი შეძლო.

„1973 წელს აშენებული ტყუპი შენობები ჩემი ქალაქის ფონს ამშვენებდა — წერს ნიუ-ჯერსის უნივერსიტეტის პროფესორი (აშშ) — ქ-ნი დორის ფრიდერსონი. — ეს იყო დრამა სიმაღლეში, სიამაყე და სწრაფვა ზეცისაკენ"— თითქოს ამერიკულ ცათამბჯენებში ბაბილონის გოდოლსა ჭვრეტდეს, იმგვარი სიტყვებით აღწერს ქ-ნი ფრიდერისონი სათაყვანებელ ნაგებობებს. ასე აღწერს ბიბლია გოდოლს ბაბილონისას: „თქვეს: აბა, ავიშენოთ ქალაქი და გოდოლი, და ცას მივუწვდინოთ მისი თხემი. აღვმართოთ ნიშანსვეტი, რომ არ გავიფანტოთ დედამიწის ზურგზე"(დაბ.11,4).

„თუ გინდა, რომ დაანგრიო იმპერია, წერია ჟურნალ „თაიმსის" ერთ-ერთი სტატიის სათაურად, „მაშინ მისი ტაძრები უნდა დაასახიჩრო". ტყუპები ჩვენი ტაძრები იყო და ყველა, ვინც აკონტროლებდა აშშ-ის აქციების მერყევი ფასების გავლენას ევროპის, იაპონიისა და ლათინური ამერიკის ბაზრებზე, შეუძლია დამემოწმოს, რომ ეს ტაძრები, კარგად თუ ცუდად, მხოლოდ ამერიკისთვის არ იყო წმინდა."(კრებულიდან: ამერიკის შესწავლის საკითხები, თსუ, 2002, გვ. 19.).

„რა თქმა უნდა, ტყუპ შენობებს ფინანსური დატვირთვაც ჰქონდათ. ეს იყო ამერიკული კაპიტალიზმის და გლობალური კაპიტალიზმის განვითარების წამყვანი სისტემა თანამედროვე მსოფლიოში" (იქვე).

11 სექტემბრის ტრაგედიის შემდეგ ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგის, სამუელ ჰანტინგტონის წიგნი — „ცივილიზაციათა შეჯახება" აღქმულ იქნა, როგორც წინასწარმეტყველება ამერიკული და ისლამური ცივილიზაციების შეჯახებისა.

როგორც ვხედავთ, ამერიკულ დემოკრატიას საბჭოთა კავშირის ათეიზმზე უფრო დიდ მეტოქედ თეიზმი მოევლინა. ამერიკული დემოკრატია ათეისტურ ზესახელმწიფოსთან მშვიდობიანად მორიგდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ისლამურ ფუნდამენტალიზმთან ვერ მორიგდა, რადგან ისლამური მსოფლიოსათვის გაცხადდა, რომ ამერიკული დემოკრატია რწმენის თავისუფლების ქადაგებით და სახელმწიფოთა პოლიტიკური მოდელების შეცვლით, საბოლოოდ სწორედ იმ რელიგიებს ანგრევს, რომლებიც იმ პოლიტიკურ მოდელებს ევლინებიან საფუძვლებად. ამერიკის ცივილიზაციისათვის პოლიტიკური მოდელების შეცვლა მხოლოდ გზაა რელიგიური რწმენების შეცვლისა. ისლამური ქვეყნების პოლიტიკურ მოდელებსა და ისლამს

შორის განხეთქილება არ არსებობს. ისლამურ ქვეყნებში ისინი, ეს პოლიტიკური და რელიგიური რეჟიმები თავთავიანთი დიქტატორული რეჟიმებითაც ერთმანეთზე არიან მორგებულნი. შევეცდები უფრო მეტად დავაზუსტო ნათქვამი: მნიშვნელობა და არსი მაინცადამაინც ისლამური ცივილიზაციის შეჯახებისა ამერიკულ ცივილიზაციასთან:

ამერიკული დემოკრატია, როგორც იდეოლოგიური საფუძველი ამერიკული ცივილიზაციისა, სამუელ ჰანტინგტონის წიგნის - „ცივილიზაციათა შეჯახების" ერთ-ერთი გამოცემის წინასიტყვაობაში, წინასიტყვაობის ავტორის მიერ მსოფლიო ცივილიზაციათა მიმართებაში განმარტებულია, როგორც მფლობელი სამი უმთავრესი დამსახურებისა, რომელსაც მსოფლიო ვერ უარყოფს. ავტორის აზრით, ეს დამსახურებები იმაში მდგომარეობს, რომ ამერიკელებმა ასწავლეს მსოფლიოს: 1) თავისუფლება აზრის, 2) თავისუფლება პრესის, და 3) თანასწორობა დედაკაცისა და მამაკაცის.

ქრისტიანული ქვეყნების მოქალაქენი ძირითადად ვერ აცნობიერებენ გაორებას რელიგიურ მოქალაქეობასა და სახელმწიფო მოქალაქეობას შორის, მათ ურთიერთდაშორებულ პრინციპებს შორის: სახელმწიფოს ეთიკური იდეალები თანასწორობაზეა დაფუძნებული, ხოლო რელიგიისა – დედათა და მამათა შორისეულ უთანასწორობაზე. ჩააქრეთ თანასწორობა დედაკაცსა და მამაკაცს შორის და აზრი დაეკარგება ყოველგვარ დემოკრატიასა და თავისუფლებას ყველგან, მთელ პლანეტაზე, სახელმწიფოს წიაღშიცა და ეკლესიის წიაღშიც. ჩვენი ქვეყანა, საქართველო, რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" ქვეყანაა, ქართველთა საკუთარი წმინდა წიგნისა და ქართველების „ბიბლიად" წოდებული წიგნის, რომელიც მე-12 საუკუნეში დაიწერა. იგი დედაკაცისა და მამაკაცის თანასწორობის ჰიმნია და საუნჯე ქართული ეროვნული სულიერებისა და ზნეობრიობის. ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატია დედაკაცისა და მამაკაცის თანასწორობის სასწავლად ქართველ ერსა და ქვეყანას არა სჭირდება, მაგრამ ჩვენი ცივილიზაციის ისტორიაში ჩართული თავისი მართლმადიდებლურ-ეკლესიური მრწამსით მთელ ორთოდოქსულ ქრისტიანულ ქვეყნებთან ერთად, იგი (ქართველი ერი) უკვე უთანასწორობის ეთიკის მიმდევარი და მაღიარებელი ხდება, ორგანული ნაწილი – მთელი იუდეურ-მონოთეისტური ცივილიზაციისა და ამრიგად, ბუნებრივია, ლოგიკურად, მოქცეულიც იმ კაცობრიობის ბადეში, რომელსაც მთელი ამერიკული ცივილიზაცია უპირისპირდება.

ამერიკული დემოკრატია და მასზე დამყარებული ცივილიზაცია, რომელიც მსოფლიოს, უწინარეს ყოვლისა, დედაკაცისა და მამაკაცის თანასწორობას უკანონებს, თავისი ზნეობრივი პრინციპებით არა ისლამთან, არა იუდაიზმთან, არა ქრისტიანობასთან, ანდა თითოეული მათგანის ცალკეულ მიმართულებებთან, არამედ ეჯახება მთლიანად მთელ ორთოდოქსულ რელიგიურ კაცობრიობასთან, რომელიც თავისი მონოთეისტური აზროვნებით ქმნის ერთიან ოთხიათასწლეულის მომცველ, მამალმერთულ ცივილიზაციას, ცივილიზაციას, რომელსაც საფუძველი ებრაულმა ცნობიერებამ ჩაუყარა, სამყაროს აღქმისა და ცხოვრების გზის ებრაულმა გაგებამ და ებრაულმა ტენდენციამ.

ებრაული გონების ვირტუოზული და შეუდარებელი ხელოვნება კი იმაშია, რომ იგი უმტკივნეულოდ და განხეთქილების გარეშე არსებობს ამერიკული დემოკრატიის წიაღში; ისევე უმტკივნეულოდ, როგორც ბიბლიური იოსები და ბიბლიური მეამბოხე წინასწარმეტყველი მოსე არსებობდნენ ეგვიპტის ფარაონთა

ყოვლისშემძლე მფარველობით. კაცობრიული თვითშემეცნებისა და თვითგამორკვევის პოლიტიკურ ბურუსში, რწმენის თავისუფლების ამერიკული ქადაგების უკან, ზოგი შეჯახება გაუცნობიერებელი და დაფარული რწმენა, ხოლო ზოგიც — შიშველი.

ყველაზე ახალგაზრდა რელიგია რელიგიათა შორის, თავისი ახალგაზრდული რელიგიური ცეცხლით, შიშველი თავისი დაპირისპირებით, — ისლამი — პირველი ეჯახება ამერიკის ცათამბჯენებს, როგორც ამერიკული ყოფიერების მონუმენტურ ქანდაკებებს, ამერიკული ცივილიზაციისა და მისი იდეოლოგიის სიმბოლურ კერპებს.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, რონალდ რეიგანის განცხადებით, სახელმწიფო, რომელშიც არა სწამთ ღმერთი, არა სწამთ სული, არა სწამთ სულის უკვდავება, ამორალური სახელმწიფოა და მასთან საუბარი შეუძლებელია. ტრაგედია კი ამჯერად იმაშია, რომ საუბარი შეუძლებელი აღმოჩნდება მათთან, ვისაც სწამს ღმერთიცა და უკვდავებაც. მხოლოდ გაურკვეველი რწმენა, რა არის ის ღმერთი და ის უკვდავება, რაც ამერიკას სწამს, რას ნიშნავს ამერიკული გაგება ღმერთისა და მისი ამქვეყნიური პრინციპების?!

ქ-ონ ფრიდერსონის უშუალო ემოციებით გამოხატული დახასიათება ნიუ-იორკის ცათამბჯენებისა, როგორც ამერიკის წმიდა ტაძრების, შემთხვევითი არ არის. ეს სრულიად ამერიკული ემოციაა. ამგვარი აღიარება ნიუ-იორკის ცათამბჯენებისა, სადაც მსოფლიოს სავაჭრო ცენტრი იყო მოთავსებული, თავისუფლების ქანდაკების გვერდით, ლოგიკურად ბადებს აზრს მეორე ღვთაებრივი ცნების შესახებ ამერიკის სულიერ მრწამსში: ეს „ვაჭრობაა“. „თავისუფლება“ და „ვაჭრობა“. აი, ის ორი ძირითადი მცნება ამერიკული რელიგიური სულისა. ამ ემოციურ ჭრილში ამერიკისათვის ღვთისმსახურებად განიცდება ვაჭრობაც. ამერიკა ერთადერთი ქვეყანაა პლანეტაზე, სადაც რელიგიური თავისუფლება იქამდე მიდის, რომ ძველი შუმერისა და სხვა გარდასული ცივილიზაციების ღმერთებთან კავშირისათვისაც კი იქმნება რელიგიური ორდენები. მაგრამ შემთხვევითი არ არის, რომ ამერიკის სინამდვილემ შექმნა იეღოველობა, როგორც ახალი, მასშტაბური, მსოფლიო მნიშვნელობის იუდეური რელიგია. ვფიქრობ, ფუნდამენტური მნიშენელობის მატარებელია პროფ. ფრიდერსონის მეტაფორულ-პოეტური გამოხატვა განცდილისა, რომლითაც შედგა ცათამბჯენების სავაჭრო ცენტრის გამოცხადება ამერიკელი ხალხის წმინდა ტაძრების ტოლფას ქმნილებად და წმიდა ადგილად.

ქართულ სინამდვილეში ამერიკული თანადგომისა და მხარდაჭერის ფონზე, თექვსმეტი ამერიკელი კონგრესმენისა და სენატორის წერილით საქართველოს პრეზიდენტისადმი, ჩვენ დავინახეთ უპრეცედენტო აღშფოთება მათი, საქართველოში იეღოველთა ადამიანური უფლებების დარღვევის გამო. ჩვენ დავინახეთ, რომ იმ საქართველოში და იმ სინამდვილის ფონზე, რომელშიც საკანონმდებლო წესით საკუთარი შრომის ანაზღაურებისათვის ადამიანებს საარსებო და სასიცოცხლო მინიმუმზე ნაკლები აქვთ მისჯილი, ადამიანის სასიცოცხლო უფლების ამ მონუმენტური დარღვევისათვის ამერიკელი კონგრესმენები არ აღელვებულან. თბილისში არაერთხელ მომხდარა კრიშნაიდების დარბევაც. ადამიანის უფლების არც ამგვარ დარღვევას აუღელვებია ამერიკელი კონგრესმენები ასე საგანგებოდ. საქართველოში კონგრესების მომწვევი იეღოველების დარბევის აქტები, როგორც ჩანს, უფრო ფაქიზ სულიერ შრევებსა და მრწამსს შეეხო ამერიკელებისას.

ხომ არ მოხდა „თავისუფლებისა“ და „ვაჭრობის“ თანაბარი გაკერპებით ამერიკული მისიის გაორება? ამერიკელი ერის, როგორც ახალი რჩეული ერისა და

ძველი, ბიბლიური რჩეული ერის მისიათა გაერთიანება? ხომ არ მოვიდა ამერიკული მისია ახალი კაცობრიობისა წინააღმდეგობაში საკუთარ თავთან? და ჩნდება უფრო სახიფათო კითხვაც: ხომ არ გადასძალა ამ გაორებაში ვაჭრობის მსოფლიო გაკერპებამ თავისუფლების გაკერპებას?!

მართლმადიდებლური მსოფლიოს პატრიარქმა – ბართლომე პირველმა საქართველოში ყოფნის დროს, ამ რამდენიმე წლის წინ, ერთ თავის გამოსვლაში საოცარი პრობლემა დააყენა: მართლმადიდებლობას არა აქვსო განსაზღვრული, რომელი ეკონომიკური წყობა შეეფერება მის რწმენას. ფაქტია, მსოფლიო პატრიარქმა საკითხი დასვა ეკონომიკურისა და სულიერის შესაბამისობის აუცილებლობაზე. ეკონომიკას, მის პრინციპებს, უსათუოდ აქვს თავისი ზნეობრივი საფუძვლები. როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ამერიკული სინამდვილის ისეთ ორ გაკერპებულ ცნებაზე, როგორიც არის „თავისუფლება“ და „ვაჭრობა“, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამერიკული სახელმწიფო ამ ცნებით ორიენტირებს ემყარება. მათ შორის წინააღმდეგობა მოხსნილია. ვაჭრობის ასეთ გაწმიდავებაში საქმე გვაქვს გარკვეულ სპეციფიკასთან, რომელიც ამერიკული ფენომენის ინდივიდუალობად იკითხება.

ჩვენ ყველამ ვიცით, როგორი მძვინვარებით შეხვდა მაცხოვარი თანამემამულეთ, როდესაც იხილა სავაჭრო სახლად გადაქცევა უფლის სახლისა. ვაჭრობა მისთვის შეურაცხყოფა იყო უფლის სამსახურისათვის განკუთვნილი ადგილის და შეიძლება ითქვას, რომ მძვინვარე ამბოხი ვაჭართა მიმართ, იყო არა შემთხვევითი ეპიზოდი მაცხოვრის ცხოვრებისა,არამედ სიმბოლური აქტი მისი ზნეობრივი პრინციპებისა, მისი ახალი ეთიკური მოძღვრების.

პრინციპი სამაგიეროს მიზღვისა და ცოდვათა გამოსყიდვისა ნივთიერი გამოსასყიდლის გზით,პრინციპი იუდეველთა სჯულისა „კბილი კბილისა წილ“ მაცხოვარმა – იესო ქრისტემ დაანგრია როგორც მისთვის მიუღებელი ვაჭრული პრინციპი და შეცვალა ახალი ზნეობრივი მრწამსით. „წყალობაი მნებავს და არა მსხვერპლი“, რაც ნიშნავს: არ მინდა მოგყიდო, მინდა რომ გაჩუქო, მოგმადლო.

ვაჭრობის ამერიკულ გაფეტიშებაში ერთგვარად იკითხება იუდეური ეკონომიკის მორგება ამერიკულ დემოკრატიაზე, ამერიკის სულზე. როდესაც ჩვენ ჩვენს სინამდვილეში, ამერიკული ეკონომიკური იდეალებით ვიწყებთ სახელმწიფოს შენებას, ჩვენ ვერ ვაცნობიერებთ, რომ ამ იდეალებით შემოგვაქვს ჩვენთვის სრულიად უცხო ეთიკა ურთიერთობისა.

ამერიკულ საბაზრო ეკონომიკას უჩინრად შემოაქვს თავისი ეთიკა, რომელიც ანგრევს ჩვენს ტრადიციულ ურთიერთობებს, ჩვენი ცხოვრების ნორმებს, ფსიქიკას, ურთიერთობის კრიტერიუმებს, იდეალებს, და გვართმევს შესაძლებლობას ჩვენი თვითმყოფადი ეკონომიკური და სულიერი აღმოცენებისას. მსოფლიოს, ამერიკას ჩვენგან სჭირდება ბაზარი თავისი ეკონომიკისაც და თავისი თავისუფლებისაც. ჩვენ კი ამერიკისაგან გვინდა მივიღოთ ნამდვილი მფარველი ჩვენი თვითშემოქმედებითი ყოფისა, ჩვენი თვითმყოფადობის, ჩვენი საკუთარი ცხოვრების წესის დაცვის.

ამიტომ ჩვენ კარგად უნდა გავიცნოთ ერთმანეთი, კარგად მოვუსმინოთ ერთმანეთს თავისუფლების გაგებაში. აუცილებელია ანალიზი ჩვენი ცივილიზაციის ცნობიერებისა და თავისუფლების ამერიკული გაგების, იმის, თუ როგორ მივიდა ამერიკა თავისუფლების იმგვარ გაგებამდე, სადამდეც მივიდა.

წიგნში „ამერიკული დემოკრატია“, რომელიც სახელმძღვანელო წიგნად არის ამერიკაში მიღებული, და რომელიც ქართულადაც დიდი პატივით ითარგმნა,

(რედაქტორია უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავ.-რე – ბ-ნი მინდია უგრეხელიძე), აზრის ამერიკული თავისუფლების ერთ-ერთ ტიპურ მაგალითად მოყვანილია ცნობილი ამერიკელი ფოტოგრაფის პერსონალური გამოფენა, რომელზეც მან გამოიტანა თავისი საავტორო სურათი: სურათში მაცხოვრის ჯვარცმის გამოსახულება ჩადებულია დიდ გამჭვირვალე თასში, (მომიტევეთ!), რომელიც ავტორის შარდით არის ავსებული. ქრისტიანთა სკანდალური აღშფოთება კი იმით დამთავრდაო, – წერს ავტორი, რომ ფოტოგრაფს სახელმწიფო დაფინანსება შეუწყვიტეს.

ცხადია, აქ ზედმეტია ჩვენთვის – ქართველი ხალხისათვის, და ყველა ნორმალური ქრისტიანისათვის საუბარი თავისუფლების ამგვარ გაგებაზე. მაგრამ მთავარი ეს არ არის. მიჩნდება საოცარი გრძნობა გაკვირვებისა ამერიკული დემოკრატიის ესოდენი გაუცხოებისა ადამიანური დაუწერელი კანონებისგან და ადამიანური ყოფითი პოეზიიდან. ამიტომ მიჩნდება აუცილებლობის შეგრძნება, რომ მსოფლიოს საზოგადოებრიობამ მიიღოს საერთაშორისო კანონი კაცობრიობის სინდისისა და კაცობრიული ღირსების დაცვის, რომელიც საშუალებას მისცემს ამერიკის შეერთებულ შტატებსაც, იმოქმედოს არა მხოლოდ სახელმწიფო დაფინანსების შეწყვეტით მორალური დანაშაულისათვის არამედ შესაფერისი მორალური კანონითაც.

იმისათვის, რომ ამერიკელმა ერმა სწორად შეიმეცნოს თავისი მისია მსოფლიო ქომაგისა, ჩვენ უნდა უსათუოდ ხელახლა გადავიაზროთ მსოფლიო სამართლიანობის საფუძვლები. ამერიკული მისია ახალი კაცობრიობისა ამ ახალი სამართლიანობის შუქზე უნდა დაგვიბრუნდეს. 11 სექტემბრის ტრაგედიის შემდეგ, როგორც აღვნიშნე, ჩემთვის ისტორია გაწვა ბაბილონის გოდოლის დაცემასა და ნიუ იორკის ცათამბჯენების დაცემას შორის. ისევე, როგორც მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობამ, ამერიკელმა ერმაც სწორად უნდა შეიმეცნოს მიზეზი 11 სექტემბრის ტრაგედიისა. ეს შემეცნება ამერიკის საკაცობრიო მისიის სწორად წარმართვისათვის არის აუცილებელი.

ჩვენი აზრით, ამერიკულმა ცნობიერებამ უნდა შეძლოს ჩაღრმავება და წვდომა ბაბილონის დაცემის ბიბლიური მისტერიის საიდუმლოებაში.

**თეა ტაბატაძე**
*ქალაქ რუსთავის №25 საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი*

## სამოქალაქო განათლება ამერიკაში და საქართველო

საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოების მიერ გამართული კონკურსის „პარტნიორობა განათლებაში", შედეგად 2002 წლის სექტემბერ-ოქტომბერში 10 პედაგოგი გაემგზავრა მონტანას, ოჰაიოს და კალიფორნიის შტატებში ექვსი კვირით. ამ პროგრამის მიზანი იყო ხელი შეეწყო საქართველოსა და ამერიკის საშუალო სკოლებსა და მასწავლებლებს შორის პირდაპირი კონტაქტების განვითარებისათვის, ასევე პედაგოგების მომზადებისათვის სამოქალაქო განათლებაში.

მე გახლდით კალიფორნიის საუნივერსიტეტო ქალაქ ჩიკოში. ჩვენ ხუთი კვირის განმავლობაში თვალყურს ვადევნებდით სასწავლო პროცესს ქალაქის სხვადასხვა სკოლებში. ამდენად საშუალება გვქონდა უშუალოდ გავცნობოდით იმ მეთოდებსა და პროგრამებს, რითაც ხელმძღვანელობენ ამერიკელი პედაგოგები, რათა თავიანთ მოსწავლეებში დაამკვიდრონ დემოკრატიული პრინციპები და ღირებულებები.

ამერიკელი პედაგოგი გორასა მანა აღნიშნავს, „ადამიანში დიდია სურვილი მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფოს მართვაში, მაგრამ როგორ უნდა გააკეთოს ეს ამის სწავლება შეუძლებელია ერთ დღეში. თუ მოზარდი ბავშვობიდანვე არ აღიზარდა დემოკრატიულ პრინციპებზე,არ უნდა ველოდოთ,რომ მისგან მივიღებთ სრულფასოვან მოქალაქეს.[1] „

სამოქალაქო განათლება – ეს არის განათლება, რომელიც ამზადებს ადამიანს იმისათვის, რომ ის ჩამოყალიბდეს პასუხისმგებელი მოქალაქე, აქტიურად მონაწილეობდეს პოლიტიკურ ცხოვრებაში, შეძლოს უფრო მეტი გააკეთოს თავისი სახელმწიფოსათვის. ამ საგნის სწავლება რთულია იმის მიუხედავად როგორი პოლიტიკური სიტუაცია არის ქვეყანაში, მაგრამ ამასთანავე აუცილებელი. განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებში, სადაც ხალხს არ ჰქონდა შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღო ქვეყნის მართვაში.[2]

აღსანიშნავია, რომ ამერიკის განათლების სისტემა საკმაოდ დეცენტრალიზებულია. თითოეულ შტატს აქვს საკუთარი სტანდარტები ყოველ საგანში, მაგრამ ამ სტანდარტებს იქეთ მასწავლებელი აბსოლუტურად თავისუფალია თემატიკის არჩევაში, თუ საკითხის შესწავლის ხანგრძლივობაში. უპირველესად, მინდა ყურადღება გავამახვილო იმ ფაქტზე, რომ აშშ-ში „სამოქალაქო განათლება" არ ისწავლება როგორც ცალკე საგანი. იგი გაბნეულია ყველა დისციპლინაში და ასევე მოიცავს სკოლის შემდგომ პერიოდს, რასაც ეწოდება „Service Learning"-ი. ეს გახლავთ სხვადასხვა სახის სამუშაო (გარემოს დასუფთავება, მოხუცთა თავშესაფრის დახმარება, სამკურნალო საქმიანობა.), რომელიც სავალდებულოა ყველა მოსწავლისათვის. „შერვიცე ლარნინგ"-ის მიზანია მოზარდის ურთიერთობა საზოგადოებასთან და შეგრძნება იმისა, რომ მიუხედავად ასაკისა, იგი არის იმ საზოგადოების ნაწილი.

ამერიკაში წასვლამდე ჩემში დიდ ინტერეს იწვევდა თანამედროვე ისტორიის შესწავლის საკითხი, კერძოდ თანამედროვე კონფლიქტების. ჩემი ინტერესი აბსოლუტურად დააკმაყოფილა ერთ-ერთ „High School"-ში დამუშავებულმა პროექტმა. საკითხი ეხებოდა ამერიკა-ერაყის ურთიერთობებს. მოსწავლეებმა მოისმინეს ბუშის გამოსვლა, სადაც იგი ეხება შესაძლო ომს ერაყის წინააღმდეგ. მოსწავლეებმა ინტერნეტით მოიძიეს სხვადასხვა საგაზეთო პუბლიკაციები; დააფიქსირეს გაეროსა და სხვადასხვა სახელმწიფოთა მეთაურების პოზიცია ამერიკა-ერაყის ომთან დაკავშირებით; ასევე, მოაგროვეს მასალა ერაყის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, სადამ ჰუსეინის პიროვნებისა და მის პოლიტიკურ მოღვაწეობაზე. ეს სამუშაო გრძელდებოდა ორი კვირის განმავლობაში. მოსწავლეები დიდი ინტერესით ეკიდებოდნენ საკითხს. პროექტის პრეზენტაციის დასრულების შემდეგ ისინი აბსოლუტურად რეალურად იყვნენ ინფორმირებული ამერიკა-ერაყის ურთიერთობასთან დაკავშირებით და ჰქონდათ საკუთარი სუბიექტური აზრი. ალბათ, ასეთი მუშაობის შედეგი იყო ისიც, რომ ქალაქ ნიუ-იორკში გამართულ საპროტესტო დემონსტრაციებში მონაწილეობას იღებდა მოსწავლე-ახალგაზრდობა და გამოხატავდა საკუთარ დამოკიდებულებას – „ნავთობი არ ღირს საკუთარ სიცოცხლედ".[3]

გამაკვირვა და ამასთანავე აღმაფრთოვანა ამერიკელების დამოკიდებულებამ საკუთარი ისტორიისადმი. მათი პატივისცემა საკუთარი ქვეყნის მიმართ იგრძნობა ყველგან - ოჯახში, სახელმწიფო დაწესებულებაში, ქუჩაში, თუ სკოლაში. სკოლის ინტერიერში თვალში მოგხვდებათ ბავშვების მიერ სახელდახელოდ შექმნილი ნახატები - ამერიკის დროშა, კაპიტოლიუმის შენობა, ვაშინგტონის მემორიალი, ვიეტნამისა და კორეის ომების მემორიალები, თერთმეტი სექტემბრის ტრაგიკული მომენტები. იგივე მდგომარეობაა საკლასო ოთახებშიც. ბავშვები ყველაფერს აკეთებენ საკუთარი ხელით, ერთი შეხედვით, შეიძლება ეს პრიმიტიულიც მოგეჩვენოთ, მაგრამ ყველაფერში იგრძნობა მათი დამოკიდებულება სხვადასხვა საკითხისადმი.

ამერიკაში ყველანაირი პირობა ექმნება მოსწავლეს იმ ეპოქის მოქალაქედ იგრძნოს თავი, რომელსაც შეისწავლის. საკუთარ თავზე გამოცადოს ის გაჭირვება, თუ აღმავლობა, რაც ამ ეპოქას ახლდა თან. ქ. ნიუ-იორკის ერთ-ერთმა სკოლამ არაჩვეულებრივად გაუწია ორგანიზაცია „სამოქალაქო ომი ამერიკაში" ინტერპრეტაციას. მოსწავლეებმა თავიანთ პედაგოგებთან ერთად მოაწყვეს საქალაქო სანახაობა, სადაც შექმნილი იყო 1861–1865 წლების გარემო – სამხედრო ბანაკებითა და დასახლებებით. გაშლილ ველზე ცხენზე ამხედრებული ჩრდილოელი და სამხრეთელი ამერიკელები ხოცავდნენ ერთმანეთს. მაყურებლებისათვის ეს იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ მნახველებს ცრემლიც კი მოერია თვალზე, ისეთი შეგრძნება ჰქონდათ, თითქოს თითოეული მათგანი იყო ომის მონაწილე და იმ ავბედითმა წუთებმა მათ მხრებზე გადაიარა. სამოქალაქო განათლების მიზანი ხომ სწორედ ეს არის - წარსული დააკავშირო აწმყოსთან და აღარ გაიმეორო იგივე შეცდომები.[4] საერთოდ, ამერიკელები ყოველგვარ ისტორიულ ფაქტს განიხილავენ თანამედროვეობის ჭრილში.

სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების თავისებური მეთოდია ისიც, რომ თითქმის ყველა გაკვეთილი იწყება იმ მოვლენის განხილვით, რომელიც იმ მომენტისათვის ხდება ქვეყნის თუ ქალაქის პოლიტიკურ, სპორტულ, თუ კულტურულ ცხოვრებაში. მასწავლებელი ბავშვის აზროვნებას მიმართავს თანამედროვე მიმდინარე პროცესებზე. ბავშვები გამოხატავენ თავიანთ დამოკიდებულებას, უჩნდებათ

იმის განწყობა, რომ მათ შეგრძნებებს, ემოციებს გაიზიარებენ და მათი აზრი, როგორც ინდივიდის დაფიქსირდება. მოსწავლე ძალაუნებურად ჩაბმულია ქვეყანაში თუ ქალაქში მიმდინარე პროცესებში არა, როგორც მაყურებელი, არამედ როგორც მონაწილე.

სამოქალაქო საზოგადოების თვალსაზრისით, პოლიტიკური თავისუფლება ეყრდნობა მოქალაქის მიერ საკუთარი სოციალური და სამოქალაქო თავისუფლების გამოყენებას. დემოკრატიული ღირებულებები ძლიერდება იმ შემთხვევაში, თუ ადამიანებს შეუძლიათ გააკეთონ თავისუფალი არჩევანი და საკუთარ თავზე აიღონ პასუხისმგებლობა. ამ პასუხისმგებლობის შეგრძნებისა და სწორი არჩევანის გაკეთების უნარის გამომუშავებას ემსახურება მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოები („Student Government"-ის სკოლებში). მოსწავლეთა ამ თვითმმართველობის ორგანოთა მუშაობას ძალიან დიდი ყურადღება ეთმობა.

ამერიკული სკოლების ძირითადი და ტრადიციული მისია ახალგაზრდების მომზადება და მოქალაქეებად ჩამოყალიბებაა. ამერიკელი პედაგოგი ერნესტ ბოია აღნიშნავს, რომ მხოლოდ სკოლა ვერ მისცემს ბავშვს სამოქალაქო განათლებას. მას სჭირდება გარემო, ოჯახი, ეკლესია, ბიბლიოთეკა, ახალგაზრდული ორგანიზაციები თუ სხვა. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს მას-მედიას.[5]

ამერიკაში დიდი ხანია დამკვიდრებულია დემოკრატიული პრინციპები და სამოქალაქო საზოგადოებაც მყარია. იქ ჩასულს თვალში მომხვდა საცხოვრებელ სახლებზე გამოფენილი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დროშა. მართალი გითხრათ, თავიდან მეგონა ამ დროშების ფრიალი რაიმე სახელმწიფო დღესასწაულს უკავშირდებოდა, მაგრამ როდესაც კარგა ხნის შემდეგ მასპინძელს, ქალბატონ მერი ლუს ვკითხე ამ დროშის დანიშნულება (მოგეხსენებათ ჩვენთან დროშა მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულებებზეა აღმართული), მან ამიხსნა, რომ ისინი დიდ პატივს სცემენ თავიანთ სახელმწიფო დროშას და თავიანთ დამოკიდებულებას დროშისა და საერთოდ სახელმწიფოს მიმართ ამგვარად გამოხატავენ.

მოგეხსენებათ საქართველოში ეს-ესაა დაიწყო სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესი. ამ შემთხვევაში სკოლა განიხილება, როგორც ამ პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რგოლი. საქართველოში ჯერ კიდევ ფართოდ გამოიყენება მოძველებული მეთოდები, რომლებიც ორიენტირებულია საერთო ცოდნაზე ყველა სფეროში, ამასთანავე ნაკლებად იძლევა თავისუფალი აზროვნებისა და ინტერპრეტაციის საშუალებას.

განათლების სფეროში დაწყებული რეფორმა ითვალისწინებს სწორედ ახალი მეთოდების დამკვიდრებას, რომელიც ხელს შეუწყობს დემოკრატიული ღირებულებების შესწავლასა და ცხოვრებაში გამოყენებას. თუმცა, ეს საკმაოდ ხანგრძლივი და რთული პროცესია. სამოქალაქო განათლების განთესვა სხვადასხვა დისციპლინებში სერიოზულ მუშაობას საჭიროებს. ამასთანავე აუცილებელია ტექნოლოგიები და რესურსები, რომელიც ქართული სკოლებისთვის მიუწვდომელია.

ამერიკაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე წარმოგიდგენთ ერთ პროექტს, რომელიც თავად განვახორციელე მე-8 კლასში. საკითხი ეხება გეორგიევსკის ტრაქტატის შესწავლას. მასალის უკეთ გაანალიზებისა და საკუთარი დამოკიდებულების დაფიქსირების მიზნით, ბავშვებს დაევალათ დაემუშავებინათ უშუალოდ ტრაქტატის ტექსტი, განესაზღვრათ მუხლები, რომლითაც ირღვეოდა საქართველოს სახელმწიფო ინტერესები, ამასთანავე, შეექმნათ გეორგიევსკის

ტრაქტატის საფუძველზე პროექტი, რომელიც არ დაარღვევდა არც ერთი ხელმომწერი სახელმწიფოს უფლებებს. სურვილის შემთხვევაში ბავშვებს შეეძლოთ დაემატებინათ მუხლები, რომლებიც საჭიროდ მიაჩნდათ. პრეზენტაციამ წარმატებით ჩაიარა. ბავშვები ინტერესით მუშაობდნენ; აღნიშნავდნენ, რომ თავი პარლამენტარად წარმოედგინათ; წარსულს უკავშირებდნენ ახლანდელობას და აკეთებდნენ ლოგიკურ დასკვნებს.

ისტორია არის სოციალური საგანი, რომლის თითქმის ყველა გაკვეთილი იძლევა იმის საშუალებას, რომ მასში სამოქალაქო განათლების მარცვალი აღმოვაცენოთ.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. ს.შეხტერი. სამოქალაქო განათლება. თბილისი, 1998, გვ.28.
2. იქვე, გვ.42.
3. ლოზუნგი დემონსტრაციიდან.
4. CIVITAS: A Framework for Civic Education, Center for Civic Education, Calabasas, CA 2002. p.98
5. Ibid, p.223.

**მარინა ტერტეროვი**
*ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენის მასწავლებელი. გორის №8 საშუალო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი*

# ამერიკანისტიკის სწავლების მეთოდური საკითხები ქართულენოვან სკოლაში

დღეს, როდესაც საქართველო დემოკრატიული განვითარების გზას ადგას, საჭიროა სკოლაში შევიტანოთ ამერიკანისტიკის კურსი, გავაცნოთ მოსწავლეებს იმ ქვეყნის ისტორია, ლიტერატურა, კულტურა, ჩვეულებები, ტრადიციები, ხელისუფლება,პოლიტიკა, რომელიც ამ ქვეყანამ გაიარა, რათა ჩამოყალიბებულიყო ისეთ ქვეყანად, როგორიც ახლაა. ამასთანავე, ჩვენი მოსწავლეები უნდა გაეცნონ იმ ქვეყანას, რომლის ენასაც სწავლობენ. ეს ხელს შეუწყობს ამ ენისადმი მათ ინტერესს და მის უფრო ადვილად დაუფლებას.

ამერიკანისტიკის საგანი სკოლაში უნდა შემოვიტანოთ ისეთი მეთოდებით, რომელთა მეშვეობითაც მოსწავლისათვის ამ საგნის შესწავლა სახალისო და თანაც სასარგებლო იქნება.

ექსპერიმენტის სახით უკვე დაწყებული მაქვს ამერიკანისტიკის კურსის სწავლება საშუალო სკოლაში. გაკვეთილები მიმდინარეობს მე-8 კლასში, სადაც მოსწავლეებს ინგლისური ენა უტარდებათ კვირაში ორჯერ. ამერიკანისტიკის გაკვეთილები ტარდება თვეში ერთხელ ან ორჯერაც, ისე, რომ მოსწავლეები არ უნდა ჩამორჩნენ ინგლისური ენის შესწავლის ძირითად კურსს. ამერიკანისტიკის ტექსტები შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა უნარ-ჩვევის განსავითარებლადაც. ამით მოსწავლეებს ვაცნობთ ქვეყანასაც და ვუვითარებთ მათ ენის შესწავლის უნარ-ჩვევებსაც. კარგი იქნება, თუ თემატიკას ისე გავანაწილებთ, რომ იგი მიჰყვებოდეს ქვეყნის ისტორიის ეტაპებს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

ჩემი პირველი თემა ამერიკანისტიკის გაკვეთილზე იყო ინდიელების ცხოვრების შესახებ, სათაურით „ადრეული მაცხოვრებლები ჩრდილოეთ ამერიკაში 10000–15000 წლების წინ."

ტექსტი შეეხება მკვიდრი ამერიკელების – ინდიელების ცხოვრების ადრეულ წლებს 10000 წლის წინათ და მათ შემდგომ განვითარებას. ტექსტში მოხსენიებულია ადრეული ინდიელების საცხოვრებელი ადგილი „მესა ვერდე" და იქ მაცხოვრებელი ინდიელების ცხოვრება, მათი განვითარების ეტაპები. ტექსტს თან ახლავს სურათები „მესა ვერდეს" შესახებ და სხვადასხვა შტატში ინდიელების ახლანდელი რეზერვაციების რუკა. მოსწავლეებს წინასწარ უნდა აეუხსნათ სიტყვები ტექსტის შესახებ. შემდეგ ტექსტი გამოვიყენოთ როგორც კითხვის უნარ-ჩვევის განმავითარებელი საშუალება. მას ვყოფთ ეტაპებად: კითხვამდე, კითხვის პროცესში, კითხვის შემდეგ. კითხვამდე ვსვამთ შეკითხვებს:

1. იცით თუ არა რაიმე ინდიელების ცხოვრების შესახებ?
2. გინახავთ ფილმები ინდიელებზე?
3. მოგწონთ მათი ცხოვრების წესები?

4. თქვენი აზრით, როგორი ხალხია ინდიელები? და ა.შ.

ამის შემდეგ მასწავლებელი დაფაზე წერს ორ ან სამ კითხვას ტექსტის ძირითადი შინაარსის გაგებისათვის. სინთეზური (სწრაფი გადაკითხვა ტექსტის შინაარსის გასაგებად) კითხვის შემდეგ მოსწავლეებმა პასუხი უნდა გასცენ ამ შეკითხვებს. შემდეგ ხდება ტექსტის ანალიზური კითხვა (დეტალურად ტექსტის გაგებისათვის), რის შემდეგაც მასწავლებელს მომზადებული აქვს დაწერილებითი კითხვები ტექსტის დეტალურად გაგების შესამოწმებლად. შემდეგ ვაძლევთ სავარჯიშოებს, რომლებიც კვლავ ტექსტის გაგებას ამოწმებს. ერთ-ერთი ასეთი სავარჯიშოა „წინადადება მართალია თუ ტყუილი". შემდგომი სავარჯიშო ასეთია: „მონახე შესაფერისი გაგრძელება".

მოსწავლეებს ვურიგებთ ტექსტში მოცემულ წინადადებებს, რომლებიც შუაზეა გაყოფილი, კლასში ვარიგებთ ამ ნახევრებს და მოსწავლეებმა უნდა მონახონ წინადადების მეორე ნახევარი შინაარსის მიხედვით. ამის შემდეგ მოსწავლეებს ვაცნობთ ერთ-ერთ პატარა მოთხრობას, რომელიც აღებულია წიგნიდან „ამერიკელი ინდიელების სახალისო-საკითხავი წიგნი". ეს მოთხრობები ზეპირად გადმოეცემოდა ინდიელთა თაობებს მამა-პაპათაგან, რომლებიც უფრო მეტად იუმორისტულია და ამიტომ მოსწავლეებს ეხალისებათ მათი კითხვა. თან ისინი ეცნობიან ინდიელების სიბრძნეს და მახვილგონიერებას. მოთხრობები პატარაა და ადვილად გასაგები, ამიტომ მათი შერჩევა გაკვეთილისათვის ძნელი არ არის. ისინი კარგი მასალაა სინთეზური კითხვისათვისაც. შეიძლება მოსწავლეებს მივცეთ ასეთი სახის სავარჯიშო: „მოთხრობის სათაურის მიხედვით ტექსტის შინაარსის გამოცნობა".

ვწერთ სათაურს დაფაზე და შემდეგ გასაღებ სიტყვებს. მოსწავლეებს ვყოფთ ჯგუფებად. 10 წუთში მათ უნდა დაწერონ თავიანთი ვარიანტი სათაურის მიხედვით. შემდეგ თითოეული ჯგუფი კითხულობს თავის ვარიანტს. ზოგჯერ მოსწავლეების მიერ დაწერილი მოთხრობები საკმაოდ საინტერესოა, ზოგჯერ სასაცილოც, ზოგჯერ კიდევ სათავგადასავლოც. თავიანთი ვარიანტების წაკითხვის შემდეგ სტუდენტებს ვურიგებთ ტექსტის ორიგინალებს. ისინი კითხულობენ ტექსტს და ამოწმებენ, რამდენად ახლოს იყო ტექსტის შინაარსთან მათი ვარიანტები. ვისი მოთხრობაც ახლოსაა ორიგინალთან, ის ჯგუფი არის გამარჯვებული.

გაკვეთილი ინდიელების შესახებ შეიძლება დასრულდეს კითხვის შემდგომი სავარჯიშოებით. ერთ-ერთი ასეთია: რომელ ადრეულ ქართულ ნასახლარებს გვაგონებს ინდიელთა ნასახლარები? დაასახელეთ ისინი. იცით თუ არა ამ ქართული ნასახლარების ისტორია? ჩვენს მხარეში ასეთი ნასახლარები არის უფლისციხეში, თუმცა, სხვა საუკუნეს ეკუთვნის, მაგრამ თითქმის ყველა ბავშვი იქ არის ნამყოფი და ამიტომ მასზე საუბარი არ უჭირთ. უფლისციხის შესახებ ბროშურებში მოკლედ არის აღწერილი მისი ისტორია, ამიტომ გაკვეთილზე მაქვს საშუალება მოსწავლეებს მისი სურათებიც ვაჩვენო და შედარება გავაკეთო. ამით მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ შედარება მოახდინონ ორი ქვეყნის ისტორიას შორის.

„მონები ახალი მიწისათვის" თემის გასაცნობად კარგი საშუალებაა წინასწარი საუბარი მონობის შესახებ ამერიკაში. მოსწავლეებს ვაჩვენებ სურათებს იმ გემებისა, რომელთა საშუალებითაც აფრიკიდან მოტაცებული ხალხი მოჰყავდათ, რომ გემებში ქალებს, კაცებს, ბავშვებს ცალკე ადგილები ჰქონდათ; როგორ ექცეოდნენ მათ და შემდეგ ამერიკაში როგორ ყიდდნენ.

ამის შემდეგ მოსწავლეებს ვაძლევ ტექსტს სინთეზური და ანალიზური კითხვისათვის. წაკითხულის გაგების შესამოწმებლად – შემდეგი სახის სავარჯიშოებს:

- ჩასვით სწორი სიტყვა მოცემულ წინადადებაში. ეძლევათ დაახლოებით 6 წინადადება ცალ-ცალკე ფურცლებზე, ყველას სათითაოდ, ეს სავარჯიშო კარგ შედეგს იძლევა უკვე ნასწავლი სიტყვების გასამეორებლად.

წაკითხულის გაგების შესამოწმებლად ეძლევათ ასეთი სახის სავარჯიშოები:

- შემოხაზეთ რამდენიმე მოცემული ვარიანტიდან ერთი, რომელიც მიესადაგება მთავარ წინადადებაში გამოტოვებულ ადგილს.

- აღნიშნეთ მოცემული წინადადება ტყუილია თუ მართალი.

- წინადადებებში გამოტოვებული ადგილები შეავსეთ წინდებულებით.

ტექსტის გაგების შემოწმების შემდეგ ჩავატარე შემდეგი სახის თამაში წარმოდგენა: „მონების გაყიდვა აუქციონზე". ბავშვების სურვილის მიხედვით ზოგი მონა იყო და ზოგი აუქციონერი, დანარჩენები კი მყიდველები. აუქციონერი აღწერდა პიროვნებას, მის თვისებებს, ხასიათს და შემდეგ ასახელებდა მის ფასს, იწყებოდა აუქციონი. ასეთი სახის სავარჯიშო კარგ შედეგს იძლევა ადამიანის თვისებების და ხასიათის აღმწერ ზედსართავი სახელების გასამეორებლად, თუ მოსწავლეებს უკვე ნასწავლი აქვთ ისინი. ბავშვები დიდი მონდომებით ასრულებდნენ თავიანთ როლებს. თამაშის ბოლოს ყველაზე საინტერესო შეკითხვა იყო, თუ როგორ გრძნობდნენ ისინი თავს მონის როლში. ამის შემდეგ გვქონდა დისკუსია იმის შესახებ, თუ რა საშინელ მდგომარეობაში იყვნენ მონები, როდესაც მათ, როგორც ნივთებს, ისე ყიდდნენ აუქციონზე.შემდეგ მოსწავლეებს მივეცი განმარტება, რომ ახლანდელ ამერიკაში მონობა, რა თქმა უნდა, აღარ არსებობს, რომ შავკანიან ამერიკელებს თუ „ზანგს" დავუძახებთ, ეს მეტად შეურაცხმყოფელია იმათთვის, ამიტომ დღევანდელ ამერიკაში მათ უწოდებენ „აფრიკელ-ამერიკელებს" ან „შავკანიანებს".

ამ თემის პარალელურად მოსწავლეები ეცნობიან დღევანდელი ამერიკის დღესასწაულებს და ცხოვრების წესს. ყოველი დღესასწაულის შემდეგ მოსწავლეებს ვაცნობ ინფორმაციას და ვასწავლი სიმღერებს წიგნიდან „დღესასწაულების სიმღერები", რაც მოსწავლეებს ძალიან ახალისებს.

სასწავლო წლის ბოლოს ვაპირებთ ჩავატაროთ ღონისძიება „გამოცანა-თამაში", სადაც მოსწავლეებს გამოცანა-კითხვებით საშუალება ექნებათ კიდევ ერთხელ გაიმეორონ შესწავლილი მასალა ამერიკანისტიკაში და აჩვენონ დანარჩენ მოსწავლეებს და მასწავლებლებს, რომ ამ საგნის შესწავლით ისინი კიდევ მეტ ცოდნას შეიძენენ ჩვენი მეგობარი ქვეყნის - ამერიკის შესახებ.

რაც შეეხება ცხინვალის და გორის სახელმწიფო უნივერსიტეტებში ამ საგნის დანერგვას, მის შესახებ საუბარი ჩავატარეთ ინგლისური ენის ფაკულტეტის სტუდენტებთან. მათ დიდი სურვილი აქვთ, გაეცნონ შეერთებული შტატების ისტორიას, ლიტერატურას,კულტურას,დღესასწაულებს,სახელმწიფო წყობილებას. როგორც შესავალი საფეხური შემდგომში ამ საგნის შემოტანისა უნივერსიტეტებში, შევადგინე მიმართვა სადღჩოსადმი, სადაც აღვნიშნე, რომ ამერკანისტიკის საგნის შესწავლა მომავალი თაობისათვის აუცილებელი და თანაც სასარგებლოა. ორივე უნივერსიტეტიდან არჩეულ იქნა 17 სტუდენტი, რომელიც გაივლის 5-დღიან სალექციო და საწერთნელ სავარჯიშოებს ამერიკანისტიკაში, რათა გაერკვნენ

საგანში და მისი შესწავლის აუცილებლობაში. ამ ტრეინინგში დახმარებას გაგვიწევენ „მშვიდობის კორპუსის" ამერიკელი მოხალისე მასწავლებლები. ტრეინინგი გათვალისწინებულია ჩატარდეს ქალაქგარეთ. ამჟამად ვართ იმ ეტაპზე, რომ ველოდებით დაფინანსებას ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტისაგან.

ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ საჩუქრად გამოგზავნილი შესანიშნავი ამერიკული ლიტერატურა. მომავალი წლიდან სალექციო კურსის გარდა ვაპირებთ გვქონდეს პრაქტიკული კურსი ამერიკანისტიკაში, რაც იმაში გამოიხატება, რომ გვექნება „ამერიკანისტიკის კლუბი", მასში გაერთიანებულ წევრებს საშუალება ექნებათ იხელმძღვანელონ ამ ბიბლიოთეკით და გააკეთონ თარგმანები ამა თუ იმ თემის, მოთხრობის ან ნებისმიერი მასალის შესახებ ამ საგანში. უნივერსიტეტს აქვს საკუთარი გაზეთი და საუკეთესო თარგმანები სწორედ იქ გამოქვეყნდება.

**დორის ფრიდენსონი**
*ნიუ ჯერსის სახელმწიფო უნივერსიტეტის (აშშ) პროფესორი*

# მოდით, შევექცეთ – ჩანაწერები კულინარული მემუარებიდან (ამერიკის შესწავლის საკითხები)

მემუარები დროისა და სივრცის მიღმა მეცნიერულ დისციპლინებსა და ცოდნის მრავალგვარ დარგებს შორის კავშირის დამყარებას გვთავაზობს. რას არ ვხვდებით აქ: ოჯახურ პორტრეტებს, საზოგადოების განვითარების ისტორიაზე ფიქრსა და განსჯას, პოლიტიკურ კომენტარებს, კულტურულ კრიტიციზმს, ეთნოგრაფიულ ჩანახატებსა და მგზავრის ჩანაწერებს. ამ ჰიბრიდულ და ძალზე პირადული ხასიათის ჟანრს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორის გამო ამერიკის შესწავლის საკითხებში საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

ამ თემაზე დაწერილი მემუარების ავტორთა უმრავლესობა ან შეფ-მზარეულია, ან სარესტორნო მიმომხილველი ან პროფესიონალი თეორეტიკოსი. ეს საქმეში ჩახედული ადამიანები არიან სწორედ ამერიკული კულინარული კანონების შემქმნელებიცა და განმმარტებლებიც. ჩემი მდგომარეობა კი სულ სხვაა. მე ამ თემაზე საქმეში ჩაუხედავი ადამიანის პოზიციიდან ვწერ, როგორც ამერიკული კულტურის მკვლევარი, რომლის ინტერესის საგანია, ასე ვთქვათ, „მთელი მსოფლიო ამერიკაში“ (ანუ ჩვენი ქვეყნის მრავალეროვნულობა) და „ამერიკა მთელს მსოფლიოში“ (ანუ მისი სულ უფრო მზარდი იმპერიული პოზიციები). წინამდებარე ნაშრომში მე ვიმსჯელებ იმაზე, თუ რას ნიშნავს „ჭამა ამერიკულად.“ იბადება კითხვა: რას იძლევა, ვთქვათ, ჩემი მადის ანალიზი, ან ჩემი კულინარული მოგზაურობა მთელს მსოფლიოში; რამდენად მნიშვნელოვანია ამა თუ იმ კომერსანტისა თუ მზარეულის საქმიანობის შესწავლა, ან ამა თუ იმ ენის ცოდნა ამა თუ იმ ქვეყნის სამზარეულოს შეფასებისას? და როგორ გვეხმარება ყოველივე ეს იმ ადამიანთა დაახლოების საქმეში, რომლებიც რასობრივი, კლასობრივი, კულტურული თუ ეროვნული ნიშნით გამიჯნულან. ვსვამ რა ამ კითხვებს, ვცდილობ ადამიანთა კვებისა და ყოველდღიური ცხოვრების ამსახველი ამბები თემობრივ, ეროვნულ და იმპერიულ საკითხებთან დავაკავშირო.

ამ მოკლე ნაშრომში მკითხველი კვლევის ჩემეულ მეთოდებსაც გაეცნობა და ჩემს ზოგიერთ შიშნარევ მოსაზრებასაც. ჭამას პოლიტიკასთან დიახაც აქვს შეხება. ჩემს პირველ ნარკვევში „ფრანგული ლანჩ-ჯგუფი“ ბუშის ადმინისტრაციის ფრანკოფობიას შევეხები, რომელიც ბადებს კითხვას: რა კავშირი აქვს ერთმანეთთან ჭამას, უპირატესობის გრძნობასა და პროტესტს? ნარკვევში „ვისი ნაციონალურ სამზარეულოში“ ყურადღებას ვამახვილებ ეროვნებათშორის პოლიტიკაზე საკვებ წერტებში და ემიგრანტთა კვების ინდუსტრიაზე. ნარკვევში: „მადლიერების დღე ედემის ბაღში, 1990“ მანჰეტენის ერთ-ერთ ახლოაღმოსავლურ რესტორანში ერაყის პირველი ომის შემდგომ არცთუ მთლად კეთილსაიმედო შესვენებას „ვიზეიმებ“. ხოლო ნარკვევში: „განმარტოებით ჭამა,“ თქვენ იხილავთ, თუ რა კონტრასტია ჩემს ინდივიდუალისტურ კვების ნორმებსა და ჩემი ნეპალელი რძლის ოჯახის წევრთა კვების ნორმებს შორის.

## ფრანგული ლანჩ-ჯგუფი

კონგრესიონალური კაფეტერიების მიბაძვით ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის გარეუბნის ერთ-ერთმა სასაუზმემ, რომლის მფლობელი ბერძენი გახლავთ, მენიუში „ფრანგულ ფრიდ“ მოხსენიებულ კერძს „თავისუფლების ფრი“ დაარქვა.

—საწებელმოსხმული თავისუფლებით გვიმასპინძლდებით?—ვკითხე ესპანურენოვან ოფიციანტ ქალს. მან თავისი პოლიტიკური პოზიცია გულიანი ხარხარით გამოხატა. დღეს ამერიკას საფრანგეთი შერისხული ჰყავს. მას შემდეგ, რაც შირაკმა აშშ-ის მიერ ერაყის დალაშქვრა დაგმო, საზოგადოებამ ნიუ-იორკის ფრანგულ რესტორნებს ზურგი შეაქცია. ამ სიბრიყვეს (ვშიშობ, ეს სიტყვა არ კმარა მახინჯი ამერიკული აგრესიის გამოსახატავად) ერთი სიკეთე მაინც მოჰყვა: საუკეთესო ფრანგულ რესტორნებში მაგიდის დაკავება ამიერიდან სიძნელეს აღარ წარმოადგენს.

ჩემმა მეგობარმა სანდიმ, ისტორიკოსმა და ვეტერანმა ანტიმილიტარისტმა, ამ მომენტით ისარგებლა,„ფრანგული ლანჩ-ჯგუფის“ დანარჩენ ოთხ წევრს ელფოსტით დაგვეკავშირდა და ნიუ-იორკის ფრანგული მარგალიტებიდან ერთ-ერთის—„ლე ბერნადენის,“ მონახულება შემოგვთავაზა. მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფის ბოლოდროინდელი კულინარული ლაშქრობები ჩემში ენთუზიაზმს აღარ იწვევდა, მიმდინარე პოლიტიკურ სიტუაციასთან ყოვლად დაუკავშირებელი მიზეზების გამო, მათ მოწვევას ჩემგან მაინც ერთმნიშვნელოვანი „ოუი“ მოჰყვა პასუხად.

ფრანგულმა ლანჩ-ჯგუფმა საქმიანობა 5 წლის წინ დაიწყო; სწორედ იმ პერიოდში, როცა ბირჟა ჰყვაოდა და ჩვენს საპენსიო ფონდებს უზომოდ ზრდიდა. სიტყვამჭევრი, დემოკრატი პრეზიდენტი მსოფლიოს გარს უვლიდა, ურყევ ალიანსებს ამყარებდა და მოსისხლე მტრებს არიგებდა. საქვეყნო დოვლათითა და ჩახ მერიცანა-თი გათამამებულები, ჩვენც, სხვა თანამემამულეებთან ერთად გულდაჯერებით ვიღებდით ხარჯებს. ბოლოს ვთქვით: ამ ხუთმა ადამიანმა ლამის საუკუნე შევალიეთ უმაღლეს განათლებას. და ახლა, როცა უნივერსიტეტები პროდუქტიულობის ზრდასა და ტემპების დაჩქარებას ცდილობენ, ჩვენ მივედით იმ აზრამდე, რომ ტემპები შეგვენელებინა იმდენად მაინც, რომ ყოველწლიურად ერთი-ორი ფრანგული სადილი გვეგემა. და აი, ნიუ-იორკ თაიმზის რესტორნების მიმომხილველის რეკომენდაციით ფრანგული სამზარეულოს ოლიმპოს დაპყრობას შევუდექით. საუბარია ისეთ რესტორნებზე, როგორებიცაა: „ლე სერქი“, „დანიელი“, „ჟან-ჟორჟი“, „ბულეი“ და „მონტრაშე“. თითოეული მეფური კერძის მირთმევისას გმინვა და სამართლიანი ჩივილი აღმოგვხდებოდა ხოლმე. ვაგემოვნებდით თეთრ, მშრალ ღვინოს და საუცხოო თევზეულის თითოეულ სიფრიფანა ნაჭერს, სურნელოვან ბულიონსა თუ შოკოლადის დესერტს ღირსეულად ვაფასებდით. მორიგი კერძის მოტანამდე გააფთრებით ვგმობდით კორპორაციული კაპიტალიზმის სიავეებს და ჩვენი უნივერსიტეტების გონებაშეზღუდულობას. ეგზოტიკის სამყაროში ჩვენი ეს საჩვენებელი მოგზაურობა მათი და ჩვენი შვილების ნახელავი იყო.

თითოეული კერძი 60-დან 70 დოლარამდე დაჯდა (საკრედიტო ბარათს ზედ დაერთო) და თუ ამას მანქანის დაყენებაში დახარჯულ 30 დოლარსაც მივუმატებთ, გასაგები გახდება, შინ, ნიუ-ჯერსიში რა გულგატეხილიც დავბრუნდი. ორი კვირის თავზე კი აღარც მახსოვდა, რა ვჭამე.

ჯგუფის შინაგან ცხოვრებაში რაღაც ბზარი გაჩნდა. პრესის მიმოხილვასა და პოლიტიკურ დებატებში, შიგადაშიგ, დამსხვრეულ ოცნებებზე, ცოლ-ქმრულ პრობლემებზე, სახსრების ტკივილსა და კუჭისმომნელებელი სისტემის მოშლაზე საუბარი გვეპარებოდა. მაგრამ იხტიბარს არავინ იტეხდა. შესაძლოა, ზემოთ

ხსენებული რესტორნების პედანტიზმმა ჩვენში ფემინისტური ამხანაგობის სულისკვეთება შეანელა. ღვინის მაღალმა ფასებმა (ბოთლი საშუალოდ 30 დოლარი ღირს) ჩვენს „ლოთობას" ერთგვარად, ზღვარი დაუდო. ასე იყო თუ ისე, ჩვენს საუბარს დამატებითი ღირებულება არ ჰქონდა. მოკლედ, შეება ვიგრძენი, როცა ფრანგული ჯგუფის თავშეყრები სულ უფრო იშვიათი გახდა.

შემდეგ, 2003 წლის აპრილის პირველ რიცხვებში, უეცრად განწყობა შემცვალდა. ბუშის მთავრობამ ჯანდაცვის, განათლების, ღარიბთა დასაქმების, გარემოს დაცვის, ეკონომიკისა და ამერიკის კეთილი რეპუტაციის გაცამტვერება განიზრახა. თითქოს ეს არ კმაროდა. სააღდგომოდ, ნიუ-იორკი კრიტიკულ და უკიდურესად დაძაბულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ერაყის დაბომბვა დასრულდა, ბირიტი სადამი გაუჩინარდა, მაგრამ როგორღაც, მაინც საფრთხის მოლოდინში ვიყავით. ამოირჩევდა თუ არა ალ-ქაიდა ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის (და ებრაელთა ეგვიპტიდან გამოსვლის) ამ სადღესასწაულო დღეებს საიმისოდ, რათა გათელილი ბაღდადისათვის შური ეძია? და თუ ამოირჩევდა – მაშინ ჩვენ-ჩვენს სახლებში შეგვეჭყავს. იქნებ ჯობდა, საპასუხოდაც დაგვერტყა, ოღონდ, საკრედიტო ბარათებით: უკანასკნელი ფრანგული ლანჩით ჩაგვეტკბარუნებინა პირი, სანამ ჯერ კიდევ დრო იყო!

კიჩი ნაციონალურ სამზარეულოში

6 წლის რუბი და დედამისი დოლორესი ერთ ვეებერთელა აიდაჰოს კარტოფილს შეექცევიან, რომელსაც ბლომად ილი აქვს მოსხმული. „პარამუს პარკ მოლის" კაფეტერიაში მოსაუზმე დედა-შვილი სწრაფად უსწორდება კარტოფილს, მისგან მხოლოდ მოჩეარული ნაფცქვენებიდა რჩება. ისინი ხშირად სტუმრობენ აქაურობას, სადაც უამრავი ნაციონალური სამზარეულო უწევს ერთმანეთს კონკურენციას. ხშირად ხდება ისე, რომ დედა-შვილი ერთ ულუფას იყოფენ. წინა კვირას, დოლორესმა დამდნარი ყველით დატენილ მექსიკურ ტორტილიებზე შეაჩერა არჩევანი. იმის წინა კვირას კი რუბიმ ჩინურ რესტორანში კიბორჩხალებიანი ფლავი მიირთვა.

ზოგჯერ მათი გემოვნება განსხვავდება. მაგალითად, „პეპეს პიცაში" დოლორესს ისპანახიანი პიცისაკენ მიუწევს გული, ანჩოუსებითა და ზეთისხილით. რუბი კი, ამ დროს, დაბლ ჩიზსა და უინებს შეექცევა. მოლფეტას ბერძნულ რესტორანში დოლორესი პიცაში გახვეულ ჰუმუსებსა და ფელაფელებს ირჩევს. მაგრამ რადგანაც რუბის ინტერესის საგანს, ამ ბოლო დროს, ხახვიანი ფუნთუშა წარმოადგენს, ისინი, სოლიდარობის მიზნით, მოლფეტას გვერდს უვლიან ხოლმე.

ნიუ-ჯერსის ერთ-ერთ დაწყებით სკოლაში რუბის თანატოლებს, როგორც წესი, ხშირად უწყობენ გამოკითხვას მათი ეროვნული წარმომავლობის, მათი ტრადიციული კერძებისა და დღესასწაულების შესახებ. აფრო-ამერიკელი რუბი, რომელიც წარმოშობით სამხრეთ შტატებიდან არის, თავისი დიდედის შემწვარი წიწილითა და შავხალიანი ბარდით იწონებს თავს. არსებობს სასკოლო პროგრამა „როგორ ვიკვებებით", რომლის დროსაც რუბის ინდიელ თანაკლასელებს სკოლაში სამოსები მოაქვთ, კოლუმბიელს – ემპანიადები, ფილიპინელ ტყუპებს – პატარა ფუნთუშები, ებრაელებს კი – მინიატურული ქოშერული კნიშები. რუბის საერთო სუფრაში დედამისის გამომცხვარი სიმინდის პურებით (მჭადი) შეაქვს წვლილი.

რუბის თანატოლები, რომლებიც მრავალეროვანი უბნების სკოლებში სწავლობენ, საკმაოდ კარგად ერკვევიან ტრადიციულ სამზარეულოში, მათი საკუთარი წარმოშობისა და თანაკლასელების წარმოშობის საკითხებში. ისინი ყახშამს

ხშირად ადგილობრივ პიცერიებსა და ჩინურ სასადილოებში მიირთმევენ. დედასთან ერთად სხვადასხვა ნაციონალური რესტორნების დალაშქვრისას რუბის კულინარული გამოცდილება უთუოდ მდიდრდება. მაგრამ, საფიქრებელია, რომ მის ცნობიერებაში ყველაფერი ეს ოდესმე აუცილებლად აირევა. ძნელი დასაჯერებელია, რომ რუბი აიდაჰოს კარტოფილს ყოველთვის ილისთან დააკავშირებს, ჰუმუსებსა და ფელაფელებს კი – ბერძნულ სამზარეულოსთან. იქ, ნაციონალური რესტორნების ცენტრში, ამ ნაირ-ნაირი სასუსნაეით ისე დაუდევრად გიმასპინძლდებიან, რომ ეს ეროვნული მასპინძლობა ლამის ეროვნულ შეურაცხყოფაში გადადის. მათ, ვისთვისაც „ფასთფუდი" სარფიანი საქმეა, უხეად უნაზღაურდებათ თავიანთი ეს მოწადინება – კიჩი მიართვან კლიენტს.

კიჩი, რა გაგებითაც მე აქ ამ სიტყვას ეხმარობ, კომერციული წარმოსახვის ნაყოფი გახლავთ. აქ, ჭამის „საუფლოში" მას, ერთი მხრივ, სამშობლოს მოწყვეტილ ემიგრანტთა ნოსტალგია ასაზრდოებს, მეორე მხრივ კი, იმ ადამიანთა ცნობისმოყვარეობა, რომლებიც სხვისი ქოთნიდან და ტაფიდან ნაჩქარევ წახემსებას ხარბდებიან. მისი საფირმო ნიშანია სიყალბე. ნაციონალური სამზარეულოს ინდუსტრია ეროვნული პოლიტიკის გასაღების მორგებით ემიგრანტთა კულინარულ მემკვიდრეობას კიჩად აქცევს. უფრო მეტიც – ეროვნული კერძების ირგვლივ ატეხილი ლაქლაქი, რუბის კლასში თავმოყრილი ეროვნული „აჯაფსანდალი" და „ერთად ჭამისაკენ" მომწოდებელი თვალისმომჭრელი რეკლამები ეკონომიკაში, ადათ-წესებსა და ადამიანთა მრწამსში გაჩენილ ღრმა ბზარებს ნიღბავენ. ჩემს ფრანგულ ტრაპეზებსა და რუბისა და დოლორესის ყოველდღიურ წახემსებებს შორის არსებული განსხვავება ცხადყოფს, რომ ჭამა ვერ არის მთლად თანასწორი შესაძლებლობების ამსახველი საქმიანობა.

მადლიერების დღე ედემის ბაღში, 1990.

ერთ-ერთი დაწესებულების ფასადზე უბრალო აბრას ვამჩნევ: „ედემის კლდე. ახლოაღმოსავლური რესტორანი". მენიუს დათვალიერებისას ირკვევა, რომ კერძები ეროვნულობის ნიშნით არ არის იდენტიფიცირებული, არც დამწერლობა მიგვანიშნებს იმაზე, თუ ვინ არის მფლობელი – მაჰმადიანი, ებრაელი თუ ქრისტიანი. – გაწყობს?–ვკითხე ჩემს 87 წლის დედას, რომელიც გამომიტყდა, ცოტა არ იყოს, მშიაო. უკვე 2 საათია. დღეს მადლიერების დღეა. „ედემის კლდე" ჩემს მოთხოვნებს სრულიად აკმაყოფილებს: არსად ჩანს ინდაური ტრადიციული გარნირებით; არსად ჩანან მრავალრიცხოვანი, ხმაურიანი ოჯახები. ცოტა არ იყოს, აგრილდა და შილიფად ჩაცმულ დედაჩემზე ენერვიულობ. ჩაცმისას იგი არასოდეს ფიქრობს ამინდზე და არც ის მოსწონს, როცა მის მაგივრად სხვა ფიქრობს. მაგიდას ბუფეტთან ახლოს ვიკავებთ, სადაც ბოსტნეულისა და პარკოსნებისაგან დამზადებული სალათების ასორტიმენტია გამოფენილი. დედაჩემი კერძების ასარჩევად მიმყავს. აქ ყველაფერი მადისმომგვრელია, განსაკუთრებით კი მოშუშული ხახვით შეზავებული, ზვინებად დახვავებული მუხუდო. ბევრ რამეს ვუკვეთ: ჰუმუსს, ბაბაგენუშებს, იოგურტში ჩაწყობილ კიტრს, მუხუდოს სალათს, რასაც ქათმისა და საქონლის ქაბაბი, მწვანე სალათა და ფლავი მოჰყვება. ეს საკმარისზე მეტია. ღიმილიანმა ოფიციანტმა იცის, რომ *მე ვიცი*. და ისიც იცის, რომ მე მართობს ის, რომ *მან იცის*. ყურს ვუგდებ ერთმანეთში არაბულად მოსაუბრე ორ ოფიციანტს და უცებ მესმის, რომ მესამე ოფიციანტი თავის ვაჟს აშკარად ებრაულად ესიტყვება. არადა, ეს შეუძლებელია. ალბათ მომესმა. მსგავსი კომბინაცია მანჰეტენის დასავლეთ

ნაწილშიც კი – სადაც ამერიკული სიჭრელე შედარებით გაწონასწორებულია – წარმოუდგენელი რამ არის. რესტორანში მაგნიტოფონია ჩართული; აღმოსავლელი მომღერალი აშკარად უიღბლო სიყვარულს დასტირის. ებრაულად მღერის იგი თუ არაბულად? რა ენა მესმის? უნდა ვიცოდე. ახლო აღმოსავლეთში, ებრაელმა, იმისათვის რომ საჭმელი წესიერად შეირგოს, აუცილებლად უნდა იცოდეს, ვისი ტენტის ქვეშ სადილობს. ჩვენი ოფიციანტი, რომელსაც ფრთხილად ვაპარებ შეკითხვას, თუ რა ეროვნების ადამიანი მღერის, შეკითხვითვე მპასუხობს: მოგწონთ თუ არაა? მომწონს. გულწრფელად ვამბობ. მაგრამ მუსიკაზე მეტად ჩემი და ოფიციანტის ეს თამაში მომწონს. ორივენი მოკრძალებით ვართ დადარაჯებული და ორივენი მიველტვით იმას, რომ ერთმანეთს ვაამოთ. – მუსიკა ეგვიპტურია – მპასუხობს იგი. მაშ, რატომღა ჰქვია რესტორანს „ედემის კლდე?" ვეკითხები მე. – ლიბანში არის ცნობილი, ამავე დასახელების რესტორანი – მპასუხობს იგი. მაშინვე თვალწინ მიდგება დიდებული, კლდეების ტევრით გარშემორტყმული ზღვისპირა რესტორანი, სახურავში გაჩრილი ბომბითა და 40 ნალეწილი ფანჯრით. შემდეგ ჩემს დაუმთავრებელ ულუფას შევავლებ თვალს, საომარი ზონების კერძებისაგან შემდგარ ჩვენს ბატონკაცურ სუფრას გადავხედავ და უეცრად ძალიან მინდება სახლში, ნიუ-ჯერსიში წასვლა. ოფიციანტს ვეუბნები, რომ მაგრად ვდგავარ და ყველაფრისთვის მზად ვარ (ანგარიშს ვგულისხმობ). მას კი ერთხანს თვალი უშტერდება, ჩანს, ნაცნობი ინგლისური სიტყვების თავმოყრას ცდილობს.

ჩემი ტვინი კი ამ დროს გამუდმებით მუშაობს: მაინც რა კონტექსტშია ნახმარი სიტყვა როქ (კლდე)? როგორც მუსიკალური ტერმინი, თუ როგორც გეოლოგიური? იქნებ იგი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ცხოვრების ამ დაუდეგარ ღვარცოფში ღმერთი მაინც ურყევად დგას? და მაინც, რა მნიშვნელობითაც არ უნდა იყოს ეს სიტყვა ნახმარი, მადლიერების ამ უცნაურად აღნიშნულ დღესასწაულზე, როცა ელი საავადმყოფოშია, ახლო აღმოსავლეთი კი კვლავ ცეცხლის გეენიაში იწვის (ამჯერად ერაყი უტევს ქუვეითს), მთავარი სიტყვა მაინც ედემია. უმანკო ნეტარების წალკოტი. მყუდრო, მშვიდობიანი სავანე. ედემი ბროდვეიზე. ედემი – ოფიციანტის ყოვლისმცოდნე მზერაში; და მისი თავის ელეგანტურ მოძრაობაში (როცა იგი ანგარიშს მიწვდის). ვხედავ, როგორ იჭვრიტება ამ საეჭვო ოაზისში ნოემბრის მზის სხივი; იგი წამით ანათებს ჩვენს სუფრას და სწრაფადვე უჩინარდება.

განმარტოებით ჭამა

ვიწრო ტახტზე ადამსა და საფარას შორის ვზივარ. კალთაში თეფში მიდევს, რომელზეც მოხარშული კვერცხის ნახევარი, ბოსტნეულით დატენილი ბრინჯის ბურთულები, ცოტაოდენი კიტრის მწნილი და მოვარდისფრო ბრინჯის ვაფლები აწყვია. კვერცხი თეფშიდან მივარდება და შარვალს მისვრის. – არაფერია, ვამშვიდებ საფარას, რომლის დახვეწილი, მშვიდი ნაკვთები წუხილს გამოხატავს. შავ შარვალს მაინც არაფერი დაეტყობა.

აგერ უკვე ორი კვირაა საკმაოდ არეულად და მოუხერხებლად მიწევს ჭამა – უმეტესწილად იატაკზე, ადამისა და საფარას დაბალ მაგიდასთან ბალიშებზე მჯდარს. შარვალი კი უძლებს. იატაკზე ჯდომისას ჭამა საკმაოდ მიძნელდება, მით უმეტეს, როცა ჩემი რძლის სამშობლოში მიღებული წესისამებრ, ხელით ვჭამ. დღეს ჩემი ნაცმულობა წესრიგში უნდა იყოს, რადგან ყურადღების ცენტრში ვარ. საფარას მშობლებმა თავიანთი სიძის დედის, მათი პირველი შვილიშვილის

ბებიის, ანუ ჩემს სანახავად ნათესავები მოიწვიეს. ამრიგად დერეფანივით ვიწრო სასტუმრო ოთახში, სადაც, ოჯახის რეა წევრით ალყაშემორტყმული ვზივარ, ფეერიულ სარებში გამოწყობილი კიდევ ოცდახუთიოდე ჭარმაგი ნეპალელი ქალბატონი შემოდის.

საფანას თქმით, ინგლისურად ასეთ ოჯახს ერთიანი ოჯახი ჰქვია. მიუხედავად იმისა, რომ თვალწინ ძვლიანად შებრაწული ხორცის ნაჭერი მიდგება (სიტყვების თამაშია:სიტყვა ჯოინთ ხორცის შემწვარ ნაჭერსაც ნიშნავს. მთარგმნ. შენიშვნა), მაინც ვხვდები, რომ ეს სიტყვა ამ შემთხვევაში ერთ მუშტად შეკრულს, ჭირისა და ლხინის გამზიარებელს გულისხმობს. ისინი მართლაც ერთ მთლიანობად შეკრულან: საფანას მშობლები, მისი მამის ძმა და რძალი, მისი მამის გაუთხოვარი და, საფანას ძმა და მისი ცოლი, რომელსაც ორი და ახლავს და ა.შ. ხელს ფორთოხლის წვენისაკენ ვიწვდი და გულში ორმაგ სკოჩს ვნატრობ. საფანა მეკითხება, მომწონს თუ არა კატმანდუ. ვპასუხობ, რომ ძალიან მომწონს. ცხადია, ჰაერის დაბინძურებაზე, საშინელ ტრანსპორტზე, ნაგვის გროვებზე, ელექტროდეფიციტსა და მათხოვრობაზე სიტყვის დაძვრა აქ ყოვლად უადგილოა. — საფანას მამას აინტერესებს, ვისთან ერთად ვცხოვრობ, — მითარგმნის ადამი და ჩემს თავთან საუბარს მაწყვეტინებს. უთხარი, რომ მარტო ვცხოვრობ — ვპასუხობ მე. საფანას მამა ყურადღებით მაკვირდება. ვგრძნობ, მორიგი კითხვა ებადება. — მამას აინტერესებს, მარტო როგორ ცხოვრობთ?— მითარგმნის საფანა. — ჩვენთვის ეს წარმოუდგენელია — დასძენს იგი. — ჩვენს ოჯახში სუფრას არავინ მიუჯდება, სანამ ოჯახის ყველა წევრი შინ თავს არ მოიყრის. ჭამა ყოველთვის ერთად ჭამას ნიშნავს. —ავითარებს იგი მამის აზრს.

მარტო ჭამა ადვილია. მინდა მივუგო მათ. მივირთმევ იმას, რაც მსურს და როცა მსურს. არავინ ხედავს, რამდენ ცერიან ბიფშტექსს ვშთანთქავ და ზედ რამდენ „შარდონეს" დავაყოლებ. თუ მაინცდამაინც საუცხოო კერძებისა და მაღალი წრის საზოგადოების დიდ საჭიროებას ვიგრძნობ, ნიუ-იორკ თაიმზი თანამეინახეებად გამიხდის ექვს პრეზიდენტსა და ხუთ პრემიერ-მინისტრს: ჯონ მაკენროუს, მერილ სტრიპს, ვ.ჯ. ნაიპულს, რუდი ჯულიანის ცოლსა და საყვარელს. თუ სურვილი მექნა, მოვუსმენ მათ დისკუსიებს, თუ არ მექნა — არა. როგორც ვინებებ. მინდა ვთქვა, რომ მარტო ჭამა თავისუფლების მომნიჭებელია.

ბოლოს საფანას მამას ვეუბნები: მე მყავს მეგობრები, რომლებთანაც ხშირად ვსადილობ — წამით ვყოვნდები, სანამ ჩემი რძალი თარჯიმნობს — მეგობრები და ნათესავებიც სადილობენ ხოლმე ჩემთან. მე მარტო ვცხოვრობ, მაგრამ ჭამით, ჩვეულებრივ, მარტო არ ვჭამ.

**ნინო ჩხენკელი**
*აშშ-ის საინფორმაციო წყაროების ცენტრის დირექტორი*

# აშშ-ის უფასო საცნობო-ბიბლიოგრაფიული წყაროები ინტერნეტში

## 1. საცნობო-ბიბლიოგრაფიული წყაროების ტიპოლოგია

ინტერნეტში მრავლად არის წარმოდგენილი აშშ-ში შექმნილი მნიშვნელოვანი უფასო საინფორმაციო რესურსები. მათი გამოყენების პრობლემა მდგომარეობს ყოველი მოცემული შეკითხვისთვის შესაბამისი უფასო რესურსის მისადაგებაში. საბიბლიოთეკო თეორიიდან' ცნობილია, რომ საცნობო-ბიბლიოგრაფიული წყაროები შედგება სამი ჯგუფისგან: ბიბლიოგრაფია, საცნობარო წყაროები და სამთავრობო გამოცემები. ბიბლიოგრაფიული წყაროები თავისთავად, გარდა ბიბლიოგრაფიული შეკითხვებისა, არ შეიცავენ პასუხებს შეკითხვებზე, ისინი მხოლოდ მიმართულებას იძლევიან იმ წყაროებზე, სადაც შეიძლება იყოს მოძებნილი პასუხი. საცნობარო წყაროები თავისთავად საკმარისია ფაქტოგრაფიული შეკითხვების უმეტეს ნაწილზე სწრაფი პასუხების გასაცემად. სამთავრობო გამოცემებში შედის ბიბლიოგრაფიაც, საცნობარო წყაროებიც და ორიგინალური სამთავრობო დოკუმენტებიც. ეს გამოცემები გამოყოფილია ცალკე კლასად მათი დიდი მნიშვნელობის გამო საზოგადოებაში დემოკრატიის მხარდაჭერაში და სამოქალაქო განათლებაში.

ბიბლიოგრაფია შედგება საბიბლიოთეკო კატალოგებისგან, საგამომცემლო კატალოგებისგან, საგნობრივი ბიბლიოგრაფიული სიებისგან, რთული ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლებისგან (ანუ ინდექსებისგან), რეფერატული ჟურნალებისგან და ა.შ.

საზოგადოებაში ინტერნეტის დამკვიდრებასთან ერთად, ბიბლიოგრაფია შეეხო ახალი ტიპის დოკუმენტებსაც – ვებ-დოკუმენტებს (ვებ-საიტებს, ვებ-გვერდებს). ამ ტიპის დოკუმენტების კატალოგის ანალოგს წარმოადგენს ძებნის მექანიზმი, ხოლო ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლის ანალოგს – ვებ-ცნობარი. რევოლუციური განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ბიბლიოგრაფიულ მონაცემებს შორის ერთ-ერთი მოცემულია ჰიპერკავშირის სახით და მასზე დაწკაპებით კომპიუტერის ეკრანზე გამოდის თვით ვებ-დოკუმენტი. მაგრამ ორივე - ძებნის მექანიზმიც და ვებ-ცნობარიც ძიების შედეგად იძლევა ბიბლიოგრაფიული ჩანაწერების სიას და ამიტომ ისინი შეიძლება მივაკუთვნოთ ბიბლიოგრაფიას. სხვა სიტყვებით, ძებნის მექანიზმს შეიძლება ვუწოდოთ ჰიპერტექსტური კატალოგი,ხოლო ვებ-ცნობარს – ჰიპერტექსტური მაჩვენებელი.

საცნობარო წყაროებია: საცნობარო ვებ-საიტები, ენციკლოპედიები, ლექსიკონები, ცნობარები, ალმანახები, ბიოგრაფიული საცნობარო გამოცემები, გეოგრაფიული საცნობარო გამოცემები და ა.შ.

სამთავრობო გამოცემები შეიცავენ კანონებს, კანონქვემდებარე აქტებს, საკანონმდებლო პროექტებს, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების დადგენილებებს, სამინისტროების დადგენილებებს, ანგარიშებსა და გამოკვლევებს, სამთავრობო დოკუმენტების კატალოგებსა და ცნობარებს და ა.შ.

## 2. ბიბლიოგრაფია

### 2.1. ვებ-ცნობარები

ვებ-ცნობარები წარმოადგენენ სპეციალისტების მიერ შექმნილ ვებ-დოკუმენტების საგნობრივ ბიბლიოგრაფიულ მაჩვენებლებს. საგნობრივი სპეციალისტების მიერ ხდება ვებ-საიტების გადარჩევა, ინდექსირება და, ხშირად, ანოტირებაც. ვებ-ცნობარები იყოფა ორ ჯგუფად: ზოგად და სპეციალიზებულ საგნობრივ ვებ-ცნობარებად. ზოგადი ვებ-ცნობარები ფარავენ ან პრეტენზია აქვთ დაფარონ ნებისმიერი თემა, ხოლო სპეციალიზებული ვებ-ცნობარები თავს უყრიან კონკრეტული თემისადმი მიძღვნილ ან სპეციალური ტიპის ვებ-დოკუმენტებს.

ზოგადი ვებ-ცნობარების მაგალითებია: Yahoo!, LookSmart, Open Directory Project, Zeal, Librarian's Index to the Internet, Infomine, Academic Info, Argus Clearinghouse, CyberDewey, Webrary და სხვები.

სპეციალიზებული ვებ-ცნობარების მაგალითებია: Internet Library for Librarians, Library Resources List, National Political Index, Political Resources on the Net, Internet Legal Resource Guide, Law and Politics Internet Guide, Electronic Journal Miner (http://ejournal.coalliance.org/), NewJour (http://gort.ucsd.edu/newjour), Ejournal Site Guide: a MetaSource (http://www.library.ubc.ca/ejour) და სხვები.

### 2.2. ძებნის მექანიზმები

ვებ-ცნობარებისგან განსხვავებით, ძებნის მექანიზმებით ავტომატურად ხდება: 1. ვებ-დოკუმენტების შეგროვება სპეციალური პროგრამების - სპაიდერების (ანუ კრაულერების) საშუალებით, 2. ვებ-დოკუმენტების ინდექსირება, 3. ინდექსის (ანუ ინვერტირებული ფაილის) შექმნა და განახლება, 4. შეკითხვის ბრძანებაზე ძებნის ჩატარება ინდექსში, 5. მოძებნილი დოკუმენტების რანჟირება ფორმალური რელევანტობის კლების მიხედვით და 6. პასუხის ჩამოყალიბება გამოტანილი მონაცემების სახით, რომელთა შორის ნაპოვნი ვებ-დოკუმენტების ბიბლიოგრაფიული ჩანაწერებია. ძებნის მექანიზმები იყოფა სამ ჯგუფად: ზოგადი, სპეციალიზებული და მეტა ძებნის მექანიზმები.

ზოგადი ძებნის მექანიზმების მიერ ნებისმიერი ხელმისაწვდომი ვებ-საიტის ინდექსირება ხდება, მაგრამ თითოეული საიტიდან არა უმეტეს ორი გვერდისა. გარდა ამისა, მათი სპაიდერები ვერ აღმოაჩენენ საიტს, რომელშიც არ არის ჰიპერკავშირები სხვა ვებ-საიტებზე, ვერ უკეთებენ ინდექსირებას მონაცემთა ბაზებში შემავალ დოკუმენტებს აგრეთვე ისეთ საიტებს, რომლებშიც რეგისტრირებაა საჭირო და ა.შ. ამიტომ ვებ-გვერდების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი ზოგადი ძებნის მექანიზმებისთვის „უხილავია". ზოგადი ძებნის მექანიზმების მაგალითებია: Google, AltaVista, Teoma, HotBot, MSN Search, WiseNut, Lycos, Exite და სხვ.

სპეციალიზებული ძებნის მექანიზმები მუშაობენ ზოგადის მსგავსად იმ განსხვავებით, რომ ისინი აგროვებენ სპეციალური საგნისადმი მიძღვნილ ან სპეციალური ტიპის დოკუმენტებს, ყოველი შერჩეული საიტიდან ინდექსირებას უკეთებენ თითქმის ყველა გვერდს და ინდექსების განახლება ხდება უფრო ხშირად. ბევრი ვებ-გვერდი, რომელიც ზოგადი ძებნის მექანიზმისთვის „უხილავია", ხვდება რომელიმე სპეციალიზებული ძებნის მექანიზმის ინდექსში. ბევრ ზოგად ძებნის მექანიზმს აქვს სპეციალური ინტერფეისები სპეციალიზებული ძებნისათვის, როგორიცაა: ახალი ამბები, სურათები, აუდიოჩანაწერები, ვიდეოჩანაწერები და სხვ. სპეციალიზებული ძებნის მექანიზმების მაგალითებია: Devsearch (The web developer's SE), Amnesi (Search internet server names), Deja.com (Search UseNet newsgroups), Findarticles.com, Billboard Music Search, Business.com, Findsounds და მრავალი სხვა.

მეტაძებნის მექანიზმებს ინდექსები არ გააჩნიათ. მათში შეტანილ შეკითხვას ისინი გარდაქმნიან სხვა ძებნის მექანიზმების შეკითხვების ენებზე და უგზავნიან მათ. სხვადასხვა ძებნის მექანიზმებიდან მიღებულ ძებნის შედეგებს ისინი ახარისხებენ და გამოაქვთ პასუხები. ვინაიდან არც ერთ ძებნის მექანიზმს არ შეუძლია დაფაროს მთელი ვები და მათ მიერ ინდექსირებული დოკუმენტების სიმრავლეები არ ემთხვევა ერთმანეთს, ამიტომ მეტაძებნის მექანიზმების გამოყენება საინტერესო შედეგებს იძლევა. მეტაძებნის მექანიზმების მაგალითებია: SurfWax, Metacrawler, Ixquick, Vivisimo, Ask Jeeves და სხვ.

ძებნის ზოგი ვებ-საიტი აერთიანებს ძებნის რამდენიმე საშუალებას – ზოგადი ძებნის მექანიზმს, ზოგად ვებ-ცნობარს, სპეციალიზებულ ძებნის მექანიზმებს და ა.შ. ძებნის ასეთ ჰიბრიდულ საშუალებებს ძებნის პორტალები ეწოდება. ძებნის პორტალებია: Google, AltaVista, Yahoo! და სხვები. ზოგადი ძებნის მექანიზმი Google იყენებს ზოგად ვებ-ცნობარს Open Directory Project-ს, ზოგადი ძებნის მექანიზმი AltaVista იყენებს ზოგად ვებ-ცნობარს LookSmart-ს, ზოგადი ვებ-ცნობარი Yahoo! იყენებს ზოგადი ძებნის მექანიზმს Google-ს.

### 2.3. საბიბლიოთეკო კატალოგები

აშშ-ის თითქმის ყველა ბიბლიოთეკის კატალოგები ხელმისაწვდომია ვებზე. ბევრ მათგანში ძებნა შესაძლებელია რამდენიმე ფორმატით, მათ შორის Z.39.50 სტანდარტით.

აშშ-ის ბიბლიოთეკების ბევრი კატალოგი იძლევა რეფინირებული ძებნის საშუალებას კომპიუტერული კატალოგიზაციის ფორმატის – MARC-ის ველების, სტანდარტული საგნობრივი რუბრიკების (მაგ., კონგრესის ბიბლიოთეკის რუბრიკატორის), საკუთარი სახელების ავტორიტეტული ფაილებისა და სხვათა გამოყენებით. ყველაზე მნიშვნელოვანი კატალოგებია, რასაკვირველია, აშშ-ს სამი ეროვნული ბიბლიოთეკის - კონგრესის ბიბლიოთეკის (http://catalog.loc.gov ), სამედიცინო ეროვნული ბიბლიოთეკისა (http://locatorplus.gov/) და სასოფლო-სამეურნეო ეროვნული ბიბლიოთეკის (http://www.nalusda.gov/ag98/) კატალოგები.

არანაკლებ საინტერესოა დიდი უნივერსიტეტების ბიბლიოთეკების კატალოგები მაგ., კალიფორნიის უნივერსიტეტის ონლაინ კატალოგი – MELVYL, ან ნიუ-იორკის განთქმული საჯარო ბიბლიოთეკის კატალოგი CATNYP: http://www.nypl.org/catalogs/ საინფორმაციო მოთხოვნილების მიხედვით მკითხველს შეუძლია აირჩიოს ვებზე ნებისმიერი სხვა – საუნივერსიტეტო, საჯარო, სპეციალური, ფედერალური ან საშტატო სახელმწიფო ბიბლიოთეკის კატალოგი.

### 2.4. ინდექსები და სხვა ბიბლიოგრაფიული წყაროები

ამერიკული გაზეთების უმრავლესობას აქვს უფასო ინდექსი, ანუ ანალიტიკური ბიბლიოგრაფიულ მონაცემთა ბაზა და ერთი კვირის სიღრმით უფასო სტატიები. უფრო ძველი სტატიების ელექტრონული ასლები ფასიანია.

წიგნით მოვაჭრე და შუამავალი ორგანიზაციები Booksellers like Amazon.com, Barnes&Nobles, Borders, Bookwire, Bookfinder, Powell's Books და სხვები გვთავაზობენ უფასო ინდექსებს.

პოლიტიკურ და, ზოგადად, საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში პუბლიკაციების უფასო გენერალური ინდექსი აქვს OCLC PAIS (Public Affairs Information Service) International-ს.

განათლების დარგში განთქმული რეფერატულ მონაცემთა ბაზაა ERIC, რომელშიც 1 მილიონზე მეტი ანალიტიკური ბიბლიოგრაფიული ჩანაწერია

სტატიებზე, ანგარიშებზე, მოხსენებებზე, სასწავლო პროგრამებსა და გეგმებზე, სამეცნიერო კვლევებზე, წიგნებზე და სხვა პუბლიკაციებზე. საგანმანათლებლო რესურსების საინფორმაციო ცენტრი - The Educational Resources Information Center (ERIC) – მონაცემთა ბაზის გარდა, უფასოდ სთავაზობს მომხმარებელს ელექტრონულ ჟურნალებს, ცნობარებს და ქსელურ საცნობო-ბიბლიოგრაფიულ მომსახურებას. მხოლოდ დოკუმენტების ასლების მოწოდებაა აქ ფასიანი.

## 3. საცნობარო წყაროები

### 3.1. საუკეთესო საცნობარო საიტები

ამერიკის საბიბლიოთეკო ასოციაციაში შედის საცნობო-ბიბლიოგრაფიული და მკითხველთა სხვა მომსახურების ასოციაცია. ამ უკანასკნელში მუშაობს „კომპიუტერული საცნობო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების სექცია" - Machine-Assisted Reference Section (MARS). 1999 წლიდან ეს სექცია ყოველ წელს არჩევს საუკეთესო უფასო საცნობარო ვებ-საიტებს, უკეთებს მათ დიდ რეფერატებს და აქვეყნებს ამ რეფერატულ ბიბლიოგრაფიულ სიას: http://www.ala.org/Content/NavigationMenu/RUSA/Our_Association2/RUSA_Sections/MARS/Publications13/Publications.htm

გადარჩევის კრიტერიუმებიც ყოველ წელს ქვეყნდება, რომელთა ბირთვს შეადგენს შემდეგი:

- საცნობარო ინფორმაციის არსებობა რაიმე კონკრეტულ დარგში, სხვადასხვაგვარი ცნობებისა და ჰიპერკავშირების არსებობა იმავე დარგში;
- ხარისხი, სიღრმე, სიზუსტე და შესაბამისობა საიტის დანიშნულებასთან;
- განახლების რეგულარობა, ხელმისაწვდომობა და გამოყენების სიადვილე;
- შემქმნელების ავტორიტეტულობა და მითითებული კონტაქტების პასუხისმგებლობა;
- სარგებლიანობა და სხვა მსგავსი საიტებიდან გამორჩეულობა;
- ვების, როგორც ინფორმაციის მატარებლის, შესაბამისი და ეფექტური გამოყენება.

სხვადასხვა წლებში გამარჯვებული საცნობარო ვებ-საიტების მაგალითებია: Xrefer.com, About.com, Refdesk.com, American Heritage, One Look Dictionaries, FindLaw, American Law Sources On-Line, iTools, opensecrets.org, Search Engine Watch და ბევრი სხვა.

### 3.2. საცნობო-ბიბლიოგრაფიული წყაროები ვებ-ცნობარებში

როგორც ცნობილია, ვების საცნობო-ბიბლიოგრაფიული წყაროების უმეტესობა წარმოდგენილია სპეციალიზებულ მონაცემთა ბაზებით, რომელთა ჩანაწერების ინდექსირებას ძებნის მექანიზმები არ აწარმოებენ. ეს ჩანაწერები ხელმისაწვდომია მხოლოდ თავიანთი მონაცემთა ბაზებიდან ან საცნობარო ვებ-საიტებიდან, რომელთა ვებ-მისამართების სწრაფი მიგნება საჭიროების შემთხვევაში გადამწყვეტ როლს თამაშობს. ამიტომ ყველაზე პოპულარულ ზოგად ვებ-ცნობარებში, როგორებიცაა: მაგალითად Yahoo!, Open Directory (აგრეთვე Google-ში) და LookSmart (აგრეთვე AltaVista-ში) არსებობს საცნობო-ბიბლიოგრაფიულ წყაროთა რუბრიკა (Reference), რომელთა ქვერუბრიკების გაერთიანებული ჩამონათვალი შემდეგია: აკრონიმები და შემოკლებები, ალმანახები, ხელოვნება და ჰუმანიტარული მეცნიერებები, ბიბლიოგრაფიები, ბიოგრაფიები, წიგნები და წიგნით ვაჭრობა, კალენდრები, კოდები, ვალუტის გაცვლა, ლექსიკონები, ცნობარები, განათლება, ენციკლოპედიები, ინგლისური ენის გამოყენება, ბუნება და გარემოს დაცვა, ეტიკეტი, ხშირად დასმული

შეკითხვები, ფინანსები და ინვესტიციები, დროშები, ზოგადი საცნობარო მომსახურება, მთავრობა და სტატისტიკა, გეოგრაფია, გეოგრაფიული სახელები, რუკები, ჯანმრთელობა, ჟურნალები, კვანძები, ცოდნის მართვა, ბიბლიოთეკები, მუზეუმები, მუსიკა, საპარლამენტო პროცედურები, პატენტები, ტელეფონის ნომრები და მისამართები, პირთა ძებნა, კითხვები და პასუხები, საფოსტო ინფორმაცია, ციტატები, სამეცნიერო სტატიები, სამეცნიერო ცნობარები, ძებნა ვებში, სტანდარტები, სტატისტიკა, მართლწერისა და სტილის სახელმძღვანელოები, თეზაურუსები, დრო, ტრანსპორტის მოძრაობის ანგარიშები, ამინდი, წონისა და ზომის ერთეულები, მსოფლიო რეკორდები.

### 3.3 საცნობარო წყაროები ბიბლიოთეკებისა და სხვა ვებ-საიტებზე

ბიბლიოთეკების ვებ-საიტებში ჩართული ვების საცნობარო წყაროთა ჰიპერტექსტური მაჩვენებლების მიმოხილვა დავიწყოთ კონგრესის ბიბლიოთეკის საიტიდან.

1. http://www.loc.gov/rr/askalib/virtualref.html#other - საცნობო რესურსების ვირტუალური თარო (Virtual Reference Shelf). ამ ჰიპერტექსტურ მაჩვენებელში ჩასმული რესურსები რეგულარულად გამოიყენება კონგრესის ბიბლიოთეკის ელექტრონული საცნობო სამსახურის მიერ. მასში მოთავსებულია 132 ჰიპერკავშირი საცნობარო წყაროზე, რომლებიც დახარისხებულია 27 რუბრიკაში, რუბრიკები კი განლაგებულია ანბანურად.

2. http://lcweb.loc.gov/rr/eleclcrr.html http://lcweb.loc.gov/rr/main/alcove9/ ვების საცნობარო წყაროების საგნობრივი ჰიპერტექსტური მაჩვენებლები შექმნილი კონგრესის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზების ბიბლიოთეკარების მიერ.

3. http://www.loc.gov/rr/elecdesk.html - ვების რჩეული საცნობარო საიტების ჰიპერტექსტური მაჩვენებელი შედგენილი კონგრესის ბიბლიოთეკის მიერ, რომელსაც არა აქვს სარეკომენდაციო ხასიათი. მიუხედავად იმისა, რომ ეს ანოტირებული „ბიბლიოგრაფიის ბიბლიოგრაფია" შედგენილია ასეთი ავტორიტეტული ორგანიზაციის მიერ, ის უნდა იყოს მხედველობაში მიღებული.

ბიბლიოთეკარების მიერ შექმნილი საცნობარო საიტების ჰიპერტექსტური მაჩვენებლების სხვა მაგალითებია:

4. http://lii.org/search/file/reference ; 5. http://infomine.ucr.edu/reference/ ;
5. http://www.ipl.org/div/subject/browse/ref00.00.00/ ;
6. http://www.library.cornell.edu/okuref/select.html#top ;
7. http://www.libraries.rutgers.edu/rul/libs/robeson_lib/index.html ;
8. http://www.lkwdpl.org/readref.htm ; 10. http://63.67.3.52/pages/sitepage.cfm?id=304;
9. http://www-sul.stanford.edu/collxn.html ; 12. http://www.lkwdpl.org/readref.htm ;
10. http://www.lib.virginia.edu/reference/new/univrefpages.html - საუნივერსიტეტო საიტებზე განლაგებული ვების საცნობარო წყაროთა მაჩვენებლების ჰიპერკავშირების ანბანური სია და მრავალი სხვა.

ზემოთ გამოყოფილი იყო ვების უფასო საცნობარო წყაროთა მაჩვენებლების ორი ძირიადი კლასი: ბიბლიოთეკური მაჩვენებლები და ზოგადი ვებ-ცნობარების მაჩვენებლები, იმისდა მიხედვით, თუ რომელ საიტზე იყო ის მოთავსებული – ბიბლიოთეკის თუ ვებ-ცნობარის. ყველა სხვა საიტზე მოთავსებული ვების უფასო საცნობარო წყაროთა მაჩვენებლები განეკუთვნება მესამე კლასს. განვიხილოთ ამ კლასის ზოგიერთი წარმომადგენელი.

- ინტერნეტის მუდმივ ცვლასთან და ზრდასთან დაკავშირებულია ის სიძნელეები, რომელთა გადალახვა გამუდმებით უხდებათ საცნობარო მომსახურების პროფესიონალებს. ამიტომ ისინი ყოველ წელს აწყობენ კონფერენციებს და

სემინარებს, სადაც ისინი უზიარებენ ერთმანეთს ახლად შეძენილ გამოცდილებას და აქვეყნებენ საცნობარო ვებ-რესურსების, ასე ვთქვათ, „რეკომენდებულ ბიბლიოგრაფიას". ერთ-ერთი ასეთი სემინარი შედგა აშშ-ს კონგრესის ბიბლიოთეკაში 2002 წლის აპრილში სახელწოდებით „Get All You Can Out of Web Searching, Joint Spring Workshop 2002". ქვემოთ მოყვანილია ამ სემინარის მასალებში გამოქვეყნებული (http://www.freepint.com/gary/jsw2002d.htm ) ხარისხიანი საცნობარო ვებ-რესურსების სია.

- სასწავლო სახელმძღვანელოსთან დართული მაჩვენებლის მაგალითია ბიბლიოთეკარებისთვის დაწერილი სახელმძღვანელოსთან „ინტერნეტი როგორც საცნობო-ბიბლიოგრაფიული საშუალება" დართული ვების უფასო საცნობო რესურსების მაჩვენებელი – http://www.neal-schuman.com/sauers/ ;
- კომერციულ საიტებზე არსებული უფასო მაჩვენებლები: http://vrs.lssi.com/ - საბიბლიოთეკო სისტემებისა და მომსახურების ვირტუალური საცნობარო მაგიდა, http://www.factmonster.com/ipka/A0193131.html - ოჯახური განათლების ქსელი;
- სამეცნიერო ორგანიზაციების საიტებზე განთავსებული მაჩვენებლები http://www.ornl.gov/Library/reference.html - ოუკრიჯის ეროვნული ლაბორატორიის საიტის ჰიპერტექსტური მაჩვენებელი;
- სპეციალიზებული საინფორმაციო სისტემებისა და პორტალების საიტებზე განთავსებული მაჩვენებლის მაგალითია http://www.firstgov.gov/Topics/Reference_Shelf.shtml - აშშ-ს ფედერალური მთავრობის ოფიციალურ ინტერნეტ-პორტალზე განთავსებული მაჩვენებელი;
- სამეცნიერო ჟურნალების საიტებზე განთავსებული მაჩვენებლები, მაგ., http://www.dlib.org/reference.html ელექტრონული ბიბლიოთეკის დარგში ინოვაციისა და კვლევის ყოველთვიური ჟურნალის მაჩვენებელი და ა.შ.

### 4. სამთავრობო გამოცემები

ელექტრონული ინფორმაციის 1996 წელს მიღებული თავისუფლების კანონი (The Electronic Freedom of Information Act) მიმართული იყო უფრო ღია სამთავრობო საინფორმაციო პოლიტიკისკენ. სამთავრობო ინფორმაციის განთავსებამ სამთავრობო სააგენტოების ვებ-საიტებზე და ელექტრონული სამკითხველო დარბაზების შექმნამ ბიბლიოთეკებში გაუადვილა ამერიკის მოქალაქეებს სამთავრობო დოკუმენტების მიღება და მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ თავისი აზრის მიწოდება ოფიციალურ პირთათვის. „საზოგადოების უდიდესი იმედი ელექტრონული მთავრობის შექმნასთან დაკავშირებული იყო მთავრობის უფრო დიდ ანგარიშვალდებულების მიღწევაში საზოგადოების წინაშე და 11 სექტემბრის შემდეგაც ეს დარჩა უდიდეს იმედად" [2].

სამთავრობო სააგენტოების ვებ-საიტები ინფორმაციის მომხმარებელთათვის იდეალურ ადგილებს წარმოადგენენ, რადგან იქ განთავსებულია საიმედო, სანდო, ავტორიტეტული და ფართო დიაპაზონის მქონე ინფორმაცია. ჭეშმარიტად, აშშ-ს სამთავრობო გამოცემების უმეტესი ნაწილი უფასოდ არის ხელმისაწვდომი ვებზე. სამთავრობო ინფორმაციის ერთ-ერთი პირველი უმდიდრესი ვებ-საიტი შექმნა სამთავრობო გამოცემების ოფისმა: http://www.access.gpo.gov/. სამთავრობო ფედერალური ფორმებით, ბლანკებითა და ფაქტოგრაფიული ინფორმაციით მდიდარია Census Bureau-ს ვებ-საიტი. მომხმარებელთა შორის პოპულარულია აშშ-ს კომერციის დეპარტამენტის ვებ-საიტი, რომელზეც პასუხისმგებელია ეროვნული ტექნიკური ინფორმაციის სამსახური: http://www.fedworld.gov/. ასევე პოპულარულია სამომხმარებლო ინფორმაციის ფედერალური ცენტრის ვებ-საიტი: http://www.info.gov/,

სადაც მომხმარებელი პოულობს პასუხებს სოციალურ უზრუნველყოფაზე, ფედერალურ სესხებსა და გრანტებზე, ჯანდაცვაზე და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე.

ჭეშმარიტება აგრეთვე იმაში მდგომარეობს, რომ არც ერთ ძებნის მექანიზმს არ შეუძლია ნებისმიერი სამთავრობო დოკუმენტის პოვნა. ამიტომ ბიბლიოთეკარები უზიარებენ საზოგადოებას სამთავრობო დოკუმენტების ძებნის თავის ცოდნასა და გამოცდილებას შესაბამისი ვებ-საიტების შექმნით. ასეთი ვებ-საიტების სამი მაგალითია:

- Florida Electronic Federal Depositary Library: http://www.uflib.ufl.edu/fefdl/,
- The Univercity of Michigan Document Center: http://www.lib.umich.edu/govdocs/,
- http://www.ornl.gov/Library/reference.html.

გარდა ამისა, არსებობენ სამთავრობო ინფორმაციის ძებნის სხვა მნიშვნელოვანი საშუალებებიც, მაგალითად პორტალები, როგორიცაა: FirstGov ან http://www.govstar.com ,და სპეციალიზებული ძებნის ინტერფეისები,როგორიცაა: American FactFinder Census Bureau-ს ვებ-საიტზე ან U.S.Government (იგივე unclesam) Google-ში და ა.შ.

შევაჩეროთ ყურადღება უფრო დაწვრილებით აშშ-ს ფედერალური მთავრობის ოფიციალური პორტალის (FirstGov) ვირტუალურ საცნობო თაროზე (Reference Shelf), ვინაიდან ფედერალური მთავრობა აწარმოებს საცნობო ინფორმაციის ძალიან დიდ რაოდენობას, რომლის ნახვა და მიღება შეიძლება უშუალოდ სახელმწიფო საიტებიდან. საცნობო თაროს რუბრიკატორი შედგება ათი რუბრიკისგან, ხოლო თითოეულ რუბრიკაში მოთავსებულია ჰიპერკავშირები სამთავრობო საიტებზე. ზოგი რუბრიკა გამოყოფილია სამთავრობო დოკუმენტების ტიპის მიხედვით (ფორმები, ანკეტები, პრესრელიზები, პუბლიკაციები), ზოგი ასახავს ხშირად მოთხოვნილ შეკითხვებს (საკონტაქტო ინფორმაცია, კარტოგრაფიული ინფორმაცია, სტატისტიკა, კანონები და კანონქვემდებარე აქტები, მთავრობის დადგენილებები და ა.შ.). ცალკეა გამოყოფილი დოკუმენტები, რომლებიც ხელმისაწვდომია მხოლოდ ელექტრონული სახით, სამთავრობო მონაცემთა ბაზები, იმ ორგანიზაციების საიტები, რომლებიც ვალდებული არიან სამთავრობო ინფორმაციის გავრცელებაზე და ხელმისაწვდომობაზე, ძირითადი კანონი, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის თავისუფლებას (Freedom of Information Act – ინფორმაციის თავისუფლების აქტი). რუბრიკატორის ასეთი შერეული კატეგორიზაცია ფარავს აშშ-ს მოსახლეობის მთავრობისადმი დასმული შეკითხვების ყველა სახეს და საიტზე სწრაფად ორიენტაციის საშუალებას იძლევა.

ბუნებრივია, რომ ამერიკის მთავრობამ 11 სექტემბრის შემდეგ, ამერიკელი ხალხის დასაცავად ტერორისტების შესაძლო თავდასხმებისაგან, დაიწყო თავისი საინფორმაციო პოლიტიკის გადასინჯვა და კერძოდ, თუ რა ინფორმაცია შეიძლებოდა დარჩენილიყო თავისუფლად ხელმისაწვდომი სამთავრობო სააგენტოების ვებ-საიტებზე. ამ გადასინჯვის შედეგად ამოღებულ იქნა ისეთი ინფორმაცია, რომლის მტრულად გამოყენების შესაძლებლობა იყო მიჩნეული დასაშვებად ისეთი სამთავრობო სააგენტოების ვებ-საიტებიდან, როგორიცაა: Nuclear Regulatory Commission, Federal Energy Regulatory Commission, the Environmental Protection Agency, the Federal Aviation Administration, the Department of Transportation's Office of Pipeline Safety, the National Archives and Records Administration, the NASA Glenn Research Center, the International Nuclear Safety Center, the Los Alamos National Laboratory და სხვ.

## 5. დასკვნები

ინფორმაციის თავისუფლება და ხალხისადმი ანგარიშვალდებული ღია მთავრობა საფუძვლად უდევს ამერიკულ ფასეულობებს და ცხოვრების წესს. ჯერ კიდევ 1816 წელს ტომას ჯეფერსონმა თქვა „თუ ჩვენ გვინდა თავი დავიცვათ უმეცრებისგან და შევინარჩუნოთ თავისუფლება, მაშინ ყოველი ამერიკელი ვალდებულია იყოს ინფორმირებული". ამ ტრადიციის გამო ამერიკის შეერთებული შტატების უფასო საცნობო-ბიბლიოგრაფიული წყაროები ვებზე გამუდმებით იზრდება და იცვლება. გამოცდილი ბიბლიოთეკარები და საინფორმაციო სპეციალისტები განუწყვეტლივ ადევნებენ თვალს ამ რესურსებს და ქმნიან ძებნის მრავალფეროვან საშუალებებს, რომელთა მაგალითები ზემოთ იყო მოყვანილი.

ინფორმაციის ეფექტიანი ძებნის ჩასატარებლად ბიბლიოთეკარმა, საინფორმაციო მუშაკმა თუ ჩვეულებრივმა მომხმარებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ საჭიროა ათვისებულ იქნეს ვების უფასო საცნობო რესურსების რამდენიმე ავტორიტეტული ჰიპერტექსტური მაჩვენებელი, ფართო პროფილის ფაქტოგრაფიულ შეკითხვებზე სწრაფი პასუხის მისაღებად უნდა იყოს გამოყენებული ვების ისეთი ცნობილი საცნობარო საიტები, როგორიცაა: http://xrefer.com/ , http://www.itools.com/research/ , http://www.search.com/search?channel=19 , ან http://www.about.com. თუ ფაქტოგრაფიული ინფორმაციის მოსაძებნად ინტერნეტი მუდმივად არის გამოყენებული და ვების უფასო საცნობო რესურსების ერთი ან რამდენიმე მაჩვენებელი არ არის ამ დროს მუდმივად გამოყენებული, მაშინ საჭიროა ვების უფასო საცნობო რესურსების საკუთარი მაჩვენებლის შექმნა, რომელიც ყველაზე კარგად იქნება მორგებული საინფორმაციო მოთხოვნებზე.

მისწრაფება ისეთი საიტის ან მაჩვენებლის შესაქმნელად, რომელშიც თავმოყრილი იქნება ყველა საჭირო საცნობო რესურსი, როდესაც ერთი გაჩერებით (one-stop) ამ საიტზე საკმარისია ყველა საინფორმაციო მოთხოვნილების დაკმაყოფილება, საპირისპიროა იმ მისწრაფებისა, როდესაც ერთი დაწკაპებით (one-click) შესაძლებელია მოცემული მაჩვენებლიდან პირდაპირ საჭირო საცნობო რესურსზე მისვლა. თუმცა კერძო შემთხვევებში კონკრეტული საგნობრივი არისათვის და კონკრეტული აუდიტორიისათვის ეს საპირისპირო მისწრაფებები შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნეს საცნობო რესურსების ღრმა ცოდნისა და დიდი გამოცდილების ხარჯზე.

*ამ სტატიაში ყველგან, სადაც ვებ-მისამართი (URL) არ არის მითითებული. ინგლისურად არის მოყვანილი დასახელებები, რომელთა მიხედვით შეიძლება სწრაფად მოინახოს შესაბამისი ვებ-საიტი რომელიმე ზოგადი ძებნის მექანიზმის გამოყენებით.*

### გამოყენებული ლიტერატურა


1. Katz, William A. „Introduction to reference work". Volume 1. – 8th ed. – 2002.
2. Gordon-Murnane, Laura, „Access to Government Information in a Post 9/11 World". – Searcher, v.10, n.6, June, 2002. – p. 50-62.

ნანა ციხისთავი
ს.ს. ორბელიანის სახელობის თბილისის
სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის
მსოფლიო ისტორიის კათედრის დოცენტი

# აშშ-ის 100 წლის ისტორია - XX საუკუნე (ავტორი: პროფ. ნ.ნანიტაშვილი, თბ., 2002 წ.) - სახელმძღვანელოს ანალიზი

თანამედროვე ეტაპზე აშშ-საქართველოს ურთიერთობებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც სამხედრო-სტრატეგიული, ასევე პოლიტიკურ-ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროში. ამიტომ, აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ხალხში მკვეთრად იზრდება ინტერესი აშშ-ის ისტორიისადმი. 1989 წლამდე ჩვენში არსებული ნაშრომები აშშ-ის შესახებ ტენდენციური და ცალმხრივი იყო, რასაც მოითხოვდა კიდეც საბჭოური ისტორიოგრაფია. ყველა ნაშრომს აშშ-ის შესახებ მკვეთრად ანტიამერიკული ელფერი ჰქონდა და არანაირი ღირებულება და მნიშვნელობა სადღეისოდ არ გააჩნია. დღეს, აუცილებელია, ისტორიკოსებმა შექმნან აშშ-ის რეალური ისტორიის ობიექტური სურათი, რომელიც გაშუქდება ყოველი მხრიდან და შეავსებს იმ უზარმაზარ ვაკუუმს, რაც საბჭოთა პერიოდში არსებობდა. ძირითადი ინფორმაციის წყარო ზემოთ აღნიშნულ პერიოდში იყო პრესა და ტელევიზია, ისიც ძალზედ შეზღუდული, გარკვეულ ჩარჩოში მოქცეული. ამიტომ ისტორიკოსებს არ ჰქონდათ საშუალება ემუშავათ მათთვის საინტერესო პრობლემებზე. რაც ყველაზე მთავარია, ჩვენ ახლოს არ ვიცნობდით ამერიკული საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს, მის მისწრაფებებს, გემოვნებას, ცხოვრებისა და აზროვნების წესს, ფასეულობათა ორიენტირებს. ყოველივე ამის გარეშე ხომ ძნელად დაიწერება ამა თუ იმ ერისა და სახელმწიფოს ისტორია.

გასული XX საუკუნე ჩვენს ყურადღებას იპყრობს მკვლევრებით,რომლებიც ცდილობდნენ, შეეფასებინათ აღნიშნული 100-წლიანი პერიოდი, გამოეტანათ მთელი რიგი დასკვნები საამისოდ. აღნიშნული ინტერესი და ყურადღება XX ს-ის მიმართ, ერთი შეხედვით, არ არის საზეიმო განწყობის მომგვრელი, რადგან ეს საუკუნე იყო ყველაზე მეტად ნაყოფიერიც და ტრაგიკულიც თანამედროვე ცივილიზაციისათვის. მან გამოაღვიძა ადრე უცნობი და, ერთი შეხედვით, განუსაზღვრელი შესაძლებლობები მატერიალური კულტურის განვითარებისა და, ამასთან, კაცობრიობა დააყენა გლობალური კატასტროფის წინაშე.

დღესდღეობით ისტორიკოსები ფლობენ დიდი რაოდენობით ისტორიულ პირველწყაროებს მათი შესწავლისა და მეცნიერული ანალიზისა, რაც საშუალებას იძლევა, გადავიდეთ ახალ დონეზე, რომელსაც მივყავართ საერთო ისტორიული პროცესის გამოვლენამდე და შესაძლო ურთიერთქმედებამდე არსებულ ცივილიზაციათა ვარიანტებს შორის, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია თვით კაცობრიობის ცივილიზაციის გადარჩენა მთლიანობაში. სინთეზურ მიდგომასა და ხედვას ითხოვს ობიექტური პროცესი - სხვადასხვა ხალხების ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის პროცესი, მათი დაახლოვება თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის საფუძველზე, განათლების გავრცელება, რამაც უკვე დაანგრია აქამდე გადაულახავი საზღვრები ცივილიზაციებს შორის. ისტორიული პროცესის ანალიზის

ასეთი მიდგომა დამახასიათებელია დასავლეთ ევროპის, აშშ-ის და კანადის ისტორიკოსთა მნიშვნელოვანი ნაწილისათვის, რომლებიც აღიარებენ ისტორიული პროცესის საყოველთაობას, ხალხების თანდათანობით განვითარებას, მსოფლიო ცივილიზაციის ერთიანობას ლიდერი – დასავლეთ ევროპის მიღწევების საფუძველზე. გასული საუკუნე დემონსტრირებას უკეთებს ასეთი შეფასების ერთგვარ დამკვიდრებას. მართლაც, მესამე სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის მიღწევები პოსტინდუსტრიულ ეპოქაში უფრო მეტად აკავშირებს სხვადასხვა ქვეყნებს მსოფლიო მეურნეობის ჩარჩოებში. მათ გამოიწვიეს ცხოვრებაში კომუნიკაციათა გლობალური სისტემების შექმნა, ხელი შეუწყვეს მრავალი ქვეყნის ტრანსფორმაციას, ხალხის ცხოვრების დონისა და სტილის ნიველირებას, დააჩქარეს კონვერგენციის პროცესი. იმავდროულად, ტექნოლოგიური პროცესის განვითარებამ გამოიწვია კაცობრიობის მისვლა გლობალური ეკოლოგიური და ბირთვული კატასტროფის ზღვრამდე, გაამწვავა დემოგრაფიული პრობლემა, რესურსები და სხვ. ყოველივე ზემოთ ხსენებულის გამო, ხალხებმა და ქვეყნებმა იგრძნეს თავიანთი ურთიერთდამოკიდებულება, არამხაობა იმისათვის, რომ სათითაოდ გადაწყვიტონ გლობალური პრობლემები.[1]

აქედან გამომდინარე, ძალზე აქტუალური ხდება ისეთი სახელმწიფოს ისტორიის გაცნობა 100 წლის მანძილზე - XX ს-ში, როგორიც არის აშშ. ალბათ, ამ კუთხით, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს პროფ. ნ. ნანიტაშვილის უკანასკნელი მონოგრაფიის - აშშ-ის 100 წლის ისტორიის - განხილვა-ანალიზი. აღსანიშნავია, რომ ხსენებული ნაშრომი არის პირველი მცდელობა, ქართულ ენაზე შექმნილიყო ორიგინალური სახელმძღვანელო. ალბათ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ დღესდღეობით არც მაინცდამაინც ვართ განებივრებულები ქართულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურით თუ სახელმძღვანელოებით ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალ და უახლეს ისტორიაში. საგულისხმო ფაქტია, რომ სწორედ მეოცე საუკუნეში აშშ იქცევს მსოფლიოს წამყვანი თუ დამოკიდებული სახელმწიფოების ყურადღებას, რადგან მისი საშინაო თუ საგარეო პოლიტიკა, ეკონომიკა, საერთაშორისო ურთიერთობები მიმართულია სამყაროში თვისებრივად ახალი მართლწესრიგის დასამყარებლად.[2]

ნ. ნანიტაშვილის ზემოთ აღნიშნულ სახელმძღვანელოში „აშშ-ს 100 წლის ისტორია - XX საუკუნე", ავტორი წინასიტყვაობაში აღნიშნავს, რომ წიგნი XX ს-ის აშშ-ს ისტორიას ეძღვნება. მის პირველ ნაწილში განხილულია საშინაო, მეორეში საგარეო პოლიტიკა. ორივე ნაწილი წარმოადგენს ავტორის მრავალწლიანი მუშაობის შედეგს. აშშ-ის უახლესი ისტორიის სწავლებაში ავტორს პედაგოგიური მუშაობის 40 წელზე მეტი ხნის გამოცდილება აქვს და ამ ხნის მანძილზე აშშ-ის ისტორია მისთვის ყოველდღიური შესწავლის საგანს წარმოადგენდა (პროფ. ნ.ნანიტაშვილი იყო ს.ს. ორბელიანის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის მსოფლიო ისტორიის კათედრის გამგე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მრავალი გამოკვლევის, სახელმძღვანელოსა და სტატიის ავტორი ახალ და უახლეს ისტორიაში. მისი კვლევის ძირითადი ობიექტი იყო გერმანული და, საერთოდ, უცხოური კაპიტალის საქმიანობა ამიერკავკასიაში XIX - XX საუკუნეების მიჯნაზე. ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უახლეს ისტორიაში ნ. ნანიტაშვილს გამოქვეყნებული აქვს რვა ფუნდამენტური წიგნი - სახელმძღვანელო, რომლის საერთო მოცულობა 200 თაბახს აღემატება და ასზე მეტი სტატია ჟურნალ-გაზეთებში, რომლებშიც ახალი და უახლესი ისტორიის საკითხებია განხილული).

ზემოთ აღნიშნული ნაშრომი ახალი თვალთახედვითაა დაწერილი (ნ. ნ.). ავტორს წიგნში გამოყენებული აქვს აშშ-ის უახლეს ისტორიაზე არსებული მონოგრაფიები, სტატიები, სახელმძღვანელოები და მრავალი სახის პუბლიკაცია რუსულ და უცხოურ ენებზე. ორივე ნაწილში გაანალიზებულია ქვეყნის შიდა-პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, იდეოლოგიური და საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც ვითარდებოდა XX ს-ის განმავლობაში. აშშ-ის პრეზიდენტების - უილიამ მაკკინლის, თეოდორ რუზველტის, უილიამ ს. ტაფტის, ვუდრო უილსონის, უორენ ჰარდინგის, კალვინ კულიჯის, ჰერბერტ ჰუვერის, ფრანკლინ რუზველტის, ტრუმენის, ეიზენჰაუერის, კენედის, ჯონსონის, ნიქსონის, ფორდის, კარტერის, რეიგანის, ბუშის და კლინტონის საშინაო და საგარეო პოლიტიკა. შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად არის გაშუქებული ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხები, როგორიცაა ბერლინის პირველი და მეორე კრიზისი, სუეცის კრიზისი, უნგრეთის კრიზისი, კარიბის ყველაზე მწვავე კრიზისი, ჩინეთის, კორეის და ვიეტნამის კრიზისები, ავღანეთის, იუგოსლავიის და პანამის საერთაშორისო კრიზისები, რომლის დროსაც მსოფლიო ბირთვული ომის ზღვარზე იდგა. ეს კრიზისები ორგანიზებული იყო მოსკოვის მიერ და ტარდებოდა მისი აგენტურის მიერ მსოფლიოს ყველა კუთხეში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საბჭოთა მხარე დაეუფლა ბირთვულ იარაღს. გაშუქებულია, აგრეთვე, „ცივი ომისა" და მისი შემდგომი ე.წ. პარტნიორების პერიოდი, ბირთვული განიარაღების ხელშეკრულებები, ეკონომიკური განვითარების, სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი სტრუქტურების სრულყოფის საკითხები. XX საუკუნის აშშ-ის ისტორია ასე კომპლექსურად ქართულ ენაზე პირველად გამოდის საქართველოში. ორივე ნაწილში ქრონოლოგიური და ლოგიკური თანამიმდევრობით არის გაშუქებული უზარმაზარი რაოდენობის მასალა. (სახელმძღვანელო 680 გვერდიანია).[3]

ნაშრომში დიდი რაოდენობითაა მოცემული თარიღები და სტატისტიკური მონაცემები, ხოლო ნაკლებია მნიშვნელოვანი მოვლენებისა და საკითხების ავტორისეული ანალიზი, რაც უფრო საინტერესო იქნებოდა მკითხველისათვის. ასევე, წვრილი შრიფტითაა მოცემული დამატებითი ინფორმაცია პოპულარულ პიროვნებებზე, პარტიებზე, გახმაურებულ პოლიტიკურ „სკანდალებზე", ამერიკის სამართლებრივ და საარჩევნო სისტემაზე, აშშ-ის ღირშესანიშნაობებზე; წიგნი შეიცავს XX საუკუნის აშშ-ის პრეზიდენტების ფოტოებს, ასევე დანართებს ამერიკის შტატების დედაქალაქებისა და თვითონ შტატების მიღების თარიღებს; 1787 წლის კონსტიტუციის მიხედვით აშშ-ის სახელმწიფო წყობის სქემებს; ცხრილს - XX ს-ის აშშ-ის პრეზიდენტების, პრეზიდენტობის კანდიდატებისა და არჩევნების შედეგებისა; აშშ-ის სახელმწიფო მდივნების გვარების ჩამონათვალს და მოღვაწეობის წლებს (ასევე თავდაცვის მინისტრებისა); ცხრილს პარტიების დეპუტატთა რაოდენობისა კონგრესის ორივე პალატაში XX ს-ში; აშშ-ის უზენაესი სასამართლოს შემადგენლობის ჩამონათვალს თარიღებითურთ; ქრონოლოგიას და მოკლე სარეკომენდაციო ლიტერატურას ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენაზე და ერთგვერდიან ინგლისურენოვან რეზიუმეს.[4]

სახელმძღვანელო კლასიკურ კონცეპტუალურ მოდელზეა აგებული, ამიტომ მისთვის დამახასიათებელია შემდეგი კომპონენტების წინა პლანზე წამოწევა: პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, იდეოლოგიური. რატომღაც ავტორი გვერდს უვლის კულტურულ კომპონენტს და მასში შემავალ სფეროებს. აღსანიშნავია, რომ კლასიკური კონცეპტუალური მოდელი ყველაზე უკეთ აღქმულ-გათავისებული იყო

საბჭოთა პერიოდში მარქსისტი ავტორების მიერ. თუმცა, პროფ. ნ. ნანიტაშვილი შესავალ სიტყვაში აღნიშნავს, რომ ნაშრომი ახალი თვალთახედვითაა დაწერილი, არ უთითებს, თუ დასავლური ისტორიოგრაფიის რომელი სკოლის ან მიმდინარეობის ხედვას ითვალისწინებს. ჩვენი აზრით, კარგი იქნებოდა, რომ სახელმძღვანელოს შესავალში წარმოდგენილი ჰქონოდა ისტორიოგრაფიული მიმოხილვა, სადაც იქნებოდა მოკლე ანალიზი იმისა, თუ საბჭოური პერიოდიდან მოყოლებული რა გაკეთდა ამერიკის ისტორიის შესწავლის კუთხით და აღნიშნული სახელმძღვანელო რა სახის სიცარიელის შევსებაში დაგვეხმარება აშშ-ის ისტორიის შესწავლის კუთხით. ფაქტია, რომ ავტორი არ ითვალისწინებს ამერიკელი თვალსაჩინო ისტორიკოსის ფუკუიამას ინტერპრეტაციას ამერიკული დემოკრატიის განვითარებისა. იგი ძირითადად აქცენტს აკეთებს ეკონომიკისა და პოლიტიკის როლზე სახელმწიფოს აღმავლობის პროცესში, წინა პლანზეა წამოწეული აშშ-ის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, აშშ - საერთაშორისო არენაზე; ე.ი. მთავარი ყურადღება გადატანილი აქვს სახელმწიფოებრივი სტრუქტურების, ეკონომიკური ბერკეტების, პოლიტიკური ინტერესების ფორმირებაზე. ყურადღების მიღმა რჩება ამერიკული საზოგადოება, როგორც განსაკუთრებული ფენომენი - იქ არსებული ცხოვრების რითმი, ყოველდღიურობა, ინტერესები, ადამიანის როლი და ადგილი საზოგადოებაში, ამერიკული საზოგადოების წარმატებულობის მიზეზები, ამერიკული სწავლა-განათლების ფენომენი, სამოქალაქო განათლების წარმატებანი და უპირატესობანი არა მარტო ამერიკულ საზოგადოებაში, არამედ სხვაგანაც, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ურთიერთობა, რელიგიათა როლი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ცხოვრებაში.[5]

როდესაც აღნიშნულ სახელმძღვანელოზე ვსაუბრობთ, მხედველობაში უნდა მივიღოთ ნაშრომის სოციალური ფუნქციები: პირველი - შემეცნებით - ინტელექტუალურად განმავითარებელი, რომელიც მდგომარეობს კონკრეტულ შემთხვევაში აშშ-ის 100-წლიანი ისტორიული გზის შესწავლაში ობიექტური ჭეშმარიტების დანახვის მიზნით ისტორიზმის პოზიციებიდან. ის ხომ ასახავს ყველა მოვლენას და პროცესს, რაც ხდებოდა აშშ-ში აღნიშნულ პერიოდში; მეორე - პრაქტიკულ-პოლიტიკური, რომლის არსიც ის არის, რომ ისტორიამ, როგორც მეცნიერებამ, უნდა გამოავლინოს საზოგადოების განვითარების კანონზომიერებანი ისტორიული ფაქტების თეორიული გააზრების საფუძველზე, ხელი შეუწყოს, შეიმუშაოს მეცნიერულად ჩამოყალიბებული პოლიტიკური კურსი, განერიდოს სუბიექტურ გადაწყვეტილებებს. წარსულის, აწმყოსა და მომავლის ურთიერთობაშია ადამიანთა ინტერესის ძირები საკუთარი ისტორიის მიმართ. მესამე ფუნქცია - ესაა მსოფლმხედველობრივი. ისტორია ქმნის დოკუმენტურად ზუსტ მოთხრობებს წარსულის გახმაურებულ მოვლენებზე, რომლითაც საზოგადოების განვითარებაა გამოწვეული. მსოფლმხედველობა - ესაა სამყაროს შესახებ შეხედულება, ასევე საზოგადოებაზე, განვითარების კანონებზე გარკვეული ხედვა. მეოთხე ფუნქცია - ეს გახლავთ უდიდესი აღმზრდელობითი ზეგავლენა - მოქალაქეობრივი, პატრიოტული, ინტერნაციონალური, ტოლერანტული და შემწყნარებლური თვისებების განვითარება; მორალურ-ზნეობრივი და უფლება-მოვალეობითი კრიტერიუმების ჩამოყალიბება.[6]

ზემოთ ჩამოთვლილი ოთხი ფუნქციიდან, პროფ. ნ. ნანიტაშვილის ნაშრომში გათვალისწინებულია პირველი ორი ფუნქცია: შემეცნებითი და პრაქტიკულ-პოლიტიკური, ისიც მეტ-ნაკლები ინტენსივობით. აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელოში მთლიანად არ არის მოთავსებული ინფორმაცია - განხილული ისტორიზმის პრინციპით: არის უამრავი ფაქტობრივი მასალა, თარიღები, სტატისტიკა,

მაგრამ ნაკლებია ავტორისეული შეხედულებები ამა თუ იმ საკითხზე; იგრძნობა ავტორის უდიდესი სურვილი, სისტემაში მოიყვანოს აშშ-ის ისტორიის უზარმაზარი მასალა და ამგვარად, ჩამოუყალიბოს სტუდენტებს ცოდნა (დაწვრილებითი ინფორმაცია აშშ-ის ეკონომიკის, პოლიტიკის, დიპლომატიის, სახელმწიფო მმართველობის შესახებ), მაგრამ ნაკლებადაა სახელმძღვანელოში ის შესაძლებლობა, რაც აშშ-ის 100 წლის ისტორიის მაგალითზე ისტორიულ აზროვნებას განაპირობებს. დანარჩენი ორი ფუნქცია საერთოდ არ არის გათვალისწინებული.

რაც შეეხება სახელმძღვანელოს მეთოდოლოგიურ წანამძღვრებს, იგი მატერიალისტურია, უფრო კონკრეტულად კი - დიალექტიკურ-მატერიალისტური, რომელიც განიხილავს საზოგადოების განვითარებას როგორც ბუნებრივ-ისტორიულ პროცესს, რომელიც განისაზღვრება ობიექტური კანონზომიერებებით და ამასთან ერთად იმყოფება სუბიექტური ფაქტორების ზეგავლენის ქვეშ მასების, კლასების, პოლიტიკური პარტიების,ბელადებისა და ლიდერების მოღვაწეობის შედეგად.

ამასთან ერთად, ავტორი ასევე იყენებს კვლევის სპეციალურ-ისტორიულ მეთოდებს – ქრონოლოგიურს და სტატისტიკურს. რაც შეეხება ისტორიული ფაქტების შესწავლის პრინციპს, 4 ძირითადი პრინციპიდან (ისტორიზმის, ობიექტურობის, სოციალური მიდგომებისა და ალტერნატიულობის) მხოლოდ ისტორიზმის პრინციპის მიმდევარია. ყველა ისტორიულ ფაქტსა და მოვლენას ის იხილავს კონკრეტულ-ისტორიულ გარემოებასთან კავშირში, აქცენტს აკეთებს მათ ურთიერთკავშირსა და ურთიერთმიმართებაზე. ყველა ისტორიული მოვლენა შესწავლილი აქვს მის განვითარებაში: როგორ წარმოიშვა, განვითარების რომელი ეტაპები განვლო და რად იქცა საბოლოოდ.

რაც შეეხება პერიოდიზაციის თემას, ავტორი აღნიშნულ ნაშრომში არღვევს საბჭოური ისტორიოგრაფიიდან გამოყოლილ ტრადიციას და აშშ-ის უახლეს ისტორიას იწყებს არა 1918 წლიდან, არამედ XIX-XX საუკუნეთა მიჯნიდან. პირველ ნაწილში წარმოდგენილ აშშ-ის საშინაო პოლიტიკაში დომინირებს ეკონომიკის საკითხები. შეიძლება ითქვას, რომ საშინაო პოლიტიკა პროფ. ნ.ნანიტაშვილს ეკონომიკურ ჭრილში აქვს წარმოდგენილი, რაც გაშლილია დიდი რაოდენობით ციფრებისა და სტატისტიკური მონაცემების ხარჯზე. ნაშრომი იწყება „ფოლადის საუკუნის" განმარტების მიცემით, ძირითადი აქცენტი გაკეთებულია ჯერ ეკონომიკურ, შემდეგ პოლიტიკურ განვითარებაზე XIX–XX საუკუნეების მიჯნაზე; აშშ 1918–23 წლებში. ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება; ეკონომიკური აღმავლობა სტაბილიზაციის პერიოდში - პროსპერითი; აშშ 1929–33 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დროს; ფ.რუზველტის „ახალი კურსი"; სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის შექმნა და განვითარება; ეკონომიკური განვითარება 1960–70-იან წლებში; მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მასობრივად დანერგვა წარმოებაში; 1980-იანი წლების ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება – რეიგანომიკა. ხოლო, მეორე ნაწილში კი დომინირებს მსოფლიოს გლობალური საკითხების წარმოჩენის მცდელობა: აშშ-ის ურთიერთობა დასავლეთ ევროპის წამყვან სახელმწიფოებთან, საბჭოთა კავშირთან, აშშ-ის პოლიტიკა სოციალისტური ბანაკის ქვეყნებთან, განვითარებად ქვეყნებთან, განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების მიმართ; აშშ-ის დამოკიდებულება ცნობილ „კრიზისებთან", ურთიერთობა გაეროსთან, ნატოსთან, ჩინეთთან, იაპონიასთან, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან, რუსეთთან.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პროფ. ნ. ნანიტაშვილს არა აქვს გამოყენებული ცნობილი ამერიკელი მეცნიერის- სოციოლოგის, პოლიტოლოგის,

ეკონომისტისა და ისტორიკოსის - უ. როსტოუს თეორია - ეკონომიკური ზრდის სტადიების შესახებ, რომელიც შეიქმნა XX ს-ის 60-იან წლებში. მან გამოყო ეკონომიკური ზრდის 5 სტადია: ტრადიციული საზოგადოება; ჩამოყალიბების ანუ გარდამავალი საზოგადოება; აღმასვლის პერიოდის საზოგადოება; მომწიფულობის პერიოდის საზოგადოება; მასობრივი მოხმარების ერა. როსტოუს აზრით, ეს არის თეორია ისტორიის შესახებ, რომელიც თანამედროვე პერიოდში მარქსიზმის ალტერნატივაა.

ნაშრომს აშკარად ეტყობა, რომ წინარე პერიოდში ავტორი წერდა საბჭოური სულისკვეთებითა და იმ პერიოდში დამკვიდრებული მეთოდებითა და ხერხებით. ეს იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი დატვირთვის ნაშრომში (მეტწილად კი სახელმძღვანელოში) უნდა გაცელებულიყო საბჭოთა კავშირის დამსახურება მსოფლიო თანამეგობრობის წინაშე და ერთგვარი შიში „იმპერიალიზმის ბურჯის - აშშ-ის მიმართ". ამ სახელმძღვანელოში ავტორმა უკვე აღარ წამოსწია წინა პლანზე სსრკ-ს თემა, მაგრამ ზოგადი წარმოდგენა აშშ-ზე მაინც ასეთი რჩება: ძალის დემონსტრირება სამყაროს წინაშე (რასაც თანაუგრძნობდა საბჭოური ისტორიოგრაფია) და არა თავისუფალი, დემოკრატიული ფასეულობების საფუძველზე ჩამოყალიბებული გამარჯვებული საზოგადოება და სახელმწიფოებრივი სტრუქტურები. ჩვენი აზრით, ამ კუთხით შესრულებული ნაშრომი, ალბათ, უფრო საინტერესო იქნებოდა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნამდვილად მისასალმებელ და უაღრესად საჭირო ნაშრომთან გვაქვს საქმე, ის უდავოდ თავის ადგილს დაიკავებს ქართულ ისტორიოგრაფიაში. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის მომენტი, რომ აღნიშნული ნაშრომი იწყება XIX-XX საუკუნეების მიჯნით და მთავრდება XX ს-ის დასასრულით. მიგვაჩნია, რომ აშშ-ზე გაცილებით მეტი ინფორმაცია უნდა ჰქონდეთ ქართველ მკითხველს და დაინტერესებულ პირებს; საჭიროა შეიქმნას ახალი სახელმძღვანელო, რომელიც, ალბათ, დაიწყება ამერიკის აღმოჩენით ან გაცილებით ადრეული პერიოდით და შეეხება მოვლენებს დღევანდლამდე. სადღეისოდ კი ფაქტია, რომ აშშ თამაშობს დიდ როლს მთელს მსოფლიოში, განსაკუთრებით კი სულ უფრო აქტუალური თემა ხდება აშშ-საქართველოს პარტნიორული ურთიერთობები. ამიტომ, ჩვენი აზრით, ალბათ, გასათვალისწინებელი იქნება აღნიშნული გარემოება და გარკვეულ პერიოდში (5 წელიწადში ერთხელ) აშშ-ის ისტორიის გადახალისება-შევსება, რაც აშშ-ის ისტორიის შესწავლის ცენტრის პრეროგატივაა.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Г.Б. Поляк, А.Н. Маркова. Всемірная Исторiя. М., 1998, с.1-9; 423-427; 474-78; 559-562; 583-587.
2. ნ.ნანიტაშვილი. ამერიკის შეერთებული შტატების 100 წლის ისტორია- XX საუკუნე. თბილისი, 2002, გვ. 29-34.
3. იქვე, გვ. 29-34.
4. აშშ დამოუკიდებლობის დეკლარაცია. თბილისი, 2002.
5. აშშ კონსტიტუცია, თბილისი, 1993.
6. ნ.ნანიტაშვილი. ამერიკის შეერთებული შტატების 100 წლის ისტორია – XX საუკუნე, თბილისი, 2002, გვ. 658-682.

**მანანა ხავთასი**
*ქ. რუსთავის ფიზიკა-მათემატიკური სკოლის ისტორიის პედაგოგი, რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელი*

# ამერიკული სკოლა, „პროექტი მოქალაქე“ და საქართველო

ნათქვამია „ყველა ერი ღირსია იმ ხელისუფლებისა, რომელიც მას ჰყავს“ ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რამდენადაც ასრულებს თითოეული პირი თავის მოქალაქეობრივ მოვალეობას, იმდენად აკარგიანია ქვეყნის ხელისუფლება. და მართლაც, სახელმწიფოს კეთილდღეობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გადაინაწილებენ მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას საზოგადოება, ცალკეული მოქალაქე და ხელისუფლება. ამ სამწევრიანი ერთიანობის გამართულად მუშაობა კი წარმოუდგენელია სათანადო ცოდნისა და უნარ-ჩვევების გარეშე. ამიტომაც აშშ-ის განათლების სისტემა ორ ამოცანას ემსახურება: აღზარდოს, ერთი მხრივ, ინტელექტუალური და მეორე მხრივ, აქტიური მოქალაქე.

სწავლების სისტემას, რომლის მიზანია აქტიური მოქალაქის აღზრდა, ამერიკაში სამოქალაქო განათლებას (Civic Education) უწოდებენ.[1] საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ იმდენად იმძლავრა საზღვარგარეთულმა კულტურამ, რომ ჩვენს საზოგადოებაში შეიმჩნევა სკეპტიკური დამოკიდებულება ყოველივე უცხოურისადმი. ამიტომ, უპრიანი იქნება გავცეთ პასუხი კითხვაზე: არის თუ არა სამოქალაქო განათლება სიახლე საქართველოს სკოლებისათვის? მისი ზოგიერთი ელემენტი სულაც არაა უცხო ჩვენთვის, მაგალითად:

1. საბჭოთა ეპოქაშიც და ახლაც ჩვენში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ე.წ. აღმზრდელობით მუშაობას,რომლის მიზანია ნებისმიერ სასწავლო დისციპლინაში გააღვივოს მოსწავლეებში პატრიოტიზმის, კანონისადმი პასუხისმგებლობის და მოვალეობის გრძნობა, ურთიერთთავდადება, მეგობრობა და სხვა ადამიანური ფასეულობები;

2. ჩვენ ვასწავლით „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლებს“ და „საზოგადოებათმცოდნეობას“, რითაც მოსწავლეები იღებენ ცოდნას სახელმწიფოს სტრუქტურის, კანონმდებლობის, მოქალაქეობრივი უფლება-მოვალეობის შესახებ;

3. 5-6 წელია, რაც სავალდებულო საგნად შემოვიღეთ „ბავშვის უფლებათა კონვენცია“ და „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“, რითაც ვასწავლით ადამიანის უფლებებსა და მათი დაცვის გზებს.

ყოველივე ამას მოიცავს ამერიკის სამოქალაქო განათლების სისტემაც, მაგრამ ჩვენსა და მათ შორის ერთი დიდი თვალშისაცემი განსხვავებაა: – ჩვენს სკოლებში აქცენტი კეთდება მოსწავლეებისათვის ცოდნის, ინფორმაციის მიწოდებაზე, ისინი კი ასწავლიან ამ ცოდნის ცხოვრებაში გამოყენების უნარ-ჩვევებს. ამერიკელი ბავშვები გაკვეთილზევე შეიგრძნობენ, ხედავენ, თუ რაში გამოადგებათ ეს ცოდნა.

*მაგალითად,* როცა ისინი სწავლობენ სახელისუფლებო სტრუქტურებს, მასწავლებელი მათ ცოდნას ამოწმებს გაზეთების მეშვეობითაც. დაურიგებს ახალგამოცემულ გაზეთებს ბავშვებს და მათ უნდა მოძებნონ რომელი სტატია

ხელისუფლების რომელი ორგანოს მუშაობას ეხება. ამ დროს ბავშვში ვითარდება ანალიზის უნარი, თუ როგორ მიუსადაგოს სახელმძღვანელოს ტექსტი ყოველდღიურ ცხოვრებაში მომხდარ კონკრეტულ მოვლენას. გარდა ამისა, მოსწავლე ინტერესდება თვით საგაზეთო სტატიითაც, უღვივდება გაზეთების კითხვის სურვილი, იგი უკვე იმდღევანდელი მოვლენების საქმის კურსშია და, ამით, ვალწევთ მთავარ მიზანს — იგი აქტიური მოქალაქე ხდება. ვფიქრობ, დიდად არ შევცდები, თუ განვაცხადებ - — საქართველოს მოსწავლეების უმეტესობა იმდენად აპოლიტიკურია, რომ ისინი არათუ გაზეთებს არ კითხულობენ, არამედ, უფასო სატელევიზიო საინფორმაციო გადაცემების მიმართაც გულგრილნი არიან.[2] ეს ხომ ჩვენი სასწავლო სისტემის ბრალიცაა!

ამერიკულ სკოლაში სხვადასხვა საგნებში დიდი ყურადღება ეთმობა საგაზეთო სტატიების, საკანონმდებლო აქტების ანუ დოკუმენტების დაწერილებით გარჩევასაც. ამით ბავშვი სწავლობს დოკუმენტების ენას, იგი თავად აკეთებს დასკვნას, თუ როგორი პიროვნებაა ამა თუ იმ წერილის ავტორი, საზოგადო მოღვაწე. უფრო მეტიც, დოკუმენტებს იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, რომ ძლიერ კლასებში[3] ისტორიის საგანში მოსწავლის შეფასების მთავარი კრიტერიუმია დოკუმენტების ანალიზის უნარი. მაგალითად, მოსწავლემ გაკვეთილზე სხვადასხვა სახის წერილობითი წყაროების (საგაზეთო სტატიის, პოლიტიკოსების პირადი წერილის, კარიკატურის) მიხედვით, სახელმძღვანელოს ტექსტის ცოდნის გათვალისწინებით, წერილობით უპასუხოს შეკითხვას, სადაც მან თავისი პასუხის სისწორე უნდა დაასაბუთოს ამ წყაროების ციტატების მეშვეობით. ამით ისინი სკოლაშივე უვითარებენ მკვლევრის უნარ-ჩვევებს და, რაც მთავარია, ამ უნარის მქონე მოქალაქეს ვერავინ გააბრიყვებს არჩევნების წინ — ისინი ხომ ამ ფაქტების ანალიზს მიეჩვივნენ და არა სხვისი მოსაზრებების კარგად გამეორებას.

როგორ ვაფასებთ ქართულ სკოლაში ისტორიის ცოდნის დონეს? მოსწავლეთა რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე თუ უნივერსიტეტის მისაღებ გამოცდებზე მათ სთხოვენ სახელმძღვანელოს ტექსტის ზედმიწევნით ცოდნას და არა მოვლენების თავისუფალ ანალიზს. შესაბამისად, საშუალო სკოლის მასწავლებელიც, რაც უნდა პროგრესულად მოაზროვნე იყოს, იძულებული ხდება ხარკი გადაუხადოს სწავლების ძველებურ მეთოდს — სისტემატურად გამოკითხოს თხრობით მოსწავლეს შინ ნასწავლი პარაგრაფი და მხოლოდ ხანდახან, ღია გაკვეთილზე, შესთავაზოს ნაირ-ნაირი აქტივობები, ინოვაციური მეთოდები.

ამერიკელი მასწავლებელი განებივრებულია მეთოდური სახელმძღვანელოებით. მაგრამ სკოლის წიგნები ხშირად იცვლება, ამიტომ პედაგოგი თავდაუზოგავად მუშაობს საკუთარ თავზე. განათლების დარგში თითქოს ყველაფერი მოძრაობს, ყველანი — მეთოდისტები, მასწავლებლები ეძიებენ ახალ მიდგომას კონკრეტული გაკვეთილისადმი. თავიანთ გამოცდილებას უზიარებენ ვებ-გვერდების, ჟურნალების, მასწავლებელთა კონფერენციების მეშვეობით და ეს ყველაფერი იმ დროს, როცა თითქოსდა მასწავლებელს დიდი საზრუნავი აღარ უნდა ჰქონდეს, რადგანაც მოსწავლის ყველა სახელმძღვანელოს თან ახლავს კიდევ უფრო დიდი ზომის მასწავლებლის წიგნი, სავსე თითოეული გაკვეთილის მეთოდური რეკომენდაციებით, კითხვებით, გაკვეთილზე დასარიგებელი დამატებითი მასალებით. როდემდე დარჩება ქართველი პედაგოგისათვის ოცნებად ასეთი სახელმძღვანელოს გამოცემა?![4]

საინტერესოა შეფასების სისტემა ამერიკულ სკოლაში. ჩვენ მოსწავლეს ერთ ნიშანს ვუწერთ, სადაც ვგულისხმობთ მისი ყველა სახის შესაძლებლობების ერთიანად შეფასებას: ტექსტის ცოდნის ხარისხს, ანალიზის უნარს, კრიტიკულ აზროვნებას, მეტყველებისა და წერის კულტურას. ანუ ჩვენში არ ხდება ამ კომპონენტების ცალ-ცალკე გამოყოფა და მოსწავლე ხშირად ვერ ხვდება რომელში მოიკოჭლებს, ან რომელში კარგადა აქვს საქმე. ამერიკაში ბავშვებს აფასებენ სხვადასხვა სახით – მიცემულ დავალებაში გამოყოფენ რამდენიმე კრიტერიუმს, რითაც მოსწავლე ხვდება, თუ რას ითხოვს მასწავლებელი მისგან და ყველა ამ კრიტერიუმის მიხედვით ბავშვი იღებს ცალ-ცალკე შეფასებას. შეფასების ასეთ ნიმუშებს უწოდებენ რუბრიკებს. სანიმუშოდ ჩამოვთვლი რამდენიმე დავალების დასათაურებას: ინფორმაციის მოპოვება, საქმიანი წერილი, რუკის შედგენა, რუკის წაკითხვა, გაზეთები, მხატვრული ლიტერატურის პრეზენტაცია, პოლიტიკური კარიკატურა, რეზიუმე, დისკუსია, დებატი და სხვა. თითოეულში გამოყოფილია შეფასების 10 კრიტერიუმი.[5] მასწავლებელს შეუძლია, თავისი შეხედულებებისამებრ, შექმნას ახალი რუბრიკა, ან უკვე არსებულ კრიტერიუმებში შეიტანოს თავისი კორექტივები. საქმისადმი ასეთი მიდგომა ძალზედ გამჭვირვალეს ხდის მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობას. რა თქმა უნდა, მიღებულია სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი ტესტირებული გამოკითხვაც, მაგრამ როგორც ამერიკელ მასწავლებლებთან საუბარში გამოიკვეთა, პედაგოგებს არ მოსწონთ შეფასების ასეთი ფორმა, რადგანაც ტესტი სრულყოფილად ვერ წარმოაჩენს ბავშვის ცოდნის ხარისხს.

სამოქალაქო განათლების სისტემის სრულყოფაში ამერიკის განათლების დეპარტამენტთან აქტიურად თანამშრომლობს დამოუკიდებელი ორგანიზაცია „სამოქალაქო განათლების ცენტრი", რომელსაც შემუშავებული აქვს ნაციონალური სტანდარტები.[6] მათ მიერვე შემუშავებული პროგრამებიდან[7] ზოგი რამ ყველასთვის სავალდებულოა, ხოლო ზოგს ირჩევს სკოლა. ამ არჩევითი საგნებიდან, განსაკუთრებით აღსანიშნავია „პროექტი მოქალაქე". ეს პროგრამა ამერიკაშიც სულ ახალი შემოღებულია. იგი ეხმარება ახალგაზრდებს ადამიანებთან, სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლებთან ურთიერთობის ჩვევების გამომუშავებაში. ისინი ირჩევენ თავიანთი სკოლის ან მიკრორაიონის პრობლემას, სადაც თავად ცხოვრობენ. იგი უნდა იყოს ადგილობრივი და არა გლობალური სახის. შემდეგ გამოიკვლევენ ამ პრობლემის არსს, ხელისუფლების მხრიდან მისი გადაწყვეტის სხვადასხვა შესაძლებლობებს, შეიმუშავებენ საკუთარ ვარიანტს და ადგილობრივ ან შტატის შესაბამის ორგანოებს განსახორციელებლად წარუდგენენ მოქმედების გეგმას.

ჩვენ ვნახეთ მონტანას შტატის მონფორტონის სკოლის VI კლასის მოსწავლეთა მოხსენება ერთ-ერთი ასეთი პრობლემის შესახებ. გამაოგნებელი იყო ის უზარმაზარი კვლევა, რაც მათ ჰქონდათ ჩატარებული, თითქოსდა, უმნიშვნელო საკითხის ირგვლივ – საჭიროა თუ არა ცხელი საუზმე სკოლაში. ისინი სრულიად თავისუფლად საუბრობდნენ და სტენდზე გვიჩვენებდნენ მშობლების, მოსწავლეების, მასწავლებლებისა და სპეციალისტების გამოკითხვის შედეგების გრაფიკებს, პრობლემის გადაწყვეტის გზებს, გაგვიშიფრეს თითოეული გზის უპირატესობები და ნაკლი. მოსწავლეების მოხსენება ისე თვალსაჩინო, იოლად გასაგები იყო, ისე ამოწურეს თემა, რომ შეკითხვაც კი ვერ დავუსვით. მათ განაწილებული ჰქონდათ კვლევის სფეროები. ეს იყო მთელი კლასის ნამუშევარი. რა ისწავლეს ამით პატარებმა?

- ისწავლეს დაკვირვება საკუთარ ცხოვრებაზე.
- მიხვდნენ, რომ საკუთარ პრობლემებზე პრეზიდენტმა და ქალაქის მერმა კი არა, თვითონ უნდა იზრუნონ, იმოქმედონ.
- რომ ურთიერთთანამშრომლობით, და არა დაპირისპირებით, შეძლებენ ხელისუფლების ყურადღების მიქცევას, რომელსაც ისე უნდა დაუსაბუთო შენი პრობლემის მნიშვნელობა, რომ უარი ვერ გითხრას თანადგომაზე.
- ისწავლეს სხვისი ინტერესების, შესაძლებლობების გათვალისწინება (ამ შემთხვევაში, სკოლის დირექტორისა და დაბის თვითმმართველობის ხარჯები) საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილების დროს.
- მიხვდნენ, რომ არცთუ იშვიათად, საჭიროა კომპრომისის გზების ძიებაც.

აღარაფერს ვიტყვი იმაზე, თუ პრობლემაზე მუშაობის პროცესში რამდენად იზრდება მათში მკვლევრის უნარ-ჩვევები, რაც გამოადგებათ როგორც ნებისმიერი მეცნიერების სფეროში საქმიანობის დროს, ასევე პირად ცხოვრებაში. ასე ცდილობენ ამერიკელები აქტიური მოქალაქის აღზრდას, რომელიც მზად იქნება შეეჭიდოს იმ რისკიანი, რთული და სასტიკი ცხოვრების რიტმს, რასაც გვთავაზობს კაპიტალისტური და, თანაც, დემოკრატიული ქვეყანა.

„პროექტი მოქალაქის" პროგრამაზე მუშაობის დასრულების შემდეგ სპეციალური კომისია აარჩევს შტატში ერთ-ერთ პროექტს და წარუდგენს შტატის საკანონმდებლო ორგანოს ეროვნულ კონფერენციას. კანონმდებლები ცდილობენ დახმარება გაუწიონ მათ ამ პროექტის განხორციელებაში. გარდა ამისა, არსებობს განათლების დეპარტამენტის მიერ გამოყოფილი სპეციალური ფონდი, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს პროექტზე მუშაობის დროს.

ჩვენი მასპინძელი მონფორტონის სკოლის მეექვსეკლასელთა მასწავლებლის თქმით, პროექტი მოიფიქრეს და შეასრულეს უშუალოდ მოსწავლეებმა მთლიანად, თვითონ კი — მხოლოდ მითითებებს აძლევდა. ბავშვებმა კითხვაზე — რას გააკეთებენ, თუკი სკოლის დირექტორი არ გაითვალისწინებს მათი პროექტის რეკომენდაციებს, გვიპასუხეს – არაფერსო. როგორც ჩანს,ბავშვებს შეგნებული აქვთ, რომ პროგრამაში მონაწილეობის მთავარი მიზანია ისწავლონ პროექტის შედგენა, შეიძინონ გამოცდილება. თუმცა, ამავე დროს, ისინი ამაყობენ მიღწეული შედეგებითაც – გვითხრეს, თუ როგორ გააკეთებინეს ხელისუფლებას, მსგავსი პროექტის წყალობით, სკოლასთან მისასვლელი უსაფრთხო გზა.

შესაძლებელია თუ არა საქართველოშიც ასეთი პროექტების განხორციელება? როცა ჩემს სკოლაში ვცადე ამის დანერგვა, მთავარი დაბრკოლება, რასაც გადავაწყდი, იყო არა უფულობა, არა სიზარმაცე, არამედ უნდობლობა. არც ჩემს კოლეგებს, არც მშობლებს და, საუბედუროდ, არც თავად მოსწავლეებს არ სჯერათ, რომ ვინმე მოუსმენთ, რომ მათი პრობლემით დაინტერესდებიან. მათი სახის გამომეტყველება ჰგავდა სახეს კაცისას, რომელიც ხედავს ქარის წისქვილებთან მებრძოლ დონ კიხოტს. როგორც ჩანს, ძალზედ ძნელია ცხოვრებაში რეალურად განახორციელო მოწოდება „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნეოს". მაგრამ სოფლისათვის მზრუნველები, აქტიური მოქალაქეები თუ არ გავზარდეთ, მაშინ რა მოელის საქართველოს? იმედია, რომ ამ ჯადოსნური შეკრული წრიდან გამოსავალს მოძებნიან ჩვენი განათლების რეფორმატორები, ენერგიული პედაგოგები.

რა შედეგებს მიაღწიეს ამერიკელებმა თავისი სამოქალაქო განათლების სისტემით? თუ რამდენად აქტიური მოქალაქეები არიან ისინი, ამის საზომად

ხშირად მოაქვთ ხოლმე არჩევნებში მონაწილეთა სტატისტიკური მაჩვენებლები. ეს კი ამერიკაში არცთუ სახარბიელოა: როგორც ვაშინგტონში ლექციაზე გვითხრეს, 60-იანი წლების შემდეგ პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობს მოსახლეობის მხოლოდ 50%, ხოლო კონგრესის არჩევნებში – 30-35%, ახალგაზრდები კი – მხოლოდ 25% მივიდა 1999 წლის არჩევნებში. როცა შევნიშნეთ მომხსენებელს – ამდენს მუშაობთ სკოლაში და მაინც ასეთი დაბალი მაჩვენებელი გაქვთო,-გვიპასუხა – კიდევ უფრო ცუდი იქნებოდა, ჩვენ რომ არ ვზრუნავდეთო. ასე რომ, პრობლემები ყველა ქვეყანაშია. ჩვენ კი მაინც უნდა შევეჭიდოთ მას და, თუკი რაიმე კარგ მიგნებას ვნახავთ სხვაგან, არ შევეშინდეს ჩვენში მისი დანერგვისა. მადლობა ამერიკელებს, რომ ასე გულღიად მოგვცეს საშუალება, გავცნობოდით მათ გამოცდილებას სამოქალაქო განათლების დარგში.

## შენიშვნები და გამოყენებული ლიტერატურა

1. აშშ-ის სამოქალაქო განათლებას გავეცანით ამერიკაში შვიდკვირიანი ვიზიტის დროს საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოების „პარტნიორები განათლებაში" პროგრამით (American Counsils for International Education - Partners in Education Exchange Program). ამ პროგრამის კონკურსში მონაწილეობდნენ საქართველოს საშუალო სკოლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნების (ისტორიის, გეოგრაფიის, სამართლის, სამოქალაქო განათლების, საზოგადოებათმცოდნეობის) მასწავლებლები.
2. ამ თვალსაზრისით, საინტერესო იქნებოდა სოციოლოგიური გამოკითხვის ანალიზი.
3. ამერიკის სკოლებში მაღალ კლასებში მოსწავლეები თვითონ ირჩევენ, თავიანთი შესაძლებლობების მიხედვით, რა სიძლიერის პროგრამის გავლა სურთ, ანუ მარტივი სიტყვებით რომ ვთქვათ, ბავშვები დაყოფილნი არიან ე.წ. ძლიერ, საშუალო და სუსტ კლასებად. ძლიერი კლასის პროგრამა (Advanced Placcment Classes) მოიცავს საუნივერსიტეტო პროგრამასაც. ზოგ სკოლას ასეთი კლასები არ ჰყავს. საშუალო კლასების დამთავრების შემდეგ დაგროვილი ქულები - კრედიტები საკმარისია უმაღლესში ჩაბარებისათვის, რასაც მოკლებულნი არიან სუსტი კლასების დამთავრებულნი.
4. ამ მხრივ, საერთო ფონს ვერ შეცვლის არასავალდებულო საგნებში 2002 წელს ავტორთა კოლექტივების მიერ გამოცემული შესანიშნავი სახელმძღვანელოები მასწავლებლის წიგნთან ერთად: IX კლასის „სამოქალაქო განათლება" (ნინო თოხაძისა და ანა ჭაბაშვილის რედაქტორობით), VIII კლასის „გზა უფლებებისაკენ" (მარიამ მიქაშავიძის რედაქტორობით), X კლასის „პრაქტიკული სამართალი" (თამარ ქალდანის რედაქტორობით).
5. Rubrics, by Holt, Rinehart and Winston. www.hrw.com ვებგვერდებზე გახსენით გრაფა SS Rubrics.
6. National Standards for Civic and Government, published by the Center for Civic Education (Calabasas, California; 1994). ამ ცენტრის ქვილით გამოცემული უამრავი ლიტერატურა გვაჩუქეს ამერიკელებმა, რისთვისაც ECA-ს ბიუროს ვუხდით დიდ მადლობას.
7. ამერიკის სამოქალაქო განათლების ცენტრის პროგრამების შესახებ იხ. ვებგვერდი www.civiced.org და წიგნების სერია სათაურით We the People.

# კულტურა

**მანანა არველაძე**
*ჟურნალისტი*

## მახათელების სამი თაობა ამერიკაში

საქართველოსა და ამერიკის ურთიერთობა გუშინ და დღეს არ დაწყებულა. ამ მეგობრობის ფესვები ბევრად უფრო შორეული წარსულიდან მოდის. ერთხელ თუ კიდევ გადავავლებთ თვალს იმ პიროვნებების სახელებს, რომლებიც საქართველო-ამერიკის ურთიერთობების მოვლენების ცენტრში იდგნენ, დავრწმუნდებით, რომ ეს მეგობრობა არა მხოლოდ ხანდაზმული, არამედ მრავალპროფილიანიც არის, რამეთუ ეს ხალხი სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები არიან. პრინცი გურიელი, რომელმაც სულ ახალგაზრდამ დატოვა საქართველო, ცოტა ხანში ჰოლივუდში გამოჩენილი მსახიობის მეგობარი გახდა. მოგვიანებით ცნობილი ელენა რუბინშტეინი და პრინცი გურიელი შეუღლდნენ. ბატონი გურიელი სალვადორ დალის მეგობარიც იყო. გავიხსენოთ პოეტი გიორგი ლოლუა,რომლის პოეზიის ნაწილი საქართველოშია შექმნილი, ნაწილი კი კანადაში; ჯორჯ ბალანჩინი, ალა ხანიაშვილი, ვახტანგ ჭაბუკიანი... რომელი ერთი, სულ ახლახან ირმა ნიორაძემ მეტროპოლიტენ ოპერის სცენაზე გამართა კონცერტები, რომელსაც უდიდესი წარმატება ხვდა წილად. ასე რომ, საქართველო-ამერიკის მეგობრობა საკმაოდ ცნობილ სახელებს ითვლის.

მოცემულ სტატიაში წარმოგიდგენთ მახათელების გვარის წარმომადგენლებს. საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა ნუგზარ მახათელმა ვახტანგ ჭაბუკიანის შემდეგ შეუდარებლად იცეკვა დონ-კიხოტში. შემდეგ იყო სხვადასხვა როლი, მისი ქორეოგრაფია.

თუმცა, მივყვეთ მოვლენებს და თავდაპირველად ნუგზარ მახათელის ბიოგრაფიას გავეცნოთ.

ნუგზარ მახათელი თბილისში დაიბადა. 31-ე საშუალო სკოლაში სწავლის პერიოდში იგი ოპერასთან არსებულ საბალეტო სტუდიაში ეუფლებოდა საბალეტო ხელოვნების ანა-ბანას. აქ თამარა ვიხოდცევამ მისი მონაცემები შეამჩნია და სტუდიიდან შერჩეულ მოსწავლეთა შორის, რომლებიც ახლად გახსნილ ქორეოგრაფიულ სასწავლებელში ჩაირიცხნენ, ნუგზარ მახათელიც ერია. მისი პირველი სპექტაკლი „ამაო სიფრთხილე" იყო. 1966 წლიდან კი გასვლები დაიწყო ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ. 1980 წელს ნუგზარ მახათელი სენეგალში პედაგოგად მიიწვიეს. ასეთ შემთხვევასთან საბალეტო ხელოვნებაში ხშირად არ გვაქვს საქმე. საუკეთესო ქორეოგრაფი ხშირად როდი გვევლინება საუკეთესო მოცეკვავედ, ან შეუდარებელი ბალერინა იშვიათად არის დაჯილდოებული ქორეოგრაფის ნიჭით. არსებულ შემთხვევაში კი, ეს პიროვნება ორივეს მოთხოვნებს აკმაყოფილებს. შემდეგ იყო ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის ქორეოგრაფიული სასწავლებლის დირექტორი, მოგვიანებით ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური თეატრის ბალეტმაისტერი. ჰყავს აღზრდილი ბალეტის ბევრი მოცეკვავე, მათ

შორის არის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის წამყვანი სოლისტი შორენა ხაინდრავა, რომელიც მრავალი პრიზის მფლობელია და რომელიც ამბობს: ნუგზარი რომ არ ყოფილიყო, მე ამდენს ვერ მივაღწევდი. ნუგზარ მახათელი მუშაობს როგორც კლასიკურ, ისე ნეოკლასიკურ სტილში და – ყოველთვის დიდი წარმატებით. ამის ნათელი დასტურია ის უამრავი შეთავაზება, რომელიც მას უხვად აქვს ყოველთვის. მხოლოდ იგი ყველას თხოვნას ვერ ასრულებს, რადგანაც ნუგზარ მახათელი ერთია, ხოლო მასთან თანამშრომლობის მსურველი – უამრავი. სწორედ ერთ-ერთი ასეთი შეთავაზების გამოა დღეს დენვერში ნუგზარ მახათელი, სადაც ამერიკელ ახალგაზრდებს ასწავლის, თავის გამოცდილებას გადასცემს და დგამს სპექტაკლებს, მანამდე კი იგი სან-ვალეში იყო, სადაც ჩაიკოვსკის „მაკნატუნა" დადგა. 2001 წლის პირველ დეკემბერს სან-ვალეს წარმოდგენითი ხელოვნების თეატრში მისული მაყურებელი დიდხანს უკრავდა ტაშს სამ მახათელს – ნუგზარს, დათოს და მაიას. სან-ვალეში უფროსი მახათელი ბალეტის ხელოვნების სტუდიის დირექტორი იყო; მისით დაინტერესებულმა ბალეტის საზოგადოებამ წარმოდგენითი თეატრის „მაკნატუნას" პრემიერის შემდეგ მრავალი წინადადება შესთავაზა. რა ხდებოდა ამ დღეს სან-ვალეში?.. ტელევიზია, პრესა, რადიო ერთნაირი აღფრთოვანებით აშუქებდა სამი ქართველის თავდადებულ შრომას – პრემიერისთვის მზადებას. პირველი დღის წარმატებამ გამოიწვია ის, რომ ყველა ბილეთი ელვის სისწრაფით გაიყიდა. დამსწრე საზოგადოებაში ჰოლივუდის ვარსკვლავებმაც გაიელვეს, მაყურებელი დიდხანს უკრავდა ტაშს მსახიობებს, ხოლო ბრუს უილისმა და დემი მურმა სხვა მაყურებლებზე მეტად გამოხატეს თავიანთი ემოციები და სცენაზე ამოჩნდნენ.

ამგვარად, ტრადიცია გრძელდება. თუ ერთი საუკუნის წინ პრინც გურიელმა დაიპყრო ჰოლივუდელთა გულები, დღეს მახათელები ხიბლავენ თავიანთი შემოქმედებით ხელოვნების ოსტატობით განებივრებულ ჰოლივუდელებს.

ნუგზარის, ისევე როგორც დათოს მიღწევებზე, უსასრულოდ შეიძლება საუბარი, მაგრამ რუსთაველის სიტყვებით რომ ვთქვათ, „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის".. და მარცვალ-მარცვალ გაწედით ცნობებს მათ შესახებ.

ახლა დათო მახათელის შესახებ მოგითხრობთ.

ბავშვობიდან ცეკვის სიყვარულმა და ხელოვნებისაკენ ლტოლვამ თავისი ქნა და 41-ე სკოლაში ოთხი კლასის დასრულების შემდეგ, დათო მახათელს თბილისის ქორეოგრაფიულმა სტუდიამ კარები ფართოდ გაუღო. 12 წლის ასაკში იგი მოსკოვს გაემგზავრა სასწავლებლად, მაგრამ ერთ თვეში უკან დაბრუნდა, ნოსტალგიას ვერ გაუძლო. მოსკოვის ქორეოგრაფიულ სასწავლებელს მსგავსი შემთხვევა არ ახსოვს, - ეუბნებოდნენ – როგორც კი უკან დაბრუნებას მოისურვებ, ჩამოდიო.. მაგრამ დათო მოსკოვში სასწავლებლად აღარ დაბრუნებულა. ...ისე საინტერესო შემთხვევაა – მოსკოვში ჩასულმა ნოსტალგიას ვერ გაუძლო, ამერიკაში კი მშვენიერად მოიკიდა ფეხი.

1992 წელი დათოს კონკურსებით დაეწყო, მქუხარე ტაშით, გამარჯვებებით სავსე ცხოვრების გზას დათო დღეს თაყვანისმცემლებით გარშემორტყმული აგრძელებს.

16 წლის დათო მახათელმა შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში ჩატარებულ კონკურსზე – „პრიზ დე ლოზანა" – „იმედის" პრიზი მოიპოვა, რის შემდეგაც პრიზიორს უფლება მიეცა სწავლა ლონდონის „როიალ-ბალეთ-სქულში"

გაეგრძელებინა,მოგვიანებით იგივე „იმედის" პრიზისა და ლაურეატის წოდების მფლობელი გახდა დიაგილევის კონკურსზე. ლონდონის „როიალ-ბალეთ-სქულის" დასრულების შემდეგ დათო მახათელი „როიალ-ბალეთ-სქულში" გაანაწილეს, აქ მან ორი წელი დაჰყო და ჰოლანდიას გაემგზავრა. ინგლისში ყოფნისას დიდ ყურადღებას აქცევდა დათოს შემოქმედებას ჟურნალ „დანს მეგეზინის" ჟურნალისტი მარგარეტ უილისი.

ჰოლანდიიდან მახათელი (შვილი) ნინო ანანიაშვილის რეკომენდაციით ტეხასის ქალაქ ჰიუსტონში მიიწვიეს, სადაც ქალაქის საბალეტო კომპანიაში ქორეოგრაფ ბენტ სტივენსონთან მოღვაწეობდა. ნინოს და დათოს არა მხოლოდ საქართველოსა და ბალეტის სიყვარული, არამედ დიდი მეგობრობა აკავშირებთ. ამერიკაში დავით მახათელი შვიდი წელია მოღვაწეობს; 2001 წლიდან კი მთავარ პარტიებზეა დაკავებული.

სულ ახლახან, კერძოდ კი 2003 წლის 28 მარტის „ახალმა ეპოქამ" გამოაქვეყნა წერილი, რომელიც „დანს მეგეზინის" კორესპონდენტმა მარგარეტ უილისმა გაუგზავნა რედაქციას. წერილში მოთხრობილია იმის შესახებ, რომ ქართველი ბალერონი ლონდონის სამეფო ოპერის სცენაზე მიიწვია სამეფო ბალეტის ახლად დანიშნულმა დირექტორმა მონიკა მასონმა. ხსენებული თეატრის სცენაზე დავით მახათელმა სპექტაკლ „მანონის" ორ წარმოდგენაში მიიღო მონაწილეობა – მას პოეტის, დე გრიეს როლი ერგო. გამოსვლები იმდენად წარმატებული იყო, რომ მახათელმა იქვე მიიღო შეთავაზება, ამჯერად, კენეტ მაკმილანის „რომეო და ჯულიეტაში" რომეოს როლის შესასრულებლად.

„დავითის მაღალი ნახტომი, რბილი დაშვება, პლასტიკურობა და გრძელი არაბესკები მისი აღიარების საწინდარია", – წერს ქ-ნი მარგარეტ უილისი. მსგავს შეფასებებს უხვად ვხვდებით ამერიკისა და იმ ქვეყნების პრესისა თუ საბალეტო ნარკვევების ფურცლებზე, სადაც დავით მახათელს ოდესმე უცეკვია, ამიტომ ამით დავასრულოთ მასზე საუბარი და ვიქონიოთ იმედი, რომ 2003 წლის ივნისის თვეში ჩვეული წარმატებით, ნიჭისა და ტემპერამენტის სინთეზით შეასრულებს მახათელი რომეოს პარტიას ლონდონის ქოვენთ გარდენის სამეფო ოპერის სტუდიაში,რის შემდეგაც ჰიუსტონში დაბრუნდება.

რაც შეეხება მაია მახათელს – შეიძლება ვინმეს სათაურიდან გამომდინარე, ერთი შეხედვით უცნაურად მოეჩვენოს მამაზე და ორ შვილზე საუბარი, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ და-ძმას შორის ასაკობრივი სხვაობა საშუალებას იძლევა დათო და მაია სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებად ჩაითვალონ.

მაია მახათელი 1985 წელს დაიბადა თბილისში. ვახტანგ ჭაბუკიანის ქორეოგრაფიული სასწავლებლის II კურსის სტუდენტია, არის კულტურის სამინისტროს სტიპენდიანტი და სტაჟირებას სან-ვალეში, ბალეტის ხელოვნების სკოლაში გადის. თბილისში სწავლის პერიოდში მაია გრიგორევიჩმა „მაკნატუნაში" მაკნატუნას როლში მიიწვია, რასაც შესანიშნავად გაართვა თავი ჯერ კიდევ სულ პატარა გოგონამ. გარდა ამისა, მას მონაწილეობა აქვს მიღებული იმ დადგმებში, რომელსაც ქორეოგრაფიული სასწავლებელი აწყობდა. რაც შეეხება სან-ვალეში სწავლის პერიოდს, სპეციალისტების აზრით, მაია მახათელი იმ ბალერინების რიცხვს მიეკუთვნება, ვინც სწავლის პერიოდშივე ასახელა ქართული ბალეტი და სკოლა. როგორც აღვნიშნე, სან-ვალეში დადგმულ „მაკნატუნაში" მაია მახათელმა მთავარი პარტია იცეკვა.

თბილისის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში მისი პედაგოგი ლარისა ჩხიკვიშვილი იყო.

საქმე ის არის, რომ ქართული ბალეტი ოდითგანვე აღიარებული იყო და როგორც უკვე აღვნიშნე, ქართულ-ამერიკულ ურთიერთობებსაც დიდი ტრადიციები აქვს, მაგრამ დღევანდელი თემა იმით არის საინტერესო, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ერთი გვარის წარმომადგენლებთან. ერთი გვარის სამი წარმომადგენელი იქ, ოკეანის გაღმა, თავდაუზოგავად შრომობს იმისათვის, რომ ქართული კულტურა კიდევ ერთხელ წარუდგინოს, მოაწონოს ამერიკელ მაყურებელს და ამით კიდევ უფრო გააძლიეროს ის ინტერესი, სიყვარული და მეგობრობა, რომელსაც წლების წინ ჩაეყარა საფუძველი.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. „დაიჯესტი“, 2003წ. 3-4 აპრილი, №103, გვ.8.
2. „ახალი ეპოქა“, 2001წ. 21-24 დეკემბერი, №100(152), გვ.10.
3. „ახალი ეპოქა“, 2003წ. 28 მარტი-3 აპრილი, №12(241), გვ.10.


მასალა მოპოვებულია აგრეთვე მახათელების ოჯახიდან, ელექტრონული ფოსტისა და საკონტაქტო ტელეფონების საშუალებით.

**გია ბუღაძე**
*თბილისის სახელმწიფო*
*სამხატვრო აკადემიის პროფესორი*

# ევროპული გავლენა და ამერიკული ხელოვნების თვითდამკვიდრების ერთ-ერთი საფუძველი

არსებობს პრინციპული და სერიოზული ეჭვი, რომ პარალელის გავლება შეიძლება მსოფლიო კულტურის პროცესებსა და მსოფლიო მასშტაბის კონფლიქტებს შორის. ბოლო საუკუნეების ხელოვნება პირობითად, მაგრამ ძალზე არსებითი ნიშნებით, შეიძლება დაიყოს მოდერნულ, ავანგარდულ და თანამედროვე ხელოვნებად. ხელოვნებაში ეს შეიძლება გარკვეული რიგით შევუსაბამოთ მსოფლიო პოლიტიკურ კონფლიქტებს, როგორც აბსოლუტურად კონკრეტული ტენდენციების ენერგეტიკული განმუხტვის კულმინაციას – ეს ენერგეტიკული კულმინაციები და კოლიზიები მსოფლიო ომებია.

ამ ლოგიკით მოდერნული პროტესტის შინაგან შესატყვის მსოფლიო კონფლიქტში პირველი მსოფლიო ომია, ავანგარდული პრინციპების კულმინაციური განმუხტვის მომენტი - მეორე მსოფლიო ომი, ხოლო მესამე მსოფლიო ომი - ე.წ. ცივი ომია, რომელიც გულისხმობდა ძლიერ შეიარაღებას და იდეოლოგიურ შეუთანხმებლობა-დაპირისპირებას, რომელიც, პირველ რიგში, სისტემურ ეკონომიკურ და კულტურულ დაპირისპირებაში გამოიხატებოდა. მას შეესაბამება თანამედროვე ხელოვნება (Contemporary Art). ე.ი. პირველი მსოფლიო ომი ერთგვარი მსოფლიო კოლიზიაა – მოდერნული ტენდენციების ანარეკლია კულტურიდან პოლიტიკაში და პირუკუ. მეორე მსოფლიო ომი ავანგარდული აგრესიის ანარეკლი არის, ხოლო „ცივი ომი" – ახალი ხელოვნება, მოდერნული თავისი არსით, კულტურის სფეროში მოქმედ სახელოვნებო ქმედებად უნდა განვიხილოთ. მოდერნული ცნობიერება კულტურის განახლებას, ესთეტიკის სფეროს ფარგლების რღვევას ან გაფართოების ამოცანას ისახავს მიზნად. მოდერნი გარდაქმნის საკაცობრიო ესთეტიკურ ორიენტირს. იგი ძირითადი თვისებით ესთეტიკის ერთგვარი „აგრესიაა" პროფანულ-ყოფით სიბრტყეში.

ავანგარდული უკვე არა ერთგვარი, არამედ რეალური აგრესიაა კულტურა-ხელოვნების სფეროდან სოციალურ და პოლიტიკურ სფეროშიც კი. ავანგარდული ინცენცია არ კმაყოფილდება მოდერნული სიახლით მხოლოდ ესთეტიკის სფეროში და ცდილობს თავისი გავლენა სოციალურ-პოლიტიკურ სიბრტყეზე გადაიტანოს. შედეგად ვიღებთ მკვეთრ სოციალურ რყევებს, პოლიტიკურ გამიჯვნას, დაპირისპირებას, სოციალურ კოლიზიებს. ე.ი. მოდერნული, ადამიანის შინაგანი ესთეტიკური სფეროს გარდაქმნის ამოცანას ისახავს მიზნად, რომელიც სამყაროს მსოფლხედვის შეცვლასაც იწვევს და იგი, საბოლოო ჯამში, ერთ მოდერნულ კოლიზიაში – პირველ მსოფლიო ომში გადაიზრდება, რომელიც ძირითადად სამყაროს მსოფლხედვის შინაგანი რღვევის პროცესის განხორციელებას წარმოადგენს. მოდერნულის არსი არსებული წარმოდგენის რღვევა და გარდასახვა იყო, ხოლო ავანგარდული, ლატენტურად ახალი სამყაროს რღვევის შემდგომ რეკონსტრუირება-გადაწყობის მიზანს ისახავდა, ანუ იგი სამყაროსა და სოციალური

გარემოს ახალი კონსტრუქციის შექმნისკენ მიისწრაფოდა და ამ პროცესში ადამიანის რაციონალურ-ანალიტიკური გონება აქტიურ მონაწილეობას იღებდა. ამიტომ, ბოლშევიკური და ფაშისტური მოძრაობები და გადატრიალებები სოციალურ სიბრტყეზე ავანგარდისტულად ორიენტირებული რაციონალური გონების სახელოვნებო ინტერვენცია იყო.

ყოველი აგრესიის შემდეგ დგება ერთგვარი შეყოვნების, შეჩერების პერიოდი, რომელიც სრულებით არ ნიშნავს პასიურ, მოდუნებულ მდგომარეობას. იგი მხოლოდ „სტაგნაციის" პერიოდია. ინდურ ფილოსოფიურ მისტიკაში აქტიურ პერიოდს მანვანტარა, ხოლო პასიურს – პრალაია ეწოდება. სწორედ ეს მოჩვენებითი „სტაგნაციის" პერიოდი მსოფლიო კულტურის შინაგანი და გარეგანი მდგომარეობის, ანუ კულტურისა და პოლიტიკის სფეროების პრალაია არის, რომელიც არაჩვეულებრივი ძალით „ამოიფრქვა" ამერიკულ ვიზუალურ-სახვით ხელოვნებაში. მანამდე, სოციალურ და პოლიტიკურ-კონფლიქტურ სიტუაციებში დომინირებდა ევროპული მოდერნული (ესთეტიკური) და ავანგარდული სოციალიზებულ-პოლიტიზებული ელემენტები, რომლის თანდათანობით გაყორვა, ანუ, უფრო მართებულად თუ ვიტყვით, ტრანსპლანტირება მოხდა ამერიკულ სამყაროში, რაც აისახა კიდეც მარსელ დიუშანის, მაქს ბეკმანის, ანდრე ბრეტონის, უილიამ დე კუნინგის, მარკ სიტკოსა და სხვათა შემოქმედებაში.

თვით ამერიკული „შეგუბებული" სახელოვნებო „აგრესია" ერთგვარად ეძებდა თავის თავს თვითმყოფადობის ნიშნით აღბეჭდილ მექსიკურ მონუმენტალიზმში, რომელიც აშკარად „სცოდავდა" ზღვარგადასული მარქსიზმის, „ტროცკიზმის" ან „სტალინიზმის" მინარევებით, რაც, თავის მხრივ, ევროპული ავანგარდის სოციალურ პლანში გარდაქმნის ერთგვარი მექსიკურ-კრეოლური რელიქტი იყო. მაგალითად გამოგვადგება ოროსკის, სიკეიროსის და, რაც მთავარია, რიბერას ხელოვნება.

ამერიკელი მხატვრები სწორედ ამ მრავალი ფაქტორის შინაგანი განცდითა და საკუთარი „შეგუბებული" ენერგეტიკის შეგრძნებებით ცდილობენ თავი დააღწიონ ტიპურად ევროპულ დადა-სიურეალისტურ სოციალურ-ფსიქოდელიკურ მანიპულაციებს. რობერტ მოტვერველი, რომელიც ამერიკელი სიურეალისტ-ნონფიგურალისტთა სიურეალისტური „ავტომატური წერის" მოდელს „პლასტიკური ავტომატიზმის" ცნებით ცვლის და, ფაქტობრივად, გზას უხსნის „ცივი ომის" პერიოდის დიდ ამერიკულ სამხატვრო აფეთქებას – კლიფორდ სტილის, ბარნეტ ნიუმანის და აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენლის, ინდიელთა რიტუალური მეთოდის „ჩრდილოური რიტუალის" დამნერგავის ჯექსონ პოლოკის ხელოვნების წარმოშობას. პოლოკის ხელოვნება ამერიკული ცნობიერების სრულიად დამოუკიდებელი ფენომენია. იგი ევროპული სიურეალიზმის ერთგვარი მუხტებითაა განმსჭვალული, რადგან იგულისხმება მასში ჩადებული მომენტები ევროპიზირებული მხატვრებისა, როგორებიც არიან: რობერტო მატა, აშილ გორკი, ივ ტანგი და, რა თქმა უნდა, ხუან მირო, რომელთა შემოქმედებაში თვით წვეთს, სპონტანურ შტრიხს, თითქმის რიტუალურ ე.წ. „ვიტალურ ხელწერას" გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება. მაგრამ იმ ძალითა და იმ მასშტაბით, როგორითაც პოლოკი ქმნიდა, არც ერთ ზემოთ ჩამოთვლილ მხატვარს არ უმუშავია. პოლოკი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა თავად მუშაობა-ქმნადობის პროცესს, ამიტომ სწორედ ქმნადობა-მოქმედებაზე გაკეთდა აქცენტი მის ხელოვნებაში. პოლოკის მხატვრობა-აქცია განსაკუთრებული ფორმის მიჯნაა დასავლურ და აღმოსავლურ ცნობიერებებს შორის. იგი ხაზგასმით უპირისპირდება აღმოსავლურ

ევრაზიულ მენტალობას თავისი გახსნილობით, განსაკუთრებული ენერგეტიკით და ამავე დროს ხაზს უსვამს კიდევაც იმას, რომ იგი არავის და არაფერს ჰგავს, იგი ფენომენია.

პოლოკისათვის ქეჟარჩოზე გადაჭიმული ტილოც კი ევროპული „სატუსაღოა", ევროპული ფუნჯი კი საწამებელი იარაღი. ამიტომ მისი მოქმედების არეალი იატაკზე ან მიწაზე გაშლილი ტილოა, ხოლო საღებავი, რომელიც სიბრტყეზე, გახვრეტილი ქილებიდან, საცრებიდან, ცოცხის საშუალებით დაიტანება და ა.შ. თვით საღებავის მაგიერობას, უმეტეს შემთხვევაში, რაიმე მიწის, ქონის, მინერალის ან ქვიშის ემულსიასთან ნაზავი წარმოადგენს.

პოლოკი თვით არის ვიზუალური კულტურის, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ატომური ბომბი", რომელიც 1940–50-იანი წლების მიჯნაზე ამერიკაში შეიქმნა და რომელმაც ხაზი გაუსვა, უფრო სწორად, გააველო ზღვარი ტრადიციისგან, სოციალური რყევებისა და დიქტატურებისაგან დაღრღნილ აღმოსავლეთ ევროპასა და თავისუფალ დემოკრატიულ დასავლურ „ახალ მიწას" შორის.

ფაქტობრივად, პოლოკი „ახალი მიწის" და აუთვისებელი, ამოუწურავი სიძლიერის „ამერიკული ოცნების" შესანიშნავი სახეა, რომლის მიერ გაელებული საზღვარი, მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ იმავე ამერიკამ იგივე გაიარა, „პოპ არტის", „აქტუალური ხელოვნების" და სხვა სპექტაკულარული ხელოვნების სახით, ცივი ომის შემდგომაც დიდ როლს ასრულებს და ძალზე მნიშვნელოვანია თანამედროვეობის თვალსაზრისითაც გლობალური ანტიტერორისტული მოძრაობისა და ლოკალური ომების პერიოდში.

**ეკატერინე ბუჩუკური**
*თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ასპირანტი*

# იმპროვიზაციულობა, როგორც საააზროვნო კატეგორია და ჯაზი

მუსიკალური იმპროვიზაცია – უძველესი, ყველაზე დემოკრატიული და ამავე დროს მუსიკალური ხელოვნების ნაკლებად შესწავლილი მოვლენაა. როგორც წესი, მისი გაგება დაკავშირებულია თვით ტერმინის ეტიმოლოგიასთან, მაგრამ ლათინურად ზედსართავი სახელი იმპროვისუს – მოულოდნელი, უცაბედი, მოუმზადებელი – მიუთითებს მოვლენის მხოლოდ ერთ ასპექტზე, რომელიც დღევანდელ დღეს ნაკლებად მნიშვნელოვანია, ზოგიერთ შემთხვევაში კი – მიუღებელიც. კომპოზიციისგან განსხვავებით, სადაც შინაარსობრივად მნიშვნელოვანია შემოქმედების ფიქსირებული შედეგი, იმპროვიზაციას, მართებული იქნება, შემოქმედების ისეთი სახეობა ვუწოდოთ, სადაც მხატვრული შინაარსის მატარებლად თვით შემოქმედებითი პროცესი წარმოგვიდგება.

XX საუკუნეში იმპროვიზაციული ბუნების მქონე სხვადასხვა მოვლენები არსებობს, როგორიცაა: ჯაზი, ალეატორიკა, ჰეპენინგი, აღმოსავლური კლასიკური მონოდია, რომელთა არსში გარკვევაც იმპროვიზაციის ფენომენის შესწავლის გარეშე შეუძლებელია.

ცნებების – „იმპროვიზაციის“, „იმპროვიზაციულის“ – გამოყენების სფერო საკმაოდ ფართოა ისტორიული თვალსაზრისითაც. უძველესი ფოლკლორული ნიმუშებიდან, ადრეული შუასაუკუნეების „უდამწერლობო“ მუსიკიდან, ბახის ფანტაზიებიდან და ტოკატებიდან დაწყებული, თანამედროვე კომპოზიტორთა ნაწარმოებებით დამთავრებული.

იმპროვიზაციის შესახებ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, რაც შემდეგში მდგომარეობს: ერთნი ამტკიცებენ, რომ იმპროვიზაცია მხოლოდ დასავლური კულტურისთვის დამახასიათებელი ფენომენია, ისიც მხოლოდ განვითარების ბოლო ეტაპზე, იმდენად, რამდენადაც არაევროპული და ძველი ევროპული მუსიკა დამწერლობის უქონლობის გამო, არ საჭიროებდნენ დაყოფას კომპოზიციად და შემსრულებლობად. მეორე, უფრო გავრცელებული აზრის თანახმად, იმპროვიზაცია წარმოადგენს მთელი მუსიკალური სამყაროს ერთ-ერთ ფუნდამენტურ ცნებას.

არსებობს მრავალრიცხოვანი ლიტერატურა, რომელიც ეძღვნება იმპროვიზაციას, მათ შორის იმპროვიზაციას ჯაზში. სრულიად განსხვავებულ სამუსიკათმცოდნეო შრომებში გაფანტულია ცალკეული მოსაზრებები იმპროვიზაციაზე, როგორც განსაკუთრებული ხარისხის მუსიკაზე. მაგრამ ერთიანი და სრულად ჩამოყალიბებული თეორია ამ ფენომენისა ჯერ კიდევ არ არის, თუმცა მისი კვლევის პერსპექტივა უდავოა როგორც მუსიკათმცოდნეობისათვის, ასევე შემოქმედებითი და საშემსრულებლო პრაქტიკისთვისაც, რადგან იმპროვიზაციულობის ცნება შეიძლება ისეთივე რანგში იქნეს განხილული, განზოგადებულობის ხარისხის თვალსაზრისით, როგორც მაგალითად სიმფონიზმი: ორივე განეკუთვნება არსებით, საააზროვნო კატეგორიათა ჯგუფს, რომელიც ხსნის განსხვავებულ გამომსახველ მხარეებს და ემსახურება მუსიკალური აზრის განვითარებისა და მასალის ორგანიზაციის პრინციპებს.

თავდაპირველად დავაზუსტოთ თვით ტერმინის მნიშვნელობა. გვხვდება მისი ორგვარი გაგება: ერთის თანახმად, ის მიანიშნებს მუსიკის ყოფიერების ფორმას. ამ შემთხვევაში ცნებები „იმპროვიზაცია“ და „იმპროვიზაციული“ სინონიმებად გვევლინება. უფრო მართებული მეორე განსაზღვრებაა, რომლის თანახმად, იმპროვიზაციულობა მუსიკის შინაგანი თვისებაა, მისი შინაარსისა და ფორმის ნიშანი, რომელიც ტიპური და არსებითია, უპირველეს ყოვლისა, თვით იმპროვიზაციისთვის, მაგრამ შეიძლება შეგხვდეს მის საზღვრებს გარეთაც.

რაში მდგომარეობს იმპროვიზაციულობის სახეობრივ-შინაარსობრივი არსი?

მისი საფუძველი თვით იმპროვიზაციის სოციალურ-კულტურულ და ესთეტიკურ ბუნებაშია, ვინაიდან ეს შემოქმედების უძველესი და პირველადი სახეობაა და წარმოიშვა ის მაშინ, როდესაც ადამიანის მიერ სამყაროს და საკუთარი თავის შეცნობის ძირითადი ფორმა გრძნობადი აღქმა იყო, ხოლო შესაბამისად რეაქციის ფორმა – ცნობიერებაში ასახულ კონკრეტულ სახეებზე – უშუალო, მყისიერი გამოძახილი. ბუნებრივია, ათასწლეული ისტორიის მანძილზე იმპროვიზაცია ძალზე დაშორდა თავის პირველსახეს; მიუხედავად ამისა, საფუძვლიანი კავშირი მან გრძნობად-კონკრეტულ ფორმასთან მაინც შეინარჩუნა. ეს შეინიშნება იმპროვიზაციულობის ზოგიერთ არსებით მხარეში და მის იმანენტურ თვისებებში. განსაკუთრებით გამოვყოფთ ისეთ განმაზოგადებელ მომენტს, როგორიცაა: გამოხატვის ემოციური უშუალობა, თავისუფლება, ფანტაზიის ალმაფრენა.

ბუნებრივია, ეს თვისებები ახასიათებს იმ მუსიკასაც, რომელსაც არა აქვს იმპროვიზაციული ხასიათი, მაგრამ იქ საწყისი იმპულსი სხვაგვარია. კომპოზიცია კულტურის განვითარების იმ ეპოქის პირმშოა, როდესაც სულ უფრო ძლიერდებოდა ადამიანის აბსტრაქტული აზროვნება და, შესაბამისად, ტიპური ხდებოდა შემოქმედების ისეთი ფორმა, რომელშიც პირველად სახეებსა და საბოლოო შედეგს შორის კავშირი გაშუალებული იყო გააზრების ხანგრძლივი პროცესით. ამიტომაც კომპოზიცია თავისი ბუნებით მჭიდროდაა დაკავშირებული განზოგადების, მხატვრული სახეების გადარჩევისა და აზრის კვინტესენციასთან. შემთხვევით არ უწოდებდა სტრავინსკი კომპოზიციას „სელექცირებულ იმპროვიზაციას“, ხოლო თანამედროვე მუსიკაში გაჩნდა ნაწარმოებებში „სტაბილური“ და „მობილური“ (ე. დენისოვი) ელემენტების ურთიერთობის ამსახველი ისეთი ტერმინი, როგორიცაა „კომპროვიზაცია“ (მ. მელგენბერგი). იმპროვიზაცია შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც შემოქმედებითი პროცესის ლოგიკური და ფსიქოლოგიური მოდელი ზოგადად და არა მხოლოდ მუსიკაში. იმპროვიზაციამ, როგორც მყისიერმა და თვითმყოფადმა შემოქმედებამ, ბევრი შედევრი აჩუქა ხელოვნებას.

ყოველ ახალ შესრულებას, თუ ის მართლაც შემოქმედებითია, ყოველთვის თან ახლავს რაიმე ახალი ნიუანსი, თავისებური შეფერილობა: იცვლება აქცენტები, ინტონაცია, ჟღერადობა, იცვლება შემოქმედებითი ქცევის პლასტიკა, იხსნება შემოქმედის პიროვნული ხასიათი შექმნილ სახეში. ამას სხვადასხვა მიზეზი გააჩნია, სიახლე განპირობებულია ხან ახლის გადაწყვეტის, ექსპერიმენტულობის, უკეთესი ვარიანტის ძიებით, ხან შეცვლილი შემოქმედებითი იმპულსით, ხან უჩვეულო გარემოთი, უცნობი აუდიტორიის, შემსრულებლების ახალი შემადგენლობით და ა. შ.

დეივ ბრუბეკი ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნავდა, რომ მოუმზადებელ იმპროვიზირებას საჯარო გამოსვლებზე ჯაზის ზოგიერთი დიდოსტატებიც კი

ვერ ბედავდნენ და ასახელებდა არტ ტატუმს, რომელიც ამ თვალსაზრისით პერფექციონისტი იყო (თუმცა ახლობლების წრეში შესანიშნავად იმპროვიზირებდა).

მუსიკალური იმპროვიზაცია ისტორიულად წინ უსწრებს და ბევრად უფრო ხანდაზმული მოვლენაა, ვიდრე წერითი კომპოზიცია. პროფესიული იმპროვიზატორული ჩვევები ყალიბდებოდა და ვითარდებოდა საკუთრივ მუსიკალური კულტურის შექმნამდე. თუ არაევროპული ქვეყნების მუსიკალურ კულტურებში სხვადასხვა ფორმით წარმოდგენილი იმპროვიზაცია განვითარების ყველა ეტაპზე მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდა, ევროპაში გავრცელებულმა შემოქმედების იმპროვიზაციულმა სახეობებმა თავისი უნივერსალური ხასიათი დაკარგა IX–X საუკუნეებისთვის. სწორედ ამ დროს ჩნდება ევროპაში პირველი წერითი მუსიკალური ნიმუშები და იწყება უნიკალური პარალელიზმის ეპოქა შემოქმედების ორი ტიპის დამკვიდრების და განვითარების სახით.

ევროპული მუსიკალური კულტურა მსოფლიოში ერთადერთი წერითი მუსიკალური კულტურა აღმოჩნდა, მუსიკალური ტრადიციის დამწერლობითი ფორმა – ეს არა ზეპირის მიმართ ალტერნატივა იყო, არამედ წარმოადგენდა მუსიკალურ კულტურას სრულიად ახალ კონტექსტში, დაფუძნებულს სხვა შემოქმედებით ფსიქოლოგიაზე, ახალ სმენით წყობაზე და მეთოდებზე, რომლებსაც პროფესიული წერითი ხელოვნება კარნახობდა.

წერითი კულტურის პირობებში იმპროვიზაციული ჩვევები თანდათან დავიწყებას მიეცა. XIX საუკუნის ბოლოსთვის ევროპელი მუსიკოსები იმპროვიზაციის გარეშეც მშვენიერად არსებობდნენ. არათუ იმპროვიზაცია, არამედ საკომპოზიტორო ტექსტიდან მცირედი გადახრაც კი XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე არასასურველ მოვლენად ითვლებოდა, მაშინ როდესაც არაევროპული ქვეყნების მუსიკალური კულტურებისთვის იმპროვიზაციულობა ძირითად სააზროვნო პრინციპად რჩებოდა.

XX საუკუნის მეორე ნახევარში ევროპული მუსიკალური კულტურის ისტორიული „თვითშეგნება" იზრდება. ფართოვდება თანამედროვე მსმენელის სმენითი აღქმის როგორც გეოგრაფიული, ისე ისტორიული საზღვრები, რის შედეგადაც იზრდება ინტერესი, როგორც არაევროპული ქვეყნების მუსიკის, ისე შორეული წარსულის მუსიკალური მემკვიდრეობის მიმართ. ვ. კონენი, რომელმაც ამერიკელი კომპოზიტორისა და მკვლევრის ჰ. კოუელის კვალდაკვალ, რუსეთში პირველმა დაამუშავა XX საუკუნის მუსიკალური აზროვნების ამ გარდატეხის მიზეზებსა და თავისებურებებთან დაკავშირებული პრობლემატიკა, ადრეულ ჯაზს ახასიათებს როგორც მუსიცირების პირველად სახეობას, რომლიდანაც დაიწყო ევროპელი მუსიკოსების „გეოგრაფიული თვალთახედვის" გაფართოება. თავად ჯაზის განვითარების თვალსაზრისით, დასავლეთევროპელი კომპოზიტორების მიერ მისით გატაცება შეიძლება ჩაკეტილ ეპიზოდად ჩაითვალოს მნიშვნელოვანი შედეგების გარეშე, მაგრამ არაევროპულისა და ევროპულის შერწყმის საერთო გამოვლენის მხრივ, ჯაზმა შორს მიმავალი გზები დასახა. მართლაც, ჯაზმა არა მარტო სტიმული მისცა სხვა მუსიკალური სისტემების შეცნობის პროცესს, არამედ ყურადღება მიიქცია როგორც პროფესიულმა იმპროვიზაციულმა ფენომენმა.

სტრავინსკის, მიიოს და სხვა კომპოზიტორებს კი იტაცებდათ ჯაზის არა კოლექტიური იმპროვიზაციის,ჯამ სესსიონის უნიკალური პრინციპი,არამედ მისი რიტმული და ჰარმონიული სტილისტიკა. ჯაზურმა იმპროვიზაციულობამ დიდი გავლენა მოახდინა XX საუკუნის საკომპოზიტორო შემოქმედებაზე. „უგუნურებაა,

გვერდი აუარო მომიჯნავე ჟანრების მიღწევებს ერთიან მუსიკალურ სამყაროში" – ასე პასუხობდა მორის რაველი კრიტიკოსებს, რომელნიც საყვედურობდნენ მას ბლუზის ელემენტების სავიოლინო სონატაში გამოყენების გამო.

ალფრედ შნიტკე: „არსებობს კომპოზიტორის ჯაზთან ურთიერთქმედების ერთი ფორმა, რომელიც დაფარულია და ყოველთვის არ არის ნათლად გააზრებული. როდესაც 10–15 წლის წინ დაწერილ ნაწარმოებებს თვალი გადავავლე, ჩემდა გასაკვირად მათში ჯაზის სხვადასხვა ელემენტების გამოძახილი აღმოვაჩინე. ეს არ არის ციტატები, არც სპეციფიკური ჯაზური მოდელების ასახვაა, არამედ, უპირველეს ყოვლისა, იმ საერთო პრინციპების და თვისებების აღმოჩენა,რომელიც ახასიათებს როგორც ჯაზს, ისე აკადემიურ მუსიკას. ეს დასტურია იმისა, რომ მუსიკალური შემოქმედების სრულიად განსხვავებულ სფეროებში ერთი და იგივე პროცესები მიმდინარეობს. ჯაზსა და თანამედროვე აკადემიურ მუსიკას აახლოებს კომპოზიციის გათავისუფლებისკენ სწრაფვა. კომპოზიტორები სულ უფრო დიდი ინტერესით ეკიდებიან ჯაზს და ხალხურ მუსიკას, ცდილობენ გაითავისონ მათთვის დამახასიათებელი იმპროვიზაციის კანონები, სპონტანური, თავისუფალი მუსიცირება. შემთხვევითი არ არის 50–60-იანი წლების საკომპოზიტორო შემოქმედებაში ალეატორიკის გამოჩენა. ჯაზი გვასწავლის, როგორ გათავისუფლდეს მუსიკოსების აზროვნება არსებული დოგმებისა და შაბლონებისგან."

გია ყანჩელი: „ყველა ჩემს ნაწარმოებში, იქნება ეს სიმფონია თუ სიმღერა, უფრო ქვეცნობიერად – ვლინდება ჩემი ჯაზის გრძნობა. ბუნებრივია, ეს არ არის „სუფთა" ჯაზი, მისთვის დამახასიათებელი თავისებურებებით, არამედ ჯაზის ხატება, გარდატეხილი ჩემს საკომპოზიტორო აზროვნებაში.

არაფერია უცნაური იმაში, რომ ჯაზის ელემენტები და, უფრო ფართოდ, მისი ესთეტიკა ვლინდება ნაწარმოებებში, რომელთაც პირდაპირი კავშირი ჯაზთან არა აქვთ. აქ ვლინდება პირუკუ გავლენაც. დღეს ჯაზის ჟღერადობა შეიძლება აღვიქვათ სიმფონიაშიც, ბალეტშიც, სიმღერაშიც და ყოფით ცეკვაშიც, რაც არავისთვის აღარაა გასაკვირი. ეს დღევანდელი მუსიკის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია."

ჯაზში იმპროვიზაციას გააჩნია ფუძემდებლური მნიშვნელობა, თუმცა მისი გამოყენება ცალკეულ შემთხვევებში არ წარმოადგენს აუცილებლობას. ჯაზში იმპროვიზაციული ტექნიკის სახეობები და საშუალებები ძალზე მრავალფეროვანია, რაც განპირობებულია განსხვავებული ჯაზური სტილების თავისებურებებით, მუსიკოსების ინდივიდუალური საშემსრულებლო მანერით, ჯაზისთვის დამახასიათებელი მუსიკალური ფორმებისა და ჟანრების სპეციფიკით. ფართოდ გვხვდება იმპროვიზაციის ისეთი სახეობები, როგორიც არის ვოკალური და ინსტრუმენტული, სოლო და ანსამბლური, ტონალური და ატონალური, თავისუფალი და განსაზღვრული. ეს შეიძლება იყოს მოკლე ბრეიკი ან გაშლილი მელოდიური ქორუსი, იმპროვიზაცია განსაზღვრულ თემაზე, ჰარმონიულ კვადრატზე, იმპროვიზაცია იმპროვიზაციაზე,კოლექტიური შემსრულებლობა ლინეარულ-კონტრაპუნქტულ, ჰეტეროფონულ, ორნამენტულ-ვარიაციულ ან რესპონსორულ მანერაში და ა.შ. შესაძლებელია ასევე იმპროვიზაციის განსხვავებული სახეობების შეთავსებაც.

ჯაზი – ეს ურთიერთობის მუსიკაა. ჯაზური საშემსრულებლო შედევრებისთვის დამახასიათებელი გახსნილობა, დიალოგურობა, სპონტანურობა და „თამაშის" უჩვეულო „სიუჟეტური" კოლიზიები დრამატურგიის კლასიკური კანონებით განვითარებული „რეალისტური" ტიპის ურთიერთობის შედეგს წარმოადგენს, რომელიც იმპროვიზაციის შედეგად წარმოიქმნება. ცხადია, ჯაზის

თეატრალურობა (დიქსილენდიდან – ფიუჟენამდე) სულაც არ ხორციელდება სცენაზე გარეგნული და ნაკლებად არსებითი აქსესუარების (დეკორაციის ელემენტები, გრიმი, კოსტუმირებული შოუ და ა.შ.) წარმოდგენით, არამედ ვლინდება ურთიერთობის ლოგიკურ ქცევაში, რომელზეც რეაგირებს მსმენელი.

ჯაზური კომუნიკაციის შედარება თეატრალური თამაშის დრამატულ ტიპთან საშუალებას გვაძლევს ახლებურად შევხედოთ იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს ძველ და ახალ – კლასიკურ, ტრადიციულ და ავანგარდულ ჯაზს შორის იმპროვიზაციულობასთან მიმართებაში.

ამ მხრივ, ბევრი რევოლუციური იდეები წარმოიშვა არსებული ტრადიციული ფორმების ჩარჩოებში, ხოლო იმპროვიზაციის ახალი პრინციპების აღმოცენება, თავის მხრივ, ხდებოდა თანდათან და წარმოადგენდა რთულ და ხანგრძლივ პროცესს.

ახალი ჯაზის პიონერები თავდაპირველად არ გამოდიოდნენ ერთიანი ფრონტით: როგორც გამოკვეთილი ინდივიდუალისტები, ისინი ვერ თავსდებოდნენ საზოგადოდ მიღებული მხატვრული ნორმების ჩარჩოებში. თუმცა არც ორნეტ კოლმანს, არც სესილ ტეილორს და არც ბილ დიქსონს პირველ ხანებში არ გააჩნდათ თავიანთი ხელოვნების პრინციპული განახლების ზოგადი პლატფორმა ან პროგრამა. ერთ-ერთი პირველი, რომელშიც საზოგადოებამ დაინახა ახალი „იდეოლოგიის" მაუწყებელი, როგორც ჩანს, იყო სან რა. კიდევ უფრო მეტად ეს მოლოდინი შეეხო ჯონ კოლტრეინს, ვის მუსიკაშიც „შავი" (ზანგური) ხელოვნების პათოსი შეერწყა იმპროვიზაციული თავისუფლების არნახულ ენერგიას. ხანმოკლე ცხოვრების მიუხედავად, ამ გამოჩენილმა მუსიკოსმა უდიდესი წვლილი შეიტანა თავისუფალი იმპროვიზაციული მუსიკის განვითარებაში; ამ მხრივ ნაკლები შეძლეს მისმა მოსწავლეებმა, „დიდი შავი მუსიკის" კორიფეებმა – არჩი შეპმა, ფეროა სენდერსმა, მერიონ ბრაუნმა. ამ მხრივ აღსანიშნავია ასევე ე.წ. „სხვენის მოძრაობა", თავისებური კულმინაცია ნიუ-იორკის ჯაზური სცენის ისტორიაში.

ჯაზის სამშობლოში აღმოცენებულმა „ტოტალური იმპროვიზაციის" ესთეტიკამ განსაკუთრებით შეისხა ხორცი ევროპაში. 1970-იან წლებში ინგლისის, ჰოლანდიის, გერმანიის წამყვანი ავანგარდისტები ღიად უჭერდნენ მხარს სპონტანურობის იდეას, რომელსაც, მათი აზრით, შეეძლო სიახლე, ცვლილება შეეტანა ჯაზურ მუსიკაში. ამ პერიოდში შეიქმნა „კოლექტიური იმპროვიზაციის" არაერთი შედევრი დერეკ ბეილის, ევან პარკერის, უილემ ბროიკერის მონაწილეობით. თავად ბეილი გამოდიოდა თეორეტიკოსის როლშიც – ანზოგადებდა სპონტანური მუზიცირების გამოცდილებას. ამ მხრივ, აღსანიშნავია მისი წიგნი „იმპროვიზაცია", სადაც განხილულია თანამედროვე ჯაზი მსოფლიო მუსიკალური კულტურის კონტექსტში.

ძირითადი გრამატიკული პირობითობებისგან ამ დაცილებას, რომელიც ხშირად ასოცირდება Free Jazz-ის ესთეტიკურ განწყობასთან, შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხატვრული კომუნიკაციის ნებისმიერ გამოვლინებაში. კონტექსტიდან გამომდინარე, ამ „თავისუფლებას" ყოველ ჯერზე ახალი აზრობრივი დატვირთვა ექნება. მართლაც, ერთი და იმავე ტიპური ნიშნების ნაკრები (ატონალობა, არატემპერირებული წყობა, რიტმული არარეგულარობა, დაბოლოს, კვადრატულობის და რეპრიზულობის არარსებობა) შეიძლება შევხვდეს კლასიკურ ჯაზშიც (მაგ. „The Mooch" და „Black & Tan Fantasy"-ის კადენციები ელინგტონის ორკესტრის შესრულებით), პოსტბოპის ფორმაციის ხელოვნებაში (თელონიუს მონკი, ლენი

ტრისტანო, ჩარლი მინგუსი), ფიუჟენის მუსიკაში (მაგალითები აქ კიდევ უფრო მრავლადაა).

„თავისუფალი იმპროვიზაციის“ საკითხი, საბოლოო ჯამში, მჭიდროდ არის დაკავშირებული ჯაზურ მუსიკაში კომპოზიციისა და იმპროვიზაციის თანაფარდობის პრობლემასთან. საკმარისია გავიხსენოთ, რომ მუსიკალური საზოგადოება ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში დიდ იმედებს ამყარებდა ახალგაზრდა იმპროვიზაციული ხელოვნების განვითარებაზე, ხოლო მოგვიანებით პოპულარული გახდა აზრი, რომ ჯაზს შეუძლია დაუბრუნოს მუსიკას მისი პირველადი ერთიანობა, დაიხსნას ის გაორებისგან, დაყოფისგან საკომპოზიტორო და საშემსრულებლო საამქროებად. თუმცა ამ პროგნოზებს განხორციელება ნაკლებად ეწერა: დღევანდელი იმპროვიზატორი იშვიათად აერთიანებს თავის თავში საკომპოზიტორო და საშემსრულებლო საწყისს. 1960-70-იან წლებში „უსაზღვრო თავისუფლების“ პრინციპის დაცვამ, ადგილი დაუთმო მისი მოწესრიგების „გააზრებულ აუცილებლობას“.

ჯაზი, როგორც იმპროვიზაციული ბუნების მქონე მოვლენა, ისტორიული, ესთეტიკური, სოციალური ფენომენია. მისი შედარება შეუძლებელია კლასიკურ მუსიკალურ ჟანრებთან, რომელთა განვითარება საუკუნეების მანძილზე ხორციელდებოდა. სულ რაღაც ასიოდე წლის მანძილზე, ჯაზმა არნახული გზა განვლო: თავიდან სრულიად ყოფითი მუსიკა, დაბადებული ჩაკეტილ სოციალურ გარემოში, უხვად, თითქმის ყოველ ათწლეულს, ბადებდა ახალ-ახალ ფორმებს, ანახლებდა თანამედროვე მუსიკალურ სამყაროს, იმპროვიზაციულობის სინონიმად იქცა და ინტერნაციონალური მოვლენა გახდა, რომლის გარეშე შეუძლებელია XX და, ალბათ, XXI საუკუნის მუსიკალური კულტურის წარმოდგენა.

ცაცა ბენაშვილი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ
პროფესიათა ფაკულტეტის დოცენტი

# ჯონ სტაინბეკი საქართველოში

დემოკრატიულ საქართველოს დღეს ბევრი მეგობარი ჰყავს სხვადასხვა ქვეყნების სახით. ამერიკა საქართველოს ერთ-ერთი დიდი მეგობარია და ეს ყველას გვახარებს. მაგრამ მეტად მნიშვნელოვანია ის სითბო და სიყვარული, რაც ჩვენი ქვეყნის მიმართ გამოხატა დიდმა ამერიკელმა მწერალმა ჯონ სტაინბეკმა, რომელიც რამდენჯერმე ესტუმრა საქართველოს მაშინ, როცა ჩვენი ქვეყანა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ რესპუბლიკას წარმოადგენდა.

„რუსეთში როგორც კი მოვეხვდებოდით, მაგიური სახელი – საქართველო ყოველთვის წინ გვხვდებოდა. ხალხი საქართველოზე დაუფარავი აღტაცებით საუბრობდა, ქართველ კაცებს ზეკაცებს უწოდებდნენ, რომლებიც იყვნენ საუკეთესო მოცეკვავეები, მუსიკოსები, თავდაუზოგავი მშრომელები და მგზნებარე მიჯნურები." – ასე იწყებს სტაინბეკი თავისი წიგნის „რუსული დღიური"-ს მეშვიდე თავს, სადაც საქართველოს ნახვით გამოწვეულ შთაბეჭდილებებს უზიარებს მკითხველს.

1947 წლის 31 ივლისიდან სექტემბრის შუა რიცხვებამდე სტაინბეკი ფოტოჟურნალისტ რობერტ კაპასთან ერთად მოგზაურობდა საბჭოთა კავშირში.

მათი მოგზაურობა რთულ პოლიტიკურ სიტუაციას დაემთხვა. ომი ახალი დამთავრებული იყო. ყოფილ მოკავშირეებს – ამერიკასა და რუსეთს შორის ურთიერთობა გაუარესდა. ჯერ კიდევ 1946 წელს უინსტონ ჩერჩილმა განაცხადა, რომ დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპას შორის „რკინის ფარდა" ჩამოეფარა. უკვე 1947 წლის ზამთარში აშკარა გახდა, რომ ყოფილ მოკავშირეებს შორის „ცივი ომი" გაჩაღდა.

სტაინბეკს, ჟურნალისტს და მწერალს, რა თქმა უნდა, ყოველთვის აინტერესებდა მოსკოვი. მაშინ ხომ ყველა რუსეთზე და სტალინზე საუბრობდა. სტაინბეკს სურდა საკუთარი თვალით ენახა ეს უზარმაზარი ქვეყანა დამანგრეველი ომის შემდეგ, ენახა უბრალო საბჭოთა ადამიანი თავისი ყოველდღიური ცხოვრებით. მაგრამ ადვილი არ იყო „რკინის ფარდის" გარღვევა. სტაინბეკს და კაპას ბევრი დაბრკოლების გადალახვა მოუხდათ, სანამ რუსეთში ჩამოსვლის ნებართვას მიიღებდნენ. საბჭოთა კავშირში ჩამოსვლის შემდეგაც ამერიკელი სტუმრები უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ რუსებს. მოგზაურობისას მათ განუყრელად ახლდათ ვინმე მისტერ ჩმარსკი, რომელიც ასევე პირველად იყო ჩამოსული საქართველოში.

დიდი მწერალი თვითმფრინავიდან დანახულ საქართველოს თავის სამშობლოს ადარებს. მუქი ყავისფერი მწვერვალები კალიფორნიის მთებს აგონებს მას, ხოლო უზარმაზარი მშრალი მინდვრები – ნიუ მექსიკოს ვაკეს. პირველივე შეხება საქართველოს მიწასთან და ჰაერთან მისთვის სასიამოვნოდ აღსაქმელია. „ჰაერი ცხელი და მშრალი იყო, მაგრამ ეს სიცხე გვსიამოვნებდა, არ გვაწუხებდა."

აეროპორტში სტაინბეკს ქართველები დახვდნენ და თბილისში მანქანით წაუყვანიათ. მწერალი საუბრობს საქართველოს დედაქალაქის – თბილისის ადგილმდებარეობაზე, მდინარე მტკვრის შესახებ, რომელიც დედაქალაქს შუაზე

ჩამოუდის. დანგრეული რუსული ქალაქების შემდეგ სტაინბეკს თბილისის და მისი მცხოვრებლების დანახვა ახარებს, სიამოვნებს ფერად კაბებში გამოწყობილი ქალების და დედაქალაქის სუფთა ქუჩების შეხედვა. ისე სასიამოვნოდ გადმოსცემს ამერიკელი მწერალი მაშინდელი თბილისის სურათებს, რომ დღევანდელ მკითხველშიც ჩვენი ძველი, მოვლილი დედაქალაქის ნოსტალგიას ბადებს: „ქალაქი უსაზღვროდ სუფთაა. ეს იყო პირველი სუფთა აღმოსავლური ქალაქი, რომელიც კი ოდესმე მენახა. მდინარეში, რომელიც ქალაქის ცენტრში მოედინება, ასობით პატარა ბიჭი ბანაობს".

ქართველების შესახებ საუბრისას სტაინბეკი არ იშურებს დადებით ეპითეტებს: „ქართველები განსხვავებული გარეგნობის ხალხია, ბოშებივით შავგვრემნები არიან – მოელვარე კბილებით, გრძელი, კარგად გამოყვანილი ცხვირით, შავი ხვეული თმით; თითქმის ყველა კაცი ულვაშს ატარებს და გარეგნობით ქალებს ჯობიან. ისინი არიან ცეცხლოვანნი, ამაყნი, ენერგიულები და მხიარულები. რუსეთში ყველა დიდ პატივს სცემს მათ. ქართველებს უყვართ პოეზია, ცეკვა მუსიკა".

მწერლის მახვილ თვალს არ გამოპარვია საქართველოს იმჟამინდელი მდგომარეობა და აღნიშნავს: „კანონზომიერია, რომ ბუნებით გამორჩეულ ქვეყანაში მცხოვრებ ქართველებს ორი ათასი წლის განმავლობაში უხდებათ მომხდურთაგან სამშობლოს დაცვა." სტაინბეკი არ ამბობს დაცვა უხდებოდათო, „უხდებოდათ ბრძოლა მათ დასაცავად" – ხაზგასმით აღნიშნავს იგი.

სტაინბეკი ქართველებში ამერიკელთა მონათესავე თვისებებს ეძებს და პოულობს კიდეც. მას კარგად დამახსოვრებია ქართველი მძღოლი, ყოფილი კავალერისტი, რომელიც ჯიპით ემსახურებოდა ამერიკელ სტუმრებს. მძღოლს „გიჟივით დაჰყავდა მანქანა და არაფისი არ ეშინოდა. ხანდახან გაცოფებული სხვა მძღოლები აიძულებდნენ მას აღვირი ამოედო საკუთარი გრძნობებისთვის და მაშინ ჩვენი კავალერისტი და დანარჩენი მძღოლები მაგარ-მაგარი ქართულით უმასპინძლდებოდნენ ერთმანეთს. ჩვენ ის შეგვიყვარდა. ეს კაცი პირველი იყო საბჭოთა კავშირში, რომელსაც პოლიციელთა მიმართ იგივე გრძნობები ჰქონდა, როგორიც ჩვენ. ქართველი ხალხი უფრო თავისუფალი გვეჩვენა, სხვებთან შედარებით, ლაღი და მამაცი, სიცოცხლით სავსე. ალბათ ეს არის ის, რის გამოც რუსები ასე შენატრიან მათ. ალბათ მათაც უნდათ, რომ ისეთები იყვნენ, როგორიც ქართველები არიან."

სტაინბეკი მოხიბლულია ქართული ეკლესიებით. მას აოცებს ის მოწიწება, რასაც ქართველები იჩენენ მწერლობისა და ხელოვნების მიმართ. მთაწმინდაზე ყოფნისას სტაინბეკს უნახავს სამი ხანშიშესული ქალი და მოხუცი კაცი, რომლებიც ისხდნენ ცნობილი მუსიკოსის საფლავზე და მღეროდნენ უძველეს საგალობლებს გულშიჩამწვდომი, იდუმალი ხმით. არსებობს მათი ფოტო, რომელიც რობერტ კაპამ გადაიღო.

სტაინბეკი ჩვეული მხატვრული ცხოველმყოფელობით წარმოგვიდგენს თბილისურ ღამეს, იმ გრძნობებს, რომელსაც მთვარის შუქით განათებული უძველესი ქალაქის ხილვა იწვევს მასში:

„უზარმაზარი მთვარე დასდგომოდა დასავლეთის მთებს, რაც უფრო მეტად აძლიერებდა ქალაქის სიძველის და საიდუმლოების განცდას. მთების წინ კლდეზე უძველესი ბნელი ციხესიმაგრის კონტურები მოჩანდა... და თუ თამარ მეფის

ლანდიც საქართველოშია. ის აუცილებლად იყო იქ ამ ღამით, მთვარის იდუმალი შუქით განათებულ ქალაქში."

სტაინბეკი და რობერტ კაპა მწერალთა კავშირშიც მიუწვევიათ, რის შესახებაც ამერიკელი მწერალი ერთ კურიოზს იხსენებს:

„მოგვესალმნენ და შემდეგ გამოაცხადეს: „მისტერ ესა და ეს მოკლედ მიმოიხილავს ქართული ლიტერატურის ისტორიას". კაცმა,რომელიც ჩემს გვერდით იჯდა, გადაშალა ფურცელი და დავინახე ცალ გვერდზე დაბეჭდილი ტექსტი. მან კითხვა დაიწყო და ველოდი, როდის გადამითარგმნიდნენ. ცოტა ხნის შემდეგ მივხვდი, რომ ის ინგლისურად კითხულობდა. გაოცდი. ათიდან ერთი სიტყვა თუ მესმოდა, იმდენად უცნაური გამოთქმა ჰქონდა, თუმცა ცუდი ინგლისურით არ იყო დაწერილი. მოსაუბრის წარმოთქმა ძალიან შორს იყო ნამდვილი ინგლისურისგან. ასეთი ინგლისურით მან ოცი დაბეჭდილი გვერდი წაიკითხა."

სტაინბეკი იუმორით აღწერს სიტუაციას, რომელიც სხდომაზე შეიქმნა:

„რადგან იქ დამსწრეთაგან არავინ იცოდა ინგლისური, ისინი ისხდნენ და თავაზიანად იღიმებოდნენ, რადგან მათთვის მომხსენებელი სრულყოფილი ინგლისურით ლაპარაკობდა."

როცა საქმე ამერიკულ მწერლობას შეეხო, სტაინბეკი აღიარებს საკუთარი ლიტერატურის უცოდინრობას. ეკითხებოდნენ თანამედროვე ამერიკელი მწერლების შესახებ, ქართველებზე ამერიკაში, მას კი ამის შესახებ ძალზედ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა.

საინტერესოა სტაინბეკის შეხედულება მწერლის მოვალეობის და დანიშნულების შესახებ. მისი თავისუფალი დამოკიდებულება ამ თემისადმი მაშინდელი ქართველი მწერლებისთვის ძნელი გასაგები იყო: „ქართველი მწერლები ძალიან ერთგული და შეუვალი არიან საკუთარი პრინციპების მიმართ და ძნელია უთხრა მათ, რომ მართალია სტალინი აცხადებს, რომ მწერალი ადამიანის სულის ინჟინერია, ამერიკაში მწერალი არ ითვლება ვინმეს ან რაიმეს არქიტექტორად და სიკვდილის შემდეგ მის მიმართ მხოლოდ სიბრალულს გამოხატავენ და ოციოდე წელიწადში კიდევაც მიივიწყებენ. ამერიკასა და ინგლისში კარგი მწერალი მოდარაჯე ძაღლია საზოგადოებისთვის. მისი მოვალეობაა გააკრიტიკოს საზოგადოების უარყოფითი მხარეები, ებრძოლოს უსამართლობას, აღმოფხვრას მისი ნაკლოვანებები. ამიტომაცაა, რომ ამერიკაში მწერლები არც საზოგადოებას და არც მთავრობას არ უყვარს და უნდა აღინიშნოს, რომ დიდი რუსი მწერლების – ტოლსტოის, დოსტოევსკის, ტურგენევის, ჩეხოვისა და, შემოქმედების დასაწყისში, გორკის მიმართაც იგივე ხდებოდა რუსეთში."

სტაინბეკი არ აკრიტიკებს არსებულ სისტემას, მაგრამ არც ის შეუძლია, რომ გულწრფელი არ იყოს და ასკვნის: „მხოლოდ დრო გვეტყვის სულის არქიტექტორი მწერალი შექმნის უდიდეს ლიტერატურას, თუ ძაღლივით მოდარაჯეა."

თბილისში ყოფნისას სტაინბეკი კარგად გაეცნო ქალაქის ისტორიას; მოინახულა მცხეთა, პომპეუსის ხიდი, უძველესი ეკლესიები; ესტუმრა გორს, სტალინის სახლ-მუზეუმს; სოფლებიც მოინახულა, ვენახებიც აჩვენეს. ერთ-ერთ პარკში ქართულ ჭიდაობას შეესწრო. კაპამ ფოტოზე აღბეჭდა ეს მომენტი. ჭიდაობის პროცესი სტაინბეკმა დაწვრილებით გადმოსცა თავის წიგნში.

სტაინბეკმა და კაპამ იმოგზაურეს ბათუმში. ერთ-ერთ ოჯახშიც შეუპატიჟებიათ, სადაც ამერიკელ სტუმრებს გააცნეს ქართული სუფრის წესები. ისინი მოხიბლულან

ქართული სტუმართმოყვარეობით, თუმცა გადაჭარბებული პატივით და საჭმლის დაძალებით ძალიან შეუწუხებიათ.

თბილისში დაბრუნების შემდეგ სტაინბეკს გაუმართეს ოფიციალური სადილი ფუნიკულიორზე. რათა უფრო სრულად წარმოვიდგინოთ ეს შეხვედრა, ჯობია ისევ სტაინბეკს მივმართოთ: „ეს იყო გრანდიოზული წვეულება. სუფრა ერთ კილომეტრზე გაეწყოთ. მაგიდა ოთხმოცი კაცისთვის იყო გაშლილი. აქ იყვნენ ქართველი მოცეკვავეები, მომღერლები, მუსიკოსები, პოეტები, მწერლები. . .

მაგიდაზე ყვავილები ეწყო ლამაზად შეკრული და საყვავილეებში ჩალაგებული, ხოლო მთის ძირში ბრილიანტებივით მოელვარე ქალაქი მოჩანდა. უამრავი მშვენიერი მოცეკვავე და მომღერალი ქალი იყო წვეულებაზე. . . . მახსენდება, როგორ ვცდილობდი ქართულად მეცეკვა ერთ ლამაზ ქალთან, რომელიც თურმე მსოფლიოში სახელგანთქმული ქართველი მოცეკვავე იყო. . . ენობრივი ბარიერი აღარ არსებობდა და თარგმანიც საჭირო აღარ იყო. . . „

სტაინბეკმა მაშინვე იგრძნო ქართული სტუმართმოყვარეობა და გულითადობა: „თბილისში თავი უცხოდ არ გვიგრძნია. იგი ხომ ბევრ სტუმარს მასპინძლობს და არც ისე გამოვირჩეოდით, როგორც კიევში. აქ თავს ისე ვგრძნობდით, როგორც საკუთარ სახლში."

დასასრულს, გვსურს წარმოგიდგინოთ ის განწყობილება, რომელიც საქართველოდან გამგზავრებისას დაეუფლა დიდ მწერალს: „საქართველო მაგიური ქვეყანაა და იგი სიზმარს ემსგავსება იმ წუთიდანვე, როგორც კი მას ტოვებ. ქართველებიც მაგიური ხალხია. ისიც მართალია, რომ მათი სამშობლოც ერთ-ერთი უმდიდრესი და ულამაზესია მსოფლიოში. ქართველები აგრძელებენ ცხოვრებას თავიანთ სამშობლოში და ახლა უკვე კარგად მივხვდით, რატომ გვეუბნებოდნენ რუსები: „თუ საქართველო არ გინახავთ, მაშინ თქვენ ამ ქვეყნად არაფერი გინახავთ."

სტატია დაწერილია სტაინბეკის „რუსული დღიურის" საფუძველზე (John Steinbeck: A Russian Journal, with photographs by Robert Capa, USA, Penguin Books, 1999).

ელენე გაბუნია
თსუ დასავლეთ ევროპის ენებისა
და ლიტერატურის ფაკულტეტის დოცენტი

# ემერსონის დოქტრინა „ირწმუნე შენი თავის" და მისი გავლენა ამერიკულ ცნობიერებაზე და ლიტერატურაზე

XIX საუკუნის დიდი ამერიკელი ფილოსოფოსი რალფ უოლდო ემერსონი ჯერ კიდევ თავის სიცოცხლეშივე მონათლეს „ეროვნულ პატრიარქად", „ყველაზე ბრძენ ამერიკელად". ეს რეპუტაცია მან დღემდე შეინარჩუნა. 1863 წელს მსოფლიო გამოფენაზე პარიზში ამერიკულ სექციას ამშვენებდა ემერსონის პორტრეტი, რაც ადასტურებს იმ გაბატონებულ პოზიციას, რომელიც მას ეკავა XIX საუკუნის კულტურულ ლანდშაფტში. თითქმის ჩამოსათვლელი იყო ის მწერლები, რომლებიც ცნობილი იყვნენ ოკეანის გადაღმა. ემერსონის ესეები კი იმ მცირერიცხოვან ნაწარმოებებს შორის იყო, რომელიც პირველად ითარგმნა გერმანულ და ფრანგულ ენებზე. რობერტ ფროსტმა ჯეფერსონთან და ლინკოლნთან ერთად ემერსონს უდიდესი ამერიკელი უწოდა. ტოლსტოისათვის სულიერად ახლოს იყო ემერსონის ფილოსოფია და იგი „მსოფლიოს საუკეთესო გულსა და გონებათა" რიცხვს მიაკუთვნა. ნიცშე უდიდეს პატივს სცემდა ამერიკელ ფილოსოფოსს, სკოლის მერხიდან იყო მასზე შეყვარებული და ემერსონის ესეები მოგზაურობის დროსაც თან დაჰქონდა. ემერსონი ბრწყინვალე ორატორი იყო. მისი უჩვეულოდ ემოციური ლექციები, რომელშიც შესაშური ზომიერებით იყო შერწყმული ურთულესი ფილოსოფიური არგუმენტაცია და ყოფითი სიტუაციები, ვეებერთელა აუდიტორიას იზიდავდა.

რა არის მიზეზი ემერსონის ასეთი მაღალი შეფასებისა და პოპულარობისა? მას ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია ამერიკული ცნობიერების ისტორიაში. მისმა ესეებმა განავითარა ამერიკული ფილოსოფიური და ესთეტიკური აზრი. ემერსონის შემოქმედებითი მემკვიდრეობა სრული გამოხატულებაა ამერიკული ხასიათისა და კულტურისა. ემერსონი თავისი ქვეყნისა და დროის შვილი იყო. მის შემოქმედებაში აისახა ამერიკის ისტორიის გამოცდილება. მისი შემოქმედება ეპოქის მხატვრული დოკუმენტია. მან ერთ-ერთმა პირველმა მიუძღვნა გამარჯვებულ აბოლიციონისტებს ცნობილი „ბოსტონის ჰიმნი".

ემერსონის მოღვაწეობა მრავალმხრივი იყო. იგი იყო ფილოსოფოსი, პოეტი, ორატორი, ესეისტი, ლექტორი, ტრანსცენდენტალიზმის ლიდერი. ყველაზე საინტერესო და ღრმად დამუშავებული ნაწილი ემერსონის მემკვიდრეობისა არის ეთიკა. სწორედ ეთიკურ სისტემაში გამოვლინდა მისი იდეების ორიგინალურობა. ემერსონის ეთიკური მოძღვრების ბირთვია ცნობილი დოქტრინა „ირწმუნე შენი თავის".

ემერსონი, უპირველეს ყოვლისა, ტრანსცენდენტალიზმის ლიდერი იყო. ამიტომ მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა და საკუთრივ დოქტრინა „ირწმუნე შენი თავის" ტრანსცენდენტალიზმის ფილოსოფიის კონტექსტში უნდა განვიხილოთ. ტრანსცენდენტალიზმმა, რომელიც XIX ს. 30-იან წლებში წარმოიშვა ახალ ინგლისში, ვეებერთელა გავლენა იქონია ამერიკულ ლიტერატურაზე, ფილოსოფიაზე,

საზოგადოებრივი ცნობიერების განვითარებაზე. ტრანსცენდენტალიზმი ამერიკაში ერთგვარი რომანტიკული პროტესტის ფორმა იყო „უხეში მატერიალიზმის", ცხოვრებისადმი ძალზე საქმიანი მიდგომის წინააღმდეგ.

ეს საკმაოდ რთული ფილოსოფიურ-ლიტერატურული მიმდინარეობა ერთგვარი შენაერთია პლატონის მეტაფიზიკისა, ნეოპლატონიზმისა, გერმანული იდეალისტური ფილოსოფიისა, უნიტარიანელობისა. ემერსონსა და მის თანამოაზრეებზე (ჰ. თორო, ოლკოტი, რ. დანა, ჯ. რიპლი, უ. ჩანინგი და სხვები) დიდი გავლენა იქონია კანტის ეთიკურმა თეორიამ, შელინგის ნატურფილოსოფიამ, იაკობის შემეცნების თეორიამ. თუმცა ისინი არ იყვნენ უბრალო მიმბაძველები ევროპული დოქტრინებისა. ვერნონ ლუის პარინგტონის სამართლიანი შენიშვნის თანახმად, მათ გერმანიაში იპოვეს „საკუთარი ფილოსოფია, გამართულ სისტემად ჩამოყალიბებული, რომელმაც დაასაბუთა ღვთის რწმენა და ადამიანის სულის ღვთაებრიობა, რწმენა ღვთიური საწყისისა, რომლითაც გამსჭვალულია ბუნება და რომელიც არსებობს ადამიანის სულში".[1]

ემერსონმა და მისმა თანამოაზრეებმა გაიზიარეს აგრეთვე სვედენბორგის შესაბამისობის თეორია, რომლის მიხედვით სამყაროს შექმნა მუდმივად მიმდინარეობს ღვთაებრივი საწყისის გავრცელების გზით სულიერ სამყაროში, შემდეგ კი ემანაციის გზით სულიერიდან მატერიალურში. ემერსონმა სვედენბორგის თეორიაზე დაყრდნობით შექმნა საკუთარი მოძღვრება შესაბამისობაზე, რომლის თანახმად გრძნობად და სულიერ სამყაროებს შორის არსებობს ანალოგია. „სამყაროში ყველაფერი ერთმანეთს შეესაბამება — წერს ემერსონი — არსებობს ანალოგია ცასა და დედამიწას, მატერიასა და სულს შორის."[2]

ტრანსცენდენტალიზმზე, აგრეთვე, დიდი გავლენა იქონია პლოტინმა, რომლის მოძღვრების თანახმად, მსოფლიო სული აერთიანებს სულიერ და მატერიალურ სამყაროს. ამ იდეის განვითარება იყო ემერსონის მოძღვრება „ზესულზე". მისი რწმენით, ბუნება სულის მატერიალიზაციაა. ადამიანის ცნობიერება ნაწილია „ზესულისა". „ზესული" — ეს ღვთაებრივი სუბსტანცია უხილავად არსებობს მატერიალური სამყაროს ყოველ ატომში; „ზესულს" შეაქვს ჰარმონია ბუნებაში, რადგან ბუნება უმაღლესი სულიერი საწყისის გამოხატულებაა. ამიტომ სწორედ ბუნების წიაღში ეზიარება ადამიანი „ზესულს" და განიცდის უმაღლეს საწყისთან შერწყმის მისტიკურ ექსტაზს. „ზესულის" მოძღვრება მთლიანად გაიზიარა ჰენრი თორომ. ბუნება მისთვისაც მშვენიერების, სიკეთის და ჭეშმარიტების წყაროა. ემერსონის, თოროს, ოლკოტის შემოქმედებაში ვლინდება დიდი გავლენა პლატონური მოძღვრებისა ემანაციაზე, მისი რწმენისა ჭეშმარიტების, მშვენიერების და სიკეთის ერთიანობაზე.

ამგვარად, ტრანსცენდენტალიზმის ფილოსოფიის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია ევროპულმა ფილოსოფიურმა დოქტრინებმა. თუმცა, ტრანსცენდენტალიზმი წმინდა ამერიკული მოვლენა იყო, რადგან იგი განვითარდა ახალ ინგლისში. სწორედ ახალი ინგლისის ფილოსოფიური და რელიგიური აზრის განვითარებამ მოამზადა ნიადაგი ტრანსცენდენტალიზმის აღმოცენებისათვის.

უპირველეს ყოვლისა, ტრანსცენდენტალიზმი, როგორც ფორმით რელიგიურ-ეთიკური მოძღვრება, უნიტარიანელობიდან ამოიზარდა. უნიტარიანული მოძღვრება XVIII ს. ბოლოს შეიქმნა და დიდ როლს ასრულებდა ქვეყნის სულიერ ცხოვრებაში. უნიტარიანელებმა უარყვეს პურიტანელთა დეტერმინიზმი, მათი მკაცრი მორალი და პიროვნების ჰუმანისტური კონცეფცია წამოაყენეს. პროგრესული არსი

უნიტარიანელობისა ყველაზე მკაფიოდ გამოხატა უილიამ ელერი ჩანინგმა, რომლის ქადაგებებმა მნიშვნელოვანი დარტყმა აგემა კალვინისტურ ორთოდოქსიას. მას სჯეროდა ადამიანის უსაზღვრო შესაძლებლობისა, თანდაყოლილი კეთილი ბუნებისა. მას სწამდა „პროგრესული ევოლუციისა“, რომელსაც კაცობრიობა მიჰყავს წინასწარ დადგენილი კეთილი მიზნისაკენ. ეს რწმენა მთლიანად გაიზიარეს ტრანსცენდენტალისტებმა.

ფაქტობრივად, უნიტარიანელობიდან ამოიზარდა ტრანსცენდენტალიზმი, მაგრამ, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ტრანსცენდენტალისტი მღვდლები და მწერლები სულიერი მემკვიდრეები იყვნენ პურიტანელობისა. მათთვის ბევრი რამ მიუღებელი იყო პურიტანულ მოძღვრებაში: მორალის სიმკაცრე, წინასწარგანსაზღვრულობის დოქტრინა, ხელოვნების უარყოფა, მოძღვრება ადამიანის ცოდვილ ბუნებაზე. თუმცა ისინი იზიარებდნენ პურიტანელთა შეხედულებებს ამერიკის განსაკუთრებულ მისიაზე კაცობრიობის ისტორიაში, მათ მიერ ქრისტიანული ზნეობრიობის პროპაგანდას. ასევე დიდი გავლენა მოახდინა მათზე პურიტანული ლიტერატურის ხატოვანებამ, პოეტიკამ, მისთვის ნიშანდობლივი ბიბლიური ალუზიებით და სიმბოლიკით. ტრანსცენდენტალისტები და საკუთრივ ემერსონი დიდად არიან აგრეთვე დავალებულნი კალვინიზმის დიდი თეორეტიკოსის ჯონათან ედვარდსისაგან, რომელმაც ახალი ელემენტი შეიტანა წინასწარგანსაზღვრულობის დოქტრინაში, რადგან დაუშვა შესაძლებლობა, ყოველ ადამიანს განეცადა ღვთაებრივი ზეშთაგონება. მისმა მოძღვრებამ შინაგან სინათლეზე შთააგონა ემერსონი, შეექმნა დოქტრინა „ირწმუნე შენი თავის“, რომელიც არა მარტო მისი ფილოსოფიის, არამედ მთელი ტრანსცენდენტალიზმის ძირითადი პრინციპი გახდა.

„ირწმუნე შენი თავის“ – ამ ლაკონურ და ერთი შეხედვით მარტივ ფორმულაში ღრმა და რთული შინაარსი დევს და ბევრ ასპექტს მოიცავს. ამ ესეში განისაზღვრა ემერსონის დამოკიდებულება ყოფიერებისადმი, ბუნებისადმი, ზნეობრივი იდეალისადმი, „ზესულისადმი“. დოქტრინა „ირწმუნე შენი თავის“ – სულიერი დამოუკიდებლობის დეკლარაციად იქცა და ვეებერთელა როლი ითამაშა ამერიკელთა როგორც ერის თვითშეგნების გამოღვიძებასა და განვითარებაში.

პოლიტიკური დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე გაისმა ამერიკელ რომანტიკოსთა ლოზუნგები საკუთარი ლიტერატურის, ხელოვნების შექმნისა: ჩვენ უნდა გვქონდეს ჩვენი „ილიადა“, ჩვენი „ოდისეა“. ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ერისათვის „ირწმუნე შენი თავის“ ნიშნავდა ერწმუნათ საკუთარი ძალებისა. ემერსონი ცდილობდა აღმოეფხვრა ყოველგვარი გამოვლენა მიმბაძველობისა: „ჩვენ საკმაოდ დიდხანს ვიხრიდით ქედს ევროპული მუზების წინაშე. ამერიკელთა სულს უკვე თვლიან გაუბედავად და მიმბაძველად... მაგრამ ჩვენ დავდგებით ჩვენს საკუთარ ფეხზე, ვიმუშავებთ საკუთარი ხელებით, გამოვხატავთ საკუთარ აზრებს“[3]. დოქტრინაში „ირწმუნე შენი თავის“ ემერსონი მოუწოდებდა თანამემამულეებს, დაყრდნობოდნენ საკუთარ სულიერ რესურსებს და შეექმნათ ეროვნული კულტურა, „აღარ მიეკროვებინათ ევროპული სუფრიდან ნამცეცები“. „სხვებისათვის შენ საინტერესო მაშინ გახდები, წერს ემერსონი, როდესაც დაინახავენ, რომ შენ არ ჰგავხარ მათ, რომ შენ შეგიძლია უთხრა მათ რაღაც ახალი, რომელიც შენ სულშია გამოწრთობილი“.[4] ემერსონს უნდოდა გაეთავისუფლებინა ამერიკელები არასრულფასოვნების კომპლექსისაგან, ამიტომაც უნერგავდა მათ აზრს, რომ ისინი სრულიად განსხვავდებოდნენ მათი ევროპელი თანამედროვეებისაგან და რომ ფაქტობრივად ისინი უნიკალურნი არიან კაცობრიობის ისტორიაში.

თორომ, დიკინსონმა, უიტმენმა და მრავალმა სხვა პოეტმა თუ მწერალმა აიტაცა ემერსონის მოწოდება: „უკუაგდე ეჭვები პოეტო და შექმენი. უთხარი ყველას: ეს ჩემშია და ჩემგან გამოვა. დაიცავი ეს და იდექი მედგრად მაშინაც კი, თუკი ხმა აგიკანკალდება და ენა დაგებმება, იდექი, როდესაც შემოგაფურთხებენ და დაგისტვენენ, იდექი და იბრძოლე"[3].

დოქტრინაში „ირწმუნე შენი თავის" ჩამოყალიბებულია ამერიკული ეროვნული ხასიათის უმნიშვნელოვანესი თვისებები და, უპირველეს ყოვლისა, ინდივიდუალიზმი მის სპეციფიკურ ამერიკულ ვარიანტში. ინდივიდუალისტური იყო კოლონისტების, პიონერების, ფრონტირსმენების ფსიქოლოგია. მათ განსაკუთრებულ პირობებში უხდებოდათ ცხოვრება. თვალუწვდენელი ტერიტორიების ათვისებას შეუპოვრობა, ვაჟკაცობა, დაუცხრომელი ენერგია სჭირდებოდა. რაც უფრო ღრმად შედიოდნენ ისინი მატერიკის სიღრმეში, მით უფრო სცილდებოდნენ ცივილიზებულ სამყაროს და მით უფრო მიუწვდომელნი იყვნენ ხელისუფლებისათვის. პატარა დასახლებებს გარს უდაბური ტყეები ეკრათ, აღმოსავლეთით უკიდეგანო ოკეანე იყო, დასავლეთში — თვალუწვდენელი პრერიები და ველები, შორეულ დასავლეთში — მიუვალი მთები. მკაცრ ბუნებასთან და ინდიელებთან ბრძოლაში კოლონისტი თუ ფრონტირსმენი მარტო იყო, აუთვისებელ ტერიტორიაზე იგი თავად იყო თავისი თავის პატრონი, მას მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონოდა. მას უნდა „ერწმუნა თავისი თავის". შემთხვევითი არ არის, რომ ისეთი თვისებები ამერიკული ეროვნული ხასიათისა, როგორიცაა: დამოუკიდებლობა, ინიციატივიანობა, ფხიანობა, მატერიალურის ჩაბღაუჭება, ამერიკულ ეროვნულ ხასიათში წარმმართავი გახდა.

მკვეთრად ინდივიდუალისტური იყო აგრეთვე ფერმერთა ფსიქოლოგიაც, რომელთაც არასდროს განუცდიათ ბატონყმობის არანაირი ფორმა. ინდივიდუალისტური საწყისი ამერიკულ ცნობიერებაში თავიდანვე უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ევროპულში. თომას პეინის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს ჰქვია „ადამიანის უფლებები"; ამერიკულ დეკლარაციაში პირველ ადგილზეა „განუსხვისები უფლებები" პიროვნებისა. რაც შეეხება ხელისუფლებას, მთავრობას, დეკლარაციის ტექსტის თანახმად, იგი „ფუძნდებოდა" ინდივიდთა უფლებების უზრუნველსაყოფად. ინდივიდუალიზმი თან ახლდა ამერიკული საზოგადოების ყველა პროგრესულ მიმდინარეობას — აბოლიციონიზმს, მოძრაობას ქალთა თანასწორუფლებიანობის მისაღწევად. ასე რომ, ინდივიდუალიზმის ტრადიცია ემერსონს არ შეუქმნია. მან ეს მოვლენა ფილოსოფიურ კატეგორიებში გაიაზრა. „თანამედროვე ცნობიერება მივიდა იმ დასკვნამდე — წერს ემერსონი — ერი არსებობს პიროვნებისათვის, თითოეული ადამიანის დაცვისა და განვითარებისათვის". ინდივიდუალიზმის პრობლემა, რომელიც კონცენტრირებული და სრული ფორმითაა ჩამოყალიბებული ემერსონის მიერ, ამერიკული ცხოვრების და საზოგადოებრივი ცნობიერების ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა.

ემერსონი გრძნობდა საზოგადოებრივი განწყობილებების ცვლას, ამერიკელთა სულიერ არაკეთილდღეობას. იგი სეისმოგრაფივით, უფაქიზესი სიმების წყალობით გრძნობდა ყოველგვარ საფრთხეს, რაც კი ზნეობის სფეროში ემუქრებოდა ადამიანის ბუნებას, გრძნობდა ცივილიზაციის მადლს და თანმდევ საშიშროებასაც, ბუნებრივსა და ძვირფასს რომ ემუქრებოდა განადგურებით. მის ესეებს გასდევს რეალური შეგრძნებით მოძალებული ტკივილიანი ფიქრი „მატერიალიზმის" გაძლიერებაზე, ადამიანთა გაუცხოებაზე, სულიერ ფასეულობათა დევალვაციაზე. „ადამიანი ფულის მშოვნელი მანქანა გახდა", — წუხილით წერდა ემერსონი და ეს აიძულებდა კვლავ

და კვლავ შეეხსენებინა თავისი თანამემამულეებისათვის, რომ ადამიანის ბუნება ღვთაებრივია, „ზესულის" ნაწილია, „სამყარო არაფერია, ადამიანია ყველაფერი", რომ „ყოველი ჭეშმარიტი ადამიანი არის მიზეზი ყოველივე არსებულისა და თავის თავში მოიცავს მთელ ქვეყნიერებას, საუკუნეებს".[6]

დოქტრინაში „ირწმუნე შენი თავის" დევს იდეა სულიერი ნონკონფორმიზმისა, სოციალური აქტიურობისა. ადამიანმა თავად უნდა განსაზღვროს რა არის მორალური და სამართლიანი, მარტო გაიკვლიოს გზა „სწორი ცხოვრებისაკენ", არ მიაქციოს ყურადღება საზოგადოებრივ აზრს, რომელსაც ბიზნესის გარდა არაფერი აინტერესებს: „ირწმუნე შენი თავის, არ იცხოვრო ისე, როგორც ამას შენგან მოითხოვს მატყუარა ან მოტყუებული ხალხი, რომელთანაც შენ გაქვს ურთიერთობა. უთხარი შენ თავს: დღეიდან ვეკუთვნი ჭეშმარიტებას, არ ვემორჩილები არავითარ კანონს, გარდა მარადიულისა, მე არ მინდა ვიყო შებოჭილი არავითარი აუცილებლობით".[7]

ემერსონი უარყოფითად იყო განწყობილი საზოგადოების მიმართ. საზოგადოება, მისი აზრით, რა ფორმითაც არ უნდა არსებობდეს, პიროვნების მტერია. „საზოგადოება თავშესაფარია რიგითი ადამიანებისა, ნიჭიერი კი ყოველთვის განცალკევებულია მისგან, როგორც კარაქი წყლისაგან", „საზოგადოება მცირე დოზით უნდა მიიღო"[8]. ასეთივეა მისი დამოკიდებულება სახელმწიფოს მიმართ. ემერსონის აზრით, „ნებისმიერი სახელმწიფო მანკიერია, ამიტომ ბრმად არ უნდა დაემორჩილო მის კანონებს". „თავად განსაჯე" — მოუწოდებს იგი თავის თანამემამულეებს და ამ პრინციპში დემოკრატიის საფუძველს ხედავს. „ნებისმიერი კანონი,გარდა იმისა რასაც ჩვენ ვცნობთ, სასაცილოა"[9], ამგვარი მოწოდებები იმდროინდელი რეალობის კონტექსტში მოქალაქეობრივი დაუმორჩილებლობის ტოლფასი იყო და ბევრ ამერიკელში პოვა გამოძახილი. ემერსონის დოქტრინა „ირწმუნე შენი თავის", უპირველეს ყოვლისა, აბოლიციონისტებმა აიტაცეს, რომლებიც აღშფოთებულნი იყვნენ 1850 წელს კონგრესის მიერ მიღებული კანონით „გაქცეული მონების შესახებ". ემერსონის ქადაგებები მათ ძალასა და სულის სიმტკიცეს მატებდა მონობის წინააღმდეგ უკომპრომისო და ვაჟკაცურ ბრძოლაში.

ემერსონის დოქტრინის „ირწმუნე შენი თავის" გავლენით შექმნა თორომ თავისი ცნობილი მოძღვრება მოქალაქეობრივი დაუმორჩილებლობის შესახებ. მარგარეტ ფულერი მოუწოდებდა პრაქტიკაში გამოეყენებინათ ემერსონის თეორია ქალთა უფლებებისა და თანასწორობისათვის ბრძოლაში. სწორედ გმირული, ვაჟკაცური, შემართებული სულისკვეთების აპოლოგიაა ამერიკელი ფილოსოფოსის ეთიკური სისტემის ძირითადი ბირთვის „ირწმუნე შენი თავის" პათოსი.

ემერსონის ფილოსოფიურ პროზას ახასიათებს თხრობის ორფენოვანი სტრუქტურა. მასში ჩადებული ფარული აზრი ნათელი ხდება ასოციაციური უნარის წყალობით. მისი სიმბოლოები მოძრავია და ცვალებადი. მისი ესეები არა მარტო ღრმა და ორიგინალური აზრებით ხიბლავს მკითხველს, არამედ საოცარი ემოციური მუხტით, განწყობილების შექმნით, პოეტური, შეიძლება ითქვას, თხრობით. კრიტიკოსები სამართლიანად აღნიშნავენ, რომ იგი უფრო დიდი პოეტი იყო პროზაულ ნაწარმოებებში, ვიდრე პოეზიაში. მისმა სტილმა დიდი გავლენა იქონია ამერიკულ რომანტიკოსებზე და არა მარტო სტილმა, არამედ მთელმა მისმა ზნეობრივმა ფილოსოფიამ. ჰენრი თორომ, მარგარეტ ფულერმა, ნათანიელ ჰოთორნმა, ჰერმან მელვილმა და ბევრმა სხვამ, მიუხედავად იმისა, იღებდნენ თუ არა ემერსონისეულ იდეებს, მის ძირითად დოქტრინაში ამერიკელი ერის

საზოგადოებრივი და სულიერი ცხოვრების არსებითი მომენტები დაინახეს. ედგარ პომ არ მიიღო ტრანსცენდენტალისტთა მხატვრული პრაქტიკა. მისთვის უცხო იყო ემერსონიანელთა ოპტიმიზმიც. იგი სკეპტიკურად უყურებდა „მელიორიზმის" კონცეფციას, ანუ რწმენას ადამიანის უსასრულო სრულყოფისა. ედგარ პოს კამათი ემერსონთან და მის თანამოაზრეებთან მნიშვნელოვანი ეპიზოდია 30—40-იანი წლების ამერიკის ლიტერატურის ცხოვრებისა. ჰერმან მელვილშიც ასევე ეჭვს იწვევდა ემერსონის რწმენა ადამიანის კეთილი ბუნებისა, მან უფრო ღრმად ჩახედა ადამიანს და მასში ირაციონალური არსება დაინახა გამანადგურებელი ინსტინქტებით. მელვილი ეთანხმებოდა ემერსონს ეთიკის საკითხებში, მაგრამ საპირისპირო შეხედულებებისა იყო ბუნებაზე, ადამიანსა და სამყაროზე. იგი არც მის ძირითად დებულებას ეთანხმებოდა, რომლის თანახმად „ადამიანი ნაწილია ღვთაებრივი არსისა, კაცობრიობა მიდის ღმერთის მიერ დადგენილი კეთილი მიზნისაკენ"[10]. ემერსონისა და გერმანული იდეალისტი ფილოსოფოსების თეოლოგიურ იდეებთან ფარული პოლემიკითაა გაჟღენთილი ის იდეური ფონი, რომელზედაც იშლება მობი დიკის მოქმედება. რომანის მთავარი გმირის აქაბის რთულსა და ფილოსოფიურ სახეში აღიბეჭდა მელვილის ფიქრები ემერსონის თავისუფალ ინდივიდზე. ისიც, ემერსონის დოქტრინის თანახმად, თავად აწესებს კანონებს, თავად წყვეტს რა არის ბოროტება და რა არის სიკეთე. ბოროტება მისთვის თეთრი ვეშაპია და სიკეთე კი ბოროტების, ანუ მობი დიკის, განადგურება. აქაბი „გემბანის ღმერთია", რომლის ხელში არის „პეკოდზე" (ამერიკის ალეგორიული გამოხატულება) მყოფთა ბედი. იგი არაფრად აგდებს ეკიპაჟის სიცოცხლეს და ხომალდი გარდუვალი დაღუპვისაკენ მიჰყავს. მისი მოქმედების შედეგი გარდუვალია. „პეკოდი" თავისი ეკიპაჟით ოკეანის სიღრმეებში პოულობს სამარეს. ამაოდ ეძებს იგი ბოროტებას გარეთ. არანაკლები ბოროტებაა თავად აქაბში, ვიდრე მობი დიკში.

ემერსონს პიროვნების თავისუფლება ესმოდა როგორც ზნეობრივად სრულყოფილი პიროვნების დამოუკიდებლობა მანკიერი გარემოსაგან. თუმცა ეს თეორია შეიძლებოდა გამოეყენებინათ უზნეო პიროვნებებს თვითნებობის გასამართლებლად, რომელთაც სამოქალაქო მორალი ხელს უშლიდა თავიანთ მტაცებლურ მოქმედებაში. სწორედ ამიტომ დაინახა მელვილმა სოციალური საფრთხე ემერსონის თეორიაში და უარყო იგი. მან ნათლად დაგვანახა, თუ რა შეიძლება მოიმოქმედოს ემერსონის თავისუფალმა ინდივიდმა, რომელიც უარყოფს ეჭვებს და განკიცხვისა არ ეშინია. მელვილის აზრით, ემერსონის ინდივიდის თავისუფალი ვნება და აღმაფრენა პრაქტიკაში შეიძლებოდა გადაქცეულიყო დაპყრობისა და ძალაუფლების მოხვეჭის მტაცებლურ მისწრაფებად.

ასევე დიდი გავლენა იქონია ემერსონის დოქტრინამ უოლტ უიტმენზე. მან პოეტურ ენაზე აამღერა ტრანსცენდენტალისტთა ლიდერის ფილოსოფია თავის „ბალახის ფოთლებში".

მე ვადიდებ ჩემ თავს და ვუმღერი ჩემ თავს,
მე ღვთაება ვარ შიგ თუ გარეთ,
ყოველივე წმინდა ხდება, რასაც მე ვეხები და რაც მე მეხება.

უოლტ უიტმენის ეს სტრიქონები ემერსონის დოქტრინის „ირწმუნე შენი თავის" კონტექსტში უნდა იქნეს განხილული, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი აღიქმება თავის თავში შეყვარებული კაცის ტრაბახად. ეს არის ემერსონის თავისუფალი ინდივიდის განცხადება, რომელიც ემერსონისავე სიტყვებით რომ

ვთქვათ, „თავის თავში მოიცავს მთელ ქვეყანას“ და რომლის „ცნობიერება ნაწილია ღვთაებრივი არსისა“[11].

ამერიკელის ცნობიერებაზე დღესაც მოქმედებს ემერსონის დოქტრინა, რომელიც დემოკრატიის ძირითადი პრინციპი გახდა. ჯორჯ კეიტების სამართლიანი შენიშვნის თანახმად, „ემერსონმა პირველმა განსაზღვრა ინდივიდუალიზმის მნიშვნელობა მის თანადროულ დემოკრატიულ საზოგადოებაში და მის შემდეგ ეს უკეთესად აღარავის გაუკეთებია“[12].

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Cited from: Bercovitch S. Emerson the Prophet: Romanticism, Puritanism and American Autobiography. Ed. with a Foreword by D.Levin, N.Y., 1975, p.12.
2. Emerson R. W. The Essays. Penguin Classics, N.Y., 1986, p. 131.
3. Ibid. p.158.
4. Ibid. p.159.
5. Cited from: Poirier R. The Renewal of Literature. Emersonian Reflections. N.Y., 1987, p.79.
6. Emerson R. W. The Essays. Penguin Classics, N.Y., 1986, p. 239.
7. Ibid. p. 320.
8. Ibid. p. 325.
9. Cited from: Porte J. The Problem of Emerson. Cambridge University Press, Mass., 1973, p.97.
10. Cited from: Buell L. The Transcendentalists. The Columbia Literary History of thc United States. N.Y., 1988, p.221.
11. Ibid. p. 245.
12. Цыт. из: Коренева М.М. Проблемы становления американской литературы. М., 1981, с. 156.

**სოფიო გორგოძე**
*თბილისის სახელმწიფო*
*უნივერსიტეტის მაგისტრანტი*

# ჯეკ კეროაკის გზა

*Friends and loves we have none, nor*
*Wealth nor blessed abode,*
*But the hope of the City of God,*
*At the other end of the road.*[1]

ჩვენ ყველანი, დროის ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას ვასრულებთ – ვმოძრაობთ. მნიშვნელობა არა აქვს, თუ რომელ გზას აირჩევს ადამიანი ამ ფუნქციის შესასრულებლად, წმინდანისა თუ უწმინდურის, კეთილისა თუ ბოროტის, გზა მაინც ჩვენი ცხოვრებაა. და თუ ასეა, მაშინ ჯეკ კეროაკის რომანი „გზაზე" არის რომანი ცხოვრების შესახებ, უფრო სწორად კი რომანი ბიტნიკების თაობის ცხოვრების შესახებ. ნაწარმოებში გზა ანუ ცხოვრება, ემთხვევა გზას პირდაპირი მნიშვნელობით. ნაწარმოების გმირები მოგზაურობენ ამერიკის გზებზე, ნიუ იორკიდან დენვერში, დენვერიდან სან–ფრანცისკოში. ისინი მუდმივ მოძრაობაში არიან, მუდმივად ეძებენ, თუმცა რას, ბოლომდე ვერ გაუცნობიერებიათ.

*„-უნდა წავიდეთ, და მანამ ვიაროთ სანამ იმ ადგილს არ მივაღწევთ,"* - ამბობს ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი გმირი.

*„ კი მაგრამ, რომელ ადგილს?"* - ეკითხება მეორე.

*„არ ვიცი, მაგრამ უნდა წავიდეთ,"* - არის პასუხი.[2]

ბიტნიკების თაობა ეწოდა მწერლების იმ ჯგუფს, რომლებიც გამოჩნდნენ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 1950-იან წლებში. შემდგომ კი ყველა, ვინც ამ მწერლების იდეებს იზიარებდა, ბიტნიკად მოინათლა. ბიტნიკები გამოხატავდნენ უკმაყოფილებას თანამედროვე საზოგადოებისადმი და ემხრობოდნენ რადიკალურად განსხვავებულ ღირებულებებს. ისინი ეკონომიკური სიმდიდრისა და კონფორმიზმის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ომის შემდგომ საზოგადოებაში ცენტრალურ მიზნად იქცა ყოველდღიური საყოფაცხოვრებო საგნების შეძენა, რასაც ხელს უწყობდა მასმედია და მომგებიანი სასესხო პირობები.

ბიტნიკები უარყოფდნენ მატერიალურ სიმდიდრეს და ცდილობდნენ აღმოეჩინათ თავიანთი სულიერი და ხელოვანი „მე," ნარკოტიკების, თავისუფალი ურთიერთობების, ჯაზისა და ძენ ბუდიზმის მისტიციზმის საშუალებით. ამერიკული ოცნების მატერიალიზმით იმედგაცრუებულებმა, განიზრახეს ახლა ამერიკული ოცნების სხვა დანაპირები - შეუზღუდავი თავისუფლება გამოეცადათ. ნარკოტიკები, ბიტნიკი მწერლების აზრით, მათ დაეხმარებოდათ უკეთესად გადმოეცათ თავიანთი სათქმელი. ბიტნიკი პოეტი ალან გინსბერგი ამბობდა: „მხოლოდ გრძნობების ფუნქციის მოშლა, შინაგანი აშლილობა, სიყვარულის, სიგიჟის და ტანჯვის შეგრძნებების აღრევა აქცევს პოეტს ნამდვილ წინასწარმეტყველად."[3]

რაც შეეხება სიტყვას „ბიტი" (beat), მას განსხვავებული კონოტაცია ჰქონდა სხვადასხვა ბიტნიკი ავტორისათვის. სასოწარკვეთილება ადამიანის განადგურებულ

(beaten) ყოფაზე; რწმენა ნეტარებისა (beatitude); ჯაზის მელოდიის (beat of jazz) მაცოცხლებელი რიტმი. თავად ჯეკ კეროაკმა, რომელმაც პირველმა გამოიყენა სიტყვათშეთანხმება „ბიტნიკების თაობა“, სიტყვა „ბიტი“ გაიგონა ტაიმზ სკვერის თავლითისაგან, ჰერბერტ ჰუნკესაგან, რომელიც ამ სიტყვაში ეგზალტირებულ დონემიხდილობას გულისხმობდა. კეროაკი სიტყვა „ბიტს“ უკავშირებდა კათოლიკების ბიტიფიკურ ხედვას (beatific vision), რაც ნეტართა მიერ ღმერთის უშუალო ჭვრეტას გულისხმობდა. იგი ამტკიცებდა, რომ ბიტნიკების თაობა სინამდვილეში რელიგიური თაობა იყო, მაგრამ მას თითქმის არავინ უჯერებდა. კეროაკის მეგობარი ჰოლმსი კი სრულიად იზიარებდა იმ აზრს, რომ ნაწარმოები მართლაც რელიგიური ხასიათის იყო. „მიუხედავად იმისა, - წერდა ჰოლმსი, - რომ ძიების პროცესში ნაწარმოების გმირები არღვევენ მორალურ თუ ლეგალურ საზღვრებს,ეს მხოლოდ იმ იმედით ხდება,რომ იქ, გზის მეორე მხარეს,ნამდვილ რწმენას იპოვენიან.“ [4]

რომანი „გზაზე“ შეიძლება აღვიქვათ როგორც სელ პარადისის ძიება, რომელიც თავად ჯეკ კეროაკს განასახიერებს (საინტერესოა, რომ პარადისის ძიება სამოთხის ძიებასთანაც ასოცირდება იმდენად, რამდენადაც სიტყვა „Paradise“ სამოთხეს ნიშნავს). ბაძავს რა თავისი მეგობრის დინ მორიარტის მაგალითს, სელი გზას დაადგება, რათა ამერიკული ოცნების შეუზღუდავი თავისუფლება თავად გამოსცადოს. დინ მორიარტის სახით რომანში გამოყვანილია ჯეკის მეგობარი ნილ კასადი. ნილი ციხიდან წერდა წერილებს თავის მეგობარს ჰელ შეზს, რომელიც კეროაკთან ერთად კოლუმბიის უნივერსიტეტში სწავლობდა. პირველად მის შესახებ კეროაკმა ამ წერილებიდან შეიტყო. წერილებში ნილი სურვილს გამოთქვამდა – როცა ციხიდან გამოვიდოდა კოლუმბიის უნივერსიტეტში ესწავლა, თუმცა, როცა ნიუ იორკში ჩამოვიდა და ბიტნიკ მწერლებს შეხვდა, მწერლობა მოინდომა და კეროაკს დაუმეგობრდა.

სწორედ ჯეკ კეროაკის და ნილ კასადის, იგივე სელისა და დინის ამერიკის გზებზე მოგზაურობაა აღწერილი ნაწარმოებში. დინ მორიარტი, თავისი სპონტანური, დარდიმანდი ცხოვრების წესით და მეამბოხე სულით, ბიტნიკების თაობის ჭეშმარიტი წარმომადგენელია. დინი თავისუფალია ყოველგვარი სოციალური ვალდებულებებისა თუ შეზღუდვებისაგან. დინი უარყოფს ყველაფერ იმას, რაც კი მისი დროის რიგითი ადამიანისათვის მისაღები და დასაფასებელია. მისთვის ნამდვილი მეგობრობა და სიყვარული ან არ არსებობს, ან სრულიად განსხვავებული ცნებებია (თუმცაღა, ვინ განსაზღვრა ნამდვილი მეგობრობისა თუ სიყვარულის საზღვრები?). დინი ის ადამიანია, ვისაც არ სჯერა, რომ ნამდვილი მეგობარი ისაა, ვინც გაჭირვების ჟამს გიდგას მხარში. მას შეუძლია უცხო ქვეყანაში, გაჭირვებაში მიატოვოს დიზენტერიით დაავადებული მეგობარი სელი, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ საბუთები მოაგროვოს, რათა გასცილდეს კამილას და იქორწინოს ინეზზე. მას შეუძლია ასევე უმიზეზოდ, დათქმულ დროზე ადრე ჩამოვიდეს კალიფორნიიდან ნიუ იორკში იგივე მეგობართან და წარმოდგენა არ ქონდეს, თუ რატომ გამოიარა ამხელა მანძილი. დინის ცხოვრების მთელი ფილოსოფია იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანები თვითონ ქმნიან საკუთარ მომავალს და ამდენად, ისინი თვითონ უნდა აკეთებდნენ არჩევანს.

რომანის ერთ-ერთი გმირი - გალათეა დინს საზიზღარ ადამიანს უწოდებს მაშინ, როცა სელი, რომელიც ასე უღმერთოდ მიატოვეს მექსიკაში, ამბობს, რომ დინმა მათ უდიდესი სამსახური გაუწია მხოლოდ იმით, რომ იგი ისე იქცევა, როგორიც სინამდვილეში არის.

დინის კონფორმიზმის, ყოველგვარი დოგმებისა და წესების სიძულვილი ასე შეიძლება შევაჯამოთ: ადამიანი უნდა მოიქცეს ისე, როგორც მას უნდა რომ მოიქცეს და არა ისე, როგორც უნდა მოიქცეს ხელოვნურად დადგენილი სოციალური ნორმების მიხედვით.

რომანში ქალები ისეთივე თავისუფალნი არიან, როგორც მამაკაცები. ისინი ძირითადად ჭკუასუსტი არსებები არიან და მამაკაცებისათვის მხოლოდ სიყვარულის ობიექტს წარმოადგენენ. უბიწო ქალი რომანის მთავარი გმირებისათვის თითქმის წარმოუდგენელია და თუ რომანში მაინც გეხვდება ასეთი ქალი, იგი საცოდავი, უმწეო არსებაა.

სელი ხედება სოფლელ გოგონას, რომელსაც ეკითხება, თუ რა უნდა ამ ცხოვრებაში, გოგონას წარმოდგენა არა აქვს. სელი მას კითხვას ბევრჯერ შეუბრუნებს, რადგან ცდილობს მიიღოს პასუხი: საპირისპირო სქესთან ურთიერთობა და გართობა, მაგრამ ამაოდ. სელის კითხვაზე, თუ რას გააკეთებდა გოგონა საფხულის მშვენიერ საღამოს, გოგონა პასუხობს: პოპკორნს. ბოლოს სელი ასკვნის: „ის ყველაზე ლამაზი სოფლელი გოგონა იყო,რომელიც კი ოდესმე მენახა, მაგრამ ვაი რომ ამ ცხოვრებაში გზა აბნეოდა."[5] სელი იმასაც დასძენს, რომ ადრე ალბათ გაახარებდა ასეთი უმწიკვლო გოგოს ნახვა, მაგრამ ახლა ამან დაალონა, რადგან როცა გოგონა მის კითხვებს პასუხობდა, მოწყენილი ჩანდა, რაც სელის აზრით, იმით იყო გამოწვეული, რომ ის აკეთებდა იმას, რაც უნდა გაეკეთებინა და არა იმას, რაც უნდოდა რომ გაეკეთებინა.

ნაწარმოებში შავკანიანებს განსაკუთრებული ადგილი აქვთ დათმობილი. ბიტნიკი გმირები მათდამი საოცარი პატივისცემით არიან გამსჭვალულნი. ამის მიზეზი, ბიტნიკების რასობრივი დისკრიმინაციის სიძულვილთან ერთად, ისიც არის, რომ შავკანიანები ძირითადად ჯაზთან ასოცირდებიან. ჯაზი კი, განსაკუთრებით ორმოციანი წლების ბიბოპის სტილი, ბიტნიკების შთაგონების მთავარი წყარო იყო. ჯაზის ერთ-ერთ მომღერალს - სლიმ გაილარდს დინი ღმერთს უწოდებს. სლიმ გაილარდი თავისი ცხოვრების წესით იზიარებს ბიტნიკების მსოფლმხედველობას: ის იმას აკეთებს და იმას ამბობს, რაც კი თავში მოუვა.

ჯაზის კონცერტების შესანიშნავ აღწერას ვხედებით რომანში, როცა ჯეკ კეროაკი მოგვითხრობს იმ ადგილების შესახებ, სადაც სელი და დინი გასართობად დადიოდნენ. სელსა და დინს მუდამ ჯაზის კლუბებში, შავკანიანთა გარემოცვაში ყოფნა სურთ. უფრო მეტიც, მათი ცხოვრებით უნდათ იცხოვრონ.

„მე, სელ პარადისი, მარტოდ-მარტო, მოწყენილი მივუყვებოდი აუტანლად საამო ღამის იასამნისფერ სიბნელეს, და ამერიკის მხიარულ, გულმართალ, ექსტაზში მყოფ შავკანიანების ცხოვრებას შევნატროდი."[6]

ბიტნიკი მწერლები სესხულობდნენ აზიურ სალიტერატურო ფორმებს; მიმართავდნენ „სატორს", ანუ უეცარი გონების განათებას, რაც ჯოისის ეპიფანიას, ვირჯინია ვულფის ყოფიერების წამს და ეზრა პაუნდის გონების გასხივოსნების მეთოდს მოგვაგონებს. სატორის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი სცენა: სელი და მისი მეგობარი რემი მუშაობას პოლიციაში იწყებენ, თუმცა თავად სურსათის მაღაზიას გაქურდავენ. სელი ამბობს: „უეცრად თავში გამკრა, რომ ყველა ამერიკელი დაბადებიდან ქურდია." [7]

საინტერესოა ნაწარმოების ბოლო ეპიზოდი: დინი სელთან ნიუ იორკში ჩამოდის, მაგრამ სელი, რომელიც მეგობრის ჩამოსვლას არ მოელოდა, ამ დროს

კონცერტის სანახავად მიდის. სელი იძულებულია სხვა მეგობრებთან ერთად, რომლებსაც დინი არ მოსწონთ, მანქანაში ჩაჯდეს და წავიდეს, თუმცა უკვე სულ აღარ სურს კონცერტზე დასწრება. დინი კი, რომელიც თვალებით აცილებს მიმავალ მეგობარს, სულ მარტო რჩება გზაზე. თუმცა მარტო არა, მას რჩება გზა, გზა რომლის ბოლოშიც რაღაც ელოდება, რაღაც უფრო დიდი და მნიშვნელოვანი, რის საპოვნელადაც აუცილებლად, ისევ დაადგება გზას.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Masefield, John. The Seekers. Nicholson & Lee, eds. The Oxford Book of English Mystical Verse. 1917
2. Kerouac, Jack. On the road. USA Inc. Penguin Books, 1991. p.238
3. Charters, Ann. Kerouac: A biography. San Fransisco: Straight Arrow, 1973
4. Holmes, John Clennon. Nothing More to Declare. New York: Dutton, 1967
5. Kerouac, Jack. Op. cit., p. 242-243
6. Kerouac, Jack. Op. cit., p. 180
7. Kerouac, Jack. Op. cit., p. 71

**ნანა გუბელაძე**
*ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორიის კათედრა*

# თემისა და პიროვნების ურთიერთმიმართების საკითხი უ. ფოლკნერის რომანში „აგვისტოს ნათელი“

უ. ფოლკნერის რომანების აღქმა და გაგება რომ რთულია, ეს საკმაოდ ცნობილი ფაქტია. მისი შემოქმედების პრობლემატიკა სპეციფიკურია. ამერიკის სამხრეთის ტრაგიკული ისტორიის გარეშე, მისი ანალიზი ყოვლად შეუძლებელია. მკვლევარი ანასტასიევი დასძენს: „ნებისმიერი ცდა ფოლკნერის აბსტრაქტული იდეების ტერმინებში წაკითხვისა, თუნდაც ის ღრმად მოაზროვნე იყოს, წარუმატებლად დამთავრდება“.[1]

უ. ფოლკნერის შემოქმედების მთავარი თემაა – სამხრეთის ისტორიის სოციალური კატაკლიზმები, რაც ამა თუ იმ ფორმით გამოძახილს პოულობს მის ყველა ნაწარმოებში: „ხმაური და მძვინვარება“, „აბესალომ, აბესალომ!“, „აგვისტოს ნათელი“ და სხვა. იოკნაპატოფას ოლქი დასახლებულია ხალხით, რომელთაც ერთმანეთთან აკავშირებთ მონათესავე ინტერესები, ბედი და ერთიანი ისტორიული მეხსიერება. თემი არის ლეგენდა,თქმულება,კოლექტიური ცოდნა. თემი აერთიანებს დანაწევრებულ და შემთხვევით ფრაგმენტებს და იძლევა დასრულებულ სახეს. თემს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს უ. ფოლკნერის რომანში „აგვისტოს ნათელი“. საზოგადოება დიდ ყურადღებას მოითხოვს ნაწარმოებში, რადგან თემი გახლავთ ის უხილავი ძალა, რომელიც რომანში თავის უდიდეს, მაგრამ ფარულ ზეგავლენას ახორციელებს. ამიტომ „აგვისტოს ნათელი“ ძნელად გასაგებ ქმნილებად იქცევა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მათ ვერ აღიქვეს საზოგადოების-თემის ძირითადი განმსაზღვრელი როლი და ამით დაკარგეს ნაწარმოების სტრუქტურის მთავარი გასაშიფრი გასაღები. ამ დროს უბრალო დაკვირვებაც კი თვალსაჩინოდ მიგვანიშნებს იმ ფაქტზე, რომ რომანის თითქმის ყველა პერსონაჟს განსაკუთრებული ურთიერთობა აქვს საზოგადოებასთან, ისინი გარიყულები ან უბრალოდ უცხო პირები არიან. მისის ბერდენი წლების მანძილზე საზოგადოებისაგან განდგომილი ცხოვრობდა. ასევე თემმა ყველაფერი იღონა საიმისოდ, რომ ღირსეული მისტერ ჰაითაუერი გაერიცხა თავისი რიგებიდან და თუმცა მარცხი განიცადა ამ კუთხით, ამ უკანასკნელს მხოლოდ ერთგვარი უკმაყოფილო შემწყნარებლობით თუ იტანდა. ჯო ქრისმასი ხომ სრულიად გაუცხოებულია საზოგადოებისაგან. თვით ბაირონ ბანჩიც კი ასკეტიზმის წყალობით ექსცენტრულ „პერსონაჟად“ აღიქმება, რადგანაც იგი შვიდი წლის მანძილზე აბსოლუტურ საიდუმლოს წარმოადგენდა ქალაქისათვის, მაგრამ თვად თემს, რომლის წინააღმდეგაც არიან მიმართული ეს პერსონაჟები, რომელთანაც არიან შეპირისპირებული ავტორის მიერ რომანში, განსაკუთრებული წარმომადგენელი არ გააჩნიათ და არც საჭიროებენ ამას. ეს საზოგადოება ხომ მთელს რომანშია განფენილი და ყოველთვის თვალსაჩინო და საგრძნობია დაკვირვებული მკითხველისათვის.

მისის ჰაითაუერის სამარცხვინო სიკვდილის შემდეგ საზოგადოება დარწმუნებული იყო, რომ მისტერ ჰაითაუერი თავს დაანებებდა ეკლესიას და როცა

ის ასეც მოხდა. ქალაქის მუდმივი სურვილის შედეგად, „შემდეგ ქალაქი წუხილნარევ სიხარულს განიცდიდა. ასე სწუხან ადამიანები იმათ შესახებ ვისაც საბოლოოდ აისრულებენ იმის გაკეთებას, რაც სურდათ".[2] მაგრამ ჰაითაუერი მაინც არ ტოვებს ქალაქს და საზოგადოებაც ამ სიჯიუტის გამო მძვინვარებს. საბოლოოდ რამდენიმე კაცმა სცემა იგი, ახლა უკვე დამფრთხალი მოქალაქენი „დამნაშავეთა წინააღმდეგ საქმის აღძვრას ცდილობენ", მაგრამ ჰაითაუერმა არ გაამხილა თავდამსხმელნი. მთელმა ამ ამბავმა თითქოს ავი სიოს მსგავსად ჩაიქროლა, ქალაქმაც გაიაზრა საბოლოოდ, რომ ეს კაცი მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა სიკვდილამდე.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული მომენტებისა, რომანის „აგვისტოს ნათელი" მკითხველს შეიძლება კვლავ გაუჩნდეს კითხვები იმის თაობაზე, თუ რა მიმართებაშია თემი –რომანის ძირითად მნიშვნელობასთან, რა სავარაუდო მიმართება არსებობს ორ მთავარ პერსონაჟს –ლინასა და ჯო ქრისმასს შორის, რომელნიც არასოდეს ხვდებიან ერთმანეთს და განვითარების საკუთარი, განცალკევებული გზა აქვთ - ერთს მშვიდი, მეორეს - ძალადობით სავსე. იმისათვის რომ ამ კითხვებს ვუპასუხოთ, უნდა დავიწყოთ პერსონაჟთა ურთიერთმიმართებისა და სამყაროსადმი მათი დამოკიდებულების განხილვა.

ლინა და ჯო ქრისმასი ერთმანეთის მიმართ თვალსაჩინოდ კონტრასტულები არიან, თუმცა მათი მსგავსება კიდევ უფრო უსვამს ხაზს მათ ძირითად განსხვავებას. ორივენი ობლები არიან, ორივე სახლიდან გარბის და ამისთვის ფანჯრიდან ძვრებიან, ორივეს ღალატობს პირველი სატრფო, ორივე ხეტიალის შემდეგ ჯეფერსონს მიაღწევს, მაგრამ განსხვავებულია საზოგადოების – თემის მიმართება მათ მიმართ. ადრე თუ გვიან, ყველა კაცის ხელი ჯო ქრისმასის წინააღმდეგ აღიმართება. მაგრამ ბავშვით დამძიმებული ლინა, ამ ბავშვის მამის აშკარა და სასაცილო ძიებას რომ შესდგომია, მომხიბლავ პასუხებს ღებულობს ცხოვრებისაგან. თვით ის ქალიც, აშკარა კიცხვით რომ უმზერს მის დალურჯებულ სხეულს, მონეტების გროვას უწვდის დასახმარებლად და თემიც ყოველნაირად უმართავს ხელს. ბაირონ ბანჩის დონკიხოტური ფიგურა, მოუხეშავი რაინდობით რომ ეპყრობა ლინას, მისი მცველი ხდება – „ბრძოლებს" გადაიხდის მისთვის. ჯო უკუაგდებს, ლინა კი ისიდავს თემის ძალებს. მაგრამ საქმე ის როდია, რომ ლინა კარგია, ჯო კი – ცუდი. ჯოს გაუცხოება საზოგადოებისაგან მარტივად არ ხდება. ამისთვის ღრმა მიზეზი არსებობს. უ. ფოლკნერი საკმაოდ ფრთხილად, ფაქიზ დოკუმენტირებას ახდენს გაუცხოების თითოეულ ისტორიაზე და უაღრესად დეტალიზებულ სახეს ანიჭებს მას ჯო ქრისმასისა და გეილ ჰაითაუერის შემთხვევაში. ჰაითაუერი წარსულს ებღაუჭება, ხოლო ბავშვობის მტკივნეული გამოცდილების გამო ქრისმასი მოკვეთილია რაიმე დატვირთვის მქონე წარსულისაგან. ჰაითაუერი რომანის ბოლოს გაიაზრებს, რომ მას არც უცხოვრია. ასაკოვანი მშობლების შვილი ბავშვობიდან ატარებს კონფედერატი ბაბუის მოგონებას, რომელიც ყველა იმ თვისებას ატარებდა, რაც უცხო იყო მამისათვის. ჰაითაუერისათვის მამა მტერია. როგორც თავად ამბობს: „მე გადავახტი თაობას". იგი რომანტიკული საბურველით მოსავს ბაბუის სიკვდილს. მისი ქადაგებანი ღვთის სიტყვისა და კავალერისტული გერგილიანობის ნარევს წარმოადგენს. რომანის ბოლოს იგი მიდის იმ აზრამდე, რომ ორმოცდაათი წლის მანძილზე იგი თიხაც კი არ ყოფილა. მაგრამ ქრისმასს არ ჰყავს „ჩამქრალებული მკვდრები", არც წარსულს ებღაუჭება. ობოლთა სახლი და ცხოვრება მამინაცვალთან, კალვინისტ მაკეჩერნთან გახდა გმირის საკუთარ თავში ჩაკეტვის მიზეზი, მას არანაირი კავშირი არ გააჩნია და ამიტომ ეჭვით

უკუგდებული ეპყრობა გრძნობის და სინაზის ნებისმიერ გამოვლინებას. ეს ეჭვი ნაწილობრივ მის პირველ სექსუალურ გამოცდილებას უკავშირდება. უ. ფოლკნერი დიდი ოსტატობით აღწერს ამ ევოლუციას, მის გამოცდილებას ზანგ გოგოსთან და მეძავ ოფიციანტ ბობისთან, მაგრამ ეს განვითარება ექსტრემალურ დონეს არ აღწევს. ჯო ჰომოსექსუალად არ იქცევა, მაგრამ მისი ზიზღი და შიში ქალების მიმართ გასათვალისწინებელია და მისი ანტიფემინისტური განწყობა რომანის შემადგენელ აზრობრივ ნაწილად იქცევა. აქ პარალელია ჰაითაუერის მიმართებასთანაც, რომელსაც ასევე არ ესმის ქალების და ემიჯნება მათ და მაინც მასში შეიმჩნევა ერთგვარი ფარული ტენდენციები ისევე, როგორც ქრისმასში. სწორედ ჯოს ფარული ჰომოსექსუალობა აკავშირებს ჯოანა ბერდენთან. ჯოანას მამრობითობა, მასკულინური ხასიათი საბოლოოდ ნიმფომანიად იქცევა, რაც თავის მხრივ ფემინისტურ რელიგიურობად გადაიქცევა, რის გამოც ჯო მას კლავს. იგი ვერ აიტანს ამ ქალის ლოცვას მის გამო.

ჯოანა ბერდენი ფოლკნერის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პერსონაჟია. უ.ფოლკნერი ჯოანას გარკვეული პათოსით და ტრაგიზმითაც კი წარმოგვიდგენს. ის მარტოსულია, საზოგადოებისაგან განცალკევებული, ჰაითაუერის მსგავსად რომ დევნიდნენ პერსონალური ინტელექტის გამო, მაგრამ მას აქვს სიმამაცე და გამძლეობა. ჯოანა მოვლენათა გავლენის გამო საკუთარი ბუნების სრულ რეალიზაციას ვერ ახდენს. იგი იძულებული გახდა საკუთარი თავის ნაწილი დაემარხა, მაგრამ მისი სურვილები და მისწრაფებანი მაინც მასში რჩება. როცა ისინი მოგვიანებით იღვიძებენ, მას საშინელება ატყდება თავს.

არანაკლებ საინტერესოა ის საკითხი, თუ რამდენად ჭეშმარიტია თემის დამოკიდებულება პიროვნებებთან მიმართებაში. უნდა ითქვას, რომ თემის სახე მწერლისათვის ერთგანზომილებიანი არ არის. ფართო გაგებით, თემი გაიგივებულია სიმართლესთან. ასეთია იოკნაპატოფას სამყაროს მხატვრული ლოგიკა. მაგრამ, ამასთან ერთად ფოლკნერი გვიჩვენებს, რომ თემი თავის ორგანიზმში ატარებს უარყოფით თვისებებსაც, რაც მის ერთიანობას შიგნიდან არღვევს - ასეთია თემის მიდრეკილება, შეინარჩუნოს ძველი დრომოჭმული წესები.

ამგვარად, თემი უდავოდ რჩებოდა ზნეობრივ ცენტრად, მაგრამ იმავე დროს, ის შემაფერხებელი ძალაც იყო, რომელიც ამუხრუჭებდა თავის წევრს გარკვეული კონვენციების – სოციალურ, იდეოლოგიურ, მორალურ ჩარჩოში. მიუხედავად ამისა, თემს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი ეთიკური კოორდინატორის ფუნქციას ასრულებს. თემს ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ფოლკნერის რომანების მხატვრული სტრუქტურისათვის: ის აერთიანებს დანაწევრებულ და შემთხვევით ფრაგმენტებს და დასრულებულ სახეს აძლევს მას. როგორც მკვლევარი ნ.ანასტასიევი დასძენს: „ფოლკნერისეულ მხატვრულ სამყაროში ეს უხილავი სახე, მოზაიკურად ჩაქსოვილ ადამიანთა ბედს აწესრიგებს, ანიჭებს მიზანშეწონილობას და ეპიკურ დასრულებულობას." [3]

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Н. Анастасьев. Фолкнер. М., „Художественная лiтература", 1976.
2. Cleance Brooks. W. Faulkner. The Yoknapatawpha Country/ New Haven and London Yale University Press, 1986.
3. Н. Анастасьев, указанная статья, с.15.

**მანანა დუმბაძე**
*შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი*

# უოლტ უიტმენი და მისი დიდი ქართველი მთარგმნელი

„უოლტ უიტმანი[1] უცხო სტუმარია არა მარტო ქართულ პოეზიაში, თვით ევროპაშიც. ევროპა დღემდის ორ დიდ ამერიკელს იცნობდა კარგად: ედგარ პოს – პოეტს, ნოველისტს, რალფ ვალდო ემერსონს – ფილოსოფოსს, კარლაილის დიდ მოწაფეს" – წერს 1926 წელს კონსტანტინე გამსახურდია, რომელსაც განუზრახავს ქართული ლიტერატურული საზოგადოება „მსოფლიო კულტურის ცივილიზაციის" კიდევ ერთ კერპს უოლტ უიტმენს აზიაროს, უიტმენს – დიდ, არატრადიციულ პოეტს, რომელიც „დღეს გაცილებით მეტ გავლენას ახდენს კულტურულ ადამიანობის ფანტაზიაზე, მის პოეტურ ემოციებზე, ვიდრე ვერჰარენ არნო ჰოლცი, ვალერი დარზო ან სხვა რომელიმე თანამედროვე ევროპელი პოეტი. უოლტ უიტმენს მრავალი მიმდევარი ჰყავს დღესაც გერმანიასა, საფრანგეთსა და ინგლისში. მისი ზეგავლენა დღითი-დღე იზრდება ევროპაში".[2]

XIX საუკუნის პოეზიისათვის დამახასიათებელმა პესიმისტურმა სულიერმა განწყობილებამ, მსოფლიო გლოვის ატმოსფერომ, კარგა ხანია ზენიტს მიაღწია და XX საუკუნის დასაწყისიდან დაღმა სვლა დაიწყო, ხოლო 1914–18 წლების მსოფლიო ომის სისხლისღვრამ კაცობრიობას კვლავ ჯანსაღი, ოპტიმისტური, მხიარული და ცოცხალი ადამიანური ლექსი მოანატრა. აი რა დროს მოევლინა მსოფლიო პოეზიას უოლტ უიტმენი, თავისი თვითნებობით, სიჯიუტით და მოულოდნელობით. იგი იყო ახალი, ძლიერი მომავლის პოეტი, რომელმაც უარყო ტრადიციული პოეტური ფორმები და დაიწყო წერა ისე, როგორც არავინ, „ისე როგორც მოეპრიანება მის ნიაღვარივით თავნება ბუნებას".

„მწერლობაში უპირველესი საკითხავია – სტილი, რადგან სტილია თვითმეტყველი ადამიანის ანი და ჰოე", - წერს კონსტანტინე გამსახურდია. მან იცის, რომ უიტმენის სტილი ისეთივე თავისებურია, როგორც მისი იდეები. უიტმენის პოეტურ მეტყველებას არ ემჩნევა ის გადაჭარბებული სიმჭევრე, გადამეტებული „ხელოვნურობა", ყალბი რიტორიკა, რომელიც კარგა ხნის შემოჭრილი იყო იმდროინდელ ინგლისურ და,საერთოდ,ევროპულ ლიტერატურაში.

ამაყი, დამოუკიდებელი, ბუნების მოყვარული, თავისუფალი ადამიანი, - ეს არის უიტმენის იდეალი. მაღალი ჰუმანური გრძნობებითაა გაჟღენთილი მისი ლექსები. გამსახურდია არ მალავს აშკარა აღფრთოვანებას პოეტის ხელოვნებით და სურს მთელი თავისი ერი აზიაროს ამ დიდ მოვლენას. იგი უდიდესი სიფრთხილით ეკიდება უიტმენის ლექსთა თარგმნას, გულისყურით არჩევს სათარგმნ მასალას და დასძენს: „ამ გამოცემაში ჩვენ გამოვტოვეთ ზოგიერთი ლექსი მისი წიგნიდან „Leaves of Grass" (ბალახის ფოთლები), რადგან ყოველ პოეტს აქვს ისეთი ლექსები,რომელნიც სხვა ენაზე გადათარგმნილნი სრულიად უფერულნი ხდებიან". უიტმენის პოეზიას იმდენად კოსმოპოლიტური კოლორიტი აქვს, რომ ზოგადად აღებული ისინი თარგმანში მინიმალურ ცვლილებას განიცდიან. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ უიტმენის ოდები და ლექსები არსებითად

განსხვავდებიან ტრადიციულ ბოლორითმიან, ასე ვთქვათ, ევროპული ახალი ლექსისგან. იგი უარყოფს ბოლო რითმას, რადგან „ბოლო რითმა გრძნობის ხუნდებს ქმნის. მისი თავისებურება სწორედ ეს თავნება, თავისუფალი, შეუზღუდველი, უტრადიციო გამოთქმაა. მისი ლექსი ხანდახან ბერძნულ მაღალ ტონიან დითირამბს უახლოვდება, მისი ჰიმნების ენა ოდნავ წააგავს ნიცშეს, ან ჰოლდერლინის მდუღარე, მქუხარე დითირამბებს. ისეთი ძლიერი გრძნობის ვულკანი იქმნება ამ სიმღერისგან,რომ მას ლექსის ფოლადის აბჯარიც ვერ დააოკებდა. ალაგ-ალაგ უიტმანის ლექსი პროზისკენ მიიწევს,ძლიერ უახლოვდება ბოდლერის „პროზაულ ლექსის" ოდნავ მოდუნებულ ტემპერამენტს, ათეული წლებით ნიცშეზე ადრე ამერიკელი პოეტის ჰიმნების ენით უმღერის ფოლადის თაობას. მაღალი ჰუმანურობის გრძნობითაა გასპეტაკებული მისი პოეზია და ქართველი ახალთაობაც გაიგონებს „თუ როგორ მღერის დასავლეთში მარტოკა, ახალი ქვეყნისთვის უოლტ უიტმანი"[3]. ეს ვრცელი ციტატა და განსაკუთრებით კი მისი ბოლო წინადადება მოვიყვანეთ სპეციალურად იმის დასამოწმებლად, რასაც ამის შემდეგ მოგახსენებთ. როდესაც მთარგმნელი ასე დაჯერებით ამბობს, ახალი თაობაც გაიგონებს თუ როგორ მღერის პოეტიო, ეს იმას ნიშნავს, რომ მას ძალუძს ისეთი თარგმანი შექმნას, რომელიც პირნათლად შეასრულებს ამ ურთულეს მისიას, ხოლო ზემოთ მოტანილი კონცეფცია უიტმენის პოეტური სტილის თავისებურების, ფორმის ორიგინალობისა და გამოხატვის საშუალებათა განუსაზღვრელობის შესახებ, იმდენად ღრმა და ყოვლისმომცველია, რომ ლაპარაკი ზედმეტია იმაზე, თუ რამდენად მომზადებული შეუდგა გამსახურდია უიტმენის თარგმნას. თარგმანი კი, როგორც ბოლოსიტყვაობაში თავად მწერალი გვაუწყებს, შესრულებულია უშუალოდ ორიგინალიდან.

კონსტანტინე გამსახურდიას მოსაზრებები და უიტმენის პოეზიის ქართულად აჟღერების ცდა,ყამირ ნიადაგზე არ აღმოცენებულა. ქართულ ლიტერატურულ საზოგადოებას უკვე 1921 წელს გააჩნდა ვახტანგ კოტეტიშვილის უოლტ უიტმენის ცხოვრებისა და შემოქმედების დღემდე არსებული ერთ-ერთი ყველაზე ღრმა და საინტერესო ანალიზი. ამ პერიოდისთვის უიტმენის შესახებ არ არსებობდა ერთი ხეირიანი ბიოგრაფიული ნარკვევიც კი. საქართველოში არამცთუ ხალხმა, თვით მწერლებს შორისაც კი ბევრმა მხოლოდ მაშინ გაიგო ეს დიდი სახელი. ამიტომ ვახტანგ კოტეტიშვილი თავის შესანიშნავ ესეში მოგვითხრობს ამერიკელი პოეტის ბიოგრაფიას და ამ ფონზე განიხილავს მისი მხატვრული შემოქმედების ისეთ შედევრებს, როგორებიცაა: „სალამი", „სარკე", „ვინც უნდა იყოს იგი". ეს წერილი წარმოადგენს მე-19 საუკუნის ამერიკის ლიტერატურულ თუ პოლიტიკურ ყოველდღიურ ცხოვრებაში აბობოქრებული ისტორიული ძვრების ფონზე აღმოცენებული, ხალხის წიაღიდან ამოზრდილი, ამერიკის ქუჩებში მოხეტიალე და შემდეგ მისსავე ვიწრო მოსახვევებში დაკარგული გენიის უოლტ უიტმენის ფენომენის გახსნის მეტად ორიგინალურ ცდას. ვახტანგ კოტეტიშვილისათვის მისაღებია და სავსებით გასაგები ამ პერიოდის ამერიკის შეერთებულ შტატებში უოლტ უიტმენის გენიისადმი ცივი დამოკიდებულება, რადგან დასძენს, რომ „დღეს, ამ პოეზიის გოლიათს მხოლოდ ძლიერები გრძნობენ. უიტმენის სიცოცხლე ამას იქით გაიშლება. მოკვდება მაშინ, როცა მას სუსტებიც იგრძნობენ, გაიგებენ და შეიყვარებენ. უიტმენის სიკვდილი, როგორც პოეტის, ეს მისივე ხელახალი გამარჯვება იქნება"[4], ვახუშტი კოტეტიშვილს უოლტ უიტმენის ფენომენის გახსნის ძირითად და ამომავალ წერტილად მისი „დემოკრატია" მიაჩნდა. დემოკრატია, ხალხთა მასების გამოღვიძება და საზოგადოებრივი ღობეების დანგრევა ბრძოლაში იწვევს ძველ პოეზიას. უიტმენი შეუგრძნობლად იღებს მას: „ძირს ძველი თემები,

ალარავითარი სამკაული, არავითარი დახლართული სატრფიალო შინაარსი, არავითარი საგანგებო გმირები, არც ლეგენდები, არც ლექსები, არც კეთილხმოვანება, არც რითმი" - წერს უოლტ უიტმენი, მისი ლოცვა დემოკრატიის ქადაგებაა, აზროვნებაც იქიდან მოდის. თვით გარყვნილებაც კი, როსკიპის შელებილი კოცნა, წმინდად ცხადდება, რადგან „ხალხის კალთაზე აქვს მას ადგილი".[5]

უიტმენის პოეზია დღემდე უცნაურ მოვლენად არის მონათლული მსოფლიო ლიტერატურათმცოდნეობაში. ვახტანგ კოტეტიშვილი კი თვლის, რომ პოეტის ძალა სწორედ ამ უცნაურობაშია, ე.ი. სიახლეში, მომავლის განჭვრეტასა და წარმოდგენაში. „ბევრს ეგონა და დღესაც ჰგონია, რომ უიტმენის ლექსები სილამაზეს არიან მოკლებულნი, პოეზიის გარეთ დგანანო. მართალია, უიტმენის ლექსი არ არის იმ სილამაზის მატარებელი, რომლითაც იყო დატვირთული ხელოვნება დღემდე, მასში არ არის ის სურნელოვნება, რომელიც სასახლეებსა და ქალბატონების საპირფარეშოში იკმეოდა, მაგრამ დღევანდელ დღეს და ხვალინდელ მოლოდინსაც ხომ აქვს თავისი გემო. ძველი პრინციპები ჩანგს აჟღერებდნენ, ჩანგის დრო გარდაიცვალა. დღეს ბრძოლის საყვირია საჭირო და უიტმენი აქ პირველია. უიტმენი უფრო შორს მიდის, ვიდრე ჩვენს მიერ ხელზე შეჩვეული და გაწვრთნილი სილამაზე".[6]

თავის ესეში ვახტანგ კოტეტიშვილს უიტმენის შემოქმედების კიდევ ერთ ყველაზე საინტერესო მომენტზე აქვს გამახვილებული ყურადღება, ეს არის ქუჩის ფენომენი. ქუჩა მილიონების საბუდარია, სიყვარულის გამაძლიერებელი, მილიონი გულის ერთად ამძგერებელი, ქუჩა არის დემოკრატიის ბუდე და ამდენად ძეირფასია – სამყარო, სადაც იკარგება განსხვავება.

უიტმენის ენა – ეს არის ამერიკული ლიტერატურის ისტორიაში ჯერაც აუხსნელი, უნიკალური მოვლენა, რომელსაც ამერიკელი სტილისტები და ლიტერატურათმცოდნეები პრაქტიკულად უთარგმნელს უწოდებენ. იგი საოცრად ჭრელია, მასში გაზავებულია და ერთადაა თავმოყრილი მაღალმხატვრული, ბიბლიური, საგაზეთო, ქუჩური, ხალხური და ჟარგონული მეტყველების ელემენტები ისე, რომ მთლიანობაში ერთ ჰარმონიულ სიმფონიას ქმნიან. ითვლება, რომ მსგავსი მოვლენა ჯერჯერობით მთელს მსოფლიო პოეზიაში არ გვხვდება, რომ უიტმენის სრულყოფილი თარგმანი არც ერთ ენაზე არ არსებობს, რომ ყველა თარგმანი ცალმხრივია და ერთფეროვანი.

კონსტანტინე გამსახურდიას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ზუსტად განჭვრიტა ყოველივე ზემოთქმული და, როგორც თვითონ აღნიშნა, თარგმანთა კრებულის ბოლოსიტყვაობაში, უიტმენის პოეზიიდან ამოარჩია სწორედ ის ლექსები, რომლებიც შედარებით ნაცნობი და მონათესავე აღმოჩნდა მისი პოეტური სულისა და მხატვრული სტილისთვის. მართალია, არც ამ შემთხვევაში გვაქვს საქმე ზედმიწევნით სრულყოფილ თარგმანთან, რომელიც მოიცავს უიტმენის მხატვრული მეთოდის ყველა ნიუანსს, მაგრამ სწორი შერჩევის წყალობით, აღნიშნული სტილისტური ერთფეროვნება მეტნაკლებად გამართლებულად შეიძლება ჩაითვალოს.

გამსახურდიას ზედმიწევნით აქვს შესისხლხორცებული უიტმენის პოეზიის ყველაზე აუთვისებელი და მოუთოკავი გაელვებები და შემდეგ, თავისი ძლიერი, უკიდეგანო ნიჭის წყალობით, ღვთაებრივად აჟღერებული ქართულ ენაზე, მორგებული ისე, თითქოს არაფერი არაბუნებრივი ლექსის ამგვარ რითმაში არ ყოფილიყოს და რომ სტილის ამგვარი ლავირება თითქოს ზედგამოჭრილია ქართული ლექსთწყობისთვის, რომელიც თვისებრივად ცა და დედამიწასავით დაცილებულია ინგლისური, მით უმეტეს, ამერიკული ლექსის კონსტრუქციისაგან.

„სალამი სამყაროს!
ჩამომართვი ხელი, უოლტ უიტმან!
ო, წარმავალო საკვირველებავ,
სახეები, უცხო ხმაურო!
ჰოი, სახსრებო, ერთმანეთზე გადანასკვულო,
ერთი ყველას რომ უპასუხებს,
ყველა მიწის თანაზიარი,
რა ფართოვდება ამ შენს გულში, უოლტ უიტმან?"[7]
"Salut au Monde!
O, take my hand Walt Whitman!
Such gliding wonders! such sights and sounds!
Such join'd unended links, each hook'd to the next
Each answering all, each sharing the earth with all
What widens within you Walt Whitman"

ამ ლექსის ქართულ თარგმანში დედნის რიტმული ზომის დარღვევა პრინციპად არის გამოყენებული,რაც საერთოდ,არ არის მისასალმებელი პოეტურ თარგმანზე მუშაობისას, მაგრამ ამ შემთხვევაში, სწორედ ზომის რღვევის მოელენა განაპირობებს თარგმანში დედნის მხატვრულ-ტექნიკური და არსებითად ენობრივი ხასიათის ორიგინალურობის შენარჩუნებას. „Salut au Monde"-ს ქართულ ვარიანტში ზუსტად არის დაცული დედნისეული რეფრენები. საკუთარი სახელებიც კი იმავე სტრიქონებში ხვდება, როგორც დედანში. უიტმენის გადმოქართულებისთვის საჭირო იყო მთელი იმ მდიდარი ლექსიკის გამოყენება,რომელიც ქართულ მეტყველებას მოეპოვება. პოეტმა-მთარგმნელმა ეს შეძლო და ჩვენს ლიტერატურას ამ მხრივ მისცა უიტმენის ყოველმხრივ სანიმუშო თარგმანი. ამის თვალსაჩინო მაგალითად საკმარისია მოვიყვანოთ „ჰიმნები სიხარულისადმი".

„მინდა ვიმღერო ჰიმნები შვების,
სავსე მუსიკით, მამაკაცობით, დედაკაცობით და თუნდაც
უხმობით,
ყოველდღიური საქმიანობით,
ხორბლით, ხეებით...
ჰოი თქვენ, ხმებო ცხოველების,
ჰოი სისწრაფევ, წონასწორობად მალხაზ თევზების!
ო,წვიმის წვეთის ტაკა-ტუკო ლექსის ბგერაში!
მზის ელვარება, ტალღის შრიალი
როცა გაისმის ჩვენს სიმღერაში!
ო, ჩემი სულის სიხარულო განუსაზღვრელო,
ელვის ნაპერწკალს შევადარე შენი კისკასი.
მაინც არ კმარა ეს ყველაფერი,
რათა დავიპყრო მიწის სფერო,დროს გაქანება.
მინდა ათასი მიწის სფერო მეჭიროს ხელში
და დრო ყოველი და ყოველგვარი."[8]

უოლტ უიტმენის პოეტური ხერხებიდან ერთ-ერთი ყველაზე ეფექტურია – სტროფების დასაწყისში ბგერათა, სიტყვათა და ზოგჯერ მთელ ფრაზათა გამეორება.

განსაკუთრებით ხშირად ვხვდებით უარყოფათა განმეორებას. ასე მაგ. ლექსში: „Darest Thou Now O Soul"

„შენ ხომ გაჰბედე სულო ჩემო"

ყოველი სტროფი უარყოფით იწყება და უარყოფა შიგ სტროფებშიც მეორდება.

" No map there, nor guide
Nor voice sounding, nor tough of human hand
Nor face with blooming flesh, nor lips
Nor eyes, are in that land"[9]

„სად არც რუკები არ არსებობს,
არც წინამძღოლი,
არც ხმა მოისმის, აღარც ძახილი,
არც კაცის ხელის გაკარება და აღარც სახე
სიცოცხლით სავსე აღარც თვალები
არც ტუჩები იმ ქვეყანაზე"[10]

როგორც ვხედავთ, ქართულ თარგმანში ზუსტად იმდენჯერაა გამეორებული უარყოფა, რამდენჯერაც დედანში, თან ქართული არ, აღარც, არც - ფონეტიკური აგებულებით და მუსიკალობით სავსებით ეხმიანება nor-ს, რომელშიც ბგერა r ისეთივე ჟღერადია, როგორც ქართულ არ, აღარ და არც-ში –რ.

თარგმნის უმაღლეს პროფესიონალობას და მხატვრულ-ტექნიკური მხარის დახვეწის ზედმიწევნით ცოდნას შეიძლება მიეწეროს ლექსის – „მომეცი მდუმარე, ვარვარა მზე" – ქართული ვარიანტი. მიუხედავად იმისა, რომ მასში თვითნებურად არის გამოტოვებული ორი სტროფი, თარგმანი ქართული ენის ლექსიკური სიმდიდრის წარმოჩინების ნამდვილ ფეიერვერკს ქმნის, ხოლო ამ ლექსიკით ჯადოსნობა გამსახურდიას თარგმანში ისევე მომნუსხავეია, როგორც უიტმენისა "Give me the Splendid Silent Sun"-ში

„ფუსფუსი, ღრიანცელი, ენება,
ზანზარი,
მანჰატანის
ვრცელი ქუჩების უცხო რიალი,
დაუდგრომელი მოყაყანე ქუჩების ხორო,
თოფების ელვა იარაღის
ჟღერა, ჩხარუნი (ამ დაჭრილების
შემოხედვაც საზუკეელია),
მანჰატან – მასსები ამ ველური
ხოროს ყიჟინით,
ამ მანჰატანის სახეები და თვალები
გასაოცარი.
ეგ არის ჩემთვის"[11]

ყველა ნიუანსი, ყველა წვრილმანი, ყველა ლიტერატურული ხერხი თუ ხრიკი გათვალისწინებულია გამსახურდიას თარგმანში, მაგრამ მარტო გათვალისწინებული ცოტაა, თარგმანში ჩადებულია ის უდიდესი სული, ნიჭი,

გამბედაობა, ცოდნა და სიბრძნე, რომელიც ასე ჭარბად დააჯილდოვა ბუნებამ დიდ ქართველ შემოქმედს, ამიტომ არ არის საჭირო დაჟინებით მტკიცება, რომ უოლტ უიტმენი ნამდვილად გენიოსია, ამას დიდი კვლევა-ძიების გარეშე ისედაც კარგად გვიმტკიცებს კონსტანტინე გამსახურდია თავისი თარგმანებით.

„ჰეი ნისლებო, თქვენ გადმოგყვებით
ამ თვალუწვდენელ კონტინენტებზე,
მე თქვენთან ვქროდი, მძლავრო ქარებო,
ზვირთებთან ერთად ვესალბუნე
ზღვების ნაპირებს,
მიწის თქმოებს გავუარე ყოველგან, სადაც
ზღვას და მდინარეს ორწოხებში გზად გაუვლიათ;
მე ფეხი შევდგი კუნძულებზე, მაღალ კლდეებზე,
რათა შორიდან დამეძახნა:
Salut au Monde!“[12]

ლექსების კრებულს ბოლოში ერთვის უოლტ უიტმენის შესახებ მოკლე ბიოგრაფიული ცნობები, ხოლო უიტმენის სურათი თავფურცელზე შესრულებულია გამოჩენილი ქართველი მხატვრის გ. სიდამონ-ერისთავის მიერ. ეს პატარა კრებული დღეს ბიბლიოგრაფიულ ღირშესანიშნაობას და იშვიათობას წარმოადგენს. უიტმენი მას შემდეგ მრავალგზის ითარგმნა ქართულად და უნდა ითქვას, ხარისხიანადაც, მაგრამ ამ შემთხვევაში კონსტანტინე გამსახურდიამ სწორედ ის მარგალიტი მოიპოვა პოეზიის უძირო ოკეანიდან,რომლის მოპოვება მხოლოდ მისი შეძლების, ალღოსი და ნიჭიერების გენიას შეეძლო.

## შენიშვნები და გამოყენებული ლიტერატურა

1. ასე მოიხსენიებს პოეტს კონსტანტინე გამსახურდია ლექსების კრებულში „უოლტ უიტმანი“, ტფილისი, სსსრ სახელმწიფო გამომცემლობა, 1926.
2. კონსტანტინე გამსახურდია, „უოლტ უიტმანი“, ტფილისი, სსსრ სახელმწიფო გამომცემლობა, 1926, გვ. 6.
3. Ibid.
4. ვახტანგ კოტეტიშვილი, „რჩეული ნაწერები“, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1967, გვ.162.
5. Ibid.
6. Ibid.
7. უოლტ უიტმანი, რჩეული პოეტები, ტფილისი, სახელმწიფო გამომცემლობა, 1926, გვ.38.
8. Whalt Whitman, The Complete Poems. Penguin Books, 1977, p.165.
9. უოლტ უიტმანი, რჩეული პოეტები, ტფილისი, სახელმწიფო გამომცემლობა, 1926, გვ.38.
10. Whalt Whitman, The Complete Poems. Penguin Books, 1977, p.456.
11 უოლტ უიტმანი, რჩეული პოეტები, ტფილისი, სახელმწიფო გამომცემლობა, 1926, გვ. 77
12 Ibid.

**დინარა ვირსალაძე**
*კომპოზიტორი*

# ნოვატორები ჯაზში

ჯაზი მუსიკალური ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და სერიოზული განშტოებაა. მისი ჟანრული რაობა დიდი ხნის განმავლობაში დაუდგენელი იყო და გასართობი ხასიათის ლოკალური მნიშვნელობის მოვლენად მიიჩნევდნენ, მხოლოდ 1940-იანი წლების ბოლოდან აღიარეს ჯაზი როგორც ახალი, მეტად ორიგინალური და თვითმყოფადი ხელოვნება, რომელმაც არა მარტო გაუძლო დროის გამოცდას, არამედ, მთელ მსოფლიოში მოიმრავლა თაყვანისმცემლები. ჯაზი ღრმა, პროფესიულად დახვეწილი და ესთეტიკურად მდიდარი მუსიკალური და საშემსრულებლო გამოსახვის საშუალებების განუსაზღვრელი „მარაგის“ მქონე ხელოვნებაა.

ამ მუსიკის მთავარი თვისება არის იმპროვიზაციული საწყისის პრიორი, რაც გულისხმობს იმას, რომ ჯაზური ნაწარმოები უშუალოდ შესრულების პროცესში იქმნება და ასეთი სახით აღარასოდეს განმეორდება.

ჯაზში უშუალოდ შემსრულებელი ქმნის მუსიკას ან არის კომპოზიციის შემქმნელის სწორუფლებიანი თანაავტორი.

ჯაზმა არა მარტო გაამდიდრა მსუბუქი მუსიკის ჟანრი, არამედ კლასიკური, კამერული და სიმფონიური მუსიკის ნოვატორებსაც მისცა სტიმული. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ რაველის „ფოქსტროტი“ და ბევრი სხვა.

დროთა გამნმავლობაში ჯაზური მუსიკის შესრულებაში დიდი ცვლილებები მოხდა, თუ ადრეულ პერიოდში მუსიკოსები სმენით უკრავდნენ 1930-იანი წლებიდან დღემდე, ძნელია მოიძებნოს ჯაზის მუსიკოსი სპეციალური მუსიკალური განათლების გარეშე.

ამჟამად, ჯაზმა დაკარგა თავისი ლოკალური ხასიათი და საყოველთაო აღიარება მოიპოვა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჯაზის მომხიბლაობა მხატვრულ სახეთა განუმეორებლობაშია, რაც მუსიკოს-შემსრულებლისა და ასევე მსმენელისგანაც მდიდარ ინტელექტუალურ-ემოციურ მარაგს მოითხოვს.

XIX საუკუნის მიწურულს, ევროპული და აფრიკული მუსიკალური ელემენტების შერწყმამ განაპირობა ჯაზური მუსიკის წარმოშობა. ასეთი სინთეზის პირველ ნიმუშად ითვლება ინგლისელების კოლონიებში ჩასახული პროტესტანტული საეკლესიო ჰიმნი „სპირიჩუელსი“ (Spirituals), რომელიც ფართოდ გავრცელდა XIX საუკუნის პირველ ნახევარში. ამ ჰიმნებს საფუძვლად ედო ბლუზის ნოტებით შეფერილი ევროპული ჰარმონია. ბლუზური ნოტები მთელ მუსიკას სევდიან და სენტიმენტალურ იერს აძლევდა, ფართო, გაშლილი მელოდია კი მონოლითურ მთლიანობას ანიჭებდა.

XIX საუკუნის შუა წლებში თანდათან ჩამოყალიბდა და პოპულარობა მოიპოვა ლირიკული ხასიათის ზანგურმა სოლო სიმღერებმა „ბლუზებმა“ (Blues), რომლებიც წარმოიშვა ამერიკელი ზანგი მუშების ადრეული სიმღერებისა და რელიგიური ჰიმნების „სპირიჩუელსების“ ზეგავლენით. ბლუზებში,

„სპირიჩუელსებისაგან" განსხვავებით, ჭარბობდა უფრო „მიწიერი" განცდების თემატიკა, როგორიცაა: გლოვა-ტირილი, ანუ გაცრუებული სიყვარული....

დროთა განმავლობაში განვითარდა ბლუზის უფრო ხალისიანი, ცოცხალი ნაირსახეობა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა მეტად საინტერესო თეატრალური სანახაობა „მინსტრელ შოუ". ეს იყო ხალხური თეატრი, სადაც თეთრკანიანი მუსიკოსები და მომღერლები ზანგის გრიმს იკეთებდნენ და ზანგური სიმღერებისა და ცეკვებისაგან შედგენილი რეპერტუარით გამოდიოდნენ მაყურებლის წინაშე. „მინსტრელ შოუმ" დიდი როლი ითამაშა ზანგური მუსიკის პოპულარიზაციის საქმეში. ამრიგად, თეთრკანიანებმა ადრევე მიმართეს ზანგების თვითმყოფად ხელოვნებას. ძალიან ბევრმა ამერიკელმა კომპოზიტორმა დაწერა მუსიკა ამ თეატრებისათვის. „მინსტრელ შოუმ" იარსება XX საუკუნის დასაწყისამდე და მისი მელოდიები და რიტმები, ზანგური მუსიკის სხვადასხვა ნაირსახეობასთან ერთად, საფუძვლად დაედო მომავალ ჯაზურ მუსიკას.

პირველი ჯაზ-ორკესტრი ჩამოაყალიბა ბადი ბოლდენმა ახალ ორლეანში 1895 წელს.

ამ ორკესტრის გამოსვლებმა საფუძველი ჩაუყარა ჯაზური მუსიკის შესრულების ე.წ. „ახალორლეანურ" სტილს. ახალორლეანური ორკესტრების შესრულებით მარშები და საეკლესიო ჰიმნები იძენდა მანამდე უცნობ „ტალღისებურ" რიტმულ მოძრაობას, რაც შემდეგ „სვინგის" სახელით გახდა ცნობილი. პირველი ორკესტრები უკონტრაბასოდ გამოდიოდნენ, როდესაც ორკესტრები დარბაზებში უკრავდნენ, მაშინ ანსამბლის შემადგენლობაში კონტრაბასიც შედიოდა, რაც შეეხება ფორტეპიანოს, იგი ორკესტრში პირველად 1900 წელს გაჩნდა.

ადრეული ჯაზ-ორკესტრების შექმნის პარალელურად, XIX საუკუნის 90-იან წლებში ზანგებმა გამოიმუშავეს საფორტეპიანო შესრულების ახლებური სტილი – რეგთაიმი. სპირიჩუელსისგან და ბლუზისგან განსხვავებით მას ძირითადად მხიარული განწყობა ახასიათებს.

XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში რეგთაიმი ნელ-ნელა დავიწყებას მიეცა და პოპულარობას იძენს ახალი საშემსრულებლო სტილი „დიქსილენდი". დიქსილენდი თეთრკანიანმა მუსიკოსებმა შექმნეს, რომლებიც ჩასაბერ საკრავებზე ზანგური მანერით დაკვრას ცდილობდნენ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 1920-იანი წლების დასაწყისში, ჯაზურმა მუსიკამ დიდი ცვლილებები განიცადა. ნელ-ნელა გამოიკვეთა ამა თუ იმ მუსიკოსის სოლო შესრულება. მანამდე მიღებული იყო მხოლოდ ჯგუფური შესრულება. ამ ახალი წამოწყების სულისჩამდგმელი ლუი არმსტრონგი იყო. მისი ტალანტი აშკარად გამოიკვეთა, როდესაც მან ჩამოაყალიბა საკუთარი ანსამბლი და დასაბამი მისცა სოლო იმპროვიზაციების ფართო გამოყენებას. მისი ორკესტრის წევრები რიგრიგობით ასრულებდნენ სოლოს.

1930-იან წლებში ჯაზში ჩნდება ახალი საფორტეპიანო სტილი „ბუგი-ვუგი". ბუგი-ვუგი ტრადიციული ბლუზის განსაკუთრებული შესრულებაა. 40-იანი წლების დასაწყისში ჯაზის განვითარება გრძელდება. ახალგაზრდა ზანგი მუსიკოსების ერთმა ჯგუფმა ალტ-საქსაფონისტის ჩარლი პარკერის და მესაყვირე დიზი გილესპის ხელმძღვანელობით, შესრულების ახალი სტილი გამოიმუშავეს. ისინი წლების მანძილზე შემუშავებული და აღიარებული ჰარმონიული, მელოდიური და რიტმული კანონების წინააღმდეგ იბრძოდნენ.

ნოვატორებს, რა თქმა უნდა, საშინელი კრიტიკა დაატყდათ თავს.

ახალი სტილი ყალიბდება ჯერ „ნებობი“, შემდეგ - „ბი-ბოპი“, ან „ბოპი“, თავად მუსიკოსებს კი ბოპერები შეარქვეს. ბოპის შესრულება მოითხოვდა დიდ ტექნიკას. ბოპერები გაცილებით გართულებულ სოლოებს უკრავდნენ, რაც ძალზე ძნელი აღსაქმელი იყო. ამის გარდა ბოპერებმა რიტმში მოახდინეს ცვლილებები. ახალორლეანურ, დიქსილენდსა და სვინგის სტილებში რიტმს ძირითადად დიდი დოლი არეგულირებდა, ბოპიდან დაწყებული ამ ფუნქციას თეფშები ასრულებენ.

საზოგადოების უმეტესმა ნაწილმა და, მათ შორის მუსიკოსებმა, ვერ გაიგეს ბოპის მნიშვნელობა.

მხოლოდ 1950-იანი წლების შუა პერიოდში აღიარეს ბოპის მნიშვნელობა, ხოლო ჩარლი პარკერი და დიზი გილესპი ჯაზური მუსიკის ნოვატორებად გამოაცხადეს.

ბოპის სტილის მუსიკოსებს შორის იყვნენ მესაყვირეები – დიზი გილესპი, ფეთს ნავარო, კენი დორამი, ტრომბონისტი ჯეიჯეი ჯონსონი, ალტ-საქსოფონისტი – ჩარლი პარკერი, ტენორისტი – დექსტერ გორდონი, პიანისტები – ბად პაუელი, თელონიუს მონკი, კონტრაბასისტები – რეიბრაუნი, ოსკარ პეტიფორდი – დრამერები – მაქს როუჩი, ბადი რიჩი და სხვ.

1948 წელს, პირველად ჯაზური მუსიკის ისტორიაში, შავი და თეთრკანიანი მუსიკოსებისაგან შემდგარ ორკესტრს სათავეში ჩაუდგა ზანგი მუსიკოსი, მესაყვირე მაილს დევისი, რომელიც ადრე ჩარლ პარკერის ანსამბლში უკრავდა. 1949 წელს, მაილს დევისმა 9 მუსიკოსისაგან შემდგარი ახალი ანსამბლი შექმნა. პიანისტ გილ ევანსის და ბარიტონ-საქსოფონისტის ბრწყინვალე არანჟირებამ და მუსიკოსების ოსტატურმა შემსრულებლობამ დიდი ზეგავლენა იქონია თანამედროვე ჯაზის ახალი მიმდინარეობების ფორმირებაზე.

ასე ჩამოყალიბდა ჯაზური მუსიკის შესრულების ახალი სტილი - „გრილი“ ჯაზის სახელწოდებით. აღსანიშნავია, რომ შემდგომში ამ სტილის განვითარება ძირითადად თეთრკანიანმა მუსიკოსებმა გააგრძელეს.

ამ სტილის საუკეთესო წარმომადგენლები არიან: ალტ-საქსოფონისტი დეზმონტი, ტენორისტი გეტსი, სიმსი, ბარიტონისტი მულგანი, მესაყვირეები და პიანისტები: ბეკერი, ტრისტიანო, ბრუბეკი, შირინგი.

1940-იანი წლების მეორე ნახევარში პატარა ჯგუფთან ერთად ახალი ყაიდის დიდი ანსამბლებიც მუშაობდნენ – ჰერმანის, კენტონის და სხვათა ანსამბლებში მთავარი ადგილი არანჟირებამ დაიკავა, იმპროვიზაციები კი გამონაკლისის სახით სრულდებოდა. ასეთ სტილს „პროგრესივი“ ეწოდა. ამ ჯგუფებმა გადაიღეს ნეო ბოპის შემდეგ გრილი ჯაზის ბევრი ელემენტი, „პროგრესივის“ დამსახურება ის არის, რომ მან განავითარა თანამედროვე ჯაზის არანჟირების მეთოდები.

1950 წლების შუა პერიოდში ჩამოყალიბდა ცნობილი ანსამბლი „ჯაზის მოციქულები“. ამ წამოწყებამ დასაბამი მისცა ბოპთან დაკავშირებულ ახალ მიმდინარეობას – „ჰარდ ბოპ“ /მძიმე ბოპი/. ჰარდ ბოპი განსაკუთრებით ექსპრესიულობას ინარჩუნებს, მაგრამ ნაწარმოებები ჰარმონიულად განიტვირთა. ამასთან, გაიზარდა შინაგანი დაძაბულობა, პლასტიკურობა და ექსპრესია, რის გამოც შესრულების დროს მუსიკოსს შეეძლო მეტი ეფიქრა. ეს იყო ბოპის და გრილი ჯაზის ერთგვარი სინთეზი. ამ სტილის ერთ-ერთი შესანიშნავი ნიმუშია მესაყვირე კლიფორდ ბრაუნისა და დასარტყამ საკრავებზე შემსრულებლის მ. როუჩის მიერ ჩამოყალიბებული კოლექტივი, რომელიც ორიგინალური საშემსრულებლო მანერით გამოირჩეოდა.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა და ნოვატორული ჯაზის მუსიკის ისტორიაში იყო კონტრაბასისტი ჩ. მანგუსი, რომლის შემოქმედება მართლაც უნიკალურია. იგი ნოვატორი იყო და არ მიჰყვებოდა მოდურ მიმდინარეობებს. იგი საკუთარ გზებს ეძებდა.

აგრეთვე საინტერესო მოვლენაა თ. მონკი – ნოვატორი პიანისტი. მან შექმნა შესრულების უცნაური, დისონანსური მანერა.

1950–60-იან წლებში აშშ-ის აღმოსავლეთ სანაპიროს ჯაზის მუსიკოსებმა მიმართეს აზიისა და აფრიკის ფოლკლორს.

ამავე პერიოდში წარმოიშვა ბრაზილიური სამბას ჯაზური ინტერპრეტაცია „ ბოსსა ნოვა“, რაშიც უდიდესი დამსახურება მიუძღვით ტენორ საქსოფონისტს ს. გეტს, გიტარისტებს – ჯ. პოლს და ჩ. ბერდს.

რაც შეეხება 1960 წლების შუა პერიოდს, ჯაზური ავანგარდის სცენაზე გამოჩნდა უნიჭიერესი მუსიკოსი – ტენორ-საქსოფონისტი ჯ. კოლტრეინი, რომელიც 1960 წლებში უკრავდა მ.დევისისა და თ. მონკის ანსამბლებში. თავდაპირველად იგი ცდილობდა დაექუცმაცებინა რიტმი და ყველაფერი გაეორკეცებინა, გარდა ამისა, მან თავის იმპროვიზაციაში შეიტანა ინდური მუსიკის ელემენტები და ამით დიდი მელოდიური ელფერი შემატა მას.

1960-იან წლებში მოღვაწეობდა კიდევ ერთი ვირტუოზი ალტ-საქსოფონისტი ერიკ დოლფი, რომელიც დიდი ოსტატობით უკრავდა აგრეთვე ფლეიტაზე და ბანი კლარნეტზე.

ისევ დავუბრუნდები მესაყვირე მ.დევისს, რომლის შემოქმედებითი დიაპაზონი ძალზე დიდია. მან მოღვაწეობა დაიწყო ჩარლი პარკერის ჯგუფში 1940-იანი წლების მეორე ნახევარში, ჩამოაყალიბა ე.წ. გრილი ჯაზი, 1950-იანი წლების შუა პერიოდში კი მისი ჯგუფი ახალი მიმდინარეობის - „ჰარდ-ბოპის“ ერთ-ერთი საუკეთესო კოლექტივი იყო.

1969 წელს გამოვიდა მ. დევისის ფირფიტა „in a sailent way“ /ჩუმად/, რომლის ჩანაწერმაც ჯაზის ახალ მიმდინარეობას - ჯაზ-როკს გაუკაფა გზა. დევისმა ოსტატურად გამოიყენა არსებული და ახლად შექმნილი საკრავები /ელექტრო-როიალი, ელექტრო ბასი/, რამაც ხელი შეუწყო ჯაზში ახალი შემსრულებლების მოზღვავებას. გამოჩნდნენ დრამერი ბ. კობჰენი, კონტრაბასისტი ს. კლარკი და სხვ. ახალ სტილში დაიწყეს დაკვრა პიანისტებმა ჩ. კორეამ, ჰ. ჰენკოკმა.

დღევანდელი: დღეისათვის ძნელი სათქმელია ჩამოთვლილ სტილებს შორის რომელი დაიჭერს გაბატონებულ ადგილს მომავალში, ან რომელი ახალი ნოვატორი გამოჩნდება და საით წაიყვანს ჯაზის მიმართულებას, მაგრამ ერთი რამ ჭეშმარიტად რჩება: ჯაზი არსებობს, ის ძალზე რთული განვითარებადი და ინტელექტუალურია, ამდენად მისი მსმენელიც სათანადოდ მომზადებული უნდა იყოს მის მოსასმენად.

**ნინო ზაალიშვილი**
*თბილისის სახელმწიფო სამხატვრო*
*აკადემიის დოცენტი*

# ჯოზეფ ლ. კეიგლი უმცროსის ნახატების სერია „სიკვდილი მუდამაა“

უკანასკნელ წლებში ნაყოფიერი შედეგი გამოიღო საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მცდელობამ ორი ქვეყნის ხელოვნების, მუშაკთა კონტაქტების გაღრმავებისათვის. ამგვარი პროექტების ერთ-ერთი წარმატებული მაგალითია ფულბრაიტის პროგრამის სწავლულის ჯოზეფ კეიგლის თითქმის ერთწლიანი მოღვაწეობა საქართველოში.

წარმატება მნიშვნელოვანწილად განაპირობა თავად ჯოზეფ კეიგლის პიროვნებამ, მის მიერ განვლილმა გზამ, საფუძვლიანმა განათლებამ, ამერიკის შეერთებულ შტატებში და საზღვარგარეთის ბევრ პრესტიჟულ უნივერსიტეტსა და კოლეჯში პედაგოგიური მუშაობის მრავალწლიანმა გამოცდილებამ, მისი, როგორც კონსულტანტის მოღვაწეობამ ამერიკის და ჩეხეთის მუზეუმებში, მუშაობამ ეაკოს (ტეხასი) მუზეუმის აღმასრულებელ დირექტორად, მიღწევებმა შემოქმედებით კარიერაში.

საქართველოში ყოფნისას, 2001 წლის შემოდგომიდან 2002 წლის ზაფხულამდე, ჯოზეფ კეიგლმა წაიკითხა ლექციები თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში, სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. საქართველოს მხატვართა კავშირის, ქუთაისის მხატვართა ორგანიზაციის და იმერეთის მხარის გუბერნატორის მიერ ის ერთი თვით მიწვეული იყო ფერმწერთა და მოქანდაკეთა საერთაშორისო პლენერზე, სადაც მიეცა შესაძლებლობა, შეექმნა საინტერესო ნამუშევრები. მხატვრის შემოქმედება წარდგენილი იყო საერთაშორისო გამოფენაზე (გალერეა „ეარლა“, ქუთაისი, 2001 წლის სექტემბერი), პერსონალურ გამოფენაზე, რომელსაც მან ქართული სუფრის ანალოგიით „An American Supra“[1] უწოდა და მისი დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით გამართულ დიდ ექსპოზიციაზე „ჯო და მეგობრები“[2] კატალოგზე დართულ წერილებში, რომელთა ავტორები არიან თავად ჯოზეფი და მისი მეგობარი ქართველი ხელოვნებათმცოდნეები,[3] წარმოჩნდა მეტად საინტერესო, მდიდარი ემოციური სამყაროს მქონე შემოქმედი. გაოცებას იწვევს სიზუსტე, რომლითაც მხატვარმა შეძლო თავის ჩანაწერებში, ჩანახატებში თუ დასრულებულ ნაწარმოებებში საქართველოს, მისთვის მანამდე სრულიად უცნობი ქვეყნის შეცნობა. მისი ხედვა უფრო გაღრმავდა დიდი ქართველი მხატვრის, დავით კაკაბაძის შემოქმედებითი მემკვიდრეობის, მისი უნიკალური პიროვნების შესწავლის შედეგად.

კეიგლის კეთილი დამოკიდებულება ჩვენი ქვეყნისადმი გამომჟღავნდა ბევრ პრაქტიკულ საქმეშიც - ამერიკის საელჩოს დახმარებით თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიის კათედრასთან მან დააარსა ცენტრი მდიდარი საბიბლიოთეკო ფონდით, სათანადო ტექნიკური საშუალებებით, რომელსაც ამერიკელი სწავლულის პატივსაცემად „ამერიკული ხელოვნების და არქიტექტურის წყაროთა კეიგლის ოთახი“ ეწოდა.

ჯოზეფ კეიგლის შემოქმედებითი მოღვაწეობა რამდენიმე ათეულ წელს მოიცავს. მას შექმნილი აქვს სხვადასხვა ხასიათის, მრავალფეროვანი თემატიკის

და ჟანრის ათასობით ნაწარმოები. დიდი ადგილი მის შემოქმედებაში გრაფიკის ხელოვნებას უკავია. ხატვა მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. იგი ხატავს ყველგან, ყოველგვარ სიტუაციაში. მას ეკუთვნის სხვადასხვა მასალაში შესრულებული ილუსტრაციები, აგრეთვე რამდენიმე დაზგური სერია. ნატურიდან შესრულებულ ჩანახატებში იგი ცდილობს მაქსიმალურად რეალისტური გამოსახულება შექმნას, ხოლო სხვადასხვა თემისადმი მიძღვნილ კომპოზიციებში არ იზღუდება რომელიმე ერთი მიმართულებით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იყენებს შესაბამისი ემოციური განწყობის შექმნისათვის აუცილებელ ტექნიკას და ხერხებს.

1963 წელს ჯოზეფ კეიგლი, იმ დროს 35 წლის მხატვარი არიზონაში, ქალაქ ფენიქსში თავის სახელოსნოში, შეგნებული თვითიზოლაციის პირობებში იწყებს მუშაობას ნახატების ახალ სერიაზე „სიკვდილი მუდამაა".[4] რამდენიმე თვის განმავლობაში შეიქმნა ომისადმი, სიკვდილის თემისადმი მიძღვნილი ასობით ფურცელი. ამ ნამუშევრებით თითქოსდა დასრულდა მისი ცხოვრების და შემოქმედების გარკვეული ეტაპი. „მე მოვკალი სიკვდილი და გავაგრძელე ცხოვრება"[5] - გვითხრა მან ამ სერიაზე საუბრისას. მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ ეყო ძალა ავტორს, მიბრუნებოდა ამ ციკლს და ეზრუნა მის გამოცემაზე.

საწყისი იმპულსი ჯოზეფ კეიგლის ნამუშევარს მისცა მხატვრის მიერ განცდილმა ემოციურმა სტრესმა, რომელიც დაკავშირებული იყო მეუღლის, ენის ნათესავების ბედთან - მოულოდნელად მან აღმოაჩინა, რომ შორს, ევროპაში მომხდარი მსოფლიო ისტორიის ტრაგიკული მოვლენები უშუალოდ შეხებია მის ახლობლებსაც. მეორე მსოფლიო ომის დროს, უნგრეთში, ნაცისტების მიერ გაჩაღებული ჰოლაკოსტას მსხვერპლი აღმოჩნდა ენის 40-ზე მეტი ნათესავი, რომელთა უმრავლესობა საკონცენტრაციო ბანაკების გაზის კამერებში დაიღუპა, ან იქვე შიმშილით ამოხდათ სული. „რაც უფრო მეტად ვფიქრობდი ამ ტრაგედიაზე, მით უფრო მეტი აღშფოთება,გაოგნება მიპყრობდა. მიკვირს როგორ შეძლო ენმა ჩემი ატანა ამ პერიოდში", შენიშნავს მხატვარი. სერიის შექმნის ისტორიისთვის მნიშვნელოვანია, რომ მხატვრისთვის ადრეც იყო ცნობილი ინფორმაცია II მსოფლიო ომის დროს მომხდარი ტრაგიკული მოვლენების, საკონცენტრაციო ბანაკების შესახებ, წაკითხული ჰქონდა პატარა „ანა ფრანკის დღიურიც", მაგრამ მხოლოდ კონკრეტულ მსხვერპლთან შეხვედრამ მისცა მძლავრი ბიძგი, საშუალება, დაეწყო ნახატების შექმნა, რომელშიც მხატვრული ფორმით სრულად გამოხატა საკუთარი პოზიცია, პროტესტი ძალადობის წინააღმდეგ. ეს გრძნობები გადატანილ იქნა მის კომპოზიციებშიც, რომლებშიც კონცენტრირებულია კეიგლის, როგორც ადამიანის და მხატვრის შინაგანი სამყარო, ტრაგიკული მოვლენების მისეული აღქმის მთელი სიმძაფრე.

ალბომისათვის დართულ სამადლობელ ტექსტში რეალურ ადამიანებთან ერთად, რომელთაც გარკვეული პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინეს მის გამოცემაში, ჯო მადლიერებით მოიხსენიებს სხვადასხვა ეპოქის და ქვეყნის გამოჩენილ მწერლებს, მხატვრებს, პოლიტიკურ მოღვაწეებს, ისტორიულ პირებს – მხატვართაგან: რემბრანდტს, ტიციანს, პიკასოს, მონეს, გოიას, ოროსკოს, რაუშენბერგს, თავის საყვარელ მატისს, კომპოზიტორებს – ბარტოკს, სტრავინსკის, მწერლებს – პრუსტს, მილერს, სარტრს, ჰენრი ჯეიმსსა და ჯეიმს ჯოისს, საფრანგეთის კულტურის მინისტრს მალროს, ახსენებს ქრისტეს,იოანე ნათლისმცემელს,ბუდას, ლინკოლნს,კენედის,მაჰათმა განდის, სხვადასხვა ორგანიზაციებს, არქიტექტურულ ძეგლებს, აგრეთვე, ჰიტლერს

და სტალინს, ეს ჩამონათვალი საინტერესოა კეიგლის იმდროინდელი შეხედულებების შესწავლისათვის, სიმპათიებისა და ანტიპათიების გამოსავლენად.

მხატვრის განსაკუთრებული დამოკიდებულება სიკვდილისა და ომის თემისადმი გამოკვეთილია საქართველოში ყოფნისას გამოცემულ კატალოგში „ჯო და მეგობრები", ჩართულ პატარა ესეშიც „როდესაც 70 წლის ხდები". „დავიბადე რომ მოვკვდე, დავიბადე, რომ ვიცოცხლო. ორივე სინამდვილეს შეესაბამება... მე ალოგიკურ სამყაროში ვცხოვრობ, ხანდახან სიგიჟის ზღვარზე. ომი იყო მეოცე საუკუნის მთავარი მამოძრავებელი ძალა. ომით დაიწყო საუკუნე. ეს არის გზა, რომელიც 100 წელი გრძელდება".

სიკვდილის, ომის, ძალადობის თემა ხშირად გახდარა გამოჩენილი მხატვრების ყურადღების საგანი. მსოფლიო ხელოვნების ისტორიამ იცის მათ მიერ შექმნილი არაერთი შესანიშნავი ნაწარმოები: - ჰოლბაინის „სიკვდილის როკვა", კალოს სერიები „ომის დიდი და პატარა საშინელებანი", გოიას შთამბეჭდავი ფურცლები სერიიდან „ომის საშინელებანი", როდენის „ჯოჯოხეთის კარიბჭე", მანცუს „სიკვდილის კარიბჭე"... სიკვდილის მრავალრიცხოვანი გამოსახულებები გვხვდება მექსიკელ გრავიორთა ფურცლებში, II მსოფლიო ომის დროინდელ საკონცენტრაციო ბანაკების თუ საბჭოთა გულაგების მსხვერპლ მხატვართა ნამუშევრებში... ყველაზე უფრო კეიგლის ჩანაფიქრი თავის სულისკვეთებით, ემოციური დაძაბულობით, სიმძაფრით ახლოსაა გერმანელი ექსპრესიონისტების ნაწარმოებებთან. თავად კეიგლი, იმ მხატვართა შორის, რომლებმაც გარკვეულწილად იმოქმედეს მასზე, მოიხსენიებს გოიას და კეტე კოლვიცს, რომელთა ნაწარმოებები, მისი აზრით, ღრმად ასახავენ მსოფლიო კატაკლიზმათა მასშტაბს და ადამიანთა სულის რღვევას.

ციკლი 169 ფურცლისგან შედგება. იგი ორ ნაწილადაა გაყოფილი - ყოველი მათგანი შეიცავს სხვადასხვა დასათაურების არათანაბარ ნაწილებს - სათაურების შერჩევა მნიშვნელოვნად განაპირობებს კომპოზიციურ გადაწყვეტას, მანერას, განწყობას.

სერია იწყება ათი ფურცლით სახელწოდებით „ჩვენ ორნი". „ორნში" თავად მხატვარი და მისი მეუღლე იგულისხმებიან. ავტორი ბევრ სხვა ფურცელშიც ფიგურირებს - ხან ჩაჩქანიანი რომაელი ლეგიონერის, ხან მისი ბიუსტის სახით, რომელსაც სათვალე ხანდახან ტრაგიკომიკურ იერს ანიჭებს. მეუღლისადმი განსაკუთრებული სათუთი დამოკიდებულების მიუხედავად, ჯო მასაც ხდის სექსუალური ძალადობის ობიექტად, მსხვერპლად, თავისთავს კი ძალადობის მონაწილედ ან მოწმედ. „მე მოვკალი სექსი და მოვკალი სიკვდილი, მე მოვკალი სექსი და გადავარჩინე სიყვარული", ასე განმარტავს ავტორი საკუთარ თვალსაზრისს.

ციკლის ბევრი ნაწილის სათაურში მეორდება სიტყვები ომი, ჯოჯოხეთი, სიკვდილი: „ომი", „ომი დაიწყო", „ომის ჯოჯოხეთი", „სიკვდილი დესერტად", „გამოცხადებული ჯოჯოხეთი" და სხვა. ეს ფურცლები გამოსახავენ ძალადობას, ძალადობის მსხვერპლთ, ჯალათებს. მხატვარი თითქმის არ აქცევს მნიშვნელობას ეპოქაზე, მხოლოდ ორიოდ ნახატში ჩართული სვასტიკის გამოსახულება მიგვანიშნებს მასზე. მხატვარს აინტერესებს ძალადობის ანატომია. იგი ცდილობს პრეპარირება გაუკეთოს ამ მოვლენას, ჩაწვდეს ადამიანურ ურთიერთობათა მსხვრევის, სისასტიკის მიზეზებს. მის ნაწარმოებებში ხაზგასმულია ადამიანის დაუცველობა ძალადობის წინაშე, ეს თემები განაპირობებს ფურცლების განწყობას. სერია ერთდროულად ძალიან პირადულიცაა და ამავდროულად ზოგადსაკაცობრიო

პრობლემებსაც მოიცავს. მას კონკრეტული ისტორიული ფაქტები უდევს საფუძვლად, მაგრამ ავტორის ჩანაფიქრი გაცილებით უფრო ფართოა.

მხატვარი არ იფარგლება მხოლოდ წარსულში მომხდარი ძალადობის თემით. მისი ახალგაზრდობა დაემთხვა ბევრ მნიშვნელოვან მოვლენას ამერიკის ისტორიაში - ვიეტნამის ომის საწინააღმდეგო გამოსვლებს, მარტინ ლუთერ კინგის ბრძოლას სამოქალაქო უფლებების დასაცავად. სერიაზე მუშაობის პერიოდში ამერიკა თავზარდამცემი ტრაგედიის მოწმე გახდა - 1963 წელს, დალასში პრეზიდენტ კენედის მკვლელობამ დამთრგუნველი შთაბეჭდილება მოახდინა ქვეყანაზე, სულიერად შეძრა მხატვარიც. „მე განვმარტოვდი და დიდხანს ვტიროდი", იგონებს კეიგლი. ეს შთაბეჭდილებები სერიაშიც აისახა. კომპოზიციის „მშვიდობის პატარა პაუზა" შემდეგ იგი მეტი სიმძაფრით აგრძელებს სიკვდილის თემას - ამატებს 16 ფურცელს, რომელიც გაერთიანებულია საერთო სათაურით „ახალგაზრდა კაცის სიკვდილი" (მითითებულია მისი ინიციალები J.F.K-ჯონ ფიცჯერალდ კენედი). თემა ვითარდება ნახატებშიც: „1963 წლის 22 ნოემბერი" (პრეზიდენტის სიკვდილის თარიღი) და ფურცელში, რომლის სათაურში გამოტანილია ტრაგიკული სიტყვები, ჟაკლინ კენედის რომ აღმოხდა მეუღლის სიკვდილის პირველ წამებში „O, NO!" (ო, არა!).

სერიის ფურცლები შესრულებულია შერეული ტექნიკით - ქაღალდზე ტუშით, აკვარელით. კომპოზიციებში არის კოლაჟის ელემენტები, ჩართულია ფოტოსურათები, რეკლამები, საგაზეთო ამონაჭრები და როგორც ყოველთვის კეიგლის ნამუშევრებში აქტიურადაა გამოყენებული შრიფტი — ბეჭდურიც და ავტორისეული კალიგრაფიაც. მათი დაძაბული, ნერვული ხასიათი ეხმარება მხატვარს სერიის ჩანაფიქრის უკეთ გადმოცემაში.

ფერი სერიაში ძალზე ძუნწადაა ჩართული - მხოლოდ ზოგიერთ ფურცელზეა გაკეთებული წითელი აქცენტები. ალბომის ყდაზე გამოყენებულ ფერად კომპოზიციას მხატვარი ისევ კენედის უკავშირებს — „პრეზიდენტის სიკვდილის შემდგომ გარკვეული პერიოდით ტელევიზიიდან თითქმის გაქრა რეკლამა - იგი მოკვდა. მე ჩავრთე ფერი და გავაცოცხლე რეკლამა" — ასეთ განმარტებას იძლევა კეიგლი.

სერია აშკარად გამოხატულ ექსპრესიონისტულ მანერაშია გადაწყვეტილი. ტრაგიკული სულისკვეთებით ყველაზე უფრო უახლოვდება ოტო დიქსის პირველი მსოფლიო ომის შთაბეჭდილებების ქვეშ შექმნილ მისეულ კოშმარებს. გამომსახველობის გასაძლიერებლად ავტორი არ ერიდება სიმახინჯის ჰიპერტროფირებას, სექსუალური ძალადობის ფიზიოლოგიის ჩვენებას. აკადემიური ნახატის კარგი ოსტატი იგი ამავე მიზნით მიმართავს დეფორმაციას, უჩვეულო რაკურსებს, რომლებიც კიდევ უფრო ხაზს უსვამს მომხდარი მოვლენების ტრაგიზმს. მასთან მახინჯია ჯალათი, მაგრამ მახინჯია მისი მსხვერპლიც — მოძალადის საჯიჯგნად გამხდარი ქალის დეფორმირებული, სრულიად არაესთეტიკური სხეული. ეს ფურცლები, ერთი შეხედვით, სიმახინჯის აპოლოგიას გავს, თუმცა მიზანი სულ სხვაა - ძალადობის დაგმობა და თანაგრძნობის გამოწვევა მსხვერპლის მიმართ, თუმცა ამის დეკლარირებას ავტორი პირდაპირ არ აკეთებს.

ამგვარი გადაწყვეტა მხატვრის პროტესტის, ღრმა განცდების შედეგია. ჯოზეფ კეიგლი ამ სერიის რეჟისორიც არის და მონაწილეც. იგი ერთდროულად თამაშობს ჯალათისა და მსხვერპლის როლსაც; ღრმად იჭრება ტრაგიკულ მოვლენებში. ბევრ ფურცელში ფიგურირებს ჩონჩხის, სიკვდილის გამოსახულებაც. მექსიკური ხალხური გრავიურისაგან, სახელგანთქმული მექსიკელი მონუმენტალისტებისაგან განსხვავებით, რომელთა ნამუშევრებში სიკვდილი ხანდახან უფრო ფოლკლორულ

გმირად, ზოგჯერ კი შავი იუმორის საგნად გვევლინება, კეიგლთან იგი ნეგატიურ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს.

ეს სერია ერთდროულად არის საშინელებათა ფიქსაციაც და ამავე დროს ერთგვარი გრაფიკული მემორიალი, რეკვიემი დაღუპულთათვის. მთავარი იდეა კონცენტრირებულია ფურცელში „ხსოვნის კედელი" და ძალზე მნიშვნელოვანია მხატვრის ჩანაფიქრის ღრმა გაგებისათვის.

ჯოზეფ კეიგლი საზოგადოებრივად აქტიური ადამიანია. მას აღელვებს მის გარშემო განვითარებული დრამატული მოვლენები. მისი რეაქცია გამოიხატება შემოქმედებაში - გრაფიკულ თუ ფერწერულ ნაწარმოებებში. სერიაში „სიკვდილი მუდამაა" – შესული ფურცლები ერთდროულად ძალზე კონკრეტულებია და ამავდროულად განზოგადებული. ფურცლები ძალზე მძიმე, ზოგჯერ შოკისმაგვარ რეაქციას იწვევენ, მაგრამ ამავე დროს ისინი კატარსისის შესაძლებლობასაც იძლევა. ისინი ერთგვარი გაფრთხილებაცაა ამ მოვლენების საშინელი შედეგების გამო. ჯოზეფ კეიგლის გრაფიკული შემოქმედება მისი, როგორც ადამიანის სულის, ძალიან ნათელი გამოხატულებაა.

მთლიანობაში, სერია „სიკვდილი მუდამაა" – მხატვრის შემოქმედების ერთი ძალზე მნიშვნელოვანი ეტაპის დასასრულია და კარგად გამოხატავს მის ჰუმანისტურ პოზიციას.

2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის დროს ჯოზეფ კეიგლი საქართველოში იყო. მან იმერეთის მთიან სოფელში შეიტყო დატრიალებული ტრაგედიის შესახებ. ტკივილის, პროტესტის გრძნობამ კელავ მისცა იმპულსი მის ნაწარმოებებს. მაგრამ წლების შემდგომ დაბრძენებული მხატვარი სულ სხვაგვარად რეაგირებს მომხდარ ტრაგედიაზე. იგი წერს: „მე კიდევ ერთხელ დავფიქრდი თავისუფლების ფასეულობებზე"... მის ამ დროს შექმნილ სურათებში დომინირებს ოპტიმიზმის, იმედის გრძნობა, რაც გამოიხატება კომპოზიციაში და ნამუშევრების მაჟორულ ამაღლებულ ტონალობაში, განწყობაში.

P.S. 2003 წლის ზაფხულში ჯოზეფ კეიგლი კვლავ ჩამოვიდა საქართველოში და ქართველ კოლეგებთან ერთად ახალქალაქში, გარიყულაზე „ART VILA"-ზე გამართა ვორკშოპი, ხოლო „ქარვასლაში" მოეწყო მისი პერსონალური გამოფენა.

## შენიშვნები და გამოყენებული ლიტერატურა


1. Joe Kagle. 2001-02. U.S. Fulbight scolar to Georgia. An American Supra. 19. XII-2001-10.01.2002, თბილისის ისტორიის მუზეუმი „ქარვასლა".
2. კატალოგი: Joe Kagle & Friend. Painting, Graphic Art, Sculpture. გალერეა „უნივერსი" პაატა ნაცვლიშვილის გამომცემლობა, თბილისი, 2002.
3. Joe Kagle & Friends. Joe L Kagle, Jr „Becoming 70 or Joe & Friends. (An artist`s statement); Ketevan Kintsurashvili „Freedom's Youth Colors"; Nino Zaalishvili „Joe and Friends".
4. Joe L Kagle JR. „Death All Time" Taivan, 1966.
5. აქ და შემდგომ მოყვანილი ჯოს გამონათქვამები სერიაზე მუშაობის შესახებ ჩაწერილ იქნა ავტორის მიერ მხატვრის საქართველოში მეორე ვიზიტის დროს, 2003 წლის ზაფხულში.
6. "An American Supra II". ბუკლეტი. თბილისის ისტორიის მუზეუმი. „ქარვასლა", თბილისი, 2003.

**ბესიკ ლილუაშვილი**
*ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი*

# კარლოს კასტანედა - შამანი, ანთროპოლოგი, თუ...?

*ჩემთვის ერთადერთი რეალური მიღწევა—მებრძოლად ყოფნის ხელოვნებაა. ეს, როგორც დონ ხუანი ამბობდა, მხოლოდ გაწონასწორების საშუალებაა შენი ადამიანად ყოფნის საშინელებასა და შენ რომ ადამიანი ხარ, იმით აღფრთოვანებას შორის.*

*კარლოს კასტანედა.*

მეოცე საუკუნის სამოციანი წლები: პრეზიდენტ ჯონ კენედის მკვლელობა და ვიეტნამის ომის დასაწყისი,რევოლუცია მუსიკასა და ხელოვნებაში და ჰიპიზმი, უნიკალური სუბკულტურა, „flover power", დევიზები: not war, make love – sex, drugs and rock'n'roll, როგორც მიღებულია სწორედ ამ მიზნებმა და დევიზებმა ჩაუყარა საფუძველი ჰიპურ მოძრაობას,თუმცა ეს მთლად ასეც არ უნდა იყოს.

რაღაც ძალიან მსგავსი უკვე არსებობდა გერმანიაში ჯერ კიდევ 1896 წლიდან თვით ჰიტლერის ხელისუფლებაში მოსვლამდე და ამ მსგავსებას ძალიან სასიამოვნო და მეტად პოეტური სახელიც ერქვა — გადამფრენი ჩიტუნები (Wandervogel). „ჩიტუნები" გატაცებულნი იყვნენ წარმართობით და ძველი, „კეთილი" გერმანული სიძველეებით, უყვარდათ ბუნება და ვერ იტანდნენ კაპიტალიზმს, ატარებდნენ გრძელ თმებს და პაციფიკის მსგავს ნიშნებს, ეცვათ მძივებით მოქარგული პერანგები, უყვარდათ ყვავილებისა და სასაცილო უცნაური რაღაცეების ხატვა. ისინი ანთებდნენ კოცონს ბუნებაში, ყმაწვილი ვანდერფოგელელები მღეროდნენ ძველ სიმღერებს სიყვარულზე და თვლიდნენ, რომ სიყვარულს უფრო ხშირად უნდა მიეცნენ, ვიდრე იარაღის ჟღარუნს. რა თქმა უნდა, ბევრ მსგავსებასთან ერთად, ბევრი განსხვავებაც იყო: არანაირი ნარკოტიკები და არანაირი გარყვნილება. სწორედ ამიტომაც ვანდერფოგელელებს პრინციპიალური ჰომოეროტების მყარი რეპუტაცია ჰქონდათ. მოგვიანებით,პროტოჰიპების ნაწილი „გაიკრიჭა" და შეერწყა ჰიტლერიუგენდს, რომლის ხელმძღვანელიც - ბალდურ ფონ შირახიც, ოდესღაც ასევე „გადამფრენი ჩიტუნა" იყო. ასე რომ, ჰიპების გენეალოგიაში SS-ის ერთი გრუპენფიურერიც მოიხსენიება.

ჰიპური მოძრაობის ფუძემდებლებად უფრო უცნაური პოეტი და მწერალი ბიტნიკები ითვლებიან, რომლებიც აშშ-ში 1940-იანი წლების ბოლოს გამოჩნდნენ. ჰიპიზმს ხშირად უკავშირებენ ისეთ ცნობილ სახელებს, როგორებიც არიან ალენ გინზბერგი და ჯეკ კერუაკი. ამ „დჰარმის მაწანწალებმა" ჰიპურ იდეოლოგიას მართლაც ბევრი რამ მისცეს - მგზნებარე, თუმცა სრულიად ზედაპირული დაინტერესება აღმოსავლეთით, ინდოეთი, ბუდიზმი, ადამიანის შინაგან სამყაროსაკენ მიბრუნება, თვითსრულყოფილების ახალი ხერხების ძიება, ადამიანის სრული თავისუფლების სატყუარა „ზურგჩანთიანი რევოლუცია", მოკლედ, „ტონობით" რომანტიკა სიახლეებს მოწყურებული თაობისათვის.

ფსიქოდელიკური პოეზიის გაჩენაზე დიდი ზეგავლენა იქონია კენ ნორდინმა. ესაა სახელი, რომელიც ამერიკელებმა არ იციან, ხოლო მისი ხმა მოსმენილი აქვს ყველას. ნორდინი, რომელსაც უამრავი რეკლამა ჰქონდა გახმოვანებული, ითვლება

„word jazz“-ის სტილის ფუძემდებლად და ალბომ „Colors“-ის შემქმნელად, რომელზედაც ყველაფერმა მიიღო აბსოლუტური ფსიქოდელიკური აღწერილობა. თუმცა ვერც ბიტნიკები იქცნენ მთელი თაობისათვის საყოველთაო ბარათად, ამის გაკეთება თვით ჰიპებმა მოახერხეს.

ჰიპურ მოძრაობასთან მიმართებაში განსაკუთრებული „სითბოთი“ უნდა მოვიხსენიოთ „ოქროს სამკუთხედისა“ და კოლუმბიელი ნარკობარონებიც, მათი კოლოსალური კაპიტალიც ხომ ზუსტად 60-იანი წლების შედეგი იყო. ნარკოტიკები(მორფი, კოკაინი) ამერიკული მუსიკის პოპულარულ თემად ჯერ კიდევ 1920-იან წლებში იქცა - ჯაზი, ბლუზი, ქანთრი ხომ ზუსტად „the stuff“-ს ეძღვნებოდა. თუმცა ჰალუცინოგენებისა და თეთრი ფხვნილების მასიური გამოყენება ბედნიერ 60-იანებში დაიწყო.

რა თქმა უნდა, არ უნდა დავივიწყოთ ტიმოთი ლირიც - ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი, რომელმაც დაახლოებით 1960 წელს მექსიკაში გემო გაუსინჯა „მხიარულ სოკოებს“, რომლებმაც მისი შემეცნება საგრძნობლად „გააფართოვა“, „გააფართოვა“ ისე, რომ გაუჩნდა სურვილი კიდევ რაღაც-რაღაცეების „გაფართოებისა“. სწორედ მაშინ გაახსენდა „ლსდ“. ლიზერგინული მჟავის დიეტილამიდი შვეიცარიელმა ფარმაცევტებმა ჯერ კიდევ 1940-იან წლებში შექმნეს, თუმცა მისი საწარმოო მოხმარება ზუსტად ტიმოთი ლირის „ხელდასმით“ მოხდა, ტიმოთი ლირისა, რომელიც უკვე შეუდგა „შემეცნების ალქიმიას“. ყოველივე ამის გამო „ლსდ-ს წინასწარმეტყველი“ ჰარვარდიდან გარიცხეს, თუმცა ამას არც შეუწუხებია ტიმოთი ლირი. ჩაიცვა რა პაციფიკებითა და ყვავილებით შემკული თეთრი პერანგი, ის იქცა „ყვავილოვანი ძალის გურუდ“. აქცენტმა აღმოსავლურ ფილოსოფიაზე, რომელიც ადამიანის შემეცნებას აფართოვებდა აქამდე არნახულ საზღვრებამდე (რა თქმა უნდა ტიმოთი ლირმა არ იცოდა არც სანსკრიტი და არც ჰინდი), განსაკუთრებით მაშინ, თუ ამ ფილოსოფიას დაევუმატებთ „ლსდ“-ს ან მცირეოდენ კოკაინს, პლუს ლევეატურ ფილოსოფიასთან შეთამაშებამ და ანტისამხედრო პაციფიზმმა,ტიმოთი ლირი ეპოქის სიმბოლოდ აქცია. მე და ჩემს თანატოლებს, ე.ი. მათ, ვისაც არ გვიცხოვრია ხმაურიან 60-იანებში, შეგვიძლია მივმართოთ ტიმოთი ლირის ფირფიტას (სხვათა შორის არის სდ-ზეც), „You Can Be Anything This Time Around“-სიტარა, „ხარე კრიშნა, ხარე რამა“, ჯიმი ჰენდრიქსი და ბადი მაილზი მხარდამჭერთა გუნდის სახით - ერთი სიტყვით, შეგვიძლია მივმართოთ ეპოქის დამაინტრიგებელ დოკუმენტს. თავისთავად, ფსიქოდელიკური მუსიკალური ბუმი და „swnging 60“-იანები, „შავი პანტერებისა“ და ჩარლი მენსონის კომუნის ჩათვლით, გაცილებით უფრო ფართო და მრავლისმომცველია, ვიდრე ჰიპური მოძრაობა, მაგრამ პაციფიკის ნიშნითა და იდეის - not war, make love ზეგავლენით იღწოდნენ ისეთი მუსიკოსები და მუსიკალური ჯგუფები, როგორებიცაა: „The Grateful Dead“, „Jefferson Airplane“, უპოპულარულესი და ლეგენდარული ჯიმი ჰენდრიქსი, ამერიკის ხელისუფლების მიერ „ხრინწიან ისტერიჩკად“ წოდებული ჯანის ჯოპლინი, ექს „Lovin'Spoonful“-ი ჯონ სებასტიანი, „Country Joe & The Fish“, ბარდი და ბარდის შვილი არლო გატრი, რომელიც ერთ დროს ცნობილი ექსტრემისტი რაბინის მეირ კოხანის მოსწავლე იყო. ჰიპის ისტორიის უმნიშვნელოვანესმა მოვლენამ – „ვუდსტოკის მუსიკისა და ხელოვნების ბაზარმა“ 400 ათასზე მეტი ადამიანი შეკრიბა, რომელთათვისაც ზემოთ ჩამოთვლილი მუსიკოსები უკრავდნენ. მოკლედ, ეს იყო ეპოქა, რომელშიც მძვინვარებდა ფსიქოდელიკური მუსიკა, „ლსდ“ და ჰალუცინოგენები, აღმოსავლური ფილოსოფიის ბუმი და ახალფეხადგმული „New Age“-ი, ახალი ეპოქის ეკლექტიკა. 1968 წელს გამოდის კარლოს კასტანედას პირველი წიგნი: „დონ ხუანის სწავლებანი“ და ფსიქოტროპული[1] საშუალებებით

დაინტერესებულ წრეებში დიდი აჟიოტაჟი ატყდა - ტიმოთი ლირისა და ჰიპების სხვა სახელგანთქმული მამებისაგან განსხვავებით, აქამდე, ასე თუ ისე, მაინც უცნობი და მომხიბვლელი შამანიზმის თემა ახალგაზრდობამ უცებ აიტაცა და კასტანედას პოპულარობამაც არ დააყოვნა. რა იყო მიზეზი ასეთი უეცარი პოპულარობისა? სწორედ ამის დადგენას შევუდგებით ჩვენც. მაშ ასე, დავიწყოთ დასასრულის დასაწყისიდან.

ცნობა გარდაცვალების შესახებ: კარლოს კასტანედა –მასწავლებელი ბევერლი ჰილზიდან; დიაგნოზი: ღვიძლის კიბო... ასეთი მოკლე და ლაკონიური გახლდათ გარდაცვალების ცნობა ადამიანისა, რომელმაც საიდუმლოებებით მოცული ცხოვრებითა და სამხრეთ-დასავლელ ამერიკელ მოგვეთა შესახებ უცნაური ამბების „მოყოლით" მთელი მსოფლიო აალაპარაკა. ინფორმაციული ვაკუუმი მისი პიროვნების შესახებ და ჭორები: კასტანედას „მაგიური" ფეხები აქვს - ქრისტეს მსგავსად ფეხშიშველი დადის, მაგრამ კოჟრები არ უჩნდება... კასტანედა დიდი ხანია ქვებით ჩაქოლეს... კასტანედამ ცხოვრება თვითმკვლელობით დაამთავრა და ეს აქტი ერთდროულად დედამიწის სხვადასხვა კუთხეში ჩაიდინა... ვინ იყო ის სინამდვილეში? ანთროპოლოგი, მწერალი, ბელეტრისტი, მაგი, თუ საუკუნის ყველაზე ცნობილი, მომხიბვლელი და შეურიგებელი მატყუარა?

თითქმის არაფერია ცნობილი კასტანედაზე. ის გარკვეული მოსაზრებების გამო მკაცრად არიდებდა თავს ყოველგვარ ფირზე ჩაწერას ან გადაღებას: „სხვადასხვა სამყაროებში რომ იმოგზაურო და უკანაც დაბრუნდე, ჯობია შეუმჩნეველი იყო. რაც მეტია შენს შესახებ ცნობილი, ანუ: რაც უფრო იდენტიფიცირებადი ხარ, მით ნაკლებია შენი თავისუფლება. თუ ხალხში ჩამოყალიბდა წარმოდგენა იმის შესახებ, ვინა ხარ შენ და როგორი შეიძლება იყოს შენი მოქმედება, დაკარგავ გადაადგილების თავისუფლებას. „საკუთარი ისტორიიის წაშლა", - დონ ხუანის უპირველესი და უმთავრესი გაკვეთილია..."[2]

თუმცა მაინც არსებობს ჩანაწერები, სადაც კასტანედამ თავად დაუშვა რამდენიმე წვრილმანის არსებობა. ის დაიბადა დაახლოებით 80 წლის წინ პერუში. მას საკმაოდ მკაცრი ბაბუა ზრდიდა. თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი ლოს-ანჯელოსში გაატარა. ის ჰოლივუდის უმაღლეს სკოლაში სწავლობდა. ლოს-ანჯელოსის უნივერსიტეტში ანთროპოლოგიის დოქტორის ხარისხი მიიღო, რის შემდეგაც, ცოტა ხნით, კითხულობდა ლექციებს ანთროპოლოგიაში ქალაქ ირვინში, კალიფორნიის უნივერსიტეტში. თომას რიპი იხსენებს: „ის მე მაგონებდა მოცალეობის ჟამს ცრურწმენებთან მებრძოლ პროფესორს, „არკეთების" პროფესორს, რომელიც საკუთარ ლანჩს ამზადებდა. თუმცა, ყველაფერი ეს იმის გამოკლებით, რომ ამ პროფესორს თვალი მაგისა ჰქონდა, მარცხენა, სწორედ ის, რომელიც შენს შემეცნებას, გადმოუცემელი ძალით იპყრობდა."[3] მაგრამ,ყველა აღწერა მცდარი და ხანმოკლეა. კასტანედას არ ჰქონდა მხოლოდ „ერთი გარეგნობა"და „სახე", მას ისინი ძალიან ბევრი ჰქონდა. მისი გარეგნობა იცვლებოდა გუნება-განწყობილების მიხედვით. მისი მასწავლებლების – დონ ხუანისა და დონ ხენაროს მსგავსად, ის იცინოდა, იგინებოდა, გამოსცემდა არამიწიერ ხმებს, შემდეგ კი დარწმუნებითა და მჭევრმეტყველურად გადმოსცემდა საკუთარ აზრს საგანთა ბუნების შესახებ.

კასტანედას პირველი ორი წიგნის - „იაკი ცოდნის გზა" და „ცალკეული რეალობა" - გამოქვეყნების შემდეგ, ფსიქოტროპული საშუალებებით დაინტერესებულ წრეებში დიდი აჟიოტაჟი ატყდა. მათ ფსიქოდელიკურ საშუალებათა მოხმარების ახალი, საოცარი ჰორიზონტები დაინახეს. მრავალთა თვალში ის უკვე ფსიქოდელიკური რევოლუციის პანთეონის პერსონაჟს წარმოადგენდა.

წიგნები სენსაციურად ხატავდა ას ფეხტიან კოლოებთან შეჯახებებს, ადამიანთა თავებს, რომლებიც ცხვებად იქცეოდნენ, ავტომობილებს, რომლებიც ყველას თვალწინ, დღისით-მზისით ქრებოდა, ერთი და იმავე ფოთოლს, რომელიც ოთხჯერ ეცემა, მოლაპარაკე კოიოტს... მათ ფონზე კასტანედას მტკიცებები თავშესაქცევი და სასაცილო იყო. სწორედ ამიტომაც, ისინი იქცა ეპისტემოლოგიურ, ნათელ დინებად თაობისათვის, რომელსაც აგიჟებდა და ახელებდა ახალი „ფაქტების", „ახალი ჭაგების" აღმოჩენა თაობისათვის, რომელსაც სწყუროდა ახალი ცდები, ახალი შესაძლებლობები თაობისათვის, რომლის დევიზიც იყო: Sex, drugs, rock-n' roll' და ეს დინება ძალიან ძლიერი იყო.

პოლიტიკური ესტაბლიშმენტი თავს ესხმოდა კასტანედას, აკრიტიკებდა მას და საზოგადოებისათვის საშიშად თვლიდა. თუმცა ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებდა კასტანედას სიძლიერეს. ცდილობდნენ რა, მისი თავგადასავლების პეიოტას ზემოქმედებაზე გადაბრალებას, ისინი კიდევ ერთხელ ცდებოდნენ - აკრძალული ხილი უფრო გემრიელი აღმოჩნდა, ხოლო პეიოტას პერსპექტივა - უფრო გამომაჯავრებელი.

პოპულარობამ, რომელიც კასტანედას ამ წიგნებმა მოუტანეს, საზოგადოების მხრიდან მისი პიროვნებით დაინტერესება გამოიწვია; თუმცა კასტანედამ უკვე აამუშავა „საკუთარი ისტორიის წაშლის" მექანიზმი და სახალხოდ განაცხადა:

"არაფერია მოსაყოლი კარლოს კასტანედაზე... პიროვნება - ეს ტყუილია, სიცრუეა. ქალები? წარმატება? მერედა ვის ტ... (გინება) ეს? ჩვენ რომ საკუთარი თავით ამდენად გატაცებულნი არ ვიყოთ, ასე ბარბაროსულად არ მოვეპყრობოდით საკუთარ პიროვნებას..."[5]

ყველაფერი კი 1960 წელს დაიწყო – ზუსტად ამ წელს კასტანედა შეხვდა იაკის ტომის ინდიელს,დონ ხუან მატუსს. ამ დროისათვის ის უკვე ლოს-ანჟელოსის უნივერსიტეტს ამთავრებდა და ანთროპოლოგიაში დიპლომის მისაღებად ემზადებოდა. მასში პროფესორობის სურვილმაც გაიღვიძა და დასაწყისისათვის რამდენიმე პუბლიკაციის მომზადება დაიწყო. ერთ-ერთი პუბლიკაცია სამკურნალო მცენარეებს შეეხებოდა. არიზონის ავტოსადგურში მეგობარმა მას მოხუცი ინდიელი დაანახა და აცნობა კასტანედას, რომ მატუსი პეიოტას „ექსპერტი" იყო. მოგვიანებით, 1972 წელს, სემ კინითან ინტერვიუში მან განაცხადა: „მე დიდმნიშვნელოვანი, თავმომწონე გამომეტყველებით გამოვეჯგიმე მოხუცს და განვუცხადე: გავიგე, რომ ბევრი გცოდნიათ პეიოტას შესახებ. მე ექსპერტი გახლავართ ამ დარგში (ამ დროისათვის მხოლოდ ერთადერთი წიგნი,უესტონ ლა ბარრეს „პეიოტას კულტი" მქონდა წაკითხული) და მგონი ზედმეტი არ იქნება ჩვენი საუბარი... ჰოდა... მან მხოლოდ შემხედა და ჩემი მამლაყინწობა უეცრად სადღაც გაქრა. ენა მუცელში ჩამივარდა. საერთოდ ფრიად მიმწოლი მოლაპარაკე ვარ და ასეთი მდგომარეობა ჩემთვის სრულიად უჩვეულო იყო... შემდეგ დაიწყო ჩვენი შეხვედრები. ერთი წლის შემდეგ კი მან მითხრა, რომ გადაწყვიტა გადმომცეს საიდუმლო ცოდნა, რომელიც თავის დროზე მოძღვრისაგან მიიღო..."[6] 1961 წელს კასტანედა ანთროპოლოგი, უცებ კასტანედა–მაგის შეგირდად იქცა. მატუსთან ურთიერთობა 1973 წლამდე გაგრძელდა. შემდეგ კი... შემდეგ დონ ხუანი და მისი ჯგუფი ასრულებენ თავიანთ ბედს – ნისლის მსგავსად იშლებიან და ქრებიან ამ სამყაროდან, რათა „უსასრულობის ნავიგატორებად" იქცნენ. მანამდე კი, დონ ხუანი უბიძგებს კასტანედას, დაწეროს მექსიკური შამანიზმის მისეულ სამყაროზე... და სამი ათეული წლის განმავლობაში არ ცხრებოდა დებატები – მისი ცხრა ბესტსელერი ფიქციაა თუ სინამდვილე.

კასტანედას წიგნები ხშირად შეიძლება ვიპოვოთ New Age - სექციებში, რომელთა ჟანრი „კვაზისინამდვილეა", რომელიც შეიძლება ან არ შეიძლება იყოს რეალური თქვენი აღქმის მიმდინარე მდგომარეობის შესაბამისად. გაზეთმა „The Los Angeles Times" კასტანედა New Age-ს მოძრაობის ერთ-ერთი ნათლიმამად დაასახელა.

მაგრამ ეს არ არის ის აღწერა, რაც კასტანედას შეესაბამება. „30 წელი ადანაშაულებენ კარლოს კასტანედას ლიტერატურული პერსონაჟის შექმნაში მხოლოდ იმიტომ, რომ ის, რასაც მე მათ ვუყვები, არ ექვემდებარება ანთროპოლოგიურ აპრიორს, სალექციო დარბაზებსა თუ ანთროპოლოგიურ საველე სამუშაოებში დამკვიდრებულ იდეებს", – გვპასუხობს ის.

კასტანედა ამბობს: „დასავლელი ადამიანის ცოდნის სისტემა გვაიძულებს დავეყრდნოთ წინასწარ გამზადებულ იდეებს. რა არის ორთოდოქსალური ანთროპოლოგია? რა არის შამანის საქციელი? ატაროს ფრთები თავზე და სულებს მოუხმოს?..."[7]

როგორც უკვე აღვნიშნე, მკითხველი ძირითადად კასტანედას პირველ ორ წიგნს იცნობს: „იაკი, ცოდნის გზა" და „ცალკეული რეალობა". ორივე მკაცრად ფოკუსირდება ჰალუცინოგენური მცენარეების გამოყენებაზე (რამაც, ჩემი აზრით, განაპირობა კასტანედას ასეთი უეცარი პოპულარობა), რომლებსაც შამანი დონ ხუანი იყენებდა, რათა დახმარებოდა კასტანედას „გაეშვა საკმაოდ ვიწრო სოციალური შეგრძნება სწაელულისა":

„ფსიქოტროპულ საშუალებებს დონ ხუანი მხოლოდ ჩემი განსწავლის დასაწყისში იყენებდა. იყენებდა იმიტომ, რომ მისი თქმით, მე მეტისმეტად თავდაჯერებული და დამუხრუჭებული ვიყავი. ისე ვებღაუჭებოდი სამყაროს ჩემეულ აღწერილობას, როგორც წყალწაღებული ხავსს. ფსიქოტროპულმა საშუალებებმა გაარღვია ჩემი თავდაცვა – გლოსების ჩემი სისტემა, დაინგრა ჩემი დოგმატური დაჯერებულობა..."[8]

თუმცა, აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ნარკოტიკულ ან ფსიქოტროპულ საშუალებებს მაგები, მედიუმები და ოკულტისტები ოდითგანვე იყენებდნენ თავიანთ პრაქტიკაში. მაგალითად, ჩრდილოელი შამანები უპირატესობას ანიჭებენ ახალი „ბუზიჭერიას" ნაყენს - სოკო შეიცავს მიკოატროპინს, რომელიც ძლიერ ჰალუცინაციებს იწვევს. იმავე მიზეზით ყველა დროისა და ქვეყნის ჯადოქრები ჭკუას კარგავდნენ „დურმანსა" და „ბოლიზე". აზიელი მისტიკოსები კი ამისათვის „ანაშასა" და „ოპიუმს" ხმარობენ. რა თქმა უნდა, ჩამოთვლილ მცენარეთაგან ყველა როდი შეიცავს ნარკოტიკულ ნივთიერებებს, ნარკოტიკებად მედიცინა თვლის იმ ნივთიერებებს, რომლებიც მომხმარებელში იწვევს მიჩვევასა და უკვე შემდგომ, ბიოქიმიურ დამოკიდებულებას. „ბუზიჭერია", „დურმანი", „ბოლი", "ლენცოფა", ესენი უფრო ტოქსიკომანების ტრფობის ობიექტებია, რომლებსაც იმავე მიზეზებისათვის წებო, ბენზინი და აცეტონიც აწყობთ. მისტიკოსები კი ამ მცენარეებს განსაკუთრებული, ისეთი ეზოთერიკული ქმედებებისათვის იყენებდნენ, როგორებიცაა: სულების გამოძახება, მაგიური ზემოქმედება, წინასწარმეტყველება და ა.შ. თანამედროვე, მოწყენილ ახალგაზრდობას არ უყვარს ანთროპოლოგიური გამოკვლევები, თორემ წინაპართა „კაიფზე" ბევრ საინტერესო რამეს გაიგებდა. აი მაგალითად, ტეილორი თავის წიგნში „პირველყოფილი კულტურა" აღწერს, რომ ამერიკაში ინდიელები მაგიური მიზნებისათვის ხშირად ხმარობდნენ ჩვეულებრივ თამბაქოს. იმისათვის, რომ წინასწარმეტყველურ ბოდვაში დაფლული განძის ადგილმდებარეობა გაეგოთ, დარიენის ტომის ინდიელები ბავშვებს Datum Sanguinea-ს თესლებს აჭმევდნენ. პერუში ქურუმები, რომლებიც „გუაკას" ან ფეტიშებს ესაუბრებოდნენ, ექსტატიკურ

მდგომარეობაში ნარკოტიკული სასმელის „ტორკას" საშუალებით შედიოდნენ. რა თქმა უნდა, გამონაკლისს არც მექსიკელი ქურუმები წარმოადგენდნენ და ამ მიზნებისათვის „ოლოლიუკის" თესლებისაგან დამზადებულ მალამოს ან სასმელს იყენებდნენ. ანალოგიური მიზნებისათვის მთელი ამერიკის კონტინენტზე თამბაქოს იყენებდნენ. მაგალითად, ბრაზილიელი ჯადოქრები კონვულსიური ორგიების დროს თამბაქოს მოწევით შედიოდნენ ექსტაზში და ხედავდნენ სულებს, ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ თამბაქოს მათთან „წმინდა ბალახს" უწოდებენ. მაგალითების ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს, ასე რომ, აქ უბრალოდ ვიტყვით, რომ ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, არ უნდა იყოს გასაკვირი კასტანედას დაინტერესება ფსიქოტროპული საშუალებებით, თუმცა მასთან ყოველივე ამას, როგორც აღვნიშნეთ, ცოტა სხვა დატვირთვა აქვს.

კასტანედა არ ეთანხმებოდა იმ დროისათვის საკმაოდ ცნობილ ტიმოთი ლირის, რომელიც ასევე ფსიქოტროპული საშუალებების ცნობილი სპეციალისტი იყო. ის ამბობდა:

„მისი ნაშრომები არანჯირებაა ტრადიციული დასავლეთ-ევროპული გლოსებისა*. მე არასოდეს მიმიღია „LSD", მაგრამ დონ ხუანთან განსწავლის პროცესმა სრულიად დამარწმუნა იმაში, რომ ფსიქოტროპული საშუალებები გამოდგება მხოლოდ ჩვეულებრივ ინტერპრეტაციათა ნაკადის შესაჩერებლად, აღიარებული დარწმუნებულობის შესარყევად. მაგრამ ისინი თავისთავად ვერ დაგეხმარება „სამყაროს გაჩერებაში". ამისთვის საჭიროა სამყაროს ალტერნატიული, სრულფასოვანი აღწერილობა. აი, რატომ მასწავლიდა დონ ხუანი სახელდობრ მაგიას"...

აგრძელებს რა მსჯელობას „პეიოტას", „ბოლისა" და „ეშმაკეული ბალახის" გამოყენების შესახებ, ის ამბობს:

„ფსიქოტროპული საშუალებების ქვეშ მყოფს ყოველთვის გახსოვს ეს ფაქტი და ამიტომ ყოველთვის არსებობს დაეჭვება ამ მდგომარეობაში განცდილის სინამდვილეში... მაგრამ, როცა კოიოტი დამელაპარაკა, მე აღარ გამაჩნდა დაეჭვების მიზეზი. მე ველარ დავაბრალებდი ამას ნარკოტიკს და ამგვარად რაციონალური ახსნის მონახვაც შეუძლებელი იყო. მე სინამდვილეში „შევაჩერე სამყარო" და მცირე დროით გავედი აღწერის ჩვეული, დასავლეთ-ევროპული სისტემის ფარგლებიდან..."

ყოველივე ამის მიუხედავად, კასტანედას ნაწარმოებები მაინც ნარკოტიკებისა და ფსიქოტროპული საშუალებების („პეიოტა", „ბოლი", "ეშმაკეული ბალახი", „მაგიური სოკოები") სინონიმებად იქცა. მაგრამ მკითხველი, რომელიც გასცდა მის პირველ ორ წიგნს, განსაკუთრებით კი ისინი, ვინც დაინტერესებულნი იყვნენ სამხრეთ-დასავლური კულტურითა და შამანიზმით, დაჯილდოვდნენ საინტერესო, უფრო რომანტიკული ანთროპოლოგიური თავგადასავლებით.

კასტანედას სამყაროს, ძველი მექსიკელი შამანების სამყაროს გაგება-გააზრება ემსგავსება ნახატში სახის აღქმის კლასიკურ ცდას. თავდაპირველად არ არის არაფერი, მაგრამ თუკი თქვენ აგრძელებთ ყურებას, მთელი თქვენი ყურადღების კონცენტრირებას ფოკუსზე ახდენთ, საბოლოოდ სახე გამოიკვეთება და ამ მომენტიდან, ყოველთვის, როცა არ უნდა შეხედოთ სურათს, მასზე თქვენ სახეს ხედავთ.

მაგრამ, კასტანედასათვის მთავარი, როგორც თავადვე ამბობს – „განსაკუთრებით მნიშვნელოვანი", – იყო მებრძოლისა და ცოდნის კაცის წესით ცხოვრების იდეა... იმედი „ხედვისა" და „სამყაროს გაჩერების" უნარის დაუფლება:

„დონ ხუანი ამბობს, რომ რასაც მაგები „ხედვას" ეძახიან, ესაა სამყაროს შეცნობა ყოველგვარი ინტერპრეტაციის გარეშე. ტრადიციული ფილოსოფიური

ტერმინოლოგიით კი – სუფთა, „განცვიფრებული ბავშვის“ აღქმა. სწორედ მაგიაა ამის მიღწევის საშუალება. ჩვენ ხომ გვაქვს უეჭველი რწმენა, რომ სამყარო მხოლოდ ისეთია, როგორსაც ვიღებთ შეთანხმებულ აღწერილობაში?... ეს რწმენა რომ შეარყიო და დაანგრიო, უნდა შეისწავლო სამყაროს ახალი აღწერილობა - მაგიური... და შემდეგ ორივე აღწერილობა უნდა შეინარჩუნო. მაშინ დაინახავთ, რომ არც ერთი ამათგანი არაა საბოლოო. ამ მომენტში თქვენ თითქოს სრიალს იწყებთ ამ ორ აღწერილობას შორის, „თქვენ აჩერებთ სამყაროს“ და თქვენ „ხედავთ“, თქვენ იძირებით განცვიფრებაში, ჭეშმარიტ განცვიფრებაში – სამყაროს ხედვაში ყოველგვარი ინტერპრეტაციის გარეშე...“

კასტანედამ იცოდა ისიც, რომ ყველა, ვინც კი შეთანხმებული სამყაროს გაკვალული ბილიკების მიღმა მოგზაურობს, ძალიან მარტოდ უნდა გრძნობდეს თავს:

„... სამყარო, რომელშიც დონ ხუანი ცხოვრობს, ჩვენთვის საშინელია. ამ სამყაროს რომ შეუერთდე, უნდა გაშორდე ყველაფერს, „მეტისმეტად ადამიანურს“; ერთხელ, დონ ხუანთან და დონ ხენაროსთან ყოფნის დღეებში, მე გამეხსნა მათი მარტოობა და დავინახე, რომ ჩვენს ტრადიციულ ათვლის წერტილებთან, ჩვენს სასაცილო, საყვარელ სათამაშოებთან დაბრუნების გზები მათ აღარა აქვთ... ეს მარტოობა დონ ხუანს, ჩემი აზრით, ხელოვნების ხარისხში აჰყავს. ამ ხარისხის მარტოობა აუცილებლადაა დაკავშირებული ძალასთან, რომელსაც იგი თავად ფლობს და სრულად აკონტროლებს... სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს თავისებური მეტაფორული ნირია, ყაიდაა ცხოვრებისა... ამიტომაა, რომ მის მოძღვრებას დრამატულობის გემოც დაჰყვება...“

დონ ხუან მატუტისა და მისი თანამოაზრე მექსიკელი შამანების ამოცანა მთავრდება იმით, რასაც თავად „აბსტრაქტულ გაფრენას“ და „უსასრულობის ნავიგატორებად“ ქცევას უწოდებენ. და ისინი მართლაც გაქრნენ, შეუერწყნენ უსასრულობას. მაგრამ ამ სამყაროდან წასვლამდე დონ ხუანი უხსნის კასტანედას და მის სხვა მოსწავლეებს, რომ ძველ მექსიკელ შამანთა ეს ხაზი კასტანედაზე, უკანასკნელ ნაგვალზე დასრულდებოდა. ენერგეტიკულ კონფიგურაციაში რაღაც, რასაც თავის შემდეგ ტოვებდნენ შამანები, არაკეთილსასურველი იყო ხაზის გაგრძელებისათვის. ასე რომ, კასტანედასა და მისი თანამოაზრეთა ამოცანა ძველი მექსიკელი შამანების ხაზის დახურვა იყო:

„... და დონ ხუანი უკანმოუხედავად წავიდა. დონ ხენარომ ერთ-ორჯერ მოიხედა და თვალი ჩამიკრა: მიდიო! – მანიშნა. მე ვუყურებდი, როგორ იკარგებოდნენ ისინი ბინდიან შორეთში... მერე კი ჩემი ავტომანქანისაკენ გავემართე. მივედი, ჩავჯექი, დავქოქე და გავემგზავრე, რადგან ვგრძნობდი, რომ ჩემი დრო ჯერ კიდევ არ დამდგარიყო...“[10]

ჭორები კარლოს კასტანედას გარდაცვალებაზე ისევე გაზვიადებული იყო, როგორც მის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. მიზეზი საზოგადოებამ კასტანედას გარდაცვალების შესახებ მისი აღსასრულიდან 2 თვის შემდეგ გაიგო, მისი „აგენტის“ ინფორმაციით, ცხედარს კრემაცია გაუკეთეს, ფერფლი კი არიზონის უდაბნოში მოაპნიეს. იქნებ ეს ასეც იყო, მაგრამ საზოგადოება, რომელიც 30 წლის განმავლობაში თვალს ადევნებდა და ფსიქოდელიკური პანთეონის გმირად ასახელებდა კასტანედას, მის აღსასრულშიც სხვა რამეს ხედავდა, ან უნდოდა დაენახა. რატომ? ბოლოს და ბოლოს, კასტანედა ამტკიცებდა, რომ ის არასოდეს ყოფილა დაქორწინებული, თუმცა სასამართლო ჩანაწერები საპირისპიროს ამტკიცებდა. ის დაბადების ყველაზე ცოტა ორ ადგილსა და თარიღს ასახელებდა. ის წერდა, რომ გაიზარდა ნისკარტი, გადაიქცა ყვავად და ისწავლა ფრენა (რაც

ასევე საქმეთა). თუმცა გარდაცვალების ცნობამ მას უტიფრად საშუალო სკოლის მასწავლებელი უწოდა. ე.ი. კასტანედა ცდილობდა ყველაფერი „გაეყალბებინა“.

შეეძლო კი ამ ყველაზე პრაქტიკულ „მატყუარას“ საკუთარი გარდაცვალების გაყალბება? ასეთი შესაძლებლობის განსახილველადაც კი საჭირო იყო მისი ორსახოვნების წარმოდგენა...

–თაყვანისმცემელთა არმიისათვის კი ის გაფრინდა, ვითარცა ყვავი, აორთქლდა, შეერწყა უსასრულობას, მოახდინა „ასტრალური გაფრენა“ და დონ ხუანისა და მისი თანამოაზრეების მსგავსად, „უსასრულობის ნავიგატორად“ იქცა... VAIA CON DIOS DON KARLOS...

შენიშვნები და გამოყენებული ლიტერატურა:


1. ფსიქოტროპული ნივთიერებანი – სამკურნალო ნივთიერებანი, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ უპირატესად ფსიქიკაზე.
2. სემ კინი, „ინტერვიუ კარლოს კასტანედასთან. 1972წელი, დეკემბერი“, ჟურნალი „XX საუკუნე“, გვ.140-143,102.02.1994.
3. Томасс Ропп, Республика Аризона, Лос-Анджелес – «Блестящая встреча с Карлосом Кастанедой», 3 августа 1997года.
4. პეიოტა – ძლიერი ჰალუცინოგენური ნივთიერების (მესკალინის) შემცველი კაქტუსი, რომელსაც მექსიკელი ინდიელების ზოგიერთი ტომის მოგვები სხვადასხვა რიტუალებში იყენებენ.
5. Томасс Ропп, Республика Аризона, Лос-Анджелес – «Блестящая встреча с Карлосом Кастанедой», 3 августа 1997года.
6. Карлос Кастанеда. Сочинения. Том 1. «Учение дона Хуана». «Отдельная реальность». «Путешествие в Икстлан». «Сказки о силе». Издательство «София».2001, с. 23
7. Томасс Ропп, Республика Аризона, Лос-Анджелес – «Блестящая встреча с Карлосом Кастанедой», 3 августа 1997года.с. 4
8. სემ კინი, „ინტერვიუ კარლოს კასტანედასთან. 1972წელი, დეკემბერი“, ჟურნალი „XX საუკუნე“, გვ.140-143,102.02.1994.
9. გლოსა – აღქმისა და არტიკულირების შესაბამის საშუალებათა ტოტალური სისტემა. მაგალითად, ოთახი წარმოადგენს გლოსას. ჩვენ სინკრეტულ მთლიანობაში შევკრიბეთ იზოლირებულ აღქმათა მთელი წყება - იატაკი, ჭერი, კედლები, ფანჯრები, განათება და ა.შ. – და ამით შევქმენით განუყოფელი ტოტალური მთლიანობა. ოღონდ სამყაროს ასეთი მეთოდით შედგენისათვის ჩვენ გარკვეული სახით უნდა ვიყოთ გაწვრთნილნი. ბავშვი, სამყაროს შეცნობისას, ადრევე ფორმირებულ შეხედულებათა შეზღუდულ რაოდენობას ეყრდნობა. ეს მანამ, სანამ მას შეასწავლიან საგანთა ისეთი მეთოდით ხედვას, როგორიც საყოველთაოდ მიღებულ შეთანხმებულ აღწერილობას შეესატყვისება. სამყარო – არსებითად შეთანხმებაა. სწორედ ეს იგულისხმება გლოსირების იდეაში: სწავლება და წვრთნა სამყაროში ორიენტირებასა და შესატყვის მოქმედებებში, წინასწარ მოცემული აღწერილობის თანახმად, ეს აღწერილობა განსაზღვრავს თანამონაწილეობის სახესაც.
10. კარლოს კასტანედა, „მოგზაურობა იქსტლანში“, ჟურნალი „XX საუკუნე“, გვ. 136-140.

**მარიკა ნადარეიშვილი**
*თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტი*

# XX საუკუნის მუსიკალურ-ანალიტიკური მეთოდები (ამერიკული სეთ-თეორია)

XX საუკუნე მეცნიერულ-ტექნიკური აღმოჩენებისა და, შესაბამისად, ადამიანის შემეცნების ფორმათა ცვალებადობის ეპოქაა. კვანტური თეორიის, ჯგუფების, ალბათობის, ინფორმაციის თეორიის, სტრუქტურალიზმის გავლენა მეტნაკლებად შეინიშნება თანამედროვე მუსიკალურ კომპოზიციებზე. ხშირად თვით კომპოზიტორები მუსიკალურ კომპოზიციას აგებენ არამუსიკალური კანონზომიერებების მეშვეობით (ქსენაკისი, ბულეზი), რაც იწვევს ანალიზის სპეციფიკური ფორმების გამოყენებას. შესაბამისად, გასული საუკუნის მეორე ნახევრისათვის აკადემიური თუ ფოლკლორული მუსიკის შესწავლისას დამკვიდრდა სტრუქტურული და სისტემური გამოკვლევები, რაოდენობრივი და სტატისტიკური, ალბათობისა და თეორიულ-ინფორმაციული მეთოდები, სოციოლოგიური, კულტუროლოგიური თუ ტექსტოლოგიური ანალიტიკური მეთოდები[1]. გარდა ამისა, ხშირად მუსიკათმცოდნეები იშველიებენ ფილოსოფიურ ცნებებსაც (მაგალითად, ჰეგელის „თეზა-ანტითეზა-სინთეზი"; ა.სოკოლოვი[2] თანამედროვე მუსიკასთან დაკავშირებით საუბრობს ტრიადაზე „სინკრეზისი-ანალიზი-სინთეზი").

იკვეთება განსხვავებული დამოკიდებულება სივრცე-დროის კატეგორიისადმი. მუსიკალურ კომპოზიციაში მხატვრული დრო მაქსიმალურად იტვირთება ინფორმაციით, რომლის პირობებში ხშირად უპირატესობა ენიჭება სივრცულ შესაძლებლობებს (ა. ვებერნის შემოქმედება); საწინააღმდეგო შემთხვევაში კი დრო „შეჩერებულია", თითქოსდა „გაყინულია", გაიგივებულია მარადიულობასთან (რეპეტიტიული მინიმალიზმი, ზოგიერთი სონორული კომპოზიცია, სტატიკური მუსიკალური ქმნილებები მედიტაციური დრამატურგიით). XX საუკუნის ევროპული პროფესიული მუსიკალური ჰორიზონტი გაფართოვდა ზოგადად არაევროპული მუსიკალური ტრადიციების გათავისების მეშვეობით. ამ ტენდენციამ განაპირობა კონკრეტულად მედიტაციურობის და მასთან დაკავშირებული სპეციფიკური სივრცულ-დროითი პარამეტრების დამკვიდრება. მსგავს მუსიკალურ კომპოზიციებში ხშირია ღია, ოსტინატური ფორმები.

შეიცვალა თვით ჟღერადი მასალის სტრუქტურა, რამეთუ ნატურალურ, ბუნებრივ ბგერებთან ერთად გამოიყენება ხმაურები, კომპიუტერული და ელექტრონული ბგერები. ტოტალური ინდივიდუალიზაციის პროცესმა გამოიწვია ფორმა-კომპოზიციის წარმმართველი ძირითადი კრიტერიუმების ხშირად უკანა პლანზე გადანაცვლება, რაც განპირობებულია მანამდე „მეორეხარისხოვანი" ფაქტორების აქცენტირებით. მუსიკალური თემატიზმის ცნება უკავშირდება არა მარტო ტრადიციულად ინტონაციურ-კილოებრივ-რიტმულ სინთეზურ ერთეულს, არამედ საკუთრივ რიტმს, ჰარმონიას, დინამიკას, ტემბრს. შესაბამისად, მუსიკალური ფორმა ახალ კანონზომიერებათა მიხედვით აიგება.

ყოველივე ეს რეალიზებულია XX ს. მუსიკაში შექმნილი საკომპოზიციო წერის ახალი მეთოდების მეშვეობითაც (სერიულობა და სერიალიზმი, ნეომოდალობა, სონორისტიკა, ალეატორიკა, პოლისტილისტიკა და სხვ.). ახალი საკომპოზიტორო ტექნიკით შესრულებულ ნაწარმოებებში ხშირად შესაძლებელია ტრადიციული

კლასიკური ფორმის გამოკვეთა, მაგრამ ის მაინც მეორადია მოცემულ კომპოზიციაში და ექვემდებარება ხსენებული საკომპოზიციო ტექნიკის ნორმებს. შესაბამისად, XX ს. მუსიკაში ყალიბდება ე.წ. სერიული, სერიალური, სონორისტიკული, ალეატორიკული ფორმები, რომელთა ანალიზი კლასიკური მეთოდებით ნაკლებად ეფექტურია.

მუსიკალურ ფორმაზე გავლენას ახდენს ხელოვნების სხვა დარგებში არსებული ძირითადი ტენდენციები, რაც ხშირად მუსიკალური კომპოზიციის ახალი ტიპის ჩამოყალიბების საწინდარია. ამის ბრწყინვალე მაგალითია დადაისტების შემოქმედების გამოძახილი კეიჯისა და ამერიკელი ერლ ბრაუნის შემოქმედებაში; სიურეალიზმი და ბერგის ოპერა „ლულუ“; შენელებული კინოპროექციის ეფექტი და დ. მიიოს ბალეტი „ხარი სახურავზე“, კინომონტაჟი და პოლისტილისტიკური ფორმები და ა.შ.

XX ს. მუსიკალური ფორმების კლასიფიკაცია უამრავი მეცნიერის ყურადღების საგანია. ჩვენი აზრით, ამ ფორმათა დაყოფა შესაძლებელია შემდეგ ოთხ ძირითად ჯგუფად:

1. ტრადიციული ტიპობრივი ფორმები – აქ იგულისხმება წინა საუკუნეებში ჩამოყალიბებული და უკვე დამკვიდრებული ფორმები;
2. საკომპოზიციო ტექნიკით ინდივიდუალიზებული ტიპობრივი ფორმები – აქ გაერთიანებულია ის ტიპობრივი ფორმები, რომლებიც ემყარება XX საუკუნეში შექმნილ საკომპოზიციო ტექნიკის ახალ ტიპებს;
3. ახალი ფორმები – იგულისხმება ფორმები, რომელთა სტრუქტურული მოდელი განპირობებულია XX საუკუნეში შექმნილი საკომპოზიციო ტექნიკის ნაირსახეობებით. მათ არ გააჩნიათ პროტოტიპი ტრადიციული ტიპობრივი ფორმის სახით. ესენია: სერიული, სერიალური, მოდალური (რეპეტიტიული), 12-ტონიანი, რიტმული, სონორული, ალეატორიკული, პოლისტილისტიკურ-კოლაჟური, სტოქასტიკური, სამფაზიანი ფორმები. აღნიშნულ ფორმათაგან ზოგიერთს გააჩნია ქვეტიპები;
4. ერთჯერადი ფორმები – მათ არა მარტო არ გააჩნიათ შესაძლო პროტოტიპი, არამედ გვხვდებიან მხოლოდ ერთხელ კონკრეტულ ნაწარმოებში და შემდგომ არსად არ მეორდებიან (კომპოზიტორის მიერ შექმნილი ინდივიდუალური ფორმები).

ისტორიულ-სტილური ასპექტის გათვალისწინებით, გასული საუკუნის მუსიკალურ ხელოვნებაში, ერთი მხრივ, შეინიშნება ახლის, მანამდე არარსებულის ძიების (თავისუფალი ატონალობა, ადრეული სერიალიზმი), მეორე მხრივ კი, ტრადიციულის გადააზრების ტენდენცია (ნეოტონალური პერიოდი, პოსტმოდერნი). აღსანიშნავია, რომ ანტინომიურობა ზოგადად ახასიათებს XX საუკუნის მუსიკალურ კულტურას, რაც მუსიკალური ფორმის განვითარების თავისებურებებშიც ვლინდება. ჩვენს ეპოქაში ვითარდება ტრადიციული მუსიკალური ფორმები (განახლების ტენდენციით) და ამავდროულად იქმნება სრულიად ინდივიდუალიზებული, ხშირად „ერთჯერადი“ ფორმები, რომლებიც გვხვდება მხოლოდ კონკრეტულ ნაწარმოებში.

მსგავსი ანტინომიური ხასიათისაა XX საუკუნის მრავალფეროვან ახალ ფორმათაგან ორი – სერიალური და ალეატორიკული ფორმები. ისინი რეალურად ერთი მედლის ორ მხარეს წარმოადგენენ: პირველში ხდება დეტერმინირების იდეის აბსოლუტიზება, რამეთუ წინასწარაა განსაზღვრული ყველა მუსიკალური პარამეტრი, ალეატორიკულ ფორმებში კი პირიქით – წარმმართველია არადეტერმინირება, შემთხვევითობა, იმპროვიზაციულობა[3]. აღსანიშნავია, რომ ორივე მათგანი პირველად სათავეს იღებს არა მრავალსაუკუნოვან, ტრადიციათა დამფუძნებელ ევროპულ კულტურაში, არამედ ამერიკულ მუსიკალურ ხელოვნებაში.

სერიულობისა და ალეატორიკის საფუძვლები გვხვდება ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში გენიალური ამერიკელი კომპოზიტორის ჩ. აივზის შემოქმედებაში. მუსიკალური არადეტერმინირების პირველ ნიმუშებად აღიარებულია მისი საფორტეპიანო სონატა №1; ხოლო ატონალობის ნიშნებით გამოირჩევა „სამი პროტესტი", სადაც ჰორიზონტალურად გადმოცემულია თორმეტი განუმეორებელი ბგერა თავისუფალი მონაცვლეობით. რამდენიმე ათეული წლის შემდეგ მუსიკალური მასალის ორგანიზების მსგავს პრინციპს მიმართავს ფრანგი კომპოზიტორი ო. მესიანი „ოთხ რიტმულ ეტიუდში" ფორტეპიანოსათვის (1949–50), რომელიც ითვლება სერიალიზმის ერთ-ერთ პირველ ევროპულ ნიმუშად. აქვე დავაზუსტებთ, რომ მესიანის არც ერთ პიესაში წმინდა სახით არ არის წარმოდგენილი სერიული კომპოზიცია. ამ ციკლის ერთ-ერთ ნაწილში – „გრძლიობათა და ინტენსიობათა მოდუსები" – მუსიკალური ქსოვილი ორგანიზებულია არა სერიალური, არამედ მოდალური პრინციპით, სადაც მუსიკალური ტექსტის ოთხი პარამეტრია დეტერმინებული.

ნიშანდობლივია, რომ ევროპაში არადეტერმინება თავდაპირველად სერიალიზმის წიაღში დამკვიდრდა და მხოლოდ მოგვიანებით გამოეყო მას. ამერიკაში კი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არსებობდა სერიული (მ. ბებიტი) და „შემთხვევითი", არადეტერმინებული (ჯ. კეიჯი) მუსიკა.

სერიული ტექნიკის კლასიკური პერიოდის შემდეგ (ვენის ახალი სკოლა) სერიალურ ტექნიკას თითქმის ერთდროულად ავითარებენ ამერიკასა და ევროპაში. სერიული მეთოდის დამაარსებლის – არნოლდ შონბერგის შტატებში საცხოვრებლად გადასვლამ დიდი გავლენა მოახდინა ამერიკულ კულტურაზე. ამერიკაში ამ მხრივ პირველი იყო მილტონ ბებიტი, რომლის 1940-იანი წლების კომპოზიციებში (*სამი კომპოზიცია ფორტეპიანოსათვის*, 1947, *კომპოზიცია ოთხი ინსტრუმენტისათვის*, 1947–48, *კომპოზიცია 12 ინსტრუმენტისათვის*, 1948) მკაცრად ორგანიზებულია არა მარტო ბგერათსიმაღლებრივი, არამედ რიტმული პარამეტრები. აქვე ყურადსაღებია ისიც, რომ მესიანის „რიტმული ეტიუდები" უფრო გვიან შეიქმნა, ვიდრე ბებიტის პირველი სერიალური კომპოზიციები. ევროპაში კლასიკური სერიალიზმის ერთ-ერთი პირველი ნიმუშია პ. ბულეზის „სტრუქტურები" ფორტეპიანოსათვის (1952).

ამერიკელი მუსიკოსები ჯ. პერლი და ა. ფორტი ავითარებენ 12-ტონიანი მუსიკის ცალკეულ იდეებს[4], მ. ბებიტმა კი შონბერგის სწავლებაზე დაყრდნობით შეიმუშავა ახალი ანალიტიკური მეთოდი – სეთ-თეორია (set theory). იგი წარმატებით ვრცელდება როგორც ზოგადად ატონალურ კომპოზიციებზე, ასევე ტონალური მუსიკის ზოგიერთ ფორმაზეც. მ. ბებიტმა ერთ-ერთმა პირველმა აღიქვა მუსიკა მათემატიკის პოზიციებიდან. თავის თეორიულ სწავლებაში მან გამოიყენა ტერმინოლოგია ფიზიკიდან, მათემატიკიდან, ფილოსოფიიდან, ლინგვისტიკიდან (მაგალითად, „pitch class", „combinatoriality", „source set" და სხვ.).

ცნებას „set" უამრავი მნიშვნელობა აქვს (მათემატიკური, ზოგადლოგიკური თუ მუსიკალური). სეთ თეორია მატემატიკურ მეცნიერებაში წარმოადგენს „მრავლობითობის თეორიას". მუსიკაში მ. ბებიტმა იგი გამოიყენა როგორც ტერმინების – „სერია", „რიგი" – სინონიმი. მისი მასშტაბები არაა განსაზღვრული – სეთი შეიძლება შეიცავდეს ორიდან თორმეტ ბგერას. სეთი წარმოადგენს ბგერათსიმაღლებრივ, რიტმულ, გრძლიობათა და სხვა კომპონენტების ჯგუფს, რომელიც გამოირჩევა ნაწარმოებში რაიმე ნიშნით. ერთ-ერთი ამგვარი განმასხვავებელი საშუალებაა ხშირი განმეორება (მაგალითად, სერიულ ქმნილებაში სერიის, ატონალურ ნაწარმოებში ამა თუ იმ ნიშნით ინდივიდუალიზებული მოტივის და სხვ.).

ბგერათსიმაღლებრივი, რიტმული თუ სხვა კომპონენტებისგან „დაკომპლექტებული" სეთები კონკრეტული ნაწარმოების ანალიზისას გამოისახება არა ლათინური

ასოებით (როგორც ეს მიღებულია კლასიკურ ანალიზში), არამედ ციფრებით – სწორედ მათი მეშვეობით აისახება ქმნილების სტრუქტურა.

სეთ-თეორიის აღმოცენების მთავარი მიზეზი და მიზანი უნივერსალური ანალიტიკური მეთოდის შექმნაში მდგომარეობდა – მეთოდისა, რომელიც მისაღები გახდებოდა XX საუკუნის ეკლექტიკურად მდიდარი მუსიკალური ფორმებისათვის. თუმცა, საბოლოოდ მასაც გააჩნია გარკვეული სუსტი მხარეები. ერთი მხრივ, ამგვარ „ციფრულ გრაფიკაში" იკარგება კომპოზიტორისეული „მე", ინდივიდუალური ხელწერის თავისებურებანი, მეორე მხრივ კი – სეთ-თეორია ვერ ერცელდება XX საუკუნის ნებისმიერ მუსიკალურ ფორმაზე.

„ – *ნუ ცდილობთ, გაიგოთ რაიმე, რაც ითქმის, ვინაიდან რამე რომ თქმულიყო, ბგერებს სიტყვათა ფორმა ექნებოდათ. ჩაუღრმავდით მხოლოდ ბგერათა ქმედებას... ადამიანს აღარ აინტერესებს შედეგი, მხოლოდ თვით ქმედება*", – ამბობდა ჯონ კეიჯი[5].

„*ჩემი მიზანია, მუსიკალური ნაწარმოები იყოს იმდენად ზუსტი, რამდენადაც ეს შესაძლებელია*", – აღნიშნავს მილტონ ბებიტი[6].

ამგვარი რადიკალურად განსხვავებული მიდგომები საკომპოზიტორო შემოქმედებისადმი, ცხადია, ვერ მოთავსდება ერთი ანალიტიკური სისტემის ჩარჩოში, რაც არ უნდა უნივერსალური იყოს იგი.

სეთ-თეორია საბოლოოდ ჩამოყალიბებული, მრავალმხრივ შესწავლილი და მრავალგზის აპრობირებულია ამერიკულ მუსიკათმცოდნეობაში. მიუხედავად ამისა, მას თითქმის არ მიმართავენ და არც იცნობენ სრულყოფილად ქართულ მუსიკათმცოდნეობაში, სადაც დამკვიდრებულია მუსიკალური ნაწარმოებების ანალიზის გერმანული და რუსული თეორიები. ვფიქრობთ, ამერიკულ თეორიას აუცილებლად უნდა იცნობდნენ მუსიკათმცოდნეები, უმაღლესი მუსიკალური სკოლების სტუდენტები, განსაკუთრებით კი ისინი, ვინც დაინტერესებულნი არიან თანამედროვე მუსიკალური კულტურით. წინამდებარე მოხსენების ძირითადი მიზანია, გამახვილდეს ყურადღება ჩვენში სეთ-თეორიის შესწავლის და გამოყენების საკითხზე.

შენიშვნები და გამოყენებული ლიტერატურა


1. აღნიშნული საკითხი გაშუქებულია სტატიაში: А Милка. О новых методологических поисках 70-х годов (музыкальный анализ и судьбы „новых методов") // Методологические проблемы музыкознания. М., 1987г.
2. Соколов А. Музыкальная композиция XX века, диалектика творчества. М., 1992.
3. ამ ორი მიმართულების სხვადასხვაობა ნათლად გამოვლინდა შონბერგისა და კეიჯის ურთიერთობაში. კეიჯი იხსენებს: „სავსებით მართალია ის, რომ მე არ მაქვს ჰარმონიის შეგრძნება და შონბერგს ეგონა, რომ ამის გამო ვერ შევძლებდი მუსიკის წერას. მან მითხრა: „შენ მიადგები კედელს, რომელშიც ვერ გაივლი", რაზედაც მე ვუპასუხე „მე თავს ვურტყამ ამ კედელს"".
4. მაგალითად, ა. ფორტმა გამოიანგარიშა, რომ პრაქტიკულად და თეორიულად შესაძლებელია მხოლოდ 220 სეთის არსებობა.
5. Цареградская Т. Сет-теория: нетрадиционная гармония в музыкознании США // „Музыкальное образование в контексте культуры: вопросы истории, теории, психологии, методологии". Научно-практическая конференция 25-29 октября 1994 г. М., 1997.
6. Супонева Г. Проблемы нотации в музыке XX века. Дроздецкая Н. Джон Кейдж: творческий процесс как экология жизни. М., 1993.

**მარიამ ნინიძე**
*შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის*
*წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი*

# ვინ არის ქართულად თარგმნილი ამერიკული ნოველის უცნობი ავტორი?

1878 წელს ჟურნალ „ივერიაში" დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის მიერ თარგმნილი ნოველა - „უბინაო კაცი ნუიორკში". თხზულება აშკარად ამერიკულია, მაგრამ ავტორი არც ქართულ ტექსტთან და არც მის რუსულ წყაროსთან დასახელებული არ არის. შესაძლოა, მწერლის ვინაობა ინგლისურ დედანშიც არ ყოფილიყო მინიშნებული.

ასეთ ნაწარმოებს ვერც ერთი მეტ-ნაკლებად ცნობილი მწერლის ბიბლიოგრაფიაში ვერ მივაგენით. ვინაიდან თხზულების მხატვრული თარგმნისას სათაური ხშირად იცვლება, დავიწყეთ ძებნა შინაარსის მიხედვითაც. სიუჟეტი ასეთია: ნიუ-იორკელი ახალგაზრდა ფილიპ ტეტლოუ მოხუც გლახაკს ნახევარ დოლარს ჩუქნის. გარკვეული დროის შემდეგ ეს ორი გმირი ისევ ხვდება ერთმანეთს. ტეტლოუ ფილიპ ერნს მის თავგადასავალს მოაყოლებს. აღმოჩნდება,რომ ომში ყოფილა და ტყვედ ჩავარდნილა. შინ დაბრუნებულს ცოლ-შვილი გარდაცვლილი და სახლი დანგრეული დახვდა. ტეტლოუ ცდილობს დაეხმაროს ერნს. ისინი არაერთ ეკლესიას და საქველმოქმედო ორგანიზაციას მიმართავენ თხოვნით, მაგრამ ამაოდ. ბოლოს ტეტლოუსაც ბეზრდება გლახაკის მეურვეობა და აგრძნობინებს. ერნი მიდის და აღარ ბრუნდება. ტეტლოუ ნანობს, რომ თავიდან მოიცილა და ეძებს მას, მაგრამ ვერ პოულობს.

ფაბულა მარტივია, მაგრამ ოსტატის ხელი მის ხორცშესხმაში იგრძნობა. ანონიმი ავტორის გამოსავლენად საჭიროდ ჩავთვალეთ დაგვეზუსტებინა ნოველის დაწერის ადგილი, დრო და ჟანრი, განგვესაზღვრა, რომელი მიმდინარეობის მწერალს შეიძლება ეკუთვნოდეს იგი, გამოგვეკვეთა სტილური მახასიათებლები, ბიოგრაფიული მაჩვენებლები და შეგვედარებინა სავარაუდო ავტორების სათანადო მონაცემებთან.

ეს ნოველა ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ნიუ-იორკის მკვიდრთა ცხოვრებას ასახავს. ადგილობრივი რეალიების საუკეთესო ცოდნა გვაფიქრებინებს, რომ ავტორისათვის ეს მშობლიური ქალაქი უნდა იყოს.

ნოველის შექმნის ზედა დროით ზღვრად მივიჩნიეთ 1877 წელი – რუსული თარგმანის პუბლიკაციის თარიღი, ქვედა ზღვრის დასადგენად კი გამოვიყენეთ ტექსტში მუსიკოს ტომასის კონცერტის ხსენება, რომელიც გაიმართა სტეინ-უეი-ჰოლში. ენციკლოპედიაში „Grove's Dictionary of Music and Musicians" ამოვიკითხეთ, რომ ცნობილი მევიოლინე – თეოდორ ტომასი 1872 წლიდან 1878 წლამდე რეგულარულად უკრავდა სტეინ-ვეი ჰოლში. რადგან ნოველაში სწორედ ერთ-ერთი ამ კონცერტთაგანია ნახსენები, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ იგი 1872 წელზე ადრე არ შეიძლება იყოს დაწერილი. ამრიგად ნოველის შექმნის სავარაუდო დრო ხუთ წლამდე დავიყვანეთ 1872-1877.

ნაწარმოების შექმნის დროის განსაზღვრა ბევრად ამცირებს იმ სავარაუდო მწერალთა რიცხვს, რომელთა შორისაც უნდა ვეძიოთ ანონიმი ავტორი. ამერიკელ

ნოველისტთაგან ირვინგი, პო, ჰოთორნი, კუპერი და უორდი 1872 წლამდე გარდაიცვალნენ, გარლანდს, კრეინს და ო' ჰენრის 1877 წელსაც არ ჰქონდათ დაწყებული მოღვაწეობა. ამდენად ვერც ერთი მათგანი ვერ იქნებოდა ნოველის ავტორი.

ცნობილ ამერიკელ ნოველისტთაგან ამ პერიოდში სამოღვაწეო ასპარეზზე იყვნენ: მელვილი, ჰარტი, მარკ ტვენი, ჰარისი, ჯეიმსი, ბირსი, ნორისი, როსი და ნაკლებ ცნობილი ავტორები. მათი რიცხვი რომ კიდევ უფრო შევამჭიდროვოთ, უნდა განვსაზღვროთ ნოველის ლიტერატურული მიმდინარეობა.

თუ გავითვალისწინებთ თხზულების პესიმისტურ ჟღერადობას და იმას, რომ თხრობისას მწერალი ხშირად ამჟღავნებს პირად განცდებს, შეიძლება ითქვას, რომ ეს რომანტიკული ნოველაა. ამ პერიოდში ამერიკაში რეალისტური სკოლა ბატონობდა და ცნობილ რომანტიკოსთაგან ერთადერთიღა იყო ცოცხალი. ეს არის ჰერმან მელვილი – დაბადებიდან ნიუ-იორკის მკვიდრი და არაჩვეულებრივი ნოველების ავტორი.

დავაკვირდეთ, რამდენად შესაძლებელია, რომ ეს ნოველა ჰერმან მელვილს ეკუთვნოდეს. 1853-56 წლებში ამერიკულ ყოველთვიურ ჟურნალებში „ჰარფერსა" და „ფუთნამში" მან გამოაქვეყნა 15 ნოველა და ნარკვევი ზოგი ფსევდონიმით და ზოგი ანონიმურად. თითქმის ყველა მათგანის მთავარი გმირი იღუპება და ყველგან ჩანს, რომ ადამიანური მსხვერპლის გაღებაში დამნაშავეა საზოგადოების გულგრილობა. მიუხედავად ნაყოფიერი მუშაობისა, მელვილი უკმაყოფილო იყო თავისი თავით, ნაწარმოებებს ხელს არ აწერდა და არც შემდგომში დაურღვევია მათი ანონიმურობა. 1860-იანი წლებიდან ის ლიტერატურულ წრეებს ჩამოშორდა. ამის შემდეგ გარდაცვალებამდე გამოაქვეყნა მხოლოდ პოეტური ნაწარმოებები და პროზის წერას, ყველას აზრით, თავი დაანება. თუმცა ამაში დაგვაეჭვა იმან, რომ 1920 წელს, როდესაც მწერლის არქივით დაინტერესდნენ, აღმოაჩინეს 1980-იანი წლების ბოლოს შექმნილი ნოველა „ბილი ბადი".

ძნელი წარმოსადგენია, რომ მწრალს 30 წლის მანძილზე შეწყვეტილი ჰქონოდა ნოველების წერა და მხოლოდ სიკვდილის წინ განეახლებინა. იქნებ წერდა და ანონიმურად აქვეყნებდა. თუ ასეა, არ არის გამორიცხული, რომ ერთ-ერთი მათგანი ეთარგმნათ და ანონიმურადვე გავრცელებულიყო სხვა ენებზედაც.

ის, თუ რა კუთხით არის დანახული ესა თუ ის თემა ანონიმურ თხზულებაში, ხშირად გვაძლევს სავარაუდო მწერალთან შედარების შესაძლებლობას. ნოველის – „უბინაო კაცი ნიუ იორკში" – თემა ქალაქელი გლახაკის ყოფაა. ეს პრობლემა რომ მელვილისთვის ახლობელია, ამას მოწმობს მისი ნარკვევი „საწყალი კაცის პუდინგი და მდიდრის ნამცეცები", რომელიც 1854 წელს გამოქვეყნდა. იგი ხშირად წერდა სოციალურად დაუცველ ადამიანებზე და შეგვიძლია პარალელი მათთანაც გავავლოთ.

ნოველაში „უბინაო კაცი ნიუ იორკში" ავტორი მაღალი ოსტატობით გვიხატავს ნიუ-იორკის ცხოვრების აჩქარებულ რიტმს და გულისტკივილით გვაჩვენებს ამ გაზრდილი ქალაქის ფონზე როგორი უმწეო ხდება მისი რიგითი მცხოვრები: „ეიშ! რა კარგად არის მოგონილი, რომ ქვეყანაზე ქუჩებია... ქუჩები რომ არ იყოს, რა უნდა გვექნა ამოდენა უბედურ ადამიანის შვილებისათვის, რომელთაც არა-რა აქვთ და არც არავინ ჰყავთ".

ქალაქური ყოფის ასახვას ამერიკულ ლიტერატურაში დასაბამი მისცა საზოგადოება „ახალგაზრდა ამერიკამ", რომლის თვალსაჩინო წარმომადგენელიც გახლდათ მელვილი.

„უბინაო კაცი ნიუ იორკში“ და მელვილის ერთ-ერთი ნოველა - „გადამწერი ბართლბი“ სქემატური შინაარსით და აზრებით ძალიან გავს ერთმანეთს. მათში მკვეთრად არის ასახული ორი მთავარი გმირი და ორივეს ბევრი საერთო აქვს მელვილისეულ პერსონაჟებთან.

განსახილველ ნოველაში მტკივნეულად დგას ომის თემა. მან ყველაფერი დააკარგინა ფილიპ ერნს, ორი ვაჟი მოუკვდა,ცოლი მათ დარდს გადაჰყვა. თავად ტყვედ ჩავარდა და სიცივემ და შიმშილმა გლახაკად აქცია. ბედი უბრალო ჯარისკაცისა, რომელიც ყველას სჭირდება, სანამ ომი მიმდინარეობს და რომელსაც ყველა ივიწყებს, როცა ომი მთავრდება, აწუხებდა მელვილსაც. ამ საკითხს მან 1854 წელს რომანი მიუძღვნა - „იზრაილ პოტერი - რევოლუციის ჯარისკაცი“.

განსახილველ ნოველას ბევრი რამ აქვს საერთო „იზრაილ პოტერთანაც“. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ერთი ეპიზოდი, რომელშიც მწარე ირონიაა ჩაქსოვილი. ტეტლოუს შეკითხვაზე: „არ შეიძლება მთავრობის პენცია რამ დაგენიშნოსო?“ ერნი პასუხობს: „არა, მე სუბუქად ვიყავ დაჭრილი. აი, მე რომ იქ მოვეკალი, მაშინ სხვა იქნებოდა. მაშინ უთუოდ პენციას გამიჩენდნენ, თუ რომ ამღები იქნებოდა ვინმეო“. ძალიან ჰგავს ეს სიტყვები მელვილისეულ მწარე სატირას: „Он удостоен посмертной пенсии, которую вместо прижизненной награды выплачивает ему Весна в виде вечно нового мха и зеленой травкиГ.

შემდეგი თემა, რომელსაც ნაწარმოების ავტორი ეხება, არის რელიგიური დაწესებულებები და მათი რეალური სახე. საეკლესიო საბჭოს წევრები და პასტორები ტაძართა გარეგნულ მორთვაზე უფრო ფიქრობენ, ვიდრე სასოწარკვეთილი უსახლკაროს ნუგეშისცემაზე. ჭუჭყიანი, ჩამოძენძილი ერნი მიადგება ბაპტისტურ ტაძარს, რომლის წევრიც იყო, მაგრამ ვერც მრევლი და ვერც სასულიერო პირები ვერ იცნობენ. დაიბარებენ, მერე მოდი და საბჭო გადაწყვეტს, შეგვიძლია თუ არა რითიმე დაგეხმაროთო. ერნი კი აღარ მივა, რადგან ერიდება: „მე დიდი ხანია აბანოში არა ვყოფილვარ და ტანისამოსიც ჩემი ისეთი ძველია... რომ ვერ ვბედავ წავიდე ვისთანმე.“

მელვილის ნარკვევში „ორი ტაძარი“ – მოთხრობილია, თუ როგორ გამოაგდეს ძონძებში ჩაცმული გლახა ეკლესიიდან. თხზულება მწვავე კრიტიკული სიუჟეტის გამო არ დაიბეჭდა. ეკლესიის გარეგნული მორთულობებისადმი უარყოფით დამოკიდებულებაში ჩანს ავტორის მისწრაფება „იაფი ეკლესიისაკენ“, რაც სავსებით შეესაბამება მელვილის კალვინისტურ შეხედულებებს.

ნოველაში „უბინაო კაცი ნიუ იორკში“ მწვავე კრიტიკაა იმ სამოწყალო დაწესებულებებისაც, რომლებიც ძნელად ხელმისაწვდომს ხდიან თავიანთ თავშესაფარს. ანონიმი ავტორის საოცრად მწარე ირონია იგრძნობა ქველმოქმედი ქალის ლაპარაკში. რომან „მობი დიკში“ კი მელვილი ასეთივე მწვავე ირონიით ახასიათებს „ფხიზელთა“ საზოგადოების დირექტორს: „Да и сам Богач... как председатель общества трезвенников, он пьет лишь чуть теплые слезы сирот.“ როგორც ვხედავთ, ნოველაში არც დიდი და არც პატარა თემა არ არის ისეთი, ერთგვარი პარალელები რომ არ მოეძებნებოდეს მელვილის ნაწარმოებებში.

ატრიბუციის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს თხზულების იდეურ-მსოფლმხედველობითი მხარის შედარებას სავარაუდო ავტორისასთან. ჩვენს მიერ განსახილველი ნაწარმოების დედააზრი მოყვასისადმი ქრისტიანული სიყვარულია. სიუჟეტი კულმინაციას აღწევს იმ ეპიზოდში, როცა ტეტლოუს ახსენდება მაცხოვრის სიტყვები: „ესოდენ ვერ უძლეთ ჟამ-ერთ მღვიძარებად ჩემთანა“. ეს სულისკვეთება

სავსებით ესადაგება მელვილისას. იურისტი, რომელიც ბართლბის თავიდან ვერ იშორებს, ისე განრისხდება, რომ ლამის წაარტყას, მაგრამ მასაც თავს შეაკავებინებს მაცხოვრის სიტყვების გახსენება: „Заповедь новую даю вам, да любите друг-друга“.

ერნისადმი მწერლის დამოკიდებულებაში ნათლად ჩანს მელვილისეული განწყობა, რომელიც მან ერთ-ერთ თავის ნაწარმოებში „ენკანტადასი“ გამოთქვა: „Человечество, я славлю твою силу, но воплощенную не в увенчанном лаврами победителе, а в ней - побежденнойГ. ასეთი ადამიანები მელვილის თვალში ყველა წარჩინებულ პიროვნებაზე მაღლა დგანან. ჰოთორნისადმი მიწერილ წერილში ვკითხულობთ: „Вор, сидящий в тюрьме -не менее почтенная личность, нежели Джордж Вашингтон. Это конечно, звучит смешно, но истина - преглупейшая вещь. Попробуйте жить истиной и тотчас докатитесь до благотворительного супа“.

ტეტლოუ გრძნობს, „თითქო ის გლახაკი წარმოეგზავნა მასთან რაღაც უმაღლეს ძალას, რომ ამხილოს მისი გულგრილობა“. ასევე ფიქრობს იურისტიც. ასეთი აზრების შემდეგ იურისტი და ტეტლოუ აწყდებიან საზოგადოების გულგრილობას და ველარ ხვდებიან, ევალებათ კი მათ ამ ადამიანებზე ზრუნვა? რატომ მათ და არა სხვებს? აქ ორივეს უჩნდება ქვეცნობიერი სურვილი, რაიმე ნაკლი აღმოუჩინონ თავიანთ „პროტეჟეებს“ და ამით იმართლონ თავი.

მელვილი კარგად იცნობს ადამიანის ფსიქიკას და ზუსტად აღწერს შინაგანი განცდების სხვადასხვაგვარ გამოვლინებებს. ჩვენს მიერ განსახილველ ნოველაშიც და „ბილი ბადშიც“ არის დაკვირვება ადამიანის სულიერი მღელვარებისა და მეტყველების კავშირზე. „აქ გაუწყდა ხმა უბედურსა, ეტყობოდა, გულის ღელვამ სიტყვა მოუჭრა“, - ვკითხულობთ ჩვენს მიერ განსახილველ მოთხრობაში. ასეთივე რამ ემართება მღელვარებისას ბილი ბადსაც, როდესაც ცილს სწამებენ.

ანონიმურ ნოველაში გვხვდება მელვილისათვის ჩვეული არაერთი სტილისტური ხერხი. ასეთია, მაგალითად, შეუსაბამო შედარებები და სატირული პერიფრაზები. იმ ეპიზოდში, როცა ბიბლიოთეკაში შესული ტეტლოუ ძლივს იცნობს ერნს, იგი მოხსენიებულია როგორც „содержатель конторы объявлений“. მაშინ კი, როცა საკუთარ სახლში უკანასკნელ მოწყალებას აძლევს უსახლკაროს და ხელს იღებს მის მეურვეობაზე, ის უკვე არის „хозяин дома“. ეს საოცრად ჩვეული ხერხია მელვილისათვის.

მელვილს ახასიათებს თავისი გმირების მიკუთვნება ადამიანთა სხვადასხვა კატეგორიებისათვის: ფილანტროპი, მიზანტროპი, ფატალისტი და სხვ. ამ მხრივ უჩვეულო კატეგორიაში აღმოჩნდება ჩვენს მიერ განსახილველი ნოველის გმირი ტეტლოუ. მას ავტორი „филантроп аматер“-ს უწოდებს. ტეტლოუმ სტიქიურად ითამაშა ქველმოქმედის როლი, მაგრამ ბოლომდე ვერ შეინარჩუნა სიკეთე, არ აღმოჩნდა „პროფესიონალი“.

ნოველაში „უბინაო კაცი ნუირკში“ გვხვდება ასეთი მწარე სატირა: Большую часть бедняков влечет сюда может быть фантастическая надежда прочесть в газетах извещение о своей собственной смертиГ. ეს მოგვაგონებს მელვილისეულ ნათქვამს კაპიტანი ვირის შესახებ: „Преждевременная гибель помешала ему принять участие в битвах при Абукире и Трафальгаре“.

ზღვის სიყვარული, საზღვაო მოთხრობების წერის გამოცდილება ხშირად ცალკეული შედარებების სახით სტიქიურად იჩენს ხოლმე თავს მელვილის მიერ სხვა თემაზე დაწერილ თხზულებებში. ჩვენს ნოველაშიც არის ამგვარი შემთხვევები.

„უბინაო კაცი ნიუ იორკში"-ს კითხვისას არ შეიძლება ყურადღება არ მიიქციოს საქველმოქმედო დაწესებულებების მრავლისმეტყველმა სახელებმა: „წინად მეოხი განგება", „კლდე უდაბნოში" და სხვანი. მელვილსაც უყვარს მეტყველი სახელები: „Холостятская услада, Права человека" და სხვ. „სამარიტა" ჰქვია თავშესაფარ „ბეთლემის" მიმტან გოგონას. „განა არა ჰგრძნობთ, რომ ეგ სახელი ამ ადგილის შესაფერია?" ამბობს თავშესაფრის პატრონი. სახელები სამარიტა და ბეთლემი მაცხოვარს უკავშირდება და ერთმანეთს შეეფერება, მაგრამ იმ პირთან და ადგილთან შეუსაბამობის გამო, რომლებსაც ამ ნოველაში ეწოდება, სარკასტულ ეფექტს ქმნიან. გამოყენებულ სტილისტურ ხერხზე იქვე მინიშნება მელვილთანაც გვხვდება. როდესაც ბილი ბადი სავაჭრო ხომალდ „ადამიანთა უფლებებიდან" იძულებით გადაჰყავთ სამხედრო გემზე, იგი ნავში ფეხზე წამოდგება და დაიძახებს: „მშვიდობით ადამიანის უფლებებო!" მწერალი ასეთ კომენტარს აკეთებს: „Логические построения с двойным смыслом и тонкие инсинуации были полностью чужды его натуре".

ასეთია ის პარალელები, რომლებიც შეინიშნება ჩვენს მიერ განსახილველ ნოველასა და მელვილის ნაწარმოებებს შორის. თითოეული მსგავსება, ცალკე აღებული, გადაჭრით არაფერზე მეტყველებს, მაგრამ ადასტურებს იმას, რომ ნოველის შემქმნელი თავისი საქმის დიდოსტატია და არ არის გამორიცხული, რომ ჰერმან მელვილიც იყოს.

ინდივიდუალურ სტილზე საფუძვლიანი დაკვირვება თარგმანის მეშვეობით თითქმის წარმოუდგენელია. ასეთ კვლევას ატრიბუციისათვის არ შეიძლება ჰქონდეს საბოლოო, მეცნიერული დასკვნის პრეტენზია. ამ ეტაპზე ჩვენი მიზანი იყო საზოგადოების ყურადღების მიქცევა ამ თხზულებაზე, რადგან ხელი არ მიგვიწვდა თავად ორიგინალზე, რომელიც საძებნია 1872-77 წლებში ნიუ-იორკში გამოქვეყნებულ ჟურნალებში.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. *„ივერია"*, 1878 წ. № 3,4,5.
2. *„Отечестваенные записки Г*, 1877, #12.
3. В.Виноградов. Проблема авторства и теория стилей, М.1961.
4. NA. старцев, От Уитмена до Хемингуэя, М. 1981.
5. Nineteenth Century American Short stories, Progress Publishers,M.1978.
6. М. Штокмар. Анализ языка и стиля как сркдство атрибуции. Вопросы Текстологии, вып. 2. 1960.
7. Wright Natalia, Melville's Use of the Bible, 1949.
8. American Fiction 1851-1875, Wright Lyle, Huntington Library Publications, California, 1957.
9. The Letters of Herman Melville, Edited by M.. Kavis and W. Gilman, Yale University Press, 1960.
10. Newton Arvin, Herman Melville, New York, 1950.
11. Herman Melville, Billy Budd and other stories, Penguine books, 1978.

**დავით ნინიძე**
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის პროფესორი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის დირექტორი*

# ქალაქის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციის მოდელი (ამერიკული და ევროპული გამოცდილება – ძველი თბილისი)

ძველი ქალაქის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაცია ფართო და საკმაოდ რთული პრობლემაა, ამავე დროს, იგი ინტერდისციპლინარული საკითხიცაა, ამიტომ ერთ ნაშრომში მისი წარმოჩენა ფაქტობრივად შეუძლებელია. ჩვენ მხოლოდ რეაბილიტაციის მოდელის იმ ძირითად შტრიხებს შევეხებით, რომელიც 1998 წელს დაფუძნებულ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდში შემუშავდა. ფონდი საქართველოს მთავრობისა და მსოფლიო ბანკის ერთობლივ პროექტს ახორციელებს და მას ძირითადად მსოფლიო ბანკი აფინანსებს – ეს არის კავკასიის რეგიონში პირველი სწავლებისა და განახლების სესხი (LIL) და მსოფლიო ბანკის ისტორიაში პირველი დამოუკიდებელი პროექტი კულტურული მემკვიდრეობის სფეროში.

მსოფლიო ბანკი განვითარების უდიდესი წყაროა; იგი ერთ-ერთი მთავარი საერთაშორისო დონორი ორგანიზაცია და ფინანსური ინსტიტუტია – ყოველწლიურად ის თავის კლიენტ ქვეყნებს დაახლოებით 16 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის კრედიტს აწვდის. მსოფლიო ბანკის უკან, სხვებთან (მასში 184 ქვეყანა შედის) ერთად, პირველ რიგში, აშშ-ის ხაზინა დგას. მისი პროექტებისა და კონცეფციების შერჩევა-ჩამოყალიბებისას ეს მომენტი სათანადო როლს თამაშობს. აშშ-ის პოლიტიკა ბევრად განსაზღვრავს ბანკის მუშაობას, ხედვასა და მიმართულებებს (ეს პირდაპირ, ხისტად არ უნდა იქნეს გაგებული; რა თქმა უნდა, მსოფლიო ბანკის დირექტორთა საბჭო ყველა ქვეყნის მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს ეყრდნობა). დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, სამყაროს განვითარების ამ ეტაპზე, მსოფლიო ბანკი იყენებს თავის ფინანსურ შესაძლებლობებს, მაღალკვალიფიციურ თანამშრომლებს, დაგროვილ დიდ გამოცდილებას და ეხმარება განვითარებად ქვეყნებს, რათა ისინი სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის რთულ და ეფექტურ გზას დაადგნენ. მსოფლიო ბანკის მიერ სხვადასხვა პრობლემებზე შემუშავებული მოდელები, კონცეფციები და სამოქმედო გეგმები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისია და როგორც სხვა ქვეყნებში, ისე საქართველოშიც ინერგება.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის ფარგლებში მსოფლიო ბანკის ამერიკელი ექსპერტების მიერ შემუშავებული კონცეფციები და რეკომენდაციები ისტორიული ქალაქის რეაბილიტაცია-რევიტალიზაციისთვის ძალზე საინტერესო და აქტუალურია საქართველოს ძველი ქალაქების გადარჩენის თვალსაზრისით. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდში მათ მიერ ქართველ სპეციალისტებთან ერთად ჩატარებული შესაბამისი საქმიანობის შედეგად რეაბილიტაციის მოდელის ძირითადი კომპონენტები ჩამოყალიბდა. ქალაქის ისტორიული ნაწილის რესტავრაციის თვალსაზრისით შემუშავებულ ამ მოდელს ჩვენ ამერიკულ გამოცდილებას ვუწოდებთ.

მეორე მხრივ, ფონდის ჩამოყალიბების საწყის ეტაპზევე, „კულტურული მემკვიდრეობის ინიციატივის“ ფარგლებში, დაიწყო თანამშრომლობა ევროპის საბჭოსთან, კერძოდ, 1996 წლის ბოლოდან ამ საქმიანობაში ჩაერთო კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტი და მათი ეგიდით მომუშავე ევროპის სხვადასხვა ქვეყნის სპეციალისტი. ამდენად, ფონდმა მოახერხა ევროპული ხედვის გათვალისწინებაც, მას ევროპულ გამოცდილებას ვუწოდებთ.

ეს იყო კულტურული მემკვიდრეობის სფეროში ორი მსხვილი საერთაშორისო ინსტიტუტის – მსოფლიო ბანკისა და ევროსაბჭოს ურთიერთთანამშრომლობის საკმაოდ იშვიათი შემთხვევა.

ამერიკული და ევროპული გამოცდილების ურთიერთშეჯერებისა და ქართული ინდივიდუალური ნიშან-თვისებებისა თუ თვითმყოფადობის გათვალისწინების შედეგად, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდში შემუშავდა ქალაქის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაციის შეჯერებული მოდელი, კერძოდ, ძველ თბილისში, ზემო კალას მაგალითზე – მის რამდენიმე საცდელ არეალზე.

გარდა ურთიერთკოორდინაციისა, ამ ორი გამოცდილებიდან, მოდელის შემუშავების გზაზე, ამერიკულ და ევროპულ ხედვაში იყო და გარკვეულ საკითხებში ახლაც რჩება განსხვავება-დაპირისპირება, მაგრამ მეორე მხრივ, შესაძლებელი გახდა ერთიანი შეხედულებების ჩამოყალიბება-მოდელირებაც. ეს მეტად საინტერესო მეთოდოლოგიური პრობლემაა – იგი ფართო მსჯელობას მოითხოვს, ამიტომ ამ დაპირისპირებასა თუ ერთიან პოზიციებზე ვრცლად ცალკე შესაბამის ნაშრომში გვექნება საუბარი. ამჯერად, ფონდში შემუშავებული რეაბილიტაციის მოდელის ძირითად კომპონენტებზე, მის ჩამოსაყალიბებლად გადადგმულ ნაბიჯებსა და განვლილ ეტაპებზე:

„თბილისის საცდელი პროექტის“ მომზადება 1997 წელს დაიწყო და იგი „კულტურული მემკვიდრეობის ინიციატივის“, შემდეგ კი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის მოღვაწეობის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია. მისი მიზანია ისტორიულად ჩამოყალიბებული ქალაქური განაშენიანების რეაბილიტაციის სტრატეგიის დაგეგმვასა და კონკრეტულ სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებაში ახალი, კომპლექსური მიდგომებისა და მეთოდების შემუშავება, გამოცდა და დანერგვა.

ძველ თბილისში (ზემო კალაში) ისტორიულ ქუჩებზე კონკრეტული სამუშაოების დაწყებამდე ყველა მხარე შეთანხმდა, რომ პირველ ნაბიჯად საჭირო იყო კვლევითი სამუშაოების დაწყება:

I ეტაპი – საინვენტარიზაციო სამუშაოების ჩატარება კალას უბანში, რისთვისაც 1997 წელს იქმნება ე.წ. „თბილისის ჯგუფი“; იგი კოორდინაციის კარგი მაგალითია – მუშაობა მიმდინარეობდა ევროსაბჭოს რეკომენდაციებითა და მსოფლიო ბანკის დაფინანსებით. სააღრიცხვო სამუშაოებს საფუძვლად დაედო ევროსაბჭოს მიერ მიღებული სააღრიცხვო ბარათის ფორმა – Core Data Index (1), გამოყენებულ იქნა ევროპის ზოგიერთი ქვეყნის გამოცდილებაც (2;3), შედგა შენობათა სააღრიცხვო ბარათები, ჩამოყალიბდა კომპიუტერულ მონაცემთა ბაზა, შეიქმნა სხვადასხვა შინაარსის 33 თემატური რუკა. კვლევის შედეგად შეიქმნა დოკუმენტი - „ზემო კალა“ (1997-1998).

II ეტაპი – იგი I ეტაპის პარალელურად მიმდინარეობდა და ითვალისწინებდა მეთოდოლოგიურად ყველაზე სწორი ხედვის განხორციელებას: მსოფლიო ბანკმა

სამუშაოების დაწყებამდე უპირველეს ამოცანად თბილისის უმწვავესი პრობლემის – მიწისქვეშა წყლების საკითხის შესწავლა დაისახა. ჰოლანდიური სატრასტო ფონდის დაფინანსებითა და მსოფლიო ბანკის მეთვალყურეობით, ქართულმა ფირმამ „სტიქია"-მ და ჰოლანდიურმა „DHV"-მ შექმნეს დოკუმენტი „შესრულებადობის შესწავლა ძველ თბილისში წყალთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ. წყლის მენეჯმენტის გეგმა" (დასრულდა 1999 წლის იანვარში). ეს არის ერთ-ერთი მთავარი და ამოსავალი ნაშრომი, რომლის მონაცემების გათვალისწინების გარეშე ზემო და ქვემო კალაში სარესტავრაციო სამუშაოების დაწყება რეკომენდებული არ არის.

III ეტაპი – მოპოვებული მასალის საფუძველზე „თბილისის ჯგუფს" რეკომენდაციების შემუშავება და ჩარჩო დოკუმენტის მომზადება დაევალა. 1999 წლის ფონდში შემუშავდა დოკუმენტი - „ზემო კალა – რეკომენდაციები უბნის რევიტალიზაციისათვის". მასში მოცემულია ამ უბნის რევიტალიზაციისათვის ზოგადი სტრატეგია და რეკომენდაციები; ასევე განხორციელდა სარესტავრაციო სამუშაოებისათვის პრიორიტეტული არეალების იდენტიფიკაცია (4).

IV ეტაპი – კვლევის პარალელურად ფონდი იწყებს „თბილისის საცდელი პროექტის" I ფაზის კონკრეტულ სამუშაოებს (1999 წლის გაზაფხულიდან): ნ. ბარათაშვილის სახლ-მუზეუმის აღდგენითი სამუშაოები, ჯვრის მამის ეკლესიის დრენაჟის მოწყობა, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის საგანძურის რეაბილიტაცია და სხვა.

V ეტაპი - „თბილისის ჯგუფმა" დაიწყო საინვენტარიზაციო სამუშაოები ქვემო კალაში – გეოსაინფორმაციო სისტემების მონაცემთა ბაზისათვის შემუშავებულ იქნა ე.წ. GIS ანკეტა – უნიფიცირებული კოდირებული სისტემა. ამ ანკეტით შეგროვდა მონაცემები 519 ნაგებობასა და 475 სხვა ობიექტზე. ჩამოყალიბდა კომპიუტერიზირებული მონაცემთა ბაზა, რასაც დაეფუძნა სხვადასხვა შინაარსის თემატური რუკა. ამ მასალაზე დაყრდნობით 2000 წელს შეიქმნა დოკუმენტი - „ქვემო კალა – რეკომენდაციები უბნის შენარჩუნებისათვის" (4). ამ სამუშაოების განხორციელება გრძელდებოდა საქართველოს ევროპის საბჭოს „სპეციალური სამოქმედო გეგმის" ფარგლებში.

VI ეტაპი – კვლევით-საინვენტარიზაციო სამუშაოების შემსრულებელი „თბილისის ჯგუფის" პარალელურად მსოფლიო ბანკმა 1999 წელს ფონდში ჩამოაყალიბა ე.წ. „ზემო კალას ჯგუფი", რომელსაც დაევალა „თბილისის საცდელი პროექტის" II ფაზის სამუშაოთა სტრატეგიის ჩამოყალიბება, მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა, II ფაზისთვის გამოყოფილი თანხების ეფექტურად გამოყენების მექანიზმის შემუშავება, ზემო კალას პრიორიტეტული არეალების შესწავლა, საინჟინრო ჯგუფის მიერ მიწისქვეშა წყლების პრობლემის მოგვარების გზების ჩამოყალიბება (5).

VII ეტაპი „თბილისის ჯგუფმა", ჩატარებული კვლევისა და საინვენტარიზაციო სამუშაოების შემდეგ (1997-1998 და 1999-2000), მთლიანად კალასთვის 2000 წ. შექმნა საბოლოო შემაჯამებელი დოკუმენტი - „თბილისის საცდელი პროექტი (ზემო და ქვემო კალა)". მან გაიარა ევროსაბჭოს ექსპერტიზა (როგორც ყველა ზემოაღნიშნულმა დოკუმენტმა) და ექსპერტთა უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. მსოფლიო ბანკის ექსპერტთა მიერ, ფონდში მათი განხილვის შემდეგ, ისინი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდისთვის საყრდენ დოკუმენტებად იქნა მიჩნეული.

VIII – მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, „ზემო კალას ჯგუფმა“ 2000 წელს II ფაზის კონკრეტული სამუშაოებისთვის საბოლოო შემაჯამებელი სამნაწილიანი დოკუმენტი შექმნა: „თბილისის საცდელი პროექტი – ზემო კალა“; „ზემო კალა – სოციოლოგიური კვლევა“; ალბომი - „ზემო კალა“. ჩამოყალიბდა II ფაზის სამუშაოთა სტრატეგია, შეირჩა პრიორიტეტული არეალები, სოციოლოგიური კვლევითა და ინდივიდუალური შეხვედრებით ფონდმა გაითვალისწინა ადგილობრივ მობინადრეთა მოთხოვნილებები და პრობლემები. ყველაფერი მომზადდა კონკრეტულ სამუშაოთა დასაფინანსებლად.

IX ეტაპი – პირველ რიგში, როგორც აღინიშნა, საცდელ არეალებში აუცილებელი იყო მიწისქვეშა წყლების პრობლემის მოგვარება და შესაბამისი სამუშაოების ჩატარება. მსოფლიო ბანკის ექსპერტთა სპეციალურმა ჯგუფებმა, ქართველ ექსპერტებთან თანამშრომლობის შედეგად, კოორდინაციის კარგი მაგალითი უჩვენეს, რომლის შედეგადაც მოხერხდა მსოფლიო ბანკის ორი პროექტის კოორდინირებული მუშაობა: მუნიციპალური განვითარების ფონდმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის მიერ შერჩეულ არეალებში წინსწრებით დააფინანსა და განახორციელა 2001 წ. I ნახევარში მიწისქვეშა წყლების პრობლემასთან დაკავშირებული სარეაბილიტაციო სამუშაოები. მომზადდა ნიადაგი კონკრეტული სარესტავრაციო სამუშაოებისათვის.

X ეტაპი – 2001 წლის II ნახევარი: კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდმა დაიწყო „თბილისის საცდელი პროექტის“ II ფაზა და მისი კონკრეტული სამუშაოები - გობელენების მუზეუმის რეაბილიტაცია; შარდენისა და ერეკლეს ქუჩების რესტავრაცია; სიონის საკათედრო ტაძრის გარშემო სადრენაჟო სისტემის მოწყობა და მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქცია-კეთილმოწყობა; ერეკლე II-ის ქუჩის №8/10-ის (ძველი ქარვასლის) ნაწილის გამაგრება და გადახურვის რეაბილიტაცია; ბამბის რიგის, რკინის რიგისა და სიონის ქუჩების შენობათა ფასადების, სახურავების რესტავრაცია და ქუჩების კეთილმოწყობა.

ქართველ და უცხოელ სპეციალისტთა ერთიანი ხედვა ითვალისწინებდა, რომ ფონდის მიერ განხორციელებულ ქმედებებს მდგრადი განვითარება მოჰყოლოდა. ჩანაფიქრი შემდეგში მდგომარეობს: თავისი შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური დატვირთვით (6,7), II ფაზის სამუშაოები უფრო მიმზიდველს გახდის ზემო კალას უბანს როგორც ტურისტებისთვის, ასევე ინვესტორებისთვის. პარალელურად, იგი შეინარჩუნებს თავის ინდივიდუალურ თვითმყოფადობას როგორც ურბანული, ისე სოციალური თვალსაზრისით. ფონდის მიერ გაწეული ქმედებები აუმჯობესებს ზემო კალას მხატვრულ სახეს და ხელს უწყობს უბნის სოციალურ-ეკონომიკურ გაჯანსაღებას... კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის ექსპერტების მიერ შეიქმნა ძველი ქალაქის სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსების მოდელი - ე.წ. „მბრუნავი ფონდების“ პროგრამა, რომელსაც სარეაბილიტაციო პროცესის მდგრადი განვითარება შეუძლია უზრუნველყოს. ამისათვის საჭირო იყო და ამის საჭიროება ახლა უფრო არსებობს, სათანადო სტარტის მიცემა – სასტარტო კაპიტალის გამოყოფა, რათა პროცესი, ფონდის მიერ შემუშავებულ მექანიზმზე დაყრდნობით, დროთა განმავლობაში განვითარების ავტომატურ რეჟიმში გადავიდეს.

ამ ორ გამოცდილებას შორის სწორედ მდგრადობის მიღწევის გზებში იყო მთავარი დაპირისპირება თუ განსხვავება. ამერიკელ ექსპერტთა აზრით, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით ფონდს უნდა განეხორციელებინა პირდაპირი ინვესტირება. ასეც მოხდა ზემო კალას რამდენიმე უბანზე, სადაც საკმაოდ მცირე თანხებით

კონკრეტული სარესტავრაციო სამუშაოები განხორციელდა; გაუმჯობესდა მხატვრული სახე და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების მდგომარეობა. ამერიკული გამოცდილებით, ასეთ ინვესტიციას პროვოცირება უნდა მოეხდინა ძველი ქალაქის ამ რეგიონში კერძო ინვესტორებისათვის (ნაწილობრივ, ეს გამართლდა, კერძოდ, შარდენის ქუჩაზე, ბამბისა და რკინის რიგზე); პარალელურად, ფონდის მიერ შემუშავებულ მოდელებსა და მეთოდოლოგიას უნდა ჩამოეყალიბებინა მდგრადობის საფუძველი; განვითარება საზოგადოების მონაწილეობით – ადგილობრივ საზოგადოებაზე დაყრდნობით განხორციელდებოდა ამ უბნების რევიტალიზაცია (მსოფლიო ბანკში ეს ხედვა ძალზე მიღებულია) და პროცესები შეიძენდა სოციალურ-ეკონომიკურ დატვირთვას...

ევროპული გამოცდილებით, რასაც ევროსაბჭოს ექსპერტები ძველი თბილისის მაგალითზე ნერგავდნენ, მისაღები არ იყო სარესტავრაციო სამუშაოების პირდაპირი ინვესტირება: ევროპელები თვლიდნენ, რომ ასეთი ფულადი ინექცია, თანხის ოდენობიდან გამომდინარე, მხოლოდ რამდენიმე წელი გასტანდა და მოსალოდნელი იყო პროცესის შეწყვეტა; ამიტომ ფონდს უნდა მიეღწია არა მხოლოდ ცალკეული შენობების აღდგენა-გამაგრებისათვის, არამედ ძველი თბილისის რამდენიმე უბნის გაცოცხლებისათვის, რასაც შენობების გაჯანსაღებასთან ერთად, თავად მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდა მოჰყვებოდა და ა.შ. ამ კუთხით, სხვა ხედვა არც მსოფლიო ბანკის ექსპერტებს (მათთვის ამოსავალი ყოველთვის პროცესებში სოციალურ-ეკონომიკური დატვირთვაა) ჰქონდათ, მაგრამ როგორ უნდა შეგვენარჩუნებინა მდგრადობა ასე მცირე თანხებით?! ამავე დროს, ევროსაბჭოს მათი კონცეფციებისა და მდგრადი მექანიზმების დასაფინანსებლად სათანადო თანხები არ გააჩნდა. ამიტომაც, ევროსაბჭოს კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტის აზრით, არსებული თუნდაც არასაკმარისი თანხებით უნდა განხორციელებულიყო საკრედიტო ხაზების გახსნა, დანერგილიყო ე.წ. „ლისაბონის მოდელი" (მაგ., ევროსაბჭოს დოკუმენტი – La réhabilitation urbaine à Lisbonne, AT (01)137) – მისი რეაბილიტაციის მექანიზმითა (8) და მსგავსი ხასიათის პროგრამების დაფინანსებით, სადაც მსოფლიო ბანკის გვერდით მთავარი სიტყვა თავად ქვეყნის ბიუჯეტსა და კერძო სექტორს უნდა ეთქვა. ევროპული გამოცდილების მიხედვით, ქვეყანა უნდა წავიდეს მოსახლეობისთვის გრძელვადიანი პროცენტიანი სესხებისა და მსგავსი ხასიათის პროგრამების დაფინანსებაზე – მაგ.,პროგრამა „SOLAR" ან „REHABITA" პორტუგალიაში და სხვ. როგორც აღვნიშნეთ, „ლისაბონის მოდელზე", მსგავს მექანიზმებსა და საქართველოს რეალიებზე ცალკე მსჯელობა სპეციალურ ნაშრომში გვექნება.

ევროსაბჭო, ძველი ქალაქის უკეთ მართვის მიზნით, მუდმივად ითხოვდა ახალი ინსტიტუციური მოწყობისა და ახალი ადმინისტრაციული სტრუქტურის მიღება-ჩამოყალიბებას, რაც არსებულ სიტუაციაში ეფექტური არ აღმოჩნდა. მსოფლიო ბანკი უფრო მობილური იყო და თავიანთ გამოცდილებაზე დაყრდნობით შეძლო არსებულ სტრუქტურებთან მუშაობა.

მსოფლიო ბანკისა და მისი ექსპერტების ხედვით, პროცესი თავად სახელმწიფომ უნდა გააგრძელოს – უდავო ჭეშმარიტებაა, რომ საკუთარ კულტურულ მემკვიდრეობას საბოლოოდ თავად ქვეყანამ უნდა მიხედოს.

მსოფლიო ბანკის მოდელით, რომელსაც ზემო კალას უბანში უკვე ბევრი კონკრეტული ნაბიჯი მოჰყვა, შესაძლებელია, მაინც გაჭირდეს მდგრადობის შენარჩუნება. ამერიკული გამოცდილებით შემუშავებული პროგრამა გათვლილი იყო იმაზე, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის ქმედებების

პარალელურად ქვეყანაში დაიწყებოდა ეკონომიკის აღმავლობა, კერძო სექტორის, ბიზნესის განვითარება, ტურიზმის გამოცოცხლება და ა.შ. აუცილებელი იყო საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კანონმდებლობისა და განმახორციელებელი მექანიზმების (ქვემდებარე აქტების მიღება და სხვ.) შექმნა (10), რომელიც ხელსაყრელ გარემოს შექმნიდა ინვესტიციების მოსაზიდად (კვლავ ჭიანურდება კანონის მიღება სპონსორობისა და საქველმოქმედო საქმიანობის შესახებ); ამ წლებში გადამწყვეტია საგადასახადო სფეროს ისე ჩამოყალიბება, რომ კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვა მიმზიდველი იყოს ყველა შესაძლო ინვესტორისთვის – ამიტომაც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის ერთ-ერთი სამოქმედო პრინციპია: „გადავარჩინოთ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა საგადასახადო კოდექსის მოწესრიგების გზით“.

ქვეყნის წინსვლა, ეკონომიკური აღმავლობა, რეალური ბიუჯეტი, ტურიზმი, შესაბამისი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება, ადგილობრივ საზოგადოებაზე დამყარებული განვითარება ქმნის პირობებს არა მხოლოდ ისტორიული ძეგლების გადარჩენა-რესტავრაციისათვის, არამედ მის გარშემო შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის, მისთვის ფუნქციის მინიჭებისათვის, რაც თანხების მოზიდვისა და ძეგლების თვითგადარჩენის საფუძველია (ანუ კულტურულ-ისტორიულმა ფასეულობამ თავად მოიზიდოს საშუალებები მისი არსებობისათვის). ამიტომაც, ფონდის მეორე სამოქმედო პრინციპია: „მთავარია არა ძეგლთა რესტავრაცია, არამედ ძეგლთა სიცოცხლე“. ამავე დროს, მბრუნავი ფონდები, ე.წ. „ლისაბონის მოდელის“ მექანიზმები და მსგავსი პროგრამების მუშაობა უზრუნველყოფს იმ მდგრად პროცესს, როცა ქალაქის ერთი უბანი თავად გადაარჩენს მეორე უბანს, ხოლო ერთი არქიტექტურული ნიმუში – მეორეს და ა.შ.

ბოლოს აღვნიშნავთ, რომ ამერიკულ და ევროპულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, შემუშავებული მოდელი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის მიერ გადადგმული კონკრეტული ნაბიჯები არა მარტო გადაარჩენს ძველი თბილისის ერთ უბანს და იქ არსებულ შენობა-ნაგებობებს, არამედ ქვეყანაში, ამ კუთხით სწორად წარმართული პროცესების შემთხვევაში, უზრუნველყოფს მის ქცევას ერთგვარ მეთოდოლოგიურ და ფინანსურ მოდელად ძველი თბილისის უბნებში სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად. ამავე დროს, ასეთ გამოცდილებაზე დაფუძნებული ეს მოდელი შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოს სხვა ისტორიულ ქალაქებში მსგავსი სამუშაოების განხორციელების თვალსაზრისით.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Compendium of basic texts of the Council of Europe in the field of Cultural Heritage. 1996. – Recommendation No: R (95) 3.
2. La Patrimoine monumental de la Belgique. Wallonie, Vol. 9, t. 1-2, 1982.
3. Atlas du sous-sol archeologique des centres urbains anciens. Bruxelles, 1988.
4. ლ. თუმანიშვილი, კალას უბანი – კვლევა და შენარჩუნების პრობლემები, კრ., „ძველი თბილისის პრობლემა“, თბ., 2001, გვ. 43-54.

5. „ჩემი ქალას ჯგუფი" თავისი სამუშაოს თანამედროვე სტანდარტებზე ჩასატარებლად იხელმძღვანელა მსოფლიო ბანკის მიერ მოწოდებული სხვადასხვა დოკუმენტებით – მაგ., Strategic plan for Saint-Petersburg. St. Petersburg. 1997 და სხვ.
6. Culture in Sustainable Development. Investing in Cultural and Natural Endowments. Washington. 1999.
7. Culture and Development at the Millennium. The Challenge and the Response. Washington. 1998.
8. ა) Cooperation Technique pour la ville de Lisbonne (Portugal). Rapport étable par les experts nommés par la Counseil de l'Europe. Juillet 1997. Comité du patrimoine cultures. Strasbourg. 1998.
ბ) Technical Co-operation Mission To the City of Losbon (Portugal). Report written by the experts appointed by the Council of Europe. October 1997. Cultural Heritage Committee. Strasbourg. 1998.
გ) Housing Rehabilitation in Old City Centres as a factor of Social Cohesion and Economic Development. Reference document. February 1999. Cultural Heritage Committee. Strasbourg. 1999.
9. ფონდი აქაც ხელმძღვანელობდა ევროსაბჭოს შესაბამისი დოკუმენტებით - მაგ.,Guidance on the Development of Legislation and Administration Systems in the field of Cultural Heritage. 2000.
10. „ხელოვნება და ბიზნესი" – ურთიერთმომგებიანი თანამშრომლობა. საერთაშორისო კონფერენცია, თბილისი, 4-5 ოქტომბერი, 2000.

**ლელა ჟამურაშვილი**
*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის მაგისტრანტი*

# დოკუმენტური ფაქტის რომანის თავისებურებანი (ნორმან მეილერის რომანი „ღამის არმია“)

ამერიკელები რომანს მანამდეც კითხულობდნენ, სანამ თვითონ შექმნიდნენ მას. ეროვნული შემოქმედების ძალიან ნელი განვითარება რამდენიმე მიზეზით იყო გამოწვეული, უპირველესად კი იმით, რომ პურიტანები გმობდნენ და ამორალურს უწოდებდნენ ნებისმიერ ნაწარმოებს, რომელიც ადამიანს ღმერთისადმი მისი მოვალეობის შესახებ არ შთააგონებდა. იყო სხვა ფაქტორებიც: საუკუნენახევრის განმავლობაში ამერიკა კოლონიას წარმოადგენდა და ეროვნული აზრის განვითარებას დრო სჭირდებოდა. ყურადღება პრაქტიკულ საკითხებზე – უდაბური ადგილების ათვისებასა და იქ დასახლებაზე იყო გამახვილებული. ლიტერატურის შესაქმნელად ნაკლებად ეცალათ. სხვა ქვეყნის ნაწარმოებების შემოტანა და გავრცელება უფრო ადვილი საქმე იყო, ვიდრე საკუთარის შექმნა. უფრო მეტიც, რომანი, რომელიც შედარებით ახალი ჟანრი იყო, ძალიან ნელა აღწევდა ქვეყნის ყველა მხარეში.

ასე რომ, ამერიკული პროზა განვითარების ადრეულ პერიოდში სავსებით უცხოურ საფუძველს ეყრდნობოდა. პროზაული ელემენტები არსებობდა ინდიელთა თქმულებებში, მოგზაურთა თავგადასავლებში, მაგრამ მე-18 საუკუნის მიწურულამდე მსოფლიო ლიტერატურაში ამერიკელი მწერლის ცნება არ არსებობს. ისტორიკოსებმა პირველ ამერიკულ რომანად რამდენიმე ნაწარმოები დაასახელეს, მაგრამ ყველა მათგანი უარყოფილ იქნა, რადგან ისინი მოთხრობებად უფრო შეიძლება ჩაითვალოს, ვიდრე რომანად. ამასთან, მათი ავტორები ამერიკაში ძალიან მცირე ხნით ცხოვრობდნენ. აქედან გამომდინარე კი, ამ ნაწარმოებებში არანაირად არ იგრძნობა ამერიკული სული.

ნელ-ნელა რომანმა ამერიკაში ყველა ეს თვისება შეიძინა და შედეგად ბრწყინვალე ამერიკული შედევრები მივიღეთ. 1960 წლიდან ამერიკული რომანი ამ ქვეყნის ნამდვილ კალეიდოსკოპს წარმოადგენს. წარმოიშვა შავკანიანთა რომანი, ებრაული რომანი, ქალთა რომანი და ა.შ. ამ პერიოდიდან ამერიკულმა რომანმა ისეთი თავისებურებანი შეიძინა, რომელიც სხვა არც ერთი ქვეყნის რომანს არ ახასიათებს და რომელიც წმინდა ამერიკული ინოვაციაა.

„ის წმინდა ამერიკულ სტილში წარმოგვიდგენს ჩვენი დღევანდელი რეალობის ყველაზე დიდ უკიდურესობას – ძალაუფლებასა და მის მპყრობელთა სრულ გათახსირებას,“[1] – წერდა „ნიუ-იორკ ტაიმსი“ ნორმან მეილერის შესახებ. მეილერი მიჩნეულია ფუძემდებლად ახალი მიმდინარეობის – დოკუმენტური ფაქტის რომანისა, რომელსაც შეგვიძლია მხატვრული ჟურნალისტიკა ვუწოდოთ.

ეჭვგარეშეა, რომ კენედის პრეზიდენტობის ხანამ დიდად შეუწყო ხელი ომის შემდგომ ამერიკულ რომანში ახალი მეთოდებისა და ფორმების გაჩენას. 1950-იან წლებში უკვე ცხადი გახდა, რომ მხატვრულ ლიტერატურაში მოხდა დიდი

ცვლილებები. აქ ერთმანეთს მკვეთრად გაემიჯნა პირადი ცხოვრება და საზოგადო მოვლენები. ამ უკანასკნელს კი იმდენად დიდი უპირატესობა ჰქონდა, რომ, როგორც სოლ ბელოუ ამბობდა, „პირადმა ცხოვრებამ თავისი მოჩვენებითი მნიშვნელობაც კი დაკარგა".[2] გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ბევრი ამერიკელი მწერლისთვის ისტორია გადაიქცა ფიქციად, უზარმაზარ ძალად, რაც პირადულს, „მე"-ს იმორჩილებდა და მის არსებობას სათუოს ხდიდა. ამიტომაც ისინი უმთავრეს ადგილას აყენებდნენ პრობლემას – დაპირისპირება პიროვნებასა და საზოგადოების თავისუფალ ძალებს შორის.

ნორმან მეილერმა თავის შემოქმედებაში კარგად გვიჩვენა, თუ როგორ წაიშალა ზღვარი ადამიანის „მე"-სა და იმ უწესრიგობას, ანარქიას შორის, რომელსაც ისტორია ჰქვია, თუ როგორ შთანთქა ამ უზარმაზარმა ძალამ პიროვნება, რომლის თვითმყოფადობისა მეილერს სულ უფრო და უფრო ნაკლებად სჯეროდა. მეილერის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებს „ღამის არმია", ასეთი ქვესათაური აქვს – „ისტორია როგორც რომანი/ რომანი როგორც ისტორია". ერთ-ერთმა კრიტიკოსმა მართებულად შენიშნა, რომ ქვესათაური „ისტორია როგორც ავტობიოგრაფია/ ავტობიოგრაფია როგორც ისტორია" უფრო შესაფერისი იქნებოდა.

რომანში „ღამის არმია" აღწერილია საპროტესტო მარში პენტაგონთან, რომელიც მიმართული იყო ვიეტნამის ომის წინააღმდეგ. ამ რომანით მეილერმა ეჭვქვეშ დააყენა რეალობის აღწერის აქამდე არსებული გზა, ისტორიასა და პროზას შორის დამკვიდრებული კავშირი. თუკი აქამდე რეპორტიორები ობიექტურად ასახავდნენ სინამდვილეს, ახლა ჟურნალისტიკაში სუბიექტურმა აზრმა აშკარად იჩინა თავი. ეს მოვლენა კარგად აისახა იმ მიმდინარეობაში, რომელსაც პიტ ჰამილმა „ახალი ჟურნალისტიკა" უწოდა, ტრუმან კაპოტემ – „დოკუმენტური ფაქტის რომანი", ნორმან მეილერმა კი – „ნამდვილი ცხოვრების რომანი". თომას ვულფის აზრით, ახალმა ჟანრმა სავსებით სამართლიანად დაიკავა ძველი „მოსაბეზრებელი" რომანის ადგილი. დოკუმენტური ფაქტის რომანს აქვს შესაბამისი მეთოდები, სტილი და ღირებულება იმისათვის, რომ ასახოს „გადარეული, ბინძური, ხმაურიანი, უწესრიგო, მამონის სახიანი, ნარკოტიკებით გაჟღენთილი, მუდმივი ლტოლვით შეპყრობილი სამოციანი წლები."[3] თომას ვულფი განსაკუთრებით ამახვილებდა ყურადღებას სტილისტურ ინოვაციაზე, რომელიც უმეტესად ნორმან მეილერის სახელს უკავშირდება.

მეილერის წერის მანერა ერთ გარკვეულ ყალიბში არ თავსდება. მის შემოქმედებაში ცხადად იგრძნობა ჟურნალისტური გამოცდილების გავლენა და პირიქით, მეილერი რეპორტაჟების წერისას სრულიად თავისუფლად იყენებდა იმ საშუალებებს, რომლითაც რომანს ქმნიდა. ის, რაც შედეგად მივიღეთ, უფრო მეტი იყო, ვიდრე უბრალოდ მშრალი ფაქტები. მის სტატიებში ვხედებით იმავე ხერხებს – განწყობილების, ხასიათის, ბგერების შექმნას, ეთიკური მხარის, ადამიანის შინაგანი სამყაროს ჩვენებას, რომელსაც მწერალი მხატვრული ლიტერატურის შესაქმნელად იყენებს. მეილერის შემოქმედებამ, მისმა მოღვაწეობამ ჟურნალისტიკაში გზა გაუხსნა საუკეთესო ჟურნალისტებს (პიტ ჰამილს, თომას ვულფს), იმ სამყაროში შეეღწიათ, რომლის კარი სულ რამდენიმე წლის წინ დაკეტილი იყო. აქამდე ლიტერატურა და ჟურნალისტიკა კატეგორიულად იყო ერთმანეთისაგან გამიჯნული. ახლა კი ისინი განუყოფელი გახდა და ეს საფუძვლად დაედო კინემატოგრაფიაში დოკუმენტური დრამის, ლიტერატურაში კი დოკუმენტური ფაქტის რომანის შექმნას.

„იცით, მე ეხედები, რომ ჩემმა ჟურნალისტურმა სტილმა უფრო დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე, ვიდრე ლიტერატურულმა სტილმა. როცა სტატიების წერა დავიწყე, ვერანაირად ვერ გავიგე, რატომ არ შეიძლებოდა ჩემი სამწერლო გამოცდილება ამ საქმეშიც გამომეყენებინა."[4] – განაცხადა მეილერმა ერთ-ერთ ინტერვიუში.

„ის დიდებული რეპორტიორია და ამავე დროს არაჩვეულებრივი მწერალიც," – წერდა მეილერის შესახებ მალკოლმ მაგრეჯი. „ ის ენის შესაძლებლობებს ისე იყენებს,როგორც კაუბოი ლასოს".[5]

წიგნები,რომელთა წყალობითაც მეილერმა სახალხო აღიარება მოიპოვა, წარმოადგენს მისი რეპორტაჟების, ლექციებისა და მანიფესტაციების მრავალფეროვან კრებულს. ეს წიგნები ისე მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული თემატურადაც და სტილისტურადაც, რომ შეიძლება ცალკეულ წიგნებად არც კი ჩაითვალოს. ყოველ მათგანში ავტორი საზოგადოებისათვის, ხალხისათვის ძალიან ნაცნობი ხმით ამბობს სათქმელს. ეს ხმა განცენებულად ამაღლებული, წიგნიერი და ზედმეტად ინტელექტუალური საერთოდ არ არის, პირიქით, უბრალოა და მისი წყალობით ყველას შეუძლია დაინახოს თანამედროვე მწვავე პრობლემა – ამერიკელთა სწრაფვა ძალაუფლებისაკენ და ამის სავალალო შედეგი, ამერიკული პოლიტიკის წარუმატებლობა ვიეტნამში.

რაც შეეხება ომისშემდგომი ნაწარმოებების თემატიკას, ერთი საერთო დამახასიათებელი თვისება მათთვის ის არის, რომ მათში მორალური სულისკვეთება უფრო ძლიერია, ვიდრე პოლიტიკური. ძალაუფლებისაკენ სწრაფვა კი ყველაზე ნაკლებად სწორედ მორალურ მხარეს ითვალისწინებს. ამ პრობლემებმა პიროვნული „მე" უკანა პლანზე გადასწია. თანამედროვე ამერიკული რომანი სწორედ ისტორიის, პოლიტიკის, მორალის და ფსიქოლოგიური თვითშეცნობის ურთიერთმიმართებას ასახავდა. ეს კი სინამდვილის ნაკლებად იდეოლოგიური ხედვის დამკვიდრებას, რეალურ აღქმას უწყობდა ხელს. ამიტომაც, კრიტიკოსები ხშირად თანამედროვე ამერიკულ რომანს ნეორეალისტურს უწოდებენ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არსებობდა მოსაზრება, თითქოს ნორმან მეილერი მარქსის მიმდევარი იყო. როგორც ვიცით, კარლ მარქსის იდეოლოგიის მიხედვით, ყოველი ადამიანი საზოგადოების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ეს ერთიანობა, მართლაც, კარგად ჩანს ნორმან მეილერის რომანში „ღამის არმია". მაგრამ ძნელი არ უნდა იყოს იმის მიხვედრა, რომ საზოგადოებაში პიროვნების ასეთი გათქვეფა მეილერისათვის პრობლემას წარმოადგენს, რომლის გადაჭრა პიროვნულის აღდგენით უნდა მოხდეს. ამდენად, ის აზრი, რომ მეილერი მარქსის იდეოლოგიის გავლენას განიცდიდა, საეჭვოდ მეჩვენება. საერთოდ, ერთია, იზიარებდე ვინმეს მსოფლმხედველობას და მეორეა, განიცდიდე მისი იდეოლოგიის გავლენას. მსოფლმხედველობა უფრო ფართო ცნებაა, იდეოლოგია კი შედარებით უფრო ვიწრო, პროგრამულ ხასიათს ატარებს. ეს არის სისტემური სახით ჩამოყალიბებულ რწმენათა ერთობლიობა, დოქტრინები, რომელსაც ხშირად მისი მიმდევრები მექანიკურად იზიარებენ.

დავუბრუნდეთ ისევ ომისშემდგომ ამერიკულ რომანს, რომლის ყურადღების ცენტრში მოქცეულია ძალადობაზე დამყარებული ურთიერთობანი და ამ ურთიერთობით გამოწვეული ფსიქოლოგიური დრამა. ამ თემატიკის წინა პლანზე წამოწევას ხელი შეუწყო ომმა, რომელიც ძალაუფლებისაკენ მუდმივი სწრაფვის საუკეთესო გამოხატულებაა. მეილერის ნაწარმოებებში, განსაკუთრებით კი მის

რომანში „ღამის არმია", ძალაუფლების მქონე ადამიანები დიდ შესაძლებლობებს, ქარიზმატულ ნიჭს ფლობენ. საერთოდ რეპრესიას, ორგანიზებულ ძალადობას მეილერი გამოხატავს სიტყვა „სამხედროს" ხშირი გამეორებით, რომელიც ამავე დროს დათრგუნული გამბედაობის, თავისუფალი ნების სრული შეზღუდულობის ასოციაციას იწვევს.

ომს, რომელიც უკიდურესი ძალადობის გამოვლინებაა, მეილერი აღიქვამს როგორც ავადმყოფობას. მას არ აინტერესებს ტერიტორიული დავა, საერთაშორისო ხელშეკრულებო ვალდებულება, კონფლიქტური იდეოლოგიები და ა.შ. პრობლემას მეილერი არცთუ ისე სანუგეშო განმარტებას აძლევს. მისი აზრით, ამერიკას მსოფლიოს ორგანიზება კი არა, კარგი ფსიქიატრის დახმარება სჭირდება: „მე მგონია ჩვენ ვიეტნამში ომს ვაწარმოებთ იმიტომ, რომ ეს ჩვენ გვჭირდება, გვჭირდება ჩვენი სიჯანსაღისათვის. არ ვამბობ, რომ ეს აუცილებლად ძალიან ცუდია. ომი იგივე თამაშია, ოღონდ უფრო ფართო გაგებით. მას სრულიად მარტივი მნიშვნელობა აქვს. ის საუკეთესო საშუალებაა გაუცხოების პრობლემის გადასაწყვეტად. „ამერიკა იმ კაცის მდგომარეობაშია, რომელიც სულ მალე ფსიქიატრიულ საავადმყოფოში აღმოჩნდება, თუკი ქვეყანაზე სიყვარულს ვერ იპოვის",[6] - წერს მეილერი.

მაგრამ ხალხი უძლურია ამ ძალადობის წინაამდეგ. „მათ შორის სიმხდალემ დაისადგურა". ისინი მსხვერპლად თვლიან თავს. ლოუელი, მეილერის მეგობარი, ამბობს: „ჩვენ კრავები ვართ — უმწეონი მათ წინაამდეგ".[7] („ღამის არმია"). პენტაგონთან ახალგაზრდა გოგონას საშინელი დასახიჩრების სცენასაც კი არ შეუძლია საიმისო ძალა შემატოს მათ, რომ შეძლონ და გაანადგურონ ვიეტნამის „ბინძური" ომის გამჩაღებლები: „ჩვენ ვხედავდით მის სახეს, მაგრამ ეს სახე არ იყო. ის, რისი დანახვაც შეგვეძლო, იყო ატყავებული კანი და სისხლი",[8] მაგრამ მათ გოგონას დახმარება არ შეეძლოთ.

„ღამის არმია", როგორც ვიცით, მნიშვნელოვან სოციალურ მოვლენას, 1967 წლის პენტაგონის საპროტესტო მარშს ეხება, მაგრამ რომანში უმთავრესი ამ მოვლენასთან დაკავშირებული ფაქტების აღწერა კი არ არის, არამედ ამ პროტესტში თეატრალური ელემენტების დანახვა, იმის დანახვა, რომ ხალხის მასამ, რომელიც პენტაგონის დამარცხებას მხოლოდ ილუზიებით ლამობს, საპროტესტო მარში გადააქცია საფეხბურთო მატჩად, ცირკად თუ თეატრალურ წარმოდგენად, სადაც მეილერს შეუძლია რაიმე ფინტი გააკეთოს და ასე დააჭერინოს პოლიციას. დოკუმენტური ფაქტის რომანი ასახავს მოვლენათა ისეთ ერთიანობას, რომლის მონაწილენიც ჩვენც კი შეგვიძლია გავხდეთ, თუკი მოვისურვებთ და ძალაუფლების პოლიტიკური დრამის სანახავად წავალთ.

მეილერს შინაგანი, ინტუიციური უნდობლობის გრძნობა გააჩნდა ტექნოლოგიისა და მისი მიღწევებისადმი, თუმცა დიდი სურვილი ჰქონდა კარგად შეეცნო ძალა, რომელსაც ის ფლობდა: „ამერიკას უცხო ავადმყოფობით დაავადების საფრთხე ემუქრებოდა და მარშალი შეაშინა მეილერის იდეებმა. მეილერი ამტკიცებდა, რომ ბოროტებამ უკვე შემოაღწია, რომ ამერიკაში ყოველივე საუკეთესოს ანადგურებდა ის, რაც მერე თავად გახდებოდა საუკეთესო. დიახ, ეს იყო ამერიკული ჰეროიზმი წამხდარი ამერიკულივე ცნებით „იცოდე როგორ".[9]

მეილერი საყოველთაო ძალადობის პერსონიფიკაციას ახდენს და მას მხოლოდ წამხდარ ადამიანურ ენებათა კუთხით განიხილავს. მეილერის ძლიერი ადამიანის მიზანია „მიაღწიოს ღმერთს". „როცა მთელს სამყაროში რაიმესათვის თავგანწირვით, მთელი ძალით ვიბრძვით, მაშინ ღმერთი ჩვენ თვითონ ვართ, სამყარო კი ჩვენი

აზრების შემბოჭველია. მაგრამ როცა ხანი გვემატება და აღმოვაჩენთ, რომ სამყარო – ეს ჩვენ არა ვართ, ეს უდიდესი ტრავმაა ჩვენი არსებობისათვის".[10] მეილერის აგრესიული ადამიანები კლავენ, რათა შეიმსუბუქონ ეს ტრავმა – აზრი იმისა, რომ ერთი ციდანი ვართ.

რომანის ერთ-ერთ ეპიზოდში მეილერი თავის გამოსვლაში ამბობს: „ვიეტნამში ქრისტეს ხორცსა და სისხლს წვავენ, მე ქრისტიანი არა ვარ, მაგრამ წილად მხვდა ამ რელიგიის წარმომადგენელზე დავქორწინებულიყავი. ხანდახან ვფიქრობ, ყველაზე საუკეთესო რამ, რაც ჩემს ცოლს აქვს, იესო ქრისტესადმი მისი თავდადებული სიყვარულია".[11] „ამერიკა ის ქვეყანაა, სადაც ახალი ადამიანი იშვა იმ აზრისაგან, რომ ღმერთი ყოველ ჩვენგანში არსებობს არა მხოლოდ თანაგრძნობის, არამედ ძლიერების სახით და ქვეყანა ხალხს ეკუთვნოდა"[12] ახლა კი ხალხმა დაკარგა ის, რაც მას ეკუთვნოდა. მეილერი სვამს კითხვას: „ეს წყევლა ღმერთმა გამოუგზავნა ხალხს თუ ჩვენ გამოუგზავნეთ ჩვენივე თავს?"მაგრამ ჯერ კიდევ შეგვიძლია გადავარჩინოთ სამყარო და მივაღწიოთ იმას, რომ „აპოკალიფსმა გვერდით ჩაგვიაროს, ბნელეთში ჩაინთქას."[13] ამისათვის კი ხალხმა უნდა იბრძოლოს. რომანს „ღამის არმია" მეილერი ასეთი სიტყვებით ასრულებს: „ჩქარა, ასწიეთ ურდული! გვიხსენით წყევლისაგან! ამ გზით აღარ უნდა ვიაროთ, თორემ იქ მიგვიყვანს, სადაც მხნეობა, სიკვდილი და სიყვარულზე ოცნება სამუდამო ძილს მისცემია".[14] ეს სიტყვები ლოცვასავით გაისმის იმ სიჩუმესა და წყვდიადში, რომელიც ბოროტი ძალით – „ბნელი არმიით" არის გარემოცული.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. James D. Hart. The Oxford Companion to American Literature. 5th adition, Oxford, 1983, p.154.
2. Richard Ruland and Malkolm Bradbury. From Puritanism to Postmodernism. Oxford, 1995, p.233.
3. Deniel Hoffman. Harvard Guide to Contemporary American writing. Harvard, 1979, p.155.
4. *Conversations with Norman Mailer*. Edited by J.Michael Lennon, Pensilvania, 1988, p. 77.
5. Richard Ruland and Malkolm Bradbury. From Puritanism to Postmodernism. Oxford, 199, p.236.
6. *Conversations with Norman Mailer*. Edited by J.Michael Lennon, Pensilvania, 1988, p. 85.
7. Norman Mailer. The Armies of the Night, p.82.
8. Ibid, p.25.
9. Ibid, p.87.
10. Ibid, p.61.
11. Ibid, p.209.
12. Ibid, p.210 .
13. "Conversations with Norman Mailer", p.89.
14. Norman Mailer. The Armies of the Night, p.304.

**სულხან ჟორდანია**
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ინგლისური ენის კათედრის პროფესორი, მწერალი*

# სამყაროს მხატვრული გარდასახვა თანამედროვე ამერიკულ ლიტერატურაში (ნაწყვეტი ნაშრომიდან)

აპდაიკის შემოქმედებითი დერიტა „კენტავრში" განვითარებული ტალანტის ძირითადი ელემენტი ფანტაზიის, პოეტური წარმოსახვის არაჩვეულებრივი სიჭარბეა. მისი მხატვრული სამყარო ისე თვითმყოფადია, ისე დამოუკიდებელი, რომ ისიც კი, ვინც ბუნებამ უხვად დააჯილდოვა ესთეტიკური გრძნობით, ვისაც შეუძლია გარკვეული გავლენა მოახდინოს საზოგადოებრივ აზრზე, რომანის იდეურ-მხატვრული ღირსების შეფასებისას შეიძლება შეცდეს, საგონებელში ჩავარდეს: ფანტაზიის საშინელი სიჭარბე, შემოქმედებითი ალღოს საოცარი თვითმყოფადობა აქ პოეტური სითამამიდან პოეტურ კადნიერებაში გადადის.

„საამო საგალობელი გაბმით ჩაესმოდა კოლდუელს ყურში, აღმობრწყინდი ზღვასა ზედა . . . მრავალჯერ სმენია ეს აბდაუბდა, ჯერ კიდევ პასეიკში. რა საოცრად შეიცვალა მას შემდეგ! ეჩვენებოდა, რომ მისი ტანის ზედა ნახევარი ვარსკვლავებით მოოჭვილ მკვრივ თაღს მიბჯენოდა და იქ, მარადიულ არსთა და ნორჩ, მოგალობე ხმათა შორის დაცურავდა; ხოლო წელს ქვემოთ თანდათან სულ უფრო ღრმად ეფლობოდა ჭაობში წამისწამ ჩაყლაპვას რომ უქადდა. ისრის ფრთიანი ბოლო იატაკს ედებოდა და წყლულს უარესად უღიზიანებდა. ცდილობდა მტკივან ფეხს არ დაბჯენოდა, მაგრამ სამი დანარჩენი შეუწყობელი ფლოქვით ისე ხმამაღლა მიბაკუნობდა, რომ შიშობდა, რომელიმე კარი არ გამოღებულიყო და იქიდან გამოსულ მასწავლებელს არ შეფეთებოდა."

შეუწყობელი ფლოქვების ბაკუნი თანამედროვე ამერიკის კოლეჯში ყურს მჭრის. განმეორებით ვკითხულობ ამ ადგილს. არაფერი შემშლია. აპდაიკი ზუსტად იმას ფიქრობს, რასაც წერს: ანცი მოსწავლის მიერ საკლასო ოთახში ისრით დაჭრილი მასწავლებელი დერეფანში კენტავრად, ზღაპრულ არსებად იქცევა.

არაჩვეულებრიობა, ხელოვნურობა სიტყვაკაზმული მწერლობის უდიდეს ნაკლად მიმაჩნია, უშუალობა – უდიდეს ღირსებად. კოლდეულის უცნაურ მეტამორფოზას ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მითისა და რეალობის შერწყმის ამ პირველ ფაქტში, ლიტერატურულ თავხედობად ალვიქვამ, აღვიქვამ ხელოვნურად, ვინაიდან რომანს ეპიგრაფად წამძღვარებული მითისა და საკუთრივ რომანის ურთიერთკავშირი ჯერ გაცნობიერებული არა მაქვს. მიუხედავად ამისა, წამით არ მიჩნდება წიგნის დახურვის სურვილი. ეს, ალბათ, იმიტომ ხდება, რომ ამ უცნაურობას თუ არტისტულ სიზვიადეს წინ ისეთი კონტექსტი უძღვის, რომლის მხატვრულობასა და მაინტრიგებელ პოტენციას ბადალი ძნელად მოეძებნება.

წინამავალი კონტექსტის მხატვრული ღირსება და ფაბულის მაინტრიგებელი საწყისი წინასწარ განსაზღვრავენ „კენტავრის" ბოლომდე წაკითხვის სურვილს და მითოლოგიური ელემენტის უცნაურად მძაფრი შემოჭრა ამ სურვილს ოდნავადაც

არ მისუსტებს. პირიქით, წინადადებიდან წინადადებამდე, აბზაციდან აბზაცამდე, თავიდან თავამდე ის, რაც პირველად უცნაური, შემაცბუნებელი, არაბუნებრივი იყო, ჩემს თვალწინ ბუნებრივი, მისაღები, აუცილებელი და განსაკუთრებული ხდება. აპდაიკი ცხოვრებისეულ დამაჯერებლობას სძენს არა მარტო რეალურ, ობიექტურად არსებულ სამყაროს, კოლეჯის, სკოლის ინტერიერსა და ექსტერიერს, ქალაქს, ბუნებას, ადამიანებს, არამედ მითოლოგიურსაც. თვით კენტავრი რომანში და მისი უახლოესი ატრიბუტები უჩვეულოდ ცოცხალი და ხასხასა ფერებითაა წარმოდგენილი, კარგია, მაგალითად, დამაჯერებელი და ესთეტიკურად გამართლებული დაჭრილი, გაშლილ სივრცისკენ მსწრაფი ხირონის თავისა და მკერდის ნახევრად ჩაძირული ხომალდის ჭვინტთან შედარება, შთამბეჭდავია მეტაფორიზებული ტკივილისა და ხირონის სულიერი მდგომარეობის დაწყვილება, პარალელი ემოციასა და ფიზიკურ ტკივილს შორის (გარეთ, უსაზღვრო, დიდებულ სივრცეში ტკივილი დაშოშმინდა. დათრგუნულმა, დაჩიავებულმა და სიანჩხლით გაკერპებულმა ისევ კოჭში დაიბუდა. კოლდუელის უცნაური აღნაგობა ღირსებით აღივსო; მხრები, ცოტა არ იყოს ვიწრო ესოდენ დიდი არსებისათვის, გაშალა და ახლა მედიდურად თუ არა, თავდაჭერილი, მოწამებრივი სინატიფით მიაბიჯებდა...); არ შეიძლება თვალი არ მოგტაცოთ მეტონიმიით, შედარებებითა და მეტაფორით დაკონკრეტებულმა ვენერას პორტრეტმაც (მოგონებებმა სითსავით აალელვა მისი ხშირი თმა – ფაფუკი, შემშრალი გვირგვინი. ქალღმერთი მიბრუნდა, თითქოს დაირცხვინაო, ყვავილი ტუჩებთან მიიტანა და ოდნავ სველი თმის ჭაულები ლამაზი ჩანჩქერივით ჩამოეშალა ოლიმპოს ქათქათა თოვლივით თეთრსა და ხავერდოვან სხეულზე). მხატვრულ სახეთა სიმდიდრითა და ურთიერთმიმართების მრავალფეროვნებით აპდაიკის „კენტავრი" იშვიათი ნაწარმოებია. აქ ჩვენ მეტსა და უფრო რთული სტრუქტურის მხატვრულ სახეს ვხვდებით, ვიდრე თანამედროვე ამერიკული პროზის ისეთ შედევრებში, როგორიცაა: სოლ ბელოუს „ჰერცოგი", ტრუმენ კეპოტის „აუღელვებელი მკვლელობა", ვლადიმერ ნაბოკოვის „ლოლიტა". მაგრამ ტროპების მთელი ეს სისტემა აპდაიკის რომანში კეკლუცი ენამზეობა იქნებოდა, გამსჭვალული რომ არ იყოს იგი ვნებით, პათოსით, ღელვით, დიადი აზრით. შემჩნეული მაქვს, აპდაიკი მაშინ მიმართავს მითს, მაშინ აკონკრეტებს მას ტროპითა და ფიგურით, განსაკუთრებული, ზუსტი და უჩვეულო დეტალით, როცა ემოცია, განწყობილება, აზრი ჩვეულებრივ სიტყვაში, ორდინარულ ფრაზასა ან პერიოდში არ ეტევა, როცა სათქმელი მოითხოვს გამეორებას, მოითხოვს სიმბოლოს, მოითხოვს ახალსა და არაჩვეულებრივ ხილვას:

„ამ ვითარებაში კოლდუელს ნება არა აქვს ახალი მტერი გაიჩინოს. ბილეთები 18001-დან 18145-მდე დაკარგულია, ზიმერმანის ანგარიშში ცისფერ ქაღალდზე შავად წერია, რომ მან საკლასო ოთახში ბავშვს ხელი გაარტყა, ახლა კი ეს – პომადით მოსვრილ მიმ ჰერცოგს შეეჩეხა. ბურთი ეზრდება კოლდუელს ყელში. გაშლილ სივრცეში გასვლისას ისეთი ძალით ისუნთქავს ჰაერს, თითქოს გულამოსკვნილად დაექვითინოს. მქრქალი, ტალღოვანი ღრუბლები ქალაქის შიფერიან სახურავებზე ჩამოწოლილან. შინაგანი ცოდნით გულჩახვეული სახურავები გაპოხილივით ლაპლაპებენ; ატმოსფერო გამსჭვალულია აჩქარებული ბედისწერით. კოლდუელი თავს მაღლა წევს და ფრუტუნებს: უფრო სწრაფი მოძრაობის უსასრულო ჟინი ეუფლება, უნდა ნავარდით ჩაუქროლოს ჰამელის გარაჟს, ხმაურითა და ხვიხვინით შევარდეს სადარბაზოში და უკანა კარიდან გაიჭრას ოლინჯერის ყველა სახლიდან, რომელიც კი გზაზე დახვდება, ოთხამოღებით

აუყვეს შეილჰილის ყაყისფერი ბუჩქნარით დაფარულ, ზამთრით გადარუჯულ ფერდობს და გასწიოს წინ, წინ, გადაევლოს მთებს, შორიდან კიდევ უფრო ლურჯი და მშვიდნი რომ ჩანან, წინ, წინ სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, ირიბად გადაჭრას გზატკეცილები და მდინარეები, ყინულის სქელმა საფარმა რომ გზატკეცილებს დაამგვანა, იჭენოს მანამ, სანამ სიკვდილი არ მოცელავს ბალტიმორისკენ კისერგაშვერილს".

იმ აზრის სიდიადე, რომელსაც აპდაიკი თავს მახვევს მისი ენებით, მისი პათოსით, მისი აღტყინებითა და სიტყვის ბრწყინვალებით იზომება. ჭეშმარიტი ხელოვანი ისე ხმარობს მითს, თითქოს არცკი ფიქრობს მასზე, თითქოს ხატს, მხატვრულ სახეს წინასწარ კი არ ჭვრეტს, წინასწარ კი არ ხვეწავს გონებაში, არამედ, ბოლო ფრაზის ორიოდე სიტყვით ნაკარნახევს, შემთხვევით იჭერს ჰაერში. ეს მეტაფიზიკურ სამყაროსა და საყოველთაო ყოფას შორის საზღვართა მოშლის, საზღვართა გადალახვის არაჩვეულებრივ ეფექტს ქმნის:

„გარაჟში თბილოდა. ეს კაცი მუდამ კარგად ექცეოდა დიდი ხნიდან მოყოლებული. ჰამელი მამილო კრამერის ცოლის ძმისწული იყო. სწორედ მან იშუამდგომლა სკოლის საბჭოში და კოლდუელი სკოლაში აიყვანეს მძიმე კრიზისის დღეებში, როცა ყველა ზეთისხილის ხე გახმა და დემეტრა მიწაზე დაეხეტებოდა, მოტაცებულ ქალიშვილს გლოვობდა. იქ, სადაც მისი ცრემლი დაეცა, ბალახი აღარ ამოსულა. ყვავილწნული, მას რომ თავს უმკობდა, საწამლავს ასხურებდა და ყოველ სადგომთან შხამიანი სურო ამოიზარდა. იქამდე ბუნებაში ყოველივე სწყალობდა ადამიანს. თითოეული ველური ნაყოფი ნაზ გრძნობებს აღვივებდა და პელიონიდან ოთხამოღებით მომავალმა იხილა ნორჩი ხარიკლო, რომელიც ქორფა ხაჭიჭორას კრეფდა."

საინტერესოა აქ ის, რომ მწერალს მითი რთული წინადადებების ქვეწყობილი ნაწილის სახით შემოჰყავს. ერთი წინადადების სტრუქტურაში მეტაფიზიკური და ამქვეყნიური შინაარსის ასეთი შერწყმა ორი სამყაროს ერთობის მძაფრ ილუზიას შობს. აპდაიკი არაერთხელ მიმართავს ამ ხერხს. „კენტავრში" მითის გამიწიერებისა და რეალობის ამაღლების სხვა ფორმებსაც ვხვდებით. მეცხრე, უკანასკნელი თავი, მაგალითად, იწყება მითით (მარტო მიდიოდა თეთრ სივრცეში. მზით გახუნებულ კირქვიან პლატოზე ფლოქვებს ჭახაჭუხი გაუდიოდა . . .) და ძირითადად მითოლოგიურ ამბავს გადმოგვცემს. იგივე ითქმის მესამე თავზეც, მაგრამ მეექვსე თავი, მითოლოგიური დასაწყისის მიუხედავად (კლდეზე მიჯაჭვული ვიწექი და მრავალნი მოდიოდნენ ჩემს სანახავად . . .), სიზმარს უფრო ჰგავს, ვიდრე თქმულებას, ძველ ხალხთა რწმენას სამყაროს წარმოშობასა და ღმერთზე, ლეგენდარულ გმირებზე, ბუნების მოვლენებზე.

როგორც წესი, მითს რომანში შესატყვისის მიწიერი პარალელი გაჰყვება კონტრაპუნქტად. ეს პარალელი ზოგჯერ პირდაპირაა მოცემული, როგორც, ვთქვათ, სკოლის დირექტორის, ზიმერმანის, კოლდუელის „ყოველი ნაბიჯის ფხიზელი დარაჯის" გაიგივება ღმერთთან, ზევსთან; ზოგჯერ მხოლოდ მინიშნებით, შორეული ასოციაციით (ჰამელის მიერ იმის დაშვება, რომ მის მიერ კოლდუელის კოჭიდან ამოღებული ისარი მოწამლული შეიძლება ყოფილიყო). ყურადსაღებია ის გარემოება, რომ მითისა და რეალობის შეპირისპირება ორი ტიპის კონტექსტში ხორციელდება: უფრო ხშირია მითოლოგიური ელემენტის შემოყვანა რეალისტურ კონტექსტში, უფრო იშვიათი – რეალისტურისა მითოლოგიურში. უნდა ითქვას, რომ მითის გამოყენება „კენტავრში" მხატვრული მეთოდის საოცარი ორიგინალობის მიუხედავად,

საერთო ჯამში, კანონზომიერი, ზუსტი და ადვილად აღსაქმელია. გაცილებით უფრო მოტივირებულია იგი აქ, ვიდრე, ვთქვათ, მარკესის „ასი წლის მარტოობასა“ და „პატრიარქის შემოდგომაში“.

ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ფორმას, კომპოზიციურ, სიუჟეტურსა და ენობრივ თავისებურებას „კენტავრში“ თავისთავადი, დამოუკიდებელი ესთეტიკური ღირებულება აქვს და თუკი ნიშნავს, შეუძლია მას, დამოუკიდებელსა და განცალკევებულს, ზუსტად ასახოს რეალობა? ამ კითხვაზე მე მხოლოდ ერთი პასუხი მაქვს. რამდენადაც ფორმას აქ – მხოლოდ პირობითად, მხოლოდ აბსტრაქტულად განცალკევებულს – დარწმუნების, მოხიბლვისა და გატაცების არაჩვეულებრივი ძალა გააჩნია, ამდენად იგი გამსჭვალულია ჭეშმარიტებისადმი უსაზღვრო ერთგულებით და რეალობასაც, თანამედროვეს და თუ გნებავთ, მითოლოგიურსაც ზუსტად გადმოგვცემს. სწორედ ფორმის საშუალებით გვარწმუნებს მწერალი იმაში, რომ მითის დროინდელსა და თანამედროვე ადამიანს ერთი და იგივე სენი სჭირს და ერთი და იგივე პრობლემა აქვს გადასაწყვეტი.

მითოლოგიურმა ხირონმა, უკეთილშობილესმა კენტავრთა შორის, ზევსს საკუთარი სიცოცხლე მსხვერპლად შესწირა და პრომეთეს უძველესი ცოდვა, ღმერთებისაგან ცეცხლის მოტაცება, გამოისყიდა. მანამ კი თევსტომისაგან მოწამლული ისრით უდანაშაულოდ დაჭრილი ქვეყანაზე დაეხეტებოდა და საშინლად იტანჯებოდა. უკვდავ ხირონს სიკვდილი მოსწყურდა. ზევსმა ისმინა მისი სურვილი, უკვდავებისაგან იხსნა და „თანავარსკლავედთა შორის მბრწყინავ მშვილდოსნად აქცია.“

ხირონის ქრისტეს არქეტიპად გამოცხადება მკრეხელობად მიმაჩნია. ქრისტიანული მოძღვრების ხელშესახებ იპოსტასს (ღმერთი და სული წმინდა სიცოცხლის, ძლიერების, სიკეთის, სილამაზისა და ჰარმონიის გონებითა და გრძნობით შეუწვდომელი იპოსტასებია) სამყაროში პროტოტიპი არ ეგულება – იგია ერთადერთი და თავისთავადი. მაგრამ არც იმის უგულებელყოფა შეიძლება, რომ ორივე, ხირონი ბერძნულ მითოლოგიაში და ქრისტე ქრისტიანულ რელიგიაში, მსხვერპლგაღების, საკუთარი სიცოცხლის დათმობის გზით ადამიანის ცოდვის გამოსყიდვისათვის, კაცობრიობის გადასარჩენად, კაცობრიობის ზნეობრივი გაჯანსაღებისთვის მოევლინენ ქვეყანას.

ქრისტეს მოსვლა ჩვენთან ჩვენი ქედმაღლობის, შურის, სიხარბის, ღვარძლისა და ათასი რჯულის ბოროტების უსასრულო მომძლავრებამ განაპირობა, ნაზარეთელის სისხლითა და მკვდრეთით აღდგომით ღმერთი დაგვეხმარა ადამიანებს გაგვემარჯვა ბოროტებაზე, რამეთუ „თითქმის ყველაფერი, რჯულისამებრ, განიწმინდება სისხლით, და სისხლის დათხევის გარეშე არ არსებობს მიტევება.“ (ებრ.9. 22).

**ნოელ ფოლკი**
*სამხრეთ მისისიპის უნივერსიტეტის პროფესორი (აშშ)*

# ჰეი, ბარი!

ბარი, რომელიც 1963 წელს, მისისიპი კოლეჯში, ედგარ სიმონსის კლასში, მხატვრული თხზვის ხელოვნებას ჩვენთან ერთად ეუფლებოდა, მასწავლებლის ნებიერი გახლდათ. ჩვენ, დანარჩენები, საშუალო შესაძლებლობების მქონენი, შეძრულნი ვიყავით იმ ფაქტს, რომ სიმონსი მის ნებისმიერ ლექსსა თუ მოთხრობას აუცილებლად უმაღლესი ნიშნით შეაფასებდა, მანამდეც კი, სანამ კლასში განსახილველად გამოიტანდა და მანამდეც კი, სანამ საერთოდ, წაიკითხავდა. ბარი ლექსებსა და მოთხრობებს კლასშიც ბევრს თხზავდა, მაგრამ იმისთვისაც იცლიდა, რომ კოლეჯის ლიტერატურულ ჟურნალ „ტომოჰავკისთვისაც" ეწერა (ერთხელ ამ ჟურნალში ისეთი მოთხრობა გამოაქვეყნა, რომელშიც ძუძუებსა და ლიფებს ახსენებდა, ეს კი საკმაოდ უჩვეული და ამაღელვებელი იყო ყველასათვის, რადგან მისისიპის კოლეჯი მსგავს რამეებს, თავისი ბაპტისტური თვალთახედვით, საკმაოდ ალმაცერად უყურებდა და მსგავსი გათამამების უფლებას არათუ ისეთ გამოცემაში, რომელსაც ბაპტისტი მკითხველი ჰყავდა, არამედ კერძო საუბარშიც კი არ იძლეოდა).

ჩვენ გვესმოდა, რომ ბარი მოვლენა იყო; ამიტომ მისი ნამუშევრების მიმართ პედაგოგის გადამეტებული ყურადღება არა თუ არ გვაღიზიანებდა, მის განწყობას ვიზიარებდით კიდეც. საერთოდ კარგი ბიჭი იყო, საქმესაც, აშკარად, ჩვენზე გაცილებით სერიოზულად ეკიდებოდა; ბოლოს ერთი ისეთი მოთხრობაც დაწერა, რომელიც შეფასების არავითარ სისტემას აღარ ექვემდებარებოდა. 1963 წელს დაწერილ ამ მოთხრობაში საუბარი იყო ერთ ჯექსონელ დალაქზე, რომელსაც კუ-კლუქს-კლანმა საპარიკმახეროში ბომბი დაუდო. მაგრამ მე ამ მოთხრობის წიაღში კიდევ ერთი, სხვა ბომბიც მეგულებოდა. ეს გახლდათ ერთი საკმაოდ ვრცელი პასაჟი, რომელშიც ავტორი მკითხველს განუმარტავდა, თუ რატომ მიირთმევენ ადამიანები შემწვარი ლოქოს ჭამისას ჩაციებულ ლუდს, და არა რძეს (დარწმუნებული ვარ, თუკი ამქვეყნად აბსოლუტური ჭეშმარიტება არსებობს, იგი სწორედ ეს არის). ეს იყო მოთხრობის სტრიქონებიდან ამოფრქვეული, იმპროვიზებული ექსტაზი, რომელშიც ქება ესხმებოდა ყოველივეს, რაც ენებასა და გრძნობადობას ეხება, თანაც ისე, რომ ამას არათუ ძუძუებთან და ლიფებთან არ ჰქონდა რაიმე საერთო, არამედ, საკუთრივ ქალებთანაც: ეს იყო გონებამახვილური, სახალისო წიაღსვლა, რომელიც ლამაზად და, მე ვიტყოდი, ერთგვარი დამმოძღვრავი ინტონაციითაც კი აძლევდა ბანს გარემოსთან ურთიერთობის ყველაზე ინტიმურ და განსაკუთრებული მომენტებით მოგვრილ ცინცხალ ცხოვრებისეულ განცდებს.

ჩემი სამწერლო კარიერის საქმე ცუდად იყო. ყველა ეს პულიტცერები და ნობელები, რომლებიც, ჩემი აზრით, უკვე განაღდებული მქონდა, ახლა სიმონსის მაგიდასთან იყვნენ წამოსკუპებულნი და ბარის წინაშე იხრიდნენ ქედს. მე მზად ვიყავი, თვით ფოლკნერსა და მელვილს – ამ მაგარ ბიჭებს – შევჯიბრებოდი, მაგრამ როგორღა შევჯიბრებოდი იმას, ვისთანაც ერთ მერხს ვუჯექი; ვინც მართლა მაგარი იყო.. (ამასწინათ ჭრილობა განმიახლდა: ბარის ის პასაჟი ვუხსენე; მეგონა აღიარებდა, რომ მის მხატვრულ დამუშავებასა და დახვეწას ღამის თევები მიანდომა, მაგრამ ჩემდა სავალალოდ, მას ტაქტიანი და თავაზიანი

ტყუილის თქმა არ ეხერხება: ასე მითხრა, არც ის პასაჟი მახსოვს და არც თვითონ მოთხრობაო).

წინდახედულება არ მეყო, რომ ის პასაჟი შემენახა (თუმცა, სიმართლე გითხრათ, მერჩიენა კიდეც, რაც შეიძლება შორს ვყოფილიყავი მისგან, რადგან სქოლიოებისა და ბიბლიოგრაფიების შედგენის უბადრუკ საქმიანობას შევრჩი), მაგრამ მოთხრობის ეს მონაკვეთი ბარის უფრო გვიანდელი პროზის ერთგვარ ემბლემად მიმაჩნია. აქ ყოველი წინადადება, ყოველი აბზაცი იმპროვიზაციულ ქმნილებად გვევლინება, რომლითაც ავტორი საოცრად მკაფიოდ და ამავე დროს ემოციითა და აღმაფრენით ეხმიანება იმას, რაც წამიერად განიცადა და შეიტკბო. იგი პოეტია, რომელიც ერთდროულად ხარკს უხდის განცდასაც და მის გამომხატველ ენასაც და აღტაცებისაგან მთვრალი ტორტმანებს ამ ორს შორის, რადგან სიამოვნებას ორივეში თანაბრად პოულობს. მას აღელვებს ყოველი წუთის, ყოველი წვრილმანის ერთგვარი ქაოტური სისავსე და ისე წერს, თითქოს ამ ქვეყანაზე ხეტიალისას სურს მოეფეროს ყოველივეს, რაც გზად შეხვდება; არაფერი დაისაკუთროს და შთანთქას, მხოლოდ მიესიყვარულოს და პატივი მიაგოს: კარგს, ცუდს, უცნაურს, ნორმალურს, გადაქანებულს, ტრაგიკულს, პათეტიურს თუ კომიკურს. მის თვალში ყოველივე ამას ერთდროულად ზღაპრული იერიც აქვს, სასტიკიცა და სათნიც.

ბარიმ თავის პირველ რომანში მისისიპის კოლეჯს სახელი შეუცვალა და ჰაიდერმანსვეერ კოლეჯი უწოდა. ამას იმ გარემოში მყოფთათვის სრულიად გასაგები მიზეზები განაპირობებდა: ჰაიდერმანების ოჯახი ჯექსონის ორივე გაზეთის გამომცემელი გახლდათ. იგი მისისიპიში ინფორმაციის ნაკადს აკონტროლებდა და თავისი რასისტული შეხედულებების გამზიარებელი მკითხველის სახით მზა ბაზარს იქმნიდა. შემთხვევითი სულაც არ იყო ის, რომ ეს ოჯახი მისისიპი კოლეჯის დიდ მხარდამჭერად ითვლებოდა. რომანი „მეფე ჯერონიმო“ არის ცოტა არ იყოს ვულგარული, ავტობიოგრაფიული **Roman-a-clef**, რომელიც, გარკვეული თვალსაზრისით, საკმაოდ ტრადიციულ **Bildungsroman***-ად შეიძლება ჩაითვალოს. მაგრამ იგი ტონს აძლევდა იმას, რაც მას მოჰყვა. რომანის მთხრობელი ჯაზის, საყვირის, იარაღის მოყვარული ტიპია, იგი ნაწარმოების გმირებს - ინდიელ ჯერონიმოსა და კომპოზიტორ ფილიპ სუსას — კონტრასტულ, მაგრამ ამავე დროს უცნაურად მონათესავე გმირებად და კინოტიპაჟად გვიხატავს: სუზა კუნთმაგარი, რკინის დისციპლინის მოყვარული კაცია და თან წკრიალა,ჟღერადი მარშების ავტორი. ჯერონიმო კი - მოუთოკავი ველური.

„ -ჯერონიმო განსაკუთრებით იმით მხიბლავდა, რომ თაღლითობდა, ცრუობდა, შფოთისთავობდა, ძარცვავდა, გლეჯდა, იტაცებდა, ჭრიდა, ფატრავდა, ლეწავდა, კუწავდა, ტკეპნიდა, ქოლავდა, თელავდა, შურს იძიებდა, სისხლს იღებდა და მაინც თავისი თავის ბატონ-პატრონი იყო. ეს მეტსახელი მას მექსიკელებმა შეარქვეს მაშინ, როცა იგი ერთ-ერთ ბრძოლაში მათ უფროს ოფიცერს მიეჭრა და ისრით განგმირა. მომწონდა ისიც, რომ სახელი ჯერონიმო თარგმანში „სლოკინა“, ან „მთქნარება“, კაცს ნიშნავდა, ან ორივეს ერთად. მომწონდა ისიც, რომ მას, როგორც ყველა ამბობდა, 6 ცოლი ყავდა, ისიც, რომ მთელი მისი ეს რისხვა მექსიკელების მიერ მისი პირველი ცოლისა და სამი შვილის მკვლელობით იყო გამოწვეული, რომ ის რიო გრანდესა და არიზონას შორის ქარივით დაქროდა და უკან გააევებულ ღამის მძარცველთა მთელი არმია მოსდევდა. ასე მეგონა, მსგავს საქმეს მეც სიამოვნებით მოვკიდებდი ხელს.. რა სჯობს, როცა უკან კბილების ღრჭიალით მოგდევს ნაძირალების მთელი ხროვა!...

....ასე მეგონა, მსგავს საქმეს მეც სიამოვნებით მოვკიდებდი ხელს“ ...ამბობს ბარი და კაცმა რომ თქვას, ის ამას აკეთებდა კიდეც. ამიტომაც არის, რომ მისი კალმით აღწერილი ლირიული გადახვევები ხშირად ტყვიების ზუზუნად გარდაისახება ხოლმე.

მაგრამ მე თუ მკითხავთ, მისი ყველაზე შესანიშნავი წიგნი მაინც „ჯოჯოხეთის ღამურებია“. ეს არის მოთხრობების კრებული, რომელთა სტრიქონები ისე შემოაფრინდება ხოლმე მკითხველს, როგორც ღამის ამ მფრინავი ურჩხულების ნამდვილი გუნდი, რომლებსაც სუზას კუნთის სიმაგრე და ჯერონიმოს დემონური ენერგია ამოძრავებთ. ეს მოთხრობები სწორედ იმ სულისკვეთებით სუნთქავს, რომლითაც „მეფე ჯერონიმოს“ მთხრობელის ჯაზური იმპროვიზაციებიცაა გამსჭვალული და თეეზისა და ლუდის მიმრთმევიც, ჩემი მწერლური კრახის ავტორი. „ღამურებში“, ბარი არის ჯონათან უინტერი, რომელიც სცენაზე დამდგარა და მაყურებელს აგულიანებს, აბა, სცადეთ და ისეთი თემა მომაწოდეთ, რომელზეც მე მოთხრობას ვერ დავწერო. ელვისის დედაზე გნებავთ? კი ბატონო: მოთხრობა „დედის ბაგე“, ეს არის დრამატული მონოლოგი ამ გულჩვილი ქალბატონისა, რომელიც ამტკიცებს, რომ მისი შვილის ნიჭის წყარო დედისადმი სიყვარულია, და თუ ის დედას ოდესმე სხვა ქალზე გაცვლის, ამ ნიჭს გამოემშვიდობება კიდეც. ძაღლად გადაქცეულ ადამიანზე გნებავთ? ინებეთ: მოთხრობა „ერთმანეთისაკენ ნისლში მიმავალი ორი არსება“, სადაც 90 წელს მიღწეული პენსიონერი, მანჰეტენელი ქირურგი, რაღაც უცნაურ, სამხრეთამერიკულ სენს აიკიდებს, რომელსაც გროფტი ქვია; ბოლოს კი ქუინის სასაფლაოზე დაწანწალებს შიშეული და დაოთხებული. თოვლის კაცისა და მთიელი ლატაკის მგზავრობაზე გნებავთ? წაიკითხეთ მოთხრობა „მთიელი ლატაკის ერთი საღამო“ — საოცრად სასაცილო აღსარება შეშლილი ახალგაზრდა კაცისა (რომელიც ფსიქიატრიულ საავადმყოფოში დაიწერა) იმის შესახებ, თუ როგორ დაემგზავრა იგი ოზარკის* ერთ პატარა დასახლებაში მთიელ ლატაკს. მოთხრობაში „ეირთხისცხვირა დეიდა“ მთავარი გმირი— ვირტუოზი ტრომბონისტი მრავალწლიანი ლოთობისა და გადაგვარების შემდეგ უეცრად ატლანტის უნივერსიტეტის სოციოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულად გვევლინება. ხოლო მოთხრობა **„Allons Mes Enfants“***გახლავთ ატლანტელი შავკანიანი ორატორის გრძელი მონოლოგი, რომელიც თავის შავკანიან მსმენელებს ამერიკის სამხრეთის რასისტული კოშმარისაგან თავის დასაღწევად ას-ას დოლარსა და საფრანგეთში უფასო გამგზავრებას ჰპირდება.

უნდა ითქვას, რომ თავისი სამხრეთული წარმოშობა თვითონ ბარის ისე არ აღელვებს, როგორც მისი შემოქმედების ზოგიერთ მკვლევარს. სამხრეთისადმი მისი დამოკიდებულება განსაკუთრებით იმიტომ მაინტერესებს, რომ მე ერთადერთი სამხრეთელი ბიჭი გახლავართ, რომელიც ნესვს არ ჭამს და ორი ერთნაირი წინდა აცვია. მე მშვენივრად ვიცი, რომ ეს ცხოვრება ტკბილეულით სავსე კოლოფი არ არის და არად დაგიდევთ იმას, თუ ვინ ხელმძღვანელობდა პიკეტის შეტევას, გეტისბერგის, მანასასისა თუ სხვა ბრძოლებს. ბარის კი დიახაც აღელვებს ეს ყველაფერი, მხოლოდ თავისებურად.

ადრე მას გამუდმებით ადარებდნენ ფოლკნერსა და ფლენერი ო'კონორს. ეს, ნაწილობრივ იმიტომ ხდებოდა, რომ კრიტიკოსებს ხშირად ფულს უხდიან იმისათვის, რომ ესა თუ ის მწერალი ვინმეს შეადარონ და ვერავის წარმოუდგენია, რომ სამხრეთელი მწერლის შედარება ფოლკნერისა და ო'კონორის გარდა, სხვა ვინმესთან შეიძლება. (ფილოლოგებმა ბრმად არ უნდა მიიღონ ეს: ორი წლის წინ ბარი პარიზისა და ბრეტანის სანახებში ხეტიალისას ნახეს და მას ხელში სილინის

ადვილადსაკითხავი ბიოგრაფია ეჭირა). თავის სამხრეთელობას იგი უფრო იოლად ეკიდება, ვიდრე კრიტიკოსები. მისი მოთხრობების მოქმედების ასპარეზი უსასრულოდ ვრცელია. იგი იქ „ძოვს", სადაც ბალახი უფრო მწვანედ ეჩვენება: ლოს-ანჯელოსი იქნება ეს თუ არკანზასი, ჯორჯია თუ ვიეტნამი, დიდი ჩრდილოაღმოსავლეთი თუ სულაც, მისი მშობლიური მისისიპი. ადგილი, როგორც ასეთი, მისთვის მნიშვნელოვანი არ არის. მან კარგად იცის, რომ, როგორც იუდორა უელტიმ თქვა, წარმოსახვის ძალა ახდენს ზეგავლენას მოქმედების ადგილზე და არა პირიქით, რაც წერის ხარისხზე აისახება (კრიტიკოსები, ბარისაგან განსხვავებით, ამ საკითხში იუდორას ვერა და ვერ უგებენ). მაგრამ ეს მწერალი, ცხადია, სამხრეთის თემას ბოლომდე მაინც ვერ გაექცევა. ამიტომ მან მისადმი დამოკიდებულების თავისებური გზა გამონახა. მან სამხრეთელი ტიპებისაგან ისეთი საკვირველი გალერეა შექმნა, რომ ამაზე უცნაურ და ამავე დროს დამაჯერებელ ტიპაჟს თვით ო'კონორთანაც ვერ შეხვდებით: იარაღის ტრიალის მოყვარული, მექალთანე ექიმი ტუსკალუზიდან, ჰომოსექსუალისტი ოფიცერი კონფედერატების არმიაში, მატყუარა მეთევზე, რომ არაფერი ვთქვათ, ელვისის დედასა და მთიელზე.

მთიელი ლატაკის მძღოლი და თანამგზავრი რუნსვენტ დოვერი აღწერს არკანზასის ერთ დუქანს — ტიპურ სამხრეთულ მიზანსცენას— როგორიც ფოლკნერთანაც გვხვდება, მაგრამ ისეთი კუთხით დანახულს, როგორსაც ეს უკანასკნელი ვერასოდეს წარმოიდგენდა:

„...მთიელმა, ჩემდა ჭირად, სიგარა მომაწოდა. ასეთებს სამხრეთამერიკელი დიქტატორები ეწევიანო, გამომიცხადა. მივუკიდეთ და რაღაც მეგობრულად განვეწყვე. ამ დროს, მეკითხება: დუქანში მუსიკა თუ ექნებათო? ამან გამაგიჟა. რა კითხვა უნდა, ყველა დუქანში არის რადიოცა და ტელევიზორიც-მეთქი. საჭმელი თუ ექნებათო? მოვუბრუნდი და ვეუბნები, დუქანი რის დუქანია, თუ საჭმელი არ ექნათ მეთქი?! საჭმელიც იქნება, სასმელიც, გაზიც, ნავთიც, პირსაბანიც, სარდინებიც, ქაშაყიც, ყველიც, „რისკის" მოთამაშე ორი მიხრწნებული ბერიკაციც მანდვე ეგდება, შეშის ღუმელთან და მაკი ვალენსიც. რაო? ჩამეკითხა და თვითონვე გამისწორა. მაკიაველი. ეს ის კაცია, „მთავარი" რომ დაწერა. ამ დაფლეთილ წიგნს თაობიდან თაობამდე „რისკის" თამაშის დროს სახელმძღვანელოდ იყენებდნენ მისი პერსონაჟების თვისებების მოშველიებით. ეს წიგნი და ერთი ცანცარა თხალა იყო მისტერ სიმფსონისა და ჯინ ჯეიმსის საკუთრება."

მთიელს მუსიკის მოსმენა უნდა. და აი, აქ კიდევ ერთი საშინელი აბზაცი მოდის, რომელიც ჩემზე ისეთივე ზემოქმედებას ახდენს, როგორსაც ლუდის სმისა და თევზის ჭამის ამსახველი მონაკვეთი. ამ აბზაცში დამფრთხალი რუნსვეენთი თავს იმშვიდებს:

„...რადიო რომც მოიშალოს, ხომ არის აგერ ტელევიზორი... მართალია, მუსიკალური არხი რაღაც ცუდად უჩვენებს. აქ ხომ მთებია და ტალღების დაჭერა ძნელდება. მაგრამ მაინც ჩანს ხოლმე, შიგადაშიგ, აჭრელებულ ეკრანზე მოცეკვავე ხალხი. მუსიკა არ ისმის, მაგრამ რაღაცას მოეუხერხებთ. ზოგჯერ შიშინი ისმის და რაღაც ლანდები ჩანს, რომლებიც ერთმანეთს ებღლარძუნებიან. მაგრამ ამას ყველაფერს ვერ ეტყვი კაცს, რომელსაც ზედ ეტყობა, რომ მთიელი ლატაკია; ღუმელთან მიმჯდარა და ლაქლაქებს. თან შიშველი, გალეული ფეხები უჩანს, თუმცა აქ არც ისეთი კარგი შუქია, მაგრამ მაინც ვხედავ..."

ეს კი რუნსვეენთის თვალით დანახული კიდევ ერთი სამხრეთული ამბავია, არკანზასულ სტილში:

„ ...ჩვენში ინდიელებს არავინ ერჩის.– მიყვება ჩემი ბიძა რელი – აქ, წმინდა სისხლის ინდიელები ცხოვრობენ, მაგრამ არაფერს აშავებენ. აი, ტურისტებს, პოლიციელებსა და შიგადაშიგ, ჩეენებურებსაც რომ ესხმიან ხოლმე თავს და კლავენ ხან რისთვის და ხან რისთვის. ამ საქმეში ინდიელის ხელი არ ურევია ხოლმე... ახლანდელი ინდიელები დოყლაპიები არიან. არადა, ომის დროს ეგენი სამხრეთელების მხარეზე იბრძოდნენ თურმე. ეს წამხდარი თეთრები კიდევ, ორივე მხარეს ომობდნენ და ზოგმა ისიც კი არ იცოდა დალაგებულად, ომი იყო თუ რა. ზოგი ლითი იყო და ზოგი ლეჩჩი და აბა,რა ჭკუა მოეკითხებოდათ. ისე,ოზარკის ჯარი რომ მიგეშვა, ომსაც მოიგებდა.– ამბობს რელი.– ჩვენს ოჯახში სისხლის აღრევას არავინ კადრულობდა, მაგრამ აბა, სხვები განახათ, სკოლაში ნასწავლებიც იყვნენ და ეკლესიაშიც დაიარებოდნენ, მაგრამ საკუთარ ქალიშვილებსა და დებს აორსულებდნენ–მოკლედ, დამარცხდნენ ინდიელები. აქეთ, პარაგოულდისკენ, მდინარის პირზე გადმობარგდნენ, დაღონდნენ და დაჩაჩანაკდნენ. ინდიელის მიტყეპვა დღეს ყოველ მეორეს შეუძლია, პატარა გოგოსაც კი. დღემდე ვერ მოუთქვამთ სული ამ უბედურებს. რამდენმა წყალმა ჩაიარა შტატების ომის შემდეგ, ინდიელი კი იმის მერე კაცად აღარ ვარგა: ლობიო ვერ დაუთესია,წყალი ვერ ამოუღია ჭიდან და ძაღლი ვერ დაუპურებია. ყრიან ასე, უსულოდ; მთელს დღეებს ეიშვიშში ატარებენ და წყეელიან გენერალ ლის,რომელიც მათ მონებს შეპირდა საშვილიშვილოდ. საწყლები, ხან დანგრეულ ავტობუსში შესახლდებიან, ხან გამოქვაბულში, ერთხელ კი, ჩემი თვალით ვნახე, თეთრების სახლის ქვეშ ითხრიდნენ ჩუმ-ჩუმად სოროს... მიტოვებული ქოხი ან ფეხსადგილი თუ ნახეს, შიგ ვერავინ შეასწრებს. დაჩაჩანაკებულები კი არიან, მაგრამ ამ საქმეში - ყოჩაღები. მთელი ოჯახი ისე სწრაფად ასკუპდება სხვის საცხოვრებელში, როგორც ირმის ბალანში რწყილი–"

ბარის მიერ სამხრეთის თემაზე შექმნილ ნაწარმოებთაგან ყველაზე გესლიანია „ჯოჯოხეთის დივიზიის ლამურები". მე იგი ამერიკის სამოქალაქო ომზე დაწერილ საუკეთესო მოთხრობად მიმაჩნია. ეს არის ომის გასაოცრად შთამბეჭდავი ისტორია, რომელსაც „ცოცხალ მკვდართა ღამის", „ტეხასური ხოცვა ელეტისა" და სილინის ზეგავლენა უფრო ეტყობა, ვიდრე ფოლკნერის, ო' კონორისა და ფუტის შემოქმედებისა.

მოთხრობაში ავტორი გვიამბობს, რომ ბრძოლის შემდეგ კონფედერატთა ჯარისაგან ნაკუწებილა დარჩენილა: ზოგს თითები დაუკარგავს, ზოგს ხელ-ფეხი, ზოგს საჯდომი და ზოგს - თავი. თვით მთხრობელს, რომელიც დივიზიის მემატიანე გახლავთ, მხოლოდ თავისი ასო შერჩენია, და კიდევ თავი და ხელი, რომლითაც უნდა წეროს. იგი ურიკით დაჩაქჩაქებს, რომლის დაფლეთილი ტენტიდან ხელი და თავი (მწერალს ხომ ეს ორი რამე სჭირდება მხოლოდ) ამოუღია და ისე წერს. რიგითი ჯარისკაცი დაატარებს მას ბრძოლებში, რათა მან ნანახი აღწეროს. ეს ქრონიკები შთამომავლობისათვის იწერება. ეს ჟღერადი სიტყვა ალბათ იმათ გულისხმობს, ვინც ისტორიას ქთაყვანებს. აი, მეოცე საუკუნეში, მთხრობელის პირდაპირმა შთამომავალმა რომანტიულად აგვიწერა, თუ როგორ იქცა ერთ-ერთი ბრძოლის დროს ნაკუწებად კონფედერატთა ჯარი. გამოდის, რომ მოთხრობა აშკარა შეურაცხყოფას აყენებს წმინდათაწმინდა სამხრეთულ ტრადიციებს, ამ ომს და საერთოდ, ყოველივე სამხრეთულს.

დივიზიას დემოკრატიული ხელმძღვანელობა ჰყავს. მაგალითად, კენჭისყრის გზით წყდება მორიგეობის საკითხი, რაც, მთხრობელის აზრით, აბსურდია, მაგრამ რა გაეწყობა. ნაწარმოებში აღწერილ მოვლენათაგან, კენჭისყრა, სწორედ ყველაზე ნაკლებად აბსურდული რამ არის. მოთხრობის გმირი, გენერალი, ავტორის თქმით, „ისევე როგორც ყველა დანარჩენები – ნამდვილი კრიმინალური მანიაკია", მაგრამ

გმირი. თავის დროზე იგი მექსიკის ომში მოკლეს, მაგრამ როცა გაიგო, რომ მორიგი, დიდებული ომი ახლოვდებოდა, მკვდრეთით აღდგა.

„...მექსიკაში ერთი პატარა „გასეირნების" დროს ტყვიებით დაცხრილული გენერალი მიწას მიაბარეს, მაგრამ როდესაც ყური მოკრა, რომ კიდევ უფრო მაგარი დაკა-დაკა ახლოვდებოდა, მიწიდან ამოძვრა. მისი ოცნების მსოფლიო ომი!!!... „ამას თუ მოვესწრებოდი, არ მეგონა! ღმერთი ჩვენთან არის! და ღმერთი არის სიყვარული!" - ყვირის იგი.

ვიცი, რომ ვაზვიადებ. ჩემთვის ეს ნებადართულია. მაგრამ რომ იცოდეთ, რა უმნიშვნელოდ ვაზვიადებ! ამბობენ, რომ როცა მან ომის დაწყების ამბავი შეიტყო, ასეთი რამეც კი თქვა: „ძმა ძმის წინააღმდეგ?! ამასაც მოვესწარი?! დაუჯერებელია, რომ კაცს ბედმა ასე გაუღიმოს!"

მოთხრობაში აღწერილი ამბები სიურეალისტურ იერს იძენს. დივიზია ცუდად იკვებება, ცუდად არის შეიარაღებული, მაგრამ, სამაგიეროდ, ახალთახალ დროშებს დააფრიალებს. მას ზურგიდანაც აწვდიან მეომრებს, მაგრამ ეს მეომრები კი არა, მუსიკოსები არიან(სწორედ ის, რაც მათ სჭირდებათ!), თანაც, ეს არის არა მეფლეიტეთა და მედოლეთა კორპუსი, არამედ რაღაც მოხეტიალე, „მოსიმფონიური" ორკესტრი: მესაყვირეები, მევალტორნეები, ოფიკლეიდებზე დამკვრელები, ბანჯოისტები, ტრომბონისტები, მეციმბალეები და ოთხი მევიოლინე! ბრძოლის წინ ისინი ჩაიკოვსკის სავიოლინო კონცერტის, 35-ე ოპუსის მილიტარიზებული ვარიანტის რეპეტიციას გადიან.

და , აი, „ლანდადქცეული დივიზია" ბრძოლის ველისაკენ მიიწევს:

„...თითქმის არავინ ეცემა. ისეთი გამხდრები ვართ, ტყვია გვერდს გვივლის. ვართ და თითქოს არც ვართ ...აჰა, ვუახლოვდებით მტერს. გულითა და სულით ნანატრი გაწევ-გამოწევა იწყება. გვესმის მათი იარაღის კაკანი. ირგვლივ ბუღი დგება. ზარბაზნების კვამლში იმასღა ვარჩევთ, რომ კარგა სქელ რიგებად მოდიან. ბოლოს სირბილზე გადავდივართ." მიდით ბიჭებო, მიდით! დროშები მაღლა, ძმებო! ირგვლივ ვიხედები, ვხედავ: ჩემი სათაყვანებელი დროშა, ჩემი ვარსკვლავები და ზოლები, ცისფერ ფონზე გამოსახული საპოლკო ჯვარი ბრძოლის ველის შუაგულში ფრიალებს! თავის ბედაურზე ამხედრებული გენერალი წინ მიგვიძღვის. აი, ბრძოლის ქარცეცხლში იჭრება და ჩვენც თან მივყვებით. ეს რა ბიჭები გვყოლია! თავდადებაც ამას ჰქვია! ხიშტები მოიმარჯვეთ! კარგია! ო, რა კარგია, რა კარგი, რა კარგი! უცებ ყველანი უხმოდ გაერბივართ. დახეთ საოცრებას, რა არ ხდება! აღარ ისვრიან! სამარისებურ სიჩუმეში გავრბივართ, ყვირილი ყელში გვებჯინება. ნაცრისფერი*, ყავისფერი* და შიშველი გვამები წინ მიიწევენ თავიანთი მესრების, მიწაყრილებისა და სანგრებისაკენ. ხიშტები დაუშვით. ო, ღმერთო! ო, ჭაბუკნო! სიკვდილი მტერს!!!

ამ სრული სიგიჟისაგან გაოგნებული იანკების გენერალი ყვირის: „ძმებო, შეჩერდით! შეწყვიტეთ ცეცხლი, სულ შეწყვიტეთ! მაგრამ კონფედერატების არმიას ვერაფერი აჩერებს და სასოწარკვეთილი გენერალი იძულებულია იყვიროს: „გნებდებით! ბრძოლა წაგებულია! ამის გაგრძელება შეუძლებელია! მუსიკა! ჩაიკოვსკი! საზიზღარო მოჩვენებებო, მაინც მოდიხართ?! კმარა! კმარა!"

„ჯოჯოხეთის დივიზიის ღამურები" გახლავთ ომის შესახებ შექმნილი, დაშტამპული სამხრეთული შეხედულებების **Reductio ad absurdum***, აქ ხდება მშიერი, დაგლახაკებული, ცუდად შეიარაღებული კონფედერატების შესახებ შეთხზული სენტიმენტალიზებული ლეგენდების კრისტალიზაცია. ლეგენდებისა იმათ შესახებ, ვინც მამაცურად იბრძოდა ამ ომში, ვისი ერთადერთი იარაღი სამხრეთული ვაჟკაცობა, სამხრეთული შეუპოვრობა და სამხრეთული სიამაყე იყო. ბრძოლის

ველი უკვე სასაფლაოდ ქცეულა (გაიხსენეთ: „შიშეული გვამები სამარისებურ სიჩუმეში წინ მიიწევენ...“), იქნებ ეს ვიკსბურგის სასაფლაოა, სადაც ჩრდილოელი და სამხრეთელი ჯარისკაცები ერთად განისვენებენ და ამ ომის საშინელებათა რეალობას ის ამძაფრებს, რომ „ბრძოლა წაგებულია“.

ამრიგად, ეს არის ამბავი, რომელიც დაიწერა არა შთამომავალთა*თვის*, არამედ, ფაქტობრივად, მათ *მიერ*. ეს არის ამბავი, რომელშიც თვალნათლივ ჩანს, თუ როგორ იწერება ისტორია საერთოდ და როგორ უნდა გადაიწეროს იგი ხელახლა. ჩანს დამოკიდებულება ისტორიულ გადმოცემებსა და ისტორიულ რეალობას შორის. მეტიც, ეს ამბავი არა იმდენად შთამომავალთათვის არის დაწერილი, ან მათ მიერ, არამედ მათ *შესახებ*. „ჯოჯოხეთის დივიზიის ღამურებში“ ბარი იმ სამხრეთული ტრადიციების რეფორმულირებას ახდენს, რომლებიც მას მემკვიდრეობით ერგო. იგი ახდენს მათ გადაფასებას, მათ განიარაღებას და საერთოდ, რას აღარ – ეს კი მანამდე, რამდენადაც ვიცი, სხვას არავის გაუკეთებია. მის ხელში ამერიკის სამოქალაქო ომიც კი ახლებურ იერს იძენს.

მაგრამ ბარის თავისი პირადი, აწმყოში განცდილი უფრო აინტერესებს, ვიდრე სამხრეთის წარსული, ან წარსული საერთოდ. მან კარგად იცის, რა ბინდითაც ფარავს ისტორია რეალობას ადამიანების თვალში. ბარის პროზა თითს იშვერს (და ეს ზოგჯერ იარაღის მიშვერას ემსგავსება) იმ დამნაშავეებისაკენ, რომლებიც ისტორიას (არა მარტო სამხრეთისას) აფეტიშებენ და ამდენად, არასწორად აფასებენ მას; მათკენ, ვინც თვალზე აკრულ ბინდს მოხერხებულად ირგებს. ჯეკ ბათლერმა მას ამასწინათ „ფუტურისტი“ უწოდა, ანუ მწერალი, რომელიც მხოლოდ იმას მიელტვის, რომ წინადადება უმთავრესად სწორედ თავისი დახვეწილობით ზემოქმედებდეს მკითხველზე. მისთვის ის კი არ არის მნიშვნელოვანი, რომ ახალი მსოფლიოს იოტისოდენა სოციალური ძერა არ გამოეპაროს, არამედ ის, რომ ამ ცვლილებების დამფიქსირებელი ინსტრუმენტი იყოს ყოველთვის სუფთა და კრიალა.

ეს ალბათ, სწორიც არის. ბარის პროზა იკბინება, იკაწრება, ზოგჯერ წიხლებს და მუშტებსაც უშენს უკვე შეცნობილი ჭეშმარიტებების ვიწრო ზღუდეებს. *უკვე შეცნობილი* მისთვის მხოლოდ და მხოლოდ სასტარტო წერტილია *ჯერ კიდევ შესაცნობთან* მისაახლოებლად. შემდეგ კი იგი ამ *უკვე შეცნობილისაგან* ისე თავისუფლდება, როგორც გიჟის პერანგისაგან. მისი წინადადებები ზოგჯერ შეურაცხმყოფელი; ისინი თავიდან თითქოს ეფერებიან მკითხველს, მხოლოდ შემდეგღა გარდაისახება შეურაცხყოფად. როცა შუქი ეფინება იმას, რაც დაფარულია და ამდენად, შიშისმომგვრელიც, იგი ისეთ რაღაცად გადაიქცევა, რასაც თვით ქალბატონი პრესლიც კი მოიწონებდა, თუნდაც ამ „რაღაცას“ მთიელის საქციელი და შესახედაობა ჰქონდეს. ბარის წინადადებები წარმოადგენს, ერთი შეხედვით, დაფანტულ ენერგიას, რომელიც ყოველთვის მობილიზდება ხოლმე ცხელ წერტილებში – იქ სადაც ჭირს, იქ, სადაც ტრადიციას *ჯერ კიდევ შესაცნობი* დილეგში მოუმწყვდევია და ფხიზლად დარაჯობს, ისინი კი თავს ესხმიან ამ მეციხოვნეს, ტუსაღს გარეთ გამოიტყუებენ და თავისუფლებას უქმნიან მას.

**ლამარა ქადაგიძე**
*შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინგლისური ენის მოსამზადებელი განყოფილების ვიცე-კოორდინატორი*

# ამერიკული სიმღერები – წარმატების მომტანი მოტივაცია აუდირებისას კროსკულტურული ინფორმაციის სწავლებისათვის

მუსიკა და სიმღერა მნიშვნელოვან ისტორიულ როლს ასრულებს კაცობრიობის კულტურული განვითარების საქმეში. თანამედროვე სამყაროში ადამიანის ნებისმიერი ასაკისთვის სიმღერა, ესთეტიკური ტკბობის გარდა, სხვადასხვა პრაგმატული მიზნის წარმატებით განხორციელების ორიგინალურ საშუალებად იქცა. ასე მაგალითად, ფრიად დადებითი შედეგები მოაქვს სწორად შერჩეული მუსიკალური მასალის გამოყენებას უცხოური ენების საფუძვლიანად დაუფლების საქმეში. ცნობილია, რომ თინეიჯერების უმრავლესობა ინგლისურ ენას ზოგჯერ მხოლოდ იმიტომ სწავლობს,რომ გაიგოს შინაარსი,სწორად შეითვისოს წარმოთქმა და ლამაზად იმღეროს ამერიკული სიმღერები საკუთარ „მეტად მოკრძალებულ" წრეში თანამედროვე და გათვითცნობიერებული ადამიანის იმიჯის შესაქმნელად. ამ საკმაოდ შინაარსიან სურვილს, თუ გნებავთ, „ახირებას", ხშირად დადებითი შედეგი მოაქვს და მსურველს გადააქცევს სტუდენტად, რომლისთვისაც ამერიკული სიმღერები წამახალისებელი, გამოსაცოცხლებელი, მაღალმოტივირებადი და წარმატების მომტანი სწავლის ხერხია.

ტრადიციული ხალხური სიმღერები სასარგებლოა სტუდენტებში გარკვეული ისტორიული და კროსკულტურული ცოდნის დაგროვებისთვის – იქნება ეს country music, spirituals, gospels თუ barber shop quartet type მუსიკა, რომელიც შემსწავლელს მოუთხრობს ქვეყნის ისტორიულ წარსულზე, ეროვნულ დღესასწაულებზე, სოციალურ ყოფაზე, რწმენასა და ღირებულებაზე და, საერთოდ, ცხოვრების ზოგად წესზე. ამ მიზნით თავისუფლად შეიძლება როკ, პოპ და რეპ მუსიკის გამოყენებაც.

პირველი ევროპელი მოსახლენი ამერიკის შეერთებული შტატების თანამედროვე ტერიტორიაზე ადრეულ 1600-იან წლებში ჩავიდნენ. ისინი ყველა ინგლისურენოვანნი იყვნენ და ენასთან, ტრადიციებთან და უნარ-ჩვევებთან ერთად „ახალ სამყაროში" საკუთარი სიმღერებიც ჩაიტანეს. ერთ-ერთი ასეთი სიმღერაა, „Billy Boy" (ბიჭო, ბილი), რომელშიც დედა ეკითხება შვილს, თუ რამდენად „გამოსადეგი" დიასახლისია გოგონა, რომლის ცოლად შერთვასაც აპირებს ბილი. საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა, რომ ყოველ დედამთილს „კარგი" რძალი უნდა სათავისოდ, მაგრამ იმ დროის ამერიკაში „კარგ ქალობას" თავისი შინაარსობრივი დატვირთვა ჰქონდა, რადგანაც ქალის შრომა ოჯახის არსებობისა და ფიზიკური გადარჩენის ძირითად წყაროს წარმოადგენდა. ამერიკის ცხოვრების პირველ 200 წელიწადს იმის უმეტესობა, რასაც ოჯახი ჭამდა თუ იცვამდა სახლში, იყო ნაწარმოები ქალის ხელებით. ქალი იყო „გამწევი ძალა" მინდორზეც სახნავ-სათეს სამუშაოებში. მას მოჰყავდა მოსავალი, შვრიას და სიმინდს აქცევდა ფქვილად, ფქვილისაგან აცხობდა პურს, ქმნიდა ქსოვილს, რომლისგანაც კერავდა ტანსაცმელს. ასე მაგალითად, იმდროინდელი საბნები ისტორიაში შევიდა „patchwork quilt"-ის სახელწოდებით, ვინაიდან ისინი წარმოადგენდნენ ქსოვილის ნაკუწებისაგან („patches") შეკერილ გასათბობ საშუალებას. ქალი ბრწყინვალედ უძღვებოდა

მეცხოველეობა-მეფრინველეობის რთულ საქმესაც, რასაც მოწმობს სიმღერა „წადი უთხარი დეიდა როდის" („Go tell aunt Rhody"), რომლის მელოდია მიეკუთვნება ჟან ჟაკ რუსოს და,რომელიც 1750 წელს შეიქმნა მეფე ლუი XV-ის გართობის მიზნით საფრანგეთში, ხოლო ინგლისელმა ახალმოსახლეებმა გამოიყენეს და აამღერეს საკუთარ ტექსტზე.

ამერიკულ ვერსიაში სიმღერა ეძღვნება ბატს, რომელიც წყალქვეშ დიდხანს ყოფნით გარდაიცვლება. ბატის სიკვდილი სერიოზული პრობლემა იყო XVIII-XIX სს. ამერიკაში, რადგანაც ეს ფრინველი მრავალი მიზნით გამოიყენებოდა. ხორცი ძირითად საკვებად, ხოლო ბუმბული დასაწერად და საბოლოოდ ბალიშებისა და ლეიბების შესავსებად. თუმცა სიმღერის არსი სინამდვილეში არ წარმოადგენს გარდაცვლილი ბატის გლოვას. იგი ძირითადად, ბავშვების დასაძინებლად სრულდებოდა და საგულისხმოა ის ფაქტი, რომ საუკუნეების მანძილზე ტექსტს ახალ-ახალი სტრიქონები ემატებოდა ზეპირი შესრულებისას. ვიდრე სტუდენტები სიმღერების ისტორიას გაეცნობიან, ინტრიგის შექმნის მიზნით, შეიძლება, შემსწავლელთა ასაკის გათვალისწინებით, საკლასო ოთახში ბატის ბუმბული მოიტანით ან წარმოეადგინოთ სიმღერების შინაარსის ამსახველი ეპიზოდური სურათები. მოსმენამდე, პროგნოზირების მეთოდის გამოყენების შედეგად წამოჭრილი საინტერესო დისკუსიები მათ სამეტყველო უნარ-ჩვევებს გააუმჯობესებს, ხოლო სიმღერის შინაარსზე დაყრდნობილი აქტივობა (სურათების სიმღერებთან მისადაგება-შესაბამება; მოცემული სიტყვების სვეტებიდან რითმული წყვილების მოძებნა; კითხვითი წინადადებების დასრულება საკუთარი ვერსიების წარმოდგენით; შინაარსში მოცემული ინსტრუქციების შესრულება ფიზიკური რეაგირების მეთოდის მიხედვით წყვილებად, ჯგუფურად, ინდივიდუალურად და სხვა) განხორციელდება მოსმენის შემდეგ და ხელს შეუწყობს არა მარტო სიმღერების ტექსტის უკეთ დამახსოვრებას, არამედ ასწავლის მსმენელებს კითხვითი წინადადების სტრუქტურას, ენაში დამკვიდრებულ შედარებითი ფრაზების ვარიანტებს, აწმყო განგრძობითი დროის წარმოებას და სხვა ლინგვისტური ელემენტების სწორად გამოყენებას.

შუა საუკუნეებისა და აღორძინების ხანის ნახატებმა გადმოგვცა ბიბლიური ისტორიები (მოუთხრო ისინი წერა-კითხვის უცოდინარ ხალხს) ზუსტად ისევე, როგორც ჰიმნებმა და საგალობლებმა (რომელთაც spirituals და gospels ეწოდებოდათ) ასწავლა ისინი შემდგომ თაობებს. „ახალ სამყაროში" ჩასულ მოსახლეებს განსაკუთრებით ესაჭიროებოდათ ღმერთის შემწეობა და მფარველობა (თუმცა ბევრი მათგანი ნაწილობრივ რელიგიური იყო და თან ჩაიტანა საკუთარი რწმენა, ღირებულებები და საეკლესიო მუსიკა, ბევრი საგალობელი ამერიკაში დაიბადა და მიიღო gospel-ის სახელწოდება). რაც შეეხება spirituals, მას ქმნიდნენ ზანგი მონები და ბიბლიის მათ მიერ ინტერპრეტაციას წარმოადგენს. ასე მაგალითად, ცნობილი spiritual „Let my people go" (გაუშვი ჩემი ხალხი) ეძღვნება ზანგებისა და არა ისრაელის შვილების თავისუფლებას.

ახლაც იმღერება საყოველთაოდ ცნობილი ამერიკული spirituals-ები შობაზე, აღდგომაზე და სხვა დღესასწაულებზე. ერთ-ერთი მათგანი არის ლუკას სახარებიდან იესოს მიერ მოთხრობილი იგავი სახელწოდებით „აბრაამის გულმკერდში" (იგულისხმება საიმედო, თბილი და საპატიო თავშესაფარი უფლის სასუფეველში). იგავი მოგვითხრობს მდიდარი კაცისა და მათხოვრის ამბავს. ამ საგალობელში აისახა უდიდესი თხოვნა ღვთის წინაშე უბრალო მოკვდავი ადამიანისა, შეიბრალოს აბრაამმა მისი ცოდვილი სული და არ მოაკლოს მზრუნველობა მარადიულ სასუფეველში ანუ „გულმკერდში". რელიგიური სიუჟეტის გარდა, სიმღერა ასახავდა

უმძიმეს ცხოვრებას და ამავე დროს იმის რწმენას, რომ ახალ კონტინენტზე ღმერთი ხალხს ახალ იმედსაც აძლევს.

უფლის ნებასა და უდიდეს ძალაზე მოგვითხრობს საგალობელი „ყველაფერი მის ხელშია“ (He’s got the whole world in his hands), რომელიც მე-20 საუკუნეში Master Card-ის სარეკლამოდ გამოიყენეს. ძველი აღთქმის წინასწარმეტყველი ელიას სამოთხეში მოგზაურობას ეძღვნება spiritual-ი „Swing Low, Sweet Chariot“. მასში ცეცხლოვანი ეტლი, რომელმაც ელია სასუფეველში აიყვანა, არის გზა ხსნისკენ, გზა სამოთხისკენ. ის მოგვიანებით თავისუფლების სიმბოლოდ გამოიყენეს საეკლესიო საგალობლების ზანგმა შემსრულებლებმა, რადგან გააიგივეს „მიწისქვეშა რკინიგზასთან“ – შავკანიანი მონების საიდუმლო გასაქცევ მარშრუტთან ჩრდილოეთის შტატებისა და კანადისაკენ. უამრავმა gospel-მა მოაღწია ჩვენამდე ტენესის, ნეშვილის უნივერსიტეტში ჩამოყალიბებულ შემსრულებელთა გუნდის, „Jubilee Singers“-ის წყალობით და ხელი შეუწყო ამერიკული მუსიკალური მემკვიდრეობის ძვირფასი ნაწილის შენარჩუნებას.

Spiritual-ების ტექსტები შეიძლება დავურიგოთ სტუდენტებს სახეცვლილი სახით და მოვთხოვოთ მოსმენისას შეცდომების გასწორება (სასურველია სკრიპტის რამდენიმე ვარიანტის შეთავაზება). ენობრივ ვიზუალურ საყრდენს წარმოადგენს აგრეთვე ფონეტიკური სიმბოლოებით წარმოდგენილი ცალკეული სიტყვები თუ ფრაზები (შეიძლება წინადადებაც), რომლებიც სტუდენტებმა მოსმენისას სწორ რიგში უნდა დააწყონ ინდივიდუალური აღქმა-გაგების დონის მიხედვით. უცხო ენის სწავლების საწყის და ელემენტარულ ეტაპებზე მეტად სახალისო და წარმატების მომტანი იქნებოდა დავალება, რომელიც spiritual-ებში გაგონილი ყველა ბიბლიური სახელის გაგებას, დაწერას, დამახსოვრებასა და სწორად წარმოთქმას გულისხმობს. აქტივობა შეიძლება ჩატარდეს კონკურსის სახით, სადაც ობიექტურ შეფასებას დაჯილდოებაც მოჰყვება.

მაშინდელი ამერიკული ცხოვრების ყოფა მოიტანა ჩვენამდე აგრეთვე სიმღერებმა, რომელშიც უბრალო ხალხის: რკინიგზაზე მომუშავე მუშების, გემთმშენებლების თუ მეზღვაურების გაუკუღმართებული ბედის გამო სწორ გზას აცდენილი „ბუტლეგერების“, თუ პლანტაციებზე დაუზოგავად მშრომელი „ახალი ქვეყნის“ მონების და მოქალაქეების გრძნობები, იმედი, მიზანსწრაფვა და რწმენა აისახა. სიმღერებმა შეითვისა ის სინაზე, რომლითაც შავკანიანი ძიძები სხვის შვილებს უმღეროდნენ იავნანას, იმ დროს, როცა არ იცოდნენ თავიანთი საკუთარი შვილები სად იყვნენ (All the little horses), ის სულისკვეთება, რომლითაც ირლანდიიდან ჩასული მუშები არ ზოგავდნენ ძალებს, რათა წარმატებით დაესრულებინათ რკინიგზის მშენებლობა, რაც მეტად მნიშვნელოვანი იყო განსაკუთრებით სამოქალაქო ომის პერიოდში (I’ve been working on the Railroad, Pat on the Railway), ის იმედი, რომელიც ციხეში მჯდომ სამართალდამრღვევებს არ ტოვებდა და მომავლის რწმენას უნერგავდა (Down in the Valley) და ბოლოს, ის ტკივილი, რომელმაც ბამბის პლანტაციებზე, თაკარა მზის ქვეშ მშრომელი ზანგი მონები სამოქალაქო ომის დაწყებამდე მიიყვანა. სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება ამერიკული მუსიკალური ცხოვრების ძირძველი ფესვების მქონე მიმდინარეობა „ბლუზის“ აღმოცენება, რამაც შემდგომში დასაბამი მისცა როკ-ენ-როლის, როკის, მძიმე როკის, მოგვიანებით დისკოს, პოპის და საბოლოოდ რეპის წარმოშობა-განვითარებას.

მისისიპის შტატში ქ. კლივლენდში დაბადებული ბლუზის და ცნობილი ბლუზმენების ლიდბელის,ბილი ვოთერსის,ბიბი კინგის და სხვათა მუსიკამ დიდი გავლენა იქონია 1950-იანი წლების როკ-ნ-როლზე (ჰელის „Rock Around the Clock“, ბადი ჰოლი, ბიგ ბოფერი, ჯერი ლუისი და როკ-ენ-როლის მეფედ მონათლული

ლეგენდარული ელვის პრესლი), რომელმაც, რა თქმა უნდა, გამოიყენა ბლუზის ჰანგები და დაუმატა ახალი ინსტრუმენტები, რამაც დასაბამი მისცა კლასიკურ როკს. ამ უკანასკნელმა თავის მხრივ, კულტურულ პიკს 1960-იან წლებში მიაღწია (ბითლზი, როლინგ სთოუნზი, ბობ დილანი, ერიკ კლეპტონი და სხვა).

ამერიკული მუსიკის განვითარების ისტორიაში არ შეიძლება არვახსენოთ ბლუზის კიდევ ერთი „შვილობილი" – ჯაზი, რომელიც რეალურად 1895 წელს ნიუ ორლეანის შტატში დაიბადა. იგი წარმოადგენდა რეგთაიმის, სამარშო ბენდ მუსიკისა და ბლუზის ნაზავს იმ განსხვავებით, რომ ხასიათდებოდა გაერცობილი იმპროვიზაციით, დასავლური მუსიკალური ტრადიციებისგან განსხვავებით. აქ მთავარი იყო ერთი მუსიკალური თემა, რომელსაც საბოლოოდ ყოველი შემსრულებელი მრავალი ვარიაციით წარმოადგენდა. ჯაზმა გაიარა განვითარების რამდენიმე პერიოდი, მისი არსებობის ისტორიის მანძილზე მისთვის დამახასიათებელი თანამედროვე მიმდინარეობებითა და წამყვანი მუსიკოსებით (ნიუ- ორლეანის პერიოდი - ბადი ბოლდენი, კლარენს ვილიამსი, კინგ ოლივერი; ჩიკაგოს პერიოდი და ნიუ-იორკის პერიოდი) და მოაღწია დღემდე, რამეთუ ეს ძველი „კარგი დროის" „ბედნიერი მუსიკის" რიტმები დღესაც პოპულარულია და ბევრი ადამიანის გულებში განაგრძობს არსებობა-ცხოვრებას.

ჯაზს მოჰყვა country music-ა, რომელიც რეალურად ტენესის შტატში ქალაქ ბრისტოლში დაიწყო 1927 წლის აგვისტოში, სადაც ვიქტორ რეკორდსის სტუდიაში ჩაიწერა ჯიმი როჯერსის და Carter family- ის მუსიკალური ალბომები.

გადიოდა დრო და იცვლებოდა მუსიკალური გემოვნება.. როკის ჰანგებმა გზა გაუხსნა პოპ მუსიკას, რომელიც მუსიკალური ხელოვნების ფავორიტად გვევლინება 1980-იანი წლებიდან მოყოლებული თავისი „მეფე" მაიკლ ჯექსონის, „დედოფალი" მადონას და უამრავი სხვა პოპ ვარსკვლავის მეოხებით.

სტუდენტებს შეიძლება ვთხოვოთ საყვარელი სიმღერების საკუთარი ჩანაწერების კლასში მოტანა ან ტექსტთან შექმნილი ვიზუალური საყრდენების მოტანა. ეს მათ საშუალებას მისცემს, განიხილონ, იმსჯელონ და ახსნან მათი სიმპათიები და არჩევანი მუსიკის სფეროში. ამ დისკუსიაში შეიძლება მასწავლებელიც ჩაერთოს თავისი ფავორიტების უპირატესობაზე საუბრით. ეს ხელს უწყობს სტუდენტთა საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების აღწერაზე დაფუძნებული ლექსიკისა და თვითშემოქმედებითი მომენტების განვითრებას. მოგვიანებით, ჯგუფი შეიძლება გაიყოს ორ მოასპარეზე გუნდად და დაურიგდეს ცხელი ოცეულის მასწავლებლის მიერ გამზადებული სია. ჩანაწერის მოსმენისას სტუდენტებს მოეთხოვებათ ავტორების სიმღერების დასათაურება და ოცეულის სწორი თანმიმდევრობით განლაგება (აქ აქტივობები შეიძლება უფრო მრავალფეროვანი იყოს: სათაურებისა და სიმღერების მისადაგება, სიტყვების ერთმანეთთან დაკავშირება და სხვა).

ყოველი ახალი მუსიკალური სტილი, რომელსაც ამერიკა შტურმით იტაცებს, მოევლინება ხოლმე იმ თაობის ხასიათისა და შინაარსის წარმოსადგენად, რომელიც ალიზრდება ამ მუსიკის რითმებსა და ჰანგებზე. ასე 1980-იან წლებში ჩნდება რეპ მუსიკის ჩანასახი Sugar Hill Gang-is, Public Enemy-is, N.W.A და Ice-T-ის სახით. რეპის წარმოშობის ისტორია ამერიკაში ჩამოსული აფრიკული ტომების მუსიკასა და მისი შესრულების მანერას უკავშირდება, რაც გულისხმობდა სიტყვების წარმოთქმას იმ მოგუდული დარტყმების ფონზე, რაც სამშობლოდან ახსოვდათ წინამორბედთ. რეპი ვითარდებოდა 1950-იანი წლების სკოლების ეზოებში, ხოლო 1970-იან წლებში უკვე ქუჩებში გადაინაცვლა. 1980-იანებში რეპმა სერიოზული კრიტიკის ქარცეცხლი გაიარა მშობელთა ორგანიზაციების მთელი რიგი სერიოზული განცხადებებით, რომ რეპ მუსიკა ხელს უწყობს ახალგაზრდობაში აგრესიის, არალეგალური

ქმედებებისა და ძალადობის საწყისების განვითარებას, უბიძგებს ნარკოტიკების მოხმარების, გარყვნილობისა და რასიზმისკენ. თუმცა მუსიკოსები არ უარყოფენ, რომ რეპი ღიად საუბრობს „უხეშ" თემებზე, მაგრამ ისინი იმასაც დასძენენ, რომ მსმენელებმა თავად უნდა დაადგინონ ზღვარი ფანტაზიასა და რეალობას შორის და თვითონ განსაჯონ, რა არის სწორი და არასწორი, მართალი და მცდარი.

ყოველივე ზემოთ თქმული არ უშლის ხელს თანამედროვე რეპის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლებს Kid Rock-სა და Eminem-ს, იყვნენ პოპულარულები და განახორციელონ დიდი მასშტაბის მუსიკალური პროექტები მთელს მსოფლიოში, დუეტების ჩაწერა სხვადასხვა ქვეყნების მომღერლებთან. ამასთანავე, შეიძლება მუსიკალური ჟანრები აირიოს. ისე, როგორც ეს თავის დროზე ცნობილი ინგლისური ჯგუფის „Queen"-ის სოლისტმა ფრედი მერკურიმ წამოიწყო და წარმოგვიდგინა საოპერო მუსიკის არაჩვეულებრივი სინთეზი მონსერატ კაბალიესთან ცნობილი ჰიტი „ბარსელონას" სახით. ავიღოთ თუნდაც 10-მილიონიანი გრანდიოზული პროექტი „მაკნატუნა" Eminem-ისა და TATY-ს მონაწილეობით, ელტონ ჯონისა და Blue-ს რიმეიქი ელტონ ჯონის ცნობილი სიმღერისა „Sorry seems to be the hardest word" ან Sting-ისა და Craig David-ის დუეტი „A shape of my heart", რომლის პრეზენტაცია 2003 წლის გაზაფხულზე გაიმართა.

თინეიჯერების უმეტესობა ეტრფის და ეთაყვანება მათ; ზეპირად იცის მათი სიმღერების რეპერტუარი; ხშირად გმირებად აღიარებს ამა თუ იმ შემსრულებელს და ცდილობს მაქსიმალურად მიბაძოს ქცევაში, სიმღერის მანერაში და ენობრივი ელემენტების წარმოთქმაში.

ამდენად, ამერიკული სიმღერების ტექსტები განსაკუთრებული წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ აუდირებისას წარმოთქმის უნარ-ჩვევების გასავითარებლად. აქ იგულისხმება ცალკეულ ფონეტიკურ ასპექტებზე მუშაობა (გადაბმა, ასიმილაცია, ენაში დამკვიდრებული სტანდარტული შემოკლებების გამოყენება). წარმატებით განხორციელდება აგრეთვე ლექსიკური ელემენტების (იდიომების,ფრაზების,რთული კონცეპტუალური ტერმინოლოგიის) სწავლება აუდირების განმავითარებელი უამრავი სავარჯიშოების შესრულებით (როგორიცაა: გამოტოვებული ლექსიკური ერთეულებისა და გრამატიკული ფორმების შევსება, „აზრობრივი ღრმული" - მოსასმენი მასალის დასაწყისში, შუაში ან ბოლოს გამორთული ინფორმაციის კომპენსაცია, „ალქმის დეფექტი" - ლინგვისტურ და ექსტრალინგვისტურ კონტექსტზე დაყრდნობით იმის კომპენსაცია, რაც ყურმა ვერ „დაიჭირა". მოსასმენი ტექსტისა და სახეცვლილი „სკრიპტის" შედარება, მისადაგება, განსხვავების დადგენა, აღმოჩენა, დამატება, ტექსტის შინაარსის განსხვავებული ინტერპრეტაცია და სხვა). სიმღერების შინაარსის უკეთესად გაგების მიზნით, მეტად მნიშვნელოვანია ინტრიგისა და სათანადო „ატმოსფეროს" შექმნისთვის, ვიზუალური საყრდენების როლი, იქნება ეს სიმღერის თემატური სურათი თუ შემსრულებლის პლაკატი ან ფოტო.

მაშასადამე, სიმღერები კულტურული ინფორმაციის შეთვისების იოლი, გასართობი და სასიამოვნო საშუალებაა მაღალმოტივირებადი სწავლებისას აუდირების უნარ-ჩვევის სრულყოფასთან ერთად.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Osman. A. H. and Mcconochie J. If you feel like singing.,Longman Inc1997.
2. The history and evolution of the blues and rock--n--roll. LJTSG@ Gateway.net.
3. Brown, P. The Sound of music. *Modern English Teacher* (MET), Vol. 7, N 3, 1998, p.67-68.
4. Petrone, M. Music in the English classroom. Authentically English-Issue 4, 1998, P 14-15.

**დალი ქადაგიშვილი**
*გრ.რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი. დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის კათედრის დოცენტი*

# ამერიკელი პრიმიტივისტი ქალები (XX საუკუნე)

მე-20 საუკუნის ამერიკაში განსაკუთრებული ელვარებით გაიბრწყინა ხალხურმა ხელოვნებამ. თითქოსდა, ტელევიზიისა და კომპიუტერიზაციის ეპოქაში მასზე დიდი მოთხოვნილება აღარ უნდა ყოფილიყო, მით უმეტეს, რომ ხმამაღლა უთქმელი კონსენსუსით ხალხური ხელოვნება საერთოდ დავიწყებას მიეცა. მაგრამ 1970 წელს ამერიკის ხალხური ხელოვნების მუზეუმში გამოფენილმა ექსპონატებმა ცხადყო, რომ მსოფლიომ ხალხური ნიჭიერების აღიარება დაიწყო. გამოფენას გამოფენა მოჰყვა და დღესდღეობით მთელ ქვეყანაში ბევრი კერძო კოლექცია, გალერეა თუ მუზეუმი თავის კოლექციებს ფოლკ-არტის (ხალხური ხელოვნება) ბრწყინვალე ნიმუშებით ამდიდრებს და იგი ამერიკის ხელოვნების ისტორიის ნაწილი ხდება.

ხალხურ შემოქმედებას თვითნასწავლი ან არასისტემატურად ნასწავლი მხატვრები ქმნიან. ამიტომაც არის, რომ მათი შემოქმედება უშუალო და პრიმიტიულია. პრიმიტივიზმი ხალხური ხელოვნების ერთ-ერთი ფორმა და საგნის აღქმის თავისებური საშუალებაა, ობიექტის გრძნობებით, სიღრმით და ფორმით გადმოცემაა. მე-18–19 საუკუნეებში ტრადიციულ და ხალხურ ხელოვნებებს შორის გამიჯვნა იწყება. ტრადიციული ხელოვნების მიმდევრები ახლად ჩამოყალიბებული ამერიკის ელიტის საამებლად მოღვაწეობდნენ, ხოლო ამის საპირისპიროდ პრიმიტივისტები ქალაქიდან ქალაქში და სოფლიდან სოფელში მოგზაურობდნენ და შეიძლება ნაკლებად ელეგანტურ, მაგრამ, უდავოდ, არანაკლებ მნიშვნელოვან სურათებს ქმნიდნენ.

წინამდებარე ნაშრომში საუბარია სამი ამერიკელი პრიმიტივისტი ქალის – ***ანა მარია რობერტსონ მოზესის, სილვია ალბერტსისა*** და ***კეთრინ ენ ჯეკობსენის*** შესახებ. მათი შემოქმედება მთელ მე-20 საუკუნეს გასდევს და, ამიტომაც, მრავლისმთქმელია.

***ანა მარია რობერტსონ მოზესი*** (Anna Mary Robertson Moses), ამერიკის დიდებული ქალბატონი, 1860 წელს დაიბადა და მთელი საუკუნე, 1961 წლამდე იცოცხლა. მოზესი ქმრის გვარია, რომელიც 1927 წელს გარდაიცვალა. მარია მოზესს 10 შვილი ჰყავდა, აქედან 5 – ბავშვობაში დაეღუპა. მხატვრობა 80 წელს მიტანებულმა დაიწყო, მანამდე კი შესანიშნავად ქსოვდა.

ანა მოზესი არის იმ სტილის მხატვრობის დამაარსებელი, რომელსაც შემდეგში მეხსიერებით მხატვრობა ეწოდა. მისი ხელოვნება არის მშვიდი, ნაზი, თბილი პეიზაჟი, განათებული სცენები, რომლებიც რამდენადმე ნიკო ფიროსმანაშვილის პეიზაჟებს გვაგონებს. მხატვარი აღწერს და გვისურათებს იმას, რაც მეხსიერებამ აღბეჭდა.

ანა მოზესის პირველი პეიზაჟები აფთიაქის ვიტრინაზე გამოჩნდა და სწორედ აქ იხილა ისინი ერთ-ერთმა ნიუ-იორკელმა დილერმა ლუის ჯ. კალდორმა (Louis J. Caldor), ვინც სურათები სხვებს გააცნო. 1939 წელს ანა მოზესი ჩართეს „თანამედროვე უცნობი ამერიკელი მხატვრების“ გამოფენაში, რომელიც ნიუ-

იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში გაიხსნა. 1940 წელს კი ანა მოზესს ამავე ქალაქში პერსონალური გამოფენა მოუწყეს, რის შემდეგაც იგი უცვლელად მონაწილეობს გამოფენებში.

ანა მოზესის სურათების თემა სოფლის პეიზაჟია: იდეალური სოფელი საუკუნის რიჟრაჟზე, ზაფხულობით მწვანეში ჩაფლული, ზამთარში კი თოვლით დაფარული, ცისფერი და სალათისფერი სახლები; ირგვლივ სიწმინდე და სიმშვიდეა, ხალხი თავისი საქმიანობით არის დაკავებული; სურათის წინა და უკანა პლანებზე მოჩანან ყმაწვილი ქალები, ბავშვები და მამაკაცები; ადამიანები ჰარმონიულად უკავშირდებიან ჯერ ერთმანეთს, ხოლო შემდეგ ბუნებასაც, ოღონდ ყველგან და მუდამ ბუნება დომინირებს.

მუშაობის პროცესში ანა მოზესი ხანდახან ჟურნალ-გაზეთებიდან ამონაჭრებსა და საფოსტო ბარათებს იყენებს. მისთვის ეს ყოველთვის მიბაძვისა და შთაგონების წყარო იყო ისეთი დეტალების გამოკვეთისას, როგორებიცაა: შენობები, ხალხი, ცხოველები. მაგრამ, იგი თავად პეიზაჟებს მხოლოდ და მხოლოდ ნატურიდან ხატავდა. ბავშვობისას ანა მოზესი სახატავად ყურძნისა ან ალუბლის წვენში ამოვლებულ ქაღალდს იყენებდა, შემდეგ კი, წლები რომ გავიდა და იგი მხატვრობას დაუბრუნდა, მუყაოს ან ფიცარს ფარავდა თეთრი საღებავის სამი ფენით და, ამგვარად, მომავალი სურათებისათვის გრუნტიც უკვე მზად იყო. მხატვარი მოლბერტს არ იყენებდა, არამედ ერთი მხრიდან ასახდელთავიან ძველებურ მაგიდას ამჯობინებდა. მან მთლიანობაში, დაახლოებით, 1500 სურათი დაგვიტოვა.

ზოგიერთი კრიტიკოსი თვლის, რომ ანა მოზესის ნამუშევრებს რეალობა აკლია, რომ მისი მხატვრობა მხოლოდ დეკორატიულია და დიდი მხატვრული ღირებულების არმქონეა. სხვები (მათ შორის, მეც) ფიქრობენ, რომ მოზესმა ჭეშმარიტად ამერიკული სულის დაჭერა შეძლო, რომ მისი ხელოვნება საუკეთესო და ყველაზე გამომსახველობითია, რაც კი მე-20 საუკუნის ამერიკულ მხატვრობაში ხალხურ შემოქმედებას შეუქმნია. მნიშვნელოვანი არ არის, თუ რომელ სკოლას ან რომელ „-იზმს" მივაკუთვნებთ მის შემოქმედებას. თავისი შემოქმედებით იგი მაინც ჭეშმარიტად ამაღლებული, საოცრად გასაგები და, ამავე დროს, უჩვეულოდ მართალია. ამიტომაცაა, რომ „დიდედა" მოზესი, როგორც მას უწოდებდნენ, ამერიკელ ხალხში უდიდესი რეპუტაციით სარგებლობს.

ანა მოზესი გზის გამკვლევი მნათობია მათთვის, ვინც მას გაჰყვა. მან იმ სტანდარტებს მიაღწია, რომელსაც ბადალი ჯერ არ გააჩნია. ანა მოზესის ნამუშევრები ამერიკის მრავალი მუზეუმის კოლექციაშია შეტანილი, მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმისა და ნიუ-იორკის ამერიკის ხალხური შემოქმედების მუზეუმის ჩათვლით.

გასაოცარი ნიჭიერებით გამოირჩევა, აგრეთვე, მეორე ამერიკელი პრიმიტივისტი ქალბატონი *სილვია ალბერტსი* (Sylvia Alberts). იგი 1928 წელს ქ. ნიუ-იორკში დაიბადა. 1950 წელს მან ილინოისის შტატში ქ. ივენტონის ნორთვესტერნის უნივერსიტეტი დაამთავრა ინგლისური ფილოლოგიის განხრით. 1953 წელს ცოლად გაჰყვა რაქელ რომანს, თუმცა 1958 წელს გაცილდა. შემდეგ, 1962 წელს, იგი გათხოვდა ალან ალბერტსზე, ვის გვარსაც ახლა ატარებს. სილვია ალბერტსი ამჟამად ნიუ-იორკში ცხოვრობს.

სილვია ალბერტსის ნახატები დეკორატიული სტილის და ძალიან რაფინირებულია. თავისუფალი სტილით ხატვა (გრაფიკა) მან შეითვისა თავისი პირველი ქმრისაგან, ვინც პროფესიით არქიტექტორი იყო. ეს იყო ზედმიწევნით,

დეტალური სიზუსტით გადმოცემული დიზაინი, ხოლო როდესაც მეორე ქმარმა დაბადების დღეს კაზეინის საღებავები აჩუქა, მან დიდი მონდომებითა და რუდუნებით დაიწყო კოპირება (1961–1963). პირველი ასლი მან ჯეიმს ბარდის (ჟამეს არდ) სურათის „ნავები" რეპროდუქციით დაიწყო. „მე მქონდა საღებავები და არ ვიცოდი, რა მექნა, – იტყვის მხატვარი მოგვიანებით და დასძენს, – შევუდექი ფოტოსურათებიდან ქალაქის ხედების გადმოტანას და საქმეც დაიძრა." ამის შემდეგ მისი 4 ნახატი გაიყიდა და, ასე და ამგვარად, მხატვარმა გზა ჰპოვა სხვადასხვა გალერეაში.

ს. ალბერტსი ნატურიდანაც ხატავდა და ფოტოსურათთა ასლებსაც იღებდა. შესანიშნავია მისი ნატურმორტები – ყვავილები. მისი პორტრეტები მამაკაცებსა და ქალებს სტატიკურ მდგომარეობაში გვიჩვენებენ, რაც ძველ ფოტოებს გვაგონებს. მისი პეიზაჟები ძველი ქალაქის ხედებია. იგი წერს: „მე მინდა უკვდავვყო ცათამბჯენთა სახურავების ფონზე გაუჩინარებული ნიუ-იორკის ცის ხაზი და ამერიკული პეიზაჟი."

ს. ალბერტსი ზეთის საღებავებითაც ხატავს ტილოზე და, ამავე დროს, ქაღალდზე ფანქარსა და კაზეინის საღებავსაც იყენებს. მისთვის თითოეულ დეტალს დიდი მნიშვნელობა აქვს და ამის გამო ხაზი ძალზე გამომსახველია. ძველ ფოტოსურათებთან ერთად, ალბერტსი ახალ სურათებსაც იღებს ან მოლბერტი პლენერზე გააქვს, სადაც პეიზაჟებს უშუალოდ წერს. „თუ ვერ ვხედავ, ვერ ვხატავ," – ამბობს იგი.

ს. ალბერტს შესრულებული აქვს 350 ტილო და 150-მდე ნამუშევარი ქაღალდზე.

ს. ალბერტსის ხელოვნება ძალიან დეკორატიული და მე-20 საუკუნის ხალხურ ხელოვნებაში პოპულარული სტილის ნიმუშია. მისი ნახატები 1976 წელს ლონდონის ვუდსპრინგის მუზეუმში (ჭოოდსპრინგ უსეუმ), 1979 წელს კანზასის შტატის ქ. ტოპეკის არტ-ცენტრში და 1988 წელს კონექტიკუტის შტატის ქ. ბრიჯპორტის ხელოვნების, მეცნიერებისა და მრეწველობის მუზეუმში გამოიფინა. ინგლისში აშშ-ის ამერიკულ მუზეუმში მისი ნამუშევრები მუდმივ კოლექციაშია.

*კეთრინ ენ ჯეკობსენი* (Kethrine Ann Jakobsen) – „მე ვცდილობ, შევქმნა ისეთი რამ, რაც ხალხს კარგ ხასიათზე დააყენებს, რაც მათ წოწ-ს დააახებინებს" – დაიბადა 1952 წელს უიანდოტში, მიჩიგანის შტატში. დაამთავრა ქრესტვუდის საშუალო სკოლა. 1985 წელს ცოლად გაჰყვა კიტ პალქუიტს. ჰყავს ქალ-ვაჟი. ამჟამად ფლორიდაში, ქ. ქლიარვოტერში, ზამთრობით კი მიჩიგანსა ან მინესოტაში ცხოვრობს.

კეთრინ ენ ჯეკობსენის ფერწერა ელეგანტური, დახვეწილი და მომეტებულად დეტალურია. იგი მიიცავს ნოსტალგიას ქალაქური ცხოვრებისა და სოფლის პეიზაჟებისადმი.

კეთრინი მიჩიგანში გაიზარდა, სადაც იგი ბიჭურად ონავრობდა თავის ძმებთან ერთად, რომლებმაც მას მეტსახელად „ჯუნგლების დედოფალი" შეარქვეს.

1979 წელს კეთრინი საცხოვრებლად ნიუ-იორკში გადადის, სადაც ხელოვნებაში თავისი კარიერის გაგრძელებას ცდილობს. აქ იგი ეცნობა მხატვარ ქალს მატი ლუ ო'კელის (Mattie Lou O'Kelly), ვინც მასზე ზეგავლენას ახდენს.

კეთრინ ჯეკობსენი დიდი გულისყურით არჩევს ობიექტს, გასაოცარი ეფექტებით აღწერს და მთელი მონდომებით გადმოსცემს მის დეტალებსაც კი. მისი ობიექტი შუქებაციალებული უამრავფანჯრიანი აგურის შენობებია უხვი და უსასრულო ფერთა გამით. მის სურათებში სიცოცხლის სიყვარული და უშრეტი ენერგია

იგრძნობა. კეთრინი ფონების შექმნის დიდოსტატია. ფონი მასთან ასეთად არ რჩება, ის მრავლისმეტყველი კომპოზიციაა, ჩართული საერთო აღლუმში და, ამავდროულად, დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე – „სურათი სურათში". მისი „ეუდეორდის შენობა" სრული გულისყურით არის შესრულებული. მასზე ცათამბჯენების მთელი კომპლექსია. წინა პლანზე ამერიკის უდიდესი ქალაქის ცხოვრება ჩქეფს, ხალხი, მსუბუქი ავტომობილები და ავტობუსები, პარკები, შადრევნები და წყვილები, ხოლო უკანა პლანზე კი, მაღალსართულიანი სახლების თავზე, სადაც, თითქოსდა, ცის სილურჯეს უნდა ველოდოთ, მოულოდნელად ლურჯი წყლის უკიდეგანო სივრცეს ვაწყდებით, სადაც ნავიც კი ტორტმანებს მსუბუქ ტალღებზე, და ამ მოულოდნელობას საოცარი სიმშვიდე და სიწმინდე შემოაქვს. ერთი შეხედვით უამრავი დეტალით გადატვირთულ სურათში ბალანსი დაცულია... ეს ჭეშმარიტი ნიუ-იორკია.

კეთრინ ჯეკობსენი ფოტოგრაფიითაც არის გატაცებული, იგი იღებს ქუჩებს, ხალხს, ქალაქის ხედებს და შემდეგ ისინი ზუსტად ან შეცვლილი სახით ტილოებზე გადააქვს. დროსაც ცვლის: ხან აწმყოა და ხან – წარსული. ქალაქებიც შეცვლილია: მხატვარი ხან ნიუ-იორკს გვიხატავს, ხანაც – მიჩიგანს. მას უყვარს ეს ქალაქი, თავისი მშობლიური ქალაქი და ხშირად ასახავს მას. ავტორს უყვარს ფანტასტიკა, რაც მას წარმოსახვითი მხატვრობისაკენ უბიძგებს. ცხენებისადმი სიყვარულს იგი ნახატებშიც ავლენს.

კ. ჯეკობსენი წყლისა და ზეთის საღებავებით წერს. იგი მე-20 საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე საუკეთესო პეიზაჟისტად ითვლება, ხოლო ზოგიერთი მისი აკვარელი კი შეუდარებელია. მის სტილს გამგრძელებლებიც აღმოუჩნდნენ. იგი დაკვეთებსაც იღებს და ახალი ენერგიით პორტრეტებზეც მუშაობს.

ეს სამი მანდილოსანი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად თუ ერთად აღებული, ძლიერი, მამაკაცური სტანდარტებით ხატავენ, მათი შემოქმედება მთელი პოეზიაა, რომელიც ამერიკის სიძლიერესა და თვითმყოფადობას ასახავს. ისინი თვითნასწავლები არიან, მაგრამ ეს სულაც არ აკნინებს მათი შემოქმედების ღირსებასა და ღირებულებას, რადგანაც თავისი ორიგინალურობითა და სენტიმენტალობით, თავიანთი შინაგანი ხედვის წყალობით ისინი ამერიკელი ხალხის ჭეშმარიტი წარმომადგენლები არიან.

მინდა დავასრულო სახალხო შემოქმედის *მინი ევანსის* (Minnie Evans) სიტყვებით: „ჩემთვის მხატვრობა არავის უსწავლებია, არავის შეუძლია მასწავლოს, არავის უჩვენებია, როგორ უნდა ვხატო. მხატვრობა ჩემთან თავად მოვიდა."

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Н. В. Мартыненко, *Живопись США XX в.*, Киев, 1989.
2. *Примитив и его место в художественной культуре нового и новейшего времени*, под ред. А. И. Тананаева, М., 1983.
3. *The Worldbook Encyclopedia*, Chicago-London, 1996.
4. Chuck and Jan Rosenak, *Museum of American Folk Art*, NY.
5. William Rubin, *Primitive In The 20th Century Art*, NY, 1988.
6. *New Art In America* edited by John I. H. Baur, NY, 1957.

**ინგა ქარაია**
*საქართველოს კულტურის სამინისტროს მრჩეველი,*
*საქართველოს მუზეუმების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი*

# კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხები სანტა ფეს (ნიუ-მექსიკოს) მაგალითზე

ნიუ-მექსიკოს შტატის დედაქალაქი სანტა ფე კომერციისა და მსუბუქი მრეწველობის რამდენიმე დარგის ცენტრია, თუმცა მისი ეკონომიკა უმთავრესად კულტურულ ტურიზმს ემყარება. ეს განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ქალაქი წარმოადგენს ინდიელების, მექსიკური, ესპანური და ინგლისური კულტურის უმდიდრეს სინთეზს და, შესაბამისად, შტატის თვითმმართველობის ორგანოებისა და ქალაქის ხელმძღვანელობის მიერ ისტორიული მემკვიდრეობის დაცვა და კულტურული ტურიზმის განვითარება აღიარებულია უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად, დაცულია სათანადო კანონმდებლობებით.

სანტა ფე აშშ-ის უძველესი ქალაქია. იგი 1610 წელს დააარსა კონკისტადორმა პედრო დე პერალტამ და თავდაპირველად ესპანური პროვინციის დედაქალაქს წარმოადგენდა. 1822 წელს, როცა მექსიკა ესპანეთს გამოეყო და დამოუკიდებლობა მოიპოვა, სანტა ფე იქცა მექსიკის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად და აშშ-თან დამაკავშირებელ პუნქტად, რადგან იმ დროისათვის სანტა ფეს გზაზე გადიოდა სავაჭრო მარშრუტი, რომლითაც შტატებთან გაცხოველებული ვაჭრობა მიმდინარეობდა. მექსიკასთან ომის დროს (1846 წელს) გენერალმა სტივენ უოტს კერნიმ სანტა ფე აშშ-ის ტერიტორიად გამოაცხადა. ამ მხარეში რკინიგზის გაყვანის შემდეგ (1880 წელს) ქალაქსა და მის შემოგარენს ახალმოსახლეთა დიდი ნაკადი მოაწყდა. 1912 წლიდან კი ნიუ-მექსიკო აშშ-ის 47-ე შტატად გამოცხადდა.

დღეისათვის სანტა ფე სამხრეთ-დასავლეთ ამერიკის ხელოვნების აღიარებული ცენტრია. 62000 მცხოვრებით (მეტროპოლისიანად 117000) დასახლებულ ქალაქში ფუნქციონირებს 20-მდე მუზეუმი (მათ შორის: ინდიელთა ხელოვნებისა და კულტურის მუზეუმი, ამერიკელ ინდიელთა უილ რაიტის მუზეუმი, ხალხური ხელოვნების საერთაშორისო მუზეუმი, სანტა ფეს საბავშვო მუზეუმი, ნიუ-მექსიკოს მუზეუმი და სხვა) და 175 გალერეა, რომლებიც განლაგებულია Canyon Road-ისა და პლაზას (ოდესღაც სანტა ფეს სავაჭრო გზის ბოლო პუნქტი) გარშემო, აგრეთვე ბევრი სხვა ღირსშესანიშნაობა (აშშ-ში უძველესი სან-მიგელის ეკლესია, წმ. ფრანცისის ტაძარი, მარტვილთა ჯვარი – მემორიალი, სანტა ფეს ოპერა და სხვა), რომლებიც დღეს უამრავ ტურისტს იზიდავს ისტორიულ-კულტურული და არქიტექტურული ხელოვნების ნიმუშების გასაცნობად.

ბუნებრივია, განსხვავებული კულტურების გვერდიგვერდ თანაარსებობამ თავისთავად განსაზღვრა სანტა ფეს მხატვრულ-არქიტექტურული სტილის თავისებურებები, რომელიც წარმოადგენს პუებლოს ინდიელების ე.წ. ედობეს (თიხისა და ჩალის მასალით ნაგები შენობების) და ესპანური კოლონიალური სტილების შერწყმის შედეგს. ალიზის ძველი ნაგებობები, მაღალი კედლებით გარშემორტყმული ბაღები და ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული ქუჩები შესანიშნავად

ერწყმის ბუნებრივ ლანდშაფტს და ქმნის იმ ერთიან განუმეორებელ სტილს, რომლის მთლიანობას მკაცრად იცავს შტატის კანონმდებლობა და ქალაქის მმართველობა, რომელიც საბჭოს – მერის – ქალაქის მენეჯერის ხელისუფლების ფორმით ხორციელდება.

ქალაქის მესვეურთა მიერ შემუშავებული სამოქმედო პროგრამის თანახმად, ისტორიული ნაგებობების უმრავლესობა შენარჩუნებულ იქნა არა მხოლოდ როგორც ღირსშესანიშნაობები, არამედ როგორც თანამედროვე მოქალაქეთა საცხოვრებელი და სამუშაო ადგილები, ხოლო ბევრ შემთხვევაში ძეგლის ნიშნის მქონე შენობებს მიენიჭა ახალი ფუნქცია – იქცა ხელოვნების, სამუზეუმო, საგანმანათლებლო, საფესტივალო, კომერციულ და სხვა სახის ცენტრებად (მაგალითად, აშშ-ის უძველესი საზოგადოებრივი ნაგებობა – გუბერნატორის სასახლე დღეს ნიუ მექსიკოს მუზეუმია, ძველი კაპიტოლიუმის შენობაში განთავსდა კოლონიალური პერიოდის ხელოვნების ნიმუშების კოლექცია, პლაზა გარდაიქმნა ინდიელთა ხელოვნების ბაზრობის ადგილად და სხვა), რაც უდავოდ ხელს უწყობს შესაბამისი ატმოსფეროს შექმნას და აძლიერებს კულტურის ძეგლის აღქმის ვიზუალურ-ესთეტიკურ ეფექტს.

შტატის მმართველობის ისტორიულ ძეგლთა დაცვის სამმართველო განსაკუთრებულ კონტროლს უწევს ახალმშენებლობებს და განუხრელად იცავს კანონის მუხლს, რომლის თანახმად, ქალაქის განაშენიანება უნდა წარიმართოს ადგილობრივი ტრადიციისთვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინებითა და შენარჩუნებით. ამიტომაც, ქალაქში არც ერთი თანამედროვე ნაგებობა არ არის ამოვარდნილი ერთიანი არქიტექტურული სისტემიდან, არ არღვევს ედობეს ორიგინალური სტილის მთლიანობას. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სანტა ფეში საერთოდ არ შენდება სამსართულიანზე მეტი სიმაღლის ნაგებობა, რადგან, კანონითვე, არც ერთი შენობა არ უნდა იყოს ქალაქში მდებარე ფრანგულ-რომანულ ტაძარზე (წმ. ფრანცისის კათედრალი, 1824წ.) მაღალი. სწორედ ამ პრინციპებს ეფუძნება სანტა ფეში უკანასკნელ ათწლეულში აგებული ყველა ახალი შენობა – იქნება ეს მუზეუმი, სასტუმრო, საცხოვრებელი სახლი და რესტორანიც კი. ამ მხრივ საინტერესოა სანტა ფეს სახვითი ხელოვნების მუზეუმის არქიტექტურა, რომელიც თითქმის იმეორებს პუებლოს ინდიელების საეკლესიო მისიის არქიტექტურას, აგრეთვე ინდიელების ხელოვნებისა და კულტურის მუზეუმის გვერდით ახლახან აშენებული რესტორანი, რომელიც ერთიან არქიტექტურულ სისტემას ემორჩილება და ჰარმონიულად ერწყმის სამუზეუმო კომპლექსს.

კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვისას, შტატის თვითმმართველობის ორგანოებისა და მუნიციპალიტეტის როლი არ ამოიწურება მხოლოდ კონკრეტული ისტორიული ძეგლების დაცვით, არამედ მათთვის ეს პროცესი მოიცავს იმ აუცილებელ სტანდარტებს, რომლებიც აერთიანებს განვითარების ყველა ასპექტს – დაწყებული გზების დაგეგმარებითა და მშენებლობისთვის საჭირო მასალით, დამთავრებული ფინანსური ინვესტიციებითა და მრავალისმომცველი საგანმანათლებლო პროგრამებით. საგანმანათლებლო პროგრამების ხელშეწყობა განსაკუთრებით პრიორიტეტულია სამუზეუმო საქმიანობის სფეროში. შტატის თვითმმართველობა გულმოდგინედ იცავს ნიუ-მექსიკოს მკვიდრი მოსახლეობის მდიდარ ეთნიკურ-კულტურულ ტრადიციებს – გრანტებისა და სტიპენდიების სახით უზრუნველყოფს იმ პროგრამების დაფინანსებას, რომლებიც ხელს უწყობს სანტა ფეს მუზეუმების ეფექტურ მუშაობას. თუმცა აქაც, ისევე როგორც მთელ ამერიკაში, სახელმწიფო მხოლოდ 10%-ით ფარავს მუზეუმების შენახვისა და

ფუნქციონირების ხარჯებს, დანარჩენი კი მოდის სხვადასხვა კორპორაციებზე, ფონდებსა და კერძო პირებზე.

აშშ-ში მოქმედებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი ფუნქციის შენარჩუნების კარგად შემუშავებული სტრატეგია, რაც, სათანადო კანონმდებლობასთან ერთად, მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში. ამის შედეგად, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა პრიორიტეტულია არა მხოლოდ შტატების მმართველობისათვის, არამედ მოსახლეობისთვისაც, რომელიც ქმედით დახმარებას უწევს სხვადასხვა კულტურული პროექტების რეალიზებას. სანტა ფეში მდებარე ბევრი ძველი კერძო შენობა, რომელიც ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენს, ფაქტობრივად რესტავრირებული და მოვლილია მათ მფლობელთა მიერ, რაც წახალისებულია სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა დახმარების სახით (გრანტები, კომპენსაციები, გადასახადებისაგან განთავისუფლება). ცხადია, თანადგომის ამგვარი პრაქტიკა არ შემოიფარგლება მხოლოდ ნაგებობებით ან მუზეუმებითა და იგი ვრცელდება პარკებზე, ბაღებზე და ბუნებრივი სილამაზის მქონე ადგილ-მდებარეობებზეც. ამასთან, ბუნებრივია, ინდივიდუალურ პირთა მიერ გაწეული ქველმოქმედება არ არის სპონტანური და არასდროს ხორციელდება ქაოტურად. სამთავრობო სტრუქტურების პარალელურად, აშშ-ში მოქმედებს არასამთავრობო პროფესიული ასოციაციების ქსელი, რომელიც ხშირად სთავაზობს მას ალტერნატიულ (უმეტესწილად ძალზე მოქნილ) კულტურის მენეჯმენტს,ხოლო ფედერალურ საწყისებზე შექმნილი სხვადასხვა ტიპის ფონდები უზრუნველყოფენ საკონსერვაციო სამუშაოების, მენეჯმენტისა და მარკეტინგის მაღალ სტანდარტებს. ასეთი ურთიერთთანამშრომლობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროგრამების განხორციელებაში, რომლებიც ორიენტირებულია უფრო გრძელვადიან პროექტებზე, ვიდრე ექსტრავაგანტურზე, ემყარება შემოქმედებით მიდგომას და კონცენტრირებულია მრავალწახნაგოვანი კულტურის შემდგომ განვითარებაზე.

სანტა ფეს მუზეუმების უმრავლესობა, აშშ-ის სხვა მუზეუმთა მსგავსად, სპეციალიზებულია ადგილობრივი ამერიკელების ყოფის, ისტორიისა და ხელოვნების დაცვაზე, კვლევასა და ექსპონირებაზე. სამუზეუმო კოლექციები მოიცავს სამხრეთ-დასავლეთ ამერიკისა და მხარის ინდიელთა საოცრად ესთეტიკურ რელიგიურ-ისტორიული მნიშვნელობის ექსპონატებს (ქრონოლოგიურად – პალეო-ინდიელების კულტურიდან თანამედროვე ხელოვნებასა და ხელოსნობამდე). ეს მუზეუმები გაერთიანებულია სმიტსონის ინსტიტუტის ამერიკული ხელოვნების მუზეუმების ქსელში (29 მუზეუმი), რომელიც განუხრელად იცავს მკვიდრი მოსახლეობის კულტურას ხელოვანთა წახალისებისა და ინდიელთა ხმის უფლების გაძლიერებით. ამ მიზანს ემსახურება მუზეუმების კოლექციები, საგანმანათლებლო და სხვა სახის პროგრამები, რადგან „აშშ-ის ისტორიაში პირველი სიტყვა ეკუთვნით ინდიელებს" (მეგი ბერტინი, სმიტსონის ინსტიტუტი).

აშშ-ში მუზეუმები არ არის მხოლოდ წარსულის ექსპონატების შემნახველი საცავი, არამედ წარმოადგენს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც ახდენს საზოგადოების განვითარებისა და პროგრესულობის მუდმივ დემონსტრირებას. საამისოდ მუზეუმების მენეჯმენტი ისე შეიძლება იყოს წარმართული, რომ მნახველი განცვიფრებულიც დარჩეს და კმაყოფილიც. ხშირად მუზეუმები კოლექციებს ისე სთავაზობენ დამთვალიერებლებს, როგორც თეატრალურ შოუს, რომელშიც მუზეუმის სტუმრებიც მონაწილეობენ და საამისოდ მრავალგვარი ტექნოლოგია გამოიყენება

— მოყოლებული აუდიო-ვიზუალური მასალიდან, დამთავრებული შემოქმედებით პროცესში ჩართვით მუზეუმთან არსებულ სტუდია-სახელოსნოებში. ამგვარი სახელოსნოები აშშ-ის, მათ შორის სანტა ფეს ბევრ მუზეუმში ფუნქციონირებს და ხელოსნობის ტრადიციის შენარჩუნება-აღორძინებასთან ერთად, მცირე მანუფაქტურულ წარმოებაში დასაქმების შესაძლებლობასაც ქმნის.

ადგილობრივი მოსახლეობის ისტორიის, კულტურის კვლევისა და დემონსტრირების ახალი მეთოდების მოძიებასთან ერთად, სანტა ფეს მუზეუმები მუდმივად იღწვიან დაფინანსების დამატებითი სახსრების მოზიდვისათვის. მათი შემოსავლის გაზრდაში სხვადასხვა ინგრედიენტი მონაწილეობს. კომერციული თვალსაზრისით მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მაღაზიები, რომლებიც ყველა მუზეუმში არსებობს. აქ იყიდება მუზეუმის კოლექციის რეპროდუქციები და წიგნები, სხვადასხვა სახის სუვენირული ნაწარმი, კომპაქტ-დისკები, სამკაულები, ტანსაცმელი და ჭურჭელი, თამაშობები და პროდუქტებიც კი (ამა თუ იმ მუზეუმისთვის განკუთვნილი სავაჭრო პუნქტი შეიძლება ქალაქის სულ სხვა ტერიტორიაზე, მუზეუმის ფარგლებს გარეთაც მდებარეობდეს). მუზეუმების ერთ-ერთი არსებითი ნაწილია კაფეტერია, რომლის სამუშაო გრაფიკი მუზეუმის სამუშაო საათებს ემთხვევა და შეიძლება ნაცნობ-მეგობრებთან შეხვედრის ან დასვენების საყვარელ ადგილად იქცეს.

მუზეუმებში ჯანსაღი კომერციული გარემოს შექმნა ხორციელდება ძალზე გონიერულად, ძეგლებისთვის ზიანის მიყენების გარეშე, ისე, რომ საზოგადოებისთვის რაც შეიძლება ღია და იოლად ხელმისაწვდომი გახდეს ის ძირითადი იდეა, რასაც კულტურული მემკვიდრეობის კონკრეტული ძეგლი განასახიერებს. საბოლოო ჯამში, ყოველივე ამან უნდა გამოიწვიოს საზოგადოების დაინტერესება და უნდა იქცეს ინდივიდუალური ინიციატივების მაპროვოცირებლადაც.

მუზეუმების გარდა, სანტა ფეში ადგილობრივი კულტურის დაცვისა და განვითარების მიმართულებით მუშაობს ამერიკის ინდიელთა ინსტიტუტი /IAIA/, რომელიც ორიენტირებულია მკვიდრი მოსახლეობისათვის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაზე, ხოლო ინდიელთა სამხრეთ-დასავლეთის ასოციაცია კოორდინირებას უწევს სხვადასხვა ტიპის ფესტივალების ჩატარებას და ინდიელთა ხელოვნების ბაზრობების ორგანიზებას, რომელშიც ინტენსიურად მონაწილეობს სანტა ფეს გარშემო /100 მილის რადიუსში/ მდებარე პუებლოს ინდიელების 19 სოფლის მოსახლეობა. სანტა ფეს ცენტრალურ მოედანზე (Plaza) ყოველდღე, დილის 7 საათიდან იწყება ხალხური რეწვის ნიმუშების (ტექსტილი, კერამიკა, სამკაულები და სხვა) გამოფენა-გაყიდვა, რაც ხელს უწყობს ადგილობრივი ტრადიციის აღორძინებას და მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას.

სანტა ფე განსაკუთრებით განთქმულია მრავალრიცხოვანი სამხატვრო გალერეებით, რომელთა რაოდენობა 175-ს აღწევს და სახვითი ხელოვნების უსაზღვროდ ფართო არჩევანს სთავაზობს დამთვალიერებლებს. სამხრეთ-დასავლეთ ამერიკის მხატვრებისთვის სანტა ფე წარმოადგენს საკუთარ ნაწარმოებთა სარეალიზაციო ცენტრს და როგორც ხელოვნების ბაზარი, მე-3 ადგილზეა მსოფლიოში (ნიუ-იორკისა და პარიზის შემდეგ). სანტა ფე ამერიკელ (და არა-მხოლოდ ამერიკელ) მხატვართათვის ერთგვარ „აღქმულ მიწად" ითვლება მას შემდეგ, რაც 1920 წელს აქ ბევრი ხელოვანი ჩამოვიდა ტუბერკულოზის სამკურნალოდ და შემდეგში სამუდამოდ დამკვიდრდა. სწორედ აქედან ჩაეყარა საფუძველი მხატვართა ერთგვარ კოლონიას, რომელიც არაერთ უცხოელ მხატვარს აერთიანებს.

ემიგრაციის დიდმა ტალღამ გამოიწვია თანამედროვე ხელოვნების ბევრი გალერეის გახსნა, მათი უმრავლესობა განლაგებულია Canyon Road-ზე და სპეციალიზებულია უახლესი მხატვრობის სხვადასხვა მიმართულებებზე. მათ გვერდით მუდმივად „თანაარსებობს" ხალხური რეწვის (Craft) ოსტატთა ნაწარმი, რაც ემიგრირებულ ჯგუფებსა და უმცირესობებს ხელს უწყობს საკუთარი ტალანტის წარმოჩენასა და ქალაქის ეკონომიკაში წვლილის შეტანაში.

სანტა ფეს კულტურის პოლიტიკა მყარად ინარჩუნებს კულტურის განსხვავებულ კომპონენტებს შორის ურთიერთკავშირს და მუდმივად ზრუნავს ქალაქის სულიერი ცხოვრების გამრავალფეროვნებისათვის. წლის მანძილზე აქ იმართება სხვადასხვა ხასიათის სიმპოზიუმები, სიმფონიური ორკესტრის კონცერტები და მოყვარულთა თეატრების წარმოდგენები, რეპერტორიის თეატრის სპექტაკლები. ხოლო ზაფხულის სეზონის დროს, როცა სანტა ფეში ასეულ ათასობით ტურისტი ჩამოდის, იმართება აგრეთვე კამერული მუსიკის ფესტივალი და Desert Chorale, იდგმება აშშ-ის პოპულარული სანტა ფეს ოპერის თეატრის სპექტაკლები. საბოლოო ჯამში კი, ყოველივე ეს ხელს უწყობს კულტურული ტურიზმის განვითარებას, რაც წარმოადგენს კიდეც ქალაქის შემოსავლის ძირითად წყაროს და საგრძნობლად აუმჯობესებს ადგილობრივ ინფრასტუქტურას. სანტა ფეს საერთაშორისო ურთიერთობების საბჭო (CIR) უზრუნველყოფს ტურიზმის ხელშეწყობის მექანიზმების ეფექტურ მუშაობას და ქმნის შესაბამისი პირობების იმგვარ კომპლექსს, რომელიც ტურიზმის პოტენციალის მაქსიმალიზაციას ახდენს (სტატისტიკით სანტა ფეს პლაზაზე მოქმედ ინდიელთა ხელოვნების ბაზრობას აგვისტოს თვეში, როგორც წესი, 150000 ტურისტი სტუმრობს).

ნიუ-მექსიკოს შტატის თვითმმართველობისა და სანტა ფეს მუნიციპალიტეტის გონივრული სამოქმედო პროგრამა უზრუნველყოფს კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და ტურიზმის ხელშეწყობის მექანიზმების ინტეგრირებას. ამასთან, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და ტურიზმის განვითარება ხორციელდება ხელოვნების ადგილობრივ და ეროვნულ ორგანიზაციებთან, ბიზნესის ლიდერებთან, ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ფილანთროპებთან და ინვესტორებთან მჭიდრო თანამშრომლობით, რაც მიზნის მიღწევისა და წარმატების მყარ გარანტს წარმოადგენს.

**ლალი ჯოხაძე**
*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენებისა და თარგმნის კათედრის დოცენტი*

# საინტერესო კონცეპტები მხატვრულ ტექსტში (თომას პინჩონის რომანის „მიზიდულობის ცისარტყელა"-ს მიხედვით)

სიტყვა გვეხმარება ნაცნობის და კონკრეტულის საშუალებით შევიმეცნოთ აბსტრაქტული უცნობი, ანუ სხვაგვარად სიტყვა და მეტაფორული აზროვნება გვეხმარება შევიმეცნოთ სამყარო როგორც ხილული, ისე არხილული, მოვიყვანოთ წესრიგში ირგვლივ გამეფებული ქაოსი[1]. ყოველი ახლის შექმნა და განვითარება დაკავშირებულია შემოქმედებასთან. ასევე ხდება ენაშიც, სადაც მეტაფორული ტექნიკა და მეტაფორული შემოქმედება საფუძვლად უდევს სხვადასხვა სემანტიკურ პროცესებს: ახალი მნიშვნელობების და ნიუანსების წარმოქმნა, სინონიმების განვითარება, პოლისემიის შექმნა, სამეცნიერო ტერმინების ხმარება მხატვრულ ტექსტში ემოციური და ექსპრესიული კონოტაციების შესაქმნელად და ა.შ., ალუზიებიც კი, რომლებიც სხვა არაფერია თუ არა მეტაფორა, რომელიც იმდენად დავიწყებული და გაუფერულებულია, ანუ ემოციურად უძლურია, რომ საჭირო ხდება მათი ისეთ მხატვრულ კონტექსტში მოთავსება, რომ ჩამქრალი ინფორმატიული პოტენციალი ახალი ემოციების და შემოქმედების წყარო გახდეს.

დღევანდელი უმაღლესი ტექნოლოგიის განვითარების სამყაროში სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგია არ განიხილება მხოლოდ მეცნიერული ინფორმაციის გადაცემისა და შენახვის პოზიციებიდან. დღეს სპეციალური ლექსიკის შესწავლის მასშტაბები მნიშვნელოვნად გაიზარდა და იგი სალიტერატურო ენის გამდიდრებისა და მხატვრული ნაწარმოების სტილისტური რეზერვის წყაროდ გადაიქცა. უფრო მეტიც, ამ ფენომენს ლინგვისტიკაში საკუთარი სახელდებაც გაუჩნდა – სამეცნიერო ტერმინების დიდი ტრანსგრესია ჰუმანიტარულ მეცნიერებაში.

ნიშანდობლივია,რომ არა მარტო სალიტერატურო ლექსიკიდან აღებული სიტყვა გვთავაზობს სხვადასხვა მნიშვნელობათა ერთდროულ რეალიზაციას, არამედ ზუსტი სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინებიც (ერთმნიშვნელობის უცილობელი გამომხატველი სიტყვები) მრავლად გამოიყენება მხატვრულ ტექსტებში. მათი შეცვლილი სემანტიკის გამომჟღავნება მთელი ნაწარმოების მხატვრულ სახეთა ხატოვანი სისტემის წარმოქმნის საფუძველი ხდება, რომელშიც მწერლის სამყაროს აღქმაა გარდატეხილი.

თანამედროვე ამერიკელი კლასიკოსი მწერლის თომას პინჩონის მთელი შემოქმედება ამ აზრის დამამტკიცებელია, თუ თვალს გადავავლებთ მისივე ნაწარმოებების სათაურებს, გამოხატულს მეცნიერული ტერმინებით: „Gravity's Rainbow" (მიზიდულობის ცისარტყელა), „Entropy" (ენთროპია), „V" (ვი), „The Sotweed Factor" (სარეველას ფაქტორი), „The Crying of Lot 49" (ძახილი 49 სექტორიდან) და სხვა, თ. პინჩონი სადღეისოდ ამერიკული მოდერნიზმის ყველაზე ცნობილი ფიგურაა და ძალიერ გამოუცნობიც. მწერლის ამოუხსნელობის ერთ-ერთი მიზეზი, ჩვენი ღრმა რწმენით, მის მიერ აღქმული სამყაროს ორიგინალურ მოდელირებაში

მდგომარეობს, რაც კონკრეტულ ენობრივ მასალაში ხორცშესხმისას სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგიისა და მხატვრული აზროვნების არაჩვეულებრივ შერწყმა-შეხამებაში მჟღავნდება.

საილუსტრაციოდ მოგვყავს მაგალითები მისი საკმაოდ გახმაურებული რომანიდან „მიზიდულობის ცისარტყელა“ (Gravity's Rainbow)[2], სადაც მწერალმა მოახერხა თანამედროვე საზოგადოებაში გამეფებული უწესრიგობა გამოეხატა არაერთი განსაკუთრებულად ზუსტი ტერმინით. ამ შემთხვევაში შემოვიფარგლებით სამედიცინო ტერმინით *პარანოია* - *paranoia*, რის საფუძველსაც წარმოადგენს – ერთი და იმავე სიტყვის რამდენიმე მნიშვნელობის ერთდროული რეალიზაცია.

ტერმინი Paranoia უახლეს განმარტებით ლექსიკონებში თითქმის ერთი ძირითადი მნიშვნელობით განისაზღვრება – „ავადმყოფური ფსიქიკა, ნებისმიერი გადახვევა ნორმალური ქმედებებიდან“. აღნიშნული რომანისთვის ეს სიტყვა-ტერმინი გვევლინება იმ ძირითად კოგნიტურ კონცეპტად, რომელმაც ტექსტის კონცეპტუალურ სისტემაში წარმოქმნა კონცეპტთა რთული კომპლექტი. ახალი მნიშვნელობები და კონცეპტები აღწერილია სხვადასხვა პარაგრაფებში, სადაც მოცემული ტერმინის ინფორმატული პოტენციალი წარმოქმნის ერთიან თვითმმართავ ორგანიზებულ სისტემას, რომელიც ნათლად წარმოსახავს ავტორის მიერ შემეცნებულ რეალურ სამყაროს მთელი თავისი მანკიერი მხარეებით: ამორალობა, კორუფცია, სიცრუე, მლიქვნელობა, ეთიკური და ფიზიკური დაცემა, ანუ ყველა ის თვისება, რაც ახასიათებს პარანოიდულ საზოგადოებრივ წყობას მსოფლიო მასშტაბით და არამხოლოდ ამერიკაში.

ქვემოთ მოყვანილი ნაწყვეტები, რომლებიც მთელი რომანის გამჭოლი ანალიზის შედეგად მოკრებილი შემთხვევებია, წარმოქმნიან აღნიშნული ტერმინისათვის კონცეპტუალურ სისტემას, ანუ წარმოიშობა ახალ კონცეპტთა ერთობლივი კომპლექტი, რომელშიც სხვადასხვა სემანტიკური მნიშვნელობები ვლინდება: 1. ნებისმიერი უარყოფითი გადახრა ნორმალური მდგომარეობიდან ან ქმედებიდან – დაავადებული ფსიქიკა; 2. სატანური, ჯოჯოხეთური ძალა რეგრესისა და ნგრევისა, რომელიც უპირისპირდება ყველანაირ წმინდანობის ცნებას ცოდვილ მიწაზე; 3. დაგროვილი რისხვის გადმონთხევა გამოწვეული უსამართლობით, რომელიც არსებობს აღნიშნულ საზოგადოებაში; 4. უმიზნო, უსნეო პროპაგანდა, არსებული სიტუაციის „გასაუმჯობესებლად“; 5. სახელმწიფო აპარატის მიერ შექმნილი სიცრუის, კორუფციის, მლიქვნელობის და ამორალობის გამანადგურებელი ატმოსფერო, რომელიც შენიღბულია კეთილშობილებისა და სიკეთის ნიღბით, სინამდვილეში კი მტერია ყოველგვარი სიკეთისა და პატიოსნების; 6. საზოგადოების დემორალიზაცია, ჭეშმარიტი ღირებულებების გაუფასურება, ანუ მორალური ეთიკის დაკარგვა; 7. სისულელე, ბოდვა, რომელიც შეიცავს ჭეშმარიტების მარცვალს.

რომანის ლოგიკურ-შინაარსობრივი ინფორმაცია ასეთია: მთავარი პერსონაჟი ტაირონ სლოთროპი, რომელიც სქემატურად მთელ კაცობრიობას წარმოადგენს, აღშფოთებულია იმ უსამართლობით და უმსგავსოებებით, რომლითაც სავსეა მის ირგვლივ გამეფებული სამყარო. მიუხედავად მკაცრი მუქარისა, იგი ხმამაღლა, გამოთქვამს თავის აზრებს. თუმცა, ბოლოს და ბოლოს, თვითონაც ამ პარანოიდული საზოგადოების წევრი ხდება. ტაირონი ნეგატიური გმირის განუმეორებელი სახეა თანამედროვე ამერიკულ ლიტერატურაში, რომელსაც აღმოაჩნდება გასაოცარი და უჩვეულო ნიჭი: იგი წინასწარ გრძნობს და ადგენს გერმანელების მიერ რაკეტის გაშვების ვადას, რომელიც ემთხვევა მისი ფიზიოლოგიური ერექციის

ვალდებს. აღმოჩენისაგან თავზარდაცემული ის გარბის ლონდონიდან, სადაც აკრედიტებული ლეიტენანტის წოდებით ცხოვრობს მეორე მსოფლიო ომის დროს და, ბოლოს და ბოლოს ლეგენდად ქცეული ტაირონი მოქმედებს როკიტმენის (Rocketman) სახელით. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული სიტყვა ბრიტანულ სასაუბრო ინგლისურში უარყოფითი კონოტაციით წარმოდგება (ადამიანი, რომელმაც ჩაიდინა ძირგამომთხრელი, ღირსების შემლახველი საქციელი).

(1) *Pointsman has been talking about paranoia and the idea of the „opposite". He has scribbled in The Book exclamation points and how trues all about the margins of Pavlov's open letter to Janet concerning the sentiments d'emprise, and the Chapter LV, „An Attempt at a Physiological Interpretation of Obsessions and of Paranoia" – he can't help this bit of rudeness, although the agreement among the seven owners was not to mark up The Book – it was too valuable for that sort of thing, they'd had to put in a guinea apiece.(101)*

ლინგვო-სტილისტური ანალიზის საფუძველზე აღნიშნულ მაგალითში ერთდროული რეალიზაციის პირველი ტიპია (consecutive) წარმოდგენილი. რეალიზდება ***paranoia***-ს მეორე მნიშვნელობა ზემოთ ჩამოთვლილი სიიდან, რომელიც ბიბლიის ძველი აღთქმიდან (The Book) ათი მცნების შეპირისპირების საფუძველზე ვლინდება. აღნიშნული მნიშვნელობის გარდა, ერთდროულად რეალიზდება მისი ძირითადი ლოგიკურ-შინაარსობრივი მნიშვნელობა ნომერი პირველი. აღნიშნულ ტერმინს ავტორი ტექსტშივე განსაზღვრავს ამ სიტყვის სინონიმური განმეორებით – *obsession* (აკვიატება). მისი სტილისტურად მარკირებული ორთოგრაფიული გამოსახვა მიუთითებს ერთდროულად სხვადასხვა სტილისტურ – ტექსტის ორგანიზების, მომწესრიგებელ-მაკოორდინებლის, ინფორმატულობის და ემოციურ–ექსპრესიულობის ფუნქციებზე. გმირის სულიერი მდგომარეობის აღწერისას ის მიუთითებს ტერმინის ზუსტ მეცნიერულ ინტერპრეტაციაზე და გვთავაზობს გმირის შემეცნებითი ქმედებების უარყოფით ანალიზს. მოყვანილი მონაკვეთიდან ბოლო ფრაზა წარმოქმნის ახალ ინფორმაციას: „წიგნი იმდენად ძვირფასი იყო, რომ თითოეულს მოუხდა გინეის დადება მის შესაძენად". მოცემული ანტითეზა *valuable* და *a guinea apiece* გამოხატავს შეუსაბამო შესიტყვებას (რომელთა სემანტიკური სტრუქტურები კონტრასტულ სემებს შეიცავს. გინეა ძველი ბრიტანული ფულის ერთეულია, რომელიც უდრის დღევანდელ ერთ გირვანქას). წარმოიქმნება მწარე ცინიზმი, რომელიც გამოწვეულია ავტორის უიმედობით – რწმენადაკარგული, დაბნეული და გაოგნებული თანამედროვე საზოგადოება ველარასოდეს დაიბრუნებს წმინდანობის რელიგიურ იდეალს.

ცინიზმით აღსავსე ავტორი შემდეგ მაგალითში კელავ ცდილობს სიტყვის დეფიცირებას სენტენციით, ანუ კლასიკური მეთოდით. ამაღლებული სტილის ლექსიკის გამოყენებით იგი ასრულებს განმაზოგადებელ ფუნქციას. შემდგომში, როგორც ყველა ეპიგრამატული ტექსტი, იგი იქცევა ენის სისტემის საკუთრებად, რომელიც სხვადასხვა ტექსტში შეიძლება გამოვიყენოთ როგორც აბსტრაქტული კონცეპტი. ამ შემთხვევაში ავტორი ალუზიურად, ქარაგმულად მიანიშნებს ბიბლიის ტექსტზე: *Master and his creatures* და სოლომონ ბრძენის ანდაზებზე, რომლითაც ტერმინს მეტ მეცნიერულ სიზუსტეს და მაღალსალიტერატურო ლექსიკის სტატუსს სთავაზობს, რაც იწვევს ირონიის განწყობას. როგორც ეს ამერიკელებს სჩვევიათ,

ბიბლიის კანონიკურ ტექსტს ხშირად ამერიკულ ყოფას და ჩვევებს მოუსადაგებენ ხოლმე.

(II) *Proverbs for Paranoids, 1: You may never get to touch the Master, but you can tickle his creatures. (276)*
ანდაზები პარანოიდებისთვის: არასდროს შეეხოთ შემოქმედს, თუმცა მისი ქმნილება შეგიძლიათ ამაიმუნოთ სურვილისამებრ (ზწკარედული ანუ პირდაპირი თარგმანი).

ამ შემთხვევაში რეალიზდება პირველ მნიშვნელობასთან ერთად, მეორე და მეექვსე მნიშვნელობები – უარყოფითი კონცეპტი ბიბლიური ცნების დარღვევას გულისხმობს: *ნუ განიკითხავ*, რაც ტექსტში საპირისპირო სენტენციით გადმოდის – „შეგიძლია განიკითხო მოყვასი თუ მის შემქმნელს არ შეეხები".

*(IV) It came to him: what if it's some mauve turn-of-the-century tale of ghostly revenge and this hair here's some First Step... Oh, paranoia? You should've seen him going through all the combinations as he moved around doing lavatory things among the stumbling, razor-scraping, hacking, sneezing and snot-crusted inmates of Psy Section.*

მოყვანილი მაგალითი სინქრონული ერთდროულობის მეორე ტიპს წარმოადგენს. მთავარი გმირი კვლავ გამოფიტული და გონებაარეული დაბორიალობს ბინაში და აღნიშნულ ტერმინს უკვე შორისდებულის ფუნქციითაც ხმარობს, ე.ი. პირველ მნიშვნელობასთან ერთად, რეალიზდება მესამე და მეშვიდე მნიშვნელობები, რომელიც წამიერი გაელვებით სინქრონულად წარმოშობს ახალ ინფორმაციას მკითხველის აზროვნებაში: *Gosh, Oh My God!*-ის ევფემიზმია – *Oh, Paranoia?*

*(V) „You are a witch", Paranoid that he is, he snuggles down under the counterpane with the long-legged sorceress, lights a cigarette, and despite endless Tchitcherines vaulting in over the roofless walls with arsenals of disaster all for him, even falls asleep, presently in her bare and open arms.(343)*

ამ შემთხვევაში, ლოგიკურ მნიშვნელობასთან ერთად, იბადება ახალი მნიშვნელობები – მეორე და მეექვსე (სატანური, ჯადოქრული და ამორალური), რომელიც ნეგატიურად ახასიათებს მოქმედ გმირს. აღნიშნული ინფორმაცია პოტენციურად შეიცავს ისეთი სიტყვების ურთიერთზემოქმედებას, როგორიცაა უშუალო კონტექსტი *witch*-თან და დისტანტურ კონტექსტში *sorceress*-თან.

(VII) *Ass you're on their side. It's a great swamp of paranoia (38).*
ვირო, შენ იმათ მხარეზე ხარ. ეს პარანოიდების უზარმაზარი ჭაობია.

სემანტიკური თვისებების განსაზღვრისათვის, რომელიც მოყვანილ მაგალითში სამედიცინო ტერმინის *paranoia* მეტაფორულ გააზრებას ედება საფუძვლად, აუცილებელია გრამატიკული ქვემდებარის *it* სიტუაციური რეფერენტის გამოვლენა მაიდენტიფიცირებელ წინადადებაში – *It's a great swamp of paranoia*, რომელშიც, ერთი შეხედვით, ნებისმიერი უსულო საგანი იგულისხმება. ამ შემთხვევაში *paranoia*

მის კონტაქტურ მსაზღვრელთან *swamp*-თან ერთად მიუთითებს საზოგადოების მთელ წყობაზე ზოგადად, რომელიც ჩაფლულია ამორალურ, ჭუჭყიან ჭაობში, რომელიც ისიდავს და ისრუტავს ყველაფერს. აღნიშნული სიტყვის უჩვეულო სიხშირემ განაპირობა კოგნიტური ქმედებების მოკვლევა, ანუ ინფორმაციის აქტიური გადამუშავება და ტრანსფორმირება. დაფარული აზრის ინტერპრეტაციისათვის, ანუ კონკრეტული ცოდნის მისაღებად ისევ ვუბრუნდებით მთლიან ტექსტს და ერთ-ერთ ლოკალურ კონტექსტს,სადაც ავტორი თვით გვთავაზობს აღნიშნული სიტყვის დეფინიციას, რომელიც სათაურის შემეცნებასა და ინფორმატულობის დადგენაში გვეხმარება.

აღნიშნული სამედიცინო ტერმინი, რომელიც მხოლოდ ნეგატიური მნიშვნელობით იხმარება, დაზიანებული ფსიქიკის ადამიანსა და ავადმყოფობას აღნიშნავს და მის სემანტიკურ სტრუქტურაში გამოიკვეთა სიკვდილის სემა, გადამდები ვირუსით. გარდა ამისა, ტექსტში აღწერილია დაავადებული ადამიანის ტვინის ფორმა (data that suggest the curves for certain – conditions … they're actually quite flatter in the upper part then progressively steeper – a sort of bow shape …). სიტყვები curve (მოღუნული) და bow (მოხრილი) სტილისტურად მარკირებულია და ეხმაურება სათაურს „Gravity's Rainbow", რომელიც კოგნიტურ კონცეპტებს წარმოადგენს მთელი რომანისთვის. თუკი შევადარებთ ლექსიკონის დეფინიციებს,სადაც gravity მრავალმნიშვნელიანია: 1.სერიოზულობა, მნიშვნელოვნობა; 2. სიმძიმე და სახიფათო ხასიათი მდგომარეობისა და ავადმყოფობისა; 3. სერიოზული და დარბაისლური ქცევა; 4. სიმძიმის ძალა, გრავიტაცია, მიზიდულობა, რომლის ძირი უტოლდება სიკვდილის სემას (grave=death). გარდა ამისა, Rainbow ალუზიურად მიანიშნებს ბიბლიურ იგავზე წარღვნის შესახებ, როდესაც ღმერთი ცისარტყელას სახით უგზავნის ხალხს პირობას, რომ ნოეს პერიოდის მასშტაბური წარღვნა აღარ განმეორდება. თუმცა ცოდვები მომრავლებული სახით კვლავ ბობოქრობს ადამიანთა მოდგმაზე. ცოდვის ძალა, რომელსაც თურმე აქვს გონება (ჭკუა და ნება), როდესაც შეაღწევს ადამიანის ორგანიზმში, დაისადგურებს და მოქმედებს მასზე თავისი გონებით და ანადგურებს როგორც ადამიანს, ასევე მთელ კაცობრიობას გადამდები ვირუსით. კონკრეტული ინფორმაცია საბოლოო შედეგით ასეთია: დაზიანებული გონების განადგურება ადამიანში, რომელსაც მიჰყავს იგი სიგიჟემდე და საბოლოო განადგურებამდე, ანუ სიკვდილამდე.

წარმოდგენილი მაგალითების ანალიზით დადგინდა მოცემული ტერმინის ერთი საერთო სემის მეტაფორული გადააზრება. მაგალითების სუპერლინეალურმა კვლევამ გამოავლინა ახალი სტილისტური ნომინაცია, რომელიც ეყრდნობოდა არა ერთ, არამედ რამდენიმე მნიშვნელობის ურთიერთობას ერთდროულად. ასეთ მაკოორდინირებელ სემას რთული კოგნიტური კონცეპტი ეწოდება და მისი არსებობა საინტერესო მოვლენაა არა მხოლოდ სტილისტური ნომინაციის თვალსაზრისით, არამედ ტექსტის ინტერპრეტაციისა და კოგნიტური ლინგვისტიკისთვისაც. ვინაიდან რამდენიმე სემის ერთდროული აქცენტირება წარმოშობს ინფორმატიულ პოტენციალს თვით სამეცნიერო ტერმინისთვისაც, ტერმინოლოგიური მნიშვნელობის გადააზრების პროცესი, რომელიც დამოკიდებულია კონტექსტზე, ანალოგიურია იმ აზროვნების პროცესებისა, რომელიც მიმდინარეობს კომუნიკანტებს შორის – მწერალსა და მკითხველს შორის.

ამგვარად, სამედიცინო ტერმინის არამეცნიერული კონტექსტუალური მნიშვნელობები ინტერპრეტირებული როგორც „სატანური, ჯოჯოხეთური ძალა,

უმიზნო, უსნეო პროპაგანდა, საზოგადოების დემორალიზაცია, გაუფასურება, სიკვდილი და ა.შ.", გამოიყენება მთლიანი კონცეპტუალური სისტემის წარმოქმნისა და ორგანიზებისათვის მხატვრულ ტექსტში. მისი შეცვლილი სემანტიკის გამომჟღავნება საფუძვლად ედება მთელი ნაწარმოების სახის მეტყველებას, რომელშიც მწერლის, მთელი სამყაროს ხედვაა გადმოცემული. მწერლის სასოწარკვეთილების გამომხატველ მსოფლმხედველობას შეიძლება სიტყვის ენთროპიული განზომილების ჩვენეული ინტერპრეტაცია დაეუპირისპიროთ, ვინაიდან ამის საშუალებას გვაძლევს სიტყვის უსასრულობის სემანტიკური მაჩვენებელი, როგორც უნივერსალური კატეგორია, ვინაიდან სიტყვაში ჩადებული ენთროპია მინუსური ნიშნით სიცოცხლის, ანუ სულის მარადიულობას მიანიშნებს და არის ინფორმაციის საპირისპირო ცნება.

როგორც ვხედავთ, XX საუკუნის უმაღლესი ტექნიკით აღჭურვილ ამერიკელ კლასიკოსს თ. პინჩონს იგივე მარადიული პრობლემა აღელვებს, რომელიც ადამის მოდგმის სათავეებთან იღებს საწყისს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ პინჩონი თითქოს თავს უყრის ადამიანების მიერ საუკუნეების მანძილზე მოპოვებულ მეცნიერულ მიღწევებს ყველა დარგში და მხატვრულ ტექსტში მათ შესაბამისი მეცნიერული ტერმინებით გამოხატავს. სიტყვისადმი ასეთი ჰოლისტური მიდგომა ატარებს უნივერსალურ კროს-კულტურულ ხასიათს, რადგანაც იგი გამოხატავს თანამედროვეობის კულტურულ პარადიგმას. პოსტმოდერნისტული მხატვრული პროზა მხოლოდ ასეთი პარადიგმით მოიაზრება და გაიშიფრება.

## შენიშვნები და გამოყენებული ლიტერატურა


1. მეტაფორა ენის ფუნდამენტალური მახასიათებელია. მისი საშუალებით შეიმეცნება ჩვენთვის უცნობი სამყარო. იხ. Hoffman R.R. Metaphor in science. – In: Cognition and figurative language. Hillsdale, 1980. Гусев С.С. Наука и метафора. Л., 1984
2. Thomas Pynchon, "Gravity's Rainbow", USA, 1973 ; ამასთან დაკავშირებით იხ. ჩვენი ხელმძღვანელობით დაცული საკანდიდატო დისერტაცია: ა.მესხი, სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინების სემანტიკური და ფუნქციური თავისებურებანი მხატვრულ ტექსტში. ავტორეფერატი, თბილისი, 1990, გვ.62-65; აგრეთვე, ჯოხაძე ლ., ინტერკულტურული კომუნიკაცია და უცხო ენის სიტყვა-კონცეპტთან დიდაქტიკა, „აქტუალური პედაგოგიკა და კულტურის დიდაქტიკა", თბილისი 2000. თბილისის ილ. ჭავჭავაძის ენისა და კულტურის სახ. უნივერსიტეტი და შტუტგარტის უმაღლესი სკოლა.

**ჯანეტა ქორიძე**
*რადგერსის უნივერსიტეტის ზიმერლის სახელობის*
*ხელოვნების მუზეუმის ქართული ნონკონფორმისტული*
*კოლექციის კონსულტანტი*

## დოჯლაენი. ოდგე იონ (ერთი მეგობრობის ისტორია)

ასე ჰქვია სახელგანთქმული ამერიკელი კოლექციონერის ნორტონ დოჯის სიმბოლიკური ხასიათის პორტრეტს. მისი ავტორი ქართველი მხატვარი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვლადიმერ კანდელაკია. სურათი ანალიტიკური აზროვნების და მხატვრული ოსტატობის მშვენიერ დადასტურებად ჟღერს ავტორის ბოლო პერიოდის ფერწერაში.

„დოჯლაენი" ნაწარმოები სიტყვაა. მის სიმბოლიკაში ქართული ბაბუაწვერას - ბედნიერების მომტანის არსი დომინირებს. ინგლისური შესატყვისი ანდელიონ ლომის თათს ნიშნავს და, აქედან გამომდინარე, სიძლიერეზე მეტყველებს. ეს კომპონენტები ფიქსირებულია პორტრეტის კომპოზიციასა და მხატვრული გადაწყვეტის საშუალებებში, რაც სურათს მეტად შთამბეჭდავს ხდის. გრანდიოზული ბაბუაწვერას შუაგულიდან ნორტონ დოჯის კეთილი სახე იყურება, ხოლო მომწვანო ფონზე მოჯარულ ბაბუაწვერებში ის მხატვრები იგულისხმებიან, ვისაც ბატონი დოჯის ქველმოქმედება მისწვდომია.

* * *

ბატონი ნორტონ დოჯი პროფესორ-ემერეტუსი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი გახლავთ. სურათების შეგროვება მისი გატაცებაა. ერთ მშვენიერ დღეს, მან 12 ათასი მხატვრული ნამუშევარი აჩუქა თავის სამშობლოს და ამერიკის ხელოვნების ისტორიაში ლეგენდარული კოლექციონერის სახელით შევიდა. 1995 წელს, ნიუ-ორკის მახლობლად, რატგერსის უნივერსიტეტის ზიმერლის ხელოვნების მუზეუმში საზეიმოდ გაიხსნა ნორტონ და ნენსი დოჯების კოლექციის პერმანენტული გამოფენა. კოლექცია 1955—1986 წლებს მოიცავს და ერთგვარ ისტორიას წარმოადგენს „რკინის ფარდის" მიღმა მცხოვრები უძლიერესი იმპერიისა, რომელსაც „საბჭოთა კავშირი" ერქვა.

ბატონი ნორტონ დოჯის ძირითადი საქმიანობა ჩვენში სამეცნიერო ხასიათისა იყო, რომელიც საბჭოთა ეკონომიკას სწავლობდა.. დღის განმავლობაში ბატონი დოჯი სამეცნიერო საქმეს ეწეოდა, საღამოს კი თავისი გატაცებით - ავანგარდული ხელოვნების ნიმუშებით იყო დაკავებული. თავისი მოგონებების წიგნში ბატონი დოჯი წერს: „სურათს რომ შევისყიდდი და უკუღმა დახვეულ მცირე ტილოებს ჩემოდანში ვაწყობდი, გულნაკრავი ვფიქრობდი: როგორ დავდივარ ამ ჩაბნელებულ ქუჩებში, განსაცვიფრებელია. შუაღამისას ქალაქის ცენტრში დასაბრუნებელი გზის ძებნაში ვარ და ჩემს თავს ვეკითხები: სადამდე გაძლებ ?"

რა თქმა უნდა, გაძლო ბატონმა დოჯმა და თავისი კოლექციაც შეაგროვა, რადგან მის რომანტიკულ ხასიათში მჯდარი სურვილი, იმ გამბედაობის ტოლფასი იყო, რომლითაც საბჭოთა რეჟიმის მიერ დაკანონებული სოცრეალიზმის წიაღში, მხატვრები საკუთარი თვითგამოხატვისათვის სიურეალიზმს, აბსტრაქტს, კუბიზმს, ექსპრესიონიზმს და სხვა ფორმალისტურ მეთოდებს მიმართავდნენ.

1956 წელს ნიკიტა ხრუშჩოვის მიერ საბჭოთა კავშირში დაწყებულმა „დათბობის" პერიოდმა თავისუფლების გრძნობა გააღვივა. ამას ხელი შეუწყო

50–60-იან წლებში საბჭოთა ქვეყანაში გამართულმა ისეთი მხატვრების გამოფენებმა, როგორებიცაა: პაბლო პიკასო, პოლ სეზანი, ედგარ დეგა, პოლ გოგენი, ჰენრი მატისი, ჯასპერ ჯონსი და რობერტ როშენბერგი. „ანდერგრაუნდელებმა" მოსკოვსა და ლენინგრადში პატარა ჯგუფები შექმნეს და თავიანთი ნახატების კერძო ბინებში გამოფენების მოწყობა დაიწყეს. სწორედ ამ პერიოდში, ნორტონ დოჯი მიდის მოსკოვის ერთ-ერთ ბინაში გამართულ ავანგარდისტულ გამოფენაზე. აქ მას ხვდებიან წამყვანი დისიდენტი მხატვრები: ლევ კრაპივნიცკი, მისი და – ვალენტინა და სიძე ოსკარ რაბინი, რომელიც რამდენიმე წელიწადში ნონკონფორმისტი მხატვრების მამამთავარი ხდება მოსკოვში.

ასეთი გამოფენის ნახვით გახალისებულმა ნორტონ დოჯმა რამდენიმე პატარა ფერწერული ტილო შეიძინა. ეს, რა თქმა უნდა, სარისკო იყო. მაშინ მოსკოველი მხატვრები განსაკუთრებულ მეთვალყურეობას განიცდიდნენ. ეს კარგად დასტურდება ვასილი სიტნიკოვის მაგალითზე. სიტნიკოვს, მეტად ექსცენტრულ პიროვნებასა და მხატვარს, დიდი გართულებები ჰქონდა ხელისუფლების წარმომადგენლებთან. იგი საგიჟეთში მოათავსეს, რომ მისი იდეოლოგია გამოესწორებინათ. იქ მან დახატა კაცის პორტრეტი, რომელიც მასთან ერთად იყო სულით დაავადებულთა სახლში. პორტრეტზე კაცს პირი არა აქვს. როცა მან დოჯს პორტრეტი აჩვენა, თავისთვის ჩაილაპარაკა: ვერაფრით ვერ მოვახერხე ამ პორტრეტის დამთავრებაო. ბატონმა დოჯმა, რა თქმა უნდა, დაუმთავრებელი პორტრეტი მაშინვე შეიძინა.

რუს ნონკონფორმისტებში ყველაზე წამყვანი ფიგურა ევგენი რუხინი იყო. თანდათანობით ის ლეგენდად იქცა. შეუზღუდავი ფანტაზია ხან რას კარნახობდა, ხან რას: თეთრ ტილოზე გადღუნულ ლურსმანს ჩაარჭობდა და მერე ჩრდილს მისცემდა. თუ ფორმას მიმართავდა, ხშირად ეს დეფორმირებული სახეები, ან გაჭყლეტილი თავი იყო. ეს უკანასკნელი მამამისის ხატი იყო, რომელსაც, როგორც ამბობენ, სუკის აგენტებმა მანქანა განგებ დააჯახეს. ასევე განგებ გაჩნდა ხანძარი ევგენი რუხინის სახელოსნოში. ამ ხანძრის ცეცხლში დაიწვა მხატვარი 1976 წელს. უკვე ამ პერიოდისათვის, დოჯს რუხინის რამდენიმე ორიგინალი ჰქონდა. ჩემთან საუბარში ხუმრობით უთქვამს: „ჩემს კოლექციაში რუხინის არა მარტო ორიგინალები, არამედ მათი ავტორისეული „ასლ"-ბიც მაქვსო".

რუსულ ნონკონფორმიზმზე იმის გამო ვლაპარაკობ, რომ ის ავანგარდული მოძრაობა პოლიტიკის საწინააღმდეგოდ იყო მიმართული. საქართველოში მას ასეთი მნიშვნელობა არ შეუძენია. ქართული ავანგარდული მხატვრობა თავისებურად ჩამოყალიბდა როგორც ხელოვნების ისტორიის წმინდა შემოქმედებითი პროცესი და არა როგორც დისიდენტური მოძრაობა. აქ უფრო შეიძლება ნაციონალურ და რელიგიურ ტენდენციებზე ლაპარაკი. მეორე მხრივ, მდიდარი მხატვრული ტრადიციები „ოფიციალებსაც" კარნახობდა, რომ ნაკლებად დოგმატური ყოფილიყვნენ სოცრეალიზმის პრინციპების გატარებაში.

ნორტონ დოჯი ექვსჯერაა ნამყოფი საქართველოში. ამ პერიოდის მოგონებებში იგი წერს: „ფუნიკულიორითა და მითიური „ქართლის დედით" ამაღლებული მამადავითის ძირში, მე მოვინახულე დავით კაკაბაძის ქვრივი. თავის ახალგაზრდობაში დავით კაკაბაძე პარიზში იფინებოდა პიკასოსთან და მატისთან ერთად. როცა ის რევოლუციის შემდეგ უკან დაბრუნდა, იძულებული გახდა, რომ თავისი სტილი სოცრეალიზმის მკაცრი კრიტიციზმისათვის რამდენადმე მაინც შეეფარდებინა. მისი ტილოების ფონი იმპრესიონისტულად დაწერილი კავკასიონის პეიზაჟებით ნაკლებად შეიცვალა, მაგრამ წინა პლანზე ფეროშენადნობი

ქარხნები და ფაბრიკები გაწნდა." ბატონმა დოჯმა იგრძნო საბჭოური მარწუხების სიმკაცრე იმ მხატვრების მიმართ, ვისაც განათლება ევროპაში ჰქონდა მიღებული.

საბჭოთა ოფიციალების პარალელურად აქტიურად მუშაობს სუკი. ის ირჩევს ისეთი ოჯახიდან გამოსულ ახალგაზრდა მხატვრებს, რომლებსაც ნათესავები ჰყავთ საზღვარგარეთ, ან რომელთაც შეუძლიათ საქართველოში ჩამოსულ დიპლომატებს საინტერესო ინფორმაცია გამოსტყუონ; სამაგიეროდ მათ სთავაზობენ საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელებას და ეკონომიკურ უზრუნველყოფას. ასეთი წინადადებით 70-იან წლებში სუკმა ორ ახალგაზრდა მხატვარს მიმართა: ამირ კაკაბაძეს და ვლადიმერ კანდელაკს. მამის სახელის და მისი ავანგარდული მხატვრობის პრესის ქვეშ დაყენებით, ისინი შეეცადნენ შეილის დაყოლიებას, მაგრამ ამირი არ შეშინდა და ოჯახის ღირსება შეინარჩუნა. სუკის აგენტები კანდელაკსაც ამუშავებდნენ, ფიქრობდნენ, რომ რეპრესირებული ოჯახის შვილს ადვილად აიყოლიებდნენ, მაგრამ რამდენიმე ვიზიტის შემდეგ მათ მტკიცე უარი მიიღეს: „მე საზღვარგარეთ ისედაც მოვხედები", განუცხადა მათ ვოვა კანდელაკმა.

25 წელი გავიდა და ფილადელფიაში მცხოვრებმა ვლ. კანდელაკმა დოჯისაგან მოგონებების წიგნი მიიღო საჩუქრად წარწერით: „ბოლოსდაბოლოს, რამდენიმე თქვენი ფერწერული ტილო ჩემი კოლექციის ნაწილი გახდა. ერთ-ერთი თქვენი ნამუშევრის რეპროდუქცია მთელ გვერდზე იქნება მოთავსებული ზიმერლის ხელოვნების მუზეუმში გათვალისწინებული გამოფენის კატალოგში, კერძოდ, გამოფენის გახსნა დაგეგმილია 21 ოქტომბერს.

ვიმედოვნებ, რომ მალე შევხვდებით და შესაძლებლობა მექნება ახლოს გავეცნო მთელ თქვენს შემოქმედებას; აგრეთვე გავაგრძელო თქვენთან საუბარი საქართველოს მშვენიერ მხატვრობაზე. 15 მარტი, 1995 წელი".

დიახ, ენატრებოდა ბატონ დოჯს საქართველოს მშვენიერ მხატვრობაზე საუბარი, რადგან ის 1972 წლის შემდეგ საქართველოში აღარ ჩამოსულა, არც რუსეთში. ამისთვის მას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა, რომელთაგან უპირველესი შეგროვილი კოლექციის პოპულარიზაციის საქმე იყო. „ცივი ომის" პერიოდში ნამუშევრების შეგროვება და საბჭოთა კავშირის ფარგლებიდან მათი გატანა საკმარისი არ იყო. საბჭოთა ქვეყნის მხატვრობას, ისიც ფორმალისტურს, დასავლეთი ნაკლებად იცნობდა. ამიტომ საჭირო იყო გამოფენები, კატალოგების გამოცემა, საერთაშორისო სიმპოზიუმების მოწყობა. ყველა ამას ნორტონ დოჯი პირადად აფინანსებდა და გულმოდგინედ ცდილობდა საბჭოთა ნონკონფორმისტი მხატვრების გაცნობას ამერიკის კულტურული საზოგადოებისთვის.

ნონკონფორმისტული ხელოვნების კოლექცია თავისი ხასიათით, ფართო სპექტრით და მოცულობით უნიკალურია, რაც დოჯს ისეთი ცნობილი ამერიკელი კოლექციონერების გვერდით აყენებს, როგორებიც არიან გუგენ ჰეიმი, ჰამერი, ბარნესი, ჯეინ ვურის ზიმერლი და სხვები.

* * *

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ღირსების ორდენის კავალერის, თბილისის საპატიო მოქალაქის ვლადიმერ კანდელაკის შემოქმედებითი ცხოვრების გამჭოლ თემებს, წინასწარმეტყველურ ფერწერულ სერიებს კარგად იცნობენ ხელოვნების მოყვარულები. ისინი მრავალი ქვეყნის მუზეუმებს, კულტურის ცენტრებს და კერძო კოლექციებს ამშვენებენ.

როცა ვლადიმერ კანდელაკი ამერიკაში ჩავიდა პირველი ქართულ-ამერიკული ერთობლივი კომპანიის „ლილეო არტსის" მიწვევით, ის 50 წელს მიტანებული იყო.

არა ამერიკელისათვის, რომელსაც მოქალაქეობა და იქ მიღებული განათლება არ გააჩნია, „ამერიკის მხატვრობის უდაბნოში" გზის გაკვლევა ძალიან ძნელია. ამ დემოკრატიულ ხალხს არ აღელვებს მხატვრის აღიარება ევროპაში თუ დანარჩენ მსოფლიოში. ამერიკელებს თავიანთი კლასიკოსებიც ჰყავთ, რეალისტებიც, კუბისტებიც, ექსპრესიონისტებიც და აბსტრაქციონისტებიც. ყველანი და ყველაფერი კარგად მოწესრიგებული კარადების თაროებზეა განაწილებული. იქ ადგილები ჭირს.

მოდერნიზმის ათასნაირი „იზმებით" გატაცებულ ამერიკას ეძნელება რეალიზმთან დაბრუნება. „უცნობ" მხატვარს ძალიან „ცნობილმა" ავტორიტეტმა უნდა მისცეს რეკომენდაცია და დიდი ფული დახარჯოს, რომ პრესა საკუთარი ინტერესების სამსახურში ჩააყენოს. ეს არც დასავლეთ ევროპისთვისაა ახალი, არც ამერიკისათვის. ასე გაითქვეს სახელი ისეთმა უნიკალური ნიჭით დაჯილდოვებულმა მხატვრებმაც კი, როგორებიც არიან: ვასილი კანდინსკი, პაბლო პიკასო, სალვადორ დალი, მარკ შაგალი და სხვ. ტყუილად არ დადის მოარული ფრაზა: „ამერიკელები სახელებს ყიდულობენ და არა ნახატებსო." კანდელაკს ისეთი პატრონი სად ჰყავდა, რომელიც თავის აგენტს გაგზავნიდა მის სახელოსნოში და დაავალებდა „კანდელაკის ყვითელი პეიზაჟი შეიძინე ჩემთვისო". ასე რომ, თვეები თვეებს მისდევდა და ოფიციალური კონტრაქტით გათვალისწინებული გამოფენები არ ჩანდა. უცხო ქვეყანაში ცხოვრებისათვის სრულიად მოუმზადებელ კანდელაკს ბიზნესის სამყარო მარწუხებს უჭერდა. სპონსორები იმედოვნებდნენ, რომ მხატვარი დოლარს დახარბდებოდა და თავისი შემოქმედების უმთავრეს ტილოებს „ორ შაურად" გაიმეტებდა. ბევრი რუსი ემიგრანტიც ასე თვლიდა. როცა ერთმა მათგანმა მიზერული თანხა შესთავაზა, თავისმართლებასავით დაამატა: „Вы здесь неизвестный", კანდელაკმა მას ხუმრობით უპასუხა: „Неизвестный это Эрнст, а я Канделаки".

იყო სერიოზული შეთავაზებებიც. „Rolling Stones"-ის ცნობილი ფირმის პრეზიდენტმა სერიოზული რეკლამა აღუთქვა იმ შემთხვევაში, თუ კანდელაკი მისი ნამუშევრების გაყიდვიდან შემოსული თანხის 20 პროცენტს დასჯერდებოდა. კანდელაკს თავისი ნამუშევრები უყვარს და თვლის, რომ იაფად მათი გაყიდვა არ შეიძლება. ამიტომ იკითხა: — რისი 20 პროცენტიო და მოლაპარაკებაც იქ დამთავრდა. რუსეთის იმდროინდელი კულტურის ატაშე ოთხჯერ ჩამოვიდა ვაშინგტონიდან ფილადელფიაში დახმარების წინადადებით, თუ კანდელაკი რუსეთის მოქალაქეობას მიიღებდა. — რა საჭიროა დაწერილმანება, მხატვარი მსოფლიოს ეკუთვნისო, — ჩვეული სიმართლენარევი იუმორით უპასუხა ვლადიმერ კანდელაკმა.

ხელოვნების ნამდვილი დამფასებლებიც გამოჩნდნენ. რუსული ორთოდოქსული ეკლესიის წინამძღოლმა, უაღრესად განათლებულმა ადამიანმა მარკ შინმა კანდელაკს ფილადელფიის მუზეუმს დაქვემდებარებული სამხატვრო მემორიალის დირექტორი თორა ჯეკობსონი გააცნო. როცა თორა კანდელაკს სახელოსნოში ეწვია, აღფრთოვანდა მისი ნამუშევრებით და მხატვარს აღუთქვა, რომ მის ალბომებს წარუდგენდა ბალჩის სახელობის მუზეუმის საბჭოს და თავად როგორც კურატორი, წაუძღვებოდა ამ საქმეს. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მხატვრობის მცოდნე თორა ჯეკობსონი რამდენიმეჯერაა ნამყოფი რუსეთში და, თუმცა საქართველოში არ უმოგზაურია, კარგად იცნობს ჩვენს კულტურას. მის მიერ მხატვრის წარდგენა ინსტიტუტის საბჭოსადმი თითქმის გარანტია იყო. ასეც მოხდა. გამოფენა დაინიშნა.

1992 წლის მარტის თვეში ბალჩის სახელობის ეთნიკის ინსტიტუტის მუზეუმში საზეიმოდ გაიხსნა ვლადიმერ კანდელაკის პერსონალური გამოფენა, რომელიც სამ თვეს მიმდინარეობდა. გახსნა საზეიმო იყო: გარეთ ქუჩაში ქართველი

მხატვრის გვარით და სახელით დამშვენებული ტრანსპარანტები ფრიალებდა, შიგნით დარბაზში კი ფილადელფიის განთქმული სიმფონიური ორკესტრიდან მოწვეული მუსიკოსები უკრავდნენ. ელეგანტური ამერიკელები ინტერესით ათვალიერებდნენ უცნობი ქვეყნის მხატვრის შემოქმედებას. დიახ, საქართველოს მაშინ ნაკლებად იცნობდნენ ამერიკაში. ჩვენ გვიხდებოდა იმის ახსნა, რომ საქართველო, როგორც სახელმწიფო, რუსეთზე დიდი ხნით ადრე არსებობდა, რომ მას უმდიდრესი კულტურული წარსული გააჩნია; ამ ტრადიციების დასადასტურებლად ჯორჯ ბალანჩინის სახელს ვიშველიებდით. პრესის წარმომადგენლები სტალინსა და შევარდნაძეს ასახელებდნენ.

ყინული დაიძრა. ქალბატონები აღტაცებას ვერ ფარავდნენ კანდელაკის ოსტატობით შესრულებული პორტრეტების გამო. სხვები ფანტაზიას უქებდნენ და კანდელაკისეული აიენიანი დოქების წინ მოწყობილ შემოდგომის ზეიმურ სელას აკვირდებოდნენ. დირექტორთა საბჭოს წევრმა, სახელგანთქმულმა კოლექციონერმა რობერტ ლიმ კი, „ბანქოს სახლს" დაადგა თვალი და განაცხადა,რომ ამ სურათს შეიძენდა. მეორე დღეს ფილადელფიის ყველა გაზეთში დაიბეჭდა სტატიები ქართველი მხატვრის გამოფენაზე, ტელე-კომპანიებიც საუბრობდნენ კანდელაკზე ABC, CNN, თუ რიმე თიმე-ის ჩათვლით. საგაზეთო ბუმი დიდხანს გაგრძელდა.

მომდევნო ათი წლის განმავლობაში ათი გამოფენა მოეწყო ამერიკის სხვადასხვა ქალაქებში. კანდელაკის ნამუშევრები ისეთი მუზეუმების კუთვნილებაა, როგორებიცაა: რატგერსის უნივერსიტეტის ზიმერლის ხელოვნების მუზეუმი, ჰარვარდის უნივერსიტეტის რუსული მისიის გალერეა, ფილადელფიის ბალჩის სახელობის ეთნიკის მუზეუმი, ატლანტის თანამედროვე ხელოვნების გალერეა, ჯორჯიას შტატის სავანის მუზეუმი, ვაშინგტონის ონდა ელ შოლ მუზეუმი. ამერიკაში გამოცემული ალბომის პრეზენტაცია კიდევ ერთი საბაბი იყო ქართული კულტურის პროპაგანდისათვის. ყველგან ვ. კანდელაკს დაყვებოდა მადლი და ყურადღება ისეთი შეუდარებელი კაცისა, როგორიც ბატონი ნორტონ დოჯია.

ნორტონ დოჯი ვლადიმერ კანდელაკის პირველ გამოფენაზე ბალჩის სახელობის ეთნიკის მუზეუმში გამოფენის დროს, 1992 წელს, ვაშინგტონიდან ფილადელფიაში ჩამოვიდა, გამოფენა დაათვალიერა და კანდელაკის „საბჭოური გაზაფხული"-ს ყიდვაც კი მოინდომა. მუზეუმმა ნორტონ დოჯს განუცხადა, რომ კანდელაკს ისინი მზრუნველობას არ აკლებენ, რაზეც ჭეშმარიტი ამერიკელი ღიმილით პასუხობს: ეს შესანიშნავია! და ასევე ღიმილით ტოვებს ასპარეზს. იმავე წელს, ვაშინგტონში ფრანკლინ სკვერის არტ ცენტრში გამოფენა დაათვალიერა ნორტონ დოჯმა. აქაც პირადად ვერ შეხვდა კანდელაკს. პირადი კონტაქტი მხოლოდ 1994 წელს გახდა შესაძლებელი, როცა დოჯი მხატვარს საკუთარ სტუდიაში ესტუმრა. საუბარი რა თქმა უნდა, ქართულ მხატვრობაზე წარიმართა. შემდეგ კანდელაკის ნამუშევრები დაათვალიერა დოჯმა და მხატვრის ადრეული, სხვადასხვა მანერაში შესრულებული, ოთხი ტილო ამოარჩია. როგორც კი ბატონმა დოჯმა ჩეკის გამოწერა დაიწყო, კანდელაკმა განაცხადა, რომ ის ჩეკებს არ იღებს, მას ყოველთვის „ქეშით" უხდიან მეგობარი რუსი ებრაელები. არ ვიცი რამდენად აუცილებელია აქ, ამ ღიმილისმომგვრელი ისტორიის მოყოლა, მაგრამ ის კარგად ახასიათებს, ერთი მხრივ, მიამიტ და ამბიციურ კანდელაკს, მეორე მხრივ კი, ნორტონ დოჯის, როგორც კოლექციონერის, დამოკიდებულებას მხატვრებისადმი. ის ხომ ოთხ დღეში ისევ ჩამოვიდა ნაღდი ფულით ფილადელფიაში,

როცა ყველას, თვითონ კანდელაკსაც ეგონა, რომ ამერიკის 'უდიდესი კოლექციონერი დაკარგა.

დოჯი წარმოშობით ირლანდიელია, იუმორი ახასიათებს და მხატვრების ამბიციურობასაც ახალგაზრდობიდანვეა შეჩვეული. ის აუღელვებლად უსმენდა კანდელაკის კითხვებს, თუ რამდენს უხდიდნენ ამერიკაში მასზე ადრე ჩასულ და დაფუძნებულ მხატვრებს. იგი დუმდა, რადგან ამერიკელისათვის სხვის ფინანსებზე ლაპარაკი მიუღებელია. სამაგიეროდ, საკუთარი კოლექციის საზეიმო გახსნაზე, ბატონმა დოჯმა გარსშემოხვეულ მხატვრებსა და ხელოვნებათმცოდნეებს ასე წარუდგინა ვლადიმერ კანდელაკი: ჩემი კოლექციის ყველაზე ძვირფასი მხატვარიო.

აქვე ჩაეყარა საფუძველი ვ. კანდელაკის მონოგრაფიული ხასიათის ალბომის გამოცემის იდეას. ესეების ავტორებიც გამოიკვეთნენ: ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორები მეტიუ ბეიგელი და ჯანეტ კენედი, ხოლო მხატვრის ავტობიოგრაფიული ნარკვევის დაწერა თავად ითავა. გამომცემლობა „SunStorm"-ში ორი წლის განმავლობაში მუშავდებოდა „ვლადიმერ კანდელაკი. ორ სამყაროს შორის". მის რედაქტირებაში ჩვენთან ერთად ბატონი დოჯი მეტად აქტიურად მონაწილეობდა.

დოჯსა და კანდელაკს შორის ნამდვილი მეგობრობა მაშინ დაიწყო, როცა აღმოჩნდა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ დამოუკიდებლად გამოცხადებული რამდენიმე ქვეყნის ნონკონფორმისტულ კოლექციებში ნაპრალები იყო, რომლებიც შევსებას მოითხოვდა. ქართულ კოლექციაში 200-მდე ნამუშევარი შედიოდა, მათ შორის: ალექსანდრე ბანძელაძის, ავთო ვარაზის, გიორგი ალექსი-მესხიშვილის,კოკა იგნატოვის,გია ეძგვერაძის, ლევან მაღალაშვილის... თუმცა, კოლექცია აშკარად მოითხოვდა კვალიფიცირებულ ჩარევას, რათა ქართული ავანგარდული მხატვრობა სრულად წარმოჩენილიყო. ამაში დიდი როლი ითამაშა ვ. კანდელაკმა, როგორც კოლეგამ და პატრიოტმა კაცმა. მისი კონსულტაციები დიდი შენაძენი გახდა „ნორტონ და ნენსი დოჯების კოლექციისათვის".

დღეისათვის ქართული ნონკონფორმისტული კოლექცია სრულყოფილია. იგი გაიზარდა არა მხოლოდ რაოდენობრივად, არამედ მხატვრული მიმართულებებით, გამოსახვის საშუალებათა ფართო სპექტრით. მასში შევიდნენ ქართველი მხატვრები: ჯიბსონ ხუნდაძე, ედმუნდ კალანდაძე, გიორგი თოთიბაძე, დიმიტრი ხახუტაშვილი, ვლადიმერ კანდელაკი, ამირ კაკაბაძე, ლოვა ბოიახჩევი, ალბერტ დილბარიანი, დავით მონავარდისაშვილი, გიორგი მიქელაძე, თემურ გოცაძე, ლევან ჭოღოშვილი, ოთარ ჩხარტიშვილი, ვლადიმერ ადეაძე და სხვები.

1500-მდე ავანგარდში შესრულებული მხატვრული ტილო, პოპარტი და კოლაჟი, გრაფიკული ნამუშევარი „ნორტონ და ნენსი დოჯების ნონკონფორმისტული კოლექციის" მშვენებად იქცა. აი რას წერს ბატონი დოჯი ქართველი მხატვრების შესახებ: „ქართველები თანამედროვეობის ყველაზე ნიჭიერ და მდიდარი წარმოსახვის მქონე მხატვართა შორის გვევლინებიან. დიდი კულტურული წარსული ჩანს მხატვრული საშუალებების ფართო სპექტრში და კომპლექსურ წარმოსახვაში, რომელიც სინთეზს უკეთებს ყველაზე საუკეთესოს, რაც დასავლეთის, აღმოსავლეთის და სამხრეთის კულტურებს მიუციათ საუკუნეების განმავლობაში.

75-წლიანმა სასტიკმა კომუნისტურმა კონტროლმაც კი ვერ მოსპო მისი შემოქმედებითი სული, რომელიც დღესაც ასე ზეიმობს საქართველოში".

ნიკა შავიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ინსტიტუტის
არქიტექტურის ისტორიისა და თეორიის კათედრის გამგე

## *პოლიტიკური ასპექტი არქიტექტურული გადაწყვეტილებების მიღებაში*
## *ნიუ-იორკის ნულოვანი ნიშნულის მოკლე ურბანული ისტორია*

2001 წ. 11 სექტემბერს არქიტექტურა კვლავ აღმოჩნდა გლობალური კონფლიქტის ფრონტის ხაზზე. *ნიუ იორკის მსოფლიო სავაჭრო ცენტრის* (შემდგომში – „*მ.ს.ც.*“) შენობებზე თვითმფრინავების შეჯახების სულისჩამდგმელი ალ *კაიდას* ტერორისტთა ქსელის ლიდერი *ოსამა ბინლადენი* გახლდათ, ისტორიაში ამ უმსხვილესი ტერაქტის მთავარი განმხორციელებელი კი – *მოჰამედ* ატა, რომელიც თავის დროზე ჰამბურგში სწავლობდა ქალაქგეგმარების ისტორიას და სპეციალიზირდებოდა ქალაქების ალეპოსა და კაიროს ურბანული ტრანსფორმაციის საკითხებზე. მ.ს.ც.-ს ავტორი არქიტექტორი *მინორუ იამასაკი* 1950-იან წლებში თავად დაუმეგობრდა ბინ ლადენის მენაშენეთა და მშენებელთა უმდიდრეს ოჯახს და მათი დაკვეთით ისლამური არქიტექტურული მოტივების გამოყენებით ააგო ისეთი ცნობილი შენობები, როგორებიცაა *მეფე ფაჰდის დჰარანის აეროპორტის ტერმინალი* და *ფაჰდის სამეფო მიღებათა პავილიონი ჯედას აეროპორტში*. უფრო მეტიც, საუდის არაბეთში მოღვაწეობისას, იამასაკის იმდენად ახლოს მიუტანია გულთან ტრადიციული არაბული არქიტექტურა, რომ წლების შემდეგ, თვით მ.ს.ც-ს პროექტში კოშკების პოდიუმების ელეგანტური შეისრული თაღები და ურბანული მოედნის – *პლაზას* შემკრავი პორტიკი გადაუწყვეტია ისლამურ მოტივებზე დაყრდნობით – ისინი მას აგონებდნენ, როგორც თავად წერდა, „*მექაში კააბას ირგვლივ გაშლილ ეზოს*“. ფანტასმაგორიულ, თითქმის დაუჯერებელ სურათში პოლიტიკა, კულტურა, რელიგია და ისტორია მჭიდროდ გადაება ერთმანეთს და არქიტექტურული ნაწარმოები კვლავ აქცია კონფლიქტის სასცენო ატრიბუტად.

პოლიტიკური ასპექტი არქიტექტურული და, მათთან ერთად, ქალაქგეგმარებითი გადაწყვეტილებების მიღებაში ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა. ჩინეთში, ჩვენ წელთაღრიცხვამდე მეორე ათასწლეულის *ქსია*-ს დინასტიის დამფუძნებელი *იუ დიდი* მზარდი სამეფოს სოციალურ და რელიგიურ წესრიგს ქალაქების ცენტრებში დიდებული სასახლეების და ტაძრების აგებით სახავდა[1]. ანტიკურ რომში სახელმწიფო რელიგიის ტაძრებზე უკეთ საზოგადოებრივ და ადმინისტრაციულ შენობებს ეწერათ, გამოეხატათ იმპერიის შემადგენელ ცივილიზაციათა სული, ამიტომაც *ტრაიანეს ფორუმის* ჰარმონიული ანსამბლის ძირითად ღერძს პოლიტიკური დატვირთვის მატარებელი იმპერატორის ცხენზე ამხედრებული ქანდაკება, ბიბლიოთეკის ორ ფრთას შორის განთავსებული მისი გამარჯვებების მაუწყებელი კოლონები და მისდამი მიძღვნილი სამლოცველო შეადგენდა[2]. *ი. გებელსის* მიერ 1933 წ. შექმნილი ***Reichskulturkammer*** კონტროლს უწევდა ნაცისტური გერმანიის ინტელექტუალური ცხოვრების ნებისმიერ გამოვლენას, არქიტექტურაში მის ანგარიშზეა *ა. შპეერის* 1934 წ. წამოწყებული ნიურნბერგის ***Reichsparteitagsgelande***-ს ანტიჰუმანური მასშტაბის, დამთრგუნველი ფსიქოლოგიური ზემოქმედების მქონე მასობრივი პოლიტიკური მანიფესტაციების ანსამბლი[3]. ანალოგიურად, პრაქტიკულად იმავე პერიოდის საბჭოთა რუსეთის სტალინურ არქიტექტურასაც გაუჩნდა საშიშროება, მთლიანად დაეკარგა რეალობის გრძნობა,

რისი გამოვლინება *ვ.გელფრეიხის, ბ.იოფანის და ვ.შჩუკოს* მიერ 1933-35 წწ. დაპროექტებული ლენინის გიგანტური ქანდაკებით დაგვირგვინებული *მოსკოვში საბჭოების სასახლის* საკონკურსო პროექტი გახლდათ, რომელმაც ხაზი გაუსვა საბჭოთა კავშირის არქიტექტურის პოლიტიზაციის დასაწყისს - რაც მისი ერთადერთი დამკვეთის გემოვნების შესაბამისად, „მონუმენტალიზაციის" პერიოდს მოასწავებდა[4].

ამ კონტექსტში განვიხილოთ ნიუ-იორკის მ.ს.ც.-ს მოკლე ურბანული ისტორია. განსხვავებით ჩამოყალიბებული აზრისაგან, მ.ს.ც.-ს შეწყვილებული კოშკები ქვემო მანჰეტენის დანგრეული და დაზიანებული შენობების მხოლოდ ერთი ნაწილია. მ.ს.ც.-ს კომპლექსში,რომელიც მდებარეობდა უესტ, ბარკლეი, ჩერჩ და ლიბერტი სტრიტებს შორის განთავსებულ მოედანზე, შედიოდა 7 მაღლივი შენობა, აქედან თავად 110-სართულიანი შეწყვილებული კოშკები ცნობილია სახელწოდებით *მ.ს.ც-ერთი* და *მ.ს.ც.-ორი* და ერთმანეთის მიმართ კუთხით განლაგდებოდნენ მოედნის დასავლეთით - ფასადებით უესტ-სტრიტზე (მ.ს.ც-ერთი) და ლიბერტი-სტრიტზე (მ.ს.ც.-ორი). მათ შორის მდებარე *მ.ს.ც-სამთან* იყო შეთავსებული *სასტუმრო მარიოტი*, *მ.ს.ც.-ოთხი* და *მ.ს.ც.-ხუთი* კრავდნენ ქალაქგეგმარებით ანსამბლს აღმოსავლეთიდან, ჩერჩ-სტრიტის მხრიდან, *მ.ს.ც.-ექვსი* მოედნის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში მდებარეობდა, ხოლო 47-სართულიანი *მ.ს.ც.-შვიდი* ნაკვეთის ჩრდილოეთით, ბარკლაი-სტრიტის გასწვრივ იყო აღმართული. მათთან ერთად მოედნის საერთო კომპოზიციაში შედიოდა 53-სართულიანი *ლიბერტი პლაზა ერთი* (ჩერჩ სტრიტის მოპირდაპირე მხრიდან), *ნიუ-იორკის სატელეფონო შენობა* და ე.წ. *ფედერალური შენობა*. 11 სექტემბერს თვითმფრინავების დარტყმის შედეგად მთლიანად ან ნაწილობრივ დაინგრა ყველა ზემოთ ჩამოთვლილი შენობა, ხოლო მათთან ერთად მნიშვნელოვანი დაზიანება მიიღო უესტ-სტრიტის მოპირდაპირე მხარეს მდებარე *მსოფლიო საფინანსო ცენტრის* სამმა მაღლივმა კორპუსმა, და ბროდვეის და ჩერჩ სტრიტს შორის განთავსებულმა *ისტ რივერის შემნახველმა ბანკმა* და *სასტუმრო მილენიუმმა*. ანგარიშმა უჩვენა, რომ საერთო ჯამში განადგურებულ იქნა ან გამოყენებისათვის უვარგისი გახდა 2.3 მლნ კვ.მ ფართობის შენობა-ნაგებობები - ქვემო მანჰეტენის საოფისე ფართობის 20%-ზე მეტი[5].

ქვემო მანჰეტენი, სადაც ცნობილი უოლ-სტრიტიც გადის, მსოფლიო ეკონომიკური აქტიურობის მთავარი ფოკუსი გახლავთ. იქ მდებარე საფონდო ბირჟები და საბანკო-საფინანსო დაწესებულებები საერთაშორისო ეკონომიკურ კლიმატს განსაზღვრავს. მ.ს.ც-ს გამოკვეთილი, თუ არა წამყვანი როლი ეკავა ამ სისტემაში, ამიტომ მისმა განადგურებამ მსოფლიოში ამ დროისათვის ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ წესრიგს ფუნდამენტალური ზიანი მიაყენა. ისევე როგორც ყველა ზემოთ მოყვანილი ისტორიული მაგალითებისა, მ.ს.ც-ს არქიტექტურული კომპლექსის მნიშვნელობა გასცდებოდა მხატვრულ-ესთეტიკური ან ურბანული კრიტერიუმებით შემოფარგლულ სურათს და პოლიტიკურ წონას იძენდა – წარმოადგენდა რა ფოკუსსაც და ამავე დროს სიმბოლოსაც კაპიტალისტური სისტემის აწყობილი, უძლეველი და მოწესრიგებული მექანიზმისა. ამგვარი სიმბოლოს განადგურება მოასწავებდა ამ სისტემით უკმაყოფილებას, მის არაერთგვაროვან აღქმას და მსოფლიოში ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ძალთა დისბალანსს – რომელიც განსაკუთრებით გამოკვეთილი გახდა 1991-ში სსრკ-ს დაშლის შემდეგ. შემთხვევითი არ იყო, რომ ოსამა ბინლადენის მიერ აშშ-ში განხორციელებული პირველი ტერორისტული აქტი 1993 წელს სწორედ მ.ს.ც.-ს აფეთქების შედარებით ნაკლებად წარმატებული მცდელობა იყო.

ასე და ამგვარად, მ.ს.ც. თავიდანვე, საპროექტო სტადიაშივე ჩაფიქრებული იყო პოლიტიკურ იარაღად, შესაბამისად მისი განადგურებაც *a priori* ნათელი იყო, რომ გასცდებოდა იზოლირებული ტერაქტის სტატუსს და პოლიტიკურ წონას შეიძენდა. 1965 წელს კონკურსში გამარჯვებულმა იაპონური წარმოშობის მიჩიგანელი არქიტექტორ ***მინორუ იამასაკიმ***, რომელიც მუშაობდა ნიუ-იორკულ ფირმასთან *ემერი, როთი და შვილები*, პროექტის მშენებლობა 1966 წელს დაიწყო და 1972 წელს დაასრულა. 110-სართულიანი კოშკების საერთო სიმაღლე 412 მეტრი იყო, მშენებლობა 800 მლნ. დოლარი დაჯდა და მ.ს.ც. ოფიციალურად 1973 წელს გაიხსნა. კონკურსამდე იამასაკის შენობის 100-მდე ვარიანტი ჰქონდა დამუშავებული, მათ შორის, 150-სართულიანი ცალკე მდგომი ნაგებობაც იყო, საბოლოო არჩევანი კი შეწყვილებულ კოშკზე იმიტომ შეჩერდა, რომ, იამასაკის აზრით, ისინი *„ნიუ-იორკს საკუთარ ინდივიდუალობას ანიჭებდნენ"*. კრიტიკული შენიშვნების მიუხედავად – მაგალითად, ***მანფრედო ტაფური*** კოშკებს თვლიდა *„ჩონჩხებად, რომლებსაც საკუთარი ფუნქცია გარკვეული არ აქვთ – მათი ექსცესიური მასშტაბი უსვამს ხაზს მათ ორაზროვნებას, რაც კიდევ უფრო აქცენტირებულია უფერული ფასადებით"*[6] – მ.ს.ც.-ს კოშკები მალე არა მხოლოდ ნიუ იორკის ცის კონტურის წამყვან ელემენტად იქცა, არამედ, მას შემდეგ რაც მათ 1976 წ. ჰოლივუდის რემეიკში კინგ-კონგის თავდასხმის მთავარ საგნად *იმპაირ სტეიტ ბილდინგი* შეცვალეს, ტურისტთა ყურადღების ცენტრშიც აღმოჩნდნენ.

პოლიტიკურ დატვირთვას არქიტექტურულ ნაგებობას ანიჭებს ფუნქცია (ტრაიანეს სახელმწიფოებრივ-რელიგიური ფორუმი), სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობა (ნიურნბერგის პლაცი), ან იდეოლოგიური შინაარსი (იოფანის ყრილობის სასახლე). არის კიდევ ერთი ნიშანი, რომელიც პოლიტიკურ არქიტექტურულ განაცხადებს აერთიანებს და უკლებლივ ყველა მათგანის თვისებად იქცევა: გადამეტებული, ჰიპერტროფირებული მასშტაბი, გამოკვეთილი მონუმენტური ფორმები და შეძლებისდაგვარად, მთლიანი კომპოზიციის ან, თუნდაც, მისი ცალკეული ელემენტების სიმეტრიული წყობა. სწორედ ამ უკანასკნელ ფაქტორს გადაჰყავს იამასაკის მ.ს.ც. პოლიტიკური ნაბიჯის კატეგორიაში, ვინაიდან ფუნქციურად, სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობით ან იდეოლოგიური დატვირთვით, იგი არანირად არ გამოირჩეოდა, მაგრამ მსოფლიოს ეკონომიკური დედაქალაქის ყველაზე დიდი სტრუქტურული ერთეულის შესაფერისი *ექსცესიური*, ტაფურის სიტყვებით, ზომა ზედმიწევნით შეესატყვისებოდა კაპიტალიზმის სიმბოლოს *პოლიტიკურ* სახეს. აქ იკითხება კავშირი სამ ელემენტს შორის: ეკონომიკური მნიშვნელობა – ჰიპერტროფირებული არქიტექტურული მასშტაბი – პოლიტიკური წონა. კულტურას ამ კონტექსტში ადგილი არ ექნებოდა, რომ არა ოსამას ბინლადენის მშენებელთა დინასტიის რენეგატი შვილის მიერ გაკეთებული არჩევანი: კულტურათა ინტეგრაციის სიმბოლოდ ქცეულ შენობაზე ტერორისტული დარტყმისას იგი შეეხო არა მხოლოდ კაპიტალიზმის სიმბოლოს, არამედ ისლამური არქიტექტურის კულტურულ ინფლაციასაც[7], იმგვარ ინფლაციას, რომლის ნაწილი მისი საკუთარი ოჯახიც იყო.

გასაკვირი არ უნდა ყოფილიყო, რომ შენობათა ნგრევით და დაღუპულთა ტრაგედიით გამოწვეული პირველი შოკის შემდეგ მ.ს.ც.-ს მიწასთან გასწორებულ ტერიტორიას (რომელსაც სწორედ ამ დროს მშენებლობაში მიღებული ტერმინის – *„ნულოვანი ნიშნულის"* სახელი საქვეყნოდ ენიჭება) აცხადებენ კორპორატიული ამერიკის და მასთან ერთად მთელი დასავლური ცივილაზიის (რაც, ალბათ, უნდა იკითხებოდეს: საბაზრო ეკონომიკის სამყარო) აღორძინების და ახალი განვითარების

ფოკალურ წერტილად, კაპიტალიზმის ეკონომიკური დაუძლეველობის წარუშლელ ფორპოსტად. ამ კეთილშობილურად გაცხადებულ აღორძინების ამოცანას გზად მრავალრიცხოვანი პრობლემები ეკიდება. 2001 წ. 11 სექტემბრის მომდევნო პერიოდში განხილვის საგნად იქცევა მ.ს.ც.-ს ნგრევის და ახალმშენებლობის შემდეგი ასპექტები:

1. პოლიტიკური მხარე; ეჭვქვეშ არ უნდა ყოფილიყო, რომ მ.ს.ც. როგორც ტერაქტის სამიზნე, უაღრესად ზუსტად იყო შერჩეული, მისი კომპლექსური მასშტაბი და მის ნგრევასთან დაკავშირებული უზარმაზარი ადამიანური, მატერიალური და ინტელექტუალური დანაკლისი ვაშინგტონის თეთრ სახლთან და პენტაგონთან შედარებითაც კი მ.ს.ც.-ს ანიჭებდა უპირატესობას.
2. ემოციურ-ადამიანური ასპექტი; ამერიკულ საზოგადოებაში ხდება ტრაგედიით სპეკულირება, მისი შოუდ გადაქცევა. მაგალითად, კომპანია ***ბოიმ დიზაინ,*** სერიული სახელწოდებით ***შენობა-კატასტროფები,*** ამზადებს და ყიდის შეწყვეტილებული კოშკების და პენტაგონის ლითონის ჩამოსხმულ მოდელებს[8]. მ.ს.ც.-ს ადგილი საჯარო სანახაობის სტატუსს იძენს, უკვე 2001 წ. დეკემბერში არქ. ***დილერი+სკოფიდიო*** ამთავრებენ ***ხედის პლატფორმას ფულტონ სტრიტზე*** და ტრაგედიის ადგილის ვიზუალურ შეფასებას ფასიან ექსკურსიად აქცევენ[9].
3. საზოგადოებრივი უსაფრთხოების პრობლემა; 11 სექტემბრის ტერაქტმა უმალ გამოიწვია არსებული საზოგადოებრივი უსაფრთხოების ნორმების კრიტიკა და ახალი ნორმატიული სარეგლამენტაციო დოკუმენტაციის შექმნის აუცილობლობის მოწოდებები. თუმცა, საბოლოო ჯამში, ფაქტობრივად არაფერი შეცვლილა: აშშ-ში და სხვა განვითარებულ ქვეყნებში ჩატარებულმა ანალიზმა ცხადყო, რომ არსებული რეგლამენტები ისედაც საკმაოდ მკაცრია, უბრალოდ, ისინი არასოდეს გაითვლებოდა უკიდურეს მოვლენებზე და მშენებლობაში ყოველთვის არსებობს რისკის ფაქტორი. ამიტომაც 2002 წ. ნოემბერში ბრიტანეთის დაგეგმვის სამინისტრომ ნორმების გამკაცრების სპეციალური კომისიის ანგარიშს უარყოფითი დასკვნა გაუკეთა[10].
4. ქალაქები როგორც სამიზნე; ომი, სტრატეგიული ძალადობა და ურბანიზმი მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებულია. ლე კორბუზიეს 1925 წ. ვუაზენის გეგმა პარიზისათვის გამიზნული იყო მაღლივი შენობების მეჩხერი განლაგების გზით შეემცირებინა დაბომბვით გამოწვეული დანაკარგები – დღეს ეს ირონიულად ჟღერს, რადგან 2001 წ. 11 სექტემბრის მოვლენებმა სწორედ რომ მაღლივი შენობების სტრატეგიული დაუცველობა გამოამჟღავნა. დღეს იკვეთება შემდეგი ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავს ქალაქს როგორც სტრატეგიული ინტერესის საგანს: ომის ურბანიზაცია, ანუ მზარდი სამხედრო ინტერესი ქალაქებისადმი; ტერორიზმის (ანტი-მოდერნისტების, რელიგიურად, რასობრივად, ეთნიკურად უკმაყოფილო ჯგუფების შეიარაღებული ბრძოლის) ადაპტაცია ქალაქური ინფრასტრუქტურისადმი; ქალაქური საზოგადოების მილიტარიზაცია; ანტი-გლობალიზაცია და ა.შ.[11]
5. სამხედრო ფაქტორი; მეორე მსოფლიო ომის შემდგომი აშშ-ს ქალაქების რეგენერაცია და 1960-იანი წლების რასობრივ ნიადაგზე მღელვარებისადმი რეაქცია გამოწვეული იყო სამხედრო ფაქტორების გათვალისწინებით. როგორც გამოჩნდა მაგალითებით სტალინგრადიდან და დრეზდენიდან გროზნომდე, ბეირუთამდე, სარაევომდე, ქაბულამდე და რამალაჰამდე (დღეს ამ სიას ბაღდადიც

დაემატა – ნ.შ.), ქალაქის მთლიანად მოსპობა და დედამიწის ზედაპირთან მისი გასწორება გაიგივებულია თანამედროვე სამხედრო „წარმატებასთან"[12].

6. მაღლივი შენობების უსაფრთხოება; სამოქალაქო ინჟინერთა ამერიკული საზოგადოების კონსტრუქციების ინსტიტუტის 2002 წ. აპრილში გამოქვეყნებულ დასკვნაში სერიოზული კითხვის ქვეშ დაყენებულია მაღლივი შენობების მომავალი და ნათქვამია, რომ *„შენობების ევაკუაცია უნდა მოხდეს მთლიანად და ერთდროულად"*[13].
7. ზოგადად, მაღლივი შენობების ფილოსოფია და კონცეფტუალური საფუძვლები; რაც უფრო მაღალია შენობა, მით ნაკლებია ეკონომიკური მოგება ფართობის ერთეულზე, განახლებული მოთხოვნები კი მეტი რაოდენობის და უფრო ფართო სახანძრო კიბეებზე კიდევ უფრო ამცირებს გასაქირავებელ ფართს. ამან საერთოდ შეიძლება მაღლივი შენობა – და მასთან ერთად ცათამბჯენის ისტორიული კონცეფცია – ეკონომიკურად არარენტაბელური გახადოს[14]. მიჩნეულ იქნა, რომ მ.ს.ც.-ს შეწყვილებული კოშკები მათ ადრინდელ ფორმაში იმიტომ წარმოადგენდა დიდი ამოცანის ადეკვატური გადაწყვეტის მაგალითს, რომ თავისი 55 000 თანამშრომლით პიკის საათებში, 110 სართულით და 1.2 მლნ. კვ.მ-ის ფართობით ისინი ოპტიმალურად რენტაბელური იყო. რაც შეეხება მ.ს.ც.-ს კოშკების მხატვრულ ღირებულებას, შენობების ალუმინიუმის ფასადების მჭიდრო ქსოვილი და *„გოთიკური"*, *ჩარლზ ჯენქსის* აზრით, შეისრული თაღების ვერტიკალური მოძრაობა ქმნიდა იმგვარ ოპტიკურ ეფექტს, რომ არ უტოვებდა თვალს საშუალებას რაიმე სხვაზე მოეხდინა ფოკუსირება, გარდა თავად ამ შენობათა გიგანტური ზომებისა. ექნება თუ არა მ.ს.ც.-ს ადგილას აღმართულ ახალ ნაგებობებს, უსაფრთხოების ახალი პირობების დაცვის აუცილებლობის დადგომის შემთხვევაში, საშუალება განახლებული *სიდიადით* – რემ კულჰაასის *ბიგნესს-ის*[15] ფილოსოფიის შესაბამისად - განხორციელების საშუალება, სერიოზული ეჭვის ქვეშ დგას[16].
8. შენობა-ნაგებობათა კონსტრუქციული მდგრადობა; ნანგრევების საწყისი ანალიზი ცხადყოფდა, რომ კოშკების ლითონი არის დაღუნული და დეფორმირებული, პრაქტიკულად ჯართის არც ერთი ნაჭერი სწორხაზოვანი არ აღმოჩნდა. პოსტ-ტერაქტის პერიოდში სერიოზული ყურადღება დაეთმო კონსტრუქციულ სქემებში *„კატასტროფების დაგეგმვის"* საკითხს, თუმცა შემდგომმა სამუშაოებმა ცხადყო, რომ *„სამშენებლო სისტემები, რომლებიც კატასტროფებს უძლებს"*[17] არარენტაბელურია და მთლიანად მაინც ვერ აიცილებენ სამშენებლო რისკებს.
9. ურბანული პრობლემები და ისტორიული მეხსიერების საკითხები.

გავამახვილოთ ყურადღება ამ უკანასკნელზე. კერძო მენაშენე ***ლარი სილვერსტეინი*** ფლობს მ.ს.ც.-ს ტერიტორიის 99-წლიან იჯარას. ტერაქტის შემდეგ იგი უკვეთავს ***სკიდმორ ოუინგს მერილს*** სამოცსართულიანი ოფისების 4 შენობის პროექტს, რომელიც არ იქნა დამტკიცებული მიწათმფლობელის - ნიუ-იორკის და ნიუ-ჯერსის პორტების სამმართველოს მიერ. ამავე დროს, 2001 წ. ნოემბერში შექმნილ იქნა *ქვემო მანჰეტენის განვითარების კორპორაცია* (***LMDC***). მან უმალ გამოაცხადა მ.ს.ც.-ს ახალმშენებლობის იდეების არქიტექტორთა საერთაშორისო კონკურსი, რომელიც 2002 წლის იანვარში ჩატარდა. აზრთა სხვაობა გამოიწვეია მიდგომებმა ტერიტორიის მიმართ: საზოგადოების ნაწილი, განსაკუთრებით კი ტრაგედიის მსხვერპლთა ოჯახები, რომლებსაც იმჟამინდელი მერი ***რ.ჯულიანი*** უჭერდა მხარს, ადგილის მემორიალად გადაქცევის მომხრე იყო,

მეორე ნაწილი კი, რომელსაც ამხნევებდა ახალი მერი *მ.ბლუმბერგი*, მ.ს.ც.-ს ადგილს კვლავ კომერციული განვითარების ცენტრად აღიქვამდა. ***LMDC***–ი მიემხრო იმ აზრს, რომ თუკი აქ მემორიალი აღიმართებოდა, მისთვის მცირე ფართიც კი საკმარისი იქნებოდა, ხოლო ტერიტორიის დიდი ნაწილი კომერციულ განვითარებას უნდა დასთმობოდა. იანვრის კონკურსზე 45 პროექტი იქნა წარდგენილი. ამავე დროს *ნიუ-იორკის ქალაქგეგმარების ინსტიტუტმა* გამოაქვეყნა ცარიელი ტერიტორიის რეინტეგრაციის იდეა ქალაქის ქსოვილში ისე, რომ მომხდარიყო მისი „*რეკონსტიტუცია* და არა *რეკრეაცია*“. ამ განცხადებული სურვილის მიუხედავად, საკონკურსო მასალებში ჭარბობდა შეწყვილებული კოშკების ნოსტალგია, პოსტ-გერის პერიოდის ამორფული გეომეტრიული ვარჯიშები წყვილის ნაცნობი კონტურების დასამახინჯებლად, ან გრავიტაციის საწინააღმდეგო „*ექტოპლაზმები*“[18].

კონკურსის შედეგები არაოფიციალური იყო, არ ჩანდა, რომ მას შეეძლო იდეების გენერირება მ.ს.ც.-ს მომავლის ირგვლივ. ამის შემდეგ, 2002 წ. მაისში ნიუ-იორკის და ნიუ-ჯერსის პორტების სამმართველომ და *LMDC*-მა მიიღეს ფედერალური მთავრობის 2 მლრდ. დოლარიანი დაფინანსება და დაუკვეთეს კომპანიას ***ბეიერ ბლაინდერ ბელი***, რომლის ყველაზე უფრო ცნობილი სამუშაო *ნიუ-იორკის გრენდ სენტრალ სადგურის რეკონსტრუქცია* გახლდათ, მ.ს.ც.-ს გენერალური გეგმის დამუშავება. ორიოდე თვეში მათ 6 კონცეფცია წარმოადგინეს 16-აკრიანი (დაახლ. 6.4 ჰა) ნაკვეთის ასათვისებლად, თვითოეულის სათაურს წინ სიტყვა „მემორიალური“ უძღვოდა: „პლაზა“, „მოედანი“, „სამკუთხედი“, „პრომენადი“, „პარკი“ და „ბაღი“. თითოეულ კონცეფციაში დომინირებს საშუალო სიმაღლის კოშკები, ერთ-ერთი მათგანი აქცენტირებულია მაღალი ანტენით, იზრდება ტერიტორიის გამწვანების ინტენსივობა და მისი სატრანსპორტო საკვანძო როლი. ოფისებისათვის გათვალისწინებული იყო 1 მლნ.კვ.მ, ხოლო მაღაზიებისა და სასტუმროებისათვის – 110 000 კვ.მ ფართი. გენგეგმის ამგვარმა გამოკვეთილად კომერციულმა ორიენტაციამ ნიუ-იორკელთა პროტესტი გამოიწვია, მიუხედავად იმისა, რომ მასში გამოკვეთილად ჩანდა მცდელობა კონცეფციის ქვემო მანჰეტენის ურბანულ ქსოვილში ინტეგრაციისა ქუჩების ისტორიული ქსელის აღდგენის და უესტ სტრიტის როლის გაძლიერების გზით. პროტესტის პათოსი მიმართული იყო ტერიტორიის საზოგადოებრივი ფუნქციის გამოკვეთის, მასში საცხოვრებელი ელემენტის გამოჩენის და შემცირებული შემჭიდროვების განაშენიანების სასარგებლოდ. პროტესტის შედეგი კი ის იყო, რომ დამკვეთებმა ოფიციალური საერთაშორისო კონკურსი გამოაცხადეს[19].

კონკურსმა გამოიწვია ცხოველი ინტერესი საერთაშორისო არქიტექტურულ წრეებში და ვინაიდან საწყის ეტაპზე იგი თავისუფალი პროგრამით მიმდინარეობდა, ტრაგედიის წლისთავისათვის *ნიუ-იორკ თაიმსის* მიერ მოწყობილ გამოფენაზე ***რაფაელ ვინიოლის*** მიეცა შესაძლებლობა გამოეფინა საკუთარი მოსაზრება, მ.ს.ც.-ს ადგილი სატრანსპორტო კვანძად გადაექცია, ხოლო ***მაიკლ სორკინს*** ახალი კოშკები *ფულერისეული* გეოდეზიური გუმბათით გადაეფარა. ***პიტერ ეიზენმანი*** ვერ გადასცდა დამახინჯების გეომეტრიას, ***ზაჰა ჰადიდმა*** დახატა, როგორც ყოველთვის, ელეგანტური წაგრძელებული ხაზები, ხოლო ***რემ კულჰაასის OMA***-მ საინტერესო ურბანულ-ეკოლოგიური ექსპერიმენტი დადგა[20]. ამგვარი ელიტიზმი დაგმობილ იქნა არქ. ***რობერტ კაპიჩის***, *ვან ალენის ინსტიტუტის* თავჯდომარის მიერ, რომელმაც აღნიშნა, რომ გამოჩენილი სახლების შეკრება „ქალაქის დაუნტაუნის რეკონსტრუქციის და განახლების საქმეში არქიტექტურის პოტენციური როლის შეურაცხყოფა და მარგინალიზაციაც კი გახლავთ“ [21].

*ნიუ-იორკ თაიმსის* არქიტექტურის კრიტიკოსი *ჰერბერტ მასჩემპი* გაზეთში აქვეყნებს „ნულოვანი ნიშნულის" ალტერნატიულ გეგმას სახელწოდებით „*დიდი მასშტაბის ჩაფიქრი*", მასში მთელი ტერიტორია ოთხ ზონად იყოფა: 1. თავად „ნულოვანი ნიშნული" როგორც სატრანსპორტო კვანძი მუზეუმით, თეატრით, სკოლით და მემორიალური სტელებით; 2. უესტ სტრიტი (საცხოვრებელი) ბინებით, მომსახურე და კულტურული ფუნქციით; 3. უესტ სტრიტი (კომერციული) სასტუმროებით და ოფისებით; 4. საფონდო ბირჟა. ამ მიდგომის ხიბლი მის მრავალფუნქციურობაში იყო, მაგრამ მას აკლდა არქიტექტურული სიმწიფე და ეკონომიკური ფაქტორის გათვალისწინება.

აი, სწორედ აქ, ამ ეკონომიკურ ფაქტორში იმალებოდა იდეათა, წინადადებათა, გენერალურ გეგმათა და ესკიზურ პროექტთა მიუღებლობის მთავარი საფუძველი: პოლიტიკური გადაწყვეტილება „ნულოვანი ნიშნულის" შემდგომი ბედის შესახებ უნდა მიეღო *LMDC*–ს, რომელსაც ნიუ-იორკის და ნიუ-ჯერსის პორტების სამმართველოს ინეტერესები უნდა გამოეხატა. ეს ინტერესები კი მარტივი არითმეტიკით ისაზღვრებოდა: თავის დროზე პორტების სამმართველოს ნიუ-იორკის ტრანსპორტის ქსელის განვითარებისათვის გამოშვებული ჰქონდა 6 მლრდ. დოლარის ღირებულების ობლიგაციები, მათზე გადასახდელი წლიური ინტერესი 120 მლნ. დოლარს შეადგენდა. ეს სწორედ ის თანხა გახლდათ, რაც *LMDC*–ს ევალებოდა „ნულოვანი ნიშნულიდან" ყოველწლიური სუფთა მოგების სახით ამოეღო. ამიტომაც ტრაგედიიდან წლისთავის გასვლისთანავე *LMDC*-მ გამოაცხადა, როგორც თავად ბრძანებდნენ, „მსოფლიოს ყველაზე უფრო ნიჭიერ არქიტექტორთა და ქალაქმგეგმარებელთა" 6-კაციანი სია, რომელსაც ევალებოდა უკან გადაედო სენტიმენტალური გრძნობები და კომერციული ამოცანისათვის ღირსეული არქიტექტურული პასუხი გაეცა. მეხსიერება დამარცხდა ფულთან ბრძოლაში, რადგან მემორიალისათვის განსაზღვრული მიწის ფართი ოფისების ფართობის დანაკარგს ნიშნავს. იმ დროს, როდესაც ა.შ.შ-ს ადმინისტრაცია უკვე ფიქრობდა, ხომ არ დაეწყო ომი ერაყთან სხვების უკითხავად, ამ ფილოსოფიას თან ახლდა ის საშიშროება, რომ აღმშენებლობა აღიქმებოდა ნაციონალიზმის ყველაზე უხეშ გამოვლინებად[22].

2002 წლის 26 სექტემბერს *LMDC*-ის მიერ კონკურსის 407 მონაწილიდან შერჩეული 6 არქიტექტორი იყო: *დანიელ ლიბესკინდი,ბერლინი; ნორმან ფოსტერი, ლონდონი; სკიდმორ, ოუინგს მერილი, ნიუ იორკი*, ორი სპეციალურად შეკრული ჯგუფი – *იუნაიტედ არქიტექტს* და *Think* – „*იფიქრე*"; და ბოლოს, ლეგენდარული *ნიუ-იორკის ხუთეულის* კვაზი-აღორძინება (ვინაიდან *ჯონ ჰეჯაკი* ცოცხალი აღარ იყო) *პიტერ ეიზენმანის, რიჩარდ მეიერის, ჩარლზ გუოტმის* შემადგენლობით, რომლებიც ამ შემთხვევაში შეუამხანაგდნენ *სტივენ ჰოლს*. იმ ჩარჩოებში, რაც განსაზღვრავდა მათი თავისუფლების ხარისხს, არქიტექტორებმა კიდევ კარგად გაართვეს თავი ამოცანას და ვფიქრობ ლიბესკინდის ჩანაფიქრი, რომელშიც იკითხება პირდაპირი კავშირი მისივე პირვანდელ ვარიანტთან, მაქსიმალურად ჰაეროვანი და მსუბუქი აღმოჩნდა ამ ბუმბერაზი კომპლექსის იდეის დასაძლევად და მას დამსახურებულად მიენიჭა გამარჯვება. ფოსტერი ცოტათი ტლანქია, იუნაიტედ არქიტექტს ზედმეტად სტრუქტურიზებული, მათ ფონზე რიჩარდ მეიერის ჯგუფი სიცხადით მაინც გამოირჩევა.

მსგის ირგვლივ შექმნილი სურათი შემდეგი დასკვნის საშუალებას გვაძლევს: არქიტექტურის გამოჩენამ პოლიტიკურ სცენაზე გვიჩვენა, რომ იგი ვერ გასცდა პოლიტიკური დაკვეთის ბრმა იარაღის, ზესახელმწიფოს გადამეტებული ამბიციით

გამოწვეული უსაზღვრო სურვილების მორჩილი შემსრულებლის როლს. ნიუ იორკის ნულოვანი ნიშნულის მოკლე ურბანული ისტორია კვლავ ადასტურებს, რომ პოლიტიკური ასპექტი არქიტექტურული გადაწყვეტილებების მიღებაში არ არის კავშირში საზოგადოებრივი ცნობიერების დონესთან, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების მდგომარეობასა ან თუნდაც პოლიტიკური სისტემის სტაბილურობასთან. მათგან დამოუკიდებლად, ჰიპერტროფირებულ, დამთრგუნველ და ანთროპოლოგიურ განზომილებებთან წინააღმდეგობაში შესულ ქალაქგეგმარებით შედეგს, რომელიც არ წყვეტს სოციალურ ამოცანას, ჩვენ ვღებულობთ, პრაქტიკული გამონაკლისის გარეშე, აგერ უკვე მერამდენე საუკუნეა. არანაირი მნიშვნელობა არ აქვს იმას, რომ დამკვეთის ხელთ არსებული ინსტრუმენტები ცენტრალიზებული მმართველობის გამაგრების აუცილებლობის, რელიგიური, სამხედრო, თუ ეკონომიკური მოტივებით იმართება. არსებითი ის არის, რომ ამ შედეგის დამკვეთია ყოველთვის უცვლელი: პოლიტიკურ ნებას ამოფარებული ძალაუფლების ცენტრი.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. *Boyd, A. Chinese Architecture and Town Planning.*, Oxford University Press, 1962.
2. *McDonald, W. The Architecture of the Roman Empire: An Introductionary Study*, revised edition, Phaidon, 1982.
3. *Tafuri, M., Dal Co, F., Modern Architecture*, Abrams, 1975.
4. *С.О.Хан-Магомедов, Архитектура советского авангарда,* М., Стройздат, 1996.
5. *The Huge Impact Zone in New-York*, Building Design, September 21, 2001.
6. *Tafuri, M., Dal Co, F., ibid.*
7. *Bouman,O., Public Relations*, Archis, # 1, 2002,
8. *Memento Mori*, Architecture, January 2002.
9. *Public Viewing: World Trade Center Viewing Platform*, Architecture, February 2002.
10. *Ministers Reject 9/11 Safety Review*, Building Design, November 8, 2002.
11. *Graham, S.,Martin,S., Splintering Urbanism: Networked Infrastructures, Technological Mobilities, and the Urban Condition,* Routledge, 2001.
12. *Graham, S., Urbanizing War/Militarizing Cities: The City as Strategic Site,* Archis, # 3, 2002.
13. *ACSE Releases Report on WTC Collapse,* Architecture, May 2002.
14. *ibid.*
15. *Koolhaas,R., Mau,B., S,M,L,XL,* Monacelli Press, 1995
16. *Jencks,C., How Big is Bad?,* Architectural Review, August 2002.
17. *Jacob Ward, A New Era,* Architecture, January 2002.
18. *Franciss Duffy, Architects at Their Worst?* Architectural Review, March 2002.
19. *Bussel, A., Citizens Speak Out Against WTC Concept Plans,* Architecture, August 2002.
20. *Adams,N., Say it With Towers*, Building Design, September 13, 2002.
21. *Bussel, A., Lower Manhattan Gets a Makeover in N.Y.Times,*, Architecture, October 2002.
22. *Kurgan, L., Report from New York,* Archis, # 6, 2002.

**ნანა შარიქაძე**
*თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის*
*მუსიკის ისტორიის კათედრის დოცენტი,*
*ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი*

# სტივ რაიჰის მუსიკალური თეატრი

მუსიკალური თეატრის განახლებისა და ნოვაციის გზა XX საუკუნის 80-90-იან წლებში ამერიკული მუსიკის ექსპერიმენტულ განშტოებაზე გადის. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ მუსიკალური აზროვნების განვითარების საკვანძო ეტაპები ამერიკული მუსიკის ისტორიაში სწორედ მის ექსპერიმენტულ ნაწილს უკავშირდება[1], რაც ვფიქრობ ბუნებრივიცაა, რადგან ტრადიციის უქონლობა (წესებისა და კანონების საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული მექანიზმის არარსებობა) და „ღია კულტურული სივრცის" კონცეფცია განაპირობებდა ამერიკული კულტურის ექსპერიმენტირებისათვის მზაობას, ევოლუციური პროცესის დაჩქარებას და ხელს უწყობდა მას დამოუკიდებლად მისულიყო მთელ რიგ ნოვაციებთან. ამ მხრივ გამონაკლისი არც მუსიკალური თეატრი აღმოჩნდა.

ოპერა, როგორც ევროპული ტრადიციული ჟანრი „იმთავითვე იმპორტულ ხელოვნებად, ფუფუნების საგნად აღიქმებოდა და არ პასუხობდა ამერიკული კულტურის შინაგან მოთხოვნილებას"[2], რამაც ჯერ კიდევ 1960-იან წლებში განსაკუთრებული აქტუალობით დასვა საკითხი თეატრალური სივრცის, მუსიკალურ-თეატრალური ნაწარმოების წმინდა ამერიკულინაირსახეობის შექმნის შესახებ, რომელსაც ოპერის ტრადიციული ევროპული ჟანრული განსაზღვრება ძნელად თუ შეესაბამება. უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერიმენტულმა მუსიკალურმა თეატრმა, როგორც ზოგადმა მოვლენამ, 80–90-იან წლებამდე, გაიარა ჩამოყალიბების ხანგრძლივი, ლატენტური ფაზა[3] და მხოლოდ XX საუკუნის მეორე ნახევარში იქნა აღქმული როგორც საერთო ესთეტიკური და მხატვრულად სპეციფიკური ფენომენი. ხოლო 1980–90-იან წლებში ამერიკულმა ექსპერიმენტულმა თეატრმა შექმნა თვისებრივად ახალი ეტაპი მუსიკალური თეატრის და საოპერო ჟანრის შემდგომი განვითარებისათვის. სტივ რაიჰის შემოქმედებას კი ამ პროცესში განმსაზღვრელი ადგილი უჭირავს[4], რის გამოც უმალ მოექცა ამერიკული მუსიკალური თეატრისა და ოპერის პრობლემებით დაინტერესებულ მუსიკათმცოდნეთა კვლევის ორბიტაში (ვილიამ დაკვორტი, ტომ ჯონსონი, აკირა ასადა და სხვ.).

სტივ რაიჰის საკომპოზიტორო აზროვნება და მუსიკალური სტილი თეატრალური ჟანრის მიღმა, ინსტრუმენტულ მუსიკაში ჩამოყალიბდა. მუსიკალურ-თეატრალურ ჟანრს საკმაოდ გვიან, 1993 წელს 57 წლის ასაკში მიმართა[5] და უნდა ითქვას, რომ დღემდე დაწერილი ორი ნაწარმოებიდან — „გამოქვაბული" („The Cave" 1993) და „სამი ამბავი" („Three Tale"- „Hindenburg", „Bikini", „Dolly" 1998-2002) — ორივე წარმატებული აღმოჩნდა და იმავდროულად წარმოადგენს მუსიკალური თეატრის რადიკალურად ახალ კონცეფციას. ბუნებრივია, რომ წინამდებარე სტატიის ფარგლებში სრულად ვერ მოვიცავ რაიჰის მუსიკალური თეატრის ყველა ასპექტს. ყურადღებას შევაჩერებ შემდეგ საკითხებზე: მუსიკალურ-თეატრალურისა და თანამედროვე ტექნოლოგიის ურთიერთკავშირის პრობლემა; მისი გენეზისი და ახლად წარმოქმნილი ვიდეოოპერის ჟანრის ზოგიერთი მახასიათებელი.

როგორია სტივ რაიჰის ესთეტიკური ორიენტირი თეატრში?

კომპოზიტორისთვის თანამედროვე მუსიკალური თეატრი, უპირველესად, თეატრალურობისა (რომელიც ზოგადად სანახაობითობის ესთეტიკას გულისხმობს) და თანამედროვე ტექნოლოგიის ურთიერთკავშირის, სინთეზის კონცეფციაა. მისი ძირითადი ესთეტიკური არსი კი გასული საუკუნისათვის დამახასიათებელი მაღალ-ტექნიკური შესაძლებლობებისა და სულიერების, ტექნოლოგიურისა და მუსიკალურ-მხატვრულის ურთიერთობის პრობლემაშია ფოკუსირებული; რადგან, „ტექნოლოგიურისა და მხატვრულის დიალოგით, მათი კავშირით არის შესაძლებელი წარმოჩინდეს საოპერო ჟანრის პოტენციალი XXI საუკუნეში"[6]. ამ ესთეტიკამდე რაიჰი, ბუნებრივია, მხოლოდ ემპირიული გზით არ მისულა. მას რამდენიმე ფაქტორი ამზადებდა კომპლექსურად: 1. თანამედროვეობაში მიმდინარე უახლესი ტექნოლოგიური პროცესები; 2. თანამედროვე თეატრის განვითარების დინამიკა და 3. ამერიკული საუნივერსიტეტო მუსიკალური თეატრების კულტურა.

„მუსიკალური განვითარების დინამიკამ ხელოვანი მიიყვანა იმ ელემენტთა შეგნებულ გამოყოფამდე, რომლებიც გადიან „წმინდა მუსიკის" და „მუსიკალური ბგერის" საზღვრებიდან. თეატრი თავის თავში აერთიანებს ცეკვას (იგულისხმება ფიზიკური აქტივობა, ჟესტი, მოძრაობა), სცენურ გაფორმებას (განათება, რეკვიზიტი), ბუნებრივ ხმებს (სცენაზე მოძრაობით ან მეტყველებით წარმოქმნილი ბგერის მხატვრული ინტეგრაცია)"[7]. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თეატრის ზემოთ ჩამოთვლილ შემადგენელ „ელემენტთა" სიას (რომელიც ნამდვილად არ სცილდება ესთეტიკურისა და მხატვრულის ზღვარს), გასული საუკუნის დასასრულს დაემატა თანამედროვეობის მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების ის სფეროებიც, რომელთა საძირკველშიც მხატვრული ამოცანის დასმის ან გადაჭრის მიზნებს ძნელად თუ ვიპოვით. ეს ურთულესი ტექნიკური მოწყობილობებისა და გამოთვლების სამყაროა, რომელთა განვითარების ტემპები და სოციალური თუ ფიზიკური ზეგავლენა ჩვენზე დღითიდღე იზრდება (ვიდეოაღჭურვილობიდან ტელეკომუნიკაციებამდე, კომპიუტერიდან ინტერნეტის შესაძლებლობებამდე) და ჩვენი ევოლუციის ნაწილი ხდება, რასაც სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ ვერაფერს ვუხერხებთ. ამავე დროს ასეთი მოთხოვნილება პოსტმოდერნისთვის დამახასიათებელი მენტალიტეტითაც არის განპირობებული, რომლისთვისაც ძალზე ფასეულია სხვადასხვა საშუალებათა (განსაკუთრებით აუდიოვიზუალური ინდუსტრიისა და თანამედროვე სანახაობითი კულტურის თითქმის ყველა საზოგადოებრივი ინსტიტუტის) შერევა (mixed media)[8].

სტივ რაიჰის მუსიკალურ თეატრში ერთმანეთს ერწყმის ვიდეორიგი, ვიდეომაგნიტოფონზე ჩაწერილი ინტერვიუები, ფოტოგრაფია, ტექსტი და სპეციალურად კონსტრუირებული კადრები. ასე მაგალითად: „გამოქვაბულში" მუსიკალური და ვიდეორიგი პარალელურად ვითარდება, ეკრანიდან „გვესაუბრებიან" ინტერვიუერები, რომელთა ტექსტიც ვიდეომაგნიტოფონზეა ჩაწერილი; მომღერლები ვიდეოეკრანებთან იკავებენ ადგილს და თავად ბადებენ „ცოცხალი ეკრანის" შთაბეჭდილებას.

თუმცა ხაზი უნდა გაესვას, რომ ტექნოლოგიურისა და თეატრალურის შერწყმის ესთეტიკა სათავეს იღებს 1960-იანი წლების ამერიკული საუნივერსიტეტო კულტურიდან, რომელმაც ფაქტობრივად საკუთარ წიაღში შვა ამერიკული ექსპერიმენტული ოპერა[9]. მიუხედავად იმისა, რომ სტივ რაიჰი პირდაპირ არ ყოფილა დაკავშირებული საუნივერსიტეტო მუსიკალური თეატრის კულტურასთან, ფაქტია, რომ თეატრალურ ნაწარმოებებში თავისებურად აირეკლა ამ კულტურის

მხატვრული პრინციპები. მათი აქტუალობა სტივ რაიჰის შემოქმედებაში რამდენიმე ფაქტორით არის განპირობებული: ერთი მხრივ, 80–90-იან წლებში კულტივირებენ პერფორმანსის „ახალ" თეორიას (რომელიც იმთავითვე ეზოთერულ, ელიტარულ ხელოვნებად ჩაიფიქრეს), სადაც ფასეული მისი განსაკუთრებული სანახაობრივი მხარე იყო[10]. შეიქმნა ახალი მოდელი ისეთი წარმოდგენისა, რომელიც ხაზგასმული არათხრობითობით, არადეტერმინირებით ხასიათდება და მულტიმედიური თვისება გააჩნია. მეორე მხრივ კი 1990-იან წლებში ტექნოლოგიური და მუსიკალურ-თეატრალური საწყისები ერთ მხატვრულ მთლიანობად კანონზომიერად შეერწყა ერთმანეთს რაიჰის შემოქმედებაში, რადგანაც ამისათვის ტექნოლოგიური და მხატვრულ-ესთეტიკური ბაზა თანაბრად აღმოჩნდა შემზადებული.

მუსიკალურ-თეატრალურისა და ტექნოლოგიურის სინთეზით იბადება ახალი ჟანრი - ვიდეოოპერა[11].

რას წარმოადგენს ვიდეოოპერის ჟანრი?

ჟანრის განსაზღვრისას მართებული იქნება თავად კომპოზიტორის დეფინიციას დაეეყრდნოთ: „ვიდეოოპერა შეიცავს, როგორც ვიზუალურ, ისე თეატრალურ მოქმედებას, რომელიც პარტიტურაშია შესული და გადმოიცემა სცენის რეჟისორის, მხატვრისა და განათების საშუალებით. პერფორმირება სცენურად აბსოლუტურად იკონოგრაფიულია და ხაზგასმული სტატიურობით გამოირჩევა. ეს არ არის კლასიკური გაგებით ოპერა ან დრამა; ეს არის თეატრი, რომელიც ემსახურება ვიდეოს და მუსიკას თანაბრად"[12]: „სამი ამბავი" სამნაწილიანი ციფრული დოკუმენტური ვიდეოოპერა[13]; და „გამოქვაბული" - ვიდეოოპერა[14];

ვიდეომ, როგორც ხელოვნებამ, 1960-იანი წლების შუა ხანებიდან მიიპყრო ყურადღება და იმთავითვე ხელოვნების სხვადასხვა სფეროებთან (სკულპტურა, ცეკვა, პერფორმანსი, თეატრი) ინტეგრირების ნიშნით აღიბეჭდა. ამავე დროს ვიდეო ტექნოლოგიური განვითარების ნაწილია, რომელიც გულისხმობს ხელოვნების ამ სფეროში კარგად ჩახედულ და ტექნიკური აღჭურვილობის მცოდნე ადამიანთან თანამშრომლობას. ტრადიციული გაგებით კომპოზიტორი–დრამატურგის თითქმის სამსაუკუნოვან ტრადიციას ჩაენაცვლა კომპოზიტორი–ვიდეოარტისტის თანამშრომლობა. თუმცა ამ „თანამშრომლობის" პროცესში, ინდივიდუალური სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, კომპოზიტორისა და ვიზუალურ-თეატრალური რიგის შემქმნელის ფუნქციები მკაცრად გამიჯნულია, რაც ძირშივე გამორიცხავს თანამონაწილეობას სპეციალური განათლებისა და მომზადების გარეშე.

სტივ რაიჰის ორივე ოპერაზე მუშაობისას ტექსტის და ვიდეოს ავტორია ბერილ კოროტი[15]. „მე ყოველთვის მივილტვოდი ახალი ტექნოლოგიებისაკენ. თუმცა, არასდროს ვწყვეტდი კავშირს მის გუშინდელ დღესთან. მედიას უსაზღვრო გავლენა სოციალურ და კულტურულ გარემოზე განსაზღვრავს მის აქტუალობას, რაც მუდამ ჩვენ გვიკავშირდება და ჩვენც სარკესავით ავირეკლავთ ტექნოლოგიის პოზიტიურ და ნეგატიურ ასპექტებს, რაც მიღწევებისა და დანაკარგების ორ პოლუსად შეიძლება აღვიქვათ"[16]. რაიჰ-კოროტის ორივე ნაწარმოები მიღწევებისა და დანაკარგების იდეურ-მხატვრული და დოკუმენტური ანარეკლია. „გამოქვაბული" ადამიანის ძიების მეტაფიზიკურ პრობლემას ასახავს. „სამ ამბავში" კი დოკუმენტურად არის ასახული XX საუკუნის ტექნოლოგიური დინამიკის ამსახველი ფაქტები – აეროხომალდებისა და ატომური ბომბის შექმნიდან გენური ინჟინერიისა და კლონირების მეცნიერულ გამოგონებამდე, რაც რელიგიურისა და ტექნოლოგიურის პრობლემამდე მაღლდება: ჰინდენბურგი, რომელიც მოგვითხრობს გერმანული

აეროხომალდის დაღუპვის ისტორიას 1937 წელს ნიუ-ჯერსიში; ბიკინი, ასახავს მარჯნის კუნძულ ბიკინიზე ატომური ბომბის გამოცდის პირველ ფაქტს 1946–1952 წლებში; დოლის საფუძვლად უდევს 1997 წელს შოტლანდიაში ცხვრის კლონირების ამსახველი მეცნიერული ფაქტი და შეეხება გენური ინჟინერიის გაძლიერებას თანამედროვე ცივილიზაციაზე.

ერთი შეხედვით, განვითარებული სიუჟეტური ქარგის მიუხედავად, ვერსად შევხვდებით დრამის კანონების პრინციპით განვითარებას. აღნიშნულის ფესვები რაიჰის საკომპოზიტორო აზროვნებაში უნდა ვეძიოთ. მის მიერ მუსიკის, როგორც ჟღერადობის პროცესისადმი ინტერესმა განსაზღვრა სცენურ ნაწარმოებში სიტყვის ნიველირება. კომპოზიტორი არსად ცდილობს სიტყვის შინაარსის თარგმნას მუსიკალურ ენაზე; აქედან არის სიუჟეტის არათხრობითობა, ხაზგასმული არადეტერმინირება. შესაბამისად ვიდეოოპერაში ვერსად შევხვდებით კლასიკური საოპერო ნაწარმოებებისათვის აუცილებელ მუსიკის შინაარსობრიობას. რაიჰს აინტერესებს არა იმდენად სიტყვა, არამედ ხმა, რომელიც ამ სიტყვას წარმოთქვამს: „თითოეული ადამიანის არსი მის ხმაშია, შესაბამისად კი ჟღერადობაში. საკმარისია ჩაწეროთ ხმა მის მოდულაციებში, რომ ინტონირების უსასრულო ვარიანტებს მიიღებთ. ბგერის მაგიის საშუალებით კი რეალობის მოდელირებაა შესაძლებელი"[17]. ეს სტილი კომპოზიტორის 60-80-იანი წლების ინსტრუმენტულ მუსიკაში ჩამოყალიბდა[18], სადაც სასიმღერო, თუ სალაპარაკო ხმა ინსტრუმენტის დატვირთვას იძენდა. ამგვარი გააზრებით იგი უპირისპირდება თვითგამოხატვის კულტს და ქმნის იმ ტიპის მდგომარეობას,სადაც ინდივიდუალური ფიქრისა და გრძნობისაგან თავისუფალს შეუძლია კონცენტრირდეს ერთი უწყვეტი მუსიკალური პროცესის შექმნისათვის[19].

სწორედ რაიჰისთვის თეატრი, როგორც სანახაობა და მუსიკა, როგორც ჟღერადობა ის ესთეტიკა აღმოჩნდა, რამაც მისი თეატრალური და ინსტრუმენტული აზროვნების პრინციპები დააბალანსა და რეალობად აქცია ისეთი თეატრის არსებობა, რომელიც თანაბრად ემსახურება ვიდეოს და მუსიკას.

## შენიშვნები და გამოყენებული ლიტერატურა

1. ჩარლზ აივზი (1874-1956), ჰენრი კოუელი (1897-1965), მორტონ ფელდმანი (1926-1987), ჯონ კეიჯი (1912-1992) და სხვ.
2. Конен В – Этюды о зарубежной музыке. М., 1975, стр. 363.
3. მის ერთ-ერთ ყველაზე ადრეულ და პირველ ნიმუშს წარმოადგენს მატიუშინის „მზეზე გამარჯვებული" (1913 წ).
4. აღსანიშნავია, რომ ამერიკული მუსიკალური თეატრის რადიკალურ განახლებაში, რაიჰის პარალელურად აქტიურად მონაწილეობს ექსპერიმენტული თეატრის ორი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი: ტერი რაილი (1992 წელს ქმნის კომპოზიტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, საოპერო-თეატრალურ ნაწარმოებს – „წმინდა ადგილყის ბეჭედი") და ფილიპ გლასი, რომელიც მუსიკალურ თეატრში ყველაზე თანმიმდევრულად და რეგულარულად მომუშავე კომპოზიტორთა რიცხვს მიეკუთვნება. იგი დაახლოებით ოცამდე ოპერისა და მუსიკალურ-თეატრალური ნაწარმოების ავტორია. მათ შორის აღსანიშნავია „აინშტაინი სანაპიროზე", „სატიაგრაჰა", „ეხნატონი" და სხვ.

5. ამ დროისათვის კი იგი ცნობილია, როგორც 1960-იანი წლების ამერიკული მუსიკალური მინიმალიზმის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი; XX საუკუნის II ნახევრის „გაწელილი ფაზური" („Gradual shifting phase") საკომპოზიტორო ტექნიკის შემქმნელი; და დღეს უკვე XX საუკუნის კლასიკად ქცეული ნაწარმოებების ავტორი „It's gonna rain", „ Come out to show them", „Piano phase", „Drumming" და სხვ.
6. Interview by David Allenby with Steve Reich and Beryl Korot 2002 12 may (ვენის პრემიერის ბუკლეტიდან).
7. R.Brindle. New Music. London, 1975, p. 147.
8. И. Ильин. Постмодернизм, словарь терминов. М., 2001.
9. Л.Левин, Америланский оперный театр 1970-1980-х годов: проблемы и решения //В: Музыкальный театр; События, Проблемы // М., 1990.
10. ჯერ კიდევ 60-იან წლებში ჩაუყარა საფუძველი ინსტრუმენტული თეატრის ჩამოყალიბებას ერთი მხრივ (ჯ.კეიჯის „თეატრალური პიესა" 1960; და ლა მონტე იანგის „პიესა ფორტეპიანოსთვის" 1960) და მულტიმედიურ წარმოდგენებს მეორე მხრივ. 80-90-იან წლებში კი იქმნება ი.ბირინგერის „თეატრი, თეორია და პოსტმოდერნი" (1991); უ.ბ.უორტენი „თანამედროვე დრამა და თეატრის რიტორიკა" (1992).
11. ამ ჟანრის ქრონოლოგიურად პირველ ნიმუშს წარმოადგენს ეშლის „სანიმუშო ცხოვრება" (1970).
12. Interview by Richard Kessler, New Music Box (AMC), 1998.
13. საფუძლად დაედო XX საუკუნის ადრეული (ჰინდენბურგი), შუა (ბიკინი), და გვიანი ისტორიის (დოლი) კარგად ნაცნობი და გახმაურებული დოკუმენტური ფაქტები. დაწერილია ხუთი მომღერლის, სიმებიანი კვარტეტის, ოთხი დასარტყამის და ორი კლავიშიანი ინსტრუმენტისთვის. პრემიერა შედგა ვენაში 2002 წელს.
14. საფუძვლად დაედო ბიბლიური ამბავი ისააკზე, ისმაილზე, სარაზე და აბრაამზე; დაწერილია ინსტრუმენტული ანსამბლისთვის (დასარტყამები, ფორტეპიანო, კლავიშები, ვიოლინო, ალტი, ფლეიტა, ჰობოი, კლარნეტი, ბასკლარნეტი, ინგლისური ქარახსა) და სალაპარაკო და სასიმღერო ხმებისთვის. პრემიერა შედგა ვენაში 1993 წელს.
15. ბერილ კოროტი (1945 ნიუ-იორკი) ამერიკული ვიდეოარტის ერთ-ერთი პიონერი. სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის 70-იან წლებში და ვიდეოინსტალაციებით „ტექსტი და კომენტარი" (1977) დაიმკვიდრა ადგილი თანამედროვე ხელოვნების ოლიმპზე; ვიდეოსა და ვიდეოარტისადმი მიძღვნილი ჟურნალის „Radical Software"-ის ერთ-ერთი დამაარსებელი და თანაავტორი (1970). თეატრთან შეხება მოხდა მეუღლის სტივ რაიჰის შემოქმედებით.
16. Interview by Richard Kessler, New Music Box (AMC), 1998.
17. Interview by Richard Kessler, New Music Box (AMC), 1998.
18. Oh Dem Watermelons (1965), Come out to show them (1966), Dramming (1971), Music for Mallet instruments (1973), Music for 18 musicians (1976), Music for a large ensemble (1978), Tehillim (1981), Yesterday afternoon (1991).
19. რის ნათელ მაგალითსაც წარმოადგენს 1995 წელს დაწერილი „Proverb" ხმათა თეატრისა და ინსტრუმენტული ანსამბლისათვის.

**ირაკლი ცხვედიანი**
*ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორიის კათედრის დოცენტი*

# მითი და სინამდვილე ჯონ აპდაიკის რომანში „კენტავრი"

ჯონ აპდაიკის შემოქმედება საერთოდ და კერძოდ მისი რომანი „კენტავრი" (1963) 60-ანი წლების ინგლისურენოვანი ლიტერატურული კრიტიკის საკმაოდ დიდმა ნაწილმა უარყოფითად შეაფასა, თავად აპდაიკი სათქმელის უქონლობაში დაადანაშაულა და იგი მესამეხარისხოვან მწერლად შერაცხა[1]. მართალია, ზოგიერთი კრიტიკოსი აღიარებდა, აპდაიკი ვირტუოზია ფორმის სფეროშიო, მაგრამ იქვე დასძენდა: შეუძლებელია ამ პროზაიკოსის შემოქმედების შინაარსი საინტერესოდ მივიჩნიოთო. ერთი სიტყვით, ამერიკული ლიტერატურული კრიტიკა დაახლოებით იმასვე ამბობდა ზოგადად აპდაიკის შემოქმედებაზე, რასაც ინგლისელი ლიტერატორი დ.ენრაიტი მისივე რომანის „კენტავრის" შესახებ: ამ რომანში მითოლოგია „ყურითაა მოთრეული" თხრობის უშინაარსობის დასაფარადო[2]. ძნელია ახსნა მოეძებნოს ამერიკული ლიტერატურული კრიტიკის სკეპტიკურ დამოკიდებულებას აპდაიკის შემოქმედებისადმი, მაგრამ ერთი რამ ცხადია: თავად შეფასების კრიტერიუმი მცდარია – მიუღებელია ერთმანეთისაგან ასეთი „გათიშვა" ფორმისა და შინაარსისა, ისინი ერთმანეთს განაპირობებს და განუყოფლადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ასე რომ, „უშინაარსო" რომანის ავტორი ვერ იქნებოდა ვირტუოზი ფორმის სფეროში.

ინგლისურენოვანი ლიტერატურული კრიტიკისაგან განსხვავებით„კენტავრმა" უაღრესად მაღალი შეფასება დაიმსახურა საბჭოურ ლიტმცოდნეობაში. ამ ფაქტს, ალბათ,ის მიზეზიც განაპირობებდა,რომ საბჭოურ ლიტმცოდნეობას საერთოდ მოდერნიზმის და ბუნებრივია, მოდერნისტული „მითოლოგიზმისა" თუ „მითოსური ექსპერიმენტის" განქიქებისა და რეალისტურ მწერლობასთან შედარებით მისი ნაკლულობის წარმოჩენის სურვილი ამოძრავებდა. ასე მაგალითად, ზატონსკი უარყოფით შეფასებას აძლევს კაფკას „მითოლოგიზმს" იმ მოტივით, რომ მისი შემოქმედება მოკლებულია ჯანსაღ ფოლკლორულ საფუძველს, მითი კი მის ქმნილებებში ემიჯნება ყოველივე სოციალურს, იქცევა უაღრესად ინდივიდუალურ კონსტრუქციად. იგი აუცხოებს ხელოვანს სინამდვილისაგან, ცხოვრებისეული სიმართლისაგან. სამაგიეროდ, მკვლევარი მითის გამოყენებისათვის დადებითად აფასებს აპდაიკის „კენტავრს", ვინაიდან იგი, მართალია, მეტაფორული რომანია, მაგრამ იმავდროულად რეალისტურიცაა – მითი სინამდვილეს ემსახურება[3]. ის ფაქტი, რომ ზატონსკი დადებითად აფასებს აპდაიკისეულ „მითოლოგიზმს", ხოლო კაფკასეულს–უარყოფითად, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მას მითთან დაკავშირებით ორი განსხვავებული, წინააღმდეგობრივი თვალსაზრისი აქვს, როგორც ეს ა.გულიგას ჰგონია[4]. მისეულ შეფასებებს განსაზღვრავს ის გარემოება, თუ რა ფუნქციას ასრულებს მითი მხატვრულ ქსოვილში – „სინამდვილისაგან აუცხოებს ხელოვანს" თუ „სინამდვილის სამსახურში დგას". აქ საბჭოური ლიტმცოდნეობისათვის დამახასიათებელი იდეოლოგიური შეზღუდვები მოქმედებს და ბუნებრივია, რომ მკვლევრის შეფასება პირველ შემთხვევაში უარყოფითია, მეორეში კი – დადებითი, თუმცა ცხადია,რომ ასეთ შეფასებებს ლიტერატურულ კრიტიკასთან საერთო

არაფერი აქვს. აქ კიდევ ერთი მომენტი საჭიროებს დაზუსტებას: კაფკა, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ირაციონალური მითოშემოქმედების“ წარმომადგენელია, იგი თვითმყოფად, ინდივიდუალურ მითოპოეტურ სამყაროს ქმნის, აპდაიკი კი კონკრეტულ მითს, ტრადიციულ მითოლოგიურ სიუჟეტს იყენებს გარკვეული მხატვრული მიზნების მისაღწევად. ასე რომ, ამ ორი მწერლის შეპირისპირება ამ თვალსაზრისით, ცოტა არ იყოს, ზედაპირული ჩანს. და მაინც, შეიძლება გარკვეული საერთოს დანახვაც: კაფკას პოეტიკისათვის ნიშანდობლივია ტრივიალურ, ჩვეულებრივ ამბავში უჩვეულოს, ფანტასტიკურის მოულოდნელად შემოტანა. ასეთ „კაფკასეულ“ ხერხს მიმართავს აპდაიკიც „კენტავრის“ დასაწყისში: რომანის მთავარ პერსონაჟს, სკოლის მასწავლებელ კოლდუელს მისი საკუთარი მოსწავლეები გაკვეთილზე კოჭში ისრით დაჭრიან. ფეხში დაჭრილი, ტკივილისაგან გაოგნებული კოლდუელი სკოლის დერეფანს რომ მიუყვება, მწერალი მოულოდნელად ახსენებს მის ფლოქვებს: „ცდილობდა მტკივან ფეხს არ დაბჯენოდა, მაგრამ სამი დანარჩენი შეუწყობელი ფლოქვით ისე ხმამაღლა მიბაკუნებდა, რომ...“[5]. რაღა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ერთი ცალკეული, კონკრეტული მხატვრული ხერხის თანხვედრაა და მეტი არაფერი. კაფკასა და აპდაიკის შემოქმედებითი მეთოდიცა და მხატვრული სამყაროც პრინციპულად და თვისებრივად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

XX საუკუნის ლიტერატურული „მითოლოგიზმის“ ერთიან კონტექსტში განიხილავენ ასევე ჯოისის „ულისესა“ და აპდაიკის „კენტავრს“, რასაც გარკვეული საფუძველი აქვს, მაგრამ ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს ერთი პრინციპული სხვაობა: „ულისე“ მოდერნისტული რომანია და „თხრობითი მეთოდის“ ნაცვლად „მითოსური მეთოდის“ გამოყენების საჭიროებასაც მოდერნისტული რომანის პოეტიკა განაპირობებს. მითოსი მწერალს რომანის სტრუქტურის ორგანიზებისათვის სჭირდება, „კენტავრში“ კი ტრადიციული სიუჟეტურობა მოქმედებს და ამდენად, მითის ასეთი ფუნქცია აქ გამორიცხულია. გარდა ამისა, ჯოისი რომელიმე კონკრეტულ მითს (ან თუნდაც მითებს) კი არ ირჩევს თავისი რომანის სტრუქტურის საფუძვლად, მის საყრდენ ღერძად, არამედ „მითოსს“ ერთგვარ „პოტენციურ სიუჟეტს“, მრავალი სიუჟეტის უზოგადეს მოდელს, საკვანძო მითოსურ სიტუაციას, რაც მას საშუალებას აძლევს, მოახდინოს უკიდურესად არაერთგვაროვანი მასალის პაროდიული სინთეზი ერთი მხატვრული მთელის ფარგლებში. თანაც ჯოისისეული პარალელები ჰომეროსის „ოდისეასთან“ უაღრესად პირობითი და მიახლოებითია, მითოლოგიურ-სიმბოლური პლანი უშუალოდ კი არ არის მოცემული რომანის მხატვრულ ქსოვილში, როგორც ეს „კენტავრშია“, არამედ მითი უმთავრესად აბსტრაქტულ-სტრუქტურულ და ქვეტექსტურ დონეებზე რომანის სიღრმისეულ შრეებში ფუნქციონირებს და მისი პოეტიკის ყველა ელემენტსა თუ კომპონენტს გამსჭვალავს. მიუხედავად ყოველივე ამისა, გარკვეული მსგავსება შეიძლება მითის ჯოისისა და აპდაიკისეულ მხატვრულ ტრანსფორმაციაშიც დაიძებნოს: მითის ჯოისისეული რეინტერპრეტაცია პაროდიულ ხასიათს ატარებს. „კენტავრშიც“, როგორც მართებულად აღნიშნავს ამ რომანის ქართულად მთარგმნელი დალი ინწკირველი, მითის გამოყენება ზოგ შემთხვევაში სატირულ მიზნებს ემსახურება. მაგალითად, გროტესკული ხასიათი აქვს სკოლის დირექტორის ზიმერმანის ზევსთან გაიგივებას[6]. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თუ მითის გამოყენება „კენტავრში“ მხოლოდ ზოგ შემთხვევაში ემსახურება სატირულ მიზნებს, ჯოისისეული პაროდია უნივერსალურია, თუმცა პაროდიული ეფექტის მიღწევა მისთვის მთავარი მიზანი

როდია. ეს, როგორც ჩანს, გარდაუვალი „საფასურია" თანადროულობასა და ანტიკურ ხანას შორის პარალელის გავლებისას.

პარალელს ავლებენ ასევე ჯონ აპდაიკისა და თომას მანის შემოქმედებას შორის, ვინაიდან ორივე მწერლის პროზისათვის ნიშანდობლივია ორი პლანის - მითოლოგიურისა და რეალურის, ემპირიულ-ყოფითისა და იდეალურის, კონკრეტულისა და განზოგადებულ-სიმბოლურის თანაარსებობა თუ კონტრასტი. მართალია, აპდაიკის „კენტავრში", ისევე როგორც თ.მანის პროზაში, გერმანელი მკვლევრის, რობერტ ვაიმანის სიტყვით რომ ვთქვათ, ყოველდღიური სინამდვილის გამოსახვა ფართო დროით გაქანებასა და მეტაფორის სიღრმეს იძენს"[7], მაგრამ თუ აპდაიკის რომანში მითოლოგიურ-სიმბოლური პლანი უშუალოდ „იჭრება" მხატვრულ ქსოვილში და რეალურ-ყოფითი პლანის პარალელურად არსებობს, უფრო ზუსტად, მას „გადაეხლართება" და „გადაეწვნება", თ. მანისთვის მითი სამყაროს მხატვრული ჭვრეტისა თუ მსოფლაღქმის მეთოდია, ის ხერხია, რომელიც ყოფიერების მარადიულ, მეტაფიზიკურ საწყისებსაც გამოავლენს და nunc stan-ის –მაგიური უძრაობის, უდროობისა თუ დროის გაყინვის მხატვრული ეფექტის მიღწევის საშუალებასაც იძლევა. შესაბამისად, სიმბოლურ-იდეალური პლანი თომას მანის პროზაში უშუალოდ კი არ არის მოცემული ემპირიულის პარალელურად, არამედ მის „შიგნითაა" გადატანილი, დაფარულია, ნაწარმოების სიღრმისეულ სტრუქტურასა და პლასტებშია „განფენილი".

როგორც ვხედავთ, მითის მხატვრული ტრანსფორმაციის მეთოდები მეოცე საუკუნის ლიტერატურაში უკიდურესად არაერთგვაროვანი და სპეციფიკურია, რაც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ „მითოლოგიზმი" უაღრესად რთული და წინააღმდეგობრივი მოვლენაა XX საუკუნის ლიტერატურაში,მაგრამ,მეორე მხრივ, როგორც ელიაზარ მელეტინსკი აღნიშნავს, იგი „ერთიანი მოვლენაა და შეუძლებელია მისი დანაწევრება რამდენიმე „მარტივ მითოლოგიზმად"[8]. მაინც რა საერთო მსოფლმხედველობრივ-ესთეტიკური საფუძველი და მხატვრული ფუნქციები აქვს XX საუკუნის ლიტერატურულ „მითოლოგიზმს" ისეთი, რაც საშუალებას იძლევა იგი განვიხილოთ როგორც ერთიანი, განუყოფელი მოვლენა? ანდა რატომ ამტკიცებს დ. ზატონსკი, რომ თანამედროვე ნაწარმოებში მითი რეალურის გამოვლენის ერთ-ერთი შესაძლო ფორმა კი არ არის, არამედ თავად „რეალობა", რომელსაც არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს თავის გამოვლენის სხვა, უფრო „რაციონალური" ფორმა და რომ მითი ჯეიმზ ჯოისის „ულისეში" თუ აპდაიკის „კენტავრში" მარტო დასაშვები კი არა, არამედ აუცილებელიცაა?[9]. მორის მენდელსონის აზრით, „კენტავრის" მთავარი გმირი კოლდუელი უაღრესად გულთბილი და კეთილშობილი ადამიანია და ამდენად, სავსებით გამართლებულია ყოფითი პლანისა და ამაღლებული პოეტური ტონით შეფერილი მითოლოგიური პლანის თანაარსებობა რომანის იმ პასაჟებში, სადაც კოლდუელი ფიგურირებს[10]. მართლაც, „კენტავრის" მთელი სიუჟეტური სტრუქტურა, ფაქტობრივად, კონტრასტს ეფუძნება: კოლდუელი და მისი ვაჟი პიტერი განასახიერებენ ადამიანის ამაღლებულ, იდეალურ სწრაფვებს და რომანში გამოსახულ პრაგმატულ-ფილისტერულ სინამდვილეს, შინაგანად და ზნეობრივად გამოფიტულ-გახრწნილ სამყაროს უპირისპირდებიან. ასე რომ, მითოლოგიური პლანის „შემოტანა" ნაწარმოებში ამ კონტრასტის გასაღრმავებლად გამართლებულია, მაგრამ მხოლოდ გამართლებული და არა-აუცილებელი. ავტორს შეეძლო მითის გარეშეც გასულიყო იოლად და ეს კონტრასტი ისედაც საკმაოდ ხელშესახებად და დამაჯერებლად წარმოესახა.

მითის გამოყენების აუცილებლობა არც ავტორის სატირულ-პაროდიული მიზანდასახულობით აიხსნება. სატირულ-პაროდიული ეფექტი რომანში მხოლოდ ზოგიერთი ცალკეული პერსონაჟის მის მითოლოგიურ „პროტოტიპთან" შეპირისპირებისას იქმნება, თანაც – არა მთავარი პერსონაჟებისა.

მაინც რა განაპირობებს მწერლის მიერ ნაწარმოებში გამოსახული სინამდვილისა თუ სიტუაციის ტრადიციულ მითოლოგიურ სიუჟეტთან შეპირისპირების აუცილებლობას? საქმე ის არის, რომ ასეთ შემთხვევაში ნაწარმოებში ასახული მოვლენები და პერსონაჟები თითქოს კარგავენ თავიანთ ინდივიდუალობასა და ისტორიულად გარდამავალ ხასიათს და უძველეს მითებში ფიქსირებული მარადგანმეორებადი, ყოფიერების საწყისიდანვე მოცემული სქემის ერთ-ერთ ვარიანტად იქცევიან. ასე რომ, თომას მანს, ჯოისსა თუ აპდაიკს მითი ფასეულობათა უნივერსალიზაციისა და ნაწარმოებში წარმოსახული კონკრეტულ-ისტორიული სინამდვილის მარადგანმეორაბადი მოდელის ერთ-ერთ ვარიანტად წარმოჩენის საშუალებას აძლევს. სწორედ ესაა XX საუკუნის ლიტერატურული „მითოლოგიზმის" ის საერთო მსოფლმხედველობრივ-ესთეტიკური ფუნქცია, რომელიც ამ მოვლენის მთლიანობასა და თანამედროვე რომანში მითის გამოყენების აუცილებლობას განსაზღვრავს.

### გამოყენებული ლიტერატურა


1. Aldridge J., Time to Murder and Create. The Contemporary Novel in Crisis. N.Y., Mckay, 1966.
2. Anright D, Conspirators and Poets. London , Chatto and Windus, 1966.
3. Затонский Д. Искусство и миф, Иностраная литература, 1965, №6.
4. Гульга А., Пути мифотворчества и пути искусства, Новый мир, 1969, №5.
5. აპდაიკი ჯ., „კენტავრი", თბილისი, „მერანი", 1972.
6. ინწკირველი დ., ბოლოსიტყვა წიგნში: ჯონ აპდაიკი, „კენტავრი", თბილისი, „მერანი", 1972.
7. Вейман Р., История литературы и мифология, Москва, Прогресс, 1975.
8. Мелетинский Э., Поэтика мифа, Москва, 1976.
9. Затонский Д., указ. соч., с. 193.
10. Мендельсон М, Роман США Сегодня, Москва, Советский писатель, 1977.

**დავით ჩიჩუა**
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ინსტიტუტის „სამოქალაქო და სამრეწველო შენობების არქიტექტურის" კათედრის გამგე, პროფესორი*

# აშშ არქიტექტურის გავლენა და ადგილი თანამედროვე მსოფლიო არქიტექტურის განვითარებაში

ამერიკის შეერთებული შტატების არქიტექტურის თვითმყოფადობა იწყება ევროპელების მიერ ჩრდილოეთ ამერიკის ათვისებისა და განსახლების პერიოდიდან. მის განმსაზღვრელ ფაქტორებს განეკუთვნება ამერიკული ეროვნული ხასიათის ჩამოყალიბება, რომელიც სხვადასხვა ეთნიკურ, სოციალურ და კულტურულ კომპონენტებს ეფუძნებოდა, ის ყალიბდებოდა სწრაფად განვითარებადი კაპიტალიზმის პირობებში, სადაც არ არსებობდა შუა საუკუნეების ფეოდალური მემკვიდრეობითობის ტრადიციები.

მართალია, ამერიკული პრესტიჟული არქიტექტურული სტილის შემდგომი განვითარება იმპორტირებული და ნასესხებია ევროპულისაგან, თუმცა მნიშვნელოვნად განსხვავებულია მისგან. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან, აშშ-ში, ისევე როგორც იმდროინდელი ევროპის უმეტეს ქვეყნებში, გავრცელდა იმპოზანტური და ჭრელი ეკლექტიკური სტილიზაცია. ამ სტილის ნაგებობები ცალკეულ შემთხვევებში, ეყრდნობოდა რა ამერიკის ტექნიკურ მიღწევებს, ადგილობრივი ამერიკული არქიტექტურის ნიმუშებად იქცეოდა.

მნიშვნელოვანია ამერიკელ არქიტექტორთა წვლილი XX საუკუნის დასაწყისის მსოფლიო არქიტექტურაში. თუმცა ეს მოვლენა ახალი „ფუნქციონალური" ფორმების გარდა, არცთუ იშვიათად, არ არის ობიექტურად და ღირსეულად შეფასებული თვით ამერიკელი მკვლევრების მიერ. ამერიკელთა წვლილი მსოფლიო არქიტექტურაში გამოიხატა ცათამბჯენების დაპროექტების სახით, რამაც მოითხოვა ახალი კრიტერიუმების შემუშავება მათი ტექნიკური და მხატვრული იერსახის გადასაწყვეტად. ცათამბჯენების ფენომენი, რომელშიც განსახიერებული იყო იმდროინდელი საინჟინრო მიღწევები, დაკავშირებულია ჩიკაგოს სკოლის არქიტექტორთა პროექტებთან, ხოლო ახალი გამომსახველობისა და დეკორის შექმნა – ჰენრი ლუის სალივენთან.

1920–1930-იან წლებში, როდესაც ევროპაში ფეხს იკიდებს იმ დროისათვის ნოვატორული სტილი – ფუნქციონალიზმი, მისი შემქმნელები ამერიკას მიიჩნევდნენ არქიტექტურულ პროვინციად, ვინაიდან ქვეყნის პრესტიჟულ არქიტექტურაში კვლავ ბატონობდა ეკლექტიკა, ხოლო ამ ახალ მიმართულებას აქ მიიჩნევდნენ მხოლოდ როგორც მორიგ ახალ სტილს.

იმდროინდელ ამერიკულ არქიტექტურაში უნდა განვიხილოთ ფრენკ ლოიდ რაიტის ფენომენი, რომელმაც თანამედროვეების ჯეროვანი აღიარება ვერ მოიპოვა. რაიტმა საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე და, ამავე დროს, ღრმად თვითმყოფად ეროვნულ და რომანტიკულ არქიტექტურას.

რაიტის შემოქმედებამ უდიდესი აღიარება და შეფასება მოუტანა მას თანამედროვე ევროპელი თეორეტიკოსების ნაშრომებში. მისი ამ პერიოდის

შემოქმედების თვალსაჩინო ნიმუშებია სახლები პრერიებში, ჯონსონის ადმინისტრაციული შენობა, სახლი ჩანჩქერზე და მრავალი სხვა.

1930-იანი წლების ბოლოს აშშ-ში ჩამოდის ბევრი ცნობილი არქიტექტორი გერმანიიდან და ევროპის სხვა ქვეყნებიდან, რომლებიც გამოექცნენ ფაშისტურ რეჟიმს. მათ შორის იყვნენ ფუნქციონალიზმის ისეთი ცნობილი ლიდერები, როგორიცაა: ვ.გრუპიუსი, ლ.ვანდეროე,მ.შრეიერი,ე.მენდელსონი და სხვები. აქვე მუშაობდნენ ადრე ემიგრირებული რ.ნეიტრა, ე.საარინენი. მთელი რიგი ობიექტების დაპროექტება დაავალეს: ა.ალტოს, ლ.კორბუზიეს,ო.ნიმეირის.

1950-იანი წლებიდან ამერიკის შეერთებული შტატების არქიტექტურა ხდება ამერიკანიზმის აქტიური გამტარებელი მთელ მსოფლიოში. ამერიკული არქიტექტურის ახალი როლი, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატება არა მარტო ახალი შენობებისა და კონსტრუქციების „ექსპორტში", არამედ ახალი ხუროთმოძღვრული სტილის დამკვიდრებაში.

შემდგომ პერიოდში, როდესაც ამერიკული ცხოვრების წესი ფართოდ ინერგება ცხოვრების ყველა სფეროში, იძენს „სუპერ თანამედროვე" ხელოვნების სტატუსს. პირველად არქიტექტურის ისტორიაში არქიტექტურული გადაწყვეტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კრიტერიუმად გვევლინება გრანდიოზულობა, სიახლე, უჩვეულობა. ქვეყნის შიგნით და მის გარეთ მსხვილი ტრანსეროვნული კორპორაციები და ბანკები მიისწრაფვიან „ამერიკული სიმძლავრის" დემონსტრირებისაკენ, ქმნიან წარმომადგენლობით პრესტიჟულ და მონუმენტურ არქიტექტურულ ნაგებობებს.

ნიშანდობლივია, რომ დასავლეთ ევროპელი და აზიელი არქიტექტორები აღიარებენ ამერიკული არქიტექტურის გავლენას თავიანთი ქვეყნების არქიტექტურაზე.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ამერიკული არქიტექტურის მიღწევები საზოგადოებრივი შენობებისა და კომპლექსების ტიპოლოგიაში. ცათამბჯენების, სუპერმარკეტების ქალაქგეგმარებით ტაქტიკაში დამკვიდრდა სუპერმარკეტების არქიტექტურა, აგრეთვე საუნივერსიტეტო ქალაქები, სავაჭრო ცენტრები და, განსაკუთრებით, წმინდა ამერიკული წარმოშობის ობიექტები: მაღლივი გარაჟები, მოტელები, ესტაკადები და „დრაივ ინ" დაწესებულებები.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ამერიკელი დამპროექტებლების როლი თანამედროვე სუპერსაწარმოო კომპლექსების არქიტექტურულ დაგეგმარებაში.

არქიტექტურული ნოვაციების ხელშეწყობამ და ფართო მატერიალურ-ტექნიკურმა შესაძლებლობებმა, მშენებლობის გიგანტურმა მოცულობამ, აგრეთვე, მაღალკვალიფიციური არქიტექტურული კადრების შემოქმედებითმა აქტიურობამ განსაზღვრა 1960-იანი წლებიდან აშშ-ის ავანგარდული როლი თანამედროვე დასავლეთის ქვეყნების არქიტექტურაში, არა მხოლოდ კონსტრუქციულ-ტექნიკურ ან ტოპოლოგიურ, არამედ სწორედ მხატვრულ-გამომსახველობით და სტილისტურ სფეროში. ამერიკული არქიტექტურის ეტაპობრივმა სახეცვლილებამ გავლენა იქონია ისეთ ქვეყნებზეც (იაპონია, მექსიკა, ბრაზილია), რომელთა ხუროთმოძღვრება ყოველთვის გამოირჩეოდა ტრადიციული თვითმყოფადობით.

ამავე პერიოდის ამერიკის არქიტექტურაში შესამჩნევად გაძლიერდა ტენდენცია, აემაღლებინათ მასობრივი უტილიტარული მშენებლობა პრესტიჟული შენობების არქიტექტურის დონეზე. ეს მოძრაობა მოწოდებული იყო, ფართოდ ჩაერთოთ სოციალურად დაუცველი, დაბალანაზღაურებადი ფენები – მომხმარებლები მასობრივ დაპროექტებაში; 1970-იან წლებში ეს მიმართულება, ცნობილი როგორც ე.წ.

„სოციალური არქიტექტურა“ და „პოპულარული ნეტექნიციზმი“, „ანტიარქიტექტურა“ და ა.შ. დასავლეთის ქვეყნების არქიტექტურული წრეების ყურადღებას იპყრობს.

ამერიკის ეკონომიკური სისტემის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი, სტანდარტიზაცია და სამომხმარებლო საგნების მასობრივი წარმოება, ვრცელდება ნაგებობების მშენებლობაზეც. უკანასკნელ ათწლეულებში დიდმა ეკონომიკურმა და ტექნიკურმა შესაძლებლობამ, მსხვილი მონოპოლიების გაძლიერებულ კომერციულ ექსპანსიურ პოლიტიკასთან ერთად, გამოიწვია მასობრივი სამშენებლო პროდუქციის მოზღვავება სამომხმარებლო ბაზარზე. ამის შედეგია მასობრივი არქიტექტურის ფენომენი – ახალი, ე.წ. „ანტიარქიტექტურული“, მაღალორგანიზებულ საპროექტო სამშენებლო საქმიანობაზე კომერციულად ორიენტირებული, სისტემა.

აშშ-ის მასობრივი არქიტექტურა განსაზღვრავს ურბანიზებული სივრცეების ხასიათს, რაც განსაკუთრებით გამოვლინდა არსებული ქალაქების გარემოს ჩამოყალიბებაში. XX საუკუნის დასაწყისიდან მთელი რიგი ფაქტორების გათვალისწინებით, ამერიკელთა ცნობიერებაში ჩამოყალიბდა ცალკე მდგომი სახლის – როგორც იდეალის და პრაქტიკული მიზნის ტრადიცია. დამტკიცებულია, რომ ამ პროცესში განსაკუთრებული როლი ითამაშა საავტომობილო ტრანსპორტის განვითარებამ. ამავე დროს სწორედ ინდივიდუალური სახლების განაშენიანებული გარეუბნების განვითარებამ და ქალაქების ზრდამ მოითხოვა ავტომობილების გამოყენება.

სატრანსპორტო ნაგებობები, გარკვეულად, განსაზღვრავს ამერიკის ქალაქების იერსახეს. ასე მაგალითად, ისეთ ქალაქში, როგორც ლოს-ანჯელოსია, ავტომობილებს (მხედველობაშია ავტოსტრადები, კვანძები, ესტაკადები, ავტოსადგომები და გარაჟები) უკავია ცენტრალური რაიონების ტერიტორიის 2/3. გზები, განკუთვნილი ავტომობილებისათვის, ეწინააღმდეგება ამოცანას – არქიტექტურა ადამიანებისათვის. ამასთან დაკავშირებით, ცნობილი არქიტექტორი ლუის კანი აღნიშნავდა: „ავტომობილმა ძირეულად გარდაქმნა ქალაქების იერსახე; მე ვგრძნობ, რომ დადგა დრო გავატაროთ ზღვარი ესტაკადებისა და ავტომობილების არქიტექტურასა და ადამიანთა საქმიანობის არქიტექტურას შორის“.

ნეოკლასიციზმთან ერთად აშშ-ის არქიტექტურაში ამავე პერიოდში აღმოცენდა სხვა მიმართულება, რომლის თვალსაჩინო წარმომადგენლებმა ე.სტოუნმა და მ.იამასაკიმ აქცენტი აიღეს შენობების ფასადების დეკორატიული ელემენტებით შემკობაზე, რომელიც ხშირად გადაჭარბებულია. მათ მიერ აგებული შენობები მომხმარებელს იზიდავს სილამაზით, რომელიც წარსულის ასოციაციას იწვევს. ეს ეკლექტიკური, დეკორით გამდიდრებული სტილი ამერიკულ არქიტექტურულ პრესაში „პოეიბოი არქიტექტურ“-ის სახელწოდებით არის ცნობილი.

უნდა აღინიშნოს ევროპისა და სხვა კონტინენტების არქიტექტორების დაინტერესება ამერიკული ნეოკლასიციზმით. ნიშანდობლივია, რომ მსხვილი ტრანსეროვნული კორპორაციები, რომლებიც განთავსებულია მსოფლიოს უმსხვილეს ქალაქებში, თავიანთი ოფისებისათვის აშენებენ დიდ ადმინისტრაციულ შენობებს, რომლებიც ჩვეულებრივ განლაგებულია ამ ქალაქების საქმიანი რაიონების ცენტრებში და გამოირჩევა თავიანთი აბსოლუტური ზომებით. აშშ-ის კვალდაკვალ, პრესტიჟული მაღალი შენობების აგება დაიწყეს კონკურენტულმა ფირმებმა არა მარტო ლონდონში და პარიზში, არამედ სეისმურად აქტიურ ტოკიოში და მსოფლიოს მრავალ ქალაქში.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ამერიკელი არქიტექტორების როლი მსხვილი ადმინისტრაციული კომპლექსების შიგა სივრცის ორგანიზაციაში. საერთოდ ტენდენცია არქიტექტურული სივრცის დიფერენციაციაში მისი სტრუქტურისა და ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით, საკმაოდ დამახასიათებელია თანამედროვე არქიტექტურისათვის. აშშ-ის არქიტექტორები ითვლებიან პიონერებად დიდი ფართების ადმინისტრაციული სათავსების შექმნის საქმეში, რომელთა დაპროექტების მეთოდები შემდგომში უფრო სრულყვეს დასავლეთ ევროპაში. აქ შეიქმნა სისტემა ე.წ. „ბიუროლანდშაფტი", რომელმაც შემდგომში, ტრადიციული რაციონალურ-გეომეტრიული განლაგებისაგან განსხვავებით, შექმნა ამ სისტემაში თავისუფალი ჯგუფები, რომლებიც ერთმანეთისაგან გამოყოფილია დაბალი ტიხრებით, რითაც იქმნება განცალკევების და სირთულის ილუზია და ამავე დროს ერთიანი სივრცის შეგრძნება, რაც, როგორც გამოირკვა, ამაღლებს შრომის ნაყოფიერებას და იძლევა ფართის ეკონომიას.

ასეთმა არქიტექტურამ მიიღო „დიდი სივრცეების არქიტექტურის სახელწოდება. მისი შემქმნელები არიან ჯ.პორტმანი და კევინ როში. ამავე სტილშია გადაწყვეტილი ცნობილი ფორდის ფონდის შენობა (არქ. კ.როში და ჯ.დინკენლოუ). თუ ე.წ. „მესამე თაობის" არქიტექტორები, რომლებიც ასპარეზზე 50–60-იან წლებში გამოვიდნენ და „თანამედროვე არქიტექტურის" პრინციპებს აგრძელებდნენ – 70-იანი წლების დასაწყისიდან დასავლეთის და, უწინარეს ყოვლისა, აშშ-ის არქიტექტურაში და არქიტექტურულ თეორიაში აღმოცენდა ახალი მიმართულება – პოსტმოდერნიზმი, რომელიც აშკარად ეწინააღმდეგებოდა 1920–50-იანი წლების ნოვაციებს.

ამ არქიტექტურის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია – თანამედროვე მოძრაობისაგან" შეგნებული და მიზანდასახული გამიჯვნა. ამერიკელი არქიტექტურის კრიტიკოსი რ.გოლდენბერგერი პირდაპირ აცხადებს: „თანამედროვე არქიტექტურა იყო უტოპიური, ხოლო პოსტმოდერნიზმი ასეთად არ მოიაზრება". ამასთან, პოსტმოდერნიზმის თეორეტიკოსები გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებენ არა დამპროექტებლის ნებას, არამედ ორიენტაციას მომხმარებელზე, რაც მიუთითებს შემობრუნებას ამერიკული ცივილიზაციის ტრადიციებისაკენ.

პოსტმოდერნიზმის სოციალური და იდეოლოგიური ფესვები ისევე, როგორც მასთან ახლოს მდგომი „რეტროს" და „კიჩის" ტენდენციები, ხელოვნების სხვა დარგებში დაკავშირებული იყო დასავლურ მსოფლმხედველობაში კონსერვატიზმის ახალ ტალღასთან.

1970–80-იან წლებში იგრძნობა თანამედროვე კონსტრუქციებისა და მეთოდების სულ უფრო ძლიერი ზეგავლენა ამერიკის არქიტექტურაზე. ფართოდ ვრცელდება ნაგებობათა მობილური და ტრანსფორმირებადი სტრუქტურები და ტიპები, აგრეთვე მოძრავი საცხოვრებელი სახლების ფართო წარმოება.

აშშ-ში დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, უფრო ფართოდ და სწრაფად მაღალი ტექნიკური დონისა და ხარისხის პირობებში, განვითარდა პროექტირების თეორიის მათემატიზაცია, სისტემურ-სტრუქტურული აღზათობის დანერგვა ყველა დარგში: ქალაქმშენებლობაში და მოცულობით-გეგმარებაში, სიმბოლურ-გამომსახველობით გადაწყვეტებში (ალექსანდერი და სხვა). ცნობილი ამერიკელი არქიტექტორი პოლ რუდოლფი ამბობდა: „XX საუკუნის არქიტექტურის პრინციპები დაფუძნებულია მშენებლობის ისეთ თვისებებზე, როგორიცაა: გახსნილი სივრცე, მოქნილობა და ყველა მიმართულებით განვითარება". სწორედ ამერიკელი

არქიტექტორების რეალისტურობის წყალობით, რომელიც გამოხატავს მათ ნაციონალურ ხასიათს, ევროპული და იაპონური „ავანგარდული" არქიტექტურისაგან იშვიათი გამონაკლისების გარდა, ბ.ფულერი და პ. სოლერი, არ არსებობს ფუტუროლოგიური პროექტები, უახლესი ამერიკული არქიტექტურის ფორმაწარმოქმნის პროცესი მიმდინარეობს უცხოურ არქიტექტურულ სკოლებთან რთულ ურთიერთკავშირში. ამასთან, ყველაზე შესამჩნევი არის არა მხოლოდ ერთიანი სტილის არქონა, არამედ საერთოდ რაიმე სტილის დომინირება ქვეყნის არქიტექტურაში. ეს ახალი მიმართულებები, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ ავანგარდულ როლზე, არა მხოლოდ ექიშპებიან ერთმანეთს, არამედ ხშირად არქიტექტურული გამომსახველობის ძიების პროცესში აშკარად მიმართავენ წარსულის. არქიტექტურულ ფორმებს. ეს იმანენტურად დამახასიათებელია კონკურენტუნარიანი საბაზრო სისტემისათვის და გამძაფრებულია სოციალური და კულტურული დიფერენციაციით.

ამასთან, ფორმების სხვადასხვაობა (შეიძლება ითქვას, ფორმალური ანტიკონცეფციურობა), რაც დამახასიათებელია ინდივიდუალისტური ამერიკული ეროვნული ხასიათისათვის, წარმოადგენს უახლესი ამერიკული არქიტექტურის ძირითად სტილისტურ მხარეს, რომელიც მკვეთრად განსხვავდება ევროპული არქიტექტურული სკოლებისაგან, სადაც ტრადიციულად ინდივიდუალურ შემოქმედებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნორმატიულ ესთეტიკურ მოთხოვნებს. ამერიკელი დამპროექტებლისათვის ძირითადი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტორს, თუ როგორ უნდა აშენოს მოცემულ მომენტში, მოცემულ ადგილას და კონკრეტული კერძო დამკვეთისათვის.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Architectural record, 1976, # 1, p. 140.
2. J.W. Cook, H. Klotz, Conversations with Arcitects. N.V., 19759 pp. 63-71
3. Architectural Design. 1977, # 4, p. 257.
4. Современная архитектура. (Пер. с французского), 1965, № 3, стр. 66.
5. Mobile Home Parks, part 11 Washington, 1972, p. 17.
6. W. Antony, Introduction – Design Methods in Architecture. N.V., 10021, p. 21.

**რუსუდან ჭანტურია**
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკანისტიკის სპეციალობის მაგისტრანტი.*

# შავი ეგზისტენციალიზმი და რალფ ელისონის „უჩინარი ადამიანი“

„ის უცხოთა შორის ცხოვრობს და თვითონაც უცხოა“ – ჟან-პოლ სარტრის ეს სიტყვები, რომლებიც მან კამიუს ნაწარმოების გმირზე დაწერა, ყველაზე უფრო ესადაგება რალფ ელისონის „უჩინარ ადამიანს“ და მის უსახელო მთავარ გმირს. ეს ნაწარმოები მართებულად არის მიჩნეული ამერიკული ლიტერატურის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნაწარმოებად.

„უჩინარი ადამიანი“ მრავალპლანიანი ნაწარმოებია. მისი განხილვა სხვადასხვა კუთხით შეიძლება, მაგრამ, უმთავრესი მაინც არის კავშირი ეგზისტენციალურ პრობლემებთან და საერთოდ ეგზისტენციალიზმთან.

ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომელიც ეგზისტენციალიზმის სახელითაა ცნობილი, უპირველეს ყოვლისა, ისეთ ცნებებს მოიცავს, როგორიცაა: ადამიანის გაუცხოება, მისი პიროვნულობა და ავთენტურობა, ცხოვრების აბსურდულობა და ადამიანის პასუხისმგებლობა. გარდა ამისა, ეგზისტენციალიზმის ძირითადი დებულება ადამიანის თავისუფლების მტკიცებაში, მისი არჩევანის თავისუფლებაში გამოიხატება. ისინი კატეგორიულად უპირისპირდებიან ჰეგელისა და ჰეგელიანელების მოძღვრებას იმის შესახებ, რომ ადამიანი არსებითად თვითონ არ ირჩევს თავისი ცხოვრების გზას და მასზე არ არის დამოკიდებული მისი ცხოვრება. მათ არ სჯერათ, რომ ადამიანის ბედი, მისი ცხოვრების გზა, წინასწარ განსაზღვრული და დეტერმინებულია აბსოლუტური გონების მიერ, ვინაიდან ისინი თვლიან, რომ სწორედ ამით განისაზღვრება, თუ ვინ არის ადამიანი ცხოვრებაში, რა გზასაც ირჩევს იგი. მისი თავისუფლება კი იმაში გამოიხატება, რომ ადამიანს შესწევს ძალა „დინების წინააღმდეგ“ წავიდეს, არ დაეთანხმოს მოცემული სოციალური გარემოს სტრუქტურას, არ დაექვემდებაროს მისგან გამომდინარე მოთხოვნებს და ცხოვრების საკუთარი გზა სწორედ მათ მიუხედავად, მათ საპირისპიროდ აირჩიოს. ყოველივე აქედან გამომდინარე, ეგზისტენციალიზმის მიმდევრები რადიკალურად ეწინააღმდეგებიან შემგუებლურსა და კონფორმისტულ ტენდენციებს და, ამასთანავე, ყურადღებას ამახვილებენ იმ ფაქტზე, რომ, ვინაიდან ადამიანი თავისუფალია, მან პასუხისმგებლობაც საკუთარ თავზე უნდა აიღოს, ვინაიდან ადამიანს, სანამ ცოცხალია და ცნობიერება არ დაუკარგავს, ერთზე მეტი შესაძლებლობა, ერთზე მეტი გზა ყოველთვის აქვს. მაგრამ რადგანაც ადამიანი ცხოვრობს გარკვეულ საზოგადოებაში, რომელიც მასზე მუდმივად ახდენს გავლენას, უწესებს ნორმებსა და ჩვევებს, იგი ცდილობს არსებული წესებითა და ნორმებით გაატაროს ცხოვრება, ანუ, ზუსტად რომ ვთქვათ, სხვების მიხედვით იცხოვროს. ამ „სხვას“, რომელიც ერთგვარად გაურკვეველი და „ანონიმურია“, მარტინ ჰაიდეგერი „man“-ს უწოდებს. სწორედ „man“-ი არის ის „სხვა“, ის სუბიექტი, ვისაც თანამედროვე ცივილიზებული საზოგადოების მოქალაქეები მეტწილად თავიანთი ცხოვრების მართვა-გამგებლობას ანდობენ, ანუ – სხვათა უმრავლესობას შორის გაფრცელებული

ტენდენციებისა და შესატყვისი ქცევების უკან მდგომ სუბიექტს. ამასობაში კი ადამიანი, რომელიც სხვების მიხედვით ცხოვრობს, კარგავს თავის უნიკალურ სახეს, ინდივიდუალურობასა და პიროვნულობას, ანუ იმას, რაც „უჩინარი ადამიანის" ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფრაზას წარმოადგენს: მე ვარ ის, ვინც ვარ (I am what I am) და სხვათაგან, უმრავლესობათაგან განურჩეველი, განუსხვავებელი, მაშასადამე გაურკვეველი, უჩინარი ხდება. სხვანაირად რომ ვთქვათ, man-ის ხელმძღვანელობით ცხოვრება ყოფიერებიდან დაცილებას და არყოფნაში გადასვლას მოასწავებს. თუ ჩვენ სხვისი ცხოვრებით, დაწესებული ნორმებითა და წესებით განვლევთ ცხოვრებას, თუ ჩვენ არ გვაქვს უნარი, რომ ჩვენი ცხოვრების გზა თვითონ ავირჩიოთ, ამ შემთხვევაში ვკარგავთ თვითმყოფადობას და გადავიქცევით უპიროვნო, უხილავ, უჩინარ ადამიანებად. სწორედ ამიტომ წერდა დენიელ ჯეიმსი „უჩინარ ადამიანზე": „ელისონმა თავის ნაწარმოებში წარმოაჩინა მთელი კაცობრიობის საერთო ბედი – არარაობა".[2]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სწორედ ადამიანის პიროვნულობის, ინდივიდუალურობის, ნამდვილობის ანუ საკუთრივ ადამიანობის დაკარგვა წარმოადგენს ეგზისტენციალისტებისათვის მთავარ პრობლემას, ანუ, როგორც ალბერტ კამიუ წერდა: „ყოველთვის დგება ჟამი, როცა საჭიროა არჩევანი მოახდინო ჭვრეტასა და ქმედებას შორის. კაცად გახდომაც სწორედ ამას ჰქვია".[3]

შავი ეგზისტენციალიზმი, რომელიც, უპირველეს ყოვლისა ელისონის სახელთანაა დაკავშირებული, თეთრი ეგზისტენციალიზმისაგან განსხვავდება იმით, რომ იგი ყურადღებას ამახვილებს რასიზმზე, როგორც ადამიანის გაუცხოების ერთ-ერთ მთავარ მიზეზზე.

ამერიკაში შავი ეგზისტენციალიზმის წინ წამოწევა დაკავშირებულია ეთნიკური ცნობიერების აღზევებასთან და მასთან დაკავშირებულ მოვლენებთან. სხვა მხრივ, შავი ეგზისტენციალიზმის მიმდევრები აბსოლუტურად იზიარებენ კამიუს, პრუსტის, ჟან-პოლ სარტრის, ჰაიდეგერისა და ეგზისტენციალიზმის სხვა მიმდევრების ყველა ზემოხსენებულ დებულებებსა თუ კონცეფციებს. აფრო-ამერიკული გამოცდილება მხოლოდ და მხოლოდ კარგი საშუალებაა ელისონისათვის, რათა ადამიანის გაუცხოების პრობლემა, ინდივიდუალურობა, ცხოვრების აბსურდულობა თუ ეგზისტენციალიზმის მთავარი საკითხები კიდევ უფრო გამძაფრებულად, მუქ ფერებში წარმოაჩინოს. ელისონმა ეგზისტენციალისტების მთავარი და უნივერსალური დებულებები მოარგო იმ დევნას, ჩაგვრასა და ცრურწმენებს, რასაც შავკანიანები განიცდიდნენ, მაგრამ, ჩემი აზრით, ელისონისა და მისი „უჩინარი ადამიანის" უდიდესი მნიშვნელობა და საერთოდ ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ ეს ნაწარმოები არც ერთ შემთხვევაში რასიზმის პრობლემამდე არ დაიყვანება. ამ ნაწარმოებში ელისონი რასიზმის პრობლემას ზოგადსაკაცობრიო დონემდე განაზოგადებს და იგი საყოველთაოობის ჭრილში გადაყავს.

ელისონი „უჩინარ ადამიანში" ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ამერიკული საზოგადოება გაცნობიერებულად, განზრახ უგულებელყოფს შავკანიან ადმიანებს და სწორედ ამ მოსაზრებაზე აგებს ის ნაწარმოებს.

„უჩინარი ადამიანი" – ეს არის უდიდესი ძალისხმევა, ცდა თვითმყოფადობის დამკვიდრებისა. როგორც ირვინგ ჰოუვი აღნიშნავს: „უჩინარი ადამიანი" არის ნაწარმოები შავკანიანი ადამიანის „მოგზაურობაზე" თანამედროვე ამერიკაში წარმატების, თანაგრძნობისა და, რაც მთავარია, თავის თავის საძიებლად".[4] მაგრამ

„ველურ სამყაროში", სადაც ძალადობა, სიღარიბე, უიმედობა, მრისხანება, მტრობა, მთავარ ცნებებს წარმოადგენს, სადაც ადამიანები უარს ამბობენ აღიქვან ერთმანეთი – „უჩინარი ადამიანის" გმირი სრულებით გაუცხოებულია. სამყაროში, სადაც ყველა ადამიანის ხვედრი გაუცხოება და მარტოსულობაა, მისი შავკანიანობა კიდევ უფრო ამძაფრებს ამ ფაქტს და მას აბსოლუტურად გაუცხოებულ ადამიანად აქცევს. ამერიკაში, სადაც ადამიანები იმისთვის ჩავიდნენ, რომ სრული თავისუფლებისათვის მიეღწიათ, ისეთივე გაუცხოებულნი, მარტოსულნი და მაძიებელნი არიან, როგორც ყველგან. ამერიკა არ აღმოჩნდა ის ქვეყანა, „აღთქმული ქვეყანა", რომელიც ყველას თავისუფლებასა და ბედნიერებას მოუტანდა. ადამიანები აქ ერთმანეთს ვერ აღიქვამენ, ისინი ბრმები და უხილავნი არიან. მათ თავიანთი განსაკუთრებული სახე დაკარგული აქვთ. მთხრობელის მთავარი ბრძოლა და კონფლიქტი ის არის, რომ იგი უარყოფს სხვების მიერ აღქმულ, რასისტულ სტერეოტიპებზე დამყარებულ თავის პიროვნებას და მას უპირისპირებს იმ პიროვნებას, როგორადაც ის საკუთარ თავს აღიქვამს. მისთვის მიუღებელია ის ფაქტი, რომ იგი არარაობაა, რომ მის ცხოვრებას, გარკვეული გარემოებების გამო არ შეიძლება ჰქონდეს რაიმე მნიშვნელობა, ანუ ის, რომ მისი არსებობა არარსებობის ტოლფასია. ჟან-პოლ სარტრიც თავის ფილოსოფიურ ნაშრომში „ყოფნა და არარა" ადამიანთა შორის ურთიერთობას, პირველ რიგში, ახასიათებს როგორც კონფლიქტს. საერთოდ, ნონკონფორმიზმი ეგზისტენციალიზმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დებულებას წარმოადგენს. „უჩინარი ადამიანის" გმირი უხილავია იმიტომ, რომ ადამიანებს არ სურთ მისი დანახვა. აქედან გამომდინარე, იგი უსახელოა, ვინაიდან სახელი ადამიანს იმისთვის სჭირდება, რომ საკუთარი სახე, თვითმყოფადობა დაიმკვიდროს, მაგრამ რადგან იგი უხილავია, შესაბამისად სახელიც არ გააჩნია. თუმცა, ამ შემთხვევაში, მისი „გაუპიროვნების" მთავარი მიზეზი დანაწევრებული, დაყოფილი ამერიკული საზოგადოებაა, რომელიც უარს ამბობს შავკანიანი, ამ შემთხვევაში უხილავი, ადამიანის – როგორც პიროვნების აღიარებაზე. მაგრამ უჩინარი ადამიანი ამ ფაქტს ვერ ეგუება. იგი მოითხოვს, რომ აღიარონ როგორც პიროვნება, ადამიანი, რომელსაც საკუთარი, განსაკუთრებული სახე აქვს. მან კარგად იცის, რომ თუ იგი ადამიანია, იგი უნდა მიისწრაფოდეს შეძლებისდაგვარად სრულყოფილი სახით ყოფნისკენ, ხოლო ყოფნის ერთ-ერთი მთავარი ასპექტი გარკვეულობაში, განსაკუთრებული, ინდივიდუალური სახის ქონებაში გამოიხატება. სწორედ ამიტომაა, რომ „უჩინარი ადამიანის" მთავარი გმირი ცდილობს განუდგეს არსებულ წესებს, თავისთავს დაუბრუნდეს, ანუ იყოს ის, ვინც არის - (I am what I am), ყოფნის საკუთარი შესაძლებლობები აღმოაჩინოს, საკუთარ ხელში აიღოს თავისი ცხოვრების სადავეები და ამ შესაძლებლობების მიხედვით ცხოვრება სცადოს. ვეტექიმის რჩევისა არ იყოს, „სამყარო მხოლოდ მაშინ არის შესაძლებლობა, თუ მას აღმოაჩენ და იქნები შენი თავის მბრძანებელი". იაზრებს რა ექიმის რჩევას, იგი აცნობიერებს, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება თავისუფალი, თუ საკუთარ თავს იპოვის. ამგვარად,იგი ცდილობს არარაობისა და არყოფნისაგან უკუიქცეს და შეძლებისდაგვარად სრულყოფილ ყოფნას მიაღწიოს, ანუ „ხილული" გახდეს. „უჩინარი ადამიანი" არის რომანი, სადაც გმირის მთავარ პრობლემას თვითმყოფადობის ძიება და თვითშემეცნება წარმოადგენს. ეს არის შავკანიანი ადამიანის ბრძოლა საკუთარი პიროვნების აღიარებისათვის ამერიკულ საზოგადოებაში. მაგრამ აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ადამიანები, რომლებიც უარს ამბობენ მის დანახვაზე, თვითონაც „უხილავები და ბრმები" არიან (საერთოდ,

სიბრმავისა და უხილავობის მეტაფორა ნაწარმოების ყველაზე მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს). სწორედ აქ ჩანს ელისონის, როგორც მწერლის და „უჩინარი ადამიანის“ ავტორის უდიდესი ღირებულება. იგი შავ და თეთრ რასას ერთ მთლიანობად წარმოაჩენს და ამით მკითხველს მიახვედრებს, რომ „სიბრმავე და უხილავობა“ არა მხოლოდ შავკანიანების და, მით უმეტეს, ერთი გმირის, არამედ საერთოდ კაცობრიობის პრობლემაა. ნაწარმოების სხვა პერსონაჟებიც ისეთივე „პიროვნებადაკარგულნი“ არიან, როგორც ნაწარმოების მთავარი გმირი, მაგრამ, მისგან განსხვავებით ისინი ამას არ აღიარებენ. „ის, რაც არ მომწონს მერის მსგავს ადამიანებში, არის ის, რომ მათ არ იციან, სად მთავრდება მათი პიროვნება და სად იწყება სხვისი. ისინი ყოველთვის „ჩვენის“ მიხედვით აზროვნებენ (ჰაიდეგერის „Man“-ი), მე კი ყოველთვის ვცდილობ „მე“-ს საშუალებით ვიაზროვნო“, – ფიქრობს უჩინარი ადამიანის მთხრობელი. სწორედ ეს არის მთავარი განსხვავება მასსა და სხვა დანარჩენ გმირებს შორის, სწორედ ამაშია მისი ერთგვარი უპირატესობა. იგი აცნობიერებს, რომ მხოლოდ საკუთარი ძალისხმევით თუ შეძლებს თვითმყოფადობის მიღწევას და რომ სხვისი იმედი არ უნდა ჰქონდეს. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია მისი მომაკვდავი ბაბუის რჩევა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იცხოვროს „თეთრი ადამიანების“ სამყაროში. სწორედ ამ რჩევის გააზრებას ცდილობს იგი მთელ ნაწარმოებში.

რომანში წარმოჩენილია უსახელო გმირის ცხოვრება ამერიკულ საზოგადოებაში, გმირის, რომელიც საბოლოოდ აცნობიერებს მისი უხილავობის ფაქტს და უამრავი ცხოვრებისეული გამოცდილების შემდეგ მიდის დასკვნამდე, რომ თუ იგი თეთრკანიანთა მიერ დაწესებული ნორმებით იცხოვრებს, განწირულია. სწორედ ამიტომ აცხადებს იგი უარს ჰარლემში ცხოვრებაზე, ჰარლემში, რომელიც, ელისონის თქმით, წარმოადგენს სიმბოლოს შავკანიანთა გაუცხოებისა და მათი უშედეგო ბრძოლისა თვითმყოფადობის დამკვიდრებისთვის.

ნაწარმოების მთხრობელი რომანში ყველანაირად ცდილობს იპოვოს საკუთარი თავი. მას ჯერ კიდევ აქვს იმის ილუზია, რომ ამ „ველურ სამყაროში“ ადამიანს ძალუძს საკუთარი თავის დამკვიდრება. იგი მუდმივად ძიების პროცესშია (საერთოდ, ნაწარმოებში მაძიებლობის („the Quest“) თემა ასევე ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოტივს წარმოადგენს). სანამ მას ამის ილუზია აქვს, თვითონაც ბრმაა, მაგრამ საბოლოოდ იგი ამარცხებს საკუთარ სიბრმავეს, თავს აღწევს ილუზიას და სიბნელეს, იცვლის მსოფლმხედველობას. ეს ყველაფერი კი მეტაფორულად წარმოჩენილია სიზმრის სახით, როცა მისი ახლობელი ადამიანები მას დაასაჭურისებენ. სწორედ ამ სიზმრით ხდება მისი საბოლოო განთავისუფლება ილუზიებისაგან.

უჩინარი ადამიანი ამ საზოგადოებაში „უცხო“, ცხოვრებიდან გარიყული, ამაო ადამიანია, რომელიც თავისი პიროვნების უხილავობის, ცხოვრების აბსურდულობის გაცნობიერების შემდეგ, გადაწყვეტს იცხოვროს მიწისქვეშა ხვრელში, ერთ-ერთი კომპანიის სარდაფში და ამით დაუპირისპირდეს სამყაროს. იგი იაზრებს, რომ მისი უჩინარობის ყველაზე დამანგრეველი და საშიში ფაქტორი ის არის, რომ თვითონაც ეჭქვეშ აყენებს საკუთარ არსებობას, თუმცა იმასაც აღნიშნავს, რომ სამყაროში, სადაც ყველანაირი ღირებულებები გაქრა, სადაც არანაირი ფასეულობები არ არსებობს, სადაც აბსურდულობა ადამიანის ერთადერთი მდგომარეობაა, სადაც იყო ადამიანი – ნიშნავს იყო განწირული – უპირატესობაც კი არის ადამიანის უჩინარობა („it is sometimes advantage to be unseen“, – ფიქრობს მთხრობელი). მაგრამ

ახლა, როცა მან უკვე იცის თავისი უჩინარობის შესახებ, აცნობიერებს, რომ არ უნდა იცხოვროს „ხილვადი ადამიანების“ წესებით.

მთხრობელი გვიყვება მის მდგომარეობას მიტოვებულ სარდაფში და ამბობს, რომ სწორედ 20 წლის არსებობის შემდეგ, მას შემდეგ, რაც აღმოაჩინა მისი უჩინარობა, გაცოცხლდა, ვინაიდან მანამდე იგი ცხოვრობდა წყვდიადში, სადაც ვერაფერს ხედავდა. აქვე მინდა აღვნიშნო, მთხრობელის მიწისქვეშა ხვრელის გადაჭარბებული განათება, რაც წარმოადგენს მეტაფორას უჩინარი ადამიანის მცდელობისა, რომ სწორედ ამ გადაჭარბებული სინათლით დაინახოს საკუთარი თავი.

ყველა ზემოხსენებული ეგზისტენციალური პრობლემის მიუხედავად, ამ ნაწარმოებში ეგზისტენციალური ცნობიერების წარმოჩენა არ იქნებოდა სრულყოფილი, რომ არა ადამიანის პასუხისმგებლობის პრობლემის დაყენება.

ნაწარმოების პროლოგში მთხრობელი აღნიშნავს, რომ იგი არ გრძნობს პასუხისმგებლობას არავის წინაშე, მაგრამ ცხოვრებისეული და განსაკუთრებით აფრო-ამერიკული გამოცდილების შემდეგ, მას ეცვლება შეხედულება ცხოვრებაზე. რომანის დასასრულს იგი აღიარებს, რომ ყველა ადამიანს, თუნდაც ის იყოს უჩინარი, გააჩნია პასუხისმგებლობა. ადამიანი ხშირად გაურბის პასუხისმგებლობას და თავს აფარებს ილუზიას, ვითომდა ესა და ეს საქციელი მას კი არ ჩაუდენია, არამედ მისდაუნებურად შეემთხვა. მაგრამ რა პირობებშიც არ უნდა მოხვდე, თუნდაც ეს იყოს ქვეყანა, სადაც მხოლოდ კანის ფერის გამო ხდება ადამიანის იგნორირება, მისი დევნა და დამცირება, სულ ერთია, შენ და მხოლოდ შენ ხარ პასუხისმგებელი საკუთარ თავზე და გარკვეულწილად სხვებზეც, მიუხედავად იმისა, ეს „სხვები“ გაღიარებენ თუ არა თავიანთი საზოგადოების სრულუფლებიან წევრად. ამიტომაც, უჩინარ ადამიანს აქვს მისია, ეს მისია კი დამკვიდრებული ძალადობის,სტერეოტიპების,ცრურწმენების წინააღმდეგ ბრძოლას და, რა თქმა უნდა, თვითმყოფადობის დამკვიდრებას გულისხმობს. იგი ხედება, რომ მთელი პასუხისმგებლობის მოხსნა შეუძლებელია, რომ ადამიანმა თავისი მისია უნდა შეასრულოს. მიტოვებულ სარდაფში იგი კიდევ ერთხელ იაზრებს საკუთარ ცხოვრებას და ხედება, რომ მას შეიძლება ჰქონდეს სოციალურად საპასუხისმგებლო როლი. სწორედ ამ ფაქტის გააზრების შემდეგ იგი მზადაა დაუბრუნდეს „ზევით ცხოვრებას“ და თავისი მისია შეასრულოს.

ნაწარმოების დასასრულს (თუმცა მთხრობელი აღნიშნავს, რომ დასასრული დასაწყისშია – the end is in the beginning) ელისონი ნათლად მიგვანიშნებს, რომ უჩინარი ადამიანი ადამიანის ზოგადი სახეა, რომელიც პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ მისი პიროვნების უგულებელყოფა ხდება.

არის ნაწარმოების გმირი ერთი ადამიანი?! ეს კითხვა ერთპიროვნულად უარყოფით პასუხს იღებს. ელისონის „უჩინარი ადამიანის“ მთავარი საზომი და ღირებულება არის მისი მასშტაბურობა და განზოგადების დონე, ანუ ის, თუ როგორ გადადის მწერალი კონკრეტულიდან უნივერსალურზე. როგორც ელისონი წერდა: „მწერლის ფუნქცია და ვალდებულებაა წეროს რაიმე კონკრეტული გამოცდილების შესახებ ისე კარგად და მჭევრმეტყველურად, რომ თავისი თავიც მოიცვას და მთელი სამყაროც, ანუ ილაპარაკოს კაცობრიობის მთელი სამყაროს სახელით.“[3] მწერალმა უნდა წეროს ისე კარგად, რომ დაკვირვებული მკითხველი, რომელიც ნაწარმოებს ჩაუღრმავდება, მიხვდეს, რომ მწერალი მისი სახელითაც

ლაპარაკობს. სწორედ ამიტომაა რომანის უკანასკნელი წინადადება – „who knows but that on the lower frequences, I speak for you?"

მწერალს რასიზმის პრობლემა ეგზისტენციალურ პრობლემებთან შერწყმის გზით უზოგადესი, საყოველთაოობის პლანში გადაჰყავს და წარმოაჩენს როგორც კაცობრიობის საერთო სატკივარს. სწორედ ამიტომაა მიჩნეული ელისონის „უჩინარი ადამიანი" ამერიკული ლიტერატურის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნაწარმოებად, თორემ რასიზმზე, მონობასა და ძალადობაზე წიგნი ვის არ დაუწერია. სწორედ ამაზე ამახვილებდა ყურადღებას ელისონი 1957 წელს გამოსულ წერილში, როცა წერდა, - ამერიკელი მწერლის მთავარი მიზანი არის ის, რომ დაარწმუნოს ამერიკელი მკითხველი იმის გაცნობიერების აუცილებლობაში, რაც კლასობრივი, ეთნიკური თუ ფორმალური განათლების მიღმა, ყველა ადამიანისთვის საერთოა. ვფიქრობ, რომ „უჩინარი ადამიანის" შექმნით ელისონმა შეძლო თავისი, როგორც ხელოვანის, იდეა და აზრი მკითხველამდე მიეტანა და ამით მწერლისათვის უმთავრესი მიზნისათვის მიეღწია.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. სარტრი ჟან-პოლ, სარკის მეორე მხარეს, გამომცემლობა „ლომისი", თბილისი, 1993 წელი.
2. Saul Bellow. Man Underground. Review of R. Ellison's Invisible Man. Published in Commentary.1952, (pp.608-610).
3. კამიუ ა., სიზიფეს მითი, გამომცემლობა „ლომისი", თბილისი, 1996 წელი.
4. Irving Howe. Short Review of Invisible Man. Washington University, 1987


5. Irving Howe. Short Review of Invisible Man. Washington University, 1987

**ნანა ხეცურიანი**
*თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახ. ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენის კათედრის დოცენტი*

# ამერიკული ინგლისური ენა თანამედროვე პერიოდში

მსოფლიოში მრავალი ენა არსებობს. თანამედროვე დაანგარიშებით მათი რიცხვი 3000 აღწევს. მათგან ყველაზე ფართოდ არის გავრცელებული ინგლისური ენა, რომელსაც დღეს მსოფლიო ენას უწოდებენ.

ინგლისურ ენას ხანგრძლივი განვითარების ისტორია აქვს. მისი განვითარება იწყება ჩვ.წ.აღ. V საუკუნეში, დასავლეთ გერმანიკული ტომების ბრიტანეთის კუნძულზე გადმოსახლების დროიდან. მას შემდეგ, თექვსმეტი საუკუნის განმავლობაში, ინგლისური ენა მუდმივ ცვალებადობას განიცდიდა და თანამედროვე პერიოდშიც მიმდინარეობს მისი განვითარების პროცესი.

თავდაპირველად, დიდი ბრიტანეთიდან ინგლისური ენის გავრცელება დაიწყო პირველი მოგზაურობით ამერიკაში, აზიასა და ანტიპოდებში და გაგრძელდა აფრიკასა და წყნარი ოკეანის სამხრეთში კოლონიურ პერიოდში.

ინგლისურ ენაზე მოლაპარაკეთა რიცხვმა საგრძნობლად იმატა XX საუკუნეში - მას შემდეგ, რაც ბევრმა ახალმა დამოუკიდებელმა სახელმწიფომ იგი ოფიციალურ, ან ნახევრად ოფიციალურ, ენად გამოაცხადა. ამავე პერიოდში, ამერიკის მსოფლიოს წამყვან ეკონომიკურ ძალად გადაქცევასთან დაკავშირებით, ინგლისურ ენაზე მოლაპარაკეთა რიცხვი გაცილებით გაიზარდა. ამჟამად, ინგლისური დომინანტური, ან სახელმწიფო ენაა 80-ზე მეტ ქვეყანაში, გავრცელებულია ყველა კონტინენტზე და სამ უდიდეს ოკეანეში - ატლანტიკის, ინდოეთისა და წყნარ ოკეანეებში მდებარე კუნძულებზე. ეს ჩამონათვალი ტერმინს — მსოფლიო ენა — ინგლისურ ენასთან მიმართებაში ჭეშმარიტს ხდის.

ინგლისური ენის სამი ძირითადი ვარიანტია: ბრიტანული, ამერიკული და ავსტრალიური. ბოლო პერიოდის მონაცემებით[1], მსოფლიოში ინგლისურზე, როგორც მშობლიურ ენაზე, მოლაპარაკეთა რიცხვი 300 მილიონზე მეტია, ხოლო საერთოდ მსოფლიოში ინგლისურ ენაზე მოსაუბრეთა რიცხვი არის დაახლოებით 2 024 614 000. აშშ-ში ცხოვრობს ინგლისურზე, როგორც მშობლიურ ენაზე მოლაპარაკე 4-ჯერ მეტი ადამიანი, ვიდრე დიდ ბრიტანეთში. ამ ორი ქვეყნის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი შეადგენს მსოფლიოში ინგლისურზე, როგორც მშობლიურ ენაზე, მოლაპარაკეთა 70 %-ს. აღსანიშნავია, რომ აშშ-ში ინგლისური არ არის ოფიციალური სახელმწიფო ენა.

ინგლისური ენის მომავალი ოდითგანვე წარმოადგენდა უაღრესად ემოციური მსჯელობის ლინგვისტურ თემას. 1852 წელს იაკობ გრიმი სალექციო კურსში აღნიშნავდა: „ყველა თანამედროვე ენიდან არც ერთს არ მოუპოვებია ისეთი ძალა, როგორიც ინგლისურს... მას სამართლიანად შეიძლება ეწოდოს მსოფლიო ენა... მომავალში ინგლისური მსოფლიოს ყველა კუთხეში იბატონებს."[2]

1837 წელს ფონეტიკის ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიის მიხედვით, 2000 წლისათვის ინგლისურზე, როგორც მშობლიურ ენაზე მოლაპარაკეთა რიცხვი

1 837 286 154 უნდა ყოფილიყო[3]. XIX საუკუნის ლინგვისტთა ამ ვარაუდის საფუძველს წარმოადგენდა იმ პერიოდში მიმდინარე ბრიტანული და ამერიკული კოლონიალური ექსპანსია და აშშ-ში ემიგრანტთა რიცხვის ზრდა. თუმცა, ეს წინასწარმეტყველება არ გამართლდა.

იყვნენ აგრეთვე პესიმისტებიც. ისინი წინასწარმეტყველებდნენ მომავალი ერთი საუკუნის განმავლობაში ინგლისური ენის დანაწევრებას.

ინგლისელი ფილოლოგი ჰენრი სუიტი 1877 წელს წერდა, რომ ერთი საუკუნის შემდეგ ინგლისის, ამერიკის და ავსტრალიის ენები სრულიად განსხვავებული იქნებოდა, რაც ძირითადად ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მომხდარი ფონეტიკური მოვლენებით იქნებოდა განპირობებული[4].

ნ.ვებსტერი კი 1789 წელს აღნიშნავდა, რომ მომდევნო ერთი საუკუნის განმავლობაში ინგლისური ენის განვითარება დასრულდებოდა ჩრდილოეთ ამერიკის ენის გამოყოფით. ეს ენა ისევე განსხვავებული იქნებოდა დიდი ბრიტანეთის მომავალი ენისაგან, როგორც შვედური და ინგლისური განსხვავდებოდა გერმანულისაგან და ერთმანეთისაგან.[5]

ვერც გრიმი და ვერც სუიტი ზუსტი წინასწარმეტყველი ვერ აღმოჩნდა. თუმცა, სავსებით გამართლდა ვარაუდი ჩრდილოეთ ამერიკული ინგლისური ენის და მისი სხვადასხვა სასაუბრო (არადამწერლობითი) ვარიანტების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით.

როგორც აღვნიშნეთ, ინგლისური ენა აშშ-ის ოფიციალურ ენას არ წარმოადგენს. 1996 წლისთვის ინგლისური ენა ოფიციალურ ენად გამოცხადდა მხოლოდ 23 შტატში. მიუხედავად იმისა, რომ წარმომადგენელთა პალატამ მიიღო დადგენილება ინგლისური ენის აშშ-ის ოფიციალურ ენად გამოცხადებასთან დაკავშირებით, საბოლოოდ კონგრესმა ეს დადგენილება არ დაამტკიცა.

საკმაოდ დიდია აშშ-ში ინგლისურ ენაზე მოლაპარაკეთა რიცხვი, რომლებისთვისაც ეს ენა მშობლიურ ენას არ წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ ემიგრანტთა მეორე თაობა ხდება ორენოვანი, ან მხოლოდ ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე. აშშ-ში გაჩნდა ახალი მიმდინარეობა — **Englsh Plus**, რომელიც ითვალისწინებს ინგლისურ ენასთან ერთად სასაუბრო ენად ერთი, ან რამდენიმე ენის აღიარებას. მისი მიმდევრები დაუპირისპირდნენ მიმდინარეობას — მხოლოდ აშშ-ის ინგლისური - **(US English Only)**. **Englsh Plus** მიმდინარეობის მიმდევართა აზრით, ხანგრძლივმა გამოცდილებამ დაადასტურა, რომ ორენოვანი განათლება **(bilingual education)**, რომელიც ითვალისწინებს სასწავლო პროცესში ინგლისურ ენასთან ერთად ემიგრანტთა მშობლიური ენის გამოყენებას, უფრო ეფექტურია, ვიდრე XX ს. პირველ ნახევარში ფართოდ გავრცელებული მეთოდი — „ჩაიძირე ან გაცურე" **(sink or swim)**, რომელიც მხოლოდ ინგლისური ენის გამოყენებას აღიარებდა.

ამერიკული ინგლისური ენის რეგიონალური დიალექტები მეცნიერების ყურადღების საგნად ჯერ კიდევ XIX ს.-ის ბოლოს იქცა. 1889წ. ჩამოყალიბდა ამერიკული დიალექტის საზოგადოება. ამ საზოგადოების თაოსნობით განხორციელებული ლინგვისტური კვლევის შედეგად მოხერხდა აშშ-ის 3 ძირითადი დიალექტური არეალის დადგენა. ეს არეალებია:

ჩრდილოეთი – ტერიტორია, რომელიც მოიცავს ვერმონტის შტატის დასავლეთიდან ნიუ-იორკამდე მდებარე ჩრდილოეთ შტატებს;

ცენტრალური – საკმაოდ დიდი ტერიტორია ნიუ-ჯერსის სამხრეთით, პენსილვანიის და ვირჯინიის შტატები;
სამხრეთი - მერილენდის სამხრეთით მდებარე ტერიტორია, ჯორჯიის, ჩრდილოეთ და სამხრეთ კაროლინის შტატები, მექსიკის ყურის მიმდებარე შტატები, ოკეანისპირა ტერიტორიის და ტეხასის შტატის სამხრეთი ნაწილი.

1998–2000 წლებში რამდენჯერმე მომეცა საშუალება მემოგზაურა აშშ-ში. ვიყავი მიწვეული მკვლევარი ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენის კათედრაზე (ატლანტა, ჯორჯია). საშუალება მომეცა გავცნობოდი ამ რეგიონში გავრცელებულ ამერიკული ინგლისური ენის დიალექტებს. აღსანიშნავია, რომ ამ ტერიტორიაზე ძირითადად შეინიშნება ესპანურენოვანი ემიგრანტების და აფრიკულ-ამერიკული წარმოშობის მოსახლეობის ენის გაელენა. საერთოდ, სტატისტიკური მონაცემებით დადგენილია, რომ აშშ-ში მცხოვრებ ლეგალურ ემიგრანტთა 42% ლათინური ამერიკიდან ან კუბიდან არის. აშშ-ის სამხრეთ ტერიტორიაზე მათი რიცხვი იმდენად დიდია, რომ არის სპეციალური ესპანურენოვანი სატელევიზიო და რადიო გადაცემები. ატლანტაში 1979 წლიდან ესპანური და ლათინურ-ამერიკული წარმოშობის მოსახლეობისათვის გამოდის გაზეთი – **„Mundo Hispánico"**.

აშშ-ის სამხრეთ შტატებში ესპანურენოვანი ემიგრანტების რაოდენობის ზრდამ ხელი შეუწყო ინგლისური ენის ახალი ვარიანტის ე.წ. ესპანურ-ინგლისურის (**Spanglish**) წარმოშობას. ესპანური ენის გაელენით წარმოშობილ ვარიანტს, რომელიც ძირითადად ტეხასის შტატის და მექსიკის ყურის მიმდებარე ტერიტორიაზეა გავრცელებული, ტექს-მექსს (**Texan Mexican**-ის შემოკლებული ფორმა **Tex Mex**) უწოდებენ. ტექს-მექსის სალაპარაკო მოდელი ინგლისურ სიტყვებს უმატებს ესპანური ზმნების დაბოლოებებს. ტექს-მექსი არის რთული ენა, რომელიც იყენებს როგორც ინგლისურ, ასევე ესპანურ სიტყვებს. მაგალითად: ინგლისურ ზმნას **„to park"** ტექს-მექსში შეესატყვისება **„parqear"**, რომელმაც შეცვალა ესპანური ზმნა **„estasionar"**.

ტრინიტის უნივერსიტეტის პროფესორი ბეარდი ამტკიცებს, რომ ტექს-მექსი არის კრეოლი - ორი ენის შერწყმის შედეგად მიღებული ახალი, დამოუკიდებელი ენა, რომელსაც ვერც ინგლისურ და ვერც ესპანურენოვანები სწრაფად ვერ აღიქვამენ[6].

ტექს-მექსს ხშირად განიხილავენ როგორც „ცუდ ინგლისურს", ან „ცუდ ესპანურს".

აშშ-ის სამხრეთში ასევე ფართოდ გავრცელებული მეორე დიალექტია გულა. ეს დიალექტი აფრიკულ-ამერიკული წარმოშობის მონათა და ადგილობრივი მოსახლეობის ენების შერწყმით შეიქმნა. გულაზე, როგორც მშობლიურ ენაზე საუბარი დაიწყო მონების მეორე თაობამ. ამ დიალექტზე მოლაპარაკე ხალხი ძირითადად ცხოვრობს სამხრეთ კაროლინის შტატის ქალაქ ჯეკსონვილიდან ფლორიდის შტატის ქალაქ ჯეკსონვილამდე მდებარე ტერიტორიაზე (**Gullah Area**).

გულას ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია იდიომების გამოყენება, რაც ენას მრავალფეროვნებას და პოეტურობას ანიჭებს. თუმცა, ეს ენას რამდენადმე ძნელად გასაგებს ხდის საშუალო დონეზე ინგლისურ ენაზე მოლაპარაკეთათვის. ხშირია შემთხვევა, როდესაც ერთი სიტყვა რვა განსხვავებულ მნიშვნელობას

გამოხატავს. ასეთ შემთხვევაში, მოლაპარაკე ერთსა და იმავე სიტყვას სხვადასხვა ინტონაციით წარმოთქვამს, რითაც მას სხვადასხვა მნიშვნელობას ანიჭებს.

მიუხედავად იმისა, რომ გულა დაკავშირებულია ინგლისურთან, მას აქვს საკუთარი გრამატიკული და ბგერათა სისტემები. იმის გამო, რომ ეს ენა დამწერლობისთვის არ იყო გამიზნული, მას არ გააჩნია წერის არანაირი წესი – წარმოადგენს მხოლოდ სასაუბრო ენას. ძირითადად ინგლისურზე დაფუძნებული გულა ჟღერს როგორც ინგლისური. აფრიკულ-ამერიკული ინგლისურის დიალექტს ებონიქსსაც (Ebonics) უწოდებენ. მასში აირეკლება აფრიკის კონტინენტის დასავლეთ სანაპიროს ხმა. მიუხედავად იმისა, რომ გულას ლექსიკონი ძირითადად ინგლისურია, მასში არის აგრეთვე რამდენიმე სიტყვა აფრიკული ტომების ენებიდან. მიჩნეულია, რომ ის ჟღერადობით ასოცირდება აფრიკულ, ან იამაიკურ ინგლისურთან.

1996 წლის დეკემბერში ოუქლენდში, კალიფორნიის შტატის განათლების განყოფილებამ აფრიკულ-ამერიკული ინგლისური, ანუ ებონიქსი გამოაცხადა არა ამერიკული ინგლისურის დიალექტად, არამედ ცალკე ენად, რომელიც აშშ-ში განვითარდა აფრიკულ-ამერიკული კულტურიდან. მიუხედავად იმისა, რომ მოგვიანებით განათლების განყოფილებამ უკან წაიღო თავისი განცხადება, ებონიქსის ცალკე ენად გამოცხადებამ მაინც იქონია გავლენა აშშ-ის განათლების სისტემაში ებონიქსის პოზიციების განმტკიცებაზე.

აშშ-ის სამხრეთ რეგიონებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება აფრიკულ-ამერიკული მოსახლეობის ენის გავლენით წარმოშობილ დიალექტებს. ამაზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ, მაგალითად, ატლანტაში ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენის ფაკულტეტზე პროგრამით გათვალისწინებულია აფრიკულ-ამერიკულ ინგლისურთან დაკავშირებული ლექციათა ისეთი კურსები, როგორიცაა: **African-American Literature by Women, Language in the African –American Community, African –American Vernacular English.**

ამრიგად, აშშ-ში ძირითადი ენა არის ინგლისური ენა. მასზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სხვადასხვა დიალექტები, რომლებიც განსხვავდება რეგიონების მიხედვით. აშშ-ის სამხრეთ ნაწილში არსებული ამერიკული ინგლისური ენის ძირითადი დიალექტები აღმოცენებულია ესპანურენოვანი და აფრიკულ-ამერიკული წარმოშობის მოსახლეობის ენების გავლენით.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. D. Crystal. The Cambridge Encyclopedia of the English Language. Cambridge: Cambridge University Press, 1999, p.112.
2. Ibid.
3. The Phonetic Journal, 1837, Sept. 13.
4. D. Crystal, op cit, p.112.
5. Ibid.
6. Sokolik, M., Rethinking America (parts 1,2,3). Washington: Heinle&Heinle,1998.

**გიორგი ხოშტარია**
*გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, დოცენტი*

# კულტურის ეკოლოგია და დასავლური სამყარო

თუ შორეული ნორვეგიის რომელიმე სოფელში ვიღაცამ შეწყვიტა ლექსის წერა. მე განგაში უნდა ავტეხო – დაახლოებით ასე წერდა ორტეგა ი გასეტი. ეს აზრი ხატოვნად და საკმაოდ ზუსტად გადმოგვცემს კულტურის ეკოლოგიის არსს. ასეთი დისციპლინა – კულტურის ეკოლოგია – არ არსებობს და რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, ეს შეხამებაც – კულტურისა და ეკოლოგიის, ყოველ შემთხვევაში, ხშირად არ უნდა გვხვდებოდეს.

ამას, ცხადია, მიზეზები აქვს: ეკოლოგიური ანუ მთლიანობითი ხედვა, ანუ მთელში ნაწილთა შორის აუცილებლობითი კავშირების დანახვა თუ მოაზრება ბევრად უფრო ადვილია ბიოლოგიურ დონეზე; ამას უშუალო სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს და მათი ფუნქციური მხარე ნათელია. ცხადია, ბევრად უფრო რთულია მათი გადაჭრა გლობალური ხასიათისა და მასშტაბის გამო, მაგრამ თუ პრობლემა მოაზრებულია, მათი ადრე თუ გვიან გადაჭრის ალბათობა დიდია.

ბევრად უფრო რთულ პრობლემასთან გვაქვს საქმე, როდესაც დასადგენია ესთეტიური ფენომენის და, კერძოდ, ხელოვნების ფუნქცია და შესაბამისად მისი ადგილი კულტურის სხვა სფეროებთან მიმართებაში.

არ შევუდგებით ჩვენი ეპოქის, პოსტინდუსტრიული ეტაპის და მისი ყველაზე მიღებული პოსტმოდერნისტული მსოფლხედვის, მასთან მჭიდროდ დაკავშირებული პოსტსტრუქტურალისტური წარმოდგენების განხილვას, მაგრამ რამდენიმე საკითხზე მაინც უნდა შევაჩეროთ ყურადღება. ცხადი და გასაგებია, რომ კულტურის მკაცრი სტრუქტურალისტური მოაზრება, მისი მკაცრი სისტემური განხილვა მრავალ კონტრარგუმენტს წარმოშობს, მაგრამ რამდენიმე პრინციპული კითხვა მაინც იბადება. კერძოდ, ნიშნავს თუ არა სტრუქტურის, სისტემურობის უარყოფა უარის თქმას მთლიანობითობის პრინციპზე – თუ მის სრულ გაუქმებასთან გვაქვს საქმე, მაშინ ალტერნატივა იქნება ქაოსი. თუ არც მთლიანობა და არც ქაოსი, მაშინ რა? ამ კითხვაზე თუნდაც სავარაუდო პასუხის გასაცემად საჭიროა ზოგადად მაინც მოავიაზროთ ჩვენი ეპოქალური კულტურის ის სპეციფიკა, რომელიც ბევრწილად განაპირობებს რეაქციას სტრუქტურაზე, სისტემურობაზე. კერძოდ, ეპოქის ერთ-ერთი არსებითი ნიშანია ევოლუციური პროცესის არსებითი პირობის: დიფერენციაციისა და სპეციფიკიზაციის გეომეტრიული პროგრესიით ზრდა. ეს პროცესი, ცალკეული დარგების არნახულ პროგრესთან ერთად, იძლევა თავისებურ ბაბილონის გოდოლის ეფექტს: თითოეული ახალი სფეროს გაჩენა ნიშნავს ახალ ენას, ახალი ტიპის კანონზომიერებას და უკვე ერთი დარგის შიგნითაც კი მთლიანობითი ხედვა ჭირს. რაღა უნდა ვთქვათ მთლიანად კულტურაზე? მისი სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური, სულით-გონითი კულტურათა სფეროს საოცარი მრავალფეროვნებით და, რაც მთავარია, მათი განვითარების არათანაბრობით - ცხადია აქ საერთო პარადიგმის მონახვა თუ დანახვა უაღრესად რთულია.

ამასთან დაკავშირებით ყურადღება უნდა მიექცეს კულტურის ასიმეტრიულ განვითარებას პრაქტიკულად მსოფლიოს ყველა რეგიონში. რა მოგვიტანა რუსეთსა და გერმანიაში სოციალური თუ სამართლებრივი კულტურის განვითარების აშკარა ჩამორჩენამ სულიერ კულტურასთან, მეცნიერებასთან და ხელოვნებასთან შედარებით, ამ თავისებური მაკრატელის შედეგი ჩვენ უკვე ვნახეთ - ერთ შემთხვევაში ბოლშევიზმი, მეორეში ფაშიზმის ნაცისტური ვარიანტი.

ამასთან, ასიმეტრია შესაძლებელია სხვა კონფიგურაციითაც: როდესაც სოციალური, პოლიტიკური თუ ეკონომიკური სფეროების განვითარებასთან ერთად ვერ ვხედავთ ადეკვატურ სურათს სულიერი კულტურის სფეროში. ძნელია ზუსტად განისაზღვროს, თუ რა შედეგს მოიტანს ამ ტიპის ასიმეტრია კულტურაში, ადამიანში. მაგრამ გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ეს შედეგი საკმაოდ მძიმე შეიძლება იყოს. საქმე ის არის, რომ განსხვავებით კულტურის ყველა სხვა სფეროსგან, ესთეტიკურის და, კერძოდ, ხელოვნების ფუნქცია ყველაზე ბუნდოვნად არის დამუშავებული. ცხადია, ჩვენ ვერ შევუდგებით ამ ურთულესი პრობლემის განხილვას, მაგრამ რამდენიმე ასპექტს ხელოვნების არსთან დაკავშირებით უნდა შევეხოთ,რათა უფრო ნათელი გახდეს აღნიშნული ტიპის ასიმეტრია და მასთან დაკავშირებული პრობლემები. კერძოდ, ყველა ვარიანტში შეგვიძლია ხელოვნების ნაწარმოები განვიხილოთ როგორც განსხვავებულ ნიშანთა რიგის ინტეგრირებული მთელი. მაგალითად, მხატვრობაში ხელოვნების ნაწარმოები წარმოადგენს სურათგარეშე არსებული სამგანზომილებიანი, დროში გავრცობილი, მრავალშრიანი ასახვის საგნის ნიშნების ინტეგრირებას ორგანზომილებიან, სტატიკური, შემოსაზღვრულ მასალაში (სიბრტყეზე, ფორმატში) ფერით, ტონით, ხაზით, ორგანიზებულს სილამაზის ფორმალური პრინციპების მიხედვით (რიტმი,სიმეტრია, წონასწორობა, ჰარმონია, სიმრავლეთა ერთიანობა და ა.შ.) ინდივიდის მიერ. თუ თითოეული ტიპის ნიშანი ცალ-ცალკე (რეალობის, მასალის, ფორმალური პრინციპების, ინდივიდის) კიდევ შეიძლება დაემორჩილოს რაციონალურ განსაზღვრებას, ინტეგრირებული მთელი თავისი არსით ირაციონალურია, თუმცა აღქმაში, მხატვრულ ხედვაში იგი აბსოლუტურად ექვემდებარება საყოველთაობისა და აუცილებლობის წესს, ანუ იგი არც ობიექტური რეალობაა და არც სუბიექტური, არამედ წარმოადგენს ნიშანთა რიგს, რომელიც იძლევა სამყაროს მოდელის გრძნობადი აღქმის საშუალებას. ეს გრძნობა, რომელიც არ არის სუბიექტური და ადგენს წესს, კანონს, არის სწორედ ესთეტიკური, მხატვრული აღქმის უნარი – ხედვა სახვით ხელოვნებაში (ქანდაკებაში, სიბრტყეს ცელის სივრცეში გაშლილი მყარი ფორმა), სმენა მუსიკაში (სადაც ისევე როგორც მათემატიკაში, კონკრეტული ასახვის საგანი არ არსებობს; მუსიკალური, ანუ ორგანიზებული ბგერა, ნოტური სისტემა), ლიტერატურაში წარმოსახვის უნარი, დამყარებული სიტყვის სხვადასხვა ტიპის წყობაზე (პროზა,პოეზია). დარგობრივი სხვაობის მიუხედავად, არსი ერთია - ინტეგრირებული, თავისი ბუნებით პოლიფონიური მთლიანობა, რომლის შინაარსიც ირაციონალურია და მხოლოდ გრძნობა ადგენს აუცილებლობით და საყოველთაო ხასიათის კავშირებს. აქედან გამომდინარე, ძნელი არაა ვივარაუდოთ, რომ რაციონალური სფეროს ცალმხრივი განვითარება ადამიანში შეიძლება თრგუნავდეს მისი ესთეტიკური აღქმის უნარს. აქ დგება კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი: ე.წ. დამოკიდებულების კატეგორია. შემოქმედს აუცილებლად სჭირდება გარემო – ასახვის საგანი, დამოკიდებულების ობიექტი, რომელიც აძლევს მას შემოქმედებაში მთავარ იმპულსს. „მეხატინება და იმიტომ ვხატავ", ამბობდა ნიკო

ფიროსმანაშვილი, რომელიც სწორედ ასახვის საგნისადმი საოცარი დამოკიდებულებით გამოირჩევა: რა სტიმულს იძლევა ამ მხრივ თანამედროვე გარემო, გინდ ვიზუალური თვალსაზრისით, გინდა ზოგად ცხოვრების წესით? ამ თვალსაზრისით, ბოლო 3–4 საუკუნე და განსაკუთრებით XX საუკუნე რადიკალურად უპირისპირდება ყველა დანარჩენ ეპოქას. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ჩამოყალიბება იწყება გალილეი-ნიუტონიდან, ანუ XVI–XVII საუკუნეებიდან. ამას მოსდევს სამრეწველო რევოლუცია, მექანიკის შემოჭრა ცხოვრებაში ჯერ ორთქლის, შემდეგ შიდა წვის ძრავითა და ელექტროობით, ბოლოს მოდის ელექტრონული რევოლუცია ინფორმატიკის დომინანტით ანუ, სახეზეა რაციონალური და ზერაციონალური აზროვნების დომინანტა ცხოვრების წესში, ორგანიზაციაში. ასევე რადიკალურად იცვლება ვიზუალური გარემო - დიზაინი სპეციფიკურად ამ პროცესის შედეგად მიღებული დარგია. მან ესთეტიური უნდა გახადოს ფაბრიკულ-სერიული ნაწარმი. ჩნდება ისეთი არაორგანული მასალები, პლასტმასა, ნეონის განათება, რაც არ იცოდა არც ერთმა ადრინდელმა ეპოქამ. პრაქტიკულად ქრება ხელის ნაწარმი – ტანისამოსში, ავეჯში, ინტერიერსა თუ ექსტერიერში; ეტლს ცვლის მანქანა. საქმე იმაში არ არის რომელი უფრო ლამაზია. ეს არის არსობრივად განსხვავებული ვიზუალური სამყარო - ხელით ნაკეთი და ხელოვნური, ცოცხალი და იმიტაციური, ფაქტობრივად მკვდარი. განა ამან არ შეიძლება არ გამოიღოს თავისი შედეგი – ეს ხომ ესთეტიკური გარემოს კატასტროფული რღვევაა. XX ს-ში მხატვრებმა, ხელოვანებმა შეძლეს თითქოს შეუძლებელი, განსაკუთრებით პოსტმოდერნის ხელოვნებაში – მოახერხეს ესთეტიურად სტერილური (მარსელ დიუშანის მოთხოვნა წარმოდგენილი საგნისადმი) საგნის ესთეტიკურ კონტექსტში ჩართვა. შემთხვევითი არ არის, რომ ფრანგი მარსელ დიუშანი, რომელიც უკვე კუბიზმის დროს ავლენს თავს საფრანგეთში, ცხოვრების უმეტეს დროს ატარებს აშშ-ში. იქ ფენს იგი თავის „ბოთლების საშრობს", „უნიტაზს" და სხვა დადაისტურ საგნებს თუ ნიმუშებს ე.წ. ready-made-ებს, მზა ნაწარმოებს, ხოლო უკვე XX საუკუნის II ნახევრიდან აშშ ერთ-ერთ წამყვანი ქვეყანა ხდება პოსტმოდერნისტულ ხელოვნებაში, იქნება ეს ზოგადად პოპ-არტი, კონცეპტუალიზმი, ლენდ-არტი, ინტერმედია თავისი ჰეპენინგებითა და სხვა, ამ მხრივ, მართლაც საოცარი შედეგი გვაქვს – კიტჩი, მას-კულტურა, მზა საგანი და მრავალი სხვა. ადრე წარმოდგენილი მოვლენა ირთვება ხელოვნების ქსოვილში მის კონტექსტში – მაგრამ თვით ეს მოვლენა ასახვის საგნის „სიკვდილი", ესთეტიკური თვალსაზრისით, მეტყველებს დიდ სულიერ კრიზისზე.

იგივე ხომ არ ხდება რელიგიაში? იქაც ხომ მთავარი ღერძი რწმენაა, რომლის გარეშეც რელიგია მკვდარია და ისიც თავისი ბუნებით აბსოლუტურად ნათელია, როგორც ხელოვნება მოცემულობაში და ამასთან – ირაციონალური. რა თქმა უნდა, ეს პრობლემა არსებობს. მე შორს ვარ რაიმე რეცეპტებისაგან, მაგრამ პრობლემა ნათლად უნდა იყოს გააზრებული.

# მ ე დ ი ც ი ნ ა

**ქეთევან ალავიძე**
*თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის*
*ცენტრალური კლინიკის ექიმი-ნევროლოგი*

## რა არის ცნობილი აშშ-ში ბაქტერიოფაგების შესახებ

გასული საუკუნე მწერლებმა და პუბლიცისტებმა მონათლეს ატომის, ნეილონისა და პენიცილინის საუკუნედ. განსაკუთრებით დიდი ეფექტი ჰქონდა პენიცილინის აღმოჩენას, რომელსაც მოჰყვა ანალოგიური წამლები-ანტიბიოტიკები, რომლებიც ადამიანის ორგანიზმს დაიცავდა ყველა ავადმყოფობის გამომწვევი ბაქტერიებისაგან. მშვიდობიანი ატომისა და სინთეზური მასალების აღმოჩენამ გაამართლა, ხოლო ანტიბიოტიკები კი სულაც არ აღმოჩნდნენ ყოვლისშემძლენი, რადგან ბაქტერიები იძენენ რა მდგრადობას, სულ უფრო და უფრო უწევენ წინააღმდეგობას ანტიბიოტიკებს. ბაქტერიების რეზისტენტობა ანტიბიოტიკების მიმართ მსოფლიო პრობლემად გადაიქცა.

ფარმაცევტული კომპანიების და მეცნიერების ინტენსიური მუშაობის მიუხედავად, ბოლო 30 წლის მანძილზე ვერა და ვერ შეიქმნა ანტიბიოტიკების უნივერსალური თაობები. მეცნიერების თანამედროვე მიმართულებამ გენურ ინჟინერიაში, რომელიც საშუალებას იძლევა მთლიანად გაშიფროს ბაქტერიის და ფაგის გენომი, განსაზღვროს პათოგენობის მოლეკულური საფუძვლები, მომავალში თავის მიზანს მიაღწევს და გამოჩნდება ინფექციური დაავადებების მკურნალობის ახალი გზები. ძიება მეორე მიმართულებითაც მიმდინარეობს, ეს არის მსოფლიოს მეცნიერების დიდი ინტერესი ინფექციების ფაგებით თერაპიული მკურნალობისადმი.

ბაქტერიოფაგები სპეციფიკური ვირუსებია, რომლებიც უტევენ და ანადგურებენ მხოლოდ პათოგენურ ბაქტერიებს. ტიპური ბაქტერიოფაგების მიკროსკოპული სურათიდან ჩანს, რომ ისინი თავკომბალის მსგავსი ვირუსებია და შედგება თავის, კუდის, ბაზალური ფირფიტისა და წანაზარდისაგან. თავს ტოსაედრის სიმეტრია აქვს. ცილოვანი თავის გარსის შიგნით ძირითადად ორსპირალიანი დნმ-ია, რომელიც მცირე მოცულობაში სუპერსპირალის სახით არის წარმოდგენილი. ფაგი უტევს ბაქტერიას, წანაზარდებით მაგრდება მასზე, სპეციალური ფერმენტით ხვრეტს ბაქტერიის კედელს და შეჰყავს თავისი გენეტიკური მასალა მასში, ე.ი. მისი მოქმედება ჩვეულებრივი საინექციო შპრიცის მოქმედების იდენტურია, თუმცა კონსტრუქციულად უფრო სრულყოფილი. ბაქტერიაში შეყრილი ფაგის დნმ-ი ბაქტერიულ დნმ-ზე აწყობს კომპლემენტარულ ორსპირალიან დნმ-ს, იყენებს ბაქტერიის შიგთავსს ცილის სინთეზისათვის და ბაქტერია ივსება ფაგის ახალი პოპულაციებით, რომელიც ხვრეტავს ბაქტერიის კედელს და გამოდის გარეთ. როგორც ვხედავთ, აქ ორი პროცესი ერთდროულად მიმდინარეობს: ბაქტერიების განადგურება და ფაგის გამრავლება. ერთი ბაქტერიიდან გამოდის 100–200 ფაგის პოპულაცია, რომელიც უკვე სხვა ბაქტერიებს შთანთქავს. ე.ი. ბაქტერიების ნაცვლად ვღებულობთ ფაგების პოპულაციას, რომელიც არანაირად არ აზიანებს ადამიანის ორგანიზმს და სისხლში მათი არსებობა სრულებით უვნებელია. ფაგები არსებობენ მანამ, სანამ არსებობენ ბაქტერიები, შემდეგ კი ისინი გამოიყოფიან ორგანიზმიდან.

ფაგების გამოყენების უსაფრთხოება და ეფექტურობა ანტიბიოტიკებთან შედარებით ფაგების თვისებებით არის განპირობებული, რომელიც ნათლად ჩანს შემდეგ ცხრილში:

| | ანტიბიოტიკები | ბაქტერიოფაგები |
|---|---|---|
| მიკრობული შტამების მეორადი რეზისტენტობის წარმოქმნა | უმნიშვნელოდან ძალიან მნიშვნელოვნამდე | არ ახასიათებთ |
| ახალი პრეპარატის შექმნა | რამდენიმე წლიდან ათწლეულებამდე | რამდენიმე დღიდან რამდენიმე თვემდე |
| პროფილაქტიკური გამოყენება | არაეფექტურია და არ შეიძლება | ძალიან ეფექტურია და ფართოდ გამოიყენება |
| ორგანიზმების უჯრედებში შეღწევადობის უნარი | ძალიან მაღალი მაჩვენებლიდან ძალიან დაბლამდე სხვადასხვა პრეპარატებში | ძალიან მაღალი |
| ინფიცირების ადგილზე კონცენტრაცია | განსხვავებულია სხვადასხვა პრეპარატებისათვის, დამოკიდებულია პროცესის ლოკალიზაციაზე. კონცენტრაციის შემცირება სხვადასხვაა | იზრდება, რადგანაც თვითონ ფაგი მრავლდება, მცირდება ინფექციის ლიკვიდაციასთან ერთად |
| ორგანიზმის ფერმენტულ სისტემაზე მოქმედება | ყველა პრეპარატისთვის არის დამახასიათებელი | არ გააჩნია |
| გვერდითი მოვლენებისა და გართულებების არსებობა | დამახასიათებელია ყველა პრეპარატისათვის (ალერგიული, ტოქსიკური, სხვა მედიკამენტების მიმართ კონკურენტული) | არ არის დამახასიათებელი იმიტომ, რომ ადამიანის ორგანიზმის უჯრედებზე არ გააჩნიათ მოქმედების მოლეკულური მექანიზმები |
| სხვა ანტიბაქტერიულ პრეპარატებთან კომბინაცია | დამოკიდებულია სხვა კლასის ანტიბაქტერიულ საშუალებებზე | შეიძლება ყოველთვის მიზანმიმართულების მიხედვით |
| სხვა სამკურნალო საშუალებებთან შეთავსება | სხვადასხვა დანიშნულების მიხედვით, ტოქსიკური მოქმედების მიხედვით | სრული, მათ შორის ანტიბიოტიკებთან |
| აქტიურობა პათოგენური და საპროფიტული მიკრობების მიმართ | ფართო სხვადასხვა ბაქტერიების მიმართ. მოქმედებს ორგანიზმის ობლიგატურ ფლორაზე, იწვევს დისბაქტერიოზს. მგრძნობიარე შტამების რაოდენობა 60-90% | მგრძნობიარე პათოგენური შტამების მგრძნობელობა 70-95%. არ იწვევს დისბაქტერიოზს |
| ფიზიკო-ქიმიურ ფაქტორებთან მგრძნობელობა | მრავალი არამდგრადია pH-ის დაბალი მნიშვნელობის დროს, ხსნარები ვერ უძლებენ გაყინვას, დიდხანს შენახვა არ შეიძლება | ნაკლებად მდგრადია დაბალი pH-ის მიმართ, გაყინვა არ შეიძლება |

ფაგების ფენომენის აღმოჩენა დაახლოებით 100 წლის წინ ეკუთნის ტუორტს და დ'ერელს, რომლებმაც ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ერთდროულად გამოიყენეს ეს აღმოჩენა.

ფაგ'ელი თერაპია პირველად აშშ-ში მე-20 საუკუნის დასაწყისში გახდა ცნობილი. აშშ-ის დაინტერესება ფაგებით მათი აღმოჩენიდან ცოტა ხანში დაიწყო. 1931 წლის ამერიკის მედიცინის ასოციაციის ფარმაციისა და ქიმიის საბჭომ მოამზადა ფართო მიმოხილვა ფაგური თერაპიის შესახებ (Eaton and Bayne-Jones). ამ მიმოხილვის მიზანი იყო რეზიუმეს გაკეთება ექსპერიმენტულად დადგენილი ფაქტების შესახებ ბაქტერიოფაგების ფენომენთან დაკავშირებით.

ინფექციების მკურნალობის დროს ბაქტერიოფაგების გამოყენების შესახებ არსებულმა ლიტერატურულმა მიმოხილვამ გამოავლინა,რომ ფაგების თერაპიული მნიშვნელობა იყო სპეციფიკური და ამიტომ ზოგ შემთხვევაში კლინიკურად სადაეო. სარწმუნო მონაცემებით, შედეგები მიღწეული იყო მხოლოდ ადგილობრივი სტრეპტოკოკული ინფექციებისა და შესაძლოა, ცისტიტების მკურნალობის დროს. ამ შეფასებამ დიდი გავლენა მოახდინა იმაზე, რომ ფაგის მიმართ ინტერესი ამერიკას შეუსუსტდა.

შემდგომ 40-იან წლებში უკვე უფრო ფართო მოხმარების საგნად იქცა ახალი „ყოვლის შემძლე" ანტიბიოტიკი, როგორიც იყო პენიცილინი და დასავლეთის სამყარომ თითქმის უარი თქვა ფაგების სამკურნალო გამოყენებაზე. მიუხედავად ამისა, 40-ანი წლების დასაწყისში აშშ-ში ჩატარებულ იქნა სამედიცინო კვლევები, რომლითაც გამოვლენილ იქნა ვირულენტური ფაგების თვისებები და მათი გამოყენების გზები ინფექციური დაავადებების სამკურნალოდ.

ბიოფიზიკოსი მაქს დელბრუკი ბიოლოგებთან — ალფრედ ჰერსისა და სალვადორ ლურიასთან ერთად სწავლობდნენ ფაგებს. მათ შექმნეს „ფაგური ჯგუფი", რომელიც საბოლოო ჯამში გარკვეულ წილად გაფართოვდა ფაგების ზაფხულის კურსების მონაწილეთა ხარჯზე. ეს კურსები გრძელდება 40—45-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე.

ბაქტერიოფაგების კვლევას საქართველოში, კერძოდ თბილისში, ფაგების აღმოჩენისთანავე ჩაეყარა საფუძველი. დიდმა ქართველმა მეცნიერმა გიორგი ელიავამ დააარსა მსოფლიოში ცნობილი ბაქტერიების, ფაგების კვლევისა და ფაგური პრეპარატების საწარმო, შემდგომში — სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ბაქტერიოფაგი". მას უნდოდა საქართველო გამხდარიყო მსოფლიო ფაგოთერაპიისა და ფაგების კვლევის ცენტრად. იგი ამ დვაწლისათვის 1937 წელს კომუნისტებმა დახვრიტეს.

1917 წლიდან დღემდე ქართველმა მეცნიერებმა ბაქტერიოფაგს მიუძღვნეს 1000-ზე მეტი ნაშრომი.

საქართველოს მეცნიერებთან მჭიდრო კონტაქტი აქვს „მერილენდის" უნივერსიტეტის პროფესორს ბეტი კუტერს, რომელიც აქტიურად მუშაობს ფაგების გენომის და პოპულაციების შესწავლაზე, დოქტორ უილიამ პეტრის (ვირჯინიის უნივერსიტეტის პროფესორი), რომელიც პოპულარიზაციას უწევს ფაგების სამკურნალო გამოყენებას აშშ-ში და სხვები.

ფაგებით მკურნალობისას არ ყოფილა არც ერთი შემთხვევაც კი, რომ ამ თერაპიას უარყოფითი გავლენა მოეხდინა ორგანიზმზე. დღემდე ფაგები სამკურნალოდ მხოლოდ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გამოიყენებოდა: დიზენტერიის, მუცლის ტიფის, ნაწლაური ინფექციების, პოსტოპერაციული ჩირქოვანი

პროცესების, დამწერობის და სხვა ინფექციური დაავადებების საწინააღმდეგოდ. ფაგური პრეპარატები გამოიყენება როგორც სამკურნალოდ, ასევე პროფილაქტიკისათვის როგორც ადამიანებში, ასევე ვეტერინარიაში. აგრეთვე საოპერაციოების, შენობების, მდინარეების, წყლების, ეკოსისტემების ბაქტერიებისაგან გასასუფთავებლად.

ძალიან დიდია ფაგების გამოყენების არეალი ყველგან, სადაც ბაქტერიული დაბინძურებაა.

ფაგებით მკურნალობით მადლიერნი არა მარტო ქართველი პაციენტები არიან, არამედ უცხოელებიც. ერთ-ერთი ასეთი იყო ამერიკელი ფრედ ბლედსო. მისი მკურნალობა მხოლოდ საქართველოში ფაგებით მოხერხდა, ამ შემთხვევის შესახებ „New-York Times"-შიც დაიწერა. ფეხის ამპუტაციისათვის განწირული ბლედსო, ორთვიანი ანტიბიოტიკური თერაპიის შემდეგ, რომელსაც აშშ-ში იტარებდა, ქართველმა ექიმებმა ფაგების საშუალებით ფეხის მოკვეთას გადაარჩინეს. საქართველოს შესახებ მან გადაცემა „48 საათი" „CBS"-ის არხზე შოუდან „ჩემი მკვლელები"-დან შეიტყო.

კანადელი მედიკოსი ალფრედ ჯერთლერი საუბრობდა თავის ერთწლიან ბრძოლაზე ფეხის ინფექციურ დაავადებებთან, რომელიც სწორედ თბილისში ჩატარებული მკურნალობით დაამარცხა. ამავე შოუდან შეიტყო ამერიკელი მეცნიერის ბეტი კუტერის შესახებ, რომელიც აშშ-ში ფაგებზე მუშაობს. სწორედ მისი დახმარებით მოხვდა პაციენტი საქართველოში.

ფარმაცევტულმა კომპანიამ „ბიოფარმი", რომელსაც ხელმძღვანელობდა ლელა კალანდარიშვილი, აქტიური კონტაქტები დაამყარა აშშ-ის, ინგლისის და ავსტრალიის მთავრობებთან ამ ქვეყნებში ფაგური პრეპარატების გამოყენების თვალსაზრისით. 2002 წლის ივნისში მას ჰქონდა თავისი წარმოებული მიკრობიოლოგიური პროდუქციის წარმატებული პრეზენტაცია ვაშინგტონში, პენტაგონში და ლონდონში. ხელი მოეწერა ერთობლივი მუშაობის ხელშეკრულებებს, რომელიც წარმატებული დაკვეთებით უნდა დაგვირგვინდეს. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამით განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა კომპანია „ბიოფარმში" დარეგისტრირებულმა პრეპარატებმა: სტაფილოფაგი, სტრეპტოფაგი, ბიოსეპტი, ინტესტიფაგი, სალმონელური ფაგი, პიოფაგი და სხვა. ყველა ეს პრეპარატი დარეგისტრირებული და დაპატენტებულია საქართველოში.

საწარმოს აქვს დიდი სამედიცინო და საწარმოო პოტენციალი, წარმოების დიდი გამოცდილება.

2000 წელს ამ საწარმომ ამერიკაში მიიღო GMP და GLP (საუკეთესო საწარმოო მანუფაქტურა და საუკეთესო ფარმაცევტული ლაბორატორიის) სერთიფიკატი. ამიტომ შეუძლია თავისი დიდი წვლილი შეიტანოს არა მარტო საქართველოს, არამედ საერთაშორისო მასშტაბებითაც ბიოტერორიზმთან ბრძოლაში.

სტატია დაწერილია ბეტი კუტერის წიგნის „ყველაფერი ფაგების შესახებ" მიხედვით.

მ. ბალავაძე
*ინტერვენციული ხხიური და დიაგნოსტიკის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი.*
ზ. კირტავა
*ეროვნული სასწავლო საინფორმაციო ცენტრის დირექტორი*
ნ. ავალიანი
*ამერიკის საერთაშორისო ჯანდაცვის კავშირის კავკასიის ოფისის დირექტორი*
შ. ავალიანი
*საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის კარდიოლოგიის კათედრის დოცენტი.*

# აშშ-საქართველოს მედიკოსთა თანამშრომლობა დისტანციური სამედიცინო სწავლების პროგრამის ფარგლებში: მწვავე კორონარული სინდრომი

*ეძღვნება ა. კობალაძის ხსოვნას*

2000–2001 წლებში თბილისში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს ეროვნული საინფორმაციო სასწავლო ცენტრისა და კატასტროფების და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ბაზაზე განხორციელდა აშშ-ისა და საქართველოს ექიმების დისტანციური სამედიცინო სწავლების პროგრამა. ამერიკის პროგრამას ხელმძღვანელობას უწევდნენ დოქტორები: ენტონი ტარტალია, დანიელ ვეინერი, ჯეიმს სტრიკლერი JMP-დან (Internacional Medical Program) და დოქტორი კენ უოკერი – ემორის უნივერსიტეტიდან (ატლანტა, ჯორჯია), საქართველოს მხრიდან კი - ბ-ნი არჩილ კობალაძე (ფონდი „პარტნიორები ჯანმრთელობისთვის").

დისტანციური სწავლების მასალების გადმოცემა ამერიკიდან საქართველოში განახორციელა „პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამის საინფორმაციო მართვის სისტემის (PIMS) მიერ შექმნილმა უკაბელო მაღალი სიჩქარის ქსელმა და ინტერნეტ-პროვაიდერ კომპანია „სანეტ"-მა.

დაწერილებით შეჩერდებით კარდიოლოგიურ სემინარზე, რომელშიც ამერიკის მხრიდან მონაწილეობდნენ: პროფესორები დევიდ პუტნერი და მარკ ნელსონი ალბენის სამედიცინო კოლეჯიდან; ნიუ-იორკის ბეტ ისრაელის სამედიცინო ცენტრიდან სტიეენ ჰოროვიცი, ნიუ-იორკის წმინდა ლუკას რუზველტის ჰოსპიტალიდან – მიშელ ლესქი და სემინარის თავმჯდომარე, ბეტ ისრაელის სამედიცინო ცენტრის დირექტორი ტომას კილიპი.

ამ ნაშრომის მიზანს წარმოადგენს პირველი სემინარის თემის განხილვა, კერძოდ მწვავე კორონარული სინდრომები ST-სეგმენტის ელევაციით:

Q-კბილოვანი და Q კბილის გარეშე მიოკარდიუმის ინფარქტი;

ST-სეგმენტის ელევაციის გარეშე: არასტაბილური სტენოკარდია და Q კბილის გარეშე მიოკარდიუმის ინფარქტი).

ეს სემინარი მიმდინარეობდა 3 დღე. განხილული იყო ამ დაავადების ეპიდემიოლოგიისა და პრიფილაქტიკის, აგრეთვე დიაგნოსტიკისა და ადეკვატური მკურნალობის შესაძლებლობები.

მწვავე კორონარული სინდრომი ვლინდება სამი ძირითადი პათოლოგიით: 1.არასტაბილური სტენოკარდია, 2.მწვავე ინფარქტი Q კბილის გარეშე და 3. მწვავე Q-კბილოვანი მიოკარდიუმის ინფარქტი.

არასტაბილური სტენოკარდიის კლინიკური სურათი ხასიათდება ტიპური იშემიური დისკომფორტით გულ-მკერდის არეში, ეკგ-ზე ST სეგმენტის გარდამავალი დეპრესიით და/ან –T კბილის ინვერსიით. მიოკარდიუმის დაზიანების ბიოქიმიური მარკერი (*CK MB)* არ მიუთითებს უჯრედოვან ნეკროზზე, ხოლო ტროპონინის მაჩვენებლები ცვალებადია (ტროპონინდადებითი და ტროპონინუარყოფითი). მიოკარდიუმის ინფარქტის Q კბილის გარეშე განსხვავებით არასტაბილური სტენოკარდიისაგან, გარდა ტკივილის ფენომენისა და ST-T ინტერვალის მყარი ცვლილებებისა, ახასიათებს უჯრედოვანი ნეკროზისთვის დამახასიათებელი ფერმენტების (*CK MB* და ტრიპონინი) დონის მომატება და ბოლოს, Q-კბილოვანი მიოკარდიუმის ინფარქტისთვის დამახასიათებელია ტიპური იშემიური დისკომფორტი გულ-მკერდის არეში, ST სეგმენტის მყარი ელევაცია ან ახლად აღმოცენებული ჰისის კონის მარცხენა ფეხის სრული ბლოკადა, CK-MB –სა და ტროპონინის აქტივობის მომატება და ეკგ-ზე პათოლოგიური Q კბილის აღმოცენება.

არასტაბილური სტენოკარდიისა და არა Q-კბილოვანი მიოკარდიუმის ინფარქტის შემთხვევაში მძიმე გართულებების და სიკვდილიანობის სიხშირე ნაკლებია Q კბილოვან ინფარქტთან შედარებით. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჰოსპიტალიზაციიდან 6 თვის შემდეგ სიკვდილიანობის მაჩვენებლები არა Q-კბილოვანი ინფარქტის ჯგუფში უფრო მაღალი ხდება. ერთ-ერთი შესაძლო ვერსია ამ ფენომენისა არის ის, რომ დაავადების მომენტისათვის ინფარქტი არ იყო საბოლოოდ ჩამოყალიბებული.

სამივე პათოლოგიის ძირითადი გამომწვევი მექანიზმი ერთი და იგივეა. უხეშად რომ ვთქვათ, პირველ ეტაპზე კორონარული არტერიის შიგნითა კედელზე არსებული ათეროსკლეროზული ფოლაქის ზედაპირზე ჩნდება ნაპრალები, რასაც შემდგომში მოჰყვება მისი გასკდომა, თრომბოციტულ-ფიბრინოგენული თრომბის წარმოქმნა და ზრდა. ამის შედეგად ვითარდება კორონარული არტერიის ნაწილობრივი ან სრული დახშობა; კერძოდ, თუ თრომბი ნაწილობრივ ახშობს არტერიას, უხშირესად ვითარდება არასტაბილური სტენოკარდია და არა Q-კბილოვანი მიოკარდიუმის ინფარქტი; თუ დახშობა სრულია - ვითარდება Q-კბილოვანი და არა Q-კბილოვანი მიოკარდიუმის ინფარქტი.

აღსანიშნავია, რომ სწორედ პატარა, არასტაბილური ფოლაქები იწვევენ მწვავე კორონარული სინდრომების განვითარებას. რაც უფრო არასტაბილურია პატარა ფოლაქი, მით უფრო მეტია კორონარული სინდრომის განვითარების შანსი. პატარა ფოლაქების განსაკუთრებულ არასტაბილურობას და გასკდომისკენ მიდრეკილებას განაპირობებს ის, რომ მათ გააჩნიათ დიდი, ცხიმებით მდიდარი ბირთვი და თხელი ანთებისადმი მიდრეკილი ენდოთელური ზედაპირი.

მწვავე ტკივილის შემთხვევაში იმის გამო, რომ არსებითი მნიშვნელობა ენიჭება დროის ფაქტორს, სასურველია ეკგ მონაცემების, ტკივილის ხასიათისა და ლოკალიზაციის დადგენა 10 წუთში დასრულდეს. მკერდის არეში მწვავე ტკივილის შემთხვევაში პაციენტი უნდა სტაციონარში მოთავსდეს, სადაც მოხდება ანამნეზის

დეტალური შეკრება, ფიზიკური გასინჯვა, ეკგ გადაღება და სისხლის ანალიზის გაკეთება უკრედოვანი ნეკროზის დასადგენად.

ფიზიკალურ გამოკვლევას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება. ყველაზე ინფორმატიულია 12-განხრიანი ეკგ, რომელზეც ცვლილებების არარსებობა ნაკლებ სავარაუდოს ხდის მიოკარდიუმის იშემიას.

ინფარქტის კერაში გამოყოფენ სამ შესაძლო ზონას: იშემიის, დაზიანების და ნეკროზის. იშემიის ყველაზე სპეციფიური ნიშანია ST სეგმენტის დეპრესია T კბილის ინვერსიასთან ერთად ან მის გარეშე, რაც გამოწვეულია რეპოლარიზაციის პროცესის დარღვევით. დაზიანება იწვევს ST სეგმენტის ელევაციას R კბილის წავარდნასთან, ან მის გარეშე. ნეკროზული უბანი, როგორც ელექტრულად არააქტიური, ვლინდება Q კბილის სახით.

ფიზიკალური სტატუსის, კლინიკური ანამნეზის და ეკგ-ს გარდა, გამოკვლევის მნიშვნელოვანი ელემენტია სისხლის ბიოქიმიური მარკერების – ტროპონინ J, ტროპონინ T და CK MB-ს განსაზღვრა.

1996 წელს ჩატარებული GUSTO-Ia კვლევის მონაცემებით ტროპონინ T დონის 0,1 ნანოგრამ/მლ-ზე მეტად გაზრდა მიუთითებს ადრეული ინფარქტისა და სიკვდილის დიდ ალბათობაზე, მაშინაც კი, როდესაც არ აღინიშნება ST სეგმენტის ელევაცია და CK MB-ს დონის გაზრდა.

არასტაბილური სტენოკარდიის სიმპტომების მქონე პაციენტები მიოკარდიუმის ინფარქტისა და უეცარი სიკვდილის განვითარების რისკის მიხედვით შეიძლება ასე დავაჯგუფოთ:

დიდი რისკის ჯგუფს მიეკუთვნებიან პაციენტები, რომლებსაც აღენიშნებათ რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილი ნიშნიდან:

1. 20წთ-ზე მეტი ხანგრძლივობის ტკივილი მკერდის არეში.
2. ფილტვის შეშუპება.
3. პირველად აღმოცენებული ან პროგრესირებადი სტენოკარდია.
4. მოსვენების სტენოკარდია ST სეგმენტის 1 მმ-ზე მეტი ცვლილებით.
5. სტენოკარდია „Crescendo".
6. სტენოკარდია ჰიპოტენზიის ფონზე.

საშუალო რისკის ჯგუფის პაციენტებს არ აღენიშნებათ ზემოთ ჩამოთვლილი მდგომარეობები, მაგრამ აქვთ რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილთაგანი:

1. რეფრაქტერული მოსვენების სტენოკარდია.
2. 20წთ-ზე მეტი ხანგრძლივი მოსვენების სტენოკარდია, რომელიც იხსნება ნიტროგლიცერინით და მოსვენების მდგომარეობაში.
3. სტენოკარდია T კბილის დინამიური ცვლილებებით.
4. ღამის სტენოკარდია.
5. ბოლო ორი კვირის მანძილზე წარმოშობილი III ან IV კლასის სტენოკარდია (კანადის კლასიფიკაციით).
6. არასტაბილური სტენოკარდიის მქონე 65 წელზე მეტი ასაკის პაციენტები.

მცირე რისკის ჯგუფს მიეკუთვნება:

1. სტენოკარდიული შეტევების სიხშირის, სიმძიმის და ხანგრძლივობის გაზრდა.
2. სტენოკარდია მცირე ფიზიკური დატვირთვის დროს აღმოცენებული.
3. ბოლო 2-8 კვირაში აღმოცენებული სტენოკარდია.
4. ნორმალური ეკგ.

რისკის სტრატიფიკაციის მიხედვით განსაზღვრება, მკურნალობის ტაქტიკა – დიდი და საშუალო რისკის პაციენტები დაუყოვნებლივ საჭიროებენ

ჰოსპიტალიზაციას მედიკამენტოზური მკურნალობის, კორონაროანგიოგრაფიის, ანგიოპლასტიკის ან კორონარული შუნტირების ჩასატარებლად. მცირე რისკის პაციენტები კი შესაძლებელია ამბულატორიულ მეთვალყურეობაზე იყვნენ 72 სთ-ის განმავლობაში. მკურნალობა ითვალისწინებს ასპირინის, ან ასპირინის აუტანლობის შემთხვევაში ტიკლოპიდინის ან კლოპიდოგრელის, აგრეთვე β-ბლოკერების და ხანგრძლივებული მოქმედების ნიტრატების რომელიმე ტაბლეტირებული ფორმის გამოყენებას.

სტაციონარული პაციენტებისათვის პირველი რიგის პრეპარატებია β-ბლოკერები, ნიტრატები, ასპირინი, IIb/IIIa რეცეპტორების ინჰიბიტორები და ჰეპარინი. მათ შორის არჩევანის გაკეთება, დოზის შერჩევა სიმპტომების სიმძიმისა და ჰემოდინამიკური მაჩვენებლებით განისაზღვრება ინდივიდუალურად. მოკლედ მოგახსენებთ ამ ჯგუფის პრეპარატების ჩვენებების და უკუჩვენებების შესახებ.

β-ბლოკერები კვლავ რჩებიან მწვავე კორონარული სინდრომების მკურნალობის საფუძვლად. უკუჩვენებების არარსებობის შემთხვევაში ისინი ყველა პაციენტს უნდა დაენიშნოს, რადგანაც ამცირებენ იშემიის სიხშირესა და ხანგრძლივობას, რეფრაქტერული სტენოკარდიის განვითარებას, მიოკარდიუმის ინფარქტით გამოწვეულ სიკვდილიანობას. უკუჩვენებებია: მწვავე ბრონქოსპაზმი, ობსტრუქციული პულმონური პათოლოგია ან ბრონქული ასთმა, გამოხატული ბრადიკარდია,მნიშვნელოვანი ჰიპოტონია (სისტოლური არტერიული წნევა < 90 mm.Hg) და გულის გამოხატული უკმარისობა.

β-ბლოკერებთან ერთად (ან დამოუკიდებლად) ხშირ შემთხვევაში ნაჩვენებია ნიტრატების გამოყენება. ეს პრეპარატებიც ამცირებენ იშემიის სიხშირესა და ხანგრძლივობას, რეფრაქტერული სტენოკარდიის განვითარებას, მაგრამ განსხვავებით β-ბლოკერებისაგან, არ იწვევენ მიოკარდიუმის ინფარქტისა და სიკვდილიანობის შემთხვევათა სარწმუნო შემცირებას.

Ca ანტაგონისტები (ვერაპამილი და დილტიაზემი) არ წარმოადგენენ პირველი რიგის პრეპარატებს. მათი გამოყენება, როგორც გულის რიტმის გამაიშვიათებელი, ხდება მხოლოდ β-ბლოკერების მიმართ უკუჩვენების შემთხვევაში.

ანტიაგრეგანტული და ანტითრომბული თერაპია იწყება ასპირინით. იგი თრომბოციტების აგრეგაციის ძლიერი ინჰიბიტორია, ამცირებს ფატალური და არაფატალური ინფარქტების განვითარებას მწვავე ფაზაში -71%-ით, 3 თვეში – 60%, 2 წელიწადში –52%-ით. ის ასევე აქვეითებს ადრეულ და გვიან სიკვდილიანობას.

ანტიაგრეგანტული მოქმედების მნიშვნელოვანი ჯგუფია გლიკოპროტეინ IIb/IIIa რეცეპტორების ინჰიბიტორები, რომლებიც თრომბოციტების აგრეგაციის საბოლოო საფეხურის ბლოკირებას ახდენენ. მათ შორის არიან აპციკსიმაბი და ტიროფიბანი.

ჰეპარინი გამოიყენება კანქვეშა ფრაქციონირებული დაბალმოლეკულური ფორმით. TIMI 11B და ESSENCE კვლევების მეტაანალიზმა უჩვენა დაბალ-მოლეკულური ჰეპარინის – ენოქსიპარინის - ეფექტურობა არაფრაქციონირებულ ჰეპარინთან შედარებით.

თუ შევაჯამებთ ზემოთქმულს, არასტაბილური სტენოკარდიით შეპყრობილ ყველა დიდი და საშუალო რისკის მქონე ავადმყოფს უნდა დაენიშნოს: ასპირინი, ჰეპარინი, β-ბლოკერები და ნიტრატები. დამხმარე საშუალებებად შესაძლებელია გამოვიყენოთ Ca ანტაგონისტები.

მიოკარდიუმის ინფარქტის ძალიან დიდი რისკის ან მედიკამენტოზური თერაპიის მიმართ რეზისტენტული პაციენტებისათვის ნაჩვენებია კორონაროან-

გიოგრაფია. დიდი რისკის პაციენტებისათვის სასურველია IIb/IIIa ინჰიბიტორების გამოყენება. ინტენსიური თერაპიის კურსის შემდეგ ავადმყოფებს ენიშნებათ ხომიერი მედიკამენტოზური თერაპია.

სტაბილურ პაციენტებში საჭიროა არაინვაზიური ტესტების ჩატარება, რათა დადგინდეს კარდიალური კათეტერიზაციის და მიოკარდიუმის რევასკულარიზაციის საჭიროება. არაინვაზიურ ტესტებს განეკუთვნებიან: მოსვენებითი ეკგ, მუდმივი ტელემეტრია, დატვირთვის (სტრეს) ტესტი, მიოკარდიუმის პერფუზიის განსაზღვრა. მოსვენების მდგომარეობაში გადაღებულ ეკგ-ზე ST სეგმენტის დეპრესია, განსაკუთრებით თუ იგი თან ერთვის სტენოკარდიულ ტკივილს, ცუდი პროგნოზული ნიშანია. ძალიან მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა დატვირთვის ტესტებიც – ნუკლეარული სტრეს-ტესტი,სტრეს-ტესტი დიპირიდამოლით, ნუკლეარული სტრეს-ტესტი დობუტამინით, სტრეს-ექოკარდიოგრაფია და დობუტამინით სტრეს-ექოკარდიოგრაფია. მათ შორის არჩევანი უნდა გაკეთდეს მოსვენების ეკგ მონაცემებით და პაციენტის ფიზიკური შესაძლებლობებით, ასევე გამოკვლევის ხელმისაწვდომობითა და მისი შესრულების დონით.

მწვავე კორონარული სინდრომების მქონე პაციენტებში ინვაზიური მეთოდების გამოყენების ძირითადი მიზანია, განისაზღვროს დაავადების პროგნოზი და შემდგომი თერაპიის კურსი. ინვაზიურ თერაპიაში ანსხვავებენ ორ მიდგომას: 1. ადრეული ინვაზიური – პირველ 48 საათში ყველა პაციენტს უტარდება კორონარული კათეტერიზაცია; 2. ადრეული კონსერვატული კათეტერიზაცია უტარდებათ მხოლოდ მედიკამენტოზური თერაპიის მიმართ რეფრაქტერული დიდი რისკის მქონე პაციენტებს.

მწვავე Q-კბილოვანი მიოკარდიუმის ინფარქტის მკურნალობის თანამედროვე ტაქტიკა მიოკარდიუმის უსწრაფესი რეპერფუზიაა, რაც შეიძლება განხორციელდეს პირველადი ანგიოპლასტიკით ან თრომბოლიზური თერაპიით. რაც უფრო სწრაფია რეპერფუზია, მით უკეთესია გამოსავალი. ნაადრევად დაწყებული თრომბოლიზური თერაპია მნიშვნელოვნად აქვეითებს სიკვდილიანობას. ის სასარგებლოა ყველა მიოკარდიუმის ინფარქტის მქონე პაცინტისათვის განურჩეველად სქესისა, ასაკისა და თანმხლები დაავადებისა. ამ თერაპიის მთავარი ნაკლია ინსულტების სიხშირის მცირედ ზრდა. თრომბოლიზური თერაპიის უკუჩვენებებია: სისხლდენა, უკანასკნელ პერიოდში ჩატარებული დიდი ქირურგიული ოპერაცია, უკანასკნელი ორი თვის მანძილზე გადატანილი ინსულტი, გამოხატული ჰემორაგიული დიათეზი, მკვეთრი ჰიპოტენზია.

თრომბოლიზური თერაპიის არაეფექტურობის შემთხვევაში ალტერნატიულ საშუალებას ანგიოპლასტიკა წარმოადგენს. მაგრამ ამის გაკეთება შესაძლებელია მხოლოდ დიდ და კარგად აღჭურვილ ცენტრებში, სადაც არიან გამოცდილი სპეციალისტები.

რეპერფუზიისა და თრომბოლიზური თერაპიის გარდა, მიოკარდიუმის ინფარქტის დროს გამოიყენება ასპირინი, ჰეპარინი, β-ბლოკერები, ნიტრატები, ACE ინჰიბიტორები. ნაკლებად ეფექტურია Ca ანტაგონისტების გამოყენება, რადგანაც არის ლიტერატურული მონაცემები,რომ ისინი გარკვეულწილად ზრდიან სიკვდილიანობას. მიოკარდიუმის ინფარქტის სამკურნალოდ გამოიყენება აგრეთვე მორფინიც, როგორც ტკივილის ინტენსივობის, აგზნებადობის და სიმპათიკური ეფერენტული სტიმულაციის დამაქვეითებელი. იგი ასევე იწვევს ვენურ და არტერიულ დილატაციას, მოცირკულირე კატექოლამინების დონის დაქვეითებას.

შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს გართულებებს, მაგალითად, კარდიოგენული შოკი, გულის უკმარისობა, მარცხენა პარკუჭის მწვავე დისკინეზია, რიტმის დარღვევა, რომლებიც საჭიროებენ სპეციფიკურ მკურნალობას.

მიოკარდიუმის ინფარქტის ფონზე განვითარებული არითმიების სამკურნალოდ არჩევის პრეპარატად ლიდოკაინი რჩება. პროკაინამიდი, ბრეტილიუმი და ამიოდარონი სარეზერვო პრეპარატებია. უსიმპტომო სინუსური ბრადიკარდიის, პარკუჭოვანი ასისტოლიის და სიმპტომური AV ბლოკადების სამკურნალოდ გამოიყენება ინტრავენური ატროპინი, ხოლო მის მიმართ რეზისტენტულ შემთხვევაში – ელექტროკარდიოსტიმულაცია.

მიოკარდიუმის ინფარქტის პროგნოზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორია მარცხენა პარკუჭის განდევნის ფრაქცია, დაზიანებული კორონარული არტერიების რაოდენობა, სპონტანური ან ინდუცირებადი იშემიის არსებობა, პარკუჭოვანი ექტოპიის არსებობა და მისი ხარისხი. მეორე რისკის პაციენტებისათვის მდგომარეობის შეფასების საშუალებაა ფიზიკური დატვირთვის ტესტი. მოსვენების ეკგ-ზე ცვლილებების შემთხვევაში რეკომენდებულია ნუკლეარული ან ექო-სტრეს-ტესტი. დიდი რისკის პაციენტები კი იგზავნებიან კათეტერიზაციაზე.

აშშ-ში გულ-სისხლძარღვთა დაავადებით ყოველწლიურად იღუპება 1 მლნ-მდე ადამიანი, რაც საერთო სიკვდილიანობის 42%-ს შეადგენს. მიუხედავად იმისა, რომ მოყოლებული 70-იანი წლებიდან, კორონარული დაავადებით გამოწვეული სიკვდილიანობა მნიშვნელოვნად შემცირდა, მაინც ყოველწლიურად ამ პათოლოგიით იღუპება ნახევარი მილიონი ადამიანი. დაავადების და სიკვდილიანობის შემცირების ერთ-ერთი შესაძლებლობა ადრეული პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარებაა, მიმართული გულის იშემიური დაავადების რისკ-ფაქტორების წინააღმდეგ. ამჟამად ცნობილია 100-მდე რისკ-ფაქტორი, მაგრამ მათგან ძირითადია: არტერიული ჰიპერტენზია, ჰიპერქოლესტერინემია, ჭარბი წონა, თამბაქოს წევა, დაბალი ფიზიკური აქტივობა, შაქრიანი დიაბეტი. არსებობს პირველადი პროფილაქტიკა, როდესაც გულის კორონარული დაავადების მქონე პაციენტებში არსებული რისკ-ფაქტორების კორექციამ შეიძლება გამოიწვიოს ამ დაავადებების მოსალოდნელი გართულებების თავიდან აცილება, დაავადების გამწვავების სიხშირის შემცირება და სხვ.

მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი:

დაახლოებით 50 მლნ ადამიანი ამერიკაში დაავადებულია არტერიული ჰიპერტენზიით,რომლის კრიტერიუმებია სისტოლური არტერიული წნევა >140-ზე და დიასტოლური >90მმ.ვწყ. მათგან ნახევარი არ მკურნალობს, მეოთხედს არა აქვს გაცნობიერებული თავისი დაავადება და მხოლოდ მეოთხედი მკურნალობს ადეკვატურად. მრავალმა ეპიდემიოლოგიურმა კვლევამ დაადასტურა, რომ, რაც უფრო მაღალია არტერიული წნევის (როგორც სისტოლური, ასევე დიასტოლური) ციფრები, მით მეტია კორონარული დაავადების განვითარების რისკი. ინსულტების 70%-ში სწორედ არტერიული ჰიპერტენზია წარმოადგენს რისკ-ფაქტორს. SHEP და Syst-Eur კვლევებში დადგინდა, რომ სისტოლური წნევის შემცირება მნიშვნელოვნად აქვეითებს ინსულტების და ლეტალური გამოსავლით მიოკარდიუმის ინფარქტების რიცხვს.

ამჟამად აშშ-ში 59 მლნ-ზე მეტი მწეველია. რიგი კვლევების შედეგად დადგენილია, რომ აშშ-ში კორონარული დაავადებით სიკვდილიანობის 30% გარკვეულად დაკავშირებულია თამბაქოს წევასთან; ამასთან, ლეტალური გამოსავლის

რისკი მატულობს მოწეული თამბაქოს რაოდენობასთან ერთად. მოწევა იწვევს სასუნთქი სისტემის დაავადებებს და კერძოდ ფილტვის კიბოს, დაახლოებით აორმაგებს იშემიური ინსულტის განვითარების რისკს.

შაქრიანი დიაბეტი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რისკ-ფაქტორია. აღსანიშნავია, რომ ამერიკაში მყოფი 18 მლნ დიაბეტით დაავადებულთაგან ერთ მეოთხედს მწვავე კორონარული სინდრომები აღენიშნებათ, რაც განპირობებულია იმით, რომ დიაბეტი იწვევს სისხლძარღვების დაზიანებას; დიაბეტით დაავადებულთა 80% იღუპება ათეროსკლეროზით, 3/4 – კორონარული ათეროსკლეროზით და 3/4– ცერებრული და პერიფერიული სისხლძარღვების ათეროსკლეროზით. 4S-ის მეორადი პროფილაქტიკის პროგრამაში სიკვდილიანობის საერთო მაჩვენებელი დიაბეტიან პაციენტებში იყო 43%, მაშინ როდესაც არადიაბეტიან ავადმყოფებში – 29%.

მნიშვნელოვანი რისკ-ფაქტორია სიმსუქნეც, განსაკუთრებით ამერიკისთვის, რადგან ამჟამად იქ სიმსუქნის ეპიდემიაა; დაახლოებით 54%-ს აქვს ჭარბი წონა. აღსანიშნავია, რომ წონაში მცირედი დაკლებაც კი ამცირებს არტერიულ წნევას, აუმჯობესებს ლიპიდურ ცვლას და შაქრის ბალანსს. ყოველივე ეს საბოლოოდ იწვევს კორონარული დაავადების განვითარების რისკის შემცირებას.

მსოფლიო ლიტერატურაში სადღეისოდ არსებობს უამრავი მონაცემი იმის შესახებ,რომ ჰიპერლიპიდემიასა და კორონარულ დაავადებათა სიხშირეს შორის არსებობს პირდაპირი კავშირი. მაგალითად, კორონარული დაავადების მქონე მამაკაცების სისხლში დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეიდების (დსლპ) რაოდენობა თუ აღემატება 160მგ-ს,მათ ლეტალური გამოსავლის რისკი 25-ჯერ მეტი აქვთ იმ მამაკაცებთან შედარებით, რომელთაც არა აქვთ კორონარული დაავადება და დსლპ აქვთ ნორმის (130მგ-ზე ნაკლები) ფარგლებში.

მედიკამენტოზური თერაპიის, კერძოდ სტატინების გამოყენებამ შესაძლებლობა მოგვცა ხშირ შემთხვევაში ლიპიდების ნორმალიზაციის ან მათი დონის მნიშვნელოვნად შემცირებისათვის მიგვეღწია. დსლპ-ს დონის დაქვეითება იწვევს ლაბილური ფოლაქის სტაბილიზაციას, ენდოთელიუმის დისფუნქციის კორექციას და მწვავე კორონარულ შემთხვევათა რიცხვის შემცირებას. არანაკლებ ყურადღებას იპყრობს მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეიდებიც,მაგრამ მათზე ზემოქმედება, მათი დონის მომატება საკმაოდ რთულია. საერთოდ, ყურადღებას და კონტროლს საჭიროებს ლიპიდური ცვლის ყველა კომპონენტი.

ამგვარად, პრევენტული მედიცინა აუცილებელი შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს ყველა ექიმის, განსაკუთრებით კარდიოლოგების საქმიანობაში.

ამ ლექციის შემდეგ გაიმართა დისკუსია, რაშიც ქართველმა ექიმებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს. დასმული იყო ძალიან საინტერესო შეკითხვები, გამოითქვა გარკვეული მოსაზრებები. მაგრამ ერთი იყო ყველასთვის ცხადი, რომ ამგვარი სემინარების ჩატარება უდავოდ ძალიან დიდი სარგებლობის მომტანია ჩვენი სამედიცინო საზოგადოებისთვის.

ასეთი იყო I სემინარის პირველი დღის თემატიკა. მეორე და მესამე დღე კარდიოქირურგიულ პროფილს დაეთმო. ეს ნაწილი მოგვიანებით შეიძლება იყოს განხილული.

**აკაკი ბაქრაძე**
*თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის*
*მეანობა-გინეკოლოგიის კათედრის დოცენტი*

# ოლივერ ვენდელ ჰოლმსი ანტისეპტიკის სათავეებთან

მელოგინეთა სეფსისი, როგორც უწოდებდნენ მელოგინეთა ცხელება ან ხურევება, თამამად შეიძლება ითქვას კაცობრიობის N1 მტერი იყო. მაგალითად, პრუსიაში 60 წლის მანძილზე ამ დაავადებით გარდაიცვალა 363624 ქალი, ანუ იმაზე მეტი, რაც ამ პერიოდში დაიღუპა ყვავილისა და ქოლერისაგან ერთად აღებული. მშობიარობის შემდგომი ინფექციის გამომწვევად მისტიკური მიაზმები ითვლებოდა, რომლებიც დამდგარ წყალსა და ღამის ჰაერში იქმნებოდა. მედიცინას საუკუნეები დასჭირდა სეფსისის წინააღმდეგ ბრძოლის სწორი გზის ასარჩევად. ამ დროს, როგორც წესი, იგნაც ზემელვეისს (1818-1865) ახსენებენ, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ამერიკელმა ექიმმა ოლივერ ვენდელ ჰოლმსმა ზემელვეისამდე 4 წლით ადრე, 1843 წელს გამოაქვეყნა სტატია „ლოგინობის ცხელების კონტაგიოზურობა", სადაც პირველად გაცხადდა პუერპერალურ ინფექციასთან ბრძოლის პრაქტიკული ნაბიჯები.

ოლივერ ვენდელ ჰოლმსი დაიბადა 1809 წლის 29 აგვისტოს მასაჩუსეტსის შტატის ქ. კემბრიჯში, პასტორის ოჯახში. ჰარვარდის სამედიცინო სკოლის დამთავრების შემდეგ ჰოლმსმა სწავლა პარიზში განაგრძო, სადაც მისი მასწავლებლები იყვნენ ცნობილი ფრანგი ექიმები პიერ ლუი, ლარეი, ლისფრანკი, რუ, ველპო. 1835 წელს იგი შეერთებულ შტატებში ბრუნდება და სწრაფად წერს დისერტაციას მწვავე პერიკარდიტზე. უნდა აღინიშნოს, რომ ჰოლმსის ჰობი პოეზია იყო, თუმცა ამას ჰობი პირობითად შეიძლება ეწოდოს, რადგანაც საფრანგეთში გამგზავრებამდე იგი უკვე ცნობილი პოეტი იყო. დღესაც ამერიკაში პოეტად და ესსეისტად უფრო იცნობენ, ვიდრე ექიმად. მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა 13 ტომს ითვლის და მის შემოქმედებას მრავალი გამოკვლევა მიეძღვნა. ჰოლმსი ბოსტონში დისპანსერის ექიმად იწყებს მუშაობას და პარალელურად კოლეჯში ანატომიის, ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის კურსს ხელმძღვანელობს. იგი შტატებში მიკროსკოპიის პირველი მასწავლებელი იყო. ჰოლმსმა მალე მოიპოვა მცოდნე და პრინციპული ექიმის სახელი. დისპანსერში მუშაობისას მან უკვე იცოდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ნორმალურ ჰიგიენურ პირობებს. იმ დროს ჰოლმსი წერდა: „წამლობა, სათანადო ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფის გარეშე იგივეა რაც ამპუტაციის გაკეთება ლიგატურების გარეშე". 1836 წ. ჰოლმსი Boston Society for medical Improvement-ის წევრი ხდება. ეს სამედიცინო საზოგადოება ყოველ მეორე ორშაბათს იკრიბებოდა მოხსენებების მოსასმენად და სადისკუსიოდ. რამდენიმე წლის შემდეგ სწორედ აქ გაიმართება შეერთებულ შტატებში მშობიარობის შემდგომ ინფექციებთან ბრძოლის ძირითადი ბატალიები. 1842 წლიდან ჰოლმსი დაინტერესდა ლოგინობის ხანის ინფექციით, მას შემდეგ რაც ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა უოლტერ ჩენინგმა 1842 წლის 28 ივნისს გააკეთა მოხსენება მშობიარობის შემდგომი სეფსისით 13 ლეტალური შემთხვევის შესახებ. იმავე წლის ოქტომბერში ექიმი ჯონ ფიშერი აცნობს სამედიცინო საზოგადოებას

ექიმისა და სტუდენტის დასნებოვნების შესახებ, მას შემდეგ რაც მათ მიიღეს ჭრილობები სეფსისით გარდაცვლილი მელოგინის გაკვეთისას. ექიმი გადარჩა, ხოლო სტუდენტი დაიღუპა. ნოემბერში ჩენინგი კვლავ ახსენებს ახალი სასიკვდილო სერიების შესახებ. ამავდროულად, ფილადელფიის სამედიცინო კოლეჯში ანალოგიურ მოხსენებას კითხულობს ექიმი ფრენსის კონდი, რომელმაც მოიყვანა მაგალითი ერთი ფილადელფიელი ექიმის პრაქტიკიდან და გამოთქვა მოსაზრება, რომ ამ შემთხვევაში მელოგინე ქალების სიკვდილის მიზეზი იყო ინფექცია, რომელიც კონტაქტის მეშვეობით გადაიცემოდა და ეს სრულებით „ჯდებოდა" 50 წლის წინ ინგლისელი მეანების მიერ შექმნილ მელოგინეთა სეფსისის „კონტაგიოზურ" თეორიაში. დისკუსიაში ჩაება ჯეფერსონის სამედიცინო კოლეჯის პროფესორი ჩარლზ მეიჯი, რომელმაც აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში ინფექციის აფეთქება კანონზომიერი იყო, რადგანაც ექიმს მეტად „ჭრელი" კლიენტურა ჰყავდა. ჰოლმსი არ დააკმაყოფილა მეიჯის განმარტებამ და იგი იწყებს მეანებისაგან დაავადებაზე ვრცელი ინფორმაციის შეგროვებას. ინფორმაციის ანალიზის შემდეგ იგი იზიარებდა დაავადების ე.წ. „კონტაგიებით" გამოწვევის აზრს, ოღონდ ამ სნეულების მიზეზად ექიმებს, ბებიაქალებსა და სხვა სამედიცინო პერსონალს თვლიდა. 1843 წლის 13 თებერვალს იგი ბოსტონის სამედიცინო საზოგადოების სხდომაზე მოხსენებით წარსდგა,რომლის ოქმში ჩაიწერა,რომ „ექიმმა ჰოლმსმა მოახსენა ლოგინობის ხანის ცხელების გავრცელების გზების შესახებ". ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის დევიდ ჰემფრი სტორერის წინადადებით მოხსენება საზოგადოების „შრომებში" გამოქვეყნდა. ჰოლმსმა პუერპერალურ ინფექციასთან ბრძოლის შემდეგი პრინციპები მოგვაწოდა:

1. ექიმი, რომელიც სინჯავს მელოგინეებს, უფლება არ აქვს მონაწილეობა მიიღოს ლოგინობის ხანის ცხელებით გარდაცვლილთა გაკვეთაში. ექიმი თუ ესწრებოდა ასეთ გაკვეთას, ამის შემდეგ უნდა დაიბანოს, გამოიცვალოს თეთრეული, ტანისამოსი და უახლოესი 24 სთ-ის განმავლობაში უფლება არ აქვს მელოგინეთა განყოფილებაში შესვლის.
2. უსაფრთხოების ამგვარი ზომების მიღებაა საჭირო იმ შემთხვევაშიც, თუ ექიმი წითელი ქარით დაავადებულის ოპერაციაში მიიღებს მონაწილეობას.
3. იმ შემთხვევაში,თუ ექიმს საქმე ექნება ლოგინობის ხანის ცხელებასთან, ვალდებულია ყველა ღონე იხმაროს, რათა სენი სხვა მშობიარესა თუ მელოგინეს არ გადაედოს.
4. თუ ერთი და იმავე ექიმის პრაქტიკაში მელოგინეთა ცხელების ორ შემთხვევას ექნება ადგილი, ეს ექიმი ერთი თვით სამეანო პრაქტიკას უნდა ჩამოშორდეს.
5. თუ ერთი და იმავე ექიმის პრაქტიკაში მელოგინეთა ცხელების სამ შემთხვევას ექნება ადგილი, ეს წინასწარ მიგვანიშნებს იმაზე, რომ თვად ექიმი არის დაავადების გამავრცელებელი.
6. ექიმის ვალია, ყველა ღონე იხმაროს, რათა მელოგინეთა ცხელება არ შემოიტანოს ბებიაქალმა ან სხვა დამხმარე პერსონალმა.
7. აქამდე,როდესაც წყნარად ლაპარაკობდნენ მიზეზზე,რომელმაც მრავალი ქალის სიკვდილი გამოიწვია, უკვე დადგა დრო, ექიმის პრაქტიკაში მომხდარი ლოგინობის ხანის ცხელება განვიხილოთ არა როგორც უბედურება, არამედ დანაშაული კაცობრიობის წინაშე. ყოველი პრაქტიკოსი ექიმის ვალია, არ დაუშვას მელოგინეთა ცხელება.

სტატია, „ლოგინობის ცხელების კონტაგიოზურობა", იმავე წელს გადაიბეჭდა ჟურნალ „American journal of medical sciences"-ში, რომელიც ვრცელდებოდა ამერიკასა და დიდ ბრიტანეთში. ჰოლმსის ნაშრომს სამედიცინო წრეებში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. იყვნენ მოწინააღმდეგენიც, იმ დროისათვის შეერთებულ შტატებში ყველაზე ავტორიტეტული მეანები – ჰიუ ლენოქს ჰოჯი და ჩარლზ მეიჯი. ლოგინობის ხანის ცხელებით სიკვდილიანობას „ბედის განგებით" ხსნიდნენ. ჰოლმსი თავის სისწორეში დარწმუნებული, მშვიდად პასუხობდა ოპონენტებს. მე-19 საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს ჰოლმსის თვალსაზრისი იმარჯვებს და მას ყოფილი მოწინააღმდეგენიც სრულ ტრიუმფს ულოცავენ. შემდგომში ჰოლმსი მრავალმხრივ მოღვაწეობას განაგრძობდა. სამედიცინო და სამწერლო ასპარეზის გარდა, იგი საზოგადოებრივი საქმიანობითაც იყო დაკავებული: ქალთა ემანსიპაცია, შავკანიანთა უფლებების დაცვა, ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება, ბავშვთა შრომის აკრძალვა და მრავალი სხვა. სიცოცხლის ბოლოს იგი მარტო პოეზიით იყო დაკავებული. საინტერესოა ჰოლმსის როლი სამედიცინო ტერმინოლოგიის განვითარებაში. 1846 წლის 16 ოქტომბერს უილიამ მორტონმა ეთერის ნარკოზის პირველი საჯარო დემონსტრირება მოახდინა. დასაწყისში ამ მოვლენას ეთერიზაციას უწოდებდნენ, ხოლო მისმა მეგობარმა კოლეგებმა – ოლივერ ვენდელ ჰოლმსმა, ოგიუსტ ედისონ გოულდმა და ჰენრი ჯეკობ ბიგელოუმ ლეთეონად (ლეთე – დავიწყების მდინარე ქვესკნელში) მონათლეს. შემდგომში ჰოლმსი არ დააკმაყოფილა სახელწოდებამ და 1846 წლის 21 ნოემბერს მას ახალი ტერმინი შემოაქვს – ანესთეზია. ანესთეზია მსოფლიოში აღიარებული ტერმინია, თუმცა ბევრმა არ იცის ავტორის ვინაობის შესახებ.

1886 წელს 77 წლის მეცნიერი ინგლისს ეწვია, სადაც მას მეფური მიღება მოუწყვეს. იგი გარდაიცვალა 1894 წლის 7 ოქტომბერს 85 წლის ასაკში.

რით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ მშობიარობის შემდგომი ინფექციის წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიაში ჰოლმსი ზემელვეისის ჩრდილის ქვეშ მოექცა და მას პრაქტიკულად არ ახსენებენ? ვფიქრობ, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამ ორი პიროვნების დიამეტრალურად განსხვავებულმა ცხოვრების გზამ. ოლივერ ვენდელ ჰოლმსს, ამერიკული ოცნების სტანდარტი შეგვიძლია მივუსადაგოთ და იგნაც ფილიპ ზემელვეისს – შექსპირის ტრაგედიების დარი გმირი. ჰოლმსს, ზემელვეისისგან განსხვავებით, ოპონენტებთან მიმართებაში გაუმართლა.

ჰოლმსისგან განსხვავებით, რომლის პოლემიკა ოპონენტებთან ცივილიზებულ ჩარჩოებში იყო მოქცეული, ზემელვეისს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ჰქონდა ევროპის ბევრ ცნობილ მეცნიერთან. ჰოლმსი თავის წერილებში, მართალია უკომპრომისო იყო, მაგრამ წონასწორობას არ ჰკარგავდა, რასაც, რბილად რომ ვთქვათ, ვერ ვიტყვით ზემელვეისზე. ჰოლმსი: „ლაპარაკია ძალზე სერიოზულ და მნიშვნელოვან საგანზე, რათა მე დავეთანხმდე, დავემორჩილო არსებულ კონტრარგუმენტებს ან პირიქით, გავბედო ჩემს პოზიციებზე ვიდგე მხოლოდ პატივმოყვარეობიდან გამომდინარე... მე ხაზს ვუსვამ, რომ პირადი ინტერესები მოცემულ შემთხვევაში არავითარ როლს არ თამაშობენ".

ზემელვეისი: „823 ბებიაქალი, რომელმაც ჩემი ხელმძღვანელობით დაამთავრეს სასწავლებელი, დასცინებდნენ ვირხოვს, თუ ის ისეთ ლექციას წაუკითხავდა ლოგინობის ხანის ცხელებაზე, როგორიც მან გაბედა წაეკითხა ბერლინის სამეანო საზოგადოებაში". ან კიდევ: „ეს არის იმის მტკიცება, თუ რა ცოტა იცით იმ საგნის შესახებ, რაზედაც წერთ."

ჰოლმსის ოპონენტებს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პიროვნული ღირსებებიდან გამომდინარე, ჰქონდათ გამბედაობა, ეღიარებინათ თავისი შეცდომები, ხოლო ზემელვეისის მოწინააღმდეგენი, მართალია, პრაქტიკაში უკვე იყენებდნენ მის მიერ მოწოდებულ ანტისეპტიკურ მეთოდებს, მაგრამ ამ ფაქტს არ აფიშირებდნენ და ყველა მანქანებით ეწინააღმდეგებოდნენ და შეურაცხყოფას აყენებდნენ, რამაც საბოლოო ჯამში დამღუპველად იმოქმედა ზემელვეისზე, იგი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოხვდა და მოკლე ხანში, 47 წლის ასაკში გარდაიცვალა... სეფსისით. ჰოლმსმა კი დიდ პატივში იცხოვრა 85 წლამდე. იგი მშვიდად გარდაიცვალა. „უბრალოდ სუნთქვა შეწყვიტა", თქვა მისმა შვილმა – ოლივერ ვენდელ ჰოლმსმა უმცროსმა – ერთ-ერთმა გამოჩენილმა იურისტმა შეერთებული შტატების ისტორიაში.

დასასრულს, რეალობა ასეთია, მშობიარობის შემდგომი ინფექციის წინააღმდეგ ბრძოლის მწყობრი სისტემა ზემელვეისამდე ოთხი წლით ადრე მოგვაწოდა ოლივერ ვენდელ ჰოლმსმა. ამრიგად, ანტისეპტიკის განვითარების ისტორიის მიმოხილვისას ზემელვეისის, პასტერის, ლისტერის გვერდით აუცილებელია მედიცინის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე კოლორიტული პიროვნების – ოლივერ ვენდელ ჰოლმსის მოხსენიება.

გამოყენებული ლიტერატურა:


1. Oliver Wendell Holmes, Biographical Sketch, By Horace E. Scudder www.eldritchpress.org/owh/owhhes.html
2. Patrick P. Sim Anesthesiology, Anesthesiologist, Anesthetics and Anesthetist: The Emerging Professionalism of a Medical Specialty http://www.asahq.org/Newsletters/2000/09_00/anesthesiologyAn0900.htm
3. აკაკი ბაქრაძე. საქესრო კვეთა. თბილისი, 2001.
4. Франтишек Пахнер. За жизнь матерей. М., 1963

**არსენ გვენეტაძე**
*ი.ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის ს/კ ინსტიტუტის რეპროდუქციული ქირურგიული განყოფილების ხელმძღვანელი,*
*თსუ მეანობა-გინეკოლოგიის დოცენტი*

# აშშ-სა და საქართველოს თანამშრომლობა ოჯახის დაგეგმვის თანამედროვე მეთოდების მსოფლიოში დასანერგად და გასავრცელებლად

სტატიაში გაშუქებულია აშშ-ის საერთაშორისო ორგანიზაციის AVSC International-ისა და ი. ჟორდანიას სახელობის სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლობა ოჯახის დაგეგმვის თანამედროვე მეთოდების დასანერგად და გასავრცელებლად მსოფლიოს 8 ქვეყანაში.

თანამშრომლობას საფუძველი ჩაეყარა 90-იანი წლების დასაწყისში, ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის პროფესორ არჩილ ხომასურიძის პირადი კონტაქტებისა და ინიციატივის საფუძველზე. ყველას კარგად გვახსოვს რაოდენ მძიმე წლები გადაიტანა საქართველომ 1991-1992 წლებში და მიუხედავად ამ რთული პერიოდისა, აშშ-ის ერთ-ერთმა ცნობილმა და წარმატებულმა საერთაშორისო ორგანიზაციამ AVSC International -მა გადაწყვიტა დაეწყო თანამშრომლობა ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტთან და 1992 წლის ზაფხულში მოაწყო პირველი საერთაშორისო სემინარი საქართველოში, არა თბილისში, არამედ პერიფერიაზე – წყალტუბოში. სემინარი მიეძღვნა ქალის ლაპარასკოპიული კონტრაცეფციის მეთოდს და მის ფარგლებში ჩატარდა რამდენიმე ათეული ოპერაცია, ქალის ქირურგიული სტერილიზაცია ქ. ქუთაისის მუნიციპალურ სამეანო-გინეკოლოგიურ კლინიკაში. ამისთვის ამერიკელების მიერ ჩამოტანილი იყო თანამედროვე ლაპარასკოპიული ტელე-ვიდეო აპარატურა, რომლის ანალოგი იმ პერიოდში საქართველოში არ მოიპოვებოდა. მოწვეული იყო პროფესორი ჯონ ფიშბორნი, რომელმაც ჩვენთან ერთად ჩაატარა აღნიშნული ოპერაციები. ეს იყო პირველი ლაპარასკოპიული სტერილიზაცია ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ დაიშალა და ფაქტობრივად იმ წლებში ჯერ კიდევ განაგრძობდა არსებობას.

### *ცოტა რამ ქალის ქირურგიული კონტრაცეფციის ისტორიიდან*

ქირურგიული კონტრაცეფცია დღეისათვის ყველაზე პოპულარული და ფართოდ გავრცელებული მეთოდია ოჯახის დაგეგმვის სხვა მეთოდებს შორის მთელ მსოფლიოში. ქალთა ქირურგიული კონტრაცეფციის პირველი ფაქტები აღწერილია XIX საუკუნის დასაწყისში, მისი ფართოდ დანერგვა კი მოხდა 1930 წლიდან Pomeroy-ს მიერ სპეციალური მეთოდის მოწოდების შემდეგ. თავდაპირველად, ოჯახის დაგეგმვის ეს მეთოდი გამოიყენებოდა სამედიცინო ჩვენებებით, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. იგი პოპულარული გახდა სოციალური და კონტრაცეფციული მოსაზრებითაც.

ჯანმრთელი ქალი განაყოფიერების უნარიანია 50-51 წლამდე, ჯანმრთელი მამაკაცი კი – მთელი სიცოცხლის განმავლობაში. რადგან წყვილთა უმრავლესობას 25-35 წ. ასაკში უკვე ჰყავს შვილების სასურველი რაოდენობა, ბუნებრივია, მათ წინაშე დგება საკითხი დარჩენილი ხნის განმავლობაში არასასურველი ორსულობისგან თავის დაცვისა. სწორედ მათთვისაა ყველაზე ხელსაყრელი და მოსახერხებელი ქირურგიული კონტრაცეფციის მეთოდების გამოყენება, ვინაიდან იგი წარმოადგენს ყველაზე ეფექტურ, მუდმივ და უვნებელ გზას ორსულობისგან თავის დასაცავად არა მხოლოდ ქალებისთვის, არამედ, მამაკაცებისთვისაც და, ამავე დროს, ითვლება ყველაზე საიმედო, უსაფრთხო და ეკონომიურ მეთოდად, რომელიც, პრაქტიკულად, არ ცვლის სქესობრივი ცხოვრების წესს.

ქირურგიული ტექნიკის დახვეწამ, სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ზრდამ, ამბულატორიულ პირობებში პროცედურის შესრულების შესაძლებლობამ უმთავრესად ადგილობრივი ანესთეზიის ქვეშ და ამავე დროს დაბალმა ეკონომიკურმა დანახარჯებმა მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი, როგორც ქალის, ასევე მამაკაცის ქირურგიული კონტრაცეფციის პოპულარობის ზრდას, განსაკუთრებით ბოლო 15 წლის განმავლობაში. ამჟამად, მსოფლიოში შვილოსნობის ასაკის 100 მილიონზე მეტი ქალი სარგებლობს ამ მეთოდით და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, უახლოეს 20 წელიწადში მათი რაოდენობა კიდევ 100 მილიონით გაიზრდება.

ქალის ქირურგიული კონტრაცეფცია, რომელიც წარმოადგენს საშვილოსნოს კვერცხსავალი მილების გადაკვანძვას ან დახშობას, მარტივი პროცედურაა. შეიძლება შესრულდეს ამბულატორიულად, ანუ არ საჭიროებს პაციენტის მოთავსებას კლინიკაში რამდენიმე დღით. პროცედურა კეთდება ლაპარასკოპიულად, ჩვეულებრივ იგი გრძელდება 15-20 წუთი, პაციენტი სტაციონარში რჩება პროცედურის ჩატარებიდან 2-3 საათის განმავლობაში, რის შემდეგაც თავისუფლად შეუძლია დატოვოს იგი. შემდგომში, მას პრაქტიკულად აღარ შეაწუხებს არასასურველი ორსულობისა და მით უმეტეს, აბორტთან დაკავშირებული პრობლემები. ქირურგიული სტერილიზაციის ჩატარება შესაძლებელია, ასევე, მინილაპაროტომიის საშუალებით, როგორც მშობიარობის შემდგომ პერიოდში (72 სთ.-ის განმავლობაში), ასევე ინტერვალურ პერიოდში.

ქალის ქირურგიული კონტრაცეფციის ეფექტურობა ძალიან მაღალია, წარუმატებლობა შეადგენს მხოლოდ 1-4 შემთხვევას 1000 პროცედურაზე (Pollack A.P. 1995).

ქირურგიული კონტრაცეფცია რეკომენდებულია იმ წყვილებისათვის, რომელთაც უკვე ჰყავთ შვილების სასურველი რაოდენობა და შემდგომში აღარ აპირებენ მათ გაჩენას; ასევე, იმ ქალებისათვის, რომლებისთვისაც ორსულობა და მშობიარობა, სამედიცინო თვალსაზრისით, უკუჩვენებადია. ასეთ პათოლოგიათა რიცხვს განეკუთვნება:

- გულ-სისხლძარღვთა მძიმე პათოლოგიები;
- მძიმე ფორმის თირკმლის დაავადებანი;
- მძიმე ფორმის შაქრიანი დიაბეტი;

ასევე, ყველა ის დაავადება, რომლებიც შეუთავსებელია ორსულობასა და მშობიარობასთან. ჩამოთვლილი მიზეზები განიხილება როგორც ქირურგიული სტერილიზაციის სამედიცინო ჩვენებები და საუკეთესო გამოსავალია აღნიშნული პაციენტებისთვის.

მეთოდები განიხილება როგორც შეუქცევადი, რაც თავის მხრივ, გულისხმობს, შვილოსნობის ფუნქციის საბოლოო დასასრულს და გადაწყვეტილების მიღებამდე მოითხოვს სერიოზულ განსჯასა და დაფიქრებას წყვილის მიერ.

საქართველოში ჩატარებული პირველი წარმატებული სემინარის შემდეგ, აშშ-ის მხარემ გადაწყვიტა ჩვენთან თანამშრომლობით დაეწყო აღნიშნული მეთოდების, შემდგომ კი ოჯახის დაგეგმვის სხვა თანამედროვე მეთოდების დანერგვა და გავრცელება ცენტრალური აზიისა და საბჭოთა კავშირის სხვა ტერიტორიებზე. ამისთვის, პირველ რიგში მე დავინიშნე AVSC International-ის წარმომადგენლად საქართველოში, ხოლო მოგვიანებით, მე და ჩემი კოლეგა მივლინებული ვიყავით სანტა-დომინგოში (დომინიკას რესპუბლიკა), შემდეგ კი, აშშ-ში ბალტიმორსა და ნიუ-იორკში, სადაც მოთავსებულია ორგანიზაციის ცენტრალური ოფისი. მივლინება მოიცავდა ქალის ქირურგიული მეთოდების დახვეწას, რის შემდეგაც, ჩვენ კონტრაქტით გავფორმდით ორგანიზაციის სამედიცინო კონსულტანტებად. ამ რანგში 5 წლის განმავლობაში მსოფლიოს 8 ქვეყნის 20-ზე მეტ სხვადასხვა კლინიკაში ჩატარებული იყო სწავლება-სემინარები, რომელთა მსვლელობაშიც ინერგებოდა როგორც ლაპაროსკოპიული ოპერაციის ტექნიკა, ასევე ოჯახის დაგეგმვის სხვა თანამედროვე მეთოდები. სემინარი, როგორც წესი, ტარდებოდა ერთობლივად აშშ-დან მოვლინებული ერთი, ან ორი პროფესორის მონაწილეობით, რომლებიც წარმოადგენდნენ თავიანთ ნაწილს, ხოლო ჩემს მიერ დანერგილი უნდა ყოფილიყო ლაპაროსკოპიული ოპერაციების ტექნიკა.

თანამშრომლობა გაგრძელდა თითქმის 90-იანი წლების ბოლომდე და უკვე, შეიძლება ითქვას, წარმატებით დასრულდა. დარჩა შესრულებული კეთილი საქმე, თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების პოპულარიზაცია და მეგობრობისა და თანამშრომლობის სასიამოვნო მოგონებები.

**ნანა გვეტაძე**
*საქართველოს ინტერნაციონალური აეროკლუბის სამედიცინო ცენტრის „ალტას" მეან-გინეკოლოგი*
**ნანა თვალავაძე**
*ასთმა-ალერგოლოგიის იმუნოლოგიის ცენტრის ექიმი-ორდინატორი*

# დნმ-ის ქიმიური სტრუქტურის აღმოჩენის ისტორია ჯ. უოტსონის და ფ. კრიკის მიერ

ბიოტექნოლოგიის ერა ფორმალურად დაიწყო 1953 წლის 25 აპრილს, როდესაც ჯეიმს უოტსონმა და ფრენსის კრიკმა ბრიტანულ ჟურნალში „Nature" გამოაცხადეს, რომ განსაზღვრეს დეხოქსირიბრონუკლეინის მჟავის (დნმ) სამგანზომილებიანი სტრუქტურა, რაც მთელ მსოფლიოში შეფასებულ იქნა როგორც საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე უდიდესი აღმოჩენა ბიოლოგიაში.

ჯეიმს დევეი უოტსონი, ამერიკელი მოლეკულური ბიოლოგი, დაიბადა 1928 წლის 6 აპრილს ჩიკაგოში (ილინოისის შტატში) ბიზნესმენ ჯეიმს დ. უოტსონის ოჯახში. ჩიკაგოში მან მიიღო დაწყებითი და საშუალო განათლება. სულ მალე გამოიკვეთა, რომ ჯეიმსი არაჩვეულებრივად ნიჭიერი ბავშვია და იგი დაპატიჟეს რადიოში მონაწილეობის მისაღებად პროგრამაში „ვიქტორინა ბავშვებისათვის". საშუალო სკოლაში მხოლოდ ორი წლის სწავლის შემდგომ, უოტსონმა 1943 წ. მიიღო სტიპენდია ჩიკაგოს უნივერსიტეტთან არსებულ ექსპერიმენტულ კოლეჯში სწავლის გასაგრძელებლად, სადაც გამოიჩინა ინტერესი ორნითოლოგიის (სწავლება ფრინველთა შესახებ) მიმართ.

19 წლის ასაკში (1947წ.) ის გახდა ჩიკაგოს უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო საგნების ბაკალავრი, შემდეგ სწავლა გააგრძელა ინდიანაში, ბლუმინგტონის უნივერსიტეტში.

ამ დროისათვის უოტსონი დაინტერესდა გენეტიკით და დაიწყო მისი შესწავლა ამ დარგის სპეციალისტის გერმან მიოლლერის და ბაქტეოროლოგ სალვადორ ლურიას ხელმძღვანელობით. უოტსონმა დაწერა დისერტაცია რენტგენის სხივების ზემოქმედების შესახებ ბაქტერიოფაგების გავრცელებაზე და 1950 წელს მიიღო ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი.

უოტსონს სურდა, რაც შეიძლება მეტი გაეგო დნმ-ის მოლეკულის ჭეშმარიტი სტრუქტურის შესახებ, რაზეც ასე გატაცებით ლაპარაკობდნენ გენეტიკოსები.

გენეტიკა, როგორც მეცნიერება, წარმოიშვა 1866 წლიდან, როდესაც ავსტრიელმა გრეგორ მენდელმა ჩამოაყალიბა, რომ „ელემენტები", შემდგომში გენებად წოდებულნი, განაპირობებენ ცოცხალ ორგანიზმში ფიზიკური თვისებების მემკვიდრეობას, ხოლო 3 წლის შემდგომ, 1869 წელს, შვეიცარიელმა მკვლევარმა ფრიდრიხ მიშერმა ადამიანის უჯრედის ბირთვში აღმოაჩინა ნუკლეინის მჟავები. XX ს-ის დასაწყისში ბიოლოგებმა და ბიოქიმიკოსებმა შეძლეს უჯრედის სტრუქტურის და ძირითადი თვისებების დადგენა. კერძოდ, დადგენილ იქნა, რომ ერთ-ერთი ნუკლეინის მჟავა – დნმ, წარმოადგენს უაღრესად დიდ მოლეკულას, რომელიც შედგება ნუკლეოტიდებად წოდებული სტრუქტურული ელემენტებისგან, რომელთაგან თითოეული შეიცავს აზოტოვან ფუძეებს.

1944 წელს ამერიკელმა ბიოლოგმა ოსვალდ ავერიმ დაამტკიცა, რომ გენები შედგება დნმ-ისაგან. ეს ჰიპოთეზა შემდგომში დაადასტურეს (1952 წ.) ამერიკელმა

მეცნიერმა ალფრედ ჰერშმა და მისმა ასისტენტმა მარტა ჩეიზიმ. თუმცა ნათელი იყო, რომ დნმ აკონტროლებს უჯრედში მიმდინარე ძირითად ბიოქიმიურ პროცესებს, მოლეკულის არც სტრუქტურა და არც ფუნქცია ცნობილი არ იყო.

1951 წელს (23 წლის) გაზაფხულზე უოტსონი სიმპოზიუმზე ყოფნისას ნეაპოლში შეხვდა ინგლისელ მორის უილკინსს, რომელსაც შემდგომში უოტსონთან და კრიკთან ერთად მიენიჭა ნობელის პრემია დნმ-ის ქიმიური სტრუქტურის აღმოჩენისათვის.

უილკინსზე, პროფესიით ფიზიკოსზე, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა რადარული სისტემების განვითარებაში და მუშაობდა ატომური იარაღის შექმნის საკითხებზე, დიდი გავლენა მოახდინა ფიზიკოს ერვინ შრედინგერის წიგნმა „რა არის სიცოცხლე? ცოცხალი უჯრედის ფიზიკური ასპექტები". წიგნის იდეა მდგომარეობდა იმაში, რომ კვანტური ფიზიკის დახმარებით შეიძლება გაიგო ბევრი რამ ბიოლოგიაზე და ჩაწვდე სიცოცხლის არსს. ამის შედეგად უილკინსი დაინტერესდა გამოკვლევებით ბიოლოგიის დარგში.

თავის კოლეგასთან – როზალინ ფრანკლინთან ერთად, მან შეისწავლა დნმ-ის ნიმუშები რენტგენულ-დიფრაქციული ანალიზის საშუალებით, რის შედეგადაც აღმოჩნდა, რომ დნმ-ის მოლეკულას აქვს ორმაგი სპირალის ფორმა, რომელიც ხვეულ კიბეს მოგვაგონებს.

ამ დროისათვის ერვინ ჩარგაფის მიერ, რომელიც მოღვაწეობდა ნიუ-იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტში, დადგენილი იყო, რომ დნმ-ში ადენინი ყოველთვის შეწყვილებული იყო თიმინთან, ხოლო ციტოზინი–გუანინთან, რის შედეგადაც ნუკლეოტიდური ალფაბეტი დნმ-ის ერთ ჯაჭვზე განაპირობებს ალფაბეტს მეორე ნახევარზე.

როცა უოტსონი გაეცნო უილკინსისა და როზალინ ფრანკლინის მიერ მიღებულ შედეგებს, მივიდა აზრამდე – გამოეკვლია ნუკლეინის მჟავების ქიმიური სტრუქტურა.

1951 წლის ოქტომბერში კემბრიჯის უნივერსიტეტში მან გაიცნო ინგლისელი ფიზიკოსი ფრენსის კრიკი, რომელზეც ასევე დიდი შთაბეჭდილება მოეხდინა ერვინ შრედინგერის ზემოხსენებულ წიგნს და ბიოლოგიისადმი გაღვიძებულმა ინტერესმა მოახვედრა კავენდიშის ლაბორატორიაში - მოლეკულური ბიოლოგიის მსოფლიო ცენტრში.

როცა აღმოაჩინეს, რომ მათი ინტერესები ემთხვევა, უოტსონმა და კრიკმა 1952 წელს გადაწყვიტეს ეცადათ, გაეშიფრათ დნმ-ის სტრუქტურა. შემდგომში 8 თვის განმავლობაში უოტსონმა და კრიკმა გააერთიანეს ადრე არსებული შედეგები მათ მიერ მიღებულ შედეგებთან და 1953 წელს, თებერვალში გააკეთეს განაცხადი დნმ-ის სტრუქტურის შესახებ, ხოლო ერთი თვის შემდგომ ბურთებისაგან, მუყაოსა და მავთულისაგან გააკეთეს და წარმოადგინეს დნმ-ის სამგანზომილებიანი მოდელი.

კრიკისა და უოტსონის მოდელის თანახმად, დნმ წარმოადგენს ორმაგ სპირალს, რომელიც შედგება დეზოქსირიბოზოფოსფატის ორი ჯაჭვისაგან, რომლებიც შეერთებულია აზოტოვანი ფუძეებით კიბის საფეხურების მსგავსად. წყალბადური ბმის საშუალებით ადენინი უერთდება თიმინს, გუანინი–ციტოზინს. ამ მოდელის საშუალებით შესაძლებელი იყო თვით დნმ-ის მოლეკულის რეპლიკაციაზე წარმოდგენის შექმნა. უოტსონის და კრიკის თანახმად, დნმ-ის მოლეკულის ორი ნაწილი შორდება ერთმანეთს წყალბადური ბმის ადგილებში, რაც ძალიან ჰგავს „ელვა" შესაკრავის გახსნას. წინამორბედი მოლეკულის თითოეული ნახევრისაგან სინთეზირდება დნმ-ის ახალი მოლეკულა. აზოტოვან ფუძეთა თანმიმდევრობა ფუნქციონირებს როგორც მატრიცა ანუ ნიმუში დნმ-ის ახალი მოლეკულის წარმოქმნისათვის.

1953 წელს აპრილში ინგლისურ ჟურნალში – „Nature“ – სტატიის გამოქვეყნების შემდგომ უოტსონისა და კრიკის ტანდემი დაიშალა. ერთი წლის შემდგომ უოტსონი დაინიშნა კალიფორნიის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ბიოლოგიის კათედრაზე უფროს მეცნიერ-თანამშრომლად. 1955 წელს, როდესაც უოტსონი მუშაობდა ჰარვარდის უნივერსიტეტში ბიოლოგიის პროფესორის ასისტენტად, ბედმა კვლავ შეახვედრა კრიკს, რომელთან ერთადაც იგი ატარებდა საერთო კვლევებს 1956 წლამდე. 1958 წელს უოტსონი დაინიშნა ადიუნქტ-პროფესორად, ხოლო 1961 წელს პროფესორად ამავე უნივერსიტეტში.

1962 წელს უოტსონმა, კრიკმა და უილკინსონმა მიიღეს ნობელის პრემია ფიზიოლოგიასა და მედიცინაში ნუკლეინის მჟავების მოლეკულური სტრუქტურის აღმოჩენის და ცოცხალ მატერიაში ინფორმაციის გადაცემის მექანიზმში ამ მჟავების როლის განსაზღვრის გამო.

1968 წლიდან უოტსონი არის მოლეკულური ბიოლოგიის ლაბორატორიის დირექტორი ქოლდ-სფრინგ-ჰარბორში (ლონგ-ისლანდი).

მნიშვნელოვანი ნაწილი მის სამუშაოში უკავია ნეირობიოლოგიას, აგრეთვე ვირუსების და დნმ-ის როლის შესწავლას კიბოს განვითარებაში.

1968 წელს უოტსონი დაქორწინდა ელისაბედ ლევისზე, რომელიც ადრე მუშაობდა ასისტენტად ლაბორატორიაში. მათ ეყოლათ ორი ვაჟი. ოჯახი ცხოვრობს XIX ს-ში აშენებულ სახლში, უნივერსიტეტის ტერიტორიაზე. უოტსონი ავტორია ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და პოპულარული სახელმძღვანელოსი მოლეკულურ ბიოლოგიაში. უოტსონის უამრავ პრემიებსა და ჯილდოებს შორის არის – ამერიკის ჯანმრთელობის ნაციონალური საზოგადოების ალბერტ ლასკერის პრემია (1960), მეცნიერებათა ნაციონალური აკადემიის ჯონ დ. კარტის მედალი (1971) და პრეზიდენტის „თავისუფლების მედალი“ (1977).

იგი არის წევრი ნაციონალური მეცნიერებათა აკადემიის, ამერიკის ბიოქიმიის საზოგადოების, ამერიკის კიბოს შესახებ გამოკვლევების ასოციაციის, ამერიკის ფილოსოფიური საზოგადოების, დანიის მეცნიერებათა და ხელოვნების აკადემიის, აგრეთვე ჰარვარდის უნივერსიტეტის სტუდენტთა საბჭოს წევრი.

1962 წელს უოტსონმა, კრიკმა და უილკინსონმა მიიღეს ნობელის პრემია ფიზიოლოგიასა და მედიცინაში ნუკლეინის მჟავების მოლეკულური სტრუქტურის აღმოჩენის და ცოცხალ მატერიაში ინფორმაციის გადაცემის მექანიზმში ამ მჟავების როლის განსაზღვრის გამო, რაც მთელ მსოფლიოში შეფასდა როგორც საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე უდიდესი აღმოჩენა ბიოლოგიაში. კრიკისა და უოტსონის მოდელის თანახმად, დნმ წარმოადგენს ორმაგ სპირალს, რომელიც შედგება დეზოქსირიბონუკლეოფოსფატის ორი ჯაჭვისაგან, რომლებიც შეერთებულია აზოტოვანი ფუძეებით კიბის საფეხურების მსგავსად. წყალბადური ბმის საშუალებით ადენინი უერთდება თიმინს, გუანინი – ციტოზინს. ამ მოდელის საშუალებით შესაძლებელი იყო თვით დნმ მოლეკულის რეპლიკაციაზე წარმოდგენის შექმნა. აღმოჩენას საფუძვლად დაედო ადრე არსებული ცოდნა გენეტიკაში და მრავალი მეცნიერის დიდი შრომა მოლეკულურ ბიოლოგიაში.

გამოყენებული ლიტერატურა


1 WWW Rambler. Ru. Наука и Техника. Лауреаты Нобелевской премии Уотсон (Watson), Джеймс Д..
2. WWW Rambler. Ru. Наука и Техника. Лауреаты Нобелевской премии. Крик (Crick), Фрэнсис; Уилкинс (Wilkins), Морис.
3. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი 2-10.

**ნინო გოჩიტაშვილი**
*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ინფექციურ დაავადებათა ციკლის ასისტენტი*

# ფოგარტის საერთაშორისო ცენტრის წვლილი აივ ინფექცია/შიდსის დარგში (ტრეინინგი ნიუ-იორკში)

შიდსი – შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი – „XX საუკუნის შავი ჭირი", ასე უწოდებენ დაავადებას, რომელმაც 47 მლნ ადამიანი დააავადა და 16 მლნ ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. შემზარავი სტატისტიკის გამო, ბუნებრივია, დიდი ინტერესი ამ დაავადების მიმართ. მის შესწავლაზე და ახალი ეფექტიანი სამკურნალო საშუალებების ძიებაზე მთელი მსოფლიოს მატერიალური და ინტელექტუალური ძალებია მობილიზებული. ასეთი შემზარავი სტატისტიკის პარალელურად, სამედიცინო თვალსაზრისით, შიდსი მეტად საინტერესო დაავადებაა. იგი ახლადაღმოცენებულ დაავადებათა რიცხვს მიეკუთვნება – პირველი შემთხვევები 1981 წელს დაფიქსირდა, ხოლო თვით ვირუსი 1983 წელს გაიშიფრა. იგი არ არის მხოლოდ ერთი დაავადება – აივ-ით გამოწვეული იმუნოდეფიციტის ფონზე უამრავი სხვა დაავადება, ე.წ. ოპორტუნისტული ინფექციები და სიმსივნეები ვითარდება. რადგან ვმუშაობ შიდსის ცენტრში ექიმად, ჩემი სტაჟირებაც ნიუ-იორკში სწორედ შიდსის საკითხებს შეეხებოდა. ჯანდაცვის ნაციონალური ინსტიტუტების ფოგარტის საერთაშორისო ცენტრის ხელშეწყობით, 1997 წელს თებერვლიდან ივნისამდე ვიმყოფებოდი ტრეინინგზე ნიუ-იორკში მაუნთ სინაი ჰოსპიტალში (Mount Sinai Hospital). ტრეინინგი მოიცავდა აივ ინფექცია/შიდსის კლინიკურ ასპექტებს, ნეიროშიდსს. ვმუშაობდი აივ ინფექცია/შიდსით დაავადებულ ამბულატორიულ და სტაციონარულ პაციენტებთან. შევეცდებით მოკლედ მოგითხროთ ფოგარტის საერთაშორისო ცენტრის და მაუნთ სინაი ჰოსპიტლის შესახებ და წარმოგიდგინოთ, ჩემი აზრით, საინტერესო ფაქტები იქაური ყოფიდან.

## *ჯანდაცვის ნაციონალური ინსტიტუტების (NIH) ფოგარტის საერთაშორისო ცენტრი (FIC)*

შიდსის ეპიდემიის გავრცელების ერთ-ერთი ხელშემწყობი მიზეზი სხვა ფაქტორებთან ერთად, სამედიცინო პერსონალის არასაკმარისი კვალიფიკაციაა ამ დარგში. შესაბამისად, სხვადასხვა ქვეყნის ჯანდაცვის სისტემა არ იშურებს ძალისხმევას, რომ სათანადოდ მომზადებული სპეციალისტები ჰყავდეთ. სპეციალისტთა მომზადების საუკეთესო საშუალება დასავლეთში, დარგის სპეციალისტებთან მიღებული განათლებაა. თუმცა, ეკონომიკური სიძნელეების გამო ამგვარი ტრეინინგის შესაძლებლობა უმრავლესობისთვის შეზღუდულია. ამ პრობლემის გადაჭრაში ბევრ სპეციალისტს გაუწია დახმარება აშშ-ის ჯანდაცვის ნაციონალური ინსტიტუტების ფოგარტის საერთაშორისო ცენტრმა (http://www.fic.nih.gov). მისი მიზანია ხელი შეუწყოს საერთაშორისო სამეცნიერო კვლევებს და სპეციალისტთა სტაჟირებას აშშ-ის წამყვან ცენტრებში, რათა ამაღლდეს სხვადასხვა ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის დონე.

ცნობისათვის, 2002 წელს ჯანდაცვის ნაციონალური ინსტიტუტების ფოგარტის საერთაშორისო ცენტრმა 45 მლნ აშშ დოლარის გრანტები გაანაწილა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, როგორც ლოკალურად ჩასატარებელი ერთობლივი კვლევებისათვის, ისე – აშშ-ში სტაჟირებისა და სამეცნიერო კვლევების წარმოებისთვის. ყოველწლიურად მათი მხარდაჭერით 2000-მდე მეცნიერი და სტაჟიორი მუშაობს აშშ-ში. ჯანდაცვის ნაციონალური ინსტიტუტების გამოცდილება, ცოდნა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უნიკალურ შესაძლებლობას ქმნის სხვადასხვა დაავადების ეტიოპათოგენეზის, კლინიკური გამოვლინებების, დიაგნოსტიკის, მკურნალობის, პრევენციის თანამედროვე მეთოდების შესწავლისთვის.

ფოგარტის საერთაშორისო ცენტრში სამეცნიერო კვლევების წარმოების და სტაჟირებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი აივ ინფექცია/შიდსი და სხვა ახლადაღმოცენებული ინფექციებია (მაგ., ტუბერკულოზი, მალარია, ლაიმის დაავადება და სხვ.). AIDS International Training and Research Program – ასე ეწოდება პროგრამას, რომელიც მოიცავს ფოგარტის საერთაშორისო ცენტრის აივ ინფექცია/შიდსთან დაკავშირებულ კვლევებსა და სტაჟირებებს. ჩემი ტრენინგიც სწორედ ამ პროგრამის ფარგლებში განხორციელდა.

*მაუნთ სინაი (Mount Sinai) ჰოსპიტალი*

ტრენინგი გავიარე ნიუ-იორკში, მაუნთ სინაი ჰოსპიტალში (http://mountsinaihospital.org). ჰოსპიტალი მანჰეტენზე მდებარეობს და იგი ნიუ-იორკის ჰოსპიტალთა საუკეთესო ხუთეულში შედის. ჩემი ხელმძღვანელი იყო მსოფლიოში სახელგანთქმული სპეციალისტი დავიდ სიმფსონი.

ჰოსპიტალი, როგორც აშშ-ის სხვა ჰოსპიტალთა უმრავლესობა, მულტიპროფილურია. ჰოსპიტალის აივ ინფექცია/შიდსის სამსახური 3 ერთეულით იყო წარმოდგენილი: ჯეკ მარტინის კლინიკა (The Jack Martin Fund Clinic), შიდსის ცენტრი და შიდსის კლინიკური კვლევების განყოფილება (AIDS Clinical Trials Unit (ACTU). ჯეკ მარტინის კლინიკა აივ ინფიცირებულთა და შიდსით დაავადებულთა სამედიცინო მომსახურებას უზრუნველყოფს, შიდსის ცენტრის მოვალეობა პრევენციული და საგანმანათლებლო ღონისძიებების უზრუნველყოფაა, ხოლო კლინიკური კვლევების განყოფილება, როგორც დასახელება მიგვანიშნებს, შიდსზე კლინიკურ კვლევებს ატარებს, შეისწავლის აივ ინფექცია/შიდსის დროს განვითარებულ სხვადასხვა დაავადებებს, ახალ სამკურნალო საშუალებებს და, ზოგადად, როგორც ამ განყოფილების თანამშრომლები ამბობდნენ, ხვალინდელი მედიცინა დღევანდელობაში გადმოაქვს.

ალბათ, ზედმეტად ბანალური იქნება იმის აღწერა, თუ რა თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ჰქონდა ნიუ-იორკის ერთ-ერთ საუკეთესო ჰოსპიტალს, როგორი მომხიბვლელი იყო თავად შენობა, შიგნით ბუნებრივი გამწვანებით და მიმდებარე ტერიტორია – ყველასათვის ცნობილი მეხუთე ავენიუ და ნიუ-იორკის ცენტრალური პარკი. არაექიმებისთვის ისიც მოსაწყენი იქნება, რომ საინტერესო სამედიცინო შემთხვევები გავიხსენო, რომელთა ნახვის შესაძლებლობაც იქ ყოფნის დროს მომეცა. შევეცდები წარმოგიდგინოთ მხოლოდ ჩემი, უცხოელი სტაჟიორის, მიერ დანახული საინტერესო მომენტები, რასაც ქართული სინამდვილისაგან განსხვავებულად აღვიქვამდი.

ჩემთვის უჩვეულო აღმოჩნდა შიდსის სამსახურის გარეთ სამედიცინო პერსონალის დამოკიდებულება აივ ინფიცირებულებისადმი. საქართველოსგან განსხვავებით, სადაც ყოველთვის (მით უმეტეს 6 წლის წინ) გვიჭირდა საჭიროების შემთხვევაში აივ ინფიცირებულთათვის მოგვეძებნა ჩვენი კოლეგა კონსულტანტი, მათთვის აივ ინფიცირებული არაფრით განირჩეოდა სხვა პაციენტებისაგან. ისევე ემსახურებოდნენ როგორც არაინფიცირებულ პაციენტებს, ხოლო უსაფრთხოების ზომები ერთნაირად იყო დაცული, როგორც ინფიცირებულ, ისე არაინფიცირებულ პაციენტებთან მუშაობისას. საინტერესო იყო თვით ჰოსპიტალში ექიმების ყოველდღიური აქტივობაც. გარდა პაციენტებთან პრაქტიკული მუშაობისა, ყოველდღიურად იმართებოდა ლექცია-სემინარები თვად ექიმებისთვის,საინტერესო შემთხვევების გარჩევები, მოწვეული სპეციალისტების მოხსენებები. მაგალითად, ჩემი იქ ყოფნის დროს,ერთ-ერთი ძალზე შთამბეჭდავი ლექცია წაიკითხა ლუკ მონტანიემ – შიდსის ვირუსის აღმომჩენმა.

ჩემი დიდი მოწონება დაიმსახურა ე.წ. უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემამ (CME – Continuous Medical Education), რაც საქართველოში ეხლა ინერგება. ფაქტობრივად, ამ სისტემის არსებობა, ექიმს არ აძლევს საშუალებას, რომ ჩამორჩეს თანამედროვე მედიცინის მიღწევებს და ექიმებიც მუდმივად თვალყურს ადევნებენ სამედიცინო სიახლეებს.

აივ ინფექცია/შიდსი მოიაზრება არა მხოლოდ როგორც ჯანდაცვის, არამედ როგორც საყოველთაო პრობლემა. მისი გადაჭრა მხოლოდ საერთო საზოგადოებრივი ძალისხმევით არის შესაძლებელი. ეს განსაკუთრებით კარგად აქვთ გააზრებული დასავლეთის ქვეყნებში, მათ შორის აშშ-შიც. დაავადების წინააღმდეგ საბრძოლველად და უკვე დაავადებულთა დასახმარებლად სხვადასხვა მეთოდებს მიმართავენ – შოუ ბიზნესის წარმომადგენლები მართავენ საქველმოქმედო კონცერტებს, შეხვედრებს; შიდსის წინააღმდეგ ჩართულნი არიან განათლების, კულტურის მუშაკები. იქმნება აივ ინფიცირებულთა დახმარების ფონდები, რომლებიც დახმარებას უწევენ არა მხოლოდ თავიანთი ქვეყნის დაავადებულებს, არამედ ხშირად ეხმარებიან იმ განვითარებად ქვეყნებსაც, სადაც შიდსის ეპიდემია განსაკუთრებით მძვინვარებს და სერიოზულ ზიანს აყენებს ქვეყანას (მაგალითად, სუბსაჰარული აფრიკის ზოგიერთი ქვეყანა). შიდსის ცენტრის მიერ ორგანიზებული ერთი ასეთი საინტერესო აქციის მონაწილე მეც გავხდი. ცენტრალურ პარკში მოეწყო შიდსით დაავადებულთა მხარდამჭერი მარათონი, სადაც სპეციალურად ამ დღისათვის შექმნილ მაისურებში გამოწყობილი ხალხი გარკვეული მანძილის გავლის შემდეგ შესაწირს გაიღებდა.

ფოგარტის საერთაშორისო ცენტრი სამეცნიერო კვლევის და სტაჟირების უნიკალურ შესაძლებლობებს უქმნის ახალგაზრდა სპეციალისტებს. შიდსის ცენტრიდან 15-მდე ექიმია სტაჟირებული მისი მხარდაჭერით. აშშ-ში მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას წარმატებით ვიყენებთ საქართველოში აივ ინფექცია/შიდსის დიაგნოსტიკის, მკურნალობის და პრევენციის თანამედროვე მეთოდების დასანერგად.

**შოთა ვაშაკიძე, თენგიზ წულაძე**
ასოციაცია „ქვალი"

# e–მედიცინა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში

მედიცინის, როგორც მეცნიერების, განვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ეკისრება საუკუნეების მანძილზე დაგროვილ გამოცდილებას. თითოეული ექიმის პროფესიონალიზმის შეფასების კრიტერიუმიც პრაქტიკული საქმიანობის შედეგად მიღებული ცოდნაა. ცოდნისა და გამოცდილების დაგროვებასთან ერთად, მოხდა მედიცინის სხვადასხვა განშტოებების ჩამოყალიბება და დღეს მედიცინა გვევლინება როგორც ერთ-ერთი ყველაზე რთული და ძვირადღირებული ინდუსტრია.

დაავადებებს გეოგრაფიული საზღვრები არა აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ ჯანმრთელობის დაცვა გლობალურ ასპექტში მოიაზრება და როდესაც საქართველოს სამედიცინო მომსახურების განვითარებაზეა საუბარი, პრობლემა აუცილებლად ამ ასპექტში უნდა განიხილებოდეს. ამ მხრივ საქართველოში არსებობს მეტად ხელსაყრელი ორი გარემოება. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს მსოფლიო სამედიცინო საზოგადოების ჰუმანური მისია – ქველმოქმედება წარმოადგენს სამედიცინო საზოგადოების აუცილებელ ატრიბუტს და მეორე, ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება, რაც საშუალებას იძლევა, სამედიცინო დახმარება გაეწიოს პრაქტიკულად ყველას ყველგან.

ტექნიკურმა გლობალიზაციამ, როგორც თანამედროვე მსოფლიოს განვითარების აუცილებელმა კომპონენტმა, თავისი კვალი დაატყო მედიცინას, როგორც მომსახურების სფეროს განვითარებას. გლობალურ მონაცემებზე დაყრდნობით, მიმდინარეობს სამედიცინო კვლევები; პრაქტიკაში ინერგება უახლესი ტექნოლოგიები, პრეპარატები და სხვადასხვა დაავადებების მკურნალობის ახალი მეთოდები. იქმნება უამრავი კვლევითი მასალა; არსებული დაავადებების ახალი მუტაციები კიდევ უფრო ზრდის ამ კვლევების და მათი სწრაფი დანერგვის აქტუალობას. ყოველივე ეს კი განაპირობებს კომპიუტერებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების აუცილებლობას მედიცინაში.

ამას გარდა, ფართოვდება კვლევების არეალი. სამედიცინო პრობლემების გადაწყვეტაში აქტიურად არიან ჩაბმულები არამედიკოსებიც, ძირითადად, ტექნიკური სპეციალობის პროფესიონალები. შედეგად, მედიცინა იღებს საკმაოდ რთულ, კომპლექსურ სახეს, რომელშიც თანამშრომლობენ მონაცემთა ბაზებისა და კომუნიკაციის სპეციალისტები, რადიოლოგიის სპეციალობის ფიზიკოსები, ბიოლოგები, მოლეკულური ბიოლოგიისა და გენეტიკის სპეციალისტები, ქიმიკოსები, ფარმაკოლოგები და სხვა. ერთი სიტყვით, ხდება მედიცინის პროფესიონალური და გეოგრაფიული დივერსიფიკაცია და,ამავე დროს,მიმდინარეობს დისციპლინების კონსოლიდაცია და კომპლექსური კვლევების წარმოება.

აქედან გამომდინარე, e-მედიცინა არის თანამედროვე მედიცინის განვითარების ბუნებრივი შედეგი, რომელიც აქტიურად იყენებს თანამედროვე ინფორმაციულ ტექნოლოგიებს და კომუნიკაციის საშუალებებს.

ცხადია, ყოველივე ამას სერიოზული კაპიტალდაბანდებები და სამეცნიერო-ინტელექტუალური ბაზა სჭირდება. ამიტომ არავისთვის არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არის ლიდერი,რომელიც დღეს განსაზღვრავს

მსოფლიო მედიცინის განვითარებას. ასეთი ლიდერის არსებობა ყველასათვის ძალიან მნიშვნელოვანია. აიღეთ მაგალითად შიდსის ან რესპირატორული დაავადება, რომელიც ბოლო დროს აზიაში გავრცელდა. ამ დაავადებების წინააღმდეგ საბრძოლველად უაღრესად დიდი ინტელექტუალური და მატერიალური რესურსებია საჭირო, რომელიც აშშ-ის გარდა, ალბათ, არც ერთ ქვეყანას არ გააჩნია.

e-მედიცინაში ძირითადად საყურადღებოა ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების ორი ფორმა:

ა. სამედიცინო მონაცემთა ბანკების (ბაზების) შექმნა და ინფორმაციის დამუშავება.

ბ. კომუნიკაცია და ინფორმაციის გაცვლა.

კომპიუტერების გამოყენება პროფესიულ კომუნიკაციებში უკვე ყველასათვის ჩვეული მოვლენაა. მედიკოსები კომპიუტერებს ახლა განსაკუთრებით ინტენსიურად იყენებენ სამედიცინო ინფორმაციის (რადიოლოგიური გამოსახულებების, ანალიზის შედეგებისა და სხვ.) გაცვლისათვის კონსულტაციური თანამშრომლობის მიზნით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინფორმაციული ტექნოლოგიებით სარგებლობა მონაცემთა ბაზების გამოყენების თვალსაზრისით.;

უკვე რამდენიმე წელია, ამერიკაში ინტენსიურად მიმდინარეობს სამედიცინო ინფორმაციის დაგროვება: ათასობით ექიმი თავის პრაქტიკულ გამოცდილებას აგროვებს ცენტრალურ მონაცემთა ბანკებში, შეჰყავს მონაცემთა ბაზებში დაავადებები და სიმპტომები. შემდეგ ინფორმატიკის სპეციალისტები ამუშავებენ ამ ბაზებს და ქმნიან პროგრამებს, რომლებიც ეხმარება პრაქტიკოს მედიკოსებს, სიმპტომების მიხედვით დასვან დიაგნოზი. ამგვარად, ერთ ექიმს ეძლევა საშუალება, გამოიყენოს ასობით მისი კოლეგის მიერ წლების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილება, რაც მნიშვნელოვნად ზრდის დიაგნოსტიკის სიზუსტეს. დიაგნოზის დასმისთანავე, იგივე პროგრამა იძლევა არსებული მკურნალობისა და მედიკამენტების სრულ ჩამონათვალს, რომელსაც ის იღებს ფარმაკოლოგიური კომპანიებისაგან. ამგვარად, ექიმს ყოველთვის აქვს დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ყველაზე ახალი და სრულფასოვანი ინფორმაცია.

კომპიუტერის მიერ დიაგნოზის ავტომატურად დასმა არ ნიშნავს იმას, რომ პრაქტიკოს ექიმს ფუნქცია ეკარგება. დაავადების სიმპტომებისა და დიაგნოზის ზუსტად დადგენას პროფესიონალი ექიმი ესაჭიროება და, კომპიუტერი, ამ შემთხვევაში, უფრო დამხმარე ხელსაწყოს წარმოადგენს. კომპიუტერების გამოგონებასა და სისტემაში დანერგვას თავის დროზე არ გამოუწვევია მათემატიკოსების ან სხვა მათემატიკატევადი მეცნიერების ფუნქციის დაკარგვა. პირიქით, მეცნიერების წინაშე ახალი ამოცანები და მიზნები დაისახა, რამაც კიდევ უფრო სწრაფად განავითარა ესა თუ ის დარგი. გადაიჭრა ბევრი მნიშვნელოვანი ფუნდამენტალური პრობლემა. ანალოგიური ვითარებაა მედიცინაშიც. კომპიუტერი ცვლის სამედიცინო მომსახურების სახეს და უფრო ეფექტურს ხდის მას.

აშკარაა, რომ საქართველოს ჯანდაცვის სფერო მოითხოვს სრულ გადახალისებას, რათა მიუახლოვდეს საერთაშორისო სტანდარტებს. ამ პრობლემის გადასაჭრელად არსებობს რამდენიმე წინაპირობა: საქველმოქმედო აქტიურობა, ტექნოლოგიების გამოყენება და ქართული ემიგრაციის ინტელექტუალური პოტენციალი.

კარგად არის ცნობილი საზოგადოება „ექიმები საზღვრებს გარეშე". ამ სახელწოდებაში მეტად მნიშვნელოვანი აზრია ჩადებული — მედიცინა ჰუმანურ მიზნებს ემსახურება და საერთაშორისო სტანდარტებითა და ნორმებით მას არ აქვს ადმინისტრაციული შეზღუდვები. ამას ემატება ის, რომ მედიკოსებში

საქველმოქმედო საქმიანობა 'სედმიწევნით არის განვითარებული, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება დაბალი განვითარების ქვეყნების დახმარებას.

მეორე მომენტი არის ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება.

e-მედიცინა, ანუ როგორც ადრე იყო ცნობილი – ტელე-მედიცინა, იძლევა იმის საშუალებას, რომ ინტერნეტის დახმარებით პაციენტმა მიიღოს და ისარგებლოს ყველაზე უფრო თანამედროვე სამედიცინო მომსახურებით. e-მედიცინის განვითარებას დიდი ყურადღება ექცევა თვით ამერიკის შიგნით გამოყენების თვალსაზრისით, ზოგიერთი ნაკლებად დასახლებული ცენტრალური შტატის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით.

მესამე მნიშვნელოვანი მომენტია ქართული ემიგრაციის პოტენციალის გამოყენება. საქართველოში ცოტამ თუ იცის, რომ დღეს აიდაჰოსა და ლას-ვეგასის უნივერსიტეტებში სამედიცინო რადიოლოგიურ კვლევებში აქტიურად არის ჩაბმული ხუთი ქართველი ასპირანტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის აღზრდილი. გვყავს რამდენიმე ახალგაზრდა მეცნიერი ჩიკაგოში ბიოლოგიისა და მედიცინის განხრით. სამწუხაროდ, ამერიკასა და ევროპაში მოღვაწე ქართველ პრაქტიკოს მედიკოსებზეც ძალზე ცოტა რამ არის ცნობილი მათ სამშობლოში.

უცხოეთში მოღვაწე ქართველ ექიმებს, ბუნებრივია, აქვთ სურვილი, უანგარო დახმარება აღმოუჩინონ თავის ქვეყანას საკუთარი ცოდნითა და გამოცდილებით. ახლა საჭიროა მოხდეს ამ დახმარების მექანიზმების შემუშავება და გამართვა.

სწორედ ამ მოსაზრებით გაჩნდა იდეა, თბილისში e-მედიცინის ცენტრის გახსნის თაობაზე. ამერიკაში სამედიცინო მომსახურება და, განსაკუთრებით, პროფილაქტიკა საკმაოდ მაღალ დონეზე დგას. როგორც ამ სისტემის მომხმარებელი, დიდი ხნის განმავლობაში ვაკვირდებოდით მისი მუშაობის მოდელს. ამას დაემატა პროფესიონალური დაინტერესება ინფორმაციული ტექნოლოგიებით. ზუსტად ამ დროს გაჩნდა პირველი ინფორმაცია ტელემედიცინასა და მის გამოყენებაზე და სერიოზულად დავიწყეთ ფიქრი საქართველოსთვის e-მედიცინის ცენტრის მოდელის შექმნის შესახებ. ასეთი ცენტრის გახსნის შესაძლებლობის შესწავლის მიზნით, „კვალმა" ამერიკაში დაპატიჟა ქართველი ექიმი გიორგი კუჭუხიძე, რომელიც გაეცნო ამერიკაში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებას დიაგნოსტიკაში და თანამშრომლობის მიზნით კონტაქტები დაამყარა ქართველ მედიკოსებთან. გაირკვა, რომ e-მედიცინის ცენტრის ჩამოყალიბების რეალური შესაძლებლობა არსებობს. ამას შემდგომ მოჰყვა მოსამზადებელი პერიოდი თანამშრომლობის ფორმების დასაზუსტებლად. მოვიძიეთ სამედიცინო მონაცემთა ბაზები და შემუშავდა ცენტრის სამუშაო მოდელი. 2003 წლის გაზაფხულზე კი გაიხსნა „კვალის" e-მედიცინის ოფისი ნუცუბიძის ქუჩაზე, რომელიც მოემსახურება როგორც პრაქტიკოს ექიმებს, ასევე პაციენტებს.

ცენტრი მუშაობს ამერიკაში არსებული კერძო სამედიცინო პრაქტიკაში შემუშავებული მოდელის მიხედვით, რომელიც საკმაოდ მარტივია და, ამავე დროს, მეტად ეფექტური. იგი არ ითვალისწინებს საბჭოთა ტიპის დიდი ამბულატორიული დაწესებულებების შექმნას, რაც დიდ კაპიტალდაბანდებებთან და ბიუროკრატიასთან არის დაკავშირებული. ცენტრში იმუშავებს ერთი ან ორი ექიმი (ამჟამად მას ერთი ექიმი ემსახურება), რამოდენიმე ექთანი და მიმღები. ცენტრს აქვს ლოკალური ინფორმაციულ მონაცემთა ბაზა და ასევე, ინტერნეტის საშუალებით შეუძლია შესვლა ამერიკის ცენტრალურ და საუნივერსიტეტო სამედიცინო მონაცემთა ბაზებში. ამის გარდა, ცენტრს აქვს პირდაპირი კავშირი უცხოეთში მომუშავე ექიმებთან, რომლებიც კონსულტაციურ დახმარებას გაუწევენ საქართველოს ექიმებს.

საინტერესოა, რომ ასეთი თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა რამდენიმე არაქართველმა ექიმმაც. 2003 წლის მარტში „კვალის" წარმომადგენლებს შეხვედრა ჰქონდათ ბატონ კონსტანტინე სიდამონ-ერისთავთან, რომელმაც დახმარება აღუთქვა ცენტრს თანამშრომლობის გაფართოებაში. ასე რომ, დასავლეთიდან დახმარებისა და თანამშრომლობის პერსპექტივები საკმაოდ იმედისმომცემია.

ცენტრი ემსახურება პაციენტებს და ასევე კონსულტაციურ დახმარებას უწევს ქართველ მედიკოსებს. მისი მთავარი მიზანია ზუსტი დიაგნოსტიკა და თანამედროვე მედიკამენტური მკურნალობის დანიშვნა. თუმცა, მისი ფუნქციები მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება.

პაციენტების მომსახურება წარმოებს ამერიკაში კარგად გამოცდილი მოდელით, რომელიც წარმატებით გამოიყენება საოჯახო პრაქტიკაში. ცენტრის ექიმი პაციენტს დიაგნოზს დაუსვამს უშუალო გასინჯვით და საჭიროებისამებრ, კომპიუტერულ მონაცემთა ბაზის გამოყენებით. თუ პაციენტს დასჭირდა სპეციალური ლაბორატორიული და რადიოლოგიური გამოკვლევა, ცენტრის ექიმი პაციენტს მიმართვით აგზავნის წინასწარ შერჩეულ სამედიცინო დაწესებულებებში და ლაბორატორიებში, რომლებიც ჩაატარებენ „კვალის" ცენტრის მიერ დანიშნულ გამოკვლევებს. შედეგები გადაეგზავნება ცენტრის ექიმს. თუ ექიმი გარკვეული მიზეზების გამო მაინც ვერ ახერხებს ზუსტი დიაგნოზის დასმას, პაციენტის მონაცემები გადაიგზავნება უცხოეთში შესაბამის სპეციალისტთან და დაინიშნება კონსილიუმი დიაგნოზის დასაზუსტებლად.

დიაგნოზის დაზუსტების შემდეგ, მკურნალობის დანიშვნა ხდება ისევე კომპიუტერული ფარმაკოლოგიური მონაცემების და ახალი სამედიცინო მონაცემების გამოყენების საფუძველზე. მედიკამენტების შერჩევასა და მათი ვარგისიანობის შემოწმებაში ექიმი უშუალო მონაწილეობას მიიღებს.

განსაკუთრებულ შემთხვევებში, თუ პაციენტს დასჭირდა, მაგალითად, სერიოზული ქირურგიული მკურნალობა, რომელიც საქართველოში არ ხერხდება, „კვალი" შეეცდება, მოიძიოს და მიმართოს აშშ-ისა და ევროპის სამედიცინო ცენტრებს დახმარების აღმოსაჩენად.

განსაკუთრებულად მინდა გამოვყო ცენტრის თანამშრომლობა მედიკოსებთან საქართველოში. იმის გამო, რომ თბილისში და, საერთოდ, საქართველოში ინტერნეტული ქსელები არ არის საკმაო დონეზე განვითარებული, e-მედიცინის მასობრივ გამოყენება მეტად შეზღუდულია. ამას გარდა, სამედიცინო მონაცემთა ბაზებით სარგებლობა ხარჯებთან არის დაკავშირებული და გარკვეულ საწყის ინვესტიციას მოითხოვს. „კვალი"-ს სამედიცინო ცენტრი კონსულტაციურ დახმარებას გაუწევს პროფესიონალ ექიმებს და დაეხმარება მათ, ისარგებლონ სამედიცინო მონაცემთა ბაზებით, გამართონ კონსილიუმები უცხოელ ექიმებთან. „კვალი"-ს ცენტრი ასევე დაეხმარება მათ უცხოეთში გადასაგზავნი ინფორმაციის ფორმატირებაში, ენობრივი და კომუნიკაციური პრობლემების დაძლევაში და სხვა.

პაციენტები გადაიხდიან გარკვეულ ნომინალურ თანხას ყოველ ვიზიტში, რათა არ მოხდეს ცენტრის გადატვირთვა უსაფუძვლო ვიზიტებით. რაც შეეხება ამერიკელი სპეციალისტების კონსულტაციურ დახმარებას, ეს ქველმოქმედებაა და უფასო იქნება. შეძლებისდაგვარად, სხვა მომსახურების ხარჯების გარკვეულ ნაწილს ამერიკის მხარე გაიღებს. მაგრამ ამაზე საუბარი ჯერ ადრეა. პირველ რიგში მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს ამ საერთაშორისო თანამშრომლობის სწორად ჩამოყალიბება და განვითარება. აშკარად იკვეთება ასეთი თანამშრომლობის რეალური შესაძლებლობები და მათი განვითარების მეტად საინტერესო პერსპექტივები.

**ნატალია ზაქარეიშვილი**
*სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის უმაღლესი სკოლა „აიეტის" საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მენეჯმენტის კათედრის რეზიდენტი*

# კერძო სამედიცინო დაზღვევა ამერიკის შეერთებულ შტატებში

მოსახლეობის სოციალური დაცვა წარმოადგენს პრაქტიკულად ყველა ქვეყნის მთავრობის უმნიშვნელოვანეს ამოცანას.

ამ დროისათვის საზღვარგარეთ არსებობს ჯანდაცვის ორგანიზების სხვადასხვა სისტემა. ორგანიზაციულ-ფინანსური დამახასიათებლების გათვალისწინებით, შეიძლება გამოვყოთ 4 ძირითადი სისტემა: ნაციონალური (ბევერიჯი), სადაზღვევო (ბისმარკი), კერძო (ფასიანი), სახელმწიფო (სემაშკო), თუმცა უნდა აღინიშნოს რომ არც ერთ საკმაოდ განვითარებულ ქვეყანაში ზემოთ აღნიშნული სისტემები არ არის წარმოდგენილი სუფთა სახით.

ამერიკის შეერთებული შტატების ჯანდაცვის სისტემა წარმოდგენილია სხვადასხვა პროგრამების მრავალფეროვნებით, რომელიც მოიცავს მოსახლეობის ძირითად ნაწილს.

ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი ძირითადი პროგრამები:

- საშუალო ფენისათვის
- ღარიბებისათვის
- მოხუცებულთათვის
- სამხედრო პირებისთვის

აშშ-ს ჯანდაცვის საერთო ბიუჯეტი იქმნება შემდეგი ფონდებიდან:

- სახელმწიფო პროგრამა „მედიკეარ-ი" 10%
- სახელმწიფო პროგრამა „მედიკეიდ-ი" 17%
- სხვა სახელმწიფოებრივი პროგრამები 15%
- კერძო სამედიცინო დაზღვევის სახსრები 33%
- სხვა წყაროებიდან მიღებული სახსრები 4%
- მოქალაქეთა პირადი თანხები 21%

საშუალო ფენისათვის, სამედიცინო დაზღვევის პროგრამა ძირითადად ხორციელდება კერძო სადაზღვევო კომპანიების მიერ. ამერიკული ფირმების ძირითადი ნაწილი, როგორც წესი უზრუნველყოფს თავისი პერსონალის კოლექტიურ დაზღვევას, თუმცა მოსახლეობის ძირითადი ნაწილი, დაახლოებით 85% მიმართავს კერძო დაზღვევას, რომელზეც იხარჯება ოჯახის შემოსავლის 10-12% და მეტი.

დიდი დეპრესიის პერიოდში ამერიკაში გაკოტრდა კერძო სადაზღვევო კომპანიების დიდი ნაწილი. გადარჩენილი კომპანიები შეერთდნენ საერთო ნაციონალურ ასოციაციებში, „ცისფერი ფარი" და „ცისფერი ჯვარი", რომლებმაც მიიღეს სახელმწიფოსგან რიგი შეღავათები ძველი პრეისკურანტების დატოვების სანაცვლოდ. სადაზღვევო კომპანიებმა დაიწყეს სამედიცინო მომსახურეობაზე ხარჯების შეკავების სტანდარტების ფართო დანერგვა, რასაც ეწოდება „წინასწარი გადახდის სისტემა". ეს სისტემა შემდგომ განვითარდა სამოციან წლებში „მედიკეარ-ის" პროგრამის ფარგლებში.

წინასწარი გადახდის სისტემა გულისხმობს ფასებისა და მომსახურეობის მოცულობის წინასწარ შეთანხმებას. ამ შეთანხმების ერთ-ერთი შედეგია

სამედიცინო მომსახურეობის ტარიფებზე გენერალური შეთანხმება ამერიკის სამედიცინო ასოციაცებსა და დამზღვეევების ასოციაციებს შორის. მიუხედავად „ცისფერი ჯვრის" და „ცისფერი ფარის" ფართო მაშტაბებით მოღვაწეობისა, მოსახლეობის ძირითადმა ნაწილმა უპირატესობა მიანიჭა კერძო დაზღვევას.

„მედიკეარ-ის" სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, რომელიც წარმოადგენს სოციალური დაზღვევის სისტემის ნაწილს, ხორციელდება 65 წელს გადაცილებული მოხუცების და საშუალო ფენის დაზღვევა. სოციალური დაზღვეევისათვის თანაბარ წილად იხდიან სპეციალურ სოციალურ გადასახადებს, როგორც დამქირავებლები აგრეთვე დაქირავებულები (7.65%). „მედიკეარ-ის" ფონდში იგზავნება გარკვეული ნაწილი, რომელიც შეადგენს სადაზღვევო შენატანების 1.45%.

მოცემული სახელმწიფო პროგრამა შედგება 2 ნაწილისგან:

- დაზღვევა საავადმყოფო მკურნალობის შემთხვევაში
- დამატებითი დაზღვევა

პირველი პროგრამა ვრცელდება 65 წელს მიღწეულ პირებზე, რომელთაც აქვთ უფლება ისარგებლონ საერთო ფედერალური პროგრამით, რომელიც წარმოადგენს სოციალური დაზღვევის ძირითად პროგრამას.

დამატებითი დაზღვევის უფლება აქვთ 65 წელს გადაცილებულ პირებს, რომლებიც ცხოვრობენ აშშ-ში და არიან ამ ქვეყნის მოქალაქეები. „მედიკეარ-ის" მიერ დაზღვეული პენსიონერები, ისევე როგორც სხვა დაზღვეულები, ნაწილობრივ მონაწილეობენ სამედიცინო დახმარების საფასურის დაფარვაში, მაგალითად, თითეულ ჰოსპიტალიზაციაზე პროგრამის მონაწილე ვალდებულია შეიტანოს თანხა, რომელიც უდრის სტაციონარში ყოფნის ერთი დღის საფასურს.

„მედიკეიდი" უზრუნველყოფს სამედიცინო დახმარებას ღარიბი მოსახლეობისთვის. ამ პროგრამის ძირითადი მიზანია უზრუნველყოს იმ პირთა სამედიცინო დაზღვევა, რომელთა შემოსავალი გარკვეულ ზღვარზე ნაკლებია ან, რომელთაც არ აქვთ საშუალება გადაიხადონ სამედიცინო მომსახურეობის სრული საფასური. „მედიკეიდ-ის" და „მედიკეარ-ის" პროგრამების დანერგვამ გამოიწვია ჯანდაცვის ხარჯების მნიშვნელოვანი ზრდა. ის ფაქტი, რომ ჯანდაცვის ხარჯების ზრდა წინ უსწრებდა ქვეყნის საერთო ეკონომიკურ ზრდას მუდმივად აწუხებდა, როგორც საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომხრეებს, აგრეთვე ოპოზიციას. მოწინააღმდეგეების ძირითადი არგუმენტი საზოგადოებრივი სამედიცინო უზრუნველყოფის შესახებ არის ამ საჭიროებებზე ასიგნირებების ზრდა და კონგრესის კონსერვატიული უმეტესობა თავაზობს შემცირდეს პროგრამა „მედიკეარ-ის" მიერ გაწეული შეღავათები. საზოგადოებრივი სამედიცინო მომსახურების მომხრეები კი მოუწოდებენ ხარჯების შემცირებას გადასახადების და არაგამართლებული ჰოსპიტალიზაციის კონტროლის გამკაცრების გზით. ყველა ეთანხმება იმას, რომ მომსახურეობის საფასურის არაკონტროლირებული ზრდა ზიანს მოუტანს ჯანდაცვის ნაციონალურ სისტემას.

ჯანდაცვაში უფრო და უფრო მზარდი ფასები განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორებით:

- სამედიცინო ტექნოლოგიების მაღალი დონით და სიძვირით
- ამ სფეროში უძლიერესი კონკურენციით
- ხანშიშესული მოსახლეობის ზრდა
- მაღალი ადმინისტრაციული ხარჯები მრავალრიცხოვანი სადაზღვევო კერძო სააგენტოების არსებობის გამო

გარდა ამისა, ხარჯების ზრდა გამოწვეულია სამედიცინო განათლებაში, გამოკვლევებში, ტექნიკურ აღჭურვილობაში და სამედიცინო მშენებლობაში ფართომასშტაბიანი სახელმწიფო ინვესტიციებით, აგრეთვე შიდსის გავრცელებით; მოსახლეობის ნაკლებუზრუნველყოფილ ფენებში სიკვდილიანობის მაღალი დონით; სპეციალიზაციის მაღალი დონით და შესაბამისად ლაბორატორიული გამოკვლევების სიძვირით; დაზღვევის მაღალი საფასურით ექიმების მიერ არასწორი მოქმედებების შემთხვევაში.

ავადობის შემცირების უფრო ეკონომიური მეთოდების მოძიება თამაშობს მნიშვნელოვან როლს ჯანდაცვის სფეროში საერთონაციონალური მიზნების მისაღწევად. ამ მიზნებს მიეკუთვნება გულ-სისხლძარღვთა დაავადებების და ტრავმატიზმის რაოდენობის შემცირება ჯანსაღი ცხოვრების წესების დაცვის გზით.

საავადმყოფოების უმეტესი ნაწილი იმყოფება არაკომერციული ორგანიზაციების მართვის ქვეშ, რომლებიც მოიცავს ხელისუფლების ფედერალურ და ადგილობრივ ორგანოებს, ნებაყოფლობით და რელიგიურ საზოგადოებებს. კერძო სამედიცინო პრაქტიკა პრიციპით „გადასახადი მომსახურების შესაბამისად" წარმოადგენს მომსახურეობის ძირითად ფორმას. ბოლო პერიოდში ფართოდ გავრცელდა ე.წ. ჯანმრთელობის შენარჩუნების ორაგანიზაციები (Health Maintenance Organization). ეს ორგანიზაციები თავაზობენ სამედიცინო მომსახურების სრულ პაკეტს: პირველად დახმარებას, სტაციონარულ მომსახურებას, პროფილაქტიკურ ზედამხედველობასაც. გარდა სამედიცინო მომსახურებისა ეს ორგანიზაციები თავაზობენ დაზღვევას. ამ ორგანიზაციების სისტემა გახდა აშშ-ში სამედიცინო მომსახურების ძირითადი ნაწილი და კონკურენცია გაუწია „გადასახადი მომსახურების შესაბამისად" პრინციპს.

საავადმყოფო მომსახურების გაუმჯობესებისათვის 80-იან წლებში იყენებდნენ კლინიკო-სტატისტიკური ჯგუფების პრინციპით გადახდის სისტემას.

ამ სისტემის თანახმად დამზღვევიურიცხავდა თანხას საავადმყოფოს დიაგნოზის და არა სტაციონარში გატარებული დღეების რაოდენობის მიხედვით.

სისტემა უბიძგებდა ექიმებს უფრო ინტენსიური მკურნალობისკენ და შესაბამისად პაციენტის ოპტიმალურ ვადებში გამოწერისკენ.

„მედიკეარ"-ის და „მედიკეიდ"-ის პაციენტების გადასახადი აგრეთვე ხორციელდებოდა ამ პრინციპით. ბევრ შტატში ამ სისტემის გამოყენება დაიწყეს იმ პაციენტებმა, რომელთაც გააჩნდათ კერძო დაზღვევა.

ამ სისტემის დანერგვის შედეგად 1980-1990 წლებში აშშ-ში სტაციონარული დახმარების წილი შემცირდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში ჯანდაცვაზე ხარჯები მაინც გაიზარდა, აღსანიშნია, რომ ამ სისტემის გარეშე ხარჯები იქნებოდა მეტი.

ჯანდაცვის ხარჯების სტრუქტურა შემდეგნაირია:

- სტაციონარულ დახმარებაზე იხარჯება 39%
- ექიმთა შრომის ანაზღაურებაზე 19%
- სხვა პერსონალის შრომის ანაზღაურებაზე 22%
- სხვა სამედიცინო ხარჯები 12%

90-იანი წლების დასაწყისში ჯანდაცვის მდგომარეობა წარმოადგენდა ნაციონალური და სახელმწიფო პოლიტიკის ცენტრალურ საკითხს. სამედიცინო მომსახურების ანაზღაურების პრობლემა იმ პირთათვის, რომლებმაც შეიცვალეს სამუშაო ადგილი, დაზღვევის არმქონე მოსახლეობის 15%-ის პრობლემა, აგრეთვე,

კერძო სამედიცინო დაზღვევის მაღალი ტარიფები გახდა პოლიტიკური მოძრაობის მიზეზი, რომლის მიზანია – ჯანდაცვის ნაციონალური პროგრამის მიღება.

ძირითადი ღირსებები, რომლებიც ამერიკის ჯანდაცვის სისტემას აქვს, შემდეგია:

- მაღალკვალიფიციური სამედიცინო დახმარება, რომლის საფუძველია ხარისხის ფედერალური სტანდარტები;
- სახელმწიფოსა და ბიზნესის მაღალი პასუხისმგებლობა ერის ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის;
- პაციენტთა სამართლებრივი დაცვის მაღალი დონე. სხვა საკითხების გადაწყვეტასთან ერთად იგი გულისხმობს სოციალურად დაუცველი ფენების (ხანშიშესული, უძლური და ღარიბი მოსახლეობა) ჯანმრთელობის დაცვის დაფინანსების სახელმწიფოებრივი სისტემის არსებობას;

აშშ-ის კანონმდებლობა ახალისებს პაციენტთა სასამართლო სარჩელს სამედიცინო პერსონალის მიმართ. ეს სისტემა ხელს უწყობს, ერთი მხრივ, სამედიცინო პერსონალის პასუხისმგებლობის ამაღლებას, მეორე მხრივ კი, აუცილებელს ხდის მედიცინის მუშაკთა პროფესიული რისკის დაზღვევას.

აშშ-ის ჯანდაცვის სისტემის მოქმედების დადებით მომენტად შეიძლება ჩაითვალოს სამეცნიერო-სამედიცინო ინფორმაციის მწყობრი სისტემის არსებობა.

ამასთან, ჯანდაცვის ორგანიზაციის სისტემას აქვს სხვადასხვა ნაკლოვანებებიც, რომელთაგან ძირითადია: ჯანდაცვაზე დანახარჯების მატების მაღალი ტემპი, რომელიც ხშირად არ შეესაბამება სამედიცინო დახმარების ხარისხის გაუმჯობესების დონესა და ტემპებს; მაღალხარისხოვანი სამედიცინო დახმარება თავისი სიძვირის გამო მიუწვდომელია ამერიკელთა მნიშვნელოვანი ნაწილისათვის; მედიცინის მუშაკთა შრომის ანაზღაურება ხდება პრინციპით „ჰონორარი გაწეული სამსახურისათვის", რისი შედეგია პაციენტისათვის ზედმეტი პროცედურებისა და წამლების დანიშვნა; ერთი და იმავე სახის სამედიცინო დახმარების ღირებულების მნიშვნელოვანი განსხვავება სხვადასხვა შტატში (ზოგჯერ იგი 10-15-ჯერ აჭარბებს სტანდარტს).

ჩამოთვლილი ნაკლოვანებანი ამერიკელ მოსახლეობაში ეროვნული ჯანდაცვის სისტემის მიმართ უკმაყოფილობას ბადებს, რაც მისი რეორგანიზაციის აუცილებლობაზე მიუთითებს. პირველ რიგში, პროგრამა „მედიკეიდ"-ის მოქმედების სფეროს გაფართოება, რათა მიიზიდოს დაუზღვეველი ღარიბი მოსახლეობის რაც შეიძლება მეტი რაოდენობა.

ითვლება, რომ ჯანდაცვის ამერიკული სისტემა წარმოადგენს თავისუფალ ბაზარს, მაგრამ ეს ასე არ არის. უძლური და ღარიბი მოსახლეობისთვის სამედიცინო დახმარება ფინანსირდება საზოგადო სექტორის მიერ და ითხოვს დიდ დანახარჯებს. 1992 წელს ჯანდაცვაზე გაწეული ნაციონალური ხარჯების 46% მოდიოდა საზოგადო ფონდებზე. მიუხედავად ამისა, „მედიკეარ"-ის და „მედიკეიდ"-ის მოქმედი პროგრამების გათვალისწინებითაც, ამერიკელების დიდი რაოდენობა დაუცველი რჩება ფასების ზრდისაგან.

მიუხედავად ჯანდაცვაზე გაწეული მაღალი ხარჯებისა, მოსახლეობის ძირითადი ნაწილისათვის სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა შეზღუდულია, დაახლოებით 40 მლნ. ადამიანს, რომელთაგანაც 2/3 მუშაობს სრულ სამუშაო დღეს, საერთოდ არ გააჩნიათ სამედიცინო დაზღვევა, ხოლო 50 მლნ. ადამიანს, რაც შეადგენს მთელი მოსახლეობის 1/3, გააჩნიათ არასრული სამედიცინო დაზღვევა.

**დავით თელია**
*თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის პროფესორი*

# ევგენი გორფილდი და სამეცნიერო ინფორმაციის ინსტიტუტი

ინფორმაციული უზრუნველყოფის გარეშე წარმოუდგენელია მეცნიერებაში წარმატების მიღწევა. მედიცინის სფეროში მსოფლიოში ყოველწლიურად მილიონობით პუბლიკაცია ქვეყნდება. მათი მოპოვება და გადამუშავება სულ უფრო რთულდება მიუხედავად იმისა, რომ ამ თვალსაზრისით მუდმივად იხვეწება არსებული ტექნოლოგიები.

კომპიუტერების გამოჩენამდე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში საბიბლიოთეკო საქმეს დიდი ყურადღება ეთმობოდა. კომპიუტერული ტექნოლოგიების დანერგვამ კი ეს სფერო განსაკუთრებულად მოქმედი და პროდუქტიული გახადა. უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე საბიბლიოთეკო საინფორმაციო სამსახურებში მრავალი ინოვაცია დაინერგა. თუმცა აღნიშნულ საქმიანობაში რევოლუციური ინოვაციების ავტორად მაინც ევგენი გორფილდი არის მიჩნეული.

გორფილდის კარიერა დაიწყო 1951 წელს მას შემდეგ, რაც ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტში განხორციელდა სამედიცინო ლიტერატურის ინდექსაციის პროექტი, რომელიც დააფინანსა სამხედრო სამედიცინო ბიბლიოთეკამ (სამედიცინო ნაციონალური ბიბლიოთეკის წინამორბედი.) მისი მიზანი იყო სამედიცინო ინფორმატიკის აქტუალური პრობლემების შესწავლა და ბიოსამედიცინო ლიტერატურის ინდექსაციის ახალი და რენტაბელური მეთოდოლოგიების შემუშავება.

აღნიშნული პროექტის პირველი პროდუქტი გახდა საყოველთაოდ ცნობილი Index Medicus. ამ პროექტში გორფილდის ძირითადი დამსახურება იყო ის, რომ მისი ინიციატივით მოხდა ლიტერატურული წყაროების თემატური კატალოგების შედგენის არსებული მეთოდოლოგიის რევიზია. გორფილდის სახელთან არის დაკავშირებული აგრეთვე ნაციონალური სამედიცინო ბიბლიოთეკის მიერ სამედიცინო ლიტერატურის ანალიტიკური და საძიებო სისტემების MEDLAR-ის და MEDLINE-ის შექმნა. ამასთან ერთად შეიქმნა ისეთი ცნობილი საძიებო გამოცემები, როგორიცაა *Contents in Advance lf Current Contents*.

მისდევდა რა თავის პროფესიულ ინტერესებს, გორფილდმა მოიპოვა კოლუმბიის უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხი საბიბლიოთეკო ხელოვნებაში. უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ 1954 წელს ის გახდა ფარმაცევტული ინდუსტრიის კონსულტანტი, რამაც საბოლოოდ გადააწყვეტინა შეექმნა საკუთარი ფირმა. 1955 წელს გორფილდმა გამოუშვა სოციალურ მეცნიერებათა თემატური კატალოგი. 1957 წელს კი ასეთივე კატალოგი ფარმაცევტული კომპანიებისათვის. და ამავე წელს პირველად გამოჩნდა *Current Contents/Pharmaco-Medical & Life Sciences*.

1960-იანი წლებიდან გორფილდი თანამშრომლობს აშშ-ის ჯანდაცვის ნაციონალურ ინსტიტუტთან, რასაც მოჰყვა *Genetics Citation Index* და *Science Citation Indexy* ამ უკანასკნელმა განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა და

გახდა სამეცნიერო ინფორმაციაში ორიენტირების ყველაზე მძლავრი ინსტრუმენტი. პირველად გახდა შესაძლებელი ავტორთა შორის უშუალო კონტაქტების დამყარება.

1958 წლიდან დაიწყო ფუნქციონირება სამეცნიერო ინფორმაციის ინსტიტუტმა (ISI), რომელიც სამედიცინო სფეროში გამოცემს ისეთ ცნობილ საინფორმაციო ბიულეტენებს, როგორებიცაა:

- National Citation Report
- Personal Citation Report
- National Science Indicator
- Institutional Indicators
- Topical Citation Report
- Journal Analysis Database
- Journal Utilisation report
- Institutional Citation Report
- Topical Citation Report
- University Indicators
- Science Watch
- High-Impact Papers
- Journal Performance Indicator

სწორედ ამ გამოცემების საშუალებით შემოტანილ იქნა ციტირების სხვადასხვა ინდექსები: ნაციონალური, პერსონალური, ინსტიტუციონალური, თემატიკური და სხვა მრავალი ნიშნის მიხედვით.

სამეცნიერო ინფორმაციის ინსტიტუტმა მცირე დროის განმავლობაში განსაკუთრებული ავტორიტეტი მოიპოვა და მისი აბონენტები გახდნენ ყველაზე ცნობილი სამეცნიერო ცენტრები და უნივერსიტეტები, აგრეთვე, კომერციული დაწესებულებები და კერძო პირები.

წარმოიდგინეთ სამეცნიერო ინფორმაციის ინსტიტუტის მიერ მოწოდებული ნაციონალური ციტირების ინდიკატორი კლინიკური მედიცინის დარგში 1996 - 2001 წლების მონაცემების მიხედვით.

ინდიკატორი მიგვანიშნებს, თუ როგორია კლინიკურ მედიცინაში მითითებულ წლებში სხვადსხვა ქვეყნის ავტორთა ციტირება, აღნიშნულ დარგში მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელთან მიმართებაში. ანუ, თუ რომელიმე ქვეყნის მაჩვენებელი ნულის ტოლია ან უახლოვდება მას, ეს ნიშნავს, რომ ამ ქვეყნის წარმომადგენელთა ციტირების საშუალო ინდექსი მიახლოვებულია მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელთან. სურათზე მოცემულია, როგორც სტატიების საერთო რაოდენობა, აგრეთვე მათი შემჩნევის ინდექსი.



**თეიმურაზ ლორთქიფანიძე**
*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის შინაგან დაავადებათა კათედრის დოცენტი*

# ამერიკაში სტაჟირებულ სპეციალისტთა მენტალობის ზოგიერთი ნეგატიური ცვლილება

აშშ არის მსოფლიოს წამყვანი ქვეყანა არამარტო ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით. იქ არსებული დემოკრატია ხელს უწყობს პიროვნების საუკეთესო თვისებების გამოვლენას; შექმნილია შესანიშნავი ინფრასტრუქტურა; როგორც ექიმმა, განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო მედიცინის და სამედიცინო განათლების ძალზე მაღალი დონე.

აშშ-ის მთავრობა ყოველნაირად ეხმარება საქართველოს. ამ ხელშეწყობის გარეშე გაგვიჭირდებოდა დამოუკიდებლობა. დახმარების ერთ-ერთი ასპექტი არის განათლების სფერო. ბევრი ჩვენი თანამემამულე სწავლობდა და მუშაობდა აშშ-ში. უმრავლესობამ მიიღო დიდი ცოდნა და გამოცდილება, რასაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის განვითარებაში. ბუნებრივია, რომ ამერიკიდან და ევროპის მოწინავე ქვეყნებიდან დაბრუნებული სპეციალისტები ცდილობენ დანერგონ ახალი მოდელები და მეთოდები. ხშირად სიახლეებს მოაქვს სასიკეთო ძვრები და ცვლილებები.

უდავოდ კიდევ ძალიან ბევრი უნდა ვისწავლოთ და გადმოვიღოთ ამერიკიდან და ევროპის განვითარებული ქვეყნებიდან. მაგალითად, ჩვენთან, ჩემი აზრით არსებობს, ძველი ყოფის ტიპური გადმონაშთი – სამეცნიერო ხარისხების ორ საფეხურიანი სისტემა. სრულიად გაუგებარია მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის არსი; ელემენტარული ლოგიკით ამ ხარისხის მატარებელი პირი ჯერ არ არის მეცნიერი და მხოლოდ გარკვეული სამეცნიერო საქმიანობის შემდეგ შეიძლება მოგვევლინოს ასეთად. მაგრამ, რამდენად უპრიანია, როცა ოთხმოც წელს გადაცილებული პირი ისევ მეცნიერად გახდომის კანდიდატად რჩება?

ხშირად, დისერტაციის ძირითადი სამეცნიერო მონაცემების მისაღებად საჭიროზე მეტი დრო და ენერგია იხარჯება ავტორეფერატის სხვადასხვა სავალდებულო პუნქტებში ერთსა და იმავეს ოდნავ განსხვავებული სტილით აღწერაზე, უამრავი საბუთის შევსებაზე, უაზროდ დაკანონებული სტრუქტურის მქონე, ხელოვნურად გაბერილი დისერტაციის ბეჭდვაზე. საკმაოდ ხშირად ყველაფრის, მათ შორის ოპონენტების რეცენზიების „შეთხზვა“ თვით დისერტანტს უწევს. ჩვენი მეცნიერების მესვეურებმა თითქოს სწორედ გადმოიღეს ამერიკის გამოცდილება და წინა პლანზე გამოსწიეს გარკვეული რაოდენობის პუბლიკაციების აუცილებლობა. ამავდროულად ძალაში დატოვეს დისერტაციის, ავტორეფერატის და უამრავი საბუთის ბეჭდვა. არ გააუქმეს დისერტაციის დაცვა. ტყუილად ფიქრობენ, რომ ამით შესაძლებელია სიყალბის აღკვეთა. საკმაოდ ბევრი დაცვა „დესერტაციის“ პრელუდიად გვევლინება. თუ ასე გაგრძელდა, მალე სადღეგრძელოებს პირდაპირ დისერტაციის დაცვის დროს წარმოთქვამენ. ამიტომ მეცნიერების მესვეურების მიერ თითქოსდა საზღვარგარეთის გამოცდილებაზე დამყარებული რეფორმა აღმოჩნდა ფორმალური და კიდევ უფრო დაამძიმა მდგომარეობა. კერძოდ, სამედიცინო სფეროში, ჟურნალები, რომლებშიც დაბეჭდილ სტატიებს უთვლიან მაძიებელს, მოითხოვენ

რიგითი ექიმებისათვის არახელმისაწვდომ თანხებს. არის სერიოზული ეჭვები, რომ ნუსხაში მიხედვრილ პერიოდულ გამოცემებს ლობირებენ „მედიცინის გენერლები". ამერიკის მოდელის მხოლოდ ერთი შემადგენელის ფორმალური გადმოღებით, გამარტივების ნაცვლად მოხდა ამ პროცესის კიდევ უფრო გართულება. ამერიკულ მოდელში კი მთავარია მეცნიერების მაქსიმალური დემოკრატიულობა და ხარისხის მოსაპოვებლად საჭირო არამეცნიერული კომპონენტის მაქსიმალური გამარტივება. ამიტომაც უარყოფილია იქ ორ-საფეხურიანი სისტემა; არ არის ეგრეთ წოდებული დაცვა, სტატიების გარდა კიდევ ცალკე ტომების და ავტორეფერატების წერა, ბეჭდვა და სხვა ფორმალობები. არ არის გამორიცხული, რომ ნამდვილი რეფორმა ხელოვნურად ფერხდება; ამის მიზეზი კი შეიძლება იყოს ის, რომ ამერიკისგან განსხვავებით, ჩვენთან არცთუ იშვიათად მეცნიერებაში ხელმძღვანელი პოსტები უკავიათ პირებს, რომლებიც საკმაოდ შორს არიან ნამდვილი მეცნიერებისაგან. ისინი ბუნებრივია ეწინააღმდგებიან დემოკრატიული პრინციპების დანერგვას. „რეგალიებსა და ჩინებს" შეფარებულებს ეშინიათ თუნდაც ახალგაზრდებთან თანაბარუფლებიან დისპუტში ჩაბმისა.

რა თქმა უნდა, არსებობს ზემოთ მოყვანილი სამეცნიერო ხარისხების მინიჭების ამერიკული მოდელის ჩვენთან ვერ დანერგვის გაცილებით უფრო „სიღრმისეული" მიზეზები. ეს მიზეზები უნივერსალურია; აშშ-მა და ევროპის წამყვანმა ქვეყნებმა გაიარეს კაპიტალისტური განვითარების საკმაოდ გრძელი გზა. საბჭოთა კავშირში ფაქტობრივად იყო აბსოლუტური მონარქია სოციალიზმის იდეოლოგიით და გარკვეული ყოფითი ელემენტებით. ბუნებრივია, ჩვენი ძირითადი გამანსხვავებელია ეკონომიკური გავითარების დონე. თუნდაც ამიტომ შეუძლებელია ამერიკული ინფრასტრუქტურის მოდელების პირდაპირი გადმოტანა ჩვენს სინამდვილეში. მაგრამ, ბაზისური განსხვავების გარდა, არის არსებითი განსხვავება ზედნაშენშიც, კერძოდ მენტალობაში; ვფიქრობთ, რომ მეცნიერებაში „უღირსი" პირების მოზღვავება განპირობებული იყო საბჭოთა კავშირში ამ სფეროს პრესტიჟულობით და რაც მთავარია შრომის შედარებით მაღალი ანაზღაურებით. ახლა არსებობს გაცილებით უფრო მომგებიანი ასპარეზები, თუნდაც პოლიტიკა. იმედია, რომ სამცნიერო საქმიანობას გაჰყვებიან მხოლოდ ამისთვის მოწადინებული ახალგაზრდები. შედეგად, ადრე თუ გვიან მეცნიერებაში განხორციელდება ნამდვილი რეფორმები, რომლებიც გადმოიღებენ ამერიკული მოდელის არსებით ნაწილს და არა მხოლოდ ფორმას.

სამწუხაროდ, ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული დემოკრატიისა და ცხოვრების მაღალი დონის მისაღწევად, მხოლოდ, მოსახლეობის სურვილი არ არის საკმარისი. ბევრი ჩემი მეგობარი თვლის, რომ ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული შეცდომების და მოსახლეობის უნიათობის გამო, საქართველო განწირულია სამუდამო ჩამორჩენისათვის. მე როგორც ოპტიმისტს მიმაჩნია, რომ სწორი მართვით და მუხლჩაუხრელი შრომით, სულ რაღაც 50 წელიწადში შესაძლებელია გარკვეული დადებითი ძვრების მიღწევა. ოღონდ ჩვენც, მაქსიმალურად შემჭიდროებულ დროში უნდა გაევიაროთ ის გზა, რომელიც გაიარეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროპის განვითარებულმა ქვეყნებმა. სულ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ მათ საუკუნეებით ჩამოვრჩებით. კარგად უნდა ვიცნობდეთ მათი ევოლუციური განვითარების სქემას; ყოველი გავლილი ეტაპის დადებით და უარყოფით მხარეებს, დაშვებულ შეცდომებს. შევამჩნიე, რომ საკმაოდ ბევრი ამერიკაში სტაჟირებული, ჩემგან განსხვავებით ინგლისური ენის კარგად მცოდნე სპეციალისტი, ღიზიანდება, როდესაც ვეკითხები ამერიკელ სტუმრებს აშშ-ში სამედიცინო მომსახურების და სამედიცინო განათლების 100 და 50 წლის წინანდელი ორგანიზაციის შესახებ. ამერიკაში სტაჟირებული თანამემამულენი თარჯიმნობის ფუნქციის გაწევის მაგიერ

თვითონ მიხსნიან, რომ ასი კი არა, ხუთი წლის წინათაც არსებული სისტემები უკვე მოძველებულია და უვარგისი. მათგან განსხვავებით ამერიკელი სტუმრები უფრო გაგებით ეკიდებოდნენ ჩვენს შეკითხვებს, თუმცა უფრო ხშირად მპასუხობდნენ, რომ არ არიან ამ მიმართულების სპეციალისტები და უჭირთ კომპეტენტური პასუხის გაცემა. აშშ-ში სტაჟირებულ ჩვენს სპეციალისტთა გაღიზიანება მინდა აეხსნა იმით, რომ ასეთ „ზღაპრულ" ქვეყანაში ყოფნის შემდგომ, სურთ სამშობლოშიც დაამკვიდრონ შესაბამისი „მაღალი დონე".

თუმცა, ჩემი აზრით, ამერიკის შეერთებულ შტატებში სტაჟირება გაევლილ ზოგიერთ ახალგაზრდა სპეციალისტს, უამრავი ზემოთ აღნიშნული სასიკეთო გარდაქმნის გარდა, აღენიშნება მენტალობის ზოგიერთი ნეგატიური ცვლილებებიც. შეიძლება, ზემოთ აღნიშნული თარჯიმნობის დროს მათი გაღიზიანება განპირობებულია იმით, რომ მათი აზრით ელინდება თანამემამულეთა განვითარების ძალიან დაბალი დონე. ჩამოსვლის შემდგომ ისინი გარკვეულად „ზემოდან უწყებენ ყურებას" კოლეგებს, უჩნდებათ მენტორული ტონი. ამერიკაში ნასწავლი და გაგონილი მიაჩნიათ „უკანასკნელ ინსტანციაში დამტკიცებულ ჭეშმარიტებად". ეს ყველა შემთხვევაში მიუღებელია და პირველ რიგში მათვე მიაყენებს ზიანს. რაც მთავარია, ჩვენ ჩამოვრჩებით ამერიკის შეერთებულ შტატებს, მაგრამ არა „ნამდვილი" მეცნიერების, პოეტების, მხატვრების და სხვა მატერიალურ ბაზისზე ნაკლებად დამოკიდებული პროფესიის პირთა ინტელექტუალური და შემოქმედებითი დონით. რა თქმა უნდა, თანამედროვე მეცნიერებაში შესაბამისი ხელსაწყო-აპარატურის გარეშე ვერაფერს შექმნი, მაგრამ სხვადასხვა კონფერენციებზე მონაწილეობისას დავრწმუნდი, რომ ქართველი მეცნიერების ცოდნისა და განსაკუთრებით განათლების დონე საკმაოდ მაღალია. რუსეთის მეშვეობით ჩვენთან დანერგილ სწავლების გერმანულ მოდელსაც უდავოდ გააჩნია ბევრი დადებითი მომენტი.

ხშირად ამერიკაში სტაჟირებულ ახალგაზრდა სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ იქ შეიძინეს სრულიად ახალი, ჩვენთვის უცნობი ინფორმაცია. ხატოვნად რომ ვთქვათ „აღმოაჩინეს ამერიკა". ამავდროულად, არც თუ იშვიათად ეს არის კარგად ცნობილი, შეიძლება ითქვას, ჩვენთან უკვე დავიწყებული მასალა. თვალსაჩინოებისათვის გამოვიყენოთ ამჟამად „მოდური", ამერიკული გრანტის მიღების თვალსაზრისით მეტად მომგებიანი, მტკიცებითი ანუ ფაქტებზე დამყარებული მედიცინა. ვარიაციული სტატისტიკის მეთოდები, კერძოდ, პირსონის, ფიშერის, სტიუდენტის (უილიამ პასეტის) და სხვა პარამეტრული კრიტერიუმები, რომლებიც წარმოადგენენ ამ მიმართულების კვაქუთხედს, შემუშავებულია ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში. მონაცემთა უტყუარობის განსაზღვრის ამ მეთოდებს კარგად იცნობდნენ და იყენებდნენ ქართველი მეცნიერები. სხვა საქმეა, რომ ამ მეთოდებს არ ანიჭებდნენ ასეთ დიდ მნიშვნელობას და მათ არ ჰქონდათ საეალდებულო ხასიათი. მთავარი კი ის არის, რომ ბევრის მტკიცებით, ამ მეთოდების გამოყენება დაგვიცავს სიყალბისაგან. თუ შემდგომშიც გაგრძელდება პირველადი მასალით მანიპულირება, რომ არაფერი ვთქვათ საერთოდ სამეცნიერო მონაცემების „შეთხზვაზე", ვერავითარი მტკიცებითი მედიცინა ვერ დაგვიცავს მოზღვავებული სიყალბისაგან. ამას კი შეიძლება მოყვეს ჩვენი სამედიცინო მეცნიერების კრახი.

საბოლოოდ მინდა აღვნიშნო, რომ აუცილებლად გვჭირდება რეფორმა რომელიც საზღვარგარეთის განვითარებული ქვეყნების გამოცდილებასთან ერთად სრულად გაითვალისწინებს ჩვენს ქვეყანაში არსებულ რეალიებს.

**ირმა მანჯავიძე**
**ნინო უზნაძე**
*თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი*
*იუნესკოს კათედრის „ჯანსაღი ცხოვრების" თანამშრომლები*

# ჯანსაღი ცხოვრების წესისა და სასიცოცხლო უნარ-ჩვევების დანერგვა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ასამბლეის საგანგებო სესიის (1999) რეკომენდაციებში მითითებული იქნა, რომ სწავლება ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების შესახებ უნდა გახდეს საყოველთაო და ყველასათვის ხელმისაწვდომი ადრეული ასაკიდანვე. ამ დებულებას ეყრდნობა მოსახლეობის ჯანმრთელობის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას პრიორიტეტად აღიარებს.

სხვადსხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის დებულებების გათვალისწინებით, საქართველოს პრეზიდენტის (1999 წლის 16 მარტის) ბრძანებულებაში „ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების სახელმწიფო პროგრამა – 1999-2005 წწ" – მითითებულია, რომ „სახელმწიფო ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება, ცხოვრების ჯანსაღი წესის საყოველთაო დამკვიდრება და განვითარება..., რაც ბევრად სცილდება მხოლოდ ჯანდაცვის სექტორის კომპეტენციის ფარგლებს და ადამიანის კეთილდღეობის საერთო-საზოგადოებრივ უზრუნველყოფას გულისხმობს".

უკანასკნელი წლების განმავლობაში ქვეყანაში შექმნილმა მძიმე სოციალურმა და ეკონომიკურმა სიტუაციამ გააუარესა საქრთველოს მოსახლეობის მდგომარეობა. საზოგადოება აღმოჩნდა ძალიან რთული ამოცანების წინაშე, ცხოვრებამ ბევრი სიახლე და სიძნელე მოიტანა, რომელთა გამკლავებისათვის აუცილებელი შეიქნა განსაკუთრებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეძენა – ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად, ჯანმრთელი და მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად. განსაკუთრებული სიმწვავით ეს პრობლემები დადგა ბავშვთა და მოზარდთა წინაშე.

საქართველოში დღემდე ჩატარებული კვლევის მიხედვით (UNICEF, UNFPA, UNUCR, USAID, AYUA და სხვა კერძო კვლევები) ნათელი გახდა, რომ ბავშვებში და მოზარდებში სიკვდილიანობის ძირითადი მიზეზებია ავტოკატასტროფები, სხეულის დაზიანება და მოწამვლები. კონფლიქტურ სიტუაციებში მოქმედების უძლურებამ, დაბალმა თვითშეფასებამ და ასევე პრობლემის გადაჭრის გზების არცოდნამ, ბოლო პერიოდში მკვეთრად გაზარდა სუიციდის მცდელობისა და თვითმკვლელობის შემთხვევები.

ეკონომიკურმა სიდუხჭირემ, იმედგაცრუებამ და პესიმიზმმა მოზარდებს შორის კატასტროფულად გაზარდა ლტოლვა თამბაქოს, ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი. 10-14 წლამდე ვაჟების 30% და გოგონების 14% რეგულარული მწეველია. ასაკის მატებასთან ერთად ეს მაჩვენებელი მატულობს და 15-19 წლისათვის ვაჟებში 62%-ს, ხოლო გოგონებში 27%-ს აღწევს.

გახშირდა მოზარდთა შორის ორსულობა, არასრულწლოვანთა აბორტებმა საერთო აბორტების 5% შეადგინა. 12-17 წლის ასაკის მოზარდთა 43%-ს წარმოდგენა არა აქვს სქესობრივი გზით გადამდებ ინფექციებზე, ხოლო რესპოდენტთა 50%-ს მწირი ინფორმაცია აქვს შიდსის შესახებ.

მოსწავლეთა შორის გახშირდა სასუნთქი სისტემის და სხვა ქრონიკული დაავადებები, კვების დეფიციტი, ძვალ-სახსროვანი და პირის ღრუს პათოლოგიები, ენდოკრინული სისტემის დაავადებები, სიმსუქნე, იოდდეფიციტი, მხედველობის დაქვეითება; სასკოლო-ჰიგიენური რეჟიმის დარღვევით განპირობებული დაავადებები. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში მოსწავლეთა მხოლოდ 10% შეიძლება ჩაითვალოს პრაქტიკულად ჯანმრთელად სკოლის დამთავრების მომენტისათვის.

ზემოთაღნიშნული სიტუაციები ანალიზისა და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF-ის) ფინანსური მხარდაჭერით, შესაძლებელი გახდა ინტერდისციპლინირებული ჯგუფის ჩამოყალიბება (ექიმებისა და პედაგოგების თანამონაწილეობით), რომელმაც დაიწყო მუშაობა საპილოტედ შერჩეული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში არსებული კონკრეტული სიტუაციის შესასწავლად და საჭიროებათა განსაზღვრისათვის, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WNO) სახელმძღვანელო მითითებებისა და TACADE-ს წარმომადგენელთა კონსულტაციების გათვალისწინებით.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასკოლო გარემოს შეფასებისათვის გამოყენებული იქნა სხვადასხვა მეთოდი (ანონიმური ანკეტირება, ინტერვიუ და ჯგუფური მუშაობა) მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან და სკოლის დირექტორებთან.

მოსწავლეების ფსიქო-სოციალური კითხვარი ითვალისწინებდა დაუმთავრებელი წინადადებების მეთოდს და შეისწავლიდა მოსწავლეთა დამოკიდებულებებს სკოლის მასწავლებლების, სასწავლო პროცესისა და სკოლაში ჩამოყალიბებული ურთიერთობების მიმართ.

მასწავლებლებთან და მშობლებთან ინტერვიუ ითვალისწინებდა სასკოლო პრობლემატიკის, მოსწავლეთა სოციალური, ფიზიკური, ინტელექტუალური და ემოციური სფეროს პრობლემებს, სასკოლო კონფლიქტებისა და სასკოლო გარემოს შეფასებას. ხოლო სკოლის დირექტორებს დაურიგდათ ჯანსაღი ცხოვრების წესისა და სასიცოცხლო უნარ-ჩვევების ძირითად საკითხთა ჩამონათვალი, სადაც უნდა განსაზღვრულიყო პრიორიტეტები.

გამოკითხული იყო 14-15 წლის 118 მოსწავლე, მათგან 76 გოგონა და 42 ვაჟი. როგორც ანკეტირების შედეგებმა გვიჩვენა მოსწავლეთა მხოლოდ 4,7% გრძნობს თავს ყველაზე კომფორტულად სკოლაში, მაშინ, როცა მოსწავლეთა 50% აღნიშნავს, რომ ადგილი აქვს კონფლიქტურ სიტუაციებს მოსწავლეთა და მასწავლებელთა შორის. კონფლიქტების უხშირეს მიზეზს (54%) გაკვეთილების არცოდნა წარმოადგენს, ხოლო 46%-ში უდისციპლინობა. მოსწავლეები ასევე მიუთითებენ, რომ მასწავლებლები დასჯის მეთოდად 3,7%-ში იყენებენ ლანძღვას და სიტყვიერ შეურაცხყოფას, 5-6% ორიანის დაწერას, 24%-ში მშობლების გამოძახებას. ამავე დროს აღსანიშნავია ისიც, რომ მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი კმაყოფილია სწავლების დონით (46%), ხოლო უკმაყოფილების მიზეზად ასახელებენ სასწავლო პროგრამების გადატვირთულობას.

მოსწავლეთა უმრავლესობა სკოლას „მეორე ოჯახად“ მიიჩნევს, სადაც თავისი სამყარო, სამეგობრო წრე ყავს, მაგრამ, ამავე დროს, მოსწავლეებს აქვთ განსხვავებული მოსაზრებებიც, რომ „სკოლა არის თერთმეტწლიანი საპატიმრო“.

მოსწავლეთა ინტერვიუს დროს წინ წამოიწია ისეთმა პრობლემებმა, როგორიცაა სწავლის მოტივაციის მხოლოდ გარეგანი ფაქტორების არსებობა („სკოლაში სწავლა უფრო საინტერესო იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო სწავლა ნიშნისათვის"), სკოლაში გამეფებულმა ავტორიტარულმა რეჟიმმა, არჩევანის თავისუფლების არარასებობამ, თანაგანცდის ნაკლებობამ და ემოციური მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობამ, თვითგამოხატვისა და თვითრეალიზაციის შესაძლებლობის არარსებობამ, მასწავლებელთა მხრიდან ფიზიკური და მორალური უხეშობის ფაქტების არსებობამ. მოსწავლეთა პასუხებში აშკარად იგრძნობა ინტელექტუალურად, ემოციურად და ფიზიკურად უსაფრთხო გარემოს მოთხოვნილება, გახსნილი ურთიერთობებისაკენ სწრაფვა, აზრის თავისუფლად გამოხატვისა და მეტი დამოუკიდებლობის აუცილებლობა.

მასწავლებელთა ინტერვიუირების შედეგად (Iჯგ-ის 31 მასწავლებელი, ერთი სკოლიდან, IIჯგ-ის 81 მასწავლებელი სხვადასხვა სკოლიდან) ყველაზე მწვავედ დადგა საზოგადოების, ოჯახების, მშობლების სოციალური პრობლემები, რისი შედეგიცაა ბავშვთა და მოზარდთა არასრულფასოვანი კვება. პედაგოგები მნიშვნელოვან პრობლემად ასახელებდნენ მოსწავლეებში გაზრდილ აგრესიას, მაღალ შფოთიანობას, სწავლისადმი ინტერესის დაკარგვას, ნიჰილიზმსა და ინდიფერენტიზმს, აგრეთვე მიუთითებდნენ, რომ მოსწავლეთა პრობლემები განსხვავდება სქესის მიხედვით. გოგონებს უფრო ჭარბი წონა აწუხებთ, ხოლო ვაჟებს ტანდაბლობა და ჯიბის ფულის უქონლობა.

მასწავლებლები, ისევე როგორც მოსწავლეები მიუთითებენ ცენტრალიზებული პროგრამების გადატვირთულობაზე და სასკოლო კონფლიქტებზე, არა მარტო მოსწავლეებსა და მასწავლებელთა შორის, არამედ მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციას შორის, მასწავლებელთა და მშობელთა შორის. პედაგოგები ასევე სერიოზულ პრობლემად მიიჩნევენ სკოლაში არსებულ არაჰიგიენურ პირობებს, მოუწყობელ სასადილოებსა და სპორტულ დარბაზებს.

მშობლებისათვის (104 მშობელი) განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სასკოლო გარემოს კეთილმოუწყობლობა, გადატვირთული (მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით) კლასები, სკოლებში ჰიგიენური რეჟიმის დაუცველობა და მასწავლებელთა მხრიდან მოსწავლის ცოდნის არასათანადოდ შეფასება.

სკოლის დირექტორების (82 რესპოდენტი) გამოკითხვამ გვიჩვენა, რომ ისინი აუცილებლად და გადაუდებლად მიიჩნევენ ჯანსაღი ცხოვრების წესისა და სასიცოცხლო უნარ-ჩვევების დანერგვას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. საკითხთა ჩამონათვალში მათ მიერ პრიორიტეტები მიენიჭა ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას (როგორიცაა უსაფრთხოება ქუჩაში, ჰიგიენა, მავნე ჩვევები), პერსონალურ განვითარებას (ფიზიკურ განვითარებაზე ზრუნვას და ღირსების გრძნობის ჩამოყალიბებას), სოციალურ განვითარებას (უფლებებსა და მოვალეობებს, თანამშრომლობასა და კომუნიკაციას, ფინანსებს და მათ განკარგვას, განსხვავებული აზრის პატივისცემას), გარემოსთან ურთიერთობას (ბუნების დაცვას, უსაფრთხოებას ბუნებაში).

სასიცოცხლო უნარ-ჩვევები ადაპტაციურ და პოზიტიურ ქცევაში გამოხატული ის უნარ-ჩვევებია, რომელთა საშუალებითაც ადამიანს შეუძლია ცხოვრებისეულ მოთხოვნებსა და ყოფით პრობლემებთან გამკლავება.

სასიცოცხლო უნარ-ჩვევებია: გადაწყვეტილების მიღება, პრობლემებთან გამკლავება; კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება; კომუნიკაცია და თანამშრომლობა; მოლაპარაკება და კონფლიქტების მოგვარება; თვითშემეცნება,

თვითშეფასება და თვითორგანიზაცია; ემოციის მართვა და სტრესის დაძლევა; ხიფათის (ავადმყოფობის) თავიდან აცილება; მავნე ჩვევების დაძლევა; უსაფრთხოების დაცვა, თანაგანცდა და თანაგრძნობა (ემპათია); ადამიანურ ღირებულებათა და მარადიულ ფასეულობათა გაგება-გათავისება; საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა; საგანგებო სიტუაციებში ადეკვატური მოქმედება; ინფორმაციის მენეჯმენტი.

სასიცოცხლო უნარ-ჩვევების სწავლება ნიშნავს სასკოლო გარემოში ზემოთ ჩამოთვლილი უნარების ფორმირებას, რომელიც ხორციელდება შედეგებზე ორიენტირებული სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის საშუალებით და პოზიტიური სასკოლო გარემოს (ეთოსის) ხელშეწყობით. ანუ სასიცოცხლო უნარ-ჩვევების და ჯანსაღი ცხოვრების წესის სწავლების ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო კურიკულუმში. როგორც ცნობილია, სასწავლო კურიკულუმი არის საგანმანათლებლო სტანდარტის, სასწავლო პროგრამისა და თემატიური გეგმის ერთობლიობა, რომელშიც ასახულია მოსწავლეთა მისაღწევი მიზნები და დონეები სასკოლო განათლების სხვადასხვა საფეხურზე. ჯანსაღი ცხოვრების წესისა და სასიცოცხლო უნარ-ჩვევების სწავლების ძირითადი მიმართულებები იქნება მოქალაქეთა (სამოქალაქო აღზრდა); მე და ჩემი ჯანსაღი სხეული; უსაფრთხოება; ურთიერთობები და ემოციები; გარემო. – შესაბამისი საგაკვეთილო მოდულებით.

სასიცოცხლო უნარ-ჩვევების სწავლების აუცილებლობაზე მეტყველებს ზემოთაღნიშნული სიტუაციური ანალიზი, ავადობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლები, ჯანმრთელობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ მოსწავლეთა გაუთვითცნობიერებულობა, ხოლო მეორეს მხრივ წინააღმდეგობრივი დამოკიდებულებები და მიმართებები სკოლაში. რაც დღის წესრიგში აყენებს საკითხს სკოლებში არსებული პირობების ძირფესვიანად გარდაქმნის შესახებ, რაც უპირველეს ყოვლისა უნდა განისაზღვროს „მოსწავლეზე ორიენტირებულ სკოლის მოდელით", სადაც სწავლება სასიცოცხლო უნარ-ჩვევებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ იქნება უწყვეტი, პერმანენტული პროცესი, რომელიც სპირალურად განვითარდება ადამიანის სიცოცხლის ადრეული პერიოდიდან – ბავშვობიდან – მოზრდილობისაკენ.

ჯანსაღი ცხოვრების საფუძვლების დამკვიდრება (სწავლება) ყველაზე რეალური და ქმედითუნარიანია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. ვინაიდან ბავშვი – ადრეულ ასაკში – ინფორმაციის მიღებისა და დაფიქსირებისათვის ღია დინამიურ სისტემას წარმოადგენს, ამავდროულად სკოლა წარმოადგენს იდეალურ ადგილს არა მარტო მიღებული ცოდნის და უნარ-ჩვევების, არამედ მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასებისა და მონიტორინგისათვის. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი ჯანსაღი ცხოვრების არჩევანი საუკეთესო არჩევანად იქცეს დღევანდელი ბავშვებისათვის, ხვალინდელი მშობლებისა და საზოგადოებისათვის.

ჯანსაღი ცხოვრების წესისა და სასიცოცხლო უნარ-ჩვევების დანერგვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სცილდება საკუთრივ სკოლის ფარგლებს, ის მოითხოვს მთელი საზოგადოების მხარდაჭერასა და თანადგომას და მთავრობის მხრიდან პროტექციონისტული პოლიტიკის გატარებას გულისხმობს.

**ვლადიმერ მარგველაშვილი**
*თსუ სტომატოლოგიისა და ყბა-სახის ქირურგიის კათედრის გამგე, პროფესორი*

# თანამშრომლობის რვა წელიწადი ამერიკელ სტომატოლოგებთან

სტომატოლოგიურ სამყაროში ამერიკის შეერთებულ შტატებს, ტრადიციულად, ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე პოზიცია უჭირავს. თანამედროვე სტომატოლოგიური ტექნიკის, მასალების, ტექნოლოგიების უსწრაფესი დანერგვა პრაქტიკაში და სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკის მაღალი დონე – ეს არის ის გადამწყვეტი ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ აშშ-ის ლიდერულ პოზიციას სტომატოლოგიაში. სწორედ ამიტომ ჩემთვის მეტად საპატიო და სასიხარულო იყო, როდესაც 1995 წელს აშშ-დან მივიღე შეტყობინება და სერთიფიკატი პიერ ფაშარის სახ. სტომატოლოგთა საერთაშორისო აკადემიის წევრად არჩევის შესახებ.

პიერ ფაშარის სტომატოლოგთა საერთაშორისო აკადემია დაარსდა 1936 წელს. აკადემიის დამაარსებლებმა ფრანგი ექიმის პიერ ფაშარის სახელი აირჩიეს მისი ხსოვნის უკვდავესაყოფად. იგი ითვლება თანამედროვე სტომატოლოგიის პატრიარქად. 1728 წელს პ. ფაშარმა პარიზში გამოსცა სამედიცინო მეცნიერული სახელმძღვანელო სტომატოლოგიაში: „კბილების ქირურგია, ანუ ტრაქტატი კბილების შესახებ". მისი ეს და სხვა მრავალი ნაშრომი თანამედროვე სტომატოლოგიის ბაზას შეადგენენ.

პიერ ფაშარის აკადემიის ძირითადი მიზნებია: სპეციალური ლიტერატურის გამოყენებით აამაღლოს სტომატოლოგთა განათლებისა და პროფესიული ჩვევების დონე; ხელი შეუწყოს პირადი კონტაქტების დამყარებას წამყვან სპეციალისტებსა და იმ პირებს შორის, რომლებიც ეძებენ მხარდაჭერას სამეცნიერო, ტექნიკურ და ეკონომიკურ სფეროებში; წაახალისოს ყოველწლიური პრემიებით უმნიშვნელოვანესი მიღწევები სტომატოლოგიურ პრაქტიკასა და მეცნიერებაში; ხელი შეუწყოს მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებას პროფილაქტიკური ღონისძიებების, თერაპიისა და აღდგენითი სტომატოლოგიის დახმარებით; ხელი შეუწყოს აკადემიის წევრთა შორის ერთიანობას და ხაზი გაუსვას მათ პროფესიულ პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე.

აკადემია თავის მიზნებს აღწევს სექციური შეხვედრებით, პიერ ფაშარის სახელობის ოქროს მედლით დაჯილდოებით, საპატიო ჯილდოების გადაცემით, გრანტების გაცემით და ჟურნალის „სტომტოლოგიის სამყარო" („Dental World") გამოცემით. აკადემიის წევრი შეიძლება გახდეს მაღალი მორალური თვისებების მქონე სტომატოლოგი, რომელიც თავისი მიღვაწეობით მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მსოფლიო სტომატოლოგიური მეცნიერებისა და პრაქტიკის განვითარებაში.

პიერ ფაშარის აკადემია დიდი და ძლიერი ორგანიზაციაა. მსოფლიოს 50-მდე ქვეყანაში მას 7000-ზე მეტი წევრი ჰყავს. თითოეული ქვეყნის ორგანიზაციას თავის თავმჯდომარე ჰყავს. ქვეყნები და შტატები ერთიანდებიან რეგიონებად და ყოველ რეგიონს თავისი ხელმძღვანელი უდგას სათავეში. საქართველო შედის პირველი რეგიონის – ევროპის შემადგენლობაში.

დღეს ჩვენი ქვეყანა დემოკრატიის გზაზე დგას. ჯანდაცვის სისტემაში მიმდინარე ძირეული რეფორმები რწმენითა და იმედით ავსებენ ქართველ ექიმებს.

საქართველოში მიმდინარე პროცესები საშუალებას აძლევს ჩვენი ქვეყნის პროფესიონალებს დაამყარონ მჭიდრო კონტაქტები თავიანთ საზღვარგარეთელ კოლეგებთან, რაც ესოდენ აუცილებელია წარმატებული მუშაობისათვის. ამ ფონზე ფრიად სასიამოვნოა ქართული სტომატოლოგიური სკოლის საერთაშორისო აღიარება, რაც 1995 წელს პროფ. ელ. მარგველაშვილის პიერ ფაშარის აკადემიის წევრად არჩევით გამოიხატა.

1997 წელს პ. ფაშარის აკადემიის პრეზიდენტის მიპატიჟებით მიწვეული ვიყავი აშშ-ის დედაქალაქ ვაშინგტონში აკადემიის საბჭოს მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად.

ვაშინგტონში 1997 წლის ოქტომბერში ჩავედი. მქონდა საინტერესო და მნიშვნელოვანი შეხვედრები პიერ ფაშარის აკადემიის პრეზიდენტთან დრ. ჯეიმს ლონგთან, ხაზინადართან დრ. რიჩარდ კოზალთან, მომავალ პრეზიდენტთან დრ. ფრედერიკ ჰალიკთან, ვიცე პრეზიდენტთან დრ. დევიდ კემპბელთან და საბჭოს სხვა წევრებთან.

ერთ-ერთ სამუშაო სხდომაზე სიტყვით გამოსვლის საშუალება მომეცა. მე გამოვხატე დიდი მადლიერების გრძნობა აკადემიის საბჭოს მიმართ ჩემდამი გამოჩენილი ნდობის გამო და გამოვთქვი აზრი, რომ საქართველოში არიან საქვეყნოდ აღიარებული მეცნიერები და ექიმები, რომლებიც იმსახურებენ პიერ ფაშარის აკადემიის წევრობას. ამიტომ ვთხოვე ჩემს ამერიკელ კოლეგებს, მოეცათ საშუალება, რომ ჩამოგვეყალიბებინა აკადემიის საქართველოს სექცია, რომელზეც მათ თანხმობა განაცხადეს. საბჭოს წევრებისაგან ხაზგასმით იქნა აღნიშნული, რომ ეს ხელს შეუწყობდა ქართველი და ამრიკელი სტომატოლოგების დაახლოებას და იქნებოდა კარგი ბაზისი მჭიდრო თანამშრომლობისათვის. მათ გადაწყვიტეს, რომ მხოლოდ პროფ. ელ. მარგველაშვილის რეკომენდაციით მიეღოთ ახალი წევრები საქართველოდან.

აკადემიის საბჭოს მუშაობის დამთავრების შემდეგ მონაწილეობა მივიღე ამერიკის სტომატოლოგთა ასოციაციის ყოველწლიურ კონგრესში.

კონგრესის დასრულების შემდეგ საშუალება მომეცა მომენახულებინა ქ. ბალტიმორში მერილენდის უნივერსიტეტის ბალტიმორის სტომატოლოგიური სკოლა და გავცნობოდი მის მუშაობას. უნდა აღინიშნოს, რომ ბალტიმორის სტომატოლოგიური სკოლა უძველესია მთელს მსოფლიოში. იგი 1840 წელს არის დაარსებული და სხვა ამერიკული სტომატოლოგიური სკოლების მოდელად იქცა. ამჟამად ბალტიმორის სტომატოლოგიურ სკოლაში 391 სტუდენტი ეუფლება სტომატოლოგიურ მეცნიერებას და პრაქტიკას. სასწავლო კურსის დამთავრების შემდეგ ისინი იღებენ სტომატოლოგიური ქირურგიის დოქტორის (ექიმის) წოდებას - D.D.S. ასევე სკოლაში შესაძლებელია ბაკალავრიატის პროგრამის დასრულებით პირის ღრუს ჰიგიენისტის პროფესიის მიღებაც. ბალტიმორში შევხვდი ფაკულტეტის დეკანს დრ. რიჩარდ რანეის, კლინიკის დირექტორს დრ. მაიკლ ბელენკის და სხვა კოლეგებს. მათ გამოთქვეს სურვილი, ჩამოსულიყვნენ საქართველოში და ქართველი ექიმებისათვის გაეზიარებინათ თავიანთი გამოცდილება. სკოლის სტომატოლოგიურ კლინიკაში ყოფნისას გავესაუბრე ამერიკელ რეზიდენტებს, რომლებიც სპეციალიზაციას სტომატოლოგიის სხვადასხვა სფეროებში გადიოდნენ.

ბალტიმორში ყოფნისას საშუალება მომეცა დამეთვალიერებინა მსოფლიოში ერთადერთი სტომატოლოგიის მუზეუმი. იქ ბევრი საინტერესო და უნიკალური ექსპონატი ენახე. მათ შორის აღსანიშნაეია კარიესის კლასიფიკაციის ავტორის ჯ.ე. ბლეკის სტომატოლოგიური კაბინეტი და პრეზიდენტ ჯორჯ ვაშინგტონის კბილის პროტეზები.

ამერიკის შეერთებული შტატებიდან საქართველოში დაბრუნების შემდეგ შევუდექი მუშაობას პიერ ფაშარის აკადემიის საქართველოს სექციის ჩამოსაყალიბებლად. ამ მიმართულებით დიდი დახმარება გამიწია ბრიუსელში (ბელგია) 1998 წელს აკადემიის საბჭოს გასვლით სესიაზე ჩემს ამერიკელ, კანადელ, იაპონელ, ბელგიელ, ჰოლანდიელ, ფრანგ და ბრიტანელ კოლეგებთან შეხვედრამ. 2000 წლისათვის კიდევ რვა ქართველი სტომატოლოგი გახდა პიერ ფაშარის აკადემიის წევრი. ყველა ჩვენთაგანი ორ თვეში ერთხელ აშშ-დან იღებს აკადემიის სამეცნიერო ჟურნალს, რომლის საშუალებითაც ვეცნობით როგორც აშშ-ში, ისე მთელ მსოფლიოში სტომატოლოგიის უახლეს მეცნიერულ მიღწევებს. ეს მნიშვნელოვნად გვეხმარება ჩვენი ყოველდღიური პრაქტიკული საქმიანობის სრულყოფასა და პროფესიული დონის ამაღლებაში.

1999–2002 წლებში ყოველწლიურად ვხვდებოდი პიერ ფაშარის აკადემიის პრეზიდენტს, ხაზინადარს და ჟურნალის გამომცემელს სტომატოლოგთა მსოფლიო ასოციაციის (FDI) კონგრესებზე. ასეთი შეხვედრები შედგა ამერიკაში, პარიზში, კუალა-ლუმპურში და ვენაში, სადაც დაისახა მომავალი, უფრო მჭიდრო თანამშრომლობის გეგმები და გამოიკვეთა ახალი პროფესიონალური ურთიერთობების პერსპექტივები.

იმედი მაქვს, რომ წამყვან ამერიკელ კოლეგებთან ურთიერთობა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ახალგაზრდა ქართველი სტომატოლოგების პროფესიულ წინსვლას და პოსტდიპლომური განათლების სრულყოფას. პიერ ფაშარის აკადემიის დიდი ინტერესი ქართული სტომატოლოგიისადმი, ვფიქრობ, მრავალი მეცნიერული და პრაქტიკული გამარჯვებების საწინდარი უნდა გახდეს, რაც საბოლოო ანგარიშით მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესებას.

**კ. მარდალეიშვილი, ლ. ხატელიშვილი, ლ. ბაქანიძე, გ. ლოლაძე**
*ქართულ-ამერიკული სპეციალიზებული ონკოლოგიური კლინიკის ექიმები*

# არასამთავრობო ორგანიზაციების როლი ამერიკაში კიბოს წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ამერიკის კიბოს საზოგადოების მაგალითზე

დღესდღეობით ამერიკის შეერთებულ შტატებში, კიბოს წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებულ როლს ოფიციალურ სახელმწიფო სტრუქტურებთან ერთად არასამთავრობო ორგანიზაციები ასრულებენ, რომელთა საქმიანობა ამ სფეროში სულ უფრო მეტ საკითხს მოიცავს და წინა წლებთან შედარებით უფრო და უფრო ინტენსიური ხდება. ამ მხრივ განსაკუთრებით წარმატებული და უდაოდ აღნიშვნის ღირსია ამერიკის კიბოს საზოგადოება (American Cancer Society).

ამერიკის კიბოს საზოგადოება 70 წლის ტრადიციების მქონე, მთელი ქვეყნის მასშტაბით მოქმედი, საზოგადოებაზე ორიენტირებული არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელსაც უაღრესად დიდი წვლილი აქვს შეტანილი ამერიკაში კიბოს წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

1913 წელს 15 ამერიკელმა (მათ შორის 10 ექიმმა) დააარსა ამერიკის კიბოს კონტროლის საზოგადოება, რომელმაც მიზნად დაისახა კიბოს სიმპტომების, მკურნალობისა და პრევენციის შესახებ მოსახლეობაში ინფორმაციის გავრცელება და დაავადებასთან დაკავშირებული სტატისტიკის წარმოება. მოგვიანებით, ორგანიზაციის სახელი გადაკეთდა – ამერიკის კიბოს საზოგადოებად, რომელიც ამჟამად 2 მილიონზე მეტ მოხალისე წევრს მოიცავს. ამერიკის კიბოს საზოგადოების ძირითადი შტაბ-ბინა ჯორჯიის შტატის ქალაქ ატლანტაში მდებარეობს, შედგება ეროვნული საზოგადოებისა და წარმომადგენლობებისაგან, 3, 400-ზე მეტი ოფისით მთელს ქვეყანაში. ეროვნული საზოგადოების ასამბლეაში შედიან საზოგადოების წევრები წარმომადგენლობებიდან და ასევე მოსახლეობიდან. ასამბლეა ირჩევს საზოგადოების დირექტორატის საბჭოს, რომელიც ახორციელებს ორგანიზაციის მიზნებს და შემოწირული თანხების მენეჯმენტს. ეროვნული საზოგადოება პასუხისმგებელია ორგანიზაციის კიბოს კონტროლის საქმიანობის დაგეგმვასა და კოორდინირებაზე. ეროვნული საზოგადოება ასევე ახდენს წარმომადგენლობებისა და განყოფილებების ტექნიკურ დახმარებას და ახორციელებს კვლევითი პროგრამების, სამედიცინო და ინდივიდუალური გრანტების ადმინისტრირებას.

წარმომადგენლობებს მართავს მათი დირექტორატთა საბჭოები, ხოლო განყოფილებების ორგანიზება მთელი ქვეყნის მასშტაბით ხდება კიბოს კონტროლის პროგრამების განხორციელებისათვის. განყოფილებებს მართავს ათასობით ადგილობრივი მოხალისე წევრი.

ამერიკის კიბოს საზოგადოების ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებებია საზოგადოებაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებით, მოსახლეობის განათლებით, კიბოს კონტროლის საკანონმდებლო საქმიანობაში აქტიური მონაწილეობით, კიბოს სკრინინგ პროგრამების ორგანიზებით კიბოს პრევენცია და ასევე ონკოლოგიის დარგში სამეცნიერო კვლევების დაფინანსება და მხარდაჭერა. კონკრეტულად, საზოგადოება თავის ეროვნულ მისიას ასე განსაზღვრავს: „კიბოს,

როგორც ჯანმრთელობის ძირითადი პრობლემის აღმოფხვრა, კიბოს პრევენციით, დაავადებულ ავადმყოფთა სიცოცხლის გადარჩენითა და ამ ავადმყოფობასთან დაკავშირებული ტანჯვის შემცირებით, სამეცნიერო კვლევების, განათლების, „საკანონმდებლო საქმიანობის გზით". მნიშვნელოვანი საერთაშორისო აქტივობიდან გამომდინარე, ამერიკის კიბოს საზოგადოებას თავისი საერთაშორისო მისიაც აქვს განსაზღვრული, რაც კონცენტრირებულია კიბოს საზოგადოებების განვითარების მხარდაჭერაზე, მათი ინფრასტრუქტურის შექმნის თვალსაზრისით ან მათთან თანამშრომლობაზე.

ამერიკის კიბოს საზოგადოების მოქმედების სფერო იმდენად მრავალფეროვანია, რომ ამ სტატიის ფორმატი არ იძლევა ყოველი მისი ტიპის საქმიანობაზე შეჩერების საშუალებას. მათ შორის განვიხილოთ მხოლოდ საზოგადოების ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და გამორჩეული საქმიანობანი.

საზოგადოების მოქმედების ერთ-ერთი ძირითადი სფერო საზოგადოებრივი პროგრამების ორგანიზებასა და წარმართვაში მდგომარეობს. საზოგადოებრივ დონეზე კიბოს კონტროლი მოიცავს ლოკალურ, შტატის, რეგიონულ ან ეროვნულ დონეებზე ისეთ საქმიანობას, რომელიც ხელს უწყობს კიბოს პრევენციას, მის ადრეულ აღმოჩენას, დაავადების ეფექტურ მკურნალობას, პაციენტთა სიცოცხლის გადარჩენას და მათი ცხოვრების ხარისხის შენარჩუნება/გაუმჯობესებას.

საზოგადოებრივი პრევენციული პროგრამები ძირითადად ფოკუსირებულია თამბაქოს კონტროლზე, დიეტისა და ფიზიკური აქტივობის კავშირზე კიბოს განვითარებასთან, კანის კიბოს რისკის შემცირებასა და სკოლებში ჯანსაღი ცხოვრების წესის კოორდინირებაზე. ეს უკანასკნელი მდგომარეობს მოზრდილებსა და ბავშვებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პრომოცირებაში. ამერიკის კიბოს საზოგადოებამ მოახერხა გაეერთიანებინა ჯანმრთელობის, საგანმანათლებლო და სოციალური სტრუქტურები, სკოლებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდისა და მასთან დაკავშირებული სტანდარტების შემუშავებისათვის. ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ განათლება შედის სკოლაში განათლების პროგრამის საერთო სტრუქტურაში და ტარდება დაწყებითი კლასებიდან მე-12 კლასის ჩათვლით. ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდისა და მასთან დაკავშირებულ სტანდარტებში აღწერილია, თუ როგორ უნდა შეიქმნას ინსტრუქციული ხასიათის პროგრამები მასწავლებლების, მშობლებისა და საერთოდ საზოგადოების მიერ, რომელნიც ხელს შეუწყობენ მოსწავლეებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ განათლების პროგრამებში აქცენტი არის გაკეთებული ცხოვრების ჯანსაღი წესის გამომუშავების მნიშვნელობაზე.

საზოგადოება ახდენს კანის კიბოს პროფილაქტიკის პრომოცირებას სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო და მედიასთან დაკავშირებული საქმიანობით, ასევე ამერიკის კიბოს საზოგადოების კანის დაავადებათა პროფილაქტიკის ფედერაციაში შემავალი 33 ორგანიზაციასთან თანამშრომლობით. ეს კოალიცია მოიცავს არამომგებიან ორგანიზაციებს, სამთავრობო სტრუქტურებს და კორპორაციებს. კოალიციის მიზანია მოახდინოს კანის კიბოს პრევენციისათვის საზოგადოების მიერ შემუშავებული მეთოდების პრომოცირება და ასევე ფორუმების ორგანიზება მონაწილე ორგანიზაციებს შორის ინფორმაციის გაცვლის მიზნით.

ამერიკის კიბოს საზოგადოება ასევე მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს კიბოს რაც შეიძლება ადრეულ სტადიებში დიაგნოზირებას, დაავადების ადრეული აღმოჩენისათვის შემუშავებული მეთოდების, განათლების და საკანონმდებლო

საქმიანობის საშუალებით, რაც წარმატებული მკურნალობის წინაპირობაა. ამერიკის კიბოს საზოგადოება აქტიურად თანამშრომლობს მრავალ საზოგადოებრივ და კერძო სექტორის ორგანიზაციებთან სხვადასხვა მიმართულებით, რათა მოსახლეობაში გაიზარდოს ონკოლოგიური სიფხიზლე ძუძუს კიბოსთან მიმართებაში, რათა გაცნობიერებულ იქნეს დაავადების ადრეულად აღმოჩენისა და რეგულარული მამოგრაფიული გამოკვლევის ჩატარების მნიშვნელობა.

ამერიკის კიბოს საზოგადოება, დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრთან ერთად, კოლორექტალური კიბოს სკრინინგის ეროვნული პროგრამის ძირითადი ინიციატორია.

კიბოს განვითარების მემკვიდრული რისკის დადგენისათვის მოწოდებული გენეტიკური ტესტირების შესაძლებლობებმა წარმოშვა გენეტიკურ ინფორმაციასთან დაკავშირებული სამედიცინო, ფიზიოლოგიურ, ეთიკურ, ლეგალურ, პოლიტიკურ და ცხოვრების ხარისხთან დაკავშირებულ საკითხთა კომპლექსი. საზოგადოება მუშაობს სხვა ეროვნულ ორგანიზაციებთან ამ საკითხთა გადაწყვეტისათვის საკანონმდებლო და საგანმანათლებლო საქმიანობის საშუალებით.

იმის გამო, რომ სამედიცინო მომსახურების ხასიათი განუწყვეტლივ იცვლება, ამერიკის კიბოს საზოგადოება აქტიურად თანამშრომლობს ჯანდაცვის სექტორის ყველა წარმომადგენლებთან, რათა უზრუნველყოფილ იყოს ის, რომ ყველა პირმა მიიღოს პრევენციული მომსახურეობის სრული კომპლექსი, რათა მათ ჰქონდეთ საშუალება შეიმცირონ კიბოს განვითარების რისკი, ან დაავადების შემთხვევაში, სიმსივნე აღმოაჩინონ ადრეულ სტადიებში.

ამერიკის კიბოს საზოგადოება კერძო და ამავე დროს არამომგებიანი უდიდესი წყარო არის სამეცნიერო კვლევების დაფინანსებისათვის. ამ თვალსაზრისით საზოგადოება მთელი ქვეყნის მასშტაბით მხოლოდ მეორე ადგილზეა ფედერალური სამთავრობო დაფინანსების შემდეგ. 1998 ფისკალური წლის მანძილზე, საზოგადოებამ 100 მილიონი დოლარის ინვესტიციები ჩადო მხოლოდ სამეცნიერო კვლევებში. დღემდე კი საზოგადოებას ამ მიმართულებით მთლიანად ინვესტირებული აქვს 2 მილიარდ დოლარზე მეტი.

სამეცნიერო პროგრამები მოიცავს 3 კომპონენტს: საზოგადოებისგარე, საზოგადოებისშიდა ეპიდემიოლოგიური კვლევების და ასევე საზოგადოებისშიდა ბიჰევიერული (ქცევის) კვლევით გრანტებს. საზოგადოებისგარე პროგრამული დაფინანსება მიმართულია მთელი ქვეყნის მასშტაბით წამყვან მკვლევართა დაფინანსებაზე, ასევე ტრენინგ-გრანტებს გარკვეული ტიპის სპეციალისტებისათვის. განაცხადებს გრანტის მიღებისათვის იხილავს როგორც საზოგადოება, ისე სხვა ექსპერტები და მხოლოდ გამორჩეულ პროექტებს მიენიჭება.

საზოგადოების კვლევითი პროგრამების წარმატებულობა იმითაც დასტურდება, რომ 30 ნობელის პრემიის ლაურეატს, სწორედ ამერიკის კიბოს საზოგადოების გრანტები აქვთ მიღებული მათი კარიერის დასაწყის ეტაპებზე.

საზოგადოებისშიდა ეპიდემიოლოგიური გრანტების საშუალებით საზოგადოება ახდენს კიბოს სიხშირის, ავადობის, სიკვდილიანობის, რისკ ფაქტორებისა და კიბოთი დაავადებული პაციენტების მოვლის შესახებ დესკრიპტიული ინფორმაციის გამოქვეყნებას, ასევე ანალიტიკური ეპიდემიოლოგიური მეთოდების გამოყენებით შეისწავლის კიბოს გამომწვევ მიზეზებსა და მისი პრევენციის გზებს (ასეთი კვლევების ჩატარებას საზოგადოების ეპიდემიოლოგიური განყოფილება უკვე 50 წელია აწარმოებს). ბოლო ორი წლის მანძილზე, ეპიდემიოლოგიური განყოფილება

თანამშრომლობს კიბოს ეროვნულ ინსტიტუტთან და დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრთან, რაც გამოიხატება საზოგადოებისათვის რეგულარული მოხსენებების წარდგენაში ამერიკაში კიბოს პრევენციისა და კონტროლის საქმეში მიღწეული პროგრესის შესახებ. ჩატარებული სამეცნიერო კვლევების რამდენიმე მაგალითი: კიბოს პრევენციის კვლევა I – მოიცავდა 25 შტატში მცხოვრებ 1 მილიონ ადამიანს 1959–1972 წლებში; კიბოს პრევენციის კვლევა II – ტარდება 1982 წლიდან და მოიცავს 50 შტატში მცხოვრებ 1,2 მილიონ ადამიანს, ხოლო მის განხორციელებაში მონაწილეობს 77 000 მოხალისე. კიბოს პრევენციის კვლევა II-ის საფუძველზე გამოცემული 100-ზე მეტი პუბლიკაცია ეხება კიბოს განვითარებაში ცხოვრების სტილის (თამბაქოს მოხმარება, მოუწესრიგებელი დიეტა, ჭარბი წონა და ა.შ.), დაავადების ოჯახური ისტორიის, გადატანილი დაავადებებისა და მიღებული მედიკამენტების, გარემო ფაქტორების როლს. კერძოდ განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა, თუ როგორ ახდენს გავლენას მოუწესრიგებელი დიეტა და ადინამია კიბოს განვითარებაზე. ამის გამოსავლენად, ყოველ 2-3 წელიწადში ხდება დაახლოებით 184 000 პირის გამოკითხვა სპეციალური კითხვარის საშუალებით. კიბოს პრევენციის კვლევა II-ის ფარგლებში ასევე მოხდა 30 000 – 65 000 პირის სისხლის ანალიზის აღება და შენახვა, შემდგომში დიეტის, ჰორმონალური და გენეტიკური ფაქტორების როლის დასადგენად.

საზოგადოებაში ბიჰევიერული (ქცევის) კვლევითი ცენტრი დაარსდა 1995 წელს, ორიგინალური ბიჰევიერული და ფსიქოლოგიური კვლევების ჩატარების მიზნით. ამჟამად მიმდინარე ასეთი ტიპის პროექტებს შორის აღსანიშნავია მთელი ქვეყნის მასშტაბით წარმოებული კვლევა, რომელიც 100 000 იმ პირს მოიცავს, რომელთაც დაესვათ კიბოს დიაგნოზი, მაგრამ ჩატარებული მკურნალობის შემდეგ გამოჯანმრთელდნენ. კვლევა მიზნად ისახავს დაადგინოს ამ პირთა ფსიქოლოგიური სტატუსი და პრობლემები, გამოავლინოს ფაქტორები, რომელნიც მათი ცხოვრების ხარისხზე ახდენენ გავლენას და შეიმუშავოს მათი ფსიქოლოგიურ დახმარებაზე ორიენტირებული პროგრამები. მსგავსი კვლევები ასევე ტარდება წარსულში კოლორექტალური კიბოს მქონე პირებში.

ამერიკის კიბოს საზოგადოების მიერ პაციენტთა მომსახურება კიბოთი დაავადებული თუ გამოჯანსაღებული ავადმყოფებისა და მათი ოჯახის წევრების სხვადასხვა მორალურ და პრაქტიკულ მხარდაჭერას გულისხმობს დაავადების დიაგნოზირებიდან სიცოცხლის ბოლომდე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ძუძუს კიბოთი დაავადებული ავადმყოფების დახმარების ღონისძიებანი სპეციფიკური მკურნალობის ჩატარებამდე, მკურნალობის პერიოდში და მის შემდეგ. საზოგადოება გამოსცემს სპეციალურ ჟურნალს, სადაც მოცემული სტატიები ეხმარებიან პაციენტებს გადაიტანონ დაავადებასთან დაკავშირებული სხვადასხვა პრობლემა, გარდა ამისა საზოგადოება თავისი ეგიდით აწარმოებს სპეციალურ ბიუსჰალტერებს (ქალებისათვის მასტექტომიის შემდეგ), სპეციალურ ქუდებს, თავსაფრებსა და პარიკებს (ქალებისათვის, რომელთაც ქიმიოთერაპიის შემდგომი პრობლემები აქვთ). ასევე, საზოგადოება მთელი ქვეყნის მასშტაბით წარმართავს პროგრამას კიბოთი დაავადებული პაციენტებისათვის – „გამოიყურებოდე კარგად, გრძნობდე თავს უკეთ“, რომელიც ასწავლის ქალბატონებს, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდნენ ლამაზად თავიანთი დაავადების არსებობის ფონზე ქიმიო და სხივური თერაპიის ჩატარების პერიოდში. რაც შეეხება მამაკაცებს, საზოგადოებას პროსტატის კიბოთი დაავადებული პაციენტებისათვის ასევე გააჩნია მხარდაჭერის სპეციალური პროგრამა,

რომელიც მათ სექსუალურ პარტნიორებთან ურთიერთობის შენარჩუნებაში ეხმარება. „შეეგუე კიბოს" – ასევე საზოგადოების ერთ-ერთი პროგრამაა, რომელიც პაციენტსა და მის ოჯახის წევრებს ეხმარება მცირე ლექციების კურსის ჩატარებით. ამგვარი პროგრამები უშუალოდ საავადმყოფოებში ხორციელდება და მათში მონაწილეობას იღებენ ექიმები, ექთნები, სოციალური მუშაკები და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები.

ამერიკის კიბოს საზოგადოების აზრით, კიბო წარმოადგენს პოლიტიკურ, სამედიცინო, სოციალურ, ფსიქოლოგიურ და ეკონომიკურ პრობლემას. ყოველდღე პოლიტიკოსები იღებენ გადაწყვეტილებებს, რომელნიც გავლენას ახდენენ 8 მილიონზე მეტ კიბოთი დაავადებულ ავადმყოფებზე, მათ ოჯახის წევრებზე და ყველა პოტენციურ პაციენტზე ამერიკაში. იმისათვის, რომ პოზიტიურად ემოქმედათ ამ გადაწყვეტილებათა ხასიათზე, ამერიკის კიბოს საზოგადოებამ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა საკანონმდებლო საქმიანობას, როგორც ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას და აქტიურად მუშაობს კიბოთი დაავადებული ავადმყოფების სასარგებლო პოლიტიკის გატარებისა და შესაბამისი კანონების მიღების პრომოცირებისათვის. ამერიკის კიბოს საზოგადოების საკანონმდებლო ინიციატივა მიზნად ისახავს ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოებრივ პოლიტიკაზე, არსებულ კანონებში ცვლილებების შეტანისა და ახალი კანონების მიღების თვალსაზრისით, რათა მოხდეს კვლევითი პროგრამების დაფინანსება, მაღალი ხარისხის მკურნალობა იყოს აბსოლუტურად ხელმისაწვდომი, წარმოებულ იქნეს ონკოლოგიური სფეროს რეფორმები და დაცულ იქნეს პაციენტთა ინტერესები, საშუალება მიეცეს მეცნიერებს აწარმოონ გენეტიკური და ბიოსამედიცინო კვლევები, მოხდეს თამბაქოს მოხმარების პრევენცია და შემცირება, გაიზარდოს კლინიკური კვლევების წარმოებისა და მათში მონაწილეობის საშუალება, გაუმჯობესდეს კიბოსთან დაკავშირებული ტკივილისა და სხვა თანმხლები სიმპტომების მკურნალობა, შემცირდეს ონკოლოგიური ავადობა და სიკვდილიანობა სოციალურად დაუცველ მოსახლეობის ფენებში, წარმოებულ იქნეს კონკრეტული ლოკალიზაციების კიბოს ადრეული აღმოჩენისა და მკურნალობის პროგრამები.

ამერიკის კიბოს საზოგადოების ფინანსირების ძირითადი წყარო შემოწირულობებია, რომელთა განხორციელებაც ფოსტით, ტელეფონით ან საზოგადოების ოფიციალური ვებ გვერდიდანაა შესაძლებელი (Online Donation). შემოწირულობის გაკეთება შესაძლებელია ფულის, მანქანის, კომპიუტერის ან სხვა საყოფაცხოვრებო საგნის სახით.

ეს და ასევე სხვა მრავალი საკითხი ამერიკის კიბოს საზოგადოების საქმიანობის შესახებ შესაძლებელია ნანახი იქნეს ამერიკის კიბოს საზოგადოების ოფიციალურ ვებ გვერდზე http://www.cancer.org.

**თეონა მაღლაკელიძე**
*უმაღლესი სამედიცინო სკოლა „აიეტის" ექიმი*

# მეიოების ღვაწლი მსოფლიო მედიცინის განვითარებაში

მეიოს კლინიკა წარმოადგენს მსოფლიოში ერთ-ერთ თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილ უძლიერეს კლინიკას, რომელიც სამეცნიერო თვალსაზრისით მრავალი მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენის ცენტრია, აერთიანებს კლინიკათა ქსელს და ქმნის მეიოს ფონდს.

მეიოს ფონდი მოიცავს საქველმოქმედო ორგანიზაციას, რომელიც მდებარეობს როჩესტერში, მინესოტას შტატში. კლინიკური პრაქტიკის, კვლევის და განათლების ინტეგრაციის შედეგად იგი უზრუნველყოფს საუკეთესო მზრუნველობას ყოველი პაციენტის მიმართ ყოველ დღე.

მეიოს კლინიკა ჩამოაყალიბა ექიმმა ვილიამ ვორალ მეიომ საველე სამედიცინო პრაქტიკის საფუძველზე და მისმა ორმა შვილმა ვილიამ და ჩარლზ მეიოებმა. ექიმმა ვილიამ ვორალმა თავისი სამშობლო – ინგლისი 1846 წელს დატოვა და დამკვიდრდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. 1850 წელს იგი გაიწვიეს სამოქალაქო ომში, როგორც ქირურგი და გახდა გაერთიანებული სამედიცინო საბჭოს წევრი თავდაპირველად მინესოტას ოლქში.

ექიმ მეიოს ორმა შვილმა სამედიცინო წვრთნა დაიწყო ადრეულ ასაკში და ისინი მამის თანაშემწეები გახდნენ. სამედიცინო სკოლის დამთავრების შემდეგ ვილიამ და ჩარლზი შეუერთდნენ მამის სამედიცინო მოღვაწეობას. 1883 წელს ტორნადომ როჩესტერს დიდი ზარალი და მსხვერპლი მოუტანა. დროებითი საავადმყოფოები განლაგდა სასტუმროებში და ოფისებში. მონაზვნები, წმინდა ფრანსისის მონასტრიდან, ეხმარებოდნენ როგორც ექთნები. ამის შემდეგ მონაზონმა დედა ალფრედ მოზ საკუთარი გამოცდილების საფუძველზე შთააგონა ექიმ ვილიამ ვორალ მეიოს, რომ შეექმნა პირველი მრავალპროფილიანი საავადმყოფო მინესოტას სამხრეთ აღმოსავლეთით. 1889 წელს პირველი პარტნიორობის საფუძველზე გაიხსნა 27-საწოლიანი სანტ-მერის საავადმყოფო.

სამედიცინო მომსახურების მოთხოვნის ზრდასთან დაკავშირებით, ძმებმა მეიოებმა მოიწვიეს ექიმები, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს მეიოს კლინიკის აღორძინებაში. მათ შორის გამოირჩეოდა ექიმი ჰენრი პლამერი, რომელმაც ძმები მეიოების შემდეგ განსაკუთრებით გამოიჩინა თავი მეიოს კლინიკის განვითარებაში. პირველად მან შემოიღო პაციენტთა მონაცემთა ბაზა, სადაც თითოეულ ფაილში გაერთიანებული იყო ამა თუ იმ პაციენტის ყველა საჭირო სამედიცინო ინფორმაცია, ასევე ამ ფაილების ადვილად მოსაძებნად მან შემოიღო პაციენტის დიაგნოსტიკური ინდექსი.

სამედიცინო პრაქტიკის ზრდამ გამოიწვია ახალი შენობის აგების აუცილებლობა. ახალი საავადმყოფოს გეგმის შექმნა მიანდეს ექიმ ჰენრი პლამერს. მან ერთ ჭერქვეშ მოათავსა სამედიცინო განყოფილებები, ლაბორატორიები და საკონფერენციო დარბაზები. თითოეული სართული დაკავშირებული იყო პაციენტთა მონაცემთა ბაზასთან ისე, რომ წუთებში ხელმისაწვდომი ყოფილიყო პაციენტთა ინფორმაცია ექიმისთვის. ექიმმა პლამერმა საფუძველი ჩაუყარა პირველ ინტერკომუნიკაციურ სატელეფონო სისტემას მეიოს კლინიკაში.

გამოცდილებასთან ერთად იზრდებოდა რეპუტაცია, რამაც მოითხოვა ჯანდაცვის სისტემის განახლება. რის საფუძველზეც ჩამოყალიბდა შემდეგი სპეციალობები: ორთოპედია (1912), ნევროლოგია (1913), თორაკალური ქირურგია (1915), დერმატოლოგია (1916), პედიატრია (1917), ნეიროქირურგია და პროქტოლოგია ( 1919).

ძმებმა მეიოებმა გადაწყვიტეს თავიანთ კლინიკურ პრაქტიკაში გაეერთიანებინათ კვლევა და განათლება. 1915 წელს გაიხსნა მეიოს სამედიცინო სკოლა, რომელმაც ერთ-ერთმა მსოფლიოში გაწვრთნა მრავალი სპეციალობის ექიმები. საკუთარი პრაქტიკის გასაუმჯობესებლად ექიმები ჩამოდიოდნენ სხვადასხვა ქვეყნიდან მეიოს კლინიკაში, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ მატრენირებელ პროგრამას ექიმებისათვის. მას შემდეგ მეიოს კლინიკა სამეცნიერო თვალსაზრისით მრავალი მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენის ადგილი გახდა:

1. 1914 წელი, პირველად მოხდა ჰორმონ თიროქსინის გამოყოფა მეიოს კლინიკაში.
2. 1920 წელი, მეიოს კლინიკაში შემუშავდა სიმსივნეების გრადაციის სისტემა, რომელიც დღემდე გამოიყენება.
3. 1925 წელი, მეიოს კლინიკის ექიმებმა ფსორიაზის სამკურნალოდ ულტრაიისფერი სხივი და მაზუთი გამოიყენეს, რომელიც დღემდე ფსორიაზის საწინააღმდეგოდ საკმაოდ ეფექტურ მკურნალობად ითვლება.
4. 1930 წელი, ჯეიმს ლირნმორტმა უხელმძღვანელა პირველ ოპერაციას კარპალ- ტუნელ სინდრომის დროს.
5. 1934 წელი, აღმოაჩინეს ჰორმონი კორტიზონი, რომელიც წარმატებულად გამოიყენება რევმატოიდული ართრიტის მკურნალობაში.
6. 1944 წელი ტუბერკულოზის წინააღმდეგ გამოიყენეს სტრეპტომიცინი ახალგაზრდა 21 წლის ქალზე, რომელიც დაავადებული იყო ფილტვის ტუბერკულოზის ბოლო სტადიით. მკურნალობამ დადებითი შედეგი გამოიღო.

1939 წელს გარდაიცვალნენ ძმები მეიოები.

დღემდე მეიოს ფონდი ემსახურება პაციენტთა უზრუნველყოფას, კვლევას და განათლებას.

პაციენტთა სრულფასოვან კვლევა-მკურნალობას განაპირობებს შემდეგი კლინიკები:

1. მეიოს კლინიკა როჩესტერში - ყოველწლიურად იღებს 311,377 პაციენტს. კლინიკას ემსახურება 1493 ექიმი და მკვლევარი, და 1500-ზე მეტი რეზიდენტი .
2. სანტ-მერის საავადმყოფო – სადაც 1157 ლიცენზირებული საწოლია ხელმისაწვდომი, 52 საოპერაციო ოთახი, ჩატარებული ოპერაციების რიცხვი შეადგენს 27,476, საავადმყოფოში გაჩერების საშუალო პერიოდია 6,2 დღე,
3. როჩესტერის მეთოდისტთა საავადმყოფო – პაციენტთათვის 794 ლიცენზირებული საწოლია, 40 საოპერაციო ოთახი, სადაც ყოველწლიურად ტარდება 20,600 ოპერაცია.

1986 წელს ზემოთ ხსენებული კლინიკები გაერთიანდნენ და შექმნეს სამედიცინო მომსახურების ერთიანი ქსელი ქალაქ როჩესტერში. მეიოს კლინიკათა ქსელი გაცდა მინესოტას ფარგლებს და 1986 წელს ქ. ჯექსონვილში, ფლორიდის

შტატში, გაიხსნა მეიოს კლინიკა, რომელიც მოიცავს 4410 სამედიცინო პერსონალს და ყოველწლიურად 550000-ზე მეტ პაციენტს მკურნალობს.

1987 წელს გაიხსნა მრავალპროფილიანი საქველმოქმედო მეიოს კლინიკა ქალაქ სკოტსდეილში, არიზონას შტატში, საერთო პერსონალის რაოდენობა არის 3750, სამედიცინო დახმარება 600000 პაციენტს უტარდება. მეიოს ფონდში, რომელიც სამედიცინო განათლებას ემსახურება, გაერთიანებულია შემდეგი დაწესებულებები:

1. მეიოს სამედიცინო სკოლა, სადაც 42 ადგილზე მიდის 3076 განცხადება, ჩამოსული სტუდენტების რაოდენობა შეადგენს 335.
2. მეიოს კურსდამთავრებულთა სკოლა მსოფლიოში განათლების უდიდესი ცენტრია, რომელიც აწარმოებს ექიმების ტრენინგს 100-ზე მეტ სპეციალობაში და ქვესპეციალობაში.
3. განგრძობითი სამედიცინო განათლების სკოლა მოიცავს კურსებს ექიმებისათვის და სხვა სამედიცინო პერსონალისთვის. ამჟამად 196 კურსთა რაოდენობაა.

მეიოს ფონდში სამედიცინო კვლევა აერთიანებს პროგრამებს, რომლებიც აწარმოებენ კვლევას კლინიკურ და საბაზისო დისციპლინებში. მეიოს ჯანდაცვის სისტემა წარმოადგენს კლინიკებისა და ჰოსპიტლების ქსელს გადანაწილებულს სამხრეთ მინესოტას, ჩრდილოეთ აიოვას და დასავლეთ ვისკონსინის შტატებში, იგი მოიცავს 615 ექიმს, ჯანდაცვაში მომსახურე 9,750 პირს და 13 ჰოსპიტალს. ამჟამად მეიოს კლინიკაში მიმდინარეობს მრავალი პერსპექტიული კვლევა და პროცედურა, რომელიც მსოფლიოს ახალ აღმოჩენებს სთავაზობს. კერძოდ, მეიოს კლინიკაში თირკმლის გადანერგვის სპეციალისტთა ჯგუფმა შემოიღო თირკმლის გადანერგვის პროცედურა, რომელსაც დადებითი შეთავსებადობა უწოდეს (positive crossmatch), ეს პროცედურა მნიშვნელოვნად ამცირებს იმის შანსს, რომ მოხდეს გადანერგილი ქსოვილის შეუთავსებლობა. მეიოს კლინიკა იმ კლინიკების მცირე რიცხვს ეკუთვნის, რომელიც აწარმოებს ამ პროცედურას.

მეიოს კლინიკა სკოტსდეილში, ერთ-ერთია აშშ-ის წამყვან კლინიკებს შორის, რომელიც იყენებს კაფსულოვან ენდოსკოპიას, ეს პროცედურა მოიცავს მინიატურულ კომპიუტერიზებულ კამერას, რომელიც საშუალებას გვაძლევს აღმოვაჩინოთ სხვადასხვა ამოუხსნელი პრობლემები საჭმლის მომნელებელ სისტემაში, რისთვისაც საჭიროა პაციენტმა მხოლოდ გადაყლაპოს ვიტამინის ზომის კაფსულა, რომელიც აღჭურვილია ვიდეოკამერით.

პირველად მეიოს კლინიკაში გადანერგეს ღვიძლი ცოცხალი დონორისგან. ეს პროცედურა მდგომარეობს შემდეგში: ჯანმრთელი, მოზრდილი დონორისგან იღებენ ღვიძლის სეგმენტს და სასწრაფოდ ხდება მისი ტრანსპლანტაცია, ამის მერე რამდენიმე კვირაში როგორც დონორის ასევე რეციპიენტის ღვიძლი განიცდის რეგენერაციას და აღიდგენს თავის ნორმალურ ფუნქციას.

მეიოს კლინიკაში სკოტსდეილში მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ჰეპატიტის C ვირუსი მრავლდება ცენტრალურ ნერვულ სისტემაში, და იწვევს ნეიროფსიქიატრიულ დარღვევას ქრონიკული C ჰეპატიტის დროს. ასევე ტრანსპლანტაციის სპეციალისტებმა დანერგეს ახალი სამკურნალო საშუალება დიაბეტით დაავადებულთათვის, რაც ამცირებს პანკრეასის გადანერგვისას შეუთავსებადობის სიხშირეს.

მეიოს მკვლევარებმა შეიმუშავეს ახალი ტექნოლოგია, რომელსაც colonic delivery technology –ეწოდება, იგი იყენებს სპეციალურ კაფსულას, რომელიც აყოვნებს მიღებული წამლის გამოთავისუფლებას ნაწლავში კაფსულის არსებობის პერიოდში.

წამლის დაყოვნებული გამოყოფა აუმჯობესებს პაციენტების მდგომარეობას შემდეგი დაავადებების დროს: გაღიზიანებული ნაწლავის სინდრომი, ნაწლავის კიბო, წყლულოვანი კოლიტი და კრონის დაავადება.

როჩესტერში წარმატებით გამოიყენეს ანტივირუსული პრეპარატი, რომელიც ხელს უშლის თავის ტვინის დაზიანების პროგრესირებას შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომის დროს. გარდა ამისა მეიოს კლინიკაში განავითარეს ტესტი, რომელიც სწრაფად აღმოაჩენს ციმბირის წყლულის გამომწვევს, ეს ტესტი საჭიროებს ერთ საათზე ნაკლებს რამდენიმე დღის ნაცვლად გამომწვევის დეტექციისთვის. ამ კლინიკის მკვლევარები ცდილობენ გააფართოვონ და ხელმისაწვდომი გახადონ ამ კვლევის ჩატარება-გამოყენება სხვადასხვა კლინიკებსა თუ ლაბორატორიებში.

მკვლევარებმა მეიოს კლინიკაში აღმოაჩინეს ინტაქტური მუტანტური ცილა რომელიც ანადგურებს ტვინის უჯრედებს ჰანტინგტონით დაავადებულ პაციენტებში.

აღმოჩენილია გულის გენი, რომელიც პირდაპირ მოლეკულურ კავშირშია ახალშობილთა უეცარი სიკვდილის სინდრომთან.

ეს იმ კვლევებიდან მცირეთაგანია რომელსაც აწარმოებს მეიოს კვლევითი ცენტრი.

მეიოს კლინიკაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება პაციენტის და მისი ოჯახის წევრების განათლებას სამედიცინო სფეროში. ამ მიზანს ემსახურება მეიოს კლინიკის ფონდთან არსებული პაციენტთა საგანმანათლებლო ცენტრი (patient education center). ცენტრს გააჩნია ბიბლიოთეკა, რომელიც მდიდარია სამედიცინო ჟურნალ-გაზეთებით, წიგნებით, ვიდეომასალებით, კომპიუტერებით და სამედიცინო მოდელებით. იგი ქმნის გარემოს, სადაც პაციენტს შეუძლია მაქსიმალური ინფორმაცია მიიღოს თავისი დაავადების შესახებ. ცენტრში არსებულ სასწავლო ჯგუფებს ხელმძღვანელობენ სპეციალისტები, რომლებიც ეხმარებიან და ასწავლიან პაციენტებს როგორ გამოიჩინონ მზრუნველობა საკუთარი თავის მიმართ ან როგორ აიცილონ ამა თუ იმ დაავადების განვითარება პროფილაქტიკური ღონისძიებების საშუალებით. თოთოეული სასწავლო ჯგუფი განიხილავს კერძო საკითხს თუ დაავადებას, როგორიც არის: ჰიპერტენზია, ფიბრომიალგია. ასევე არსებობს ჯგუფი, რომელიც ამზადებს პაციენტს დაგეგმილი ოპერაციისთვის. პაციენტის მეგობარს თუ ოჯახის წევრს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს დაავადების განხილვის პროცესში.

ეს მცირე ინფორამაციაა, რომელიც გარკვეულ შთაბეჭდილებას გვიქმნის მეიოს კლინიკის შესახებ. არსებული მოხსენებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მეიოს კლინიკას მსოფლიო მედიცინის განვითარებაში უდიდესი წვლილი აქვს და კიდევ, არაერთ მსოფლიო მნიშვნელობის სამედიცინო გადატრიალებას გვპირდება.

გამოყენებული ლიტერატურა


1. Mayo Press – Mayo Clinic Facts, 2001.
2. Mayo Press – Mayo Today, April 2002.
3. Mayo Press – Mayo Clinic, 1999.
4. Mayo Press - Teamwork at Mayo: An experiment in cooperative individualism, 1998.
5. Mayo Foundation for Medical Education and Research – Patient's guide to Mayo Clinic, 2002.

**მაია ნიჟარაძე, გიორგი წერედიანი**
*უმაღლესი სამედიცინო სკოლა „აიეტი"-ს ექიმები*

# სამედიცინო ეთიკის საკითხები ამერიკის შეერთებულ შტატებში ანუ პაციენტისა და ექიმის ურთიერთობა

უკანასკნელი 30 წლის მანძილზე ამერიკის შეერთებულ შტატებში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს სამედიცინო ეთიკის საკითხებს. XXI საუკუნის კლინიცისტები ყურადღებით უნდა მოეკიდონ მას, რათა ამა თუ იმ სიტუაციაში სწორი გადაწყვეტილება მიიღონ. თანამედროვე მედიცინის არაჩვეულებრივ მიღწევებთან ერთად ამერიკის შეერთებულ შტატებში სულ უფრო იხვეწება ექიმ-პაციენტის ურთიერთდამოკიდებულების ფორმები.

ეჭვს არ იწვევს, რომ პაციენტსა და ექიმს შორის კარგი ურთიერთდამოკიდებულება მკურნალობის საუკეთესო შედეგის წინაპირობაა. ბოლო ათწლეულში ახალი, მოწინავე ტექნოლოგიების აღმოჩენისა და დამკვიდრების მიუხედავად, პაციენტის და ექიმის ურთიერთობა კვლავ ერთ-ერთ მნიშენელოვან საკითხად რჩება. აშშ-ში ჩატარებულმა გამოკვლევებმა ნათელყო, რომ ექიმსა და პაციენტს შორის ნდობა მკვეთრად აუმჯობესებს ავადმყოფის მდგომარეობას, ამცირებს მისი დაავადების სიმპტომებს და ფსიქოლოგიურ დაძაბულობას. მკურნალობის ეფექტურობა დამოკიდებულია ექიმის უნარზე სწორად წარმართოს ინტერვიუ, რადგანაც სწორედ ამ დროს მყარდება ორ ადამიანს შორის განსაკუთრებული ურთიერთობა. დროის მცირე მონაკვეთში ორი უცხო ადამიანი – პაციენტი და ექიმი – ერთი მხარისთვის საკმაოდ ფაქიზ პირადულ დეტალებს განიხილავენ. ნდობის ჩამოყალიბებისთანავე ავადმყოფს უადვილდება მისი დაავადების დეტალებზე საუბარი. ნათელი ხდება, რომ აუცილებელია მჭიდრო კავშირის ანუ თერაპიული ალიანსის ჩამოყალიბება.

ინტერვიუს ძირითადი მიზანია პაციენტის დაავადებასთან დაკავშირებული მნიშენელოვანი ინფორმაციის შეგროვება და იმის გარკვევა, თუ რამდენად არის პაციენტი ადაპტირებული ამავე მდგომარეობასთან. ყოველივე ამის შემდეგ შესაძლებელია სწორად შეფასდეს პაციენტის მდგომარეობა. გამოცდილი ექიმი, ითვალისწინებს რა პაციენტის მიერ წარმოდგენილ ყველა ასპექტს, მიჰყვება იმ ლოგიკურ ხაზს, რომელსაც ყველაზე მნიშენელოვნად ჩათვლის. ასევე გასათვალისწინებელია ავადმყოფის ცხოვრების ის სოციალური, ეკონომიური და კულტურული ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ მის სამედიცინო პრობლემაზე. ინტერვიუს მნიშენელოვან ნაწილად მიიჩნევა აგრეთვე დიაგნოზის შესახებ პაციენტის ინფორმირება (გათვითცნობიერება), მასთან მკურნალობის გეგმის განხილვა და ცხოვრების ჯანსაღი წესის თაობაზე რჩევების მიცემა.

ექიმი ასევე უნდა ფლობდეს პაციენტის მიერ საუბრის დროის წარმოჩენილი ფარული თუ აშკარა მინიშნებების გამოცნობის და წვდომის უნარს. მართალია, ჟესტ-მიმიკის ენა მნიშენელოვანია, მაგრამ ექიმ-პაციენტის ურთიერთდამოკიდებულების ძირითადი ნაწილი მაინც სასაუბრო ენა და მოსმენის ხელოვნებაა. მას შემდეგ, რაც ინფორმაცია შეგროვდება, (ყველა მინიშნებისა და აშკარად

წარმოთქმული დეტალების ჩათვლით), უკვე იოლი ხდება დიფერენციალური დიაგნოზის და სავარაუდო დიაგნოზის ამოცნობა.

ექიმს უნდა შესწევდეს უნარი, პაციენტს კითხვები მისივე სამედიცინო განათლების დონის გათვალისწინებით დაუსვას და ეს კითხვები მაქსიმალურად გასაგები გახადოს. ზოგჯერ გარკვეული თავისებური მდგომარეობის აღსაწერად შეიძლება სლენგის გამოყენება, რაც გაუგებრობას თავიდან აგვაშორებს და მეტად დაგვაახლოვებს პაციენტთან.

იმ პაციენტისათვის, რომელიც ექიმისგან განსხვავებულ ენაზე საუბრობს აუცილებელია თარჯიმნის ანუ ინტერპრეტატორის მოწვევა. სასურველია, იგი იცნობდეს იმ თავისებურ კულტურას, რომელსაც ესა თუ ის პაციენტი განეკუთვნება. ამ შემთხვევაში ინტერპრეტატორი ექიმსა და პაციენტს შორის ხიდად გვევლინება. მან არა მარტო უნდა თარგმნოს, არამედ ერთი მხარის აზრები და ემოციები მეორეს უნდა გადასცეს. ექიმი უნდა ერიდოს ინტერპრეტატორად პაციენტის ნათესავისა ან ოჯახის წევრის გამოყენებას, ვინაიდან ხშირად ასეთი პირი თარგმნისას ნებსით თუ უნებლიედ ცვლის ნათქვამის შინაარსს. მისი თანდასწრებით პაციენტი ასევე ერიდება ისეთ პირადულ დეტალებზე საუბარს, როგორიც სექსუალური ცხოვრება ან აკრძალული ნივთიერებების მოხმარებაა. მაგრამ პაციენტმა მთარგმნელად ნათესავის მოწვევა თუ ისურვა, მაშინ ექიმმა მისი ნება უნდა გაითვალისწინოს.

ავადმყოფთან საუბრისას ექიმმა უნდა დაადგინოს არა მხოლოდ ძირითადი სამედიცინო პრობლემის წარმომშობი მიზეზი, არამედ დაავადების მიმართ პაციენტის რეაქციაც. ძალზე მნიშვნელოვანია, რა ზეგავლენა მოახდინა დაავადებამ პაციენტზე, მის ყოველდღიურ ცხოვრებაზე, ოჯახზე, სამუშაოსა და სოციალური ცხოვრების წესზე.

პაციენტსა და ექიმს შორის განსაკუთრებით კარგი კავშირი მხოლოდ იმ შემთხვევაში მყარდება, როდესაც ექიმი ყურადღებიანია, მეგობრულად ექცევა პაციენტს და გულთან ახლოს მიაქვს მისი პრობლემები. ცხადია, ასეთი დამოკიდებულება დიდად სჯობს იმას, როცა ექიმი უსულგულო, სტანდარტული კითხვარიდან მოხმობილ კითხვებს მიყოლებით უსვამს ისედაც დაბნეულ და დაუცველ პაციენტს.

პაციენტი თავდაპირველად მისთვის ყველაზე იოლად განსახილველ საკითხებს წამოჭრის. უფრო მტკივნეული განცდების გამოვლინება მხოლოდ ტაქტიანი მიდგომით არის შესაძლებელი. ინტერვიუს წარმართვის ძირითადი პრინციპი იმას გულისხმობს, რომ პაციენტს საშუალება მიეცეთ თავისი ისტორია საკუთარი სიტყვებით გადმოსცეს. თხრობის ის მანერა, რომელსაც იგი საუბრისას იყენებს, კარგად ავლენს მისი დაავადების ბუნებას. ამ დროს ავადმყოფის სახის გამომეტყველებაზე, მის მოძრაობაზე თვალის მიდევნება დაგვეხმარება იმ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვებაში, რომელიც შემდგომ უნდა გამოგვადგეს. იმისთვის, რათა პაციენტს თხრობის გასაგრძელებლად მეტი სტიმული მიეცეს, ექიმმა შეიძლება კეთილისმყოფელი ღიმილი, თავის დაქნევა და სხვა მსგავსი ჟესტი და მიმიკაც გამოიყენოს. მოსმენის უნარი ექიმისთვის კიდევ ერთი ფასდაუდებელი ღირებულებაა, რადგან სწორედ ამ დროს ხდება ხოლმე დაავადებისთვის ნიშანდობლივი, ყველაზე მნიშვნელოვანი დეტალების აღმოჩენა.

სრულფასოვანი ინტერვიუს წარმართვისათვის მნიშვნელოვანია სამი შეგონება: მეტი უსმინე, ნაკლები ილაპარაკე და იშვიათად შეაწყვეტინე საუბარი. ინტერვიუს დროს პაციენტის საუბრის გაწყვეტა მისი ფიქრის ჯაჭვს არღვევს და ამის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი ფაქტები დარჩეს დაფარული. ამიტომ ინიციატივა პაციენტს უნდა დავუთმოთ, რათა მან თავად წარმართოს საუბარი.

თუ ექიმი პაციენტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას მწირად მიიჩნევს, მაშინ საჭიროა დაუსვას კითხვები: როგორ? სად? როდის? და არა– რატომ? „რატომ?"– კითხვა პაციენტს დამნაშავის როლში ამყოფებს, ან მის მონათხრობს საეჭვოს ხდის. სხვადასხვა ეროვნების და კულტურის ადამიანები ერთსა და იმავე სიტყვებსა თუ შეკითხვებს განსხვავებულად აღიქვამენ; ამიტომ დიდი სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო, რათა უნებლიედ ბრალმდებლის როლში არ აღმოჩნდეთ. ყველა პაციენტს, მისი ასაკის, სქესის, აღმსარებლობის, განათლების, ლეგალური სტატუსის, გამოცდილების, კულტურის, დაავადების, გარეგნობის, ემოციური და ეკონომიური მდგომარეობის მიუხედავად, ერთნაირი პატივისცემით უნდა მოვეპყროთ. ექიმმა უნდა შექმნას ისეთი უშუალობით გამორჩეული გარემო, სადაც პაციენტი თავს კომფორტულად იგრძნობს და საკუთარ პრობლემებზე თამამად ისაუბრებს.

ასევე მნიშვნელოვანია ექიმის ვიზუალური მხარე. პაციენტს ყოველთვის წინასწარ აქვს წარმოდგენილი სურათი საუკეთესო ექიმის, რომელთანაც იგი ურთიერთობას ისურვებდა. ექიმს მოეთხოვება იყოს მოხდენილად ჩაცმული და ატაროს სუფთა თეთრი ხალათი.

არის ისეთი სიტუაციები, რომლებმაც შეიძლება უხერხულობა შეუქმნას ექიმს, პაციენტს ან ორივეს ერთად. ამიტომ სასურველია ექიმი ნებისმიერ სიტუაციაში თავისუფალი და გულახდილი იყოს. არის შემთხვევები, როცა პაციენტი ნარკოტიკებისადმი თავის დამოკიდებულებაზე, უკანონო ქმედებებზე ან სექსუალურ გადახრებზე საუბარს არ ერიდება. ამ დროს საჭიროა სიფრთხილე. თუ ექიმმა მიუღებელი ქმედებების განსჯა დაიწყო, ამას შეიძლება ექიმის მიმართ პაციენტის ნდობის დაკარგვა მოჰყვეს. ასეთ სიტუაციაში კარგი იქნება ექიმმა პაციენტს აგრძნობინოს, რომ მას ყურადღებით უსმენს ( ეს შეიძლება მოკლე ფრაზითაც გამოიხატოს და შესაბამისი მოძრაობითაც). ამასთანავე არ უნდა აგრძნობინოს, ეთანხმება თუ არა მის ქმედებებს.

ინტერვიუს დროს მნიშვნელობა ენიჭება საუბრის ინტონაციას, ტემპს და ემოციებს, რომელსაც პაციენტი და ექიმი ავლენენ საუბრის დროს. ინტონაციის ცვლილებით მათ ნათქვამის მთელი არსის შეცვლა შეუძლიათ. საუბრის ეს თავისებურებები ხშირად უნებლიე ხასიათისაა და ამიტომ პაციენტის პიროვნულ განწყობილებაზე, თვისებებზე ბევრ რამეს გვეუბნებიან. ისინი გვეხმარებიან პიროვნების დეპრესიული თუ გაღიზიანებული, აფექტური თუ სხვაგვარი ემოციური მდგომარეობების ამოცნობაში. ექიმის საუბრის თბილი და რბილი ტონი დადებით გავლენას ახდენს პაციენტზე და ხელს უწყობს კარგი ურთიერთობის ჩამოყალიბებას.

ხშირად პაციენტთან საჭირო ურთიერთობის დასამყარებლად ხელის შეხებაც კი გვეხმარება. შეხებაზე რეაქცია შეიძლება მრავალი ფაქტორით იყოს განპირობებული. ესეთებია: პაციენტის სქესი, წარმომავლობა, ასაკი, ემოციური მდგომარეობა, აღმსარებლობა და სხვა. მაგალითად, სამხრეთ ამერიკელები უფრო კონტაქტურნი არიან, ბრიტანელები კი ნაკლებად კონტაქტურნი. სკანდინავიელები და ანგლო-საქსონი ამერიკელები საშუალედო ჯგუფში ხვდებიან. რაც უფრო

ხანში შესული ადამიანი, მით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს მისთვის ექიმის ხელის შეხებას. სიტუაციის შესაბამისად მხარზე ხელის დადებით ექიმი პაციენტის მიმართ თანაგრძნობას და მხარდაჭერას გამოხატავს. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია საუბრისას პაციენტს თვალებში ვუყუროთ. ინტერვიუს დროს ექიმი ყოველთვის უნდა ცდილობდეს ამგვარი კონტაქტი არ გაწყვიტოს. ამას პაციენტები ძლიერ აფასებენ.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად ამერიკის შეერთებულ შტატებში პაციენტის მიერ გამოთქმული მკვეთრი პრეტენზიების უმეტესი ნაწილი ექიმსა და პაციენტს შორის ცუდი ურთიერთობით არის გამოწვეული და არა სამედიცინო შეცდომების შედეგით. პაციენტი ექიმს ძირითადად მაშინ უჩივის, როცა მის მიმართ რწმენა ეკარგება. გამოკითხულ პაციენტთა უმრავლესობის აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი ბარიერი, რომელიც ავადმყოფს ექიმთან ურთიერთობის დამყარებაში უშლის ხელს, არის ის, რომ ექიმს ან საკმარისი დრო არ აქვს, ან პაციენტის პრობლემით სრულად არ არის მოცული. ხშირად პაციენტი ექიმს დროულად ვერ უკავშირდება, ან ექიმი პაციენტს დაავადების შესახებ არასაკმარის ინფორმაციას აწვდის და ა.შ. ის ექიმები, რომელთა მიმართაც პაციენტებს სასამართლოში საჩივარი არასდროს შეუტანიათ, როგორც წესი, თბილი და გულრწფელი ურთიერთობის დამყარებას ახერხებდნენ, ავადმყოფების მიერ გამოთქმულ აზრებით ინტერესდებოდნენ, იუმორით გამოირჩეოდნენ და ხანგრძლივ ვიზიტებს არ გაურბოდნენ. თუ ექიმი პაციენტის მიერ დასმულ შეკითხვას პასუხს ვერ სცემს, ტყუილი არ უნდა მოიშველიოს: საკმარისია „არ ვიცი"–უთხრას და მიმართოს იმას, ვინც მოცემულ კითხვაზე სწორ პასუხს გასცემს. ამას პაციენტები განსაკუთრებით აფასებენ. ასევე კარგია, როცა ექიმი პაციენტის ცხოვრებით დაინტერესდება, მას სამედიცინო პრობლემებზე კი არ ესაუბრება, არამედ ყოველდღიურ სხვადასხვა პრობლემებზე. ხელახალი ვიზიტისას სასურველია ექიმმა გაიხსენოს წინა შეხვედრის დროს პაციენტის მონათხრობი და, მაგალითად, ასეთი კითხვა დაუსვას: როგორ ჩაიარა თქვენმა მოგზაურობამ, თქვენი ვაჟი თუ მოინახულეთ? და ა.შ. ამგვარი კითხვებით იგი პაციენტს მიანიშნებს რომ ახსოვს წინა ვიზიტის დროს გამართული საუბრის შინაარსი, არ დავიწყებია მისი პრობლემები და, უბრალოდ, გულწრფელ ყურადღებას იჩენს მის მიმართ.

დღეს, როცა სამედიცინო-სადიაგნოსტიკო აპარატურა იმდენად დაიხვეწა და გაუმჯობესდა, რომ დიაგნოზის დასასმელად შეიძლება პაციენტის და ექიმის მჭიდრო ურთიერთობა აღარც კი იყოს საჭირო, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მკურნალობის საბოლოო დადებითი შედეგის მისაღწევად სწორედ მათ შორის ურთიერთობამ ითამაშოს უდიდესი როლი. როცა საავადმყოფოში მისული ავადმყოფი ექიმთან წინასწარი კონსულტაციის გარეშე პირდაპირ კომპიუტერული ტომოგრაფიის გასაკეთებლად გაიგზავნება, ცხადია, იგი თავს დემორალიზებულად და უხერხულად იგრძნობს. პაციენტი უცხო გარემოში აღმოჩნდება. წევს დედიშობილა, მასთან შემოდიან ჩაცმული ადამიანები, რათა უთხრან როდის რა გააკეთოს, როგორ მოიქცეს. ასეთი პაციენტისთვის გაურკვეველია, რა ელის მომავალში, რისთვის არის საჭირო ეს გამოკვლევა. პაციენტს განსაკუთრებით თრგუნავს, როცა საავადმყოფოში მისულს ტანსაცმელს ჩამოართმევენ, იქაურ პერანგს ჩააცვამენ და ხელზე ნომერს შეაბამენ. ამ წამიდან იგი ხდება „პაციენტი № ... ". ყოველივე ეს მის შემდგომ მკურნალობაზე არასასურველ ზეგავლენას ახდენს. ექიმმა უნდა

გაითვალისწინოს, რომ კლინიკაში ფეხის შემოდგმიდანვე განსაკუთრებული მნიშვნელობა პაციენტის გრძნობებს და განწყობას უნდა მიენიჭოს; ექიმი უნდა ეცადოს პაციენტს მკურნალობისა თუ დიაგნოსტიკის ყოველ ეტაპზე შეატყობინოს, აუხსნას და შეუთანხმოს, რისი გაკეთებაა სასურველი შემდგომ ეტაპზე. ასეთ შემთხვევაში პაციენტი სრულფასოვან პიროვნებად იგრძნობს თავს, ექიმის მიმართ ნდობით აღივსება და ეცდება დაეხმაროს მას, რათა მკურნალობამ შედეგი მოიღოს.

სასურველია ექიმსა და პაციენტს შორის ამგვარი ურთიერთდამოკიდებულება ყველა ქვეყანაში არსებობდეს. უამრავი სირთულის მიუხედავად, აუცილებელია ქართველმა ექიმებმაც გაითვალისწინონ სამედიცინო ეთიკის საკითხები და პატივისცემითა და თანაგრძნობით მოეპყრან პაციენტებს; ექიმის მოვალეობა ხომ სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ პაციენტს მისი ცხოვრების ურთულეს ეტაპზე უმძიმეს პირობებშიც კი მდგომარეობა შეუმსუბუქოს.

დიდი ექიმი და მოაზროვნე ალბერტ შვეიცერი ბრძანებდა: „ჩვენი ვალია ყოველთვის გვახსოვდეს და ვაცნობიერებდეთ, რომ მედიცინა მხოლოდ მეცნიერება როდია. იგი ამავე დროს ხელოვნებაა, რომელიც საშუალებას გვაძლევს ურთიერთობა დავამყაროთ ჩვენსა და პაციენტის ინდივიდუალობას შორის."

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Mark Swartz, Physical Diagnosis.
2. Margaret Gerteis, Through The Patient's Eyes.
3. Joanne Desmond, Communicationg With Today's Patient.

**მარინა შალამბერიძე, გივი კაციტაძე, ნათია ბუხრაშვილი**
*ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლინიკური საავადმყოფოს თანამშრომლები*

# ტოქსიკოლოგიური სამსახურის თავისებურებები ამერიკის შეერთებულ შტატებში

ამერიკის შეერთებულ შტატებში საკმაოდ დიდი ყურადღება ექცევა მოწამვლათა პრობლემას. იგი წარმოადგენს „ემერჯენსის"– გადაუდებელი სამედიცინო დახმარების შემადგენელ ნაწილს, რომელიც მუშაობს ე.წ. „სამედიცინო კონტინიუმის"–გამოვლენიდან გამოსავლამდე–პრინციპით, სადაც ფოკუსირება ხდება ადრეულ დიაგნოსტიკასა და მწვავე ავადმყოფთა მენეჯმენტზე. ვინაიდან ყველა მოწამვლა განიხილება როგორც „ქიმიური ტრამვა", იგი პრაქტიკულად ასევე ყველა შემთხვევაში მოითხოვს სწორედ გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას.

ამერიკის შეერთებული შტატების კლინიკური ტოქსიკოლოგიის აკადემიამ სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე გამოყო თავისი შედეგებით ყველაზე უფრო საშიში 10 მოწამვლა. ესენია:

- ანტიდეპრესანტები;
- ანალგეტიკური საშუალებები;
- სედაციურ–ჰიპნოტიკური მოქმედების საშუალებები;
- ქუჩის ნარკოგენები;
- გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე მომქმედი საშუალებები;
- ალკოჰოლი;
- ტოქსიკური კვამლი და აირი;
- ქიმიური რეაგენტები;
- ბრონქული ასთმის სამკურნალო საშუალებები;
- საყოფაცხოვრებო ქიმიის საშუალებები.

ვინაიდან, როგორც ითქვა, მწვავე მოწამვლები წარმოადგენენ გადაუდებელი მედიცინის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს, საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ თანამედროვე რეანიმაციის ერთ-ერთი პიონერის, ამერიკელი მეცნიერის საფარის სიტყვები: „გადაუდებელი მედიცინა, ისეთი, როგორსაც ჩვენ ვიცნობთ დღეს, იქმნებოდა მრავალი ექიმის, მკვლევრის, მეცნიერისა და ადმინისტრატორის მიერ, რომლებმაც ჩამოაყალიბეს გადაუდებელი დახმარების ცენტრები, ინტენსიური თერაპიისა და კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ ავადმყოფთა მთელის განყოფილებები და გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების სისტემები." როგორც ვხედავთ, ბატონმა საფარმა ექიმებთან და მკვლევრებთან ერთად მათი წილი პატივისა მიაგო ადმინისტრატორებს, მენეჯერებს, რაც ესოდენ დამახასიათებელია ამერიკული ტიპის სამედიცინო სამსახურისთვის.

ამერიკელ სპეციალისტთა მონაცემებით მწვავე მოწამვლათა რიცხვი საკმაოდ შთამბეჭდავია (მაგალითად, 1997 წელს აშშ-ში დაფიქსირდა 2 მილიონზე მეტი მწვავე მოწამვლა, ხოლო ასეულობით ათასი ადამიანი მოხვდა საავადმყოფოებში) და იგი განუხრელად იზრდება. აღნიშნული სიტუაცია უკავშირდება ქიმიური მრეწველობის განვითარებასა და ქიმიურ ნაერთთა ფართო გამოყენებას

საყოფაცხოვრებო პირობებში, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, ასევე მედიკამენტურ საშუალებათა უკონტროლო მიღებასთან. აქედან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ არც ერთი სხვა სფერო გადაუდებელი მედიცინისა არ არის ისე ყოვლისმომცველი და დინამიური. „ქიმიური საფრთხის" ეს დინამიურობა მოითხოვს ახლებურ მიდგომას მოწამლულ პაციენტთა მკურნალობისადმი, ახალ სამკურნალო საშუალებათა გამოცდასა და გამოყენებას, რაც მოწამლულ ავადმყოფთა მკურნალობის პროცესს ხდის მეტად საპასუხისმგებლოდ, და ამავე დროს საინტერესოდ. პრობლემის გადაჭრას დიდად შეუწყო ხელი ერთის მხრივ, მწვავე მოწამვლათა შეყვანამ გადაუდებელი მედიცინის ქსელის ერთიან სისტემაში, ხოლო მეორეს მხრივ, სპეციალიზებული ტოქსიკოლოგიური ცენტრების ჩამოყალიბებამ.

პირველი ტოქსიკოლოგიური ცენტრი დაარსდა ჩიკაგოში 1953 წელს. სადღეისოდ ტოქსიკოლოგიური ცენტრების ამერიკული ასოციაცია ითვლის ასზე მეტ ცენტრს, რომელთაგან 37-ს მიკუთვნებული აქვს რეგიონული ცენტრის სტატუსი. ამ ცენტრებს შორის ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო სან-ფრანცისკოს ტოქსიკოლოგიურმა ცენტრმა, რომელიც შედის კალიფორნიის უნივერსიტეტის კლინიკის შემადგენლობაში, ისევე როგორც ჩვენი ცენტრი შედის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის შემადგენლობაში. ორივეგან ხდება ორი პროცესი— ავადმყოფთა მკურნალობისა და სტუდენტ-მედიკოსთა სწავლება. ამის გამო ჩვენთვის მნიშვნელოვანი იქნება აღნიშნულ დაწესებულებასთან კონტაქტის დამყარება.

როგორია ავადმყოფთა მომსახურების სპეციფიკა ამერიკის ტოქსიკოლოგიურ ცენტრებში? უპირველეს ყოვლისა, მათი სტატუსი ითვალისწინებს ინფორმაციის ტელეფონით მიწოდებას 24 საათის განმავლობაში. ეს სრულდება კვალიფიციურ, სათანადო სერთიფიკატის მქონე სპეციალისტთა მეშვეობით, რომელთაც აქვთ სათანადო გამოცდილება და გავლილი აქვთ შესაბამისი სამედიცინო კურსი. მათ განკარგულებაშია სპეციალური ლიტერატურა და უახლესი ცნობარები. ყველა კონსულტაცია იგეგმება და ის თანაბრად მისაწვდომია როგორც მოსახლეობის, ასევე მედიკოსებისათვის. ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ მიცემული იყოს სწორი, თანამიმდევრული რეკომენდაციები. გარდა ამისა უზრუნველყოფილია ისეთ სპეციალისტთა კონსულტაცია, როგორიცაა მაგალითად: პედიატრი, ნევროპათოლოგი, ფსიქიატრი და ა. შ.

ამერიკაში ტოქსიკოლოგიურ ცენტრს აკისრია კიდევ ორი მნიშვნელოვანი ფუნქცია— კავშირის დამყარება 911 სასწრაფო დახმარების სამსახურთან. გარდა ამისა ცენტრი ანხორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას როგორც სამედიცინო პერსონალის, ასევე მოსახლეობისთვის.

ფასდაუდებელია ტოქსიკოლოგიური ცენტრების მნიშვნელობა მოწამვლათა იდენტიფიცირებასა და დიაგნოსტიკაში, რადგან რა დონის ცოდნაც არ უნდა ჰქონდეს გადაუდებელი ან კრიტიკული განყოფილების ექიმს, შეუძლებელია მან იცოდეს უამრავი მოწამვლის ყველა სიმპტომი და მკურნალობის თავისებურებები.

ამასვე ამტკიცებს ამერიკის შეერთებული შტატების ტოქსიკოლოგთა ასოციაციის მემორანდუმი, რომელშიც ვკითხულობთ: „სამწუხაროდ, ჯანმრთელობის დაცვის სისტემის პირველადი რგოლის ექიმები ხშირად სათანადოდ ვერ ერკვევიან მოწამლულ ავადმყოფთა საწყისი მდგომარეობის შეფასებაში, რის გამოც მკურნალობაც ზედაპირულია." იმავე ასოციაციის მონაცემებით, ფატალური გამოსავლის მიზეზი საკმაოდ ხშირად ხდება არა მარტო ისეთი ფართოდ

გავრცელებული ნივთიერებებით ინტოქსიკაცია, როგორებიცაა ანტიდეპრესანტები ან ანალგეტიკები, არამედ ისეთებიც, რომლებიც იშვიათად იწვევენ მოწამვლას – ქლოროფორმი, მჟაუნმჟავა, ტრიქლორეთანი და სხვა. დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ ამგვარი და სხვა იშვიათი მოწამვლების შესახებ სათანადო ინფორმაცია სწრაფად მიეწოდოს სასწრაფო დახმარების ექიმს. ასევე ცნობილ მოწამვლათა დროსაც დიდი მნიშვნელობა აქვს სასწრაფოდ სწორი და მოკლე რჩევის მიცემას.

სათანადო საინფორმაციო წყაროებზე დაყრდნობით ცენტრის თანამშრომლებს შეუძლიათ საგარაუდოდ განსაზღვრონ მოწამვლის ხარისხი, მიიღონ და გასცენ ინფორმაცია მისი ტოქსიკური და ლეტალური დოზების შესახებ, ასევე მოწამვლის მიმდინარეობის ხანგრძლივობის შესახებ. ამ და სხვა მსგავს მიზეზთა გამო ტოქსიკოლოგიური ცენტრის მიერ გაწეული კონსულტაციის შემდეგ მოწამლული პაციენტებისათვის პირველადი დახმარების გაწევა შედარებით ადვილი ხდება.

ასევე აუცილებლად უნდა აღინიშნოს ე.წ. „სიცოცხლის შენარჩუნების" პროტოკოლი (გეგმა), რომელიც შედგენილია ნიუ-ორკის შტატის ტოქსიკოლოგიურ ცენტრში და შეიცავს სტანდარტიზებულ მონაცემებს მწვავე მოწამლულ ავადმყოფთა მკურნალობის შესახებ. ამჟამად ჩვენ ვეცნობით ამ პროტოკოლებს და თუ ისინი მიესადაგა ჩვენს პირობებს, ვეცდებით მათ დანერგვას მოწამლულ ავადმყოფთა მკურნალობის პრაქტიკაში.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ტოქსიკოლოგიური ცენტრები გადამწყვეტ როლს თამაშობენ მედდების, ექიმებისა და სხვა სამედიცინო პერსონალის უწყვეტ განათლებაში. ტოქსიკოლოგია, როგორც წესი, შეტანილია გადაუდებელი მედიცინის სარეზიდენტურო პროგრამაში. გარდა ამისა, ამერიკის ტოქსიკოლოგთა იმავე ასოციაციის მონაცემებით, მრავალი სარეზიდენტურო პროგრამის ხელმძღვანელები ითხოვენ, რომ მათმა რეზიდენტებმა აუცილებლად გაიარონ სწავლება ტოქსიკოლოგიაში.

ტოქსიკოლოგიის პოპულარობა იზრდება ჩვენშიც. ასე, მაგალითად, წელს გამოცხადებული რეზიდენტურის ერთ ადგილზე იყო 8 პრეტენდენტი, რაც საკმაოდ დიდი რიცხვია. რაც შეეხება რეზიდენტურას, საქართველოს ტოქსიკოლოგთა ასოციაციამ თხოვნით მიმართა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, რათა შინაგანი დაავადებების, კრიტიკულ მდგომარეობათა მედიცინისა და პედიატრიის სარეზიდენტურო პროგრამებში შეიტანონ განაკვეთი „ტოქსიკოლოგია."

· დაბოლოს ის მომენტი, რითაც ნამდვილად ამაყობს ამერიკის ტოქსიკოლოგიური სამსახური და, რომელიც ჩვენთვის უკვე რამდენიმე ათეული წელია გადაიქცა გადაუჭრელ პრობლემად. ეს გახლავთ მწვავე მოწამვლათა დროს ადამიანის ბიოსუბსტრატებში ტოქსიკურ ნივთიერებათა ექსპრეს-მეთოდით დადგენის შეუძლებლობა. ასე იყო იმ ავბედით 1989 წლის აპრილში, ასე არის ახლაც, ამიტომ ვსარგებლობ შემთხვევით და მივმართავ კომპეტენტურ პირებს, რათა შეძლებისდაგვარად დაეხმარონ საქართველოს ტოქსიკოლოგთა ასოციაციას თუნდაც ე.წ. „სექენდ-ჰენდის" ანუ უკვე ექსპლოატაციაში ნამყოფი ექსპრეს გამოკვლევისათვის გამოსადეგი თუნდაც ყველაზე მარტივი ტოქსიკოქიმიური ლაბორატორიის მოპოვებაში. ეს იქნება უდიდესი დახმარება მოწამლულ ავადმყოფთა დროული დიაგნოსტიკისა და ადეკვატური მკურნალობის საქმეში.

**ლალი შარვაძე**
*თსსუ სამედიცინო ფაკულტეტის ასისტენტი,*
*სს ინფექციური პათოლოგიის შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის*
*სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის ექიმი ინფექციონისტი*

# ვაშინგტონის უნივერსიტეტის როლი მსოფლიოში სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების და შიდსის დარგში სხვადასხვა ქვეყნების ექიმთა ცოდნის დონის ამაღლებისთვის

ვაშინგტონის უნივერსიტეტის (რომელიც მდებარეობს ქალაქ სიეთლში, აშშ, ვაშინგტონის შტატი) აივ ინფექცია/შიდსის და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების ცენტრი დაარსდა 1989 წლის ივლისში და მიზნად ისახავს სამეცნიერო და საგანმანათლებლო ტრეინინგებს, ავადმყოფთა ზედამხედველობას და საერთაშორისო თანამშრომლობას აივ ინფექცია/შიდსის და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების დარგში.

ვაშინგტონის უნივერსიტეტის 120-მდე ფაკულტეტი მონაწილეობს ამ ცენტრის პროგრამებში. იგი აერთიანებს შემდეგ სპეციალისტებს: შინაგანი მედიცინის, აკუშერ-გინეკოლოგებს, პედიატრებს, ოჯახის ექიმებს, დენტისტებს, სოციალურ მუშაკებს, საზოგადოებრივი ჯანდაცვის წარმომადგენლებს, ფარმაცევტებს და მიკრობიოლოგებს.

ამ ცენტრის მიზანია აივ ინფექცია/შიდსის და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების პრევენცია.

ვაშინგტონის უნივერსიტეტის აივ ინფექცია/შიდსის და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების ცენტრის დირექტორია კინგ კ. ჰოლმსი, მისი მოადგილე მერი ფილდერი. ტრეინინგს ძირითადად ატარებენ თვით ვაშინგტონის უნივერსიტეტის პროფესორ მასწავლებლები და აგრეთვე ამ კურსისთვის სპეციალურად მოწვეულნი არიან სხვადასხვა საერთაშორისო სპიკერები აშშ-ის სხვადასხვა შტატიდან. ამ კურსის მიზანია ექიმთა ტრეინინგი სქესობრივი გზით გადამდები დაავადებებისა და შიდსის საკითხებში. მე მქონდა შესაძლებლობა მონაწილეობა მიმეღო ზემოთაღნიშნულ ტრეინინგში 2000 წლის ზაფხულში. აღნიშნულ ტრეინინგში საქართველოს გარდა მონაწილეობდა შემდეგი ქვეყნები: ალბანეთი, ბულგარეთი, ჩინეთი, ინდოეთი, მაკედონია, რუსეთი, უგანდა, ვიეტნამი, არგენტინა, კამბოჯა, საფრანგეთი, ტაილანდი, უკრაინა, სომხეთი, კენია, ჩინეთი, ნიგერია, აშშ, ბანგლადეში, ჩილე, ლატვია, პერუ, უზბეკეთი და სხვ.

**კურსის პროგრამა მეტად დატვირთულია და მოიცავს შემდეგ საკითხებს:**

- სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების და შიდსის გლობალური ეპიდემია.
- ქლამიდიური ინფექციის პათოგენეზი და კლინიკური ასპექტები.
- სიფილისის პათოგენეზი და კლინიკური ასპექტები.
- სქესობრივი გზით გადამდები ჰეპატიტები.
- პერინატალური HIV ინფექცია.
- ანტირეტროვირუსული მკურნალობა.

გენიტალური ჰერპესის პათოგენეზი და კლინიკური ასპექტები.
შანკროიდის პათოგენეზი და კლინიკური ასპექტები.
მენჯის ღრუს ანთებითი დაავადებები.
ვაგინიტები.
სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებთან ასოცირებული სინდრომების ეტიოლოგია.
აივ ინფექცია/შიდსი აშშ-ში.
ადამიანის პაპილომა ვირუსით გამოწვეული ინფექციის პათოგენეზი და კლინიკური ასპექტები.
გონორეა. პათოგენეზი და ვაქცინის შექმნის გზები.
სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების ბიოსტატისტიკა.

კურსი მოიცავდა ლექციებს, სემინარებს, პრაქტიკულ მეცადინეობებს და ავადმყოფთა კონსულტაციებს უნივერსიტეტის კლინიკებში.

სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები ძალიან აქტუალურია დღეს მსოფლიოში. იგი საერთაშორისო ჯანდაცვის უდიდესი პრობლემაა. დღეისათვის ცნობილია სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების 30-მდე გამომწვევი და მათი რიცხვი თანდათან მატულობს. მილიონობით ადამიანია დაავადებული ამ დაავადებებით. აღსანიშნავია ის, რომ სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების გარკვეული რაოდენობა უსიმპტომოდ მიმდინარეობს, ქრონიკულად და მათ სერიოზული ზიანის მოტანა შეუძლიათ, ხშირად სასიკვდილო შედეგით.

დიდია სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების როლი ორსულთა პათოლოგიის გამომწვევ და ახალშობილთა თანდაყოლილ ინფექციებში. აქედან გამომდინარე ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ დაავადებათა დროულ დიაგნოსტიკას და სწორ მკურნალობას, რაც თავის მხრივ მოითხოვს ამ დავადებათა თანამედროვე, ზოგჯერ მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური მეთოდების ცოდნას, მიღებული ლაბორატორიული შედეგების სწორ ინტერპრეტაციას, და ამის შემდეგ საერთაშორისო რეკომენდაციებზე დამყარებული (ოფიციალურ გაიდლაინსებზე) მკურნალობის შერჩევას. ასევე ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ამ დაავადებათა პათოგენეზის და კლინიკური თავისებურებების ცოდნას.

სწორედ ამ მიზანს ისახავს ყოველწლიური ტრეინინგები, რომელიც, როგორც მოგახსენეთ, იმართება ქ.სიეთლში, ვაშინგტონის უნივერსიტეტში. ამ კურსის ხელმძღვანელი კინგ კ. ჰოლმსი არის მსოფლიოში ცნობილი, წამყვანი სპეციალისტი სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების დარგში, რომლის სახელმძღვანელოც „სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები", ერთ-ერთ საუკეთესო სახელმძღვანელოდ ითვლება მსოფლიოში ამ დარგში, რომელსაც ავტორი ყოველწლიურად ამ კურსებში მონაწილე სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელს ჩუქნის. თავად მის პიროვნულ ღირსებებზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ყოველწლიურად ამ კურსების დაწყების წინ იგი თვითონ, თავის სახლში მასპინძლობს ყველა მონაწილეს, რაც ხელს გვიწყობს, როგორც ერთმანეთთან, ასევე მასთან დაახლოებაში, როგორც ესოდენ დიდ პიროვნებასთან და მეცნიერთან სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების დარგში.

დღემდე ეს ტრეინინგი გაიარა 600-მდე მონაწილემ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან და ყველა დიდი სიმპატიით და მადლიერებით აღნიშნავს ამ კურსების უდიდეს სარგებლობას და წარმატებულობას.

**ზურაბ ჩიჩუა**
*საქართველოს ყბა-სახის ქირურგთა და სტომატოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტომატოლოგიისა და ყბა-სახის ქირურგიის კათედრის დოცენტი*

# ყბა-სახის ქირურგთა და პირის ღრუს ქირურგთა XIV საერთაშორისო ფორუმზე ვაშინგტონში

საქართველოს ყბა-სახის ქირურგთა და სტომატოლოგთა ასოციაცია შეიქმნა 1991 წელს და არის საქართველოს ექიმ-სტომატოლოგთა საზოგადოების სამართალმემკვიდრე. ასოციაცია მიზნად ისახავს: ქვეყანაში სტომატოლოგთა და ყბა-სახის ქირურგთა ცოდნისა და სამსახურის დონის ამაღლებას, მეცნიერულ ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვას, კადრების მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას.

1997 წელი გარდამტეხი გამოდგა ჩვენი ასოციაციისათვის. 24–31 მაისს თურქეთში, ქ. ანტალიაში, შედგა ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების პირის ღრუსა და ყბა-სახის ქირურგთა IV კონგრესი, რომლის მუშაობაში მონაწილეობას ვიღებდი ასოციაციიდან. იქ შეხვედრა მქონდა პირის ღრუსა და ყბა-სახის ქირურგთა საერთაშორისო (მსოფლიო) ასოციაციის პრეზიდენტთან ბატონ რუდოლფ ფრიზთან, რომელიც იქვე ჩავაყენე საქმის კურსში, ჩვენი ასოციაციის არსებობისა და მოღვაწეობის შესახებ, რის შედეგადაც ფრიზმა მოისურვა საქართველოში ჩამოსულიყო და პირადად გაცნობოდა ჩვენი ასოციაციის საქმიანობას.

1997 წლის სექტემბერში საქართველოს ყბა-სახის ქირურგთა და სტომატოლოგთა ასოციაციის ეგიდით ჩატარდა შავი ზღვის ქვეყნების ყბა-სახისა და პირის ღრუს ქირურგთა და სტომატოლოგთა საერთაშორისო კონფერენცია, რომელზეც საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად მოვიწვიეთ მსოფლიო ასოციაციის პრეზიდენტი რუდოლფ ფრიზი (ავსტრია), მან გააკეთა ვრცელი მოხსენება და აღუთქვა საქართველოს ეროვნულ ასოციაციას, რომ ყოველ ღონეს იხმარდა, რათა იგი გაეწევრიანებინა მსოფლიოს პირის ღრუსა და ყბა-სახის ქირურგთა ასოციაციაში.

ზუსტად ერთ თვეში, 1997 წლის ოქტომბერში, იაპონიის ქალაქ კიოტოში გამართულ მსოფლიოს პირის ღრუსა და ყბა-სახის ქირურგთა მე-13 საერთაშორისო კონფერენციაზე საქართველოს ეროვნული ასოციაცია გააწევრიანეს მსოფლიო ასოციაციაში.

საერთაშორისო ასოციაციამ, რომლის შტაბბინაც არის ჩიკაგოში, იკისრა საქართველოს ყბა-სახის ქირურგთა და სტომატოლოგთა ასოციაციის შეფობა. ამის შემდეგ უცხოეთში გამართული ყოველ შეხვედრაზე ჩვენც გვიწვევენ.

ყბა-სახის ქირურგთა და სტომატოლოგთა საერთაშორისო ასოციაცია (International Association of Oral and Maxillofacial Surgeons) დაარსდა 1971 წელს. იგი აერთიანებს ყველა კონტინენტის – ევროპის, ამერიკის, აზიის, აფრიკის და ავსტრალიის რეგიონულ ასოციაციებს და მსოფლიოს 68 ქვეყნის ეროვნულ ასოციაციებს. საერთაშორისო ასოციაციის დამფუძნებლები არიან ამერიკის, ბრიტანეთის, გერმანიის,

იაპონიის, ტაივანის, შვეციის, არგენტინის, აფრიკის, ნორვეგიის ასოციაციები და კერძო პირები (რუდოლფ ფრიზი, პოლ სტოელინგა, დანიელ ლასკინი, პიტერ ბენკსი, ჯონ ჰელფრიკი და სხვები).

არსებობის 29 წლის მანძილზე ყბა-სახის ქირურგთა და სტომატოლოგთა საერთაშორისო ასოციაციამ გამართა 13 კონფერენცია. 1999 წელს ჩატარდა რიგით მე-14 კონფერენცია, რომელიც გაიმართა ვაშინგტონში.

კონფერენციის სხდომები მიმდინარეობდა ვაშინგტონის ერთ-ერთ საუკეთესო სასტუმროს „Hilton and Towers"- ის ხუთ დიდ აუდიტორიაში ერთდროულად დილის 8 საათიდან საღამოს 5 საათამდე. პარალელურად მოწყობილი იყო სტომატოლოგიური ნაწარმის გამოფენა, რომელშიც მსოფლიოს მრავალი ცნობილი ფირმა მონაწილეობდა.

კონფერენციაზე გარდა მოხსენებებისა, ჩატარდა სიმპოზიუმები, სემინარები, ლექციები, ნაჩვენები იყო ვიდეოფილმები, განხილული იყო პირის ღრუსა და ყბა-სახის ქირურგიის მრავალი საკითხი. მოხსენებებში აისახა: დენტო-ალვეოლური ქირურგია, სტომატოლოგიური იმპლანტოლოგია, ოდონტოგენური ინფექცია და მისი გართულებები, ცხვირის დანამატი ღრუების პათოლოგია, ყბა-სახის მიდამოს ტრავმატოლოგია და ონკოლოგია, საფეთქელ – ქვ. ყბის სახსრის პათოლოგია, ორთოგნათიული ქირურგია, დისტრაქციული ოსტეოგენეზი, ტუჩისა და სასის ნაპრალების ქირურგია, უკბილო ყბების ქირურგია, სანერწყვე ჯირკვლების ქირურგია, ქალა ფუძისა და ქალას სარქველის ქირურგია, ხერინეის ქირურგიული მკურნალობა, რინოპლასტიკა, ლაზერო ქირურგია,მიკროვასკულარული ქირურგია და სხვ.

საქართველოდან ყბა-სახის ქირურგთა და სტომატოლოგთა მე-14 საერთაშორისო კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო ოთხი მოხსენება: ორი მათგანი ეხებოდა სტომატოლოგიური განათლებისა და სწავლების საკითხებს (მომხსენებლები: ზურაბ ჩიჩუა და მაია ერაძე) დანარჩენი ორი კი კლინიკური გამოკვლევების ანალიზს შეადგენდა (სტომატოლოგიური იმპლანტოლოგია; პლაზმური ნაკადის გამოყენება სახის რეკონსტრუქციულ ქირურგიაში. მომხსენებლები: ომარ ნემსაძე, ზურაბ ჩიჩუა).

იმის გამო, რომ ყბა-სახის ქირურგთა და სტომატოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის ხელმძღვანელობამ ვაშინგტონში გასამგზავრებელი მიწვევა კონფერენციის მონაწილე დელეგაციის წევრებთან ერთად აშშ-ის თბილისის საელჩოსაც გაუგზავნა, ვიზის მიღებასა და საკონსულოში საბუთების გაფორმებასთან დაკავშირებით რაიმე გართულება არ გვქონია. ეს მაშინ, როცა იმ დღეს, როდესაც ჩვენი საბუთები ფორმდებოდა კონსულმა ყველა სხვა მსურველს უარი უთხრა აშშ-ში გამგზავრებაზე.

კონფერენციაში ჩვენი მონაწილეობის ხარჯებს აფინანსებდა საერთაშორისო ასოციაცია, ამერიკის ყბა-სახის ქირურგთა და პირის ღრუს ქირურგთა ასოციაციასთან ერთად.

კონფერენციის დელეგატები დაგვაბინავეს ქალაქის ცენტრში მდებარე საუცხოო სასტუმრო ჰილტონში.

იმავე დღეს შევხვდით ჩვენს ძველ მეგობრებს, პროფესორებს რუდოლფ ფრიზს და ნორბერტ შვენზერს, აგრეთვე, ერთ-ერთი გერმანული ფირმის წარმომადგენელს, რომელიც ერთი დღით იყო სპეციალურად ჩამოსული ვაშინგტონში

და, რომელსაც გარკვეული ინტერესები აქვს საქართველოსთან. პირველ დღესვე დაგვირიგეს საუცხოოდ გაფორმებული ბუკლეტები, პროგრამები და კონფერენციაზე წარმოდგენილ მოხსენებათა კრებულები.

„ლიდერშიპ კონფერენს" – ასე ეწოდებოდა კონფერენციის იმ ნაწილს, რომელიც პირველ დღეს გაიმართა და მთლიანად მიეძღვნა როგორც სტუდენტთა, ისე ექიმთა დიპლომის შემდგომი სწავლების, აღზრდისა და განათლების საკითხებს. ევროპასა და ამერიკაში თვლიან, რომ სწავლება უნდა იყოს განუწყვეტელი, მუდმივი, რომ ექიმი ყოველდღიურად უნდა იმაღლებდეს ცოდნის დონეს.

გერმანელმა პროფესორმა ნორბერტ შეენზერმა კონფერენციას მოახსენა საქართველოში ჩატარებული სემინარის შესახებ. საყოველთაო გაოცება გამოიწვია სლაიდმა, რომელიც მომხსენებელმა წარუდგინა აუდიტორიას და, რომელზეც წარმოდგენილი იყო თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის დიდი აუდიტორია, რომელიც სავსე იყო ექიმებითა და სტუდენტებით. სემინარების მიმდინარეობის დროს სხდომის შემდეგ გვეკითხებოდნენ – მართლა ასეთ ინტერესს იჩენენ თბილისში სემინარების მიმართ და ასე ხალხსავსეა ლექციების დროს აუდიტორიები?

ჩემს მოხსენებაში ხაზი გავუსვი უწყვეტი სწავლების დიდ მნიშვნელობას, აღვნიშნე, რომ საჭიროა კიდევ უფრო დაიხვეწოს როგორც სტუდენტთა, ისე ექიმთა სწავლა-განათლების მექანიზმები და აუდიტორიას გავაცანი თბილისში სტუდენტებისა და ექიმთა გამოკითხვის შედეგები საერთაშორისო ასოციაციის ლექტორთა მიერ ჩატარებული სემინარების შესახებ.

ამავე საღამოს გაიმართა კონფერენციის საზეიმო გახსნა. შემდეგ კი მიგვიწვიეს ბანკეტზე. გვესიამოვნა, რომ საბანკეტო დარბაზის კედლები მოფენილი იყო ჩვენი თანამემამულის ზურაბ წერეთლის პანორამით.

კონფერენციის მეორე დღე დაიწყო საბჭოების სხდომით. საბჭო ასოციაციის უმაღლესი ორგანოა. იგი ყველა გადაწყვეტილებას ამტკიცებს. საბჭოში თითო წარმომადგენელი ჰყავს ყველა ქვეყანას. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, თითო კაცითაა წარმოდგენილი საბჭოში ჩინეთი, იაპონია, ავსტრალია, აშშ, კანადა, ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია და საქართველოც. კონფერენციის ბოლო დღეს მეორე სხდომა გაიმართა. არჩეულ იქნა ასოციაციის ახალი პრეზიდენტი – ჯონ ჰელფრიკი, დამტკიცდნენ ჟურნალისა და გაზეთის რედაქტორები – პოლ სტიელინგა და ჯონ ფრეიმი, შეყვანილ იქნა ახალი წევრები ასოციაციის აღმასრულებელ კომიტეტში და სხვ.

ასოციაციის ახალ პრეზიდენტად არჩეულ იქნა ჯონ ჰელფრიკი, რომელიც არის მრავალი პროფესიული ორგანიზაციის წევრი, სადაც ხელმძღვანელობს კომისიებს. მაგალითად, ამერიკის ყბა-სახის ქირურგთა ასოციაციაში იგი განაგებს აკრედიტაციის კომისიას, მიღებული აქვს სხვადასხვა ჯილდოები.

კონფერენციაზე ჯონ ჰელფრიკი დაუახლოვდა საქართველოს დელეგაციის წევრებს, დაინტერესდა საქართველოთი და სიამოვნებით მიიღო ჩვენი მიპატიჟება. აქვე ქართველი ექიმები და სტუდენტები გააწევრიანეს ყბა-სახის ქირურგთა საერთაშორისო ასოციაციაში.

მინდა გავიხსენო ციტატა ი. ილფისა და ე. პეტროვის „ერთსართულიანი ამერიკიდან." იგი დაწერილია 1935–36 წლებში. მას შემდეგ, როგორც იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ ამერიკელთა სტუმართმოყვარეობაში ბევრი არაფერი

შეცვლილა: „ამერიკაში გამგზავრებისას ჩვენ ერთი რამ ამერიკული სტუმართმოყვარეობა არ გაგვითვალისწინებია. მას „ჰოსპიტალიტი" ეწოდება. იგი უსაზღვროა და ბევრად აჭარბებს ყველაფერს, რაც ამ თვალსაზრისით შეიძლება წარმოიდგინოთ, რუსული, ციმბირული თუ თვით ქართული სტუმართმოყვარეობის ჩათვლით. პირველივე ნაცნობი ამერიკელი უსათუოდ სახლში (ან რესტორანში) მიგიპატიჟებთ და კოქტეილით გაგიმასპინძლდებათ. კოქტეილის დასალევად თქვენი ნაცნობის ათი მეგობარი მაინც შეგროვდება. ყოველი მათგანი უსიკვდილოდ კოქტეილის დასალევად მიგიპატიჟებთ და ყოველ მათგანს ათი ან თხუთმეტი ამხანაგი ეყოლება: ორ დღეში ასი ახალი ნაცნობი გაგიჩნდებათ, ერთ კვირაში რამდენიმე ათასი. ამერიკაში ერთი წლით დარჩენა პირდაპირ სახიფათოა: შეიძლება გალოთდეთ და მაწანწალობა დაიწყოთ.

ჩვენი ახალი მეგობრების ათასეულები ერთი სურვილით იყვნენ შეპყრობილნი: ეჩვენებინათ ყველაფერი, რის ნახვასაც ჩვენ მოვისურვებდით, წამოგვყოლოდნენ ყველგან სადაც ჩვენ მოგვეინდებოდა, აეხსნათ ყველაფერი, რასაც ვერ გავიგებდით. საოცარი ხალხია ეს ამერიკელები - მათთან მეგობრობაც სასიამოვნოა და საქმის დაჭერაც."

ამერიკელები მართლაც ძალიან გულთბილი ხალხია. ქუჩაში ღიმილით გვხვდებიან. მძღოლი თუ შეამჩნევს რომ ქუჩაზე გადასვლას ჩქარობთ, აუცილებლად შეაჩერებს მანქანას და ხელით განიშნებთ – მიბრძანდითო.

დაწესებულებაში შესვლისთანავე ვიღაც აუცილებლად მოგეგებებათ ღიმილით და გკითხავთ, როგორ ბრძანდებითო, შემდეგ ჩაის ან ყავას შემოგთავაზებთ. მოკლედ, ირგვლივ სულ დადებითი ემოციებია.

ვაშინგტონში 7 დღის ყოფნის შემდეგ მერვე დღეს სამშობლოსკენ გამოვემგზავრეთ. დღესაც დიდი სურვილი მაქვს კვლავ მოვხვდე ამ საოცრად საინტერესო ქვეყანაში.

# ეკონომიკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

**გიორგი ანთელავა**
*ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი*

## ამერიკული კორპორაციული ბიზნესი ორგანიზაციული ცვლილებების მიჯნაზე

კორპორაციული ბიზნესის მკვიდრად დაფუძნებული, საკმაო სიდიდის სამეწარმეო-კომერციული ორგანიზაციების ტექნოლოგიასთან კონსოლიდირება, XX საუკუნის უნიკალური ამერიკული ფენომენია, რაც იმითაც დასტურდება, რომ ამ ფენომენის ინსტიტუციონალიზაცია ყველაზე უფრო მკაფიოდ, სწორედ ამერიკაში განხორციელდა. ეს აისახა კიდეც, შესაბამისი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებაში სათანადოდ სტრუქტურირებული ბიზნეს-ორგანიზაციებითა და საფინანსო-საინვესტიციო სისტემით.

კორპორაციული ბიზნესისა და ტექნოლოგიის კონსოლიდაცია შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ შესაბამის ორგანიზაციულ ფარგლებში, სათანადო პირობების უზრუნველყოფით.

ბიზნეს-ორგანიზაცია თავისთავადი ფენომენია – ჩამოყალიბების, არსებობისა და განვითარების უნიკალური კანონებით. შესაძლოა სწორად იქნეს წარმართული ბიზნესისა და ტექნოლოგიის კონსოლიდაციის ყველა კომპონენტი (საფინანსო, სამეცნიერო, საკადრო, საწარმოო და ა.შ.), მაგრამ თუ მოხდა „ჩავარდნა" ბიზნეს-ორგანიზაციის კომპონენტში - საბოლოო წარმატების მიღწევა შეუძლებელი იქნება.

ამჟამად, წარმატებული ამერიკული კორპორაციების უდიდეს ნაწილს გააჩნია საწარმოო თუ სხვა სახის საბიზნესო სიმძლავრეები სხვადასხვა ქვეყნებში და ამდენად, ისინი „მრავალნაციონალურ კორპორაციებს" (Multinational Corporations - MNC) წარმოადგენენ. ამავე დროს, საკუთრივ ორგანიზაციული თვალსაზრისით, ისინი შეიძლება განხილული იქნენ, როგორც „მრავალგანაყოფიანი კორპორაციები" (Multidivisional Corporations).

კორპორაციების განაყოფები, მსგავსი პროდუქციის ერთ ადგილას კონცენტრირებულად წარმოების მიზნით შექმნილ ავტონომიურ საწარმოო ერთეულებს წარმოადგენენ. მრავალგანაყოფიანი კორპორაცია სამეცნიერო ლიტერატურაში შესაბამისი ტერმინით - „მ-ფორმა" („M-form" - Multidivisional) აღინიშნება. მ-ფორმა 1920-იან წლებში წარმოიშვა, 1960-იანი წლებისათვის დომინანტური კორპორაციული მოდელი გახდა და მისი კლასიკური თეორია საფუძვლიანად არის დამუშავებული.

სტრატეგიისა და ორგანიზაციული სტრუქტურის ურთიერთ-განპირობებულობის თვალსაზრისით, შეიძლება გამოიყოს მ-ფორმის კორპორაციათა განვითარების სამი პარადიგმა:

1. სტრუქტურა მისდევს სტრატეგიას;

2. სტრატეგია და სტრუქტურა შემუშავდება გარკვეული თანმიმდევრობით;

3. ორგანიზაცია არ ცვლის თავის სტრუქტურას უკიდურესი აუცილებლობის გარეშე.

ვიდრე ბიზნეს-ორგანიზაცია დასრულებული M-ფორმის სახით ჩამოყალიბდება, განვითარების სტრატეგიის თვალსაზრისით, ის შემდეგ ოთხ ეტაპს გაივლის:

1. რაოდენობრივი ექსპანსია;
2. გეოგრაფიული განფენა;
3. ვერტიკალური ინტეგრაცია;
4. პროდუქციის დივერსიფიკაცია.

საწყის ეტაპზე, მთავარი საზრუნავი რაოდენობრივი ზრდის მაღალი მაჩვენებლების მიღწევაა, რაც წარმოშობს მძლავრი ადმინისტრაციის შექმნის აუცილებლობას. შემდგომ, განმსაზღვრელი ხდება გეოგრაფიული განფენილობის მიღწევა, რაც ადგილობრივი განაყოფების შექმნაში გამოისახება. მომდევნო, მესამე, ეტაპზე დგება ვერტიკალური ინტეგრაციის აუცილებლობა (საბიზნესო ციკლის მაქსიმალური სისრულით კორპორაციის ფარგლებში მოქცევა), რასაც შედეგად მოსდევს კორპორაციის მრავალფუნქციურ ორგანიზაციად ჩამოყალიბება. მეოთხე, საბოლოო ეტაპზე, განვითარების სტრატეგიას შეადგენს პროდუქციის დივერსიფიკაცია (გამრავალფეროვნება), რაც იწვევს მსგავსი პროდუქციის წარმოებისათვის შესაბამისი საწარმოო განაყოფების შექმნის აუცილებლობას. ეს კი, კორპორაციას კლასიკური M-ფორმის სახით აყალიბებს.

სამენეჯერო მიდგომების თვალსაზრისით, M-ფორმის კორპორაციები სამ ტიპად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

1. ეთნოცენტრული;
2. პოლიცენტრული;
3. გეოცენტრული.

ეთნოცენტრულ კორპორაციებში, საბიზნესო პოლიტიკის, სტანდარტებისა და შედეგების შეფასების კრიტერიუმების შემუშავება ხდება მხოლოდ მთავარ ოფისში და სხვადასხვა ქვეყნებში განთავსებულ განაყოფებს ბრძანებებისა და დირექტიული ინსტრუქციების სახით მიეწოდება. წამყვანი თანამდებობები ყველგან, „მთავარი ოფისის" ნაციონალობის წარმომადგენლებს უკავიათ.

პოლიცენტრულ კორპორაციებში, ითვალისწინებენ განაყოფის „მასპინძელი ქვეყნის" თავისებურებებს, ანიჭებენ მათ ავტონომიურობის საკმაოდ მაღალ ხარისხს და ერთიანი მართვა, ძირითადად, საფინანსო კონტროლის სისტემების საფუძველზე ხორციელდება. განაყოფებში წამყვანი თანამდებობები „მასპინძელი ქვეყნის" წარმომადგენლებს უკავიათ, მაგრამ მათ ნაკლები შესაძლებლობა აქვთ ოდესმე დაიკავონ წამყვანი პოზიციები კორპორაციის მასშტაბით.

გეოცენტრულ კორპორაციებში, განაყოფები აღარ წარმოადგენენ არც სატელიტებს და არც მხოლოდ ავტონომიურ ერთეულებს, არამედ, არიან ერთდროულად, როგორც საერთო კორპორაციულ, ასევე ლოკალურ ბიზნეს-მიზნებზე ფოკუსირებული, ერთიანი სისტემის უნიკალური გამოცდილების მქონე სრულუფლებიანი წევრები. წამყვანი თანამდებობების დაკავებისას ნაციონალობას მნიშვნელობა არ ენიჭება და დაწინაურების მთავარი პრინციპია: პრობლემა უნდა გადაწყვიტოს იმან, ვინც ამას ყველაზე უკეთესად შეძლებს. განაყოფები მჭიდროდ ურთიერთობენ არა მხოლოდ მთავარ ოფისთან, არამედ ერთმანეთთანაც,

რაც ქმნის სამენეჯერო და ტექნოლოგიური ცოდნა-გამოცდილების (ე.წ. „Know-How") ოპერატიულად ურთიერთგაცვლის შესაძლებლობას.

კორპორაციულ განაყოფებს „მასპინძელი ქვეყნის" ეთნიკური, კულტურული, გეოგრაფიული და ისტორიული თავისებურებების საფუძველზე, საერთო კორპორაციულ ბიზნესში უნიკალური როლის შესრულება შეუძლიათ, რისი დეტალიზაციაც შემდეგნაირად გამოიყურება:

1. „სტრატეგიული ლიდერი". მაღალი კვალიფიკაციითა და დიდი გამოცდილებით გამორჩეული განაყოფი, რომელიც იმავდროულად სტრატეგიული მნიშვნელობის ბაზარზეა განლაგებული. საერთო სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებაში ის მთავარი ოფისის პარტნიორად გვევლინება.

2. „წვლილის შემტანი". გააჩნია მაღალი დონის კვალიფიკაცია და საკმაო გამოცდილება, მაგრამ ნაკლებად მნიშვნელოვან ბაზარზეა განლაგებული. საკუთარ შესაძლებლობებზე დაყრდნობით, მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთო კორპორაციულ ბიზნესში.

3. „დამნერგავი". განაყოფს გააჩნია თავის არასტრატეგიულ ბაზარზე აუცილებელი ბიზნეს-ოპერაციების განხორციელების უნარი. საზოგადოდ, განაყოფების უმეტესობა სწორედ ამ როლის შესრულებით არის დაკავებული.

4. „ბნელი ჭა". განაყოფი, რომელიც განლაგებულია სტრატეგიულად მნიშვნელოვან ბაზარზე, მაგრამ არ გააჩნია „სტრატეგიული ლიდერის" ფუნქციების შესრულების უნარი. ამგვარი განაყოფების არსებობა პრინციპში გაუმართლებელია, მაგრამ კორპორაციამ, გარკვეული მოსაზრებების გამო, შეიძლება გადაწყვიტოს მისი ამ სახით შენარჩუნება.

M-ფორმის კორპორაციები დღეს მსხვილი კორპორაციული ბიზნესის უდიდეს ნაწილს შეადგენენ და დოქტრინული თვალსაზრისით აღიწერებიან შემდეგი ტრიადით: „სტრატეგია - სტრუქტურა - სისტემა".

თანდათან, სულ უფრო ნათელი ხდება, რომ აშშ-ში ამჟამად მიმდინარეობს კორპორაციული ბიზნესის M-ფორმით ორგანიზების რადიკალური ჩანაცვლების პროცესი და ახალი, შემტევი ფორმა დოქტრინულად, შემდეგი ტრიადის სახით შეიძლება აღიწეროს: „დანიშნულება - პროცესი - პიროვნება".

საბიზნესო ლიტერატურაში ამ ახალ ფორმას „N-ფორმა" („N-form"-Networked) ეწოდა. N-ფორმა გულისხმობს, რომ მისი ფილოსოფია დაფუძნებულია ბიზნესის ზრდა-განვითარებაზე ახალ, მცირე ზომის დამოუკიდებელ, ბუნებრივად ჩამოყალიბებულ ბიზნეს-ერთეულების სტრუქტურულ გაერთიანებაზე ქვევიდან ზევით. განსხვავებით M-ფორმის ტრადიციული ფილოსოფიიდან, რაც გულისხმობს განაყოფების დაფუძნების და რესურსებისა და სამენეჯერო უფლებამოსილებების ზემოდან ქვემოთ დანაწილებას.

N-ფორმის საფუძველზე შესაძლებელი ხდება მსხვილი კორპორაციების, მოქნილი ქსელის სახით, ფორმალური ბიუროკრატიული შეზღუდვების გარეშე ოპერირება.

ჩვენი აზრით, სწორედ ამაში, ანუ კორპორაციული ბიზნესის M-ფორმიდან N-ფორმაზე გადასვლაში, მდგომარეობს ამერიკული კორპორაციული ბიზნესის ორგანიზაციული განვითარების პარადიგმა.

N-ფორმით ორგანიზებულ კორპორაციულ ქსელში თავისთავადი ბიზნეს-ერთეულების გაერთიანება, კორპორაციას საშუალებას მისცემს ერთიანად მიაღწიოს ისეთი განსხვავებული სტრატეგიული მიზნების რეალიზაციას, როგორებიცაა:

ეფექტიანობა, მოქნილობა და ინოვაციურობა. ამ ახალ ორგანიზაციულ მოდელს „ტრანსნაციონალური კორპორაცია" ეწოდა.

შეიძლება გამოიყოს კიდევ რამოდენიმე ახალი ორგანიზაციული მოდელი, რომელთა სპეციფიკა შემდეგში მდგომარეობს:

- „მულტიფოკალური" შერწყმულია „მასპინძელი ქვეყნისადმი" პასუხისმგებლობა და გლობალური ინტეგრაცია.

- „ჰეტერარქიული" - მის სტრატეგიას გეოგრაფიული განფენილობის სტრუქტურა განსაზღვრავს.

- „ჰორიზონტალური" - პრობლემების დაძლევის მიზნით გადაწყვეტილების მიღება უწინარესად მიმდინარე რეჟიმში, ადგილობრივად და არა ვერტიკალური იერარქიის ფარგლებში ხორციელდება.

- „მულტიცენტრული" - ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება დეცენტრალიზებული პროცესის ფარგლებში ხდება.

ამ ორგანიზაციულ მოდელებს, რომლებსაც ერთიანად „ჰიპერმოდერნული" შეიძლება ეწოდოს, გამოარჩევს ის, რომ მათი სტრუქტურა გარკვეული სტრატეგიის ნაყოფს კი არ წარმოადგენს, არამედ თავად განსაზღვრავს სტრატეგიას. ამდენად, კონკურენტული ბრძოლისათვის აუცილებელი უპირატესობების გამოვლენა ხდება არა ერთ რომელიმე ცენტრში, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით მოფენილ დანაყოფებში.

ბიზნეს-გარემო, სტრატეგია და ორგანიზაციული სტრუქტურა მჭიდროდ არიან ერთმანეთზე გადახლართული და ხშირად ძნელია იმის დადგენა, თუ რომელი წარმოადგენს განმსაზღვრელ ფაქტორს ცვლილებათა განხორციელებისათვის. მენეჯერები ვერ „დაუცდიან" ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებას, მათ სამივე სფეროში მოუწევთ მოქმედება. ამასთანავე, სტრუქტურას პირველადი მნიშვნელობა ენიჭება იმ თვალსაზრისით, თუ რა მიზნების მისაღწევადაა მიმართული ძალისხმევა და ბიზნეს-გარემოს რომელი კომპონენტებია უპირველესად გათვალისწინებული.

ჰორიზონტალური სტრუქტურები ხასიათდებიან სხვადასხვა ტიპის ცენტრების ერთობლიობით. მთავარი ოფისის ფუნქციები გეოგრაფიულად დანაწევრებულია და სტრატეგიული როლის შესრულება დანაყოფებზეა გადაცემული. ოპერირება ხდება შერეული ორგანიზაციული პრინციპების საფუძველზე და არ არის დაფუძნებული ისეთ მკაცრ განსაზღვრულობებზე, როგორებიცაა: „პროდუქტი", „ქვეყანა" ან „ფუნქცია". ჰორიზონტალური ორგანიზაციული სტრუქტურა მოქნილი ხასიათისაა და თუ ერთ წელიწადს ეფუძნება პროდუქტის ინტეგრაციის აუცილებლობას, მეორე წელიწადს შეიძლება დაეფუძნოს ბაზრის სახეცვლილებას.

მენეჯმენტის სისტემები, საურთიერთობო პროცესები და კორპორაციული კულტურა განიხილება როგორც სტრუქტურის უფრო მნიშვნელოვანი ნაწილები, ვიდრე ფორმალური ორგანიზაცია. დეტალური ბიზნეს-ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფირმის ყველა დანაყოფში და, ამდენად, ინფორმაციული ტექნოლოგიები განიხილება როგორც კომპანიების ჰორიზონტალურ ორგანიზაციებად გარდაქმნის ერთ-ერთი მთავარი საშუალება.

ის ტრადიციული მიდგომა, რომ მთელი ინფორმაცია უნდა წარიმართოს „ვერტიკალურად 'ზევით" და შეგროვდეს ორგანიზაციის რომელიღაც ერთ წერტილში, სადაც რომელიმე ერთი პიროვნება ან პიროვნებათა ჯგუფი გადაამუშავებს მას და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, ეფუძნება უპირატესობის მიღწევის ისტორიულად ჩამოყალიბებულ, ვიწროდ გაგებულ პერსპექტივას.

ამის საპირისპიროდ, უკვე დღეს, ისეთ ცნობილ კომპანიებში, როგორებიცაა „Dow" და „IBM", მენეჯერები იმის მაგიერად, რომ საკითხის გადაწყვეტა ორგანიზაციულ ვერტიკალზე მოიძიონ, მიმართავენ კოლეგებს თავიანთ დონეზე და ცდილობენ პრობლემების მოგვარებას მათთან თანამშრომლობით. ამგვარი „განივი" პროცესი ეფუძნება ჰორიზონტალურად ორგანიზებული ბიზნეს-ერთეულების ქსელს და უზრუნველყოფს გეოგრაფიულად განფენილი ფუნქციური დანაყოფების კოორდინაციას.

ცხადია, ჰორიზონტალური სტრუქტურა არ წარმოადგენს ბიზნესის ორგანიზების უნივერსალურ მოდელს. ეს საკმაოდ „ძვირიანი" ორგანიზაციული ფორმაა და მის გამოყენებას აზრი აქვს მნიშვნელოვანი საბიზნესო პოტენციალის არსებობის პირობებში.

აქვე უნდა მიეთითოს, რომ „ჰიპერმოდერნულ" მოდელებში, ენიჭება რა გადამწყვეტი უპირატესობა ბიზნეს-ერთეულების ჰორიზონტალურად ორგანიზებულ ქსელებს, ხშირად ნაკლები ყურადღება ექცევა ისეთ კლასიკურ საკითხებს, როგორიცაა: აღმასრულებელი ძალაუფლების მობილიზაცია და კონტროლი.

ბიზნეს-ორგანიზაციის ფორმის რადიკალური ცვლილება გულისხმობს მენეჯერების როლის მნიშვნელოვან ცვლილებასაც, რაც მმართველობითი პროცესების შემდეგი სამი პოზიციის გარშემო სტრუქტურირებით გამოიხატება:

1. „ენტრეპრენერული პროცესი" - ითვალისწინებს ინიციატივების გამოვლენას და მხარდაჭერას.

2. „ინტეგრაციული პროცესი" - ითვალისწინებს შესაძლებლობათა ერთობლივ გამოყენებას.

3. „განახლების პროცესი" - ითვალისწინებს პრინციპულად განახლებული საბიზნესო დანიშნულების შემუშავებას.

ამ პოზიციების რეალობაში დანერგვის შედეგი იქნება, ახალი ბიზნეს-პროცესების წარმოშობა, რომლებიც მნიშვნელოვნად იქნებიან განსხვავებული კლასიკური მ-ფორმის კორპორაციებისათვის დამახასიათებელი ბიზნეს-პროცესებისაგან.

ცხადია, ახალი ტიპის ბიზნეს-პროცესების დამკვიდრება მოითხოვს შესაბამის ტექნოლოგიურ უზრუნველყოფას, რაც, თავის მხრივ, მძლავრ სტიმულს მისცემს ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის განახლების პროცესის დაწყებას.

**პავლე ახათიანი**
*საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკის ისტორიის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე*

# ამერიკის მეცნიერების ისტორიის საზოგადოების მოღვაწეობა საქართველოში ინფორმაციული პოლიტიკის კონტექსტში

1991 წელს საბჭოთა კავშირის დეზინტეგრაციის პროცესის დროს, როდესაც ქართული მეცნიერება აღმოჩნდა ინფორმაციულ ვაკუუმში, კარგად მოგეხსენებათ რა მოცულობით და პერიოდულობით შემოდიოდა საქართველოში სამეცნიერო ლიტერატურა. რუსეთის აკადემიის (მაშინდელი საბჭოთა კავშირის) ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკის ისტორიის ინსტიტუტიდან მივიღე წერილი, რომელშიც ეწერა – ცნობილი ამერიკელი მეცნიერი მერილენდის უნივერსიტეტის პროფესორი, ამერიკის მეცნიერების ისტორიის საზოგადოების პრეზიდენტი სტეფან ბრაში აგროვებს მონაცემებს საბჭოთა მეცნიერების ისტორიკოსების შესახებ, მეცნიერების ისტორიაში არსებული მიდგომებისა და მეთოდების ანალიზის მიზნით. ამ მიზნით გეთხოვდა ამ საზოგადოების ანკეტის შევსებას და შრომების ქსეროასლების გაგზავნას, რაზედაც ჩვენ სიამოვნებით გამოვეხმაურეთ და პასუხი მივიღეთ თქვენი მონამორჩილის საზოგადოებაში გაწევრიანების თაობაზე.

ეს საერთაშორისო საზოგადოება დაარსდა 1924 წელს ვაშინგტონში და აერთიანებს მსოფლიოს 80-ზე მეტი ქვეყნის მეცნიერების ისტორიის მკვლევრებს. საქართველოს წარმომადგენელი მასში პირველად შეიყვანეს 1993 წლის 27 სექტემბერს, რის შესახებ ჩვენ გვაცნობეს საზოგადოების პრეზიდენტმა პროფესორმა ბრაშმა და ვიცე-პრეზიდენტმა სალი კოლსტედტმა, რის შესახებ ინფორმაცია განთავსებული იყო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" 1993 წელს (დოცენტ თ. ებანოიძის კორესპონდენცია) და გადაიცა საქართველოს ტელევიზიის I არხით საზოგადოებაში გაწევრიანებისთანავე. ამასთანავე ქართულმა მხარემ – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულმა ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკის ისტორიის საბჭომ ერთობ მნიშვნელოვანი ინიციატივა გამოიჩინა – ამერიკელი საზოგადოების ახალ პრეზიდენტთან პროფესორ სალი გრეგორი კოლსტედთან მოლაპარაკება გამართა ამ საზოგადოების ბიბლიოგრაფიის ცენტრში ქართული მეცნიერების ისტორიისა და ინფორმაციის ფონდის გახსნის თაობაზე. ამასთან დაკავშირებით გამოვიდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სპეციალური დადგენილება (1996 წლის 4 აპრილის №48) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასა და ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერების ისტორიის საერთაშორისო საზოგადოებას შორის ურთიერთობის დამყარების შესახებ. ამ დადგენილებით შეთანხმება, რომელსაც აწერდა ხელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ა. თავხელიძე, ითვალისწინებდა საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ დისციპლინათა დარგში სამეცნიერო ინფორმაციის გაცვლას, რომლის მთავარი მიზანია ამერიკის შეერთებულ შტატებში ასეთი ინფორმაციის საფუძველზე შეიქმნას ქართული მეცნიერების ისტორიის

ფონდი. ამით ამერიკის მეცნიერების ისტორიის საერთაშორისო საზოგადოებას შეექმნება სისტემური წარმოდგენა ქართული მეცნიერებისა და ქართულ მეცნიერებათა მიერ მეცნიერების სხვადასხვა დარგში მიღწეულ შედეგებზე და საერთოდ ჩვენში ჩამოყალიბებულ კვლევა-ძიების ძირითად მიმართულებებზე და მათ კულტურულ გაელენაზე. ამერიკის შეერთებული შტატების აღნიშნული საზოგადოების პრეზიდენტისაგან მიღებული ინფორმაციით საკითხი ქართული მეცნიერების ისტორიის ფონდის შექმნის შესახებ განიხილა აღმასრულებელმა კომიტეტმა და დაადასტურა მხარდაჭერა. ასეთი ინიციატივა საშუალებას იძლეოდა ქართველ მეცნიერთა შრომებს გაეცნოს საერთაშორისო საზოგადოება, საზოგადოების ჟურნალში დაიბეჭდოს ქართველ მეცნიერთა კვლევის შედეგები რეტროსპექტივის რეჟიმში, რეფერატების სახით. დღეისათვის, როგორც გადაწყვიტა მეცნიერებათა აკადემიამ, გაიგზავნა უკვე ყველა გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა ბიობიბლიოგრაფიები და ასეთი საწყისი ფონდი უკვე არსებობს ამერიკის საზოგადოებაში – ყურადსაღებია, რომ პასუხად ამერიკის მეცნიერების ისტორიის საზოგადოებამ საქართველოში სისტემატურად ინფორმაციული ვაკუუმის პერიოდში, იგზავნებოდა სამეცნიერო ლიტერატურა მეცნიერების ისტორიაში და სამეცნიერო ინფორმაცია მსოფლიოში მიმდინარე კვლევების, სამეცნიერო ღონისძიებების თუ გეგმების შესახებ და ამ მასალების საქართველოში მომზადებისა და რეგულარულ გაგზავნასთან დაკავშირებული ხარჯები თავის თავზე მთლიანად აიღო ამერიკულმა მხარემ. ქართული მეცნიერების ფონდის აშშ-ში შექმნასთან დაკავშირებული ხარჯებიც თავის თავზე აიღო ამერიკულმა მხარემ, რის შედეგად 80 ქვეყანაში სისტემატურად იგზავნებოდა ინფორმაცია ქართული მეცნიერების შესახებ. ეს პროცესი ძალზე აქტუალური და სასარგებლო იყო ჩვენთვის, განსაკუთრებით, საქართველოში ინტერნეტის სისტემის დანერგვამდე და დიდად შეუწყო ხელი ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკის ისტორიის საბჭოს შეუფერხებელ მუშაობას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, ძალიან რთულ, 90-იანი წლების, პერიოდში მისი მოღვაწეობის ინფორმაციული უზრუნველყოფის საკითხში. სწორედ ამ უმძიმეს პერიოდში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებულ ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკის ისტორიის საბჭოში ამერიკის საზოგადოებასთან ინფორმაციის გაცვლის ხელშეწყობით დაიწყო მუშაობა მეცნიერების ისტორიის და ინფორმაციული მეცნიერების ინტერდისციპლინარული საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული დარგების ინტეგრაციის არეში მსოფლიოში მიმდინარე ახალი ინფორმაციული პოლიტიკის ჭრილში. კარგად მოგეხსენებათ 60-იან წლებში მსოფლიოში დაიწყო ე.წ. ინფორმაციული რევოლუცია, რომელიც დაიწყო ინფორმაციის ავტომატიზებული დამუშავების განვითარებით, კაცობრიობა შევიდა ინფორმაციულ საზოგადოებაში, ცივილიზაციის განვითარების ახალ ისტორიულ ფაზაში, რომელშიც ადამიანის ცხოვრება და მოღვაწეობა დაკავშირებული არის მის ძირითად რესურსთან – ინფორმაციასთან (გაეროს XXI ს. კაცობრიობის ინფორმაციოლოგიური განვითარების დოქტრინა) როდესაც ჩვენი საზოგადოება ტექნიკური საშუალებების სახით დღეს ფართოდ იყენებს კომპიუტერებს ტელესაკომუნიკაციო საშუალებებს (ინტერნეტი, ევრონეტი და ა.შ.), ელექტრონულ ბიბლიოთეკებს, მონაცემთა ბაზებს, ცოდნის ინტელექტუალურ სისტემებს. დაიწყო საზოგადოების ინფორმატიზაცია, რომლის საბოლოო ამოცანა არის სრული ადეკვატური უტყუარი ინფორმაციის მიღება ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში (ეკონომიკა, მეცნიერება, იურისპრუდენცია თუ მენეჯმენტი), რომლის საფუძველზე

ხელმძღვანელობის ყველა დონეზე მენეჯერით დაწყებული და სახელმწიფოს ხელმძღვანელით დამთავრებული, მიეცეს რეკომენდაცია გადაწყვეტილების მისაღებად, რასაც ჰქვია მართვის ინფორმაციულ-ანალიტიკური უზრუნველყოფა; რათა კომპიუტერი არ დარჩეს მხოლოდ ტექნიკურ საშუალებად და ადამიანს ჰქონდეს შესაძლებლობა გონივრულად გამოიყენოს კაცობრიობის შესანიშნავი მიღწევა მიზღვავებული ინფორმაციის პირობებში. ამ მიზნით მან უნდა ისწავლოს (ციფრულთან ერთად) ურთიერთობა ცოცხალ ინფორმაციასთან, აითვისოს ე.წ. ინფორმაციული კულტურა. ამისთვის კი ადამიანი უნდა ფლობდეს ინფორმაციის დამუშავების მეთოდოლოგიას, ინფორმაციის ანალიზისა და სინთეზის უნიფიცირებულ მეთოდებს, რომელიც ყველამ უნდა შეისწავლოს. განვითარებული ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებში უკვე ფართოდ დაიწყო მომზადება ინფორმაციის ანალიტიკოსის სპეციალობით. ასეთი მეთოდოლოგიის შემუშავებაში მეცნიერების ისტორია წარმოადგენს უნიკალური ცოდნის სისტემას, რომელშიც ინტეგრირებულია მრავალი დარგის გამოცდილება, რომლის საფუძველზე მუშავდება მეცნიერებათა აკადემიაში მოდელები სოციოლოგიის, იურისპრუდენციის, თვით ინფორმაციული მეცნიერებების დარგში დამუშავების მიზნით, ერთი შეხედვით როდესაც ნებისმიერი პროცესი დღეს შეგიძლია განიხილო ინფორმაციის, როგორც ამ დარგების გამაერთიანებელი ობიექტის, საფუძველზე. ვინაიდან დღეს ინფორმაციის განმარტება ჟღერს შემდეგნაირად: ნებისმიერ სისტემაში გაერთიანებული ელემენტების შინაარსი ურთიერთქმედებისა, რომლის შედეგად იცვლება ასეთი სისტემის მდგომარეობა. ამდენად ნებისმიერი დარგის სპეციალისტი ადვილად დაინახავს ინფორმაციის ასეთ განმარტებაში თავისი საგნის ან შესასწავლი მოვლენის ინფორმაციული მოდელირების საშუალებას.

საზოგადოებრივი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი თანამედროვე ინფორმაციულ საზოგადოებაში, როგორც ჩანს, არ უნდა განვიხილოთ როგორც სრულიად დამოუკიდებელი დარგები. პირიქით, ისინი უნდა განვიხილოთ როგორც მეცნიერებანი, რომლებიც განიხილავენ ერთი და იმავე საგნის ცალკეულ ასპექტებს, მაგრამ უდგებიან მას სხვადასხვა პოზიციიდან.

მაგალითისთვის მოვიყვანთ „ღია საზოგადოება – საქართველოს" ფონდთან შემუშავებულ პროექტს სოციოფიზიკაში. ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრება მიედინება ბუნების მოვლენათა ფარგლებში, მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეული დამახასიათებელი თვისებანი აქცევენ მას შესწავლის საგნად მეცნიერებათა მთელი ჯგუფის მხრიდან, რომელიც შეიძლება განისაზღვროს, როგორც საზოგადოების ბუნებისმეტყველება – ყოველ შემთხვევაში მეცნიერების ისტორია მეტყველებს იმაზე, რომ ბევრი მოვლენა ერთდროულად მიეკუთვნება, როგორც მატერიალური სამყაროს არეს, ასევე საზოგადოებრივი პროცესების კვლევას.

სოციოლოგია განიხილავს საზოგადოების შემსწავლელ მეცნიერებას, როგორც თავისებურ სოციალურ ფიზიკას (მაგ. მ. კოენი და სხვ.). საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ურთიერთკავშირის საკითხი საინტერესოდ დაისვა აგრეთვე ნ. ბორის ფილოსოფიურ ნაშრომში, „ცოდნის ერთიანობა" რომლის თვით სახელწოდება შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ჩვენი მიდგომის დასაბუთება. კერძოდ, ეს ნაშრომი საინტერესოა მათემატიკის და ენათმეცნიერების ურთიერთობით. ბორის მიხედვით მათემატიკა უნდა განვიხილოთ არა როგორც ცოდნის ცალკეული დარგი, არამედ ზოგადი ენათმეცნიერების დარგი, ზოგადი

ენის გაუმჯობესება და სრულყოფა. ნ. ბორი შემდგომ აფართოებს ფიზიკური პრინციპების გამოყენების საზღვრებს და იყენებს თავის დამატებითობის პრინციპს ისეთ ურთიერთგამომრიცხავ და ერთმანეთის შევსებად ფილოსოფიური კატეგორიების მიმართ, როგორიცაა ცოდნის ანალიზი და სინთეზი (ახალი ინფორმაციის სინთეზის მეთოდზე ჩვენ მივიღეთ საქართველოს პატენტი).

ამდენად, მიზანშეწონილია ვილაპარაკოთ ცოდნის ერთიან სისტემაზე და დავსვათ საკითხი სოციოფიზიკის კონცეპტუალური მოდელის შემუშავებაზე. ამ პროექტის შემთხვევაში ზემოაღნიშნულ პატენტზე დაყრდნობით ჩვენ გთავაზობთ სოციოფიზიკის კონცეპტუალური მოდელის განვითარებას და მაკროკვანტური ფიზიკის აპარატის გამოყენებას ცოდნის მართვის პროცესებში.

ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო დარგების ურთიერთქმედების კონცეპტუალური მოდელი შეიძლება საფუძვლად დაედოს აგრეთვე თანამედროვე განათლებისადმი მიდგომის მოდელის შემუშავებას.

ამ მეთოდოლოგიის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ და იუნესკოს კომისიამ გაიტანა მოხსენება 2001 წლის იუნესკოს კონფერენციაზე როგორც 21-ე საუკუნის პერსპექტიული მიმართულება. სწორედ ასეთი მიდგომით ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2002 წელს დაიწყო საინტერესო ექსპერიმენტი არჩევითი საუნივერსიტეტო დისციპლინის წაკითხვით ინფორმაციული ანალიზისა და სინთეზის მეთოდოლოგიაში სოციოლოგების, ფილოსოფოსების, იურისტების, ფიზიკოსებისა და მათემატიკოსების გაერთიანებულ ჯგუფებში. უნდა ითქვას, რომ ასეთი საგანი პირველად იკითხება საქართველოში და ნიშანდობლივია, რომ ეს მოხდა სწორედ უნივერსიტეტში. ჩვენ ამაზე ვამახვილებთ ყურადღებას იმიტომ, რომ საქართველოს გააჩნია უძველესი ტრადიციები ინფორმაციულ ანალიზში, ოღონდ ანტიკურ ხანაში მას ერქვა არისტოტელესეული ფიზიკა და 1918 წელს, როდესაც გაიხსნა უნივერსიტეტი. პირველი ფაკულტეტი, კარგად მოგეხსენებათ, იყო სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტი, რომელსაც ჰქონდა ღრმა საფუძველი – იმ აზროვნების ტრადიციები, რომელიც ძალზე აქტუალური გახდა თანამედროვე ე.წ. ცოდნის საზოგადოებაში (Knowledge Society), რომელშიც ცოდნა იძენს ეკონომიკური კატეგორიის ნიშნებსაც. ბევრი პოლიტოლოგი ამბობს, რომ შეიმჩნევა ტენდენციები იმის სასარგებლოდ, რომ ინფორმაციულ საზოგადოებაში კაპიტალი დაკარგავს თავის ფუნქციას და მის ადგილს დაიკავებს ინფორმაცია.

**ა. ბალავაძე, ე. ხელაია, თ. სალუქვაძე**
*საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მ. ნოდიას*
*სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლები*

# ელჭექისა და სეტყვის ღრუბლები, მათი ექსპერიმენტული შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა აშშ-ში

ღრუბლები მიეკუთვნება ბუნებისათვის დამახასიათებელ ჩვეულებრივ მოვლენას, თუმცა მათი ფორმის უამრავი სხვადასხვაობა და იმ პროცესების სირთულე, რომელიც განაპირობებს მათ წარმოშობას, იწვევს მეცნიერთა განსაკუთრებულ ყურადღებას.

დედამიწის ატმოსფეროში ღრუბლების წარმოშობას და დაშლას დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის სასიცოცხლო მოქმედებაში. ჯერ კიდევ უძველესი დროიდან ცდილობდნენ ადამიანები ღრმად ჩასწვდომოდნენ ღრუბელთა წარმოქმნის არსს და ჩაეხედათ ამ პროცესში.

ღრუბლების ფიზიკა შედარებით ახალგაზრდა დარგია. ფაქტიურად იგი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბდა ატმოსფეროს ფიზიკის დამოუკიდებელ დარგად. ამას ხელი შეუწყო ავიაციის განვითარებამ. თვითმფრინავების უსაფრთხო ფრენა რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში მოითხოვდა სხვადასხვა ფორმის ღრუბლების აგებულების ღრმა ცოდნას. მეორე მხრივ, თვითმფრინავები იმ ტექნიკურ საშუალებას წარმოადგენდა, რომლითაც შესაძლებელი იყო ღრუბელში შეღწევა და სხვადასხვა გაზომვების ჩატარება ღრუბლის აგებულების, მისი ელექტრული მდგომარეობის, წყლიანობის, შემადგენელი ნაწილაკების ზომების და კონცენტრაციის შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით.

ღრუბლების ფიზიკის განვითარებამ დიდად შეუწყო ხელი ღრუბლებზე ხელოვნური ზემოქმედების ფიზიკურად დასაბუთებული მეთოდების შექმნას და შესაძლებელი გახადა ღრუბელში მიმდინარე ნალექწარმოქმნის პროცესებში ჩარევა.

როდესაც ატმოსფეროში დიდი ენერგეტიკული არამდგრადობაა დიდ სინოტივესთან ერთად, ღრუბლები შეიძლება განვითარდეს დიდ სიმაღლემდე, მათში ვითარდება მძლავრი აღმავალი ნაკადები და წარმოიშობა სხვადასხვა ინტენსიობის ელჭექი, ხოლო მიწის ზედაპირზე შეიძლება მოვიდეს ნალექი ძლიერი წვიმის და სეტყვის სახით. ელჭექის ღრუბლები თავსხმა წვიმასთან ერთად შეიძლება განვითარდეს როგორც იზოლირებულად, ისე ჯგუფური სახით, რომლებიც დაკავშირებულია ატმოსფერულ ფრონტებთან. მსოფლიოს მრავალ რაიონში თავსხმა წვიმები არის მიზეზი საშიში წყალდიდობების, ხოლო ძლიერი ქარი, სეტყვა და ელვა იწვევს დიდ მატერიალურ ზარალს, ადამიანთა მსხვერპლსაც კი. ბოლო ათწლეულებში რადიოლოკატორების, თვითმფრინავ-ლაბორატორიების, აეროლოგიური ზონდების საშუალებით მიღებული ექსპერიმენტული მასალა საშუალებას იძლევა აღწერილ იქნეს ასეთი პროცესების სტრუქტურა, მათი განვითარების თავისებურებანი და მეტეოროლოგიური პირობები, რომლებიც ხელს უწყობენ მათ განვითარებას.

აშშ-ის ფლორიდის და ოჰაიოს შტატებში ღრუბლებზე ჩატარებული მრავალი დაკვირვების საფუძველზე ბაიერსის და ბრეიმის[1] მიერ დადგენილ იქნა, რომ ელჭექის ღრუბლები შედგება ერთი ან რამდენიმე კონვექციური უჯრედისაგან,

რომელშიც გვხვდება როგორც აღმავალი, ისე დაღმავალი ნაკადები. ხშირად ელჭექის ღრუბელი წარმოიქმნება განვითარების სხვადასხვა სტადიაში მყოფი რამდენიმე უჯრედის გაერთიანებით.

ცალკეული უჯრედის სიცოცხლის ციკლი იყოფა სამ სტადიად: გროვა ღრუბელი, რომელიც ხასიათდება უჯრედის შიგნით არსებული მხოლოდ აღმავალი ნაკადებით; შემდეგი სტადიაა სიმწიფის სტადია, რომელიც ხასიათდება როგორც აღმავალი, ისე დაღმავალი ნაკადების ერთდროული არსებობით; ბოლო არის დაშლის სტადია, რომლის დროსაც ღრუბელში ძირითადად დაღმავალი ნაკადები არსებობს.

სიმწიფის სტადიაში იწყება ღრუბლიდან მიწის ზედაპირზე ნალექების მოსვლა. ამ დროს თანდათან ძლიერდება დაღმავალი ნაკადები, რომელიც თავის მხრივ იწვევს აღმავალი ნაკადების ჩახშობას, რის შემდეგადაც უჯრედი იშლება.

მრავალ ქვეყანაში ჩატარებულმა ღრუბლების ექსპერიმენტულმა შესწავლამ აჩვენა, რომ ბაიერსის და ბრეიმის მიერ შემოთავაზებული კონვექციური ღრუბლის მარტივი მოდელი საკმაო სიზუსტით აღწერს სხვადასხვა ტიპის გროვა-საწვიმარი ღრუბლების ევოლუციას.

ბოლო ათწლეულებში დადგენილ იქნა, რომ ყველაზე დამანგრეველი მოქმედებით ხასიათდება ის ღრუბლები, რომლებშიც ადგილი არა აქვს აღმავალი და დაღმავალი ნაკადების სივრცეში და დროში ზედდებას.

ღრუბლის სიცოცხლის ხანგრძლივობა ბევრად არის დაკავშირებული ღრუბლის გარემომცველ ატმოსფეროში ქარის სტრუქტურასა და სიჩქარესთან.

სეტყვის ღრუბელი განსხვავდება ელჭექის ღრუბლისაგან. განსკუთრებული სტრუქტურის ქარის არსებობის გამო აღმავალი და დაღმავალი ნაკადები განცალკევებულია ჰორიზონტალური მიმართულებით. ქარის ასეთი სტრუქტურის დროს ღრუბელში წარმოიშობა ძლიერი და ხანგრძლივად არსებული კონვექციური ცირკულაცია. ამ დროს ადგილი აქვს ე.წ. სუპერუჯრედიანი ღრუბლის წარმოქმნას. აღნიშნული კონვექციური ცირკულაციები პირველად ამერიკელმა მეცნიერებმა ბრაუნინგმა და ლადლამმა[2] გაანალიზეს.

არსებობს ელჭექის და სეტყვის ღრუბლების კიდევ ერთი ჯგუფი - ე. წ. მრავალუჯრედიანი კონვექციური ღრუბლები. ასეთ ღრუბლებში ერთდროულად არსებობს რამდენიმე კონვექციური უჯრედი. ღრუბლის განვითარების პროცესში დაშლილი უჯრედის ადგილას შეიძლება განვითარდეს ახალი უჯრედი. ეს პროცესი შეიძლება გაგრძელდეს დიდხანს, ამიტომ მრავალუჯრედიანი კონვექციური ღრუბლები გამოირჩევიან სიცოცხლის დიდი ხანგრძლივობით, მათგან მოსული ძლიერი და ხანგრძლივი თავსხმა წვიმით და დიდი რაოდენობის სეტყვით, ძლიერი ელჭექებით.

კონვექციური ღრუბლების ასეთნაირად დაყოფა დამახასიათებელია დედამიწის თითქმის ყველა რეგიონისათვის.

ქვემოთ, ნახ. 1-ზე მოგვყავს თანამედროვე წარმოდგენებზე დაყრდნობით[3] შექმნილი სრდასრული კონვექციური ღრუბლის ამერიკული მოდელის სქემატური გამოსახულება.

როგორც ნახაზიდან ჩანს, ამ ტიპის კონვექციური ღრუბლების ვერტიკალური ზომები აღემატება მის ჰორიზონტალურ ზომებს. ასეთი ღრუბლის მაქსიმალური სიმაღლე შეიძლება აღწევდეს 12—15 კმ-ს, ხოლო მისი რადიოექოს წვერო ღრუბლის წვეროს 1—1,5 კმ-ით ჩამორჩება. ღრუბლის ზედა ნაწილი ატმოსფეროში გაბატონებულ ქართან ურთიერთქმედების შედეგად გადახრილია ღრუბლის მოძრაობის მიმართულებით, ხოლო ღრუბლის მთლიანი მიგრაციის მიმართულება გაბატონებული ქარის მიმართულებასთან ადგენს 30-70-გრადუსიან კუთხეს. ასეთ

ღრუბლებში ერთდროულად არსებობს როგორც აღმავალი, ისე დაღმავალი ნაკადები. ძირითადი აღმავალი ნაკადი მიმართულია მიწის ზედაპირიდან ღრუბლის ფუძის ცენტრალური ნაწილისაკენ და მას კვებავს ნოტიო და თბილი ჰაერით. ამ ნაკადის სიჩქარე და მასშტაბი სიმაღლის ზრდასთან ერთად იზრდება კონდენსაციის და კრისტალიზაციის შედეგად გამოყოფილი ფარული სითბოს ხარჯზე და 6 - 8 კმ-ის სიმაღლეზე აღწევს მაქსიმუმს. ამ ადგილს შეესაბამება ღრუბლის ყველაზე მსხვილი ნაწილაკების ლოკალიზაციის უბანი. ნახაზზე ეს უბანი გამოყოფილია ყველაზე მუქი ფერით. ამ უბნის მაღლა აღმავალი ნაკადი იყოფა ორად. ერთი ნაწილი მიემართება მაღლა ღრუბლის წვეროსკენ, მეორე მიმართულებას იცვლის და გადადის დაღმავალ ნაკადში, რასაც თან სდევს ღრუბლიდან ნალექის მოსვლა. ეს კი თავის მხრივ აძლიერებს დაღმავალი ნაკადის ინტენსივობას. ასეთი ღრუბლის განვითარების პროცესში ძირითადი ღრუბლის ზურგის ნაწილში ადგილი აქვს ერთი, ან რამდენიმე თანმდევი კონვექციური კერის განვითარებას, რომლებისთვისაც დამატებით მკვებავ გარემოს წარმოადგენს ძირითადი ღრუბლიდან მოსული ნალექით შექმნილი სინოტივეც. თანმდევი ღრუბელი განვითარების პროცესში გადის ყველა სტადიას ისევე, როგორც ძირითადი ღრუბელი. ეს პროცესი (ძირითადი ღრუბლის დისიპაცია და თანმდევი ღრუბლის განვითარება) შეიძლება განმეორდეს რამდენჯერმე. ამის გამო ასეთ ღრუბელთან დაკავშირებული მთლიანი პროცესი შეიძლება გრძელდებოდეს 1–3 საათის განმავლობაში, მაშინ, როცა ძირითადი ღრუბლის ან განვითარებული თანმდევი ღრუბლის სიცოცხლის ხანგრძლივობა 30–50 წუთს შეიძლება არ აღემატებოდეს. მიუხედავად ამისა, თანმდევი ღრუბლის ცალკე დამოუკიდებელ ღრუბლად გამოყოფა არ შეიძლება, რადგანაც იგი სტრუქტურულად და დინამიკურად დამოკიდებულია ძირითად ღრუბელზე. ასეთი ღრუბლების გადაადგილების სიჩქარე დამოკიდებულია ატმოსფეროში გაბატონებული ქარის სიჩქარეზე და დაახლოებით ამ სიჩქარის ნახევარს შეადგენს.

კონვექციურ ღრუბლებზე ხელოვნური ზემოქმედების დროს (თხევადი ნალექების რაოდენობის გადიდება, სეტყვის ჩახშობა და სხვ.) მაქსიმალური დადებითი ეფექტის მისაღწევად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ღრუბლის ასეთი რადიოლოკაციური მოდელის აღიარებას.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Byers H., Braham, R.R. The thunderstorm. Wash., 1949, 287 p.
2. Browning K. A., Ludlam F.H. Airflau in convective storms. Quart. J. Roy. Met. Soc., 1962, 88, p. 117-135. Braham, R.R., Jr., The cloud physics of weather modification. Part I: Scientific basis. WMO Bull., 35, 215-221, 1986.
3. Czys, R.R., A preliminary appraisal of the natural structure and seedability of updrafts in midwestern cumulus at the -10 C level. J. Wea. Mod., 23, 1-16, 1991; Houston, M.W., A.G. Detwiler, F.J. Kopp, and J.L. Stith, Observations and model simulations of transport and precipitation development in a seeded cumulus congestus cloud. J. Appl. Meteor., 30, 1389-1406, 1991; Orville, H.D., F.J. Kopp, R.D. Farley, and R.R. Czys, Numerical simulation of the cloud seeding of a warm base Illinois convective cloud with and without ice multiplication active. J. Wea. Mod., 25, 50-56, 1993.




ნახ. 1. კონვენციური ღრუბლის რადიოლოკაციური მოდელი

**გურამ ბერია**
*საქართველოს მეცნიერებათა*
*აკადემიის მ. ნოდიას სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტი*

# დაეეხმაროთ ამერიკას!

## *1. გამოუცხადებელი „ომი“ სტიქიასთან*

დიდი ქვეყანაა შეერთებული შტატები, გამოკვეთილი ლიდერი, გამარჯვებები პოლიტიკაში, მეცნიერებაში, ტექნოლოგიებში, ომში თვალსაჩინოდ მეტყველებს მის ინტელექტუალურ და ენერგეტიკულ პოტენციალზე. არის სფერო, რომელიც თვით ამ უძლიერესი სახელმწიფოსთვისაც კი ქმნის გადაულახავ პრობლემებს. აგერ უკვე სამი საუკუნეა ეს ქვეყანა აწარმოებს გამოუცხადებელ და ყველასაგან მივიწყებულ ომს, რომელშიც ის მუდამ დამარცხებული გამოდის. ყოველწლიურად 70-მდე ტროპიკული ციკლონი შტურმით უტევს ჩრდილოეთ ამერიკის სანაპიროებს ატლანტიკის ოკეანიდან, ხოლო ცენტრალურ შტატებს თავს ესხმის 800-მდე ტორნადო, ეგრეთ წოდებულ, „ტორნადოების ხეივანში“. ადამიანის მიერ შექმნილი ენერგეტიკა და ტექნოლოგიები შესადარებლადაც კი უხერხულია მასთან. თვალსაჩინობისთვის მოვიყვანთ მხოლოდ ორიოდე მაგალითს: ერთ ტროპიკულ ციკლონში აკუმულირებულია ენერგია, რომელიც უდრის მსოფლიოს ყველა ელექტროსადგურებში გამომუშავებულ ენერგიას ათი წლის განმავლობაში. მარტო ერთ დღე-ღამეში ციკლონიდან გამონთავისუფლებული ენერგია ერგებში უდრის რიცხვს 26 ნულით! ციკლონში წყლის ორთქლის კონდესაციით გამოყოფილი სითბური ენერგია უტოლდება (ნახევარი მილიონი!) ატომური ბომბის ენერგიას. 1940 წლის აგვისტოში ჩრდილოეთ ამერიკის აღმოსავლეთ შტატებს ციკლონმა თავზე გადმოასხა 22,4 მილიარდი ტონა! წყალი. როგორც კომპეტენტურმა სპეციალისტებმა გათვალეს, იმისათვის, რომ ეს წყალი მშვიდობიანად დაებრუნებინათ უკან ოკეანეში, საჭირო იქნებოდა 2 მილიონ 240 ათასი მატარებელი, რომლებსაც შეუსვენებლივ უნდა ემუშავათ 55 წელიწადი!




ნახ. 1. 1900–1969 აშშ-სათვის ტროპიკული ციკლონის მიერ მიყენებული ზიანის ტრაგიკული სატისტიკა

თუ რა მოაქვს ტორნადოს შეერთებული შტატებისთვის, ნათლად ჩანს აქ მოყვანილი დიაგრამიდან ნახ. 1. ათასობით დაღუპული ადამიანი, მიწასთან გასწორებული დასახლებული პუნქტები, მილიარდობით დოლარის ზარალი, ასეთია ამ ომის ტრაგიკული ბალანსი.

კითხულობ ყოველივე ამას და გაკვირვების უნარს კარგავ. იქნებ ავტორებმა გადააჭარბეს? მაგრამ არა, ინფორმაციის უტყუარობა გარანტირებულია წყაროების ავტორიტეტით' [1]. აქედან ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ძალას ებრძვის ამერიკა და რატომ მარცხდება ის ამ „ომში".

ნახ. 2-ზე წარმოდგენილია ყველა ამ უბედურებებში დამნაშავეთა ფოტოსურათები, ტროპიკული ციკლონი და ტორნადო.

ისინი წარმოიშვება მცხუნვარე აფრიკის სანაპიროებთან, შეიწოვს ენერგიას დედა-ოკეანიდან, იზრდება, იკრებს ძალას, იწყებს მანევრებს ოკეანის უკიდეგანო სივრცეში. თითეულს საკუთარი ხასიათი აქვს, საკუთარი ქცევის მანერები და მოქმედებს საკუთარი გეგმის მიხედვით. მაგრამ აქვს საერთო პროგრამაც. არასოდეს არ კვეთს ეკვატორს და მიილტვის დასავლეთისაკენ. ქარიშხლებით, მეხით, ელჭექითა და თავსხმა წვიმებით დაატყდება თავს ჩრდილოეთ ამერიკას, შემდეგ შეუხვევს ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანისაკენ და იქ დაცხრება.



ნახ. 2. ტორნადო

ამერიკა იცავს თავს როგორც შეუძლია. ატლანტიკის სანაპიროზე გადაჭიმულია შეერთებული შტატების მეტეოროლოგიური „ფრონტის ხაზი". 150-მდე სამეთვალყურეო წერტილი ფხიზლად უთვალთვალებს ოკეანეს. თავდაცვაში ჩართულნი არიან გემები, თვითმფრინავები, ხელოვნური თანამგზავრები. მათი ძირითადი დანიშნულება არის დაზვერვა. დროულად უნდა შემჩნეულ იქნეს მორიგი ციკლონი და გამოცხადებულ იქნეს განგაში, რომლის კონტექსტი ზოგადად ასე იშიფრება: „ციკლონი მოდის, თავს უშველეთ!" მოგერიება და კონტრშეტევა გამორიცხულია. მეტისმეტად არათანაბარია ძალთა ფარდობა.

## 2. ტორნადოების შემოტევა

სულ ახლახან, 2003 წლის 5 მაისს SNN-ის ელექტრონულ ვერსიაში გამოქვეყნდა ცნობა: შეერთებული შტატების ოთხ შტატს თავს დაატყდა 80! ტორნადო. დაიღუპა 38 ადამიანი და დაინგრა ასზე მეტი შენობა. ცნობას სენსაცია არ გამოუწვევია, ამერიკაში ისე მიეჩვივნენ ამგვარ ცნობებს, რომ ჩვეულებრივ მოვლენად აღიქვამენ. შემდგომ დღეებში ტორნადოების შემოტევა გავრცელდა ოკლახომას შტატზე. პრეზიდენტი ბუში იძულებული გახდა გამოეცა უბედურების დეკლარაცია. ეს კი არნახული მოვლენა იყო თვით ამერიკელებისთვისაც კი.

1969 წელს დაიბეჭდა ცნობილი რუსი გეოფიზიკოსის დ. ნალივკინის საკმაოდ სქელტანიანი წიგნი სახელწოდებით „ციკლონები, ქარიშხლები და ქარბორბალები". ეს არის აკადემიური პედანტური სიზუსტით დაწერილი ისტორია ამ მოვლენების შესახებ. მნიშვნელოვანი ნაწილი წიგნისა დათმობილი აქვს ტორნადოებს შეერთებულ შტატებში. ორი ურთიერთდაპირისპირებული ღირსება აქვს ამ წიგნს: ერთი მხრივ კონცენტრირებულად წარმოდგენილია მონაცემები მეცნიერული, თეორიული ანალიზისათვის, მეორე მხრივ, იკითხება როგორც კარგი დეტექტიური ნოველების კრებული. ალბათ ძნელია მოიძებნოს ტექნიკურ ლიტერატურაში მეორე ამგვარი მონაცემების მქონე ნაშრომი [1].

მოვიყვანოთ ზოგიერთ ეპიზოდს ამ წიგნიდან:

ამერიკაში ჯერ კიდევ ახსოვთ 1879 წლის 30 მაისი. დაახლოებით დღის 4 საათზე კანზასის შემოგარენს თავს დაესხნენ ტორნადოები. დასახლება ირვინგის მახლობლად კანზასის ჩრდილოეთით გაჩნდა ორი მკვრივი შავი ღრუბელი. ისინი გაექანენ ერთმანეთისკენ, გაერთიანდნენ და დაიწყეს სწრაფად ბრუნვა. წამოვიდა წვიმა და სეტყვა. დაახლოებით თუთხმეტი წუთის შემდეგ ღრუბელს გაუჩნდა ქვემოდან ძაბრი, შემდეგ მეორე. ძაბრები ხორთუმებად გადაიქცნენ და დაეშვნენ მიწისაკენ. დაიწყო დასახლების შტურმი. პირველი სამი სახლი ისეთი სისწრაფით აღგავეს პირისა მიწისა, რომ ამ შემაძრწუნებელი სურათის მხილველებმა ვეღარც კი შეამჩნიეს როგორ და სად გაქრნენ ისინი. შემდეგ ტორნადოებმა თავი დაანებეს სოფელს და შეიჭრნენ ტყეში. საშინელი გრიალით და ჭახანით ილეწებოდა მეტრიანი სისქის უზარმაზარი მუხები, ხოლო ახალგაზრდა ხეები წვრილ ბაწრებად იგრიხებოდნენ. ისინი განუხრელად მიისწრაფოდნენ ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ და არავის და არაფერს ინდობდნენ, რაც კი წინ გადაეღობებოდათ. ერთ-ერთ მათგანს შეეყარა ეკლესია და ორსართულიანი ქვით ნაგები სახლი. თვალის დახამხამებაში მათი ასკილოგრამიანი ქვები მიმოფანტულ იქნა 80 მეტრის რადიუსის ფართზე. მათ მიაყოლა კიდევ ერთი სკოლა და რამდენიმე საცხოვრებელი სახლი. შემდეგ ხორთუმი გაეიდა დაბლობში, მოწყდა მიწას და რამდენიმე კილომეტრი ისე გაიარა, რომ არაფერს შეხებია და არაფერი დაუზიანებია. ცოტა შესვენების შემდეგ ისევ დაეშვა მიწაზე და ისეთი ძალით დაეტაკა ზედიზედ რამდენიმე სახლს, რომ მათგან ერთი მთელი ფიცარიც კი არ დარჩენილა. მხოლოდ ერთ მათგანს მოექცა გამორჩეულად: ისე სწრაფად და ფაქიზად აიტაცა ზეცაში მძიმე მორებისგან ნაგები კედლები და აგურის ღუმელი, რომ მასში მყოფი 13 ადამიანი იატაკთან ერთად დარჩნენ მიწაზე სრულიად უვნებელი, მაგრამ მოულოდნელობისაგან ასევე სრულიად გაოგნებული.

პირველ ხორთუმს უკან მოსდევდა მეორე. ის პირველზე საშინელი იყო. ერთი მკვრივად ნაგები სახლი აიტაცა მთლიანად ჰაერში ათიოდე მეტრის სიმაღლეზე, გადააფრინა 35 მეტრის მანძილზე და იქ ააფეთქა. კიდევ რამდენიმე სახლს

შეუტია ხორთუმმა გაშმაგებულად, მიმოფანტა ისინი კილომეტრიანი რადიუსის ფართზე, რის შემდეგ გაემართა მდინარისაკენ, ადვილად გადალახა ის, მაგრამ მეორე ნაპირი აღმოჩნდა მისთვის მეტისმეტად მაღალი და შვეული. აქ კი შეფერხდა, ვერ შეძლო მისი დაძლევა. თითქოსდა ამან გააბრაზაო, კიდევ უფრო გაძლიერდა, ჩაუყვა ქვევით მდინარეს, ეგგერა 75 მეტრის სიგრძის რკინა-ბეტონის თაღოვან ხიდს და ჯავრი მასზე იყარა: მოგლიჯა ბურჯებს და დაატრიალა ისეთი ძალით, რომ მთელი ხიდი გადაიქცა ფანტასტიკურად დაგრეხილ ჯართად. ბოლოს ხორთუმმა მოძებნა ხეობა, რომელიც მიმართული იყო ჩრდილო-აღმოსავლეთით და გაექანა მის გასწვრივ. ტორნადოები, როგორც წესი, ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ მიიჩქარიან. არავინ უწყის რას ეძებენ ისინი იქ.

დასახლება ირვინგთან ის გამოჩნდა პირველი ხორთუმის შემდეგ ორმოცი წუთის დაგვიანებით. ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულმა მოსახლეობამ სასოწარკვეთილებით დაინახა, თუ როგორ უახლოვდებოდა მათ ახალი საშინელება. თვითონ ხორთუმი არსად ჩანდა. ეს იყო მიწაზე გაწოლილი უზარმაზარი, მოღრიალე შავი კედელი კილომეტრის სიფართის, რომელიც თავაწყვეტილი მოექანებოდა მათკენ. ნგრევის ზოლი რჩებოდა მის უკან. წინ დახვედრილი 24 სახლი მომენტალურად აღგავა მიწიდან. ადამიანები ბუმბულებივით დაფარფატებდნენ ჰაერში, ხეებს შემოაცალა ტოტები და ქერქი, დარჩნენ მხოლოდ ჯოხები, რომლებზედაც ათასნაირი ნაგლეჯი ეკიდა. ქალაქში ყველაზე მყარად ნაგები სახლი აიტაცა ჰაერში, გადმოატრიალა იატაკით ზემოთ და დაანარცხა მიწაზე. მისგან მხოლოდ ნამსხვრევების გროვა დარჩა. სახურავი კი გადააგდო 800 მეტრის მანძილზე. იქვე, გვერდით, ხუთმეტიოდე მეტრის დაშორებით მსუბუქი ქოხი და ხეხილის ბაღი ხელუხლებელი დატოვა. შემდეგ გაემართა რკინიგზის სადგურისკენ, იქ მთლიანად გაანადგურა ელევატორი, გადაატრიალა რამდენიმე დატვირთული ვაგონი, მათ მიაყოლა სკოლა, ეკლესია და ექვსიოდე სახლი. ამის შემდეგ გავიდა მინდორში და იქ დადგა მისი აღსასრული, ძალაგამოლეული გაფერმკრთალდა, დაიშალა ნაწილებად და წყნარად მიილია. ამ დროს მისი ტყუპისცალი, პირველი ხორთუმი აგრძელებდა თავის დამანგრეველ გზას გვიან ღამემდე, სანამ უკვალოდ არ გადაიკარგა ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით.

კანზასელთა თავგადასავლები ამით არ დამთავრებულა. იმავე დღეს, იმავე საათებში კანზასის მეორე დასახლების, დელფოსის თავზე ჩამოწვა უზარმაზარი შავი ღრუბელი. განუწყვეტლივ ჩნდებოდა და ქრებოდა სწრაფად მბრუნავი ძაბრები. ისინი თანდათან იკრებდნენ ძალას. ბოლოს ერთ-ერთი მათგანი გადაიზარდა მძლავრ ხორთუმად და დაეშვა მიწაზე. დაუყონებლივ დაიწყო ნგრევა ჩვეულებრივ, როგორც ყოველთვის, მაგრამ იყო სიახლეც: მინდორში მყოფი ფერმერის გვერდით უცებ რაღაც დაეცა მძიმე და მკვრივი, შემდეგ მეორე, მესამე... ეს იყო ათიოდე სანტიმეტრის დიამეტრის ყინული. ეს უცნაური ტორნადო ყინულის ქვებს ისროდა გარშემო.

ტორნადომ სახლი და მასში მყოფი ოცამდე ადამიანი ჰაერში აიტაცა. როგორც ჰყვება ერთ-ერთი გადარჩენილი, მან არ იცის რა სიმაღლეზე და რამდენ ხანს ფარფატებდა ჰაერში. ახსოვდა მხოლოდ ის, რომ მას გვერდით ჩაუქროლა ცხენმა, რომელსაც ფაფარში ჩააფრინდა, ხოლო მეორე ცხენმა ურიკით ზემოდან გადაუქროლა...

საუკუნის ყველაზე საშინელ ტორნადოდ ითვლება 1925 წლის 18 მარტის ქარბორბალა, რომელმაც გადაუარა მისურის, ილიონისის და ინდიანას შტატებს.

მან გაიარა 350 კმ, დახოცა 695 ადამიანი, მძიმედ დაჭრა 2027, მიყენებულმა ზარალმა შეადგინა 40 მილიონი დოლარი...

ამგვარი ისტორიები იმდენი შეიძლება იქნეს მოთხრობილი, რომ დაიწერებოდა რამდენიმე ტომი, მაგრამ შემოვიფარგლებით მოკლე აღწერით:

ტბიდან ამოქაჩა ნახევარი მილიონი ტონა წყალი და თან გაიტაცა;

სამგზავრო მატარებლიდან ამოგლიჯა ერთი ვაგონი 117 მგზავრით, გადაიტანა რკინიგზიდან რამდენიმე მეტრით განზე და რბილად დააწვინა გვერდზე. ზოგჯერ სრულიად უხმაუროა, მაგრამ ზოგ შემთხვევაში გამაყრუებლად გრიალებს ისე, თითქოსდა ათასობით ქვემეხის კანონადააო, ან მილიონი ფუტკარი ბზუისო.

ხშირად ტორნადოს თან ახლავს ხაზოვანი, სფერული, ზოლოვანი, სპირალური, მბრუნავი, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, 45 გრადუსით დახრილი კუთხით ელექტრული განმუხტვები. განსაკუთრებულ ანალიზს მოითხოვს ე. წ. „იმპულსის გენერატორი", მკრთალად მანათობელი ლაქა, რომელსაც ზოგჯერ ამჩნევენ ხორთუმის გაჩენამდე ნახევარი საათით ადრე.

ზოგ შემთხვევაში „იმპულსის გენერატორი" მიწაზე არის გართხმული. ასეთი ტორნადო განსაკუთრებით დამანგრეველი და საშიშია.

არაპირდაპირი გაზომვებით ხორთუმში ბრუნვის მაქსიმალური სიჩქარე შეფასებულ იქნა როგორც ბგერის სიჩქარეზე მეტი.

ზოგჯერ ხორთუმის გარშემო ჩნდება მეორე, დიდი დიამეტრის ხორთუმი, რომელსაც კასკადს უწოდებენ.

ტორნადო ავლენს ნგრევის ოთხ სახეობას: დარტყმას, ატაცებას, აფეთქებას და გრეხვას.

არსებობს რამდენიმე წუთიდან, რამდენიმე საათამდე.

### *3. ფაქტორი „X"*

პრობლემა ის არის, რომ გარდა კოლოსალური ენერგეტიკისა, ციკლონსა და ტორნადოს აქვთ უმაღლეს დონეზე გასაიდუმლოებული ინფორმატიკა. ისინი შეიცავს ანომალურობის მაღალ ხარისხს, ე. ი. მათი თვისებები კლასიკური მეცნიერების ვერავითარ ჩარჩოებში ვერ ეტევა. ვერაფერს ვუსაყვედურებთ თანამედროვე მკვლევარებს. მათ შექმნეს რამდენიმე ათეული ჰიპოტეზა უკვე დაკვირვების შედეგად დაგროვილი დიდი რაოდენობის მასალების საფუძველზე. კონვექციური, ფრონტოლოგიური, ბარიული, გრავიტაციული, თერმიული და სხვა თეორიები იძლევა ზოგად, მიახლოებით მოდელებს, რომლებიც სერიოზულ სიძნელეებს აწყდება ამ მოვლენების ცალკეული თვისებების და პარამეტრების წინაშე. გარკვეულ პროგრესს მიაღწია ამერიკელი მეცნიერის ჰერბერტ რილის სითბური მანქანის თეორიამ და მისმა განვითარებამ რუსი მეცნიერის ვ. შულეიკინისა და იაპონელი მეტეოროლოგის მ. იანაის ნაშრომებში. მაგრამ, როგორც სპეციალისტები აღიარებენ, მათაც ვერ შეძლეს გადაელახათ ანომალურობის ბარიერი. ატმოსფეროში არსებობს ფარული სახით ფაქტორი „X", თანამედროვე მეცნიერებისათვის ჯერ კიდევ უცნობი ობიექტი, რომელიც არ ექვემდებარება არც ხელსაწყოებით დაკვირვებას და არც თანამედროვე თეორიების განტოლებებს.

რითი შეგვიძლია ჩვენ, პატარა ქვეყნის პატარა ხალხმა დავეხმაროთ ამერიკას? ჩვენ, ვისაც თვითონ გვჭირდება შველა და დახმარება!?

საქმე ის არის, რომ მეცნიერული ხასიათის პრობლემები არ მოითხოვს დიდ ენერგეტიკას, მეცნიერული ამოცანები შეიძლება გადაწყდეს პიროვნების ინტუიციის დონეზე, ტვინის ნეირონების ენერგეტიკის ფარგლებში. აქ კი, რატომაც არ შეიძლება შევეჯიბროთ ამერიკელებს. ეს უფრო სპორტული საკითხია. ციკლონებისა და ტორნადოების პრობლემა მნიშვნელოვან წილად ინტუიციურია. ამ თვალსაზრისით ჩვენ უკვე გვაქვს გარკვეული იმედის მომცემი შედეგები, რომლის საიდუმლოება პრინციპულად ახალი მეთოდოლოგიის გამოყენებაშია. წარსული საუკუნის შუა წლებში მეცნიერების მეთოდოლოგიაში ჩაისახა ახალი მიმართულება, რომლის ფუძემდებლები არიან კარლ პოპერი (K. Popper) და თომას კუნი (T. Kuhn) [3,4]. შეიქმნა მეცნიერების განვითარების ეგრეთ წოდებული პარადიგმული კონცეფცია, რომლის თანახმადაც მეცნიერება ვითარდება ნახტომებით, რევოლუციურად, ძველ საფუძვლებში შეცდომების გასწორებით წესებისა და პოსტულატების ნაწილობრივ ან მთლიანად ახლით ჩანაცვლების გზით. ჩვენ გამოვიყენეთ ეს მეთოდი სფერული ელვის პრობლემის ამოსახსნელად და მიღწეულ იქნა დადებითი შედეგები. მიგნებულ იქნა სწორედ ის ფაქტორი „X", რომელიც ამ მოვლენის ამომწურავ ამოხსნას იძლევა. შემდგომმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ იგივე ფაქტორი წარმატებით ართმევს თავს ელჭექის, ტორნადოსა და ციკლონის არანაკლებ ანომალური მახასიათებლების ამოხსნის პრობლემასაც. ქვევით ჩამოთვლილ ლიტერატურაში მოცემულია შესაბამისი არგუმენტები [5,6,7,8].

## გამოყენებული ლიტერატურა


1. **Д.Наливкин.** Ураганы, бури и смерчи. „Наука", Л. 1969.
2. **И.Ситников.** Бетси, Камилла и другие... Рассказы о тропических циклонах. Гидрометеоиздат, Л. 1975.
3. **k.poperi(K.Popper).**rCeuli narkvevebi. diogene. Targ. ingl. Tb. 2000.
4. **T. Kuhn.** The Structure of Scientific Revolution. The University of Chicago Press. 1970.
5. **G.Berria.** Ball Lightning - кutcome Peculiar of Matter. Bulletin of the Georgian Academy of Sciences. Volume 169, Number 3 . 2001, p. 463.
6. **Г.Берия.**К вопросу о природе шаровой молнии. Georgian Engineering News. 1997, Number 2, p.15.
7. **G.Berria.**кn the Problem of Tornado кrigin (Georgian). „Metsniereba da Teqnika". 1994.
8. **Г.Берия.**К вопросу о природе смерча. Труды института геофизики им. М. Нодия АН Грузии. Том 58, 2003.

**გია ბოკუჩავა**
*მთავარი ინჟინერი, კომპანია*
*„პომ-კომ კომუნიკეიშენის“ დირექტორი*

# საინფორმაციო ტექნოლოგიები და ინტერნეტ ბუმი აშშ-ში

წილად მხვდა ბედნიერება ვყოფილიყავი ინტერნეტის კომერციალიზაციის პროცესის დაწყების, მისი პიკის და, იმედია, დროებითი, მაგრამ, სამწუხაროდ, დამსახურებული დაცემის მონაწილე.

დასაწყისისათვის ცოტა ისტორია და საბაზო ინფორმაცია, რომელიც დაგვეხმარება იმ პროცესების უკეთ გაგებაში, რომლებიც XX საუკუნის ბოლოს ამ სფეროში მოხდა.

ყველაფერი დაიწყო იმით, რომ გასული საუკუნის 50-60-იან წლებში IBM-ის კომპანიამ, რომელიც ბიზნესისათვის საჭირო დანადგარებს ამზადებდა, დაიწყო კომპიუტერების წარმოება არა უბრალოდ ანგარიშისათვის, არამედ ბიზნეს-სისტემებისათვის. პრაქტიკულად, ეს სისტემები (IBM 360-ის სახელწოდებით) საშუალო და მსხვილი კომპანიების საფუძველი გახდა.

აღნიშნულ სისტემებს (უკვე მრავალი თაობის შემდეგ) კომპანიები ჯერ კიდევ იყენებენ და ზოგჯერ კინოთეატრის ზომის რამდენიმე შენობას იკავებენ. ძირითადად, მომხმარებლები მუშაობდნენ ე.წ. ტერმინალებში – პრაქტიკულად კომპიუტერულ მონიტორებზე კლავიატურით და პატარა ქვესისტემით, რომელიც საშუალებას იძლეოდა დაკავშირებოდნენ ე.წ. „maniframe“-ს – მთავარ კომპიუტერს კავშირის ხაზით, რომელიც დღეს საქართველოში ინტერნეტთან დამაკავშირებელ მოდემზე ბევრად ნელი იყო. ვინაიდან მთელი ინფორმაცია ტექსტური იყო (ანუ მონიტოტებზე ჩანდა მხოლოდ ტექსტი და არა გამოსახულება) – სიჩქარე მუშაობისათვის დამაკმაყოფილებელი იყო. რბილად რომ ვთქვათ, ამ შემთხვევაში ფუნქციონალური შეზღუდვები იყო. მაგალითად, ჩვეულებრივ, ეკრანზე შეუძლებელი იყო რომელიმე სქემის, ადამიანის ან საგნის ფოტოს, რუკის და სხვ. გამოსახულების მიღება.

დაახლოებით 1980-იანი წლების დასაწყისში გამოჩნდა დღეს ყველასათვის კარგად ცნობილი პერსონალური კომპიუტერები, რომლებიც ჩვეულებრივ საპროცესო ბლოკის, კლავიატურის, მაუსისა და ეკრან/მონიტორისაგან შედგებოდა.

ასეთი კომპიუტერებისათვის პროგრამული უზრუნველყოფის ერთ-ერთი ლიდერი კომპანია Microsoft გახდა.

ძირითადად მისი პროდუქცია შეიძლება ორ ნაწილად გაიყოს – საოპერაციო სისტემა – პროგრამა, რომელიც „აცოცხლებს“ კომპიუტერს და საოფისე უზრუნველყოფა – Word რედაქტორი და სხვ.

როგორც ცნობილია, პერსონალური კომპიუტერები მრავალი ოპერაციის – ეკრანზე ტექსტური და გრაფიკული ინფორმაციის მიღების საშუალებას იძლევა. მოგვიანებით მულტიმედიასთან მუშაობის, ანუ ხმოვანი ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების საშუალებაც გაჩნდა, შეიძლება ვიდეოფილმების დამუშავება – ტიტრების დამატება, რაიმეს „ამოჭრა“, ე.ი. ვიდეოფილმების რედაქტირება. შემდეგ

შესაძლებელია კომპიუტერში მისი „ნახვა“ ან ინფორმაციის მატარებელზე გადატანა და ვიდეომაგნიტოფონებით ან ანალოგიური დანადგარებით ჩვენება.

თავდაპირველად ეს სისტემები სასიამოვნო და მოსახერხებელი, ასევე, „maniframe“-ის სხვა მონიტორებთან შედარებით, უფრო სწრაფი იყო, თუმცა არასაკმარისად ძლიერი იმ ოპერაციების ჩასატარებლად, რომლებსაც დიდი „maniframe“-ები აწარმოებდნენ. საჭირო იყო მდგომარეობიდან გამოსავალის პოვნა, უფრო ზუსტად კი, ზოგიერთმა ფულის „გაკეთების“ საშუალება დაინახა და ახალი გადაწყვეტა მოიფიქრა. გამოჩნდა ე.წ. მინი-კომპიუტერები, რაღაც შუალედური „maniframe“-ებსა და პერსონალურ კომპიუტერებს შორის. პერსონალური კომპიუტერები კავშირის შედარებით სწრაფი ხაზებით მიერთებული იყო ამ მინი-კომპიუტერებთან და, რაც მთავარია, ე.წ. ბიზნეს-ლოგიკა (ანუ, რაც სისტემას მომხმარებლისათვის უნდა გაეკეთებინა) ორ ნაწილად იყო გაყოფილი. ლოგიკის ნაწილი იყო სერვერზე – მინი-კომპიუტერზე, ნაწილი კი კლიენტის პერსონალურ კომპიუტერზე, მაშინ, როდესაც წინათ მთელი ლოგიკა „mainframe“-ზე მუშაობდა, ტერმინალი კი უბრალოდ ინფორმაციას გადმოსცემდა. ამის შედეგად, სერვერი „განიტვირთა“, რამაც კომპიუტერების სიმძლავრე მკვეთრად შეამცირა. თუ წინათ მრავალმილიონიან „mainframe“-ზე იყო საუბარი, ახლა მილიონ დოლარზე ნაკლები ღირებულების მინი-კომპიუტერის „შოვნა“ შეიძლებოდა. თუმცა პრობლემებიც გაჩნდა. თუ წინათ შედარებით ნელი კავშირი საკმარისი იყო, ახლა უფრო რთული ალგორითმები უფრო სწრაფ კავშირს მოითხოვდა.

ახალ სტანდარტებზე გადასვლასთან დაკავშირებით კავშირის ხაზის გაძვირებამ, ერთგვარად, სტანდარტულ კონფიგურაციაზე გადასვლა მოითხოვა. ოფისში, რომელიც ერთ შენობაში მდებარეობდა, იქმნებოდა ე.წ. LAN (ლოკალური ქსელი) – კავშირის შედარებით სწრაფი ხაზი, რომელიც მინი-კომპიუტერს კლიენტების – პერსონალური კომპიუტერების – გარკვეულ რაოდენობასთან აკავშირებდა.

გაჩნდა სხვა პრობლემებიც. წინათ, პროგრამის შეცვლის საჭიროების შემთხვევაში, მას ცვლიდნენ „mainframe“-ზე და ტერმინალებს ყოველგვარი ცვლილების გარეშე შეეძლო იმწამსვე ახალი პროგრამების გამოყენება. კლიენტ-სერვერის შემთხვევაში კი, პროგრამის შეცვლისას, აუცილებელია ყოველი პერსონალური კომპიუტერისადმი ინდივიდუალური „მიდგომა“ და მასში პროგრამის შეცვლა. ეს საკმაოდ რთული საქმეა.

საინტერესოა, რომ მთლიანად სისტემის ღირებულება მაინც ნაკლები იყო, ვიდრე „mainframe“-ის, დასაქმებულობა კი - უფრო მაღალი. ყოველ შემთხვევაში, მუშაობის პროფილი შეიცვალა – „mainframe“-ების აწყობის ნაცვლად, პროგრამული უზრუნველყოფის სპეციალისტებს შეეძლოთ პერსონალური კომპიუტერების მომსახურება. მოკლედ, კლიენტ-სერვერებმა „mainframe/terminal“-ის სისტემები სერიოზულად შეავიწროვა.

ამით ბიზნესის კომპიუტერული მომსახურების სისტემის ევოლუცია არ დასრულებულა.

არ მოვყვებით Internet-ის წარმოშობის მიზეზებსა და სხვა დეტალებს, ვიტყვით მხოლოდ, რომ ის 1990-იანი წლების დასაწყისში გაჩნდა.

თუ აღწერას ძალიან გავამარტივებთ, ინტერნეტი წარმოადგენს მსოფლიო ქსელს, რომელშიც კავშირის ხაზების სისტემა „თავისთავად“ არსებობს. ანუ, არ არის ამ ხაზებისათვის პასუხისმგებელი არც ერთი პირი ან ორგანიზაცია. ამ

სისტემას აზრი აქვს მაშინ, როდესაც მასთან მიერთებულია როგორც კომპიუტერები (ე.ი. პერსონალური კომპიუტერების მომხმარებლები), ისე სერვერ-კომპიუტერები, რომლებიც შეიცავენ რაიმე ინფორმაციას ან ბიზნეს-ლოგიკას, ან ორივეს ერთად, რაც მომხმარებელს აინტერესებს.

ამ სისტემას, მართლაც, განუსაზღვრელი შესაძლებლობები აქვს და ვფიქრობ, მისი შესაძლებლობები ჯერაც ამოწურული არ არის.

ალეგორიულად სისტემა ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ – ველომრბოლელი გადასვეს თვითმფრინავის სამართავად. ის მიხვდა, რომ მიწაზე მგზავრობის ნაცვლად, შეიძლება ფრენა, მაგრამ თან რომ 300 კაცის წაყვანა შეუძლია, არავინ უთხრა, თვითონ კი ეს ვერც წარმოიდგინა.

ერთი წუთით რეალობას დავუბრუნდეთ. ვეძებდი ავტომობილს მეუღლისათვის. პერსონალური კომპიუტერის დახმარებით შევედი საძიებო სისტემაში და ვიპოვე ავტომობილი, რომელიც ასაკით, ფასით და პარამეტრებით, თითქოს, მაწყობდა. ბუნებრივია, მინდოდა მისი „ბუნებაში" ნახვა. დავუკავშირდით მფლობელებს, დავნიშნეთ შეხვედრა. ავტომობილი კარგად გამოიყურებოდა, მაგრამ ავარიის მცირე კვალი ჰქონდა. ამიტომ ვთხოვე ფასის დაგდება, თანაც ვცადე ავარიის დეტალების დადგენა. პატრონის მიერ მოყოლილი ავარიის ისტორია ნაკლებად რეალური მომეჩვენა. იქვე, ავტომობილთან, მობილურით დავუკავშირდი თანამშრომელს, რომელიც საკრედიტო ბარათით 19 დოლარის გადახდის შემდეგ ინტერნეტის მეშვეობით შევიდა სახელმწიფო ინფორმაციულ ბანკში და სერიული ნომრის საფუძველზე მოითხოვა ავტომობილის ისტორია. მიღებული ცნობები საკმაოდ მოულოდნელი იყო. თურმე ეს მანქანა მოყვა საშინელ ავარიაში, რომლის შემდეგაც რეგისტრაციის უფლების გარეშე აღმოჩნდა ნაგავსაყრელზე იმ შტატში, სადაც ავარია მოხდა. ვიღაცამ მანქანა აღადგინა, ეხლა კი მეზობელ შტატში ყიდდა. ბუნებრივია, ეს ავტომობილი არ ვიყიდე.

ადვილი მისახვედრია, რომ ინტერნეტის გარეშე ამის გაკეთება ასეთ მოკლე დროში შეუძლებელი იქნებოდა.

რაც შეეხება აშშ-ის ფინანსური სისტემის კომპონენტს, ის საკმაოდ რთულია, განსაკუთრებით არასპეციალისტისათვის. ვეცდებით მის მარტივად ახსნას.

ბევრი ადამიანი, რომელიც მუშაობს, შემოსავალს ყველაფერზე ხარჯავს. ბანკში შენახული ფული კი „წლიურ" 2-4%-ს იძლევა. სწორედ ეს შეესაბამება წლიურ ინფლაციას.

შეერთებულ შტატებში თვლიან, რომ ბიზნესში ფულის დაბანდება მისი შოვნის კარგი შესაძლებლობაა. მაგრამ რიგითი მოქალაქისათვის რომელიმე საქმეში ფულის დაბანდება არც ისე ადვილია, ვინაიდან რთულია ამა თუ იმ კომპანიის საქმეებში გარკვევა.

თუ გადავახტებით ცალკეულ მომენტებს, ისტორიას და დეტალებს და XX საუკუნის დასასრულისა და XXI საუკუნის დასაწყისზე გადავალთ, ვითარება ასეთია. არის ბირჟა (აშშ-ში რამდენიმე), სადაც „ღია ტიპის" საზოგადოებების აქციებია გამოტანილი. ყოველ ადამიანს ასეთი საზოგადოებების (კომპანიების) აქციების ყიდვა და გაყიდვა შეუძლია.

წესით ასეთ საზოგადოებებს დიდი პასუხისმგებლობა უნდა ჰქონდეთ – ისინი ვალდებულები არიან ფართო საზოგადოებისათვის გამოაქვეყნონ ყველა ფინანსური ანგარიში, მომავალი განვითარების გეგმები და აქციების ყველა

მფლობელის წინაშე განსახილველად გამოიტანონ სერიოზული გადაწყვეტილებებიც კი.

რისთვის არის ეს საჭირო? საქმე ის არის, რომ ასეთი ფინანსური ინსტიტუტი ადამიანებს დიდი ფულის „მოგების" ან „დაკარგვის" შესაძლებლობას აძლევს. ყველაფერი ეს როგორ მუშაობს? მაგალითად, კომპანიას აქვს 1000 აქცია და ერთ წელიწადში მილიონი დოლარი „მოიგო", 500 ათასი კი „დახარჯა". 1000-ზე გაყოფილი „ნარჩენი" გულისხმობს, რომ ყოველი აქცია 500 დოლარი ღირს და მისი ყიდვა ან გაყიდვა წელს ამ ფასად შეიძლება. თუ მომავალ წელს კომპანიას უკვე 2 მილიონი დოლარის მოგება ექნება და დახარჯავს 1 მილიონს, შესაბამისად, აქციების ფასი გაორმაგდება და 1000 დოლარს შეადგენს. ამგვარად, აქციონერს შეუძლია 500 დოლარის მოგება, თუ ის თავის აქციას წელს გაყიდის. ადამიანს, რომელმაც ასეთი კომპანიის აქცია 500 დოლარად იყიდა, შეუძლია სცადოს ერთი თვის შემდეგ მისი 700 დოლარად გაყიდვა, ეცოდინება რა, რომ მყიდველმა, ერთი წლის შემდეგ მისი 1000 დოლარად გაყიდვის შემთხვევაში, შესაძლოა, 300 დოლარი მოიგოს.

აქციების ყიდვა-გაყიდვის ყველა ფინანსური ოპერაცია დღეს ინტერნეტის მეშვეობით შეიძლება განვახორციელოთ.

ასევე აღსანიშნავია, რომ კომპანიის წარუმატებლობის შემთხვევაში აქციების ფასი უმთავრესად ეცემა და აქციონერი ფულს კარგავს. საინტერესოა, რომ აქციების ფასი დიდად არის დამოკიდებული ფსიქოლოგიურ მომენტზე და ხშირია, როდესაც კომპანიას ფინანსური საქმეები ცუდად აქვს, აქციების ფასი მაინც იზრდება. ჩვეულებრივ, ამას ხსნიან იმით, რომ ადამიანებს იმედი აქვთ, რომ ეს „დროებითი სიძნელეებია" და მალე წარმატება მოვა.

ეხლა კი ინტერნეტ ბუმის შესახებ, რომელმაც აშშ XX საუკუნის ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მოიცვა. 1994–1996 წლებში დაიწყო ინტერნეტის განვითარება, რაც, ალბათ, „Mosaic"-ის გამოჩენის ერთ-ერთი შედეგი იყო. 2003 წლის აპრილში Netscape-ისა და Internet Explorer-ის ამ წინამორბედი პროგრამის 10 წლისთავი იყო. აღნიშნული პროგრამის წყალობით შესაძლებელი გახდა სხვადასხვა სერვერზე გასვლა და კლიენტის – პერსონალურ კომპიუტერზე ინფორმაციის, მათ შორის, აუდიო/გრაფიკულის – მონახვა. პროგრამის თავისებურება ის იყო, რომ მას შეეძლო უპრობლემოდ სხვა სერვერებზე „გადახტომა", ანუ, თუ მომხმარებელი პოულობდა ინფორმაციას სერვერზე პერსონალურ კომპიუტერებთან დაკავშირებით, მას შეეძლო პერსონალური კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფის აღმწერ სერვერზე „გადახტომა".

იმ დროს, პრაქტიკულად, არ არსებობდა ე.წ. „browser"-ები. რამდენიმე ხნის შემდეგ გაჩნდა browser Netsca – browser-ის კომერციული ვერსია, რომელიც დასაწყისში არ მომწონდა, ვინაიდან კომერციული იყო. სწორედ ამ დროს დაიწყო ბუმი. Netscape ღია ტიპის სააქციო საზოგადოება გახდა. ხალხს სჯეროდა,რომ მალე ის „მთებს გადააბრუნებს" და აქციების ფასი მკვეთრად გაიზრდება. სინამდვილეში კი, მაშინ Netscape ფულს კარგავდა, ვინაიდან, ძირითადად, ინტერნეტში ამერიკული უნივერსიტეტები და კომპიუტერული ტექნიკის მწარმოებლები იყვნენ ჩართული.

მე მაქვს საკოლექციო კომპიუტერი NEXT, სადაც ჩაწერილია იმ სერვერების მისამართები, რომლებიც იმ დროს არსებობდა (დღეს ბევრი მათგანი აღარ არსებობს). მინდა ორი სერვერი აღვნიშნო – ერთ-ერთია აშშ-ის მთავარი ბიბლიოთეკის

(კონგრესის ბიბლიოთეკის), მერე კი – Roling Stones-ის მუსიკალური ჯგუფის სერვერი – ერთ-ერთი პირველი სერვერი ანუ Website ინტერნეტში.

თავდაპირველად ყველამ ვერ გაიგო ინტერნეტის მნიშვნელობა.

თავიდან Microsoft-მა – იმ დროის ერთ-ერთმა უმსხვილესმა კომპანიამ (დღეს ის კიდევ უფრო დიდია) ინტერნეტს ყურადღება არ მიაქცია. მას საკუთარი სერვერი ჰქონდა, რომელზეც მოთავსებული იყო ინფორმაცია, რომ არსებობს ასეთი კომპანია – Microsoft, ასევე იყო Webmaster-ის – Microsoft-ზე პასუხისმგებელი პირის, ინტერნეტიან მიერთებული პატარა კომპიუტერის გვერდით მდგომი შორტებში გამოწყობილი ჩასუქებული ახალგაზრდის – ფოტოსურათი. ვნანობ, რომ არ შევინახე ეს ინფორმაცია მომავალი თაობებისათვის... დღეს კი Microsoft-ს ერთ-ერთი ყველაზე დიდი ვებსაიტი აქვს ინტერნეტში. თუ გავაერთიანებთ www.msn.com, www.microsoft.com, www.hotmail.com ისინი ყველაზე დიდი ვებსაიტებია ინტერნეტში.

ინვესტიციებისა და აქციებზე ფასების ზრდის გამო Netscape სწრაფად ვითარდებოდა. მან Netscape-ის ახალ ვერსიებში უახლესი ტექნოლოგიები ჩართო, მაგალითად, VRML-ის ენა, რომელიც სამგანზომილებიანი სამყაროს დანახვისა და მასში „სეირნობის" საშუალებას იძლევა. ან კიდევ, Java Netscap-ის პირობებში უმაღლესი დონის, მათ შორის, ე.წ. 128 ბიტიანი, კრიპტოგრაფიის პროგრამების ჩართვის საშუალებას იძლევა (მაშინ როდესაც, ეგმ – „maniframe"ები 56 ბიტს იყენებდნენ). ამავე დროს, კრიპტოგრაფიის ყოველ ბიტს შეუძლია ბევრად გაზარდოს დრო, საჭირო დაშიფრული შეტყობინების გახსნისათვის. დანარჩენი ტექნოლოგიების დიდი ნაწილი სხვა კომპანიებმა განავითარა, ხოლო Netscape-მა თავის browser-ზე დანერგა.

იგივე მოხდა სერვერების საპროგრამო უზრუნველყოფის საქმეში.

როგორც იქნა გააქტიურდა Microsoft-იც – იგი Internet ტექნოლოგიის განვითარების ფერხულში ჩაერთო და ბუმიც დაიწყო. 1998–1999 წლები ახსოვთ როგორც ზღაპარი. წარმოიდგინეთ, რომ Microsoft-მა კონფერენციის ჩასატარებლად დაიქირავა Disney World-ის პარკი...

ინტერნეტ გამოფენებზე თამაშდებოდა 100 ათასი დოლარის ღირებულების ამერიკელი სამხედროების „Hummer"-ები. არასერიოზული ინტერნეტ კომპანიების მფლობელებსაც კი შეეძლოთ 200 ათასი დოლარის ღირებულების ფერარის ფირმის ავტომობილების ყიდვა. დაიწყო ინტერნეტ სიგიჟე – დაახლოებით 1999 წელს უაღრესად პოპულარული გახდა საოპერაციო სისტემა Lenux – ხალხმა დაიწყო ფულის დაბანდება ყველაფერში, რაც კი ამ სისტემასთან იყო დაკავშირებული, იმასაც კი ჰქონდა მათთვის მნიშვნელობა, თუ რომელიმე კომპანიის სახელწოდება Lenux-ს ჰგავდა.

მართალია, მაქინაციებიც აშკარავდებოდა. ეფიქრობ, კოლორადოში დაარსდა კომპანია Lenux -ის სახელწოდებით, რომლის რეკლამირება დაიწყეს როგორც Lenux-თან დაკავშირებული რაღაცის მწარმოებელი წამყვანი კომპანიისა. ხალხმა დაიწყო ამ კომპანიაში ფულის დაბანდება. სპეციალურმა კომისიამ, რომელიც მკაცრად ზედამხედველობს ყველა კომპანიასა და ღია ტიპის სააქციო საზოგადოებაზე, აღმოაჩინა, რომ ეს იყო უბრალოდ ადამიანების ჯგუფი, რომელიც არაფერს აწარმოებდა და მხოლოდ ასეთი უკანონო გზით ცდილობდა ფულის შოვნას. ეს კომპანია ატყუებდა ხალხს, რომელსაც სჯეროდა, რომ კომპანია Lenux-თან იყო დაკავშირებული და მომგებიანი იყო მასში ფულის დაბანდება.

არის სხვა შემთხვევებიც. ჩვენი კომპანიის ახალგაზრდა თანამშრომელი, რომელსაც ჯერ ინსტიტუტიც კი არ დაუმთავრებია და ერთ-ერთი ყველაზე დაბალი ხელფასი აქვს, თავისი ცოდნის დაბალი დონის გამო მოხვდა კომპანიაში, რომელიც „ინტერნეტ სერვერების უფასო მხარდაჭერას" აწარმოებდა. ბუნებრივია, რომ კომპანიის ფინანსური მდგომარეობა სავალალო იყო. 9 თვის შემდეგ ეს კომპანია სხვა კომპანიამ იყიდა 4,5 მლნ დოლარად, რაც თავისი აქციებით გადაიხადა. ერთი წლის შემდეგ აქციების ფასი 45 მლნ დოლარამდე გაიზარდა. ამ ახალგაზრდამ 15 მლნ დოლარი მიიღო?! სხვა ნივთებთან ერთად, მან ტყეში სპეციალური ბანაკი იყიდა, სადაც წინათ თოფის იჯარით აღება შეიძლებოდა, რომელიც საღებავიან ბურთულებს ისვრის. ასე რომ, თავის მეგობრებთან ერთად მას „ომობანას" თამაში შეეძლო...

ინტერნეტ ბუმთან დაკავშირებით შეერთებული შტატების ეკონომიკას ძლიერი ბიძგი მიეცა. ასე, მაგალითად, Palm-ის მოწყობილობით თვითმფრინავიდან ელექტრონული ფოსტის გაგზავნა შემეძლო. Palm-ის კომპანიამ არა მარტო PDA (პერსონალური ციფრული თანაშემწე), გამოუშვა, არამედ მთელს ამერიკაში შექმნა ქსელი, რომელიც ინტერნეტში ამ მოწყობილობის „უმავთულო" მუშაობის შესაძლებლობას იძლეოდა. ბევრი სხვა წამოწყებაც იყო, რომელსაც აქციონერები აფინანსებდნენ ინვესტიციებიდან დიდ მოგებასაც ელოდნენ. ბევრი სხვა სფეროებიდან ინტერნეტის სფეროში გადმოდიოდა, იზრდებოდა ხელფასები, წარმოიშვა პროგრამისტების საშინელი დეფიციტი.

კომპანიები ერთმანეთს უზარმაზარ თანხებად ყიდულობდნენ (ფულის შოვნის კიდევ ერთი საშუალება). საქმე მივიდა იქამდე, რომ მყიდველი კომპანია ყოველი პროგრამისტისათვის მილიონ დოლარს იხდიდა.

მაგალითად, თუ ერთი კომპანია ყიდულობდა მეორეს, სადაც 18 ადამიანი მუშაობდა და მათგან 10 პროგრამისტი იყო, ამ კომპანიის ფასი 10 მლნ დოლარი იყო. ეს სიგიჟე იყო.

ამავე პერიოდში გაჩნდა კომპანია, რომლის „გენიალური" იდეა მდგომარეობდა იმაში, რომ ხალხს ინტერნეტით შეეძლო პროდუქტების არჩევა, კომპანია კი ამ პროდუქტებს შემკვეთს სახლში აწვდიდა. მეორეს მხრივ, ეს სასაცილო იყო – ყველაფერ ამის გაკეთება შეიძლებოდა ტელეფონით სურათებიანი კატალოგის დახმარებით, მაგრამ მაშინ გიჟური დრო იყო. საინტერესოა, რომ, როდესაც ამ კომპანიის პრეზიდენტს პრეზიდენტობას სთავაზობდნენ, მან ერთი პირობა წამოაყენა – მისთვის სიცოცხლის ბოლომდე უნდა დაენიშნათ ხელფასი, და არა პენსია, რომელიც ხელფასზე დაბალი იყო. მართალია პრეზიდენტი მალე გააგდეს, მაგრამ ხელფასი სიცოცხლის ბოლომდე მან ვერ მიიღო, ვინაიდან კომპანია გაკოტრდა.

ეხლა კი Microsoft-ის დაცემის შესახებ... ამ კომპანიამ კვლავ გადაწყვიტა მთავარი კონკურენტის – Netscape-ის განადგურება. სამწუხაროდ, აქ უკვე აღარ იყო ტექნოლოგიების და ასე თუ ისე პატიოსანი მეთოდების შეჯიბრზე საუბარი... რა მოხდა საბოლოოდ, უკვე ვერავინ გაიგებს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ „მეფე ხომ შიშველია", ანუ მთელი ეს ბუმი საპნის ბუშტი ყოფილა... უამრავი კომპანია ამის შედეგად გაკოტრდა – გაქრა.

მრავალი საინტერესო ტექნოლოგია ასევე გაქრა იმის გამო, რომ ბევრ ინვესტორს – ადამიანებს, რომლებიც აქციებს ყიდულობდნენ ან უშუალოდ ფულს აბანდებდნენ კომპანიაში, არა მარტო არასერიოზული, არამედ, მათ შორის, საინტერესო და მართლაც პერსპექტიული ტექნოლოგიების აღარ სჯეროდათ. ერთ-ერთი ასეთი

ტექნოლოგია იყო Rickoshet – ინტერნეტში უმავთულო შეღწევა ბევრად უფრო სწრაფად, ვიდრე ტელეფონით. ასეთი სისტემა მუშაობდა ისეთ ქალაქებში, როგორიცაა: სან-ფრანცისკო, ატლანტა და სხვ.

ამის შედეგად, ბევრი, ვინც სხვა სფეროდან მოვიდა უმუშევარი დარჩა და ისევ კვალიფიკაციის შეცვლა მოუხდა. ბევრი სპეციალისტიც უმუშევარი დარჩა. სამწუხაროდ, ყველაფერი ეს დღემდე გრძელდება.

თუ ისევ თვითმფრინავის ანალოგს მივმართავთ, იმის ნაცვლად, რომ ეკონომიკურად გაიზარდოს გადაზიდვების მოცულობა თვითმფრინავების ხარისხისა და რაოდენობის ზრდის ხარჯზე, ჩათვალეს, რომ თვითმფრინავს „ოპ, ყველაფერი შეუძლია" და ისე გადატვირთეს, რომ ის ვეღარ მოერია. საქმე კი ის არის, რომ მას ყველაფერი შეუძლია, თუ კი „სწორად" გამოიყენებენ. რას ნიშნავს „სწორად", ჯერ არავინ იცის, მაგრამ, სამაგიეროდ, ყველამ დაინახა, თუ რას ნიშნავს „არასწორად".

მიუხედავად ზემოთ მოტანილი ყველა უარყოფითი მომენტისა, მაინც არსებობს სასარგებლო სერვერები. თუ კი უფლება მაქვს ისინი დავასახელო, ესენია:

http://www.google.com – ალბათ, ერთ-ერთი საუკეთესო საძიებო სისტემა ინტერნეტში (რასაკვირველია, ყველას თავისი აზრი აქვს ყველა სერვერის შესახებ);

http://www.yahoo.com – ინფორმაციის უზარმაზარი კრებული, ალბათ, რომლის „გადახარშვაც" საკმაოდ რთულია;

http://www.msn.com – ჩვეულებრივ, კომპიუტერის Windows PC-ზე პირველი გვერდი (უკომენტაროდ);

http://www.cnn.com – CNN-ის ახალი ამბები;

http://www.ebay.com – ინტერნეტში ყველაზე დიდი და ცნობილი აუქციონი;

http://www.amazon.com – ინტერნეტში თავის დროზე ყველაზე ცნობილი წიგნის მაღაზია, დღეს ნაკლებად პოპულარული, მაგრამ, სამაგიეროდ, უკვე არა მარტო წიგნის მაღაზია;

http://www.weather.com – ამინდი;

http://www.mapquest.com – ამერიკისა და ევროპის რუკა და გზები;

http://www.cnnfn.com – აქციების ფასები და ინფორმაცია კომპანიებსა და ღია ტიპის სააქციო საზოგადოებებზე;

http://www.news.com - კომპიუტერული ახალი ამბები;

http://www.freewebtown.com - საინტერესო პროექტი – შესაძლებელია ინტერნეტში საკუთარი სერვერის ქონა – არსებობს ქართული ვარიანტიც;

http://www.carsdirect.com - გსურთ ავტომობილების ფასების ნახვა?

ეს ვებ სერვერების მხოლოდ პატარა სიაა, რომლის დასახელებაც საჭიროდ ჩავთვალე. არის მრავალი სხვა ვებ სერვერი, რომელიც ზოგიერთისათვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ზემოთ დასახელებული. იმედია, მომავალში სხვა გამოცდილების გაზიარების საშუალებაც მოგვეცემა.

**თ. სალუქვაძე, ე. ხელაია, ნ. ხელაია**
*საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის*
*მ.ნოდიას სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტი*

# ღრუბლების რადიოლოკაცია და მეტეოროლოგიური რადიოლოკაციური ქსელი აშშ-ში

სულ რაღაც სამოციოდე წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ამუშავდა პირველი სამხედრო დანიშნულების რადიოლოკატორი. იგი მეორე მსოფლიო ომის დროს გამოიყენებოდა თვითმფრინავების აღმოსაჩენად, მოგვიანებით კი საზენიტო ქვემეხების ავტომატურად დამიზნებისათვის. სწორედ ამ დროს იჩინა თავი ერთმა ხელისშემშლელმა გარემოებამ, რომელიც შემდგომში წარმატებით იქნა გამოყენებული ზოგადად მეტეოროლოგიაში და, კერძოდ, ღრუბლების ფიზიკაში.

იმისათვის, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ლოკატორის მიერ აღმოჩენილი თვითმფრინავის კოორდინატების საჭირო სიზუსტით განსაზღვრა (სწორედ ამ მიზნისათვის იყენებდნენ პირველ სამხედრო რადიოლოკატორებს), ლოკატორის მიერ გასხივებული ელექტრომაგნიტური ენერგია მოქცეული უნდა ყოფილიყო ვიწრო სხეულოვან კუთხეში. თავის მხრივ, ეს დამოკიდებულია გასხივებული ელექტრომაგნიტური ტალღის სიხშირესა და ლოკატორის გამსხივებელი მოწყობილობის (ანტენის) გეომეტრიულ ზომებზე. კერძოდ, რაც უფრო მაღალია სიხშირე, ანტენის ერთი და იგივე ზომისას, მით უფრო ნაკლებია გასხივებული ელექტრომაგნიტური სხივის გაშლის კუთხე, ხოლო ეს უკანასკნელი ანტენის გეომეტრიულ ზომებთან უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია. ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ პირველი რადიოლოკატორები ხასიათდებოდნენ გამოსხივებული ელექტრომაგნიტური ტალღის მაღალი სიხშირეებით (რამდენიმე ასეული მეგაჰერციდან რამდენიმე გიგაჰერცამდე). ასეთ პირობებში საკმარისი იყო ლოკატორსა და რაიმე სამიზნეს შორის აღმოჩენილიყო გროვა საწვიმარი ღრუბელი, ან ნალექების ზონა, რომ ლოკატორის ეკრანზე სამიზნის რადიოექო ქრებოდა და ჩნდებოდა მეტეოროლოგიური წარმონაქმნის (ღრუბლის, ნალექის და სხვ.) რადიოექო. შემდგომში ეს მოვლენა წარმატებით გამოიყენეს მეტეოროლოგიაში და შეიქმნა სხვადასხვა დანიშნულების მეტეოროლოგიური რადიოლოკატორები. მათი გამოყენებით წარმატებით გადაწყდა ბევრი ისეთი ამოცანა, რომელთა გადაწყვეტა მანამდე არსებული ტრადიციული ხერხებითა და საშუალებებით ან დიდ მატერიალურ დანახარჯებთან აღმოჩნდებოდა დაკავშირებული, ან სავსებით შეუძლებელი იქნებოდა.

ღრუბლების ფიზიკის დარგში მეტეოროლოგიური რადიოლოკატორის გამოყენებით შესწავლილ იქნა სხვადასხვა ტიპის და განვითარების სხვადასხვა სტადიაში მყოფი ღრუბლების რადიოექოს პარამეტრები. მოპოვებული ექსპერიმენტული მასალის მეცნიერულმა ანალიზმა სპეციალისტებს საშუალება მისცა შეექმნათ მეთოდები, რომელთა გამოყენებით შესაძლებელია განისაზღვროს დიდ ფართობზე (რამდენიმე ათეული ათასი კვ. კმ) მოსული ატმოსფერული ნალექების ჯამური სიდიდე, ინტენსივობა, მათი განაწილება დროსა და სივრცეში. ასევე წარმატებით შეიძლება გადაწყდეს ისეთი პრაქტიკული ამოცანები, როგორიცაა:

კონვექციური ღრუბლების ელჭექ და სეტყვასაშიშროების, სალრუბლო გარემოს წყლიანობის, ნაწილაკების ზომებისა და მათი კონცენტრაციის განსაზღვრა და სხვ. მეტეოროლოგიური რადიოლოკატორების გამოყენების გარეშე წარმოუდგენელია კონვექციურ ღრუბლებზე ხელოვნური ზემოქმედების სამუშაოები, რომლებიც წარმოებს ნალექების გადიდების, სეტყვის მიერ მიყენებული ზარალის შემცირებისა და ღრუბლების ელექტრული აქტიურობის რეგულირების მიზნით.

ზოგადად რადიოლოკაცია ემყარება ელექტრომაგნიტური ტალღების ატმოსფეროში გავრცელებისა და ამ ტალღების სხვადასხვა დიელექტრიკულ არაერთგვაროვნებაზე გაბნევის ფიზიკურ კანონებს.

მეტეოროლოგიურ რადიოლოკაციაში დიელექტრიკულ არაერთგვაროვნებას სხვადასხვა ჰიდრომეტეორები წარმოადგენენ, როგორებიცაა: წყლის წვეთების ერთობლიობა, ყინულის კრისტალები, სეტყვის მარცვლები და სხვ.

რადიოლოკატორი წარმოადგენს რთულ ელექტრონულ და ელექტრომექანიკურ მოწყობილობას, რომლის დანიშნულებაა გამოიმუშაოს მაღალი სიხშირის ელექტრომაგნიტური ენერგია, გაასხივოს იგი გარემოში, მიიღოს უკუგაბნეული ელექტრომაგნიტური ტალღა და სპეციალური ელექტრონულ-სხივური მილაკის ეკრანზე წარმოადგინოს რადიოექოს გამოსახულება.

განასხვავებენ რადიოლოკაციის ორ სახესხვაობას: პასიურ და აქტიურ ლოკაციას.

პასიური ლოკაციის დროს მუშაობს მხოლოდ ლოკატორის მიმღები მოწყობილობა, რომლის მიზანია მიიღოს და გააძლიეროს ბუნებრივი (ღრუბლებში ელექტრული განმუხტვის დროს წარმოქმნილი ელექტრომაგნიტური გამოსხივება) ან ხელოვნური (მაღალი სიხშირის სხვადასხვა გენერატორების გამოსხივება) გამომსხივებელი წყაროს ელექტრომაგნიტური ენერგია და დააფიქსიროს მისი მდებარეობა სივრცეში. მეტეოროლოგიაში ასეთი ლოკატორით სწავლობენ ელჭექის ღრუბლის საკუთარი ელექტრომაგნიტური გამოსხივების სხვადასხვა მახასიათებლებს. ზოგადად ნებისმიერი რადიომიმღები და ე.წ. რადიოპელენგატორები პასიური რადიოლოკატორია.

აქტიური ლოკაციის დროს სადგური თვითონ ასხივებს მაღალი სიხშირის ელექტრომაგნიტურ ტალღას და შემდეგ ღებულობს უკუგაბნეულ ანარეკლს. სწორედ ასეთი ტიპის რადიოლოკატორებზე გვექნება საუბარი ქვემოთ.

მეტეოროლოგიური რადიოლოკატორი სპეციალურ ეკრანზე აფიქსირებს ე.წ. დიელექტრიკული არაერთგვაროვნების გამოსახულებას. თუ როგორ აისახება ასეთი გამოსახულება ლოკატორის ეკრანზე ნაჩვენებია ნახ. 1-ზე. ღრუბლის იმ ნაწილის გამოსახულება, სადაც თავმოყრილია მსხვილი ნაწილაკები, უფრო კაშკაშაა. ადამიანის თვალისათვის სიკაშკაშის მიხედვით რადიოექოს გარჩევა ძნელია, ამიტომ, ზოგჯერ რადიოექოს სხვადასხვა სიკაშკაშის მქონე უბნებს სხვადასხვა კონტურით გამოყოფენ (იხ. ნახ. 2). თანამედროვე რადიოლოკატორებში, რომელიც კომპიუტერთან არის შეუღლებული, სხვადასხვა სიკაშკაშის მქონე უბნებს სხვადასხვა ფერით გამოყოფენ.

დღევანდელი მეტეოროლოგიური რადიოლოკატორების მოქმედების რადიუსი 300 კმ-ზე მეტია.

აშშ-ში შექმნილია სპეციალური მეტეოროლოგიური რადიოლოკატორების ქსელი, რომელიც ქვეყნის თითქმის მთელ ტერიტორიას მოიცავს. ქვეყნის ყველა ლოკატორიდან მეტეოინფორმაცია ერთ კომპიუტერში იყრის თავს. სპეციალური




ნახ. 1. მეტეოროლოგიური რადიოლოკაციური სადგურის „წრიული მიმოხილვის" ინდიკატორის ფოტოგამოსახულება.
1 - მანძილის ჭდეები; 2 - ღრუბლების რადიოექო; 3 -აზიმუტური შკალა. მანძილის ჭდეები შეესაბამება 5კმ-ს.

პროგრამის საშუალებით კომპიუტერი რეალურ დროში ადგენს რუკას, რომელზედაც გამოსახულია მოცემული მომენტისათვის ღრუბლების მდებარეობა. ასეთ რუკაზე ფერების საშუალებით კოდირებულია ღრუბლების სიმძლავრე. რუკაზე მონაცემები იცვლება ყოველ წუთში. რუკა გადაიცემა ინტერნეტით და სარგებლობა შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს და უწყებას. ასეთი რუკების მომხმარებელია: აეიაცია, საზღვაო ფლოტი, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა და სხვ. ამ რუკების საშუალებით შესაძლებელია საკმაო სიზუსტით გაითვალონ მოცემულ რეგიონში ატმოსფერული ფრონტის გავლის მომენტი, დიდ ტერიტორიებზე შეფასდეს მოსული ნალექების ჯამური რაოდენობა, პილოტებმა თავიანთი ლაინერებისათვის აირჩიონ მეტეოროლოგიურად უსაფრთხო მარშრუტი და სხვ. ეს რუკები აუცილებელია ყოველდღიური ამინდის ზუსტი პროგნოზირებისათვის.

მეტეორადიოლოკატორების ქსელის ორგანიზაციასა და ფუნქციონირებაში აშშ-ში მილიონობით დოლარი იხარჯება. ბევრი ქვეყანა, მათ შორის ჩვენიც, თავისთავს ვერ აძლევს ასეთი „ფუფუნების" უფლებას. არადა, ჩვენი ქვეყნისათვის სულ 3–4 თანამედროვე მეტეორადიოლოკატორი იქნებოდა საკმარისი, რომ მთელი




ნახ. 2. სეტყვის ღრუბლის რადიოექოს დისკრეტული გამოსახულების ფოტო. 1-მანძილის ჭდეები; 2-ღრუბლის რადიოექო; 3-აზიმუტური შკალა. მანძილის ჭდეები შეესაბამება 5კმ-ს.

ტერიტორია დაფარული ყოფილიყო ასეთი ქსელით. ეს სასარგებლო იქნებოდა არა მარტო ჩვენი ქვეყნისათვის, არამედ ჩვენი მეზობელი ქვეყნებისა და ყველა იმ ქვეყნებისათვის, რომლებსაც ჩვენთან ეკონომიკური ურთიერთობა აქვს და, რომლებიც ჩვენი საჰაერო სივრცით სარგებლობენ.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Батан Л. Дж.-Радиолокационная метеорология. (Перевод с англислиского). Ленинград, Гидрометеоиздат, 1962
2. თ.სალუქვაძე, ზ.ხვედელიძე, ე.ხელაია. კონვექციური ღრუბლების რადიოლოკაცია (მონოგრაფია). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მ. ნოდიას სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტის შრომები. ტ. VII. თბილისი. 2002.

**გიორგი შიხაშვილი**
*ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტის და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის დოცენტი*

# პ.ფ. დრაკერი ამერიკული მენეჯმენტის პერსპექტივების შესახებ

თანამედროვე მენეჯმენტის კორიფეებს შორის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი პიტერ ფერდინანდ დრაკერს (Peter F. Drucker) უკავია. მისი ბიოგრაფია და შემოქმედებითი მოღვაწეობა უაღრესად მრავალფეროვანი და საინტერესოა[1].

პ. დრაკერი დაიბადა 1909 წელს ავსტრიის დედაქალაქ ვენაში. მისი მამა ადოლფ დრაკერი წამყვანი ადვოკატი და ცნობილი ლიბერალი იყო. 1937 წელს დრაკერების ოჯახი საცხოვრებლად აშშ-ში გადავიდა. პ. დრაკერი, სპეციალობით ეკონომისტი, 1942 წელს აირჩიეს პროფესორის თანამდებობაზე ვერმონტის შტატის ბენინგტონის კოლეჯში. 1952 წელს იგი გადავიდა ნიუ-იორკის უნივერსიტეტში პროფესორის თანამდებობაზე მენეჯმენტის კათედრაზე. ამერიკაში ცხოვრების პირველივე წლებიდან იწყება პ. დრაკერის კარიერა როგორც სწავლული ეკონომისტისა და ცნობილი კონსულტანტისა.

პ. დრაკერი მრავალი ნაშრომის ავტორია. ჯერ კიდევ 27 წლის ასაკში 1936 წელს იგი აქვეყნებს თავის პირველ წიგნს „The End of Economic Man" („ეკონომიკური ადამიანის დასასრული"), მიძღვნილს ფაშიზმის ეკონომიკური საწყისების კვლევისადმი. 1942 წელს გამოდის მისი მეორე წიგნი „The Future of Industrial Man" („ინდუსტრიული ადამიანის მომავალი"). ამ წიგნში ავტორი ცდილობს განჭვრიტოს ომისშემდგომი მომავალი და აღწეროს ახალი მსოფლიოს არსი. თავის მესამე წიგნში „The Concept of Corporation" („კორპორაციის კონცეფცია") (1946) პ. დრაკერი ახდენს ინდენტიფიცირებას ორგანიზაციების ტიპებისა, რომლებიც, მისი აზრით, უნდა ჭარბობდნენ მომავლის საზოგადოებაში, პოლიტიკაში და ეკონომიკაში.

შემდგომი წლების გამოცემებიდან აღსანიშნავია პ. დრაკერის წიგნები:

– 1954 წელს – „The Practice of Management" („მენეჯმენტის პრაქტიკა"), რომელიც თარგმნილია რუსულ ენაზე[2].

– 1967 წელს – „The Effective Executive" („ეფექტიანი ხელმძღვანელი");

– 1974 წელს – „Management: Tasks, Responsibilities, Practicies" („მენეჯმენტი: ამოცანები, მოვალეობები, განხორციელების მეთოდები");

– 1981 წელს – „Towards the Next Economics" („გზა მომავალი ეკონომიკისაკენ");

– 1985 წელს – „Innovation and Enterpreneurship" („ინოვაციები და მეწარმეობა");

– 1987 წელს – „The Frontiers of Management" („მენეჯმენტის საზღვრები");

– 1999 წელს – „Management Challenges for the 21 st Century" („მენეჯმენტის ამოცანები 21-ე საუკუნეში"), რომელიც თარგმნილია რუსულ ენაზე[3]

პ. დრაკერი თავის ნაშრომებში მენეჯმენტს განიხილავს როგორც თავისებურ ახალ ფილოსოფიას. იგი აქცენტს აკეთებს წარმოების საბოლოო შედეგზე, რის

საფუძველზეც აყალიბებს „მიზნების მიხედვით მართვის“ კონცეფციას. პ. დრაკერისათვის უმნიშვნელოვანესია მომავლის ხედვა და ინოვაციური საქმიანობა. ასეთი მიდგომა სრულად ესმიანება გაეროს მიერ მთელი მსოფლიოსათვის რეკომენდებულ მდგრადი განვითარების კონცეფციას და პროგრამას XXI საუკუნისათვის“. ამ დოკუმენტებში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ განვითარების ტენდენციების მიხედვით აუცილებელია ძირეულად შეიცვალოს სამეურნეო-მმართველობითი კონცეფციები და პრაქტიკა მთელი მსოფლიოს მასშტაბით, თითოეულ სახელმწიფოში და ყოველ ცალკეულ სამეწარმეო დარგში.

ახლა მოკლედ განვიხილოთ უმთავრესი კონცეფციები, რომლებიც ასახულია პ. დრაკერის წიგნში „მენეჯმენტის ამოცანები 21-ე საუკუნეში“. მასში შესწავლილია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა:

– ხვალინდელი დღის უმნიშვნელოვანესი ამოცანები;

– მენეჯმენტის ახალი პარადიგმა;

– დღევანდელი მმართველობითი კონცეფციების ანალიზი სამომავლო ტენდენციების ფონზე;

– ორგანიზაციული სტრუქტურების, პერსონალის მართვის, ტექნოლოგიების, იურიდიული გარემოს და სხვა სფეროების განვითარების პერსპექტივები;

– ახალი სოციალურ-ეკონომიკური რეალიები და ორგანიზაციის სტრატეგია;

– ცვლილებების პოლიტიკის ძირითადი პრინციპები;

– ცვლილებები და სტაბილურობა;

– მომავლის შენება;

– გონებრივი შრომის მუშაკთა მწარმოებლურობა;

– მენეჯერის როლი კარიერაში და ცხოვრებაში.

თავის ნაშრომში პ. დრაკერი აღნიშნავს, რომ „ის, ვინც დღეს მუშაობს ხვალინდელი დღის პრობლემებზე და ამით ამზადებს საკუთარ თავს და თავის ორგანიზაციას ახალი ამოცანებისათვის, ახლო მომავალში დაიკავებს მოწინავე პოზიციებს. ხოლო ის, ვინც ამოცანების გადაჭრას გადადებს სამომავლოდ, უკან ჩამორჩება და, ალბათ, ვერასდროს აინაზღაურებს დაკარგულს“ [3].

პ. დრაკერი აანალიზებს დღეისათვის გაბატონებულ მმართველობით კონცეფციებს და ასკვნის, რომ მათი უმრავლესობა დღეისათვის იმდენად მოძველდა და ჩამორჩა რეალურ პროცესებს, რომ ხელს უშლის მენეჯმენტის თეორიისა და პრაქტიკის შემდგომ განვითარებას. მეცნიერი განიხილავს ასეთ კონცეფციებს და იქვე იძლევა წინადადებებს მათი შეცვლისათვის.

მაგალითად, დღეისათვის თითქმის საყოველთაოდ არის გავრცელებული აზრი, რომ მენეჯმენტი – ეს მხოლოდ ბიზნესის მენეჯმენტია. პ. დრაკერი სათანადო მსჯელობის საფუძველზე ასკვნის, რომ მენეჯმენტი არის ყველა და ყოველი ორგანიზაციის სპეციფიკური და განმსაზღვრელი სტრუქტურა.

ავტორი კრიტიკულად აანალიზებს მოსაზრებას, რომ არსებობს ან უნდა არსებობდეს ორგანიზაციული სტრუქტურის მხოლოდ ერთადერთი სწორი ტიპი. იგი ასკვნის, რომ აუცილებელია ასეთი სტრუქტურის ძიების ნაცვლად გამოვავლინოთ, ჩამოვაყალიბოთ და პრაქტიკაში გამოვცადოთ ისეთი ორგანიზაციული სტრუქტურები, რომლებიც შეესატყვისებიან დაყენებულ ამოცანებს.

მსგავსი სიტუაციაა პერსონალის მართვის სფეროშიც. დღეს მიჩნეულია, რომ არსებობს ან უნდა არსებობდეს მუშაკთა მართვის მხოლოდ ერთი სწორი მეთოდი. აქაც სათანადო მსჯელობის საფუძველზე პ. დრაკერი გვთავაზობს ახალ მიდგომას: „ადამიანები არ უნდა „ემართოთ", ისინი უნდა წარემართოთ. ამოცანაა – გავხადოთ მაქსიმალურად მწარმოებლური ყოველი ცალკეული მუშაკის სპეციფიკური ცოდნა და ჩვევები".[6]

პ. დრაკერის აზრით მენეჯმენტის ყურადღების სფეროში აუცილებლად უნდა შედიოდეს ყოველივე ის, რაც თუნდაც ირიბად ახდენს გავლენას ორგანიზაციის საქმიანობის მწარმოებლურობასა და შედეგობრიობაზე, იქნება ეს ორგანიზაციის შიგნით თუ გარეთ, მის საკონტროლო თუ არასაკონტროლო სფეროებში. თანამედროვე საზოგადოების, ეკონომიკის და ადამიანურ ურთიერთობათა „ფუნდამენტი არის მართვადი ორგანიზაცია როგორც საზოგადოებრივი ინსტიტუტი, რომლის მიზანია შედეგის მიღწევა. ხოლო მენეჯმენტი არის სპეციალური ინსტრუმენტი, განსაკუთრებული ფუნქცია, სპეციფიკური აპარატი, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციის მიერ საჭირო შედეგების მიღწევის შესაძლებლობას".[7] სწორედ ასეთი გარემოება განაპირობებს მენეჯმენტში ახალი პარადიგმების და კონცეფციების შემუშავება-განხორციელების აუცილებლობას.

ყოველი ორგანიზაციისათვის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა სწორი სტრატეგიის შემუშავება და მისი ეფექტიანი რეალიზაცია. ამისათვის არ კმარა ორგანიზაციის მხოლოდ შიდა ფაქტორების გათვალისწინება.

დღევანდელ პირობებში, XXI საუკუნის დასაწყისში, მსოფლიო დადგა დიდი ცვლილებების და სრულიად ახალი, ხშირად, განუსაზღვრელი რეალობების წინაშე, რასაც თითქმის არ ითვალისწინებს დღევანდელი ბიზნესი და მენეჯმენტი. პ. დრაკერი ჩამოთვლის ასეთ რეალიებს:

– შობადობის მკვეთრი დაცემა განვითარებულ ქვეყნებში;
– ცვლილებები შემოსავლების განაწილებაში;
– ეფექტიანობის განსაზღვრის ცვლილება;
– კონკურენციის გლობალიზაცია;
– ზრდადი შეუსაბამობა ეკონომიკურ გლობალიზაციასა და პოლიტიკურ განკერძოებას შორის.

მათი განხილვის შედეგად მეცნიერი ასკვნის, რომ „ეს რეალიები აყენებენ საკითხებს, რომლებზეც ყოველმა ცალკეულმა ორგანიზაციამ დამოუკიდებლად უნდა იპოვოს პასუხები; ეს პასუხები იქნება სწორედ სტრატეგიის საფუძველი"[8] თუ ორგანიზაცია ვერ შეძლებს ღირსეულად „შეხვდეს" ზემოაღნიშნულ პრობლემებს, მას არ უნდა ჰქონდეს არათუ აყვავების, არამედ წარმატების იმედიც კი. „ერთადერთი პოლიტიკა, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს წარმატება, არის მომავლის შეგნებული შენება. . . . მომავლის შენების დაწყება, საკმაოდ სარისკოა, არდაწყება – უფრო უარესი".[9]

პ. დრაკერის ნაშრომში ასახული მმართველობითი პრობლემები და მიდგომები მათი გადაჭრისადმი უაღრესად აქტუალურია მენეჯმენტის ისეთი კლასიკური ქვეყნისათვის, როგორიც არის აშშ. უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ის მთელი რიგი

ორგანიზაციები უკვე შეუდგნენ თავისი ეკონომიკურ-მმართველობითი მომავლის შენებას და წარმატებებსაც მიაღწიეს ამ სფეროში.

საქართველოსათვის მეტად მნიშვნელოვანია ცივილიზებული ეკონომიკური სამყაროს თეორიული მიღწევების და პრაქტიკული გამოცდილების გაცნობა და სამეურნეო საქმიანობაში გამოყენება, რაც, ჩვენი აზრით, ახლო მომავალში უთუოდ უნდა განხორციელდეს.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Классики менеджмента. Под ред. М. Уорнера. Пер. с англ. под ред. Ю.И. Каптуревского. _ СПб.: Питер, 2001.
2. П. Ф. Друкер. Практика менеджмента. Пер. с англ. _ М. «Вильямс», 2002.
3. П. Ф. Друкер. Задачи менеджмента в XXI веке. Пер. с англ. М. «Вильямс», 2002.
4. Программа действий. Повестка дня на 21 век. Сост. М. Китинг. Женева, 1993.
5. П.Ф.Друкер. указ.соч.,с.11.
6. Там же,с.40.
7. Там же,с.64.
8. Там же,с.102.
9. Там же,с.130.

**ნ.ჩიხლაძე**
*ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
სტატისტიკის კათედრის დოცენტი*

# ამერიკის პოპულაციის ჯანმრთელობის სტატისტიკური პორტრეტი

*„აშშ-ის მთელი მოსახლეობის
საყოველთაო უზრუნველყოფა სამედიცინო
მომსახურების სრული პაკეტით."
პრეზიდენტ კლინტონის რეფორმის გეგმის
ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი.*

XXI საუკუნეს კაცობრიობა კარდინალური მნიშვნელობის ცვლილებებით შეეგება. ეკონომიკური განვითარების ფოკუსში ადამიანისეული კაპიტალი მოექცა, სოციალური იმპერატივებიდან კი განსაკუთრებული მნიშვნელობა ჯანმრთელობის დაცვის სისტემამ შეიძინა.

პოპულაციის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი ელემენტი სტატისტიკური მაჩვენებლების პერმანენტული მონიტორინგია. აშშ-ში პოპულაციის ჯანმრთელობის სტატისტიკურ შესწავლას დასაბამი XX საუკუნის 20-იან წლებში დაედო. 1949 წელს შეიქმნა სანიტარული და დემოგრაფიული სტატისტიკის ეროვნული კომიტეტი, 1951 წელს კი, ავადობის შესწავლის სპეციალური ქვეკომიტეტი, რომელმაც 1953 წელს მოამზადა მოსახლეობის ჯანმრთელობის ლონგიტუდინალური მრავალასპექტიანი კვლევის შესახებ კანონის საფუძვლები.

აშშ-ში პოპულაციის ჯანმრთელობის სტატისტიკის ძირითად წყაროს აღწერის ბიურო და სამედიცინო სტატისტიკის ნაციონალური ცენტრი წარმოადგენს. აღწერის ბიუროს მიერ პერიოდულად ტარდება პოპულაციის მიმდინარე სტატისტიკური გამოკვლევები, რაც დამატებითი ინფორმაციის მოპოვების საშუალებას იძლევა.

აშშ-ის უახლესი ისტორიის მოკლე დროის მონაკვეთში, კერძოდ, 1960 წლიდან 2000 წლამდე, აშშ-ის პოპულაცია 95 მლნ ადამიანით გაიზარდა. საპროგნოზო მაჩვენებლებით კი 2050წელს მოსახლეობა 402 მილიონს გადააჭარბებს. ამერიკის პოპულაციის უმეტეს ნაწილს (საშუალოდ 51%-ს) ქალები შეადგენენ. (იხ.სქემა1) გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან აშშ-ის პოპულაციის საერთო სტრუქტურაში კლებულობს 0-14 ასაკობრივი ჯგუფის წილი (1,3%-ით), მატულობს 65 წლის და ზევით ასაკობრივი ჯგუფის წილი (1,4%-ით), ხოლო 15-65 წლის ასაკობრივი ჯგუფის რაოდენობა პრაქტიკულად უცვლელი რჩება. (იხ. სქემა2)




სქემა. №1. აშშ–ის პოპულაცია 1960–2000 წლებში.
და პოპულაციის პროგნოზული მაჩვენებლები 2010–2050 წლისთვის.




სქემა. №2. აშშ-ის პოპულაციის ასაკობრივი
სტრუქტურა, 1980–2000 წლებში

აშშ-ის პოპულაციაში აღინიშნება შობადობის მაჩვენებლების კლების ტენდენცია. 2000 წელს შობადობის მაჩვენებელი 1960 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 1,6-ჯერ შემცირდა. შობადობის მაჩვენებელი, ისევე, როგორც ფერტილობის მაჩვენებელი, უფრო მაღალია შავი რასის და ამერიკელი ინდიელების პოპულაციაში, ვიდრე თეთრი რასის პოპულაციაში (იხ. ცხრილი1).

ცხრილი. 1. შობადობის და ფერტილობის მაჩვენებლები აშშ-ის პოპულაციაში, 1980–1998 წლებში

| | 1980 | 1990 | 1992 | 1994 | 1996 | 1998 |
|---|---|---|---|---|---|---|
| შობადობის მაჩვენებლები | 15,9 | 16,7 | 15,9 | 15,2 | 14,7 | 14,6 |
| თეთრი რასის პოპულაციაში | 15,1 | 15,8 | 15,0 | 14,4 | 14,1 | 14.0 |
| შავი რასის პოპულაციაში | 21,3 | 22,4 | 21,3 | 19,5 | 17,8 | 17,7 |
| ფერტილობის მაჩვენებლები | 68,4 | 70,9 | 68,9 | 66,7 | 65,3 | 65,6 |
| თეთრი რასის პოპულაციაში | 64,8 | 68,3 | 66,5 | 64,9 | 64,3 | 64,6 |
| შავი რასის პოპულაციაში | 84,7 | 86,8 | 83,2 | 76,9 | 70,7 | 71,0 |

ადამიანის ბიოლოგიური შესაძლებლობების მიუხედავად, შობადობაზე უდიდეს გავლენას სოციალურ-ეკონომიკური პირობები ახდენს. დემოგრაფიული პროცესების სტატისტიკური ანალიზი გვიჩვენებს, რომ რაც მაღალია მოსახლეობის ცხოვრების დონე, მით ნაკლებია შობადობა.

ბუნებრივი მოძრაობის მეორე უმნიშვნელოვანეს კომპონენტს სიკვდილიანობა წარმოადგენს. აშშ-ის პოპულაციაში აღინიშნება როგორც საერთო სიკვდილიანობის, ისევე ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლების კლების ტენდენცია. 2000 წელს საერთო სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1960 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 2,8-ჯერ შემცირდა, რაც უდაოდ ჯანდაცვის სისტემის მაღალ ეფექტურობაზე მიუთითებს (იხ. სქემა3).

სიკვდილიანობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (11.6-10,1) აღინიშნება კოლუმბიის, დასავლეთ ვირჯინიის, არკანზასის, პენსილვანიის, მისისიპისა და ალაბამას შტატებში, ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (4,2-6,7) კი - ალიასკის, იუტას, კოლორადოს შტატებში.

სიკვდილიანობის მიზეზთა სტრუქტურაში წამყვანი ადგილი უკავიათ შემდეგ პათოლოგიებს: გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს და ონკოლოგიურ ნოზოლოგიებს, აგრეთვე უბედურ შემთხვევებს, სუნთქვის სისტემის ორგანოების დაავადებებსა და ენდოკრინულ დარღვევებს. ბავშვთა სიკვდილიანობის მიზეზთა სტრუქტურაში კი მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ანომალიებს, რესპირატორულ დისტრესს სინდრომს და სხვ.




სქემა. №3. ამერიკის პოპულაციის ბუნებრივი მოძრაობა, 1960–2000 წლებში.




სქემა. №4. ბავშვთა და დედათა სიკვდილიანობა ამერიკის პოპულაციაში, 1980–1999 წლებში.

0-34 წლამდე ასაკობრივ ჯგუფებში სიკვდილიანობის ძირითადი მიზეზი უბედური შემთხვევებია, 35-74წ. ასაკობრივ ჯგუფებში წამყვანი პათოლოგია – სიმსივნეებია, ხოლო 75 წლამდე და ზევით ასაკობრივ ჯგუფებში-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები.

პოპულაციის ჯანმრთელობის თავისებურ ინდიკატორს წარმოადგენს დედათა სიკვდილიანობა, რომელიც ასახავს არა მარტო ორსულთა ჯანმრთელობის მდგომარეობას, არამედ ქალთა პოპულაციის დასნებოვნებას, ორსულთა მეთვალყურეობისა და ზოგადად სამეანო საქმის დონეს. აშშ-ის პოპულაციაში საერთო და ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლების კლების პარალელურად აღინიშნება დედათა სიკვდილიანობისა და ნეონატალური სიკვდილიანობის შემცირების ტენდენციაც. თუმცა აქვე გვინდა აღენიშნოთ, რომ დიდი სხვაობა აღინიშნება თეთრი და შავი რასის პოპულაციების ანალოგიურ მაჩვენებლებს შორის. გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან შავი რასის პოპულაციაში ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი საშუალოდ 2-ჯერ უფრო მეტია, თეთრი რასის პოპულაციის ანალოგიურ მაჩვენებელზე, ხოლო დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი საშუალოდ 4-ჯერ უფრო მეტია. (იხ.სქემა4) ამასთანავე, თუ ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლებს შორის განსხვავება თანდათან კლებულობს, დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებლებს შორის განსხვავება პრაქტიკულად უცვლელი რჩება.

უთანაბრობა იკვეთება სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის სტატისტიკურ მაჩვენებლებს შორისაც, სხვაობა თეთრი და შავი რასის პოპულაციაში 80-იანი წლებიდან საშუალოდ 6 წელს შეადგენს. თუმცა პოპულაციაში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებელი მატულობს როგორც თეთრი, ისევე შავი რასის პოპულაციაში. პროგნოზული გამოთვლებით ანალოგიური ტენდენცია გაგრძელდება 2005–2010 წლებში. (იხ. ცხრილი2)

აშშ-ში ოჯახის დაგეგმარების პროცესში კონტრაცეპტული საშუალებების მიღების პარალელურად ქალები მიმართავენ აბორტს. თეთრი რასის ქალებში აბორტების მაჩვენებელი საშუალოდ 2,5-ჯერ ნაკლებია ანალოგიურ მაჩვენებელზე შავი რასის ქალებში. (იხ.ცხრილი3)

ცხრილი 2. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებელი (სსხ), 1970–2000წწ. და პროგნოზული მაჩვენებლები 2005-2010 წლებში, აშშ-ის პოპულაცია.

| წლები | სსხ | მამაკაცები | ქალები | სსხ თეთრი რასის პოპულაციაში | მამაკაცები | ქალები | სსხ შავი რასის პოპულაციაში | მამაკაცები | ქალები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1970 | 70,8 | 67,1 | 74,7 | 71,7 | 68,0 | 75,6 | 64,1 | 60,0 | 68,3 |
| 1980 | 73,7 | 70,0 | 77,4 | 74,4 | 70,7 | 78,1 | 68,1 | 63,8 | 72,5 |
| 1990 | 75,4 | 71,8 | 78,8 | 76,1 | 72,7 | 79,4 | 69,1 | 64,5 | 73,6 |
| 1992 | 75,8 | 72,3 | 79,1 | 76,5 | 73,2 | 79,8 | 69,6 | 65,0 | 73,9 |
| 1994 | 75,7 | 72,3 | 79,0 | 76,4 | 73,2 | 79,6 | 69,6 | 64,9 | 74,1 |
| 1996 | 76,1 | 73,0 | 79,0 | 76,8 | 73,8 | 79,6 | 70,3 | 66,1 | 74,2 |
| 1998 | 76,7 | 73,8 | 79,5 | 77,3 | 74,5 | 80,0 | 71,3 | 67,6 | 74,8 |
| 2000 | 77.1 | 74,2 | 79,9 | 77,7 | 74,8 | 80,4 | 72,4 | 68,9 | 75,6 |
| 2005 | 77,8 | 74,9 | 80,7 | 78,3 | 75,4 | 81,1 | 73,5 | 69,9 | 76,8 |
| 2010 | 78,5 | 75,6 | 81,4 | 79,0 | 76,1 | 81,8 | 74,5 | 70,9 | 77,8 |

ცხრილი 3. აბორტების მაჩვენებლები, აშშ, 1975-2000წწ.

| წლები | აბორტების მაჩვენებლები | თეთრი რასის პოპულაციაში | შავი რასის პოპულაციაში |
|---|---|---|---|
| 1975 | 21,7 | 17,2 | 49,3 |
| 1980 | 29,3 | 24,3 | 56,5 |
| 1985 | 28.0 | 22,6 | 55,5 |
| 1990 | 27,4 | 21,5 | 54,4 |
| 1994 | 25,9 | 19,6 | 53,9 |
| 1998 | 24,1 | 17,9 | 51,1 |
| 2000 | 22,9 | 16,6 | 49,2 |

კონტრაცეპტული საშუალებებიდან ყველა ეთნიკური ჯგუფის ამერიკელი ქალები უპირატესობას ანიჭებენ არაქირურგიულ კონტრაცეპტიულ საშუალებებს და ქირურგიულ სტერილიზაციას.

მთელი კაცობრიობისათვის გლობალურ პრობლემას წარმოადგენს შიდსი. გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან აშშ-ში შიდსით დაავადებულთა და აივ-ინფიცირებულთა რაოდენობის ზრდის ფონზე 1994 წელს აღინიშნა ავადობის გამოვლენის პიკი. ზოგადად ინფექციური პათოლოგიის კლების პარალელურად მცირდება ტუბერკულოზით დაავადებულთა რაოდენობაც. აშშ-ს პოპულაციაში თითქმის უცვლელი რჩება მენინგოკოკური ინფექციებით, ცოფით, ბოტულიზმით ავადობის დონე. (იხ. ცხრილი 4)

ცხრილი 4. ინფექციური დაავადებების დინამიკა აშშ-ის პოპულაციაში, 1985-2000წწ.

| პათოლოგია | 1985 | 1990 | 1995 | 2000 |
|---|---|---|---|---|
| შიდსი | 8,249 | 41,595 | 71,547 | 45,104 |
| ტუბერკულოზი | 22,2 | 25,7 | 22,9 | 17.5 |
| ჰეპატიტი | 26,6 | 21,1 | 10,8 | 7,2 |
| მენინგოკოკური ინფექცია | 2,479 | 2,451 | 3,243 | 2,501 |
| ცოფი | 5,565 | 4,826 | 7,811 | 6,730 |
| ბოტულიზმი | 122 | 92 | 97 | 114 |
| სიფილისი | 68 | 82 | 53 | 36 |

ამგვარად, აშშ-ის უახლესი ისტორიის მოკლე დროის მონაკვეთში, კერძოდ 1960წლიდან დღემდე, ჯანმრთელობის ზოგიერთი სტატისტიკური მაჩვენებლების დადებითი ტენდენციების ფონზე, მკვეთრად იკვეთება თეთრი და შავი რასის პოპულაციებში მაჩვენებელთა უთანაბრობის პრობლემა. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მყარი ფუნქციონირებისთვის ეკონომიკურად განვითარებულმა ქვეყნებმა უნდა გამოყონ ეშპ-ს დაახლოებით 6%. აშშ გამოყოფს 14%-ს, რაც დაახლოებით ერთი ტრილიონი ამერიკული დოლარია. ქვეყანაში არსებული მდიდარი რესურსები და მონიტორინგის ძლიერი სისტემა უმნიშვნელოვანესი კომპონენტებია, რის საფუძველზეც ჯანმრთელობის დაცვის სისტემამ უნდა უზრუნველყოს ცალკეული კონტინგენტისათვის დიფერენცირებულ ამოცანათა დასმა და მათი გადაჭრის მიღწევა. რა თქმა უნდა, უთანაბრობის შემცირების სტრატეგია უპირველესად გულისხმობს არაპრივილეგირებული კოჰორტის ჯანმრთელობის სტატისტიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებას, რათა აშშ-ის პოპულაციაში უზრუნველყოფილი იქნეს სამართლიანობა ყველასათვის, თვითოეულისათვის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის მაღალი პოტენციალის შესანარჩუნებლად.

**ბესარიონ ხვინთელიანი**
*ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ მენეჯმენტის და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის მენეჯმენტის და მეწარმეობის, ეკონომიკის კათედრის დოქტორანტი, რუსეთში ქართული დიასპორას დახმარების ფონდი "კრედოს"-ს პრეზიდენტი*

# მესამე სექტორის ეკონომიკისა და მართვის ზოგიერთი საკითხი ამერიკის შეერთებულ შტატებში

ეკონომიკის რეფორმირების და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება არასამთავრობო, არასამეწარმეო სფეროს ოპტიმალურ განვითარებას.

ცივილიზებულ ქვეყნებში და, კერძოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებში, დიდი ხნის დამკვიდრებულია ცნება – „მესამე სექტორი", რომელშიც იგულისხმება არასამთავრობო, არასამეწარმეო ორგანიზაციების ერთობლიობა. ტერმინი – „არასამთავრობო" ნიშნავს იმას, რომ ასეთი ორგანიზაციები სახელმწიფოსგან ინსტიტუციონალურად დამოუკიდებელნი არიან, ხოლო ტერმინი „არასამეწარმეო (არაკომერციული)" მიუთითებს იმაზე, რომ ასეთი ორგანიზაციების მიზანს არ წარმოადგენს მოგების მიღება და მისი განაწილება დამფუძნებლებს შორის.

არასამთავრობო, არასამეწარმეო სექტორი არის ის ფუნდამენტური სფერო, რომელიც სახელმწიფოსა და ბიზნეს სექტორებთან ერთად თანამედროვე ცივილიზებული, დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს. სწორედ ამაზე მეტყველებს დასავლეთში დამკვიდრებული მისი სახელწოდება – „მესამე სექტორი", რომელიც მთლიანად ამართლებს ასეთ შინაარსობრივ დატვირთვას და გვევლინება როგორც მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების და ეროვნული მეურნეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციურ ნაწილად.

საქართველოსთვის, ისევე როგორც პოსტსაბჭოური სივრცის ყველა ქვეყნისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია რადიკალური რეფორმების პროცესში ჰარმონიულად განვითარდეს ეროვნული მეურნეობის სამივე ფუნდამენტური სექტორი, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სამართლებრივი, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას და ჰარმონიულ განვითარებას.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ მესამე სექტორის სფერო ჯერ კიდევ არ არის მოქცეული საქართველოს მეცნიერ-ეკონომისტების ინტერესების ცენტრში, ამდენად მეტად მწირია სათანადო ლიტერატურული ბაზა, რომლის აუცილებლობა და საჭიროება ესოდენ მწვავედ შეიგრძნობა დღევანდელ პირობებში. იმედია, რომ ახლო მომავალში ასეთი ხარვეზი აღმოიფხვრება.

ჩვენში ბოლო პერიოდში თანდათან ვრცელდება ცნება „მესამე სექტორი", რომლის სინონიმებად ხშირად იხმარება „არასამთავრობო სექტორი", „არასამეწარმეო სექტორი" და „არაკომერციული სექტორი". მესამე სექტორის ცნების მიხედვით საზოგადოება გაიაზრება სამ სექტორად დაყოფილ წრედ, რომელშიც „პირველი სექტორი"–სახელმწიფოა, „მეორე სექტორი"– ბიზნეს-სფერო, ხოლო „მესამე სექტორი"–არასამთავრობო, არასამეწარმეო ორგანიზაციების ფუნქციონირების სფეროა. მესამე სექტორი წარმოადგენს სამოქალაქო ინიციატივებზე და დემოკრატიული მართვის პრინციპებზე დაფუძნებულ სოციალურ ინსტიტუტთა დამოუკიდებელ სფეროს,

რომლის დანიშნულებაა განავითაროს სახელმწიფოში სამოქალაქო საზოგადოება, რითაც შეივსება საზოგადოებრივ ცხოვრებაში ხელისუფლებისა და ბიზნესის ყურადღების მიღმა დარჩენილი მეტად მნიშვნელოვანი სოციალური სივრცე.[1]

ამერიკის შეერთებულ შტატებში მესამე სექტორი ჩამოყალიბდა როგორც ეროვნული მეურნეობის უმნიშვნელოვანესი ქვედანაყოფი, რომელსაც აქვს თავისი სპეციფიკური თეორიულ-მეთოდოლოგიური, საკანონმდებლო, ეკონომიკური და მმართველობითი საფუძვლები, კანონზომიერებები, პრინციპები და მეთოდები.

აშშ-ში 100 მილიონამდე ადამიანი არის გაერთიანებული თითქმის 1,5 მლნ. მესამე სექტორის ორგანიზაციებში. მთლიანად აშშ-ში არსებობს არასამთავრობო, არაკომერციული ორგანიზაციების 26 ტიპი, რომლებიც განთავისუფლებული არიან გადასახადებისაგან. ასეთი ორგანიზაციების სპექტრი მრავალფეროვანია, დაწყებული მეწარმეთა ასოციაციებით და დამთავრებული საქველმოქმედო ფონდებით და კერძო კლუბებით. ნებისმიერი ასეთი ორგანიზაცია უნდა პასუხობდეს შემდეგ ძირითად მოთხოვნებს:

- გააჩნდეს ორგანიზაციული სტატუსი (ჰქონდეს გარკვეული სტრუქტურა და მუდმივობა);
- იყოს არასამთავრობო (არ შედიოდეს სახელმწიფო აპარატის შემადგენლობაში);
- უფლებამოსილი იყოს წარმართოს კომერციული საქმიანობა, მაგრამ არ შეეძლოს მოგების განაწილება დამფუძნებლებს შორის და ვალდებული იყოს გამოიყენოს მოგება ორგანიზაციის მიზნებისათვის;
- იმუშაოს საზოგადოების საკეთილდღეოდ;
- ხელმძღვანელობდეს თვითმმართველობის პრინციპებს (არ ემორჩილებოდეს გარეშე იურიდიულ და ფიზიკურ პირებს).

1996 წელს აშშ-ში თითქმის 750 ათასი არასამთავრობო ორგანიზაცია ემსახურებოდა საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტის სოციალურ საჭიროებებს და მათმა საერთო მიმდინარე დანახარჯებმა შეადგინა დაახლოებით 433 მლრდ დოლარი. ეს კი მეტია ისეთი ქვეყნების მთლიან შიდა პროდუქტზე, როგორებიცაა: ავსტრალია, ინდოეთი, მექსიკა, ჰოლანდია და სხვ. ამერიკაში არასამთავრობო, არამომგებიანი ორგანიზაციების სტატუსით ფუნქციონირებენ: საავადმყოფოების, უნივერსიტეტების და კოლეჯების 50%, სოციალური მომსახურების სააგენტოების 60%, სამოქალაქო ორგანიზაციების უმრავლესობა და სხვ. თვით ისეთი უმაღლესი სასწავლებლები როგორიცაა: ჰარვარდის, პრინსტონის, იელის უნივერსიტეტები წარმოადგენენ არასამთავრობო, არაკომერციულ ორგანიზაციებს. მესამე სექტორის როლიდან გამომდინარე, აშშ-ის მთავრობა მნიშვნელოვან ფინანსურ დახმარებას უწევს ასეთ ორგანიზაციებს. 1980 წლიდან დაწყებული, სახელმწიფო უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ორგანიზაციების შემოსავლის 30%-ს, 18% შემოდის კერძო საქველმოქმედო წყაროებიდან (ცალკეული პირები, კორპორაციები, ფონდები), თანხების დანარჩენი 50%-ზე მეტი შემოდის მომსახურებიდან და სხვა წყაროებიდან.[2]

აღწერილი ინფორმაცია თვალნათლივ ადასტურებს მესამე სექტორის დიდ მნიშვნელობას თანამედროვე საზოგადოების განვითარებისათვის. ასეთმა გარემოებამ განაპირობა არამომგებიანი სექტორის ეკონომიკურ-მმართველობითი საკითხების კვლევის აქტივიზაცია დასავლეთის ქვეყნებში. ამ პრობლემებზე მუშაობას საფუძველი ჩაუყარეს ამერიკელმა მეცნიერებმა: ბ. ვაისბროდმა, ს. როზ-აკერმანმა, უ. როველმა, ლ. სოლომონმა,გ. ჰანსმანმა,პ. დრაკერმა და სხვ. მე-20 საუკუნის 70-ანი წლებიდან დასავლეთის მოწინავე სამეცნიერო ცენტრებმაც გაშალეს მუშაობა ამ მიმართულებით. მათგან, როგორც წამომწყები, აღსანიშნავია იელის უნივერსიტეტი. ამ პრობლემაზე დასავლეთის ქვეყნებში მუშავდება სპეციალური სამეცნიერო-

პრაქტიკული პროგრამები, რომელთა მოსმენა-დამტკიცება ხდება უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოებში.

დასავლელი მეცნიერები სხვადასხვა აზრისანი არიან საბაზრო ეკონომიკაში მესამე სექტორის არსებობის მიზეზების განხილვისას. ამ მხრივ, ძირითადი ეკონომიკური კონცეფციებიდან აღსანიშნავია შემდეგი თეორიები:[3]

– „კოლექტიური სიკეთეების და მომსახურების თეორია" (ბ. ვაისბროდი);
– „საბაზრო მექანიზმის უუნარობის თეორია" (გ. ჰანსმანი);
– „სამომხმარებლო კონტროლის თეორია" (ა. ბენ-ნერი).

მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, მეცნიერები თანხმდებიან იმაში, რომ არამომგებიანი სექტორის წარმოშობას და განვითარებას საბაზრო ეკონომიკაში განაპირობებს საბაზრო მექანიზმის უუნარობა და სახელმწიფოს შეზღუდულობა – სრულად დააკმაყოფილონ საზოგადოებრივი მოთხოვნილებები მათი მზარდი დივერსიფიკაციის პირობებში.

დასავლეთის მეცნიერები მუშაობენ მესამე სექტორის ეკონომიკური არსის გააზრების პრობლემებზე. აქაც არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, თუმცა დღეისათვის მაინც საყოველთაოდ მიღებული და დამკვიდრებულია ეკონომიკური თეორია, რომელიც არამომგებიან სექტორს განიხილავს როგორც არასახელმწიფოებრივი ინსტიტუტების კომპლექსს. ასეთი მიდგომა საშუალებას იძლევა:[4]

– მაქსიმალურად სრულად გამოელინდეს არამომგებიანი სექტორის ეკონომიკური არსი და დანიშნულება საბაზრო ეკონომიკაში;
– განისაზღვროს მესამე სექტორის მსგავსება და განსხვავება სახელმწიფო და კომერციულ სტრუქტურებთან მიმართებაში;– მკაფიოდ ჩამოყალიბდეს კონცეფცია, რომ მესამე სექტორი არის სპეციფიკური სისტემა, თავისი ეკონომიკური კანონზომიერებებით, სამეცნიერო-საგანმანათლებლო პრინციპებით და ორგანიზაციულ-მმართველობითი მეთოდებით (ეს ბოლო მოსაზრება ჩვენ დავამატეთ – ბ. ხ.).

მთლიანად, მესამე სექტორი, რომელიც თავისი ბუნებით არის არასახელმწიფოებრივი მოვლენა, აკმაყოფილებს ძირითადად კოლექტიურ და არა ინდივიდუალურ მოთხოვნილებებს, მოიცავს არა მხოლოდ შიდა, არამედ გარე ეფექტებსაც, გამოხატავს პირად და საზოგადოებრივ ინტერესებს. ამასთან, იგი უფრო მეტად მისდევს ბაზრის კანონებს ვიდრე სახელმწიფოებრივი სექტორი.[5]

მესამე სექტორი ეროვნული ეკონომიკის განუყოფელი ნაწილია, რასაც ადასტურებს შემდეგი:[6]

– მესამე სექტორი აწარმოებს საქონელს და მომსახურებას;
